საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ამირან აბაძული

სიტყვის სამყარო

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2021

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი წერილები – ზოგი სამსახურებრივი ვალდებულების, ზოგიც საკუთარი სურვილის კარნახით – წლების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა.

დღევანდელი სამზერიდან შესაძლოა ბევრი რამ ხარვეზოვნადაც გამოიყურებოდეს და თვით ავტორსაც აღარ აკმაყოფილებდეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და კარგად ასახავს კვლევაძიებითი მუშაობის, კრიტიკული წიაღსვლებისა თუ ბელეტრისტული ნაკადის ღირებულებრივ უთანაბრობას.

წიგნის „ჩარჩოში“ მოქცეული საანალიზო საკითხების შედარებითი შესწავლაა ის უმთავრესი მიმართულება, რომელიც ფოლკლორულ-ლიტერატურული პრობლემატიკისა და ამ ორი სფეროს ურთიერთმიმართების ავტორისეულ ხედვას განსაზღვრავს და განაპირობებს.

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით

რედაქტორი **იოსებ ჭუმბურიძე**
ტექნიკური რედაქტორი **ნანა მასურაშვილი**
ყდის დიზაინი **გიორგი ბაბრატიონი, ირაკლი უშვერიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **თინათინ დუგლაძე,
გაბრიელ თაგაური, მარიამ (თუთი) არაბული**
ფოტო **ამირან არაბულისა**
გამოყენებულია მხატვარ **თენგიზ მირზაშვილის** ნამუშევრები

© ამირან არაბული, 2021

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-047-6

ფოლკლორი

ბაგრატიონთა საგვარეულოს „ღვთისნებითობის“ თეორია და ხალხური სიტყვიერება

ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის შარავანდედით შემოსვა, არაამქვეყნიური დიდების ატრიბუტებით აღჭურვა და ღვთიური წარმომავლობის აშკარა, თვალხილული ნიშნებით შემკობა და დამშვენება, რაც არ გახლავთ ხშირი, სადაგი და სისტემური ხასიათის მოვლენა ცოდვითდაცემული კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, იმგვარი გამონაკლისია, რომელიც მეფობის მიწიერ განზომილებაში ცალსახოვნად გამორიცხავს ხაზგასმულ ლტოლვასა და ინტერესს პირადი განდიდებისადმი, პატივმოყვარეობისადმი, მატერიალურ ფასეულობათა მოპოვებისა და დაგროვებისადმი, წარმავალი და, თავისი არსით, ხრწნადი, კვდომადი, ჟამიერი ღირებულებებისადმი...

ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიხმოთ ციტატა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან, სადაც საუცხოო სიცხადით ჩანს ქართველთა „ღმრთისა სწორი“ მეფე-ქალის სახე-ხასიათი: „...და ესეოდენთა დიდებათა და სიმდიდრეთა გარდარეულთა და სიმაღლესა შინა ესრეთ იყო, ვითარცა ყოვლად არა რაი ჰქონებოდა, და უდარეს და უგლახაკეს ყოველთა კაცთასა შეერაცხა თავი თვისი“ (ქართლის ცხოვრება 1959: 28)...

მეფობა, როგორც ადამის მოდგმის ჩვეულებრივი ყოფიერებისა და მოღვაწეობისაგან გარკვეულწილად განსხვავებული სოციალური მოვლენა, მინიჭებული პიროვნული ღირსებებით მასიდან გამორჩეული პერსონისათვის, ძველთუძველესი კულტურის მქონე ქვეყნების მკვიდრთა შეხედულებით, ჩამოსულია ციდან, უნაპირო სამყაროს სივრცეთა უსასრულობიდან და, ამდენად, ის თავისთავად უკვე ღვთიურია, ზებუნებრივია, უკვდავებასთან წილდებულია; მეფის ბედი და მისი მომავალი ნარმატება-ნარუმატებლობა ცაში დგინდება, წყდება და ირკვევა. ის ცოდვილ მიწაზე მოვლინებულია იმისათვის, რათა უწესრიგობა წესრიგად აქციოს, ქაოსის ადგილას ჰარმონია შექმნას, მოკვდავთა წყვდიადით მოცული სამყოფე-

ლი სულიერების შუქით გააცისკროვნოს და ქვეყნის უმჯობეს ხვალინდელ დღეს ჩაუყაროს საფუძველი...

„მეფე ქვეყანაში ღვთის მონაცვლეა, მას მეფობა ღმრთისაგან აქვს რწმუნებული... მეფე სული-წმიდის „მობერვით„ მოქმედებს, აქედან ცხადია, მისი მოქმედება უცდომელია" (კარბელაშვილი 1999: 101).

მეფობის მომდინარეობის განგებისმიერობის ვერსიის მოცემული სქემისა თუ მოდელის მისადაგება ბაგრატიონთა სამეფო გვარის ცალკეული წარმომადგენლების ბიოგრაფიულ მონაცემებთან და დაკვირვების შედეგად მიღებული საგულისხმო დასკვნები არაორაზროვნად მეტყველებს იმაზე, რომ კულტურული ერების ცოდნა და თვალსაზრისი ბევრი რამით იყო ერთურთის მსგავსი თუნდაც ისეთ უნივერსალურ საკითხთან მიმართებაში, როგორიც არის ქვეყნის მმართველ საგვარეულოთა დასაბამი და წარმომავლობა, მათი გენეზისი და ცხოვრების მკვეთრი თავისებურებანი...

მსოფლიო ისტორია იცნობს ზეკაცური სიმაღლით მორჭმულ ინდივიდებს და სამეფო დინასტიებს, რომელთა გაჩენაში, ზრდასა და საამსოფლო მოღვაწეობაში, მემატიანეთა მოწმობით და ხალხური გადმოცემებით, ღვთის ხელი ურევია, ღვთის ნება-სურვილი ცხადდება. მათი საგანგებო, სრულიად განსხვავებული მისია და მოწოდებაც, რასაც დიდი წარმატებით ასრულებენ ომიანობისა თუ მშვიდობიანობის ჟამს, ღვთისმიერი თანხმობა-დასტურის უტყუარი ნიშნებით არის აღბეჭდილი.

ქართულ სინამდვილეში, ამ ასპექტით, ერთობ საჩინო, დაწინაურებული და გამორჩეულია ბაგრატიონთა სამეფო სახლი და გვარ-ჩამომავლობა. ამ გვარის სამეფო დინასტიის არსებობის, ღვწისა და ზეობის ხანა თითქმის თორმეტ ათასწლეულს წვდება და მოიცავს. ისევე, როგორც არაერთ სხვა ქვეყანასა და ამ ქვეყნების ხელისუფალთ, მათაც დასდგომიათ დასუსტების,დაძაბუნების, დაღმასვლის ხანგრძლივი თუ ხანმოკლე პერიოდები, მაგრამ, მთლიანობაში, ბაგრატიონებმა ღონივრად ზიდეს მათზე მინდობილი საპატიო სახელმწიფოებრივი ტვირთი. სხვა საუკუნეებსა თუ ათწლეულებზე რომ აღარაფერი ითქვას, სწორედ მათი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლების, თანამედროვეთა და მადლიერ შთამომავალთა მიერ ღვთაებათა რანგში აყვანილი მეფეების – და-

ვით აღმაშენებლისა და თამარის – უზარმაზარი ღვაწლისა და წყალობის შედეგია შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანა"; ქვეყნის განმტკიცება, გაძლიერება და მანამდე არნახული აღმასვლა...

მესიანისტური იდეა, როგორც მძლავრი იმპულსი, ბიძგი და სტიმული ერის არსებობის, განვითარებისა და გადარჩენის დიად საქმეში, ამა თუ იმ სახით, ხასიათითა და ოდენობით ყველა ქვეყანაში არსებობს. ხოლო ამ ლამაზი იდეის უმთავრეს მიზანს ეროვნული ხელჩაქნეულობის, უიმედობის, ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და კაცობრიობის კონტრასტებით აღსავსე კონტექსტში თვითდამკვიდრებისაკენ დაუცადებელი სწრაფვა შეადგენს.

აკაკი ბაქრაძე ქართული მესიანისტური იდეის ოთხ არსებით ნიშანს გამოყოფს. ესენია: 1. ქართული ენა – ქრისტეს ენა; 2. ქრისტეს კვართი დაფლულია მცხეთის მიწაში, სვეტის ქვეშ; 3. საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა; 4. ბაგრატიონთა სამეფო დინასტია – იესიან-დავითიან-სოლომონიანი (ბაქრაძე 1988).

არსებობს დინასტიურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად აღქმული და აღიარებული მესიანისტური იდეის ნიშანთა რამდენადმე განსხვავებული ჩამონათვალიც: 1. უფლის კვართის საქართველოში დავანება; 2. რომლის წინაპირობა იყო ელიას ხალენის ქართულ მიწაზე დამკვიდრება; 3. ქრისტეს ნამების სამსჭვალისა და ფიცრის საქართველოში ჩამოტანა; 4. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვედრილობა; 5. მაცხოვრის თიხაზე დატვიფრული ხელთუქმნელი ხატის საქართველოში დამკვიდრება (სულავა 2002: 48).

არ იყო ულოგიკო ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის გარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად" იწოდებოდნენ.

თუ კიდევ ერთხელ გავითვალისწინებთ და გონების თვალით გადავხედავთ საქართველოს შორეულ წარსულს, პერმანენტული მტრიანობისა და განსაცდელის უმძიმეს პერიოდებს, ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, უცხო სჯულისა და მოდგმის მრავალრიცხოვანი ხალხების გარემოცვაში ყოფნას და იმ რეალურ გართულებებს, რაც მათი მხრიდან იყო მოსა-

ლოდნელი, კანონზომიერი და აუცილებლობით ნაკარნახევი გამოჩნდება ქართული მესიანისტური იდეის ესოდენი სიფართოვე, განფენილობა და მასშტაბურობა...

გერონტი ქიქოძე წერს: „...ჩვენთვის, ქართველებისათვის, კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ დავით წინასწარმეტყველს, მგონია, იმავე ბერსაბესთან მეორე ვაჟიც ეყოლა, რომლისაგანაც, ჩვენი ნაციონალური გადმოცემის თანახმად, ქართველი ბაგრატიონები წარმოსდგნენ" (ქიქოძე 1985: 219).

ბაგრატიონთა საგვარეულოს, დაბადებიდან ვიდრე დღევანდლამდე, განუშორებლივ თან სდევს და ხან მკრთალად, კლებადობის ნიშნით და გაქრობისკენ დახრილობით, ხან კიდევ ცხადლივ და მკაფიოდ აჩნია დავლათიანობის, ღვთიურ საწყისთან წილდებულობის, განსაკუთრებულობისა და ერთადერთობის დაღი (შდრ. ხალხური: „დავლათი ღუდუშაურთა ღვთისგნით აქვს ნაბოძვარიო...").

ბიბლიური დავითის ნათესავად ბაგრატიონთა სამეფო გვარის გამოცხადებით დაედო სათავე და საძირკველი მათი ულუმპიანობისა და სვიანობის საყოველთაოდ ცნობილსა და გავრცელებულ იდეას. ბაგრატიონთა გენეალოგიის ხაზი დავით წინასწარმეტყველიდან იწყებოდა, რაც ქართველი ბაგრატიონებისა და ქრისტეს უცილო ნათესაობაზე მიუთითებდა, მათ სისხლისმიერსა და სულისმიერ სიახლოვეს მოწმობდა და, რაც, საბოლოოდ, ამ სამეფო დინასტიის განუმეორებლობას ქადაგებდა და ცხადყოფდა...

როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი ზეპირი თუ წერილობითი წყაროები, გარდა დავით წინასწარმეტყველისა, ბაგრატიონების საგვარეულოს წინაპრებად ასახელებენ ჰურიასტანის მეფე სოლომონს, გუარამ კუროპალატს, ებრაელ ტყვე შამბათს და ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიას.

ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია ბაგრატიონთა შესაძლო ნათესაური დამოკიდებულების აღნიშვნა და აღიარება ფარნავაზიანებთან (სათანადო საუბარს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც ვხვდებით: „...ბაგრატიონთა სახლი ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებაა" – სიგუა 2001: 336), ვინაიდან ქართლის

სამეფოს დამაარსებლისა და პირველი წიგნის შემქმნელის* ფარნავაზ მეფის სახელთან არის დაკავშირებული ლეგენდა, რომელშიაც გარკვევითაა ნათქვამი და გამჟღავნებული მზესთან ანუ ქართველთა უძველეს, მატრიარქატისდროინდელ ღვთაებასთან მისი წილნაყარობა, სხივოსნობა და, ხალხური გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ქუდბედიანობა.

ფარნავაზის თავგადასავალში ჩართული სახიერი ტექსტი, რომელიც მომავალი მეფის სიზმრის შინაარსს გვაუწყებს, ფოლკლორული წარმომავლობისაა.

მკვლევართა (ზ. ალექსიძე, ზ. კიკნაძე...) აზრით, ფარნავაზის ცხოვრება დაწერილია I საუკუნეზე ადრე და, ამდენად, არ შეიძლება ის ლეონტი მროველის ნაკალმევი იყოს... ბოლოდროინდელი ნაკვლევის თანახმად, „ფარნავაზიანი" პრექრისტიანულ ეპოქაშია შექმნილი, რომელშიაც „დიდი მხატვრული ოსტატობითაა ასახული ქართული სახელმწიფოს დაარსების ისტორია. ამ მეტად მცირე, ხუთიოდე გვერდის მომცველ მოთხრობაში საოცარი სისრულითაა ნარმოსახული ისტორიული სინამდვილე და ასეთივე მომჭირნეობით, მაგრამ შინაგანი სისავსითაა გამოკვეთილი ფარნავაზის მონუმენტური სახე" (ბარამიძე 1992: 7).

„მცხეთას ქალაქსა შინა" უკაცურ სახლში მყოფმა „ჭაბუკმა ერთმა" სიზმრად ნახა, რომ გარეთ გაღწევა უნდოდა, მაგრამ არ ძალუძდა. მაშინ სახლის სარკმლიდან მზის შუქი შემოვიდა, წელზე შემოერტყა, „განიზიდა" და ჩაკეტილი სივრციდან ცის ქვეშ გაიყვანა. „და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისასა" (ქართლის ცხოვრება 1955: 187).

მზის ცვარით (შდრ. ხევს.. „ზისცვარი" – რძე!) ცხებული, მზის პირის ნაბანთან ზიარებული, მანამდე უჩინარი და უსახელო ჭაბუკი ზეგარდმო მადლს მისწვდა, სხვა სამყაროს მკვიდრად იქცა, სიწმინდითა და ძალმოსილებით აღივსო, რაც პერსპექტივაში მის გამეფებას მოასწავებდა.

უსათუოდ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სწორედ

*ეს საკითხი ქართველ მეცნიერთა შორის დღემდე რჩება თვალსაზრისთა ნაირგვარობისა და ურთიერთშეუთავსებლობის სფეროდ (ამასთან დაკავშირებით იხ. თ. ჩხენკელი, ანბანთა შექმნის ტრადიციული ცნობების შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ. 72-79).

ფარნავაზი ითვლება საქართველოში პირველი სამეფო დინასტიის ხელდამსხმელად და მესაძირკვლედ. ასე რომ მზიურობის ნიშნით გამორჩეული მეფის მიერ დაწყებულ აღმშენებლობით გზას ძალმოსილი გამგრძელებლები გამოუჩნდნენ მისი შთამომავლების, ე.ი. ბაგრატიონების სახით...

თავის ისტორიულ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი) აღნიშნავს, რომ ბაგრატიონნი ცნობილნი იყვნენ „მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათვის თავდადებულობითა“ (20,59). და იქვე: „გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“ (ქართული მწერლობა 1990: 71).

„უწიგნო“ გლეხთა გული და გონება ახლოს არ იკარებს და ხსოვნაში არ ინახავს ისეთ რასმეს, რაც უცხო, უცნობი და მიუღებელია; რაც მის გემოვნებას, გრძნობას და მსოფლმხედველობას არ ეთანადება; რაც არ არის ღირსი „ხელისხელ“ ტარებისა, გაფრთხილებისა და საუკუნეთა ქარცეცხლსა თუ დელგმა-მეხთატეხებში უბით გამოტარებისა, გადარჩენისა და მემკვიდრეთათვის სულიერი სიმაღლის, ზნეობრივი სიწმინდის, ადამიანური კეთილშობილების ნიშანსვეტად აღმართვისა და დატოვებისა...

შესაბამის ფაქტობრივ და თეორიულ პოსტულატებზე დაყრდნობით ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შემუშავებულია შეხედულება, რომლის მიხედვით „ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის თეორიის შემქმნელის პრიორიტეტი გრიგოლ ხანძთელს ან მისი ცხოვრების აღმწერელს – გიორგი მერჩულეს ეკუთვნის“ (მამისთვალიშვილი 1998: 20).

მოტანილი თვალსაზრისი, ვფიქრობთ, მთლად ზუსტი არ უნდა იყოს; ზედმიწევნით სწორად არ უნდა ასახავდეს რეალურ ვითარებას, სიმართლესა და სინამდვილეს.

ავტორი იმავე ნაშრომში წერს: „დიდი ხნის განმავლობაში მოარულმა ლეგენდამ ბაგრატიონთა გვარის წარმოშობისა და მისი განსაკუთრებული დანიშნულების შესახებ ოფიციალური აღიარება ჰპოვა, რისი მიღწევა მხოლოდ ეკლესიის თანხმობითა და შეწევნით შეიძლებოდა“ (მამისთვალიშვილი 1998: 17).

რახან ზემოხსენებული ლეგენდა ბევრად ადრე იყო შექმნილი, გასული და გავრცელებული ხალხში, რაღა თქმა უნდა,

ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის თეორიაც, თუნდაც ჩანასახოვან, „ემბრიონალურ" მდგომარეობაში, თავისთავად იარსებებდა და მისი ლეგიტიმაცია, დახვეწა და წერილობითი სახით გამოთქმა, „ეკლესიის თანხმობითა და შეწევნით", გრ. ხანძთელს ან მისი ცხოვრების აღმწერელს მოუწია.

ხოლო აღნიშნული თეორიის „არქეტიპად", პირველსახედ, წინამარცვლად ანუ იმ ნოყიერ ნიადაგად, რამაც ბაგრატიონთა გენეალოგიის შესახებ ცალსახა რწმენა-წარმოდგენის ჩასახვა და გაჩენა განაპირობა, დიახაც რომ ფარნავაზის სიზმარი უნდა ვიგულვოთ; სიზმარი, რომლის აზრი და, გნებავთ, მიზანდასახულება გაცილებით ღრმა, ვრცელი და შორსმიმავალია, ვიდრე ამას რიგითი მოკვდავის მიერ ნანახი, ხევსურულ შესატყვისს რომ მიემართოთ, „საოცარი" გულისხმობს.

ღვთიური მადლით მოსილ, სიმბოლური მინიშნებებით გაჯერებულ, უცნაური „სიგნალებით" დატვირთულ სიზმარს სინჯავს არა მდაბიო, უბირი, სოფლის ჩვეულებრივი მკვიდრი თუ მოსახლე, არამედ თავისი სოციალური სტატუსით მთის მწვერვალზე შესადგომად გამზადებული პიროვნება, ვინც დასაბამი უნდა მისცეს და სამომავლო გზა დაულოცოს პირველ სამეფო დინასტიას საქართველოში...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთიური წარმომავლობის იდეა თავდაპირველად ხალხურ სიტყვიერებაში, ამბის ზეპირად თხზვის ტრადიციაში ჩაისახა და მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღის გავლით მხოლოდღა შემდგომ მოხდა მისი ლიტერატურული ფიქსაცია და ჩამოყალიბება...

ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთისმიერობის, ანუ ივ. ჯავახიშვილის მიერ მარჯვედ მიკვლეული და გამოყენებული გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, „ღვთისნებითობის" საკითხი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიასთან.

ეროვნული იდეოლოგიის შექმნა და ქრისტიანული ქვეყნის ხელისუფალთა სამერმისო მოღვაწეობის გონივრული გეგმის შემუშავება უსათუოდ საჭიროებდა ისეთი „ბერკეტების" მოფიქრებასა და ამოქმედებას, ისეთი თვალსაზრისის დანერგვასა და გავრცელებას, რომელიც სასრული ყოფითობის საზღვრებში კი არ მოაქცევდა ობიექტურ შეხედულებას ადამიანურ შესაძლე-

ბლობათა შეზღუდულობაზე, პირიქით, ხელს შეუწყობდა საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ხარიზმულობის სანეტარო რწმენის თანდათანობით გაღვივებასა და გამარადიულებას.

აქეთკენ ისწრაფვოდა მართლმადიდებელი ეკლესია; აქეთკენ იყო მიმართული სამეფო კართან ახლომდგომი საერო პირების რუდუნება და ძალისხმევა; ამავე მიმართულებით დუღდა და დიოდა მდაბიოთა თუ დიდგვაროვანთა ფიქრი და აზრი. და ასე, წლიდან წლამდე მყარდებოდა და იკრებდა ღონეს იდეა საქართველოს ხელისუფლების სვიანობისა, საკრალურობისა და განუმეორებელი, არსმენილი, მიუწვდომელი ძლიერებისა.

გამოკვლევაში „ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია" მარიამ კარბელაშვილმა ყურადღება მიაპყრო და გამონვლილვით განიხილა მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი ორი ტიტულატურული ფორმულის – „მეფე მადლითა ღვთისათა" და „მეფე ნებითა ღვთისათა" – ჭრილში.

ამ ორ ლაპიდარულ ფორმულას შორის, მკვლევარის სიტყვით, პრინციპული განსხვავებაა და მისი ნაშრომი სწორედ ამ განსხვავების გამოძიებას ეძღვნება.

ისტორიული საბუთებისა და ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინებით მარიამ კარბელაშვილი დაასკვნის, რომ ბაგრატიონთა ტიტულატურის მყარი ფორმულაა „მეფე ნებითა ღმრთისათა"; რომ ეს ფორმულა „დავითიანი ქართული სამეფო საგვარეულოს კანონიერების ის ზღვარია, რომელიც ჰყოფს ბაგრატიონთა დინასტიის მეფობას წინა პერიოდის მეფობისაგან" (კარბელაშვილი 1999: 98).

თეოლოგიური ხასიათის სამსიტყვიან ფორმულაში ნათქვამი და ნაგულისხმევია იმდენი რამ, რასაც სხვა შემთხვევაში ვრცელი ახსნა-დასაბუთება, განმარტება და თეორიული პოსტულატებით შემაგრება დაჭირდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ღრმააზროვნებით აღბეჭდილი მზა ფორმულის მისადაგება ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოსთან არავითარ სიძნელეს და სირთულეს აღარ წარმოადგენდა. უაღრესი ლაკონიზმით და ერთგვარად იმპერატიული ინტონაციით გამოიხატა ის, რაც საქართველოს იმდროინდელ სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამებოდა. ...მადლი ღვთისა ანუ უზენაესის წყალობა უკლებლივ ყველა ხელისუფალის უცილო ხვედრია, ვინაიდან მეფედ არჩეული და კურთხეული პიროვნება „იცვლება,

იგი ემინა პერსონა – ორგვამოვანი, ორბუნებოვანი ხდება და მის ადამიანურ ბუნებას ღვთაებრივი ბუნებაც ეძლევა" (კარბელაშვილი 1999: 117); ხოლო შესიტყვება „ნებითა ღვთისათა" იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ პერსონისა თუ, მთლიანად, რომელიმე გვარ-მოდენილობის ხარიზმულობა, აღზევება და სამეფო ძალაუფლების ფლობით დაჯილდოება, თავისი არსით, პროვიდენციულია, ღვთისმიერია, რასაც ადამიანი ვერ შეცვლის, ვერ აღუდგება და დაუპირისპირდება. უფლის ნება აუცილებლად უნდა აღსრულდეს. მისი „გადაწყვეტილების" გაუქმება არ ეგების. მას ადამიანი ვერაფერს მოუხერხებს... მსგავსად მთიელთა საკრალურ ყოფაში დღევანდლამდე არსებული რწმენისა, რაც ხევისბრობის ინსტიტუტის არსებობაში ღვთისშვილთა ნებითობას გულისხმობს, ე.ი. ჯვარ-ხატის უპირველეს მსახურთა ანუ ჯვარის „ხელკაცთა" დადგინება ლოკალურ ღვთაებათა ნებითა და მოწოდებით ხდება, სხვა საგვარეულოებს შორის ბაგრატიონთა გამოცალკევება და გამორჩევაც ღვთის რწმუნებით, ტრანსცენდენტურ ძალთა „თანხმობით" მოხდა. ხოლო საღვთო მადლითა და სიკეთით აღვსილი პიროვნება ვალდებულია (და ეს მის პირად სურვილზე ნაკლებადაა დამოკიდებული!) მთელი სიწრფოებითა და ძალთა მაქსიმალური დაძაბვით ემსახუროს როგორც საზოგადოებრივი იერარქიის უმაღლეს საფეხურზე გამწესებულ სამყაროს შემოქმედს, ისე თავის სადროშოს, ერს, მრევლსა და ქვეყანას.

აღნიშნულია, რომ ბაგრატიონთა გვარის ნარმოშობის და მისი ღვთიურობის თეორია მეცნიერულად ჩამოაყალიბა და დასრულებული სახე მისცა XI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსმა სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონმა. მან სცადა და შეძლებისდაგვარად გაარკვია კიდეც, „ვინ იყვნენ, საიდან და როდის მოვიდნენ ბაგრატიონები საქართველოში და როგორი იყო მათი ისტორიული მისია" (მამისთვალიშვილი 1998: 17).

ბაგრატიონების ღვთიური წარმომავლობის ევროპის მასშტაბით უნიკალური, ხოლო საქართველოში მტკიცედ ფესვმოკიდებული და ფართოდ გავრცელებული თეორია უშურველად უხვ და მრავალმხრივ საგულისხმო უკუფენას პოულობს ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. სანდო ისტორიული ფაქტებისა და რეალიების თავისებური გააზრებით, თვითნებური შესხ-

ვაფერებით თუ შევსება-გამოკლებით ფოლკლორული ტრადიცია ქართველ ბაგრატიონთა გენეალოგიის, მათი გვარჩამომავლობის „არამინიერ" წარმოშობაზე მიანიშნებდა და ამ გზით, საერთო ეროვნული ტენდენციის კვალობაზე, მის ძლიერებას, ზოგადად, საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ცნობას, დაცვას და მიზანმიმართულ აღიარებას უმყარებდა ნიადაგს.

ბაგრატიონთა საგვარეულო შტოს რჩეულ წევრთა პიროვნულ, ინდივიდუალურ სახესა და თავგადასავალში, მათი ამქვეყნიური ყოფის ვრცელსა თუ მოზღუდულ არენაზე დროდადრო თავს იჩენს (იგულისხმება, რომ პოტენციურად მუდამ არსებობს!) ისეთი უცნაური ნიშნები და არაორდინარული მოვლენები, რომელთა ახსნა, გაგება და კვალიფიკაცია ლოგიკის ენაზე, კონვენციურობის ფარგლებში, შეუძლებელია.

ზეპური საგვარეულოს წევრთა საწუთროული ყოფის ეს მხარე თუ წახნაგი პირდაპირ კავშირს ავლენს ჩვენი ფოლკლორული შემოქმედებიდან კარგად ნაცნობ ნაწილიანობის, ღვთისნასახობის, ღვთაებასთან წილნაყარობის მოტივთან.

ის, რაც რეალისტური თვალთახედვისთვის ზღაპრისა და ფანტაზიის სფეროა, სულ სხვა აზრსა და განზომილებას იძენს ნაწილიან გმირებთან მიმართებაში.

ნაწილიანი, ღვთიურ საწყისთან წილდებული, სხვაგვარ ეტლზე ნაშობი პერსონა საგრძნობლად სხვაობს მისივე გვარ-მოდგმისა თუ ოჯახის წევრებისაგან. ეს სხვაობა, უწინარეს ყოვლისა, მისი ბედის მკვეთრსა და მკაფიო უჩვეულობაში ვლინდება. მსგავსი კატეგორიის ადამიანი, რომელიც შესაძლოა სახელოვანი სათემო თუ სატომო გმირიც იყოს და სოფლის რიგითი, ჩვეულებრივი მოსახლეც, საკუთარ თავში იტევს და იუნჯებს ისეთ მადლს, რაც პირადად მისთვის მაინცდამაინც სახარბიელო, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი არაა. ის ზვარაკია, ასე ვთქვათ, ბრალუქონელი ტარიგია, რომლის ცხოვრების გზა ბედითი სიმოკლისა და ტრაგიკულობის შეუქცევადი იერითაა დაღდასმული.

ღმერთკაცის უნივერსალური კონცეფციის ეროვნულ ნაირსახეობად გასააზრებელი ფოლკლორული ფენომენი, ცნობილი „ნაწილიანობის" სახელწოდებით, დადასტურებული საქართველოს ამერ-იმერში, განსაკუთრებული სიცხადით კი

აღმოსავლეთის მთიანეთში, იმ ტიპისა და სიძველის რწმენითი პლასტების შემცველია, რომელთა მართებული კვალიფიკაციის გარეშე ძნელია სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ამ მართლაცდა უიშვიათესი, იდუმალების საფარველდებული მოვლენის ირგვლივ...

ნაწილიან პირთა შესახებ არსებული ძველი ზეპირსიტყვიერი ამბები და თანამედროვე თვითმხილველთაგან მოპოვებული ცნობები თუ გადმოცემები ერთხმად ცხადყოფენ მფარველ ღვთისშვილებთან მათ ბუნებაზიარობას. ლეგენდარული პროტაგონისტი თორღვა ძაგანი, რომელსაც ბეჭებზე ჯვრის, მზისა და მთვარის გამოსახულება „წერებულიყვა“, ხალხურ ლექსში გათანაბრებულია მთიელ მოყმეთა მოწყალე ლოკალურ ღვთაებასთან: „...შამოძუგძუგებს თორღვაი, რო ძუძაური ჯვარიო“ (შანიძე 1931: 16). ასეთი რამ ჩვეულებრივ ადამიანზე არ ითქმის; უნაწილო კაცის შედარება ჯვარ-ხატში მატერიალიზებულ უზენაეს ძალასთან მკრეხელობა იქნებოდა. ღმერთკაცობის გზაზე შემდგარი გმირის მიმართ (სხვა საქმეა, ამართლებს თუ არა ის თავის მოწოდებას და საგანგებო მისიას!) დასაშვები და სავსებით ბუნებრივი ჩანს აღმატებული ეპითეტისა თუ მხატვრული შედარების მომარჯვება და გამოყენება. ის ხალხის თვალში არაამქვეყნიური თვისებების მქონეა და ამიტომაც არ იგრძნობა უხერხულობა, როცა ტრანსცენდენტური ძალების რიგსა თუ რანგში მოიხსენიებენ...

საბედისწერო საწყისგარეული ღვთიური მადლი დაბადებით დაჰყვება ადამიანს, რაც თავის თვალხილულ გამოხატულებას მისი ზედატანის რომელიმე ნაწილზე (ბეჭები, მკერდი, ყელ-კისერი, თავი, მხარ-მკლავი...) დაჩნეულ მრავლისმეტყველ სიმბოლიკაში ჰპოვებს. ამ კუთხით თუ შევხედავთ, განსხვავებული სურათი გამოიკვეთება ფარნავაზის სიზმარში: ჭაბუკი, როგორც ჩანს, შობითგანვე არაა ნაზიარები ღვთიურ მადლსა და ნათელს. იგი გარედან, პირადი ქმედების მეშვეობით ღებულობს ამ მადლს: პირზე მზის ცვარს იცხებს და, უნდა ვიფიქროთ, იმ წამიდან მისი ბუნება რადიკალურად იცვლება – მიწის ზედაპირიდან სიწმინდის მწვერვალისკენ მიმავალ აღმართს შეუყვება. ფარნავაზის გარდაქმნა დ̀ ფერისცვალება გარეგანი აქტის გზით ხდება. ის ცხებულია და, საბედნიეროდ, არსებობს საიმისო პერსპექტივა, რომ შთამომავლობას ფასდაუდებელ მემკვი-

დრეობად გადასცეს თავისი ეს ცხებულობა ანუ მზისზიაროზა.

ცხებულია დავით აღმაშენებელი, ღვთის მორწმუნე და სწორუპოვარი მეომარი, ობოლ-ქვრივთა მეოხი, „სნეულთა თვითმსახური" და დღემუდამ ქვეყნის გაძლიერებაზე მოფიქრალი, ქართველთა საამაყო და გამორჩეულად საყვარელი მეფე. დავითის შესახებ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე ამბობს: „ყოვლითურთ ემსგავსა ძირსა კეთილსა დავითიანსა, ხესა ღმრთივ დანერგულსა და ცხებულიანსა"...

დავით აღმაშენებლის მეფობის ჟამს „იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად". მის შესახებ შემონახულ საისტორიო წყაროებს ემხრობა, ავსებს და ახალი წახნაგებით ამდიდრებს ხალხური სიტყვიერება, სადაც აქცენტი ქვეყნის მხსნელად მოვლენილი მეფის ზეადამიანურ ბუნებასა და მონაცემებზეა დასმული. დავითს აქვს შემძლეობა და უნარი, მიწრიელი არსება ადამიანის მსახურ შინაურ ცხოველად აქციოს, ანუ, ფართო გაგებით, ბოროტება სიკეთით შეცვალოს. ამ თემას ეხება ლეგენდა, რომლის მიხედვით მავნე ეშმაკს უწყინარ ჯორად გარდაქმნის ბაგრატიონთა გვარის უღირსეულესი გვირგვინოსანი...

გამუდმებით ომში მყოფი მეფის სხეული მტრისგან ნასროლ შუბსა თუ ისარს არ იკარებს. ხდება სასწაული და ლაშქრის წინამძღოლი უვნებლად გამოდის საორბედო ბრძოლიდან... დაახლოებით ასეთივეა ნაწილიანთა ხვედრი: იმ წუთამდე, სადამდეც ისინი მალულად, უცხო თვალისგან დაფარულად ფლობენ ღვთის ნაწილს, უძლეველნი არიან. საკმარისია მტრული ძალების მხედველობის არეში მოხვდეს მათ სხეულზე „დაწერილი" ნიშანი მზისა თუ მთვარისა, რომ ისინი მალემოწყვლად რიგით მოკვდავებად იქცნენ და მარცხით დაასრულონ თავიანთი საწუთროული არსებობა... ამ მოტივის მატარებელი ამბის კლასიკური მაგალითია თავგადასავალი და დასანანად პროზაული, არარომანტიკული აღსასრული თორღვა ძაგანისა, ვინც, ფოლკლორული გადმოცემების თანახმად, რომელიღაც ბატონიშვილის (ასახელებენ: ალექსანდრეს, ლევანს, გიორგის, ერეკლე I-ს, კონსტანტინეს) უკანონო შვილი ყოფილა.

დავით აღმაშენებლის უჩვეულო თვისებებზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას სიმართლის ერთგული მემატიანეც: კერძოდ, ის ხაზგასმით საუბრობს მეფის გულთამხილა-

ვობაზე, მის სიახლოვეს თუ შორსმყოფ ადამიანთა ფიქრების ამომცნობლობაზე, სხვათა ზრახვების მიხვედრისა და ამოკითხვის შემძლეობაზე... დავითის შესახებ მისი ისტორიკოსი აღნიშნავს: „...არარა შორიელ არცა სამეფოთა მისთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული, – არარა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ ეთქუის, ყოველნივე ცხად იყო წინაშე მისსა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 354).

ღვთისშვილთა მოძმეობა თუ ქრისტე ღმერთთან გენეტიკური, არსისმიერი სიახლოვე (ბაგრატიონების პირველმამა დავით წინასწარმეტყველი ხომ ხორციელი წინაპარი იყო იესო ქრისტესი) ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო ჯაჭვის ურღვევი სიმტკიცის, მათი სამეფო ხელისუფლების მრავალჟამიერობის, გამძლეობისა და საიმედოობის თავისებური გამოხატულებაა და, ამასთან, მისი მოურევლობისა და დაუმარცხებლობის იმანენტური ნიშანი....

და მაინც: ბაგრატიონთა მოდგმის სახელოვან ხელისუფალთაგან ალბათ არავის მშობელი ხალხის იმზომი ხოტბა, რიდი, კრძალვა, სიყვარული და განდიდება არ ხვდომია წილად, რამდენიც „გვირგვინს ყოველთა ხელმწიფეთა“, „ელვარებას და მზეებრ მაშუქებელს სხვათას“, „შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებულ“ თამარ მეფეს...

„ჩვენი ხალხის ცნობიერებაში თამარი ჩაიწერა, როგორც ზეადამიანური პიროვნება“ (მეტრეველი 1991: 334).

მესიანისტურმა იდეამ შეუზღუდავი გაშლა, განვრცობა და ხორცშესხმა ჰპოვა თამარ-ქალის ამაღლებულ პიროვნებასთან მიმართებაში. ამ იდეის უთვალსაჩინოესი და უპრეცედენტო გამოვლინებაა თამარის შერაცხვა ქრისტიანული სამების – მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, სულიწმიდა – მეოთხე წევრად. მსგავსი რამ ქრისტიანობის ისტორიას არ ახსოვს. გამორჩეული გვარის რჩეული წევრი ღვთისმშობელთან არის გატოლებული საისტორიო ცნობებსა და მეხოტბეთა შემოქმედებაში...

სწორია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ „თამარი რუსთველისათვის იყო ღვთის მიწიერი ინკარნაცია“ (გამსახურდია 1991: 101). „ვეფხისტყაოსანი“ ხომ თამარის უშრეტი შთაგონების ძალით არის შექმნილი!..

შავთელის „აბდულმესიანის“ და ჩახრუხაძის „თამარიანის“, სახოტბო პოეზიის ამ ორი უბადლო ნიმუშის, თითოეული სიტყვა და სტრიქონი გვირგვინოსანი ქალის უსაზომო პატივისცემით არის გამთბარი და გაჯერებული. „მეფის გაღმერთება ანდა სამების მეოთხე ჰიპოსტასად დასახვა მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიასთან არის დაკავშირებული“ (კარბელაშვილი 1999: 98)... სხვა დინასტიებს ასეთი პატივისა და უმაღლესი აღიარებისთვის არ მიუღწევიათ. ის, რაც ბაგრატიონებმა შეძლეს, სხვათათვის მიუწვდომელი დარჩა...

თამარის სახელთან დაკავშირებულ სიმღერებსა და თქმულებებს ძველისძველად თელიდა ვახტანგ კოტეტიშვილი და მიუთითებდა, რომ „ამ თქმულებათა თამარი ზღაპრული არსება არის, რომელიც ბევრად ადრე შექმნილა, ვიდრე ისტორიული და სწორედ ეს პირველი სახეობა არის საძიებელი“ (კოტეტიშვილი 1961: 376).

მკვლევარი თამარის ადრინდელ სახეს, მის წარმართულ წინამორბედს ნაყოფიერების ქალღმერთში ხედავდა, ქალღმერთში, „რომელიც ქრისტიანულმა ღვთისმშობელმა დაჰფარა“ და, რომელშიც, ვ. კოტეტიშვილის ფრთხილი ვარაუდით, „შერეული იყო სინათლის (მზის) ღვთაების ელემენტებიც“; ვარაუდის სფეროს კიდევ უფრო აფართოებდა მეცნიერი და საკითხის აღძვრის განზრახვით ამბობდა: „შესაძლებელია, რომ ხახმატის ჯვრის წმ. გიორგის დობილი თამარ-ქალი იყვეს ისტორიული თამარ მეფის წინამორბედი“ (კოტეტიშვილი 1961: 378).

თამარის დასახვამ ღმრთისმშობლად, იესოს დედასთან მისმა გათანაბრებამ და გაიგივებამ თავი იჩინა უბინოდ ჩასახვის ქრისტიანული მოტივის ოსტატურ ვარირებაში, რაც ფხიზელი მემატიანის მხატვრულ წარმოსახვაში სინამდვილის უტყუარობიდან იღებდა დასაბამს და ამ მოვლენის სრულ სიმართლეში იოტისოდენი ეჭვის შეტანაც კი სათაყვანებელი პიროვნების შეურაცხყოფად იქნებოდა გაგებული და შეფასებული.

ლაშა გიორგის შობას ამგვარად წარმოსახავს მემატიანე: „მიუდგა თამარი განწმედილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთისა“ (ქართლის ცხოვრება 1959: 56).

განსხვავებულია ხალხური ვერსია, რომლის თანახმად, სტეფანწმინდის გამოქვაბულში დაყუდებული ბერი ერთ საღამოს თამარს ეწვევა, დალოცავს, ჯვარს გადასახავს და თანაც ეტრატს მიართმევს, სადაც დიდებულთა გადაწყვეტილება წერია. მეფე ამოიკითხავს ფსალმუნის სიტყვებს ნაყოფიერი და ბერწი ხის შესახებ და დაორსულდება. მეცხრე თვის თავზე ეყოლება ვაჟი, „დაბადებითვე მსგავსი ბრწყინვალე ვარსკვლავისა" (ხალხური სიბრძნე 1964: 98-99).

და რა გასაკვირია, ასეთი ბუნებისა და ბიოგრაფიის მქონე ქვეყნის ხელისუფალის სხივმოსილ სახელს რეალური საზრისით დასაშვები თუ პირწმინდად სასწაულებრივი მოტივების მთელი კასკადი დაკავშირებოდა, შენივთებოდა და ჩაჰქსოვებოდა, თანაც ისე ორგანიულად, რომ გაძნელებულიყო გარჩევა და გამოცალკევება ნამდვილისა და ნაყალბევისა, მომხდარისა და ფანტაზიით შეზავებულისა.

„თამარის ღვთისსწორობის პოლიტიკური თეორია" (მ. კარბელაშვილი) ქვეყნის საარსებო იმპულსებიდან მომდინარეობდა. ამ თეორიის გაღრმავება საერთაშორისო არენაზე საქართველოს პრესტიჟის ზრდას უწყობდა ხელს. ამიტომ იჩენდნენ სამანდაუდებელ გულუხვობას თამარის სახელის განდიდების კეთილშობილურ საქმეში ისტორიკოსები, მეხოტბეები, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები; ამის გამო იქმნებოდა თამარის შესახებ მითიური ელემენტებით ჭარბად მოოჭვილი დაუჯერებელი ამბები, ტიპოლოგიურად ზღაპრულ ეპოსთან ახლომდგომი ფოლკლორული სიუჟეტები, ხალასი ხალხური ლექსები და ლეგენდები...

შორსმიმავალი ხალხური რწმენისა და მდგრადი, განუხრელი შეხედულების თვალსაჩინო დემონსტრირებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ლაშქრობისას შესასრულებელ ერთ საფერხულო სიმღერაში „ღმერთთან წილდებულად" იხსენიება თამარი (სიხარულიძე 1949: 203).

ანალოგიური პასაჟია მოცემული ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის" მეათე თავში, სადაც ფხოველთა გაერთიანებული ლაშქარი ბახტრიონის გასათავისუფლებლად წასვლის წინა ღამეს თავლაშარის ჯვართან ერთად ადიდებს „ღმერთთან წილნაყარ„ დიდ თამარს.

ღმერთთან თუ მის მიწიერ, მატერიალურ საბრძანისებში

დავანებულ დარგობრივ ღვთაებებთან წილნაყარობა, უნივერსალური ფოლკლორული კონცეფციით, გმირის დაცულობისა და უკვდავების საწინდარია (გავიხსენოთ: „ზოგთა თქვეს: მაგას ვერ მავხკლავთ, ხატებთან წილნაყარია„). ისტორიკოსის თქმით, მეფე – ქალს დაულეველ მტერთან უთანაბრო ბრძოლებში „ხელი საუფლო და მკლავი მაღალი„ შეეწეოდა, რაც მის უეჭველ გამარჯვებას და „წინააღმდგომთა მისთა" დამხობას, გაცამტვერებას, მიწასთან გასწორებას მოასწავებდა.

უცაბედ განსაცდელში ჩავარდნილსა თუ საომრად მიმავალ ნაწილიან გმირებს, მსგავსად თამარისა და ბაგრატიონთა მოდგმის სხვა მეფეებისა, თან სდევს ღვთის წყალობა, რაც წინწამძღვარებული ნათლის მისტიურ სიმბოლიკაში არის რეალიზებული. ბესარიონ გაბურის ხევსურულ მასალებში ეკითხულობთ: „მამუკა ქალუნდაურ ნაწილიან ყოფილას; როსაც სალაშქროდ სად გეემართებოდ, წინ მასკვლავივით თუ გაუძღვებოდ სვეტი ანუ შუქი" (გაბური 1923: 159).

სინათლის კვალზე შემდგარი გმირი გამბედავია და გულდამშვიდებული, მას მფარველი „ბატონის" თანადგომის იმედი აქვს და არანაირ სიძნელეს არ უფრთხის, მაგრამ საკმარისია დატოვოს იგი „ნაწილმა", იგივე დავლათმა, რომ კაცთათვის საკვირველი მონაცემებისგან დაიცალოს, განიძარცვოს და, „მაღლიდამ" დაბლა ჩამოსული ვაჟას გველის-მჭამელის დარად, თემის რიგით, ორდინარულ წევრად იქცეს...

თამარ მეფის კოლოსალური ღვაწლი და დამსახურება მშობელი ქვეყნის წინაშე მარტოდენ მისი გამაგრებისა და გადარჩენისთვის გადახდილი ფიცხელი ომებითა და ეკლესია-მონასტრებისა თუ ციხე-სიმაგრეების მშენებლობით როდი ამოიწურება. თამარს, ერთი ქართული თქმულებით, დატყვევებული ჰყავდა ცისკარი ანუ შუქურვარსკვლავი, ვინაიდან ჩვენთან მისი ძალით მოდიოდა ზამთარი. თამარის უნებართვოდ ცისკარი მოკლებული იყო თავისი ფუნქციის (ზამთრის მოყვანა) შესრულებას და ღვთის წყალობით საქართველოში მარადიული გაზაფხული იდგა, ბუნება მწვანედ ხასხასებდა და იშვებდა ყოველი სულდგმული... ლეგენდები იმასაც გვეუბნებიან, რომ თამარმა ფრთამოტეხილ ნეროს უწამლა, მოარჩინა და წყეული რაშად გაიხადა... ხოლო მიუვალ ადგილებში საკულტო დანიშნულების ძეგლთა მშენებლობის დროს

მისი უანგარო დამხმარეები იყვნენ მერცხლები და წეროები, რომელთაც ნისკარტით ქვა და ქვიშა მიჰქონდათ...

სინამდვილის უტრირება, ემპირიული მოვლენების შელამაზება, ამბის გაფერადება, ყოფითობის სფეროდან ირეალურ სამყაროში გასვლა და წარმოსახვის უნაპირობა ხალხური სიტყვიერების ბუნებითი მახასიათებლებია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, თამარ მეფის შემთხვევაში პირობითობის ყოველგვარი ზღვარი ირღვევა, იშლება და ღვთაებათა რანგში წარმოდგენილ სახელმწიფოს წინამძღოლს მიეწერება ისეთი ზე-უნარი თუ განსაცვიფრებელი პიროვნული თვისებები, რომელთა მიღმა ცათა სასუფეველისა და წმინდა ძალთა იერარქიის გარდა ვეღარაფერს მოიაზრებს მოკვდავის გონება.

ალბათ მსგავს ვითარებასაც გულისხმობდა ვაჟა-ფშაველა, როცა თეკლა-ბიჭისადმი მიძღვნილ წერილში – „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი" – ამბობდა: „მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნების და ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს" (ქართული მჭევრმეტყველება 1958: 370).

თამარ მეფის საფლავის გაუჩინარება და გასაიდუმლოებაც ნიშანდობლივი მოვლენაა. ხალხური თქმულების თანახმად, ციდან ჩამოსულმა ანგელოზებმა ოქროს აკვანი ჩამოიტანეს, შიგ ჩააწვინეს გარდაცვლილი დედოფალი, ზეცას გაფრინდნენ და პირისაგან მიწისა წაშალეს მისი ასავალ-დასავალი... ნალახი საწუთროს ცოდვებისგან თავდახსნილი და განრიდებული უსხეულო არსება წმინდა სამებას მიემატა, ვითარცა ჯუფთი და ღირსი მასთან სამუდამო შერთვისა...

თამარის უმნიშვნელოვანეს საქვეყნო საქმეთა ხმიერი ექო საუკუნეთა შორეთიდან ჩვენამდე აღწევს. ხოლო მისი აღსასრულის შემდგომ ხანას ასე ხატავს მემატიანე: „...თამარის შესხმათა დასწერდეს ბეჭედთა ზედა და დანათა და არგანთა შეამკობდეს... ყრმანი მემრონლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან. ერაყს მყოფნი მეებნენი, გინა მეჩანგენი, თამარის შესხმითა მუსიკელობდიან" (ქართლის ცხოვრება 1959: 146)...

ღვთით ხელდასხმულ ნაწილიან გმირებს მტრის ტყვია არ ეკარებათ; უკვე ითქვა, რომ მათი სხეული შეუვალია მოწი-

ნააღმდეგის ხმლისა თუ ისრისთვის. ნაწილიანთა არც მოხელთებაა იოლი და არც განგმირვა. ისინი გარკვეულ დრომდე, განსაზღვრულ ვადამდე მსასოებელ ღვთაებათა მუდმივი მადლისა და მხედველობის ქვეშ იმყოფებიან. აქვთ წინასწარმეტყველების, მოსალოდნელ მოვლენათა წინდაწინ ამოცნობის უცნაური უნარი და მარჯვედ აღწევენ თავს აშკარა, მოულოდნელ განსაცდელს... ყველა ამ ნიშნით ეტლიან-დავლათიან სახალხო გმირებთან ხელშესახებ მსგავსებას ავლენს ერეკლე მეფის ვაჟი, გონებაგამჭრიახი პოლიტიკოსი და განსწავლული პიროვნება, სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირი, ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფიგურა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ალექსანდრე ბატონიშვილი.

როგორც ჯონდო ბარდაველიძე აღნიშნავს, „ალექსანდრეზე ლეგენდები დადიოდა. თითქოს მას ჰყავდა მფრინავი რაში, რომელიც თვალის დახამხამებაში გადაევლებოდა კავკასიის მთებს, გადალახავდა ზღვებსა და ბობოქარ მდინარეებს, უმკლავდებოდა ბუნების ყველაზე სასტიკ სტიქიას. ეს ლეგენდა შეიქმნა იმიტომ, რომ ალექსანდრე მოუხელთებელი აღმოჩნდა ცარიზმის დაქირავებული აგენტებისათვის" (ბარდაველიძე 1998: 33-34).

და აი, ასპარეზზე ჩნდება თორღვა ძაგანი, დიდგვაროვანის ნაშიერი, ბაგრატიონთა ჯიშის კაცი, ხალხურ გადმოცემათა მეტი წილის მოწმობით, ალექსანდრე ბატონიშვილის ბუში *, ვინც, სავარაუდო მამის მსგავსად, „ბევრჯელ ყოფილ ბრძოლაში, მაგრ სუ საღ გამოდენილ" (თუშური ჩანაწერები 1995: 129). თორღვა თითქოსდა ღვთით არის მოვლენილი და აღძრული რაღაც საგანგებო ამსოფლიური მოვალეობის აღსასრულებლად, მაგრამ დგება საბედისწერო ჟამი მის ჰეროიკულ ცხოვრებაში და შვიდ წელს ნაავადარი ფშაველი ჩოთას (ვარ.: ჩოთეშა, ჩონთა, ჩოთლა) მჭვარტლიანი ისრით მოეღება ბოლო ურჩი მოყმის გაამპარტავნებულ, თავმეტ, გაბუდაყების გამოვლინებებით აჭრილსა და აჭრელებულ სიცოცხლეს...

---

* დავით გოგოჭური საერთოდ უარყოფს თორღვას ბაგრატიონობის შესაძლებლობას და სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ „თორღვა ძაგან გვარი 1247 წელს დაღუპული პანკისის ერისთავის თორღულ (თორღუ) ძაგანისძის შვილი იყო" (გოგოჭური 1977: 96).

თორღვას ბეჭებზე დაჩნეული ხილული პიკტოგრამული ნიშნები – ჯვარი, მზე და მთვარე – მისი საგვარეულო დიდებულების უტყუარი „დოკუმენტებია". ის, როგორც დიდგვაროვანთა ჩამომავალი, გარეგნობითაც სხვაობს თვისტომთაგან და საომარი საჭურველითაც. ძაგანი არ იშორებს ძმობილის (ერთი გადმოცემით, ვეშაპის) ნაჩუქარ მცურავ ჯაჭვის პერანგს, რომელიც მისი უსაფრთხოების გარანტია... თორღვას გენეტიკური კავშირი ბაგრატიონთა საგვარეულოსთან ყრუდ და არასრულყოფილად ჩანს ხალხურ მასალებში. „გიზავე-დ ვერ დაგიზავე, – ბაგრატიონთა ხარიო", – მიმართავს მას მკვლელი ჩოთა, ხოლო სხვა ლექსი ამგვარად იწყება: „თორღვავ, გიბარებს ბატონი: „აქ ჩამეედი, ბარადა!.."

მემკვიდრეობითობის საჩინო, მძიმე და, ამასთან,საპატიო ტვირთის ბოლომდე ღირსეულად ზიდვა თორღვამ ვერ შეძლო.

საკუთარი უძლეველობის რწმენამ ის, თანამედროვე ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, დაუსჯელობის სინდრომით დაასნებოვნა და ხალხის მტარვალად აქცია. ბეგარის დაწესება და თანდათანობითი დამძიმება ის მძლავრი და ეფექტური ფაქტორი აღმოჩნდა, რამაც მთიელთა მოთმინების ფიალა პირთამდე აავსო და შეურაცხმყოფელი მოთხოვნების („თითო ტარიგი ცხვარი", ნაცრიანი ტომრები და „ლაღის არწივის მხარი") პასუხად წვერმოშხამული ისარი იწვნია სასწაულმოქმედი ჯაჭვის პერანგისგან ბედითად მიტოვებულმა და თავდაცვის უნარს მოკლებულმა გმირმა. საღმრთო სამოციქულოს ენით რომ ვთქვათ, „ბნელსა ცოდვისასა ზიარი ღმრთისა ზიარებისაგან უცხო იქმნა" (სამოციქულო განმარტება 2000: 425).

არათუ წლებისა და ათწლეულების, დაბეჯითებით იმ საუკუნის დასახელებაც არ ხერხდება, როცა თორღვა ძაგანს მოუხდა შფოთიანი და დაუდეგარი ცხოვრება. ძნელია დანამდვილებით თქმა, მართლა XIII საუკუნის გმირია, როგორც ამას დ.გოგოჭური აღნიშნავს, თუ ალ. ბატონიშვილის უკანონო შვილი, ე.ი. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიული პიროვნება...

ასეა თუ ისე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მეხსიერებაში თორღვა ძაგანი ისეა ჩაბეჭდილი, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულო ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი და ცხოველი ცნობისწადილის აღმძვრელი პერსონა, თავისი ბურუსოვანი ბიოგრაფიითა და მითიური გმირებისთვის შესაფერისი თავგადასავლით...

ამავე ჯაჭვის საუკუნეთა გამძლე კოლორიტულ რგოლად იკვეთება ხალხურ შემოქმედებაში უმრუმო სახე და ვაჟკაცური ხასიათი ერეკლე მეფისა.

„ხმელეთის ბადალი"ერეკლე ბატონი ქართული საისტორიო სიტყვიერების ერთ-ერთი ცენტრალური, შუაგულური ფიგურაა. რეალურ ისტორიულ პიროვნებას ლეგენდარული იერი თავისმა სიბრძნემ, სიდარბაისლემ და ქველ საქმეთა სიმრავლემ შესძინა...

სანამ სახელმწიფოს თავკაცი და ხელისუფალი თავს გამოიჩენდეს, განსაცდელში გამოიცდებოდეს, სახელს მოიხვეჭდეს და ხალხის ნდობასა და უსაზღაურო სიყვარულს მოიმკიდეს, მან გრძელი, დამქანცველი და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი გზა უნდა გაიაროს, გზა, რომელიც ალაგ-ალაგ სამშობლოსთვის ალალად გაღებული სისხლის მეწამული წვეთებით და ხანგამოშვებით დადენილი სინანულის ცრემლებით იქნება მონამული...

ერეკლე ბატონიშვილის ცხოვრების დასაწყისი იმით იყო გამორჩეული და არაყოველდღიური, რომ უცნობი მიზეზით მიუსაფრობაში მიტოვებულ ახალშობილს ირემმა აწოვა ძუძუ და საჩალეში დაკარგული მონადირემ იპოვა. „ბატონიშვილს ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია", – გვეუბნება ხალხური ლექსი და ღიად მიგვანიშნებს მისი ყოფა-ცხოვრების ფანტასტიკურ სათავეზე, გამჩენისაგან „დაწერილ" სხვარიგ ბედზე...ეს ნაცნობი სქემა და ნაცადი მოდელია, გნებავთ – ძველთუძველესი რწმენითი პლასტის შემცველი მითოსური პარადიგმა... ხსენებული ლექსის გამო ვ. კოტეტიშვილი შენიშნავს, რომ „სადღაც, ხალხის მეხსიერების სამარაგო ფონდში, ფორმულა მზად იყო"... ეს ფორმულა, ბევრად უწინ გუარამის სიყრმის, ხოლო შემდგომ ლაშა გიორგის ჩვილობის პერიოდს მორგებული და მისადაგებული, უმტკივნეულოდ იქნა მომარჯვებული ერეკლე II-ის ცხოვრებისეული გზის დასაბამის უჩვეულობის საჩვენებლად.

ხალხური ლექსის აქცენტირებული ფრაგმენტის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „ერეკლე ნაპოვნია, როგორც ანდრეზული პატრონი საყმოებისა, მაგრამ მას თავად ჰყავს მოპოვებული საყმო, ის თავად ქმნის თავის საპატრონებელ საყმოს, რაც რეალური ისტორიული ფაქტით არის გაპირობებული" (კიკნაძე 1996: 263).

ცნობილია, რომ ირემი ღვთის წმინდა, ტაბუდადებული ცხო-

ველია, რომელიც ჩვენს ზღაპრულ ეპოსში სკნელთა შორის მედიუმის როლსაც ასრულებს (ზღაპარში „ქალქვა" ირემი თავისი უზარმაზარი რქებით გახიდულა ცასა და დედამიწას შორის...). რადგან ასეა, ბუნებრივია, რომ მისი რძით დანაყრებული, წამოზრდილი და მოღონიერებული ბავშვი, მსგავსად ფარნავაზისა, ღვთიურ მადლსაა ნაზიარები... თქმულება იმასაც გვაუწყებს, რომ მას აქეთ ბაგრატიონები ირმის ხორცს არ ჭამენო*.

ირმის ძუძუნაწოვი, ალგეთის წყალნასვამი და თრიალეთზე ნაძოვი ერეკლე ისეთი მეომარი დადგა, მემატიანის სიტყვით, „რასაც საქმეს იქმოდა, ფალავანის შესადარისი იქნებოდა". ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ანუ „ჰასაკით მცირემ" თავისი სიმამაცით განაცვიფრა მხილველნი აჩაბეთის ციხესთან მომხდარ ომში ურუმთა წინააღმდეგ.

პატარა კახს ხალხურ პოეზიასა და გადმოცემებში ჰყავს თავისი ორეულები ნაწილიანთა სახით, ვინაიდან თვითონაც „ას ღთისგან დავლათიანი" (ქართული ხალხური პოეზია 1984: 44). ნაწილიან გმირებთან ერეკლე ბატონიშვილს სხვა მხრივაც აქვს საერთო: ისევე, როგორც თორღვა ძაგანს, მასაც მცურავი ჯაჭვი სცმია. კრწანისის ბრძოლის პერიპეტიებზე საუბარს ბეს. გაბური დასძენს: „...ცხენს ველარ გაუძლავ სიმძიმისად, შვიდ ფუთ ტყვია დაზდგომივ ერეკლეს ჯაჭვში (მცურავ ჯაჭვ-სცმივ)" – (გაბური 1923: 163).

ჩნდება აზრი: თუკი სწორი და მისაღებია ის ვერსია, რომელიც თორღვა ძაგანს ალექსანდრე ბატონიშვილის ნაბიჭვრად თვლის, ისიც დასაშვებად მიგვაჩნია, „ობლობით ამაზრდილ", ფიცხსა და გულად გმირს სწორედ თავისი სახელოვანი პაპის ძვირფასი საჭურველი – მცურავი ჯაჭვის პერანგი სცმოდა და ეტარებინა...

ერეკლე მეფეს გარემოცვაც საკუთარი ღირსებისა და მეფური დიდების შესაფერისი ჰყოლია. საისტორიო ცნობებით და საარქივო მასალებით, ერეკლე, გარდა ლაშარის ჯვარისა, გუდანის ჯვარის ნაძმობიც ყოფილა და როცა დიდ „ბატონს"

* ბაგრატიონთა გვარის ხელისუფალთა ცხოვრებაში ირმის რძე, როგორც შვებისა და სიკეთის მომტანი, გაცილებით ადრეც ფიგურირებს: თავის აღმზრდელ არსენთან იყალთოში ჩასულ დავით აღმაშენებელს ირმის რძეში მოზელილ თიხას დაადებენ გადატყავებულ მუხლზე (ნ. ჯავახიშვილი, ლეგენდა ლეგენდებში, გაზ. „სახალხო განათლება", 28.VI. 1989).

„პირად" ელაპარაკებოდა, მიწიდან ერთი ადლით მაღლა იწევდა... მოლაშქრე ღვთისშვილის, სამოგანძუროს საერთო სალოცავის მოძმეობა იმასაც ნიშნავდა, რომ ლევიტაციის იშვიათი უნარის მქონე გვირგვინოსანს ურყევი ნდობისა და ერთგულების იმედი ჰქონოდა გუდანის ჯვრის უნჯი საყმოსი. და რომ მართლაც ასე ყოფილა, ჩანს ხევსურეთიდან გამოსულ სხვა დროის გმირთა იმ დასახელებიდან, რომელნიც უწყვეტი მტრიანობის წლებში ხმალშემართულნი მდგარან მის გვერდით. ესენია: „საძელეს მეომარი" ხირჩლა ბაბურაული, „მთელი ხევსურეთის თავი" ხოშურაული, მოკლე ხმლის პატრონი ბერდია მამუკაური, „სამი თემობის კარი" ბერდიათ გაგა, „ვეფხვივით მეომარი", მარტოდმარტო შიბუს (ქისტეთისა და ხევსურეთის საზღვარზე) ყარაულად მყოფი ალუდაური...

ანაქრონიზმს გამართლება ეძებნება მთქმელთა სურვილში, საამაყო მეფის მხარდამხარ იგულვონ წინა საუკუნის სახელხმიანი გმირები...

ასპინძის ომში (1770 წ.), სადაც ერეკლემ დაღესტნის წარჩინებული კოხტა ბელადი მოკლა, მას თავგანწირულ თანამებრძოლად ახლდა საარაკო სიმამაცის ჩამდენი შვიდი ხევსური: სუმბატა ლოხაურის შვილი, სუმბატა გუგუაიშვილი, ჯამბათა ივანეური, ჯამშაისძე, ბიტურათ აბა, ღერენა და ლომნი გაგაის შვილი (შანიძე 1931: 361-362).

ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის, იესიან-დავითიან-სოლომონიანი ჩამომავლობის ცალკეულ წარმომადგენელთა ულუმპიანობის ხაზგასმის განზრახვით, როგორც საისტორიო მწერლობა, ასევე ხალხური სიტყვიერება, არაიშვიათად მიმართავს ნათლის სიმბოლიკას, ისეთი ტიპის ტროპიკას, რაც პირდაპირ, უქვეტექსტოდ მიანიშნებს შესხმისა თუ დახასიათების ობიექტთა კენტობას და კიდეგანობას სოფლის მრავალრიცხოვან მკვიდრთაგან. „მეფე ერეკლე, ქვეყნის ბატონი, კელაპტარი ხარ, ქვეყნისა მნათი..." ასეთი ლექსიკა, როგორც წესი, გეხვდება იქ, სადაც საუბარი მეფურ სიმაღლესა და დიდებულებას ეხება.

ზურაბ კიკნაძე მკითხველის ყურადღებას მიმართავს თეიმურაზ მეფის შესახებ ნათქვამ პოეტურ სიტყვებზე – „აიმ ადგილის ჭირიმე, სად თეიმურაზ ბზანდება: დაიცემს წითლის კარავსა, ზედ ოქროს სვეტი დადგება" – და შენიშნავს, რომ

„თეიმურაზს, როგორც ბაგრატიონ მეფეს და ღვთისშვილის მოძმეს, თან ახლავს ღვთისშვილთა ანუ ჯვართა, „ცით სვეტად ჩამოსულთა", ატრიბუტები" (კიკნაძე 1996: 258).

ერეკლე მეფის სამოქმედო არეალი, ხალხის თვალთახედვით, გარშემოუწერელი და მოუზღუდავია. ტერიტორიული საზღვრები და სიშორე პირობით შინაარსს იძენს მაშინ, როცა ფოლკლორული ტრადიციის ერთგულ მიმდევრებს სურთ ლექსის ადრესატის ყოვლისშემძლეობა წარმოაჩინონ. „ერეკლე ბატონიშვილი ნაურვალ ცხენზე მჯდარიყო, შამაუვლია ხმელეთი, მაშინ-ღა ჩამომხდარიყო" (ქართული ხალხური პოეზია 1984: 59).

სახელოვანი მეფე-გმირის ზეპიროვნული შესაძლებლობების ცხადსაყოფად მელექსე ბუნების სტიქიის დამანგრეველ მოქმედებასთან პოულობს პოეტურ პარალელს და ქმნის ხატს, რომელიც მძაფრ შთაბეჭდილებას ბადებს თავისი ენერგიული დინამიზმით: „ხმალი სჭრის ბაგრატივნისა მეფისა ერეკლისაო, სალეკო შამოამტვრია, ვით ზვავმა წვერი ტყისაო" (უმიკაშვილი 1937: 112).

ღვთიური მადლი, ხარიზმა, იგივე ნაწილი, ეტლი ან დავლათი მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე, ფართო გაგებით, წინამავლიდან – შთამომავალზე... ალბათ სხვაგვარად არც აიხსნება ბაგრატიონთა საგვარეულოზე ღვთით გადმოსული არაამქვეყნიური მადლის უშრეტობა, მისი ეტლიან-დავლათიანობის უწყვეტობა, განგებისგან კეთილად გამორჩეული გენის უბერებლობა... სარუსეთოდ გამგზავრებულ ლევან ბატონიშვილზე, ერეკლე მეფის მემკვიდრეზე, ხალხურ ლექსში ნათქვამია: „...ხემწიფის კარზე მივიდა, ეტლი თან მიხყვა ღვთისაო" (ქართული ხალხური პოეზია 1984: 62). შდრ.: „ომათა ნათელისძესა ეტლი თან ჩაჰყვა ღვთისაო" (სიხარულიძე 1949: 18).

ეტლის თანმყოლობა მოასწავებს იმას, რომ საომრად თუ სახელმწიფოებრივი საქმის მოსაგვარებლად საკუთარი სახლიდან შორს წასული გმირი უკან მშვიდობით შემობრუნდება. მას ეტლი ახლავს და იცავს ავი თვალისგან, მარცხისგან, მტრის რისხვისგან... ბაგრატიონთა კაცი დიპლომატიური მისიით მიდის „დიდ რუსთა" ხელმწიფის კარზე და რახან ეტლი მიჰყვება, ე.ი. ეული და ბედის ანაბარა მიტოვებული არაა, უსათუოდ უვნებელი ჩამოვა სამშობლოში.

ერეკლე მეფის სიკვდილი „რკინის კარის შეხსნად“ არის გაგებული და გააზრებული ხალხურ პოეზიაში, მაგრამ, მეორეს მხრივ, მისი არყოფნის დაჯერება იმედის გადაწურვისა და დაშრეტის ტოლფასია. ამიტომაც კითხულობს უცნობი მელექსე ერთგვარი უკმაყოფილების, გაკვირვებისა და წყევლა-მუქარის კილოთი: „ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა? გაუხმეს ენის ტარია!“ და იქვე, მომდევნო სტრიქონებში, კიდევ ერთხელ გაიჟღერებს ქვეყნიერების გამჩენ მაღალ ღმერთთან მისი წილნაყარობისა და სულიერ-სისხლისმიერი სიახლოვის მოტივი: „არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა, ძმა არის, განაყარია“ (ქართული ხალხური პოეზია 1984: 61).

ერეკლე ბატონიშვილს, მისი დიდი ღვაწლის სანაცვლოდ, საფერი მესიტყვე გამოუჩნდა სოლომონ ლიონიძის სახით. მისი მოთქმით ტირილი, გამოწვეული ნეტარების ღირსი მეფის გარდაცვალებით, ქართული მჭევრმეტყველების შესანიშნავი ნიმუშია. სოლომონის სიტყვით, ერეკლეს სახელი „ცის კალთებზე იწერებოდა“; „მზე და მთოვარე იმისს ბედნიერს ლაშქრობაში ხანდაზმულნი არიან“; ზეციერ ძალთა „საღმრთო სტუმრის“ საუკუნო სამყოფელში გადაადგილების გამო ლიონიძე დღის მნათობს შემდეგნაირად მიმართავს: „დაბნელდი მზევ, რომელსაც გაქვს მოსასწავებელი დაბნელებით ჭირისუფლობა, რომ მზე მიწიერი ღამიანის ქართლისა – მეფე ერეკლე – შენს ბრწყინვალებას ვეღარ ჰხედავს“ (ქართული მჭევრმეტყველება 1958: 244-245).

რწმენისა და წარმოსახვის ის რაკურსი, ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის ღირს ბინადართა ცხოვრებისეულ გზას, თავდაუზოგავ ღვწასა და მამულიშვილურ ღვაწლს რომ მიესადაგა მათით მადლიერი ერის გულსა და გონებაში, თავისთავად მეტყველებს მეორმოსვლის ქრისტიანული იდეის არადოგმატურობასა და მასშტაბურობაზე, ანუ იმაზე, რომ ეს იდეა არა მხოლოდ ღვთიური არსის, არამედ ხორციელთა ხელახალი გამოცხადების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს და ასეთი რამ მოხდება მაშინ, როცა ქვეყანას უკიდურესი შეჭირვების ჟამი დაუდგება; როცა სასოწარკვეთილ მოკვდავთ ღმერთის გვერდით ცოცხლად წარმოდგენილი მხსნელნი მოენატრებათ...

თამარ-მეფის უბიწოებისა და პატარა კახის მირონმდინარი ძვლების მადლით მოსილი, მათი მეორმოსვლის მომლოდინე საქართველო დღემდე სათუთად ინახავს ხსოვნას იმ რჩეული გვარის უსაჩინოესი წევრებისას, რომელნიც დასაბამითვე ფერუგლელი ღვთიური ინსიგნიებით აღიბეჭდნენ მის შეგნებაში, ხედვასა და მეხსიერებაში.

დამოწმებანი:

ბარამიძე 1992: ბარამიძე რ., ფარნავაზმან ძლიერ ჰყო ქუეყანა თვისი, თბ., 1992.

ბარდაველიძე 1998: ბარდაველიძე ჯ., ალექსანდრე ბატონიშვილი და გენერალი პაველ ციციანოვი ქართულ და რუსულ ფოლკლორში, ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.

ბაქრაძე 1988: ბაქრაძე აკ., დავიწყებული იდეა, წინასიტყვა წიგნისა „ქართული მწერლობა", ტ. V, თბ., 1988.

გაბური 1923; გაბური ბ., ჴევსურული მასალები, ა. შანიძის რედაქციით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I, ტფ. 1923.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ., ნერილები, ესსეები, თბ. 1991.

გოგოჭური 1977: გოგოჭური დ., ხევსურული საგმირო პოეზია და გმირები, თბ., 1977.

თუშური ჩანაწერები 1995: თუშური ჩანაწერები (ჩაწერილი 1942 წელს კოსტა აზიკურის მიერ), თბ., 1995.

კარბელაშვილი 1999: კარბელაშვილი მ., ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია, ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999.

კიკნაძე 1996: კიკნაძე ზ., ქართული მითოლოგია, ჯვარი და საყმო, ქუთაისი, 1996.

კოტეტიშვილი 1961: კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961.

მამისთვალიშვილი 1998: მამისთვალიშვილი ე., ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაღვთიურების საკითხისათვის, ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1998.

მეტრეველი 1991: მეტრეველი რ., მეფე თამარი, თბ., 1991.

სამოციქულო განმარტება 2000: სამოციქულო განმარტება, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2000.

სიგუა 2001: სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, თბ., 2001.

სიხარულიძე 1949: სიხარულიძე ქ., ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
სულავა 2002: სულავა ნ., XVII-XVIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია და პოლიტიკური იდეოლოგია, ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემები (ეძღვნება პროფ. ლევან მენაბდის დაბადებიდან 75-ე წლისთავს), თბ., 2002.
უმიკაშვილი 1937: უმიკაშვილი პ., ხალხური სიტყვიერება, ტფ., 1937.
ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
ქართლის ცხოვრება 1959: ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
ქართული მწერლობა 1990: ქართული მწერლობა, 8, თბ., 1990.
ქართული მჭევრმეტყველება 1958: ქართული მჭევრმეტყველება, თბ., 1958.
ქართული პროზა 1986: ქართული პროზა, XII, თბ., 1986.
ქართული ხალხური პოეზია 1984: ქართული ხალხური პოეზია, XI, თბ., 1984.
ქიქოძე 1985: ქიქოძე გ., წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ., 1985.
შანიძე 1931: შანიძე აკ., ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ. 1931.
ხალხური სიბრძნე 1964: ხალხური სიბრძნე, III, თბ., 1964.

„გვაქვს უთვალავი ფერითა...“

ქართული მხატვრული სიტყვის ნამლეკავი ძალა და ტევადობა, სიღრმე, სურნელი და ფერადოვნება არნახული სისავსითაა ასახული და რეალიზებული საუკუნეთა ტევრებში შექმნილ, დროთა განმავლობაში დაწმენდილ და დაძელგებულ, შეუდარებლად ხვავრიელ ხალხურ პოეზიაში, საერთოდ, სიბრძნის სუფთა სათავეებთან წილნაყარ უმდიდრეს ზეპირსიტყვიერებაში.

ცხოვრების თვითეული სფერო, ნებისმიერი მხარე, წიბო თუ წახნაგი საუცხოო სიცხადით არის არეკლილი მგრძნობიარე გულების გამოვლით ჩვენამდე მოსულ, წელთა სიშორიდან დღემდე მოღწეულ ზეპირ ტექსტებში, რომელთაც მოგვიანებით ჰპოვეს წერილობითი ფიქსაცია და, სხვასთან ერთად, თავისთავში შემოიკრიბეს გარესამყაროზე ადამიანის მიამიტურ შეხედულებათა მკაფიო, წარუშლელი ანაბეჭდები...

თუკი რამით შეგვიძლია ღირსეული სიამაყე და თავის მოწონება (რაც, არცთუ იშვიათად, შინზრდილი პატრიოტიზმის მდაბიური სულისკვეთების აშკარა ნიშნების მომცველი და მატარებელიაა!), ეს გახლავთ ანონიმ, უსახელო, უპრეტენზიო მელექსეთა მიერ ძალდაუტანებლად „ნათქვამი“, სევდისა და სიხარულის გამძლე ძაფებით ნაქსოვი ხალხური პოეზია.

ძნელია თქმა, საქართველოს რომელ კუთხესა თუ რეგიონში, სახელდობრ რომელ სოფელსა თუ ქალაქში აჩქამდა პირველი ხალასი, ცის ცრემლივით კამკამა, მართალი და გამჭვირვალე პოეტური პწკარი; ვისი, ბეჩავისა თუ დიდგვაროვნის, საწყალი კაცისა თუ მორჭმული პიროვნების, შინაგანი განცდა და სამყაროს სილამაზის ამაღლებული ხედვა იქცა წინაპირველი მხატვრული ტექსტის ბიძგად, სტიმულად, „საშენ“ მასალად...

ხალხური აზროვნების სიტყვიერი ნიმუში, ვიდრე წერილობით გაფორმდებოდა, ზეპირი სახით იბადებოდა, არსებობდა, იხვეწებოდა, ვარიანტებად ვრცელდებოდა და, ზოგ შემთხვევაში, შევსებას, შინაასობრივ გაფორმებას, გაშლა-განვითარებას განიცდიდა.

ეს იყო დღემუდამ მძიმე ფიზიკური შრომის უღელში შებმული ქართველი გლეხკაცის, მწყემსის, მგზავრის, მეომრის, გუთნისდედისა თუ „მთა-წვერთ მავალი“ მონადირის სულიერი მიმოქცევის, გულ-გონების ამწეწი ფიქრის, მისი „შინამოს“ გარეგანი მანიფესტაციის სავსებით ბუნებრივი, სპონტანური ფორმა...

თოვლიანი მწვერვალების კალთებზე ნაშობი სუსტი ნაკადულივით იწყებდა სიცოცხლეს ძარღვიანი ქართული სიტყვის პოეტური, საკომუნიკაციო ენისგან ცოტად თუ ბევრად განსხვავებული, მისგან „დანინაურებული“, კაცებრივი დარდით და სიმხნევით ნაკვები, ემოციით პირთამდე გაჭექილი, გალიცლიცებული ნაკადი და დროთა სვლასა და ცვალებადობაში თანდათან ხმამჭევრ, მქუხარე, ზავთიან მდინარეს ემსგავსებოდა...

მსახვრალი დროის მკაცრი კანონზომიერება უშეღავათო სისასტიკით უპირისპირდება და აჩანაგებს ადამიანთა სულებს; მანქანური ცივილიზაცია მანქურთებად ქცევით ემუქრება ოდესღაც ემპირიული სინამდვილის რომანტიკულ ფერებში მჭვრეტელ მოაზროვნე არსებებს; საყოველთაო გლობალური პროცესების კონტექსტი სასიკეთოს არაფერს ამბობს მცირე ერების მომავალზე... და თუკი რაიმეს ძალუძს ასობით და ათასობით გაქსუებული ჩვენი თანამემამულისგან უსამართლოდ ათვალწუნებული, წინდაუხედავად უკუგდებული და დასავიწყებლად გამეტებული, უაღრესად შნოიანი და შინაარსიანი წარსულის გამოხმობა, აღდგენა და გაცოცხლება, ძალუძს სწორედ უმრავალფეროვნესი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის მალი-მალ გახსენებას, ხელახლა „აღმოჩენას“, გაცნობასა და გათავისებას.

* * *

დაბადება და სიკვდილი – დაუდეგარი მდინარის ორი მხარე, ორი საპირისპირო ნაპირი...

დრო მიდის, წამს წამი ებმის და ემატება, წელიწადს წელიწადი მიჰყვება და ამ ორი ცნების, პოლარულად საწინააღმდეგო მოვლენათა ამსახველი ამ ორი სიტყვა-ტერმინის ფუნდამენტური აზრი და შინაარსი არ იცვლება.

შობასა და აღსასრულს (იგულისხმება ადამიანის ფიზიკური გაქრობა და არა გარდაცვალება ანუ სხვასახედ გარდაქმნა) შორის მოქცეული გზა ვისთვის გრძელი, მტანჯველი და დამღლელად უსასრულოა, ქვა-ღორღით ჩახერგილი და უსწორმასწორო, ვისთვის ორხაოდაფენილი, წინმსწრაფი და სიმღერით სავალი, ვისთვის კიდევ გულსაკლავად ვიწრო, მოკლე და საწუთროსეული სიმწარის წვეთებით მოწინწკლული...

„ახალწულის“, ახალი სულდგმულის ამ ქვეყნად მოვლინებას, ოჯახისთვის ახალი წევრის შემომატებას ენითუთქმელი

სიხარული, ხალისი და მომავლის დიდი იმედი მოჰქონდა. და რაკი სადაგი სასაუბრო ენა არ კმაროდა გულში დაგროვილი და დაგუბებული გრძნობების გადმოსაცემად, ძალაუნებურად ჩნდებოდა ლექსი და საგალობელი, სიმღერა და ჩუმი ღიღინი...

მზე შინა და მზე გარეთა, მზევ, შინ შემოდიო,
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია, მზევ, შინ შემოდიო...

ალ. ორბელიანის სიტყვით, „უწინდელ დროს, ჩვილი ყმაწვილი რომ დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქვათ ეს ლექსი ქალებს და ყმაწვილკაცებს".

არათუ ახლობლებს, სისხლისმიერ მოყვრებსა და ნათესავებს, ცის მნათობებსაც თავისთან იწვევდნენ, უხმობდნენ და სალხინო სუფრას ახვედრებდნენ ახალშობილის გულქართლი შინაურნი...

თენდებოდა მზიანი, დარიანი დილა.
სოფელი საველე სამუშაოებს ეშურებოდა...

„ადრე ამდგარი კურდღელი" მწევრის დაწევის წუხილს გადაიყრიდა გულიდან და თავისი უწყინარი არსებობით ლაზათს მატებდა ღვთის მადლით და წყალობით კიდევ უფრო დამშვენებულ, კუთხე-კუნჭულიანად განათებულ ქვეყნიერებას.

იბადებოდნენ შინ და შორს შინიდან, სრა-სასახლეების ბრწყინვალე დარბაზებში, მიწურებსა და „სამრელოებში", გზაში, სამკალსა და სათიბში...

დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამ დაუჯერებელია, მაგრამ ასეა!

რამდენ ცნობილ თუ უჩინში ყოფნას ჩვეულ ადამიანს გაუხელია თვალი ღია ცის ქვეშ, ღვართქაფსა და მეხთატეხაში, თოვლის ქათქათა ფიფქებით აბარბაცებულ სივრცესა და ცივ ქართა ქროლვაში...

ეე ნანო ქალასაო, სამკალ გაჩენილასაო,
მტრედებ უღუღუნებენო, ანგელოზებ ასწებენო...

ეს ხევსურული სააკვნო სიმღერაა, ჩაწერილი კომპოზიტორ შალვა მშველიძის მიერ, ს.ჭიაურში, ძილა არაბულისგან, „ნანების" ერთ-ერთი სანარჩევო ნიმუში, რომელშიც რეალური, შეუსხვაფერებელი ვითარებაა აღბეჭდილი. გოგონა სამკალში, „ექსტრემალურ" პირობებში გაჩნდა და, სიმღერის მთქმელის შეხედულებით, არაფერი უჩვეულო, მანამდე არგაგონილი და განსაკუთრებული აქ არ მომხდარა..

მეგრული სიტყვიერების ძვირფას საგანძურში სხვა ნიმუ-

შებზე ბევრით აღმატებული ბივრიტივით ელვარებს ერთი პატარა ლექსი, ადამიანის ცნობიერებისა და ხატოვანი აზროვნების ძველთუძველეს, „პრეისტორიულ“ საფეხურზე რომ მიანიშნებს და ხელშესახები ხატოვანებით განგვაცდევინებს მიკრო და მაკროკოსმოსის ჰარმონიულ თანაარსებობას:

მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი,
ბღუჯა-ბღუჯა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი...

აშკარაა მარილიანი ლექსების მთქმელთა მხატვრული წარმოსახვის განი და სივრცე, მათი ფანტაზიის უფსკერობა და უნაპირობა...

ჩნდება წამიერი ილუზია, რომ მდიდრული სასახლეების ბინადართა სოციალური სტატუსის შესატყვის სიტყვიერებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს ილუზია, როგორც წესი, მალევე მქრქალდება: საზეო და საზეპურო ლექსი თუ ჩვეულებრივი ნარატივი, მეტწილად, საზოგადოების იმ ფენებშია შექმნილი, შორიდან რომ შენატროდნენ მძლეთა ამა ქვეყნისათა ბედ-იღბალს და განსაცდელის ჟამს პირველნი ხვდებოდნენ ქვეყნის თავს მოვლენილ რისხვას და ჭირსახდელს...

ვაჟა-ფშაველას პოეზიისადმი მიძღვნილ ერთ საგაზეთო წერილში გრიგოლ კიკნაძე ბრძანებს: „...ვინც ვაჟას ნაწარმოებთ წაიკითხავს და გაიცნობს მის ბიოგრაფიას, გაოცდება, ასე როგორ ამაღლდა იგი საკუთარი ცხოვრების პირობებზე...“ უყოყმანოდ შეიძლება ამ სიტყვების გამეორება ხალხური პოეზიის ცნობილ თუ უცნობ შემქმნელთა მისამართით.

სარჩო-საბადებლის მოწევის მოსურნე ოფლით მიწას ნამავდე, აღების ღამეს ღვინის მაგივრად წყალს სვამდე, მჭადს მიირთმევდე და ისეთ შედევრებს ქმნიდე, როგორებიცაა, ვთქვათ – „ხოგაის მინდი“, „ქალი ხვარამზე“, „ლილე“, „რა ვქნისა ციხე ავაგე“, „ბეთქილ“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „შირაქის ველზე მივდივარ“, „ზენ ბაცალიგოს“, „ვეფხვი და მოყმე“ და სხვა მრავალი, – სნობთათვის, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია!

სამყაროს შექმნის, ქაოსის კოსმოსად ქცევის, ამქვეყნიური წესრიგის დამყარების პირველხანებს შეიძლება შევადაროთ ის ეპოქა, ჟამის ის უმცირესი მონაკვეთი („ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა“ – ვაჟა), როცა თბილ, მაწიერ მიწაში ჩაგდებული პურის მარცვალივით ღვივდებოდა და იშმუშნებოდა, ფერ-ხორცს ისხამდა, მუხლს იმაგრებდა და სამზეოზე

გამოსაჩენად ემზადებოდა ადამიანის გულისა და გონების საოცარი პირმშო – რიტმისა და მელოდიის ჩანასახოვან ყალიბში „ჩამჯდარ" ხალხური ლექსი...

მკვლევართა მიერ პოეტური ფოლკლორის უძველეს ნიმუშად არის მიღებული და აღიარებული რიტუალური შინაარსისა და დანიშნულების კანონიკური ტექსტები: ღვთისნაბადებთა სადიდებლები, ხუცობანი, ქადაგობანი, ფერხისულები, ნატირლები...

შემთხვევითი არაა, რომ დიმიტრი არაყიშვილი ზოგადქართული სიმღერის სათავეებს ხევსურულ სიმღერებში ეძებდა და აღნიშნავდა, რომ ქართული ლექსის უძველეს საზომზე გამართული არქაული ნიმუშები სწორედ მთამ შემოინახა; ხევსურული სიმღერების სიძველით განცვიფრებას ვერ მალავდა, ასევე, გრიგოლ ჩხიკვაძე, ხოლო ვახტანგ კოტეტიშვილი ამ საწესო სიმღერებს, მსგავსად „ჰომეროსის ჰიმნებისა", ძველთაძველ წარმართულ სახატო პრელუდიებად მიიჩნევდა...

უძველესია, აგრეთვე, სამეურნეო საქმიანობის სახეობებთან, წლის სამეურნეო ციკლთან ფუნქციურად დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი ნიმუშები: მთიბლური იქნება თუ სამკალი, საწყალზედო, საფეიქრო თუ კალოსპირული.

ასე რომ ლექსის თავდაპირველი, კომპოზიციურ-ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ჯერ კიდევ პრიმიტიული, ხორკლიანი და ხაოიანი ნაირსახეობანი განუყოფლად იყო „მიბმული" ცხოვრებისეულ რეალობასთან, უტილიტარულ მოვლენებთან, პრაგმატულ ინტერესებთან...

თემატურად ნაირფეროვანი ქართული ხალხური პოეზია მრავლად მიითვლის როგორც რელიგიური ხასიათის ქრისტიანული რწმენა – წარმოდგენებისა და დოგმატური დებულებების მაილუსტრირებელ სიუჟეტებს, ასევე, უაღრესად ღრმა და საინტერესო მითოსური ამბების – უმთავრესად ლოკალურ ღვთაებათა „მისიონერული" თავგადასავლების – ამსახველ ტექსტებს.

ტრადიციული საზოგადოებებით დასახლებულ სოფლებში, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სასკოლო ასაკის მოზარდებს ყოველდღე ესმოდათ (ნეტავი დღესაც ესმოდეთ!) უფროსებისგან ლექსები და ამბები, რომელთა უჩვეულო, ზღაპრულ-ფანტასტიკურ შინაარსს არაამქვეყნიურ სამყაროში გადაჰყავდა მათი ფიქრი და ფანტაზია. გამონაგონი სინამდვილედ ესმოდათ, ესახებოდათ, ებეჭდებოდათ ხსოვნაში და ახლა ისინი იღებდნენ და ითავსებდნენ ტრადი-

ციის გამგრძელებლების, „გამტარების“, მრწემთათვის გადამცემების საპატიო ტვირთსა და მოვალეობას.

პერიფერიებში, სადაც წიგნიერება ძალზე ძნელად, წვალებით და გვიან აღწევდა და ნასწავლთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლებოდა, პოეზიის ნიმუშები ექსპრომტად იქმნებოდა, იმპროვიზაციის ხასიათს ატარებდა და სოფლიდან სოფელში, თემიდან თემში, ხეობიდან ხეობაში, კუთხიდან კუთხეში მოგზაურობდა, ვრცელდებოდა, მეტ-ნაკლებად იცვლებოდა და უწყვეტი მიმოქცევის წყალობით იმ კონკრეტული ეთნიკურ-ტერიტორიული ლოკალის კილოკავური თავისებურებებით აღიბეჭდებოდა, სადაც მას ზეპირსიტყვიერი ქმნადობის ცოცხალი გარემო, ყუათიანი ნიადაგი და პოხიერი პირობები ხვდებოდა...

„ღვთისშვილთა დაბადება“ ანუ „თეოგონიაა“ ქართული სიტყვიერი ფოლკლორის ის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, სადაც შეგვიძლია თვალი მივადევნოთ გერგეტის მთაზე მდებარე ბეთლემის სახლში ციდან ჩამოსული დარგობრივი ღვთაებების „შემოსვისა“ და თავიანთი ფუნქცია-მოვალეობებით მათი აღჭურვის საკრალურ რიტუალს.

სამყაროული წესრიგის მომგონი, დამწერი, დამდგენი და დამყარებელია ოქროს სკამზე მჯდომარე მორიგე ღმერთი (ხევს. „მერიგე“), ღვთისშვილთა წინმდგომი და მეუფროსე, რომლის სახელდება ნათლად მიანიშნებს მის უმთავრეს დანიშნულებას. ღვთისშვილთა იერარქიაში მორიგე ღმერთის მომდევნოა მის მარჯვნივ მყოფი ხმელთ მოურავი კვირია („კვირაე კარავიანი“, „მაღლის ღვთის მოკარვე“). მას მოჰყვებიან უფლებრივი თვალსაზრისით შედარებით დაბლა მდგარი ღვთის ნაბადებნი, რომელთაც ადამიანთა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს მართვა და ზედამხედველობა აქვთ დაკისრებული...

და აქ, ხალხური პოეზიის ამ უბანზე, უკუფენილია პერმანენტული დაპირისპირება, უწყვეტი ქიშპი და შუღლი, სამკვდრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობა და უკომპრომისო ბრძოლა ღვთიურ და ქვეცრიელ, მზიურ და ხთონურ ძალებს შორის.

„წინავ“, ე.ი. ადრე, ძალიან ადრე, ის ადგილები, სადაც ახლა ფშავში, ხევსურეთში, გუდამაყარსა თუ ივრის ხეობაში ხალხის სამოსახლოებია, დევკერპებს სჭერიათ. მათ „ზეპირ“, კაცის აღით უვლიათ, საფარველი არ სდებიათ, ადამიანები უშინებიათ, უვიწროებიათ და უხოციათ. საზარელი სახისა და სხეულის მქონენი დღის სინათლეზე მალულან, ხოლო ღამით,

როცა ავსულთა გააქტიურების დრო დგებოდა, ცხადად ჩენილან და დიდი ზიანი ურგენიათ ადგილობრივ მკვიდრთათვის...

მსოფლიო დემონოლოგია იცნობს ბოროტ პერსონაჟებს, მრავალგვარი ჯიშისა და ჯურის ავსულებს, კუდიანებს, მჩხიბავებს, გონჯსა და მახინჯ ურჩხულებს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, „ქართველ" დევ-დედაბრებსა და ქაჯ-ეშმაკებს, გამომდინარე მათი სამავნეო ქმედებებიდან, ძნელად თუ ვინმე შეედრება და შეეტოლება!

სოციუმისთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე მყოფი დევები თავს მჭედლობით, მიწათმოქმედებით, მონადირეობით და მესაქონლეობით ირჩენდნენ. ამ ხელობათა საიდუმლოების ფლობით ბოროტად სარგებლობდნენ და უხეშად ექცეოდნენ, შეურაცხყოფდნენ, ჩაგრავდნენ, სისხლს უშრობდნენ და სულთამხუთავებად ევლინებოდნენ ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობას; ლახავდნენ მათ სიწმინდეებს; არ ერიდებოდნენ კვრივს, ჯვარ-ჯვარისკარს; აუპატიურებდნენ ქალ-რძალს, ანიავებდნენ ჭირნახულს, ულეტდნენ უბრალო, უდანაშაულო ხალხს.

დევების ნაბინავრებად, ნასადგომრებად, „დევთნასოფლარებად" მიჩნეულია კონკრეტული ადგილები არაგვის ხეობაში: როშკის გორი, დანიფხო, ციხეგორი ლიქოკში, ავისგორი და გამხვეურთის გორი შუაფხოში, კართანა მაღაროსკარის ზემოთ, უკანაფშავისა და ახადის მიდამოები... განსაკუთრებით მრავლად ყოფილან ივრის ხეობის სოფლებში: ბაჩალში, ვერხველში, ქუშხევში, ხაშარში, კორსავში, ბელელთანასა და იხინჭაში... არც გუდამაყრის ხეობას ჰკლებია მათი მოდგმა და მონატეშარი. დევები მდგარან წინამხარში და ბაკურხევის იმ უბანში, რომელსაც საკერპოს ეძახდნენ.

სახელებიც, ნაწილს ადამიანთა, ნაწილს კიდევ მათი ზნე-ხასიათის შესატყვისი რქმევიათ: გამხვეურა, შანშე, ბერა, ავთანდილი, ბაჭიჭაური, მუზა, ჯღანა, ბელელა, ჯაბაგანი, ფაცხვერი, ცარქია, ვერხველი, ჭიბიღოელი, მელანია...

მოსახლეობასთან ჰქონიათ უაღრესად მტრული, ხოლო გამონაკლისის სახით – მოყვრული ურთიერთობა: წესად ყოფილა დევის ქალის ცოლად შერთვა და დევთა და მთიელ მოყმეთა დაძმობილება (გუდანელი გაიდაურისა და მისი ძმადნაფიცი დევის ეპიზოდური ამბები)...

„გამხვივნებული" (გამრავლებული, გაძლიერებული...) დევების თარეშით და თვითნებობით შეწუხებულ ხალხს მორიგე

ღმერთისთვის უთხოვია დახმარება. შეყრილა „ხთის კარზე" სამოცდასამი ღვთისშვილი – „თავნი ანგელოზნი". გამართულა შეჯიბრი ძალ-ღონის გამოცდაში. „სანონჩარექის" და „ასლიტრიანი საგმიროს" აწევაში მოძმე ბერებს – კოპალას და იახსარს – უსახელებიათ თავი. დამბადებელს მათთვის უბოძებია საომარი ლახტი და მშვილდ-ისარი .

და დაწყებულა მოწმიდარი ბერების ბრძოლა დევების წინააღმდეგ.

ხაშრიდან ირემთკალოსკენ მიმავალი ბელელასთვის იახსარს საპარავის ყელი შეუკრავს და ლახტით განუგმირავს; ხაშარშიც ჩასულა და გაუწყვეტია ცხრათავიანნი; მერე ივრის ხეობას დაჰყოლია და ერთიანად ამოუხოცავს ავსერნი და მავნებელნი... კოპალას მუზა (ვარ.: მუსა) და ავთანდილი შეუმუსრავს: ერთისთვის მოპარული ქვის სკამი დაუგდებინებია, ხოლო მეორისთვის მოკლული ირემი და მხარზე გადებული ვეება წიფელი...

სისხლიანი ბატალია დინამიურად, დაწურულად და ექსპრესიულადაა გადმოცემული სამსტრიქონედში:

მშვილდ-ქაიბური ბერისა ქუდიელზედა ხვიოდა,
მუზას მიარტყა ისარი, ბელელას გული სტკიოდა,
წყალიც არ იყო იმთვენი, რაც იმათ სისხლი სდიოდა.

ყველაზე სახიერი (და სახილებელი!), შთამბეჭდავი და ღირსსახსოვარი მაინც დევთა და ღვთისშვილთა დაპირისპირების მომთხრობელ თქმულებათა ციკლის ის სიუჟეტია, რომელიც დაჭრილი და თვალწამოთხრილი დევისთვის იახსარის დევნას და აბუდელაურის (ვარ.: აბუდალევის, აბუზალეთის, წაწადის...) ტბაში ჩაყოლას გვაცნობს: გამხვეურთკარი და თხილიანა რომ გაათავისუფლა დევთაგან, ერთი დიდი, დაკოდილი დევი ხევსურეთისკენ გაექცა და ქმოსტ-როშკის გავლით აბუდელაურის ტბას მიადგა. კვალზე მიჰყვა ლაღი იახსარი და ლახტი მოიმარჯვა. დევი, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ტბაში ჩაძვრა. თან ჩაჰყვა იახსარიც და მოკლა. დევის სისხლმა ტბის ზედაპირი დაფარა და იახსარს გზა შეეკრა: დევის სისხლს რომ შეხებოდა, გაუწმინდურდებოდა!... სამი წლით გაქრა, გაუჩინარდა, დაიკარგა ღვთისშვილი. დაღონდა საყმო. მკითხავის პირით შეიტყვეს, რომ იახსარი აბუდელაურის ტბაშია და ვერ ამოვა, ვიდრე გზა არ გაეხსნება. ისევ მკითხავმა ურჩია ხალხს: ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი მოიყვანეთ, ტბის პირას დაკალით, საკლავის სისხლი ტბის ზედაპირს უწიეთ და თქვენს მშველე-

ლს გზა მიეცემაო. ასეც მოიქცნენ: ბლოში (ვარ.: ხორნაულთა-ში) იპოვეს უიშვიათესი ზვარაკი, დაკლეს, ტბას სისხლი ასხუ-რეს და გაიხსნა ზედაპირი-ბროლის ქვაზე მტრედის „აღით" შემომჯდარი იახსარი სამზეოზე დაბრუნდა...

შამავჯე ბროლის ქვაზედა, შამავიბერტყენ მხარნია, – ნათ-ქვამია ლექსში.

დაინახეს ყმათ და დაიწერეს პირჯვარი.

იახსარი მას შემდეგ ხორციელი არსებიდან ღვთისშვილად იქცა.

გაფრინდა და სადაც „კოჭი მოიკიდა", ე.ი. დაჯდა, ყველგან მისი სახელობის კოშკი და საზარე აშენდა.

ხოლო გამწკრივებულ (ქვესკნელში ჩაყრილ, „გადასხვავე-ბულ") დევებს სამუდამო წყვდიადში ყოფნა ხვდათ წილად.

მთის მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა.

გაძლიერდა ლოცვა და განმტკიცდა რწმენა დევ-კერპებ-თან მეომარ ღვთისშვილთა მესიანურ-სასწაულებრივი ძალის მიმართ...

ძნელია, დაბეჯითებით ითქვას, რა სინამდვილის „მონა-ჟურია" და რა მხატვრული წარმოსახვის ნაყოფი შავ-ბნელ დევთა და „ცეცხლისალიან" ღვთისშვილთა დაუცადებელი ბრძოლების ზეპირ ისტორიაში. ეთნოგრაფ თინა ოჩიაურის ვა-რაუდით, დევებში ქართველ მთიელებთან ოდითგან მოქიშპე ჩრდილოკავკასიური ეთნოსები უნდა იგულისხმებოდნენ... ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარაა: ორი საწყისისა თუ სუბს-ტანციის განმასახიერებელ ძალთა ჭიდილში რელიეფურად ინაკვთება მოტივი, რომელიც შემდგომ ეტაპებზე სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი დაპირისპირების წყალუხვ ნაკადებად იტოტება და მრავალგვარი ასპექტით ვლინდება ხალხური სიტყვიერების ლექსით თუ პროზაულ ძეგლებში.

მოძმე ღვთისშვილთა ფუნქციამონაცვლენი არიან უძველესი ქართული მითოსის გმირები, „ამირანიანის" ნაწილიანი პერსო-ნაჟები – ამირან და ძმანი მისნი, ბადრი და უსუპი, რომელთაც, ისევე, როგორც იახსარსა და კოპალას, დიდი დაბრკოლებების გადალხვისა და ძალისხმევის ფასად უჯდებათ ბაყბაყდევების-გან და უძლეველი გველეშაპებისგან კაცთა საცხოვრებელი ად-გილ-მამულის გამოხშირვა და, ბოლოს, გაწმენდა.

ღრუბელთ ბატონთან ბრძოლისა და ცაში დაკიდებული კოშკიდან მისი მზეთუნახავი ასულის – ყამარის მოტაცების

ეპიზოდში ჩანს კაცობრიობისთვის ცეცხლის მომტანი ნახევრადღვთიური პროტაგონისტის შთამბეჭდავი სახე, საუკუნეები რომ გამოიარა, მოითარეშა და ჩვენამდე მოიტანა მითისქმნადობის ეპოქის ძალუმი სუნთქვა.

ამირანი (მისი ორეულებია აფხაზური აბრსკილი და ბერძნული პრომეთე), დალისა და უცნობი მონადირის (ზოგიერთი ვერსიით – სულკალმახის) შვილი, ქრისტეს ნათლულია, ხალხის საკეთილდღეო გარჯა რომ დაუწერა დამბადებელმა, მაგრამ თანდათან იმდენად გაგულდიდდა და გაბუდაყდა, რომ სამი მდინარის და სამი ზვავის მბოძებელ ნათლიასაც აღარ შეეპუა, შებმა გაუბედა, რის გამოც ქრისტე ღმერთმა ცოდვების მოსანანიებლად გამოქვაბულში გამოამწყვდია (სხვა ვარიანტებით მყინვარწვერზე, ფასის მთაზე, ბრუტსაბძელაზე მიაჯაჭვა) და, როგორც მთხრობლები დასძენენ, მისი გათავისუფლების დრო ჯერ არ დამდგარა...

ღვთისშვილთა ანდრეზული ამბებისა და მიჯაჭვული ამირანის ლექსნარევი სიუჟეტების შექმნა-ჩამოყალიბების ქრონოლოგიის დადგენა ჭირს, თუმც ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში მომარჯვებულია საზიარო მითოსური მოდელი, ბოროტ ძალთა მოწყვლადობის პარადიგმა, რომლის არაორაზროვან ანალოგებს მსოფლიოს არაერთი კულტურული საზოგადოების სიტყვიერებაში შეიძლება შევხვდეთ...

კონტრასტულობის გარეშე ხომ სამყარო ისეთი ვერ იქნებოდა, როგორიც დღეს არის და თუნდაც მხოლოდ თეთრი, უმრუმო, მზიურნიშნიანი ფერის არსებობა მის მიმართ ადამიანის ინტერესს საგრძნობლად დასცემდა და გაანელებდა!...

.....

საქართველოს არასდროს შემოლევია მტერი და ავისმოსურნე. სანიშანსვეტო გამარჯვებებითაც მდიდარია ჩვენი ჰეროიკული ისტორია და, სამწუხაროდ, სულმდაბლობისა თუ მოღალატური საქციელის სამარცხვინო რეციდივებითაც...

მუმლი მუხასაო გარს ეხვეოდაო,

მუმლი ჰქრებოდაო, მუმლი სწყდებოდაო,

ხე არ ხმებოდაო... – ხმობს ხეთა თაყვანისცემის ნაშთის შემცველი ორპირული გუნდური სიმღერის უძველესი ტექსტი, რომელიც პატრიოტული განცდის სიძლიერის გამო, გ. ლასხიშვილის მემუარების თანახმად, განსაკუთრებით ჰყვარებია ილია ჭავჭავაძეს. მუმლი მალულად მომსვლელი მოძა-

ლადეა, მომხვდურია, ხოლო მუხა – საქართველო, ფესვებსაღი და ტანძლიერი, ზენა და ქვენა ქარების ქროლვაში დაღლილი და იერნაცვალი, ბევრი ელვა-მეხისა და ჟამთა სიავის გადამტანი, ფოთოლდაყრილი, ტოტებდალეწილი და მაინც ცოცხალი, გადარჩენილი, მომავლისკენ იმედნეულად მზირალი...

საკულტო ალაგად გააზრებულ წმინდა მუხნარში ბევრჯერ ჩაწოლილა კურუმი ნისლი და წკვარამი; უთოვია; უამინდობას სეტყვა და მერეხი მოჰყოლია; გადაუქუხებია და ჩვეული ბრნყინვალებით აცურებულა ცის კაბადონზე ცხრათვალა მზე!..

მოდიოდა „გულხადარა", მზაკვარი მტერი, მოდიოდა და თავდამსხმელთა უმეტესობა ყვავ-ყორნების საძიძგნი ხდებოდა საქართველოს მიწაზე... სისხლის წვიმებით მდინარეები წითლად იღებებოდა, მიღელავდნენ, მიბობოქრობდნენ და მთებიდან დაბლობ ადგილებში ჩაჰქონდათ მამულის ყარაულთა (ხევს. „ვეშაგთა") გმირობისა და თავდადების საარაკო ამბები.

მწვერვალებზე დგომის ღირსი არაერთი გმირის – „ქერიგოს ქვიშათ ფერი" ჯაჭვის პერანგიანი კაი ყმის – ნაამაგარი უკვალოდ ქრებოდა და იკარგებოდა დროის მღვრიე ტალღებში; „უსახელო უფლისციხელებით" ივსებოდა საქართველოს მატიანე; უმხედროდ დარჩენილი შავრა თუ თეთრონი ჭიხვინით იკლებდა ბრძოლის ველს; გლოვობდა პატრონმკვდარი, დაობლებული, „ხელმოუყრელი" გორდა და დავითფერული, ფრანგული და ბაწარაული; ჟანგი ჭამდა ფარს, სამკლავე-საფუხარსა და წვრილთვალა ჯაჭვის პერანგს... და ტკივილებით დაჭვრეთილი მოვლენების კვალდაკვალ სულს იდგამდა ვინაობაგაუჩინარებულ მამულიშვილთა პიროვნული ღირსების ჯუფთი და სადარი ხალხური ლექსი (ტომას ელიოტის დაკვირვებით, პოეზია უფრო ახლოა მშობლიურ წიაღთან, ვიდრე პროზა და, ლოგიკურია, რომ სწორედ მას აქვს ნატვირთი უმძაფრესი პატრიოტული მგზნებარების წარუვალ წამთა „დაჭერის", დაფიქსირებისა და უკვდავყოფის ულამაზესი მისია)...

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია, – არავინ იცის, ვისია,
ბებერი ქალი ატირდა: ეგ ჯაჭვი ჩემი ქმრისია.
სიკვდილის ჟამსა ნათქვამი, დაბარებულიც მისია:
„ისეთმა ყმამა ჩაიცვას, ვინაც ხმარების ღირსია."
ანდა:
ბეთლემის კარზე ჰკიდია ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი, ხანდისხან შასძრავს ქარიო....

გალაშქრება თუ, ვიწრო მასშტაბით, სამზირში ანუ მეკობარში წასვლა, არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ცალკეული ადამიანების, თუნდაც მთელი თემისა თუ კუთხის მკვიდრთა ნება-სურვილზე. მათთვის ლაშქრობის დასტური მფარველ ღვთისშვილს უნდა მიეცა. ლაშარისა თუ გუდანის ჯვრები ქადაგთა ანუ მეენეთა პირით უცხადებდნენ საყმოს, შემზადებულიყვნენ თუ არა მორიგი ბრძოლისთვის. წარუმატებლობისა და მარცხის შემთხვევაში მელექსე იტყოდა: „არ ულამინებს ჯვარიო"; ან ასე: „არხოტით მზირი გავიდა, წყრომით გამაჰყვა ჯვარიო"; ანდა მოლაშქრე ღვთისშვილს ათქმევინებდა საყმოს გასაგონად: „სამი წლის ვადით შამეხსნა ფხასისხლიანი ხმალიო..."

ითვლებოდა, რომ სალაშქრო საქმეების წარმმართველი სატომო ღვთაება თვითონ წაუძღვებოდა თავის „ვერცხლის ღილებს" („ჯვართენაზე" ნიშნავს ვაჟებს, ხატის ყმებს) და, ისევე, როგორც ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში" ხდება, ძლევამოსილ გამარჯვებასაც მოაპოვებინებდა რაოდენობით გინდ ორჯერ და სამჯერ მეტ მტერზე.

„უტსა" და უმეცარ ხორციელთ მოწყალე ღვთისშვილების მოუწყინარი სამსახური მართებდათ და, თუკი წარმატებით აღასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, მკაცრად დაიცავდნენ რიგ აკრძალვებს, მფარველთა და წინამძღოლთა მხრიდან უსათუოდ იგრძნობდნენ განსაკუთრებულ თანადგომასა და კეთილმოსურნეობას...

ქართული ხალხური პოეზია, თავისი „კომპეტენციის" ფარგლებში, მუდამ იყო ორიენტირებული მართლმადიდებლური სარწმუნოების პოსტულატებზე, მის ფუნდამენტურ დოგმატებსა და დებულებებზე. და, იმისდა მიუხედავად, რომ წმინდა ნინოს მიერ დანერგილ და გავრცელებულ აღმსარებლობას პერიფერიულ მთებში სუფთა სახით არასდროს უარსებია და წარმართული რწმენის დანაშრევები ჩვენს ეპოქამდეა შემორჩენილი თუნდაც პოლითეისტურ რეალიათა გადმონაშთების სტატუსით, დარგობრივ ღვთაებათა სახელწოდებების საფარქვეშ მაინც ძალზე ცხადად ჩანს მათი ქრისტიანული არსი და სულისკვეთება.

ქრისტიანობამდელი წარმომავლობის ერთადერთი მითოლოგიური შინაარსის ტექსტი, ზ. კიკნაძის აზრით, არის ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის (ძვ. წ.III ს.) სიზმარი, ჩართული ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება მეფისა ფარნავაზისა". მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია,

თავისი თემებითა და ქვეთემებით, და მასზე შეჩერება შორს წაგვიყვანდა...

ერთმორწმუნე ქართველ ერში ყოველთვის ღვიოდა ღადარი იმედისა, ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის ერთადერთობის რწმენისა, რაც, თავის მხრივ, გადამდები მადლის დიდი „დოზის" თანხლებით ცხადდებოდა და ცნაურდებოდა განსაწმენდელთან შესადარებელ ხალხურ პოეზიაში:

ანგელოზის წირვა დგება, როცა დაჰკრავს ნინო ზარსა,
მცხეთის ქალაქს მირონი დუღს, ყველგნივ გააქვს ნიავ- ქარსა,
გარს გუმბათსა, სვეტს ეხვევა, როგორც ნორჩი ვაზი სარსა,
იმის მადლი შეგენიოთ, რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა...
.....

ძველ ქართულ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ სჯერათ მყოფობა ზებუნებრივი ძალებისა, კეთილი და ავი სულებისა და თავიანთ წარმატება-წარუმატებლობასაც, არცთუ იშვიათად, მათი ზემოქმედების შედეგად თვლიან, ძლიერია რწმენა ადგილის დედის არსებობისა; ადგილის დედისა, ნათესაური მომტკივნებით რომ განიცდის სოფლის პირისწყლის განმასახიერებელი ღირსეული შვილების იმქვეყნად წასვლას, მათი სიკვდილის გარდუვალობას:

ადგილის დედა ჩიოდა: სოფლის უფროსი კვდებაო...
ნუ მოჰკლავ, დამბადებელო, სოფლობა წაგვიხდებაო!

ხოლო სოფლის წეს-რიგი, სინდის-ნამუსი, დღიანობა და ზნეობრივი სიჯანსაღე დიდწილად იყო პირობადებული მისი ქალ-კაცის ცხოვრების ნირით, პიროვნული თვისებებით, მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით.

სოფელია გარშემოუწერელი სამყაროს ის მიკრომოდელი, სადაც, თუკი დაცლის საფრთხე არ დაემუქრა, არასდროს წყდება მდაბალ თუ ამაღლებულ ადამიანურ ვნებათა დინება, ნჩქლევა და დუღილი. მის წიაღში იბადებიან ინდივიდები, თავკაცის მისია რომ ეკისრებათ და მათ სიტყვაზე, ქცევასა და რჩევა-დარიგებაზეა დამოკიდებული სოფლის სიმაგრე, ავტორიტეტი და შეუვალობა... ხნიერთა ცხოვრებისეული ცოდნა და გამოცდილება ვერბალურ გაფორმებას, სიტყვის ყალიბში „ჩამოსხმას" საჭიროებს და ლექსის ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ქსოვილში ისეთი ნოტები და მოტივები იკვეთება, მარადიულ ღირებულებებთან რომ დებენ დიალოგის გამძლე ხიდს. ჩნდება ანდრეზული თქმები და ნიმუშები, მითოლიგიური თუ

იურიდიული შინაარსისა, თავიანთი არაორდინარულობით რომ იპყრობენ მსმენელთა ყურადღებას. გადის წლები და სადაგ ყოფაში ნათქვამი „უბრალო“ ფრაზა, ლექსი თუ ამბავი რაიმეს ნიმუშად, არქეტიპად იქცევა, დაუწერელი წეს-კანონის ფუნქციით იტვირთება და საჭირო შემთხვევაში სოფლის შვილთა გზამკვლევის, საწინამძღვრო და სახელმძღვანელო პრინციპის უფლებას ითავსებს...

პოეტური ანდრეზის თვალსაჩინო გამოვლინებად გამოდგებოდა მამუკა გელდიაურის შესახებ აფორისტული ნათქვამი, რომლის ლაკონიზმში ათასწლოვანი სიბრძნე და საკანონმდებლო მართლზომიერებაა გამჟღავნებული:

ჰკითხევდეს გელდიაურსა ამბავსა წინა-წინასო,

ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა, არგამგონისად-რკინასო...

ინდივიდი და სოფელი, პიროვნება და თემი, პერსონა და საზოგადოება...

ქვეყნიერების შობის დღიდან არსებული ოპოზიცია შემოქმედთათვის დღემდე ინარჩუნებს თავის სიმწვავესა და დამაინტრიგებელ მუხტს.

კლასიკურ და სახელდახელო მაგალითებად ვაჟა-ფშაველას პოემების – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“- დასახელებაც იკმარებოდა!

კაცი სოფლით კაცობს (ოღონდ: „კაცი არ ყველა სწორია...“) და სოფელს კაცი ასოფლებს.

წარმოუდგენელია მათი უერთმანეთობა.

უკაცო სოფელი აღარაა ის, რაც უნდა იყოს და არც უსოფლო კაცია „ვარგი“, მყარი და სრულფასოვანი.

ხილული თუ უჩინარი ბმისა და კონტაქტის მრავალმხრივობა იგულისხმება მათ შორის. კაცმა თუ სოფელი გაიმეტა და გაწირა, არც მისგან უნდა გამოელოდეს დანდობასა და შეწყალებას.

ციხე შიგნიდან ტყდება.

ასეა სოფელიც: „ეტლი“ მაშინ დატოვებს , როცა არსაითი და პოტენციური გამცემი მოიწადინებს მისი მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას...

თანდაყოლილ პატიოსნებასთან ერთად ღვთისმოშიშობის ხელთუქმნელ სიხარულსაც გულით უნდა ატარებდე, პათეტიკისგან აბსოლუტურად დაზღვეული გონივრული დიდაქტიკის ასეთი უნაკლო, უდახვეწილესი პოეტური სენტენცია რომ შეაწიო და უანდერძო შთამომავლობას:

მე სოფლის თავსა ვესახლე და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგა მთავსობდა, თუ მე სოფელი მეთავსა,
რასაც სოფლისთვის ვფიქრობდი, წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა...

და ვიდრე ნაპირ-ყურე გამაგრებული, ადათობრივი ნორმების მიმდევარი, ტრადიციების მიმღები და მტკიცედ დამცველი სოფელი დაარსდებოდა, დღის წესრიგში იდგა მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო საყოფაცხოვრებო თუ საკრალური ნივთების „შოვნა", შექმნა ანდა ძალისმიერი მეთოდებით მოპოვება. ეტალონური მნიშვნელობის მატერიალურ ფასეულობათა მოხელთება ახალი დრო-ჟამის დადგომას, ათვლის ახალი წერტილის გაჩენას მოასწავებდა მწირი და უქონელი სოფლის ცხოვრებაში.

და ვის, თუ არა ნათლითმოსილ ღვთისშვილებს, უნდა ეზრუნათ საქონლით, ყოველდღიურად სახმარი თუ თვალისჩინივით მოსაფრთხილებელი, ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილი ნივთებით, საგნებითა და საბრძოლო-სამეურნეო იარაღით მოსახლეობის მომარაგებაზე!..

იწყება ქაჯავეთში ფშავ-ხევსურეთის ღვთისშვილთა ძლევამოსილი ლაშქრობა „რჯულიან-ურჯულოთ სალოცავის" ხახმატის ჯვრის-გიორგი ნაღვარმშვენიერის წინამძღოლობით.

ღვთისშვილებთან ერთად მიემგზავრება უცხო თესლჯიშით დასახლებულ ქვეყანაში ხახმატის (ზოგიერთი ჩანაწერით-გუდანის) ჯვრის მკადრე, „ხთის ნათლული", ქადაგის, ხევისბრისა და მედროშის ფუნქციათა შემკრები, ჭორმეშიონი გახუა მეგრელაური. მას ანგელოზნი ველკეთილის მთაზე სულს ამოარიდებენ (ე.ი. ამოაცლიან), გვამს ეხში დატოვებენ (ერთი ვარიანტის თანახმად, ხეს მიაყუდებენ) და „პეპელაის აღედ" ქმნილს თან გაიყოლებენ.

მერე თავად „მეპურსატნე" (მეპურყველე) გახუა ყვება, რაც საფარველდებულმა საკუთარი თვალით იხილა და გულით განიცადა გრძნეულ „კბილსავარცხელათა" სამფლობელოში.

ლექსით ვარიანტში „სვილისფერი" ქაჯი დობილის მიერ მოქსოვილი საბურველის წყალობით უჩინარქმნილ გიორგი ნაღვარმშვენიერს ეკითხებიან, ქაჯავეთს რად იარება და ისიც პასუხობს:

– ვალი მიკიდავ, ვალს მივსდევ, რას მკითხავ, ქრისტის დედაო..

ფხოვის „თავნი" ანგელოზნი, გარდა სანება-ხადუს ჯვრისა და წყაროსთაულისა, ქაჯთა სოფელს შეესევიან და ნადავლს გა-

მოიტაცებენ. ნისლიან სამჭედლოსა და საფეხვნოს აამდგვლევენ, მჭედლებს დააწიოკებენ და დიდძალი დავლით ბრუნდებიან უკან... წამოასხამენ ქაჯთა ურიცხვ საქონელს, ტანად ძროხებს, მათ შორის ერთ ცალარქას. წამოიღებენ: ოქროსძალიან ფანდურს, ცხრაენიან ზარს, მკლავის სიმსხო ჯაჭვის საკიდელს, წამლის სანაყავს, სალესველს, სასროლ-სამართებელს, საცერს, გრდემლს, ხელკვერს, მარწუხს, ვერცხლის თასებს, ქურთემულს, იაგუნდს, პურის მარცვლის საწყავ რქას და დელამფარს...

წამოიყვანენ შვიდ ქაჯის ქალს: სამძიმარს, აშექალს, მზექალს, შუქიას, განძას, ამენქალს და სიმენქალს... თავის ნაქადაგარში სამძიმარ „ხელი-ყელღილიანი" ყვება:

წამამიყვანა გიორგიმაო, მე ხო ქალ ვიყავ ქაჯისაიო,

გამანათვლია ქრისტე ღმერთსაო, გავხე ხორციელთ სალოცავიო...

მდევარი ქაჯები უსურმაგი კატის თავ-ფეხს და გაშანთებულ რკინას ესვრიან ღვთისშვილებს და ისინი გუდანის ჯვარს ეფარებიან, რომელსაც დელამფარი (დიდი ფარი) უპყრია ხელთ.

ქაჯავეთის დალაშქვრა, იქიდან კულტურულ ღირებულებათა წამოღება და ყოფით გარემოში დანიშნულებისამებრ დანაწილება ახალი საფეხურის დაწყებას ნიშნავდა ღვთიშვილების მეზღვნე-მეხვეწურთა ცხოვრებაში...

და რახან „ტექნიკურ"-მატერიალური ბაზა გაფართოვდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ შრომის პირობები და, შესაბამისად, შედეგებიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა.

ოთხფეხის მომრავლებას მის რჩენა-შენახვაზე ზრუნვის გაორმაგება უნდა მოჰყოლოდა.

წლის სამეურნეო ციკლი და სამთო-საველე სამუშაოების პროცესიც რამდენადმე შეიცვლებოდა. პრაგმატული მოთხოვნების დაკმაყოფილება და შეგნება იმისა, რომ უშრომლად სარჩოს დაგროვება შეუძლებელია, მეტ მუყაითობას დაისაჭიროებდა...

შინამეურნეობის ტრადიციული დარგების აღმავლობას ორნახადი ხალხური სიტყვა უბამდა მხარს და შრომის რიტმს შეთანადებულ პრიმიტიულ სასიმღერო რეპერტუარში ადამიანის გონებრივი „შიმშილის" დასაშოშმინებლად და სულიერი სიცარიელის შესავსებად ჩნდებოდა პოეზიის ისეთი უჩვეულო, ავტონომიური სახეობა, როგორიცაა მთიბლური...

უქმი იძახა დათვიამაო, მარიანობა შამავიდაო...

.....

კოჭნი არ დამჭრნა საძაგელოო, ნალევი დამაფხაებიეო,

ქოჩნი ჩამამცდეს წკმუტუნითაო, ცელის ნალევის დატუქსვილნიო...

.....

ცელ-ცუდაო და ცოლ-ცუდაო, მთიბელო ეეღარაისაო,

ცელ-ლამაზო და ცოლ-ლამაზო, მთიბელო ნამხრევმშვენიეროო...

სათიბში „საგვრინავი“ ლექსები ანუ მთიბლურები გენეტიკურად, ავტორიტეტულ ეთნოლოგთა და ენათმეცნიერთა თვალსაზრისით, ხმით ნატირლებთანაა დაკავშირებული. მთიბლურთა მუსიკალური ხმოვანებაც სამგლოვიარო ჰანგის მინაგვანია. ორივე შემთხვევაში ცოცხალი არსების სიკვდილია ამოსავალი. „მგოსანი გლოვისა“ მიქელ-გაბრიელის ცელით „ჩათიბულ“ ახალგაზრდებს (ხევს.„ახალუხლებს“) დასტირის და ყოველგვარი წინასწარგანზრახვის უქონლად ქმნის იმპროვიზირებულ შედევრებს; მთიბავს ნამდვილი ცელით გააქვს სვრელი, ერთი მოქნევით ბალახისა თუ ყვავილის უთვლელ ღეროს უღებს ბოლოს და ხელ-მხარის თანაბარ მოძრაობას აყოლილი მოძახილით თითქოს ისიც პროფესიონალი მოტირალია, სევდანარევი ხმით რომ მიაგებს პატივს უენპირო ბუნების მილიონობით უმშვენიერეს ნაშიერს...

დარდით დამდუღრული დედა ტირის:

მზეო, დადეგ და დაგვიანდიო, მზე სდგეხარ უკენობისაიო,

ვიყრებით დედაშვილობითაო, მამშვიდობებენ ბერდიასაო...

იმპროვიზაციაში იმზომ დიდი და მნიშვნელოვანი საზრისია ჩატეული, იმდენად მძაფრი და ღრმააზროვანი ვითარებაა ასახული, ძნელია განცვიფრება დაფარო: „უკენობის“ მზის „საწუხროდ“ გადახრას (ვინაიდან მიცვალებული მზით უნდა დაიკრძალოს!) შვილთან სამუდამო დამშვიდობება მოჰყვება და უმწარესი წუთები, მგლოვიარე გულზე ახალ-ახალ იარებს რომ აჩენენ, ისე სწრაფად გადის, „გონგამართმული“ დედა ლამის ხელით მიწვდეს დღის მცხუნვარე მნათობს და ცაზე მისი სვლა შეაყოვნოს, შეაჩეროს,რათა სულ ცოტათი მაინც გაიხანგრძლივოს სამარის კარად მისულ პირმშოსთან ცალფა დიალოგის მილევადი დრო...

ჯვარ-ხატების წმინდა ხეთა ფესვებივით ჩახლართვია ერთურთს მთიელ ქალთა ნატირლები და მამაკაცთა გვრინები!

უმნვერვალესი ადამიანური მწუხარების ლექსად გარდათქმის მხატვრული ფაქტი და უმძიმესი, ყოველად არაპოეტური ფიზიკური დატვირთვის დიდოსტატური პოეტიზირება ხომ ის არაჩვეულებრივი ფენომენია, რომლის ზუსტი და ამომწურავი მეცნიერული კვალიფიკაცია დღემდე არ მომხდარა და, საეჭვოა, ოდესმე მოხდეს!..

მაგრამ დატირებამდე, სულწუხ საიქიოში გარდაცვლილის გაცილებამდე („სულეთ შავიდა ნიქაი, ხელით შააღა კარია", – ნათქამია ერთ მოსაგონარში) ცხოვრებას თავისი ჩვეული, ნაცადი, კარგად ნაცნობი გზით უნდა ევლო და გამოზოგილ სიტკბოსთან ერთად ჭარბი სიმწარეც ეგემებინა ტანჯვისთვის გაჩენილ ნანდაურთათვის თუ კენტობისა და სიმარტოვის მაღმერთებელ მარტოსულთათვის...

სატრფიალო, ანუ, როგორც მთაში იტყვიან, საქალვაჟო ხალხურ ლექსებში, უნატიფესი მხატვრული ფორმით და ლორთქო, გაუხუნარი ფერებითაა ამეტყველებული მარად ძველი და მარად ახალი, ცის ლურჯ კალთასავით დაუსაბამო და უსასრულო, დღე–ღამის ცვალებადობასავით განმეორებადი, უცვეთი და უბერებელი გრძნობა სიყვარულისა (ხევსურეთში „სიყვარულის" ნაცვლად „სურვილს", ხოლო „შეყვარებულების" მაგივრად „მნდობიარეთ" იტყოდნენ, რაც „მუხლში ძალის დამლევი" გრძნობის „სიშიშვლისა" თუ სიმხურვალის ხარისხის რამდენადმე კლებას და „განეიტრალებას" განაპირობებდა. მთიელი ვაჟკაცი სიყვარულის შეტყობას და გაცხადებას უკადრ, საჩოთირო, საგმობ საქმედ თვლიდა. ის იტყოდა: „დამლია შენმა სურვილმა, ჭრელკაბიანა ქალაო", ანდა: „სურვილით გახელებულსა ქალას მთა გადუვლავისა". ვაჟაც აქვეა, ხალხურ მელექსეთა ფიქრისა და პოეტური აზროვნების მეზობლად: „შენმა სურვილმა დამლია...")

კაცთა ცხოვრების მამოძრავებელი ძალის მადლი ჰფენია პოეტური ფოლკლორის ათეულობით რჩეულ ნიმუშს, რომელთა ყოველ ყუვსა და კილოში, რიტმსა და ინტონაციურ მიმოხრაში ერთურთის სიახლოვით თუ სავალალო სიშორით ბედითად ალმოდებული გულების გაუნელებელი ალმური ტრიალებს.

ქართული ხალხური პოეზიის უძველეს ნიმუშში „შენ, ჩემო დიდი იმედო", რომელიც აღმოჩენილია ვაჰანის ქვაბთა წარწერებში და XVII ს-ს განეკუთვნება, სანიმუშო ლაკონიზმით და მოხდენილი სახისმეტყველებითი ხერხებითაა ამოთქმული

სულის ის შარავანდედიანი სასოება, ლირიზმი, სითბო და სურვილი, ერთიანად რომ მოუცავს ამურის ისრით დაჭრილი უცნობი ვაჟის არსება:

შენ, ჩემო დიდო იმედო, კოშკო ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო, ქალაქს ნაღებო ინითა,
წითელი მოვის პერანგო, შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ, წმინდავ, ვარსკვლავიანო, მზევ დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო, ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო, შენთანამც წოლა-ძილითა...

ხალხური სატფრიალო თუ სასწორფრო ლირიკა ყოფით-რეალისტურ განზომილებასთან ძალზე მარჯვედ ათავსებს სიმბოლურ-ალეგორიულ პლანს, რაც ერთიათად ზრდის ყოველი ასეთი ნიმუშის მოუხელთებელ იდუმალებას, დაშიფრულობის ხარისხსა და ჭეშმარიტ სიტყვიერ სასწაულთან შეხვედრით შექმნილი „მოციმციმე" ემოციური ველის მასშტაბს. თვით ზომიერად ეროტიკულ ლექსებშიც უსახელო ავტორ-მთქმელთა მხატვრული ოსტატობის ის სასურველი დონე ვლინდება, რაც დასაბამშივე გამორიცხავს თვითმიზნური მანერულობის და უსაგნო ფორმალისტური ძიებების უსიამოვნო კვალსა თუ შეგრძნებას...

პირად უპირატესობაში დარწმუნებული, რაღაცის გამო გულმოსული თუ განაწყენებული ქალი მიმართავს ვაჟს:

შენ რო გგონივართ, ვაჟაო, არცა ეგეთა ქალნი ვართ,
კოშკნი ვართ კირით ნაგებნი, ეკალდამაის კარნი ვართ,
მაღალ მთას გადამდინარნი წვრილნი ლემადის ქარნი ვართ,
იწროს ხევს ჩამამდინარნი ფონთ გაუვალნი წყალნი ვართ,
ცეცხლნი მინდორში ნაგზებნი, – ვაჟავ, შენს გულზე ალნი ვართ.

პოეტური ხელოვნების მხატვრულ საშუალებათა სალაროში იშვიათად მოიძებნება ისეთი ნედლი და ნამდვილი, ხელხვეწილი და ხალხურად ხალასი ტროპული სახეები, რომელთაც, იმავდროულად, საგნობრიობამდე მკვეთრი და „მკვრივი" ვიზუალური ეფექტის ძალუმი განცდაც ახლავს.

თვალსაჩინოებისათვის:

ისე მშვენივრად დაჲდიხარ, ვით წყაროს წყალი ქვებზედა...
....
ბოსლის კარზეით ამოდის, ქალბნელო, შენი ლხინია,
ანათებ ცისკარივითა, მთვარეს მიგიგავ პირია...

გამოვლენ პირის საბანლად, – შუქნი მთათ გადიქლიანო...

...

ისეთი ლამაზი არის, როგორც მთა ჩამოთოილი...

მელექსეები არც მაშინ უჩივიან ნიჭის უკმარისობას, სიტყვის სიმცირესა და წარმოსახვის სივიწროვეს, როცა მათ სამიზნესა თუ თვალსაწიერში სახელგატეხილი, შინაურთა შორის მოწონებული, ხოლო ქმრეულების მხრიდან დაწუნებული ქალი აღმოჩნდება. პოეტური პაექრობა უკიდურესად მაღალ რეგისტრში გადადის და მთელი მისი გარეგნული ავლადიდებით წარმოგვიდგენს ასულს, ვისაც, როგორც ჩანს, არც მორალისა და ზნეობის სფეროში უნდა ჰქონდეს სანაქებოდ საქმე:

ქალ, ქებით გათხუებულო მამისაო და ძმისაო,
ორისაე დაწუნებულო: მაზლისაო და ქმრისაო,
გნახე და არ მამეწონე, ჯოყარო ყამირისაო,
გზის პირს ნადგომო პიტნაო, ჩაშავებულო მზისაო.

1967 წელს კუპრაბალინჩოს მთაზე (პანკისის ხეობა) გიორგი ჯაფარიძეს მეცხვარე შაქრო იჩუიძისგან ჩაუწერია ასეთი ლექსი:

ფიქრმა დაღალა ვაჟკაცი, დაღალა, დაბლა დახარა,
შენ რა ხარ, ჩემო ძმობილო, ფიქრმა მთის შუბლიც დაღარა,
დარეცხა, დაანაოჭა, ზედ ყვავილ აღარ ახარა...

ზოგი რამ ხალხურ პოეზიაშიც უნდა დავტოვოთ უკომენტაროდ!

ყოფის რუტინულ ერთფეროვნებაში ძვირფასი თვლებივით კრთოდნენ (და კრთიან დღესაც) თავისი არსით წმინდა, საწესო რიტუალური დღეები, რომელთა დადგომის მოუთმენელი მოლოდინი განსაკუთრებით მღელვარე იყო და არის ყმაწვილებისთვის...

რიტუალი და მისი ვერბალური ნაწილი, სასმენადაც და სანახაობრივადაც, ჰარმონიულ მთლიანობას ქმნიდა.

ქართველი კაცი უმჯობესი მომავლის იმედს ამყარებდა (და ამყნობდა) ახალ წელზე.

ძველს ყველა წყენა და ტკივილი, ცრემლი და ვაება, სენი და სამსალა თან უნდა წაეღო და ასპარეზი ოცნებების აღსრულებისთვის, ნანატრის გაცხადებისა და განამვდილებისთვის დაეთმო...

საქართველოს მთიანეთმა შობა-ახალწლის აღნიშვნისა და ჩატარების „პერიფერიული" წესი, ავად თუ კარგად, ჩვენამდე

აცოცხლა და შემოინახა. მართალია, ძველი ხიბლი განახევრდა, რწმენა-წარმოდგენებში გაჩნდა ბზარი და კოროზია, მოხდა მითოსური პლასტებით გაშინაარსიანებული სინამდვილის დესაკრალიზაცია, მაგრამ, საბედნიეროდ, დროის დაუნდობლობას მაინც ბევრი რამ დაუსხლტა და გადაურჩა...

„წელწადდილას“ (ასე გამოითქმის ახალწლის დილა ხევსურულ დიალექტზე) სიპი ქვით მშრალად ნაგები ჯვართ უშუქო შენობიდან გარეთ გამოსული, თოვლის გადაშლით „თეთრად აყვავებული“ მეკვლენი სოფლის ხუცესის თაოსნობით საშობაო სიმღერას იტყოდნენ:

ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახდა იშრიშობასა,
ბევრსამც აემ დროს ილოცავთ, წელწადსა, ქრისტეშობასა...

საწესო-კალენდარული პოეზიის სასიმღერო ნიმუშები, გარდა ახალწლისა, სრულდებოდა ასევე სააღდგომოდ, საგიორგობოდ...

თავისი თადარიგი, სასაფუძვლო წესი და თანმიმდევრობა ჰქონდა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოწიფული წყვილის ურთიერთგაცნობას, დაახლოებას, დანიშვნასა და, საბოლოოდ, დაოჯახებას.

და ყოველივე ამას, ერთმანეთისთვის მანამდე უცხო გვარეობის წევრთა დამოყვრება-დამძახლებას, თან სდევდა მაჟორული ლექსი (როგორც აპრობირებული, ისე ექსპრომტად, სახელდახელოდ ნათქვამი), სამხიარულო სიმღერა და ე.წ. სადღეგრძელო-სმურები, რომელთა შინაარსს, ბუნებრივია, ახალყოილთათვის გამრავლების, შიოს მარანივით აშენებისა და ბიბლიური პერსონაჟებივით დღეგრძელობის სურვება შეადგენდა...

ცხოვრების ბრუნვაში ჩართული, გამრჯე და ხელგამომავალი ქართული ოჯახისთვის როგორც მშვიდობიან, ისე შფოთისა და მტრიანობის დღეებში ბაჯაღლო ოქროდ ფასობდა დროის ყადრის შემგრძნობი სტუმარი (თუ წასვლა დაუგვიანდებოდა, ამასაც შეჰბედავდნენ: „დილას ოქრო ხარ, სტუმარო, შუადღეს ვერცხლად იქცევი...“)

სტუმრის მოისე მზე მოვა, წაისე – შავი ღრუბელი... – მღეროდნენ თუშები.

სტუმარნო, სტუმრების მზემა, არცა უსტუმროდ ლხინია, –
უსტუმროდ პური-დ ღვინოი მწარეი, განა ტკბილია?

მზეიმც ნუ მავა უსტუმროდ, მავიდას, განა თბილია?! – ეხმიანებოდნენ ხევსურები...

ფშავ-ხევსურეთში, ხევსა და თუშეთში ვარიანტებად მოარულ ლექსში, რომელიც სტუმრებისთვის ცუდ („სტუმარუნდაურ") დიაცს ეხება, ნათქვამია, რომ ის ღირსია მყინვარწვერზე, ქაჩუს მთაზე, საარხვატოზე... დარჩენისა. ამასაც არ სჯერდებიან და უსურვებენ ხელთ ბალღს და ზურგზე „აკავანს", ქარ-ნიავს და ნიაღვარს, რათა სიცივით და სიმარტოვით სასონარკვეთილის სული ალ-ქაჯებს, ხოლო ლეში – მგელსა და ტურას დარჩეთ.

უმკაცრესი და უკომპრომისო მსჯავრია!

ახლა საპირისპირო ვითარება ვნახოთ.

აი, როგორი სიამაყისა და თავმომწონეობის, სამეფო კარისთვის ნიშანდობლივი შემძლეობისა და სიდარბაისლის განცდითაა გაჯერებული ლექსი, ავკარგიანი მასპინძლის თითქოსდა უჩინარი სახის სახასიათო შტრიხებს რომ ხატავს:

ხმა მადის მასპინძლობისა, ძლივ სამ შავედით შინაო,
ასი სკამს ეჯდა სტუმარი, ორასი დაეწვინაო,
თავად უკრავდა ფანდურსა, ლომსა არ მაეწყინაო.

კლასიკური სიცხადის სტუმარ-მასპინძლურ ლექს-სიმღერებში – „ნეტავ, თქვენ, ქურაზიშვილნო", „მე ლუდოვეთით გამავედ", „თქვენთან მეწადა, არწივნო" და სხვ. – ულევი და უნაპირო პოზიტიური ენერგეტიკული ველია შექმნილი, ველი, რომელიც საქართველოს მენტალობის დიდწილად განმსაზღვრელი ამ ძველთაძველი ინსტიტუტის ჰუმანურ პროფილს ათვალსაჩინოებს, მაგრამ თავისი პირდაპირობით, მართლის თქმის პრინციპის ერთგულებით და კატეგორიული ტონალობით მაინც გამოიჩევა ერთსტროფიანი მაქსიმა თუ აფორიზმი, მკვეთრ სადემარკაციო ხაზს რომ ავლებს გულად და პურად ვაჟკაცთა შორის:

არშის კლდეს ვეფხვი დავკოდე, სამჯერ საომრადა მეტია...
გულადს ვაჟკაცზე პურადი სამის გაფრენით მეტია.

უჭირდათ თუ ულხინდათ, თავს საავდრო ღრუბელი ადგათ თუ მზე უცინოდათ, უჩნდებოდათ თუ უკვდებოდათ, ქართველი ქუდოსან-მანდილოსანი თავის სალმობა-სიამეს ლექსად აფორმებდა. ლექსი იყო მათი წყლულების წამალი, სენისა და სიმარტოვის მალამო, ხმალი, არგანი და ყავარჯენი, ცხოვრების განუყრელი, ყველაზე სანდო და ბოლომდე გამტანი, უღალატო მეგობარი...

ლექსის სტრიქონს უმხელდნენ გულის სიღრმეში გადა-

მალულ ფიქრსა და სამომავლო სურვილებს. „სიტყვაატანილნი“ იყვნენ, „სიტყვა სჭირდათ“ (გ. დოჩანაშვილი), სიტყვასახიერი ლექსით მიინათებდნენ ქუფრი საწუთროს მღვიმეებს, აღმართებს და იმედოვნებდნენ, რომ არ დაიკარგებოდა მათი ნათქვამი („ლექსო, არ დაიკარგები, ნათქვამო ომაისაო...“).

გენიალური ლექსის თქმისა თუ თხზვის წინაპირობა რომ უზრუნველი ცხოვრება და კომფორტული გარემო არაა, ამის დასტური და დოკუმენტია მთელი ქართული პოეტური ფოლკლორი.

ჭვარტლიანი მინურების ბინადარნი, წერა-კითხვაც რომ არ იცოდნენ წესიერად, მელექსეობის ისეთ არატრივიალურ ტრადიციებთან იყვნენ წილდებულნი, პრივილეგირებულ კარის მგოსნებს არც რომ დასიზმრებიათ!

მათი გზა ღვთისგან იყო დალოცვილი, ნაკურთხი და ჯვარდაწერილი (იცოდნენ და აღიარებდნენ: „ხთისგან მაქვ შამანათვალი ლექსების საუბარიო...“).

სამყაროს მეტაფიზიკურ სფეროებთან ასოცირებული შთაგონება მარჯვენა მხარს დაუმშვენებდათ და სულიწმიდის მადლით განათებულ გონებაში მწყობრად ლაგდებოდა ნანახი, მოსმენილი, განცდილი და გადატანილი. და, ალბათ, თვითონ ვერცკი წარმოიდგენდნენ, რა სულიერ საგანძურს, რა „ბროლსა და ბადახშს“ უტოვებდნენ შთამომავლობას.

პოეზიის დროშის ქვეშ ფუძნდებოდა და მიედინებოდა მათი „მეორე“, პარალელური ცხოვრება, მშვიდი თავშესაფარი და მყუდრო ნავსაყუდელი, რომლის გამოისობით იოლად დასაძლევი და მორევადი ხდებოდა ბევრი ტკივილი და უბედურება, ყოველნამიერი ყოფითი სირთულე, საბრხე და ბარიერი.

კითხულობ და აკვირდები, სტრიქონ-სტრიქონ ანაწევრებ და აანალიზებ, ცდილობ სიღრმეში ჩააღწიო, ძირისძირს ჩაწვდე, გახსნა, გაშიფრო, მაგრამ ამაოდ – ვერაფერი მოგიხერხებია, უქმად გიშრომია, გიწვალია. არ გემორჩილება და მორჩა! რაც უფრო დიდხანს უკირკიტებ, მით მეტად კუშტი და ჯიუტი ხდება, გშორდება, თავის ტრანსცენდენტურობაში გაჯერებს, გარწმუნებს... ციხე არ აღებს არათუ კარს, ვიწრო სათვალთვალოსაც კი, წამით რომ მაინც შეძლო შიგნით შეხედვა და ცხრა ბეჭედდასმული საიდუმლოს გასაღების პოვნა...

ფილოსოფიური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში, რომელიც თავისი ვაჟიშვილის დაკრძალვის დღეს „უმღერია“ (!) ივანე გორზამაულს და 1956 წელს ჩარგალში ჯონდო ბარდაველი-

ძისთვის და გურამ ბარნოვისთვის ჩაუწერინებია, იმასაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ბევრი რამ ჯერაც საკვლევი და გასარკვევია ხალხური ლექსის მსოფლგანცდისა თუ პოეტიკის სფეროში...

აი, ისიც:

„რა ვქნისა" ციხე ავაგე, ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ ამ ციხის სანახავადა,
ბევრი უარეს ციხესა, კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: დრო რო მოალის, კარ გაიღების თავადა!

და, ალბათ, ერთადერთმა უფალმა იცის, როდის გაიღება კარი დიადი სისადავით ნაგები ციხისა!

ანონიმი ხალხური მელექსეების რჩეული „ფრთის" ერთი ღონიერი ჯგუფის დაჟინებული ფიქრი და მზერა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ფოკუსირებულია ფილოსოფიური განზომილების ისეთ საკითხებზე, რომელთა ახსნას და მეცნიერულ ინტერპრეტაციას კაცობრიობის ინტელექტუალური ნაწილი, რახანია, ცდილობს და ერთნიშნა, სათანადოდ არგუმენტირებული, მართებულად მოტივირებული პასუხისთვის მაინც ვერ მიუგნია...

გასავლელი გზის თითოეულ ნაბიჯს კითხვის ნიშანთა უწყვეტი მწკრივი აჰკინძვია; პირადი სასრულობის უალტერნატივო პერსპექტივით ისედაც შეძრულ ადამიანს გასძნელებია ნაბიჯის წინ წადგმა, არჩევანის გაკეთება, რაციონალური გადაწყვეტილების დროულად მიღება...

რა იყო ჩვენამდე და რა იქნება ჩვენს შემდეგ?

რაში მდგომარეობს ცხოვრების საზრისი?

რამ უცვალა სახე და ხასიათი ქართულ სოფელს?

სად წავიდნენ და გადაიხაფრნენ მისი უძღები, უმადური შვილები?

რატომ ცვლიან „სალ კლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეზე"?

რის გამო ხდება სამშობლო თანდათან უფრო ვირტუალური, ვაჟასებურად რომ ვთქვათ, შინა რატომ აღარ გვეშინავება?!

ეს წყეულა–კრულვიანი, სიღრმისეულად მნიშვნელოვანი კითხვები დღეს არ გაჩენილა და არც უახლოეს მომავალში შეწყდება მათი მჭახე და კაპასი ჟღერა.

ამ კითხვებზე ყურადღების მიქცევა და აქცენტირება პოეზიის ვალია, ხოლო სამუშაო დღეების განაწესიდან მათი მოხსნა სწავლულთა და ინტელექტუალთა...

ძირმწარე ყოფის შუქ-ჩრდილთა მჩხრეკელი მიამიტი მელექსე გაოგნებული გადაჰყურებს გასხვარიგებულ სოფელ-ქვეყანას და სვამს მარტივ, „გულუბრყვილო“ კითხვებს, იერემიას გოდების ილუზიას რომ ქმნიან და მკითხველის გულისყურს „ჭირიანი“ ცხოვრების (გავიხსენოთ ეაჟა: „ცხოვრება ჭირიანია ჭირით არ ერთით, ორითა...“) ინტერიერისკენ მიმართავენ:

ნეტავი შემატყობინა, მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარულნი ცოლ-ქმარნი უდროოდ რისთვის გაყრილან...
დაცლილან ნასახლარები, ზოგან სულ წმინდად აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან, იმ სოფლის მკვიდრნი შაქმნილან.

სოფლის ბინდისფერობა ხელს ვერ უშლიდა ბუნებით ურჩსა და უტეხ ქართველს, ფანდური აეღო, დარდიან გულზეც ემღერა, ელხინა და მტრისთვის თუ მოყვრისთვის თავისი სულის „ფიზიონომია“ ეჩვენებინა:

განა ლაღი ვარ, რო ვმღერი, გულისა დარდებს ვიქარვი,
ვინაც ჩემდ იტყვის ლაღია, ჩემსავით ლაღიმც ის არი...

შატილის წარსულიდან:. უსაშველო სენმა სოფელი გააანახევრა. ცოცხლები გარდაცვლილთა გასვენებას ვეღარ აუდიოდნენ. სამარის გორზე ყოველდღე ახალი, დიდ-პატარა ბორცვები ჩნდებოდა, ციხე-ქვითკირების მკვიდრთ სასტიკმა დროებამ ჩამოუარა და უმოწყალოდ „ჩათიბა“ ბერი და ახალი. გადამთიელებმა ვერაფერი დააკლეს და ეპიდემიამ დარიათ ხელი. ახვერდი – მაჰმადის მრავალათასიანი ლაშქრის მომრევებს კაცის „კიაპის“ დალევის საფრთხე დაუახლოვდათ... და როცა ჟანგისფერ შარა-უბნებში, აუღებელ სიმაგრეებში, საფეხვნოსა და ბან-კარზე ავის მაუწყებელი დუმილი ჩამოწვა, ერთ-ერთი კოშკის ზეთათვალში ფანდური ახმიანდა, რასაც ზარიანი (და რალაცით – შესაძლოა მოულოდნელობითაც, – შემზარავი!) სიმღერა მოჰყვა. ერთი იწყებდა და ორნი ბანს ეუბნებოდნენ. მეზობელ შენობათა ჭერხო-ძირისახლებში შეყუჟული შატილივნები გაკვირვებისგან გაქვავდნენ, გაოგნდნენ. მიაყურადეს და სიმღერა რომ აღარ გათავდა, ცოტა არ იყოს, მწყრალი, ნაწყენი ხმით ასძახეს:

– რას სჩადით, მკვდრები ზეპირ გვისვენია და რა გემღერებათ?!

– სიკვდილს ვაშინებთ! – იყო მოკლე, მოკვეთილი პასუხი-შუახნის მომღერალ მამაკაცთა მხრიდან....

არ ეპუებოდნენ სოფლის სიავეს; არც სიკვდილს უჩოქებდნენ და ემალებოდნენ; ხან აშინებდნენ, ხანაც დასცინოდნენ და ღონიერი მხრებით („ვითარცა ხართა მხნეთა დაუღლვილთა...") მიჰქონდათ თავთავიანთი წილი საწუთროს ბარგი და ბეგარა...

ცალ ხელში ხმლით და მეორეში ერქვანით ანდა კავიანი ჯოხით მიჰკვალავდა ბილიკს (და მიჰყვებოდა ორნატს) ჩვენი წინაპარი. წინ მიდიოდა და სწამდა, რომ თავისი ცდით, შრომით, შავ ბედთან ბრძოლით მოძმეს და შთამომავლობას „სიძნელეს გზისას" გაუადვილებდა...

წამის-წამ საფრთხე და ხიფათი ეხედვებოდა მეცხვარეს. ეს კარგად იკითხება ლექსების ციკლში, მის ყოფას რომ ასურათხატებს.

დარ-ავდრის გამრიგე დამასტურს, ელიასა თუ „ჭიხალე ხისოს თავისას" შესაწირს შეუთქვამდა („შეუსახელებდა"), ოღონდაც სტიქია აეცილებინა თავიდან, ხოლო ორ თუ ოთხფეხ მპარავთან პირისპირ უხდებოდა შებმა და, არცთუ იშვიათად, „თავსაც იქ დებდა ჭაღარსა..."

ძნელია, ძმაო, მწყემსობა, მუხლს ადნობს კაი ყმისასა, – ჩივის ერთი

გადაიარე ღრუბელო, ნუ მაიყოლებ ავსაო,
მთის პირს მდგომარე მეცხვარეს ნუ უზარალებ ცხვარსაო,

წელზე არღვევდა ნამქერსა, არა ზოგავდა თავსაო, – ემუდარება მეცხვარის (ალბათ) ახლობელი ღრუბელს, ტყვიისფრად რომ წაგრაგნილა ცაზე და ერთიანად დაუბნელებია „ქვეყანა ხილულიანი..."

მაგრამ არც მეცხვარე ყოფილა სულ მუდამ შიშნარევ მოლოდინში; მეცხვარე, მხრებზე ხანდახან ნაბდის ნაცვლად სველი ნისლი რომ მოესხა და იალაღებზე შეფენილი თუ თეოზე „დაყრილი" თეთრი ფარის შემყურეს გული სიამით და სიამაყით ევსებოდა:

ვინა თქვა შენი დალევა, გამთეთრებელო მთისაო,
პატრონის გამლაღებელო, გამჯავრებულო მტრისაო...

ხალხური პოეზია უდანაკარგოდ და მაქსიმალური გამომსახველობით ინახავდა და ინახავს დღესაც კაცთა ცხოვრების ცალკეული მხარეების ისეთ წახნაგებს, დროთა განმავლობაში ტკბილმოსაგონარ რეალობად თუ უქმ, გამოუსადეგარ რელიქტად ქცევის საშიშროებაც რომ შეიძლება დაემუქროს.

მეცხვარეობა სამეურნეო ყოფის ის სეგმენტია საქართველოში, ვაჟკაცურ სულთან, ამტანობასთან, მუხლმოუღლელ ჯაფასთან რომ ასოცირდება და საკადრის ასახვას ჰპოვებს მათსავე – წელიწადის დროთა უმეტეს მონაკვეთებში ველებსა თუ იალაღებზე მყოფი მეცხვარეების – წრფელ, მართალ, მიამიტ სტრიქონებში.

და დღეს, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში კატასტროფულად კლებულობს ცხვარ-მეცხვარის რიცხვი, თანდათანობით იშლება და იფიტება ის ნიადაგიც, ე.წ. მეცხვარული პოეზიის შექმნას რომ შეელოდა და ესაძირკველებოდა.

ამჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით რთული წარმოსადგენია, ვინმე მეცხვარეს (სულერთია, ის თუში იქნება, ფშაველი თუ მოხევე) პირადმა მდგომარეობამ კიდევ წარმოათქმევინოს თუნდაც ასეთი ტრივიალური, მწყემსური ყოფა-ცხოვრებით ნაკარნახევი, მკვეთრად „ნატურალისტური“ და, ამასთან, რაღაცით სულფონი სიტყვები:

ცხვარ მიდგა გარეჯაშია, არბუკზე მიძე ბინაო,
ახადელთ ქალებს ჩავხედავ, სნეულივითა ვგმინაო...

დაბადებითვე მარჩენალი ბუნების კალთას მიბმულ და მიანაბრებულ, სუფთა სოფლურ გარემოში აღზრდილ ადამიანს შემუშავებული ჰქონდა წინამორბედთა ხანგრძლივ გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნის მწყობრი, მონოლითური სისტემა, რის მიხედვითაც ადვილად ახერხებდა წლის სიბერწისა თუ მოსავლიანობის წინდაწინ გამოცნობას.

ცოდნა, თავის მხრივ, გავრცელებას, განფენას, სხვათათვის გადაცემა-გაზიარებას გულისხმობდა და, როგორც ერთგვარი კომპენდიუმი, როგორც თავისებური ჯამი და დანასკვნი გარესინამდვილის საიდუმლოებათა სათავეების წვდომისა, ერთობ ლაკონიურ და პრაქტიკული თვალთახედვით დიდად საინტერესო ლექსად ამოითქმოდა:

აღდგომა სჯობს ნამიანი, ამაღლება – დარიანი,
სხვას კი არას მოასწავებს – პური მოდის ძალიანი.

ხალხურ ლექსშივე იმკვიდრებდა არა კნინ და უჩინარ, არამედ ვრცელ და უსაჩინოეს ადგილს მგლისმუხლიან მოყმეთა ცხოვრების ისეთი აზარტული, რომანტიკული, ხოლო ხშირ შემთხვევაში აშკარა რისკთან გადაჯაჭვული სფერო, როგორიცაა ნადირობა.

ეს გახლდათ ხელმოკლე, უპოვარ-უქონელი პატრიარქალუ-

რი ოჯახებისთვის არამარტო მატერიალური „კეთილდღეობის" დამატებითი წყარო, „ნაყროვანების" საწინდარი და წინაპირობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მრისხანე და სამართლიანი, მოწყალე და წარბშეუხრელი ბუნების პირისპირ ეულად დარჩენილი ვაჟკაცის ფიზიკური მზაობის, სიმარჯვის, პიროვნული ღირსებისა და ნებისყოფის უშეღავათო, უობიექტურესი გამოცდა.

„ჯიხვების მუქარაზე" სთვლის გრილი, თვირთვილიანი ღამის თეთრად მთეველი გონიერი მონადირე ტაბუს, დადგენილ წესს ადვილად არ დაარღვევდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი აკრძლავას მაინც დაივიწყებდა, წინაპართა ანდერძს უგანებდა და ხარბად დახოცილი ნადირის ლეშს, ტყავსა და თავრქას საყვავყორნედ აქცევდა, ჯიხვთა მწყემსისა და მფარველის უსაზომო რისხვას ვეღარსად წაუვიდოდა: ან ფრიალო, მუდამ ქარ-ნიავიანი ქარაფის ანაწერი გახდებოდა ან კიდევ ცოლ-შვილში ვერ გაიხარებდა, ოჯახში ვეღარ იხეირებდა.

ასეთი ურჩობის, თავნებობისა და ზღვარგადასულობის გამო დაისაჯნენ ლეგენდარული თუ ნახევრადმითიური ქართველი მონადირეები: სინდიურისძე, ჯარჯი, ივანე ქვაციხისელი, სვანური სამონადირეო ეპოსის გმირი ბეთქილი (ჩორლამ და თეთრმა მანგურმა წინდახედული საქციელის სანაცვლოდ შენდობა და შეწევნა დაიმსახურეს ნადირთა სამართლიანი ქალღმერთის მხრიდან)...

თუმცა ეს ნადირობის, როგორც ავტონომიური სამეურნეო დარგის, მხოლოდ ერთი, ასე ვთქვათ, პრაგმატული მხარე და განასერია. სხვა საკითხია, როგორ ასახა ხალხურმა პოეზიამ თანატოლებზე რაღაცით მეტი – „საშუალამო მასკვლავი საგათენებო" რომ ჰგონიათ – მონადირეების განცდა, რთული გზა და ნამოქმედარი...

ერთი უცნობი მელექსე, მის ხელთ არსებული ულევი ლექსიკური არსენალისა თუ ხატოვანი ხალხური აზროვნების თავისებურებათა ნებითი თუ უნებლიე გათვალისწინებით, ისეთ ვიზუალურ სურათს, ისეთ მხატვრულ სინამდვილეს ძერწავს, რომელიც რაღაცით მეტია, ბევრად მაღალი და მეწინავეა სამონადირეო თემატიკის სხვა ხალხურ ლექსებზე.

სასიკვდილოდ დაკოდილი ხარირემი (შესაძლოა მასში ადამიანსაც გულისხმობდეს მათქვამი!), სისხლად რომ იცლება და მაინც არ ურიგდება თავის მძიმე ხვედრს, პოეტური დია-

ლოგის სრულფასოვან მონაწილედ წარმოსდგება. იგი ორიოდ ფრაზით გვაუწყებს, რაც თავს გადახდა და თუნდაც ერთი სააუგო, სასაყვედურო სიტყვა რაა, იმასაც არ იმეტებს დამჭრელთა მიმართ.

– სად იყავ, ხარო ირემო, სად გაიბასრე სისხლითა?

ალგეთით მოვალ, ბატონო, მთა გადმოვლახე ნისლითა,

– დამკოდეს ხათუთისძეთა, ისარი მამაქვ კისრითა!...

პოეზიის ამგვარი, უაღრესად ლაკონიური, უჩვეულოდ ორიგინალური ნიმუშები გვიტოვებენ იმედს, რომ ალგეთს, სადაც, ერთი ხალხური ლექსიდან თუ ამოვალთ, საქართველოს აღდგომისა და გადარჩენის დვრიტა ძევს, არც ესოდენ დინჯად და დარბაისლურად „მოლაპარაკე“ ქორბუდა ირმები მოაკლდება და არც „ლეკვები მგლისანი“, მტრის ჯავრის ამომყრელებად რომ იზრდებიან და მოიაზრებიან...

ერს, თუკი ის ბალადა „ვეფხვისა და მოყმის" ბადალი შედევრების შექმნის გამორჩეული ნიჭითაც დაუჯილდოებია განგებას, უკვე აქვს შეტანილი ნარუვალი ღირებულების წონადი წვლილი საკაცობრიო სულიერი კულტურის უმდიდრეს საგანძურში!

იდეა, ამ სწორუპოვარ ნაწარმოებს რომ მსჭვალავს, ის უკიდურესი სასაზღვრო ხაზი და ნიშნულია, რომლის იქით გაღწევა ადამიანის დიდბუნებოვნებას ძნელად თუ ძალუძს...

ტოლძალოვანთა, ერთურთის საფერთა (გნებავთ – სწორფერთა) პატიოსანი ბრძოლა, „შუაღამის“ ხანს რომ დაიწყო, ორივესთვის მზიანი დღის შავად დაღამებით (მაინც რამდენ ხანს გრძელდებოდა მათი ჭიდილი!) მთავრდება. ფხიანი ფრანგულით „უწყალოდ“ დაჭრილი ვეფხვი ქვიშას „ჩამოაწითებს“, ხოლო სულამომდინარი მოყმე კლდის თავზე შემოწვება... გადარჩენა არც ერთს არ უწერია. ბოლომდე დაიხარჯნენ და დაქანცულები დაეცნენ. „ხთისთვალიანი" ვეფხვი უბრალო ნადირი არაა. არც „პირშიშველა“ მოყმეა სხვათა მრავალთა მსგავსი ვაჟკაცი. ისინი ნაწილიანნი, ღვთიურ მადლთან წილდებულნი არიან. ამიტომაც არ ჰგავს მათი შებმა ჩვენთვის ცნობილ უამრავ სხვა საბრძოლო ამბავს... მაგრამ ეს ყოველივე მაინც მოსამზადებელი ეტაპია, წინკარია იმისა, რაც შემდგომ უნდა მოხდეს. ბალადის გაგრძელებაში, მეორე ანუ ახალ, გვიან დამატებულ ნაწილში, გამოჩნდება მოყმის მტირალი, „თვალცრემლიანი“ დედა, ვინც იცის მომხდარის შესახებ და ამბობს

მონოლოგს, რომელიც მის უსაზღვრო კეთილშობილებაზე, მიუმხრობლობაზე, მართალმესიტყვეობასა და იმ ფენომენის სიდიადესა და აღმატებულებაზე მეტყველებს, დედაშვილობა რომ ჰქვია. მისთვის ორივე, ვინაიდან „არ დარჩენენ სირცხვილიანნი“, თანაბრად დატირების და, მაშასადამე, დაფასების ღირსია... სიზმარში ხან ერთი იმარჯვებს, ხან – მეორე. ძილშიც ორთაბრძოლის მაყურებელი მოყმის მშობელი დატანჯული იღვიძებს და ფიქრობს: უდედოდ შვილის გაზრდა სად თქმულა, „იქნება ვეფხვის დედაი" ჩემზე მწარედ ტირისო... ქვეყნად ძეხორციელი არ მოიძებნება, მათი – მემკვიდრეებმკვდარი დედების – წუხილი რომ გაიგოს და გაიზიაროს. ამიტომაც სულის მოსაფონებლად ერთადერთი სწორი გზა რჩება: ადგეს, წავიდეს და მიუსამძიმროს ვეფხვის დედას! ის კიდევ თავისას უამბობს და...

ეს უკვე ჩვენი, შორიდან, „ნეიტრალური" ზონიდან მაყურებლების სუბიექტური აზრი და შთაბეჭდილებაა: როგორც კი „ვეფხვებთან მეომარი" მოყმის გამზრდელმა დედამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, მტრობით და სისხლისღვრით დამძიმებული სამყარო, როგორც ვაჟა იტყოდა, „ცხრის მზით და ოცის მთვარით“ განათდა.

დიდსულოვნებამ სძლია და გადაფარა ვიწროპიროვნულ ჭრილში სატკივარის ჩარჩენის შესაძლო პერსპექტივა.

ჰუმანიზმის კაშკაშა, უღრუბლო, მოწმენდილი მწვერვალი!

ასეთი მხატვრულ-მეტაფორული შეფასებაც შეჰფერის „ვეფხვის და მოყმის“ ბალადას, რომლის სადარი და საპირწონე, შეგვიძლია ვთქვათ, მსოფლიოს პოეტურ ფოლკლორს არაფერი მოეძევება!..

* * *

ზოგადქართული ხალხური პოეზია ერის სულისა და მენტალობის მეტყველი ხატია, რომლის წყალობითაც, ისტორიული ცნობებისა თუ წყაროების არქონის შემთხვევაში, მეტნაკლები სიზუსტით შეგვეძლებოდა მისი შინა-ბუნების, მსოფლმხედველობის, ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიურ საკითხთან მიმართებისა თუ სარწმუნოებრივი ორიენტაციის თავისებურებათა ერთიანი სურათის უმთავრესი კონტურების აღდგენა.

სვანური საფერხულო ლექს-სიმღერები, სულშიჩამწვდომი მეგრული ლირიკის მთრთოლვარე ნიმუშები, მთის კუთხეთა

შეუდარებელი პოეტური ფოლკლორი, ღაზური, იმერხეული, ინგილოური თუ ფერეიდნული ხალხური პოეზია კავკასიის უძველეს მკვიდრთა – ქართველთა „მოდენილობისა" და თავგადასავლის ემოციით გაჯერებული სანდო მხატვრული მატიანეა, სადაც საუცხოო სილამაზითაა გამოკვეთილი მუდამ მტრიანი ქვეყნის სამისდღეშიო ფიქრი, სურვილთა „დიადობანი", საარსებო ინტერესთა მრავალმხრივობა და გაძლების, გადარჩენის, დღე-გრძელობის საიდუმლო.

ზემონახსენები ეთნიკური ერთეულების ზეპირსიტყვიერი ქმნილებანი, გენეტიკური თუ ტიპოლოგიური თვალსაზრისით, ახლომდგომი და მონათესავეა, რაც პროტოქართველური ენიდან მათ მომდინარეობას მოწმობს.

უთვალავი ფერით არსებული ქართული ცა-მყარის, განუმეორებელი ნაციონალური სივრცის, საგნობრივი სამყაროს ფერთა თანაფარდობის სევადი და სამკაულია, ასევე, ფეთქებადი მხედველობითი ხატებით „დანაღმული" მრავალსახოვანი ხალხური პოეზია, თავისი ამოუწურავი გამომსახველობითი ხერხების მეოხებით სუბლიმირებულ ოდენობად, თვითკმარი მნიშვნელობის ესთეტიკურ ფასეულობად რომ აქცევს უენო ლოდს, ნისლსა და ნიავს, ბალახზე მბზინავ ნამს, ფრთამოხატულ პეპელას, ნარზე ჩაძინებულ ნიბლიასა და, საერთოდ, ნებისმიერ ყოფით, ბანალურ, „პროზაულ" დეტალს...

გლოვისა თუ სიხარულის ქართველი მგოსნებისთვის იმდენად მშობლიური, ორგანიული, სპონტანური და არსისმიერია ლექსი, რომ მისი სიტყვებისა და სტრიქონების რიტმულ-ინტონაციურად მოწესრიგებულ ერთობლიობას ფეხადგმულ, მოძრავ, პერსონიფიცირებულ სულდგმულად ხედავენ და აღიქვამენ ისინი:

ლექს გზაზე შამამეყარა, მამწადდა საუბარია...

მანამდე არ განელდება მართალი ხალხური პოეზიის ღველფი და ნაკვერჩხალი, ვიდრე ადამიანის სულის ჭრილობათა ამ უპირველესი მალამოს ასეთი განცდა იარსებებს საქართველოში.

ქართული ციხე-კოშკები

(ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

საქართველოს ძველთუძველესი მიწა-წყალი ძნელი წარმოსადგენია თავდაცვითი დანიშნულების სამხედრო და საცხოვრებელ ნაგებობათა გარეშე.

მუდამ მტრიანი („ცუდას რად უნდა მტერობა...“ – ვაჟა) და ბრძოლების ქარცეცხლიდან გამოუსვლელი ქართველი ხალხი უმძიმესი განსაცდელის ჟამს ამ ნაგებობებში პოულობდა მყუდრო თავშესაფარს, უშიშ, უხიფათო ალაგს,ნუგეშსა და ფიზიკური განადგურებისგან გადარჩენის სასოს.

საუკუნოვანი კოშკები (ამ მხრივ შეუდარებელია სვანეთი) თუ ციხე-სიმაგრეები დღესაც მყარად, ამაყად დგანან მრავლისმომსწრე ბებერ მიწაზე და ზვიადი მზერით მარადისობაში აცილებენ დღეებს, თვეებს, ასწლეულებს...

ქვის მკაცრ, ვაჟკაცური სულისკვეთების სადარ სიმფონიაში განსხეულებულ ერის შემოქმედებით უნარს წრფელ აღტაცებაში მოჰყავს მრავალრიცხოვანი მნახველი.

უთვალსაჩინოეს ნიმუშად „შუღლნაუგები“ შატილის დასახელებაც იკმარებდა. ერთურთზე მიჯრით მიწყობილი, მხარბეჭით ერთმანეთს მიქადლებული ქვითკირები უმძაფრეს შთაბეჭდილებას ტოვებენ ადამიანში. ანონიმი დამგეგმარებლების, არქიტექტორების, ძველი ტერმინოლოგიით – „ქჯთხუროთა მოძღუართა“ მიერ ჩაფიქრებული ციხე-სოფლის ჟანგიან კედლებს, ჩარდახებსა და ქვითკირებს ის შორეული ეპოქებიც ცხადად ახსოვთ, როცა თოფისა და ტყვია-წამლის ნაცვლად ხმალი და მშვილდ-ისარი წარმოადგენდა თავმოყვარე მთიელთა უმთავრეს საომარ იარაღს:

ძველი დრო მაშინ ყოფილა,
მშვილდნი რო სჭექდეს რქისანი,
ეყარა ციხის კარებში
ნალეწნი ფრანგულისანი...

საქართველოს მთიან კუთხეებში შენდებოდა სახელობითი საგვარეულო კოშკებიც, რომელთა მფლობელებად კონკრეტული გვარისა თუ მამიშვილობის (ქვეგვარის) წარმომადგენ-

ლები ითვლებოდნენ. მათ ხელთ იყო თემსოფლის „სიმტკიცის ბჭეთა" გასაღები. და, გამომდინარე უფლებრივი უპირატესობიდან, მათვე ეკუთვნოდათ პირველი სიტყვა მტრის შემოსევისა თუ მასზე გალაშქრების დროს...

ხალხური პოეზია – მეურნე და მეომარი ერის ზეპირი, უწერილობო ისტორია – ხაზგასმული სინანულითა თუ მადლიერებით ახსენებს ხოლმე იმ ამაგდარ, ვალმოხდილ ციხესიმაგრეებს, რომლებთანაც ამა თუ იმ „სოფლიონის", გმირისა თუ გვარის საგმირო თავგადასავლებია დაკავშირებული.

ახად, გოდერძის ციხეო, მოგიდგეს თენებაზედა...
.....
აბულეთაურთ ციხესა კარი არ შაჰჴსნან ხისაო...
.....
ციხე სტირს შუქიაურთა, უხმობს ქვითკირის კარია...

ისტორიკოსი შოთა მესხია აღნიშნავს: „ყველა იმ პირს, რომელიც თავისი შრომით ამა თუ იმ საქმეს ასრულებდა საერო თუ სასულიერო ნაგებობათა მშენებლობაში, „მუშაკნი" და „მაშენებელნი" ეწოდებოდათ... იმათ კი, ვისაც ჰქონდა „ჴელოვნებაჲ ხუროებისაჲ", „ხურონი" ეწოდებოდათ. „ხურო", როგორც მშენებელ ხელოსანთა აღმნიშვნელი ტერმინი, ქვითხუროს, ხითხუროს და მშენებლობის სხვა წარმომადგენელთა (მაგ., ქვის მთლელნი და სხვ.) გამომხატველი იყო (შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. I, თბ., 1982, გვ. 26).

ციხე-კოშკის აშენების განზრახვა და დაწყება შესაფერისი მასალის მოძიებას, შეგროვებას და დანიშნულების ადგილამდე მიტანას გულისხმობდა, რაც, რასაკვირველია, დიდძალ მუშახელსა და ტევად, განსაცვიფრებლად მძიმე ფიზიკური სამუშაოს ჩატარებას საჭიროებდა.

მშენებლობისთვის სტრატეგიულად გამართლებული, ვარგისი, ხელსაყრელი, მოხერხებული ადგილი უნდა შერჩეულიყო. უბზარო ბალავერი აუცილებელ ნინაპირობად ითვლებოდა იმისათვის, რომ თავდაცვითი ფუნქციის მქონე ობიექტის გამძლეობაზე, ჩამოუშლელობასა და დიდ სამომავლო პერსპექტივაზე ეფიქრათ...

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ადგილობრივ ოსტატებთან ერთად ციხე-კოშკებს ჩრდილოკავკასიელი ქვითხ-

უროებიც აშენებდნენ. ჯალამბარის დახმარებით ქვის მაღლა აზიდვისა თუ კედლების მოპირკეთების დიდი გამოცდილება ჰქონდათ და თავიანთ პრაქტიკულ ცოდნას, დადგენილი საზღაურის სანაცვლოდ, მეზობელი ტომების ტერიტორიებზეც ასხამდნენ ხორცს...

ვაინახების სამშენებლო საქმეშიც განასაკუთრებული მნიშვნელობა ბალავერის სიმტკიცეს ენიჭებოდა. ნაშრომში „ვაინახური საგმირო ეპოსი" (თბ., 2008) მექა ხანგოშვილი წერს: „საბრძოლო კოშკების მშენებლობაში ვაინახმა ხუროთმოძღვრებმა თავიანთი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს...

.....

საბრძოლო კოშკებს (ბოუ) არ გააჩნიათ საძირკველი და აშენებულია კლდიან საფუძველზე. კლდეს, კლდიან ქანს, რომელშიც შენდებოდა ნაგებობა, არ უნდა ჰქონოდა რაიმე ბზარი, ნაშალი. იგი უნდა ყოფილიყო მტკიცე და საღი. ამის დასადგენად კოშკის ასაშენებლად შერჩეულ ადგილზე ასხამდნენ რძეს და თუ ის არ იწოვებოდა ქანში, იდგა როგორც ჭურჭელში, იწყებდნენ მშენებლობას" (გვ. 92-93).

ციხე-კოშკების მშენებლობის დაწყებამდე ბუნების სტიქიისგან მათ დაუზიანებლობასა და უვნებლობაზეც კეთდებოდა აქცენტი. ამ კუთხით იქცევს ყურადღებას ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" (თბ., 1941) ერთი ნიშანდობლივი მონაკვეთი: მთიულები „აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკთა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალსა და კლდე გორიანსაზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ არღარა ეკვეთის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ" (გვ. 111).

მიწის წიაღიდან ამოღებული თუ „კლდისგან აღმოკაფული" (აბუსერისძე ტბელი) ქვის ჯიშსა და სახეობაზე იყო დანდობილი და დამყარებული ციხე-სიმაგრეთა „სიჯანსაღე", დღეგრძელობა და მედეგობა უმონყალო, უნდობარი დრო-ჟამის წინაშე.

აკად. გიორგი ჩიტაია ლეჩხუმელთა სამშენებლო ცოდნისა და გამოცდილების განხილვისას ეხება და მიმოიხილავს საამისოდ საჭირო მასალის საკითხსაც და განასხვავებს სამი სახეობის, სამი ჯიშის ქვას. ესენია: ჩეთი, ბასრი და სიპი (პირველში რბილი და შლადი ქვა იგულისხმება, მეორეში მკვრივი,

ხოლო სიპი იგივეა, რაც ფიქალი). მკვლევარი იქვე გვაცნობს ბალავერის ლეჩხუმურ შესატყვისს – „თამალი“ და ქვის ორ სახელწოდებას: „კასალქვა“ და „ბაღდადი“ (გ. ჩიტაია, შრ., ტ. III, თბ., 2001, გვ. 388).

დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვდა ქვის დამუშავება. „მომჭრელნი ქვათა“ თავიანთ ნახელავს ქვის მთლელებს ანუ, მემატიანეთა ენით რომ ვთქვათ, „ქვის მკაზმველთ“ გადასცემდნენ, რომელნიც სასურველ ფორმას აძლევდნენ უტყვ, უენო, უჯიათ მასალას.

„მაშენებლებს“, ხშირ შემთხვევაში, „ქვეყნის დავაკება“, ადგილის მოსწორება უწევდათ, რათა უძრავი საძირკველი ჩაყრილიყო და სიპერდამდე, პირამიდულ სახურავამდე თუ ქონგურამდე მწყობრად წარმართულიყო წარმატებით დაწყებული სამშენებლო პროცესი.

ხალხურ პოეზიას თუ დავუჯერებთ, არა მხოლოდ არჩევდნენ მკვრივ, კლდოვან ადგილს, სიმაგრის საძირკვლად სინასაც (სპილენძი – ა.ა.) იყენებდნენ. ციხის ნაშალი (იგულისხმება ბარისახოს „ხმალა“) ამბობს:

შალვაის აგებული ვარ,
სინისა მედგა ძირიო.

იგივე მეტალი ფიგურირებს საკულტო ძეგლის მშენებლობაში:

გუდან აგებენ ბელელსა,
ზღურბლად უდებენ სინასა.

არც რძის, კვერცხის გულისა თუ სხვა საკვები ინგრედიენტების ნაზავი ყოფილა უცხო ქართულ სამშენებლო პრაქტიკაში. ნაირფეროვანი სასიცოცხლო „ფერმენტების“ შემცველობითაა გამორჩეული სვანური ოთხკუთხა კოშკები. სვანეთში „კოშკი თავდაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველად ყველა ოჯახი ცდილობდა მის აშენებას. კოშკის მშენებლობაში მთელი სოფელი, თემი და ხშირად ხევიც კი ღებულობდა მონაწილეობას. კოშკის მშენებელ ოჯახს ეხმარებოდნენ მუშახელით, სურსათ-სანოვაგით, საშენი მასალითა და გამწევი ძალით. სვანების გადმოცემით, კოშკების მშენებლობის დროს

რძეში გახსნილ ჭვავის ფქვილს კირქვაში ურევდნენ. ამგვარი ხსნარით შედუღაბებული კოშკები უფრო გამძლე და მონუმენტური იყო" (გ. სოხაშვილი, სვანეთი, თბ., 1971, გვ. 7)...

ციხე-კოშკის სილამაზე და პროპორციულობა მის „მაშენებელთა" ნიჭზე, თვალის სისწორესა და სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული.

ქვითხუროს ინდივიდუალური ხელწერა, შემოქმედებითი „სილაღე" და თავისთავადობა დასრულებული „ობიექტის" გარეგან სახეზე აღიბეჭდებოდა.

სავალდებულო სტანდარტები, ალბათ, ყველგან და ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ნებისმიერი ციხე-კოშკის ფორმაში, ქვათა წყობასა და არქიტექტურულ დეტალებში იყო რაღაც „სუბიექტური", მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი...

სადღეისოდ ასეულობით ფუნქციადაკარგული და დანიშნულებამოშლილი ციხის გამძლეობაზე იყო დაფუძნებული პატრიარქალური მთის ტრადიციული სოფლების მომავალი. ის, რაც ახლა არქიტექტურული ოსტატობის დონით და ხარისხით ფასდება, ერის ფიზიკური გადარჩენის უმძლავრეს ფაქტორად განიხილებოდა არცთუ ისე შორეულ წარსულში. ციხე-კოშკში შეხიზნულ მოსახლეობას ზოგჯერ კვირეების განმავლობაში უწევდა მტრის მოგერიება და ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, სასიცოცხლო დატვირთვას იძენდა და ითავსებდა ყოველი ასეთი ნაგებობა...

სერგი მაკალათიას მონოგრაფიაში „თუშეთი" (თბ., 1983) აღწერილია დართლოში მდებარე პირამიდულსახურავიანი ნადირაანთ ციხე (უფრო ძველად ნაჭაურიძეების ციხე რქმევია), რომელიც ექვსი სართულისგან შედგებოდა და თვითეულ სართულს თავისი დანიშნულებას ჰქონდა: პირველ სართულზე, სადაც მეორე სართულზე ამოჭრილი ერდოდან ჩადიოდნენ, ტყვეებს ამწყვდევდნენ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე სოფლის მცხოვრებნი თავსდებოდნენ, ხოლო მეექვსე სართული, სადაც მზვერავები და მეციხოვნეები იდგნენ, საომრად იყო გამართული. ციხის მცველები ჩარდახებიდან ისროდნენ თოფებს, აგორებდნენ ქვებს და ამგვარად იგერიებდნენ კარს მომდგარ მტერს.

იმავე ციხის რამდენადმე განსხვავებული დახასიათებაა მოცემული გიორგი ბოჭორიძის ნაშრომში „თუშეთი" (თბ.,

1993). ავტორი აღნიშნავს, რომ თუშეთში ორი სახის ციხეა: „შენვერილი" და „სიპით დახურული". ორივენაირ ციხეს მაღლა სართულებში ჩარდახები, საომრები, სამზირები და „შუკუმები" აქვს. ციხის პირველი თვალი (სართული – ა.ა.) ბარგის შესანახად არის განკუთვნილი. იქ მდგარა საპურე კიდობნები, საწყლე კოდები და სხვა მძიმე ბარგი... რაც შეეხება ნადირაანთ ციხეს, გ. ბოჭორიძის თანახმად, პირველ თვალში ტყვეები იმყოფებოდნენ, მეორეში დიაც-ყმანვილი, დანარჩენი ოთხი თვალი მეომარი ხალხის განკარგულებაში იყო...

ციხე-კოშკები თუშეთში, ზოგადად, საზიარო ყოფილა კაცებისა და დიაცებისათვის. იყო გამონაკლისიც: „ციხის დედას", რომელიც დართლოში, იდოიძეების ციხის ძირას მდგარა, ქალები და ბავშვები აფარებდნენ თავს, ხოლო კაცები იქვე აღმართულ წვერიან ციხეს მიაშურებდნენ მტრიანობის დროს (გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 56-58).

თუშეთის სინამდვილეშივეა დადასტურებული „სადიაცო ციხეები", უფრო მოზრდილი და განიერი, სადაც შფოთიან დღეებში დიაც-ყმაწვილი და საქონელი თავსდებოდა ხოლმე (გიორგი ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, 1990, გვ. 12).

გ. ცოცანიძის თქმით, თუშეთის საგვარეულო ანდა სასოფლო ციხეები ჩვეულებრივ, მიუვალ ადგილებში შენდებოდა და მხოლოდ ერთი მხრიდან შეიძლებოდა მათთან მისვლა ვიწრო ბილიკით, რომელსაც ყველა სართულიდან გამომავალი სათოფურები უთვალთვალებდა (იქვე, გვ. 12).

საქართველოს მთიანეთში ციხე-კოშკების რაოდენობა მათი პრაქტიკული საჭიროებით განისაზღვრებოდა. ნაგებობის სტრატეგიული დანიშნულება სასაზღვრო ადგილების დაცვასა და გამაგრებაშიც მდგომარეობდა. რაც მეტი და ხშირი იყო მოლოდინი მტრის შემოსევისა, მით მეტი თავდაცვითი ობიექტის აშენება უწევდა კონკრეტულ კუთხეს, ხეობას, სოფელს.

ქვეყნის თავკაცთა და ხელისუფალთა მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული დარიალის კარი, საიდანაც სამხრეთ რუსეთის ველებზე მობინადრე ტომები (სკვითები, ალანები, ხაზარები) ემუქრებოდნენ იბერიის სამეფოს.

ერთ-ერთ ასეთ სტრატეგიულ გეოგრაფიულ პუნქტად მოიაზრებოდა ხადას ხეობა მთიულეთში, სადაც თავის დროზე სამოცი გამძლე ციხე მდგარა.

არის ასეთი ხალხური ლექსი:

არ ვიცი ხანდო-ჭართალი,
გუდამაყარი სად არი,
ხადაში გამიგონია,
სამოცი ციხე მაგარი.

გამომდინარე აქედან, „ადგილს კლდოვანს და კოშკოვანს" სამოცი ციხის ხეობის სახელწოდებითაც იცნობენ საისტორიო წყაროები და ზეპირსიტყვიერი მონაცემები.

დაბა ხადა, „მაღალს კლდესა ზედა მდებარე" და „მოზღუდვილი კლდითვე", საიმედოდ იყო დაცული ციხე-კოშკებით, რომლებშიაც მეციხოვნე ჯარი იდგა. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გამაგრება ციხისთავების მოვალეობას შეადგენდა.

„ძეგლის დადების" ცნობით, ხადაში ორი ციხისთავი ყოფილა. ერთი დიდველზე (გამოღმა მხარეს), ხოლო მეორე – ციკარეს (გაღმა უბანში)...

ციხე-სიმაგრე, თავისი ფუნქციური დატვირთვისა და დანიშნულების წყალობით, ისეთ სიწმინდეებთან ასოცირდებოდა, რომელთა შერყვნა და შელახვა მიუტევებელ ადამიანურ ცოდვად ითვლება.

ამ თვალსაზრისით მისი შედარება სალაშქრო დროშასთანაც შეიძლება; დროშასთან, რომელიც თავის გარშემო უყრიდა თავს და აერთიანებდა მებრძოლებს; დროშასთან – ეროვნული იდენტიფიკაციის ნიშანთან, რომლის გაშლა (გრ. ორბელიანი: „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი...") მეომრებს ბრძოლის ჟინით მუხტავდა, აღანთებდა და უმაგალითო თავდადებას შთააგონებდა.

ციხე-კოშკი თუ გოდოლი, სიმბოლურ გააზრებასა და განზომილებაში, ცისა და მიწის კავშირის თავისებური განსახიერებაა. „ესაა არქიტექტურული განსხეულება მსოფლიო ხისა და ამგვარად, – სამყაროს კოსმიური საყრდენი" (ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. I, თბ., 2006, გვ. 113).

ციხის შუამავლური, მედიუმური, ზესკნელისა და შუასკნელის მეკავშირეობითი მისიის მითოსური კონცეფციის თვალსაჩინო გამოხატულებაა ლექსითი თქმულების შესანიშნავი ნიმუში „შურის ციხე".

აკ. შანიძის მიერ ხევსურეთში ჩაწერილი ხალხური ლექსი შემდეგს გვაუწყებს: ბარისახოში „ხმალად“ ხმობილ ადგილას მდგარ ციხეს (ლექსში მრავლობითის ფორმაა გამოყენებული: „ჴმალას რო მდგარან ციხენი...“) ცამდე უწვდებოდა წვერი. „ცხრა-თვალი“ ციხე „დახედულ მშვენიერი“ ყოფილა. გვერდებზე ჩარდახები ჰქონია, კუთხეებში – სათოფურები. მინის სიღრმეში გაჭრილი დარანით (გვირაბი – ა.ა.) წყაროზე ჩადიოდნენ. იქვე, შორიახლოს, მდგარა მირონმდინარი ალვის ხე, რომლითაც ციხე ღვთის კარზე თავს იწონებდა (ციხე, ამ შემთხვევაში, ღვთისშვილთა მინიერ საბრძანისებთან – წმინდა ჯვარ-ხატებთანაა გათანაბრებული; ღვთის კართან კავშირი ამ უკანასკნელთა პრეროგატივაა). ალვის ხეს წვერზე ცხრაკეცი შიბი ჰქონია მიბმული. ხის ტოტებზე ოქროსფრთიანი ანგელოზები სხდებოდნენ და „წვრილი ხმით გალობდნენ“.

ამ ციხის აგებას ოცი წელი, ორმოცი „ქაჩალი“ (ქვის სათლელი იარაღი) და სამოცი ქვის სამტრევი „კვერი“ (ჩაქუჩი– ა.ა.) დასჭირდა.

ციხე, გადმოცემით, ბერძნებმა ააგეს. მათ საკვირველი ხელი ჰქონდათ. როცა დაასრულეს, სქელი კარი შეაბეს და, ვინაიდან მაშინ მთაში მღვდელი არ იყო, ხევისბერს აკურთხებინეს. თანაც დალოცეს: ნუმც მტერი მოგერევა და იღბალიც ნუ გაგიტყდება; ისე მყარად და შეუდრეკლად იდექი, როგორც კლდენი დგანანო.

ურჯულოც ბევრჯერ ეომა, კარ-კლიტე უმტვრია (შდრ.: გ. ლეონიძე: „მცხეთას ეუმტვრიე საკეტურები, ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი...“), მაგრამ მაინც ვერ მოერია და, საბედნიეროდ, ვერც ალვის ხეს ახლო ხელი. და ამაში ციხეს ხმალას სალოცავი შველოდა; სალოცავი, რომლის ბეღელში უფროსები ისხდნენ და ბჭე-ხევისბრები სალაშქრო დროშას ამზადებდნენ („ხკაზმევდეს“) საომრად.

ამ დროს ხევსურეთს მირონის ხის მოჭრის განზრახვით მეფის ჯარი შეესია და ერთიანად დაიჭირა მისი მთა-ველი. რიცხვმრავალ ჯარს თან ახლდა არიშაული (ვარ.: „ალშაურელი“) ბერი, სახელად სუმელჯა, რომელიც, ანდრეზის ენით, „ანგელოზთ ეცხადებოდა, გასთეთრებიყო წვერია“. მოლაშქრეებმა სუმელჯა მოქრთამეს, საჩუქრებით აავსეს, ოქრო-ვერცხლი მისცეს, სახედარი და ხმლის ვადაზე შესაბმელი თემლაკი აჩუქეს და მანაც გასცა ალვის ხის მოჭრის საიდუმლო (მანამდე ღვთაე-

ბრივი ხე ცოდვილი ადამიანის ხელსა და იარაღს არ იკარებდა): მოაყვანინა კატა, დააკვლევინა, ხე უსურმაგის (უწმიდური, ანტიმსხვერპლი – ა.ა.) სისხლით „გაინათლა“ და წაიქცა.*

შეიმუსრა მთის სიმტკიცე; დაირღვა მანამდე უძლეველი ციხე, გაიხლიჩა საკრალური სამყარო (მიკროხატი ქვეყნიერებისა), რაც ცისა და მიწის მეკავშირე ანგელოზთა გზის – ცხრაკეცი შიბის – ამგვარ ქმედებაში გათვალსაჩინოვდა:

შიბ გაწყდა, ცისკე წავიდა,
წიოდა, როგორც გველიო.

ასე რომ ციხე-სიმაგრეში, თვალმიდევნებული ლექსის თანახმად, რელიგიური ველიც – ზეგარდმო ძალა და ღვთიური მადლი – მოიაზრება. ეს კი სანინდარი და წინაპირობაა ცალკეული კუთხისა თუ თემ-სოფლის მონოლითური მთლიანობისა, ერთსულოვნებისა და მრავალჟამიერობისა.

ციხე, ამ გაგებით, ჩვეულებრივ სახლზე მეტია, აღმატებულია, ვინაიდან ის, ასე ვთქვათ, პოლიფუნქციურია: ითავსებს როგორც საკულტო, ასევე საომარ და პრაგმატულ ანუ ყოფით დანიშნულებას. ციხე-კოშკი ადვილად ხელმისაწვდომი როდია. ის თავისთავში მისტიკურსაც იმარხავს და ჰეროიკულსაც. ამიტომაც რიგითი „სოფლისაგანი“ მისგან, გარკვეული აზრით, დისტანცირებულია...

„შურის ციხე“, „ბრძანებდა ლაშარის ჯვარი“ და „იამბე, ციხის ნაშალო“ ზიარი შუაგულური მოტივის შემცველი არასაყოფიერო ლექსებია. ამ ლექსებში მთის თეოკრატიული მმართველობის თანდათანობითი მოშლის აპოკალიფსური პროცესია აღბეჭდილი. ლაშარის ჯვარი და ხმალას სალოცავი ფშაველთა და ხევსურთა დავლათიანობის „გარანტებად“ ითვლებოდნენ. ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ პოეტურ ნიმუშებ-

* ამ მითოსური ამბის ანალოგიურია გადმოცემა, რომელიც ზურაბ არაგვის ერისთავის მიერ ფშავისხევის თორმეტი საყმოს საერთო სალოცავის ლაშარის ჯვარის ბერმუხის მოჭრის შესახებ მოგვითხრობს. ლექსიც არის შემორჩენილი: „ბრძანებდა ლაშარის ჯვარი: ცას ვები, ოქროს შიბითა, ხმელგორზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა, ჩემ საყმოთ შემონაძღვენი ღმერთთან ამქონდა იქითა...“ გადმოცემაში წმინდა ხის წაქცევის საიდუმლოს გამცემად ვინმე ჯალაბაურია დასახელებული, ხოლო უკეთური საქმის აღმსრულებლად – აფციაურების გვარის კაცი.

ში აშკარაა ფშავ-ხევსურეთის სატკივარის იდენტურობა, მათ აქტიურ ხასიათს მოწმობს...

ვახტანგ კოტეტიშვილი ფიქრობს, რომ ღვთის მგმობი ზურაბ ერისთავი აქ შემთხვევითაა ნახსენები და რომ „...ეს თქმულება უძველესი ეპოქის ნაშთს წარმოადგენს. იქნებ ეს თქმულება, – ვარაუდობს მკვლევარი, – ტიგროსისა და ევფრატის ჭალებიდან მოსდევს ჩვენს მოდგმას და შემდეგში დაუკავშირდა გარკვეულ ადგილს, ეპოქასა თუ პიროვნებას" (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 364)...

ბრალია სახლ-კარის დარბევა, გადაწვა და აწიოკება. უფრო დიდი ცოდვა და დანაშაულია ციხის დაქცევა ანდა გადაბუგვა.

თავდაცვითი შენობის განსაკუთრებულ ფასეულობას უსვამს ხაზს მათიულეთის იურიდიულ-უფლებრივი ნორმების კრებული „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ", სადაც ვკითხულობთ: „დარბაზით უბრძანებლად ვისცა ციხე დაუქციონ ანუ ჴევის ბერმან, კაცმან ანუ ქვეყანამან ქუეყანასა ანუ სწორმან სწორსა და ვინც გინდა ვის დაექციოს და ამითის მტერობისათუის დაიქცეოდეს და ამათ შუა სხუა რაც სასაქმო იყოს, ვითა გაგუიჩენია, აგრე გარდასწყდეს და ციხის დაქცევისათუის დაიურვონ ნახევარი სისხლი, რასაც გუარისა არის და რასაც გუარის ციხის პატრონი იყოს, მისსა გუარსა ზედა ციხე აგრევე ააგოს დამქცეველმან და თუ ბრძანება ჰქონდეს და ბრძანებით დაექციოს და თავით გარდაჴდეს, არას ემართლებიან" (ციტირებულია ს. მაკალათიას წიგნიდან „მითულეთი", ტფ., 1930, გვ. 22).

„ძეგლისდება" (პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში", 1889-1890 წ.წ.) იგივე იყო ქართული სამეფოსა და ქართველი ერისათვის, რაც „ძეგლისწერაა" (დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", 1886 წ.) ეკლესიისთვის, ხოლო ორივე სჯულმდებლობითი ნაშრომი, როგორც ნიკო ხიზანაშვილი მიუთითებს, „ხლხის დაცემული ზნეობის აღსადგენად დაიწერა" (ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბ., 1982, გვ. 276).

არაა შემთხვევითი, რომ მთიულეთზე ორიენტირებული ძეგლისდება მეფე გიორგისა საგანგებოდ ჩერდება არაგვისხეობელთა ცხოვრების სამხედრო მხარეზე და დიდი პატივით იხსენიებს ლაშქარს და დროშას, რომელიც ხევისბერს – „ლაშქართ თავადს" – ებარა.

ნ. ხიზანაშვილი, როცა ძეგლისდების ამ ნაწილს განიხილავს,

ბელეტრისტულ სტილში წარმოაჩენს მთის როლსა და ადგილს საქართველოს ისტორიაში: „მთა იყო მოწინავე, მიუდგომელი ციხე სახელმწიფოსი და ამ ციხეში იწვრთნებოდა საუკეთესო ვაჟკაცობა ძველი საქართველოსი“ (იქვე, გვ. 229).

მთა – ციხე-კოშკებით მოფენილი მრავლფეროვანი ლანდშაფტის კრებითი ხატი.

მთა – ქავი („თავდაცვის მიზნით პატარა მონაკვეთზე აშენებული მაღალი კედელი“ – ალ. ჭინჭარაული), რომელიც დედასამშობლოს ათასი ჯურისა და ჯიშის გადამთიელთა ძალმომრეობისგან იცავს და იფარავს...

საბრძოლო კოშკი თუ გოდოლი – მთის მოსახლეობის ყოფითი სინამდვილის განუყოფელი ატრიბუტი – დროის დინების კვალდაკვალ კარგავს თავის რეალურ შინაარსს, დანიშნულებას და მნახველის თვალში მკაცრი რელიეფის არქიტექტურულ „სამკაულად“, სამშენებლო ხელოვნების ნიმუშად, ნამდვილ ხუროთმოძღვრულ სასწაულად აღიქმება.

ხოლო იმ ეპოქებში, როცა ფიცხელ კლდეებსა თუ ხორშაკი ქარებისგან მოლოკილ მთა-გორებზე, სულწუხი ხეობის შესასვლელებსა თუ მზისგან დამწვარ უტყეო ზეგნებზე სათვალთვალო კოშკები და „რკინით შეჭედილი“ ჩარდახიანი ციხე-სიმაგრეები შენდებოდა, ხუროთმოძღვრების ამ ძვალმაგარ ძეგლებს სრულიად პრაქტიკული, „არაესთეტიკური“ განზომილება გააჩნდათ.

კოშკები მეტყველებენ მათ მფლობელთა და „მომხმარებელთა“ ცხოვრების ნირსა და რეჟიმზე, საბრძოლო შემართებაზე, ავბედითობასა და, საერთოდ, ისტორიულ თავგადასავალზე.

ამ მხრივ უაღრესად მდიდარი და მრავლისმეტყველია სვანეთი.

ივანე მარგიანი წერს: „სვანების წარსულსა და ომიანობას, შორს რომ არ წავიდეთ, თვით კოშკები გვიმტკიცებენ და გვეუბნებიან, რომ ძველად იგინი ძლიერ მეომარი ხალხი ყოფილა... არ არის სახლი, რომ მას კოშკი არ ჰქონდეს მიდგმული. ეს კოშკები, სწორეთა სთქვას კაცმა, სამაგალითო არქიტექტურულის გემოთი არიან აგებულნი: მაღალი, სწორი, მაგარი და თეთრად შელესილი კოშკი იქაურობას ამშვენებს. ეს კოშკები აგებულია მე-13 საუკუნეში, როდესაც მთელი საქართველო აწეწილ-დაწეწილი იყო და ყველა თავისაკენ იწევდა. სვანეთიც მაშინ განზე გადგა და თავისი საკუთარი გამგეობა

გაიჩინა, რასაკვირველია, არამტკიცე და დროებითი. მასაც მისი მტერი ჰყავდა: სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვა. ყველას უნდოდა, რომ სვანეთი დაემორჩილებინა და მით ძლიერი ასაბია მოეენახა, მაგრამ სვანეთის დაპყრობა ისე ადვილი არ იყო. „ერთობილნი სვანნი", როგორც თვითონ იხსენიებენ წიგნებში (წარწერები საღმრთო წერილის წიგნებზე), პირიქით აბეგრებდნენ მათ და საქმეს უჭირებდნენ... სოფელი სოფელს ემტერებოდა, საზოგადოება საზოგადოებას, სადადეშქელიანო სვანეთი თავისუფალ სვანეთს და მეზობელი – მეზობელს. აი, ამისთანა დრომ გამოიწვია კოშკების აგება" (ივ. მარგიანი, სვანეთი, იხ. კრებ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973, გვ. 132-139).

ნარკვევის ბოლოს ავტორი სინანულით ამბობს: „წინეთ რომ ეს კოშკები სვანისათვის სასიქადულონი იყვნენ და სიამაყით გამოიცქირებოდნენ, ეხლა დაჰკარგეს მათ ფასი სვანის თვალში" (გვ. 163).

საქართველოს თვითეული კუთხე თავდაცვით ნაგებობათა სტილის მისეული ნიშნებითა და თავისებურებებით ხასიათდება. ქვის წყობის, სართულთა რაოდენობის, საკომუნიკაციო კიბის, ბილიკისა თუ დარანის (ფარული მიწისქვეშა გვირაბი) მიხედვით მსგავსებაც არსებობს და განსხვავებაც სხვადასხვა ქართული თემისა და საზოგადოების საფორტიფიკაციო ხელოვნების სფეროში.

სვანურ „მურყვამთან", იგივე კოშკთან, ტიპოლოგიურ არქიტექტურულ სიახლოვეს გვიჩვენებს ქვითკირით ნაგები რაჭული დუროიანი კოშკი, რომლის შესახებ ს. მაკალათია აღნიშნავს: „თავდაცვისათვის საჭირო იყო კოშკები და დუროიანი (სათოფურიანი) სახლები მაღალი გალავნით შემოზღუდული, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გამაგრება და ქონების გადამალვა. მშვილდ-ისრით თუ კაჟიანი თოფით შეიარაღებული მთიელიც ამ კოშკის მწვერვალიდან ზვერავდა შემოპარულ მტერს და ის მუდამ მზად უნდა ყოფილიყო მის შესატევად. მთის რაჭაც ამგვარი ციხე-კოშკებით იყო შემოზღუდული, რომელსაც არაერთხელ უკუ უქცევია კარზე მომდგარი მტერი, რასაც მოწმობენ აქ დღემდე დაცული დუროიანი სახლ-კოშკები" (ს. მაკალათია, მთის რაჭა, თბ., 1987, გვ. 39)...

საქართველოს აღმოსავლეთ კუთხეებში ვარიანტებად არის გავრცელებული საგმირო-სამგლოვიარო ხასიათის ხალხური

ლექსი „ზენ ბაცალიგოს“. ლექსის ძირითადი, დავით ხიზანაშვილის მიერ ფშავში ჩაწერილი, შედარებით მოკლე ვარიანტი, ამგვარი გახლავთ:

ზენ ბაცალიგოს თოვლი თოვს,
ქვენ ბაცალიგოს შრებაო...
თინიბექ, შენსა ციხესა
მარჯვენა კუთხე ჰსქდებაო,
თავს შემომჯდარა ყორანი,
ლიბოში გველი ძვრებაო.
შიგა წევს ალუდაური,
კვდება, აღარა რჩებაო.
გვერდს უზის ცოლი ლამაზი,
სანთელივითა დნებაო.

„ზენ ბაცალიგოს“, სახისმეტყველებითი თუ პირწმინდად ნარატიული თვალსაზრისით, უნიკალური პოეტური ქმნილებაა. უპირველესი, რაც მკითხველში უჩვეულობის განცდას აღძრავს, ამ ნიმუშში აღბეჭდილი ბინარული ოპოზიციები და სივრცული განზომილებაა.

„ზენ – ქვენ“; „თავს“ – „ლიბოში“; „შიგ“ – „გვერდს“...

ამ წყვილების თვითეული წევრი საგნობრივი და სიმბოლური მინიშნებაა იმისა, რაც თინიბექის ციხეს უახლოვდება და ემუქრება.

არასადაგი ატმოსფერული მოვლენა – სოფლის ერთ უბანში თოვა, ხოლო მეორეში თოვლის შრობა – ყოფითობის ჩვეული, რუტინული რიტმიდან ლოკალური გეოგრაფიული გარემოს მოულოდნელი „ამოვარდნის“ საბედისწერო სიგნალია. ცხადია ისიც, რომ ციხის „თავს“ შემომჯდარი ყორანი და ლიბოს დაღირებული გველი სასიკეთოს არაფერს უქადიან მომაკვდავი გმირის მანამდე საიმედო და მეგობარივით სანდო თავშესაფარს...

ხალხური გადმოცემა, „თინიბექაურთ“ ციხის მშენებლობისა და ნგრევის მიზეზთა პერიპეტიებში რომ გვარკვევს, არგუმენტირებულ ახსნას უძებნის ინფორმაციას, ლექსის ორიოდ ტაეპში („თინიბექ, შენსა ციხესა მარჯვენა კუთხე სქდებაო“) რომ გაკრთება: „– თინიბექმა სოფელში ციხე ააგო, რომელსაც თინიბექაურთ ციხეს ეძახიან... ციხე ცხრასართულიანი

იყო და მას თინიბექი ცხრა წელიწადს აშენებდა. ერთ-ერთი მშენებელი ქისტი იყო, რომლის შვილსაც თინიბექის შვილმა სამჯერ აჯობა ჭიდაობაში. ამით განაწყენებულმა მშენებელმა ციხეს მარჯვენა მხარეს საძირკვლად ჩეთის ქვა (სუსტი, ადვილად შლადი ქვა) დაუდო და ციხემაც მარჯვენა მხრიდან დაიწყო ნგრევა" (ბ. გამყრელიძე, ხევსურეთის სოფელი და მისი სამეურნეო ტრადიციები, თბ., 1989, გვ. 14).

ლექსის ანონიმი ავტორისთვის ცნობილია ქისტი მშენებლის არაეთიკური საქციელის ამბავი, ციხის საძირკველში შლად ქვას რომ დებს და ამიტომ აკონკრეტებს, რომელი კუთხე სკდება ციხეს.

თინიბექის ციხის მაჰმადიანი კალატოზისგან განსხვავებით, სიტუაციაში გარკვევის შემდგომ, პატიოსნად იქცევიან ლეკი ოსტატები, მამა და შვილი, რომელთა შესახებ ს. მაკალათიას „თუშეთში" ასეთი მონათხრობია მოტანილი: „ჭონთიოსა და გირევის ციხე, ხალხური თქმულებით, მამა-შვილ ლეკს აუშენებია. ჭონთიოს ციხე აუშენებია მამას, შვილს კი გირევის ციხე. ჭონთიოელები ოსტატს თურმე კარგად კვებავდნენ, სულ ერბო-კარაქს აჭმევდნენ. ციხის აგებისათვის ითურიძეებს მისთვის 60 ძროხა მიუციათ. ერთხელ შვილს მამისათვის შეუჩივლია: „შენ რომ ჭონთიოელები ერბო-კარაქით გკვებავენ, მე კი გირეველები მარტო საჩხრეკას მაჭმევენ, ამიტომ უნდა ვუღალატო, ციხე ცუდად ავაგო, რომ თავზე დაენგრეთო". მამას უთქვამს: „თვითონ გირეველები რასა სჭამენო?"

– ჯოტსაო, – უპასუხნია გირეველ ოსტატს.

– მაშ შენთვის კარგად უჭმევიათ და არ უღალატო, რადგან ჯოტზე უკეთესი რომ თვითონ ეჭამათ, იმაზე უკეთესს შენ მოგართმევდნენო" (ს. მაკალათია, თუშეთი, თბ. 1983, გვ. 129-130)...

ხალხური ლექსებისა და გადმოცემების ციკლში, ფარსმის მაღალი ციხის თავგადასავალს რომ ეხება, თვალნათლივ ჩანს ამ ციხის საჩინო წვლილი მურთაზის – ქისტების სახელგანთქმული ბელადის – დამარცხებაში. კახოს თინას საკვირველი გმირობის ამბავიც ფარსმის გაუტეხელ ციხეს უკავშირდება... ცნობილია, რომ ძლეულმა მურთაზმა ზარბაზანიც ფარსმაში მიატოვა და გაწბილებული ბენვზე გადაურჩა უცხო მიწაზე სიკვდილს.

არანაკლებ შთამბეჭდავია ჰელოს ციხის (ვაჟა: „გვიამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ელოსა...") და ძველი დიკლოს ჩარდახიანი ციხე-სახლების ტრაგიკული ისტორიები.

ლაროვნისა და პირიქითის ალაზნის ხერთვისში მთის თხემზე აღმართული ციხე ვალმოხდილი მეომრის სიამაყით გადაჰყურებს თავის კლდოვან მიდამოს...

ციხე-სახლების მასიურ ქვათა წყობაში ხალხი გრძნეული, ზებუნებრივი ძალების კვალსაც ხედავდა. დაუჯერებელი თუ არა, ძნელად წარმოსადგენი ჩანდა ადამიანის ხელით ასეთი გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოების წარმოება. და რაკი სხვაგვარი ახსნის მოძებნა ჭირდა, მიაჩნდათ, რომ „გმირთა სავანეებისა" (ს. მაკალათია) თუ ცალკეული სიმაგრეების შენებაში ავსულები მონაწილეობდნენ.

„თებჟორიკას" – დემონურ პერსონაჟს, ხიბალკუდიანების მოგვარეს – მიეწერება ხოსიკურიძეების ჩარდახიანი სახლის მშენებლობა გირევში და ოდოიძეების ციხისა – დართლოში.

გადმოცემა გვეუბნება, რომ ხოსიკურიძემ ღამით დაიჭირა თავისი ბუნებით სულთამხუთავი არსება, ცერა თითის ფრჩხილი მოაჭრა (რაც მის განიარაღებას, გრჩნეულებისგან განძარცვას ნიშნავდა) და თავის სასარგებლოდ მოიმსახურა; თვითონ ჯორით უზიდავდა ქვას და რაკი თებჟორიკა, როგორც ეშმაკეული, დღის სინათლეს ემალებოდა, ღამის წყვდიადში აშენებდა დამტყვევებლის სახლს...

სინერგიის (უფლისა და ადამიანის ნების თანხვედრა) მადლით წამოწყებული სამშენებლო საქმიანობა წარუმატებელი იქნებოდა ამ მძიმე პროცესში ღონიერი გამწევი ძალის მონაწილეობის გარეშე. გარდა იმისა, რომ ნაგებობისთვის შერჩეულ ადგილამდე მიმავალ ბილიკზე ქვასა და ლამ-კირს ურიცხვი კაცის „ხელი მიაწვდიდა ხელსა", გამოიყენებოდა მებარგული შინაური პირუტყვიც: ხარი, კამეჩი, ჯორი... ნათქვამი, რასაკვირველია, ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების მშენებლობასაც ეხება. გერგეტის სამების კედლის ქვაზე ამოკვეთლი წარწერა „ხარი ლომა და მწყემსი თევდორე" იმაზე მიანიშნებს, რომ ეს დიდებული ტაძარი ლომა ხარის (ერთი გადმოცემით: „დევ-ნიქარა ხარების") და თევდორე მწყემსის მიერ ყანობიდან და ხურთისიდან მოზიდული ქვით არის აგებული.

ვ. ბარდაველიძის ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები" (ტ. II$_1$, ხევსურეთი, თბ., 1982) დამოწმებული ხალხური გადმოცემის მიხედვით, ხახმატში „ერთი ციხე იდგა, გზის ძირში, დაშალეს; ამ ციხეს „ქვითკირა" ერქვა. ლაგაზათი (ქათნიათი) იყო ეს

ციხე. მათ 8 ჯორი ხყვანივა და შორით უზიდავ ქვა ციხისათვის: მერე მათ სხვა ციხე აუგიათ, ერთი თვალი დაკლებიათ, ლეკებმა მოუსწრეს და დახოცეს ქათნიანი" (გვ. 7).

ის, რომ ჯორი ერთ-ერთი მთავარი ტვირთმზიდი ყოფილა ციხე-კოშკთა აღმშენებლობის პროცესში, საქმროზე გუდამაყრელი ქალის ნატირალშიც ჩანს. ბექაურის „ლამაზი ქალი" ლექსად იგლოვს თავის უბედობას და რიტორიკულ კითხვას სვამს:

ციხენ სად უდგან თანგულასაო,
თამარიშვილსა, ხოხისანიო?*
ჭალაით ქვათა ხოხისათაო
აღმე და აღმე აზიდვიებსო
ციხისა მასანვერავადაო...

ხოხის გამძლე ქვასთან ერთად „ბროლმარილაის" (ბროლი, მთის კაჟია) ქვაც ერთობ საიმედო საშენ მასალად არის მიჩნეული ხალხის მიერ:

ბორბალ აგებენ ციხესა
ბროლმარილაის ქვისასა,

– ნათქვამია ერთ ხევსურულ ლექსში.

ღვთიურ სისპეტაკესთან ასოცირებული ბროლის ქვა, სამშენებლო მასალის სახით, ამირანის ეპოსშიც დასტურდება: სანადიროდ მიმავალმა, ოქროსრქიან ირემს გადევნებულმა ძმებმა გზად ცამცუმის კოშკი ნახეს – „ანაგები ბროლის ქვისა" (ვარ.: „სალი კლდისა"); კოშკი, წვერით ცას რომ წვდებოდა და უკარო იყო. ამირანმა სამ დღეს უარა გარს და რაკი შესასვლელი ვერ იპოვა, სადაც მუხლი ჰკრა და შელეწა, კოშკსაც იქ შეება კარი.

ნიშნეულია, რომ სამი ადიდებული წყლისა და სამი ზვავის ღონის მქონე გმირს მზის სხივი ეხმარება „კვრივი" კოშკის სუსტი ადგილის მიგნებაში.

პრეისტორიული ხანის მითიური რეალიის ხსოვნას ინახავს ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „რა ვქნის ციხე", ჩაწერილი ჯ. ბარდაველიძის და გ. ბარნოვის მიერ ჩარგალში, 1956 წელს, ივანე გორზამაულისაგან:

---

* „ხოხი": რიყის მაგარი ქვა.

რა ვქნისა" ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: „დრო რო მოალის,
კარ გაიღების თავადა.

ნუთუ შემთხვევითია ამგვარი თანხვედრები ხალხური პოეზიის უკიდეო სამყაროში?

„რა ვქნის" ციხე ხომ ნაირსახეა ცამცუმის კოშკისა, იოლად რომ არ თმობს თავის შეუვალობას და ელოდება დროს, როცა თავისთავად უნდა გაიღოს მისი კარი!..

ძველად, როგორც ჩანს, სწამდათ ისიც, რომ ციხის სიმტკიცეს მის ლიბუში განთქმული გმირების საომარი იარაღის ჩადებაც უწყობდა ხელს.

ასეთ რელიკვიადაა სახელდებული ხმალი თუშეთის სახალხო გმირის გიორგი თილიძისა, ვინც, ხალხური ლექსის ცნობით, ნაკვეთაურის ციხეს რკინის კარი შეხსნა და „დაწვა, დადაგა ხოშარა, ცამდის აუშვა ალია".

უცნობი მელექსის ნატვრაში გორგის ამაგდარი ხმლის მაგიური ძალა და სასნაულებრივი თვისებაა ნინა პლანზე წამოწეული:

ნეტარ არ გამაჰყიდდესა თელისძენ გორგის ხმალსაო?
თუ გამაჰყიდდეს, ვიყიდდი, მივსცემდი ცხვარსა-დ
რვალსაო.
ჩავდებდი ციხის ლიბუში, გაიმაგრებდა ქავსაო,
ლიბუში რო იქნებოდა, ლეკებს მისცემდა ზარსაო.

ასეთივე ავგაროზული თვისებისა ჩანს კიდევ ერთი საუკეთესო, ხელთუქმნელი მახვილი, რომლის გამო ხალხურ ლექსში ნათქვამია:

ბორბალ აგებენ ციხესა
ბროლმარილაის ქვისასა,
ლიბუდ უსხემდეს ვადათა
ხახიკთ ხახონის ხმლისასა.

თავდაცვითი ნაგებობა ხალხში – ფეხონსა თუ „ჯაროვაში", მით უფრო ხშირად სახსენებელი და „საკვეხურია", რაც მეტია მის შექმნაში თემური საზოგადოების „მეწინავე" წარმომადგენელთა პიროვნული წვლილი. კრძალვით შეჰყურებენ სიმაგრეს, რომლის კედლებში ღვაწლმოსილი გმირების ძალღონეა ჩახარჯული.

ხახმატში ორი – ალექსაურთ და ფერაულთ – ციხეები გუროელ ქალუნდაურს აუშენებია. ქალუნდაური ხუროდ მიუყვანიათ და შრომის საზღაურიც გადაუხდიათ.

მისი სახელი გმირობის შუქითაა შემოსილი ხალხურ პოეზიაში.

„ნაწილიანი" (ერთი გადმოცემით – „მეხისპირიანი") ხმლის პატრონმა მარცხის სიმწარე აწვნევინა ზურაბ არაგვის ერისთავს და გამარჯვების ნიშნად ბეგენგორ ქვის სამანი „ჩაჰყუდა".

მამუკა ქალუნდაური თვითონაც ნაწილიანი (დავლათიანი, ღვთიურ საწყისთან წილნაყარი) ყოფილა: როცა სალაშქროდ გაემართებოდა, წინ მანათობელი ვარსკვლავი გაუძღვებოდა...

პირსისხლიანი ერისთავის ძლევა და ხევსურეთიდან განდევნა ქალუნდაურის საომარი საქმეების მხოლოდ ერთი ეპიზოდია და, ბუნებრივია, ასეთი პიროვნების აშენებულ ციხე-კოშკებსაც სხვაგვარი შნო და ავტორიტეტი ექნებოდათ...

საყოველთაოდ არის გავრცელებული ქვეყნის ინტერესებისთვის ადამიანის ზვარაკად შენირვის მოტივი, რასაც შესაფერისი ხორცშესხმა უპოვია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

თქმულების სიუჟეტური ქარგა, ძალზე ზოგადად, ასეთია: მტრის შემოსევის მოლოდინში იწყება ციხე-სიმაგრის შენება, მაგრამ საქმე წინ არ მიდის – კედელი ინგრევა. აშენებენ და ინგრევა... ამ დროს გადამწყვეტია მკითხავის ნათქვამი: ვიდრე ციხის კედელში დიდისერთა ვაჟს არ ჩაატანთ, ამაო იქნება ყოველგვარი გარჯა... გამოჩნდება თოთხმეტი წლის ყმაწვილი, ნებაყოფლობით რომ გადადგამს უმძიმეს ნაბიჯს... ციხის დასრულებას წინ აღარაფერი უდგას. ორ კედელს შორის ჩატანებული ჭაბუკი შიგნიდან იცავს ციხის სიმტკიცეს...

საქართველოში ასეთებია სურამის და ასკანის (მდებარეობს მდინარე ბახვისწყლის ხეობაში) ციხეები.

ცნობილია მწუხარე დედის მოთქმით მიმართვა სურამის ციხისადმი, მისი მხოლოდშობილი შვილის ძვლებით რომ გაიმაგრა და გადაირჩინა საკუთარი სხეული:

სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო...

საერო და საკულტო ნაგებობები, არცთუ იშვიათად, ერთიანი არქიტექტურული კომპლექსის სახითაა წარმოდგენილი საქართველოს მთაში. ზოგჯერ ამის მიზეზი მოულოდნელი ჯვარჩენაა, ჰიეროფანიის იდუმალი მომენტი. ჩნდება, ფუძნდება ახალი სამლოცველო და, ბუნებრივია, თავისსავე ადგილას რჩება ციხე-კოშკიც.

ალუდაურების წინაპარმა ღივამ ხახმატში ისეთი ციხე-სიმაგრე ააგო, რომ შემოსეულ მტერს შუბით და მშვილდისრით ვერაფერი ევნო. გამოხდა ხანი და ყვერფში (კერა – ა.ა.) ხე ამოვიდა, ნიშნად იმისა, რომ ეს ფუძე-მიდამო ღვთისშვილის, ახალი საკულტო ობიექტის მფლობელობაში გადადიოდა. ადგა ღივა, მიატოვა ის ადგილი, ხევგაღმა გავიდა და ახლა იქ ააშენა თავშესაფარი, ცნობილი „საწმინდარ სამანანულო ციხის" სახელით. მალე ეს ციხეც, სიზმრის მიზეზით, წმ. გიორგის სახელობის ხატს დაუთმო...

უფრო მეტიც: ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დამოწმებულია შემთხვევები, ჯვარ-ხატად (ღვთიური ძალის ამქვეყნიური საბრძანისი – ა.ა.) თვით ციხე-კოშკი რომ ითვლება. ასეა თუშეთში, სახელდობრ, ფარსმასა და ჰელოში. ფარსმის აღმოსავლეთით ჩამწკრივებული სამი ციხე, შესაბამისად, წმ. თევდორეს, წმ. გიორგისა და დედა-მარიამ ღვთისმშობლის სახელს ატარებს, ხოლო ჰელოს ციხე-სიმაგრეთა კომპლექსში ივანე ნათლისმცემლის სახელობის სამლოცველო ხატი ფუნქციონირებს. მსგავსი სურათია დანოში, სადაც მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზის სახელით მოიხსენიებენ აშტოს ოდესღაც გალავნიან ციხე-სიმაგრეს.

არც ხევის ყოფით – რელიგიური რეალობისთვის არის უცხო სტრატეგიული მიზნებით აშენებული კოშკებისა და ქრისტიანულ წმინდანთა სახელობის სათემო თუ საგვარეულო სალოცავების თანაარსებობა.

ვალერიან ითონიშვილის ნაშრომში „ხევის ტიპონიმიკა" (თბ., 1971) სამი ასეთი ორგანზომილებიანი ობიექტია გამოვლენილი: 1. ჩქარეულების ერთ-ერთი პატრონიმიის კოშკი გორისციხეში, რომელმაც დროთა სვლაში დაკარგა თავდა-

პირველი ფუნქცია თავდაცვითი ნაგებობისა, გადაიქცა სალოცავად და დღეს ის მამაწმინდის ხატს წარმოადგენს; 2. ქუშაშვილების ნაკოშკარზე დადგმული წმ. გიორგის ნიში, გვარის სალოცავი აღდგომასა და ამაღლებაზე სტეფანწმინდაში; 3. ე.წ. ყანანაზის ციხე კარკუჩის სიახლოვეს, რომლის ნანგრევი მოხეევებმა სალოცავად გაიხადეს და ამაღლების ხატი დაარქვეს.

.....

ციხე-კოშკი ისეთივე სრულფასოვანი სუბიექტია საისტორიო თემატიკის ხალხური პოეზიისა, როგორც კაი ყმა, მისი პატრონი, ვინც იმისთვის გაუჩენია უფალს, ხალხს ემსახუროს, ცხელი გულით მისი ჭირ-ვარამი ზიდოს და მტერსაც წარბშეუხრელად შეაკვდეს, თუკი ამით სამშობლოს არგებს და აამებს...

ვინ ჭრიდა საძირკველს, ვინ დებდა ლიბუში პირველ ქვას, ვის აჰყავდა ცისკენ ზემსწრაფი ისარივით სწორი კედლები...

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი მთაზედა,
ქვა შემოივლო გალავნად,
ცა დაიხურა თავზედა.

ამბავი ძველდება და ანდრეზად იქცევა.

პოეტურ თუ პროზაულ ნარატივში ჩნდება და სამუდამოდ რჩება ციხე-სიმაგრის ამგებთა ვინაობა, პირნათლიერი ხარის სახება.

იკვეთება სიუჟეტი...

ხალხური სიტყვიერება აისბერგივითაა – ჩვენი თვალსაწიერი ყველაფერს ვერ წვდება; ბევრი რამ საუკუნოდაა დაფარული და გაუჩინარებული.

ასწლეულების ნისლსა და ბურუსში გახვეული ციხე-კოშკების საომარი თავგადასავლები ქართული ფოლკლორული შემოქმედებისა და ეთნოგრაფიული სინამდვილის ერთ-ერთი კოლორიტული წიბო-წახნაგია; მათ თავზე გადავლილი უსასტიკესი ქარტეხილები – ჩვენი ზიგზაგოვანი ისტორიული ნარსულის ნიშატი და განუშორებელი ნაწილი...

ის, რასაც დღემდე „სასწაულით მოღწეული" ტაძრების შესახებ ბრძანებს გურამ ასათიანი, ნაწილობრივ ციხე-კოშკებსაც ეხება. გარდა იმისა, რომ ხალხური ხუროთმოძღვრე-

ბის შედარებით მარტივ, პრიმიტიულ ნიმუშებში დაცულია ე.წ. „ოქროს კვეთის“ (ღვთაებრივი პროპორციის) პრინციპი, თვალნათლივია მშობლიური მიწის საზღვრულ სივრცესთან მათი ბუნებრივი, ორგანული კავშირიც.

ქართული სულის ესთეტიკური ბუნების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომში „სათავეებთან“ გ. ასათიანი წერს: „ქართული ხუროთმოძღვრების ერთი მთავარი ნიშანი – მიწასთან (ბუნების წიაღთან) განუყოფლობა – ნივთიერი გამოხატულებაა ქართული სულის ღრმა ნდობისა ბუნების მიმართ, რომელიც მათი თვალსაზრისით, თავად შეიცავს მშვენიერებისა და სიკეთის საწყისებს. მაგრამ, ამავე დროს, თავისი სტრუქტურით ის მკვეთრად განსხვავდება არა მხოლოდ უცხო და შორეული, არამედ მომიჯნავე (ყველაზე ახლობელი) ფორმისგანაც, ვინაიდან მისი „ბუნებისგან განუყოფლობა“ არ ნიშნავს ნიადაგთან ჩაკვრას, ჩაბჯენას, წიაღთა მიზიდულობით ჩამკვრივებას“ (გ. ასათიანი, II, გვ. 89).

ზეპირსიტყვიერებასა თუ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ციხე-კოშკი, ქავი, ქვითკირი და მათი სარანგები – კაი ყმები და „პიროფლიანნი“ – უერთგულეს თანამებრძოლებად გვევლინებიან; თანამებრძოლებად, რომელთა სიმტკიცესა და შეუვალობაზე კონკრეტული სოფლის, კუთხისა თუ, საერთოდ, მთელი ქვეყნის ბედია დამოკიდებული.

ნაწილიანნი

„ადამიანი ღვთაებრივი არსების ემანაცია ანუ ნაწილია".

ლუდვიგ ფოიერბახი

ღვთისშვილთა თანხლებით ქაჯავეთს მოარული, „ანგელოზებთან წილნაყარი"(გადმოცემის ერთი ვარიანტით – „ანგელოზთან გაფიცული") სახელოვანი მკადრე გახუა მეგრელაური; ობლობით ამაზრდილი", მუცოსა და შატილში ნამყოფი ერთ-ერთი ბაგრატიონის ნაბუშარი თოღვა ძაგანი; ლეგენდარული ხოგაის მინდი („მინდი რო დაბადებულა, ცაზე ორი მზე მდგარა"); ფშაველ „პიროფლიანთა" თავკაცი ქისტეთზე ლაშქრობებში, ლაშარის ჯვარის ხევისბერი გარა თურმანაული; შთამომავალთაგან წმინდანად შერაცხილი ნათელმხილველი მგელა ჯაბუშანური („მგელა ხო ხთიშვილიან კაც ყოფილ, ეშმაკებს შინებივ იმისა..."); ზურაბ ერისთავის ძლევის ნიშნად ბეგენგორ ქვის სამანის ჩამგდები მამუკა ქალუნდაური; „სამის თემობის კარი", არხოტიონი ბერდიათ გაგა – იმ რიცხვმცირე ფოლკლორულ გმირთა შორის დგანან, რომელთა სიმხნე, სიჩაუქე, სახე და ნაკვალევი სამუდამოდ უკვდავყო ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ (სხვა საკითხია, რამდენად პასუხობს და ესატყვისება მაღალზნეობრივ პრინციპებს თითოეული მათგანის ღირსსახსოვარი ქმედება და უჩვეულო თავგადასავალი)...

ქართველ მთიელთა მითოლოგიური ცნობიერების მყარი ნიშნითაა აღბეჭდილი რეალური საზრისით დაუჯერებელი ამბები თემ-სოფლისთვის მაშვრალ სახელხმიან სახალხო გმირებზე, რომელნიც საყმოს რიგითი წევრებისგან ზებუნებრივი თვისებებით – განგებისგან მინიჭებული „მორჭმულობით", ეტლიანობა-დავლათიანობით ანდა ნაწილიანობით გამოირჩევიან.

სწორედ ასეთ გმირთა წყებას განეკუთვნებიან ზემონახსენები პერსონაჟები, – ზოგიერთი რეალური პიროვნება და ზოგი მშობელი ხალხის შეუზღუდავი წარმოსახვის ნაყოფი...

მრავლისმეტყველი ლიტერატურული ანალოგიებისთვის თვალის გადევნება (რაც თავისთავად საშური საქმეა) შორს წაგვიყვანდა, ამიტომაც ამჯერად მხოლოდ ხალხური სიტყვიერების ტიპობრივი მონაცემებით შემოვიფარგლებით

(ორიოდ სიტყვით აღვნიშნავთ, რომ ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნააზრევის ფესვეული სიახლოვე მითოლოგიურ სამყაროსთან, მისი პოემების ტრაგიკულ პერსონაჟთა „ღვთისაგან ნაწილიანობა" სამაგალითო მეცნიერული სიღრმითაა წარმოჩენილი თამაზ ჩხენკელის „ტრაგიკულ ნიღბებში").

„ნაწილიანობის" მნიშვნელობა ფოლკლორისტიკის საკითხებში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველისთვის თითქოსდა ცხადი და გასაგებია, მაგრამ, ამასთან, არის ისეთი ნიუანსები, რომელთა გაუთვალისწინებლად რამდენადმე ნაკლული, მწირი და უკმარი იქნება ჩვენი ცოდნა ამ სავსებით უნიკალური, ტევადი, საკრალურ გარემოში აღმოცენებული ცნების შესახებ.

„ნაწილიანი", ტრადიციული გაგებით, ადამიანის, ცხოველისა და საომარი იარაღის ღვთაებრიობაზე, არაჩვეულებრიობასა და გამორჩეულობაზე მიგვანიშნებს, თუმცა ფოლკლორულ ტექსტებში ამ ტერმინით, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც, რომელიმე სულიერის ეშმაკეულთან თანაზიარობაც აღინიშნება. „წინ შენ გაიგებ მაკლულსა, ეშმაკის ნაწილიანო, თოფიმც მაგხვდება გულზედა, გონი აგხადას ტყვიამო", – მიმართავს არწივის მაქებარი უცნობი მელექსე ავის მაცნე კუნაპეტ ყორანს.

მსგავსი ნიმუშები ხალხურ პოეზიაში ერთობ მცირეა.

„ეშმაკის ნაწილიანი" (ეშმაკთან წილნაყარი) ზოგჯერ ირიბი, გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი და ადამიანის მოხერხებულობის, გერგილიანობის, მტრისგან მისი მოურევლობის მაუწყებელია.

„ნაწილიანის" გაგება ახლავს ხანდახან „დავლათიანს" (ლიტერატურული ტრადიციით – „სვიანი"), „ეტლიანსა" და „ნასიბიანს". ამ ცნება-ტერმინთა სემანტიკურ მწკრივში ერთიანდებიან „იღბლიანი" და „ყისმათიანიც და, ეს ჩვენი სუბიექტური აზრია, სამისდღეშიო სასაუბრო მეტყველებაში ინტენსიური გამოყენების გამო პირველი ოთხი ლექსიკური ერთეულის, ასე ვთქვათ. „შერბილებულ", დესაკრალიზებილ შესატყვისებად აღიქმებიან.

მაინც როგორ და რა ვითარებაში ვლინდება ნაწილიანთა ღვთიური წარმომავლობა, ქუდბედიანობა, თანშეზრდილ თვისტომთა შორის მათი პიროვნული უპირატესობა, ერთადერთობა და აშკარა განსხვავებულობა?

ფშაური გადმოცემით, გარა თურმანაულის სიკვდილის შემდგომ ლაშარის ჯვარის ყმებს ხელი მოცარვიათ მტერთან ბრძოლებში. ქადაგის ბაგე-პირით მფარველ ღვთაებებს სალაშქრო დროშისთვის გარას ბეჭის შებმა ურჩევიათ ფშაველებისთვის. ასეც მოქცეულან ძალმოსილი ხატის უნჯნი ყმანი და იმ დღიდან მათი საომარი საქმე კვლავ წალმა წასულა.

გარა თურმანაულის, როგორც ეტლიან-დავლათიანი გმირის, მარჯვენა ბეჭი რიგით მოკვდავთათვის უცხო და უცადი ზემატერიალური ძალის მფლობელია. გმირის ბეჭის ადგილსამყოფელია მზე-მთვარის თვალხილულ ნიშანში ემანირებული ნაწილისა (გავიხსენოთ თორღვა ძაგანი: „დიდებულება დაუთქვეს, ბეჭებს უნახეს ჯვარიო. მარჯვნივ მზე წერებულიყო, მარცხნისკე – მთვარის ნალიო...“). გარას ბეჭის სახით ფშაველთა მეწინავე სალაშქრო დროშას სვიანი გმირის ღვთაებრივი მადლი მიჰყვება, რაც, მითოსური ლოგიკით, მათი საბრძოლო წარმატების საწინდარია.

დიდად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მორწმუნე ხალხის წარმოდგენით, მისივე წიაღიდან გამოსული ცალკეული პირები ღვთისშვილებზე (ცა – მყარის ბინადართა შუამავალ ხატ-სალოცავებზე) მაღლა დგანან თავიანთი ბედ-იღბლით. ვაჟას მიერ მოწოდებულ ცნობას იმის შესახებ, რომ „ფშაველს ზოგი კაცი ზოგს ხატზე იღბლიანი ჰგონია“ (თხზ. ტ. IX, გვ. 12), პირდაპირ ეხმიანება, ამაგრებს და ასაბუთებს თანამედროვე მთხრობლებისგან ჩაწერილი ფოლკლორული მასალა.

„ხატი იტყვისო, ჩემ კარზედაო ზოგი ისეთი ყისმათიანი შამოხდებაო, რო ჩემი ლოცვა რადღა უნდაო...“ „ნაწილიანზე უთქვია ლაშარის ჯვარსა: მაგან რო თავისი ყისმათის ამბავი იცოდეს, ჩემს კალთაზე არ შამოხდებოდაო, ჩემს სახვეწრად არ მოვიდოდაო...“

ამ თამამ, რამდენადმე მკრეხელურ აზრსა და შეხედულებას შეგუებული მკითხველისთვის მოულოდნელი ალბათ აღარც ის გადმოცემა იქნება, რომლის მიხედვითაც გარა თურმანაულის ყისმათის განმასახიერებელი ნისლა ხარი წითელი ხარის აღით მოვლენილ თავლაშარის ჯვარს ჯაბნის ორთაბრძოლაში, ე.ი. მშობელი კუთხის წინაშე ნაამაგარი გმირი სატომო მასშტაბის ჯვარ-სალოცავზე, ფშავის ხევის ღვთისშვილთა უფროსზე, მორჭმული და ძალიანია...

საგანგებო მისიის აღსასრულებლად მოწოდებული გმირი

შობისთანავე იქცევს იქ მყოფთა ყურადღებას სხეულზე დაჩნეული სიმბოლური ნიშნებით და სხვადასხვანაირი საგნობრივი ატრიბუტებით. ნაწილიანი ადამიანის სიცოცხლის საწყისივე საფეხური იძლევა სიგნალს მისი არცთუ სახარბიელო, ხშირ შემთხვევაში, ხიფათიანი და ბურუსით მოცული მომავლის შესახებ.

გმირის სასწაულებრივი დაბადების ფოლკლორული მოტივი საერთაშორისო გავრცელებისაა.

გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართული ზეპირსიტყვიერება წარმოადგენს. საგმირო საქმეებისთვის ანდა კულტის მსახურად აღძრული პერსონა შესაძლოა დაიბადოს მხარზე სანთლის ანდა თოფის, გულზე მთვარის, ბეჭზე ჯვრის გამოსახულებით; ხელში – ხმლით, ხანჯლით; გულზე – ნათლით; ტანზე – ოქროს ან სისხლიანი პერანგით....

მართალია, თორღვა ძაგანი თავისი მოძალადური ბუნებით და ახირებული ხასიათით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში, მაგრამ გადმოცემამ მაინც საჭიროდ ჩათვალა მისი ნაწილიანობის („შამოგეყრება თორღვაი, ღმრთისაგან ნაწილიანი...") ხაზგასმა საღვთო ნათელსა და ჯვარწერილზე ყურადღების გამახვილებით.

ირკვევა, რომ ირაციონალურ ძალებთან წილდებულობა სულაც არ არის თვისრჯულთა სარგოდ და საკეთილდღეოდ გმირის ქცევისა თუ მოქმედების „გარანტი". შესაძლოა ნაწილიანი იყოს როგორც ზეგარდმო მადლს ნაზიარები, ისე უკეთურებასთან წილდებული პიროვნება. ამდენად, ნაწილიანობა არ გახლავთ ზნეობრივი კატეგორიის მოვლენა. ამას გვაფიქრებინებს არაგველთა დაუძინებელი მტრისა და „სულკრული" ზურაბ ერისთავის სახელთან დაკავშირებული ხალხური ცნობები თუ გადმოცემები, საერთოდ, ზურაბის ციკლის მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერი მასალა. „როშკის გორ ზურაბ ჩამოჯდა, შუქნ ჩამუტივნა მზისანი, როშკას აწიწდეს ციხენი, ბლოს ბანნი ქვითტკირისანი, გვეშინის, დაგვეცემიან ნაზლობნი საძელისანი", – ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში. „შუქის ჩამატევა", ე.ი. ადამიანის სხეულის სხივმფინარობა (მსგავს მოტივს საჩინო ადგილი უკავია სარწმუნოებისთვის თავდადებულ წმინდანთა თუ მოწამეთა ბიოგრაფიებში!) ნაწილიანობის იმანენტური ნიშანია. ნაწილიანთა შობას თან ახლავს ციური შუქის მოფენა შობის ადგილზე, ისევე, როგორც „საღმრთო-

თა მის მადლითა ბრწყინვალითა" აღივსება „ქუაბი იგი ბეთლემისა", რაჟამს ხორცშემოსილი ქრისტე იშობა ქალწული მარიამისაგან... იციან ბლოსა თუ როშკაში ზურაბ ერისთავის მზვაობრობის ამბავი; იციან ისიც, რომ ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარ ნაწილიან მოძალადეს აგრე ადვილად ვერ მოეკიდება მათი ტყვია თუ ისარი და ამიტომაა, რომ შიშის ზარი დასცემია როშკის ციხეებს, ბლოში – ქვითკირის ბანებს... თუ ნაწილიანობის ზოგად გაგებას გავითვალისწინებთ, შეუსაბამობად მოგვეჩვენება ზურაბის მიჩნევა ნაწილიანად. აშარ ერისთავს ასეთი „საღეთო ტიტული" მთიელი ხალხისგან, წესით და რიგით, არ უნდა მიჰკუთვნებოდა. მან ხომ „მეშვიდ-მეშვიდეს წელს" სამჯერ დალაშქრა ხევსურეთი და საბედისწერო წამებში უვნებლად გადარჩენის ამ სამმა შემთხვევამაც განაპირობა ზურაბის დასახვა ნაწილიანად, ისეთ კაცად, რომელსაც გასაჭირში ღვთის ძალა მფარველობს, იცავს სიკვდილისაგან, თორემ, კაცმა რომ თქვას, ზურაბ ერისთავი, „ეშმაკის ნაწილიანი" უფრო არის, ვიდრე ღვთისა. ის „კაცის სახით გაცხადებული დევი თუ ქაჯია"(ზ.კიკნაძე), რომელიც ოქროსშიბიანი ბერმუხისა და ხმალას მირონმდინარი ალვისხის მოჭრის გზით ლამობს ფშავ-ხევსურეთის საკრალური შუაგულების დანგრევას და საყმოების დამორჩილებას...

სახელოვან გმირებს თუ არცთუ შორეული წარსულის მთის საყმოთა რიგით წევრებს, რომელთაც თვითმხილველთა ნაამბობში ნაწილიანობა მიეწერებათ, თავიანთი წინამორბედები, უკეთ, ფოლკლორული პროტოტიპები ჰყავთ ამირანის ეპოსის უძველეს პერსონაჟთა სახით.

ამირანის და ძმათა მისთა იერსახე, ფიზიკური ხატი და გარეგნობა მხატვრული განსახოვნების სრულიად განსხვავებული ხერხებითაა გადმოცემული ეპოსის პოეტურ ვარიანტებში. ამირანი „საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბელს" ჰგავს, ბადრი – საქმროდ მოწეულ „ლამაზ ქალს", ხოლო უსუპი – „თავბოლო გამაგრებულ ბროლის ციხეს". მიუხედავად თითოეული მათგანის ნათლად გამოკვეთილი თავისთავადობისა, დევკერპებთან დაუცადებლად მეომარი ძმების გენეტიკურ ერთობასა და ბუნებაზიარობაზე მეტყველებს ღვთაებრიობის სიმბოლურ ნიშნებთან მათი უშუალო კავშირი: ამირანის ოქროს კბილი, ბადრისა და უსუპის ბეჭებზე აღბეჭდილი მზე-მთვარე მათი რჩეულობისა და ერთადერთობის უტყუარი „ დოკუმენტებია".

არაა გამორიცხული, რომ ნაწილიან გმირთა გარეგნული სახის მზისა და მთვარის ნიშნებით ძერწვის ტრადიციას სწორედ ამირანის ეპოსი აძლევდეს დასაბამს...

ღვთის რჩეულ გმირს, როგორც წესი, საომარი საჭურველიც პირადი ღირსებისა და დამსახურების შესაფერისი აქვს. ცეცხლში ნაწრთობი ფოლადი მფლობელის ფიქრის ზიარი და „უერთგულესი" მეგობარია. და აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ მცურავი ჯაჭვის პერანგის მქონე მამუკა ქალუნდაური და წინასწარმეტყველების უცნაური უნარით აღჭურვილი მისი ნაწილიანი ხმალი, რომელიც სალაშქრო ჟამის ჩამოდგომისას ქარქაშიდან ამოიწევდა, დაუდეგრობდა და თავის პატრონს მტერზე გამარჯების დღის მოახლოებას ატყობინებდა...

ბრძოლებში ნაცადი გმირის იარაღი ზებუნებრივ ძალას იუნჯებს და ამიტომაც ფასობს ძვირად. „ხევსურული პოეზიის" შენიშვნებსა და ვარიანტებში აკაკი შანიძე წერს: „...ეს შალვათ ხახონი განთქმული ხევსური ყოფილა, 19 ქისტის მომკვლელი. ამისი ხმალი დღესაც წმინდად მიაჩნიათ. ხევსურებმა მითხრეს, „ნაწილიან-დავლათიანიაო". მელოგინეს თუ გაუჭირდა, ჩაჰრეცხავენ ხახონის ხმალს, დაალეინებენ მელოგინეს, უეჭველად უშველისო".

სიმტკიცეს მატებდა ციხე-სიმაგრეს ლიბუში ჩატანებული ხმალი უტეხი ვაჟკაცისა: აი, რა ნატვრაა გაცხადებული ერთ ხალხურ ლექსში „ნეტავ არ გამაჰყიდდესა თილისძენ გორგის ხმალსაო? თუ გამაჰყიდდეს, ვიყიდდი, მივცემდი ცხვარსად რვალსაო, ციხეში რო იქნებოდა, ლეკებს შასდებდა ზარსაო".

ქავ-ციხის აუღებლობის იმედი ხმალზეა „დაყრილი"; ხმალია ის დუღაბი, თაებოლოს რომ უმაგრებს და თავისი „დავლათიანობით" შველის მუდამ მტრიანი კუთხეების მკვიდრთა თავშესაფარს. კაი ყმების ხელშენავლები ხმლის მადლი თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობაზე გადადის; შენობის ლიბუში მისი ჩადება საუკუნეთა სიშორიდან მომდინარე ტრადიციათა უწყვეტობის პირობაა. ხმალი აქ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ის აღარაა უტყვი, ცივი და უენო რკინა, არამედ ისეთი საგანი, რომელშიც მთელი სოფლის, ხეობისა და კუთხის ბედ-დავლათია განივთებული... ცხადია, რასაც მოასწავებს ზენბაცილიგოს მდგარ თინიბექაის ციხის ლიბუში გველის შეძვრომა („თავს აზის შავი ყორანი, ლიბუში გველი ძვრებაო"). ასევე ცხადი ქავის საძირკველში ჩაშენებული გრძნეული ხმლისა და ხმლის ვადის ძალა და სიმბოლური

მნიშვნელობა... უცნაურია, მაგრამ ასეა: არათუ ნაჯაფ-ნაამაგარი თვისტომნი, ცხრა საფეხურით ამაღლებულნი სადაგი ყოველდღიურობის ყოფითი დონიდან, უკიდურესი განსაცდელის ნუთებში მათი თანმხლები იარაღიც ლეგენდარული ამბების ქსელში გახვიეს ჰეროიკული წარსულის უცნობმა და უჩინარმა მემატიანეებმა; ლამის კულტის საგნად აქციეს „გორდა" ფრანგული თუ „დავითფერული", პირბასრი იარაღი, რომელთა წყალობით ბევრი მწარე დღე დაუღამებიათ ვერაგი მტრისთვის ჩვენს ჩაუქ წინაპრებს...

უზენაესთან წილდებული გმირების თავგამოდებული მოღვაწეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა მკაფიოდ ჩანს ერთ ფრაგმენტულ გადმოცემაში, რომელიც კაცთა საცხოვრისად ვარგისი ადგილის მავნე სულებისაგან გაწმენდისა და განთავისუფლების მითოლოგიურ მოტივს შეიცავს: სოფელ ბაკურხევის დაარსება-დაფუძნების შესახებ შედეგს მოგვითხრობენ: ფხიტუზე (მთის სახელწოდება) ასულ სამ ძმას ბაკურხევის ტერიტორიაზე დევები უნახავს. დევებს მაშინ საგუბარში უცხოვრიათ. ძმებიდან ერთერთი ნაწილიანი ყოფილა. წილი უყრიათ და ნაწილიანს რგებია დევებთან საომრად ჩასვლა. ძმებს უთქვამთ: შენ ნაწილიანი ხარ, ვერაფერს გავნებენ, ჩვენ აქედან გიყურებთ, თუ გაგიჭირდა, ჩამოგეშველებითო. ჩასულა ნაწილიანი და ამოუხოცია დევები. მერე ძმებს წყალზე წისქვილიც გაუბრუნებიათ...

სამი ძმის ადგილას თინა ოჩიაურის მიერ ჩაწერილი გუდამაყრული გადმოცემა დევ-კერპებთან მეომარ ღვთისშვილებს – ფუძის ანგელოზს, კოპალას და იახსარს – ასახელებს. ამ გადმოცემაში ნაწილიანი ძმის ორეულად, მისი საღვთო ფუნქციის მონაცვლედ ფუძის ანგელოზია წარმოდგენილი...

თავისი არსით წმინდა და საპატიო საქმე, რისი აღსრულებაც მითოლოგიურ თქმულებებში ავსულების მჟლეტელ ღვთისნაბადებთ მიეწერებათ, და აქ პირველობა იახსარსა და კოპალას ეკუთვნით, შეუძლია იტვირთოს ნაწილიანმა გმირმაც და, როგორც ზემოთ მოტანილი პარაფრაზირებული გადმოცემა გვეუბნება, წარმატებითაც გაართვას თავი. ყმა თავისი „ბატონის" მისიას ასრულებს და ამაში გასაკვირი არაფერია. მასზე ხომ „მცავი და მფარავი" ანგელოზების მადლია გადასული, რაც საშუალებას აძლევს, დაუბრკოლებლად დაამარცხოს ბრიყვი და თანაც ბოროტი მოწინააღმდეგე.

როგორც მკვეთრ ინდივიდუალიზმში გამოხატული რჩეულობის ყოველი გამოვლინება, ნაწილიანობაც ტრაგიკული ფენომენია. ირგვლივ მყოფ ადამიანთა სიმრავლისგან განმსგავსებული სუბიექტი საკუთარ არსებაში იმთავითვე ატარებს ტრაგიზმის ჩანასახს. მისი ცხოვრების გზა, დასაბამიდან ვიდრე აღსასრულამდე, ყოველთვის როდია განპირობებული პირადი წადილითა და ინიციატივით. მათი გეზი და საცხოვრებისო ორიენტაცია, ხშირ შემთხვევაში, „გარედანაა" ნაკარნახევი. ჯვარ-ხატის მორჩილ „ღაბუშთა" თუ ქადაგ-მისანთა დარად არც ნაწილიანი პერსონაა მთლად თავისუფალი. მისი ყოველდღიური ყოფის ყაიდა ბევრადაა დამოკიდებული ზენა სამყაროს ბინადართა ნება-სურვილზე...

ნაწილიანობის გარეგნული გამჟღავნება შესატყვის ჟამსა და ადგილას ხდება. ცხოვრების მდორე დინების დროს ნაწილიანი პიროვნება, ცხოველი თუ იარაღი თანაგვარ არსებათაგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან. ხელსაყრელი პირობების შექმნამდე მათი „ნაწილი" თვლემს და მდუმარებს. საკმარისია სიტუაციის გამძაფრება, ვითარების მკვეთრი შეცვლა, რომ ნაწილიან საგანსა თუ სულიერში ღვთიური საწყისი „ამუშავდეს". ნაწილიანი არსება, უწინარეს ყოვლისა, ხთონურ სამყაროს, დევურსა და ეშმაურს უპირისპირდება; მათთან ჭიდილში ცნაურდება მისი ეტლიანობა.

რადგან ნაწილიანი კაცი „ანგელოზიანია", სხვაგვარად, მადლიანი და დავლათიანია, გამუდმებულად ებრძვის მას გველი. „მადლიანს კაცს ავი სული ემტერება, უნდა შეაცდინოს, ღმერთს გადაუყენოს, ღმერთი გაუნაწყრომოს" (ვაჟა). უნაწილო, ჩვეულებრივი ადამიანისადმი ნაყოფიერების ადრინდელი ზოომორფული ღვთაების მტრობას სამაგიეროს გადახდის, ჯავრის ამოყრის, შურისგების ხასიათი აქვს, ხოლო ნაწილიანს უხსენებელი საგანგებოდ ეძებს, მალულად უთვალთვალებს და დროს იხელთებს თუ არა, ცდილობს მისთვის ულევი მადლისა და სიუხვის წყაროდ მიჩნეული ნაწილის წართმევას. თუ ცოცხალს ვერაფერი ავნო, საფლავში ჩავა და მკვდარს ამოარიდებს ჩიტის კვერცხის ოდენა მანათობელ თვალს (შდრ. შუამდინარული მითოლოგიის მელამ, „ზებუნებრივი კერა ცეცხლოვანი თუ სხივური ენერგიისა, საიდანაც მთელ სამყაროს ეფინება ბრწყინვალება" – ზ. კიკნაძე).

არხოტის თემში დამოწმებული ხალხური წარმოდგენით, „გველი ღვთისგანაა, ჯვარ-ანგელოზთ აღითაა, ამიტომაც იგებდეს, „ვინ იყო ნაწილიანი". თავის მხრივ, ადამიანიც მუდამ იმის ცდაშია, რამენაირად დააგდებინოს, აართვას გველს თვალი. ხშირად ისრულებს კიდეც საწადელს და, როგორც წესი, ხატში მიაქვს ნაირფრად მბზინავი ძვირფასი თვალი („თავ-იაგუნდი", „მძივი", ხვითო", „უფლის ნაწილი"). ის სწორედ ჯვარ-ხატებში ინახება, სადაც ცხრაკეც ტილოში ახვევენ და კრძალვა-რუდუნებით ათავსებენ ხუცეს-ხევისბრები ვერცხლის თასში ანდა სპეციალურად დამზადებულ ქვის ბუდეში. მთხრობელთა რწმენით, გველის თვალი იშვიათობას წარმოადგენს. სხვათა შორის, ასეთივე იშვიათობაა ყორნის თეთრი ფრთა („თეთრი ფრთე შავის ყორნისა შენ მაჰხელია, ყარაო...") და, ამდენად, მისი ქონა პირველის ქონას უდრის. „ყორნის თეთრი ფრთა ვისაც ექნება, ვითომ გველის თვალი ჰქონიაო", – აღნიშნავს თორღვა ძაგანის ციკლის ლექსებიდან ერთ-ერთი საგულისხმო ვარიანტის ჩამწერი და კომენტატორი თედო რაზიკაშვილი.

ნაწილიან პერსონას თავისი ღვთიურობის გასაიდუმლოება მართებს. ის ყოველნაირად ცდილობს, უცხო მზერისთვის შეუმჩნეველი დარჩეს მისი „ნაწილი". დედის გარდა მისი ნაწილიანობა არავინ უნდა იცოდეს. საშიშროება კი ყოველ წამს არსებობს იდუმალებრივი ამბის გამჟღავნებისა. ზედატანზე (მხარ-ბეჭი, მკერდი, ყელ-კისერი თუ თავის არე) მდებარე მანათობელი წერტილი, რომელიც სხვადასხვა საგნისა თუ არსების (მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ჯვარი, სანთელი, მტრედი, არწივი..) სახისაა, წამისწამ ხიფათს უქადის გმირს... იგი არ არსებობს დიდხანს. „ნაწილიანის გაჩენა არას უხაროდ ჯალაფთ, რა გაზდისავ ეეგეთასავ, – თქვიან. ბრძოლაში ხელ ემართებოდ, სიკვდილიც მალე მეერეოდ..."

ასე სწამს ხალხს. ამგვარად ფიქრობენ და თავიანთი ნათქვამის სისწორეში ეჭვი არ ეპარებათ მთხრობლებს.

სხეულის საბედისწერო ადგილს (აქ შეიძლება აქილევსის ქუსლის ასოციაციაც აღეძრას მკითხველს!) საგანგებოდ იფარავს ღვთიურობის ნიშანდებული ადამიანი: „ნანილიან ორ პერანგს იცვემდ. შუღლში აყვედრიდეს: ნანილიან ხარაევ, აქა წამადეგივ, ორპერანგიანო..." „ორ პერანგს იცვემდავ, ვინაც ნანილიან იყვავ, ერთს ნაღმავ, მეორეს – უკუღმავ..."

ქრისტიანული მირონცხების ტრადიციული წესიდან გადახვევას აქვს ადგილი ნაწილიანი ბავშვის ნათლობისას. „ნაწილიან ბავშვს მანათელაში ტალავარ არ წაჰყარიან, — ნახვა არ ვარგავ..."

ავისმოსურნეთა თვალისკიდებამ დაღუპა ქართული ზეპირსიტყვიერების უსაჩინოესი გმირი თორღვა ძაგანი. მტერმა სწორედ იმ დროს შეამჩნია მის ბეჭებზე აღბეჭდილი ჯვრის, მზისა და მთვარის ნიშნები, როცა იორში (ვარიანტით: სიმურში) „ამაიჩქვიფა". ამ წამიდან გატყდა და დაიცარა მისი „ნასიბი". დავლათდაკარგული დაუცველ, ჩვეულებრივ მოკვდავად იქცა. სიკვდილმაც არ დაახანა: შვიდ წელს ნაავადარი ჩოთას ისარმა მოუღო ბოლო მანამდე გულგოროზ, მოურეველ ყმას...

როგორც საკრალური საიდუმლოს გამხელა და გამოფენა არ არის სასურველი და ნებადართული, ასევე ნაწილიანობისა. მასაც ისეთივე მალვა და საფარველდება ჭირდება, როგორც ნათელმხილველთა მიერ განცდილ საიდუმლო მისტერიებს.

საგულისხმოა ერთი მომენტი: „მზე-მთვარიან" ახალგაზრდას, რომელიც დროულად შეირთავს ცოლს, ხიფათი აღარ ეხედვება, მხოლოდღა სიბერეში ეწევა ბუნებითი სიკვდილი: „ნაწილიანს მალე მაღგვარიან დიაც, — მემრ აღარ უნდავ შიშივ."

გუდამაყრული გადმოცემა, რომელიც სადედაბროს მთაზე დაყუდებული ბერისა და აფციაურების სასიქადულო წინაპრის, „პირიმზის ხატისგან ნაწილიანი" პაპო მჭედელის ურთიერთშეწევნის შესახებ მოგვითხრობს, მათი ნაწილიანობის („ღვთაებრივი ხარისხის") დაკარგვის მიზეზად ქალს ასახელებს. პაპოს იმ დღიდან წაერთვა ლევიტაციის უნარი, რა დღესაც ბერმა ჩოხში საქმე გაურიგა და ქალი უთხოვა. „გამინრიელებით" შეწუხებულმა მჭედელმა სანაცვლო მიაგო ბერს: სახლში მიიპატიჟა და გაუმასპინძლდა. ბერს მოეწონა მარჯვე დიასახლისი და გულში გაივლო: რა ვქენ, რატომ ჩემთვის არ ვითხოვეო. იმ დღიდან ვეღარც იმან გაიარა ჰაერზე, — „აწყენინა ღმერთსა, აღარ არის ნაწილიანი, დეეკარგა ხარისხი".

საცნაურია გადმოცემის მოტივური სიახლოვე ილიას „განდეგილთან".

აქვე „გველისმჭამელის" ცალკეული ეპიზოდებიც გაგვახსენდება.

ანუ ის შემთხვევები მხატვრული ლიტერატურიდან, როცა ღმერთთან და ბუნებასთან გმირის მიერ მისდაუნებურად

დამყარებული იდუმალი კავშირის დაშლა ქალს – ბიბლიური ევას პირდაპირ შთამომავალს – ედება ბრალად.

ნაწილიანთა დაოჯახებასთან დაკავშირებით კი შემდეგი შეიძლება ითქვას: მათ, როგორც „სხვარიგ“ ეტლზე ნაშობ ადამიანებს, თუკი ბოლომდე ზიდავენ თავიანთი მოწამეობრივი მოწოდების მძიმე ჯვარს, მიწიერი ვნებების დაოკება და სიწმინდის შენარჩუნება მართებთ. ვინც ამ პირობებს არღვევს, ინდივიდუალობის საზღვრებიდან გადის და ოჯახს ეკიდება, გარკვეულწილად შორდება საამსოფლო წესრიგის დამდგენ პირველმიზეზს, ღალატობს საკუთარ თავში დავანებულ ღვთიურ მადლსა თუ ძალას, ემშვიდობება რჩეულობის მაღალ ღირსებას; ცოლის შერთვის პრაგმატული აქტით ღვთივცხებული პიროვნება ჩვეულებრივი ცხოვრების „რელსებზე“ გადადის; იშრიტება რჩეულობის ფაქტორით განპირობებული მისი ტრაგიკული ხვედრის წყაროსთვალი. ოჯახსმოკიდებულ, „მაღლიდან დაბლა ჩამოსულ“ გმირს გაუორგულდება და გაეყრება ღვთის ნაწილი; ამიერიდან ის ხდება საარსებო სახსარს დახარბებული საზოგადოების რიგითი წევრი და ახლობლებშიც ქრება ელდა და შიში მისი უჟამო სიკვდილისა...

„მადლიანნი ღვთისშვილნი ღვთისაგან ნაწილიანნი არიან“, – ღაღადებს ხალხური სიბრძნე ფშაველი ხევისბრის პირით. ადამიანიც ხომ ღვთისნაბადებია და მისი ტანჯვა-წამების უნებური მონაწილე. ნაწილიანი გმირი, თავისი ბუნებით, ახლო დგას „ძვირად სახსენებელ“ ხატ-ღმერთთან. და, თავისთავად იგულისხმება, ვალად ადევს მათი ერთგული სამსახური. „ნაწილიანი მიღებულია ხატთანაც, ღმერთთანაც. საქმე რო აქვს ხატთანა, ეგ არის ნაწილიანი; ყისმათიანსაც ვეძახით იმასა“... „ნაწილიანი ანგელოზიანია“, – ამბობს ერთი ინფორმატორი. ძნელია, ამაზე ლაპიდარულად, სახიერად და სრულყოფილად მიანიშნო ღვთის ხელდებული და, აქედან გამომდინარე, მიწყივ განსაცდელის მომლოდინე, ტრაგიკული ბედის მქონე ადამიანის პიროვნული თავისთავადობისა თუ ერთადერთობის განმაპირობებელ მიზეზზე, ძირსა და თავისებურებაზე.

ზნეობრივ ღირებულებათა სივრცული განზომილებანი ხალხურ პოეზიაში

„უპირველეს ყოვლისა, კაცმა უნდა შექმნას თავისი სულიერი, ცხოვრებისეული ჯვარი: ამ ჯვრის ვერტიკალი არის სულიერი კავშირი უფალთან, ხოლო ჰორიზონტალი – სულიერი კავშირი სხვა ადამიანებთან. ამგვარად, ადამიანმა უნდა შექმნას ორი სულიერი ძელი და ესენია: სწრაფვა ღვთისაკენ და სწრაფვა ადამიანებისაკენ".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
უწმიდესი და უნეტარესი **ილია II**

ერის სულიერ ფასეულობათა სფეროში, დღიდან დამოუკიდებელ ეთნიკურ ერთეულად მისი ფორმირებისა, თანდათან ჩნდებიან ის სანიშანსვეტო წერტილები თუ მყარი „საცხოვრებისო" ორიენტირები, რომელთაც ქმედითი ფუნქცია და დატვირთვა ენიჭებათ ამ ერის საბოლოო სახის განსაზღვრაში, დადგინებასა და გამოკვეთაში...

საკაცობრიო ღირებულებათა მრავალასპექტიანი სისტემის ეროვნული თავისებურებანი მკაფიოდ იჩენს თავს უაღრესად ღრმააზროვან ხალხურ პოეზიაში, საერთოდ, ზეპირსიტყვიერებაში და ნათლად ავლენს იმ იმანენტურ ნიშან-თვისებებს, ნებისმიერი ასაკის, მოდგმისა თუ გვარ-ტომის ადამიანთა საზოგადოებას რომ ახასიათებს.

ნაციონალური სტატუსის მქონე ნიმუში ხალხური სიტყვიერებისა, არცთუ იშვიათად, ზოგადადამიანურ მიღწევათა სიმაღლეებს უტოლდება, უსწორებს თვალს, ეხმიანება და თავისი წარუვალი წვლილი შეაქვს კულტურულ მოვლენათა უწყვეტ, პერმანენტულ პროცესებზე ორიენტირებული ერების ინტელექტუალურ მონაპოვართა საგანძურში, მათ არათანაგვარ სულიერ ცხოვრებაში...

ის, რასაც „სივრცულ დიქოტომიად" მოიხსენიებენ ლიტერატურათმცოდნეობაში, ძალზე მკვეთრი და კონკრეტული სახითაა ჩაწერილი არაერთ ვარგის ხალხურ ლექსსა თუ ნარატივში.

უსახელო მელექსეთა ხატოვანი აზროვნების სიღრმისეული შრეების მეტ-ნაკლები წარმატებით წვდომა და მათ წიაღში დანთქმული რაციონალური მარცვლების (რიგ შემთხვევაში – ზოდების!) შინაარსის შეცნობა ძალაუნებურად იწვევს მსმე-

ნელისა თუ მკითხველის ყურადღების კონცენტრაციას იმ მარადიული ფენომენის ირგვლივ, ხალხურ სიბრძნედ რომ არის სახელდებული...

პოლარულად საპირისპირო სემანტიკის მატარებელ ოპოზიციურ წყვილთა არქეტიპულ მოდელებს შორის შეინიშნება აშკარა სხვაობა მათი სიხშირის, სიმწვავისა თუ სიმძაფრის ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ. და, ალბათ, საყოველთაოდ ცნობილი კლასიკური ოპოზიციური წევრებისგან (ყოფნა – არყოფნა, სინათლე – სიბნელე, სიკეთე – ბოროტება, სიყვარული – სიძულვილი, ზემო – ქვემო, წინ – უკან...) თავისი გამომსახველობითი განსაკუთრებულობით გამოირჩევა ზემო-ქვემო (მაღლა-დაბლა), ვინაიდან მასში პირწმინდად ტოპოგრაფიულ მხარეს მეორე – არანაკლებ საგულისხმო – ზნეობრივი განზომილებაც ერთვის და ეთანადება.

„ზემო" და „ქვემო" უნივერსალური სიმბოლოებია.

პირველში ზე-აღსვლა, სიმაღლისკენ საფეხურებრივი სწრაფვა, განწმენდა, სულიერი სრულყოფა და ამაღლება მოიაზრება, ხოლო მეორე არაორაზროვნად მიანიშნებს ქვემოთ დაშვებას, „გამინიერებას", ღრიბლიან, პროფანულ გარემოში მოხვედრას, დაცემას და დამარცხებას...

ზუსტად შეუმჩნევია ეს კანონზომიერი მოვლენა რჩეული პოეტის მახვილ თვალს: „...ძალიან გააქტიურებულია ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნები. თითქოს ამ ცის ქვეშ ყველაფერი ამაეს – მზის ამოსვლისას იწყებოდეს და ჩაეს – მზის ჩასვლისას მთავრდებოდეს" (ბ. ხარანაული)...

სიმაღლის დაპყრობა და დაუფლება, მიზანმიმართული სვლა ვერტიკალის უმაღლესი წერტილისაკენ ძალზე ძნელია, რადგან სანაცვლოდ სულიერი და ფიზიკური ენერგიის უშეღავათო გაღებას, პიროვნულ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოვლინებას მოითხოვს.

ქვემოთ (ძირს, დაბლა) ნელი მოძრაობა ანდა უცაბედი, აჩქარებული ვარდნა ბედნიერების კლების, შეცოტავებისა და დაკარგვის, სიდიადის განცდასთან დაშორებისა და დამშვიდობების, გამოუცნობ ვითარებაში მოხვედრისა და „განიარაღება"-გაარაფრების მეტაფორული გამოხატულებაა, საგნობრივი სიცხადით რომ აირეკლავს ზიგზაგოვანი გზებით დაქსელილი ცხოვრების ზოგად კანონზომიერებას...

ზემოთ – ცის სიახლოვეს – ღვთაებრივი ნათელი, შვება და სიხარულია, ხოლო ქვემოთ – მიწაზე და მიწისქვეშეთში – სიბნელე, უჩინ-უკუნი, ტანჯვა და ტკივილი, სევდა, ტირილი და უპერსპექტივობის გამანადგურებელი განცდა...

ნაშრომში „მეტაფორა“ (2009) რუსუდან ცანავა წერს: „...სხვადასხვაგვარი სახეები, რომლებიც უკავშირდებიან „ზემოს“ იდეას – ჩიტი, გატყორცნილი ისარი, ვარსკვლავი, მთა, ქვის სვეტი, ხე და ა. შ. – ასახავენ რაღაც სასურველს. „ქვემო“ კი საპირისპირო დატვირთვას იძენს. დამარცხებული ადამიანი არის ქვე დანარცხებული. ხრამი, ორმო, ქვესკნელი ვარდნასთან, სიკვდილთან, მარცხთან არის ასოცირებული. თუმცა „ქვემოს“ უკავშირდება ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი სიმბოლური ცნება – მიწის (დედამიწის, ყველა სულდგმულის მარჩენალის) წიაღი. კონტრასტი: „ზემო – ქვემო“, როდესაც იგი უფრო კონკრეტულ ფორმას იღებს და მიემართება ცასა და დედამიწას, იოლად განსხეულდება; ამგვარად, ვღებულობთ იმას, რასაც „მითოიდს“ უწოდებენ“ (გვ. 17-18)...

პიროვნული ამაღლების, ერისიონზე, ანუ, როგორც სულხან-საბა განმარტავს, „მთის თავს ზეით“, შედგომისა და, შემდგომ, უცაბედი თუ „ნელ-ნელაობითი“ დაცემის მხატვრული გააზრების უნიკალურ ნიმუშებად გვესახება ვაჟა-ფშაველას ორი გენიალური ქმნილება: ლექსი „მთას ვიყავ“ და პოემა „გველის-მჭამელი“, რომელთა შორის ე. წ. შემოქმედებითი თვითგამეორებით პირობადებული უმჭიდროესი შინაგანი კავშირიც უნდა ვივარაუდოთ.

მწვერვალიდან „თავ-თავქვე“ (ბნელი ხევისკენ) მიმავალი გმირის უსალბუნო სულიერი სიმძიმილი მოგვიანებით მინდიამ – ქაჯთა ქვეყანაში „გამეცნიერებულმა გლეხმა“ – იტვირთა და, რაც ლირიკულ ნაწარმოებში მიზეზთა მიუთითებლად მოხდა, მხატვრულ-ფილოსოფიური დისკურსის სახით განივრცო და გაიშალა „გველის-მჭამელში“...

ლექსის სიუჟეტის სრულფასოვან სტრუქტურულ სეგმენტებად აღსაქმელი ოპოზიციური წყვილის „ზემოთ – ქვემოთ“ ინტენსიური მიმოქცევა ხალხურ პოეზიაში თავისთავად მეტყველებს მის არაშემთხვევითობასა და უჩვეულო, არასტანდარტულ აზრობრივ განზომილებაზე.

სივრცული ორიენტაციის ნებსითი თუ უნებლიე პედალირებით ლექსის „მათქვამი“ აქცენტს სათქმელის ზნეობრივ ას-

პექტზე სვამს და ერთმანეთისაგან მკაცრად მიჯნავს ორ ურთიერთგანსხვავებულ გეოგრაფიულ ალაგს, ზოლსა თუ ზონას.

მაღლა (თუნდაც – მთაზე) ყოფნა, პირადი უპირატესობის შეგრძნებასთან ერთად, ბიწმიუკარებელ სისუფთავესთან თანაზიარობის ხილულ ხატსაც აცოცხლებს ადამიანში და ისეთ ტონალობაში ალაპარაკებს, კეთილშობილ სიამაყესა და უაუგო თავდაჯერებულობას რომ ესატყვისება:

ცხვარი მყავ მაღალ მთაზედა, დაბლა დაგყურებ ჭალაო,
მამწონხარ ჯუთის მთა-ბარო, თვალუწვდენელო შარაო...

მთა და ბარი, ზეგანი და ჭალა, მწვერვალი და ხევი... – ის საგნობრივ-ვიზუალური ნიშანსვეტებია, კოსმიური წესრიგისა და წონასწორობის მსაზღვრავ მხარეებად რომ წარმოსდგებიან და, იმავდროულად, ადამიანთა სულიერი სიმაღლისა და სიმდაბლის გაგების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ.

სიწმინდის ხარისხი სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება; უკაცრიელ გარემოში სისუფთავე მეტია, ვიდრე „ნალახ", კაცთა მოდგმით დასახლებულ ადგილებში. ზემოთ საკრალური სივრცეა, ქვემოთ – პირქუში და პროფანული... საპირისპირო პოლუსებს შორის მუდმივი კონფლიქტია, ხან ჩუმი და უჩინარი, ხანაც ხმიერი და თვალხილული... სულიერი სისპეტაკისაკენ მიდრეკილნი, ქვეყნის ამაო ხმაურისგან განმდგარნი და განაპირებულნი ნუგეშსა და მყუდრო სავანეს იქ ჰპოვებენ, სადაც ნაკლებია შური და მღვრიე ენებათაღელვა, ჭირი, ჭორი და ფუჭი ცუდმედიდობა...

„ზემოთ" ფრთოსანთა სანავარდოა, „ქვემოთ" – მხოხავთა და ქვემძრომთა საბუდარი..

ლოკალური ჯვარ-ხატები მთის კალთებსა თუ წვერებზე „იკიდებენ კოჭს"; კაცთა საცხოვრისის რიოშ შემოგარენს განელტვიან და იქ, სალუქი ნისლების საუფლოში, ჰპოვებენ უსუფთავეს სავანეს. სათემო თუ სატომო დანიშნულების საკულტო კერების გაჩენის შესახებ შექმნილ ანდრეზებში უმნიშვნელოვანესი სწორედ ის კონკრეტულ-სახელდებითი გეოგრაფიული გარემოა, რომელსაც თავიანთ „საარსო-სადგომად" ირჩევენ ნისლის „კოტორის" აღით ყმათა დასახმარებლად ცის „გიდელ-გიდელ" მოარული მადლიანი ღვთისშვილნი.

და თუკი ხალხისა და უწმინდური შინაური პირტუყვის ფეხ-

მა და ხმაურმა შეაწუხა, საარსოს დატოვებენ და ფრთოსნებად პერსონიფიცირებულნი უკაცრიელ ადგილებს მიაშურებენ.

აი, რამდენიმე ამონარიდი ანდრეზული ტექსტებიდან, სადაც სახიერად ჩანს უსხეულო არსებათა დედამიწაზე დაარსება თუ უწადინო, იძულებითი გადაადგილება დაბლიდან მაღლა და, ამასთან, შიგნიდან (საზოგადოებრივი სივრციდან) გარეთ – რაც შეიძლება შორს სოფლის მირეული სანახებიდან: „სანების ჯვარი დაარსებულა პირველად მაღალს მთაზე. ამ მთას ეწოდება ცროლისწვერი"... „ცაბაურთის მთავარანგელოზი ციდან სვეტად ჩამოსულა და პირველად მთაწმინდაზე დაბრძანებულა"... „წვერის ანგელოზი... იქიდან აფრენილა და კოშკის მაღალს ვეძახით, იქ არი ყორე, იქ დაბძანებულა..." „... ბოლოს სანება იქამდინ გაწყრ, რო აიყარ მინდორჩიითა, წამავიდ მთაჩი სიწმინდის გულისად. სოფელს არც აქ მიეკარა და მაღალს მთაზე, ცროლს დაარსდ..." „ზენსოფელ... ძალიან მირ-მარეულ ადგილჩი ყოფილ [ხთიშობელის] კოშკი. ამიტომ აყრილ და წასულ მთას, ხახაბოსთავ..."

ამაყი და თავმოყვარე მთიელი ქალი (როგორც ჩანს – უქმრო, თავმარტო, დაუოჯახებელი) საკუთარი ზნეობის ზედა სართულებიდან ავლებს თვალს ცოდვით სავსე სოფელ-ქვეყანას და ნიშნისგების კილოთი აცხადებს:

ქალი ორ ქოჩორყვითელი, კოხტად ვიყენებ თმასაო,
მაღლა შამავჴე მთაზედა, დაბლა ჩავხედავ ბარსაო...

ამ ლექსის სულისკვეთებას ავსებს, აღრმავებს და, ერთი შეხედვით, მის ლოგიკურ გაგრძელებად თუ კანონზომიერ დასასრულად აღიქმება სულ სხვა დროს და სხვა ვითარებაში შექმნილი მეორე ანალოგიური სასიმღერო ნიმუში:

ქალი ორ მაღლა შამჴდარი, ვინ ჩამამიყონს ბარადა...

ცრუ და მუხანათი სოფლის სამანებიდან შორს წასულთა, თვითნებურ მსხემთა და მემარტოეთა შორის არიან ვინმე თინა და მელანია, უზაკველი ბუნების უშურველ სიკეთეში რომ უდევთ წილი და მირეულ დაბლობში უზრუნველ ცხოვრებას ქარ-წვიმებიან სიმაღლეზე ყოფნას ამჯობინებენ...

თინას და მელანიასა უდგან ლოგინებ მთაშია,
ძაღლ-ღორის ხალხის გულისად არ ჩამადიან ბარშია...

ხალხური პოეზიის ამგვარ ნიმუშებში იოლი შესამჩნევია რეალური ღირებულებების ჰარმონიული თანახმიერება მათ გამსიტყვებელ მეტაფორულ მეტყველებასთან. მთა, ერთი მხრივ, ლანდშაფტის ნაწილია, კონკრეტული გეოგრაფიული სიდიდე და ოდენობა, სადაც შესაძლებელია ადამიანის ყოფა-ცხოვრება, შრომა და მრავალმხრივ სასარგებლო საქმიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, მხატვრულ-მეტაფორული გააზრების ის საზღვრული არეალია, რომელთანაც ცისა და მიწის – ღვთიური და რიოში სფეროების – მოკავშირეობა და „უსხეულმყოფელობის" სიწმინდეა ასოცირებული.

თავში (მაღლა, ზემოთ...) ჯდომა თუ დგომა არ ნიშნავს მაინცდამაინც ვინმეს უფლებრივ უპირატესობას, მეწინავეობასა და პრიორიტეტს თემისა თუ სოფლის საჭირბოროტო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. ეს უფრო პერსონალური პასუხისმგებლობის მაღალი „ნიშნულია", ვიდრე სხვაზე ჭარბი ძალაუფლების ქონა... „სეფეხვნოს თავში" მოხვედრის უფლება გონიერებით, თავგამოდებული ცდით, თვისტომთათვის ზრუნვით, მშობელი ხალხის საკეთილდღეო შრომით მოიპოვება. სოფლისა თუ საფეხვნოს თავში მყოფს, მსგავსად ალუდა ქეთელაურისა, სიტყვაც „გზიანი" უნდა ჰქონდეს, გარსმყოფთა ნდობა რომ დაიმსახუროს და გაორმაგებული ენერგიით განაგრძოს თავისი ავკარგიანი ცხოვრება...

ამაგის მალექსებელსა სახლნ მიდგან სოფლის თავსაო,
წყალთ სათავეში ნამყოფი არ ავამირღვებ წყალსაო,
სოფელ მყავ ნამუსიანი, არვინ ამირევს გვარსაო.

ხევსურული წესით და ადათით, „ჯართ ბოლოში" ერგებოდა ადგილი უფხო ლა უსახელო ვაჟს, უნიათობა-უსაფერობით თავსაც რომ გაიუფასურებდა და გვარსაც მოაყივნებდა. ასეთების სიცოცხლე ჩალად ღირდა და როცა აღესრულებოდნენ, არც მაშინ ამშვენებდათ ახლობელი ქალ-დედროვნის გულით „გაქჩერებული" გლოვა და ცრემლი...

ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატი და შეგონება – „რომელმან აღიმაღლის თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და რო-

მელმან დაიმდაბლის თავი თვისი, იგი ამაღლდეს" – ყოველ ეპოქაში ინარჩუნებს თავის უმნიშვნელოვანეს დიდაქტიკურ დატვირთვას, ეთიკურ ძალასა და სულიერების გზით სიარულისკენ უხმაურო მომწოდებლობის მატებად მუხტს.

„მე თავიდან ბოლომდე გავიარე ორი გზა, – აღსარების ტონალობაში აღიარებს ალბერ კამიუ, – სულიერი აღზევების მწვერვალებიდან დანაშაულებათა სიღრმეებამდე".

ადამიანის მთელი ცხოვრება, როგორც პირობითი, ისე პირდაპირი გაგებით, ძალმოსილების მწვერვალებსა და დაცემის სიღრმეებს შორის მიედინება. ბევრი რამ მის პირად ნებაზეც არაა დამოკიდებული. ზესწრაფვის ხელშემწყობი ფაქტორების პარალელურად არსებობენ და მოქმედებენ ქვემთრევი ძალები და მდინარის ანუ იგივე ცხოვრების ამ ორ ფუნდამენტურ ნაპირს შუა „სამშვიდობო" ხიდის გადებას ყველა როდი ახერხებს...

„ზემო" – „ქვემოს" ურთიერთმიმართება ხალხურ პოეზიაში და, აქედან, ეთნოფსიქოლოგიაში, კონცეპტუალურ დებულებათა სახით არის ჩამოყალიბებული და სანიმუშო გარკვეულობით გადმოსცემს „მარტივად" მოაზროვნე ინდივიდებისა თუ „დაბალი" სოციალური ჯგუფების ეთიკურ პრინციპებს, ზნეობრივ პოზიციებს, მათ მყარ, ურყევ თვალსაზრისს სულიერ ღირებულებათა კონსერვატიულ სისტემასთან მიმართებაში...*

უპირველესი, რაც ხალხური (უპირატესად – ხევსურული) პოეზიის გულდასმით გაცნობისას გენიშნებათ განსჯის საგნად შერჩეულ ოპოზიციურ წყვილთან დაკავშირებით, ეს გახლავთ მკვეთრი სადემარკაციო ხაზი საცხოვრებელი სახლის „სადიაცო" და „სამამაცო" სივრცეთა შორის.

ნაშრომში „ხევსურულის თავისებურებანი" ალ. ჭინჭარაული ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამ ასპექტზეც ამახვილებს ყურადღებას: „ყვერფ-კერა-თ მარცხენა მხარეს დგას გრძელი მერხი – სამამაკაცო სკამი. მის საპირისპიროდ სადიაცო („სადედროვნო") სკამია. სახლის იმ მხარეს, სადაც სამამაკაცო სკამი დგას, საერთოდ, სამამაცო-ს ეძახიან, სადედროვნო სკამის მხარეს კი სადედროვნო-ს („სადიაცო"-ს).

---

* სტრუქტურალიზმის მამამთავარი კლოდ ლევი-სტროსი თვლის, რომ მითის სემანტიკაში, სადაც არაცნობიერი ლოგიკური ოპერაციების ურთულესი სისტემა მოიაზრება, ბინარულ ოპოზიციებს წამყვანი ადგილი უჭირავთ; მსგავს თვალსაზრისს ავითარებს თავის მონოგრაფიაში „მითის პოეტიკა" ცნობილი რუსი მეცნიერი ე. მ. მელეტინსკი.

სამამაკაცო სკამის ზედა მხარეს („ყვერფ-კერათკედურ მჭვარი") – საუფროსო-ა, მისი საპირისპირო („კართკედური მჭვარი") კი – საუნცროსო..."

თვალსაჩინოა ორჯერადი ბინარული ოპოზიცია: „მამრობან" – „დედრობანი" და „უფროს" – „უმცროსი".

ტრადიციული საზოგადოების ტრადიციულ ოჯახში ყველას (და ყველაფერს) საკუთარი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და მიკუთვნებული: კერა ის წმინდა ალაგია, ის უმთავრესი ორიენტირი, გნებავთ – გამყოფი, რომელიც ქალ-კაცის და ბერ-ახლის განლაგებას განსაზღვრავს პატრიარქალურ წეს-წყობაზე აღმოცენებული ოჯახის „სამყოფლო" ოთახში (იმის შესახებ, რას ნიშნავს ლამის ტრაპეზთან გათანაბრებული კერა და კერიის ცეცხლი ფშაური ოჯახისთვის და რა ადგილი უჭირავს მას, ზოგადად, მთიელთა საზოგადოებრივ ყოფაში, საინტერესო პასაჟის მოხმობაა შესაძლებელი ვაჟა-ფშაველას 1914 წლით დათარიღებული ეთნოგრაფიული წერილიდან „ფშაველები").

კერის ერთ მხარეს არიან „ზალნი" და ქალ-დიაცნი, თავიანთი ხელსაქმით, ვარცლით და ტაგრუცით, ხოლო მეორე მხარეს – მამრნი, რომელთა კედელს თოფ-ხმალ-ხანჯალი, აბჯარი და სამსიმიანი ფანდური ამშვენებს; ზემო მხარეს („სათავეს") დინჯი და სიტყვაძვირი უფროსნი სხედან, ხოლო ქვემო, „კართკედურ" (ე. ი. კარების) მხარეს („ბოლოში") – უმცროსნი:

სათავეს უსხენ უფროსნი, აძრახდებიან ჭკვაზედა,
ბოლოში უნცროსებ უსხავ, ჴელებ მიუდის ჴმალზედა...

ოჯახის წევრთა შინამოური სივრცული ორიენტაციის ამ არქეტიპულ მოდელსაა „მორგებული" ხევსურული პოეზიის არაერთი შესანიშნავი ნიმუშის სათანადო პასაჟი, სადაც, ასევე, ცალსახად არის გამიჯნული ქალთა და მამაკაცთა ნილკერძი ალაგი თუ კუთხე-კუნჭული.

ქალების სამყოფ და სამოქმედო არეალთან „ძირის სახლი", კერაისპირი, საცხვრის ანდა საძროხისყურე, ბოსლის („საბოსლოს") კარი და სამრელო ასოცირდება, ხოლო ქუდოსნების არენასთან – ქვითკირის ანდა ქავ-ციხის კარი, ასევე: მთის წვერი, ნაპირის ადგილი, გზისთავი, ჭერხო, ბანი, წინგარდა და საფეხვნო...

ხევსურულ რეპერტუარში განკერძოებულ თემატურ რკალს

კრავს სასწორფრო პოეზია, რომელიც უკომპრომისოა ქალ-მონდაური ვაჟების მიმართ. სწორფრობის წესის დამდგენთა თვალში ჩალა-ბზის ფასი „ზძეს", ე. ი. ადევს ძმობილს, ვინც, ნაცვლად იმისა, ჭერხოს იწვეს და მოთმინებით ელოდებოდეს თავის ნანდობს, „საძროხის ყურეს" დაიარება და თავმოყვარე ვაჟისთვის შეუფერებული სიმსუბუქით თავზე ჩიქილას იხურავს... სულმოკლე და „დღიანი" სწორფერნი ისე განსხვავდებიან ერთურთისაგან, როგორც ჟიჟმატი და დარიანი დილა, ანდა, თუკი მისაღებია ამგვარი შედარება, როგორც „ერთბაში" და „მანძილიანი" ცხენები...

ახალგაზრდების მისამართით გამოტანილი განაჩენის სათავე და საფუძველი, უწინარეს ყოვლისა, მათივე საძრახი თუ სამაგალითო საქციელია:

ქალებსთან ნოლის გულისად საძროხის ყურეს ხყრიანო,
ვინაც ვაჟი-ას, ჭერხოს წევს, ქალებიც აიქ დიანო...

ახალმა დრომ (თუ დროის განახლებამ) საგრძნობი კორექტივები შეიტანა პატრიარქალური მთის ყოფაში: სწორფერთა შუა მოთავსებული ხმლის სიმბოლიკამ თავისი მისტიკური შინაარსი დაკარგა და ტკბილად ტანჯული ქალ-ვაჟის კრძალულ ურთიერთობაში ეროტიკის მღვრიე ნაკადმა იმძლავრა. თუკი „ქალი ძველ დროში საიდუმლოს წარმოადგენდა" და „სქესის წინაშე რიდი მეფობდა" (გრ. რობაქიძე, „ჩაკლული სული"), ახალ ეპოქას აშკარად დაეტყო ტრადიციულ ღირებულებათა პროფანაციისა და დესაკრალიზაციის ნიშნები...

...ამაგის მალექსებელი საბოსლოს კარჩი ზისაო...

„საბოსლოს კარჩი" ჯდომა ქალების „პრეროგატივაა". საბოსლოს კარი ანუ წინკარია მათი „საბრძანისი". მეტი რომ არც არაფერი იყოს ნათქვამი ლექსში, ისედაც ცხადია, რომ მისი ავტორია ქალი. ვაჟკაცებს ბოსელთან ახლო ყოფნა და ტრიალი აუგად ეთვლებათ. მათი ადგილი მაღლაა, ბოსლიდან და სამრელოდან დაშორებულ სივრცეებში...

„ნუ მაგდებთ ჩემი მწვერვალიდან, ძირს ნუ მეპატიჟებით. ჩემი მეწყვილე აქ არავინაა, ჩემი მეწყვილეებია ქარი, თოვლი, წვიმა და ავდარი"...

ამგვარად მოინიშნავს თავის საუფლოს და სულის სასულფონოს „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდის"... ავტორი.

ამავე სიტყვების მისაკუთრებისა და გამეორების ზნეობრივი უფლება ჰქონდათ და აქვთ (თუკი კიდევ არიან!) კაი ყმებსა და პიროფლიანებს, რომელნიც ერთმანეთისგან კატეგორიულად მიჯნავდნენ ჭირიან ჭალას და მთის თოვლიან მწვერვალს არა როგორც ფიზიკური სიმაღლისა თუ ქანების შემადგენლობის თვალსაზრისით განსხვავებულ სიდიდეებს, არამედ როგორც განმასახიერებლებს ყოფით-პროფანული და ციურ-საკრალური ადგილებისა...

„სამრელოს კარში ჩამავჯე ამაგ ლექსაის მთქმელია...
.....
ჩამავჯე სამრელოჩია შაწუხებული ქალიო,
შამამეყარა საგონი, ავბრუნდი ეგრ რო ტარიო...

ეს კიდევ დედათწესიანთა სიტყვებია, დედათწესიანთა, დროებით რომ მიუტოვებიათ სახლ-კარი და ბიჯტეხით გადანაცვლებულან შორიახლოს მდებარე ფარღიატ ქოხში...

„სამრელოობისა" და სწორფრობის მელექსისეული შეფასება გამოძახილია იმ განწყობისა, „ძვირად სახსენებელი" ჯვარ-ხატების მსახურ თემ-სოფლებში რომ იკიდებდა ფეხს ამ ორი ლოკალური მასშტაბის ეთნოკულტურული მოვლენის მიმართ:

დავსწყევლი, სამრელუაო, შენს აექ გამამთხრელსაო,
მემრ კი სწორფრობის გამჩენსა, ეემის შამამთვლელსაო...

„სამრელოს" კნინობითი ფორმა ნიშანია იმისა, რომ მასთან ჰეროიკული სულისკვეთებისთვის მიუღებელი, ნეგატიური შეფერილობის ფიზიოლოგიური ციკლია დაკავშირებული.

სამრელო – სამირეულო („საუწმინდურო").

სიტყვის სემანტიკა ცალსახად მიგვანიშნებს მასში მოაზრებული პრიმიტიული ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებასა და სისუფთავის ნულოვან ხარისხზე.

ძველი დროის მთიელ ქალთა და მამაკაცთა უფლებრივი სხვაობა და თითქმის დისკრიმინაციული უთანაბრობა საშინაო თუ საგარეო საკითხების მოგვარებაში არაჩვეულებრივი სიცხადით და მხატვრული რაკურსითაა უკუფენილი ხალხურ

პოეზიაში. უფლებრივად ქვემდგომი ქალისთვის ჩახერგილია გზა, რომელსაც ადამიანი თავისუფლების შეუზღუდავ ასპარეზზე, პიროვნული სუვერენიტეტის ფართო არენაზე გაჰყავს. ის ჩაკეტილია ვიწრო მოღობილში, საუკუნოვანი ადათ-წესების წრეში, თავის მწირ ეზო-სახლში, კერის პირას თუ ბოსლისა და სამრელოს კარზე...

საძროხე, ბოსელი და სამრელო ღირებულებრივი „შკალის" ქვედა ნიშნულებია, რომელთა კიდევ უფრო დაბალ დონედ ხთონური სამყარო – ავსულთა მიწისქვეშეთი, ე. წ. მიწრიელთა სადგომ-„საცხოვრისი" უნდა ჩაითვალოს.

სხვა საკითხია, რამდენად ეთიკურია და სწორი აშკარად არაჰუმანური შეხედულება, რომელიც ასეთი დაუნდობელი კრიტერიუმებით საზღვრავს ქალების უფლებრივ მდგომარეობას მთის კონსერვატიულ საზოგადოებებში...

ხოლო პოეზია გვიხატავს და გვატყობინებს მხოლოდ იმას, რაც მისი ამომთქმელი ეთნოსის სადაგ ყოველდღიურობაში ხდება...

ვფიქრობთ, მამრისა და მდედრის საყოველდღეო ადგილების განყოფისა თუ განრჩევის გაგებას უნდა გულისხმობდეს გრიგოლ ნოსელის მიერ ნათლისღების დღესასწაულზე წარმოთქმული ქადაგების შემდეგი სიტყვები: „ნუ ეძიებთ ჯორციელად მამასა მისსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ უმამო არს ქუე. ნუცა ეძიებთ ღმრთეებით დედასა მისსა ზეცათა შინა, რამეთუ უდედო არს ზე..."*

სოფლის სანახებიდან შეგნებული გასვლა და გაკიდეგანება, დაბლობის „გაწირვა" და მთებში ბილიკების გაკვლევა, სოციუმთან დაშორება და სიმაღლეებში სიარული მყარი წინაპირობაა საიმისოდ, რომ „მარგინალმა" თავი გადაირჩინოს, დარჩეს ინდივიდად და „ბილწთ არ შეეკრას ზავითა"... ხოლო მთის თხემი, ვინაიდან ახლოა ღმერთთან, შთაგონების ნაპერწკალს ალად აქცევს და ჩვეულებრივი მგზავრი, მეამბოხე თუ უსამართლობასთან შეხლილი პერსონა ამაღლებულ ნოტზე იწყებს თავისი მიმოსვლის ადეკვატური პოეტური პანორამის გადმოცემას:

---

* „ზეციური მამა" და „მიწიერი დედა" არქეტიპული, უნივერსალური სიმბოლოებია, რომელთაც სიმბოლოსა და მეტაფორის ურთიერთმიმართების ასპექტით საგანგებოდ ეხება და განიხილავს XX ს-ის ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ფილიპ უილრაიტი.

.....
მთა-წვერთ შამავჰყრი ერცხვასა, სახელს დავხქვივნებ შენსაო,
მთიდი-მთი შამავიარე, ელრიდე ჭალაის გზებსაო...

„ხალხის ნიაღისეულ ხილვაში" (ვახტ. კოტეტიშვილი) „დღიან" და „არსაით" ყმებს, გამომდინარე მათი არათანაგვარი მორალურ-ეთიკური პრინციპებიდან, თავთავიანთი სამოქმედო არეალი აქვთ მინილკერძებული... პირველის „ცდა" და ცხოვრება რიოში ხორციელი ვნებებისგან დაცლილ სივრცით განზომილებაში მიედინება, ხოლო მეორეს, მისი სულმდაბლური თვისებებისა და მიდრეკილებების გამო, „საცხვრის ყურისა" თუ „ქალის უბის" საძრახი დონიდან ამოსვლა და ამაღლება ვერ მოუხერხებია...

ვეფხვი ვინ მახკალ საჯარეს, ვინ ჩახყევ სისხლის კვალზედა?
ტყავი ვეფხვისა ერეკლეს ვინ ჩაუტანე კარზედა?
იქნების ალუდაური, უდგან ლოგინნი მთაზედა...
.....
ცუდაი საცხვრის ყურესა, ქალებში ლოგინობასა...

ბეჩავი და „უდღეო", უნასიბო და უმარიფათო ვაჟი, ბაზარგანა, გაბზარული ზნისა და სიმტკიცენაკლული მორალის ქალი რომ უზის შინ ცოლად, სათიბად მიდის არა მთის ციცაბო კალთებზე, ტოლ-სწორებში „ნამხრევმშვენიერობით" რომ მოიწონოს თავი, არამედ ჭალაში; მიდის და, თანაც, ნაცვლად ლამაზი ცელისა (გავიხსენოთ გვრინი: „ცელლამაზო და ცოლლამაზო...") საქალდიაცო შრომის იარაღი მოუმარჯვებია:

შევხედე და ტართა ჴსნიდა თვალ-ჟუჟუნა ლამაზ ქალი,
– აქ წამოდი, – ჴელი მიქნა, – შინ არ არის ჩემი ქმარი,
ჭალას წავიდ თივის თიბად, ჴელთ უჭერავ ნამგლის ტარი.

ჭალასა თუ დაბლობზე უარის თქმა და სიმაღლეებისკენ დაჟინებული ლტოლვა შესაძლოა გაბუდაყების, თვითგანდიდების, „თავაყრილობისა" და თვისტომთა სათავეში მოქცევის საშიშ, საბედისწერო სიმპტომებსაც შეიცავდეს (ვახტან გორგასლის შეგონებით, „სილაღე ამპარტავნებისა არს საცდური ეშმაკისა"), რაც, რასაკვირველია, ვერაფრისდიდებით

ვერ ჩაენერება ქრისტიანული თავმდაბლობის გზით სულიერი ამაღლების ერთეული მაგალითების რიცხვში:

ჯეჯში ზის იოსებაი, ბუღა ბუბუნებს ჯარიო:
აღარ კადრულობს დაბალზედ, მაღალზედ დაქნა გზანიო...

ჭეშმარიტი რწმენა და ღვთისმოშიშობის „საფანელია" საჭირო იმისათვის, ადამიანმა ზომიერების გრძნობა არ დაკარგოს და ნათლიასთან მორკინალი მითიური გმირის მწარე ხვედრი არ გაიზიაროს...

დიდი ღვთისმეტყველი და მოაზროვნე ნეტარი ავგუსტინე „აღსარებაში" აღნიშნავს: „...გადავწყვიტე, გულდასმით ჩავჯდომოდი საღმრთო წერილს, რათა მენახა, რა არის ეს. და, აი, მე ვხედავ, რომ ესაა ქედმაღალთათვის რაღაც გაუგებარი, ბავშვებისთვის გონებამიუწვდომელი; იდუმალებითმოსილი შენობა დაბალი შესასვლელით, რომელიც მით უფრო მაღლდება, რაც უფრო მეტად შედიხარ სიღრმეში".

მართლაც რომ სარგო სიტყვებია ცხოვრების დუღილსა და ორომტრიალში ზნეობრივი გზის მაძიებელ მრწემთა თუ მონიფულთათვის!

არც დავით გურამიშვილის შემდეგი რჩევა-დარიგების დავიწყებას მოსდევს მადლი და სიკეთე:

კაცს მართებს დაბლაც დახედვა,
რაგინდ მაღლამდის აროსა...

დავბრუნდეთ კვლავ ხალხურ პოეზიაში.

ღირებულებათა ვერტიკალური ღერძის ორი პოლუსი – მირეული „ქვემო" და წმინდა „ზემო" – მათ შორის მოქცეული სივრცის მდგრადი წონასწორობის თავისებური გარანტია. მინიერი სიბილწისა თუ სიბეჩავის გადამფარავი და გამანეიტრალებელია ის ამბები, მაღლა, ცის სიახლოვეს რომ ხდება. და, პირუკუ: საომარი „კარიერით" გაგულდიდებულ მემეტეთა მიწაზე დაბრუნებას და გაბუდაყების პერსპექტივის თავიდან აშორებას „ჭირიანი" ცხოვრების ქვედამზიდავი ძალა უნდა წაეშველოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ორ ისეთ უკიდურესობასთან გვექნება საქმე, რომელთა გამოსწორებას, შესაძლოა, თაობების ძალისხმევაც დაჭირდეს...

ადამიანის ღირსება მისი ნაქმნისა და ნათქვამის მიხედვით იზომ-იწონება.

ხალხური პოეზია პრინციპულად პირუთვნელია გმირთა თუ სოფლის რიგით წარმომადგენელთა დამსახურების წარმოჩენასა და დაფასებაში. მელექსეები ანდა მოტირლები – „მგოსანნი გლოვისანი" – თავიანთ იმპროვიზირებულ მედიტაციებში სინამდვილის რამდენადმე შესხვაფერებულ პოეტურ ხატს ქმნიან და ურთიერთსაპირისპირო შინაარსის მოვლენათა შეფასებისას არმოსაწონ მიკერძოებას იჩენენ ამაღლებული საბრძოლო სიტუაციების მიმართ.

ერთმანეთს „აჯაბრებულ" ხმით მოტირალთა მოთქმაში, ამა თუ იმ თემისა თუ სოფლის შვილთა ნამოქმედარის შეფასების თვალსაზრისით, ხანდახან ერთობ საგულისხმო სურათი იხატება. გუდანს გათხოვილი არხოტიონი ქალი ნათულა დაუფარავ ტენდენციურობას იჩენს მამისახლის მხრის მეომრების (ტროპული სახე რომ მივუსადაგოთ – „ლეგა მგლის ჯოგის") პოეტურ აპოლოგიაში და, არც მეტი არც ნაკლები, ამას აკეთებს ქალ-დიაცის გასაგონად და გამოსაჯავრებლად:

ტირილ რად უნდა ჴევსურებსაო, საძროხის ყურეს
ნაჴოცებსაო,
ტირილი არხოტივნებს უნდაო, საჴარის მაღალ
მეომრებსაო...

ცნობისათვის: არხოტის თემი ხევსურეთის სხვა სოფლებს თავს არ უყადრებდა და პატივმოყვარეობაში გადაზრდილი სიამაყის წყალობით, არც თუ იშვიათად, „არაკომფორტულ" მდგომარეობაშიც აღმოჩენილა.

საკითხავია ისიც, რა დაუშავა ხევსურეთმა და რით დააამახსოვრა თავი არხოტმა უცნობ მელექსეს, აშკარად „სეპარატისტულ" სიმპათიას რომ ამჟღავნებს ამ უკანასკნელისადმი და მტრული ნიშნისგებით ხარობს ხევსურეთის თავს დამტყდარი განსაცდელის გამო:

ჴევსურეთს ცანი დაეცნეს, არხვატს ნაპირნი ცისანი,
ჴევსურეთისად ახია! ვა, ბრალნი არხოტისანი!..

სასრული შესაძლებლობების შეუიარაღებელ ადამიანს

აქვს ბედნიერება, ააღწიოს სამყაროს ვერტიკალური ჭრილის უზემოეს წერტილამდე და შედგეს წვერზე („მწვერვალზე"), რომლის იქით, უფრო სწორად – მაღლა, არამატერიალური უნაპირობა იწყება და წყდება შეგრძნება მიწასთან კავშირის ურღვევი სიმყარისა.

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა...

რელიგიური, მითოლოგიური და კოსმოგონიური დანაშრევების სიუხვით ნიშანდებული ვაჟა-ფშაველას ურჩეულესი ლექსის ლირიკული გმირი პიროვნული ძალმოსილების ზენიტში იმყოფება.

ამაღლებას, არცთუ იშვიათად, დაცემა მოსდევს და არც „მთას ვიყავ"-ის პროტაგონისტი აღმოჩნდა დაცული და დაზღვეული ამ მწარე, სამწუხარო პერსპექტივისაგან.

შედარებით მშვიდი და მარტივი ვითარებაა ხალხურ პოეზიაში: აქ მთის წვერი თუ მწვერვალი არ გაიაზრება , როგორც მაინცდამაინც დაცემის, დაღმასვლის, ქვემოთ საორბედო დაშვების აუცილებელი საფეხური. მოყმე თუ მონადირე მამრული საწყისის განმასახიერებელ ზეცასთან* სიახლოვით ხარობს და ნაკლებად წუხს იმაზე, რაც მომავალში, მომდევნო ნაბიჯის წინ წადგმისას შეიძლება მოხდეს:

ვინაც ას დედის გაზდილი, უყვარს წვერებზე მღერაო...
.....
ტერღის წვერ უდგან ლოგინნი გაგასა ბერდიშვილსაო...
.....
ბალღ ვიყავ პირშიშველაი, წვერნ მავიარენ მთისანი...

---

* ცის მამრულ, ხოლო მიწის მდედრულ საწყისებად გააზრების ხნოვან ტრადიციას თავიანთ ნაშრომებში ხშირად მოიხმობენ სამყაროს მითოსური მოდელის საკვანძო საკითხებზე ორიენტირებული მკვლევარები: „...ცა ვაჟია, რომლის მამაკაცურ თესლს წვიმა წარმოადგენს, ხოლო დედამიწა ქალია, რომელიც ამ თესლს მიიღებს და განაყოფიერდება" (ვახტ. კოტეტიშვილი); „...მიწა და ზეცა გაიაზრება, როგორც მდედრული და მამრული საწყისები, როგორც ცოლქმრული წყვილი, მდგარნი თეოგონიური ანდა თეოკოსმოგონიური პროცესების დასაწყისში" (ე. მელეტინსკი).

.....
კაცი გამოვა სანესა, წვერს გამაივლის კლდიანსა...

რეალურ პლანში მთის წვერი ის ადგილიცაა, სადაც სტუმარმოძულე დიაცს მარტოდ დარჩენას უსურვებს ხალხური რჯულ-სამართალი და დაუწერელი ეთიკური კანონი:

სტუმრათად ცუდი დიაცი ხახაბოს წვერზემც დარჩება,
ხელთ ბალღი, ზურგთ აკავანი, ზედ ნიაღვარიმც ასტყდება...

მთის საკრალური თუ ზემიწიერი შინაარსის გონებისმიერი და ინტუიციური წვდომის კუთხით ხალხური პოეზიის და ვაჟა-ფშაველას შემდგომ ერთობ გამოსაჩენ, გამორჩეულ ადგილზე დგას მიხა ხელაშვილი, ვისთვისაც „მთანი მაღალნი“ ამ სინტაგმაში ნაგულისხმევ რეალობაზე ბევრად მეტს რასმე უნდა ნიშნავდეს. ამგვარი ფიქრისა და დასკვნის საბაბს იძლევა სტრიქონები, მარადიული სიწმინდის სიტყვიერ გამოხატულებებად რომ მიმოფანტულა მის მართალ, განუმეორებელ პოეზიაში:

მთანო მაღალნო, რას მიცქერთ? ვარ გაუტეხის გულითა,
ხან ვიჩაგრები თქვენ ცქერით, ხან ვეჰფრთოვანდები სულითა...
.....
ვინატრი, მთაო მაღალო, შენს მკერდზე შემოხდომასა,
ვაჰთუ, მოგიკვდე ტიალო, ვერ დავხვდე შემოდგომასა...
.....
მთაო, შენისა ნდობით და სურვილით ძვალნი ძრწიანო...

დაგვიცავ ქაქუცას რაზმო, შენ, განგებაო ღვთიანო,
ჩვენ სალოცავად დამდგარნო, მთის წვერნო, დავლათიანნო...

სიწმინდის ხარისხით და საფეხურებრივადაც მთის წვერსა და მწვერვალზე დაბლა მდგომია „სათავედ“ სახელდებული გეოგრაფიული პუნქტი თუ ადგილი, სადაც პოეტური ფოლკლორის სხვა, ინკოგნიტო თუ სახელხმიანი, გმირების ყოფნას ვადასტურებთ. „თავში“ ჯდომა ანდა „სათავისკენ“ დინამიური მოძრაობა, ზოგ შემთხვევაში, მთიელი მამაკაცის უფლებრივ-იერარქიული მდგომარეობის გამომხატველია. რაც უფრო თვალსაჩინო და „იმპოზანტურია“ მამრთათვის

განკუთვნილი ვერტიკალური სივრცის ზედა სფერო, მით მეტია მათ მიმართ უმცროსების კრძალვა და პატივისცემა:

სათავეს გადააჯდინეს, ოქროს სკამს უდგმენ გმირსაო...
.....
სათავეს უსხენ უფროსნი, აძრახდებიან ჭკვაზედა...
.....
შენი ადგილი, ადამო, ციხის სათავის თვალია...

იმპულსი, რასაც ადამიანის ამაღლება და ღირსეულთა შორის ჩადგომა შეიძლება მოჰყვეს, სხვადასხვაგვარია. უსახურ მასაში მისი გამორჩევა და განდიდება განპირობებულია როგორც თანდაყოლილი ბედ-იღბლით და ინდივიდუალური მონაცემებით, ისე მისადმი სხვათა მეტოქეობითა თუ დაუფარავად აგრესიული, მტრული, ძალადობრივი დამოკიდებულებით. სოფლის ანდა რომელიმე სოციალური ჯგუფის მიერ ავად ამოჩემებული, სიტყვიერი შეტევისა და თავდასხმის ობიექტად ქცეული, ათვალწუნებული და განაპირებული პერსონა მაგინებლებს უნდა უმადლოდეს თავის დაწინაურებასა თუ აღმასვლას ღირსებათა იერარქიის კიბეზე... აი, „თავსნიერი" სწორფერი ქალის შემგონებლური მიმართვა მოჯაბრეებისადმი:

მე თქვენი შაგინებითა თან-თან მაღალზე შავდგები.

(შდრ.: ვაჟა:
დაკრული სარგოდ მომიხდა,
თუმც სამავნებლოს ეცადა,
რამდენიც დამკრა, იმდენი
მე ავიწიე ზედაცა...)...

მთაში ღირსეულ თავმდაბლობად ითვლებოდა, თუკი მგზავრნი უცხო, არამშობლიური სოფლის შესასვლელში ცხენიდან ჩამოქვეითდებოდა და დასახლებულ პუნქტს ფეხით გაივლიდა... და როცა ამაყი და ამპარტავანი ყმა არ დაემორჩილებოდა ზეპირი ზნეობრივი კოდექსის ამ მოთხოვნას, თავისი გამომწვევი, დამხვდურთა არადჩამგდები საქციელით საშაროდ ულვაშაშლილი ადგილობრივი ვაჟკაცების უსაზომო რისხვას მოიმკიდა: ატყდებოდა იარაღის ჟღარუნი და მოზომილად მი-

ყენებული (ხმლისა თუ ხანჯლის „მხართით" მოქნევა ლაჩრობად ითვლებოდა!) ჭრილობიდან დადენილი სისხლი ჭიაფრად შეღებავდა მოშუღართა ბრაზმორეულ თავ-პირს...

ისე კი, საერთოდ, ცხენდაცხენ სვლა, ხალხური კონცეფციით, მეომრულ სულთან და თავმომწონეობასთან ასოცირდებოდა, ხოლო ფეხით, ქვეითად სიარული ბედოვლათობასთან და უქონლობა-უყოლობასთან:

თავ-კან ცხენებზე გადასხდეს, ბეჩავნ ქვეითად დიანო...

გზისძირი „სარიოშო", იერარქიულად ქვემდგომ სადედაკაცო ზონას განეკუთვნებოდა: „ზოგან ჩვევა აქვთ, – გვაუწყებს ამასთან დაკავშირებით ბ. ხარანაული, – გზაზე ქალი კაცს რომ შეხვდება, ქვემოთ ჩადგება და დაიცდის, ვიდრე კაცი გაიელის. მერე ისევ დადგება გზაზე და ნავა..."

ქცევის იგივე მოდელი მეორდებოდა, როცა „თავ-მეთავეთა" ანუ ხალხური რჯულ-სამართლით ბოლომდე დაუზავებელ მოსისხლეთა ახლობლები ხვდებოდნენ ერთურთს მთის საცალფეხო, „სასწორო" გზაზე. დამნაშავის მხრის კაცი, შარ-შუღლის თავიდან აცილების მიზნით, გზის დაბლა ჩავიდოდა, თავდახრით დადგებოდა და უცაბედ შემხვედრს „ცდის", სამაგიეროს მიგების საბაბს აღარ მისცემდა...

ხალხურ პოეზიაში, როგორც აღინიშნა, საცხოვრებელი სახლის სამამროვნო სეგმენტებადაა გააზრებული ჭერხო, ბანი და წინგარდა. თვითეული მათგანი სუფთა, შეულახავი ნაკეთების სახითაა აღბეჭდილი მთიელთა წარმოდგენაში*. ამ ადგილებს მამაკაცთა თვალი და მკლავი დარაჯობდა. მათ დედათწესიანი ქალი ვერ გაეკარებოდა.

ამ ტოპონიმებს კაი ყმისა და მისი იარაღის გამოჩენა განსაკუთრებულ ხიბლსა და ძალას სძენს; მატულობს არასადაგი ყოფითი გარემოს ფუნქციური დატვირთვა; შესაბამისად იზრდება მისი პოეტიზირების მუხტი და ხარისხი:

---

* „საშობაო მოთხრობაში" ვაჟა-ფშაველა იგონებს: „პაპაჩემს მაინც ჩვეულებად ჰქონდა, – მაშინვე ბანზე შედგებოდა, სადაც კი მივიდოდა; წესად არ ჰქონდა, კარებზე ვისმე მიჰსვლოდა, რადგან, როგორც ზემოთ ვსთქვი, ხევისბერი იყო და წმინდობდა: შელახულს, გაუწმინდურებულს ადგილას არ შევიდე, ხატი მომამიზეზებსო..."

სანათაურის ჭერხოში ნაფოტ ეყარა ფარისა...
.....
ჭერხოთ ჩამოდის დგრიალი ნალესი ფრანგულისაო...
.....
ჭალას ივანეთ ბერდია – არწივი ბანზე ზისაო...
.....
ვინა ხარ გულჯავრიანი, დიკლოს ვინ ჰბრუნავ ბანზედა....
.....
გამავა წინგარდაზედა, გაჰმართებს სიათასაო...
.....
შახჭდიდი წინგარდაზედა, გააღიდ ჭერხოს კარია...

მამროვნის თავშესაყარია საფეხვნო, ბანიანი ანდა ღია, უჭერო ადგილი სახლების განაპირას, სადაც განიხილებოდა, ირჩეოდა და წყდებოდა სოფლის ყოველდღიური ყოფისა და საქმიანობის ლოკალური საკითხები...

უშიშა წამაიყვანეს, ჴარი საფეხვნოს ზისაო...

საქალკაცო ადგილ-სამყოფელის კატეგორიათა რიგში განიხილება ქავის (ციხის, ქვითკირის...) კარიც.

მშრალი წყობით ანდა ლამ-კირით მკვიდრად ნაგები ქავციხე იცავდა მთის სოფლების მოსახლეობას სათარეშოდ და სადავლოდ მადააშლილი მომხვდურისგან, ჩრდილოკავკასიელთა მარბიელი რაზმებისგან და მეკოპარისგან. ვიწრო-სარკმლიან სიმაგრეებში თავშეფარებული ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს და სისხლით აზღვევინებდა მოძალადობრივ სითამამეს... საგმირო პოეზიის გაცნობა ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს გამოხედვაში მგლისბეწვიანი სვილისფერი მოყმენი დღე და ღამ ქავ-ქვითკირების კარებთან სხედან, ბრუნავენ, ბობოქრობენ და ერთი სული აქვთ, როდის „დაუდგებათ" ნიშანი მტერ-დუშმნის მოახლოებისა და გამოჩენისა...

ისევე, როგორც საკრალური სიწმინდის ცენტრად ცნობილი ჯვარ-ჯვარისკარი, ციხე-სიმაგრის „რკინით შელესილი" და საგანგებოდ გამაგრებული კარ-მიდამოც მამრთა სადგომ-საყარაულო სივრცედ მოიაზრებოდა:

ქავის კარ ნასხდომთ ახალთა მუჴლებს ქარ შაუჯდებისა...
.....
ქვითკირის კარზე შამაჴდა, ფერ მაიყოლა მგლისაო...
.....
ვაჟებს ციხის კარ ნაჯდომთა მუჴლებს შაუჯდა ქარიო...

(გავიხსენოთ ფინალი ვაჟას „ბაკურისა“:

გაუხტა ხმალმოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო:
თორმეტი მოკლა ციხის კარს,
ერთურთზე დააწვინაო.
ვეფხვსა დააცვდა კლანჭები,
ბაკურმაც დაიძინაო).

ხალხურ პოეზიაში ფიგურირებს ჰორიზონტალური განზომილების კიდევ ერთი სივრცული ორიენტირი, რომელთან მიმართებაშიც სოფლის რიგითი შვილისა თუ სახელმოხვეჭილი მოყმის მეომრული პოტენციალის აქცენტირება და „გამოცდა“ ხდება ხოლმე. ესაა „ნაპირის ადგილი“, სასაზღვრო ზოლი, იოანე საბანისძის ტერმინოლოგიით – „ყურე ქუეყანისა", სადაც ყოველთვის მეტია მტრის შემოსვლისა და მოულოდნელი გამოჩენის ალბათობა, ვიდრე სხვაგან, აქედან მეტნაკლებად დაშორებულ ადგილებში.

მენაპირეებს, ანუ მათ, ვინც საზღვართან ახლო ცხოვრობს, მუდმივი მღვიძარება და მზაობა მართებთ, ავისმოსურნეთა ფეხმა რომ არ გადათელოს და გააუწმინდუროს მათი მინა-წყალი... „ნაპირის ადგილის“ მკვიდრობა ის საპატიო სტატუსია, კანონიერი თავმაღლობის უფლებას რომ ანიჭებს მის მქონეს:

ნაპირის ადგილისანი თავს ხალხში აღარ სთვლიანა...

ხევსურეთის სოფლებიდან „ნაპირის ადგილად" ითვლებოდა (და ითვლება) „შუღლწაუგები“, „ბეგენგორივით საქები“ შატილი:

დაჯავრებულებ ქისტები კბილით ნაპირს ხვრენ ქვისასა:
ემუქრებიან შატილსა, ადგილსა ნაპირისასა...

ასეთივე იყო (და არის) ჯუთა:

ჯუთავ, ნაპირის ადგილო, სათავევ ჴევის წყლისაო,
მირგვლივ გხვევიან ჭიუხნი, ნიავს გიბერვენ გრილსაო...

„მენაპირეობა", ფაქტობრივი მონაცემებით, უფრო ფართო ტერიტორიულ მასშტაბებსაც წვდება და გარშემოიწერს. თავისი ამჟამიერი ყოფით თუ პოტენციურად მენაპირეა ყველა კუთხე, რომელიც სხვა ქვეყნის, მისადმი მტრულად განწყობილი სხვა ეთნოსისა თუ სახელმწიფოს მეზობლად მდებარეობს... როგორც ჩეჩენი მკვლევარი სულეიმანოვი მიუთითებს, სიტყვა „ხევსური" ეტიმოლოგიურად ნახურ სამყაროსთანაა დაკავშირებული და მათ ენაზე „მონაპირე მცველს" ნიშნავს.

ისევე, როგორც მთიელ ტომთა შორის ხევი და თუშეთი, ხევსურეთიც მესაზღვრე, მენაპირე, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის მცველი კუთხე იყო ოდითგან. ეთნოგრაფიული ნარკვევის „ხევსურები" ვარიანტებსა და შენიშვნებში ვაჟა-ფშაველას წერს: „...ხევსურები არიან ძველის-ძველნი ქართველნი, ძველადვე დასახლებულნი, შემოხიზნულნი ამ კლდიანს ადგილებში. უფრო დასარწმუნებელი ის არის, რომ ხევსურები თვით ივერიის მეფეებისაგან იყვნენ დასახლებულნი საზღვრების გასამაგრებლად..."

ერთ ლექსში ვკითხულობთ:

ნაპირის ადგილისათა უქრის ლემადის ქარია.

ორაზროვანი ნათქვამია. „ლემადის ქარი" ცივი, წვიმა – ნისლნარევი ქარია და თუკი სადმე ქრის ამსოფლიური სიმშვიდის დამანგრეველი აშარი ქარი, ქრის, უპირველეს ყოვლისა, იქ, სადაც უწყვეტია შიში ბოროტი თუ სულაც ბესტიალური ძალების გააქტიურებისა და გამოჩენისა.

მენაპირეებისთვის (შდრ. „ვეფხისტყაოსანი": „...ვილაშქრო და ვინაპირო..."), ვინაიდან წამის-წამ მოწინააღმდეგეებთან პირისპირ შეყრასა და შებმას უმზადებდათ განგება, ყველაზე მეტად კარგი იარაღი ფასობდა... შეუძლებელი იყო შიშველი ხელით მომხვდურის მოგერიება. ბრძოლაში ჩაბმული ვაჟკაცის მშველელსა და ნუგეშს ხმალი და ხანჯალი წარმოად-

გენდა. ხვარასნული თუ ხალიბური რკინა იყო უჭკოთა მწარე წამალი და დამჭკვიანებელი... და ეს იმ დრომდე, ვიდრე უანდრეზო რამ მოხდებოდა – სანამ „ჩოთქისა" და „არშინის" გვერდით მიუჩენდნენ ადგილს სამჭედლოებში ნაწრთობსა და ომის ველზე ნაწურთნ მეხისპირულებს...

უცნობი ფშაველი მელექსე ამბობს:

სალექსოდ გენუკვებოდი ხანჯარსა შავლხალისასა,–
იმით მინდოდა ხანჯარი, ადგილს ორ ნაპირისასა...

მელექსის უკმაყოფილება და საყვედური, გამოთქმული შიოლა ღუდუშაურის მიმართ, გამოწვეულია იმით, რომ აჩხოტის დესპოტმა ბატონმა ჯერ ცხენის, ხოლო შემდეგ მშვილდ-ისრის წართმევა დაუპირა „ნაპირის ადგილში" მცხოვრებ მთრეხელს:

მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა ნაპირის ადგილისასა...

„გმირისად იარაღისა აყრა სიკვდილთან სწორია" (ვაჟა) და მთრეხელის მოთმინების ფიალაც აივსო: მისმა ნასროლმა ისარმა შიოლას ბეჭებში გაიარა!...

მთრეხელი მორჩილად და უბრძოლველად ვერ დათმობდა იმას, რაც თემ-სოფლის ნაპირ-ყურთა დასაცავად და გასამგრებლად ჭირდებოდა.

ასე რომ „ნაპირის ადგილიც" სამამაცო, „ვეშაგთა" სადგომი, მათი აქტიური ყურადღების ორბიტში მოქცეული ადგილია და აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალ-დიაცების ჭაჭანებაც არაა...

ძველი ეპოქების სჯულმდებნი მდედრთა ადგილს ვერ ხედავდნენ საომარ ბატალიებში, მეტიც, მამულის დაცვას ზვარაკად შეწირულ ქალთა მიმართაც კი ყოვლად საგმობ, გაუმართლებელ, გულუტკივარ დამოკიდებულებას იჩენდნენ. მთიულეთის იურიდიულ-უფლებრივი ნორმების შემცველ განაჩენში „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ" (შედგენილია 1325-1338 წ.წ.) წერია: „თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკვდეს, გაცუდდეს მის დიაცის სახელი..."

სქესთა შორის საარსებო გარემოს დაყოფა-დასამანების შორეულ ანალოგად იკვეთება ძველ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში დამკვიდრებული პრაქტიკა, რაც სივრცის ორ ნაწილად – საზოგადო და პრივატულ სივრცეებად – გამიჯვნას გულისხმობდა. პოლისმა მამაკაცი საზოგადო, ხოლო ქალი საოჯახო სივრცეს მიაკუთვნა და ეს მკვეთრი ურთიერთმიმართება, როგორც ქეთევან ნადარეიშვილი აღნიშნავს ევრიპიდეს იფიგენიაზე საუბრისას, ბუნებრივად აისახა მათ გენდერულ როლებზეც („ლიტერატურული ძიებანი", XXX, 2009, გვ. 152): იფიგენია მამრობით ღირებულებებს აღიარებს, იცავს და თვლის, რომ მამაკაცების სიცოცხლე უფრო ფასეული და უპირატესია, ვიდრე ქალებისა...

კოსმოგონიური თვალთახედვით გარემოს აღქმისა და შეფასების პროცესში კონცეპტუალური მნიშვნელობა ენიჭება „ზეს" და „ქვეს" ურთიერთმიმართებას*. ანალოგიური მოვლენის მოწმენი ვართ ჰორიზონტალური ჭრილის დიფერენცირებულად გააზრებისას. აქ მკაფიოდ ვლინდება მწერლურ პრაქტიკაში კარგად ნაცნობი ე. წ. სივრცული დიქოტომია: „შინა" და „გარე", გამომდინარე მათი დიამეტრალურად განსხვავებული მახასიათებლებიდან, ისევე უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც „ზემო" და „ქვემო". „შინა" კეთილი, მოწესრიგებული, კულტურული სოციუმის საბინადრო ადგილია, ხოლო „გარე" ველური, აუთვისებელი სივრცეა, სადაც ქაოსი მეფობს და უცხო, საშიში, არანათესავი სოციალური ჯგუფები, დემონური ძალები და გარეული ცხოველები ბინადრობენ (ირ. სურგულაძე)...

მოვლენათა ცვლის და განვითარების ლოგიკით, სახლიდან დილაბინდზე გარეთ გასული მოყმე მშვილდის ბაწარივით მოზიდული და ცდის დაუმცხრალი ჟინით ატანილია, ხოლო

---

* არათუ კაცისთვის, სულიერი არსებისთვის, მისი სახმარი იარაღისთვისაც საპატიო, გამოსაჩენი, სარიოშოდან შეძლებისდაგვარად დაშორებული ადგილი იყო გათვალისწინებული სახლის შიდა სივრცულ სტრუქტურაში. ამ წესისა და ტრადიციის ანარეკლია მსუბუქი იუმორით შეფერილი სიტყვები, ვაჟას მელია-სერეფენია რომ ეუბნება ხვად მელას – როსტომელას: „...ხევსურს შინ არ უშვებდნენ და ის კი გაიძახოდა: „ფარ-ხმალი ზემო თაროს დამიკიდეთო!..."

უკან შემოქცეულს, არცთუ იშვიათად, ალუდა ქეთელაურის დარად, „გულით ნადენი შავი ნისლები" უფარავს სახეს.

გორიდან დაბლა დაშვების პოეტური ხატის სემანტიკური შინაარსი შესანიშნავად მოეხსენებოდა ვაჟა-ფშაველას. ამიტომაც აკონკრეტებს სხვა დროს დავლათიანი შატილიონის მოძრაობის ტოპოგრაფიულ დეტალს:

ყმა მოდიოდა გორი-გორ,
არ ეწონება თავიო...

ხალხურ ლექსში „ჩამო" და „მო" პრეფიქსების გამოისობით სრულიად გარკვეული ინფორმაცია გვეძლევა განბილებული, შერცხვენილი თუ ხელმოცარული გმირის სივრცულ ორიენტაციაზე და, შესაბამისად, მის გულთხელობასა და „ქალისპირობაზე".

გმირის (ზოგჯერ – ანტიგმირის) მოძრაობის ვექტორი, სვლა აღმა თუ დაღმა მიმართულებით, თავისთავად, ზედმეტი განმარტებისა და ახსნა-კომენტარის გარეშეც გასაგებად გვაუწყებს მისი გარჯისა და დამსახურების ხვედრით წილს სავაჟკაცო სარბიელზე; მკაფიოდ გვეუბნება, მამრთა რომელ კატეგორიას განეკუთვნება: ვისაც ქორწილივით უხაროდა და ალაღებდა ომში „ჩასვლა" („ომში ჩავიდეს ახლები, წკეპა ამადის ხმლისაო...") თუ იმას, ვისაც მტრის ხსენება გულში შიშს უგდებდა და დაფოლებული, ველობა-ლაშქრობიდან გამოქცეული, სივრცის ჰეროიკული ნაწილიდან თავდაღწეული ლამაზი „დიაცის უბეს" ეფარებოდა... „წინ" და „ზე" მიმართულებით გადანაცვლება მეომრულ სიმამაცეს ესატყვისება, ხოლო „უკან" და „ქვე" გმირის გადაადგილება სიქველის ქრობისა და სიმხდალის თავისებური პოეტური მეტაფორაა:

ჩამორბის კოკლათის გორა, თვალშურთხო, შენი ქმარიო,
მისცენით ბეჭ-სახეხავნი, გააბზრიალოს ტარიო,
საბუჩეს ჩარდახ აუგეთ, გააზდეინეთ ქალიო...
.....
მადალის ქედზე ჩამორბის კურკუმულთ ქალის ქმარია:
ჩამაასვინეთ ქალებჩი, ჩამოუწნოდეთ თმანია...

გმირის გამარადისებული წადილი, სახელს მიუმატოს სახელი, სხვა რა არის, თუ არა გაუცნობიერებელი ბაძვა ღვთაებადქცევის გზაზე შემდგარი მითიური გმირებისა, რომელთაც უთვლელი მადლი და სიკეთე მიეწერებათ ხალხურ ლექსებსა თუ პროზაულ ტექსტებში... „ბაძვა" ის ცნებაა, რომელსაც სათავე ნეოპლატონიზმში ეძებნება და რომლის „ონტოლოგიური საფუძველი არსის საფეხურთა ერთიანობაა, კერძოდ, ქვედა საფეხურის მონაწილეობა ზედაში. ამიტომ ბაძვა გულისხმობს ქვემოდან ზემოთ მიმართებას..."

ბაძვის ამგვარი გაგება, ინტერპრეტირებული ლია კარიჭაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში დაბალი და საზეო მიჯნურობათა ურთიერთმიმართების ასახსნელად, ბუნებრივად ესადაგება მთის ხალხური პოეზიის „მემეტეთა" მუდამდღიური სწრაფვის არსსა და ხასიათს: ისინიც ხომ, ნებით თუ უნებლიეთ, იმ უწყვეტი პროგრესული პროცესის თანამონაწილეებად გვევლინებიან, რომელიც ყოფითობის რუტინული ერთფეროვნებიდან ადამიანის თუნდაც ერთი ადლით ზემოთ ასვლას, ლევიტაციის უიშვიათეს უნართან ზიარებას, მოკლედ რომ ვთქვათ, პიროვნულ ამაღლებას გულისხმობს...

მცირე ბელეტრისტული გადახვევა – ნაწყვეტი მაკა ჯოხაძის მოთხრობიდან „ბიჭი შოკოლადით": „...ვინც მე მიცნობდა, ვისაც მე მოვწონდი, ვისაც ვუყვარდი ან კიდევ ვინც მე მომწონდა, ვისაც მე ვიცნობდი, ყველა ცდილობდა დიდ სიმაღლეზე ელაპარაკა. ცდილობდა და ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ზოგადად. იმდენად ზოგადად, რომ მათი სიტყვების ოკეანედან ერთი წვეთის ციმციმიც კი აღარ მახსოვს. ისინი ყოველთვის ზევიდან ლაპარაკობდნენ, ჩემი მხრის და თავის ზემოდან, უფრო „თავმდაბალნი" ჩემს გასწვრივ, ჩემტოლად ლაპარაკობდნენ.

მოხვედი შენ და, იცი, როგორ მოხვედი. ზევიდან არა, ციდან არა, მიწიდან მოხვედი, იიდან მოხვედი, ტერფიდან მოხვედი და საუბარიც ტერფიდან დამიწყე, ზემოთ ამოსვლა არც გიფიქრია. უბრალოდ, ჯიბეში ხელჩაწყობილი იდექი და საუბრობდი. რაღაცნაირად დავუგდე ყური შენს საუბარს, აღარ მახსოვს, როგორ დავუგდე და მივხვდი, რას ნიშნავს „მუხა დიდი

ყვავილია". ტერფიდან დამიწყე საუბარი და ალბათ ამიტომ გაფრინდი ცისკენ. ღმერთო ჩემო, როგორ მაღალი გახდი!.."

კაი ყმათა და პიროფლიანთა, „დღიანთა", ბძნადმოუბარ მოხუცთა და მახსოვარ, კითხულ კაცთა ძლიერი კულტის ნიშნებით დადამღულ მაღალი რანგის ხალხურ პოეზიაში ძალზე იშვიათია ქრისტიანული თავმდაბლობის, პირადი უღირსობის, ბრალეულობის, ცოდვილობისა თუ მონანიების მაგალითები. აქ ყველაფერი ჰეროიკულად მკაცრია და ლაკონიურად ჩამონაკვთული: სუბორდინაციის დაუწერელი წესიც და შურისგება – სისხლისძიების სავალდებულო ნორმაც, ქალ-ვაჟს შორის გაელებული საბედისწერო ზღვარიც და თვითეული მათგანის კუთვნილი ალაგიც საცხოვრებელ სახლსა თუ სოციუმის საარსებო სივრცეში...

მაგრამ, ბედნიერ გამონაკლისთა სახით, მთიელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უსიტყვოდ ესმოდათ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ადამიანური ურთიერთდანდობისა, დათმობისა, მიმტევებლობისა და თავიანთი ჯვარსახოვანი ცხოვრებით ვერტიკალზე უფალთან, ხოლო ჰორიზონტალურ ჭრილში ადამიანებთან ამყარებდნენ საღ სულიერ კავშირს...

სწორედ ასეთი ზნისა და მრწამსის მქონე პიროვნების ნათქვამად უნდა ვიგულვოთ ერთი პატარა, მდინარის ნალოკ მოლურჯო ქვასავით მკვრივი და უბზარო ლექსი, ძალზე სახიერად რომ ეხმიანება და, გარკვეულწილად, პასუხობს კიდეც ადამის მოდგმისთვის მისი გაჩენის დღიდან თავის ტკივილად ქცეულ ერთ „უმარტივეს" კითხვას: როგორი უნდა იყოს ინდივიდისა და სოფლის (თემის, საზოგადოების...) ურთიერთდამოკიდებულება:

მე სოფლის თავსა ვესახლე და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგად მთავსობდა თუ მე სოფელი მეთავსა,
რასაც სოფლისთვის ვფიქრობდი, წინ-წინ მოვიდა ჩემს თავსა.

კაცის მარჯვენით და ღვთის შეწევნით

(წინასიტყვაობა წიგნისა „იამბე, ციხის ნაშალო...“)

საქართველოს მრავალფეროვან ლანდშაფტსა და რელიეფში ულამაზესი ხელრთვით მოხდენილად ჩაწერილი ეკლესია-მონასტრები, საყდრები, ჯვარ-ხატები, უბრალო ნიშები, საბრძოლო კოშკები და სევდისფერი ციხე-სიმაგრეები დიდი სულიერების დამტევი ის ფასდაუდებელი ხუროთმოძღვრული საგანძურია, რომლის გარეშე ჩვენი ქვეყნის წარმოდგენა შეუძლებელია.

მჭიდროდ დასახლებულ თუ უხვედრ, უკაცრიელ ადგილას ხელგამომავალი წინაპრების საოცარი მონდომებით, რუდუნებითა და ფანატიკური სიყვარულით ნაგები ძეგლების ჟანგიანი კედლების ნატიფად ნაკვეთ ქვათა ღაღადი დღევანდლამდე აღწევს და მოგვიწოდებს, ღრმადმორწმუნე ქრისტიანის სასოებით მივხედოთ და მოვუაროთ ძველ ქართველ ქვითხუროთა საარაკო დანატოვარს...

„მუნჯი“ ქვების ძახილი ხან გვესმის, ხან – არა.

ხოლო მტერი, მეტწილად ჩუმი და „უჩინარი“, თავისას ცდილობს, სწადია, რადაც უნდა დაუჯდეს, მიიტაცოს და მიისაკუთროს ივერიის მიწაზე თუ მის სამანებს მიღმა მიუსაფრად დარჩენილი ჩვენი არქიტექტურის ძველთაძველი, საუკუნეებგამოვლილი, წელ-ბეჭებ ბედითად დაბზარული და მაინც თავმოყვარედ, სიამაყის სრული შეგნებით მდგარი ბრწყინვალე ძეგლები...

გრიგოლ ხანძთელის – „ზეცისა კაცის და ქვეყანისა ანგელოზის“ – უზღვაო ღვაწლის გახსენებაც იკმარებს ნიშნად და დასტურად იმისა, რის შექმნა ძალუძს ადამიანს, თუკი განუშორებლად თან ახლავს ძირს დაუხრელი რწმენა ღვთისა და იმედი მერმისისა, ბიწმიუკარებელი ერთგულება მამულისა და ცით მიკერძებული ძალა ბოროტეულის ძლევისა.

ფიცხელ კლდესა თუ უწყლო, უწვიმისცვრო უდაბნოში, უმწვანილო ღარტაფსა თუ ხორშაკი ქარებისგან მოლოკილ მთა-გორებზე, სულწუხ ხეობაში, გზამიუვალი მაღნარის სიღრმეში თუ მზით დამწვარ ზეგანზე წამომართული ტაძრებისა და ეკლესია-მონასტრების ხუროთმოძღვართა და კალა-

ტოზ-მშენებელთა ვინაობის ირგვლივ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. არც ისტორიულ ქრონიკებსა და მატიანეებში მოიპოვება ამომწურავი ცნობები ამა თუ იმ საჩინო ძეგლის შემქმნელთა შესახებ.

ვინ იცის, რამდენი ნაჯაფი „დევ-წიქარა ხარი" და „მწყემსი თევდორე" გავიდა სოფლის სანახებიდან ისე, რომ მათი დამსახურების შესახებ, გარდა მცნობთა და ახლობელთა, არავინ არაფერი იცოდა; რამდენი ისეთი უსახელო ჭაბუკის უხანო საწუთრო დაღამდა, ვისაც არათუ საზღაური მიუღია, არც გასჩენია სურვილი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" მხრიდან ყურადღების მიპყრობისა და თავდაუზოგავი შრომის დაფასებისა...

საუკუნეთა წიაღიდან ისევ გვესიტყვებიან ბრგე ლანდები ქიტესებისა და მახარეებისა, ნინიებისა და გლახუნებისა, თინიბექებისა და საბრალოებისა, ხვთისავარებისა და ანანიებისა, აბულეთებისა და თოლიგეებისა... გვესიტყვებიან და გვეეედრებიან, გავითავისოთ და დავიცვათ ჟამთა სიავისგან თუ კაცთა სიერაგისგან მათი ნაშრომ-ნაამაგარი; იმად მაინც ვივარგოთ, რომ უცხოტომელთა სამიზნეებად აღარ ვაქციოთ კამარაშეკრული გუმბათები, ფრესკები, ორნამენტები და წნული ჩუქურთმების განსაცვიფრებელი ხვეულები...

* * *

რა ულევი მადლის შემწეობით ანდა ვისი მეშვეობით „იკიდებდნენ კოჭს", არსდებოდნენ და შენდებოდნენ ღვთისმსახურებისთვის თუ მომხვდურისგან თავდასაცავად განკუთვნილი, სანახავად „გასაშტერო" ძეგლები საქართველოში? გარდა კაცისძეთა, კიდევ რომელი სულიერი არსებანი მონაწილეობდნენ მათ დასახვასა და დაფუძნებაში? რა სახისა და შინაარსის ლეგენდა, ანდრეზი და თქმულება-გადმოცემაა დაკავშირებული თითოეულ მათგანთან?..

ბარის სალოცავებთან, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანული წირვა-ლოცვა, ქრისტიანული ღვთისმსახურება ასოცირდება, ხოლო მთის კვრივ, წმინდა ადგილებში, ბროლის ქათქათა ქვებით და ბერხენი ჯიხვის რქებით შემკულ ხატ-სალოცავებში წარმართული სარწმუნოების აშკარა დანალექების შემჩნევა და აღმოჩენა ხერხდება.

ამ ორი არსებითი შრისგან, ორგვარი მოთხრობისგან, რამდენადმე განსხვავებულია ის ანდრეზები, რომლებიც სათვალთვალო სათოფურიანი კოშკებისა თუ „რკინით შეჭედილი" ჩარდახიანი ციხე-სიმაგრეების სწრაფი ტემპით მშენებლობის ლაკონიურ ისტორიებს გვაცნობენ...

ხალხური ამბის სიუჟეტური ქარგისთვის ნიშანდობლივია მწვავე დაპირისპირება, პერმანენტული ბრძოლა და ჭიდილი რადიკალურად განსხვავებულ ორ ძალას, ორ მხარეს შორის: გაღმა დგას საზარელი გარეგნობის დევში (არქეტიპული ხატი ბრიყვი ბოროტებისა) განსხეულებული პროფანული არსება, ხოლო გამოღმა – ღვთისშვილის აღით გამოცხადებული საკრალური ძალა. მათი ცილობის უმთავრესი საგანია ის გეოგრაფიული არეალი, ის ტერიტორიული ლოკალი, სადაც, გამარჯვების შემთხვევაში, ან ერთი უნდა დამკვიდრდეს და გაბატონდეს, ან – მეორე. დაუნდობელ, უკომპრომისო ორთაბრძოლაში, როგორც წესი, იძლევა და მარცხდება უწმიდური, დემონური პერსონაჟი და ციდან გადმოსული ღვთისნასახის ნება-სურვილით იწყება ღვთისმსახურებისთვის საჭირო სახლის მშენებლობა...

მიზეზი, რაც საფუძვლად ედება და მასტიმულირებელ ბიძგს აძლევს მანამდე არარსებული სახელწოდების სამლოცველო და სააღმსარებლო ნაგებობათა წარმოშობას, მრავალნაირია. ეს შეიძლება იყოს მტერზე გამარჯვება (სამღერეთი), წმ. ნინოს – ღვთის სიტყვის ქადაგის – საფლავი (ბოდბის მონასტერი) ან, უბრალოდ, მოკვდავის მხრიდან ზებუნებრივი ძალის მიმართ მადლიერების გამოხატვა.

ანდა ამგვარი: სოფელ ნორიოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისთვის ხარაზაულის წმ. გიორგი, ხალხური ვერსიით, იმ ხარაზის პატივსაცემად დაურქმევიათ, რომელსაც ბასრი სადგისით თვალები დაუჩხვლეტია, ქალს შიშველ ფეხზე რად შევხედეო! საკუთარი ნებით ჩინჩამქრალი ხარაზი ეკლესიას შეჰკედლებია და, ნიშნად უნებლიე ცოდვის მონანიებისა, აღსასრულამდე იქ ყოფილა...

ხუროთმოძღვრული ძეგლების ირგვლივ ჩვენი უკმარი თუ ნაკლული ცოდნის შევსება და გამდიდრება ამ ტექსტების გაცნობითაც არის შესაძლებელი...

წრფელ გაოცებას იწვევს მოცულობა და მასშტაბი იმ სამუ-

შაოებისა, რაც უგზოობის და ტექნიკური საშუალებების უქონლობის პირობებში ხუროთმოძღვარსა და მის თანმხლებ „მუშაკებსა" და „მაშენებლებს" უნდა გაეწიათ ნახევრად ველურ, არახელსაყრელ, მიუდგომელ ადგილებში.

გერონტი ქიქოძე წერს: „ჩვენი წინაპრები მართლაც ცალთვალა დევების მსგავსი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ზოგიერთ ქართულ ტაძარს სამართლიანად, გმირთნაკვეთს უწოდებს: მათი ბოძები, თაღები და კედლის ლოდები ისეთი ზომისაა, რომ მხოლოდ გმირებს შეეძლოთ მათი გამოკვეთა. ასეთი იყო, მაგალითად, ბანის ტაძარი ტაოში, არტანუჯისა – კლარჯეთში, ბაგრატისა – იმერეთში, თიღვა – ქართლში. მაგრამ გასაოცარი იყო არა მარტო დიდი ზომა და პროპორციები, გასაოცარი იყო ისიც, თუ სად და რა პირობებში აშენებდნენ ტაძრებს და სხვა შენობებს... ქვა და კირი „ფიცხელ კლდეზე" ზურგით აჰქონდათ, წყალი არხებითა და მილებით აჰყავდათ, ხოლო საქმის დასაჩქარებლად დღესა და ღამეს ასწორებდნენ. „რაც შეძლება მქონდა, დღე და ღამე მოუსვენრად ვშრომობდი, არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა, ვიდრემდის განასრულებდნენ მონასტერსა ამას, – ამბობს ანანურის ტაძრის ერთ წარწერაში ხუროთმოძღვარი ბაღსარაშვილი"...

საქართველოში (და მის საზღვრებს გადაღმაც) არაერთი ხანმოთეული ციხე-სიმაგრე თუ ეკლესია-მონასტერი უკავშირდება და ატარებს თამარ მეფის სახელს.

ეს შემთხვევითი არაა.

ანგელოსთა სწორი გვირგვინოსნის სახელმწიოფოებრივ საქმეთა თვალხილულ შედეგთაგან სწორედ ტაძრები, საყარაულო კოშკები, ქვის გალავნები, ფუნდუკები („აღშენებულ ზამთარ მოგზაურთათვის") თუ თაღოვანი ხიდები იუნჯებდნენ მრავალგზის დარბეული, გაპარტახებული, გადაბუგული და მკვდრეთით კვლავ აღმდგარი ქვეყნის აღმშენებლობის იმ კონკრეტულ „მტკიცებულებებს", რომელთა გარეშე ძალზე ღარიბი და, რაც მთავარია, ღვთისმიერი ძალმოსილებისგან დაწრეტილი იქნებოდა ჩვენი მიწა-წყალი.

თამარს, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულო სახლის სწორუპოვარ წევრსა და წარმომადგენელს, ისევე, როგორც

ურჯულო ტომებთან უთანაბრო ომებში, მშენებლობაშიც შეეწეოდა მაღალი მადლი ღვთისა და ყოველგვარ სიძნელეს, სირთულესა და დაბრკოლებას იოლად აძლევინებდა (სინერგია, ანუ უფლისა და ადამიანის ნების თანხვედრაა აუცილებელი იმისათვის, რომ საუკუნეებს გადამწვდომი დიდი საერო საქმეები აღსრულდეს)...

გადმოცემა გვამცნობს: თამარი „გამოუცხადებდა თავის ჯარს, ამა და ამ ადგილზე ეკლესია უნდა ავაშენოო. თითოეული ჯარისკაცი ვალდებული იყო, თან წაეღო თითო ქვა, თითო ქილა დამწვარი კირი და ერთი ქილა ქვიშა. მხლებელ ქალებს ლეჩაქის ყურში ჰქონდათ გამოხვეული კირი და სილა, მამაკაცებს კი ყაბალახის ყურით მიჰქონდათ საშენი მასალა"...

მაგრამ ადამიანს, დარჩენილს მხოლოდ საკუთარი თავის ამარა, ღვთის მინიშნებისა და დახმარების გარეშე ძალზე გაუჭირდებოდა საპასუხისმგებლო საუფლო მისიის ხორცშესხმა.

იმ შინაურ ცხოველთაგან, რომელთაც არსისმიერი კავშირი და სიახლოვე აქვთ საეკლესიო ცენტრების დაარსებასთან, უპირველესია ხარი (როგორც მემატიანე იტყვის, „უღლეულნი ხართა").

ხალხური ლექსი „ორშაბათობით აშენდა" ხარს ახასიათებს, ვითარცა „პირნათლიერ", ანგელოზების რჩეულ ტაბუდადებულ ცხოველს.

ხარის კულტის დამადასტურებელი მასალაც საკმაო სიუხვით მოიპოვება საქართველოს სინამდვილეში (გავიხსენოთ შავეთის ცალრქა ხარი, მისანი ხარი-ნიქარა და სხვ.).

არქაული პლასტების შემცველი თქმულება „ხარისა და ირმის შეჯიბრი" კიდევ ერთხელ ცხადყოფს ირემთან – ასევე ღვთისნასახ გარეულ ცხოველთან ხარის უპირატესობას...

ღმერთის ნაკურთხი და ქედდალოცვილი, „მზიურნიშნეული" (გრ. რობაქიძე) ხარის სრულიად განსაკუთრებულ, მეტ-ნაკლებად წამყვან როლსა და წყალობას მიეწერება ისეთი დიდებული სამლოცველოების დაარსება, როგორებიც გახლავთ: „ხორასნიდან შვიდიათასი ტყვის დამხსნელი" დიდი ლომისა – მთიულეთში; ლატალისა და ლაგურკის ეკლესიები – სვანეთში; გერგეტის სამების ტაძარი – ხევში; სხალთის ეკლე-

სია – აჭარაში; ნიკორწმინდა – რაჭაში; ალერტის სალოცავი – სამეგრელოში; რეჯახის ეკლესია – კახეთში...

საგულისხმოა ისიც, რომ სადაც საბოლოო პუნქტისკენ გზადმიმავალი ხარი ჩერდება და ისვენებს, იქ საყდარი ანდა მცირე სამლოცველო ჩნდება...

შესაბამის გადმოცემებში ამგვარივე ფუნქციით არიან აღჭურვილნი მტრედი, ყვავი და, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ყორანი.

საკრალურ აქტში ფრთოსანთა მონაწილეობა შინაარსობრივად წონადი და მნიშვნელოვანი დეტალია. მათ ავალიათ მეგზურობა და ღვთის სახლის ასაშენებელი მყუდრო ადგილის ამორჩევა. ამათგან პირველობა მტრედს ეკუთვნის. ის მოიაზრება, როგორც მრავალი პოზიტიური ნიშან-თვისების შემკრები ფრთოსანი (წყლის დაშრობის მაცნე ნოეს კიდობნის ბიბლიურ სიუჟეტში, სათნოების განმასახიერებელი წმინდა სანირი, სულიწმინდის სიმბოლო, მიცვალებულის სულის გადამყვანი ცათა სასუფეველში...).

მტრედის დამსახურებად ითვლება მთიულეთში ბუჩუკურების საგვარეულო სალოცავის და გუდამაყარში დუმაცხოს წმ. გიორგის ეკლესიის დაარსება...

ყველაფერი და, მათ შორის, სამშენებლო საქმიანობაც, ხალხური თვალთახედვით, განგების „გადაწყვეტილებას" ექვემდებარება. როცა მოკვდავი რამდენიმე შესაძლებლობიდან უკეთესს ვერ ირჩევს, პროცესში უხილავის ხელი ერთვება და მცირე ხნით შეყოვნებული საქმე კვლავ წინ მიიწევს.

არის თქმულებები, რომელთა მიხედვით, წინასწარ შეგულებული ადგილიდან სამშენებლო ქვა და იარაღი მოულოდნელად სხვაგან აღმოჩნდება გადატანილი და დალაგებული, რასაც ბუნებრივად მოსდევს ამ ახალ ადგილზე სამლოცველოს დაფუძნება (ვარძია, ბეთანიის ტაძარი).

პროვიდენციული სულისკვეთების საგრძნობი სიმძლავრე ტიპობრივი ამბების თხზვაში სავსებით ლოგიკური და კანონზომიერია. როდის, თუ არა ეკლესია-მონასტრების შენებისას, უნდა იჩინოს თავი უზენაესის ნება-სურვილმა და გაცხადდეს მრევლის სასიკეთოდ მიმართული მისი არჩევანის უნივერსალური ხასიათი...

მწყემსი, მიწის მუშაკი, მეხრე, მეჯოგე თუ მონადირე, ვისაც თუნდ ოფლის მცირე ცვარი დასდენია საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისას, გარკვეული აზრით, „უდაბნოთა ქალაქმყოფელია“.

წესრიგით და ჰარმონიით ქაოსის შეცვლაში, იმ სიცარიელის შევსებაში, რომელიც უღმერთობას და, აქედან, ურწმუნოებას გულისხმობს, მათებრ „მდაბიოთა“ და „უბირთა“ დამსახურებაც უსათუოდ ივარაუდება.

„შეურაცხად სახილველი“ ცამეტი ასურელი მამის ურთულესი გზა-კვალის მიმდევართა სიმრავლე იყო საწინდარი იმისა, რომ ერში დანერგილიყო „ჭეშმარიტი შჯული“ და ეშმაკეულთა საცდურით მოხიბლული ქართველები წელსა და, მით უფრო, რწმენაში ისე არ გადრეკილიყვნენ, „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“...

ძველ ქართულ მწერლობაში ბევრი სახიერი ეპიზოდია იმისა, როგორ იკურნებიან საპყარნი და სენმორეულნი აუტანელი ტკივილისა და სალმობისაგან; ზეგარდმო სასწაულების მხილველნი და მოწმენი ხდებიან რიგითი ადამიანები და, ცხადია, უცხოველდებათ სასოება ღვთის მიმართ.

მეუდაბნოენი და, შემდგომ მათ ღვანლთან წილნაყარნი, მშენებლობის დაწყებამდე აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ და ითვალისწინებდნენ გარემო პირობებს, შემოგარენს, ადგილ-მდებარეობას... და ამ დროს, ალბათ, გადამწყვეტი იყო ისიც, მოიპოვებოდა თუ არა ახლომახლო ბუნებრივი ბინული.

საღვთო მადლით ერთიანად მოცული არე-მიდამოს კეთილისმყოფელი „გავლენა“ წყალზეც გადადიოდა და ბუნების ეს უწინარესი წყალობა, მსგავსად ჩვენი ზღაპრების „მზის პირისნაბანისა“, უიშვიათესი სამკურნალო თვისებების მატარებელ „რესურსად“ აღიქმებოდა. მიდიოდნენ ხეიბრები, დავრდომილები, ათასგვარი სნეულებით შეჭირვებულები და მალე სრულიად საღ-სალამათნი ბრუნდებოდნენ უკან. ქართული ზღაპრული ეპოსისთვის ნაცნობია მოტივი „უკვდავების წყლისა“, რაც ალექსი ჭინჭარაულის მიერ ჩაწერილი ერთი ხევსურული ხალხური ლექსის მთქმელისეულ კომენტარშიც გაკრთება: თოფის ალისგან („დახვიეს თოფის ალია...“) ანატორელი ბერას უვნებლად გადარჩენას და მის უჩვეულოდ

ხანგრძლივ სიცოცხლეს გადმოცემა ამგვარ ახსნას უძებნის: „...ის ყოფილ უკვდავების წყალშასმული...“

მკურნალი წყაროებიდან სნეულთა შველისა და მორჩენის ყველაზე მეტი შეძლება, ჩვენს ხელთ არსებული ფოლკლორული მასალით, მიეწერება „ბერის ცრემლებს“ შიომღვიმის მონასტრის შესასვლელთან და წმ. ნინოს წყაროს ბოდბეში.

ღვთისმსახურების დაწყებიდან ვიდრე დღემდე ხსენებული ბინულის სასწაულებრივი თვისებების მიმართ არათუ ნელდება და კლებულობს, შეგვიძლია ვთქვათ, თანდათან იზრდება და მატულობს ინტერესი. ამას მოწმობს „მირეულ“ თუ მარხულ მორწმუნეთა ნაკადი, რომელსაც არა მარტო ზაფხულის სითბოსა და დარკეთილში, გვიან შემოდგომასა და ადრიან გაზაფხულზეც ნახავთ საგანგებოდ შემოშენებულ, სადად მოწყობილ და მოპირკეთებულ წმ. ნინოს წყაროსთან...

საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის შესახებ ხალხში შექმნილ ანდრეზებსა და გადმოცემებში, არცთუ იშვიათად, იხსენიებიან როგორც ქართველი (მირიან მეფე, გიორგი სააკაძე, გივი ამილახვარი, ლუარსაბ მეფე, მღვდელი თევდორე), ისე სისასტიკით განთქმული გადამთიელი ისტორიული პირები (შაჰ-აბასი, ნადირ შაჰი, მურვან-ყრუ), რაც დოკუმენტურ დამაჯერებლობას სძენს ზეპირსიტყვიერ სიუჟეტს და, ამასთან, ეპოქის სულსა და ხასიათსაც ბევრად უფრო ვრცლად და ცხადლივ წარმოგვიდგენს.

სამხედრო ნაგებობების (შატილის კომპლექსი, მუცოს ციხე-სიმაგრეები, ქსნის, გონიოს, არშის, სნოს, სურამის ციხეები, თუშმალიშვილების ციხე-კოშკი...) გვერდით, და მათზე უწინარეს, აღმოცენდა ამიერ საქართველოს მთიანეთში ის მომცრო, არქიტექტურული თვალსაზრისით პრიმიტიული შენობები, რომელთაც ჯვარ-ხატთა სახელით იცნობს ეთნოლოგიური ლიტერატურა.

ესენია ლოკალურ ღვთაებათა (ღვთისშვილთა, ღვთისნასახთა, ღვთისნაბადებთა) ამქვეყნიური სადგომ-საბრძანისები, სადაც წელიწადის განსაზღვრულ დღეებში რელიგიური რიტუალები იმართება.

მათი დაბადებისა და „ქვეყნიერებაზე“ განფენის თაობაზე მოგვეძევება ერცელი თეოგონიური ხალხური ლექსი, რომლის

მიხედვით, დარგობრივი ღვთაებანი მორიგემ (წესრიგის დამდგენი უზენაესი არსება) შექმნა და გადმოუშენა დედამიწაზე.

ციდან ჩამოსული უსხეულმყოფელი ძალნი თავდაპირველად გერგეტის მთაზე დაბინავდნენ. იქ მოხდა მათი განაწილება და „წარგზავნა" ისტორიული ფხოვის სოფლებსა და ხეობებში...

მთის საძმოების სარწმუნოებრივი გამოცდილება სატომო, სათემო, სასოფლო თუ საგვარეულო ღვთისშვილებზე არის ორიენტირებული: „უნჯნი ყმანი" მათ შესთხოვენ თანადგომას აშლილობისა და შუღლიანობის ჟამს; მათგან გამოელიან წყალობასა და დახმარებას უცაბედი განსაცდელისა თუ სიმძიმილის დროს; მათი კარვის კალთის მფარველობის იმედით გადიან ველად, სალაშქროდ და სანადიროდ; მათ ევედრებიან გვალვაში მაცოცხლებელ წვიმასა და გრძელ, გაბმულ ავდრიანობაში აკარებასა და მზის გამობრწყინებას...

ცენტრალური სალოცავებისა და „პერიფერიული" ჯვარხატების სიმფონია მთლიანობაში გარშემოიწერს დადებითი მუხტით გაჯერებულ ისეთ საარსებო სივრცეს, რომლის მკვიდრთ, ბერთა თუ ახალთ, სწამდათ და სწამთ სიკეთისა და სათნოების მქადაგებელი ქრისტიანული სარწმუნოების სიმტკიცისა, ყოვლისშემძლეობისა და მარადიულობისა...

ეს ანდრეზული სიუჟეტები იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მათში ნახსენები ზოგიერთი ძეგლი დღეს ფიზიკურად შეიძლება აღარც კი არსებობდეს. მიწისძვრისა თუ სხვა სახის სტიქიური მოვლენების შედეგად პირისაგან მიწისა აღგვილი მატერიალური კულტურის ხსოვნას უბერებელი სიტყვა ინახავს და გვაწვდის გარკვეულ ცნობასა თუ ინფორმაციას მისი აღმოცენებისა და თავგადასავლის თაობაზე...

„სიმღერე“ და ხმით ნატირალი*

მიყვარს ყველაფერი ძველი,
მიყვარს ყველაფერი სადა.
გალაკტიონი

ნატირალი, სამგლოვიარო პოეზიის ეს თავისთავადი ნაირსახეობა, მასთან დაკავშირებული ტერმინების სიმრავლით ხასიათდება: „მოთქმა“, „ხმით ტირილი“, „ძახილით ტირილი“, „სულით ტირილი“, „დათვლა“ (თვალვა), „ზარი“, „ზრუნი“, „დალაობა“, ნაწილობრივ — „გვრინი“.

ჩამოთვლილი ტერმინების რიცხვს, გამომდინარე ფაქტობრივი მონაცემებიდან, ემატება კიდევ ერთი — „სიმღერე“.

„ქართული ხალხური პოეზიის“ (1931 წ.) წინასიტყვაობაში აკაკი შანიძემ გაკვრით აღნიშნა ადგილობრივთა გაგებაში ლექსისა და „სიმღერის“ სხვადასხვაობა. მეცნიერის სიტყვით, „ლექსი ხევსურთ ძველებური გაგებით „სიმღერის“ საპირისპირო ჟანრია. სიმღერა საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე ლექსი კი ყოველგვარ სხვა შინაარსის შაირს ეწოდება“.

მრავალმხრივ საგულისხმო წინასიტყვაობის ციტირებულ ნაწყვეტში ცნება „სიმღერა“ ძალზე ვიწრო, დასაზღვრული, ასე ვთქვათ, ავტონომიური მნიშვნელობით არის განმარტებული. „ბრალეული“ ამ შემთხვევაში არის არა მასალის შემკრები და შენიშვნა-კომენტარების ავტორი, არამედ ინფორმატორი, ვისმიერი ახსნა-მითითებანიც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ხევსურული ხალხური პოეზიის ამ სანიმუშო კრებულში.

სიტყვა „სიმღერის“, სულხან-საბას განმარტებით, „მსოფლიო ხმოანების“ აღნაგობაში აშკარად იკითხება მუსიკალურ საკრავთა ნაწილების სახელწოდებები: „სიმღერა“ შესდგება ორი სიტყვისაგან: „სიმი“ და „ღერი“. სიმი, ვთქვათ, ფანდურის, ხოლო ღერი-ღერო-ლერწმის... ე.ი. „სიმღერა“, თუკი მისი სემანტიკიდან ამოვალთ, თავისთავად გულისხმობს საკრავის თანხლებას, საკრავზე შესრულებას და მეტწილად საგმირო ანდა სატრფიალო ხასიათისაა, სადაც ნაკლები ადგილი რჩება დამთრგუნველი სევდა-მწუხარებისთვის...

---

* თანაავტორი ეთერ თათარაიძე

ასეთია „სიმღერის“ ტრადიციული გაგება, რომლის მართებულობასა თუ ლოგიკურობაში თუნდ მცირედი დაეჭვებაც კი შეუძლებელია.

ასევე ლოგიკურია და მხედველობაში მისაღები მეორეული შრე და მნიშვნელობა ტერმინისა. სამგლოვიარო ხმასა და განწყობილებას რომ მოიაზრებს მასში და ხმით ნატირლის ლირიკული პერსონაჟის სულიერი განცდების ადეკვატურ უკუფენას ათვალსაჩინოებს.

როშკიონი ქალი დასტირის ხადუელ დიაცს:

დედიკავ, ტირილ რაად გინდაო,
სიყმე-სიბერე ჩამაღგალეო,
შვილ-ზალი დაგტრიალებს თავსაო.

წამით ჩუმდება და მერე თავისთავზე მოთქვამს:

ოთხ კედელთ შუა დავმრჩალორაო,
ხან ამაუშობ სიმღერესაო.

მიღმა სოფელში დაბინავებული მაზლიშვილის პირით ესიტყვება სამზეოს მყოფ ჭირისუფალს მძიმია წიკლაური:

ახლა თუ მინამ დამიჭირაო,
ბევრი სხვაი მყავ ამხანაგიო,
არ გასტყდა, ბაბუაის ქალოო,
არ ამაუშვა სიმღერეიო.

ამ ნატირლის მთქმელი განმარტავს: „სიმღერა – ტირილ იყვ“.

სიმღერა (ხევს. „სიმღერე“), დღევანდელი გაგებით, ნაკლებად ესიტყვება სამგლოვიარო გუნება-განწყობას. იგი მუსიკალური მელოდიის თანმხლებ ანდა უმისოდ შესასრულებელ იმგვარ ტექსტს გულისხმობს, რომელშიაც ზეანეული, მაჟორული ნოტი ჭარბობს სამგლოვიარო ხმიერებას.

წერილში „რას მღეროდა ვაჟა-ფშაველა“ („ლიტ. საქ.“ 12. VI. 1987) ლალი გულისაშვილმა სავსებით სამართლიანად მიანიშნა ღმერთთან მოლაპარაკე პოეტის „სიმღერად“ წოდებული (დაქვესათაურებული) ლირიკული შედევრების უსაზღვრო სევდაზე. წერილის ავტორის დაკვირვებით, ვაჟა „სიმღერას“ მხოლოდ იმ ლექსებს უწოდებს, რომლებშიც საკუთარ დარდს, ტანჯვას, გაცამტვერებას, არარაობას გამოხატავს“.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში „სიმღერის“ საპირისპირო შინაარსის ცნებაა „გალობა“:

აღარ მწადიან ვიმღერო,
მინდა დღედაღამ ვგალობდე.

ასე, რომ ტერმინ „სიმღერაში“ დარდიან, ვარმიან ლექსსაც გულისხმობდნენ: „სიმღერა“, ფოლკლორული ტრადიციით და ვაჟას გააზრებით, ლექსად გლოვის („სამწუხაროსა საქმესა ზედა ვაებით, ტირილით და შეწუხებით ყოფის“ – საბა), მოთქმის, დატირების სინონიმიც იყო.

კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში დებულების ნათელსაყოფად:

გიმღერებ უკენობისადაო,
აგებ სამუდმოდ დაგაძინაო,
აგებ დედ-მამათ დაგაცილაო,
აგებ მიგიღას კოშკათ გორმაო.

„გიმღერებ“-ში, ცხადია, „გიტირებ“ ივარაუდება და, შეიძლება ითქვას, არც მოტირალი და არც მსმენელი არანაირ უხერხულობას არ განიცდიან მოცემული კონტექსტისთვის ერთი შეხედვით სრულიად შეუფერებელი, სულ სხვა შინაარსის მქონე სიტყვის ხმარების გამო.

უტყუარი გუმანის და მხატვრული გემოვნების მატარებელი უბირი მოტირალი, ინტუიციით თუ ქვეცნობიერად, მიმართავს ისეთ გამოთქმებს, რომელთა ადგილი ერთადერთი და შეუცვლელია ხმით დატირების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

„ჩვენებური „ზარი“, – წერს ილია, – ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შეთვისხორცებული, იგივე სიმღერაა, სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ „მაყრული“ – სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც „ორ-პირი“ – ვაჟაცობისა, მედგრობისა და მხნეობისა“.

როგორც ჩანს, არც ილიასთვის ყოფილა უცნობი სამგლოვიარო ზარის და სიმღერის სპონტანური სიახლოვე, ნათესაობა, მათი გენეტიკური კავშირი.

„საგლოელი ხმის“ სანაცვლოდ თუ სინონიმად „სიმღერის“ ხმარება ქართველი ერის საარსებო იმპულსების თავისებური გამოვლინებაა: ენითუთქმელი სიმძიმილის წამი თუ წუთი ხმითმოტირლებს ამქვეყნიურ ამაოებაზე ამარჯვებინებს, პირადი ტკივილის უმძაფრეს განცდას ტრაგიკულობამდე ამაღლებს და სულიერი სალმობისა თუ შინაგანი განწმენდის წყალობით უპირივნო ზებუნებრივ ძალებთან ამყარებინებს უხილავ კავშირს.

„მძლევარი“ და „მკვდართა მზე“ – ორი ქვეყნის, ორი სამყაროს მეკავშირენი ხალხურ სიტყვიერებაში

წელიწადის დროთა ციკლური მონაცვლეობის ბუნებრივი პროცესის თანმდევი გადაადგილება, ფრინველთა ერთი ნაწილისთვის რომ დაუწერია და დაუწესებია განგებას, ხალხურ მსოფლხედვაში ფართო მასშტაბის კოსმიურ გააზრებას იძენს და ცალსახად მოწმობს მითოსური სიუჟეტების მთხზველთა მხატვრული წარმოსახვის უნაპირობას.

ცალკეულ სფეროებად, არეებად თუ სეგმენტებად დანაწევრებული ემპირიული სამყაროს სტატიკურ უძრაობას ფერადოვან შტრიხსა და სიცოცხლის ნიშატს მატებენ ის სულიერი არსებანი, რომელთა მოწოდება და ფუნქციური დატვირთვა დაშორიშორებული სივრცული მოცემულობების შუამავლობასა და მეკავშირეობაში მდგომარეობს.

ადამიანის შემწე ფრთოსნებს შორის თავიანთი საკრალური მისიით გამოირჩევიან გუგული და მერცხალი. ისინი მორბედებად, გაზაფხულის მახარობლებად გვევლინებიან და თავისთავში სამყაროული კომუნიკაბელობის ხელშემწყობ კეთილ ძალებს ასახიერებენ.

ამ თვალსაზრისით მერცხლისა და გუგულის რიგშივე მოიაზრება კიდევ ერთი „აქტიური“ ფრინველი, ე.წ. „საჴნაურა“ (დიალექტებში: „ურნატა“, „მაჴნავა“, „გუთნის-ჩიტა“, „ჴარ-წინა“...). სამივე მათგანი, თავის მხრივ, „მძლევრად“ არის სახელდებული არცთუ მრავალრიცხოვან ზეპირ თუ წერილობით წყაროებში.

არქაული აზროვნების ელემენტებით გაჯერებულ ნარატივებში ხარისხობრივად და, გნებავთ, მენტალურად, განსხვავებულ ორ სამყაროს შუა მიმოიქცევა და თავის უცვალებელ მოვალეობას ასრულებს დაღლილი ღმერთის ასტრალურ სახესთან ასოცირებული დღის მნათობი, რომელსაც ფშავში „მკვდართა მზეს“ უწოდებენ.

ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველები“ ვაჟა აღნიშნავს: „ფშავლის წარმოდგენით საიქიო ქვეყნის შუაგულში არის. საიქიოს ის ეძახის „შავეთს“. შავეთში მართალნი არიან მკრ-

თალს ნათელში. ეს ნათელი ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზედ; ყველამ იცის, რომ მთის წვერები ცოტად-ღა არიან ამ დროს წითლები. ამას ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“ (ვაჟა-ფშაველა, თხზ.ტ.VII, თბ.,1956, გვ.16)

„მკვდართა მზე“, ისევე როგორც „მშვენიერი მძლევარი“, მუდმივ მოძრაობასა და მიმოსვლაშია. როგორც პირველის, ისე მეორის სამოქმედო სივრცე რეალურ და წარმოსახვით, საგნობრივ და ირეალურ განზომილებებს მოიცავს და ცხადად მიანიშნებს მათ მკვიდრ ადგილს და პრიორიტეტულ მდგომარეობას მთიელთა ძველთუძველეს რწმენა-წარმოდგენებში...

მძლევარი შემოდგომაზე თბილ ქვეყანაში მიფრინავს, ხოლო დათბობისთანავე უკან ბრუნდება და ადრიანი გაზაფხულიდან ვიდრე აცივებამდე მეურნე ხალხთან ერთად ინაწილებს მზის სხივთა წყალობასა თუ ბუნების მოვლენების რისხვას.

ამ კეთილხმოვანი სახელის სემანტიკური შინაარსი მისით აღსანიშნ არსებათა უნებლიე ქმედების მაგიურ ხასიათში ჰპოვებს სათავეს: ფშავ-ხევსურეთში სწამდათ, რომ ვინც დილით „უნაწილო“ ანუ უზმო სახლიდან გავიდოდა, მათგან დაიძლეოდა.

„გაზაფხულზე, გუგულის მოსვლის დრო რომ მოახლოვდებოდა, ყველა ცდილობდა, გუგულს არ დაეძლია, ე.ი. დილით უნაყროს არ გაეგონა მისი ხმა. თუ გუგული პურუჭმელს ძახილს დაასწრებდა, იმ ზაფხულს ადამიანი დასუსტდებოდა. ამიტომ ლოგინიდან ადგომისთანავე ლუკმას ჩაიდებდნენ პირში. თუ ჭამის შემდეგ გაიგონებდნენ გუგულის ძახილს, დაუძახებდნენ: „გუგულო, მიძლევიხარო“. თუ გუგულს ხეზე მჯდომარეს შენიშნავდნენ, ჩუმად მიეპარებოდნენ იმ ხეს და მის პატარა ტოტს კბილით მოკვნეტავდნენ, თან გუგულს დაუძახებდნენ: „გუგულო, ღალა მოგპარე, დოსქელი, კარაქმრავალი“. ამ სიტყვებს სამჯერ გაიმეორებდნენ. ხის ქერქს წაიღებდნენ სახლში და რძის სადღეებელს შეაბამდნენ. ეს იყო სიმბოლო ბარაქიანობისა. ამ საქმეს ახალგაზრდებს ავალებდნენ“ (ლევან ბოძაშვილი, ფშავი და ფშაველები, თბ.,1988, გვ.90).

და მახსენდება გულქან რაზიკაშვილის ნათქვამი ლექსი, გასული საუკუნის 90-იანი წლების ზამთარში რომ შეაგება ჩარგალში მასთან სასაუბროდ ასულ სტუმარს:

ვიმძლევიმცა ხარ, მერცხალო,
მოხვედი, ჭიკჭიკელაო,
გამარჯვებისამც იქნება
შენი აქ გადმოფრენაო...

გუგული გაზაფხულის მყოლად, მხლებლად და, მერცხლისგან განსხვავებით, მარცვლეულის პატრონად ითვლებოდა მთაში. დაძახება დასწრებაზე იყო და ხეზე შემომჯდარს რომ დაინახავდნენ, ასე მიმართავდნენ:

გუგულო, ღალა მოგპარე
დოხშირი, კარაქმრავალი...

„როცა გუგულ მოვას, ფოთლობის დროს, მაშინ დედაკაც ან კაც ტყეში წავა, გატიტველდება იმ ხის ძირში, სადაც გუგული ზის და სამჯერ უნდა გაუაროს ხეს და მოსთვალოს: „გუგუტავ, ღალა მოგპარე, დობევრი, კარაქმრავალი." თუ არ გაფრინდა გუგული, ბევრი რძე-კარაქ ექნება. ამოთლის პატარა ქერქს და მოწველილ რძეში ჩააგდებს." (გ. ჩიტაია,შრ., III, თბ.,2001, გვ.329 .1929 წლის ხევსურეთის ექსპედიციის დღიური).

სამივე მძლევარი – გუგული, მერცხალი და საკნაურა – გაზაფხულის დადგომასთან, მცენარეულის მკვდრეთით აღდგომასთან, სიცოცხლის განახლებასთან არის დაკავშირებული, რის გამოც ვეგეტატიურ ღვთაებებთან მათ გენეტიკურ სიახლოვეზე მიუთითებენ.

საინტერესოა „საკნაურას" მეორენაირი სახელი – „ურნატა".

ესაა შავ-თეთრით ჭრელი ჩიტი, რომელიც გაზაფხულობით ნახნავის კვლებში ჩნდება და საკვებს დაეძებს.

ნახნავის კვალი ხომ იგივე „ორნატია" („ქართლის ცხოვრების" ლექსიკით: „...განპებასა შინა ორნატთასა თამარის ქებასა მელექსეობდიან...") და ვინაიდან „საკნაურა" (ხვნასათან დაკავშირებული ფრთოსანი) ყანაში, ყამირსა თუ ნარბილში გავლებული კვალის მოუმცდარი სტუმარია, ამიტომაც დარქმევია მას „ურნატა".

მძლევართან მიმართებაში ცხადად იკვეთება ფუნდამენტური ბინარული ოპოზიციები: ზამთარი-გაზაფხული; სიცივე-სითბო; სამზეო-მიწისქვეშეთი...

გუგული, მერცხალი და ურნატა, მსგავსად „მკვდართა მზისა", პერიოდულად თვალს ეფარებიან, უჩინარდებიან, პირობითად, სხვა – კაცთათვის უხილავ – ქვეყანაში მიფრინავენ, რათა, დადგება თუ არა მკვდრული მდუმარებიდან ბუნების გამოსვლის შესაფერისი ჟამი, შუასკნელში დაბრუნდნენ და ღვთით დადგენილი მისიის შესრულება განაგრძონ.

უღრან ტყეში ხარობს ნითელი ფერის ყვავილი, რომელსაც ფშაველები „გუგულის კაბას" ეძახიან. ვაჟა-ფშაველას ერთ მოთხრობაში სწორედ ეს ყვავილი უხმობს და ელის თავის მოსახელეს: „სადა ხარ, მშვენიერო მძლევარო? სადა ხარ, ჩემო ტურფა პატრონო, გუგულო?" (თხზ.,ტ.VII, თბ.,1964).

თამაზ ჩხენკელმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ „არხოტში გაზაფხულის მომყვანი გუგული ცალთვალაა" (თ. ჩხენკელი, მშვენიერი მძლევარი, თბ., 1989, გვ. 26).

მკვლევარმა იქვე აღნიშნა: „გუგულს თვალი მინდიმ გამოსთხარა და ამ მხრივ იგი დევებისთვის თვალის გამომთხრელ და თვალის მომპარავ ღვთისშვილებს ენათესავება..."

მართალთა ქვეყნიდან სამშობლოში მიმავალ ხოგაის მინდის ცალთვალა გუგული მეგზურობს. ის, ამ ასპექტით, წყვდიადით მოცული უსიხარულო ქვესკნელიდან ამირანის ამომყვანი ფასკუნჯის ფუნქციამონაცვლეა.

გუგულების ძირითადი სამყოფელი, მითოლოგიური გადმოცემის თანახმად, ზერეალური ქვეყანაა, რომლის საზღვართან წყალი დის და გადალახავენ თუ არა ამ წყალს, ციდაკაცებად იქცევიან, ხოლო როდესაც თავიანთი ქვეყნიდან მიდიან და მდინარის მეორე ნაპირზე გადავლენ, ისევ ფრთოსნების აღეს იბრუნებენ... ასე რომ მათთვის არც მეტამორფოზის, გარდასახვის, სხვა სულიერ არსებად გარდაქმნის სასწაულებრივი უნარი ყოფილა უცხო და უცადი. ისინი ამ ნიშნითაც ენათესავებიან ლოკალურ ღვთაებებს, იგივე ღვთისშვილებს, რომელთაც შესწევთ საიმისო ძალა და მადლი, შექმნილი მდგომარეობის კარნახით იცვალონ იერი, გარეგნობა და იოლად დააღწიონ თავი მძიმე განსაცდელს...

ნაივურმა ხალხურმა წარმოდგენამ იმის შესახებ, რომ სულეთი ბევრი რამით სააქაოს მსგავსია, მის თარგზეა მოწყო-

ბილი და გარდაცვლილთა მუდამდღიური მოთხოვნილებანი ცოცხალთა საარსებო სურვილების შესაბამისია, წარმოსახვისმიერი იმქვეყნიური ყოფის ესთეტიზირება განაპირობა.

სამოთხის ფოლკლორული ხატი სხვა არაფერია, თუ არა საამო და სასურველი სინამდვილის თვალწარმტაცი ორეული.

გარდა იმისა, რომ საიქიოს სამუდამო ბინადართ „ადგილსა მას მწვანილოვანსა" არც ვეშაწყარო უშრებათ და „ღვთის ულუფაც" დაუგვიანებლად ეძლევათ, მათ ღმერთიც „საკუთარი" ჰყავთ, ღმერთი , რომელიც სულიწმიდათა საიმსოფლო წესრიგს ამყარებს, იცავს და ინარჩუნებს.

სულის თვალით სახილველ უპიროვნო ტრანსცენდენტულ ძალას ამგვარად ემუდარება ხმით მოტირალი:

სულეთის ღმერთო, მადლიანო,
მამეც ნებაი საუბრისაო,
გამამაცხადე სამზეოსაო,
შენ ამაძრახე სამზეურთაო...

იმისდა მიუხედავად, რომ გარდაცვლილთა ეპიტეთად „უმზეურნიც" გვხვდება სამგლოვიარო პოეზიაში, მათთვის მაინც ანათებს მცხრალი, მოღალული მნათობი, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, „მკვდართა მზე " ეწოდება მთიელ მთხრობელთა ფოლკლორულ რეპერტუარში...

ეს ის უცნაური, ასე ვთქვათ, არატრივიალური მზეა, ღვთისნასახთა ახოვანი მხედრების, მისტებისა და მეომრების სულთახდის წუთებში წითლად რომ ცხრება, ილევა და მთათა მწვერვალებსაც ალისფრად ღებავს:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა...

მკვდართა მზე, როგორც თამაზ ჩხენკელი განმარტავს, იგივე ღამეული მზეა, რომელიც მის „წილ" მიცვალებულთან ერთად შედის შავეთში, რათა დილის დადგომისთანავე კვლავ აღდგეს მკვდრეთით და თავისი სამისდღეშიო ფუნქცია შეასრულოს.

მკვდართა მზე მხოლოდ ნეტარი, მართალი, ღირსეული სულებისთვის ანათებს შავეთის შუაგულს. და , სხვათაშორის, გარდა ქართველი მთიელებისა, ასევე ფიქრობდნენ თრაკიელი გეტები...

სახისმეტყველებითი მითოსური აზროვნების ისეთი უჩვეულო და ამ უჩვეულობით უაღრესად მეტყველი სინტაგმა, როგორიცაა „მკვდართა მზე", არ შეიძლებოდა ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილ ქართველ შემოქმედთა გონსაწიერის მიღმა დარჩენილიყო.

და სავსებით ბუნებრივია მისი წამიერი გაელვება თუ შეყოვნებით გამოჩენა ბაჩანას პოეზიაში („...მთებზედ მკვდართ მზენი ჰქრებიან..."); გიორგი შატბერაშვილის მოთხრობაში „მკვდრის მზე" („... ერთმა შუბათელმა ბერიკაცმა ამიხსნა: მკვდრის მზე იმათთვის აშუქებს, ვინც ღირსეულად კვდებაო..."); ანა კალანდაძის ლექსის „მკვდართა მზე ვარ" სტრიქონებში („ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ, გულო, რისად მეხურები, სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ, ჩემს სხივებში ჟივჟივებენ ბეღურები...")

პოლითემატურობით აღბეჭდილი ქართული მითოლოგიის საზღვრულ სამყაროში, როგორც ვხედავთ, იკვეთება კიდევ ერთი სიუჟეტური ბირთვი თუ წახნაგი: ორმაგობა და ორბუნებოვნება „მშვენიერი მძლევარისა" და „მკვდართა მზისა", ორ სკნელში მოარულ ღვთაებათა ჰიპოსტასებისა, რომელთაც (და ეს შემდგომი კვლევის საგანია) ბევრი რამ აკავშირებთ ისეთ პოპულარულ ფოლკლორულ პერსონაჟებთან, როგორებიც არიან ამირანი, კოპალა, იახსარი, პირქუში, ხოგაის მინდი და ხახმატის ხატის — გიორგი ნაღვარმშვენიერის მკადრე გახუა მეგრელაური.

კოპალასა და იახსარის საგმირო საგა

გადმოცემა გვეუბნება: ერთხელ კოპალა ქაჯეთს წასულა საომრად. მის შესახვედრად ქაჯთა ხელმწიფე ბუქრა გამოსულა ზღვიდან. კოპალას ლახტი დაუღირებია. შეშინებული ბუქრა უკანვე გაქცეულა და მორევში გაუჩინარებულა. კოპალა თან ჩაჰყოლია. დაუტყეევებიათ და მორევის ნაპირზე ქაჯნი დარაჯებად ჩარიგებულან. ერთ წელიწადს ამაოდ ლოცულობდნენ ხორციელნი; ამაოდ, ვინაიდან მათი ზღვენ-სამსახური კოპალამდე არ მიდიოდა... გაუგია ეს ყოვლისმხედველ მორიგე ღმერთს და უკითხავს, ხთის ნასახი სად წავიდაო... მერე ნება მიუცია ღვთისშვილთათვის, რათა ეხსნათ კოპალა ტყეობიდან...წასულან უსხეულო არსებანი და ამოსულა, ამოშუქებულა კოპალა ქაჯთა მორევიდან...

არანაკლებ შარ-ხათაბალას გადაჰყრია იახსარი – კოპალას მოძმე და თანამებრძოლი. ლექსითი თუ პროზაული ტექსტები შემდეგს გვამცნობენ: ხთის კარზე სათათბიროდ შეკრებილ სამასსამოცდასამ ანგელოზთაგან საწონ-ჩარექის ანუ სიმძიმის აწევაში იახსარს ვერავინ გასტოლებია. ამ დროს ხაშრის ხეობაში: „დევებს ხქონია ქორწილი, უჩქვეფავ სიმურ წყალია..."

ქუდიელის მთიდან დაბლობში ჩასული იახსარისთვის თავზე სალუდე ქვაბ-ჩამოცმულ, ცხრა შვილის გამზრდელ დევთდედას „შაუდვია ზარი" და წინდახედული ღვთისშვილი უკან გაბრუნებულა. დევებს ნიშნისგებით უთქვამთ: „შაშინდა იახსარიო". ამ სიტყვების გაგონებაზე განრისხებულ ღვთისშვილს „საკვმიდან" ლახტი უსვრია და გალექებული მექორწილეებისთვის თავს ბანი დაუქცევია. კოჭლი დევი გაჰქცევია, ქმოსტ-როშკაზე აუვლია და დიდრონ კლდეს მოჰფარებია. იახსარს კლდე ოთხად დაუნაფოტებია. ერთი ნამტვრევი დევს მოხვედრია და „სახედავი" გამოსთხრია... გაქცეულა ცალთვალი და აბუდელაურის (ვარ.: წაწადის, ბაზალეთის, აბუზალეთის, მიდელაურის, აბუდალევის) ტბაში ჩახვეწილა. იახსარიც კვალზე გაჰყოლია და ფსკერზე მოუკლავს დევნილი დევი; მოუკლავს, მაგრამ უწმინდურის სისხლს ტბის ზედაპირი დაუფარავს და იახსარს მხრები გაბმია: უკან ამოსვლისას უსურმაგის სისხლი რომ მოსცხებოდა, ანგელოზური სიწმინდე შეელახებოდა და ამიტომაც ტბის ძირას მდებარე დევების

სოფელში ტყვედ დარჩენილა... დევთა ძალმომრეობისაგან თავდახსნილ ყმათ უგზო-უკვლოდ გადაკარგული იახსარი მოუსაკლისებიათ. ქადაგ-მისანის რჩევით იახსარის საყმოს ცხრა წლის ძებნის შემდეგ ხევსურეთის სოფელ ბლოში (ვარ.: წითელაურთა, ქალქვისთავი) აღმოუჩენია „ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი", ნალახტარ კლდესთან დაუკლავს, გაუნათლავს წყალი. ტბის ცალი პირი გახსნილა და დევთა ტყვეობიდან გამოხსნილი, მტრედის აღით აღმდგარი დიდი „ბატონი" მხრების ბერტყვით შემომჯდარა მასთან ერთად წყლის წიაღიდან ამოსულ ბროლის ქვაზე...

დევ-კერპებთან მედგრად მეომარი ღვთისშვილების მითიურ ამბებში კანთიელად კრთის მათი მთხზველი ხალხის ნიჭიერება, უსაზღვრო ფანტაზია და მხატვრული წარმოსახვის უნაპირო, არნახული უნარი...

კაცთა მოდგმის მწე და მეოხი ჯვარ-ხატების გაჩენამდე ივრისა და არაგვის ხეობები, მოკიდებული ჟინვალიდან ვიდრე მათურა-წუბროვანის მთებამდე, საზარელი სახისა და ტან-ტომაგის დევებს სჭერიათ. თავაშვებულ, „აოხებულ" ავსულებს ადამიანები უჩაგრიათ, უვიწროებიათ და უჟლეტიათ. გულმავნე, კოჭუკულმართ არსებებს, გარდა ქარს მიდევნებული ციური ცეცხლის ბურჯღუმისა, ურიოშო ჯვარ-ჯვარისკრისა, მწარე ლახტისა და სიავის მმუსრავი ელვარე მახვილისა, არაფრისა შინებიათ.

დათარეშობდნენ უსერო (მთხრობელთა წარმოსახვით: „დევნ უსერონ არიან, ქაჯნ სერფრიანნი") დევები და შიშის ზარს სცემდნენ კაცის განასახსა და ჭაჭანებას. თავიანთი ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად, როგორც წესი, ღამის წყვდიადს ირჩევდნენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სიავის მსურველნი და მსახურნი, საერთოდ, თავიანთი სტატუსის შესატყვის დრო-სივრცულ განზომილებაში მყოფობენ და მოქმედებენ...

ავისგორ აგებული შეუვალი ციხე-სიმაგრიდან არაგვის ჭალამდე გამხვეურას და მის მეზობელ დევებს მსხვილი თოკები ჰქონიათ გაბმული. „მგზავრი თოკს წამოედებოდა და დევთა სიმაგრეში ზარები დაირეკებოდა. ჩამოცვივდებოდნენ დევები, დაიჭერდნენ მგზავრს და გადაყლაპავდნენ". ბოლოს იმდენად გათამამებულან, რომ შავშუაღამის ხანს ჯვარ-ხატის დარბაზში შესულებს სადღეობოდ დამზადებუ-

ლი სვიანი ლუდით სავსე კოდები უსვამთ, უცლიათ, რის გამო გულმოსულ მორიგეს წყენით უთქვამს: „რა ამბავია, ჩემამდე საწირ-საკლავი რომ აღარ აღწევსო"...

უხსოვარი წარსულის მითოსური წარმოდგენების ბადიდან ჯერაც თავდაუღწეველ მთიელთა წარმოდგენით, დევები ისევ არსებობენ და ადამიანის თვალს მიფარებულნი ელიან იმ უდაბურ დროს, როცა ამქვეყნად ღვთის რწმენა, სიყვარული, ნირვა-ლოცვის მადლი, ზღვენ-მეხვეწურობა მოიშლება და დედამიწაზე კვლავ სიბნელე გამეფდება. და არავინ იცის, რას მოიმოქმედებენ თავის დროზე გამიწრივლებული, შურისგების ჟინით შეპყრობილი, ხთონური სამყაროდან ისევ სამზეოზე გამოჩენილი დევ-კერპები...

„მაღლა მთაში მდგომარე" და ოქროს ტახტის მფლობელი თერგვაულის თქმით, მორიგეს სულ სამიათასი „ხთის ნასახი" მოუვლენია ხმელეთზე და თვითეულისთვის თავ-თავისი საქმე და საზრუნავი განუწესებია.

ქრისტე ღმერთის მიერ არწივის მხარდასახული ერთი „ტანად აყრილი" ანგელოზისთვის კოპალა დაურქმევია, „სისვის კაბა" და რკინის ჩექმები ჩაუცმევია, სინის „ჭიგუნი", ნავთიანი ქოთანი, ცოდვიანთაზე საწინწლები ფესვიანი მათრახი და ასლიტრიანი „საგმირო" მიუცია და რკინის ტალავარში გამოწყობილი ხუთი მოწაფე გაუპიროვნებია.

ხთის კარზე გამოცდის შემდგომ ადამიანთა „მლეველ" დევებთან ბრძოლა ერთურთის მოძმე იახსარსა და კოპალას რგებიათ წილად. დევების „დალაგმვაში" ხან ერთს უსახელებია თავი, ხან – მეორეს.

„მკლავთით შამძლე" გმირი კოპალა, გარდა დევებისა, მუსრს ავლებდა, წვავდა და აცამტვერებდა ალქაჯებს, მაჯლაჯუნებსა და ეშმაკ-მაცილებს, რომელთაც დევთდედა, სახელად მელანია, მეთაურობდა და მართავდა. როცა მელანია ჯარასთან (ძაფის სართავი პრიმიტიული დანადგარი – ა.ა.) იჯდა და მკლავის სიმსხო მშვილდის ბაწარს ამზადებდა, გაღმა-გამოღმა ფერდობებს შეფენილი ტყე ხვიოდა და ხმაური ცას წვდებოდა; ჯარას ტრიალისგან ატეხილ ქარზე ხშირი წიფლნარი პურის ყანასავით წვებოდა და ილასტებოდა.

დევების ძირითადი სამყოფლოები, გადმოცემათა თანახ-

მად, ფშავ-ხევსურეთში, ივრის ხეობასა და გუდამაყარში ყოფილა. მიუთითებენ კონკრეტულ სოფლებსა თუ გეოგრაფიულ ადგილებსაც. ფშავში: გამხვეურთის გორი, ბელელთანა, ავისგორი, ფადლაურის ბოლო, კართანა, ახადი და ციხეგორი; ხევსურეთში: დანიფხო და როშკის გორი; ივრის ხეობაში: ბაჩალი, ხაშარი, ქუშხევი, კორსავი და იხინჭა; გუდამაყარში: წინამხარი და საკერპო.

პირველ რიგში სწორედ ეს ადგილები უნდა გაეთავისუფლებინა და გაეწმინდა ორ მადლმოსილ ბერს – კოპალასა და იახსარს. მორიგე ღმერთისგან ლახტნაბოძებნი და ძალ-ღონე მომატებულნი უშიშრად შესდგომიან თავიანთ საღვთო საქმეს.

ხორციელთ – „უტთა და უმეცართ" – გამრავალგზისებული ტანჯვა-წამებიდან ხსნის სასო ლახტით და „სამოცდასამი მხარი" მათრახით დევებთან მორკინალ გმირებზე ჰქონიათ დამყარებული. და ამ დროს დიდად მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუნდვია კოპალასთვის თანამოძმეთაგან მოკვეთილსა და ათვალწუნებულ დევს: „როცა ხეებს თავისი ჩრდილი გაუსწორდებათ, დევები მაშინ ისადილებენ, ბანგს დალევენ, დაიძინებენ და კარგი დროც იმათის დახოცვისა მაშინ არისო". „მხართეთრი" კოპალაც დარიგებისამებრ იქცევა და უჯიშო დევების უწმინდური სისხლით წითლად ღებავს მთა-ბარს („ხაშრულა იმდენ არ იყო, რაც იმათ სისხლი სდიოდა..").

როცა ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა და საორბედო ხასიათს იძენდა, კოპალას ნისლისფერ ცხენზე ამხედრებული შუბნური დაეშველებოდა და დევებს დააწიოკებდა ხოლმე. მას სხვა დამხმარე ძალნიც ედგნენ მხარში. ესენია: ლაშქარნი და გველისფერნი... ხოლო სადიდოეთოდ მიმავალს თან ახლდა „მინანი საფარველიანი".

კართანაში, – მაღაროსკარის ზემოთ, ფშავის არაგვისა და მდინარე კოპალურას შესართავთან, მუხა-იფნიანი ფერდობითა და მთის დამრეცი კალთებით ბუნებრივად შემოზღუდულ შემაღლებაზე უხსოვარ დროს დაარსებული კოპალას სახელობის სალოცავია, სადაც ყოველწლიურად მიდიან და საუფლო რიტუალს ატარებენ ფშავლები. სამლოცველო კომპლექსის მთავარი საკულტო ობიექტია კოპალას ქვა, რომლის შესახებ არაერთგვაროვანი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ზეპირი მოთხრობები შემოუნახავს ადგილობრივთა

მეხსიერებას. ხოლო ძირითადი სიუჟეტური ქარგა ასეთი გახლავთ: ჯერ კიდევ მაშინ, როცა კოპალა ხორციელი იყო და კაცსახოვნად დაიარებოდა, ციხეგორიდან (მდებარეობს ფშავისა და ხევსურეთის საზღვარზე, აკუშოს მაღლა. – ა.ა.) მისი ტრაპეზის ქვა (ზოგი ვარიანტით: კოპალას ქვის სკამი ანუ საბრძანებელი, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო ჟამისწირვა, მოიპარა კართანელმა დევმა მუზამ, საბელზე დადო, შეკრა, ბეჭებზე მოიგდო და თავქვე დაეშვა. ეს კოპალამ შეიტყო და წყალდაწყალ დაედევნა. მალევე დაეწია, ლახტი ესროლა, დაჰკრა („მაგის დაკრული მწარეა") და მოკლა. ხომის მცხოვრებლებმა ის ქვა ხარ-მარხილის დახმარებით გზისთავ აიტანეს და უძილაურთის ხატის სახელზე იმ ადგილას დადეს, სადაც მისი ნახვა ახლაც შეიძლება. მას ნასაბლარი და დევის „ნახელარი" დღესაც ცხადად ატყვია. ბიჭურ ბადრიშვილის თქმით, ლახტნაკრავი ქვა ისეა დამწვარი, რომ ხავსსაც კი არ იკიდებს (დროთა განმავლობაში ქვის ტანს სისვად მოხასხასე ხავსი აჰკვრია, თუმცა მისი შუაწელის დიდი ნაწილი კვლავაც იდუმალ ფერებს ივლებს და მდინარის ნალოკივით ტიტველად გამოიყურება)...

კოპალას საბრძანისის მოპირდაპირე ტყიან მთას ჩასდევს ხევწვრილი, რომელსაც „ავთანდილის საქანს" ეძახიან და აი, რატომ: მეორე კართანელი დევი, სახელად ავთანდილი, იმ დროს, როცა კოპალამ ქვის ქურდი მუზა განგმირა, ნადირობიდან ბრუნდებოდა. ერთ მხარზე მოკლული ირემი შემოეგდო, ხოლო მეორეზე ძირფესვიანად მოგლეჯილი ვეებერთელა წიფელი. ვინაიდან კოპალას „ხთის ბრძანება" ჰქონდა დევთა არდანდობისა და ერთიანად ამოწყვეტისა, სტყორცნა ისარი და ავთანდილი მიწას დაანარცხა. უსულო დევი მთის გვერდალ ფერდზე დაქანდა, თან წამოიღო მიწა-მყარი, არაგვს ეცა და ქვად იქცა. წვრილ ხევს, რომელიც ავსულის სიმძიმემ გააჩინა, „ავთანდილის საქანი" დაერქვა...

ღვთისშვილთა უპირატესობის აშკარა ნიშანი და უეჭველი დასტურია მაქციობის სასწაულებრივი უნარი: მწყემსადქცეული კოპალა ჯერ ვეშაგურთის გორზე სახლის მშენებელ მიქას ესტუმრება, ხოლო შემდეგ წყლის პირზე (ვარ.: ჩილოს გორ) მიმავალ ქორბუდა ირმად გარდაისახება. და რაკი თუშები „ფოცხ-მაკრატელა ფთიანი" ისრით მის მონადირებას მოინდომებენ, სიმურში „გადაიჩქვიფება" და ამ გზით გადაურჩება საფრთხეს...

იახსარსა და კოპალას, – ტანჯული ხალხის უმჯობესი მომავლისთვის მაშვრალ სახელოვან ღვთაებებს, – მუდამ თან ახლავთ არაამქვეყნიური ნათელი. მათი გამოცხადება ანუ გარეგანი მანიფესტაცია, ზოგადად, შუქის ანდა სინათლის სხივთა სვეტის სახით ხდება: „მაშინ კოპალა ამოშუქდა, ქაჯთა მორევში ნატყვევარი"; „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯვას, იახსარ სვეტად ჩამოსული"; „იმ დროს კოპალა ჩამოსვეტდა საარსოს სადგომს ბაადურისას..." და რა გასაკვირია, რომ ესოდენ მადლიან, სხივმოსილ ღვთისშვილებთან (კოპალას ლევიტაციის ზებუნებრივი უნარიც შესწევს: ოქროქსოვილს გააფენს ხოლმე ჰარში და იმაზე დგება!) გამუდმებული ქიშპი და მტრობა ჰქონოდათ უწმინდურ დევ-კერპებს, საერთოდ, ყველა ჯიშისა თუ ჯურის კოჭუკუღმართ არსებებს...

მანამდე, სანამ წმინდა ბერების ლახტის სიმწარეს იწვნევდნენ, დევები „გამაცხადებით" ყოფილან, ე.ი. ცხადლივ ეჩვენებოდნენ ადამიანს, ხოლო მას შემდეგ, რაც მათი გამიწრივლება ანუ ქვესკნელში დანთქმა დამთავრდა, საფარველი დაიდეს და ისინი მიწის ზედაპირზე აღარავის უნახავს...

დევთა უმთავრეს ხელობად მჭედლობას ასახელებენ. მათ სამჭედლოებში დღენიადაგ იწრთობოდა და იჭედებოდა ხარისხიანი რკინა – მზადდებოდა სახნის-საკვეთი და სხვა სამეურნეო იარაღი... ქუდოსანს ახლოს არ იკარებდნენ, ხოლო ქალებს სიამოვნებით უღებდნენ სამჭედლოს კარს და მათ შეკვეთას დროულად ასრულებდნენ. სანაცვლოდ თავს აწონებდნენ, აყვარებდნენ, აცთუნებდნენ და იმდენად ნუსხავდნენ, ხიბლავდნენ თუ აჯადოებდნენ, რომ სურვილისაგან გახელებული მდედრნი თვითონ იჩქაროდნენ მათკენ, ანდა ვნებამოძალებულნი მოუთმენლად მოელოდნენ დათქმულ დროსა და ადგილას დევების გამოჩენას.

თავმოყვარე ვაჟკაცების სახელისა და ღირსების ფეხქვეშ გაგება „ხთის ნაბადებთაც" იწყინეს და, ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მოკვდავთა მოსარჩლე კოპალამ და იახსარმა უმოწყალოდ ჟლიტეს უსახური არსებანი...

„მორიგე" ღმერთისგან „შამალოცვილი" ლახტის ანუ იგივე „საგმიროს" შემოქნევაზე მთელი ცა თურმე რვალივით ჩქამობდა. მოძმე ღვთისშვილების გამოჩენაზე შიშით ძრწოდნენ,

ილეოდნენ და „ფერ-ფურს“ კარგავდნენ გამხვივნებული დევები: ბერა და ბაჭიჭაური, ცხრა ვაჟის მამა გამხვეურა და ლამაზი მდედრი ბეღელა, აბრამი და შავი მთვარის სადარი სუმბატა, შანშე და ცხრათვალა ბუქრა, ჯაბაგანი და ვერხველა, ბარდა, ჭიბიღოელი, ფაცხვერი, ხმალა, ჭკუანაკლული ცარქია და დევთა მეფე მუზა, კართანელი ავთანდილი და დევთდედაბერი მელანია

გადმოცემები გვაუწყებენ, რომ ზეხორციელი ძალღონისა და სიმძიმის დევები მყარ, ყამირ მიწას ისე კვალავდნენ, როგორც „ფუფქ თოვლს“, ხოლო ერთ-ერთი სახლის ბანი, სადაც ისინი ღამის უჩინ-უკუნში აიპარებოდნენ ხოლმე, ჭახჭახს იწყებდა და იკეცებოდა...

შავ-ბნელი ძალების განმასახიერებელ ავსულთა საამსოფლო მისია მათივე დაძაბუნების, დამხობისა და დასამარების დასაბამად იქნა გააზრებული მითოპოეტურად მოფიქრალ ანონიმ შემოქმედთა მიერ. ზღაპრის ფინალისთვის ესოდენ ნიშანდობლივი მოტივი ბოროტების ძლევისა და სიკეთის ზეობის განამდვილებისა დევ-კერპთა და ლოკალურ ღვთაებათა დაპირისპირების ამსახველ ფოლკლორულ სიუჟეტებშიც ძალუმად ხმიანობს...

და რაკიღა ცისქვეშეთს ჯერ კიდევ შერჩენია ღვთისმიერობის დამღა და „სერ-ფერი“, სრული დაცემისა და დაბეჩავებისგან გადარჩენის მაუწყებლად შეგვიძლია ვიგულვოთ „მიამიტი“ ხალხის იმედიანი განწყობილების მომცველი ლექსის მშვენიერი სტრიქონები: „წმინდა კოპალას კარზედა დიდი იფნები დგანანო, ზედ ანგელოზნი დამსხდარან, ბნელ ღამეშიაც ჩანანო, მათი შემყურე დევები სულ ზეზე ჩამომხმარანო...“

არაგვის ერისთავებისაგან წაქეზებულმა, გააზნაურებულმა შიოლა ღუდუშაურმა ხევის მოსახლეობის დამონება განიზრახა. გაელენიანი გვარის გაბუდაყებული მეთაური დაუნდობლად ბეგრავდა და საარსებო სახსარს უსპობდა ისედაც ხელმოკლედ მცხოვრებ თანამიწაწყლელთ. წელიწადში ყოველ კომლს ლიტრა ერბო უნდა ეძლია თავნება ბატონისთვის, სასნორის პინას ფეხს დაადგამდა, – ჩემი ფეხი ლიტრას იწონის, არც მეტი, არც ნაკლები, ამდენი უნდა მომცეთო...

რა ექნათ შეწუხებულსა და უღვთოდ შევიწროებულ მოხევეებს, ცა ერბოს ხომ არ წვიმდა, მადაგამგელებული მბრძანებლის მოთხოვნა რომ დაეკმაყოფილებინათ ყოველწლიურად!..

დაკლული ხარის მარცხენა მხარზე უარს ამბობდა, სხვა გზა არ იყო, მარჯვენა მხარი უნდა მიერთმია ხარის პატრონს. ეგ კიდევ არაფერი: პირველი ღამის უფლებითაც სარგებლობდა და, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ლახავდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ფერხთით ხოხიალს უჩვევი მთიელი ვაჟკაცების თავმოყვარეობას!..

არც ქალს ინდობდა, არც კაცს და „არც ბალღსა ერთის თვისასა“; პირიდან ცეცხლს ჰყრიდა და თავისი მრისხანებით ბასრ ქვას ადნობდა. როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამინა ქალამნად. მართალია, ერთხელ ბლოელ ბერდიამ გაწითლებული გაწირა „ხევის ნყალზე“, მაგრამ ჭკუასთან მაინც მწყრალად იყო სიცოცხლის ბოლომდე.

უტეხ მთასთან ბრძოლებში მარცხნაგემები, მწარედ გაწბილებული, პირში ჩალაგამოვლებული და ამის გამო გაავებულ-გაბოროტებული არაგვის ერისთავები თემის მოთავეთა მოღორება-გადაბირებით ცდილობდნენ თავიანი უკეთური ზრახვების განხორციელებას, მაგრამ ვერც ამ ხერხითა თუ ხრიკით შეძლეს ლომისის, წმ. სამების, ლაშარისა და გუდანის ერთგულ ყმათა დაბეჩავება და დამორჩილება...

ღელავდა თემი.

უხუცესებმა პირი შეკრეს და შიოლას დასჯა გადაწყვიტეს, მაგრამ ამის გაკეთება მათ ვერ მოახერხეს, რადგან ღუდუშაურს სნოში თავ-ბოლო გამაგრებული ციხე ედგა და, გარდა ამისა, საგვარეულოც ემხრობოდა, რომელსაც თავისი „რჩეული“ წევრი გააზნაურებას პირდებოდა.

* * *

ადგილობრივნი სნოს ციხეს დღესაც „ღუდუშაურების ციხეს“ უწოდებენ. სნოს ხეობაზე ამდინარ-ჩამომდინარი არაერთი გულმაგარი ვაჟკაცი ახსოვს ამ ციხეს. მტერსაც უთამაშებია მის მისადგომებთან ფეხბეჭედა ცხენი და მოყვარესაც. ნაიარევ ტანზე აწერია სნოს წყალზე მომხდარი ყველა ამბავი: სასახელოც და სათქმელად სათაკილოც...

თუ ერთხანობას თემისაგან განაპირებულ გულნავერღვენა ღუდუშაურს იფარავდა თანამოძმეთა რისხვისაგან, სხვა დროს მოსაწონი და ერთობ კეთილშობილური მისიაც შეუსრულებია: ხევს ურჯულო ლეკის ჯარი დასცემია. სნოს ხეობის მოსახლეობა ამ ციხეში გამაგრებულა. სიმაგრეში თავშეფარებულ მეომრებს წამალი შემოლევიათ. მიმწყდარა თოფის ხმა. უთქვამთ მოხევეებს: ვინც სნოს ციხეს წამალს მიაშველებს, „იმასო ქალი უთხოვარი და სუფრა უწევარიო“. ყოფილა ერთი ვაჟკაცი – ამოან ავსაჯანიშვილი. შვლის გუდა წამლით აუვსია, ზურგზე აუკიდებია და ელიას მთა გადაუვლია... ლეკურ ნაბდიანს ლეკის ჯარზე უშიშრად გაუვლია და განსაცდელში მყოფთათვის წამალი მიუწოდებია. სნოს ციხის კარებთან ამაოდ მებრძოლი „გულხადარა“ ლეკები უკან გაბრუნებულან...

მას მერე დაუწესებიათ ხატში ამოანის სულის შესანდობარი.

* * *

...და დადგა დღე საიმედო ციხის უღირსი მფლობელის, შიოლა ღუდუშაურის, აღსასრულისა!

ხოლო მანამდე (ზუსტად არავინ იცის, ხევსურეთის რომელ სოფელში) დაბადებულა და დავაჟკაცებულა ვინმე მთრეხელი – ცხენის ზურგიდან შიოლას მომავალი „გადმომღებელი“.

* * *

ხალხური ლექსის ვარიანტები მეტ-ნაკლებად სხვადასხვაობენ მთრეხელისა და შიოლას შეხვედრის, დიალოგისა თუ ორთაბრძოლის ცალკეული ნიუანსების გადმოცემაში...

რაც შეეხება მთრეხელის ვინაობა-წარმომავლობას, ეს საკითხი ჯერაც ბურუსითაა მოცული...

„მთრეხელ ვითამ არხოტიონ იყვ, გვარად გაბური, კარგად არავინ იცის. ჭიმღას უცხოვრავ. სამთრეხლოზე ჰქონივ გზა. მაშინ არც ჯუთაზე დადიოდეს... მთა-მთა მავალ მთრეხის წყალზე გამასულ", – გვიყვებოდა 1978 წელს ს. არხილოსკალოში ივანე წიკლაური (კიბალაური).

„მთრეხელ ყოფილ არხოტიონი. ეგ რომ მაუკლავ, ჴევით ე სამთრეხლოსას გადაუღავ არხოტში. იმაად ჰქვიან „სამთრეხლო". შიოლას დას ჴარ შამაუყოლებავ სამთრეხლომდე, ე მკვდარ შინამდე მიიღათავ", – ეს კიდევ თავისი ნათქვამის სისწორეში ნაკლებად დაეჭვებული როშკიონი კაცის სიტყვებია.

სხვაგვარი ვითარებაა წარმოდგენილი მინდია (ტყრუშულა) არაბულის ნაამბობში: „მთრეხელზე თქვიან – მთასიქითელიავ, მიღმაჴეველივ, აქ თავშამაბარებულივ და უღრან ტყეში დასახლებულივ. წინავ ქვეთას მიედანზე (ადგილი ჯუთაში – ა.ა.) დიმიაურს უცხოვრავ, თათარს. მთრეხელს დიმიაურ არ უშვავ ჭალაზე. დიმიაურის გზებ გლუმთაში ყოფილ. იმ გზებით ჩადიოდის შარვანა და საყონდიაის ჭალაში. მზისპირ მთრეხელს სჭერივ, ჩრდილ-დიმიაურს. მტრობდეს ერცხვას... ქოჩადალაშიით უსრევავ მთრეხელს ისარი და მაუკლავ დიმიაური ქვეთას მიედანზე... „დიმიაურის ნასახლარებს" ეძახდეს მოხუცებ ამანდაურობას... მთრეხელ ჯუთით გველს აუყრავ. აი, როგორ მამჴდარ ეგ: მთრეხელს ახალზალ ვისადამ მაუყვანავ. იმის სახლში გველ ყოფილ შამაჩვეული... შავიდ ახალზალ სახლში და ხედავს: უსუსურ ბალღი და გველი ერთ ჯამშიით ჭამენ ჩაჩიქულს (რძეში ჩაყრილი პური – ა.ა.). აუღავ ასტამი და გველისად ბოლო მაუწყვეტავ... გაჯავრებულ გველს იმის ბალღ დაუგესლავა და მაუკლავ. უთქომ გველს მთრეხელისად: – შენ შვილ გაკლავავ, მე – ბოლოივ. ან შენ აიყარევ აქითავ, ან მე ავიყრებივ. მთრეხელ აყრილა-დ სად წავიდ იქით, არავინ იცის".

„მთრეხელი – ადგილის მიხედვით შერქმეული სახელი ჩანს და უნდა ნიშნავდეს მთრეხის (მთა რეხის?) მცხოვრებს, ამ ადგილზე მდგომარეს. გმირის არც ნამდვილი სახელია ჩვენთვის ცნობილი და არც გვარი („მთრეხელ რა გვარ იყვ, არვინ იცის"). ძნელი სათქმელია, რატომ მოხდა ასე, რამ გამოიწვია მისი სახელისა თუ გვარ-ჩამომავლობის გაბუნდოვანება და გაიდუმალება. საფიქრებელია, რომ გვარ-სახელ დაკარგულ

გმირს მისი ახალი სამკვიდრებლის სახელწოდებიდან გამომდინარე უწოდეს „მთრეხელი". ეს ადგილი კი სოფელ ჯუთის ტერიტორიაზე მდებარეობს. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მზვარეში, შავ ქარაფის ჩასნვრივ, ციცაბო ფერდობზე, ანუ იგივე „მთრეხის ჴევ", აქამდეა შემორჩენილი ნაგებობათა ნაშთები, სიპი ქვით მშრალად ნაგებ ყორეთა ნარჩენები. დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რომ სწორედ ეს უნდა იყოს მთრეხელისა და მის ახლობელთა (გავიხსენოთ: „მთრეხელს ახალზალ ვისადამ მაუყვანავ...") ნასახლარები, არ შეიძლება, მაგრამ ამ ვარაუდის არც ხელაღებით უარყოფას ექნებოდა გამართლება...

მთრეხელის კაი ყმობა-გმირობის ზუსტი ქრონოლოგიის დადგენა დღეს აღარ ხერხდება. სავარაუდოდ, მთრეხელი XVII ს. პირველი ნახევრის გმირი უნდა იყოს. შემდგომ ამისა, ვიდრე XVIII ს. მეორე ნახევრამდე, ჯუთის ტერიტორია დაუსახლებელი ჩანს...

ერეკლე მეფის ბრძანებით, რომელიც დათარიღებულია 1774 წლით, ჯუთაში დამდგარა გაბუურ ალუდაური. ერთგულ ყმას წყალობა უთხოვია სახელოვანი მეფისათვის: უდანაშაულოს ერთი ამღიონელი გადამეკიდა, სასიკვდილოდ მდევს, ხევსურისა არც რჯული დაიჯერა და არც სამართალი, სამ წელიწადს არც მახვნევინა და არც დამათესინა, თქვენი მამული ჯუთა „ერთი ვერანა ადგილიაო", ის ადგილი მიბოძეთ, რათა იქ დავსახლდეო... გაბუური იქვე შეახსენებს მეფეს: „იმ დღეს რომ ვეფხვი მოგართვი, მე ის ვარ..." ჭიმღიონი ხევსურის ამ თხოვნაზე, როგორც ითქვა, თანხმობა განუცხადებია ერეკლეს და ქაიხოსრო არაგვის მოურავისთვის დაუვალებია საქმის მოგვარება.

იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც მთრეხელის „ნამყოფლავზე" მიუთითებენ, ერთ-ერთი ნაყანობი ანუ „მამული" „გაბურთ ნამპალად" („ნამპალი" – ნესტიანი ადგილი – ა.ა.) არის სახელდებული. ასე, რომ ჯუთაში გაბურების ყოფნის კვალი, გარდა ისტორიული ცნობისა, ტოპონიმსაც შემოუნახავს.

არც ზეპირი და არც წერილობითი წყაროებიდან არ ჩანს, ჰქონდა თუ არა რამენაირი კავშირი ჭიმღიდან ჯუთაში საცხოვრებლად გადასულ გაბურებთან მთრეხელს. ისე კი, არაა გამორიცხული, ეს უკანასკნელი გაბურების შორეული წინაპა-

რი ყოფილიყო, ვინაიდან მას, ჩვენი ერთი ინფორმატორი, როგორც ვნახეთ, გაბურად იხსენიებს...

მინდია არაბულისგან 1976 წლის ზაფხულში ჩვენ მიერ ჩაწერილი, ზემოთ მოხმობილი ზეპირსიტყვიერი მასალა უაღრესად საგულისხმოა გველის ოდინდელ მითოსურ ფუნქციაზე მინიშნების მხრივაც. ვიტყვი მოკლედ: უძველესი მითოლოგიური გადმოცემებით, იმ ალაგას, უფრო კონკრეტულად, საცხოვრებელი დარბაზის შუაგულში, „ყვერფში" ანუ კერაზე, სადაც შემდგომ კულტის, იგივე ხატის („ხატი" – მითიური ხილვა უხილავ არსის – მთაში ჯერ კიდევ ცოცხალია". გრ. რობაქიძე) დაარსება ხდება, ამოიზრდება იფნის ხე, რომელსაც თან გველი ამოჰყვება ხოლმე. ეს მოვლენა აიძულებს სახლის პატრონს, მიატოვოს საცხოვრისი და სხვაგან ეძებოს თავშესაფარი... მთრეხის მიდამოებში მართლაც არის ნახატარი, დგნალისა და ცირცლის მომცრო კორომით, სადაც ხის ერთი პატარა ტოტის მოჭრაც კი არ შეიძლება... მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ზოგიერთი ხატ-სალოცავი გველის სახით ეჩვენებოდათ „მეჭეშმარიტე" კულტის მსახურებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ოჯახში, სადაც მცირენლოვანი ბავშვი იზრდებოდა, სწორედ ღვთისშვილი ეცხადებოდათ გველის აღით, ღვთისშვილი, რომელმაც, წმინდა მიწიერი მიზეზის მიკერებით აიძულა მთრეხელი, დაუხანებლად გასცლოდა იქაურობას...

ასეთი გახლავთ ნისლოვანი კონტურები მთრეხელის ვინაობა-სადაურობისა. ხოლო ის კი სავსებით მკაფიოდაა აღნიშნული ბრწყინვალე ბალადის თითქმის ყველა ვარიანტში, რომ მთრეხელი „ადგილს დგას ნაპირისასა" და, როგორც მენაპირეს, იმ ადგილის საიმედო სარანგს, უსათუოდ ესაჭიროება მშვილდი, რომელსაც, რაც უნდა მოხდეს, ცოცხალი თავით არ დაუთმობს თავზე ხელაღებულ შიოლა ღუდუშაურს.

* * *

მთრეხელის უებრო მოისრობაზე ნათლად მეტყველებს მის მიერ ქოჩადალიდან ქვეთა მიედანზე უცხოტომელი დიმიაურის განგმირვა. მანძილი ჯუთის ამ ორ ადგილს შორის, სულ ცოტა, ერთი კილომეტრი მაინც იქნება და მშვილდ-ისრით ამ სიშორეზე კაცის მოკვლას მხოლოდ სწორების მჯობნი, მშვილდოსნობაში მრავალგზის ნაცადი ვაჟკაცი თუ შეძლებდა.

და, აბა, ასეთი მეომრული მონაცემებით დაჯილდოებული მთრეხელისთვის რა დიდი სიძნელე უნდა ყოფილიყო აზნაურობაში ფეხშედგმული ერთი პატივმოყვარე ადამიანის მიწაზე „დატყერება"...

გადმოცემის ერთ-ერთი ვარიანტით, შიოლა ღუდუშაური სანადიროდ მიმდინარა და გზად ამ დროს შეხვედრია მთრეხელი, ხოლო მეორე, შედარებით ვრცელი და ამბის ასახვის ლოგიკური თანამიმდევრობით აღბეჭდილი ვარიანტი გვამცნობს, რომ ბეგარის გადახდაზე უარის მთქმელი ურჩი ჯალაბაურის დასარბევად გუდამაყრისკენ გეზაღებულს შეჰყრია „სასწორო გზაზე" მთრეხელი, რომელიც ათენგენობის დამდეგს სოფელ სიონში გათხოვილ დასთან მიდიოდა სტუმრად...

ჯალაბაურზე გაჯავრებული შიოლას რისხვის ნაპერწკალი მთრეხელს მოხვედრია.

რა იცოდა ხათაბალის მაძებარმა ღუდუშაურმა, რომ თავისზე უკეთეს ყმასთან მოუწევდა შებმა... ანდა რას ერჩოდა სადღეობოდ დის ოჯახში მიმავალ მშვიდობიან მგზავრს?.. წერაატანილივით იქცევა შიოლა და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, შეენარცხება კიდეც თავის უადგილო შარსა და ახირებას...

ბალადის ერთ ვარიანტში, რომლის განვრცობა და გადაკეთება ბესარიონ გაბურს მიეწერება, ჩართულია შიოლას ცოლის სიზმარი. ხოლო მანამდე, სიზმარ-ხილვის გამხელამდე, „შარშანდელი ვალის" მქონე ჯალაბაურისკენ იმუქრება და ბობოქრობს შიოლა: „ათენგენობან მადიან, ჴორცის არა გვაქ მტვერია, გარმაგილალავ ყვაჩებსა, ამბავ ხო იცი ჩემია; არ მამცემს, ძალით წავართომ, უნდა ვადინა წვენია". თანაც უბარებს დიაცს, ჩემი მოსვლისთვის ჭრელი სუფრა გაშალე, „მაგიოლ აიმ ხნისადა, გამადიოდან მზენია..." მერე კვლავ უკან გაბრუნდება და მთრეხელის ლურჯა ცხენის საკუთარ კარზე დაბმა აქვს გუმანში გულხარბ აზნაურს... ცოლი უსმენს, უსმენს და როცა დაატყობს, მისი ქმარი აუგი განზრახვის დამშლელი არაა, შეცბუნებული „შაუგმობს": გიჯობს, შინ დაჯდე, ქვეყნად მჯობნის მჯობი არ დაილევა, ვინმე შენზე მეტი შეგხვდება და მწარედ განანებს, ამაღამ „საოცარჩი" მყრალი სიზმარი ვნახე – „ჩემს კარზე ვინამ მეეღა, გულნაისრალი, მკვდარია, სიმირგვლივ შამახვევიყვა მთელი სნოვლების ჯარია, ედგა სიცილი, ხარხარი,

ჩვენკე ეჭირა თვალია, ერთმ მითხრა, გვერდზე ნადგომმა: შიოლა, შენი ქმარია..." შიოლა სიზმარს გაუარაფრებს, გაბრაზებული დატუქსავს „ჭკვაზე მცდარად მყოფ" დიაცს, ადგება და გუდამაყრის მიმართულებით გააფრენს მუხლში ქარჩამდგარ ცხენს... სნოვლები გზას „დაულოცავენ" მორიგ ბეგარაზე მიმავალ ბატონს: „...წასვლა, არ მასვლა შინაო, სიკვდილიმც შამაგეყრების, ღუდუშაურო წინაო".

ხალხური თხრობისთვის ნიშნეული შინაგანი კანონზომიერებით იწყება და ვითარდება მოვლენები ბალადაში.

სნოს წყალზე ჩამოწოლილი საწვიმარი ღრუბლის ნაგრილსაც წინდანინ ლანდავს გონების თვალი და ღუდუშაურის ციხის თავზე შემომჯდარ შავ ყორანსაც; ხმაში ფოლადგარეული მთრეხელის გულის ძგერაც გვესმის და იმავე ციხის ლიბუში შემძვრალი გველის საშავდღეო სისინიც...

სიტუაცია თანდათან მწვავდება, მძაფრდება და იძაბება. აქარიშხლების მომლოდინე ნიავი სახეს უგრილებს მტვრიანი ბილიკის გასნვრივ ამღერებულ თვალმახარა ყვავილებს. გახელებული ლურჯაის ნალი მისი პატრონისთვის შავეთისკენ მხმობელი მწკეპრი ზარივით რეკავს გარინდებულ ხეობაში...

აუცილებლად უნდა ახდეს სიზმარი შიოლას ცოლისა. სიზმარი ხომ საბედისწეროა და მოსალოდნელი ამბის წინასწარმტყობიების ფუნქციას ასრულებს ხალხურ სიტყვიერებაში...

ართხმოს წყალზე ხვდებიან ერთმანეთს მთრეხელი და შიოლა ღუდუშაური.

„– ჯელ მაგიმართას, მთრეხელო, შამხვდი სასწოროს გზაზედა!" – დაასწრებს სალამს აჩხოტის ბატონი.

„– შენც გაგიმარჯოს, შიოლავ, გათქმულო ქვეყანაზედა!" – არ უგვიანებს პასუხს მთრეხელი.

პირველი საშუღლარად ემზადება, საავდრო ცასავით იმრიზება, „ეშმაკი თხრის გულსა მისსა", ხოლო მეორეს გუმანში ჯერჯერობით ცუდი არაფერი უდევს. უფრო მეტიც: იგი ერთგვარ პატივისცემას გამოხატავს ღუდუშაურის მიმართ, როცა სხვისი ღირსების დამნახავი ადამიანისთვის ჩვეული პირდაპირობით აღნიშნავს მის საქვეყნო სახელგანთქმულობას. გმირთა დიალოგის დასაწყისშივე ვლინდება და იკვეთება მათი განსხვავებული ბუნება-ხასიათის ძირეული შტრიხები...

„– ეგ ცხენი მამე, მთრეხელო, ლურჯაი, გულჩი მჯრიანი!

უკვე აშკარა და შეუფარავი შარია, თავდაჯერებული ღუდუშაურის პირით გამჟღავნებული.

„– მოდი, დაუთმა, – თქვა მთრეხელმ, – კაცია ბოროტიანი..."

იცის წინდახედულმა ვაჟკაცმა შიოლას მგლური მადისა და ვნებების ამბავი. ამიტომაც ერიდება მტრობა-უნდობლობის ნოტზე მომართული კონფლიქტური ურთიერთობის კიდევ უფრო გართულებას. შიში და ძრწოლა უცხოა მისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, არც უცაბედი გაცეცხლება სჩვევია. ცხენის დათმობა კიდევ შეიძლება, მაგრამ მშვილდ-ისრის, ამ უძვირფასესი იარაღის, მოძალადისთვის მიცემა მართლა აღარ შეჰფერის კაი ყმას... და როცა შიოლა „მხართ ნადები" რქის მშვილდისა და ორბისფრთიანი ისრების წართმევასაც დაუპირებს, თანაც ხელით წაეტანება, მთრეხელს ამის მოთმენა და უპასუხოდ დატოვება უკვე აღარ შეუძლია... მისი ბაგიდან ღირსებაშელახული და მოთმინებადაკარგული კაცის რისხვა იღვრება: „მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა, ადგილს ორ ნაპირისასა, შენც მაიმარჯვე ისარი, თორე გაგვარდა მჯრისასა". შიოლა არ მოელოდა მთრეხელის მხრიდან ასეთ ჯიქურ გამოწვევას და სანამ გონს მოეგებოდა და იარაღს მოიმარჯვებდა, გულს ნაკრავი კილოწითელი ისარი „სხვაკე გაღვარდა". მთრეხელი ნიშნისმოგებით მიმართავს ძირს „დაფშვნეტილ" ღუდუშაურს: „აქამდე სჭამე აჩხვატი, ეხლა მე გაჭმევ მიწასა!.."

ბალადის ეს ეპიზოდი – გმირთა დიალოგი და ორთაბრძოლის (რაც, ფაქტობრივ, არც კი გამართულა) სცენა საოცარ მსგავსება-სიახლოვეს ავლენს ქართული ხალხური ბალადის მეორე შესანიშნავ ნიმუშთან „შემომეყარა ყივჩაღი".

თავისი ახირებული ხასიათით, თავხედობამდე მისული გამომწვევი ქცევით და უსამართლობით „ერისთავის სკამზე ნაჯდომი" შიოლა უსახელო ყივჩაღს გვაგონებს, ხოლო მთრეხელი – თავდაპირველად გულღია, დინჯ და დაოკებულ, ხოლო მერე პირგამეხებულ ვაჟკაცს, რომელსაც მოთმინების ფიალა აუვსო მომხვდურის უტიფრობამ და სიცოცხლე მოუსწრაფა პირადი ღირსებისა და თავმოყვარეობის შემგინებელს.

არც ყივჩაღი იყო ღირსი „ნათელი მზის ცქერისა" და არც შიოლა ღუდუშაური; ერთიც მოშორდა სააქაოს და მეორეც; ერთმაც მინა ჭამა და მეორემაც...

გადმოცემის პროზაული ვარიანტის მიხედვით, მთრეხელი გზას გააგრძელებს და სნოს რომ გაუპირდაპირდება, დაიძახებს: „აბა, სნოვლებო, შიოლა მოგიკალითო!“

სნოვლებს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, დიდად გაახარებდა, მაგრამ მათი რეაქცია მთრეხელის ამ დაძახილზე გადმოცემაში არ ჩანს.

გვარის გავლენიანი კაცის თავს როგორ შეარჩენდნენ ღუდუშაურები მთრეხელს! და შეიტყობენ თუ არა, გააფთრებულები ჩაუდგებიან კვალში მკვლელს.

აი, როგორ წარმოგვიდგენს ერთი ფერხისული ლექს-სიმღერა დევნილ-მდევნელთ: „...თაოდ წყალდი-წყალ ნავიდა, მჭართ შლიდა შავარდნისათა. წყალს გაღმი სახლთა მიუდგა ქერბეღელაის ძისათა... მისდევენ ღუდუშაურნი, დაელნებას ღგვან ცისასა, ჯაჭვსა ღგავ ალიხანისძე, ასხმულსა ქვეცრივლისასა...“

მთრეხელმა „დედუფლის ნაგებ“ ახალციხის ყოვლადწმიდის ეკლესიას მიმართა, რათა განწირულს მის კედლებში ეპოვნა საიმედო თავშესაფარი, მაგრამ, სავალალოდ, ეკლესიის კარი დაკეტილი დაუხვდა; კარის საკეტს ისარი დაჰკრა და... მშვილდი გაუტყდა. დაიშრიტა გადარჩენის იმედი. სულ ახლოს ისმოდა სასტიკი ქარიშხლის დაუნდობელი სუნთქვა... შურისგების ჟინით ატანილი ღუდუშაურების შეჩერება უკვე აღარაფერს ძალუძდა. და, შემთხვევით თუ შეგნებულად, ამის თქმა ძნელია, მთრეხელი წამის უმალ შიოლას დის სახლის ბანზე გაჩნდა. „– დაო, არ შემიფარებდი, მომკლავსა შენი ძმისასა!“ – გარდუვალი სიკვდილისგან თავდახსნის საბოლოო იმედი, რაოდენ უცნაური და პარადოქსულიც უნდა იყოს, თავისი ხელით დღედაბინდული კაცის დაზე დაამყარა.

ქერეეთ რძლის საარაკო დიდსულოვნებასა და სტუმარ-მასპინძლობის ძირძველი ტრადიციისადმი უჩვეულო ერთგულებაზე მეტყველებს მისი პასუხი: „– შამოდი, შავო და ბნელო, თუ სულს ვაამებ მკვდრისასა!..“

სად გაგონილა, სად თქმულა ამბად, ძმის მკვლელს სახლის კარს უღებდნენ და მამისახლის რისხვისგან იფარავდნენ! მართლაც რომ უბადლო შემთხვევაა, მოულოდნელიც და განსაცვიფრებლად დიადიც ერთსა და იმავე დროს...

„– ახლოს ნუ მასდით, მამულნო, ნაჭაპნს ნუ მამჭრით თმისასა!“ – უმწეო ქალის მიმართვაში მუდარაც ისმის და ფა-

რული მუქარაც. მას ძმაზე ძვირად უღირს შენახვა შინ შემოსული სტუმრისა, რომელიც, ამასთან, მისი ძმის მკვლელია. სასურველი თუ საძულველი სტუმრის ღირსების შელახვა (აქ უნებლიედ გვახსენდება შესაბამისი ეპიზოდები ვაჟას „სტუმარ-მასპინძლიდან" და აკაკის „გამზრდელიდან") ქერეეთ რძლისთვის თმის ნაწნავის მოჭრის ანუ უდიდესი შეურაცხყოფის, უფრო მეტიც, რჯულის დაკარგვის ბადალია. ამიტომაც იცავს ასეთი თავგამოდებით იმ ადამიანს, ვინც, მთის ადათით, მისი სახლის გარეთ შეიძლება მართლაც იმსახურებს დაუნაებლად გამეტებას...

ქალმა (ერთ ლექსით ვარიანტში მას დარეჯანი ჰქვია) ვერ შეძლო სტუმრის დაცვა, კარიდან არ შეუშვა გავეშებული ღუდუშაურები და სარკმლიდან დაუკრეს ისარი. „თორმეტი მოხვდა მთრეხელსა, დახვრიტეს, როგორც ცხავია". ამის შემხედვარე ქალს „სდიოდა ცრემლის ნაკადი, სიტყვა-გულთ გამამხრავია".

ცხედარი, თუნდაც მტრისა, სათანადო პატივისგების ღირსია მუდამ; მითუფრო ისეთი ვაჟკაცისა, როგორიც მთრეხელი გახლავთ... „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო", – თითქოს ალუდა ქეთელაურის ეს წრფელი ღაღადისი კარნახობდეს სათქმელს, შიოლას და ასეთ რამეს ეტყვის სულდალეულ ხევსურს: „ღმერთმა გაცხონას, მთრეხელო, სტუმარო, ჩემს სახლში დახარჯულო". ხოლო მანამდე, ამ სიტყვების წარმოთქმამდე, მამულთაგან განბილებული ქალი სოფელს შეყრის. წინ თავის ქორა ხარს დაუყენებს და არხოტში წასვენებულ მკვდარს სამთრეხლოს მთამდე გაჰყვება...

იმ დროს, როცა ეს ამბავი მოხდა, შიოლა ღუდუშაურის დის ქმარი ქერა სანადიროდ იყო. დაბრუნდა და სახლში მოკლული ვაცი მოიტანა. ცოლმა უამბო, რაც თავს გადახდა და დაავალა თავის ძმის მოკვლა („ნადირობიდან დაბრუნებულისად ცოლს ტაბლა არ მაუღავ: შინავ სტუმარ მაგიკლესავ. წეედივ, მაკალივ მკვლელივ და პურსაც მემრ გაჭმევავ...") ქერამ იუარა, ცოლის ძმაზე ხელს როგორ აღვმართავო. არ მოკლავ და ცოცხალი თავით მე შენთან მცხოვრები აღარ ვარო... ცოლის დაჟინებულმა მოთხოვნამ აიძულა ქერა, ხევში მანამდე არსმენილი საქციელი ჩაედინა: ადგა და სნოში ისრით მოკლა ცოლის ძმა. ამას, თავის მხრივ, ახალი მსხვერპლი მოჰყვა: სამი

ქერაშვილი და სამი ღუდუშაური შეეწირა სტუმრის მკვლელებზე შურისძიების გამო ატეხილ სისხლისღვრას...

ქერეეთ სახელ-სირცხვილიანი რძლის გადაწყვეტილება იმდენად მყარი, შეუვალი და არგუმენტირებულია („ხალხში უქუდოდ სიარულს იქავ ძმის სიკვდილი მირჩევ". – ეუბნება იგი ნადირობიდან დაბრუნებულ ქმარს), რომ ქერა, ბოლოს და ბოლოს, თვითონ კისრულობს ძალზე ძნელი და, გარკვეული აზრით, საარუგო მისიის შესრულებას. სირცხვილი სისხლით მოირეცხება, ხოლო ლაფდასხმულ ყოფას, მთის ადათ-წესებზე აღზრდილი ქალისთვის, ათასწილად სჯობს მზის სამუდამოდ დაბინდვა და დღის დაბნელება...

ჭირს დასახელება სხვა ფოლკლორული ქმნილებისა, სადაც სტუმარ-მასპინძლობის წმინდა წესი და მისი დაცვის აუცილებლობის შეგნება ასეთ სიმაღლეზე იქნება აზიდული, სადაც ესოდენი ძალმოსილებით ზეობს სტუმრის შენახვისა და ხელშეუხებლობის მკაცრი მოთხოვნა. შემოქმედი ხალხის მხატვრული წარმოსახვა ამაზე შორს ვეღარ წავა. ეს ის სამანია, რომლის გადალახვა სიყალბის ნოტს შემოიტანს ამბის თხრობაში... ჩვენი დროის გადასახედიდან შესაძლოა ბალადაში ზოგი რამ ნაკლებსარწმუნოდ გვეჩვენოს, მაგრამ მაშინ, როცა ზემო თვალმიდევნებული ამბები ხდებოდა, ეს ყოველივე ადათობრივი ნორმების ფარგლებში „იჯდა" და მის ნამდვილობაში ეჭვი არავის შეჰქონდა.

„ვერ შეინახა სტუმარი, ვაი, ვა დედას მტრისასა!" – ზარიანი ხმით მოთქვამს მელექსე და იქვე იმასაც დასძენს, რომ ამ უნებლიე „დანაშაულის" საზღაურად განგებამ მასპინძელს (ვინც მთრეხელის დაცხრილვის ჟამს შინ არ არის და, ამდენად, ბრალიც არაფერში მიუძღვის!) შეუწონარი რისხვა დაატეხა თავს: „ამბობენ ჩამაქცევასა ახალციხურის კლდისასა, თან ჩაყოლასა ამბობენ ქერბელელაის ძისასა".

ცოტა რამ „დევების ქორწილის“ ავტორზე

დიდი ხანია, რაც ეს ლექსი თავისი სასეირო, საუცხოო შინაარსით იქცევს და იზიდავს ხალხური პოეზიის მოყვარულთა ყურადღებას.

უცნაური და უჩვეულოა მასში ასახული „ნატყუარი“ ამბები, ირეალური პლასტების კასკადი, მექორწილეებად პერსონიფიცირებულ დევთა შთამბეჭდავი სახეები, თხრობის აღმავალი დინამიკა, ვიზუალური სიცხადე, კინემატოგრაფიული სიმკვეთრე და, საერთოდ, მძაფრი მხატვრული ექსპრესიულობა.

საცნაურია ასევე ირონიულ-იუმორისტული ნაკადის მძლავრი, უწყვეტი, ენერგიული მიმოქცევა, დრამატული სიტუაციის „გაშარჟების“ მცდელობა, საომარ არენად ქცეული ხთონური გარემოს ღიმილისმომგვრელ ხაზებში გადმოცემის წარმატებული წადილი...

და რა იცოდა ამ არაორდინარული, ჩვეულებრივობის სადინარიდან ბევრი რამით ამოვარდნილი, განზე მდგარი პოეტური ქმნილების ავტორმა, რომ მის ნათქვამს ათწლეულების შემდგომაც ისეთივე გულისხმიერი მკითხველი, ყურის დამგდები და გამგები ეყოლებოდა, როგორიც მისი ხანმოკლე სიცოცხლის დროს და, ალბათ, ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ცნობილი მოაზროვნის თვალსაჩინო მხატვრული ნიმუშის კონტექსტში მოხდებოდა მისი სტრიქონებისთვის თვალის გადევნება და, რაც მთავარია, სარწმუნო, საფუძვლიან პარალელთა მოძიება და მიგნება...

ნოშრევან არაბულის წერილში „ნადიმი – ბერძნული და დევური ანუ ჩაშლილი ქორწილები“ („ჩვენი მწერლობა“, 2009, 18) ხსენებული ხალხური (უფრო სწორად – გახალხურებული) ლექსი ემოციური ფონის წარმოჩენის, მახვილგონივრული მინიშნებებისა და სიუჟეტის არსებით დეტალებსა თუ ეპიზოდებზე აქცენტის დასმის ნაცადი გზითაა განხილული. წერილის ქვესათაურად გატანილი შესიტყვება „იუმორისტული ასოციაცია“ ეგებ ზედმეტიც კია, იმდენად წააგავს „დევების ქორწილის“ პერსონაჟთა ზნე-ხასიათი, ქცევა და მოქმედება ლუკიანე სამოსატელის „ნადიმის“ გმირთა ანყვეტილ ღრეო-

ბასა და შარ-ხათაბალიან ბატალიებს (გვინდა გავიმეოროთ, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ნაწარმოები მართლაც შესანიშნავად გადმოაქართულა ქეთევან ჯერვალიძემ)...

ისევე, როგორც ნოშრევან არაბულისთვის, არც ჩვენთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინ თქვა (თუ „ამოთქვა") „დევების ქორწილი": ბლოელმა ბაბუა გიგაურმა თუ ამღიონმა ობოლა წიკლაურმა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა თანამედროვეთა ანდა შთამომავალთა მოწმობა-მითითებანი სათანადო ფაქტოლოგიასა თუ არგუმენტაციას ემყარება, სასურველი და სავსებით მიზანშეწონილია (რასაკვირველია, სამართლიანიც!) ამა თუ იმ ზეპირსიტყვიერი ტექსტის ნამდვილი ავტორის ანუ პირველმთქმელის ვინაობის დადგენა.

დამსახურება და სახელი, თუკი ეს ხერხდება, არც უსახელო უფლისციხელის ბედის მოზიარე გმირებს უნდა დავუკარგოთ („ეგ დიდო მე მოვკალივ, სახელ არ დამიკარგოთავ!" – ამბობს 1837 წლის ახალწლის ღამის დიკლოს საარაკო ბრძოლის დროს ბაშტეში ანუ გომურში მყოფი, სასიკვდილოდ დაჭრილი თუში ბიჭი, რომლის შორიახლო მისგან დანით განგმირული ლეკის ცხედარი ასვენია) და არც იმ მელექსეებს, რომელნიც უტყუარი გენეტიკური კოდის „კარნახით" არჩევდნენ ერთმანეთისაგან იფქლსა და ქატოს და, მიუხედავად უსწავლელობისა, ადამიანურ განცდათა ლექსად გარდათქმის იდუმალ, ინდივიდუალურ ხელოვნებაში ტოლს არ უდებდნენ წიგნიერ, სწავლულ, სახელმოხვეჭილ პოეტებს...

რა ვიცით ლექსის ავტორებად სახელდებულ პირთა შესახებ?

აკაკი შანიძის „ქართული ხალხური (ხევსურული) პოეზიის" შენიშვნებსა და ვარიანტებში ჩამწერი სიმონ (ბაბო) გაბური „დევების ქორწილის" ავტორობას ბაბუა გიგაურს მიაწერს, ხოლო ერასტი ბალიაური და ნიკო მაკალათია ლექსის მათქვამად ობოლა წიკლაურს ასახელებენ.

აკაკი შანიძეს, როგორც ჩანს, ეჭვი ეპარებოდა სიმონ გაბურის სიტყვის სანდოობაში. ს. გაბურის სიტყვით, ბაბუა გიგაურმა „ლექსი შეკრებილებაში წარმოთქვა და ხალხი სიცილით იღუპებოდა". აკ. შანიძე შენიშნავს: „მგონია, რომ სიმონ გაბურმა (აქ, გვარ-სახელის ნაცვლად, მითითებულია ინდექსი

– ავტ.) ამ ლექსთან არია სხვა ლექსი, რომელიც ამას ალბათ რამდენადმე ჩამოჰგავდა შინაარსით" (გვ. 589).

ასე რომ, ინფორმატორთაგან ერთი ბაბუა გიგაურს თვლის ლექსის მათქვამად, ხოლო ორი – ობოლა წიკლაურს...

ახლა კი იმის შესახებ, ვინ იყო ობოლა წიკლაური და რამ ათქმევინა ლექსი, რომლის ზღაპრულ-მითოსური ხმიერება და საშიში „ინტერიერი" დღემდე ხიბლავს ფანტაზიის შეუბორკავი გაქანებით შექმნილი პოეტური ნიმუშების დამნახავსა და დამფასებელ მკითხველს.

ნაამბობი, რომელიც თბილისში მცხოვრები არხოტიონი ქალბატონის, ობოლა წიკლაურის ძმიშვილის, ქეთო (აშექალ) წიკლაურისგან ჩავიწერეთ, შემდეგი შინაარსისაა: ობოლა იყო მინდია წიკლაურის (მეტსახელი: მერცხალა) უმცროსი ვაჟი. ჰყავდა ორი და, ორი ძმა: ნანუკა, მზექალი, აბიკა და ბაბუტა. ნანუკა იყო მარო ოჩიაურის დედა, ხოლო მზექალი – თოთია არაბულისა. აბიკას (იმსხვერპლა ზვავმა) ვაჟებს, რომლებიც ბოლოს დედოფლისწყაროში ცხოვრობდნენ, ერქვათ ქორძო და კობა. ბაბუტამ ხუთი შვილი გაზარდა: ნინო, მართა, ქეთო, ნათელისძე და ირაკლი... დღეს მერცხალას შვილიშვილებიდან სამია ცოცხალი: მარო ოჩიაური, ქეთო წიკლაური და თოთია არაბული. მერცხალას ყველა შვილი, ობოლას გარდა, დაოჯახებული იყო...

სხვათა შორის, მერცხალას პოეტური ნიჭის აღიარებაზე მეტყველებს აკაკი შანიძის ზემოხსენებულ კრებულში დაბეჭდილი მისი მაღალმხატვრული, ხევსურულ დიალექტზე უნაკლოდ გაწყობილი თერთმეტი მშვენიერი ლექსი. მერცხალას პიროვნული არსის ნაწილობრივ გასაცნობად ეს ერთი სახასიათო შტრიხიც იკმარებს: ყუნჭზე (კუნძი, მორის ნაჭერი – ავტ.) ფეხებშემოწყობილი ჭვარტლიან ფანდურზე უკრავს და მღერის. გარეთ წვიმს. ქაზდარზე ტბორი დგას. ალაგ-ალაგ შეთხელებული მიწური ჭერიდან ჩქეფით ჩამოდის წვიმის წყალი. ამღიონები ბანებს ტკეპნიან... შედის მეზობელი და გაკვირვებული ეკითხება: – ყუდრო-კარი ღვარს მიაქვს და რა გემღერება?! – ეხლადა სალექსო ამინდ! – პასუხობს მერცხალა და სიმღერას აგრძელებს...

მერცხალას ნათქვამია აკ. შანიძის კრებულში 265-ე ნომრად შეტანილი ლექსი „ბჭობა არხოტისა და ღილღოს შესარიგებლად“, რომელიც ამგვარად მთავრდება:

გამაგრდით, არხოტივნებო!
გატეხით რა იქნებისა?
ვინაც მაკვდების, დავღმარხათ,
სხვა კიდევ გაჩინდებისა,
ჴხმა შორად გაგვივარდების,
მტერი ქვე დაშინდებისა...

ობოლას თბილისში უსწავლია (რომელ სასწავლებელში, დღეს ამის დადგენა ძნელია). ნესტიანი, მზეუხვედრი ბინა ჰქონია და ფილტვებით დაავადებულა. მდგომარეობა თანდათან გაუარესებია და მშობლიურ ამღაში, არხოტის თემში დაბრუნებულა. სნებოვანი პირქვე ჩაწვებოდა თურმე „საკვირაო ბორტვზე“ (ადგილის სახელწოდება – ავტ.) და მჭვივან (სუფთა, ძალიან წითელ) სისხლს აღებინებდა. ფილტვები ეშლებოდა და ღონეს კარგავდა... გარდაცვლილა ოცი წლისა.

ყოფილა ხუმარა, მხიარული. ჰქონია ლურჯი თვალები, შავი თმა და მსხვილი ტუჩ-პირი...

ერთხელ რძლისთვის, თამარისთვის (დედა ქეთო ნიკლაურისა – ავტ.) გაუნდვია: გული მეუბნება, ავ ამბავს გავიგებთო... გასულა რამდენიმე დღე და ქისტებს ორი ბეწინა, ორივე ნიკლაური, ერთურთის ახლო ბიძაშვილები, დაუხოციათ. ამქვეყნიდან ორივე უნაწილო წასულა... არ შეიძლებოდა, რომ ბერდიშვილების (არხოტიონი ნიკლაურების ერთ-ერთი შტო – ავტ.) ჭირ-ლხინს მათი შესანდობრის უთქმელად ჩაევლო... „დღისთვალთ“ იმდენი ქისტი დასცემია ამღას, რომ იქაურობა ერთიანად დაბნელებულა და შავად მოქცეულა. მოხუცებს ახლები გაუფრთხილებიათ: არ ისროლოთ, აზრი არა აქვს, ბევრნიაო... ობოლას და ბაჴა ნიკლაურს მტრისთვის წინ ნამოუელიათ, წინამძღოლი დაუთოფავთ, მოუკლავთ და წყალ და წყალ გაქცეულან. ბაჴა უცებ გაჩერებულა: დაიცა, ქაღალდი დამსველებია, პაპიროზს ვერ ეუკიდებო. ობოლა გაჯავრებუ-

ლა: რა დროს პაპიროზია, ჩქარა წამოდიო... ტყვიას ბზესავით გვაშლიდნენ და პაპიროზს ვერ ვუკიდებო!..

რამდენადმე განსხვავებულ სიტუაციას ვეცნობით შელმათ აშექალის (თინა გაბური) დღემდე უცნობ, გამოუქვეყნებელ ლექსში, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ ჯუთაში ჩაგვაწერინა ბერდიშვილების ქალმა მძიმია წიკლაურმა.

ლექსს ახლავს მთქმელის მოკლე კომენტარი: „რომელიც ცხენს ათამაშებდ, იმისად ესრივ ობოლას ნისქვილშიით. ობოლა იყვ მართაის ბიძა. იმაზეა ეს ლექს ნათქვამ, შელმათ ქალისა, აშექალისა“:

ღილღოთ წამავა ლაშქარი,
წვიმის არ სწვდების ცვარია,
ბალახნ იდებენ ენასა,
პირდაპირმ უთხრა ბანია.
შენს მეტმ ვერავინ დასწონა,
ვერვინ შაუკრნა გზანია,
თოფ დახკარ ჯარის უფრ̣ოსსა,
დაბლა დაეცა მკვდარია...
თაოდ უჭირველად დაბრუნდა
არწივი მეომარია,
მაღლისას შამაბოინდა,
შამაიგრუშნა მხარნია,
გვერდს ედგა შავი ღრუბელი,
ბაჯამ უჭირა მხარია...

ამის მერე ლექსის სათქმელი სხვა განზომილებაში გადადის და ტრადიციული მხატვრული სახე-ხერხების მოხმობით იხატება სახელიანი ობოლას სულეთში შესვლის ერთგვარად ამაღლებული, თითქოსდა საზეიმო სურათი:

პარასკევ დაღამებადა
ჯვარში ქუჩდების ჯარია,
არ სტანავ მენადირეი,
ამღას დასწერა ჯვარია.

მთელ სოფლის საიმედოო
შენი სიკვდილი ბრალია,
გაიგეს მაკეთეებმა,
ყინჩად ატირდეს დანია,
ხმა გატყდა ფშავ-ხევსურეთა,
ამბავს იყოლებს ქარია...
ობოლა სულეთ შავიდა,
ციხის შააღა კარია,
აბიკა წამაეგება,
ერთურთს დახელვენ ძმანია.
სათავეს გადაახდინეს,
ოქროს დაუდგეს სკამია:
– მაგვიხვე სახელიანი,
მენდალ გეკუთვნის, ჯვარია...
სანდე პატივად მიართვეს,
ზედ უკრავ კელაპტარია...

და ბოლოს, მათქვამის ვინაობა:

ამაგის მალექსებელი
თინა, გაბურის ქალია,
ლექს კი ვერა ვთქვი საფერი,
კაი ყმის შასადარია...

ზამთრისპირის ერთ დიდ, „ქალაქისოდენ" ღამეს ობოლას ძმის ცოლს თამარს, ჯუთელ მარაისძეთა ბაბუკის ქალს, მატყლის მჩეჩლები ჰყოლია. ამღაში ამ დროს დაბრუნებულა ობოლა ნადირობიდან და შინ მოკლული ჯიხვი მიუტანია. სანადიროდ მარტო, უამხანაგო ყოფილა. შესულა „მჩეჩელთ ნუხრაში" და ფანდური მოუთხოვია. გადაუწოდებიათ და დაუწყია დევების ქორწილის ლექსად მოყოლა: „დევების ქორწილს შავესწვერო..." (მამა-შვილებიდან სამს – მერცხალას, აბიკას და ობოლას – ფანდურის ხმაზე ამბის „გალექსვის" შესაშური ნიჭი ჰქონიათ. „თავისპირისას ლექსობის" პოეტურ უნარს მოკლებული ყოფილა ბაბუტა – მთელ ხევსურეთში განთქმუ-

ლი მოსისხლე ქისტებთან შეუპოვარი ბრძოლებით). ასაკოვან ქალ-დიაცებს ტირილი მორევიათ: ვაიმე, ამ ბეჩავას ბოლო არ ექნება, რაკი დევების ქორწილს შაესწროო (სწამდათ, რომ დევების თავყრილობაში მოხვედრის მოხილვა საზიანოდ აუხდებოდა მომხილველს). მოხუცებს სიკვდილამდე სჯეროდათ, რომ ობოლა მართლა მოხვდა უწმინდურთა ქორწილში... ობოლას ეს ხილვა ჰქონია ჩორეხის სანადიროში (ჩორეხი ჰქვია მწვერვალს, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს არხოტსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთს)...

ობოლა წიკლაური ამაყი და თავმოყვარე ყოფილა. ესეც რძლისთვის, თამარისთვის გაუმხელია: შენს გარდა ვერავის ვეტყვი, ვიცი, რომ დამცინებენ, ღამეებს თეთრად ვათენებ, ჩვენებებში ვარ გართული, ვიტანჯები, ჩემი გასვენების დღესაც ვხედავო.

იტყოდა ხოლმე: კაცი მშიშარა, გულდედალი არ უნდა იყოს. ძალით ვერავის მოვეკვლევინები და თუ მომკლავენ, ესეც არაფერი. ჩვენ ხომ ორ სამყაროს შუა ვცხოვრობთ, სიცოცხლეც ჩვენია და სიკვდილიც. გარდაცვალება მეორე სამყაროში გადასვლას ნიშნავსო...

და თუკი აკაკი შანიძის ხევსურული პოეზიის სანიმუშო კრებულში ობოლა წიკლაურის ავტორობით ცნობილ სამ უხარვეზო ლექსსაც (136, 137, 677) გაუსინჯავთ ფხასა და ჯავარს, იოლად დარწმუნდებით, რომ სწორედ მისებრი ხედვისა და აზროვნების კაცს შეეძლო დევების ღრეობის ფანტასმაგორიული სცენების ლექსად ქცევა და ამომღერება...

ნოშრევან არაბულის იუმორისტულ ასოციაციას ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" მომდევნო ნომერში გამოეხმაურა ბაბუა ალუდაური და (ქართველი) რეჟისორები „დევების ქორწილის" მიხედვით ფილმის გადასაღებად შეაგულიანა.

გამოხმაურება ბაბუასთვის ჩვეული უწყინარი იუმორის ზომიერი დოზითაა გაჯერებული და, ამასთან, არაორაზროვანი დასტურია ნერილის ავტორის მიმართ გამოხატული მეგობრული პატივისცემისა.

იუმორი, მოგეხსენებათ, გადამდებია და თავს ნებას მივცემ ღიმილით შევხედო და შევეხო ლექსის დასაწყისი სტრი-

ქონის – „წამოვალ სანადიროდა, ჯიჯვებს დაუწყებ ჭერასა“ – ბ. ალუდაურისეულ გაგებას.

გამოხმაურებაში ეკითხულობთ: ლექსის ავტორი „ჩვეულებრივი მონადირე კი არ არის, არამედ ჯიხვებს ხელით იმორჩილებს“.

წამიერად წარმოვიდგინოთ რეჟისორის (თუკი ასეთი მართლა გამოჩნდება) გასაჭირი, რომელმაც ფეხდაფეხ უნდა დაადევნოს და საღსალამათი ჯიხვი ცოცხლად დააჭერინოს მონადირეს!

საქმე ისაა, რომ პოეზიის საღვთო მადლის შიგნიდან შემგრძნობ, სულიან-ხორციანა ხევსურ ბაბუა ალუდაურს თვალთახედვიდან გაეპარა სიტყვის „ჭერა“ მეორეული მნიშვნელობა. იგივე ობოლა წიკლაურის ერთ-ერთ ლექსში (აკ. შანიძე, ხევსურული... გვ. 677) არის ასეთი სტრიქონი: „დვირბინით ჭერა დაიწყა, თვალი შააგდა მზირთაო...“ ფრაგმენტი ბესარიონ გაბურის „ჴევსურული მასალებიდან“: „შუადღე რო მოსჯარდა, შაჴდეს მენადირენი მთაზე და მასთხოეს კიდე ჯვარს მადლი და ამაიღეს დვირბინები, დაიწყეს ნადირის ჭერა“ (წელიწდეული... გვ. 230); ივანე წიკლაურის ლექს-შედევრში „რამ დამაბერა“ წერია: „...ვერ ნახვამ სიკვდილის დღესა დიაკონთ გიორგისამა, იმისგან თვალით ჭერამა ჩემ მისავალის გზისამა...“ ანდა, გავიხსენოთ: „თვალი მიჭირავს შენზედა“ და ა.შ.

ასე რომ, ზმნის საწყისი ფორმა „ჭერა“ – ობოლა წიკლაურის ლექსში და დამოწმებულ მაგალითებში, ნიშნავს არა დაჭერას – შეპყრობას, დამორჩილებას, არამედ ცქერას...

„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო...“

„გაგიცვდა, საქართველოო, მეფის ერეკლის ხმალიო“.
ხალხური

„ირუბაქიძემ იგრძნო სიკვდილი – და კედლიდან უეცრად ხმალი ჩამოვარდა. ხალიბის რკინა ორად გადატყდა“.
გრ. რობაქიძე

„მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.
წარწერა ერეკლე მეფის ხმალზე

საქართველოს ისტორია, დღიდან დასაბამისა, გაუთავებელი ომების, უწყვეტი სისხლისღვრის, შინაურთა ღალატისა თუ უცხოთა მოძალების, უმოწყალო რბევა-აწიოკების, მრავალი საარაკო გამარჯვებისა და, ასევე, არაერთი მწარე მარცხის მრავლისმეტყველი ისტორიაა.

რა ჯურისა და ჯილაგის მტერთან აღარ უომიათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს, სად აღარ უღვრიათ და უნთხევიათ სისხლი ქველ ქართველ მეომრებს და, მაინც, მიუხედავად ენითუთქმელი, შემზარავი ავბედითობებისა, სასწაულებრივად გადარჩა და დღემდე მოვიდა ჩვენი ჯიში და გენი – არ გავწყდით, არ გადავშენდით, ავისმსურველთა გულის გასახარად არ დავიწრიტეთ...

რამ გვიშველა, რამ გვიხსნა და გადაგვარჩინა, რა იყო ის ძალა, რისი წყალობითაც შევინარჩუნეთ მამული, ენა, სარწმუნოება, ეროვნული მეობა, სახე და ნიშატი; ვინ იყვნენ ის ჩაუქი ვაჟკაცე ბი, ომში შესვლა („შთაბრიალება“) ლხინად რომ უჩნდათ, ომახიანი სიმღერით და თავზარდამცემი ყიჟინით რომ ხვდებოდნენმტრის ურდოებს და სამარადისოდ ხუჭავდნენ თვალს სისხლით გაბასრულ ბრძოლის ველზე. ღვთისაგან ერთგზის ნაბოძები საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ მამულის ღირსებას, კაცობის ძარღვს; წარბშეუხრელ, უშიშარ, გასალკლდევებულ ებგურებად იდგნენ მშობლიური მიწა-წყლის სადარაჯოზე და დღემუდამ ფხიზლობდნენ, რათა საკადრისი მიეზღოთ თავაშვებული, გავეშებული, სულით და სახით ბარბაროსი მოძალადისთვის...

ჩაიარეს ცოდვა-ბრალით აღსავსე წლებმა და საუკუნეებმა; ჟამთა უსასრულობაში კრიალოსანივით ჩაიმარცვლა უთვალავი დღე და ღამე; იშფოთეს და იბობოქრეს აშარმა ქარაშოტებმა; სისხლის წვიმებმა წითლად ღებეს მდინარეები; ძირისძირობამდე დაალბეს და გააჟიეს ჩვენი სათაყვანო მთა და ბარი; „ძლევაი საკვირველიც“ გამოგვიცდია და დამარცხების ბალღამიც გვიგემია; დიმიტრი თავდადებლებიც გვყოლია და მოღალატე, ქვეგამხედვარი ყორღანაშვილებიც...

„სათქმელად ადვილია, საქნელად ძნელიო, – შეგვახსენებს ხალხური სიბრძნე.

მართლაც ძნელია (შეუძლებელი თუ არა!), გონების თვალი ჩაადევნო უმთენარო საუკუნეების სიღრმეებს და ცხადლივ გაისიგრძეგანო დიდი თუ მცირე მასშტაბის ისტორიული მოვლენების თავი და ბოლო, საწყისი და კენწერო, მატიანეებში ამოკითხულით აღადგინო და გაინამდვილო საქართველოს შორეული წარსულის მართალი, რეალისტური სურათები...

„...დაითვრნეს ისარნი სისხლითა და ხრმალნი ჭამდეს ხორცთა მტერთა“, – იტყვის მემატიანე და ამ ლაკონიური მხატვრული პასაჟით (ეპიური ტილოს ტოლძალ სათქმელს რომ იტევს) ხაზს გაუსვამს არა მხოლოდ ქართველ მებრძოლთა ვაჟკაცურ შემართებას, არამედ მათი იარაღის არაჩვეულებრივობასაც.

მტრის ძლევის სურვილით გახელებული ხმალი, ვითარცა იმედი, შემწე და მეოხი თავისი პატრონისა, დაუნანებლად მუსრავს მოწინააღმდეგეს; მეომარი თითქოს აღარც ჩანს, ფხამოპირული მახვილი გამოსულა ასპარეზზე და მწარე დღე გაუთენებია გადამთიელთათვის...

„მჭრელი და ფხაშეუშლელი“ ფრანგულის, გორდას, ჭარულისა თუ დავითფერულის გამონაკრთომი ელვითაა განათებული ქართლის ცხოვრების „დიდი ღამეები“, ლუსკუმი, უჩინ-უკუნი ხრამები და ხეობები, სავალად ძნელი საცალფეხო ბილიკები და სახიფათო გზა-ხვეულები... განათებული და გათენებული!..

ამიტომაც სარგებლობს ხმალი ქართველი ხალხის განსაკუთრებული, კრძალული სიყვარულით; ამიტომაც ქმნიდნენ უსახელო მთხრობელნი თუ მელექსენი „ხერხემლის მალების გამკვეთი“ პირშეურცხვენელი ხმლების შესახებ რეალური საზრისით დაუჯერებელ ამბებს, ლექსებს, ლეგენდებს...

ეთნოგრაფიული ცნობით, ხევსურეთში ხმლებს ორ რიგად ყოფდნენ: „ჯიშიანი" და „უჯიშო". ჯიშიანი ხმლები იყო „ფრანგული",

„დავითფერული" და „გორდაფრანგული". ეს ხმლები გამოირჩეოდა ჭედის სიმტკიცით, ჭრით, ფოლადის მაღალი ხარისხით. უჯიშო ხმლებად ითვლებოდა „ჭარული" და „ლეკური". ჯიშიანი ხმლები გაცილებით ძვირად ფასობდა, რაც მათ აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს.

წარმოდგენას ხმლის ჯიშიანობასა და უჯიშობაზე პოეტურ სიტყვაშიაც უპოვია გამოძახილი:

ხმალსა ჯილაგად იკითხვენ,
მემრ იყიდიან რკინასა,
მაამებს შენისთანაი,
არ ჰკარგავს თავის ჯილაგსა.

უსულო საგნების სახელდება „ჯიშიანად" და „უჯიშოდ" ანალოგიურია ამიერ საქართველოს მთიელთა გენეალოგიური სტრუქტურისა თუ დიფერენციაციისა. ადამიანთა საზოგადოების წარმომადგენელთა „ჯიშინაობისა" და „უჯიშობის" ნიშნით დაყოფის ძველთაძველი წესის გადატანა და გავრცელება საომარ იარაღზე რამდენადმე უჩვეულო, მოულოდნელი და, ამასთან, მრავლისმთქმელი ფაქტია!..

შვილივით უვლიდა და ეფერებოდა ნიადაგ მტრის მომლო დინე ქართველი თავის პირბასრ, ჯაჭვის მჭრელ ხმალს; „დღეშუ" ლესავდა, უმარილო დუმით პოხავდა, აპრიალებდა, ფერავდა, ჟანგის ნასახს არ აკარებდა და „სამამაცოს" მხარეს, გამოსაჩენ ადგილას კიდებდა საცხოვრებელი სახლის კედელზე ანდა დედაბოძზე...

ჩამორეკდა ძნელბედობის ჟამი, ჩამოივლიდა წერამწერელი,

„სისხლის მწვიმელი ღრუბელი მოეფინებოდა ქართლსა და", კალიასავით მოედებოდა მტერ-დუშმნის „ვარსკვლავთაებრ ურიცხვი" ლაშქარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას და მუხლში ქარჩამდგარ ხვადებზე ამხედრებულ მოყმეთა მზერაში რისხვის ნაპერწკალი გაკრთებოდა...

მიდიოდნენ „არწივების ასაფრენი" მჭექარე სიმღერებით

და ხშირად წასულთაგან ამბის მომტანიღა თუ გადაურჩებოდა ფიცხელ, ხელჩართულ ბრძოლას...

უტეხ სულებში სამშობლოს სიყვარულის სხივი ღვიოდა და, აბა, უცხო თესლისა და ტომის სათარეშოდ ვინ აქცევდა „სამშობლო დედის ძუძუს"! ფანატიკური ერთგულება ყოველივე მშობლიურისა, ქართულისა, თავგადაკლული ტრფიალი წინაპართა ძვალ-სისხლით განედლებული მიწისა პირადულს ავიწყებდა ჭეშმარიტ მამულიშვილებს... სისხლის მენამული მელნით იწერებოდა მრავალტანჯული, მუდამ ვერაგულად ნაღალატარი, ობოლი და მიუსაფარი, მაგრამ ღვთისმშობლის მიერ გამორჩეული ქვეყნის ისტორია.

ნუგეშად და სამომავლო ზნეობრივ გაკვეთილად რჩებოდა ქვაში ამოკვეთილი ეპიტაფია: „ჰოი, მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო, ნუ ვინ გაგვიცუდებთ ჭირნახულსა ამას ჩვენსა, რამეთუ აღვესრულენით სამშობლოსა ჩვენისათვის და დავსთხიეთ სისხლი ჩვენი".

გრძელდებოდა საომარ ლელოზე თავის ცდა და თავდადება. დადგებოდა „ახლების" ჯერი და ვაი მას, ვინც ვერ ივარგებდა, შიშსა და ლაჩრობას დაიმჩნევდა, ღირსეულ წინაპართა გვარსა და სახელს მოაყივნებდა!

უნდილი, გულდედალი, მექალთანე კაცის სიცოცხლეს ასწილად ჯობდა სიკვდილი... „სიცოცხლით სიკვდილიანს" ყველა გაურბოდა, ერიდებოდა, სათოფეზე არ იკარებდა...

გულზე ჯვრით და ხელში ხმლით (გავიხსენოთ გრ. რობაქიძე: „ჯვარი" და „ხრმალი" – ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა. „ჯვარი" – სიწმიდე მისნური, „ხრმალი" – შემართება რაინდული.

„ჯვარი" და „ხრმალი" ერთიმეორეს ეუღლებიან. შეუღლებულთ გააქვთ ლელო") მიაგელვებდა მუხლად ბედაურს ქორისთვალიანი ქართველი, „უშიში, ვითარცა უხორცო"; წინ მიუძღოდა „დროშა სვიანად ხმარებული გორგასლიანი და დავითიანი"; გულის ფიცარზე ჰქონდა ამოჭდეული სამშობლოსათვის თავგანწირვის მაღალი შეგნება; მიდიოდა ისე, თითქოს საქორწილო სუფრა ელოდა; ჰქონდა დარდი შინ დარჩენილი მშობლებისა, ცოლ-შვილისა, მაგრამ ერის განსაცდელთან პირადი საწუხარი რა სათქმელი და სახსენებელი, რა მოსატანი იყო!..

სასიკვდილოდ გადადებულ ვაჟკაცს, სააქაო პირი რომ აღარ უჩანდა, მარჯვენა ხელში ხმალს მისცემდნენ, მარცხენაში – სანთელს, რათა ასე, ხმალდახმალ, სანთლის შუქით გაეგნო და გაეკვლია სულეთის გზა. ამ ამაღლებული ხალხური ჩვეულებითაა შთაგონებული გიორგი ლეონიძის „რაინდის ეპიტაფია“:

შიშველ ხმალს ხელში აძლევდნენ
სულთაბრძოლის დროს ვაჟკაცსა,
რომ სიკვდილისთვის დაეკრა,
მზე არ დაეთმო კაშკაშა!..

მრავალ კაი ყმას იცნობს საქართველოს ისტორია, მრავალიც უცნობი და თვალსმიფარებულია, მემატიანე ყველას და ყველაფერს როგორ გაწვდებოდა, როგორ მოიხსენიებდა! იყვნენ ჩინიანნი და უჩინონი, დიდგვაროვანნი და მდაბიონი, ვის მკერდშიც მამულიშვილის უშიშარი გული ძგერდა, ვინც მიწყივ მზად იყო, პირველს შეელეწა მტრის მეწინავე რაზმი და სულ ბოლოს დაეტოვებინა სისხლით დაღარული და დაღვარული ველი ბრძოლისა...

და ბრწყინავდა მათი სახელები, „ვითარცა მთიებნი განთიადისანი“. უჭირდა თუ ულხინდა, გლოვის დღე ედგა თუ სიხარულისა, მღეროდა ქართველი; სიმღერით ჯაბნიდა და იქარვებდა შეუმჩნევლად შემოჩვეულ, განუშორებლად თანმდევ მწვავე წუხილს; პირტუქსი სიკვდილის ზაფრასა და მუქარას.

„პიროფლიანთა“ ხელში ლაღობდა ხმალი:

პირიქით პოხილაური
ამაამღერებს ხმალსაო...

გაუბზარავი სულის სიმედგრე ზარავდა დუშმანს; ზარავდა მას, ვისაც მსგავსი რამ არ ენახა, არ მოესმინა, არ განეცადა... თუ არა ქართველს, სხვას ვის ძალუძს, უაღრესი სულიერი სიმძიმილის, შეჭირვების და, ამასთან, შინაგანი განწმენდისა და გასულფონების წუთებში, მაშინ, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, დააგუგუნოს ურუანტელისდამვლელი, თვი-

სტომთა ტრაგიკული ხვედრის შეგრძნებით და ძირსდაუხრელი იმედის უჩვეულო განცდით გაჯერებული სიმღერა...

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ასე იყო 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ღამეს. სახელდაურქმეველმა სისასტიკემ ვერაფერი ავნო, ვერაფერი დააკლო ლოცვად მუხლმოყრილი საქართველოს სიმღერას. ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონი გამარჯვებას ზეიმობდა ყვავყორნების გუნდივით მოულოდნელად შემოშავბნელებულ ტანკებზე, ტირანიაზე, იმპერიის სატანურ სულზე...

ღვთის წყალობით, ჯერაც საღია და უტყუარი საფიცარ წინაპართა გენეტიკური კოდი... იგი არსებობს და იარსებებს მანამ, სანამ მდინარენი აღმა დაიწყებენ დენას, სანამ ნამია"...

კარგ მეომარს საჭურველიც სახელისა და დამსახურების შესატყვისი ჰქონდა... საქორწილოდ შემზადებულ მაყარს ჰგავდა რჩეული ვაჟკაცების მხედრიონი... მიდიოდა საბრძოლველად „ქორშევარდნების გუნდი" და მტრის მზირითა თუ რაზმით ჩახერგილ გზა-სავალს ხმლებით მიჰკაფავდა და მიიკვლევდა...

წითლად ამოხდებოდა დაღლილი მზე.

საომარი ლელოდან ნიავს მოჰქონდა სისხლისღვრის ამბები:

ომში ჩავიდეს ახლები
წკეპა ამადის ხმლისაო...
ლემადეს ამამდინარსა
კვნესა ამაჰყვა მტრისაო...

ან კიდევ ასეთი:

ხმალმა დაყარნა ვადანი,
სისხლმა დაფერნა ფხანია...

ჭარმაგი ქართველი, არაერთგზის ნაკეჭნი და ნაომარი, უღონკრო, მაგრამ მაინც ამაყი და გულოვანი, კვდებოდა ისე, თითქოს კვლავ ომის კარს შესვლა და მტრისთვის ქნევაში ხმლის გაცვეთა უწევდა; კვდებოდა ლამაზად, მშვიდად, ღირსეულად... მრავალთაგან ერთი ტიპიური შემთხვევის გახსენებაც იკმარებს: „თუშების ლექსებ სრუ ქალების ნაუბარი. „თუშის ქალებმავ ჯერ ლექსებ თქვიანავ, მემრ სახელ ქნიანავ თუშებმავ". ერთხან ქალებს სიმღერე უთქმავა-დ შაუქავ ერთ თუში. თუშს მასწონებივ: „ნეტავინავ ცდის დღეიმც მამცავ!" – უთქმავ, გაუკრავ ბმლისად ბელი და გაფრენილ ბანზეითა. ის თუშ მამკვდარ მაშინა და იმის შემდეგ მაუშლავაც ქალებს სიმღერების საუბარი" (ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 367-368).

ყველას როდი შეეძლო სისხლმოწყურებული ხმლის გაძღოლა და ღირსეული მხედრობა... პატრონის უბადლო ვაჟკაცობის წყალობით ხალხი მის ხმალს ზებუნებრივ თვისებებს მიაწერდა. ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ გადმოცემა მთიელთაგან წმინდანი შერაცხილი („მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო...") ერეკლე მეფის ხმალზე: „ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავისთავად შემორტყისო. ერეკლე როცა ლოცვაზე დაიდგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან ისევ აიღებდა ბმალსაო" (ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931, გვ. 365).

ცნობილია გადმოცემები, სადაც სახელმოხვეჭილ ყმათა „ნაწილიანი" (ღვთიურ ძალასთან წილნაყარი) ხმლების სასწაულებრივ ძალაზეა საუბარი. „ხევსურული პოეზიის" შენიშვნებსა და ვარიანტებში აკად. ა. შანიძე წერს: „...ეს შალვათ ხახონი გათქმული ბევსური ყოფილა, 19 ქისტის მომკველი. ამისი ბმალი დღესაც წმინდად მიაჩნიათ. ხევსურებმა მითხრეს, „ნაწილიან-დავლათიანიაო". მელოგინეს თუ გაუჭირდა, ჩაჰრეცხავენ ხახონის ბმალს, დაალევინებენ მელოგინეს, უვეჭველად უშველისო".

ლოკალური სახალხო გმირის ნაქონი ხმლის ზებუნებრივი თვისებაა აქცენტირებული პოეტური ფოლკლორის შემდეგ ნიმუშში:

ნეტარ არ გამაჰყიდდესა თელისძენ გორგის ხმალსაო?

თუ გამაჰყიდდეს, ვიყიდდი, მივსცემდი ცხვარსა-დ რვალსაო.
ჩავდებდი ციხის ლიბუში, გაიმაგრებდა ქავსაო,
ლიბუში რო იქნებოდა, ლეკებს მისცემდა ზარსაო.

მსგავსი მოტივი სხვა ლექსებშიც გვხვდება:

ბორბალ აგებენ ციხესა ბროლმარილაის ქვისასა,
ლიბუდ უსხემდეს ვადათა ხახიკთ ხახონის ხმლისასა.

„ნაწილიან" ხმალს, მთხრობელთა ღრმა რწმენით და ბეჯითი მტკიცებით, წინასწარმეტყველების მაგიური უნარი შესწევს; იგი წინდაწინ „გრძნობს" საბედისწერო დღის დადგომას და მოსვენებას კარგავს, ქარქაშში აღარ ჩერდება. ასეთი ხმალი ჰქონია „მტრის ურჩსა" და მამაც მეომარს გუროელ მამუკა ქალუნდაურს, თავადაც იღბლიან-ყისმათიანს, მცურავი ჯაჭვის პერანგის პატრონს, ზურაბ არაგვის ერისთავის ჯარის დამმარცხებელს. ერთხელ მამუკა ქალუნდაური სათიბზე ყოფილა. უთქვამს მთიბლებისთვის: – ხმალი ქარქაშიდან მაღლა იწევსო! არ დაუჯერებიათ.

– აგე, მეორედ ამაიწიავ!.. არც ახლა დაუჯერეს. მერე მთიბლებმაც ნახეს, რომ მამუკას ხმალმა მართლა ამოიწია ქარქაშიდან და თან სისხლი ამოჰყვა... წამოსულა მამუკა. გაუგია, რომ მექობაურებს ცხვარი გაელალათ ხევსურეთიდან. მიჰყოლია კვალზე. დასწევია... მექობაურებს თოფი ჰქონიათ. ეს მამუკას არ სცოდნია. უსროლიათ და მოუკლავთ ქალუნდაური. შეუხსნიათ ხმალი, გაუხდიათ ჯაჭვის პერანგი და წაუღიათ. პერანგი მიწაში დაუმარხავთ – არ გაქანდესო, ხმალი ხეში ჩაუსვამთ – აღარ ამოეწვადოსო...

მამუკაზეა ნათქვამი:

ბეგენგორ ქალუნდაური
ყორნის გრილოებს ხყვებისა...

ომი რომ ახლოვდებოდა, „ნაწილიანნი" ხმლები კაცის ხელუხლებლად, თვითონ იწევდნენ ქარქაშიდანო, – გვიამბობდა გუდანში გიგია ჭინჭარაული; აკუშოელ ბაჭყურათ აპარეკას ჰქონდა ასეთი ხმალიო; თექვსმეტ ძროხას აძლევდნენ ნაწილიან ხმლებშიო...

სახელოვან ხმლებს შორის მოიხსენიებდნენ ხევსურეთში აბას „ბაწარაულას“ და ყურაულთა „ფრანგულს“.

წიგნში „მთას ვიყავ“ ალ. ჭინჭარაული მოგვითხრობს: „საქვეყნოდ გახლდათ განთქმული აბას ხმალი ბაწარაულა. აბამ თავის წვრილ ხმალს დაარქვა თურმე პირველად ბაწარაულა, შემდეგ მრავალ ომში ისახელა თავი ამ ხმლით და მისი ხმლის „თიკუნი" ხევსურეთში კარგი ხმლის ეპითეტად იქცა“.

„გუდანელნი ყოფილან ყურაულნი... მათ ჰქონდა ერთი ფრანგული ხმალი. ეს ხმალი სახელგანთქმული იყო იღბლით. ვინც ამ ხმალს ომში შეიტანდა, ის აუცილებლივ მშვიდობით და გამარჯვებული ბრუნდებოდა შინ. ეს იყო ხმლის იღბალი“.

აბას ხმლის შესახებ ხალხური ლექსიც არსებობს:

აბაის ბაწარაულსა
გემოზე უჭრავ ძვალიო...

ხევსურულ ხმით ნატირალში ნათქვამია:

...ბაწარაულას პატრონ უნდაო,
მასწყურდა სისხლი, ველარ შასვაო...

თემ-სოფლისა თუ კუთხის წინაშე სათანადო დამსახურების წილ ესა თუ ის საომარი იარაღი ხელშეუხებლობის, შეუვალობის „გარანტიით“ სარგებლობდა: აკრძალული იყო მისი გაყიდვა, გასხვისება, სისხლ-მესისხლეობის ნიადაგზე დადებულ ვალში ან „ალმანიაში“ წართმევა („ხმალს ნუ გაიღებთ სხვაგანა, ნარტყამსა კაის ყმისასა“, – გვმოძღვრავს ხალხური ლექსი).

ვაჟა-ფშაველა წერს: „მოკლულის ნათესავნი მკვლელს იმ შემთხვევაში, როდესაც შერიგება მოხდებოდა, თავსისხლის საფასურს გარდა გამოართმევდნენ იმ ნივთს, რომელიც კი მოეწონებოდათ მოკლულის ნათესავებს; დამნაშავეს უარის თქმა არ შეეძლო. ამ ჩვეულებას „ალმანია“, „ყისტი " ჰქვიან, „ალმანის" გაღება... ალმანიდგან იყო განთავისუფლებული ზოგი სახელოვანი იარაღი, ისეთი იარაღი, რომელიც ომის, ლაშქრობის დროს პატრონს ასახელებდა. ხევისბერი დაჰლოცავდა ხმალს ან თოფს სახელოვანს და შეაჩვენებდა, „დაარისხებდა“ იმას, ვინც ალმანიაში წაართმევდა ანუ „ყისტად მოუდებდა“ მის მექონეს ამ დალოცვილს იარაღს. ამგვარი იარაღი ბევრი

იყო ფშავში და ერთი დღესაც არის, რომელსაც ბათურის (კაცის სახელია) ხმალი ჰქვიან".

მწერალი იქვე მოგვითხრობს ლეკების ჯარისგან ივრის ხეობის გათავისუფლების საქმეში ბათურისა და მისი ხმლის უდიდეს დამსახურებაზე...

ხალხში გაგონილი თქმულების საფუძველზე ვაჟა-ფშაველამ შექმნა შესანიშნავი მოთხრობა „ბათურის ხმალი". ნათელმხილველი შემოქმედის უსაზღვრო ფანტაზიამ სასურველი განი და სიღრმე შესძინა მშობლიურ გარემოში მოსმენილ მომცრო ამბავს, ხიბლი და მშვენება შემატა სასიქადულო გმირის უჩვეულო, ღვთივკურთხეულ იარაღს.

ქალუნდაურის „მგრძრნობიარე" ხმლის დარად, ბათურის „დაობლებული" ხმალიც „ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის გვერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდის" (შდრ. ვაჟასავე პოემიდან „გიგლია": „ქარქაშში აღარ დგებოდა ბასრი ფრანგული ხარისა").

სამზეოზე დარჩენილი ხმალი ბათურისა ერთთავად მგლოვიარე და დაღონებული იყო.

„ოჯახი ამ ხმალზე ლოცულობდა, იგი სალოცავ ხატად ნდათ, მით უმეტეს, რომ მთელი ქვეყანაც ასე ფიქრობდა".

ბათურის ვაჟები ვერ ბედავდნენ, თავს ღირსად არ თვლიდნენ, მამის ხმალი ტანზე ეტარებინათ.

დედაბოძზე მიკრულ ირმის რქაზე დაკიდებული ხმლის სანახავად მისული ხალხი კრძალვითა და მოწონებით სინჯავდა ბათურის ოჯახის ამ ფასდაუდებელ „რელიქვიას". შევაჭრებას ვინ გაბედავდა! „ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა ოჯახისა, თითქმის კაცის კვლასთან შესადარებელი".

ბედნიერი იყო ოჯახი ამ ლამაზი ხმლის წყალობით, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. იარაღს მოუსვენრობა დაეტყო – ღამით, როცა ყველას ეძინა, ღელფი მიქრებოდა და დარბაზში წყვდიადი გამეფდებოდა, ხმალი თავისთავად ამოეწვდებოდა ქარქაშიდან და ჰაერში ნავარდს იწყებდა... ამ ამბავმა ოჯახის წევრები საგონებელში ჩააგდო. აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

ბოლოს სეთურმა, ბათურის უმცროსმა შვილმა, ხმალი კიდობანში მოათავსა. არც ეს ეწამლა ხმლის დაუდევრობას. ღამ-ღამობით „კიდობნიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ჟღარუნი, დაჭ-

რილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარისა, ცოდვათა მიტევებისა". და ეს ყველაფერი ხმალს ედებოდა ბრალად...

სეთურმა მკითხავს მიმართა. მკითხავმა თქვა: „– ხმალს ლაშარის ჯვარი თხოულობსო. ხმალი ძალიან დაღონებულია, რომ უქმად არი და ომში წამღები არავინ უჩნდებაო; ლაშარის ჯვარი ბრძანებს, თავად მე ვუპატრონებო..."

დროშის თანხლებით წააბრძანა ხევისბერმა ბათურის ხმალი ლაშარის ჯვარში. ბათურის სულის სახსენებლად და მისი ხმლის სადიდებლად დაიკლა რამდენიმე საკლავი...

იმ დღიდან შეწყვიტა ხმალმა მწუხარება, „რადგან მას ომ ში ყოფნა ხშირად უხდებოდა და მუდამ ღირსეული გმირის ტანს ამშვენებდა".

გადამდებია უპატრონობით დაღვრემილი და დაბეჩავებული ხმლის განუზომელი კვნესა და ტკივილი. მრავალ ომში გამოვლილ იარაღს კვლავ საბრძოლველად მიუწევს გული. უმძიმს უქმად ყოფნა, ოთხ კედელშუა დაუსრულებელი ტყვეობა. ამიტომაც ბობოქრობს, გლოვობს, იტანჯება. უმოქმედობით პირზე ჟანგი ეკიდება, ისევე, როგორც სახნისს, რომელსაც გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმით დამბალი მიწის გაპობა მონატრებია, მაგრამ, აგერ, უკვე მერამდენე წელია, უძრავად აგდია სადღაც ბნელსა და ნესტიან კუთხეში.

ჯერ ისე არ დავრდომილა და დაბერებულა, მტერს შიშის ურუანტელი არ მოჰგვაროს. აგონდება წარსული და ნიადაგ ომის წყურვილი ტანჯავს...

გავიხსენოთ ხალხური პოეზიიდან:

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

(ალ. ყაზბეგის მიერ ხევში ჩაწერილი ამ ლექსის შესახებ „ხალხური პოეზიის" (თბ., 1961) წინასიტყვაობაში ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „...ვინ იცის, რამდენი ცვლილება განიცადა ამ ლექსმა, ვიდრე ამ მტკიცე ფორმას მიიღებდა, რომლის გარღვევა აღარ შეიძლება. მიქელანჯელო რომ ამბობდა, ქანდაკება ისე უნდა გააკეთო, რომ მთიდან დაგორებულს არაფერი უნდა მოტყდესო, ასეთ მტკიცე ფორმას გულისხმობდა").

თავ-თავიანთ უბედობასთან ერთად თითქოს უერთმანეთობაზეც წუხან ბათურის ხმალი და ოჟა ჯურხაის ფარი. მამულის დაცვისათვის ბრძოლაში მონაწილეობისა და თავგამოდების მძლე სურვილი მოურჩენელ სენად შეჰყრია ორივეს; მართალია, ლომგული პატრონი აღარც ერთს ჰყავს და აღარ მეორეს, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავენ იმისას, რომ, ადრე თუ გვიან, გამოჩნდება სვილისფერი მოყმე, რომელიც ღირსი იქნება მათი ტარებისა და მოხმარებისა.

რახან ვაჟას მივმართეთ, უპრიანია აქვე ვახსენოთ 1890 წლით დათარიღებული მისი ერთ-ერთი სანარჩევო ლექსი „ჩივილი ხმლისა". დაჟანგებული, ქარქაშდაობებული გორდა ყვება:

– სადღა მყავს, ძმაო, პატრონი,
შამქორს გავწირე მკვდარია,
ორმოცგან სჭირდა ნახმლევი,
სდიოდა სისხლის ღვარია,
ომში წინ წასვლა უყვარდა,
ხელთ დაბღუჯული ფარია...

მერე კი მწარედ მოთქვამს და ვალალებს თავის „უშნო", უნუგეშო მდგომარეობის გამო. მაინც რა მოხდა? რა და, ლაჩრებმა კედელზე დაჰკიდეს, მისთვის ველარავინ იცლის, ვინაიდან „ქვეყანა იქცა დუქნადა". მზეთამზე თამარის სამეფო გვირგვინის ღირსების მსახური ახლა, ამ უგვან დროში, გზირ-ნაცვლების ხელთ მოხვედრილა და „არშინისა" და „ჩოთქის" გვერდით ყოფნა რგებია წილად.

თავმომწონე გორდასთვის ამაზე შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი რაღა უნდა იყოს? შვიდი საუკუნე ისე გავიდა, დუმით ერთხელაც არ გაპოხილა, არ „ულესია ქართველსა დაღიღინებით ჩუმითა..."

ვაჟა-ფშაველას პოეტურ მემკვიდრეობაში ხმალი, სხვა საჭურველთა შორის, შეიძლება ითქვას, უპირველეს ადგილზე დგას. იგი, ერთი მხრივ, სევდა-სიხარულის განცდის კაცებრივი უნარითაა დაჯილდოებული („პირდაპირ დაყუდებული ჟანგდება მისი ხმალით, მოსვენებასა თაკილობს, ცრემლსა ღვრის, როგორც ქალიო", „ხმალი რას შვრება გიგისი, ფრანგული გველის-პირისა? – სამჯერ იღვრება დღეშია, უგიგიობას სტირისა"; „...აბა, დაჰკვლიე, უტირნავ, ცრემლი აქვ პირზე მცვრეუ-

ლი!"... „...გაუხტა ხმალ-მოღერებით, ფრანგულმა გაიცინაო"), ხოლო, მეორე მხრივ, სხივოსნობაში გამჟღავნებული რჩეულობის ნიშნით არის აღბეჭდილი („ხელი გაიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო"; „აფშინას ბაწარაულის შუქი შორს გაიფინება"; „იმათი ხმლების პრიალი კლდეებს აშუქებს შუქითა"; „ხმალს აპრიალებს გორდასა, მაზედ ნათელი ჰფენია")...

ბარიდან მეფე ერეკლეს ბარათი მიიღეს ლიქოკელებმა:

ჩამოდით ხევსურთ ვაჟებო,
ხმლის ქნევა თქვენი ჯერია.
ქალაქის მიდამოები
ურჯულოს დაუჭერია...

ატყდა ძახილ-ძუხილი... დაიწყო ფრანგულების ლესვა, შუბების წვერვა და ჯაჭვის პერანგების კერვა... ლაშქრად წვეულ ახალუხლებს „სალუდე ქვაბის დუღილი" ჩაუდგათ გულში...

ერთადერთი, ვინც ამ დროს ლაჭანზე წევს და წინ „პიტალო ნაღველ-ძმარის" ტაბლა უდგას, ვისაც მზის სხივის და მთვარის სინათლის ნახვაც აღარ სურს, ძაღლიკა ხიმიკაურია, სიმამაცით ცნობილი ვაჟკაცი და მოლაშქრეთა წინამდგომი... ხირიმ-მაჟრებით და ხმალ-ხანჯლებით აღჭურვილი მხედრები ლიქოკის ჭალაში მოგროვილან... ელოდებიან მეთაურს, რომელსაც თვისტომთა მუდარა არ ესმის და მოუდრეკელ ციხედ დგას, უარს ამბობს საომრად წასვლაზე... ბერდია ბაბურაულის შვილთან საუბარში ამჟღავნებს ხიმიკაური თავისი უგუნებობისა და გულისწყრომის მიზეზს:

თუკი ლაშქარში ვუნდოდი,
რად გამამართვა ხმალიო?!

იქვე ამბობს, რომ მეფეს მისთვის წელზეით ხმლის შეხსნა უნდა ეკადრებინა, ხმლისა, რომელიც პატრონს მხედრები რომ ვერაფერს გახდნენ ძაღლიკასთან, ახლა დიაცებმა დაუწყეს „შეგმობა" და დამუნათება, მწერელჩვილი ქალივით საბუჩეს ჯდომა რა ვაჟკაცის საკადრისიაო!

ავი სიტყვის თქმაში არც ცოლი – კმარა – ჩამორჩა სხვებს:

სიკეთე ხმლისა რას გიშველს,
თუ გულ არ გიძე მწვავია?..

ცოლის საყვედურს ველარ გუძლო ძაღლიკამ, მოიკითხა თავისი ნიავქარივით ცხენი, დაიხურა ჩაჩქანი, ტანთ რვალი ჩაიცვა, წელზე ხის „ნადურდნი“ ხმალი შეიბა, ასპინძას ნაშოვნი სპილოსტრიანი ხანჯალი ჩამოიკიდა და ფშაველ-ხევსურთა ჯარს შეუერთდა...

დიდუბეში დამდგარ მთიელთა ლაშქარს „მზე-მთვარის მინაგვარი“ ბატონი – „ლომი ქართლისა“ – გამოეგება... სათითაოდ ჩამოუარა მხედრებს, და ჩვეულებისამებრ, ხმლები გაუსინჯა. ჯერი ხალხის უკან მდგომ, თავდახრილ ხიმიკაურზე მიდგა... ხის ხმლის ხილვაზე მეფე გაოცდა, შუბლი შეიკრა, მერე ღიმილი მოერია და მხლებლებს უბრძანა, ჩამოეტანათ ხიმიკაურის ხმალი... „ბრიყვი“ ხევსურის ხერხმა გაჭრა. უკან დაიბრუნა მრავალ ბრძოლაში ნაელვები თავისი იარაღი!.. სიხარულისგან გადარეული ხიმიკაური ჰკოცნის და ხელ-მუხლზე ეხვევა ერეკლეს...

ახლა კი –

აღარ ეყოფა ძაღლიკას
მტრის ჯარი შესახვრეპადა!

ვეფხვად ქცეული მეომარი ისე ჰკაფავს მტრის ჯარს, როგორც „ანწლ-ღოლოიანს...“

ომში გამოჩენილი შეუპოვრობისათვის ქართლის ბატონი წვერამდე დაოქროილ თოფს ჩუქნის ძაღლიკა ხიმიკაურს; თანაც თავისთვის ამბობს, რომ „მაგისთვის ხმლის ჩამორთმევა“ მართლაც რომ დიდი და შეუნდობელი ცოდვაა...

ზღაპრულ-ფანტასტიკური მოტივებით აღსავსე მოთხრობის „ცრუპენტელა აღმზრდელი“ მთავარი გმირი ციხელი ცნობისმოყვარე ბალღებს უყვება ცხოვრებაულისგან ნაანდერძებ „აბჯარ-აბგარზე“ და აღნიშნავს: „ხმალი გამოდგა ისეთი, რომ კამბეჩს შუაზე გაჰკაფავდა. სახელოვანი ომებში მე იმ ხმლით და ცხოვრებაულის აბჯრით ვიყავი, როგორც გველის თვალს, ეხლა იმ იარაღებს ისე ვინახავ და ვუფრთხილდები...“

ეს „ენაადგმული“ ხმალი ქარქაშიდან ეწვდება, ტარით ხელ ში ეჩეჩება ციხელს და ეუბნება: „შენ, ეი, ციხელო, ძმობილო,

სულკურთხეულმა გმირმა ცხოვრებაულმა როცა ჩემი თავი ჩაგაბარა, რა გითხრა? დაგავიწყდა? ამ ხმლით ეომე საქართველოს მტერსო, შენ კი დასდიხარ არხეინად, თხა-ცხვრებს უტრიალებ, მე კი ჟანგი მჭამს, ვგდივარ უპატრონოდ, მტერი კი ბევრია, ბევრზე ბევრი"...

ხმლის სასწაულებრივი ბუნება-ხასიათი, როგორც ვხედავთ, წარმოჩენილია ვაჟა-ფშაველას არა მხოლოდ პოეტურ, არამედ პროზაულ ქმნილებებშიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გულთმისანი შემოქმედისა და ნამდვილი მამულიშვილისათვის ფიქრი ვაჟკაცის „მამშვენ" აბჯარზე, სახელდობრ, ხმალზე, არ ყოფილა ოდენ წამიერი, მომენტალური მოვლენა. პოეტი უხმობდა და ეთაყვანებოდა გარდასული დრო-ჟამის გმირებს, აქებდა მათ სიმხნეს, სიმამაცეს და შორეულ წინაპართა თუ გუშინდელი დღის მედროშეთა საზეო საქმეებით შთაგონებული სიამაყით ამბობდა:

უფლის კურთხევა ანთია
სამშობლოს მცველის ფარზედა...
თამარ-დედოფლის ნაკოცნი
ბეჭდად უსვია ხმალზედა.

გმირის საომარი საჭურველის ზებუნებრივ მონაცემებზე მინიშნების თვალსაზრისით ვაჟას უკიდეგანო პოეზიაში მაინც ობოლ კვირიას მისნური სიზმრის ერთი ფრაგმენტი იმსახურებს მკითხველის საგანგებო ყურადღებას: მხედრების დაჟინებული თხოვნის პასუხად მჭმუნვარედ მდგარი კვირია ყვება სიზმარს, რომლითაც, ფაქტობრივ, ნაწინასწარმეტყველებია ბახტრიონის ბრძოლის ბედი, ბარელ მოძმეთა მისაშველებლად დაძრულ ამაყ მთიელთა მომავალი. უჩვეულო ხილვა – „საოცარით" შეძრული და შეფიქრიანებული გმირი ამბობს:

სამი დაენთო სანთელი
ჩემის ფრანგულის ტარზედა.
შუქი ციური ჯვარადა
გამომესახა ფარზედა...

ეს უკვე ღვთის შეწევნა-წყალობის უეჭველი დასტურია, ეროვნული ღირსებისათვის მებრძოლ ქართველთა გამარჯვების უტყუარი ნიშანი. ღვთისმიერი ნება-სურვილის გამოცხა-

დება სანთლისა და ჯვარსახოვანი ციური შუქის აღით ხდება, ხოლო სასწაულის წამიერი გამოვლინება თავიანთი სიწმინდით და მაღალი მისიით ღვთაებრივ ძალებთან წილდებული ფარ-ფრანგულის მეშვეობით ხორციელდება...

სხვათა შორის, ნიშანდობივია ამავე ასპექტით შექსპირის „ორლეანელი ქალის“ ვაჟასეულ თარგმანში იოანას მიმართვა მეფისადმი:

...სულ სხვა ხმალია ღვთისგან რჩეული
ჩვენგან მტარვალთა დამარცხებისა.
მე სიზმრით ვიცი სადც ის ხმალია,
თვით სასწაული მას აღმოაჩენს.

საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: ქართველ მთიელთა სასულიერო ტექსტებში მოლაშქრე ღვთისშვილთა მოუცილებელ ატრიბუტებს შორის ინტენსიურად ფიგურირებს ფარ-ხმალი, როგორც ამ ღვთისშვილთა მეომრული ბუნების ხილული ნიშანი.

სხვა ღვთისნასახებთან ერთად ქაჯავეთზე მოლაშქრე გუდანის ჯვარს „დელამფარი“ (ღვთაებრივი ფარი) ამშვენებს. ქაჯთაგან ნასროლი უსურმაგის თავ-ფეხისგან ამ ფარით იცავს იგი „ანგელოზებს“.

თუ ქადაგი იტყოდა, „არხოტის ჯვარმ სისხლიან იღავ“, არხოტიონნი ურჯულოზე გაიმარჯვებდნენ.

„სალაშქრო ჭალას“ შეგროვილ ხევსურებს, რომელთაც მითხოზე თავდასხმა აქვთ განზრახული, თოთია გაიდაურის პირით გუდანის ჯვარი უცხადებს:

– არ მაქვის გამარჯვებაი, ნუ მიზდით ჩემნი ყმანიო,
ერთი წლის ვადით მამეჴსნა ფხასისხლიანი ჴმალიო...

ლაშარის ჯვრის საყვარელი იარაღიც ხმალი ყოფილა:

პირდაპირ უდგა გორზედა ლაღი ლაშარის ჯვარია,
თავზე ხურავის გვირგვინი, წელზედ არტყავის ხმალია!

მაგალითების გაზრდა უსასრულოდ შეიძლება.

ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშებიც, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საჩვენებლად, როგორი უქრობი შარავანდედით მოსავს ხმალს ზეპირსიტყვიერებასა და ამ ზეპირსიტყვიერების მდიდარი ტრადიციებისგან დიდად დავალებულ ვაჟა-ფშაველას მთელ რიგ შესანიშნავ მხატვრულ ქმნილებებში.

ხალხური პოეზიისა თუ მცირე მოცულობის ცნობა-გადმოცემების ანონიმი ავტორები და მათი გენიალური უბრალოებით გამორჩეულ ხილვა-ხედვის მადლს ნაზიარები ვაჟა ერთმანეთს ეტოქებიან და ტოლს არ უდებენ ქართველისთვის ესოდენ საამაყო და საყვარელი იარაღის ქებაში. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში იოლად საგრძნობია ფანტაზიის უსაზღვროება. ბასრი და დაუნდობელი ცივი რკინა ისეა წარმოდგენილი, თითქოსდა მას მართლაც ახასიათებდეს ადამიანური დარდი და სიხარული, დაღონება და სილაღე. და ეს ხდება იმგვარად, ისეთ მხატვრულ დონეზე, რომ მკითხველს მისდაუნებურად ეუფლება რეალური საზრისით დაუჯერებული ამბების ნამდვილობის განცდა.

სამუზეუმო ექსპონატად თუ საოჯახო რელიქვიად ქცეული ხმლის ხილვა ახლაც სხვარიგი ძალით ეხება და ახმიანებს მრავალჭირნანახი ხალხის სულის სიმებს. სისხლით „გაბასრული" საუკუნეების სუნთქვა მოაქვთ ჩვენს მკაცრ დრომდე ვალმოხდილ, ქარტეხილებგამოვლილ, ჯაჭვის მჭრელ ვადაჯვრიან ხმლებს. საერთო მიზნისკენ მრევლის მხმობელი დედოზარივით რეკავს მათი უნაპირო დუმილი:

თქვენი რიგია, ახლებო,
ხელის დადება ხმალზედა,
ყორნები ლეშით ძღებიან
მამების ნაომარზედა.

„ახლების" ანუ „ახალწამოდეგების" თაობა იმედია მომავლისა! ერთი მშვენიერი ხმით ნატირლისა არ იყოს –

დაიზრდებიან მგლის ლეკვები,
მამის ნადგომზე დადგებიან...

ნადირობის ქალღმერთი დალი*

ქართული ფოლკლორის პოპულარული პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთი დალი, რომელიც თავისი არსებობის ოთხიათას წელს ითვლის, თოვლიან მთებთან და პიტალო კლდეებთან მორკინალი მონადირე ხალხის უსაზღვრო პოეტური ფანტაზიის და მხატვრული წარმოსახვის უმშვენიერესი ნაყოფია.

ამ ღვთიური არსების კულტი ჩაისახა და ჩამოყალიბდა საქართველოს მთიან კუთხეში, სვანეთში, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე. სვანეთმა, კავკასიის სხვა ხალხების დარად, დღემდე შემოინახა წარმართული ხასიათის სულიერი და მატერიალური კულტურის თვალსაჩინო ძეგლები და ძირძველი სარწმუნოებრივი გადმონაშთები... ცად აღმართული ჭაღარა მწვერვალები, ღალიანი იალაღები, წყალუხვი მდინარეები, კამკამა ნაკადულები, უხილავი მხატვრის მადლიანი ხელით შექმნილი განუმეორებელი პეიზაჟები და ამაყად მდგარი სვანური კოშკები წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ მნახველზე. თვითმყოფადი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აქაური მოსახლეობა, მესაქონლეობა-მემინდვრეობასთან ერთად, მონადირეობით ირჩენდა თავს; ნადირობა გახლდათ სვანების ერთ-ერთი ძირითადი საარსებო საშუალება, და რა გასაკვირია, განიადაგებულ განსაცდელში მყოფ, მთის ვიწრო ბილიკებით მავალ ხალხს ჰყოლოდა ღვთაება, თავის სახიფათო საქმიანობაში ხელს რომ მოუმართავდა და მფარველად მოევლინებოდა მოულოდნელი ძნელბედობის წუთებში.

მართალია, საქართველოს ბარშიც არის გავრცელებული დალის ციკლის ზეპირსიტყვიერი მასალა, მაგრამ მისი პირვანდელი, „პრეისტორიული" სახე ყველაზე სრულყოფილად სვანეთშია შემორჩენილი.

დალი სვანური სამონადირეო ეპოსის უძველესი და სახელოვანი პერსონაჟია. მის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი მუხლმაგარი მონადირის ბედი თუ უბედობა, წარმატება თუ მწარე მარცხი. პოეტური თუ პროზაული ჟანრის ფოლკლორულ

* თანაავტორი ეთერ თათარაიძე

ძეგლებში, რიტუალური დანიშნულების არქაულ ლექს-სიმღერებსა და საგალობლებში დალი წარმოდგენილია ცის მნათობთა სადარ ულამაზესი პირსახის მაცდურ არსებად, რომელსაც კოჭებამდე სცემს ოქროსფერი თმა და უმტვერო თოვლივით თეთრი, ქათქათა სამოსელი ღვთიურ შარავანდში ახვევს. დალის საბრძანისია მიუვალი მწვერვალები, თეთნულდი, ფრიალო ქარაფები და კლდე-ჭიუხები, სადაც მარტოდენ ჯიხვთა ჯოგები და მხარკვერიანი არწივები დანავარდობენ.

პირველყოფილი დარგობრივი მითოლოგიის მყარი ნიშნებით აღბეჭდილ ფოლკლორულ ტექსტებში აშკარად ჩანს მატრიარქატის კვალი ანუ დანაშრევი იმ ეპოქისა, როცა ზეობდა ქალის ზეგავლენა და მის გონიერებაზე იყო დამოკიდებული ყოველდღიური ცხოვრების მართვა-გამგებლობა. დროთა განმავლობაში, მწვავე სარწმუნოებრივი ბრძოლის ნიადაგზე, ქართველთა უპირველესი ქალღმერთის მითიურმა სახემ მკვეთრი ცვლილებები განიცადა და კეთილი, გულმოწყალე არსება ბოროტ ალად მოგვევლინა. დალის ფერისცვალება დაკავშირებულია მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლასთან...

დალთან უშუალო ურთიერთობა აქვთ იმ მონადირეებს, რომელნიც „დალის საქონელს" ხოცავენ. ღვთაება ერთგული სატრფო და მოწყალე მეგობარია, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მონადირე სიტყვას ტეხს, მრისხანე შურისმაძიებლად იქცევა ხოლმე.

დადგენილი რაოდენობის ნადირის დახოცვა მონადირეს ცოდვად არ ეთვლება. მან კუთვნილი წილი უნდა მიიღოს შუნ-ჯიხვების არვედან. დალის ციკლის პოეტურ ნიმუშთა ერთ-ერთი ვარიანტით, მონადირე ჩორლამ ერთის ნაცვლად ასოცი სული მოკლა და დალების (დიახ, დალი ერთი როდია, მას თანამოსახელე არსებათა გუნდი, ჯგუფი უმშვენებს მხარს!) გულისწყრომა დაიმსახურა; გამოქვაბულიდან გარეთ გამოსული „დალების ლაშქარი" შეიარაღებულ ჩორლას შეიპყრობს, შებოჭავს და უფსკრულის თავზე დაჰკიდებს. მონადირის უმწეო მდგომარეობა ტყის ფოთოლს ჟრჟოლას ჰგვრის, ხოლო გოდება – ქვას ცრემლს ადენს... ამ დროს ასპარეზზე ჩნდება წმ. გიორგი (ჯგრაგი), რომელსაც დალები მორჩილებენ. წმინდა გიორგი ჩორლას ემხრობა, მისი დახსნა სურს. გაკერპებულ

ღვთაებათა შორის ერთადერთია დალი, ნადირთუფროსი, რომელიც განმარტოებით დგას, ცხარედ იცრემლება და სასტიკად დასჯილი მონადირის გამო მოთქვამს.

მონადირეები დალისგან ნყალობას გამოელიან; რიტუალურ ხმიადებს სწირავენ, ეთაყვანებიან, მის სახელზე ლოცულობენ და კრძალვა-პატივისცემის ნიშნად „დალ ბედნიერს", „დალ დედფალს" ეძახიან. ღვთაებასა და მოკვდავს შორის ჰარმონიული ურთიერთობა სუფევს. ამგვარი მდგომარეობის შენარჩუნების არსებით წინაპირობას მონადირის მხრიდან ტაბუს დაცვა წარმოადგენს. დალთან დამყარებული ინტიმური კავშირის გამხელა, საიდუმლოს გამჟღავნება თუ მისგან მიღებული მაგიური საჩუქრის (ბეჭდის ანდა მძივების) დაკარგვა მონადირეს ბედ-იღბალს „ართმევს" და ამარცხებს. ამასთან ერთად, მოკვდავმა წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს და დალის საყვარელი, ღვთისნასახი ნადირი ნიშანში არ უნდა ამოიღოს. და თუკი, ნებით თუ უნებლიეთ, მაინც მოკლა ოქროსრქიანი ანდა შუბლმთვარიანი არჩვი თუ ჯიხვი, მონადირის დაღუპვა გარდაუვალია.

ნიშანდობლივია, რომ კეთილშობილ ნადირთა მწყემსს მტაცებელი მხეცები მტრობენ. საფერხულო ბალადა „დალი კლდეში მშობიარობს" შემდეგს გვაუწყებს: მშობიარე დალს გამოქვაბულთან მგელი უსაფრდება... ცბიერი ცხოველი ახალშობილს მოიტაცებს და შორს „გააქროლებს". გაეკიდება მონადირე, მოკლავს მტაცებელს და ყრმას დამწუხრებულ დედას დაუბრუნებს. დალი მადლს სწირავს, მხურვალედ ლოცავს და ულევ წყალობას ჰპირდება შვილის მშველელს... ბალადის ერთი ვარიანტის მიხედვით, მეფის მონადირის მიერ გადარჩენილი ყრმა სასწაულებრივი თვისებების მატარებელია: ჯერ დედის რძეც არ უგემია და ენას ამოიდგამს.

დალი მფარველობს თეთრ მანგურს წყეული არსებებისგან, ე.წ. სავებისგან. იფნის ტოტით დაერევა თავდამსხმელებს და უკან ამბის მიმტანსაც აღარ გაუშვებს. ჯადოსნური ფრთის შეხებით მანგურს ჭრილობებს მოუშუშებს და გამოჯანსაღებულს გაუშვებს შინ.

სინკრეტული ხასიათის საფერხულო ლექსში „ბეთქილი"

ქალღმერთისა და მონადირის ურთიერთობის ტრაგიკული სურათია ასახული: ჯერ შავ ეშმაკად, ხოლო შემდგომ თეთრ შუნად გარდასახული დალი ბეთქილს ლაკვრაშის თხემზე აიტყუებს, ფრიალოზე დაჰკიდებს და უფსკრულში გადაჩეხავს. აქედან კარგად ჩანს, რომ დალი მაქციაა – ის, მსგავსად მსოფლიო ხალხთა დემონური პერსონაჟებისა, მალი-მალ იცვლის გარეგნობას და ჯიხვის, ირმის, ეშმაკის ანდა რომელიმე სხვა ცხოველის სახით ეცხადება მასთან საბედისწეროდ დაახლოებულ რჩეულ მონადირეებს.

დალის ადამიანური ბუნება, მისი ქალური ქმედება და ნიშან-თვისებები მკაფიოდ იკითხება ფოლკლორულ ქმნილებათა ძირითად ვერსიებსა თუ ვარიანტებში: მას შესწევს საიმისო ძალა, ხორციელ ადამიანს პურის მკაში დაეხმაროს ანდა კივილით აიკლოს არემარე და გულმდუღარედ დაიტიროს მისგანვე განწირული მონადირე...

დალი, ჩვენს ერამდე V საუკუნეში შექმნილი უნიკალური ხალხური ეპოსის თანახმად, ქართველთა სწორუპოვარი ეროვნული გმირის – მგლის მუხლის, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონის და საცრისოდენა თვალების მქონე ტიტანის – ამირანის დედაა. კავკასიონის მაღალ ქედზე მიჯაჭვული, ღვთაებრივი ჩამომავლობის ამირანი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახიერი სიმბოლოა. და ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქრი, რომ მისი მშობელია არა ვინმე უბრალო, უცნობი და უჩინარი ქალი, არამედ ნადირობის უპირველესი და ულამაზესი ქალღმერთი დალი.

„სად მიდის მეკობარიო...“

ქართველ მწერალთა ჰეროიკული ცხოვრების საბრძოლო-სავაჟკაცო ლექსიკონში ცნება „მეკობარს“ კუთვნილი, დამსახურებული ადგილი უჭირავს. მელექსეთა, ავტორმთქმელთა თუ უმდიდრესი ზეპირსიტყვიერი რეპერტუარის მეხსიერებით მატარებელთა სამეტყველო ენა დიდიხანია იცნობს ამ არასადაგ, სპეციფიკურ ტერმინს; იცნობს მის სინონიმურ შესატყვისებსაც: „მზირი“, „ველად გასული“, „მდევარი“, „თარეში“, „მალული“... თუმცა ამ უკანასკნელთა შინაარსობრივი მხარე და ცალკეული ნიუანსობრივი ასპექტები კონტექსტუალურ ვარიაციებში შესაძლოა ზედმიწევნითი სიზუსტით არც ემთხვეოდეს „მეკობარის“ გაგებას, გააზრებასა და სემანტიკურ განზომილებას...

თუშეთისა და ფშავ-ხევსურეთის ისტორიული ყოფა და თავგადასავალი პერმანენტულად იყო დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ისეთ ადგილობრივ მოვლენასთან, როგორიცაა „ველობა“ ანუ „მეკობრობა“. ჩრდილოკავკასიელ ტომებთან მტრული ურთიერთობის პირობებში ხშირი გახლდათ ნაცვალგების განზრახვით, სამაგიეროს მიგების სურვილით, ნაძარცვის უკან დაბრუნების მოტივით მცირერიცხოვანი რაზმების შექმნა და მოძალადის კვალში ჩადგომა. „მეკობრობა“ თავდაცვით ხასიათსაც ატარებდა და არც თავდასხმის, მტერზე გალაშქრების კონსტატირებას გამორიცხავდა. უნდობლობის ატმოსფეროში მყოფი მთიელები არათუ შინ, სახნავსა თუ სათიბ-სამკალშიც მუდამ მზად იყვნენ ვიწრო ბილიკებით მათ მიწა-წყალზე მალულად შემოპარულ მარბიელთა დასახვედრად. თავმოყვარეობისა და პიროვნული ღირსების მაღალი „მაჩვენებელი“ ნებას არ რთავდა პატრიარქალურ ტრადიციებზე აღზრდილ ვაჟკაცებს, თვალი მოეხუჭათ და საძრახი უმოქმედობა გამოეჩინათ მათი კუთხეებისთვის კრიტიკულ სიტუაციებში. „დაერჩეოდნენ“ როგორც გამოცდილი, ისე ახალბედა მეომრები და ნაურვალ ცხენებზე ამხედრებულნი ქისტეთისა თუ ლეკეთისაკენ იზამდნენ პირს.

„ლაშქარში, მეკობარშია არ იყავ საწუნარია“ (ერთი ფშაური ვარიანტით: „სალაშქროდ, სამეკობროდა...“), – მიმართავს თვალცრემლიანი დედა შუაღამის ხანს ვეფხვთან ჭიდილში სახელოვნად დაღუპულ თავის საამაყო შვილს.

ბალადა „ვეფხისა და მოყმის“ პირშიშველა პროტაგონისტი, როგორც მოტანილ სტრიქონში ჩანს, არც თავის მანამდელ ქმედებებში ყოფილა თანატოლებზე ნაკლები. „მეკობრობა“ მისი ბიოგრაფიის ისეთივე ნაწილი და მახასიათებელია, როგორიც დაუნდობელ ველის ნადირთან შებმა. რომ დასცლოდა და ტრაგიკულად არ დასრულებულიყო კლდის „შიბზე“ ერთურთის „საფერთა“ („შენც იმის საფერ ჰყოფილხარ...“) მოულოდნელი შეხვედრა, ალბათ კიდევ არაერთი თავმოსაწონი ფურცელი შეემატებოდა მის დაუდეგარ, მძაფრი გმირული სულისკვეთებით აღბეჭდილ ხანმოკლე ცხოვრებას...

ცნება „მეკობარი“, როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნიდან“ მკითხველისთვის კარგად ნაცნობი „მეკობრის“ დიალექტური ვარიანტია. შოთა რუსთაველი და ხალხური მელექსეები ერთურთისგან მიჯნავენ რიცხვმცირე რაზმსა და თავუჩინარ ლაშქარს. პოემის შესაბამის თავში მეკობრენი ნავში არიან განთავსებულნი, რაც მათ რიცხობრივ სიცოტავეზე მეტყველებს: „იგი ნავი მეკობრეთა...“, „მეკობრისა ნავისანი...“

„ვეფხისტყაოსნის“ მეკობრეები სისასტიკით გამოირჩევიან. ცოცხლად გადარჩენილი ვაჭრები ავთანდილს შესჩივიან: „მუნ მეკობრეთა დაგვხოცნეს ძელ-სახნისისა წვერითა...“

მიუხედავად ფორმობრივ-ფონეტიკური მსგავსებისა თუ ფუნქციონალური სიახლოვისა, სხვაობაც აშკარაა მეკობრესა და მეკობარს შორის: პირველს ზღვის ყაჩაღის, საზღვაოსნო ტრანსპორტით მოძრავი მოძალადის გაგება ახლავს, ხოლო მეორე ხმელზე ქვეითად მოარულ ანდა ცხენოსან მებრძოლს გულისხმობს.

„მეკობრე“ ნეგატიურ მოვლენებთან, უარყოფით ცხოვრებისეულ ამბებთან ასოცირდება*. მშვიდობიან მგზავრთა და ტვირთმზიდთა დაყაჩაღება საზოგადოების საყოველთაო

* კამპორეალეს ნაშრომის ციტირებით მკვლევარი ეკატერინე კობახიძე მეკობრეობის შეფასების საპირისპირო მხარეს ათვალსაჩინოებს: „ჰომეროსის ჰიმნების შექმნის პერიოდში მეკობრეობა არ იყო მიჩნეული დასაგმობ საქმიანობად – მეკობრეობას მისდევდა მაშინდელი სამყაროს ყველა საზღვაო ქვეყანა და „სახელმწიფოს პოლიტიკურ-ინტიტუციონალური არსის ჩამოყალიბებამდე მეკობრეობა არ მიიჩნეოდა სამარცხვინო საქმიანობად, თანაარსებობდა რა კომერციასთან“ (ეკ. კობახიძე, ეტრუსკები ბერძნულ მითოლოგიაში. ვაჟა-ფშაველა 150, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ., 2011, გვ. 422-423).

პროტესტსა და უკმაყოფილებას იწვევს. რაც შეეხება „მეკოპრობას", დიდწილად დადებითია მისით გამოხატულ ქმედებათა შინაარსი: ადამიანი (ადამიანთა ჯგუფი) საკუთარი ღირსების, ქონების, „სუვერენული" უფლებისა და ხვალინდელი დღის გადასარჩენად, დასაბრუნებლად, დასაცავად ირჯება და იხარჯება; მეკოპრობა სამართლიანობის აღდგენასა და დამკვიდრებას ემსახურება. ის, ამ გაგებით, საღვთო საქმეა. ამიტომაც არსებობს ხევსურეთში მეკოპართა და მონადირეთა მფარველი დარგობრივი ღვთაება „სანება ცროლის გორისა"-ს სახელწოდებით.

წერილობით-წარმოთქმითი თანაგვარობა, მცირე ნიუანსობრივი სხვაობის გამორიცხვით, „მეკობრისა" და „მეკოპარის" გაერთმნიშვნელოვნებას, ურთიერთაღრევას, ფუნქციამონაცვლეობას განაპირობებს. მკვლევართა (ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, ნ. შამანაძე, ვ. ელანიძე...) ნაშრომებში საამისო მაგალითების მოძიება ძნელი არაა. არადა მათ შორის ნამდვილად არსებობს ანგარიშში ჩასაგდები შინაარსობრივი სხვაობა.

„ქართული ფოლკლორის ლექსიკონში" (II, თბ., 1975), ნაცვლად „მეკოპარისა", განმარტებულია ფორმა „მეკობრე" (ყაჩაღი, თავდამსხმელი, მტაცებელი, პირატი), რაც პრინციპულ უზუსტობად მიგვაჩნია. და ეს ლექსიკონისეული უზუსტობა იმ კონტექსტებიდან მომდინარეობს, რომლებშიც განსამარტავ სიტყვას ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებში ვადასტურებთ.

გარეგნულად პარალელური ფორმების ვარიაციული მონაცვლეობა არც ზეპირსიტყვიერი ტექსტებისთვისაა უცნობი მოვლენა. სანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ ზემოხსენებულ ლექსიკონში მოხმობილი შელოცვის ფრაგმენტი – „მეკობრესა ხელსა, მკლავსა, მხეც-ნადირისა კბილსა შევკრავ, შევბეჭდავ..." – და თუში მთხრობლის მიერ წარმოთქმული და ეთერ თათარაიძის მიერ ჩაწერილი მაგიური დანიშნულების ტექსტი: „ღმერთო, ღმერთო, ჩამოყარე საკიდლები რკინისანი. ღმერთო, შეკარ პირი მგლისი, ხელი მტრისი, მეკოპრისი, ჩვენ საქონზე მომავლისი".

აკაკი შანიძე „მეკოპარს" განმარტავს, როგორც წინა ჯარს, ავანგარდს, დამზვერავს და მიუთითებს, რომ „ხევსურეთში სიტყვის მნიშვნელობა იციან: ხსნიან მზირიო". იქვე იმოწმებს ხევსური ინფორმატორის ნათქვამს: „ჩვენ მზირი ვიცით, მეკოპარი თუშებმ იციან" (თხზ., ტ.I, თბ., 1984, გვ. 358).

უდავოა, რომ „მზირი" და „მეკოპარი" დასაზვერად, დავლის ასაღებად ანდა დასაბრუნებლად (კონკრეტულად: ცხვარ-ძროხისა და ცხენების გამოსარეკად) და, საერთოდ, მტრის სამუქაროდ წასულ პატარა რაზმს ეწოდება.

აშექალ წიკლაური, თბილისში მცხოვრები არხოტიონი ხევსური, გვიხსნის, რომ „მზირი" შვიდ კაცს გულისხმობს. სამჯერ შვიდი კაციც მზირია, ხოლო ამაზე მეტი უკვე ლაშქრად ითვლება. „მზირ მასულ ამღას, შვიდ კაც. ბერდიათ გაგას იმ დროს დასდგომიან თავზე, როსაც ბანზე წოლილ ცოლსთან. დეეებივით ყოფილან, ძლიერებ..."

„მეკობარსა" და „მეკობრეს" ავაზაკად განმარტავს ალ. ნეიმანი.

ამ ცნებათა სხვაგვარ, განსხვავებულ მნიშვნელობებზე არც ალ. ღლონტის „ქართულ სიტყვა-თქმათა სიტყვის კონა" მიუთითებს.

დიალექტოლოგიურ ლექსიკონთა შემდგენლებიც (ალ. ჭინჭარაული, გ. ცოცანიძე, გ. ხორნაული) არასაყოველდღეო ტერმინთა გაგებისა და განმარტების ტრადიციულ ველზე ტრიალებენ.

„მეკოპარის" ალ. ჭინჭარაულისეული ინტერპრეტაცია: მეკობრე, მოთარეშე რაზმი, ჯგუფი.

წიგნში „ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა" (თბ., 2006) შოთა არაბული წერს: „მთაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სხვადასხვა ტომებს შორის ურთიერთთავდასხმები ნადავლის მოპოვებისა და სამაგიეროს გადახდის მიზნით, თუმცა მათ მცირე მასშტაბები ჰქონდა და ცდილობდნენ სისხლიც ნაკლები დაღვრილიყო, რადგან სისხლს ხანგრძლივი საგვარეულო მტრობა მოჰყვებოდა ხოლმე. ხევსურები მომხვდურებსაც ხვდებოდნენ და თავადაც ესხმოდნენ. სახელის მოპოვებისა და არსებობისათვის ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ: მზირობდნენ, მეკოპრობდნენ, თარეშობდნენ, ქურდობდნენ, ძალმომრეობდნენ ერთმანეთზე" (გვ. 70-71).

„მეკოპარის" სემანტიკურ მნიშვნელობასა და გამოყენების არეალს მეტნაკლებად საგულისხმო ნიუანსებით ავსებს და ამრავალფეროვნებს მისი სინონიმური შესატყვისი, ხევსური დიალექტისთვის ესოდენ ბუნებრივი ლექსიკური ერთეული – „მზირი": „იწრო ჭალაი შაუკრავ გოშტიკაურთა მზირსაო..." „ტიმღელნი, ნექაფსოელნი ჯუთას სამზირლა დიანო..." „შახედავს სანადიროთა, თვალი შააგდა მზირთაო..." „აჯვა-

თით მზირი გამავა, გამაჰყვ გულ-უკულმ ჯვარია...", „აივსნეს ქოთანის ბექნი ქომოციხლების მზირითა..."

მოწოდებისმიერი სხვაობა მზირსა და მეკოპარს შორის თითქმის არ შეინიშნება. როგორც პირველში, ისე მეორეში მტრის საზიანოდ მალვით მიმავალი მცირე რაზმი მოიაზრება. მალულთა მიზანია ძალმომრეობით ნართმეული თუ „შავშუაღამეთ" მოპარული შინაური პირუტყვის უკან დაბრუნება ანდა თავდასხმა „ნახალიზარ" მოძალადეზე შურისგების, მისგან უწინ მიყენებული ზარალის ზღვევისა და ჯავრის ამოყრის განზრახვით.

მზირისა და მეკოპარის მოქმედების ნიშანდობლივობაა ჩუმად, ქურდულად, უცხო თვალის შეუმჩნეველად შესვლა და, საჭირო შემთხვევაში, ჩასაფრება მტრის ტერიტორიაზე.

ლექსის „ლუის ლუხუმი" თუშურ ვარიანტში ნათქვამია: „ლეკეთით მზირი გადმოჴდა, მთაზე გადმაიღ კვალია, სოფლის პირდაპირ ჩაგისხდეს, ლუხუმს მოგავლეს თვალია..."

„ჩასხდომა" ფარდია „ჩასაფრებისა". საამისოდ, როგორც წესი, ირჩევდნენ ისეთ ადგილს, რომელიც სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელი და მოსახერხებელი იყო; საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ნაცვალგების პოტენციური მსხვერპლის საცხოვრისი, კარმიდამო და სამიმოსვლო გზა-ბილიკები.

ხალხურ სიტყვიერებაში დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა მტრულ პოზიციაში მყოფი ტომების წარმომადგენელთა მებრძოლი რაზმები „არგონებულში" წააწყდებიან ერთმანეთს: „მზირი შაყრილა მზირზედა თუშისა, ლეკებისაო..."

და ვინაიდან თვალსმოფარებითა და მალვა-მალვით ხდებოდა ხოლმე თანდათანობითი მიახლოება გონივრულად დაგეგმილი საომარი „ოპერაციის" სასურველ შედეგთან, „მზირისა" და „მეკოპრის" აღსანიშნავად კიდევ ერთი ტერმინისთვის მიუგნიათ ჩვენს ანონიმ მელექსეებსა და მეანდრეზეებს. ეს გახლავთ „მალული": „შვიდკან ჩაუსხეს მალული ცხვარ-წყემსსა არდოტლისასა..." „ჩაგისხამ მალულ-მალულსა, არ დაგიჩქამებ ქვიშასა..." „ხუთ-ხუთკან ჩასხეს მალული ხუთშაბათ თენებაზედა..."

ერთი და იმავე სოციალური მოვლენის გამოსახატავად, არცთუ იშვიათად, ფონეტიკურად განსხვავებულ რამდენიმე ცნება-ტერმინს მიმართავენ ხოლმე სათქმელის ადეკვატურად გადმოცემის მოსურნე ხალხური მელექსეები, წინამორბედთა მდიდარ შემოქმედებით ტრადიციასთან წილნაყარი ნარატორები, ენის ჭეშმარიტი კანონმდებელნი... და, ალბათ,

ვერცერთი სხვა სინონიმური ცალი ისე სიღრმისეულად ვერ გადმოსცემს მზირობა-მეკოპრობის არსს, როგორც ამას დიდი დინამიკის დამტევი სიტყვა „ველობა“ ახერხებს. ველზე გასვლა, შინიდან გარეთ გადანაცვლება, „ველობა“ რაღაც ისეთზე მიანიშნებს, რაც გამბედაობასთან, რისკთან, განსაცდელთან უშიშრად შეხვედრის მზაობასთან იქნება ასოცირებული. „ველთ გასული“ („ველთ გასულ ვინ იყოსა, მტერზე, ნადირზე ჴელ მაუმართიდით, წყალობის კალთა გადააფარიდით, შინ მშვიდობით დააბრუნიდით“, – წარმოსთქვამს ჯვარისკარ მყოფი ხუცესი შესახელებული საკლავის შეწირვის წინ) ვაჟების ბედი მათ სიმარჯვესა და სიმამაცეზე ჰკიდია. გადამწყვეტი კი მაინც მფარველი ღვთისშვილის ნებაა: იმ შემთხვევაში, თუკი ჯვარი (ზებუნებრივი ძალის მიწიერი საბრძანისი) „წყრომით“ ანდა „გულ-უკუღმა“ გაჰყვება სათარეშოდ მიმავალთ, მათი მარცხი გარდაუვალია.

ლექსი „ხოგაის მინდი“ ამგვარად იწყება: „არხოტით მზირი გავიდა, წყრომით გამაჰყვა ჯვარია“.

შემდეგ მოთხრობილია, რომ ხოგაის მინდიმ თავის ოთხ თანამებრძოლს „ნამი გააბერტყინა“ და „თვირთვილიანი მთანი“ გადაატარა. სამზირლად მიმდინრებმა მითხოს მოავლეს თვალი და თერეთეგოს ნაცვლად, სადაც ხოგაის ძეს ფიც-ნაჭამი ძმობილი ეგულებოდა, მიზუში მოხვდნენ. „ალაჩაის ქალმა“ ხევსურები ციხე-სიმაგრეში შეამწყვდია, კარი გამოუკეტა და აჴვაში ქისტებს მათი შეპყრობის ამბავი შეატყობინა... მინდიმ მეთორმეტეც რომ მიათვალა მოკლულებს, ხმალი ქარქაშში ჩააგო და მისი აღსასრულის წამიც დადგა: ქისტებმა განგმირვა არ აკმარეს და „ღაბაჴად დადგეს მკვდარია“ („ღაბაჴი“ – სამიზნე).

არხოტის მოლაშქრე ღვთისშვილის ნება – ნიშანს რომ დაჰყოლოდნენ და საბედისწერო განზრახვაზე ხელი აეღოთ, ლეგენდარული ხმასახელის მქონე ხოგაის მინდი თავის ძმასთან, ნიკოსთან, ნიკურასთან და კვირიკა ნანაისძესთან ერთად მიზუს ქავ-ციხის კართან თავმოყრილი ქისტების დაუნდობელ შურისძიებას არ ემსხვერპლებოდა.

ველობა – მეკოპრობა ყველას როდი ძალუძს.

ამის ჩამდენს გულის სიმაგრე და თავზეხელაღებულობა მართებს.

უშიშთა სახელ-ვინაობას თვალისჩინივით უფრთხილდება და ინახავს მთქმელ-მთხრობელთა მეხსიერება: „ველობა

გაუბედავის ულაკაურის შვილთაო". ანდა: „ველობა გაუბედავის სულხანაურის შვილსაო..."

და მათი (მზირის, მეკოპარის) დანახვა ყველაზე მეტად ყვავ-ყორნებს ალაღებს, ვინაიდან დიდია სისხლიანი ნადიმის ალბათობა: „ბორბალ აყეფდა ყორნები, სად მიდის მეკოპარიო". სხვაგან: „აკნეხ აყეფდა ყორნები, ეხლა ველობის ხანია..."

ჭიმღის კლდეში დასაბუდრებული ყორანი თანამოძმეს გასძახის: „ველთ მიოს ოჩიაური, გავჰყვეთ ამაგის კვალსაო".

სხვა ლექსშიც ანალოგიური ჩვევა თუ ინსტიქტი სძალავს და ამოძრავებს გლოვისფერ, ავზნიან ფრთოსნებს: „გორგი ველობას წასულა, გავჰყვათ ემაგის კვალსაო".

ველობისთვის შესაფერისი დრო და ჟამი დაუდგენია განგებას. დიდთოვლობით ჩაკეტილ, ზვავსაშიშ მთებში ადამიანის გადაადგილება ერთობ სახიფათოა. ამ დროს ყველა სულიერი თავის ბინასა თუ ბუნაგში ყოფნას ამჯობინებს. სხვა გზა არც თემსოფლის ფარად და იმედად გაჩენილ კაი ყმებს აქვთ. ისინი მოუთმენლად მოელიან გაზაფხულის დადგომას, დათბობას, საპირიქითო გზების გახსნას და ღია ცისქვეშ საფერ მტერთან ბრძოლაში თავის ცდას: „მთა გაშრა, ქვიშა გამოჩნდა, ახლა ველობის ხანია" (შდრ.: ფშავლების სამუქაროდ თუში სახალხო გმირის გორგი თილისძის ნათქვამი: „...ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია, მთა გაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს, ლურჯამ მოჰკიდოს ნალია...").

მიზანსწრაფვითა და მოქმედების ხასიათით მეკოპრობას, მზირობასა და ველობას უთანაბრდება „დავლობისა" და „თარეშის" სახელწოდებებით ცნობილი ლოკალური ამბები.

ნადავლის მოხელთება და წამოღება საამისოდ საჭირო კლიმატური პირობების არსებობასაც გულისხმობს. ამიტომაც: „ამბობენ დაღესტანშია, ახლა დავლობის ხანია, მოვიდა შუა ზაფხული, თუშთა დავლახოთ მთანია..."

ჩრდილოკავკასიელ მაჰმადიანებსა და თუშებს შორის ნაცვალგებითი ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი, დაუსრულებელი მტრობის მიზეზი და დანაშაულებრივ ქმედებებში თვითეული მათგანის ხვედრითი წილი ნათლად ჩანს გიორგი ცოცანიძის მიერ 1990 წელს ქვემო ალვანში იროდი გიუნაიძისგან ჩაწერილი მიუკერძოებელი ტექსტის ერთ მომცრო ფრაგმენტში: „ქისტებივ ვიცით, ქისტებივ ამას – იმას ჩადიოდესავ, მაგრ თუ გაღბედევდეს, თუშებ ნაკლებს კი არ ჩადიოდეს, ქისტებს კი არ

ჩამოსშჩებოდეს. ერთ ეგ იყვ, რო თუშებ უფრო მშრომელ ხალხ იყვ – ჴვნა-თესვაი, თიბვა-მკაი, ცხვარი. ვერ იცლიდეს, არ მიზდევდეს მაგაებს. ქისტებ კიდე მარტო მაგ დავლობა-დაცემებით ცხორობდეს. თუშებ უფრ ჯავრზე გადადიოდეს, როცა ძაან შააწუხებდესა-დ იძულებულებ გაჴდებოდეს. მემრ კი ნაკლებ დღეს არც თუშებ აყრიდეს ან ქისტებსა-დ ან დიდოებს" (გ. ცოცანიძე, თუშური ქრონიკები, თბ., 2004, გვ. 54).

თარეშის მომზადება და „გაშვება", ერთი ხალხური ლექსის თანახმად, სატომო მასშტაბის მოლაშქრე ღვთისშვილის პრეროგატივაა. ლაშარის ჯვარმა: „გამაარჩივნა თარეშნი, ღმერთო, დასწერე ჯვარიო!.." ხოლო თარეშის მონაწილეებს აუცილებლად უნდა მოსდევდეთ მუხლისა და მკლავის ღონე, რაც ოჯახის წევრთა საგანგებო ხელშეწყობითა და თანაგომით მიიღწევა: „ბევრამ გაკვების ქალამა სათარეშოდა ქმარია..."

ველად გასვლა, მეკოპრობა თუ სამზირლად სიარული საჩაუქრო, სასახელო, სანაქებო საქმედ ითვლებოდა ქცევის დაუწერელი კოდექსის მიმდევარ მთიელთა შორის. ხოტბით მოიხსენიებდნენ არა იმდენად ნადავლის შოვნას, რამდენადაც ამ დროს გამოვლენილ სიმამაცეს, შეუპოვრობას, მედგარ ბუნებას... ერთგვარად პათეტიკური, საზეიმო ინტონაცია დაჰკრავს სამეკოპრო სამზადისისა თუ ჩავლილი საომარი ამბების ვერბალურ გაფორმებას: „შეიყარენით, ახლებო, თულად გავიდეთ ველზედა..." „მიქელმ თქვა ხალიაიძემ: ბევრჯერ გავსულვარ ველადა..."

ნაირგვარია „მათქვამთა" დამოკიდებულება „მეკოპარსა" და მის სინონიმურ ორეულებში რეალიზებული დრამატული ხდომილებებისადმი. ხალხურ ლექსში საფუძვლიანი საყვედურიც ისმის („ერთხან ვერ ვნახე გასული მე თქვენი მეკოპარიო..."), შეშფოთების მომგვრელი კითხვაც („ათენგენობის დილასა სად მიდის მეკოპარიო?..") და თხოვნა-გაფრთხილებაც, მიმართული მუხლადი საფერხისადმი, რომელიც კაი ყმის უპირველესი მეგობარი და მის ზრახვათა თანაზიარია („ლაშქარში, მეკოპარშია უკან არ დამატრიალო...").

და როცა ნაამაგარი გმირის მზეც ჩაესვენება, როცა ამქვეყნიდან მისი სამუდამო გასვლის მაუწყებელი ზარი ჩამორეკავს, პოეტურ პწკარს დედროვნის ლოყაზე დაგორებული ცრემლის მკრთალი ნაკვალევივით დაჰყვება და დაეტყობა მოურჩენელი სევდისა და სინანულის ხანიერი ნახმევი: „თუშო, გაგიცვდა ველობა, ზვავი გაგიტყდა მთისაო..."

საფლავის ქვა და სამგლოვიარო ლექსი

ძველი ქართული საფლავის ქვა და მასზე ამოკვეთილი ლაპიდარული წარწერა, ასევე, ბარელიეფი თუ ჰორელიეფი, წინაპართა ძველთუძველესი და ძლიერი კულტის საგნობრიობამდე თვალსაჩინო გამოხატულებაა.

„მწუხარე დედის ცრემლებით" პირდაბანილი სამარის სახიერი სამკაულია ქვის ძეგლი, შემკული და მოკაზმული სიტყვა-მომჭირნე ეპიტაფიით და გარდაცვლილის გამოსახულებით ანდა მისი ამქვეყნიური საქმიანობის ამსახველი რეალიებით...

მისტიკურ იდუმალებას ნაზიარები მედიუმის ენა–პირით საიქიოდან სამზეოზე მყოფ ახლობლებთან „მოლაპარაკე" განსვენებულის უმთავრეს სურვილთა შორის, რომელთა ასრულება მისი მშვიდი და უშფოთველი იმქვეყნიური „ცხოვრების" წინაპირობაა, ხშირად იხსენიება ქვა, დაკრძალვის შემდგომ გულზე რომ უნდა დაადონ და ამით საბოლოო ლაზათი დაადევნონ ჭირისუფლებმა.

ქვის ლამაზად გათლა, დამუშავება, მოჩუქურთმება და საფლავის ზედაპირზე განთავსება მრავალმხრივ საგულისხმო ქართულ სამგლოვიარო წეს-ჩვეულებათა განუყოფელი ატრიბუტია.

ხელმარჯვედ ჩამონაკვთული, თავ-ბოლო გამოყვანილი, დახვეწილი და ნაირგვარი ორნამენტით მორთული ქვის უმთავრესი დანიშნულება მიცვალებულის განდიდებასა და „გაუკვდავებაში" მდგომარეობდა; ხოლო ქვის გარეშე დარჩენილი „მოშავეთე", სხვაგვარად – საიქიოს სამუდამო ბინადარი, ისევე, როგორც უშვილძიროდ გადაგებული „ცოდვილა–უპატრონო", მალე დავიწყებისთვის იყო განწირული...

სამარის ქვის შერჩევისას უპირატესობა ენიჭებოდა მის „ჯიშს". ის, ერთსა და იმავე დროს, გამძლე და ყინვამედეგიც უნდა ყოფილიყო, დამყოლიც და მზერის მიმზიდველიც. მის ზედაპირსა თუ გვერდებზე ნატურალისტური მანერით „გამოხატული" საგანი თუ საომარი იარაღი მოხდენილად უნდა გამოჩენილიყო.

გულზე შავ ჯანღად დაწოლილი დარდისა და ვარამის მოსაშორებლად „ჭირისპატრონი" მთელი რიგი რიტუალებისა თუ წეს-ჩვეულებების შესრულებით ცდილობდა (და ცდილობს დღესაც) სააქაოს და საიქიოს შუა არსებული მანძილის მაქ-

სიმალურად შემცირებას, შემოკლებას და იქმნიდა ილუზიას, თითქოს სამზეოს საზღვრებიდან გასულნი ისევ აქ, ჩვენთან არიან; მათ მხოლოდ იერსახე იცვალეს, გარდაიცვალნენ და ახალ, მანამდე განუცდელ, უკეთეს სივრცით განზომილებაში გადავიდნენ..

ძაძით შემოსილ ჭირისუფალს სწამდა და სჯეროდა, რომ მოუხელთებელი სიკვდილი უძლური და უსუსურია ხსოვნის წინაშე; მას არ ძალუძს დამწუხრებული გულის იდუმალი სანახებიდან ძვირფასი სახისა თუ სახელის ამოშლა და გაცამტვერება.. და ეს რომ არ მომხდარიყო, მიცვალებულის ვიზუალურ სახეს მუდმივად რომ ეარსება მცნობთა თვალსაწიერში, მათ მხედველობით ხსოვნაში, საფლავის ქვათა ხატწერილები კეთდებოდა. ქვაში „ამოღარული" გამოსახულება, გამძლე მასალის წყალობით, სულ ცოტა –, ორი-სამი ასწლეულით გაუკვდავების გარანტიას მაინც იძლეოდა და ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობა მართალთა სულების მიმართ ჩადენილ ნებით თუ უნებლიე ცოდვად აღიქმებოდა..

მიხეილ ჯავახიშვილი ბრძანებს: „ჭირისუფალს წყურვილი ახრჩობს, როგორმე მკვდრის ხსოვნა მაინც დაიჭიროს, დაიბას, ჩაიბეჭდოს. მშიერი დარჩება, მაგრამ საფლავის ქვას იყიდის. აღარ ჩაიცვამს, ოღონდ იმ საფლავს ყვავილები ჩააცვას. უკანასკნელს გაჰყიდის, ოღონდ ძეგლი უყიდოს. იქაურობა ცრემლით მორწყოს და თავის თავთან ერთად სხვებიც აატიროს..."

შნოიანი და შინაარსიანი სიტყვაა „ჭირისუფალი".

მასში ცხოვრებისეულ განსაცდელთან მოკვდავთა დამოკიდებულების ხასიათიც ცხადად ცნაურდება.

ცნება „ჭირისუფალი" იმგვარ მდგომარეობაზე მიუთითებს, როცა, მიუხედავად დიდი უბედურებისა, ადამიანი მარტო არაა. მას ჭირი, ჭირსახდელი ახლავს თან და, ამდენად, „ღარიბად არ იხსენება". იგი ჭირის უფალია (არჩილ მეფე ასე იტყოდა: „დამტირებელთა ვატირებ ჭირისა მე უფალია...").

ჭირისუფლის ვალია, ღირსეულად ზიდოს გარდაცვლილის ხსოვნა, არ მოაკლოს ტაბლა და ლოცვა-კურთხევა არც სადაგ და არც საუფლო დღეებში, ხშირ–ხშირად მოიხსენიოს და შენდობა შეუთვალოს გულსუწადინოდ განშორებულ ოჯახის ნევრსა თუ სისხლისმიერ ნათესავს...

თუკი საფლავის ქვის დაკვეთა და დამზადება მოაგვარა და პირადი ტკივილის მატერიალური განსხეულებით დაამშვენა

მიწის მომცრო, ორიოდ ნაბიჯი სიდიდის მონაკვეთი, შეუძლია ვალმოხდილად ჩათვალოს და დაიმშვიდოს თავი...

ხოლო მოსაწონი, მისაღები, ესთეტიკური თვალსაზრისით ფასეული საფლავის ქვა იოლად არ იქმნება.

ხელოვნების ნიმუშის რანგში „განსახილველი" ქვის ამეტყველება გამოცდილი და გემოვნებიანი ქვითხუროს პრეროგატივაა.

* * *

ისტორიკოსმა შოთა მესხიამ ძველი საქართველოს სინამდვილეში გამოაცალკევა პროფესია, ქვაზე წერის ხელოვნებაში სათანადო გაწრთვნას, გაწაფვასა და დაოსტატებას რომ გულისხმობს. პირებს, რომელნიც ხელოსნობის ხსენებულ სფეროში საგანგებო ცოდნასა და პრაქტიკას იყვნენ დაუფლებულნი, „წამწერელნი" ეწოდებოდათ. მათი ხელრთვის შთამბეჭდავი ნიმუშები ჩვენს დრომდეა შემონახული. განსაკუთრებით ბევრია და თვალშისაცემი ე.წ. „დაქსელვის" ულამაზესი წესით ამოტვიფრული ეპიტაფიები XVI–XVII სს. ქვებზე.

ქრისტიანული ღვთისმსახურების მორალით და ესქატოლოგიური მრწამსით გაჯერებულ ეპიტაფიათა შინაარსი და მხატვრული დონე, როგორც ქართული მემორიალური კულტურის ცნობილი მკვლევარი ელდარ ნადირაძე აღნიშნავს, „ნასაზრდოებია იმ კულტურული მემკვიდრეობით, რომელსაც აყალიბებს საერო და სასულიერო ლიტერატურა, ხალხური სიტყვიერება..."

ეფრემ მცირის სანიმუშოდ სადა და ძალზე ლაკონიური განმარტებით, ეპიტაფია „სასაფლაოზედ წარწერილი სიტყვანია."

ეპიტაფია (ბერძნ. ეპიტაფიოს – საფლავი) ძველ საბერძნეთში თავდაპირველად საფლავზე წარმოთქმულ მწუხარების სიტყვას აღნიშნავდა, ხოლო შემდგომ ამ სიტყვამ საფლავის ლოდზე შესრულებული მოკლე წარწერის მნიშვნელობა შეიძინა... და ასე, თანდათანობით გაჩნდა და გაფართოვდა უტყვი ქვის ურჩ ზედაპირზე გოდების გამხმოვანებელ სიტყვათა ამოკვეთის საყოველთაო პრაქტიკა...

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი თუ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლებისა და სტელების წყება მოწმობს, რომ ქართული ეპიტაფიური შემოქმედება, სულ ცოტა, თხუთმეტი საუკუნის მიღმა იღებს სათავეს.

„ვინ იცის, რა ხნიდან მომდინარეობენ ის მეამიტი სტრიქონები, რომელთაც ჩვენი სოფლის საფლავის ქვებზე ვკითხულობთ?" – სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას ვახტანგ კოტეტიშვილი.

და, მართლაც, ძნელია თქმა, სად და როდის გაჩნდა და ჩამოიმარცვლა პირველი ქართული ეპიტაფია; ვისი (დიდგვაროვნისა თუ მდაბიოს) სამარის ქვაზე ამოკაწრეს თუ ამოკვეთეს ზარიანი სიტყვების შემცველი წინაპირველი სამგლოვიარო ლექსი!..

ხალხის მეხსიერება სამაგალითო სიცხადით იცავს და ინახავს ნაციონალური ზეპირსიტყვიერების რჩეულ, უმჯობეს, აღმატებულ ნიმუშებს, რასაც ვერ ვიტყვით ეპიტაფიის შესახებ. ხნოვანი ხალხური ლექსის ამ თავისთავად, სპეციფიკურ ნაირსახეობას გავრცელების ზეპირი გზა თითქმის არ ჰქონია, რის გამო (ალბათ) ძალზე მრავალი ეპიტაფია საუკუნოდ არის გამქრალი და გადავიწყებული. ხანმოთეულ საფლავის ქვებს ხავსი, სურო და მიწა ფარავს. დრო გადის და უფრო და უფრო ძნელდება მათზე დატანილი მომცრო ლექსების ამოკითხვა და გადმოწერა. მიტოვებულ, უპატრონოდ დარჩენილ, სამნებმოშლილ სამაროვნებთან ერთად მკვრივი ნისლით იბურება უცნობ, უსახელო მელექსეთა ნაივური შემოქმედება...

ზეპირი გზით ეპიტაფიის გაუვრცელებლობის მიზეზი მის კამერულ ხასიათშიცაა საძებარი. კონკრეტული პიროვნების სამარის ლოდზე წარწერილი ლექსი, მხატვრულ სახეთა უაღრესი ზოგადობისა და სტანდარტულობის გამო, მიმოქცევის ვრცელ ასპარეზზე ვერ ხვდება, შექმნის ადგილზევე რჩება და მისი ადრესატის ხსოვნის კვალდაკვალ მკრთალდება, კარგავს „აქტუალობას", სიცოცხლისუნარიანობას და ეფარება თვალს...

ეპიტაფიას აქვს სრულიად გარკვეული, მიზანმიმართული შინაარსობრივი დატვირთვა და ერთობ მდაბალი, „პრაგმატული" დანიშნულება: ძალზე მოკლედ, შეკუმშულად, არსებითი შტრიხების აქცენტირებითა და ხაზგასმით გვამცნოს გარდაცვლილის ამსოფლიური ღვაწლი, დამსახურება და მიზეზი მისი დროული თუ ნაადრევი აღსასრულისა...

ეპიტაფიის ტრადიციული ნიმუშებისთვის ნიშანდობლივია სიუჟეტური გაშლა–განვითარების, სათქმელის ვრცლად გადმოცემისა თუ მომხდარი ამბის დეტალიზაციის მხრივ მაქსიმალური „თავშეკავება".

ეპიტაფია, ამასთან, „კოლექტიური" აზროვნების რელიე-

ფური გამოვლინებაა, უფრო სწორად, მისი აზრობრივი განზომილება თუ სახეობრივი სისტემა ხალხის წიგნიერების, ინტელექტუალური დონისა და მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების შესატყვისია.

ინდივიდუალური ხალხური მელექსე, განსხვავებით პროფესიონალი, „წიგნიერი“ პოეტისაგან, მთელი თავისი არსებით არის დაკავშირებული და „მიბმული“ მასასთან, მისი ცხოვრების წესთან, ყოველდღიურობასთან, მსოფლხედვასა და სულიერ წყობასთან. იგი, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობითი „მძევალია“ იმ სოციალური ფენის გემოვნებისა, რომელსაც ეკუთვნის. მისი მოწოდება და მოვალეობაა, ტრადიცია იმეგზუროს, იწინამძღვროს, წინამორბედთა ზეპირი შემოქმედების თემატურ და იდეურ არეალში იტრიალოს, მათთვის მისაღებ სიტყვიერ სამოსელში მოაქციოს სათქმელი, კარგად ნაცნობ, ნაცად, აპრობირებულ გზაზე გამოსცადოს თავისი პოეტური შესაძლებლობა, ნიჭი და პოტენციალი.

პოეტური ფოლკლორის კანონიკური სტრუქტურის უგულვებელყოფა, სტაბილური ტროპული სისტემის დაშლა, დარღვევა და იგნორირება ჭეშმარიტად „შუმ“ ხალხურ მელექსეს არ შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შემოქმედება აღარ იქნება ფოლკლორული, ამ ტერმინის სწორი, მართებული, ადეკვატური გაგებით. გეზი, რომელიც მას აქვს აღებული, ასწლეულების წიაღში ჰპოვებს დასაბამს. ტრადიციული თუ ტრაფარეტული პოეტური ფორმულებით აპელირება და შაბლონური ფრაზეოლოგიის ერთგულება მელექსისათვის იმგვარივე იმანენტური მახასიათებლებია, როგორიც პროფესიონალი კალმოსნისთვის – სიახლის მოუწყინარი წყურვილი, ნოვატორობის შინგანი მოთხოვნილება, განსახოვნების ახალ-ახალი მხატვრული ხერხების ძიება და თავისთავადობისკენ განიადაგებული სწრაფვა.

იმისდა მიუხედავად, რომ ფოლკლორიზმისთვის სავალდებულო ყველა უმთავრეს მოთხოვნას (კოლექტიურობა, შექმნა-გავრცელების ზეპირი გზა და ა.შ.) ვერ პასუხობს, მაინც შეიძლება ითქვას: ძველი ქართული საფლავის ქვების სიტყვიერი სამკაულის ანუ ეპიტაფიების დიდზე-დიდი ნაწილი ფოლკლორულია იმდენად, რამდენადაც მასში მკაფიოდ ჩანს და იკითხება ყოფნა-არყოფნის „პრიმატიული“ ფილოსოფია და ხალხური კონცეფცია, სიკვდილისადმი ის უშუალო, ბუნე-

ბრივი დამოკიდებულება, რაც პოეტური ფოლკლორისათვის არის თანამდევი და ნიშანდობლივი...

ეპიტაფიას, მწუხარებით გაჭექილ და გაჯერებულ „სიტყვანს", არაა აუცილებელი, მაინცდამაინც აღმავალი რიტმი და ლექსის გრაფიკული სახე ჰქონდეს. პირველ პირში „წარმოთხრობილი" უაღრესად მწირი და ლაკონიური ამბავი, რომელიც გარდაცვლილის ორიოდ ბიოგრაფიულ მონაცემს გვაწვდის და ზოგჯერ მისი სიკვდილის მიზეზსაც მიუთითებს, ეპიტაფიაა. იმ გარემოებას, ტკივილი ლექსად გაფორმდება თუ პროზად, როგორც ჩანს, არ უნდა ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა. მთავარია, ნარწერამ მხილველის ყურადღება დაიმსახუროს და შენდობა აღირსოს „ამა ლოდსა ქვეშე" მდებარე ადამიანს

ეპიტაფიური ლექსის ლირიკული გმირი თავის დათალხულ, უიღბლო, უსიხარულო ცხოვრებაზე მოთქვამს, მის „მედიტაციაში" ხაზგასმულია საწუთროს სიმოკლე, სიმკაცრე და დაუნდობლობა; ისმის გულსაკლავი ჩივილი კაცთა სიცოცხლის უცნაურობასა და შეუცნობლობაზე. ძირეული მოტივები და განშტოებანი ქართული ეპიტაფიური შემოქმედებისა მდგრადია და უცვლელი: უსაზღვრო სამდურავი უხანო სოფლისა, გმობა გულქვა და შეუბრალებელი სიკვდილისა, წუხილი უნუგეშოდ მიტოვებული ოჯახის წევრების გამო, შიშნარევი განცდა ცივ მიწაში „შთახდომისა" და იქ სამუდამოდ დარჩენისა, დაბინავებისა...

ტრადიციული ეპიტაფიის თვითეული სიტყვა თუ ტაეპი აბსოლუტურად დოკუმენტურია და მომხდარი ამბის ობიექტურ დასურათხატებას წარმოადგენს...

სამარის ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფია, ადამიანის ფიგურა და მისი შრომისა თუ საომარი იარაღების გამოსახულებანი ერთურთს ავსებენ, ამდიდრებენ, ესატყვისებიან და, ხშირ შემთხვევაში, სავსებით სანდო ინფორმაციას მიაქვთ მხილველამდე განსვენებულის ვინაობაზე, სადაურობაზე, იმ ხელობასა თუ პროფესიაზე, რასაც ის ფლობდა, მისდევდა და ემსახურებოდა.

ქვათა მხატვრული მორთულობის ყოველი დიდ-პატარა დეტალი, საგანი თუ ელემენტი (ბორჯღალი, სახლის თაღი და სვეტები, ჯვარი, დოქი, გუთანი, ურემი, ცხვარი, ცხენი, თევზი, ყურძნის მტევანი) საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მკვიდრთა მრავალსაუკუნოვან სამეურნეო პრაქტიკას, საქ-

მიანობის სფეროს, ყოფით თავისებურებებს, არქაულ რწმენა-წარმოდგენებსა და კოსმოგონიურ შეხედულებებს ასახავს და უკავშირდება.

ეპიტაფია, გარდა იმისა, რომ გააჩნია თვითკმარი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, უტყუარი და უმნიშვნელოვანესი საისტორიო წყაროა, რომლის წყალობით ადვილად შეიძლება დადგენა, ასწლეულების წინათ ვის ეკუთვნოდა სადღეისოდ სადავო ტერიტორიები თუ სასაზღვრო ზონები ჩვენი ქვეყნის ე.წ. „ცხელ წერტილებში“. სარწმუნოა და დიდად ფასეული ქვათა ღაღადი. შეუძლებელია მისი გაბათილება გამოგონილი არგუმენტებით. ამასთან დაკავშირებით ქართული სიმბოლიკის კვალიფიციური მკვლევარი ირ. სურგულაძე წერს:

„...სწორედ საფლავის ძეგლებია თავიანთი ადგილ-სამყოფელის, ე.ი. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის საუკეთესო დამცველები. მათთვის უცხოა უპრინციპობა და კომპრომისი, რომელიც ჩვენ, – დღევანდელ ცოცხლებს, – გვახასიათებს. უცხოები მათ ანადგურებენ, რადგან მათში გრძნობენ შეურიგებელ მოწინააღმდეგეს, ჩვენთან კი, ამა თუ იმ ფორმით გარიგებას ახერხებენ, მაგრამ მათ ვერ გაურიგდები. ამდენად, მამა-პაპის საფლავის ქვები კარია საქართველოსი“.

შინაარსობრივი ნაირფეროვნებით, მხატვრული ექსპრესიით და, გნებავთ, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უდავოდ განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი აქვს მიკუთვნებული მოსაგონრებს, „მკვდრის ლექსებს“ ანუ, ელ. ვირსალაძის მიერ გუდამაყარში დაფიქსირებული ტერმინი რომ მივიშველიოთ, „ანდერძთ“.

ყოველი კულტურული ერის ხალხურ პოეზიაში საუცხოო სიზუსტითაა ასახული მისი ზეპირი, დაუწერელი ისტორია; აღნუსხულია დიდი თუ მცირე მასშტაბისა და რეზონანსის ლოკალური ამბები და მოვლენები, რომელსაც მეისტორიე, მართლისმოუბარი ჟამთააღმწერი, გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ გადმოსცემდა, თავის თვალსაწიერში ვერ მოაქცევდა.

არ დარჩენილა ქართველთა ცხოვრების არცერთი სფერო თუ მხარე, არც შფოთიანი და არც მშვიდობიანი, მელექსეთა მახვილი მზერა რომ არ მიწვდომოდა; არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად გახმიანებული მოვლენა, ხალხის რიგებიდან გამოსულ „უბრალო“ მგოსანთა თვალთახედვის არეში რომ არ მოხვედრილიყო.

მრავალგვარია მიზეზი, იმპულსი, სარჩული თუ საფუძველი, რის ნიადაგზეც ათეულობით საჩინო, მაღალმხატვრული მოსაგონარი ლექსი ითქვა და გავრცელდა.

განსხვავებით იმპროვიზირებული ნატირლებისაგან, მოსაგონარი ლექსი მის ადრესატად საგულვებელი ადამიანის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იქმნება, რაც „ეხმარება" მის ავტორს (ხშირად ანონიმს, ვინაობაგაუჩინარებულს), აუჩქარებლად, ზედმეტი ემოციური განცდებისგან განტვირთულმა „ამოთქვას" ახლობლის გარდაცვალებით გამოწვეული პირადი დარდი და წუხილი.

ყოველ მოსაგონარს, მსგავსად ნატირლებისა, ცხოვრებისეული სინამდვილე აძლევს დასაბამს. ამ სახის ლექსი პირწმინდად დოკუმენტური ხასიათისაა. შესაძლოა გარდაცვლილის დახასიათებაში მისი პოზიტიური ნიშან-თვისებები უტირებულადაც იყოს წარმოსახული, მაგრამ ზედმიწევნით ზუსტი და უტყუარია ამბავი, რომელიც მოსაგონართა სიუჟეტურ საფანელსა და ხერხემალს შეადგენს. „მკვდრის ლექსის" უჩინარი, უპრეტენზიო ავტორი მართლის თქმის პრინციპის თანმიმდევრული დამცველი და გამტარებელია. იგი ბეჯითად მისდევს სინამდვილეს და ნაკლებ გასაქანს აძლევს ფანტაზიას, თუმცა მხატვრული წარმოსახვის მხრივ სრულ შემოქმედებით თავისუფლებას ავლენს და არ ავალებს თავის თავს მომხდარი შემთხვევის მექანიკური, ნატურალისტური ასლის შექმნას. მოსაგონართა „მათქვამებად" სწორედ ისეთი პიროვნებანი გვეელინებიან (თუკი ცნობილია მათი ვინაობა), სულით ხორცამდე რომ განიცდიან მოკეთე-მეგობართა დაკარგვას და ძალას არ იშურებენ, რათა საკადრისად შეაქონ, სამაგალითოდ დასახონ და დაახასიათონ ღირსეული მიცვალებული.

მოსაგონრებში ქართველი ერის უძველესის რწმენა–წარმოდგენების არაერთი სიმპტომური წახნაგია წარმოჩენილი. ცის მანათობელ სხეულთა ასტრალური სიმბოლიკა თუ ხშული სასუფევლის ქუფრი და ნაღვლიანი გარემო მკაფიოდ არის არეკლილი „მკვდრის ლექსებში". ადამიანის საზღვრული სიცოცხლე განუყოფელია მისი გარემომცველი სინამდვილისგან; მისი მიწიერი, ამქვეყნიური არსებობის ხანგრძლივობა დასაბამშივეა განსაზღვრული და გადაწყვეტილი უზენაეს ბჭეთა ანუ „ბედის მწერალთა" მიერ. და ყოველივე ეს, მაკრო და მიკროკოსმოსის განუყოფელი მთლიანობა, მოვლენათა

ურთიერთკავშირი, ერთ უმთავრეს, უძირითადეს მოტივად იკვეთება მოსაგონართა რკალის ხალხურ პოეზიაში.

ცნება-ტერმინი „ანდერძნი“ ცალსახად მიანიშნებს მოსაგონართა ერთ „თანდაყოლილ“ მხატვრულ თავისებურებაზე: ამ რიგის ლექსთა დიდი ნაწილი მართლაც ანდერძის, ანდა, შეიძლება ასეც ითქვას, დანაბარების სახითაა წარმოდგენილი. მთქმელ-ინფორმატორთა ზეპირპოეტურ რეპერტუარში გარდაცვლილი ქალი თუ კაცი შუამავლის უნარით აღჭურვილი მელექსის ენა-პირით უთვლის და ავალებს ამ ქვეყნად დარჩენილ საკუთარ მეუღლეს, ოჯახის წევრებსა თუ ტოლ—მეგობრებს, რა უნდა მოიმოქმედონ, როგორ უნდა მოიქცნენ, მის სულს რომ არგონ და აამონ საიქიოში.

შენ იცი, ჩემო ლამაზო, იმედი მაქუს შენია,
ნუ დააუქმებ ნამგალსა, კარგა იხმარე ცელია...
ანდა:
ჩემ ცოლს უთხარი, დედაო, სამ წელს იგლოვოს ქმარია...

ასე რომ, „ანდერძთა“ მიხედვით, ადამიანი გარდაცვალების შემდგომაც „განაგრძობს“ ფიქრსა და ზრუნვას სააქაო წეს-რიგზე, მამაპაპეული რჯულისა და ადათის სიმტკიცეზე, ცხოვრების ლიბოდ დადებული ტრადიციების სიწმინდესა და ხელშეუხებლობაზე...

ზოგიერთი მოსაგონრის დასასრული ხალხური ეპიტაფიის ტიპიური ნიმუშია. გარდაცვლილის მონოლოგს („მკვდრის ლექსთა“ ერთი ყველაზე უფრო სპეციფიკური თავისებურება!), პირადი ყოფა-ცხოვრების შესახებ ლაპარაკს, თავისი სიკვდილის დღის დეტალურ აღწერას და ამის გამო მის ახლობელთა მდუღარე განცდების გადმოცემას, როგორც დასკვნითი, ფინალური ნაწილი, მოჰყვება ხოლმე სურვილი, რისი შესრულებაც უდროოდ მიწას მიბარებული ადამიანის ტოლ-სწორებს ევალებათ:

მომიგონიდით, სწორებო, დრო რო გექნებათ სმისაო,
მიყვარდა თქვენთან ქეიფი, ტარება დროებისაო...

არაერთი ჩინებული მოსაგონარია შექმნილი მეცხვარეთა მოულოდნელ სიკვდილთან დაკავშირებით. მეცხვარეების

ცხოვრება და მუხლჩაუხრელი გარჯა ხომ მოულოდნელ ხიფათთან იყო (და არის) წილნაყარი. მომთაბარე მწყემსს განუწყვეტლივ თან ახლდა უცაბედი სიკვდილის ლანდი. სულმოკლე ქურდი, ურჯულო მესისხლე თუ ბუნების არაპროგნოზირებადი სტიქია ძილსა და მოსვენებას უკარგავდა თავდადებულ „მეშრომეს“ (ეს სიტყვა ფიგურირებს ერთ–ერთ ეპიტაფიაში: „ყანავ, მოგიკვდი მეშრომე, გუთანო, ჩამოგეცალე“). ცოლ–შვილს თვეობით მოშორებული მეცხვარე მედგრად ხვდებოდა და უძღვებოდა ყოველგვარ გასაჭირს. თოშსა თუ თავსხმაში ფხიზლად დარაჯობდა ზაფხულობით იალაღების „გამთეთრებელ“ რიცხვმრავალ სამწყსოს და, არცთუ იშვიათად, საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებოდა მომხვდურთან შებმა თუ ხელშეუქცევ სტიქიასთან ჭიდილი...

მე ჩემ სამწყემსოს ვერ დავთმობ, სულ თვალწინ მელანდებაო, – ამბობს საშავეთო გზაზე შემდგარი მეცხვარე, ათასფერად მორთული სამზეო რომ არ ეთმობა და იმგვარად სახავს ვითარებას, თითქოს მის ნება-სურვილზე იყოს დამოკიდებული, შეძლებს თუ ვერა სიცოცხლის გახანგრძლივებას.

მოსაგონართა შორის ველური ლანდშაფტის რომანტიზირებული ხატვით გამოირჩევიან პოეტური ნიმუშები, საჯიხვეებში მავალ და ტრაგიკულად დაღუპულ მონადირეთა თავგადასავალს რომ გვამცნობენ.

მონადირეთა მოსაგონრების წარუშლელი ნიშანი და არსებითი მახასიათებელია ბუნების, სახელდობრ, თოვლ–ყინულიანი საჯიხვეების, პოეტიზირებული ხედვა და მაღალ რეგისტრში წარმოსახვა. სამგლოვიარო ფერისა თუ ხმოვანების მოჭარბებული ნაკადი ოდნავადაც ვერ ანელებს მუხლმაგარი მონადირის არენად წარმოდგენილი კლდე-ქარაფების მიუწვდომელი მშვენიერების განცდას.

ფეხწრიაპიანი მოყმე მიუდგომელი სიმაგრეებისკენ გეზაღებულ „ბერხნი“ ჯიხვების არვეს გაჰყვება და გაცისკრებისას „რქაჯანგიანის“ სისხლით ჩამოაწითლებს თვირთვლიან ქვიშას. „საღირალი“ ნანადირევი სიამაყითა და კმაყოფილებით ავსებს „პიროფლიანი“ მონადირის გულს. ის, იმავდროულად, „მუდამდროს სახელიანია“, მტერს ჯიქურ ხვდება და უშიშრად ერკინება. და რა გასაკვირია, ლექსის ბოლოს მზედაბინდულ ვაჟკაცს ამგვარად მიმართოს ანონიმმა ავტორმა:

ცოდვაა შენი სიკვდილი, ვეფხვო, ჭრელპერანგიანო,
საგიგაუროს იმედო, არწივო მხარკვერიანო...

საქართველოს მთიანეთში ასევე ხშირია ქვასაგორავისგან, ზავისგან თუ აბობოქრებული მდინარისგან ადამიანთა „დალეევის" უბედური შემთხვევები.

განსაცვიფრებელი სიღრმისა და ძალმოსილების ტროპული სახეებით დანაღმულ ხალხურ პოეზიაში მსმენელს ნუსხავს და აჯადოებს სათქმელის არაორდინარულობა, აზრის გამაოგნებლად მოულოდნელი მიმოხრა.

ერთი მაგალითი: შურისგების ჟინით მოცული და ატანილი დედა, რომელსაც საამაყო, საფიცარი შვილი წაართვა მდინარემ, მდუღარედ მოთქვამს:

სხვას კი რას გამოგაჯავრებ, წყალო არ შაგსომ, ტიალო...

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას რანგის მოაზროვნეც არ იტყოდა უარს მსგავსი პოეტური სტრიქონების ავტორობაზე!...

ხალხური მელექსეები განსაკუთრებული დანანებით იგონებენ და გლოვობენ კაი ყმებს, მათ, ვინც უქმად არ ჩამოლია (გავიხსენოთ ვაჟა: „უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს...") ღვთით ნარგენი სიცოცხლის დღენი, იღვანა, იშრომა, იომა და შეურცხვენელი პირით შეაღო სულეთის კარი.

ბრალია მოკვდეს კარგი ყმა, მიწას მაექცეს ძირსაო...

კაცთკითხული, სხვისთვისაც სანატრელი და გამოსადეგი პიროვნების სიკვდილი მარტო მისი ოჯახისა და სანათესაოს დანაკლისი როდია. ის მთელ თემსა და სოფელს უკვდება და ეკარგება, როგორც საიმედო მწყემსი და წინამძღოლი:

სიკვდილი კაის კაცისა ნიადე საწყინარია,
გაწირა თემი, სოფელი, როგორც უწყემსო ცხვარია.

ხარბი და მშიერი, თვალმახვილი და უმონყალო სიკვდილი სხვაზე უწინ კაი ყმას მოძებნის და მიუხტება ხოლმე:

გაოხრებულო სიკვდილო, შენც გიჭრის ორივ თვალია,
ყოველთვის იმას ეცდები, კარგს ყმას გულს დასცე ხმალია...

უაუგო და ბიწმიუკარებელი ცხოვრების სანაცვლოდ, როგორც წესი, სულეთშიაც გამორჩეული პატივისცემით ხვდებიან სასურველ, სანიაზო სტუმარს:

...სათავეს გადაახდინეს, ხელთ მისცეს კელაპტარია,
წინითი სუფრა გაშლილი, დაუდგეს ოქროს სკამია...

მოკვდავთა ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს „ბედისწერა" (ბერძნ. „მოირა"). თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ადამიანს უმწერლოდ თმის ღერიც არ ჩამოვარდება, უსაზღვროდ განვრცობილი და გაღრმავებულია ხალხურ პოეზიაში. რწმენა ბედისწერის უსასრულობისა და ყოვლისშემძლეობისა სრული სისავსითაა გამჟღავნებული მოსაგონართა ციკლის ლექსებში. „მწერალთა წიგნში" გამოტანილი განაჩენის შეცვლა და გაუქმება შეუძლებელია. სასიკვდილოდ განწირულს, როცა „დღე-წერა" დაუდგება, მკურნალნი თუ ქადაგ-მკითხავნი ვეღარაფერს შველიან. ამ დროს ფუჭი და უსაგნოა სხვადასხვა მიზეზის ძებნა და ძიება:

მიზეზს რად ეძებთ სხვადასხვას, დღე-წერა იყო იმისა...

ბედისწერის „პრეროგატივაა", ერთი-ათად გაამრავლებს და გააძლიერებს გვარსა და ოჯახს თუ წილ-ბოლოსა და სახსენებელს დაულევს წუთისოფელში:

მას ვერვის გადაურჩება, რაც მწერალს დაუწერია...

ბედისწერის დოგმატის გაჩენა უშორეულეს წარსულში, პოლითეისტურ ეპოქაშია საგულვებელი. ეს მწვავე, „წყევლა–კრულვიანი" საკითხი არსებობის დღიდან აწუხებს და აფორიაქებს კაცობრიობას. ლოგიკის ენაზე დილემის მეცნიერული ახსნა ვერ ხერხდება. ინტელექტუალთა ყოველი ცდა უქმი და უშედეგოა. ამიტომაც ჩანს უპრიანი და პრინციპულად სწორი ამ საკითხის რწმენის სფეროში გადატანა. ცნობილია,

რომ მართლმადიდებელ ეკლესიას ბედისწერისა არ სწამს. მისი მოძღვრებით, ბედისწერა სხვა არაფერია, თუ არა ნება ღვთისა. განსაცდელი, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს ადამიანს, ღვთის ნების გაცხადებაა. თუ ღმერთს არ სურს, ადამიანი ვერც განსაცდელს აირიდებს და ვერც სანუკვარ მიზანს მიაღწევს. ქრისტიანულად მცხოვრებთა მიმართ ბედისწერა სასიკეთოდ „მუშაობს". მორწმუნე, ღვთის მცნებათა მიმდევარი იშვებს და იხარებს, ხოლო ურჩ, უღმერთო, ურწმუნო კაცს ტანჯვა და წამება არ ასცდება.

უკიდურესი შეჭირვებისა და სიმძიმილის წუთებში, როცა საშველი არ ჩანს და საკუთარი ძალ-ღონის ამარა ყოფნა ამაოა, ყმა, უწინარეს ყოვლისა, თავის მფარველ ღვთისშვილს, თავის სათემო თუ საგვარეულო სალოცავს მოუხმობს ხოლმე:

მიშველე, დიდო პირიმზევ, შენ დამახმარე ძალია...

ლოკალური ღვთაება არასდროსაა გულგრილი თავისი საყმოს რიგითი წევრის ბედ-იღბლისადმი.

ლექსში „სიკვდილი ახალ-უხლებისა", რომელიც მასიურად გავრცელებული უსაშველო ეპიდემიისგან ხევსური ჭაბუკებისა და ახალგაზრდების გაწყვეტას უნდა ასახავდეს, უცნობი ავტორი გუდანის ჯვარზე, „სამოგანძუროს" სამი დიდი გვარის (არაბულების, გოგოჭურებისა და ჭინჭარაულების) საერთო სალოცავზე, ამყარებს ჯერ კიდევ ცოცხალ ახალუხალთა გადარჩენის იმედს:

სიდიდე, გუდანის ჯვარო, მალოცვილი გაქვს ხთითაო,
ჩამოეშველე-ღ საყმოსა, თორემ ძალიან ჭირსაო...

რუსთ ხელმწიფის მოლაშქრე, ყარსის ქალაქს თათრებთან მეომარი ფშაველი ბიჭური უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის ამაზრზენ სურათს ხატავს და თავის ღვთისშვილებს – ლაშარის ჯვარსა და იახსარს – „ეხვეწება" მოხედვას, თანადგომას, თანაც

სამხთოსაც დიდსა უქადებს ხარისასა და ცხვრისასა...

კონტამინირებულ ლექსში „მეფის ერეკლეს ხმალი" ქვეყნის თავს მოვლენილი უბედურების მიზეზად დასახელებულია

წმინდა ღვთისშვილისადმი რწმენის შესუსტება ქართველთა შორის:

ღმერთს ნუ ვინ დაემდურებით, იცოდეთ, ჩვენი ბრალია,
წინანდებურად არა გვწამს წმინდა ღვთისმშობლის ჯვარია...

ამავე ნაწარმოებში მოლაშქრეთა წინამძღოლის რანგში მოვლენილი უფალი ურწმუნოებს უცხადებს:

ურწმუნო, უწამებელო, შენ კი ჩემ არა ხარია...

ხოლო თავის ერთგულთ ამგვარად ამხნევებს და ანუგეშებს:

არა გიშავისთ, მართლებო, თქვენთვის ავდარიც დარია.

მოსაგონარი ლექსი, იმისდა მიხედვით, საქართველოს რომელ კუთხეშია შექმნილი, უცთომლად აღიბეჭდავს ადგილობრივთა ადათობრივ ნორმებს, ქცევას, მოქმედებას, წესებს, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს. ამიერ საქართველოს მთიანეთის ხალხურ პოეზიაში გლოვის რიტუალის ზოგადეროვნულ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ერთგვარი „სამახსოვრო" სახელმძღვანელო ფორმულა, ჩამოქნილი შემდეგ ნათქვამში:

ტირილი ქალის წესია, გაძლება – ვაჟკაცისაო...

ძველ დროში შვილმკვდარი დედა ნიშნად უმწვერვალესი მწუხარებისა მზეს ემალებოდა, საბნელოში („საბნელო – გლოვის კარავი". სულხან-საბა) ჯდებოდა:

დედას რა უყოთ, რევაზო, იმედ აღარ აქვ სხვისაო,
ჩაჯდება საბნელეთოში, გარეთ არ გამოდისაო...

გაუგონარ, სამარცხვინო, თავს ლაფისდამსხმელ საქმედ ითვლებოდა მამრის მიერ მანდილოსანზე ხელის და, მითუმეტეს, ხმლის აღმართვა:

ქისტო, კაცობა შეგირცხვეს, ქალთან იხმარე ხმალია! ...

გლოვა-მწუხარებით ნაქსოვი გარემოს სიმძაფრისა და მასშტაბურობის საჩვენებლად მელექსე ინტენსიურად მიმართავს ბუნების პერსონიფიკაციას, კაცთა ცხოვრებისგან დამოუკიდებელი საგნობრივი სამყაროს განსულიერებისა და ამეტყველების მხატვრულ ხერხს. ამ მხრივ მისი წარმოსახვა უფსკერო და უნაპიროა. ცისა თუ მყარის ნაღვლიანი იერი ადამიანის დარდსა და დაღმავალ სულიერ მდგომარეობას ეთანადება, უენო და უსმენო, უსულო და უგრძნობი საგნები თუ ბუნების მოვლენები გულით იზიარებენ სოფლის მკვიდრთა უკეთურ ბედს და ვითარებისდა შესატყვისად იცვლიან სახეს და ხასიათს.. როცა კაი ყმა ტოვებს იოლად ვერდასათმობ სამზეოს და მოუსავლეთში მიემგზავრება, მღვრიე ღრუბლით დამძიმებული ზეცა საქუხრად ემზადება. მიწას ცრემლთან ასოცირებული ნამი ანდა თვირთვილი ედება, მთაზე მონავარდე ნიავი სამძიმარს ამბობს. უჟამოდ ჭკნება ია და ვარდი; მდინარე ქვითინით მიდის და მიბორგავს, ხოლო ჭიუხები ყინჩად ტირიან; არც ცის მნათობებს ადგათ კარგი დღე: სოფლის სიმშვიდის სარანგად მდგარი ვაჟკაცის სიკვდილის დღეს „მზე წითლად ამოხდება", უკუღმა დაბრუნდება, შუა ცაზე დადგება ანდა ამოსვლას დააგვიანებს; ფერმიხდილ მთვარეს პირი მოსტყდება,ხოლო თავგამეტებით მოჟიკჟიკე ვარსკვლავები ადგილს იცვლიან, „ჩამოიხოშებიან" (ე.ი. ჩამოცვივიან) და საბრალობლად შეთხელდებიან...

ვინაიდან ლექსი, როგორც სულის მოფონების ეფექტური საშუალება, ხანდახან „ტირილის მაგიერია", ნაცნობ თუ სულაც უახლოეს ადამიანზე მოსაგონრის ამოთქმით ავტორი პირად ტკივილსაც შველის და არბილებს. უპირველეს ჭირისუფალთა მწუხარებით შთაგონებული მელექსე გვევლინება ლირიკულ გმირად, ვისაც სუბიექტური განცდებიც საკმაოდ შეაქვს თავის ქმნილებაში:

ამაგის მალექსებელი მეც წილის პატრონ ვარია,
წყალმ დამილივნა ძმა-ზალნი, ქისტეთით ვზიდე მკვდარია...

სამგლოვიარო წეს-ჩვეულებათა მსვლელობის პროცესში წარმოთქმული მწუხარე ლექსები, რომელთა ავტორები, მეტწილად, „უბირი" და უსწავლელი, წერა-კითხვის არ ანდა მცირემცოდნე „გლოვის მგოსანნია", ცრემლოვანი ცერემონი-

ის თანამონაწილეებს ადამიანური განცდების სიღრმით, მხატვრული ქსოვილის ფერადოვნებით (მუსიკათმცოდნე შალვა ასლანიშვილი შემთხვევით როდი თვლიდა ხმით ნატირლებს ხალხური შემოქმედების ყველაზე ხატოვან ნიმუშებად!), ჰარმონიული რიტმულ–ინტონაციური წყობით და, საერთოდ, იმ მოუხელთებელი ხიბლით ანცვიფრებენ, სიტყვიერი ხელოვნების უბერებელ ძეგლებს რომ ახასიათებთ.

„წამი საუკუნოდ გაყრისა" (ნიკო დადიანი) პროფესიონალ მოტირლებში (სამეგრელოში „მათვალარებს" ეძახიან) იმგვარ სულიერ ძვრას იწვევს, ერთიანად რომ მოიცავს მთელ მათ არსებას, რის შედეგად, თავის მხრივ, უაღრესად წრფელი და უშუალო, ყოველგვარი უდღეური სუროგატისგან თუ მდარე ვერსიფიკაციული მანიპულაციებისგან თავისუფალი თავანკარა პოეზია იბადება.

რაფიელ ერისთავის ლექსის „უცნაური მეჭიანურე" სქოლიოში ვკითხულობთ: „წარსულ საუკუნეს თელავში ყოფილა ერთი მოხუცებული მეჭიანურე. ეს თურმე არასდროს არ ერეოდა საზანდრებში, თავისიანების ჭირსა და ლხინში კი მიუპატიჟებლად მივიდოდა, საგლოველს იგლოვდა მოთქმით და თან ჭიანურის დაკვრით და სალხენს ილხენდა და სხვებსაც ალხენდა.

მეფე ერეკლე რომ გარდაიცვალა, მივიდა თურმე ეს უცნაური მეჭიანურე, კუბოს შორი–ახლო წამოჯდა, დაიწყო მწარის სიტყვებით გლოვა და ზედ ჭიანური ააყოლა ხამუშ–ხამუშ და იქ მყოფნი აატირა. ერთი თელაველი მოქალაქე იყო, ზაალ ჭინჭარაული, ეს შენიშვნა იმისი გადმონაცემია."

თელაველი მეჭიანურის „მწარის სიტყვებით" გოდების შთამბეჭდავი შედეგი – „იქ მყოფნი აატირა" – უმდიდრესი ქართული სამგლოვიარო წეს-ჩვეულების უმთავრესი ნაწილის ერთი კერძო, რიგითი, კონკრეტული გამოხატულებაა.

გარდაცვლილთათვის პატივის დამდებ და დამდევნებელ მოტირალთა გულის „გმინში" ხომ იქ მყოფთა საერთო სულიერი განცდისა და განწყობილების ექოც ისმის. მას, ვისაც თვითგამოხატვის ძალა არ შესწევს, მგლოვიარე გულზე მალამოდ ედება და ეფინება ენოვანი დამტირებლის მიერ წამღერებასავით წარმოთქმული ტექსტის თვითეული მუხლი თუ ტაეპი...

„გლოვის მგოსანთა" ლექსად მოთქმა უმძაფრესი სულიერი ტკივილის ტალღებშია გამოვლილი; ხატოვანი აზროვნების თანდაყოლილი უნარი ძნელბედობის მწარე წუთებში შემოქ-

მედებით იმპულსებს აღძრავს და აღვიძებს მათში; ცხოვრებისეული მოვლენა ესთეტიკურ ფასეულობად იქცევა და თაობებზე გადადის, როგორც ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემის ორიგინალური აღქმა,განსჯა და მხატვრული ინტერპრეტაცია.

განასხვავებენ დატირების რამდენიმე ნაირსახეობას. ესენია: „ხმით ტირილი", „მოთქმა", „ძახილით ტირილი", „სულით ტირილი", „სულთანობა" და „თვალვა" ანუ „დათვლა".

თვითეული მათგანი რიგი ნიუანსობრივი მახასიათებლებით გამოირჩევა.

სახელდობრ: ხმით ტირილში ერთი პირის ხმამაღალი იმპროვიზაცია იგულისხმება; „მოთქმა": გარდაცვლილის დადებითი თვისებების ჰიპერბოლიზებული ჩამონთვალია; „ძახილით ტირილს" რამდენიმე პერსონა ასრულებს – ერთი იწყებს და სხვები ბანს აყოლებენ; „სულით ტირილი"მოტირალში დროებით ჩასახლებული მიცვალებულის სულის პირადი სატკივარის ხმიერი გაცხადება; „სულთანობა" ქადაგობის ელემენტების შემცველია ანუ ისეთი მოვლენა, როცა მესულთანე გარდაცვლილის სათქმელ-საწუხარს ქადაგობის სახით გადმოსცემს; „თვალვა" ანუ „დათვლა" უცრემლო დატირება, რომელსაც არახმითმოტირალი ქალები ანდა, იშვიათ შემთხვევაში, მამაკაცები ასრულებენ. „თვალვა" მოკლებულია იმპროვიზირების პოეტურ მანერას და განსვენებულისადმი სადაგი სამგლოვიარო სიტყვებით მიმართვას წარმოადგენს...

გლოვის პროცესში ზეპირად წარმოთქმული პოეტური ტექსტებისაგან განკერძოებით დგანან „ზარი", „ზრუნი" და „დალაი" – სვანეთში, რაჭაში და თუშეთში გავრცელებული გუნდური სამგლოვიარო სიმღერები, რომელთაგან „ზარსა" და „დალაის" მამაკაცები ასრულებენ. „ზრუნის" თქმაში უპირატესობა ქალებს ენიჭებოდათ. „ზრუნს" მამაკაცი მაშინ „დაიძახებდა", როცა ძალზე გულმტკივანი იყო ახლობელი ადამიანის გარდაცვალებით...

დასახელებულთაგან ექვსი – „ხმით ტირილი", „მოთქმა", „ძახილით ტირილი", „სულით ტირილი", „სულთანობა" და „თვალვა" ანუ „დათვლა" – ხმიერების მაღალი რეგისტრით ხასიათდება და, გამომდინარე აქედან, არ უნდა იყოს დიდი უზუსტობა, თუკი მათ საერთო სახელწოდების – „ხმით ნატირალები" ქვეშ გავაერთიანებთ.

მოტირალის, ანუ, შეიძლება ასეც ითქვას, ხმით ნატირლების ლირიკული პერსონაჟის უპირველესი მახასიათებელი გახლავთ ის, რომ თავის შემოქმედებით ნიჭსა და უნარს უშუალოდ გლოვის პროცესში ათვალსაჩინოებს იმპროვიზირებული პოეტური ტექსტის სახით.

მას არ „ეშინია" გამგონისა და მაყურებლის „კრიტიკული" თვალისა; არაა შებოჭილი წინდაწინ მოფიქრებული სათქმელის ხიბლიან მხატვრულ სამოსელში გამოწყობის ფარული განზრახვით. მას ემოციური გარემო ძალდაუტანებლად ალაპარაკებს გარდაცვლილის პიროვნულ ღირსებებზე, მის საქებ, საგმირო, სასახელო ნამოქმედარზე.

ხმით ტირილი ყველას არ შეუძლია. მოტირლობა, მსგავსად პოეტობისა, რჩეულთა ტკბილ-მწარე ხვედრია. მისი „ნაძახინარი" აღბეჭდილია ბუნებითი ნიჭიერებისა და პროფესიონალიზმის აშკარა ნიშნით...

გარდა იმისა, რომ თავისი იდუმალებით მოგვთა და მისანთა მსგავსი ხმითმოტირალი მისდაუნებურად საკუთარ პორტრეტს „ძერწავს" – ქმნის ინდივიდუალურ სახე-ხასიათს, დარდის მორევში მოლივლივე სულის ფიზიონომიას, ამავე დროს, ხელშესახები სიცხადით გამოკვეთს „გლოვის მგოსანთა" კრებით ხატს:

რა კან რანიმ ვართ, მოტირლებოო,
დავსხდებით, დავიმწუხავთ თვალთაო,
დავიწყებთ ტანჩი ცხროობასაო,
ჭირის პატრონს ეგ არ მიზდისაო,
დღეია, ღამე ღგონავისაო...

ნატირალის ციტირებულ ნაწყვეტში ნათლად იკითხება ერთგვარი თვითირონია და გულუსრულობა გარემოტირალთა მწუხარების დაბალი „ხარისხით"; იკითხება წრფელი წუხილიც იმის გამო, რომ შეუძლებელია სხვათა ჭირ-სატკივარის მაქსიმალურად გაზიარება და გათავისება. რაც უნდა ეცადოს, გარდაცვლილის შვილს, მშობელსა თუ მეუღლეს მაინც ვერავინ გაუთანაბრდება დარდსა და ვაებაში. ჭირისპატრონი, ვისთვისაც სიკვდილს დღე ღამით შეუცვლია, ერთადერთია, ვინც მთელი თავისი არსებით გრძნობს და ხედავს ხელის გაწვდენაზე გაჩენილ ამოუვსებელ საცარიელეს, განიცდის, ტრაგედიას, რომელსაც სულის და სხეულის ნაწილის დაკარგვა ჰქვია.

ხმით ტირილი – იმპროვიზირებული ხასიათის შემოქმედებითი აქტი – ბუნებრივად ითავსებს, იტევს და გულისხმობს შთაგონების მომენტს. ნებისმიერი რიგიანი, მაღალი რანგის მხატვრული ნაწარმოები ხომ თავისებური ექსტაზის, არაორდინარული სულიერი განწყობის ჟამს იბადება. მართალი პოეზიის უშრეტი სათავე, უპირატესად, ადამიანური სევდა და ტკივილია; სულის ამწეწი და განუქარვებელი ნაღველია ის სუფთა საფანელი, რაზედაც ფხიანი ფრანგულივით მჭრელი პოეტური სტრიქონები იჭედება. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყნად რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა“.

ქვეყნად ადამიანის მოვლინება პერსპექტივაში კიდევ ერთი სიკვდილის გაჩენასაც გულისხმობს. „ადამიანის სიკვდილი იწყება მისი დაბადებისთანავე. უკეთ, იგი ცოცხლობს და კვდება ერთსა და იმავე დროს“, – ამბობს ნეტარი ავგუსტინე.

სიცოცხლის ძარღვსა თუ ნაპირს ხარბად ჩაფრენილ, ჩაბღაუჭებულ მოკვდავს უმძიმს იმ აზრთან შეჩვევა და შეგუება, რომ ოდესმე, ადრე თუ გვიან, ისევე, როგორც „დღე დაუღამებლად არ დარჩება“, მისი ფიზიკური არსებობაც პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოს; უმძიმს და ათასგვარ გზას ეძებს ბედისწერასთან თუ ღვთისმიერ განაჩენთან დასაზავებლად.

ხმით მოტირალი გარდაცვლილი პიროვნების პოზიტიური თვისებების წარმოჩენას ცდილობს და, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, თვალს არიდებს მისი განვლილი გზის კნინ, ზადოვან მონაკვეთებს.

ერთ ნატირალში ნათქვამია, რომ „კაცი მამკვდარი გაკარგდება“.

ნატირალის შიდა შრეს მსჭვალავს გულისტკივილი იმის გამო, რომ სიცოცხლეში დაუფასებელ, ბეჩავ, შეუმჩნეველ კაცს სიკვდილის მერე აცმევენ „სკლატის“ ჩოხას. „მდაბიოთა ერისაგან“ (თეიმურაზ ბატონიშვილისეული დახასიათება რომ მოვიშველიოთ) მომთქმელს არც ამ შემთხვევაში ღალატობს ობიექტურობა: მან იცის ყადრი სიმართლისა და არ სურს, მიცვალებულს მიაწეროს ისეთი რამ, რაც მისთვის შეუფერებელია...

ხმით ნატირალის ავტორს (ლირიკულ გმირს), მისივე აღიარებით, არ შეუძლია ღირსეული ვაჟკაცის საკადრისად დატირება. (გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების გამო გიორგი მცირე ბრძანებდა: „ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყ-

ვისა, რომელი-იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმითა რაჲთამე საკრველითა რკინისაჲთა შეკრულ არს...“).

მოჭარბებული განცდა, მწუხარება იქნება ეს თუ ნაუცბათევი სიხარული, ადამიანს ამუნჯებს და უკარგავს შესატყვის ენობრივ განზომილებაში თავისი სულიერი მდგომარეობის გადატანის უნარს...

ფრაგმენტი ხევსურული დატირებიდან:

ძმაო, კარგა კი გიტირებდიო,
ცრემლის ლოპო მაქვ დალეულიო...

„ლოპო“ ჰქვია ხის ქერქის შიდა მხარის სისველეს, რომელიც, ჩვეულებრივ, გაზაფხულზე ჩნდება ხოლმე (გავიხსენოთ: „ხეში წყალი ჩადგაო...“). ცრემლის შედარება ხის ნაჟურთან თავისთავად მეტყველი მხატვრული სახეა. და რაც ამჯერად კიდევ უფრო საგულისხმოა: ნატირალი ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის ლირიკული სუბიექტის სულიერ მდგომარეობაზე. დას არ შეუძლია ღვიძლი ძმის „კარგად“ დატირება, რადგან ცრემლი აქვს გამშრალი, ანუ, სხვაგვარად, ცრემლის „ლოპო აქვს დალეული“...

ხევსურეთში აუგად, არსასახელო საქციელად ითვლებოდა ცოლისგან ქმრის დატირება. ჭირისუფალს თავშეკავება, ცრემლის მალვა, „ჭირთა შიგან“ გაძლება და გამაგრება მართებდა, მაგრამ ამას ყველა როდი ახერხებდა. იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც ირღვეოდა დაუწერელი თემური ადათით გათვალისწინებული ქცევის ნორმები. მოტირალმა იცოდა, რომ მისი სიტყვა და მოქმედება დამსწრეთა შორის უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა და „თვითდაზღვევის“ მიზნით მოთქმის დაწყებისთანავე აღნიშნავდა თავისი არაკორექტულობის უხერხულობას:

გამიცინებენ ლაღნი კაცი,
ყმაწვილ-ყმაწვილნი უმეცარნი, –
ქმარს ტირის ტოლათ შუქიაი,
შვიდის კვირაის ახალზალი..

იმპროვიზაციის ჟამს მდუღარე ცრემლით „სახედასეტყვილი“ მანდილოსანი შაოსან მსმენელთა შორის ეძებს თანამგძრნობელს, დარდისა და უსაზღვრო სულიერი სალმობის გამზია-

რებელს; ბოლო წლებში გარდაცვლილის გახსენებით ქმნის მძიმე, დამზაფვრელ სამგლოვიარო სიტუაციას... საიქიოს სამარადისო ბინადართა მოგონება დროებით მიყუჩებულ ტკივილს აღვიძებს და საერთო საფიქრალს უჩენს მწუხარე რიტუალზე თავშეყრილ ქალებს... დედროვნისადმი „გულგამოკლული“ („გული გამოკლა, მოტირალნო...“) მოტირალის რიტორიკულ მიმართვაში გამოსჭვივის ქვეცნობიერი წადილი თუ წყურვილი სუბიექტური საგოდებლის განზოგადებისა, თანასოფლელთა და სტუმართა შორის თავისი ჭირ-ვარამის განფენისა, „გადანაწილებისა“.

ნატირალთა ერთ წყებაში ლირიკული გმირი ქვეყნიერების მანათობელ მზეს ახედავს და ევედრება, „დადგეს და დაგვიანდეს“, რათა ცოტათი კიდევ გაიხანგრძლივოს სამარის კართან დასვენებული, „უმზეურთ“ სოფელში გასამგზავრებლად მზადმყოფი შვილის გვერდით ყოფნის წარმავალი წუთები:

მზეო, დადეგ და დაგვიანდიო,
მზე სდგეხარ უკენობისაიო,
ვიყრებით დედაშვილობითაო,
მამშვიდობებენ ბერდიასაო...

„ხევსურული სამგლოვიარო პოეზიის მხატვრული სახე – „მზეო, დადეგ და დაგვიანდი“ – აღნიშნავს ფოლკლორისტი ჯონდო ბარდაველიძე, ძველი მხატვრული აზროვნების ბუნებრივი განვითარების ნაყოფია და თავისი სიღრმითა და გააზრებით თამამად უტოლდება პოეტური შემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებს“.

დღის მნათობისადმი მოტირალის მავედრებელი მიმართვის ნატიფ პოეტურ ფორმულას, გარდა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებისა, უთვალსაჩინოესი აზრობრივი დატვირთვაც ახლავს: მიცვალებული გზით უნდა წავიდეს იმ ქვეყნად, მზის ჩასვლამდე უნდა დაიკრძალოს („აჩქარდი, მზით წადი სამუდამო სამყოფელჩიო...“). ჭირისუფლისთვის წარმოუდგენლად მძიმეა განსვენებულთან სამუდამოდ განშორება, სურს მოთქმა–ტირილით გულის შეჯერება, მოოხება და სწორედ ამიტომ ემუდარება უკენობის (ე.ი. საბოლოო) მზეს ცაზე შეყოვნებას, დაცდას და დაგვიანებას. გაფიქრება იმისა, რომ მნათობის გადახრას, სასაღამოოდ მის მიდრეკას და დაღლილი დღის გალევას საყვარელ

ადამიანთან საუკუნო დამშვიდობება მოჰყვება, ტრაგიკული ტონალობით მსჭვალავს ლირიკული გმირის იმპროვიზაციას:

დაიცა, მზეო, ნუ ბრძანდები,
დაიცა, დღეო, ნუ ღამდები,
და-ძმათ ბევრი გვაქვ სასაუბრო...

ხალხური რწმენით, მზის ჩახდომის შემდეგ მიცვალებულის დატირება „ხთისად უკლოობის, უბედურების თხოვა" იყო, ამის გამო ენუკვიან მოტირალნი მზეს, რაც შეიძლება გვიან „დაბრძანდეს".

სხვათა შორის ნინო ქართველიშვილის მიერ ვაჟა-ფშაველას დატირებაშიც გაკრთება მზისადმი მოტირალთა ეს შაბლონად ქცეული ტრადიციული მიმართვა:

დაიცა, მზეო, არ დაბრძანდე,
ღამით მე ვერას გავარიგებ,
ვინა თქვა, ვაჟა აღარა გვყავს,
ცა-დედამიწამც დაქცეულა...

ღირსეულ მიცვალებულზე იტყოდნენ, „შუქი ჩაკრიფა მზისაო", რაც ფიგურალურად იმას ნიშნავდა, რომ მზის – წარმართული ღვთაების – ბადალი იყო და ნიშნად თავისი მემეტეობისა მზის შუქი თან ჩაიყოლა, წაიღო და წაინილკერძა საიქიოში...

დამტირებელთა მედიტაციებში „უნდობარი" საწუთროს გმობასა და სამდურავს თან სდევს რწმენა იმისა, რომ ადამიანის ცხოვრება, რაგინდ ლუგუმი და ძირმწარეც უნდა იყოს იგი, მაინც ლამაზია, ადვილად ვერდასათმობია და „სიტურფით ჰყვავის". ცოდვა-მადლიანი წუთისოფლის ხანმოკლე სტუმარს, რახან არსებობს და ცოცხალთა სიაში წერია, ყოველგვარი ჭირსახდელის ატანა მოეთხოვება და დარდს ადვილად არ უნდა გაეთელვინოს...

არაერთ ნატირალში წკვარამის დამლეწავი სხივივით კრთის კანთიელი რწმენა და შეგნება იმისა, რომ სიცოცხლის ნარეკლიანი შარა უსასრულოა, მემკვიდრეობითობის ჯაჭვი – მთელი, უწყვეტი და რომ მომავალში ყმანვილკაცი დაადგება მამის ღონივრად და ღირსეულად განვლილ გზას:

რას სტირი, ჯალაბაურთ ქალო,
მგელს ლეკვნი კიდევ მორჩომიან,

დაიზრდებიან მგლის ლეკვები,
მამის ნადგომზე დადგებიან...

არყოფნის ალაყაფთან ბასრ ქვაში ნაკვეთი ქანდაკივით მდგარი, საწუთროს სიავისგან დაუნანებლად ნატანჯი მოტირალი, ბოლომდე რომ შერჩენია უმაღლესი ადამიანური განცდების უბადლო ლექსად გარდათქმისა თუ გადადნობის ზებუნებრივი ნიჭი და უნარი, ემოციის მძლავრ ნაკადში განზავებული შეუდარებელი სახიერებით ქმნის და სრულყოფს საკუთარ შემოქმედებით პორტრეტს:

დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა,
ვარ ორის ჯოხით მოარული...
აბა, გაიხედნეთ ჩემ ნავალსა,
ცრემლით არიან დასეტყვილნი;
აბა, დაჰკვლიეთ გზა-გზის პირთა,
ცრემლით არიან დარეცხილნი!
ცეცხლი მაქვ გულზე მოდებული,
ტუსის სულ ასდის ჩემ ცრემლსაცა,
დავდივარ დამწვარ-დადაგული...
ღმერთმა დასწყიოს ცრემლი ჩემი,
ღორღივით არი, ხალხო, მძიმე!
მე თავადა ვარ სატირალი,
მე თავადა ვარ დაღონება, –
ხმელეთზე ფეხით მოარული...

* * *

მთიელ ტომთა ყოფის ყაიდამ მაწიერი ნიადაგი შეამზადა საგმირო თემატიკის მომცველი ხალხური პოეზიის ჩასახვისა და განვითარებისათვის...

საქართველოს ძნელბედობამ დროთა განმავლობაში გამოკვეთა ნათელმოსილი სახე სამშობლოსთვის თავდადებული კაი ყმისა, ვისი სიმამაცე, საომარი სულისკვეთება და ძალღონე თანამიწაწყლელთა საკეთილდღეოდ იყო მიმართული...

თავნება სიკვდილის ულმობელი ფაქტი ერთიორად ზრდიდა და ამძაფრებდა ხალხის სმწუხარებას და, ამასთან, სიყვარულსა და პატივისცემას, თემ-სოფლის მოდარაჯე საიმედო

ვაჟკაცისადმი. ასეთი სიკვდილი (მეტწილად მტრის ხელით) კუთხის თუ რეგიონის საერთო უბედურებად, საერთო დანაკლისად აღიქმებოდა...

პირადი ინტერესებით მოზღუდული პერსონებისგან ბრძოლებში მაშვრალი კაი ყმა ბევრი რამით განსხვავდება და გამოირჩევა. მისთვის კაცური ღირსების განსაზღვრელი აუცილებელი პირობაა სინდის-ნამუსისა თუ სახელ-სირცხვილის მოფრთხილება და შეუბღალავად დაცვა. იგი თვისტომთა ზნეობრივი სიმთელის, თანამემამულეთა მორალური სიწმინდის ებგურად დგას და თავდაუზოგავად იღწვის ადათობრივი ნორმების ხელმყოფთა, გვარის „მომყივნეთა" თუ მამა-პაპის წმიდა სახელების მთხრელთა და მაგინებელთა წინააღმდეგ ...

კაი ყმის ნათქვამ-ნამოქმედარს წარუვალი ღირებულების ზნეობრივი მაგალითის ძალა გააჩნდა. მისი წყალობით სწავლობს ჯერაც უწვერული ყმა უფროს-უმცროსობის დაუწერელ წესს, ავ-კარგის გარჩევას, მოყვასის დაფასებასა და მტერთან მტრულ მოქცევას, სამშობლოს უგონო, უპირობო სიყვარულს... ამიტომაც დაჰყოლია ხმით ნატირლებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა... არაა შემთხვევითი, რომ ალ. ყაზბეგი „ზარის" დანიშნულებაში დიდაქტიკის ძველთაძველ ტრადიციას ხედავს და ამ ტრადიციის შენახვა-შენარჩუნების აუცილებლობას ქადაგებს...

ცნობილია, რა განუზომლად მასშტაბურ შინაარსს დებდა და გულისხმობდა ვაჟა-ფშაველა სინტაგმაში „კაი ყმა", როგორად წარმოედგინა სხვისთვის გარჯილი („სხვისა იუბნოს სახელი..."), ნაჯაფი, ცდაში ნაწრთობი, ბევრჯერ სიმწარენაწვნევი და ომში დახარჯული იდეალური გმირის ზოგადი სახე ... ამის საუკეთესო ილუსტრაციაა მისი შედევრი „კაი ყმა".

ხმით ნატირლების რამდენიმე ტიპიურ ნიმუშში მკაფიოდაა ჩამონაკვთული და წარმოჩენილი კაი ყმის როგორც გარეგანი იერი, ისე მისი სულიერი სახე.

როგორც თავ-ბოლო გამაგრებული, მკვიდრად ნაგები ციხე-სიმაგრეა სასო და ნუგეში მომხვდურის გარემოცვაში მყოფთათვის, ისე კაი ყმა, ჩაუქი ვაჟკაცი, ვინც, საგმირო ლექსის ენით, „მთელის თემობის კარია". უკეთესთა მჯობნი მოყმის სიკვდილი თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობის დაქცევას უტოლდება, სიმაგრის ჩამოშლა კი ავი მომავლის, მტრისგან ძლევის მაუწყებელია.

ციხე დაგვეცა, ქალო-დ ზალო,
ჩანვა როსტომი მიწაშია...

ხანდახან ციხის მაგივრად საომარი იარაღი ფიგურირებს:

ხმალო, ვადაში გადამტყდარო,
დედის იმედო, საფიცარო...

საომარ იარაღს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროდან გამოხმობილი არსებანი ენაცვლებიან:

ვეფხვო, დაჰყარე იარაღიო,
არწივმა დაიჭუჭკვენ მხარნიო,
ჯიხვო, საწოლთით გადმაღვარდიო,
ირემო, დაინაყენ რქანიო...

„ომით მაშვრალი" და „სისხლით მთვრალი" კაი ყმა ყოველთვის ვაჟკაცობაზე, სახელის მოხვეჭაზე, ანდრეზად სათქმელ საგმირო თავგადასავლებზე ფიქრობს; იგი გულცივია „საქვეყნო გრძნობებისადმი", ნივთიერი კეთილდღეობისადმი ანუ, როგორც ვაჟა იტყოდა, „არ ეხარბება თვალიო"; მუდამ მზადაა, პირველი შეეგებოს შიშველ ხმალსა თუ ცხელ ტყვიას; საორბედო ბრძოლაში გაცინებული პირით შევიდეს, მტერი დაჯაბნოს, მოიგერიოს, ანდა განგმიროს და საკუთარი სისხლის ფასად იხსნას განსაცდელიდან მოძმე და მოყვასი...

სანარჩევო ხმით ნატირლები საზოგადოების ისეთ წევრთა გარდაცვალების გამოა შექმნილი, რომელთაც თავიანთი ხანმოკლე სიცოცხლით წარუხოცელი კვალი დატოვეს თანამედროვეთა ხსოვნაში და მიწყივ სახსენებელ სახელებად აღიბეჭდნენ შთამომავალთა შეგნებაში.

ხმით ტირილი, როგორც ავთენტურ ზეპირპოეტურ შემოქმედებაში უაღრესად საგულისხმო, შეიძლება ითქვას, უნიკალური მოვლენა, არაა სტიქიური, განურჩეველი პროცესი. მოტირალთა შთაგონების სათავე და ლექსად „ზრახვის" მიზეზი სრულღირსებიანი ადამიანის სიკვდილია, დაკარგვა ისეთი პიროვნებისა, მუნჯსაც რომ ენას ამოადგმევინებს და აამეტყველებს ...

ჰო, კარგ რო არი, იმით ვიტირი,
ცუდას ვინ რაად აახსენებს...

გლოვის მგოსნებს ყველა გარდაცვლილი როდი მიაჩნიათ დატირების ღირსად. მათი თქმით,

უსახელოსა ჭაბუკსა არა სტირიან ქალები...

პოეტი-იმპროვიზატორი თავს ვალდებულად თვლის, თქვას მხოლოდ სიმართლე, იყოს მიუკერძოებელი, ობიექტური და ყველას საქვეყნო დამსახურებისდა მიხედვით მიაგოს კუთვნილი ქება და პატივი...

* * *

ხმით ნატირლები იმარხავენ, აცოცხლებენ და ინახავენ ლოკალურ ამბებს, ხშირად ძალზე მკრთალსა და ნაკლულს, რომელთა შუაგულში „თვალჭრელი" თუ „თმაყვითელი" სანდომიანი ქალები დგანან.

აღსანიშნავია ერთი რამ: რაოდენობრივი თანაფარდობა ქალთა და მამაკაცთა გარდაცვალების ნიადაგზე „ნათქვამ" ხმით ნატირლებს შორის აშკარად „დარღვეულია": ვაჟებს ბევრად მეტი (და აღმატებული) ნატირალი ეძღვნებათ, ვიდრე ქალებს. მიზეზი ამგვარი ვითარებისა ნათელია: ხმით ნატირალთა ერთი ძირითადი მხატვრული ფუქცია (და პრაგმატული დანიშნულებაც!) ხომ ველზე დაღუპული ვაჟკაცების შესხმა და მათი სანიშანსვეტო წარსულის გაცხადებაა. მართალია, თავისი „დღე–წერით" გარდაცვლილთაც დასტიროდნენ ლექსად, არც სტიქიას შეწირულ საიმედო ახალგაზრდებს აკლებდნენ და ამადლიდნენ საფერ სიტყვას, მაგრამ მაინც, მომთქმელთა გაცილებით მეტ ყურადღებასა და სიმპათიას ლაშქრობაში, მზირსა და მეკოპარში სახელის მომპოვებელი კაი ყმები იმსახურებდნენ...

ქალთა როლის ხვედრითი წილი მთიელთა ჰეროიკულ ისტორიაში შედარებით უჩინარი და უმნიშვნელო იყო, ამიტომაც ისინი ნაკლებად ხვდებოდნენ საგმირო–სამგლოვიარო ჰიმნების ჯადოქარ ავტორთა თავისებური ორატორული ხელოვნების ორბიტში...

ხმით ნატირალი გარდაცვლილ ქალს, პირველ რიგში, მისი

ქალური ღირსებების გახსენებითა და ჩამოთვლით ამკობს და ალაზათიანებს. არ უვიწყებს სიკეთესა და სათნოებას, მცნობთა და ახლობელთა შორის რომ დაუთესია. ამასთან, შეახსენებს მოვალეობას, საიქიოში შესულმა რომ უნდა შეასრულოს: თუ მოტირალთაგან ერთ-ერთი თავისი უწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობას სთხოვს, მეორე, პირიქით – ეხვენება, რომ ყური არ უგდოს მისი უმეცარი ყმაწვილების ტირილს, არც პურ-წყალი მიაწოდოს, ვინაიდან „დღებნელი" დედა „ჟამკარარეული" განირეს სამზეოზე და ამის გამო შებრალების ღირსნი არ არიან...

გარდაცვლილი ქალის მოტირლისეული შეფასების კრიტერიუმი ყოველთვის როდი ესატყვისებოდა მთიელთა ძირძველ რიტუალებთან დაკავშირებულ ტრადიციებს. ერთი ხევსურული ხმით ნატირალი ასე იწყება:

გიტირებ, ჩემო მამიდაოო,
კუკუმაურო ჯიშიანოო,
ჯვარჩი ჴელოსანთ ასატეხოო,
მთაჩი მთიბლების სამღერალოო...

მართლაცდა, რაოდენ ავტორიტეტული უნდა ყოფილიყო ქალი (მხოლოდ ჯიშიანობა მას ვერას არგებდა, ჯიშიანი სხვაც ბევრი მომკვდარა!) ხატის მსახურთ („ჴელოსნებს") მრევლის უწმიდეს თავშესაყარზე მისი სახელი რომ აეტეხათ, ხოლო „გვრინში" ეხსენებინათ! ...

მთაში, სადაც წლიური სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად განეული მძიმე ფიზიკური ჯაფით წელში წყდებოდა მეურნე გლეხი, ოჯახის რჩენა, მასთან ერთად, სინაზისა და სილამაზის დამთრგუნველ ტვირთად აწვა ქალის სუსტ მხრებს.

მკაცრ კლიმატურ და ბუნებრივ პირობებში ხელმოკლე ჯალაბის მატერიალურ მდგომარეობას დიაცის გარჯაც დიდწილად განსაზღვრავდა. დაბლობ ადგილებში – მდინარის პირას თუ სახლ-კარის სიახლოვეს – ქალები ხენცლავდნენ ბალახს, ხოლო ციცაბო ფერდობებზე ხელით თიბვა მამაკაცების საქმე იყო. მამრთა მოვალეობას შეადგენდა ასევე საქერსვილე ყანების ხვნა და თესვა... მაგრამ იყვნენ ქალები, მარჯვედ და რიგიანად რომ უძღვებოდნენ მამაკაცთა სამეურნეო საქმიანობას. და ეს ღირსებად ეთვლებოდა მათ. სიცოცხლეში თუ არა, სიკვდილის მერე მაინც ეტყოდნენ ამის გამო საქებარ სიტყვას...

მოტირალი მოხდენილად ახამებს ერთმანეთთან ორ სა-

პირისპირო, გარკვეული გაგებით, ურთიერთგამომრიცხავ მხარეს – საიქიოს სამკაულად ქცეული მანდილოსნის ციურ მშვენიერებას და მისი ჰაეროვნებისთვის შეუფერებელ მძიმე ფიზიკურ შრომას:

...შატილ ნარჩევო ქალებჩიაო,
გუროს მასკვლავო დედაჩიაო,
ცელით მთიბელო, ყანათ მჴნავოო,
ნამჴრევჩი მეკაფიაეოო...

მაგრამ ეს მაინც გამონაკლისია.

ზოგადი სურათი კი ასეთია: გლოვის მგოსანთა მარაგიან მოთქმაში ვაჟკაცი „ომის კარ" გამოჩენილი სიმამაცით, მშობელი ხალხის სარგოდ და სასიკეთოდ გაღებული ჯან-ღონით, თოფის და ხმალ-ხანჯლის მოხერხებული ხმარებით ფასობს, ხოლო ქალს დედობა, შრომისმოყვარეობა და საქსოვ-საქარგის საიდუმლოს ცოდნა ამშვენებს...

* * *

ხმით ნატირლებში თვითკმარ ნაკადად იკვეთება ნიმუშები, რომელთა სტრიქონებს მცირენლოვანთა გარდაცვალებით გამონვეული მწველი მწუხარება მსჭვალავს. უმანკო და უცოდველი, ცხოვრების ავ-კარგში გაუთვითცნობიერებელი ბავშვის დაკარგვა უშტარი ბედისწერისა თუ ყოვლისშემძლე განგებისადმი სავსებით გასაგებ სამდურავს აღძრავს ჭირისუფალთა დამდუღრულ გულებში...

ბავშვის დატირება გარკვეული სირთულის წინაშე აყენებს პროფესიონალ მოტირალს, რაც, თავისწილ, ამ რიგის ტექსტთა რაოდენობრივ სიმცირეს განაპირობებს. ზრდასრული თუ ხანმოთეული ადამიანის იმქვეყნად გასტუმრება შესაფერისი სიტყვიერი დახასიათების თანხლებით მომთქმელს დიდად არ უჭირს, რადგან, ავად თუ კარგად, იცის მისი წარსული, საამსოფლო ღვანლი და დამსახურება. ყმაწვილის დატირებაში, ამ მხრივ, უკიდურესად შეზღუდულია პოეტური რეცეფციის არე თუ ასპარეზი. რა უნდა ითქვას მასზე, ვინც თვალის ახელაც ვერ მოასწრო და, მსგავსად ცივ და ნაადრევ გაზაფხულზე აღმოცენებული ყვავილისა, ულმობლად გათოშა და მოაშთო ნუთისოფლის სენმა თუ სუსხმა...

ერთი თუშური ნატირლის თანახმად, შორია გზა სულეთისა, სადაც „მიწისფერდებულთა“ ანუ გარდაცვლილთა სამკვიდრებლის ახალ წევრს წინ ხვდებიან ქვეითი თუ ცხენოსანი „მგებრნი“, დედისძმები და მოგვარეები, რომელნიც თავ-თავიანთ „ანდაბში“ (ერთი გვარის სულთა სამყოფელში) აწვევენ უსუსურ, უმწეო, შიშით დაზაფრულ ბალღს...

„მგებრთ“, მიცვალებულის პირველდამხვდურთ საიქიოში, ნახევრადრეალურ, გრილოს მიმსგავსებულ უჩინმაჩინ არსებებად მოიაზრებს ადამიანის წარმოსახვა. მეტიც: მთქმელ-მთხრობელთა ცხოვრებისეული გამოცდილება მათი „ხილვის“ შემთხვევებსაც „იცნობს“...

მცირენწლოვანთა სიტყვიერ გლოვაში აქცენტი სწორედ „მგებრთა“ – დედისძმათა და მამისძმათა – იმქვეყნიურ ფუნქცია-მოვალეობაზეა დასმული. „უცოდარი“ ყმაწვილი ადვილად ვერ გაიგნებს გზას საიქიოში და გეზისა და ორიენტაციის მიმთითებლად თავისიანი ესაჭიროება...

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გვიანობამდე არსებობდა ერთი შეხედვით უცნაური ჩვეულება, რომლის კვალი და მკაფიო ანარეკლი დღემდე შემორჩა თუშ-ფშავ-ხევსურეთს ბავშვისთვის უცხო, არაქართული (მეტწილად ქისტური ანდა ლეკური) საკუთარი სახელის შერქმევის სახით.

როცა უბედო ოჯახს მემკვიდრე უჩნდებოდა და უკვდებოდა, როცა გვარსა და მოდგმას გადაშენების, გაქრობის საფრთხე უახლოვდებოდა, ახალშობილს „მოიპარავდნენ“, „გაყიდდნენ“ და „გაასხვისებდნენ“, რაც თავის გამოხატულებას საამისოდ შემუშავებული სავალდებულო წესების შესრულების იმიტირებასა და ბავშვისთვის მეტსახელის დაძახებაში ჰპოვებდა. შეშფოთებულ, საგონებელში ჩავარდნილ მშობლებს სწამდათ, რომ ამ ხერხით შვილს სიკვდილისგან დაიხსნიდნენ და დაიფარავდნენ; რაკი ბავშვი სხვისთვის ეყოლებოდათ მიბარებული, მორიგ უბედურებას გადაურჩებოდნენ...

ფშაველი მამაკაცი მოთქვამს:

ჴევსურას შვილსა არ ვეძახდი,
სხვაკანა მყვანდა გაყიდული,
სიკვდილმა მაინც მამიჴელა,
ალბათ გულში თუ ვთავისობდი.

* * *

სულის უკვდავების ქრისტიანული იდეის ადგილი ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ადამიანის მარადიული არსებობის, ასე ვთქვათ, მატერიალისტურ თვალსაზრისს უჭირავს: განსვენებულის სული ცათა სასუფეველში კი არ მოიაზრება, ის სხეულთან ერთად, მისგან განუშორებლად განაგრძობს არსებობას მოუსავლეთში.

ხილული ქვეყნის მხატვრული მოდელი რიგი დეტალების დამატებით და რიგის გამოკლებით არის გადატანილი უმზეურთა ანუ „ქვესკნელისგან პყრობილთა სოფელში. და აქ პრიორიტეტი მითოსურ თვალსაზრისს ენიჭება. ხალხური პოეზიის საიქიო (თავის სამოთხე-ჯოჯოხეთიანად) უფრო ამ ქვეყნის მსგავსი და სადარია, ვიდრე ქრისტიანული ზესთასოფლისა...

ქვესკნელში მოხვედრილ მიცვალებულს ბეწვის ხიდზე გადავლა უწევს. ბეწვის (ვარ.: ძუის) ხიდი მდუღარე კუპრის ტბაზე არის გადებული. ხიდქვეშ „ონჩქარი" ანუ ოხშივარი ტრიალებს. ის, ვინც სამზეოზე ცოდვას ჩადიოდა, ხიდიდან კუპრის ალში ვარდება და იკარგება. მას ვერც უცოდველნი ხედავენ და ვერც „სულეთის ღმერთი". ნაკლებცოდვიანი ხიდზე უვნებლად გადადის. ხიდის გაღმა ნაპირზე მწვანედ მობიბინე ტრიალი მინდორია. აქა-იქ ბუჩქები დგას. მინდვრის შუაგულში წვერით ცას მიბჯენილი ოთხთვალა ციხეა აღმართული. ციხეს გარედან კიბე აქვს მიდგმული. განიერი კარის აქეთ–იქით ორი ვეება ძაღლია დაბმული. ძაღლებს შუა თეთრწვერა მოხუცი, „სულეთის კარის ყარაული" ზის. მყეფრებისგან და მეკარისგან თავდაღწეული (თუ კვირა-უქმეს იჭერდა და მარხვას ინახავდა, ძაღლები გაატარებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაესევიან და დაფლეთენ) სული (აქ უკვე მხოლოდ სულზეა საუბარი!) შეჰყავთ ოთახში, სადაც „ბჭენი" სხედან (რელიგიური ციკლის ლექსებში ბჭეთა ნაცვლად ოქროს სკამზე დაბრძანებული ქრისტე ღმერთი იხსენიება, რომელიც ოქროსაევე სასწორზე სამზეოს „დაკლებულთა" ცოდვა-მადლს სწონის). ახალსულს „საუნჯო" სკამს სთავაზობენ. ბჭეთ დაწვრილებით იციან მისი ავ-კარგი. ცოდვამორეულს ჯოჯოხეთში აგზავნიან, ხოლო მადლიანს ციხის მეორე „თვალში" ანუ სართულზე განამწესებენ. „უწამებელი" ქალ-ვაჟი, ე.ი. გაუთხოვარი ქალი და უცოლო ვაჟი, მესამე სართულზე იმყოფებიან. ციხის მეოთხე თვალი განკუთვნილია ბავშვებისთვის. ანგე-

ლოზთა „სერნაწრიანი" ჩვილები ციხის სამ ზედა სართულზე „ცხოვრობენ" და კიბით ად-ჩამოდიან (შდრ. ბიბლიური იაკობის სიზმარეული კიბე; აქვე მოვიხსენიოთ იოანე კლემაქსის „სათნოებათა კიბე", რომლის ოცდაათი საფეხური ღმერთთან სულის მისტიკური მიახლოების გამოხატულებაა)...

რაც უფრო მეტი ნისლითა („ნისლი" – საიქიო ყოფის ამქვეყნიური ილუსტრაცია" – რ. ინანიშვილი) და ბუნდოვანებითაა მოცული ტრანსტენდენტური სფეროს „რჯულ-სამართალი", მით უფრო ცხოველია მის მიმართ მოკვდავთა ინტერესი („იქ რა იქნება, იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არცერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება", – კითხულობს ყოფნა-არყოფნის ამოუხსნელ დილემაზე ჩაფიქრებული ჰამლეტი). საიქიო სასუფევლის უეჭველობაში ღრმად დარწმუნებული მელექსე სამზეოსთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებს მიღმა სოფელს. მას საამისოდ მყარი არგუმენტი მოეპოვება: ცოცხალნი დღემუდამ წუხან, წვალობენ და ეწამებიან, ხოლო გარდაცვლილი ქალ-ვაჟნი სულ ლხინსა და მხიარულებაში არიან. მათი უდასალიერო სამკვიდრებელი დასაბამური უდარდელობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

მოდის სამზეოთ ტირილი,
სულეთში ტაშის ჩქამია...

ქრისტიანული დოგმატით, სხეულთან გაყრილი სული ორი დღის განმავლობაში იმ ადგილის ახლო-მახლო ტრიალებს, სადაც მათი მფლობელი ცხოვრობდა. „მესამე დღეს კი მფარველი ანგელოზის თანხლებით მიწიდან ზეცად აღიყვანება, რათა თაყვანი სცეს უფალს და კერძო განჩინება მოისმინოს" (არქიმანდრიტი ლაზარე). ცად მიმავალ სულს ჰაერში გაბატონებული ეშმაკები ელობებიან, ეშმაკები, რომელთაც თავიანთი თავადები წინამძღვრობენ და თვითეული მათგანი რომელიმე ცოდვის განმსჯელ განყოფილებას განაგებს. ეს განყოფილებები „საზვერეებად" იწოდება. სულს ყოველ საზვერესთან ხვდებიან ეშმაკები. რაც უფრო მძიმე და მიუტევებელია ცოდვა, მით მეტად უტიფარი და საზარელი შესახედაობისაა საზვერის მცველი ბოროტი სული...

სულეთის ხშული სივრცის ამსახველი მითოლოგიური პოეზია გვამცნობს: „სულთქმის ციხეში" მსხდომი მოსამართ-

ლეები ანდა „ჯიდისყურ“ მყოფი სამნი ბჭენი უჯერო სიტყვის მოუბარ ქალ-ვაჟს ენის წვერს აჭრიან, ხელმრუდს სინის ქვაბში მოთავსებულ მისივე ხელის ნახარშს აძალებენ, ობლების დამყრელ დედას უბეში უხსენებლებს უსხამენ და ჯოჯოხეთში აგზავნიან, ხოლო სამან-საზღვრის ამრევთათვის ზურგზე მძიმე ლოდების აკიდება აქვთ დაწესებული...

ქართული ჰადესის უღრან მღვიმეებში მკითხველის თვალი ადვილად აღმოაჩენს ადამიანის სიკვდილისშემდგომი ცხოვრების იმავე წესრიგს, წყობას და სტრუქტურას, რაც აქ, გარესკნელში, ემპირიულად არსებობს.

სააქაოს თარგზე „მოჭრილ“ სულეთს თავისი ღმერთი ჰყავს:

სულეთის ღმერთო, მადლიანოო,
მამე ნებაი საუბრისაო,
გამამაცხადე სამზეოსაო,
შენ ამაძრახე სამზეურთაო...

სულეთის ღმერთთან შეუთანხმებლად, მისი დასტურისა და ნებართვის გარეშე, წესით და რიგით, საიქიოში არაფერი არ უნდა ხდებოდეს. და როცა უხეშად ირღვევა იქაური ჰარმონია, იწყება ქაოსი და ადამისხნის ადათებს მოშლა ემუქრება, უმალ ვლინდება მიღმიერთა მფარველის უკმაყოფილება:

იწყინა სულეთის ღმერთმა
არევა ჯარებისაო,
სამზეოს გასვლა, – ამბობდა, –
ანდრეზად არ მადისაო...

მზის წილობიდან წყლის წილად ქცეული, „მზის ყანიდან“ (ასეც ხსენდება დედამიწა ხალხურ პოეზიაში!) ქვესკნელში „შთამხდარი“ კაცნი ისევე იცვლიან ფიზიონომიას, როგორც ფშავ-ხევსურეთის მითოსური გმირები (კოპალა, იახსარი, ხოგაის მინდი, გიორგი უმზეური – ნაღვარმშვენიერი, გახუა მეგრელაური...). მათი ამქვეყნიური არსებობა მზიურნიშნიანია, ხოლო იმ ქვეყანაში მიმქრალი ფერის მყიფე გვამს ირგებენ და უღონო ლანდების იერით ჩნდებიან ასპარეზზე. „ქვესკნელში ჩამსვლელთა ასეთი ტრანსფორმაცია აუცილებელი და გარდაუვალია. გარდაქმნისა და გარდაცვალების ეს კანონი

უნივერსალურია" (თ. ჩხენკელი). გვამის გამოცვლას არათუ ეჩვევიან და გუობენ, ამ აქტით კმაყოფილნიც ჩანან მოშავეთენი, ვინაიდან სამზეოდან ნაყოლილი წყლულები მათ აღარ აწუხებთ:

უთხრიდით ჩვენებს დედებსა,
მტრისა არ გვაქვის ყამიო,
აღარ ორთ წყლულიანები,
გამოგვიცვალეს გვამიო.

გზა საიქიოსი, – სადაც, ხევსურული „პირისქარის" მიხედვით, „ქრისტიანნ პურობენ, ანგელოზნ ჟამობენ, ცოდვიანნ ნანობენ, მადლიანნ გაისვენებენ, სულიწმიდა მოიწსენების", – ყველასთვის ხსნილია; ადრე თუ გვიან ყველა იქ წამსვლელია; კვდება კაცი და იკრძალება, მაგრამ ფიზიკური გაუჩინარებით ყოველიე როდი მთავრდება. „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში" ვიქტორ ნოზაძე აღნიშნავს: „კაცის სიცოცხლე სიკვდილით არ სრულდება, არ თავდება – იგი გრძელდება, რადგან ქრისტიანული რწმენითაც სიცოცხლე, – სული კაცისა თავის არსებობას საიქიოში აგრძელებს. სააქაო სიცოცხლის გაგრძელება არის საიქიო სიცოცხლე".

სულს (ბერძნ. „ფსიქე") მითოსური გაგებით, სჭირდება სხეულიც. ეს ორი სუბსტანცია ცალ-ცალკე არცკი მოიაზრება. აჩრდილთა ქვეყანაში ერთის არსებობა მეორის თანყოფნით არის შეპირობებული...

ქრისტიანული რელიგია სხვაგვარად სჯის: სხეული ხრწნადი და წარმავალია, სული – უკვდავი, ცათა სიწმინდეში დავანებული (შდრ. გურამიშვილი: „ხორცია მიწა, ტალახი, სანუთროს ფეხით ნალახი, სული უსხეულმყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი")...

საიქიოში შესვლა ადვილია, ხოლო იქიდან გამოღწევა – ძალზე ძნელი. ამიტომაც ჩივიან ქვესკნელს მწყვდეულნი:

შამაუარე შავეთსა,
ვერ მაუწელე კარია...

არც ცოცხალთათვის იღება შავეთის კარი, თავისიანებს თვალი რომ დაავლონ.

კარიმც გაგელო, შავეთო,
მხარნი მენახნეს ძმისანი...

ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი სამყაროული წესრიგის დარღვევა (სიტყვათქმნადობის იშვიათი მაგალითი: მავნე, უხიაგ ყმაწვილს და, ზოგჯერ მოზრდილსაც, „მარღვიელს" ეძახიან ხევსურეთში) არავის ეპატიება. „სიკვდილის ძე" (ფს. 102,15) თავის ბედსა თუ ღვთისმიერ განაჩენს უნდა დანებდეს და დაემორჩილოს. თუ გათამამდა და „ძალი გაბედა" , უფალი შემოსწყრება:

ვაჟებმა შატილივნებმა
სულეთ გაბედეს ძალია,
სრუ გაამტვრიეს კარები,
სამზეოს გასავალია,
იმით შამასწყრა უფალი:
იქით არ დიან სხვანია...

რეალური საზრისით აუხდენელი სურვილი ადამიანისა მის სამანდაუდებელ წარმოსახვაში, აზროვნებასა და რელიგიურ განცდაში ჰპოვებს რეალიზებას. ის, რასაც წარმართული სარწმუნოების წიაღთან „კოლექტიური ქვეცნობიერებით" (იუნგი) დაკავშირებული მელექსე ძალადობრივი გზით აკეთებინებს საიქიოს ტყვე – ტუსაღებს, ღვთიური ნების გაცხადებად განიხილება ქრისტიანულ თვალთახედვაში. და ეს ორსიბრტყეობრივი მიდგომა, ერთგვარი დუალიზმი მიცვალებულებთან მიმართებაში ორი მსოფლმხედველობრივი პოზიციის მიჯნაზე მდგომი შემოქმედის უტყუარი გუმანით არის დანახული და გადმოცემული ვაჟა-ფშაველას ლექსში „ვარსკვლავი":

...უცხო დაბრწყინდა ვარსკვლავი,
კლდის თავზე დამცქერალია,
კლდის ეხში ჰკოცნის პატარას
სხივმოფენილი ქალია...
შავეთში გადაგდებული
ადგომას ბედავს მკვდარია,
მაცხოვრის შობა შაიტყო,
შავეთის ტყდება კარია...

* * *

ხმითმოტირალის მარაგიან მოთქმაში გახმიანდება ხოლმე სახელწოდება სასაფლაოსი, სადაც მისი ახლობელი განისვენებს ანდა ჯერაც „ზეპირ" მყოფი მისიანი უნდა დაიკრძალოს.

სამაროვანი, თავისი ხავსიანი ქვებით და ნაფერდებული ჯვრებით, სულფონიც არის და სულწუხიც. სულფონი – გარდაცვლილებისთვის, სულწუხი – ცოცხლებისთვის (ეგებ, პირუკუ?!) ...

ზვავუშიშ მაღლობსა თუ უმშვენიერეს შეფერდებაზე განთავსებული მიცვალებულთა უოხჭნო „სამკვიდრებელი" ხომ უნაპირო მდუმარების უწმიდესი ტაძარია, სადაც ადამიანი საკუთარ სუნთქვასავით განიცდის „მიწა ხარ და მიწად იქცევი"-ს ულრმეს და, ამასთან, უმარტივეს ფილოსოფიას...

აი, რა შეუვალი, მყარი და უცვლელი არგუმენტაციით არის გამაგრებული წინაპართა საძვალეებისადმი ხმითნატირალის ლირიკული გმირის არაორაზროვანი დამოკიდებულება:

...მიყვარხარ, სასაფლაოთ გორო,
მიყვარხარ, განა მართლა გშურობ, –
აქ არის ჩემი მამის სახლი,
აქ წვანან ჩემი მამა-ძმანი...

ხოლო ქართულ „სასაფლაოთ გორებზე" მრავლად ალაგია ატკეჩილი, დაბზარული, ჟამთასვლაში ცელის სალესივით გამცვდარი და დანაგაბრებული ქვები, რომელთა მოხატულობასა და სიტყვიერ სამკაულს ძნელად თუ მოეძებნება ჯუფთი და ბადალი მსოფლიოს მემორიალური კულტურის საგანძურში.

შემზარავი სილამაზით ავსებენ ერთურს საფლავის ჩუმი ქვა და ძვალ-მალის დამშლელი სამგლოვიარო ლექსი; ავსებენ ისე, რომ ცალ-ცალკე ვეღარც კი მოიაზრებიან. ორივე, ქვაც და ლექსიც, მწუხარებით განწონილი გულების ნახმევია, დამსახურებულ პატივს რომ მიაგებენ და ღირსებას მატებენ სულეთის კარის მორიგ შემღებთ:

სულეთ შავიდა წიქაი,
ჴელით შააღა კარია...

დასასრული ლექსისა „ბინდისფერია სოფელი“ და სხვა

„...იყვნენ ისეთნიც მსოფლიო ინტელექტუალთაგან, რომელნიც თვით სიკვდილის მოახლოების ჟამს საკუთარ თავს უმართავდნენ უკვდავსაყოფ დიალოგს, მისი პირდაპირი მნიშვნელობით“.

ეპისკოპოსი ზენონ იარაჯული

დიდად სანდო, კომპეტენტური ავტორების – გივი ალხაზიშვილი, თამაზ ნატროშვილი, გრიგოლ სენეკური – ოპუსებისთვის (გამოქვეყნდა 2008 წლის ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 19, 21, 22, 25 ნომრების ფურცლებზე), შესაძლოა, საგანგებო ყურადღება არცკი მიმექცია, რომ არა ადრეული სიყმანვილიდან დღევანდლამდე მოღწეული, ხსოვნაში ღრმად ჩარჩენილი ძლიერი შთაბეჭდილება: ზაფხულის მცხუნვარე დღეა. მთაში თიბვა ჯერ არ დაწყებულა. მოცალეობაა და სოფლის სამკითხველოდან (ასე ვეძახოდით ერთოთახიან ბიბლიოთეკას) „გამოწერილ“ გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ ვკითხულობ... „საღომლიაში“ გრილა. სიჩუმეა. ხელს არავინ მიშლის... თვალის მიმტაცია წიგნის სისქე, ფორმატი, ყდის ფერი და ზედ გამოყვანილი სახელწოდების შემადგენელ ასოთა მოხაზულობაც... ისე გამიტაცა და ამიყოლია თხრობის მდინარებამ, გარეთ რა ხდება, საერთოდ აღარ მაინტერესებს... დაახლოებით ორას გვერდამდე რომ წავიკითხე, მაშინღა დავხურე წიგნი და ბანზე გამოვედი. თავბრუ დამეხვა და თვალთ დამიბნელდა. მზედაკრულივით (ესეც გამოცდილი მქონდა ნახირში ყოფნისას) უღონოდ გავხდი. გავხედე საცხვრე მთებს და ლურჯ-მწვანე ფერები ერთმანეთში აირია. არ ვიცი, მძაფრი ემოციის ბრალი იყო თუ გონებრივი გადაღლისა, ის კი აქამდე არ დამვიწყებია, რომ კიდევ ერთხელ დავიმსახურე საკუსნაღბე მიწურიდან ეზოში გამოსული დედაჩემის წყრომანარევი შენიშვნა და ჩვეული დავალება: „ვის რა ჩამააყარ წიგნების ჩახედვნამ, რას ღგვიხარ, ფერ აღარ გძეს, წაე, მთრეხის გორზეით ხბოებ მაათვალიერ, ან წყალს არცა ეცნან, ნახ, სად არიან!..“

ყოველივე ეს ფრაგმენტებად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ხოლო გულსა და გრძნობას განსაკუთრებული სიცხადით შემორჩა მშვე-

ნიერი თამთას და მისი „გარდარეული“ ტრფიალით დაავლებული კარის მგოსნის თურმან თორელის დაუვიწყარი სახელები...

მათმა სახებამ საუკუნეთა ტევრები გამოიარა, გამოარღვია; გაუძლო დაუნდობელ დროთა მღვრიე ნაკადებს და ისტორიული ბედ-უბედობით ფრთებწაჭრილი სახმილის გულისგულით მზიდავ სხივოსან ნამლევებად მოვიდა ჩვენამდე...

იქიდანვე მომდევს, მომყვება და ხმიანობს ჩემში (ხან საგალობელს ჩამოჰგავს, ხანაც – ზანზალაკების ნკრიალს) ის საცილობელი თუ ფიქრისა და განსჯის საგნად ქცეული სტროფი, რომლის მხატვრულ ფასეულობასა და შემეცნებით ღირებულებას მისივე სიწრფელე, შინაგანი სიმართლე და ხალხური პოეზიისთვის ნიშანდობლივი გენიალური სისადავე განაპირობებს.

* * *

„ბინდისფერია სოფელი“, ჩაწერილი ქართლში, ხიდისთავში, ნიკო სამადაშვილის მიერ (ჩაწერის წელი მითითებული არაა) და გამოქვეყნებული ვახტანგ კოტეტიშვილის კრებულში „ხალხური პოეზია“ (ქუთაისი, 1934 წ.), ბევრად არ განსხვავდება შემდგომში მოპოვებული და დაბეჭდილი ვარიანტებისაგან, ოღონდ ერთის გათვალისწინებით: მას არ ახლავს ორი ფინალური სტროფი („ისაც მოკვდება“ და ა.შ.), რომელიც 1961 წლიდან ჩნდება ფოლკლორისტთა საველე რვეულებში და ბუნებრივად აგრძელებს ფილოსოფიური ლექსის ძირითად, მაგისტრალურ სათქმელს.

აი, ლექსის ეს ნაწილი:

ისაც მოკვდება, ამქვეყნად
გვეგონა ვინც გრძლათ იარა,
შუქს ბნელი შასჭამს, ვარდს – ჭია,
კაცის გულს – ჯავრის იარა,
უჩუმრად მოვა სიკვდილი,
იმ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ ამქვეყნით,
სხვას არა წაუღია-რა
(ქ.ხ.პ. VII, გვ. 42).

ხალხური ლექსის თანდაყოლილი „თვისება" და აქსიომური, მუდამ თანმდევი კანონზომიერებაა სიტყვის, სინტაგმის, ტაეპის, სტროფის დამატება, გამოკლება ანდა შეცვლა და საგრძნობი გადასხვაფერება. ზეპირი სახით ხალხში მოარული ძირითადი ტექსტი, თუკი ის ვარგისი და ღირებულია, თანდათანობით იჩენს ვარიანტებს და ავტორგაუჩინარებული განაგრძობს შემდგომ ცვლილებასა და არაერთსახოვან არსებობას ათწლეულებისა თუ ასწლეულების განმავლობაში.

იბადება ლოგიკური კითხვა: სად და როდიდან დაემატა ნ. სამადაშვილის მიერ მიკვლეულ საპროგრამო, გნებავთ, ქრესტომათიულ, ხალხურ ლექსს ის რვა სტრიქონი, რომელთა გარეშე მსმენელსა თუ მკითხველზე მისი მხატვრულ-ესთეტიკური ზემოქმედების წამლეკავი ძალა ესოდენ ამოულეველი ვერ იქნებოდა? (თუმც ძველი, მოკლე ვარიანტიც არაა მოკლებული მონოლითურობასა და სრულფასოვნებას, რაზეც ვ. კოტეტიშვილი მიუთითებდა „ხალხურ პოეზიაზე" დართულ შენიშვნებში: „ეს ლექსი, გარდა თავისი მხატვრული მთლიანობისა და აზრის მონუმენტალური ნაკვეთობისა, საინტერესო არის სახეობრივი აზროვნების საოცარი ექსპრესიით...").

პირველი ფოლკლორული ჩანაწერი, რომელიც „ბინდისფერია სოფელი"-ს ახალ, გაცილებით ვრცელ, ყოფითი მოვლენის ფილოსოფიური გააზრების მომცველ ზემომოტანილ ნაწილს წარმოგვიდგენს, შესრულებულია კახეთში, 1961 წელს, უჩა ცინდელიანის მიერ (პირველად დაიბეჭდა ქ.ხ.პ. VII ტომში, 1979 წელს).

ვ. კოტეტიშვილის კრებულში დასტამბული ტექსტი, სავარაუდოდ, შეიქმნა და ინფორმატორთა შორის გავრცელდა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში.

ამგვარი ეჭვიც კი შეიძლება გაკრთეს: ხომ არ მიუძღვის, თუ არა მთლიანი, ნაწილობრივი წვლილი მაინც მის სრულქმნაში თვით ნიკო სამადაშვილს?

აქვს ასეთ ეჭვს არსებობის უფლება, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები არაა იშვიათი ზეპირშემოქმედების სფეროში. მაგალითისთვის: გიორგი (იურა) ჯაფარიძემ 1962 წელს ხევსურეთიდან ჩამოიტანა ლექსი „დარდისას გეტყვი" და ფოლკლორულ ჩანაწერებს „შეურია", როგორც ხალხური (თავდაპირველად „ხალხური სიბრძნის" მე-4 ტომში გამოქვეყნდა, ხოლო მერე – ქ.ხ.პ. VII ტომში). შენიშვნებსა და ვა-

რიანტებში ნათქვამია, რომ ლექსი ხალხურია. სინამდვილეში თავად იურა გახლდათ ავტორი ამ შესანიშნავი ქმნილებისა და ვიდრე მეგობრებმა არ გაუთქვეს საიდუმლო, ყველა ხალხურად თვლიდა და აღიქვამდა მას...

აქვე ჩნდება ერთი უწყინარი კითხვა: უნებლიე დამთხვევაა თუ აქაც სესხების კვალი უნდა ვეძებოთ?

იმავე 1962 წელს გოგი თურმანაულის მიერ ჭრელა უძილაურისგან ფშავში ჩაწერილ ლექსში „გული რად უნდა სტკიოდეს" ვკითხულობთ: „.... ბარში გალობდეს ბულბული, მთაში არწივი წიოდეს..." შესაბამისი ნაწყვეტი იურა ჯაფარიძის გახალხურებული ლექსიდან: „ბარიდან მთა გიძახოდეს, მთაში არწივი ყიოდეს..." გარდა ამისა, პირველის სათაურს ახლოდან ეხმიანება მეორე ლექსის მეოთხე ტაეპი: „სული სიმწრითა გტკიოდეს..." უნდა ვიგულვოთ თუ არა „დარდისას გეტყვი"-ს ბიძგად და შთამაგონებლად უნიჭიერესი ფშაველი მელექსისგან გაგონილი და დაფიქსირებული, არცთუ მთლად მწყობრი და მკვრივად შეკრული ფილოსოფიური ხასიათის ლექსი?..

ტიპიური კითხვები მრავლად წამოტივტივდება ხალხური პოეზიის უკიდეგანო სამყაროსთან მიმართებაში და, უნდა ითქვას, ამ კითხვებზე სარწმუნო და დამაჯერებელი პასუხების გაცემა ყოველთვის როდი ხერხდება...

დაეუბრუნდეთ მთავარს და გავიხსენოთ გრიგოლ სენეკურის ეპისტოლეს („ჩვენი მწერლობა", 2008, 25) დასათაურება: „ვისია ეს სტროფი?"

ხსენებული ეპისტოლე დაიწერა იმ უკმარისობის განცდის გამო, რაც „უჩინოდ" თუ „უჩუმრად" მოსასვლელი სიკვდილის პოეტური ინტერპრეტაციის ნამდვილი ავტორის დადგენის ცდასთან არის დაკავშირებული...

გივი ალხაზიშვილთან პირად საუბარში, რასაც გრ. სენეკურიც აღნიშნავს, თავის დროზე გრიგოლ აბაშიძეს უთქვამს, რომ ეს სტროფი მისი დაწერილია და იმდენად გახალხურებული, რომ არცკი აპირებს ამტკიცოს, რომ მართლაც მისია.

შეუძლებელია დაგაეჭვოს ჯერ „ლაშარელას" ავტორის განმარტებამ, ხოლო მერე – ამ განმარტების ჩვენამდე მომტანის პროფესიულმა პატიოსნებამ.

რაში გამოიხატება „ლაშარელას" პირველი გამოცემის (1957) დასასრულს (რომანის მომდევნო გამოცემებს – 1963,

1965, 1969... – ერთი თავი აქვს დამატებული) მომაკვდავ მეფესთან თურმან თორელის ნამღერი ტექსტის გახალხურება? ნაწარმოების გამოქვეყნებიდან სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში რამდენად დაშორდა პირველწყაროს ხალხურ მთქმელთა რეპერტუარში მოხვედრილი, კახეთში დაფიქსირებული ვარიანტი?

შეიძლება ითქვას, რომ სხვაობა მაინცდამაინც არსებითი ხასიათის არაა და ვლინდება პირველი ტაეპის შედარებით საფუძვლიან მოდიფიკაციასა და რამდენიმე ლექსიკური ერთეულის სხვა სიტყვებით ჩანაცვლებაში.

სახელდობრ –

თურმან თორელი მღერის:

იმასაც მოკლედ უვლია,
გრძლად ვინც გვეგონა, იარა...

უჩა ცინდელიანის ინფორმატორი ამბობს:

ისიც მოკვდება, ამქვეყნად
გვეგონა, ვინც გრძლათ იარა...

გრ. აბაშიძისეული (რაც „ლაშარელას" ყველა გამოცემაში უცვლელად მეორდება) „მოვა სიკვდილი უჩინო"-ს ნაცვლად მის კახურ ვარიაციაში იკითხება: „უჩუმრად მოვა სიკვდილი" და ა.შ.

გახალხურებული ლექსის ჟღერადობა, რიტმულ-ინტონაციური წყობა და არქიტექტონიკა, თუ კარგად დავაკვირდებით, მნიშვნელოვნად არა, მაგრამ მაინც სხვაობს თავისი ბეჭდური წინამორბედისაგან. სათქმელის ამგვარად („გრძლად ვინც გვეგონა იარა") გაფორმება ზეპირსიტყვიერი ნიმუშისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო და არაორგანიულია. მას აშკარად ატყვია „მაღალი სტილის" ანუ მწიგნობრობის კვალი, სხვაგვარად, შეთხზულია პოეტური მეტყველების იდუმალ ხვეულებში დიდად დახელოვნებული პროფესიონალი პოეტის მიერ.

ინდივიდუალური შემოქმედის ხელიდან გამოსული სტროფი (თუ სტროფები!) ანონიმმა მელექსემ, როგორც ჩანს, სუბიექტური გემოვნების შესაბამისად შეცვალა, გარდათქვა,

ოღონდ იმგვარად, რომ აზრობრივი მხარე საგრძნობლად არ დაქვეითებულა, არ დაზარალებულა.

„გვეგონა ვინც გრძლათ იარა" ბევრად ხალხურია, ვიდრე „გრძლად ვინც გვეგონა იარა".

პოეტური ფოლკლორის შემგრძნებთათვის და სწორად წამკითხველთათვის (რაც, სამწუხაროდ, ერთობ გაიშვიათდა ჩვენში!) არც ამაში დარწმუნება უნდა იყოს ძნელი...

* * *

არ იქნება ურიგო, თუკი საკითხის განვრცობის განზრახვით მცირე წიაღსვლას ჩავატარებთ მოტივურ-სიუჟეტური ურთიერთგავლენების, ფოლკლორულ-ლიტერატურული პარალელებისა და „კოლექტიური" და ინდივიდუალური შემოქმედების იმანენტური ნიშან-მახასიათებლების სფეროში.

ვაჟა-ფშაველას ხალხური ყაიდის ლექსი „სიკვდილი გმირისა", რომელიც წინაპირველად 1899 წელს დაიბეჭდა „მოამბეში", იქცა უშუალო წყაროდ და სტიმულად სერგი მაკალათიას მიერ XX ს-ის 30-იან წლებში თუშეთის სოფელ გირევში ჩაწერილი ლექსისა „გარა დარცალის სიკვდილი".

ავტორი თუ ავტორმთქმელი ამ ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებისა, ს. მაკალათიას და კ. ჭრელაშვილის მოწმობით, გახლავთ საბა ითიურიძე, ცნობილი მელექსე და მთიელთა ისტორიული წარსულის კარგი მცოდნე.

საბა ითიურიძემ წყაროს მიუთითებლად ისარგებლა ვაჟას პატრიოტული ლექსით (რომელიც, თავის მხრივ, დავალებულია და მოხდენილი სიმარჯვით ახდენს ხალხური პოეზიის თემატურ-სახეობრივი და ფრაზეოლოგიური თავისებურებების დამოუკიდებელ მხატვრულ ერთეულად ჩამოძერწვას) და შექმნა საყოფიერო პოეტური ნაწარმოები, რომლის ცალკეულ მონაკვეთებში მცირეოდენი სხვაობით მეორდება წინამავლის ლექსიკა და მხატვრული პასაჟები. ამ ორი ქმნილების სიუჟეტურ სიახლოვეს ადასტურებს თუნდაც მომაკვდავი გმირების – მისრიათ ქალის შვილი ბერიძე და გარა დარცალი – ანდერძი, სადაც საუბარი მათი ცხენებისა და საომარი იარაღის სოფელ-ქვეყნისთვის საიმედო ღირსეული ვაჟკაცებისთვის გადაცემას ეხება.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ მემკვიდრეობაში შემოქმედები-

თი „ნრებრუნვის“ მეორე მეტყველი მაგალითია „გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშით“, ლექსი, რომელიც, ნიკო გოგოჭურის დაკვირვებით, ტექსტობრივად და შინაარსობრივად თამარ მეფეზე შექმნილი ხალხური ლექსების ციკლს ემთხვევა...

ხალხური პოეზიის მრავალტომეულში ვაჟა-ფშაველას გახალხურებული ლექსების შეტანას ალ. ჭინჭარაულის მწვავე კრიტიკული წერილები მოჰყვა, რაც არაორაზროვნად მოწმობდა იმას, რომ საკმაოდ აქტუალური იყო (და არის დღესაც) ორმხრივი ფოლკლორულ-ლიტერატურული გავლენების არახალი პრობლემა...

კომპილაციურობა, საერთოდ, ზეპირსიტყვიერების თანშობილი ნიშანია და არამც და არამც მისი ღირსების დაბალი დონის მაჩვენებელი. პირიქით: უსაგნო ნოვატორულ ძიებებს და თვითმიზნურ ორიგინალობას დიდწილად სჯობს ჯანსაღი ტრადიციის უშრეტი წიაღიდან „თეთრი ყოილივით“ აღმოცენებული ხალხური ლექსი, რომლის თვითეულ სიტყვას, „სახამუშო“ ხაოსთან ერთად, თვითმიერობის მოუხელთებელი ხიბლიც ახლავს...

ხალხურ მელექსეს აუგად არ ეთვლება წინამავალ „მათქვამთა“ პოეტური შემოქმედების გათავისება, გამოყენება და კლიშეებად თუ სტერეოტიპულ ფორმულებად ქცეული მათი ტროპული სახეების ანდა რიგი მხატვრული დეტალების თავისუფალი „ტრანსპლანტაცია“ საკუთარ ნაღვაწში.

ვინც ხალხური პოეზიის VII ტომში ამოიკითხავს: „გულო, გამაგრდი, გაკლდევდი, კლდეო, კლდედ გახდი სალადა“, ბუნებრივია, უმალ მოაგონდება ვაჟას ლექსი „გულო, არ გასტყდე“, რომელიც სიმტკიცისკენ და უდროობის წინააღმდეგ მედგარი ბრძოლისკენ მომწოდებელ ბრწყინვალე „სიმღერას“ წარმოადგენს.

თანხვედრათა ანალოგიური შემთხვევებით ერთობ მდიდარია ფოლკლორულ-ლიტერატურული თანაზიარობის საკვლევად საგულისხმო და თავისებურად აზარტული, მიმზიდველი სფერო.

ხალხურ ავტორ-მთქმელთათვის, საუკუნეზე მეტია, ბაძვისა და შთაგონების მაგნიტურ, „მაცდუნებელ“ ძალას ინარჩუნებს ვაჟა-ფშაველას მართალი, მრავალფეროვანი პოეტური შემოქმედება და არაფერია უცნაური იმაში, თუკი უპრეტენზიო, სახელ-დიდების არმაძებარი მელექსე მისებურად მომარ-

თავს ინსტრუმენტს ანდა მეხსიერებაში სამუდამოდ „ჩამჯდარ“ ვაჟასეულ სტროფსა თუ სტრიქონს ყალბი მობოდიშების გარეშე მიაბამს თავის პოეტურ ნათქვამ-ნააზრევს...

ახლახან ხელთ მომხვდა თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლის ლევან ბერიკიშვილის მიერ ს. დულუზაურებში (ძვ. არხალი) ჩაწერილი, მისი დიდი პაპის ალექსანდრე დულუზაურის ლექსი, რომელიც, მიუხედავად „გოგოთურ და აფშინას“ ერთ-ერთი მკვეთრად პატრიოტული პასაჟის „მონური“ მორჩილებისა, მაინც ინარჩუნებს უხმაურო არსებობის მოკრძალებულ უფლებას:

არხლის ნიავი თუ არ მცემს,
გული ქალებურ ტირისა,
მომეთარსება გუნება,
მონაცა ვხდები ჭირისა.
არც პური მინდა, არც წყალი,
არცა გაღება პირისა,
რაღაა კაცის სიცოცხლე,
თუ არ მექნება ლხინიცა.

მოწონებულ ლექსს ანდა ამ ლექსის რომელიმე ნაკვთსა თუ ეპიზოდს გულისხმისმყოფელი მსმენელი ზეპირად იმახსოვრებს, იშინაგანებს, გულ-გონებაში „გადახარშავს“, პირად განცდათა გადმოცემის ადეკვატურ ყალიბად მოიაზრებს და ისე მიუსადაგებს თავის ახალ, დამოუკიდებელ პოეტურ ნაწარმოებს, რომ უხერხულობის ოდნავი გრძნობაც არ შეაწუხებს იმ საძრახი ლიტერატურული მოვლენის გამო, რასაც სწავლულნი ეპიგონობას ანდა, უარეს შემთხვევაში, პლაგიატს ეძახიან.

„ბინდისფერია სოფელი“-ს განვრცობილი, კომპილაციური ვარიანტის სახით სწორედ მსგავსი შემოქმედებითი პროცესის შედეგთან უნდა გვქონდეს საქმე...

ძნელია გადაჭრით თქმა, იქონია თუ არა მიხა ხელაშვილზე პირდაპირი ზეგავლენა აკაკის „განთიადმა“: „... დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ – შენს მიწას მიმაბარეო“, ის კი ერთი შეხედვითაც ცხადზე უცხადესია, რომ ასეთივე მუდარისა და სურვილის ღონიერი ტალღა მღელვარებს უბინაო, ტყე-ველად გასული ჭაბუკი პოეტის საუცხოო სიტყვებში: „უთვა-

ლავ ყვავილს დაიყრი, ახადის არემარეო, შენსამც მოვკვდები გულზედა, შენ მიწა მომაყარეო...“ ნებით თუ უნებლიეთ, აქვე წამოგვაგონდება ტრაგიკული ბედის მქონე ნიჭიერი ხევსური პოეტის, „უბედურის“ თიკუნით ცნობილი გიორგი ჭოლიკაურის ზემოურებთან რაღაცით მსგავსი სტრიქონი: „შენს მკერდზემც ამოვბორცვდები...“

სხვათა ნათქვამის მითვისება-გათავისება, როგორც უკვე აღინიშნა, არ ითვლება დიდად საჯაყ, სასაყვედურო მოვლენად ხალხურ პოეზიაში. მელექსე არ ფიქრობს, რომ მპარავია. არა! უბრალოდ, ამახსოვრდება ნათავედი, ღირსსაცოდნელი ნათქვამი და როცა ლექსის „ყუვი“ ანუ რითმა მოიტანს, უცერემონიოდ, უნებართვოდ და ურევერანსოდ მოიმარჯვებს და „მოიხმარს“ გონებაში გადანახულ სხვის კუთვნილ არაორდინარულ პოეტურ ხატს...

დიდი რუდუნებით შედგენილი ხალხურ მელექსეთა სოლიდური კრებულისთვის „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო“ (2008 წ.) დართულ „ზოგიერთ შენიშვნაში“ ვახუშტი კოტეტიშვილი წერს: „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო“ – ივანეს ეს ლექსი რომ მოვუწონე, ალალად მითხრა: „ამ ლექსში რამდენიმე სტრიქონი სხვისია, ვისი, აღარ მახსოვს, მომეწონა და ჩავრთე, არ დაიკარგოს მეთქი“. ეს „სხვა“ მიხა ხელაშვილი აღმოჩნდა. შესაძლოა, ეს ივანემაც იცოდა, მაგრამ „ძველი ინერციით“ მაინც მოერიდა მისი სახელის ხსენებას“.

მიხა ხელაშვილის 1924 წლით დათარიღებული, ასე ვთქვათ, „პოეტური წინასწარმეტყველების „ჩემო მნათობო“ აღმავალი ექსპრესიით აღბეჭდილი სტროფი (იწყება ასე: „ან ტყვია შამათამაშებს...“) ისე შეუმჩნეველად შეენივთა ივანე წიკლაურის 1951 წელს დაწერილ, ასევე განსაცვიფრებელ ლექსს „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო“, არაა გამორიცხული, საკითხის არსში ჩაუხედავმა მკითხველმა არცკი დაიჯეროს, რომ მისი პირველმთქმელი არა „რამ დამაბერა“-ს, არამედ „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“-ს ავტორია...

2007 წელს გამომცემლობა „პალიტრამ“ მკითხველს მიაწოდა ივ. წიკლაურის ლექსების კრებული „რამ დამაბერა“. წიგნში, რასაკვირველია, კუთვნილი ადგილი ეთმობა პოეტის ზემოთ ნახსენებ ლექსს, რომელსაც იქვე ერთვის შემდეგი შინაარსის კომენტარი:

„ამ ლექსის მოტივებს (მიუსაფრობა, უიმედობა, დაღუპვის წინათგრძნობა, სატრფოსადმი გამოსათხოვარი მიმართვა) პარალელები აქვს ერთ ლექსთან, რომელიც გასულ საუკუნეში ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა. შემდეგ სხვადასხვა ვარიანტით დაიბეჭდა კიდეც და, ფაქტობრივად, ისიც დადასტურდა, რომ მისი ავტორი ყოფილა ფშაველი ახალგაზრდა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის პატრიოტ მებრძოლთა რაზმის წევრი მიხა ხელაშვილი (მოკლეს მილიციის აგენტებმა 1925 წელს).

პოეზიის მოყვარულთა ერთ-ერთ შეკრებაზე, 1980 წელს, ივანე წიკლაურმა თქვა: ეგ ლექსი გაგონილი მქონდა, ხევსური ახალგაზრდები მღეროდნენ ჩონგურზე. ვისი იყო, არც მათ იცოდნენ. ლექსი მომეწონა, მისი აზრი ჩემს მაშინდელ მდგომარეობასა და განწყობას გამოხატავდა; დასაკარგავად არ მემეტებოდა და ზოგიერთი სტრიქონი ჩემს ლექსში შევიტანეო...“

ხელისუფლების მხრიდან შერისხულ, დევნილ, ხალხის მტრებად გამოცხადებულ „დაწყევლილი“ თაობების ავტორთა „საეჭვო“ პოეტური ნაწარმოებების მსმენელამდე მისვლა მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი გზით იყო შესაძლებელი და, ამდენად, დასაშვებია, ივანე წიკლაურს მართლაც არ სცოდნოდა, ვის ეკუთვნოდა მის მიერ ყოვლად „უბოროტო“, უწყინარი, კეთილშობილური განზრახვითაც კი (არ დაიკარგოსო!) მისაკუთრებული ლექსის სტრიქონები...

მიხა ხელაშვილის სახელის ხმამაღლა ხსენება ხომ თავგანწირვის რისკთან იყო წილნაყარი. მისი შედევრი „ლექსო, ამოგთქომ“ ბოლო ათწლეულებამდე ხალხურად ცხადდებოდა და, იბეჭდებოდა, როგორც ანონიმური. და თუკი რომელიმე ქართველი მწერალი გარკვეული მოსაზრებით ჩართავდა ამ ლექსს თავის ნაწარმოებში, აუცილებლად შეცვლიდა ნამდვილ, უტყუარ გზა-მისამართებს და მის შენიღბვას შეეცდებოდა... ასეც მოიქცა გრიგოლ აბაშიძე. რომანში „ლაშარელა“ ხმელგორზე გამართული ლხინის დროს ლაშა გიორგის თხოვნით ბრმა ხევსური ფანდურზე მღერის მ. ხელაშვილის ამ დიდებულ ლექსს და მეფეს ეუბნება, ეს ლექსი ჩემიაო...

იმის გამოცნობას, ინდივიდუალური შემოქმედის მონაღვაწია თუ „კოლექტიური ქვეცნობიერის“ (იუნგი) ნაყოფი მავანი მწერლის პროზაულ თხზულებაში შეტანილი ესა თუ ის ფოლკლორული ჯ%ურის ლექსი, ზოგჯ%ერ ისიც ართულებს,

რომ მისი ავტორობა თუ იმპროვიზირება ამ თხზულების რომელიმე პერსონაჟს მიეწერება ხოლმე.

ლევან გოთუას რომანში „გმირთა ვარამი" სამკაულებივით ჩარიგებული პატარ-პატარა მოხალხურო ლექსების ავტორმთქმელებად და გამხმოვანებლებად სხვადასხვა ასაკისა და სოციალური წრის კოლორიტული წარმომადგენლები გვევლინებიან. ესენია: გრემელი ზაზა კახნიაური, ქოხსალამურა, ოქროპაპა, ფილო მნათე, ტახ-ბერიკა, ყეენი, ხონთქარა და ბაკუკ-კაცი...

იქვე ვეცნობით ლეკის ქალ ზუჰრას, რომელიც მშობლიურ ენაზე დასტირის აბუბექირს, გმირულად დაღუპულ თავის სანაქებო ქმარს...

რევაზ ინანიშვილის წიგნიდან „ჩიტების გამომზამთრებელი" ბევრ ჩვენგანს ახსოვს ლირიკული ტონალობით გამთბარი მოთხრობა „ფშაველები". ამ მოთხრობაში „ქარვისფრად გაბრწყინებულ ოქტომბრის დღეს" თითქოსდა მოულოდნელად შექმნილ სპონტანურ სიტუაციასთან ოსტატურადაა შეხამებული ერთურთისთვის სრულებით უცხო ქალ-ვაჟის, უფრო ზუსტად, დამხვდურისა და ჩარგლის მცირეხნიანი სტუმრის, ნაუცბათევი გაკაფიავება.

ქალაქელი ვაჟი ფქვილით სავსე ტომრის აწევაში და სავაჭრო ფარდულიდან ბებერ წნორამდე მიტანაში მიეშველება „მკვლავმაგარ, ახალგაზრდა ფშაველ ქალს"...

„– მადლობელი, ძმისავ!.."

ამ სიტყვებით მუხლმოკვეთილი და „თვალის სამანწაშლილი", სევდიანი და ალერსიანი ვაჟი ეუბნება:

ქმარი სადა გყავ, ბეჩავი,
მარტოს რად გიშვებს შარასა.
ქალი პასუხობს:

ქვემოთ, ჭინჭრებში დამირჩა,
არავინ მაიპარავსა.

ვაჟს სითამამე ემატება:

რათ გინდა ეგეთი კაცი,
მე გამამყევი ხარასა.

ქალი „უკანდახეულის გამბედაობით“ შეაგებებს:

შენ უთხარ აეგ სათქმელი,
ჩემს არ იჯერებს არასა...

მაინტერესებდა და ერთ-ერთი შეხვედრისას ბ-ნ რეზოს გულუბრყვილოდ ვკითხე, „ფშავლებში“ რომ კაფიაა, სად ჩაიწერეთ-მეთქი? ღიმილით მითხრა, ჩემია, მე დავწერეო.

მიუხედავად იმისა, რომ დაჰკრავს ლიტერატურულობის იერი, იმდენად ლაღი და რაღაცნაირად მიამიტურია, ამასთან, საღი ხალხური მახვილგონიერებით ნიშანდებული, დღემდე ალბათ ბევრს ფოლკლორული წარმომავლობისა, ფშავლებს შორის შექმნილი ჰგონია ქართული სიტყვის დიდი მესაიდუმლის ეს უჩვეულო და რამდენადმე „არატიპიური“ ნაკალმევი...

ამავე ასპექტით არანაკლებ საინტერესო ექსკურსების ჩატარების საშუალებას იძლევა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“, სადაც ავტორის მიერ შეთხზულ პერსონაჟთა სამღერ და საღიღინო ტექსტებს შუმი ხალხური ლექსების კასკადი მოსდევს და მათი გარჩევა და დაცალცალკევება არც ისე ადვილი საქმეა...

ღირს ხსენება იმ ერთგვარი უხერხულობისაც, რაც ხალხური ლექსის ავტორობის დელიკატური საკითხის რკვევისას იქმნება ხოლმე.

დღემდე ღია თუ ფარული, „კულისებსმიღმა“ კამათის, ხშირად უკომპრომისო ცილობისა და პოლემიკის საგნად რჩება „ვეფხვისა და მოყმის“ მეორე ნაწილის ანუ გაგრძელების („იარებოდა დედაი...“) ავტორის ვინაობა. ასახელებენ მიხა ხელაშვილს, გიორგი ჯაბუშანურს... პროვინციულ ელფერს იძენს თვალსაზრისთა დაპირისპირება, როცა პაექრობის ტექსტსა თუ ქვეტექსტში ვიწროკუთხური პატრიოტიზმის საცოდავი ბაცილები იჩენენ თავს. ეს უბადლო ბალადა, უწინარეს ყოვლისა, ზოგადქართული მონაპოვარია, ეროვნული სულიერი კულტურის უბერებელი ძეგლია, პოეტური აზროვნების უიშვიათესი ნიმუშია, ხალხური ცნობიერების, ნიჭისა და წარმოუდგენელი დიდსულოვნების გამოვლინებაა და მეათეხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მისი გვიანდელი ნაწილის ამომთქმელი ტომით და გვარით ფშაველია, ხევსური თუ საქართველოს რომელიმე სხვა კუთხის შვილი...

არის შემთხვევები, როცა რომელიმე წონადი პოეტური ნიმუშის ნამდვილი ავტორის მიგნებისა და დანამდვილების ფილოლოგიური ინტერესი შუა გზაზე გაჩერების ნებას არ გაძლევს და, რაკი კვანძი შეიკრა, ცნობისმოყვარე მკითხველსაც ერთი სული აქვს, ჩაწვდეს ბურუსით მოცული შემოქმედებითი აქტის საიდუმლოს.

მხედველობაში გვაქვს ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ აღმოჩენილი და ხალხური პოეზიის ერთ-ერთ საღამოზე გახმიანებული ლექსი „თუ ასე ტურფა იყავი", რომელზედაც, აღმოჩენიდან სულ მოკლე ხანში, შესანიშნავი სიმღერა შექმნა ანზორ ერქომაიშვილმა (მღეროდა ჰამლეტ გონაშვილი ანსამბლ „რუსთავთან" ერთად).

საქმე ისაა, რომ თავიდან ამ ლექსის ავტორად გარეკახელი თინა ბეჟიტაშვილი მოგვევლინა, ხოლო შემდეგ გაირკვა, რომ მისი ავტორი ყოფილა აწ გარდაცვლილი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე ნათელა ონაშვილი, შვილი თინა ბეჟიტაშვილისა.

მეორე მხრივ, იოლად შესამჩნევია მთელ საქართველოს მგრძნობიარე სიმღერად მოფენილი ამ მშვენიერი ლირიკული ნიმუშის ლექსიკურ-ინტონაციური სიახლოვე და ბგერწერული მსგავსება ვაჟა-ფშაველას შედევრთან „იას უთხარით ტურფასა"...

* * *

„ბინდისფერია სოფელი"-ს გვიან შეძენილ, რაღაცით ესქატოლოგიურისმაგვარ დასასრულს, სადაც, გარდა უკლებლივ ყველა დედის მუცლით ნაშობის წარმავალობისა და განქარების უნუგეშო პერსპექტივისა, თითქმის არაფერი იკითხება, ხალხურსავე პოეზიაში მოეძევება არა იდენტური, არამედ ბევრი რამით მსგავსი, მონათესავე „ორეული". ესაა ლექსი „ტიალი წუთისოფელი", რომელიც, საპასპორტო მონაცემებით", ალ. წყარუაშვილს ჩაუწერია სიმონ კობაიძისგან, 1935 წელს, ს. ნაოსარში.

ტიალი წუთისოფელი
ხილვას არ გვაცლის მზისასა!
უდროოდ გადაგოქცევს-კე
მგზავრსა შავეთის გზისასა.
ბევრს ჩააჭკნობს-კე კაი ყმას,

ბევრს ქალს – ვარსკვლავსა ცისასა,
როგორც მზე მოჭრილს უდროოდ
ნორჩსა აყრილსა ხისასა.
კაცნი ვართ, მაინც ვილხინოთ,
გულს ნუ ვახარებთ მტრისასა,
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა.

საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს თქმა იმისა, რომ „ბინდისფერია სოფელი"-ს განმვრცობი იცნობდა ამ ფოკლორულ ტექსტს და, ნებით თუ უნებლიეთ, მოექცა კიდეც მისი კეთილისმყოფელი გავლენის არეალში. ამგვარი აზრის სისწორისა და მართებულობის არგუმენტად გვეგულება ის გარემოება, რომ ამ ლექსთა ურთიერთსიახლოვის გამოხატვას განაპირობებს ოპოზიციური წყვილების (ჩვენც/სხვისასა, ჩვენ/სხვას) განლაგების თანაგვარი კომბინაცია:

...ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა...
...ჩვენ რას წავიღებთ ამქვეყნით,
სხვას არა წაუღია-რა...

„ტიალი წუთისოფელი"-ს უფრო ადრინდელი ჩანაწერი თედო რაზიკაშვილს ეკუთვნის. ის ქართლშია შესრულებული და ბევრად მოკლეა მომდევნოსთან შედარებით...

იკვეთება მკრთალი კვალი ხალხური ლექსის ძველი, ძირითადი ვარიანტის შესხვაფერებისა, ეტაპობრივი განვრცობისა და სიუჟეტური (თუკი შესაძლებელია სიუჟეტზე საუბარი) განვითარებისა. კუთხიდან კუთხეში ზეპირად მოარული ზეპირსიტყვიერი ქმნილება გონიერი გამგონის წყალობით იცვლის სახეს, განიცდის ტრანსფორმაციას, მატულობს მოცულობაში, ახალი დეტალებით ივსება, მდიდრდება და გენეტიკური კოდის მოუმცდარობის მეოხებით ინარჩუნებს ფესვეულ კავშირს თავის წინამავალ ვარიანტთან...

წუთისოფლის ციკლის ხალხურ პოეზიაში გულისხმამისაპყრობია ადამიანთა ყოფნა – სიცოცხლის შედარება თუ შეტოლება ჩიტთან, როგორც მუდმივად მოძრავ, ადგილის მალი-მალ მცველ, დაუდეგარ არსებასთან.

უცნობი არტნელი (ივრისხეობელი) ავტორ-მთქმელის იოსებ გარაშვილის ერთ ლექსში, განსხვავებით გამოქვეყნებული ხალხური ლექსებისაგან, დაკონკრეტებულია ფრთოსნის სახეობა, რომელსაც შეიძლება ჰგავდეს ჩვენი უხანო, უნდობარი საწუთრო: „გაფერე, ნუთისოფელო, გუგულის გაფრენასაო...“

სახეობრივი ნიუნსების აქცენტირებამ შორს რომ არ გაგვიტყუოს, კვლავ ძირითად თემას დავუბრუნდეთ და კიდევ ერთხელ დავსვათ ნაცნობი კითხვა: ვისია სტროფი (სტროფები), რომელმაც ესოდენ ცხარე ინტერესი აღძრა ინტელექტუალთა შორის?

ჩვენი ცალსახა ვარაუდი (კატეგორიული დასკვნისგან თავს შევიკავებდით) სრულად ემთხვევა და ეთანხმება გივი ალხაზიშვილის და თამაზ ნატროშვილის თვალსაზრისს, რომლის თანახმად, „საჭოჭმანო“ სტროფის ავტორია გრიგოლ აბაშიძე.

უფრო მეტიც: „ლაშარელას“ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს წინარე სტროფიც, რომელსაც თავის ეპისტოლეში რატომღაც ყურადღების მიღმა ტოვებს გრიგოლ სენეკური.

რომანში თურმან თორელი მომაკვდავ მეფეს უმღერის:

იმასაც მოკლედ უვლია,
გრძლად ვინც გვეგონა იარა,
შუქს ბნელი შესჭამს, ვარდს – ჭია,
კაცის გულს – ჯავრის იარა...

სურათი ასეთია: ვახტანგ კოტეტიშვილის კრებულში მოთავსებული ტექსტისგან კახეთში მოპოვებული ვარიანტის უცნობმა ავტორმა მხოლოდ პირველი სტროფი დატოვა, ჩამოაცილა დანარჩენი სამი და მათ ადგილას უწვალებლად ჩასვა „ლაშარელაში“ ამოკითხული, ხალხურ ხმასა და ყაიდაზე განყობილი რვა უნაკლო, ღრმააზროვანი სტრიქონი.

გრიგოლ აბაშიძემ, ჩვენი აზრით, ისარგებლა ვ. კოტეტიშვილისეული ვარიანტით, საწყისი სტროფი უცვლელად აიღო, ხოლო თავში და ბოლოში ორ-ორი სტრიქონი დაუმატა:

წარმავალია ნათელი,
სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება...
... ...
ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე
ბალახი აბიბინდება...

* * *

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1982, 1992 წწ.) დაბეჭდილია გრიგოლ აბაშიძის წერილები ხალხური პოეზიის საკითხებზე. პირველში განხილულია დავით წერედიანის მიერ სვანურიდან უტოლო ოსტატობით გადმოღებული ლექსების წიგნი „ირინოლა“, ხოლო მეორეში – თუშური და ფშაური ნატირლების ორი კრებული: „მგოსანნი გლოვისანი“ და „ხმით ნატირლები“...

ეს ფაქტიც ნათლად მოწმობს, რომ მწერლის ინტერესი და მუდმივი ლტოლვა სიბრძნის ულევი საბადოებისადმი სულაც არ ატარებდა სპორადულ, ეპიზოდურ ხასიათს. მისი სმენა და მზერა ნიადაგ იქითკენ იყო მიმართული, სადაც სისხლსავსე ეროვნული ძარღვი ფეთქავდა, მშობლიური ხმა და ბგერა გაიგონებოდა და მამულის ხნოვანი სანახები იხილვებოდა... საფუძვლიანად იცნობდა ხალხურ სიტყვიერებას, ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფას, მათ წეს-ადათებსა და რწმენა-ჩვეულებებს... და ეს ყოველივე საცნაურია მის თხზულებებში, განსაკუთრებით – ისტორიული მოვლენების უკუმფენ რომანებში...

„მოვა სიკვდილი უჩინოო...“

პროზაული ტექსტის ქმნადობის პროცესში სპონტანურად ჩნდებოდა ასოციაციები, რემინისცენციები; ირღვეოდა სამანი ინდივიდუალური შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვასა და ხალხის გულში წლობით ნაბრუნ, ნადუღ, ნამტკიც ხალას პოეზიას შორის... ირღვეოდა და ზეპირსიტყვიერების უფსკერო „სამალავებიდან“, შრეებიდან და სახიზარებიდან წამოღებული ხატოვანი ნათქვამი, ლექსემა თუ სტრიქონი „წრებრუნვის“ უცვლელი კანონის კარნახით კვლავ პოეტურ ფოლკლორს უბრუნდებოდა...

კაცის გულს რომ ჯავრი კლავს და არც არასდროს ელევა („კაცის გულს-ჯავრის იარა...“), რახანია ხმობს და „გვაფრთხილებს“ ხალხური პოეზია: „გულო, ჯავრისგან მოკლულო...“ „ნისლმა ხო ვერა დამათრო, – ჯავრმა, გულს გადამდინარმა...“ „გულს ჯავრი, ღორღი მამულსა აროს არ დაელევაო...“

სიკვდილი რომ მუდამჟამ მალვით მავალია („მოვა სიკვდილი უჩინო...“) და ძეხორციელი ვერსად დაემალება, ესეც კაი ხნის დანამდვილებული აქვს ჩვენს ზეპირსიტყვიერებას:

„თორ მალე მოვა სიკვდილი ტუქსი, არ – მოცინარიო..." „მოვა სიკვდილი ტიალი, მახვილად დამეღირება..." „სიკვდილო, ვერ დაგემალე, კლდე გამოვკაფე სალია..."

არც ისაა უცხო და უცნობი უსახელო-სახელიან გლოვის მგოსანთათვის, რომ ამ ცოდვამადლიანი მიწიდან ადამიანი „მუნ" ბევრს ვერას წაიღებს („ჩვენ რას წავიღებთ..."): „სამი ადლი ტილოს მეტი სამარეში რა ჩაგვყვება?.."

არსებობდა საიმისო ნიადაგი, თანაც მყარი და ნოყიერი, მწერლის ფიქრი გარკვეული დროით მელექსეთა ცნობიერების სადენსა თუ სადინარზე რომ გადართულიყო და შექმნილიყო „უბირ" მათქვამთა ფილოსოფიურ წიაღსვლებზე არაფრით ნაკლები ნიმუში კლასიკურ-ხალხური პოეზიისა.

არანაირი უფლება და საფუძველი არ გაგვაჩნია, არ ვერწმუნოთ თვით მწერლისმიერ ცნობას და „ბინდისფერია სოფელი"-ს შთამბეჭდავი დასასრულის ავტორი ვეძებოთ იქ, სადაც ის არაა.

„ეს ლექსი არც ხალხურია და არც სინამდვილეში არარსებული თურმან თორელისა. გრიგოლ აბაშიძე გახლავთ მისი ავტორი" (თ. ნატროშვილი).

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აღსარების სიწრფელით აღსავსე ჩინებული ლექსის – „არყოფნისაკენ" – ავტორზე უკეთ ვის უნდა „დაენახა" და დაეხასიათებინა უსერო და უსხეულო, ადამიანის ნება-წადილისაგან დამოუკიდებელი ის ტრანსცენდენტული არსება, რომელსაც სიკვდილი ჰქვია და რომლის ნამოქმედარი ისეთივე შეუქცევადია, როგორც დღის დაღამება.

„გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი...“

იყო დრო, როცა ლაშარის გორზე დაუტევლობის გამო დღეობაზე დაგვიანებით მისული მლოცველი გორის ძირს, ჭალაში იდებდა ბინას.

„ზღვითი-ზღვამდე განთქმული“ სალოცავის სასო და რწმენა ღვიოდა მეზღვნე-მეხვეწურთა გულებში, იდუმალ ძალას და განუზომელ საკულტო-საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ლაშარის ჯვარს არა მხოლოდ ადგილობრივნი, ფშავის თორმეტი თემის მცხოვრებნი, არამედ სხვებიც: თუშები და ხევსურები, მთიულ-გუდამაყრელნი, ქისტები, ქართლ-კახეთიდან ამოსული ბარელი ქართველები...

მიდიოდნენ საკლავ-საწირით, სანთელ-ზედაშით, დიდი „ბატონის“ მხრიდან შველა-შემწეობის განუქარვებელი იმედით; მიდიოდნენ, წესრიგს აყენებდნენ, თანადგომას შესთხოვდნენ, ერთგულებას ეფიცებოდნენ მთიელთა ღვთისშვილებს შორის უმაღლესსა და უძლიერეს ღვთისშვილს და ზეგარდმო მადლს ნაზიარებნი, ნათელღებულნი და განწმენდილნი ბრუნდებოდნენ უკან...

დიდი დატვირთვა ჰქონდა ღვთისმსახურებას: ხატის კარზე წყდებოდა ფხოველთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ლოკალური საკითხები; ბჭე-ხევისბერთა პირით გადმოსული სიტყვა დიდად ფასობდა, თემის რიგით წევრებს სჯეროდათ მათი; თემ-სოფლის „პირისმშლელთ“, ორგულთა და ქვეგამხედვართ ხატის სახელით სჯიდა, ასამართლებდა და აძევებდა ხალხი...

ბევრ კაი ყმას დაუბიჯებია ლაშარის გორზე, ბევრი გონივრული სიტყვა თქმულა გამხვივნებული მუხა-იფნების ჩრდილში...

„ფარს ქვეშ ნაწურთნ“ ყმათა, ანუ „პიროფლიანთა“ წმინდა აჩრდილების წინაშე დღესაც მუხლს იდრეკს მათი ხსენების ღირსი შთამომავლობა.

* * *

უკუღმართმა დრომ ღვთის რწმენა გაბზარა და შეასუსტა ქართველთა შორის.

ათეული წლების მანძილზე ფუყე იდეოლოგიის მესვეურთა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ტარდებოდა საუკუნეთა შორეთიდან მომდინარე დიდი თუ მცირე მასშტაბის რელიგიური დღესასწაულები, მრავალმხრივ საჭირო, საგულისხმო და

საინტერესო საკრალური რიტუალები; იკარგებოდა ვარგისი, დრო-ხან გამოვლილი ადათები და წეს-ჩვეულებები.

ბრალად ბჟუტავდა ცას და მიწას შუა ობლად დარჩენილ რწმენის კოშკზე მიკრული კენტი სანთელი; ბჟუტავდა და ერსა და ბერს სწორ სამომავლო გეზს მიანიშნებდა, თვალწინ ჩამონოლილ უკუნს უგერიებდა, ხელახალი მოქცევისაკენ, გარემოებათა გამო მიმქრალი და მინავლებული ნაღვერდლის აალებისაკენ უხმობდა...

ერმა ისმინა ხმა განგებისა, მზერა საკუთარი სულის სიღრმეში მიმართა და პირი კვლავ ჭეშმარიტებისაკენ იბრუნა.

* * *

1981 წლის 14 ივლისი.

უკანაფშავი.

თამარ დედოფლის სალოცავში, რომელიც „ღელეში" მდებარეობს, მლოცველი შეგროვილა.

წინა დღეს ლაშარობა იყო. ხმელგორზე რამდენიმე ალაგას დანთებული ცეცხლი, მეზღვნეთა ჩოჩქოლი და ახალბედა ხევისბრის სამწყალობნო სიტყვები იმედის სხივს სახავდა გულში.

თუმცა...

რაღაცნაირი თავშეკავება, ვინაობის არგამხელის სურვილი და ხალხთან, ასე ვთქვათ, დისტანციური დამოკიდებულების წადილი იკითხებოდა ხატისგან „დამიზეზებული" და მსახურად „აყვანილი" ლაშა ხევისბრის ყოველ სიტყვაში, ნაბიჯში და გამოხედვაში.

თამარ დედოფლის სალოცავზე მოგახსენებდით.

ამ სალოცავს და ლაშარის ჯვარს „მოდე-მოძმეთა" სახელწოდებით იცნობს არაერთი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჩანაწერი.

ქრონოლოგიური პრინციპი აშკარად დარღვეულია.

მაგრამ თავისებური მსოფლხედვის მქონე ხალხისთვის ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. სასურველი მის შეგნებასა და ნარმოსახვაში ხშირად სინამდვილის სახით გვეძლევა...

„ღმერთთან წილნაყარი" მეფე-ქალის, ანუ „აქიმ დედოფლის" სახელობის სალოცავს და მისი საბრძანისის მოპირდაპირე გორზე დაფუძნებულ ლაშარის ჯვარს თავ-თავიანთი საყმოების ბედზე მუდამდღიურ მზრუნველებად სახავს უმდიდრესი ხალხუ-

რი პოეზია; ზღვარი მიწიერსა და ღვთაებრივს შორის იშლება და ადამიანურ მარცხსა და ზიანს კაცთა დარად განიცდიან „პატიოსანი და მრავალჯერ მესასოე“ მოდე-მოძმენი:

ღელეს ატირდა თამარი,
ლაშარს ლაშარის ჯვარია,
გაიგო ლაშარის ჯვარმა,
წელთ შამაიხსნა ხმალია.
– რა მქონდა შანაცოდვარი,
რამ დამილივნა ყმანია?!
გადაჯდა ნისლისფერზედა,
არ ჩამოიღო თავია,
ხელუკუღმ ჩამაიყარა
ოქროს მათრახის ტარია...

სამაგიეროდ, არც მადლიერი მოკვდავნი რჩებიან ვალში და ყოველწლიურად დიდი ამბით ადიდებენ „მთისა და ბარის სალოცავებს“...

„ღელეში“ მდგარ თამარ მეფის საყდარში, რომელიც 1901 წელს „ძალითა ღმერთისათა და შენევნითა ღვთისმოშიშთა კაცთათა“ აუგია მღვდელ-მონაზონ ილარიონს, მნახველის ყურადღებას იქცევს ეშმაკთან წილდებულ ურწმუნო კაცთაგან შელახული ხატი თამარისა. ამ ხატზე იკითხება ფანქრით შესრულებული შემდეგ შინაარსის წარწერა: „1933 წელი. ამა წლის 21 მარიამობისთვე. ყაჩაღები ლევანა სულხანიშვილი, აბიკა ლიქოკელი ვიარებით ყოველ დღე. ამა სურათის თვალების წამომთხრელს იმედია რომ მოვხელავთ და წამოვთხრით ამასავით თვალებს“.

როგორც ვხედავთ, თავშესაფრის საძებრად ტყე-ღრეს მოდებული, განუკითხავ უსამართლობას განრიდებული „ყაჩაღები“ ერთგულ ებგურებად უდგანან სათაყვანო სალოცავს და ხატს დედათა შორის ქართველთა უმშვენიერესი დედისას.

ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო წარწერაში ხომ საოცარი სიცხადით ჩანს ჭირბედ ნატვირთი „ყაჩაღების“ პიროვნული სახე და ბუნება-ხასიათი...

პირველსავე სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, ლაშარის ჯვრის გალავანში უნდა გადავინაცვლოთ, გალავანში, სადაც ცასთან ოქროს შიბით დაკავშირებული ბერმუხა მდგარა:

ბერი გიორგი მეც ვიყავ,
ცას ვები ოქროს შიბითა,
ხმელგორზე მედგა ბერმუხა,
ზედ ავდიოდი კიბითა...

მთიელთა დამარცხებისა და დამორჩილების აულაგმავი ჟინით შეპყრობილ „ხელკრულ" ზურაბ ერისთავს სწორედ ამ სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ბერმუხის წაქცევით დაუწყია თავისი ვერაგული განზრახვის განხორციელება. მოღალატეს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე და გამოჩენილა კაცი, რომელსაც ხის მოჭრის ხერხი უსწავლებია ერისთავისთვის... ძირს დაცემულა ბერმუხა და ოქროს შიბი ცაში აკეცილა.

შიბ გაწყდა, ცისკენ წავიდა,
წიოდა, როგორც გველიო.

იმ დღიდან დაცარულა მოღალატის, ვინმე შავშალიკას, იღბალი და ნავსმორეული ფშავის ბედი.

ნიკო ხიზანაშვილი (ურბნელი) შენიშნავდა: „ვგონებთ, ხალხის გადმოცემა ლაშარის-ჯვრის „ბერ-მუხაზედ" მარტო ფანტაზიის ნაყოფი არაა და ღრმა აზრს შეიცავს..."

ხმელგორის ბერმუხა ნაირსახეა მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიებიდან ჩვენთვის ცნობილი კოსმიური ხისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ცა-ხმელს.

საყმოების „შამონაზენი" (ანუ შესაწირი) ბერმუხისა და მასზე მობმული ოქროს შიბის მეშვეობით აჰქონდა ღმერთთან ლაშარის ჯვარს. უზენაესთან მისასვლელი ბილიკის მოშლა, ცხადია, კარგს არაფერს მოუტანდა არც ლოკალურ ღვთაებას და არც მისი მფარველობის ქვეშ მყოფ ხალხს...

აწ გარდაცვლილი სახელოვანი ხევისბერის ბიჭურ ბადრიშვილის თქმით, იქ, სადაც ბერმუხა მდგარა, ამჟამად სიპი ქვებია დაწყობილი „საფენად". ეს „საფენი ჩაბრუნებულია" და საფენის კიდეებზე გარშემოვლებულ ნაყარ ქვებთან ერთად იგი იცავს ბერმუხის ფესვებს ზედმეტი ნამისა და დალპობისაგან (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I. 1973, გვ. 39).

რახან ფესვები არსებობს, ოცნების სფეროში მაინც უნდა

ვიქონიოთ იმედი იმისა, რომ ოდესმე კვლავ აღმოცენდება ხმელგორზ დიდი საქვეყნო მისიის მტვირთველი ხე და აღდგება კავშირი ზესკნელსა და შუასკნელს შორის!..

ლაშარის ჯვარი ბევრი რამით იქცევს გულისყურს.

სხვა რომ არაფერი, დღემდე დაუდგენელია, საბოლოოდ არაა გარკვეული, საიდან წარმოსდგება სახელწოდება „ლაშარი“. ერთნი მას ლაშა გიორგის სახელთან აკავშირებენ, ხოლო მეორენი თვლიან, რომ იგი ლაშქრობის ხატია და სახელიც აქედან გამომდინარე დაერქვა (ამ აზრს ემხრობოდა და იზიარებდა ვაჟა). არსებობს სხვა თვალსაზრისიც, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა: მონათესავე ტომზე თუ საქართველოს საერთო მტერზე გალაშქრება ლაშარის ჯვრის დროშის წინამძღოლობით ხდებოდა... ეს მომენტი უჩვეულო მხატვრული სიდიადით არის წარმოჩენილი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. ამ მხრივ მარტო პოემა „ბახტრიონი“ რად ღირს!..

მშვიდობიანობისა თუ ომიანობის ჟამს მათურხევასთან, დამასტეს მინდორზე იკრიბებოდნენ და შემდეგ იქიდან ადიოდნენ ლაშარის გორზე ფშავის ყველა თემის უხუცესები და ხევისბრები სატომო მასშტაბის საჭირბოროტო საქმეთა განსაბჭობად და გადასაწყვეტად.

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძველად „ლალი ლაშარის ჯვარი“ ძალზე დიდ საზოგადოებრივ-საკულტო ფუნქციას ასრულებდა.

ლაშარის გორზე ხდებოდა მეზობლად მცხოვრებ მოძმე მთიელთა თავშეყრა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება, თუმცა სეფე-სიტყვა მაინც ლაშარ-„ბატონს“ ეკუთვნოდა:

თუშთა, ჴევსურთა, ფშაველთა
ლაშარს პირობა შაკრიან.
უბრძანებს ლაშარის ჯვარი:
„აჴვაში ჩასვლა მწადიან“.

ღვთისშვილის ნება-სურვილს წინ ვერავინ აღუდგებოდა.

ლურჯაზე ანდა ნისლისფერაზე ამხედრებული ღვთაება ნაუძღვებოდა წინ „ქორ-შავარდნების ჯარს“ და იშვიათად რომ ძლეულნი შემოქცეულიყვნენ უკან.

ცხენს შაჯდა ლაშარის ჯვარი,
ქვეშ უქრის ნიავ-ქარია.

ხელთა ჰქონ ოქროს კოჭობნი,
შიგ უდგა ვერცხლის წყალია,
ნელში ურჭვავის მათრახი
შვიდკეცი, შვიდი მხარია...

ისტორიული ფხოვის უმაღლესი და უძლიერესი „ღვთისნაბადებნი" – ლაშარისა და გუდანის ჯვრები, უნინარეს ყოვლისა, თავიანთი საბრძოლო თავგადასავლებით არიან აღბეჭდილნი მათი საყმოების რწმენასა და შეგნებაში. შესაბამისად ამისა, მათი ვიზუალური სახეც შეაბჯრულ მოლაშქრეთა გარეგნული იერის მიხედვითაა „ჩამოძერწილი"...

„ველს გასული" მოლაშქრე თუ მონადირე თავის მოწყალე ჯვარ-სალოცავზე ამყარებდა გამარჯვების იმედს; მისით გულდიდობდა და თავმომწონეობდა; მისი შეწევნის, მხარდაჭერისა და დახმარების ფანატიკური რწმენით ხვდებოდა „ზარავანდივით მწარე" საწუთროს მუხანათობას; იმედოვნებდა, რომ გასაჭირში მყოფს, განსაცდელში ჩავარდნილს მოკვდავთა თვალისთვის საფარველდებული, უსხეულო და უჩინარი ციური ძალა შეეშველებოდა, კალთას ჩააფარებდა და საბედისწერო მარცხ-ფათერაკისაგან დაიხსნიდა.

წმ. გიორგის სახელობის ღვთისშვილის „თან ყოლა" ანდა „თავს დგომა" წინაპირობა იყო იმისა, რომ მის ყმას თავი დაეღწია ყველანაირი ძნელბედობისაგან.

ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ ხოლმე ხალხური მელექსეები:

თან გტანავთ ლაშარელაი,
ბედის გიქროლავთ ქარია...

ვერც ძალმოსილ ჯვარ-ხატთა რჩეული ყმების სიკვდილს იჯერებდნენ ადვილად. ხატებთან წილნაყარ ვაჟკაცს, მათი აზრით, აგრე იოლად ვერ დაჯაბნიდა წერა-მწერელი...

ნახეთ, რა გულწრფელი გაკვირვებით სვამს შეკითხვას ქავთარის დროშის დაგვიანებით შეძრული და შეფიქრიანებული უცნობი ავტორი ერთი მშვენიერი მთიბლურისა:

ქავთრის დროშაი არ მოვიდა,
ბურსაჭილ დაგვიანებულა.
ნეტარ, ქავთარსა რა მახკლავდა?

შიბი ცხრა-კეცი ედვა ყელსა,
ლაშარის ჯვარის ჩადებული...

ეს ყოველივე ოდენ ილუზორული წარმოსახვის ნაყოფი არ გახლავთ. მუდამ მტრიანსა და მკაცრი ბუნების სტიქიონთა პირისპირ საკუთარი თავის იმედად მყოფ ხალხს ესაჭიროებოდა ძლიერი მფარველი, რომელიც მას ყოველდღიურ სიმძიმილს შეუმსუბუქებდა, პირადი ღირსების გრძნობას გაუღრმავებდა, რწმენას შემატებდა, განუმტკიცებდა და ირწმუნა კიდეც ძალნი ცით მოვლენილნი „ღვთივსნასახთა" ანუ მათ მიერ მინიერ საბრძანისებად სახელდებულ ჯვარ-ხატთა სახით.

* * *

მიხაკო წერეთლისადმი მიძღვნილ წერილში გრ. რობაქიძე ამბობს: „...განიხილეთ ალავერდობის მისტერია, გადმოფინეთ ფენომენი ლაშარისა – ლაშა: „სხივოსანი", „ბრწყინვალე"; ლაშარი იგივეა მთაში, რაც ბარში თეთრი გ. – დაინახავთ, რომ ეს ასეა".

მწერალი იქვე ეხება დაკარგული სუვერენობის აღდგენის საკითხს საქართველოში, პარიზში შექმნილი „თეთრი გიორგის" რაზმის განსხეულების შესაძლებლობას „ორდენის" სახით და კიდევ ერთხელ საცნაურყოფს „ლაშარის" ცნებაში ჩადებულ მისტიურ საიდუმლოს: „ამ ორდენის წევრებს შეუძლიათ იყვნენ სხვადასხვა პარტიებში პოლიტიკურად, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ ეცდებიან ზეპარტიულ არეში გაიყვანონ ლაშარის ხაზი. ვხედავ: გადავცურდი უტოპიაში, რა ვქნა? ლაშარს თუ შეეხე, უთუოდ გადაგძლევს".

ლაშარი და ლაშარის გორი ერთიანი საქართველოსთვის იმაზე მეტს უნდა ნიშნავდეს, რასაც ჩვენ მშობლიური მიწის რომელიმე წმინდა, მუხლმოყრით საესავ, ღვთივკურთხეულ ნაწილზე ვფიქრობთ.

ვენდოთ, ვუსმინოთ და ვერწმუნოთ ვაჟა-ფშაველას წინასწარმეტყველებას:

ელირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა!..

ბევრი კაი ყმა გაზარდა არხოტის მიწამ.

გაცვდა და თვალს მიეფარა მათი წილი საწუთრო.

კულტის საგნად იქცა ალიათ მგელას, ბერდიათ გაგას და სხვათა სახელები.

ხალხმა მათი ღვთაებრიობა იწამა. ლეგენდების ნისლში გახვეულ სახელოვან წინაპართა ნაქნარ-ნამოქმედარს შთამომავლობა დღესაც კრძალვით, რიდითა და პატივისცემით ახსენებს...

„წინიდგე ძალით ნაჭერი" არხოტის სიმაგრეები კი კვლავ წარბშეუხრელად დგანან; ბისნა-ჩორეხის ნისლებიც ისევ გულდიდად დიან და „სისხლით შაღებილ" ვიწრო ხევებს შორეულ წარსულში ნაწვნევ ტკივილებს უამებენ...

ტკივილი კი მართლაც მრავალგზის განუცდია ნიადაგ სიკვდილის მომლოდინე არხოტს. ტყუილად როდი ამბობს „გულის დარდებში გასული" მელექსე:

ბევრ წყენა შამაანარცხე
არხვატს, ციმბირის ცალსაო...

ბევრი რამ არის საანდრეზოდ სათქმელი არხოტის ისტორიაში: „მაღლის ხთის მოკარვე" ჯვარ-ხატთა ამბები და შეუდარებელი მელექსეობა, სტუმარ-მასპინძლობის ხანგამძლე, ძველთუძველესი ტრადიცია და ასწლეულების მიღმიდან მომდინარე რჯულ-სამართალი, სწორფრობის უცნაური ჩვეულება და გმირობა-ვაჟკაცობის საარაკო მაგალითები...

არანაკლები ინტერესის აღმძვრელია მითიური იერით შემოსილ ხოგაის მინდის სახელთან დაკავშირებული ხალხური ამბები და მისი სახლი სოფელ ამღის შესასვლელში, რომელსაც ადგილობრივნი „საბეკურს" ეძახიან.

„ხოგაის მინდბ არხოტიონი ყოფილა, ამღიონი. იმათი ნასახლარები დღესაც არის საბეკურისკარს"... – ასე სწამდათ და სწამთ არხვატელებს.

ვერა ბარდაველიძის აღწერილობით, „საბეკური" ოთხკუ-

თხა ფორმის ბანიანი შენობაა, რომლის კარის ფასადს ჯიხვისა და ვერძის რქები ამკობს.

მაშინ, როცა არხოტის თემი ათეულობით მეკომურს ითვლიდა, „საბეკურში“ ხდებოდა ღამის თევა და ჟამის წირვა...

ხოლო მანამდე, უხსოვარი დროის წინათ აქ, ხატის ამ განმინდებულ შენობაში, უცხოვრია ხოგაის მინდის, ნახევრადლეგენდარულ პიროვნებას, რომელიც, სარწმუნო წყაროებით, ვაჟა-ფშაველას „გამეცნიერებული“ გლეხის ანუ გველის-მჭამელის პროტოტიპს წარმოადგენს...

„მინდი რო დაბადებულ, ცაზე ორ მზე მდგარ“, – ამგვარად იწყება ხევსურული ხალხური გადმოცემა საკვირველებათა ჩამდენი გმირის შესახებ.

სხვარიგ ეტლზე ნაშობი კაცის ცხოვრების გზამ დასტური დასცა მის ღვთიურ წარმომავლობას, თვალით უხილავ უზენაეს ძალებთან წილნაყარობას, მთხრობელთა სიტყვით რომ ვთქვათ – „ნაწილიანობას“.

ვაჟას „არსთა მხედ“ გმირთან შედარებით ზეპირსიტყვიერებაში წარმოსახული ხოგაის მინდი გაცილებით „მიწიერია“, მაგრამ მისთვისაც ნიშნეულია ისეთი ზებუნებრივი მონაცემები, რაც, ალბათ, მზიას დარად, საგონებელში აგდებდა მის ცოლ-შვილს, მეთემეთ და თანასოფლელებს...

ქაჯთა ტყვეობაში ნამყოფი მინდი კრაველიანი გველის სისხლის ალოკვამ სულიერ-უსულოთა ენის გამგებ კაცად აქცია...

არხოტით მზირი გავიდა,
წყრომით გამახყვა ჯვარია,
ხოგაის მინდი გამახყვა,
გააბერტყინა ნამია...

არავინ იცის, კონკრეტულად როდის ხდებოდა ეს ამბები. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს დროითი ლოკალის გარეთ, ზედროულ სამყაროში მიმდინარეობს მოქმედება...

მისნური უნარისგან და სასწაულმოქმედი ძალისგან დაცლილ, სხვათაგან თითქმის უკვე აღარაფრით გამორჩეულ გველის-მჭამელს „მოწამლულს ხევაში“ უსწრო სიკვდილმა,

ხოლო ხალხური ხოგაის მინდი, ოთხ რჩეულ ვაჟკაცთან ერთად თვირთვილიანი მთებით სამზირლად ქისტეთს გადასული, მიზუს ქავ-ციხის კარებთან დაეცა რიცხვმეტ მტერთან ბრძოლაში.

მელექსეს სასიკვდილოდ არ ემეტება გულადი მოლაშქრე და მუდარის კილოთი მიმართავს შურისმაძიებლელბს:

მინდის ნუ მახკლავთ, ქისტებო,
ჴელში მიეცით ჴმალია.
ჴმალ თუ იჴმარას მინდიმა,
შინავ გაუშვით ჴარია...

მაგრამ ვინ დაინდობდა მინდის, როცა მოსისხლეთა თვალწინ კიდევ თორმეტი მათიანი მოკლა და მხოლოდღა მერე „დადგა, ჩააგო ჴმალია“...

ხოგაის მინდის ირგვლივ შექმნილ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებში ზოგი რამ ჯერაც გასარკვევი, გასაშიფრი და „ახლოით განსაჩხრეკია“.

მკითხველს მიწყივ აწვალებს ცნობისწადილი და სურს, მეტი იცოდეს რეალობისა და მხატვრული გამონაგონის თანაფარდობის შესახებ; სურს, ისიც იცოდეს, მართლა იყო თუ არა „საბეკური“ მინდის სახლი და რამდენად საფუძვლიანია ზეპირი ცნობა ამ ამბისა, მაგრამ მითადქმნილი ისტორიის ლაბირინთებში გზის გაგნება და ჭეშმარიტების დადგენა ძნელად თუ ხერხდება.

თვალხილული სინამდვილე კი თავისას ამბობს: არხოტის მიწაზე, სოფელ ამღის განაპირას, ახლაც დგას სიპით ნაგები მარტივი შენობა, სადაც მხოლოდ ხატის ხელკაცებს შეუძლიათ შესვლა.

ხოგაის მინდის საცხოვრებლად მიჩნეულ, თავისი სიწმინდით „კვრივის“ სადარ სახლს, როგორც ითქვა, აქაური ხალხი „საბეკურს“ ეძახის...

„გვიამბე, ელიზბარაო..."

გირევის მხარმორღვეულ ციხეებს გავცდით, დაგზაული ბექობი ავიარეთ, ცხენებზე შევსხედით და კლდოვან ფერდობზე დაკავკაულ, ჩაღრამულ ბილიკს დავადექით...

გირევს ზემოთ პირიქითის ხეობის ერთადერთი ნასოფლარია – ჭონთიო.

მონაპირე სოფელს მძიმე, დაუმყუდროებელი ყოფა ჰქონია ძველად. პირველად მას უნდა ეწვნია მთის გადაღმიდან ღამის გზებით ქურდულად გადმოსული მტრის მოულოდნელი რისხვა და ზარი; ის უნდა დახვედროდა და შებმოდა ცხვარ-ცხენისა და საქონლის გალალვის განზრახვით თუშეთის მიწაზე მავალ მოძალადეს...

მაშინდელია აი, ეს პატარა ლექსი:

ჭონთიოს ღბიან მგლის ლეკვნი,
ჭიკუს ხვრენ საკიდლისასა,
მალ-მალე შამახყმუვლებენ
ფარას ხულანტელთ ცხვრისასა...

ხულანტი ქისტების სოფელია, მთას იქით მდებარე და, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი, მოუნელებელი ჯავრი ამ სოფლისა ჰქონდათ დღედაღამ მოფხიზლარ ჭონთიოელ „მგლის ლეკვებს..."

ისარივით სწორი სიპერდიანი ციხე ახლაც ამაყად დგას ნასოფლარის განაპირას და ხეობაზე ამვლელ-ჩამომვლელს სისხლიანი დრო-ჟამის მწარე ამბებს უყვება...

მაგრამ აქ სასწაულის ბადალი მაინც ჰეღო და ჰეღოს ქავ-სიმაგრეებში „მას ჟამსა შინა" დატრიალებული ტრაგედიაა!

ცნობისათვის: 1930-31 წლების თუშეთის სასოფლო-სამეურნეო აღწერაში, რომელიც სერგი მაკალათიას უწარმოებია, ჰეღო და ჭონთიო უკვე აღარ იხსენიებიან, ე. ი. ამ სოფლებში ხალხი ზაფხულობითაც აღარ ცხოვრობდა...

მომნუსხველია ჰეღო: თავისი მდებარეობით, წყობით, შემოგარენით.

ვდგავართ და უხმოდ მივჩერებივართ სასაღამოოდ მიდრეკილი მზის მზერისმომჭრელ არილში ცისკენ წვერწამახული შუბებივით აღმართულ ციხეებს...

თითქოსდა ცხადად ჩაგვესმის ვაჟას განუმეორებელი ხმა:

– გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავს მოხდა ეღოსა?
როგორ დაეცნენ ლეკები
ბაკურის ციხე-ეზოსა...

და ელიზბარაც ჰყვება ჰელოზე მტრის ჯარის დაცემის ამბავს: შვიდი დღის განმავლობაში იგერიებდნენ თოფებით „გულ-ხადარას და დიდოს“ ქავციხეში გამაგრებული ვაჟკაცები. არც დიაცნი მსხდარან უქმად: წამალს წყავდნენ და პიროფლიანი ყმების მხარდამხარ იდგნენ საორბედო ბრძოლაში... მერვე დღეს ტყვია-წამალი შემოელიათ, მშიერ-მწყურვალთ და უძილოთ ბედმა უმუხთლა, ციხის ლიბოს ურჯულოთა ჯარი შემოერტყა, სირცხვილის კისრით ზიდვა დაემუქრა თავმოყვარე თუშებს... ცეცხლადქცეულმა ბაკურმა ხმალზე გაივლო ხელი და ცოლ-შვილს თავები დასჭრა...

ხოლო მერე –

გაუხტა ხმალ-მოღერებით,
ფრანგულმა გაიცინაო:
თორმეტი მოკლა ციხის კარს,
ერთურთზე დააწვინაო.
ვეფხვსა დააცვდა კლანჭები:
ბაკურმაც დაიძინაო...

ბაკურის მაგიერ ხალხურ პოეზიაში „მიქელი სურას გაზრდილი“ (ვარიანტებში: მიქელა ზურაბის ძე, მიქელა რუსას გაზრდილი, მიქელი ურაზიშვილი) იხსენიება.

მაგრამ ეს როდია მთავარი.

თვითონ ფაქტია საოცარი, უჩვეულო, უპრეცედენტო.

„ივერიაში“ (1898, N217) გამოქვეყნებული ხალხური ლექსის ერთ-ერთი ვარიანტისთვის ბაჩანას ასეთი განმარტება-კომენტარი გაუკეთებია: ეს ამბავი ასე ყოფილა: მტერი მოსდგომია სოფ. ეღოს, შემოსევია შიგ. მიქელისთვის მის ქალიშვილებს შეუტირნიათ: ნუ დაგვაწბილებენ, შენის ხელით დაგვხოცე, გვირჩევნიაო. იმასაც აუსრულებია მათი თხოვნა და დაუხოცია. მერე თვითონაც გადარეულა და ისიც მომკვდარა ბრძოლაში. ამაზედ არის ნათქვამი: თავ იმით მაიწყინაო“.

ვაჟა-ფშაველას „ბაკური“ 1899 წლითაა დათარიღებული, ხოლო წინა წელს ჰეღოს შემაძრწუნებელი ტრაგედიის ამსახველი ფრაგმენტული ხალხური ლექსი ბაჩანას განმარტებითურთ „ივერიამ“ გამოაქვეყნა.

საფიქრებელია: გაზეთ „ივერიის“ სწორედ ამ პუბლიკაციას შეეძლო შთაეგონებინა ვაჟასთვის „ბაკურის“ შექმნა...

ჰეღოს რომ მართლაც დიდი განსაცდელისა და მკაცრი გამოცდის დრო სდგომია, ჩანს ხალხური ლექსის შემდეგი სტრიქონებიდანაც:

ეღოს ატირდეს დედანი:
მტერმ მარჯვედ შეგვაშინნაო.
კარზე მოდიან სტუმრულად,
ძალით შემოვლენ შინაო...

გასაკვირი არაა, ამგვარ ყოფაში ცოლ-შვილისა და ქალიშვილების საკუთარი ხელით დახოცვა რომ არჩია მიქელმა უნამუსო მტრის ხელთ მათ ჩავარდნას...

ვერ ვიტყვი, აქვს თუ არა ლოგიკური კავშირი ჰეღოში მომხდარ ყოფით ამბავთან ივანე ნათლისმცემლის თავგადასავალს, ის კი ცხადია, რომ მათ შორის, „თავკვეთის“ მოტივის თვალსაზრისით, ერთგვარი ანალოგია უთუოდ არსებობს.

ჟუჟუნა ერიაშვილის მიერ ჩაწერილი გადმოცემა გვამცნობს: „ჰეღოში დღეს მეტად ავი სალოცავია. ის სათემო სალოცავად ითვლებოდა და მთელი პირიქითი დღესასწაულობდა. იმას ივანე ნათლისმცემელი ჰქვია. ივანე ნათლისმცემელი კახეთიდან გამოქცეულიყო ღორისა და ქათმისგან შეწუხებული. ახლა ალვნის ნათლისმცემელი რომ არის, ის ქალია, ხოლო ჰეღოს ნათლისმცემელი ძმაა. ივანე ნათლისმცემელი წინავ ხალხში გამოცხადებით დადიოდა. ჰეღოს მაღლა დღეს ერთი გახეთქილი კლდეა, სადაც ღამის თენება იცოდნენ. ჰეღოს გვერდზე ყოფილა სოფელი ბოჭორნა, სადაც 140-მდე კომლი ცხოვრობდა. ამ სოფელში ყოფილა ერთი არაჩვეულებრივი სილამაზის ქალი, რომელსაც თურმე შეუყვარდა ივანე ნათლისმცემელი. ერთ დროს, როდესაც დღესასწაული იყო და ყველა სოფლის თავში იყო ასული ღამის სათევად, ეს ქალი სოფელშივე დარჩენილა და დღესასწაულზე არ ნასულა. ივანე ნათლისმცემელს გაუგია ეს ამბავი და მისულა იმ ქალთან. უკითხავს

მიზეზი დღეობაში წაუსვლელობისა და ქალს შემდეგი პასუხი გაუცია: „მე არ წაველ იმიტომ, რომ ამაღამ შენ ჩემთან უნდა დარჩე და ღამე გაათენოო". ივანე ნათლისმცემელი სასტიკად განრისხებულა, მთელი სოფლისათვის ხორველა გადაუდვია, თავისი თავი კი თვითონვე მოუჭრია. ახლა რომ მეტად ძლიერი უქმია, „ნათლისმცემლის თავკვეთა", იმისი აღსანიშნავია".

მიქელის და ივანე ნათლისმცემლის საქციელი რაღაცით მართლაც წააგავს ერთმანეთს. სხვაობა ისაა, რომ ერთის მოქმედება ყოფით პლანში მიმდინარეობს, ხოლო მეორისა – ირეალურის ნიშნით არის აღბეჭდილი. პირველ შემთხვევაში მთავარ პერსონაჟად რიგითი მოკვდავი, ჩვეულებრივი ადამიანი გვევლინება, ხოლო მეორეში – ღვთაება.

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, არსებითი და ყურადსაღები მაინც ისაა, რომ მიქელი სურას გაზრდილიც და ივანე ნათლისმცემელიც, თავ-თავიანთი განაჩენით და გადაწყვეტილებით, ადამიანური ღირსებისა და სულიერი სისპეტაკის უკომპრომისო ქომაგებად წარმოგვიდგებიან.

* * *

მადოლობის – პირიქითის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეობის – წინა საღამოა.

მადოლის ხატის დროშები „დაბრძანებულია" ივანე ნათლისმცემლის სამლოცველო კომპლექსიდან გადარჩენილ ერთადერთ კოშკში.

„სამკადრეოს" ფერადი ნაჭრებით დამშვენებულ დროშებს ჰელოდან ხვალ ჭონთიოში გამოიტანენ. ხატის კარს მიაშურებს ქვეითი და ცხენოსანი მლოცველ-მწირველი.

მუხლადი ხვადების ფეხის ხმა და გარმონის სევდიანი მელოდია მოედება სხვა დროს უსაშველო სიჩუმით სულშეხუთულ ხეობას...

და, ალბათ, ქველ წინაპართა წმინდა აჩრდილებთან მოსაუბრე მედღეობენი ათასმეერთედ იტყვიან, „რა ამბავ მოხდა ეღოსა..."

ღირსეული მტრობის ვიწრო ბილიკებზე

„რა პატარა არის საქართველო და
რა დიდი ამბები ხდება".
რეზო ჭეიშვილი

ალექსი ოჩიაურის ეთნოკულტუროლოგიური ნაშრომი „მოსისხლეობა და ჭრა-ჭრილობა ხევსურეთში", რომელიც დაგვიანებით ქვეყნდება წიგნად, ნატურალისტური სიცხადით და დოკუმენტური სისწორით ათვალსაჩინოებს კონკრეტული კუთხის ჰეროიკული ისტორიის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, მოთხრობილს მეანდრეზე რჯულისკაცთა, ჯვარხატების მოწმიდარ მსახურთა თუ რიგით „ერისაგანთა" მიერ. ესაა არასტანდარტული, ერთობ მრავალფეროვანი ნაკრები საუკუნისწინანდელი სისხლიანი ამბებისა, მთიელთა ცხოვრების წესის მკაფიო გამოვლინებებისა, სადაც ფანტაზიისა თუ მხატვრული წარმოსახვის მკრთალ კვალსა და განასახსაც ვერ აღმოაჩენს თუნდაც დეტალებზე ორიენტირებული ცნობისმოყვარე მკითხველის მახვილი თვალი. და, ამდენად, ინტერესი და სანდოობაც დიდია მართალ და სიტყვაშეუშლელ ხალხურ მემატიანეთა შეულამაზებელი ნაამბობის მიმართ.

უამწიგნოდ, დღეის ამას იქით, ჩვენი უნიკალური ეთნოკულტურის მთლიანობაში დანახვა და გააზრება, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, სრულფასოვანი ვეღარ იქნება. და ამიერიდან მოულოდნელობებით აღსავსე ზეპირი ისტორიების მოყვარულთათვის იხსნება დიდწილად ახალ, აქამდე მოუხილველ „საკვირველებათა" სამყაროს კარი, რომლის სიღრმეში ზნეობრივი გმირობისა და უსასტიკესი შურისძიებების, მშობლიური მამულწყლისა და თვისტომთათვის უყოყმანო თავდადების, ღირსეული მტრის საკადრისად დახვედრისა და ჯეროვნად დაფასების, უშიშარ მოწინააღმდეგეთა დანდობისა და პატივისცემის ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის მოტივთა მკაფიო ანარეკლები იკვეთება...

ალ. ოჩიაურის უკიდეგანო ღვაწლსა და დამსახურებას ეროვნული ეთნოლოგიის სფეროში ემატება კიდევ ერთი ქვაკუთხედი, კიდევ ერთი ფუნდამენტური ნაშრომი, რომლის წყალობით ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების დასაზღვრული სივრცე ბევრი ღირებული წიბო-წახნაგით უნდა შეივსოს.

ალ. ოჩიაური უშუალო მხილველი და მონაწილე გახლდათ ხევსურეთში მომხდარი არაერთი „საარდარაო" ამბისა და დრამატული მოვლენისა; მას მონაწილეობა მიუღია სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაკიდებულ მოსისხლეთა შერიგების ურთულეს პროცედურებში. საკუთარი (და ხშირად გადამწყვეტი) სიტყვა უთქვამს ხევსურული რჯულ-სამართლის განმტკიცებისა და ქმედითუნარიანობის ამაღლების საპასუხისმგებლო საქმეში... მის თვალწინ ხდებოდა სალოცავებისთვის „სამეშვლოს" შეთქმა და ჭირისპატრონთან „სამანანულო" საკლავით მისვლა, მკვლელის „ჯვარში შაჯდომა" და „თოფის აღება", დაზარალებული მხარისთვის „რიგის ყენება" და „საძმოს გაღება", „პატივის დადება" და „დრამის" მიცემა, გაარჯლებული ჭრილობის მკურნალობა და „სააქიმოს„ გადახდა, ფიცევრცხლით შერიგებულთა დაძმობილება და ქვრივი ანდა ქმარსგაყრილი ქალის „კვეთილში" ჩასმა... და ყოველივე ეს მყარი პოსტულატებია საიმისოდ, რომ „წინიდგე თოფით, ხმლითა და ისრით" თავშენახული ეთნოსის მრწამსს, მის მონოლითურ ერთიანობასა და შინაგან შეუვალობას გაბზარვის საფრთხე არ დამუქრებოდა. დაუწერელი იურიდიული კოდექსის ძალით ინარჩუნებდა ხევსურეთი სულის სიმტკიცეს, „ჭირსა შიგან გამაგრების" სააროკო უნარსა და „სახელმწიფოებრივ" სუვერენიტეტს...

ორიოდე სიტყვა ნაშრომის დასათაურებაზე: შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს უმდიდრესი სპექტრის მომცველი კარდინალური საკითხებისა თუ უტყუარად გადმოცემული ყოფითი ამბების იმ ერთობლიობას, რაც ამ ნაშრომის გულისგულურ ნაწილს შეადგენს. სხვაგვარად: წიგნი არ ეხება მხოლოდ ჭრა-ჭრილობასა და მოსისხლეობას ხევსურეთში. მისი თვალსაწიერი გაცილებით ფართოა. გამომდინარე აქედან, ამ წიგნით, გარდა ეთნოლოგებისა, უეჭველად დაინტერესდებიან ისტორიკოსები და ფოლკლორისტები, ლინგვისტები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და მდიცინის მუშაკები, რელიგიისა თუ ძველი კულტურების მკვლევრები და, რაც მთავარია, სამართალმცოდნეები, ვისთვისაც უაღრესად ფასეული და პრაქტიკაში გასათვალისწინებელი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი ამ უნიკალურ ნაშრომში.

* * *

რამდენიმე მოკლე ამონარიდი ნაშრომიდან:

„სულ ძველ დროს წესი ყოფილა საბნელოს შაჯდომა მამკლავისა და იმით თავის მაჯდა, სისხლის მაშორება"... „მთიელები როცა ერთიმეორეს ლაშქრავდნენ, ქალებთან სრულ თავდაჭერილობას იჩენდნენ და ცუდი თუ რამე ვისმეს ჩაედინა, თავისი ამხანაგები არ აცოცხლებდნენ. აგრეთვე პატივს სცემდნენ მოხუცებს და ბავშვებს"...

გონივრული დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ ამონარიდებიდან. ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების უალტერნატივო აუცილებლობა მოითხოვს ამას. წინაპართა ნაცადი გზიდან განზე გახვევას სიკეთე არავისთვის მოუტანია. დაკარგულის (თუ დავიწყებულის) ძიების საჭიროებას ჩვენი დღევანდელი არასახარბიელო მდგომარეობა გვკარნახობს; მდგომარეობა, რომელიც საყოველთაო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში წაშლას და წალეკვას უქადის ყოველივე ეროვნულს, ჩვენეულს, ქართულს...

განსაცვიფრებელია ალ. ოჩიაურის არაოდრინარული ნიჭი და უნარი, მეხსიერებაში აღიდგინოს და ფურცელზე უდანაკარგოდ გადაიტანოს ხალხურ მთხრობელთა თუ ინფორმატორთა ნათქვამ-ნაამბობი. სამაგალითოა ნარატორებთან მისი მუშაობის მანერა და მეთოდი...

ოთხი სახელოვანი შვილის მამა ამ თვალსაზრისითაც მისაბაძი მოღვაწე, მოძღვარი და მასწავლებელია...

* * *

როცა ხევსურეთში უანდრეზო ამბები ხდებოდა (ვთქვათ, ქალის მკვლელობა) და აქაურ კითხულკაცებს უჭირდათ უმწვავესი ვითარების განმუხტვა, რჩევის საკითხავად ქისტეთიდან მოჰყავდათ „მაცოდარი" ადამიანები! ქისტები, თავის მხრივ, არხოტში აგზავნიდენ თავიანთ წარმომადგენლებს, რათა თათია ბალიაურისა თუ სხვა ხევსური ბრძენკაცებისგან მოესმინათ უპრეცედენტო ცხოვრებისეული ფაქტების სამართლებრივი შეფასება...

ერთმანეთზე ნადირობდნენ (სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმას, რაც ხევსურებსა და ქისტებს შორის მაშინ ხდებოდა!), საზღ-

ვრებზე დღე და ღამ ვეშაგებად იდგნენ, მეწვერეობასა და მენაპირეობაში იწრთობოდნენ, არ ემეტებოდათ და მაინც კლავდნენ („ელდასავით მაგარი“ ღილღეელი ჯერნალის შემთხვევა!), „სირცხვილიანის სიარულს სიკვდილი ერჩიათ“, თემიდან თემში „სახელის მისალოცავად“ მიდიოდნენ და, იმავდროულად... ერთურთს იურიდიული ნორმების დადგენასა და მოგვარება-მოწესრიგებაში ეხმარებოდნენ!..

* * *

ნაშრომის რამდენიმე ეპიზოდში მეორდება საკვანძო სიუჟეტური დეტალი, რომლის პირდაპირი გამოძახილია ვაჟას „ალუდა ქეთელაურის“ შესაბამისი ფრაგმენტი.

როგორ ეპყრობა ზნესრული ვაჟკაცი მისგან მოკლული „საღირალი“ მტრის ცხედარს?

ალუდამ ცდაგაცუდებულ მუცალს იარაღები არ აჰყარა: ხანჯალი თავთით დაუდო, თოფი გულზე, ხოლო მკლავზე – ფრანგული ხმალი. ამის მერე ცხონება და გვარის დღეგრძელობა უსურვა. ბოლოს კი: „სიგრძივ გაჰხურა ნაბადი, ზედ გადაადვა ფარიო“.

ახლა ვნახოთ, როგორია ავკარგიანი ხევსურების ქმედება და საქციელი მსგავს სიტუაციებში:

„ჩოდრიშვილმა ტუჩა გზის თავზე შამოაწვინა, დაამკაცრა, თოფიც გვერდზე დაუწვინა, მისივე ნაბადი დახურა და წამოვიდა“. „დახოცილი ქისტები წყლის პირზე შამააწვინესა-დ იმათაივ ყარწიკებ შამახურეს. წამავიდეს, იარაღი არ წამაიღეს, იმ დროს წეს არ იყვ, მაკლულს იარაღს არ აჰყრიდეს ადვილად...“

მთიელ მოყმეთა ქცევის ნორმების განმსაზღვრელ მედიატორთა („კაც-შუაკაცთა“) გონივრულ გადაწყვეტილებებზე იყო დამოკიდებული მშვიდობიანობის შედარებით ხანგრძლივი პერიოდების ჩამოგდება დაპირისპირებულ მხარეებში.

დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ორ გვარს შორის ატეხილი შუღლის მიზეზად მავანი ქალის ცუდი ენაპირი სახელდება და რამდენიმე მკვდარი ერთდროულად ასვენია ერთსა თუ ურთიერთმომიჯნავედ მდებარე რამდენიმე სოფელში...

ალ. ოჩიაური არ იზღუდება მხოლოდ არხოტის თემის სინამდვილით და გვაცნობს შუღლის, ჭრა-ჭრილობისა თუ გრძელვადიანი მოსისხლეობის ღირსსახსოვარ მაგალითებს შატილ-მიღმახევისა და ბუდე ხევსურეთის უახლოესი წარსულიდან... წიგნში იხსენიებიან ის თვითნასწავლი აქიმები თუ დასტაქრებიც, ვისმა სამკურნალწამლო საიდუმლოთმცოდნეობამ „სარჩოობაზე" დააყენა და გამოამჯობინა მძიმედ დაჭრილ-დაჩეხილი, გაუსაძლისი ტკივილების დამთმენი არაერთი ხევსური ახალგაზრდა. ეს მკურნალებია: კარწაულთელი მშაველათ გიგია, არხოტიანი ალეკა ოჩიაური, ჯუთელი მინდიათ შიშია, მუცოელი თათო დაიაური, შატილიონი გუგუა ჭინჭარაული, არჭილოელი ფაშქოშა, გუროელი ბერდია გოგოჭური (მკურნალობდა მხოლოდ ჯიხვის ნაღველით).

* * *

წიგნში თავმოყრილი ამბების უჩვეულო აზრობრივი დიაპაზონისა თუ შინაარსობრივი განზომილების გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ თვითეული სიუჟეტი, ყოველი ცალკეული ტექსტი თუ წიგნის ნებისმიერი მონაკვეთი რაღაც ტრაგიკულად დიადის, ამაღლებულის, ასე ვთქვათ, შემზარავი სილამაზის ნარუვალი განცდითაა გაჯერებული.

არ გვაქვს უფლება, კვალიფიციური ავტორის კომპეტენციაში ჩავერიოთ, შევარბილოთ და შევამსუბუქოთ თუნდაც ყველაზე უფრო მძიმე, სასტიკი, დაუნდობელი ეპიზოდები...

იმისათვის, რომ გავიგოთ და გავაცნობიეროთ, „რაისთვის აქებდა ქისტებს ბერდედა" (ანა) და რატომ ეძებდა ხევსურეთში „საფერი" „საფერს" (ვეფხვისა და მოყმის ბალადაც გავიხსენოთ: „შენც იმის საფერ ყოფილხარ..."), საჭიროა გულდასმით წავიკითხოთ და შეძლებისდაგვარად გავიშინაგანოთ ეს მართალი, „მოუსყიდველი", ჭეშმარიტების მაუწყებელი არაორდინარული ისტორიები...

„პირმა დაგლოცასთ ღვთისამა“*

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში აღმოჩნდა 1937 წელს ხევში ჩაწერილი საკმაოდ მრავალფეროვანი ხალხური სიტყვიერება. ჩამწერნი: მარო ხუციშვილი, გრიშა მარსაგიშვილი, სიმონ გუჯარაიძე.

მასალის გაცნობამ და წინარე პუბლიკაციებთან შედარება-შეჯერებამ, სასიამოვნო სიახლისა და მოულოდნელობის განცდასთან ერთად, ის ტრივიალური აზრიც კიდევ უფრო განავრცო და განამტკიცა, რაოდენ მდიდარია და ძირუჩინარი ჩვენი უხნიერესი ხალხური სიბრძნის „სალარო“ და სახიზარი!..

ხევმა, სადაც დომინანტია უბადლო იუმორი და უბოდიშო ლესულსიტყვაობა (აქ სერგა მარსაგიშვილის გახსენებაც კი სრულიად საკმარისი იქნებოდა!), პოეტური მეტყველების მახვილი ნიუანსებითაც მიიპყრო ყურადღება. და ამაში უდავოდ წონადია ხვედრითი წილი ახლახან განხორციელებული კეთილი საქმისა. ვგულისხმობთ ანდრია კობაიძის („კალმისწვერა") მიერ გასული საუკუნის დამდეგს ადგილობრივ მოპოვებული მოხეური და მთიულური ლექსებისა და მისივე ორიგინალური ნაწერების, წერილებისა და კორესპონდენციების კრებულის „რაღა ბევრი მოგახსენოთ“ გამოქვეყნებას (ამისთვის გულითადი მადლობა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრსა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდს).

საყოველთაო სულიერი გაღარიბებისა და შინაგანი გაუდაბნოების მზარდი საშიშროების პირობებში კერძო კოლექციებში, არქივებსა თუ სამუზეუმო ფონდებში დაცული ავთენტური ფოლკლორული ტექსტების მოძიება და მზის შუქზე ამოზიდვა იმ გადაუდებელ, უაღრესად სადღეისო მისიად გვესახება, რომლის აღსრულებამ ხელი უნდა შეაშველოს გარკვეულწილად დეზორიენტირებული მომავალი თაობების სწორ გზაზე დაყენებას.

ერის გონებისა და სინდისის განმასახიერებელ მეწინავე მამულიშვილთა რჩევისა თუ ჩაგონების გაუთვალისწინებლობას არაერთგზის მოჰყოლია სავალალო შედეგები. მათი ნააზრევი,

*თანაავტორი ეთერ თათარაიძე.

ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა უპირობოდ იყო მიბმული მშობელი ხალხის შემოქმედებით ნიჭს, მის ყოველდღიურ ყოფას. სხვა რომ არაფერი, ქართველ კლასიკოსთა (ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, აკაკი წერეთელი...) ლიტერატურული მემკვიდრეობა არ იქნებოდა ცხებული იმ „მარილითა მადლისაითა", რასაც მათ ხალხურ პირველსათაეებთან უმჭიდროესი სიახლოვე სძენს და ანიჭებს...

თუკი კაცი გულდასმით წაიკითხავს, აღიქვამს და გააცნობიერებს საქართველოს რომელიც გნებავთ კუთხის ზეპირსიტყვიერ რეპერტუარს, სრულიად მკაფიო წარმოდგენა შეექმნება ზოგადად მის ბუნება-ხასიათზე, ინტერესთა სფეროზე, რწმენა-წარმოდგენათა სისტემაზე, ცხოვრების თავისებურებებზე, წესსა და წყობაზე.

მემატიანეთა თვალსაწიერის მიღმა დარჩენილი ლოკალური ამბები და მოვლენები, როგორც წესი, მელექსეთა და ნარატორთა ფხიზელი ყურადღების არეალში ექცევა ხოლმე და შესაფერის უკუფენასაც პოულობს მათი ბუნებითი ნიჭისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების რეალისტური ხედვის განსაკუთრებული უნარის წყალობით. ემპირიული სამყაროს მხატვრული ეკვივალენტის ქმნადობის პროცესი დღესაც გრძელდება. მცირე თუ შედარებით რეზონანსული ამქვეყნიური ხდომილებანი ზეპირი სიტყვის ფარგალში ხვდება და მისითვე აღიბეჭდება. „უბრალო", უსამკაულო ხალხური სიტყვაა ქომაგი და შემნახავი დავიწყებისთვის განწირული არაერთი უმაგალითო ზნეობრივი გმირობისა, სწორფერთა შორის დამყარებული და ცათა სივრცეებამდე ამაღლებული უბინო ურთიერთობისა, შრომისა თუ ბრძოლის ველზე გამოჩენილი ფილფოსი და თავდადებისა.

თვითკმარ ფასეულობათა მომცველი მოხეური ზეპირსიტყვიერების საოტიან სამყაროში (სადაც ხევსურული, თუშური, ფშაური თუ მთიულურ-გუდამაყრული წარმომაელობის რამდენიმე „გამოხეურებული" ტექსტიც გვხვდება) შებიჯებამ ჩვენსავე თავთან დაბრუნების, გენეტიკურ ძირებთან მიახლების, დროებით დაკარგული სამშობლოს („მიდიოდე და ამბობდე: ეს არ არის საქართველო!" – გალაკტიონი) კვლავ პოვნისა და მყარ საარსებო საყრდენთა მოხელთების ენით გამოუთ-

ქმელ განცდასთანაც შეიძლება გაზიაროს. ძირაქი კილოკავური უბნობისა და შეუცვლელი ინტონაციის სიღრმისეულ შრეებში ის უტყუარი კოდი ძევს, შენს მკვეთრ თავისთავადობას, ინდივიდუალობასა და შეუვალ სუვერენულობას რომ განსაზღვრავს და განაპირობებს... ამიტომაც არის საგანგებო მოფრთხილების ღირსი ყოველი ძირძველი ქართული სიტყვა; ყოველი ფხიანი ფრაზა და, არცთუ იშვიათად, მსოფლიო სევდის დამტევი ყოველი ჭეშმარიტად ხალხური ლექსი.

ხევურ პოეზიაში სათქმელის კამერულ ტონალობას, ხშირ შემთხვევაში, ბუნებრივად ენაცვლება ზოგადსაკაცობრიო მასშტაბის ისეთი შთამბეჭდავი ფილოსოფიური წიაღსვლები, რომელთა საწყისი ქართული მსოფლგანცდის ძალზე შორეულ მერიდიანებზეა საუგულვებელი და საძებარი.

ხალხური ლექსი და გადმოცემა, ანდაზა და საყოფიერო ამბავი, აფორიზმი და „ერობაში" ნათქვამი „ეული" სიტყვა იუნჯებს და ირეკლავს მოხევეთა სადაგი ყოფა-ცხოვრებიდან ამ ბოლო ხანებში გამქრალ ბევრ ეთნოგრაფიულ რეალიას. მეურნეობის მარტივი ფორმებისა თუ ტრადიციული დარგების მოშლას კვალში უდგას მათი ატრიბუტიკის ამსახველი ლექსიკური ერთეულების თანდათანობითი „გაპასიურება" და გადავიწყება... ვიკითხოთ, ხევის მოსახლეობის რა ნაწილმა იცის დღეს მნიშვნელობა მეცხვარეობასთან ასოცირებული ისეთი ცნებებისა, როგორიცაა: „ჩობანი" და „სარქალი", „მცნობი" და „ნამგალა", „შიშაქი" და „ფარეხი", „ქეჩი" და „ტაგანი", „ბაკი" და „ნანიდარ", „კოხუჯი" და „ბოხოხი"... ძნელია ზუსტი სტატისტიკის დასახელება, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ერთობ ცოტამ! ცივილიზაციას ეწირება უნიკალური ეთნოკულტურა; ტექნიკური პროგრესი და გლობალიზაციის შეუნელებელი პროცესი ავის მომასწავებელ აჩრდილად წარმოსდგომია თავზე მცირერიცხოვანი ერებისა და ხნოვანი ეთნოსების მომავალს. ქვეყნის ცალკეული კუთხეების ისტორიული განვითარების კონკრეტული ეტაპები და პერიპეტიები ჟამთა სიავის ნარიყად და ნამუსრევად დალექილა წრფელ ხალხურ ლექსსა და მართალ ნარატივში.

იმ ეპოქაში, როცა აქ, ამ კრებულში წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერება გროვდებოდა და იკრიბებოდა, ხევის სოფლებ-

ში, მის საუფლო დღეებსა და სამხთო-ქორწილებში, ერთი სიტყვით, კუთხის ცოცხალ ყოფაში, ჯერ კიდევ ისმოდა „სმური" და „ჯვარული", „დიდება" და „გერგეტული"; მთელი თავისი იდუმალი შნოთი და შინაარსით ტარდებოდა მარიანობა და ღვთისმშობლობა, დიდქადობა და მამაწმინდობა, პეტრეპაველობა და კვირეძლობა, ივანობა და ათენგენობა, ბარბარობა და თევდორობა, ბოჯღლოგინობა და ხედენიშობა (სადაც, ერთი ანდრეზის თანახმად, ღვინო წვიმდა და თეთრი პური თოვდა)... გერგეტის წმინდა სამების, წვერის სპარსანგელოზის, კვირეღვთისშვილის, დარყის წმინდა გივარგის, ყანანაზის, ხეთანისა და ღალანგურის კარი და კალთები მლოცველს ვერ იტევდა; იკვლოდა სამი წლის „დასულდგმულებული" ხარები და სიამაყით ხსენდებოდა ნათელფენილი სახელები „მთაში განთქმული მეფანდურის" ღინჯა ხულელისა, „ხმიანი და ზარიანი" ბიბო ყაზბეგისა, ლეკებთან მეომარი იასე ხეთაგურისა, უწევრად ნებისმიერ სუფრაზე მისვლის უფლების მქონე ამოან ავსაჯანიშვილისა, ღურმა ბაზალისა, ქოსლელი ღურბელა ფიცხელაურისა, გულმაგარი ბესო ყამარაულისა, სანადიროში ვეფხვის მომკლავი ელგუჯა საბაურისა... ეს ის წლებია, როცა ალ. ყაზბეგს და პეტრე უმიკაშვილს უკვე აღებული და დაუამკრებული აქვთ დიდი ნაწილი ხევის სულიერი მოსავლისა; როცა აკაკი შანიძე (მისი უებრო ინფორმატორი გახლდათ ზემონახსენები ანდრია კობაიძე) რუდუნებით უყრის თავს დიალექტურ ლექსიკასა და ხალხში გაბნეულ ფოლკლორულ მარგალიტებს; როცა სერგი მაკალათია მთიან კუთხეთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სარწმუნოებრივი ყოფის ამსახველ მონოგრაფიებს აქვეყნებს; როცა „სამანის ჩასმის", დამნაშავეთა დარისხების, თემიდან უღირსთა მოკვეთის, „საგვარმეტოსა" და „კვეთილის" წეს-ჩვეულებანი ისევ სრულდება და დეკანოზ-ხევისბერთა ავტორიტეტიც საიმედოდაა დაცული დესაკრალიზაციის საფრთხისაგან; როცა მიწური სახლების „შუაყანას" იძინებს მთელი ჯალაბობა და, მიუხედავად „გონჯი წელტიალაის" მიერ მოტანილი შიმშილისა და ქესეტობისა, თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი მთიელთა დაუმარცხებელი სული საჯიხვეების სიმაღლეებში ჩასახულ სეფე-სიმღერებს ღიღინებს...

ხოლო ამ ლექს-სიმღერების, ზღაპრების, შელოცვებისა თუ ეპიკური ძეგლების უმეტესობა მაშინ იქმნებოდა, როცა მოხევე ქალთა და მამაკაცთა საკუთარ სახელებშიც კი პოეტური ნაპერწკალი ღვიოდა: ნენე და მახია, გალეგა და უძილა, ნეღო და კაჭუა, ბაია და ქოთია, აბრია და ბაჩუა, სულუტა და შაშვია, ჭარია და საბრალა... და ჩნდება რიტორიკული კითხვები: სად განიმქრა და გაუჩინარდა ეს უცნაურად მადლიანი სახელები? როდის აიყარა და რომელ ქვეყანაში გადაბარგდა ამ ადამიანებით დასახლებული „გვარძრიალი“ მოხეური სოფლები?..

წერა-კითხვის მცირედმცოდნეობას (ზოგჯერ საერთოდაც არცოდნას) ხელი არ შეუშლია მოხევე მელექსეებისთვის, სანიმუშო სიცხადით და სიწრფელის მაღალი ხარისხით გადმოეცათ თავიანთ ნათქვამ-ნაამაგარში პირადი თუ სათემო სატკივარ-საწუხარი. სოფლის სასიქადულო შვილები საკადრისად შეექოთ, ხოლო მხდლურ საქციელში მხილებულ არსაითთა და გვარ-მანაკიდვარის მომყივნეთათვის ფიზიკურ სასჯელზე ბევრად მწარე სიტყვიერი განაჩენი გამოეტანათ; ეთქვათ ის, რაც მათი კაცური მრწამსის ქვაკუთხედსა და თავკიდურს შეადგენდა: „კარგს კაცთან ჩხუბი შჯობია გონჯასთან ქეიფობასა“.

თავისი ძველი და ხარიზმატული გვარის („ღუდუშაურთა დავლათი ღმერთისგან ნაბოძარია“, – ნათქვამია ხალხურ ლექსში) მემკვიდრეობითი ხაზის გაუმრუდებლად გამგრძელებელია ავტორიტეტული სნოელი მესიტყვე გუგუა ღუდუშაური (თადილეთი), ვისი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემების ჩანიშვნასა და დღევანდელობისთვის შემონახვას სტეფანწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მაშინდელ დირექტორს სტეფანე ალიბეგაშვილს უნდა ვუმადლოდეთ.

„ვიქნები ოთხმოცდაათი წლისა. მამაჩემს ერქვა იორდანაი. ადრე გედემეცვალნეს დედ-მამანი. პატარა დავრჩი ობლად. ჩემი ცხოვრება სულ ცხოთა კარზე ჩამოვგალე მოჯამაგირობაში. თხუთმეტი წელიწადი გუდამაყარში ვიდეგ მწყემსად. ოცდაათი წელი ვმუშაობდი საქართველოს სამხედრო გზაზე თვიურ მუშად (1897 წლიდან 1927 წლამდის). სკოლაში არ ვყოფილვარ. არც ანბანი ვიცი. ცხორჩი დევეყუდებოდი ჯოხზე და ვთხზავდი ლექსებს, თუ რაიმე შესანიშნავი ამბავი მოხდებოდა: სისხლის აღებაზე, ლაშქარ-მდევრობაზე, ვაჟკა-

ცობაზე, ნამუსიანობაზე, ცხორ-მეცხორეობაზე, შრომა-გარჯაზე, კარგის ყმების სიკვდილზე, ქალის მოტაცებაზე, პურმარილიან ხალხზე, ყაჩაღობაზე, ნადირ-მონადირეებზე და სხვა. ვიგონებდი შაირებს – სახუმარო ლექსებს. ახალგაზრდობისას ბევრ ლექსებს ვთხზავდი. ჩემი ლექსები მთელმა ხალხმა იცოდა. როცა დიდი საქმე რაიმე მოხდებოდა, ყველა მელექსეები მე მელოდეს ლექსის თქმასა – თუ მე არ ვიქნებოდი თემჩი, მაში იტყოდეს ისენი, თუ არადა მე უნდა მეთქო".

გუგუა ღუდუშაურის ძნელბედითი ცხოვრების ზიგზაგოვანი გზა და შემოქმედებითი შრომის სპეციფიკა ტიპობრივია სხვა მთიელი მელექსეებისთვისაც. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ხომ უკიდურეს უპოვრობასა და მატერიალურ სიეიწროვეში ათენ-აღამებდა. სკოლასა და განათლებაზე ხელი არ, ანდა ნაკლებად მიუწვდებოდათ და თავიანთი ტკბილ-მწარე სამზეოს საუკეთესო წლებს უშეღავათო ჯაფა-ჯაჯანსა და ოფლის ღვრაში „გლიდნენ"...

ჯერჯერობით უცნობია, ვინ ღვთისნიერმა ადამიანმა მიიტანა და ჩააბარა საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს (ადრე ასე ერქვა, დღევანდელი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი მისი სამართალმემკვიდრეა) 1937 წლის მოხეური ხალხური სიტყვიერების ჩანაწერები.

როგორც რაოდენობრივი, ისე შემეცნებით-ღირებულებრივი თვალსაზრისით უმჯობესი და უპირატესია მარო ხუციშვილის კოლექცია. მოიცავს ექვსასამდე თაბახის ფურცელს. შესაბამისად, ვრცელი და წარმომადგენლობითია მის მთქმელ-ინფორმატორთა სიაც (სიტყვა „სიამ" მოიტანა და ბარემ ესეც ვთქვათ: XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხევში უცხოვრია სია გიგაურს, რომელიც პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების" შენიშვნებში სიმონ შადურის მთქმელად იხსენიება)... ბევრ მათგანს, როგორც ჩამწერი მიუთითებს, შეუძლია მხოლოდ ქართულად საუბარი და „უვლია ჩრდილო კავკასიაში". რამდენიმე თბილისშიც ყოფილა...

სასურველ მოვალეობად ვთვლით მკითხველს წარვუდგინოთ იმ მოხევეებისა და ერთი ჯუთელი ხევსური ქალის ვინაობა, ვისგანაც მარო ხუციშვილი 1937 წელს ფოლკლორულ ტექსტებს ისმენდა, იწერდა და თითოეული მათგანის ასაკსაც

იქვე უთითებდა. ესენია: სება ჩქარეული – 93; ლაზო წიკლაური – 32; გივარგი ღუდუშაური – 85; ესტატე ღუდუშაური – 85; ვანა გელაძე – 60; გიორგი თამასხანოვი – 65; თამარა სუჯაშვილი – 95; მარო არაბული – 11; გუგუა ღუდუშაური – 80; ტასო ჩქარეული – 50; პავლე ხუციშვილი – 27; ბიბო ფირანიშვილი – 60; ნატო წიკლაური – 50; ილია ხუციშვილი – 29; იოსებ ხუციშვილი – 70; მარო ხუციშვილი – 16.

ხოლო გრიშა მარსაგიშვილისა და სიმონ გუჯარაიძის ერთობლივი კოლექციის სახით დაცული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების მთქმელებად როსტომ მარსაგიშვილი, გუგუა ღუდუშაური, კოტე მარსაგიშვილი, ვასიკო ავსაჯანიშვილი და სესე მარსაგიშვილი გვევლინებიან.

ამ მასალის მოპოვების თარიღადაც 1937 წელია მითითებული. კოლექციას დართული აქვს გიორგი ლეონიძის ხელნაწერი რეცენზია, სადაც ვკითხულობთ:

„მოხეური ხალხური პოეზიის ნიმუშები, – რიცხვით 66, ჩაწერილი გრიშა მალსაგიშვილის და სიმონ გუჯარაიძის მიერ ხევში, – უსათუოდ დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

უმრავლესობა ჩაწერილ ლექსებისა, 75% სრულიად უცნობია, ხოლო ცნობილი ლექსებიც საინტერესო ვარიანტებს წარმოადგენს, როგორც: „სოლომონ ბრძენი და კუნძულელი", „ხალხური ამირანი" და სხვ.

რაც შეეხება მხატვრულ ღირებულებას, იგი დიდია... ჩაწერილ ლექსებში არის შედევრები.

და ბოლოს: ხევის პოეზია არა თუ შესწავლილია, არამედ ჩაუწერელია. ალ. ყაზბეგის მცირე ჩანაწერების, ა. კობაიძის (კალმისწვერა) და ზოგ სხვათა მიერ გამოქვეყნებულ (გაზეთ „ივერიაში") მასალების გარდა, – არაფერია გამოქვეყნებული. ამ მხრივ მალსაგიშვილის და გუჯარაიძის ჩაწერილი მასალები რამოდენიმედ ამ ნაკლს ანელებენ.

ჩემის აზრით, ხსენებულ ამხანაგებს კიდევ უნდა დაევალოთ ამ საქმის გაგრძელება, ხოლო ამ ჟამად მუშაობაში წასახალისებლად მიეცეთ მათ ჰონორარი ხუთასი მანეთი (500 მ.).

გ. ლეონიძე

p.s. აქ წარმოდგენილ ხალხურ მასალებში არის მწერლის სანდრო ყაზბეგის ორი ლექსიც".

ხელნაწერებზე მუშაობისას, აშკარა შეცდომების შემჩნევის შემთხვევაშიც კი, მაქსიმალურად ვიკავებდით თავს ტექსტოლოგიური ჩარევისაგან. ერთადერთი, რაც ტექსტების კითხვისა და აღქმის გაიოლების განზრახვით გავაკეთეთ, ესაა ხმოვნისა და თანხმოვნის შუალედური უ ბგერის შეცვლა კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნით (ქუეყანა – ქვეყანა; ეფხუი – ეფხვი; ძურად – ძვირად...).

ამგვარი „თვითნებობა", თუკი გავითვალისწინებთ მოხეური დიალექტის ბგერითი სისტემის სირთულეს, დიდ ცოდვად არ უნდა ჩაგვეთვალოს.

საჭიროდ მივიჩნიეთ, კრებულში შეგვეტანა რამდენიმე პოპულარული ხალხური ლექსისა თუ შელოცვის ვარიანტული სახესხვაობანი...

„მოხევეთა ხალხური პოეზია ჯერ კიდევ ხელუხლებელია", – გულისტკივილით წერდა სერგი მაკალათია.

იგივე სატკივარი აწუხებდა და შემკრებთა წახალისებას ცდილობდა გიორგი ლეონიძე...

დღესდღეობით მდგომარეობა უკეთესია, თუმცა მოხეური ხალხური სიტყვიერების მეტნაკლებად სრულყოფილი, სოლიდური გამოცემა მაინც მომავლის საქმეა.

პანდემიური მოვლენების ზეპირსიტყვიერი ვარიაციები

„ჟამნი" და „შავი ჭირი" ერქვა პანდემიას, რამაც ხევსურეთში უხსოვარი დროის წინათ იჩინა თავი და ერთიანად ამოწყვიტა სოფელ ანატორის მოსახლეობა. საუბარია ანდრეზულ ხანაზე, დაუზუსტებელ დროზე, დაუდგენელ ისტორიულ ეტაპზე, როცა ადამიანები პიქტოგრამების მეშვეობით ესაუბრებოდნენ ერთურთს და ციურ ცთომილთა მოძრაობა-გადაადგილების მიხედვით საზღვრავდნენ თავიანთ ბედსა და მომავალს.

ოფიციალური ცნობით, დიდ სიკვდილიანობასთან ასოცირებული მძვინვარე ეპიდემია საქართველოში XIV ს-ის დასაწყისში ჩნდება და რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდება...

მთაში ჟამთა შემაკავებლად ადგილობრივი ჯვარ-ხატები სახელდებიან. ღვთისშვილნი მედგრად იცავენ თავის ყმებს მზაკვარი ბუნების მქონე დაავადებისგან. მსუბუქ ფორმებში სენის გამოვლინება ლოკალურ ღვთაებათა ძალმოსილების შედეგია.

„სამ წელს ყოფილან „ჟამნი" ხევსურეთში. მესამე წელს თოვლი რომ გამშრალა და ურნატა მოფრენილა, „ჟამთავ ერცხვას უთხრესავ, ეეხლა ვადა გაგვივიდავ და გადაკარგულან" (არაბული 2006: 107)...

ჟამითი-ჟამად ივსება გარემომცველი სამყაროს „მმართველთა" მოთმინების ფიალა და შემცოდე ხალხის თავზე გადმოდის მთელი მათი სტიქიური რისხვა და მუქარა. ესაა ღვთისმიერი ნიშანი, გნებავთ, სიგნალი, რომლის არაადეკვატური გაგება, გაუთვალისწინებლობა თუ იგნორირება ძალიან ძვირად უჯდებათ კოსმიური წესრიგის დამღრვევ მოდგმებს, ტომებს, ქვეყნებს...

რატომ და რის გამო ვისჯებით, რა დავაშავეთ, როდის გადავლახეთ ის საბედისწერო ზღვარი, რომლის იქით შფოთი და ქაოსი, ჰარმონიის შენჯღრევა და რღვევა, მოკვდავთა გონებრივ შესაძლებლობებზე აღმატებული ურთულესი კლიმატური პროცესები და საყოველთაო ნევროზული მოვლენები იწყება?!...

სოფელ ანატორის (იქვე მეორე დასახლებაც ყოფილა – კიკნიახო) მთავარანგელოზის ანუ ანატორის „მფრინავი" ჯვრისა და მის მსახურთა ბიოგრაფიაში იჩენს თავს ღვთისმსახურების

განანესთან შეუთავსებელი ყოფითი ამბები, რაც რადიკალურად ცვლის ტრადიციული საზოგადოების ყოველდღიურობას და მთის უბეს შეფარებულ „სულფონ" სამოსახლოს ავადსახსენებელი ჭირსატკივარი აჩნდება.

მიზეზი?

ანატორის ჯვარის „მყოლი" (სხვაგვარად: „მკადრე"), იმის გამო, რომ კოჭლია, თანაც დროვნილი და უჭირს ფრენა-ფრენით მავალი ღვთისშვილის კვალდაკვალ მიყოლა, მჭედელს სთხოვს, რომ მხრებში ლურსმნები ჩააჭედოს და ამგვარი ხერხით შეანელოს მისი სწრაფი სვლა ციცაბო მთებსა და უჩინარ ბილიკებზე.

სხვა გადმოცემის მიხედვით, ანატორის მთავარანგელოზი ალავერდიდან „გამოფრენილა" და ანატორში დაარსებულა. თავის მკადრეზე შემომწყრალი (მან ხატის სიწმინდე ვერ შეინახა) მითხოში – ქისტეთის სოფელში გადასულა, სადაც ერთ მჭედელს მისი დაბმა განუზრახავს და საამისოდ ოქროს ლურსმანი გამოუყენებია. ამის გამო გაჯავრებულ „მარხე" ღვთისშვილს უზენაეს ღვთაებასთან უშუალო „კომუნიკაციის" მქონე „ჟამნი" გაუჩენია და დედაბუდიანად ამოუხოცია ანატორელები"...

უკვდავთა სამოქმედო საკრალურ გარემოში მოკვდავთა უხეში, წინდაუხედავი ჩარევა იქცა მიზეზად ეპიდემიის უცაბედი აფეთქებისა, რამაც, ანდრეზთა თანახმად, გაღმა ხევის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოიცვა და მუსრი გაავლო სიმამაცით ცნობილ ანატორელებს...

ანატორის ჯვარი („რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი"), რომელსაც დროთა განმავლობაში ქისტი „გამძღო", ანუ ხუცესიც ჰყოლია (სახელად ბახაგა), თავის მსახურს არ პატიობს დანაშაულს, ნებით თუ უნებლიე გადაცდომას და საკრალური სივრცის ხელმყოფს თავის საყმოიანად ავლებს მუსრს.

„ჟამიანობას" სასწაულებრივად გადარჩენილი ერთადერთი ანატორელი წავა და თუშეთს შეაფარებს თავს. მოგვიანებით, როცა სიტუაცია ჩამშვიდდება და ანატორის კვლავ გამოცოცხლების საკითხი დადგება დღის წესრიგში, ლტოლვილს თუშეთიდან უკან დააბრუნებენ და თავდაპირველად შატილში დაასახლებენ...

ანატორია ის სოფელი (ნასოფლარი), სადაც „მზე ორჯერ მოდიოდა". ესეც რელიეფის უჩვეულო განფენილობის არაორაზროვანი გამოხატულება. ამგვარი გააზრებაც არ უნდა იყოს უსაფუძვლო და უნინაპირობო: მზე ერთხელ ცოცხალთათვის

ამოდის ცის კაბადონზე, ხოლო მეორედ – მკვდართათვის. აქვე შეიძლება გავიხსენოთ „მკვდართა მზის“ მხატვრული ვარიაციები ქართულ მითოლოგიასა და პოეზიაში...

არც ის გახლავთ სადავო მოვლენა, ხოგაის მინდის დაბადების დროს არხოტის ცაზე „ორი მზე“ რომ იდგა! ორი მზის ქვეშ ნაშობი ყრმის (შემდგომ: არხოტის ჯვარის ყმისა და მოყმის) სახით ხევსურეთს შეემატა არარიგითი მცველი, მეომარი, ვისი საბრძოლო თავგადასავალიც პროვიდენციულ თვალთახედვას ექვემდებარება ანდრეზების ლექსით თუ პროზაულ ვარიანტებში...

ქისტეთში გადახვეწილი თუ მოტაცებული, ტყვედ წაყვანილი ანატორელი ყმაწვილი მშობლიური სოფლის ორმზიანობის ხსენებით ახერხებს უკან, თავის მინაწყალზე დაბრუნებას და მკვდართა საუფლოდ ქცეული სამოსახლოს არყოფნიდან აღდგენაში პირადი წვლილის შეტანას.

ანატორისათვის ორმზიანობა თითქოს იმის გამო „დაუწერია“ და დაუბედებია ცა-ხმელის გამრიგეს, რომ, ნინველობის ასაკში აქედან უკვალოდ გადაკარგულებს კვლავ საკუთარ ნასახლარსა თუ ნასოფლარში მოხვედრა და სიცოცხლის ხელახლა აღორძინების შესაძლებლობა მისცემოდათ...

„ჟამთნაისრალი“ ანატორელების მძიმე დღე-ნერას საფერი მესიტყვე და მემატიანე რომ ჰყოლოდა, ბევრი რამ გვეცოდინებოდა ე.წ. „ჟამიანობის“ დრო-ჟამსა და იმ ყოფით ამბებზე, რაც მაშინ გაღმახევის ლოკალურ სივრცეში ხდებოდა.

თუკი ერთმანეთს შევადარებთ ჩვენამდე მოღწეულ ანატორისა და მუცოს აკლდამებს, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, მეტ განსხვავებას დავინახავთ, ვიდრე მსგავსებას, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი დიდი დროით (შესაძლოა ასწლეულობითაც კი!) არიან დაშორიშორებულნი და არქიტექტორული ხელოვნების სხვადასხვა ქრონოლოგიურ მაჩვენებლებს ესატყვისებიან.

ჟამის უსაზღვროება და უსასრულობა (ვაჟაც ხომ ბრძანებს, „ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისაო...“) თავის წიაღში იტევს და იუნჯებს იმდენ ხდომილებას, ადამიანის გონება, თუნდაც შორიდან, ყველაფრის აღთქმასა და აღნუსხვას ვერ ახერხებს.

ტერმინებით სწორი აპელირება წინაპირობაა ნაკლები ინტელექტუალური ცდომილებებისა. ამდენად, გარკვევით უნდა ვასხვავებდეთ ერთურთისაგან პოლისემიური სიტყვის – „ჟამი“სხვადასხვა მნიშვნელობას.

თუ ერთ შემთხვევაში დროს, დრო-ჟამს, დროის უკიდეგანობას აღნიშნავს, მეორე შემთხვევაში კონკრეტული სახის სნეულებას თუ ეპიდემიას გულისხმობს. ხალხურ მეტყველებაში, სახელდობრ, ხევსურულ დიალექტში „ჟამი" შავ ჭირს აღნიშნავს, ხოლო მრავლობითობის ფორმა „ჟამნი" ეპიდემიის გამავრცელებელ მავნე ანგელოზებს, რომელთაც ხელთ სამი ფერის – თეთრი, შავი და წითელი – ისრები აქვთ და ამ ისრების გამოყენებით ასნებოვნებენ უკეთური საქციელისათვის დასჯილ ადამიანებს.

ამავე ციკლის ერთ ფრაგმენტულ ნარატივში ანატორის ჯვრის გამოწვევა და „გაწყრომა" მიეწერება ანატორელ მწერალტყვეს (გიჟს, შეურაცხადს). მის რკინის მშვილდისარს ქართული თოფის ძალა ჰქონია. ამ ჭკუანაკლულ კაცს, როგორც „მკადრეს", „ხელზე მასდენივ ხატები", დაუკრია ისარი და ანატორის ხატისთვის მხარი მოუტეხია. შეურაცხყოფილ და ღირსებაშელახულ ხატს ანატორელებისათვის ჭირი შეუყრია და ხალხი დაუწყვეტია...

ჟამთა მიერ ისარდაკრული, „ურჩოდ" დაავადებული ვაჟკაცი ვიწრო სარკმლიდან შეაღწევდა აკლდამაში, ქვასიპის სასიკვდილო სარეცლიდან ბოლოს გარდაცვლილის ცხედარს დაბლა, ქვის იატაკზე ჩამოანაცვლებდა და სულის ამოსვლის მოლოდინში თვითონ დაწვებოდა გამოთავისუფლებულ ადგილზე...

სნეულთა შორის რატომღაც ქალდიაცები არ იხსენებიან. არადა, ანატორის ერთ-ერთ აკლდამაში გასული საუკუნის შუახნებამდე ყოფილა შემონახული ბავშვის აკვანზე პირქვე დამხობილი ჩონჩხი ქალისა! საგულისხმოა გუსტავ რადეს მითითებაც: „...**Видель здесь несколько колыбелей...**" (გვ. 256).

საერთოდ, ამბებს ანატორელთა შესახებ საგრძნობი სქემატურობა ახასიათებს. ის, რის სრულფასოვან ასახვასაც სხვა შემთხვევაში ვრცელი სიუჟეტური წიაღსვლები დასჭირდებოდა, აქ ძალზე მოკლედ და ნაკლულოვნად არის გადმოცემული. ამიტომაც ძნელდება სხვათა და სხვათა ნაამბობში გაფანტული ნაირფეროვანი კენჭების აკრეფა, ერთ ძაფზე ასხმა და განყვეტილი თხრობის შეკრება-გამთლიანება.

შემზარავი „სილამაზის" ვირტუალური სახილველი თუ სანახაობა: როგორ ალიჭურვება სამოცი სენმორეული ხმლოსანი და საცალფეხო ბილიკით როგორ მიაშურებენ არღუნისა და არდოტის წყლების შესართავთან მდებარე სასიკვდილო აკლ-

დამებს... და ეს ხდება არა ერთი თვის, თუნდაც ერთი კვირის, არამედ ერთი დღის განმავლობაში!!!

რასაკვირველია, ვერ გამოვრიცხავთ ამ ტრაგიკული მოვლენის ჰიპერბოლური წარმოსახვის „რეციდივს", მაგრამ შედარებით მცირე მასშტაბის ანალოგიური ამბავი რომ არ მომხდარიყო, არც შესაბამისი ზეპირგადმოცემები იარსებებდა...

ანატორის მთავარანგელოზი, ნვრილფეხა საქონელის წინაპარი ნადირის (ჯიხვი, არჩვი...) მფარველი ღვთაება, რომლის შიშითაც მის არეს თოფს არავინ ესვრის, თავისი მრევლის, შესაწირის მიმტანი თავისი ყმების მეოხიც არის და მის ფუნქციებში მათი თანადგომაც შედის, თუმცა იმზომ გაჯავრებული და განაწყენებულია, რომ სრულ გულგრილობას იჩენს და არაფერს ღონობს შავი ჭირისაგან მათ დასახსნელად და გადასარჩენად.

დანაშაულის ჩამდენს, ადრე თუ გვიან, უეჭველად მოეკითხება, მითუფრო მაშინ, როცა საქმე თემისა თუ ტომის სალოცავისადმი „უტი" და უმეცარი ხალხის უდიერ დამოკიდებულებას ეხება.

„გადაცდომას" ზოგი შეგნებულად, წინასწარ გააზრებულად სჩადის, ზოგიც გაუცნობიერებლად, მოსალოდნელი შედეგების შეუცნობლად. „მოქმედებაში მოდის" ცნობისწადილი და მისი დაკმაყოფილება დამღუპველი აღმოჩნდება წერაატანილი ადამიანისთვის. კვალზე ადევნებული ეშმაკეული ძალა სამუდამოდ „იტომებს" და იმორჩილებს ჯვარის ყმას, რომელიც უძლურია, წინააღმდეგობა გაუწიოს და შეუპოვრად შეხვდეს მორიგ განსაცდელს. ანდრეზში დაფიქსირებული საბედისწერო ფრაზა, მიმართული ანატორის ჯვარისადმი – „შენ ნადირს შუბლში დავხკარივ!" – და პასუხი ღვთისშვილისა – „თავის თავისად დაგიკრავავ!" – ნათელს ჰფენს და თვალწინ გადაგვიშლის „შემცოდის" მომავალს: მისი ხსნა სიკვდილისაგან უკვე შეუძლებელია. გარეულ ნადირში პერსონიფიცირებული ღვთაება ზრდასრული კაცის უკიდურეს მკრეხელობას, მისგან სასიკვდილოდ გამეტებას, რასაკვირველია, არ მოითმენს, უჩუმრად ვერ ჩაატარებს და აკეთებს იმას, რაც მსგავს შემთხვევაში შეიძლება მოიმოქმედოს მოყმისაგან არად ჩაგდებულმა ზებუნებრივმა სულმა თუ არსებამ.

უამმორეული სოფლის მკვიდრთა სამუდამო განსასვენებელია არა მიწა, ყოვლის შთანმთქმელი მიწის წიაღი და სწორად ამოყვანილი შავი კედლები, არამედ აკლდამა (აკლდამები), სიპი

ქვის პრიმიტიული ნაგებობები, რომელთა მსგავსი არქიტექტურა, გარდა ანატორისა, არსებობს მუცოში, დართლოში... „ეს აკლდამები გამოყენებული იყო ჭირიანობის დროს, ყველა დაავადებული თავისი ფეხით მოდიოდა აქ, ჯდებოდა ქვის „მეჯზე" და ელოდებოდა სიკვდილს. ერთს მეორე ცვლიდა და ა.შ.". (ბარდაველიძე 1985: 28).

ანატორში გაჩენილი ჟამის მასშტაბის ეპიდემია, როგორც ჩანს, სხვაგან, ამიერ საქართველოს რომელიმე სხვა სოფელში არ ყოფილა. ამას ადასტურებს ქოხის ტიპის სამი სამკვდრო აკლდამა, რომელთა შიდა სივრცე რამდენიმე ათეული მიცვალებულის განთავსებას ითვალისწინებდა.

დაკრძალვის უძველეს ფორმებთან დაკავშირებით სათანადო წერილობით წყაროებში ლაპარაკია იმაზეც, რომ დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ, სამეგრელოსა და აფხაზეთში, გავრცელებული ყოფილა მიცვალებულის ხეზე დაკიდება, რაც, თავის მხრივ, შესატყვის რწმენა-წარმოდგენებში სულთა სიკვდილის შემდგომ მდებარეობასთან არის ასოცირებული. ჟამისგან შემუსრული ადამიანების საზიარო მიწისზედა სამაროვანი იმაზეც მიანიშნებს, რომ ეს ბედით ერთურთის მონათესავეთა საიქიო სამყოფელია (შეიძლება ითქვას – „ანდაბიც"), სამზეოს მყოფთა საცხოვრებისო პირობების ანალოგიურ მდგომარეობას რომ გულისხმობს. მითუმეტეს, თუკი იმასაც გავიხსენებთ, რომ შავეთის ხატი, წეს-წყობა და ვიზუალური მხარე სულის უკვდავების ქრისტიანული დოგმატის ნაცვლად მის ნივთიერ, საგნობრივ, მატერიალურ განზომილებას გულისხმობს...

და მაინც დაუდგენელია. რამდენ საუკუნეს ითვლიან ანატორულის მგვანი აკლდამები ხევსურეთში; აკლდამები, რომელთა ხნოვანება და ორიგინალური კონფიგურაცია რაღაც სხვა ყოფითი კულტურისა თუ სამგლოვიარო რიტუალის არსებობას მოწმობს.

ხმით ნატირალში „ჟამის" ნახოც ქალებზე (ქ.ხ.პ. 1976: 73) საუბარია იმის შესახებ, „ქვიშისას" მიმდინარი, ჟამთაგან დახოცილი ქალები გახედავენ თუ არა ჭიშველს, სადაც ახლა მთიბლები უნდა თიბავდნენ, ცელები უნათობდეთ და „სიმღერეს" იძახოდნენ.

ეს „სიმღერე", ტრადიციული გაგებით, არც „სიმღერაა" და არც ხმით ტირილი. გამომდინარე მოცემული სიტუაციიდან, ის უფრო „გვრინია", სამგლოვიარო კილოსა და ინტონაციის მო-

ძახილი, კვდომასა და მწუხარებასთან უფრო მეტ საერთოს რომ ავლენს, ვიდრე ომახიან, სამხიარულო ხასიათის სულისშემძვრელ სიმღერასთან.

ჟამის ნახოცი (სავარაუდოდ, არხოტიონნი) ქალები ქვიშას მიჰკვალავენ (უნდა ვიფიქროთ, რომ მათი სიცოცხლის წლებიც ქვიშასავით ჩაიბნა და ჩაიფანტა ცოდვაბრალიანი საწუთროს შრეებში), თან თავიანთ სწორფერთაკენ უჭირავთ თვალი და უკანასკნელად „ტკბებიან" ნაცნობი სახილველით, ესოდენ ნიშანდობლივი რომ არის მათი რუტინული ყოველდღიურობისათვის.

„სიმღერა", რომელიც საწუთროული სევდით სავსე მწუხარე განწყობილებას ადამიანის სულიერი სალმობის გარეთ „გამოტანას", გამომზეურებას გულისხმობს, ხშირად ისმის ჭირიანობისა და ძნელბედობის უკიდურესი შეჭირვებისა და შემოჩენილი, გაშინაურებული სიკვდილის კონტექსტში. სახადშეყრილი ახალუხლები, ანდა მათი ერთი წევრი, კეთილხმოვანი საკრავით ხელში შედის აკლდამაში, კაი ხნის მიცვალებულის ცხედარს ძირს ჩამოანაცვლებს და ფანდურის ნაღვლიანი მელოდიის აკომპანიმენტით ემშვიდობება სააქაოს. იცის, რომ მისი დღეები დათვლილია, „გათაულია" და კაცობრიობის მძიმე, ხელშეუქცევარი მტრის ჯიბრსა და ჯინაზე „სიმღერას" ამბობს.

და ერთხელაც ბინდისფერ შატილს ჟამიანობის უმძიმესი დროჟამი რომ დაუდგება და მამაკაცები სამარხების თხრას ვეღარ აუდიან, დღე-შუა სოფლის სამაროვნისაკენ მიაბიჯებენ, რათა კიდევ ერთი ახალი მკვდარი მიაბარონ კაცის ძვალ-მალით გაუმაძღარ მიწას, ერთ-ერთი კოშკიდან თუ ქვითკირიდან გამოსული სიმღერა დაივლის ციხე-სოფლის მიდამოებს. გაკვირვებული მოხუცები ამბის გარკვევას შეეცდებიან და უჩინარ მომღერლებს გასძახებენ, რაშია საქმე, მამრი ლამის ბოლო მამაკაცამდე ამოწყდეს და თუკი „გონთით არ გამასულან", რა ამღერებთ?!.

– სიკვდილს ვაშინებთ! – ისმის პასუხად მრავლისმნახველი შატილის ერთ-ერთი მიწურიდან.

და, როგორც ამბობენ, გაჭრა გაუტეხელი შატილივნების საომარმა ტაქტიკამ, მრწამსმა და ორიენტაციამ: უანდრეზო ამბის ჩამდენ ვაჟკაცებს ცდა დაუფასდათ და დათმო სიკვდილმა თავისი მეუფება გმირ დამხვდურებთან დამოკიდებულებაში. იმ დღიდან ჩვეული რიტმით გაგრძელდა ცხოვრება თავის

დროზე ახვერდიმაჰმადის ხუთიათასკაციანი ლაშქრის მომრევ, მომგერიებელ შატილში.

მთიელებისთვის ღირსეულ მტერთან ტოლძალოვანი ურთიერთობა გაცილებით სასახელო და „სასიამოვნოა“, ვიდრე ტრელ, ლაჩარ, არსაით მოყვარესთან და სისხლისმიერ თავისიანთან... და ჩნდება ერთურთის მიყოლებით ზნეობრივი გმირობის საანდრეზო, ცხოვრების წესად და ნორმად დასადები განსაცვიფრებელი მაგალითები; და იქმნება სიმართლის ლარზე გაწყობილი ზეპირი ისტორიები, რომელთა სულისკვეთება სრულ შესაბამისობაშია ადგილობრივთა მენტალურ ღირსებასთან და არაკად სათქმელ თავგადასავლებთან!...

ომათ სუხიას ლექსი „წყალში ჩავარდნა და სიკვდილი“, გარდა იმისა, რომ მკითხველს ხალასი სახეობრივი აზროვნებით ხიბლავს და იმონებს, სულეთში თავმოყრილი „სწორების“ (ე.ი. თანატოლების) არაორდინარული საქციელითაც ამახსოვრდება; საქციელი სიკვდილის დაუმორჩილებლობაში და სიქიო ყოფისადმი „აგორებულ“ ღრმა პროტესტში გამოიხატება. „ქორების ჯარად“ სახელდებული კაი ყმები თავიანთი ყოფის შესაფერის სამგლოვიაროსაც მღერიან და არც ზარის ახმიანებაზე იხევენ უკან:

„...სულეთს შავიდა წიქაი, ხელით შააღა კარია, სწორებმ გაიცნა ერთუცი, დასხდა ქორების ჯარია. სამგლოვიაროთ იმღერეს, ამოდ შამახკრეს ზარია, ჩუამ სიმღერა იძახა, ჩალხიამ მისცა ბანია. ვაჟებმა შატილივნებმა სულეთ გაბედეს ძალია, სრუ გაამტვრიეს კარები სამზეოს გასავალია. იმათ შამასწყრა უფალი: „აქით არ დიან სხვანია“ (ქ.ხ.პ. 1976: 231-232).

გულის მოსაოხებად სიმღერაც უებრო წამალია და ტირილიც. წინ ორივეს მძაფრი ემოციური ფონი უძღვის. სიმღერის სადაგი მელოდია და ტექსტური ქსოვილი უერთმანეთოდ არ არსებობენ. ისინი ერთურთს ავსებენ და განაპირობებენ. ჭარბი ტკივილით დამდუღრული გული თვითგადარჩენის ინსტინქტის კარნახით ეძებს ხსნის გზას და პოულობს კიდეც სიმღერის სახით; პოულობს იმისთვის, რომ სულთქმა შეძლოს და გრძნობების მორევმა არ ჩაითრიოს, სასიკვდილოდ არ „მისწუროს“, ვაჟაზე უკეთ ვის მოეხსენებოდა ეს მარტივი გზა და გამოსავალი: „ტირილით გაუმთელდება გულს მოტეხილი პირია...“ და ის უცნობი მელექსეც, მტკივნეულად რომ განიცდის კინწათ ტუჩას ღალატით მოკვდინებას, გაორებული განც-

დების ნებაყოფლობითი ტყვეა: თან გულში დაგროვილ დარდს ვეღარ მორევია და თანაც...მღერის: ...არხოტის მთაზე შამოვხე ემაგ ლექსაის მთქმელია, გულის დარდებში გასული მოვბიჯავ, მოვიმღერია" (ქ.ხ.პ. 1976: 215)...

იციან, რა ელოდებათ, ვისთან აქვთ საქმე. მტერი უცნობი და უხილავია და ისევე, როგორც სიკვდილს, არც მას აბადია სახე. მიუხედავად ამისა, მასაც „აშინებენ", თავიანთი ქცევით აოგნებენ, აოცებენ და ადამიანურ ღირებულებათა უცვეთობისა და მარადიულობისკენ მიმართავენ მკითხველისა თუ მსმენელის მზერას და გულისყურს... და ფანდურია ის არაუტილიტარული საგა ნი, ფხიან იარაღზე მეტად მჭრელი საბრძოლო საშუალება, არყოფნაზე ამქვეყნიური სიცოცხლის გამარჯვება რომ უნდა აზეიმებინოს ცასა და მიწას შორის უკვდავების გზა-ბილიკთა მაძიებელ მზეჭაბუკებს...

მდინარის გაღმა, უტყეო მაღლობზე, მათი სოფელია, მტერისფრად რომ მოსჩანს გამოღმიდან, არღუნისა და არდოტისწყლის შესართავთან წამომაღლებული კონცხიდან და რაც უფრო შორდებიან ანატორელები – უცნაური თავგადასავლის მქონე გვარის უშიშარი წევრები – მით უფრო ახლოს ისმის შეუვალი სიკვდი ლის ცივი სუნთქვა... ისე, კაცმა რომ თქვას, სხვა არჩევანი არც აქვთ, მეტად ვიწრო და მოზღუდულია მათი სამოქმედო სივრცე. კიდევ ერთხელ აქედან უნდა მოავლონ თვალი მეტამორფოზის უნარით მორჭმული ანატორის ჯვრის ციცაბო მიდამოებსაც და, რაც მთავარია, დაესწრონ დღეში მზის ორჯერ ამოსვლის მისტიკურ მოვლენას... თითქოს ერთი მნათი, დილის მწვერვალებზე ამოწვერილი, ცოცხლებისა იყოს, ხოლო მეორე – „მკვდართა მზე" – საიქიოსკენ გაჩქარებული ანატორელებისა... ბედისწერამ ეს არემარე აირჩია თავის არენად და დაუყოვნებლივ შეუდგა ზეადამიანური მისიისა და მოვალეობის მყისიერად აღსრულებას... შავეთის ბროლივით სუფთა წყლებთან, უკვდავების წყალთან გათანაბრებულ ზღაპრულ წყაროსთვალთან უნდა იყო წილდებული, ზედმიწევნით მიწიერი პრაგმატიზმის მკვრივი გარსი რომ გაარღვიო და შენს ნაკვალევზე შეგნებულად შემდგარ „წვერდანამებულ" ჭაბუკებს ზნეობრივი სიწმინდის, სიქველის, სულიერი სიმაგრისა და გმირობის მეტყველი მაგალითი უჩვენო.

ასეთნი არიან ყრუ ხეობის მკვიდრი ანატორელნი, იმედის ბოლო წვეთის გადაწურვამდე თავის ავადობიანად ადგილ-

ზე რომ რჩებიან, აკლდამებში შედიან, უღონკროვდებიან და შემზარავ სიმარტოვეში ბარდებიან უფალს. იციან, რომ ამ საზღვრებიდან მათ გასვლას ეპიდემიის გამძვინვარება მოჰყვება და უკანასკნელ წამსა თუ წუთშიაც თანატომელთა დაცვასა და გადარჩენაზე ფიქრობენ...

დაბადებისმიერი მოწოდება, რასაც ფანატიზმისა და თავგანწირვის გამძლე ელემენტი არ უდევს საფუძვლად, ძნელად მიაღწევს თავის მწვერვალს, თავის აპოგეას...

ცნობილმა ასირიოლოგმა ჯორჯ სმითმა ათასობით თიხის ფირფიტა, უამრავი ნივთი, ლეგენდა, ისტორიული ძეგლი და მეცნიერული ღირებულების მქონე დოკუმენტი აღმოაჩინა და გაშიფრა ქიუნჯიქის გორაკზე, ასურეთის მზე ასურბანიფალის ბიბლიოთეკაში...

ამ დროს აღმოსავლეთში ქოლერა მძვინვარებდა. ჯორჯ სმითი საფრთხემ ვერ შეაჩერა და ექსპედიციის თანხლებით მესამედ გაემგზავრა მთელი ბიბლიოთეკის აღდგენის განზრახვით. თვეების განმავლობაში უწევდა ღია ცის ქვეშ ღამეების თენება. ადგილობრივებს ეშინოდათ, რომ სმითს მათგან ეპიდემია გადაედებოდა. მკვლევარი მაქსიმალურად ცდილობდა მათგან დისტანცირებას და, ბოლოს, მართლაც ვერაგმა ავადობამ იმსხვერპლა. გარდაიცვალა 1876 წლის 19 აგვისტოს, 35 წლის ასაკში...

ამ ქვეყანაზე უმიზეზოდ არაფერი ხდება. მათ შორის, არც ავადობა, დაძაბუნებას რომ უქადის ცოცხალ უჯრედს, ცოცხალ ორგანიზმს. მიზეზის სათავის მიუგნებლად სენისაგან მორჩენა შეუძლებელია. სნორად დასმული დიაგნოზი ნარმატების ნახევარია. როგორც ხალხი ხმობს, „ჭირი არ წავა უჭიროდ, თუ ჭირის დედა მთელია...“ ჭირის დედის მიკვლევა საიმედო წინაპირობაა ავადობისაგან სრულად ანდა ნაწილობრივ განკურნებისა...

კაცობრიობას გაჩენის დღიდან ათასგვარი წყლული აწუხებს, ტანჯავს, ცხოვრებას უმწარებს, დისკომფორტს უქმნის და სიამტკბილობის განცდის შესაძლებლობას უკარგავს. და ეს გასაგები, ჩვეულებრივი მოვლენაა, თანამდევი სულდგმულთა ხორციელი, მატერიალური არსებობისა.

მაგრამ ტრადიციული საზოგადოების ყოფით პრაქტიკაში არის სალმობის ისეთი ნაირსახეობანიც, რომელთა გაჩენა ადამიანის დანაშაულებრივ ქმედებას და ცოდვილ ბუნებას უკავშირდება. მათი ახსნა, გარკვევა და კვალიფიკაცია ადგ-

ილობრივი მისტების პრეროგატივაა, მისტებისა, რომელთაც შესწევთ საიმისო უნარი, ლოგიკური დასაბუთება მოუძებნონ თვალით უჩინარი ლოკალური ავადობისა თუ მასობრივი ეპიდემიის ნებისმიერ გამოვლინებას.

ხშირ შემთხვევაში ჭირის, იგივე ეპიდემიური ინსპირაციის, სათავეა კონკრეტულ ადამიანთა ჯგუფის, პატრონიმული ერთეულის, მოდგმისა და მოდენილობის მიერ გადალახვა იმ ზღვრისა, რომელიც საფრთხილოა, ტრაგიკული ამბების გახშირებას მოასწავებს სოფლის, თემის ანდა ტომის ფარგლებში...

ხატის მსახურად მოწოდებულ ადამიანს, ვინც რიგითი მოქალაქეებისაგან არაფრით განსხვავდება, ხატი აავადებს, მირეულ ადგილებში მოხვედრასა და სიარულს უკრძალავს, მესამრელოე ქალების მორიდებას ასწავლის, ხორციელ პატივსა და სიამოვნებაზე უარის თქმას აიძულებს, აბეჩავებს და, ბოლოს, თავის სამსახურში აყენებს.

ღვთისშვილის რჩეულს ამიერიდან შვება ეძლევა, სიმშვიდე ეუფლება, „საწმინდარში" დგება და ტოვებს ავადობა, რაც ნიშანია ახალ სოციალურ გარემოში მისი დამკვიდრებისა.

მთიელთა საკრალურ გარემოში უამრავი ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული. ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებში ფსიქონერვული დაავადების ათეულობით მაგალითია მოტანილი; მაგალითი, სადაც ღვთისშვილთა და ადამიანთა შუამავალს, ჯვარ-ხატის ახალ ხელდებულს, განსაკუთრებული მისია აქვს დაკისრებული.

ხოლო იმისთვის, რომ ღვთისმსახურების ყოველწლიური რიტუალი ჩვეულებისამებრ ჩატარდეს და „ძვირადსახსენებელ" დიდ „ბატონებს" თავიანთი საყმოსგან ზღვენ-სამსახური მიუვიდეთ, საჭიროა სათანადო „ინფრასტრუქტურის" მოწყობა, რაც ასევე გარკვეულ დაბრკოლებათა დაძლევას, შიდასოციალური საკითხების განხილვასა და გადაწყვეტას გულისხმობს.

ანდრეზის თანახმად, ჭიელ ყურაულებს საცხოვრებელი სახლი გუდანის ჯვარის კუთვნილ ადგილას ჰქონდათ (ყურაულთა მამაშვილობიდან იყო მგელა ყურაული, ვისაც ხარხოს – ჭორმეშავის მიდამოებში, განრისხებულ ვეფხვთან შებმის „პატივი" არგუნა ბედმა!)...

– ჩემს მიწა-წყალს თავი დაანებეთო – ქადაგ-მკითხავთა პირით უთვლიდა ყურაულებს საყმოძლიერი სამთელხევსურთო სალოცავი. წერაატანილმა ჭიელებმა არაფრად ჩააგდეს

ღვთისშვილის კანონიერი მოთხოვნა და აიძულეს ეს უკანასკნელი, გამოემჟღავნებინა თავისი „ძალა და შეძლება": ყურაულებს „შეუდგა ავადობა" და ამოწყდნენ, ხელერთიანად გათავდნენ...

ავადობაში არა უბრალო, განკურნებადი სენი და სახადი, არამედ დაუნდობელი ეპიდემია, ქოლერა თუ შავი ჭირი უნდა ვიგულისხმოთ, ავადობა, რომელიც არ „აბედენებს", ერთურთისგან არ ასხვავებს სუსტსა და ძლიერს, ბერსა და ახალს, მქონეს და უპოვარს.

საყმოს ცალკეული წევრების „გაბუდაყება" და „უსანქციო" (შეიძლება უსაქციელოც ითქვას) საქმიანობაა ერთი უმთავრესი მიზეზი სახელდებით ტერიტორიაზე ჟამიანობის ჩამოდგომისა.

ხორჯანნი (ბაკურხეველ ფიცხელაურთა მამიშვილობა) თავიანთ დავლათს ღვთისშვილთა დავლათზე მაღლა აყენებდნენ: ამაყობდნენ, თავს „მოკვდავთა" სათვალავში არ თვლიდნენ... ერთი სიტყვით, იმდენი ქნეს, რომ ჯვარიც განარისხეს და ღმერთიც. გაუჩნდათ ჟამი და მთელი მამიშვილობა პირისაგან მინისა აილაგმა (თოფჩიშვილი 2005: 237).

მსგავსი უბედობა ეწიათ ჯერ კავკაზაურებს და მერე – გელდიაურებს („კითხევდეს გელდიაურსა ამბავსა წინისწინასა, ჯერ ჭკვას გამოურჩევს მამუკა, არგამგონისად – რკინასა", – ნათქვამია ხალხურ ლექსში). ორივე ჩამომავლობა შავმა ჭირმა შემუსრა და „გაათავა".

სქემა უცვლელია, რელიგიური წარმოსახვის ხაზი – უძრავი: ჟამთაგან ამოწყვეტილ, ღვთის ურჩ მამიშვილობათა მამულ-წყალს, სახნავ-სათიბსა და საძოვარს სასოფლო სალოცავი „იჭერს" (ე.ი. იკავებს) და მისი შემდავებელი, ცალკე მოსალოდნელი რისხვის და ცალკე რიდის გამო, არავინაა.

ჟუჟუნა ერიაშვილის მიერ მოპოვებული მასალის თანახმად, ამღაში (არხოტის თემში) ჭირს ამოუწყვეტია ბურდუხანი და მათი საგვარეულოები, ველ-მინდორი და მიწა-წყალი „ცით სვეტად ჩამოსული" იახსარს დარჩენია (ერიაშვილი 1982: 30).

* * *

სისაურთა – შატილის თავდაპირველ მკვიდრთა – პირდაპირი განაყრები ცხოვრობენ შატილში, პირიქითა ხევსურეთში, რომელთაც ანატორლებს ეძახიან. მათი უმძიმესი ხვედრის ურთულეს ხვეულებში გარკვევა არცთუ ისე იოლია, ვინაიდან ზეპირი ცოდნა და ისტორიული მეხსიერება ყველაფერს ვერ ინახავს

უკლებლივ და უდანაკარგოდ. და არც დროთასვლაში „შემოძარცვული" ხალხური ამბების ლიტერატურული გააზრებანი თუ ვარიაციები მოგვეპოვება სასურველი ოდენობით. ფრაგმენტულობის დაღი აზის ანატორის სახელწოდებასთან ასოცირებულ ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვან მონათხრობს.

იმ რიცხვმცირე ქართველ მწერალთაგან, ვინც ანატორელთა „გათავების" ხალხურ ნარატივს მიაქცია ყურადღება და საინტერესო შტრიხებით გაამდიდრა ნაცნობი ზეპირსიტყვური მასალა, შეიძლება დავასახელოთ ვასილ ბარნოვი, თამაზ ბიბილური და ნაირა გელაშვილი.

ფოლკლორში შემორჩენილი, ასე ვთქვათ, ანატორული ციკლის ფრაგმენტული მონათხრობიდან საგულისხმოა სწორფრული თავგადასავალი, რომელსაც ჭირს გადარჩენილი უკანასკნელი ანატორელის – 110 წლის (!) ხვთისო აბულეთის ძე ჭინჭარაულის ნაამბობი გვაცნობს; ნაამბობი, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში შატილიონთა საზამთრო სადგომ აცეხში იურა (გიორგი) ჯაფარიძეს ჩაუწერია.

მზისფერი ნაბიისი ქუჯეგის სწორფერი ყოფილა. ქალი ულამაზეს წინდებს (ხევს. „თათებს") უქსოვდა ვაჟს და შიგ თავისი თმის ლოლებს ატანდა. ერთი თემის ქალ-ვაჟის უტკბესი სწორფრობა სიყვარულში გადაზრდილა. ხალხის თვალს რა გამოეპარებოდა. შეუტყვიათ ხევსურული ადათ-წესებით მკაცრად შეზღუდული უკანონო სიყვარულის ამბავი. აღელვებულა და აბობოქრებულა თემი... ქუჯეგმა იცოდა, რომ მოძმეთა რისხვას ვერ გადაურჩებოდა. თანაც ნაბიისის შერცხვენას მორიდებია, აუკვეთია ფეხი და სამუდამოდ გადაკარგულა შატილის თემიდან... ნაბიისი ჯვარ-ხატების წინაშე წრფელ მონანიებას გადაურჩენია. მის საქმროდ უებრო ვაჟკაცი ვაჟუზეძე (არაა გამორიცხული, სწორედ მას ეხებოდეს ხალხური ლექსის სტრიქონები: „ხმალი ვაჟუზეძემ წაგართვა, შინ მახვე სისხლ-ტიგრიანი...") აურჩევიათ. ამ დროს ანატორში კეთრი გამძვინვარებულა. უსაშველო სენით შეპყრობილნი ერთურთის მოყოლებით დაძრულან წინასწარ აგებული საძვალეებისკენ. ერთ-ერთ საძვალეში, სადაც ჩონჩხად ქცეული ნაბიისი მჯდარა და ერთადერთი ადგილიღა ყოფილა დარჩენილი, კეთროვანნი თურმე კარის ამოშენებას და ამოლესვას ჩქარობდნენ. შუაღამისას, როცა მთვარეს შატილი გადმოუვლია და ანატორს გასწორებია, ძვალშესალაგში ლასლასით შესულა მთაგად-

მოვლილი მგზავრი და ჯერ კიდევ ცოცხალი ნაბიისის გვერდით მისვენებულა.

უღონკრო სნეულებს საჩქაროდ ჩაუგმანავთ საძვალის ვინრო კარი. ამ დროს მათი გმინვა და გულისძგერა ნაბიისის შემზა-რავ კივილს გაურღვევია: ახალმოსულ მგზავრში სიყვარულით დაფერფლილი ქუჯეგი – თავისი სწორფერი შეუცვნია...

ჩამწერის მიერ სტილიზებული, ნაწილობრივ გალიტერატურულებული მონათხრობის მთავარი ძაფი და ძარღვია მოტივი სწორფრობისა, ლაკონიური ასახვა იმ უცნაური ვითარებისა, რაც დღემდე ინარჩუნებს უაღრესად საინტერესო წეს-ჩვეულებითი მოვლენის სტატუსს. და ამ ამბის ფინალური ეპიზოდი, ნებით თუ უნებლიეთ, ეაჟას პოემა „სტუმარ-მასპინძელის" დასასრულსაც გაგვახსენებს: ის, რასაც ამ ქვეყნად ახდენა და გაცხადება არ უწერია, სავსებით შესაძლებელია საიქიოში, სიკვდილშემდგომ სამყოფელში, სულწმინდათა სამეუფოში მოხდეს და განხორციელდეს. ცხოვრების უღვთო კანონებისა თუ ეთიკური ნორმების უსაზღვრო სიმკაცრის „განეიტრალება", ჰაგიოგრაფის ენით რომ ვთქვათ, შესაძლებელია იქ, " სადა არა არს რჩევაი" და სადაც განწირულმა ქალმა და კაცმა შეიძლება „სწორი სიტყვა" თქვან.

* * *

ჟამის გაჩენისა და გაავების წინასწარშეტყობა მათსავე თანმყოლ წმინდა კაცებს მიეწერებათ. მათ აქვთ რიგით მოკვდავთ თავის დაფარული ზებუნებრივი უნარი, რაც თვითგაუჩინარებისა და უხილავი ეპიდემიის ვიზუალურ აღქმაში გამოიხატება.

ხახმატის ჯვარის უსაჩინოესმა მკადრემ (რომელიც ქადაგის, ხევისბრისა და მედროშის ფუნქციებსაც ითავსებს) და ქაჯეთის ლაშქრობებში მისმა უერთგულესმა თანამებრძოლმა გახუა მეგრელაურმა, წარმოშობით ჭორმეშიონმა, იცოდა ხევსურეთში ჟამთა შემოსვლის ამბავი და, გაჩნდებოდა თუ არა საამისო ნიშანი, ატყობინებდა და აფრთხილებდა ხალხს. გახუა თან დაჰყვებოდა უჩინრად და იმასაც გარკვევით ხედავდა, ვის რა ფერის ისარს ესროდნენ...

თუშურ ფოლკლორში მტკავლისტოლა კაცად არის წარმოსახული „ჭირი", რომელიც ძალიან ნელა, გაუხანებლად მიდის მთამთა, სამ წელიწადს ანდომებს დართლოში მისვლას და თავისი განზრახვის აღსრულებას.

როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, „ის ჟამნი ღვთით ყოფილან" და, ერთი ხალხური გადმოცემით, ხონეს ჯვარს არ შეუშვია თავის სამყაროში... ღვთით არიან და, ამდენად, მის ნებასურვილს ექვემდებარებიან.

და იმისთვის, რომ ჟამთ გაავებული გულები მოულბონ, ღვთის მსასოებელი ყმები საკლავს აგებებენ და, როგორც მსგავსი ამბების დროს ხდება, დანდობასა და შეწყალებას ევედრებიან უმეცარ ადამიანებზე განრისხებულ, ციდამტკაველა კაცებად, წარმოდგენილ მავნე ძალებს.

„...ხევსურეთ რო ჟამნ გაჩნდებოდეს, არხოტ, ამღას სიმაგრეში ხატები სტვირს ააძრახებდეს. ჟამთ მოდენას რომ გაიგებდნენ, ხალხ გაიხიზნებოდა არხოტიდან" (ოჩიაური 1967: 98).

არხოტის მთაში „სტვირის აძრახება" დაახლოებით იმავეს უნდა ნიშნავდეს, რასაც სახადის დროს ბავშვის აკვანთან მაგიური სიმღერებისა თუ აპოტროფიული დანიშნულების საგალობლების შესრულება. ხატების ჩარევით, მათი ძალით და გადაწყვეტილებით „სტვირის აძრახება", როგორც ჩანს, საფარველდებული მტრის გულის მოგებას, დამშვიდებას, დაშოშმინებას ისახავდა მიზნად. და ამ შემთხვევაშიც შესაბამის გადმოცემებში ისარი ფიგურირებს: სამ ვირს აკიდებული აქვს სამი ფერის („შავთბია", „თეთრთბია", „წითელთბია") ისრები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ისრები წვერმოწამლულია, რაც საესებით საკმარისია მთის ურჩი საყმოების ამოსაწყვეტად.

ჟამნი არა მხოლოდ თავს ესხმიან, უტევენ და იავარქმნიან მოსახლეობას, რომელიც თავისი სიჯიუტით, თვითნებობით, უსაფუძვლო სიამაყითა და უსაზღვრო ამბიციურობით ქრისტიანული ქცევის ყოველგვარ ზღვარს არღვევს. მათვე ბრალდებათ არხოტიდან ქაჯავეთში ხოგაის მინდის გატყუება. მოხვდება მინდი უცხო ქვეყანაში და ჟამნი თვალსაწიერიდან ქრებიან.

ეს არაა ჟამნთა უშუალო მოვალეობა, ისინი სხვა სულიერთა ფუნქციას ასრულებენ და კი არ აზიანებენ, ანდა კი არ კლავენ, არამედ მეგზურობას უწევენ მითოსურ პერსონაჟს, მეგზურობენ და რეალური სამყაროდან დემონურ არსებათა საუფლოში გადაჰყავთ იგი; გადაჰყავთ, რათა ქაჯავეთურ სიბრძნეს აზიარონ და მანამდე უცხო ცხოვრების პერსპექტივა გაუჩინონ. სიახლის წვდომა და გაშინაგანება ყოველთვის მტკივნეული პროცესია და, ბუნებრივია, არც ხოგაის მინდია დაცული და დაზღვეული მოულოდნელი განსაცდელისგან.

რის გამო, რა მოტივით მიჰყავთ ჟამთ ხოგაის მინდი ქაჯთა ქვეყანაში, გაუგებარია. ისიც ბუნდოვანია, ეს სასჯელია, სამაგიეროა რაღაც უჯერო, უკეთური ქმედების გამო მის საზიანოდ გამოტანილი თუ პირიქით – მისთვის სარგო საქმის კონტურები იკვეთება თანდათანობით; კონტურები, რამაც მინდის არსებაში დაფარული, მოაქჟამამდე დამალული შესაძლებლობანი უნდა გამოაჩინოს...

და მთელი ეს გზა, მზიურნიშნიანი ფოლკლორული გმირები რომ გაივლიან არაორდინარული შობიდან ვიდრე სრულფასოვან ცხოვრებისეულ ეტაპებამდე, დაღდასმულია კეთილისა და ბოროტის, ღვთიურისა და ხთონურის, საკრალურისა და რიოშის უწყვეტი, უსასრულო, პერმანენტული შეხლა-შემოხლით, დაპირისპირებით, უკომპრომისი ბრძოლით.

* * *

სასჯელის კიდევ ერთი ნაირსახეობა, რასაც გამჩენი მოუვლენს მოძალადე ქვეყანას, რომელიც შეურაცყოფს დატყვევებულთა საკრალურ სიწმინდეებს და „უსაკადრეოდ" ეპყრობა წლობით ტუსაღობაში მყოფ ქართველებს, ვისთვისაც აუსრულებელ ნატვრად და განუხორციელებელ სურვილად ქცეულა ბორკილების ახსნა, განთავისუფლება და სამშობლოში დაბრუნება: ხორასანში მოხვედრილ შვიდი ათას ქართველს თან ახლავს, იცავს და მფარველობს ლომისის ჯვარი. ესაა ერთადერთი იმედი, სასო და ნუგეში, ვისაც ძალმომრეობით დამორჩილებული ადამიანების შველა შეუძლია. და როცა ხორციელთა მიმართ გამოვლენილი სრული განუკითხაობა ამ სასწაულმოქმედ საგანძურზეც გადავა, აპოკალიფსური ნიშნები გაჩნდება ხორასანში: შვიდი წლის განმავლობაში კატასტროფულად იკლო სულიერთა შობადობამ. ცამ წვიმა შეწყვიტა და მიწამ მწვანილის აღმოცენება (შორეული ანალოგისთვის შეიძლება გავიხსენოთ დარიაჩანგის ბაღის გაქრობა ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მოდიოდა". ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზია წესრიგის დაუცველობა. „ოყაჯადო ხალხის დაცვას აპირებს, წესრიგი რატომ ვერ დაიცავით და დარიაჩანგის ბაღი გააქრეთო").

* * *

სიკვდილი ადამიანის წარმოსახვაში ხან ცელმომარჯვებული მჭლე კაცის, ხანაც კლდეში შემდგარი ჯიხვის სახით არსებობს,

მისი მომრევი და მომნადირებელი დედამიწის ზურგზე არ დაიარება. ის ათანაბრებს სუსტსა და ძალგულოვანს, გონიერსა და შეურაცხადს, მდიდარსა და უპოვარს, სიკვდილთან მიმართებაში კარგავს აზრსა და მნიშვნელობას ამქვეყნიური დიდება, სრასასახლეების თვალისმომჭრელი ბრწყინვალება, თავმომწონეობა და ცუდმედიდობა...

და ვინაიდან საიქიო ყოფის მონისლული სურათი სააქაოს „ასლი" და ანარეკლია, ესეც უნდა ვიკითხოთ: ხდება თუ არა სამკვდრო აკლდამებში „სამამაცო" და „სადიაცო" ადგილებად შიდა სივრცის დაყოფა და დანაწილება?

შესაძლოა, საკითხი აქტუალური არც იყოს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ უჩვეულო სინამდვილის ყოველი დეტალი, ყოველი წიბო და წახნაგი საინტერესოა და ამგვარი კითხვაც ბუნებრივად იბადება...

მთიელთა საცხოვრებლის „ინტერიერი" რომ რამდენიმე სეგმენტად იყო დაყოფილი, ეს ქართველ ეთნოგრაფთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შრომებშია დადასტურებული.

„საცხოვრებელ სახლს, – წერს გ. თედორაძე, – წინად შუაზე ჰყოფდა შუაცეცხლი. ერთ მხარეს ერქვა სადიაცო, მეორეს – სამამაცო. სამამაცოში გადასვლა დიაცისთვის დიდი სირცხვილი იყო. სამამაცოში იდგა ერთი გრძელი სკამი, რომელზედაც სხდებოდნენ ასაკის მიხედვით. სადიაცოში სკამები არ იყო. დედაკაცები პირდაპირ მიწაზე სხდებოდნენ კერის პირად" (თედორაძე 1939: 41). ახლა სერგი მაკალათიას მოვუსმინოთ: „კერის მარჯვენა მხარეზე მხოლოდ კაცები სხდებიან და მას სამამაცო-ს უწოდებენ, მარცხნივ მხარეზე კი ქალები სხდებიან და სადიაცო-ს უძახიან. სამამაცოზე დედაკაცი ვერ დაჯდება, რადგანაც ხევსურების რწმენით ამ შემთხვევაში მამაკაცს ანგელოზები ახდება, ე.ი. მოშორდება" (მაკალათია 1987: 134).

სამურზაყანოელი გლეხების სახლში არსებულ ასეთსავე წესჩვეულებაზე წერს თედო სახოკია: „კერას ორი მხარე აქვს: ერთი სავაჟკაცო („საქომოლო") და მეორე – საქალებო („საოსურო"). პირველ მხარეზე სხდებიან მამათა სქესის წევრნი აქაური გლეხის ფანიასი, მეორეზე – ქალები. სუფრასაც ცალ-ცალკე უსხდებიან ქალები და კაცები. ეს წესი სასტიკად არის დაცული სამურზაყანოს გლეხის სახლში" (სახოკია 1985: 344).

* * *

როგორც ვხედავთ, ძველი საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, მეტწილად, მთიანეთში, არსებობდა პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის არქეტიპული მოდელი, მკაცრად რომ მიჯნავდა და აშორიშორებდა ერთმანეთისგან ქალთა და მამაკაცთა კუთვნილ სივრცეებს.

საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მასში ჩაძიებამ ნათელი მოჰფინოს ჟამიანობისდროინდელ აკლდამებში ორი სქესის წრმომადგენელთა ცხედრების მდედრულ-მამრული ნიშნით განთავსების თავისებურებას.

ფაქტობრივი მასალის სიღარიბე და, უარეს შემთხვევაში, არარსებობა, არ გვაძლევს შესაძლებლობას, ამაზე შორს წავიდეთ და აკლდამათა „შიგთავსის" უცთომელის სურათის აღდგენა ვცადოთ.

დამოწმებანი:

არაბული 2006: არაბული შ. ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა. თბილისი: 2006.

ბარდაველიძე ვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. თუშეთი. თბილისი: 1985.

1982: ერიაშვილი ჟ. უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში. თბილისი: 1982.

თედორაძე 1939: თედორაძე გ. ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. წიგნი მეორე. თბილისი: 1939.

თოფჩიშვილი 2005: თოფჩიშვილი რ. ეთნოისტორიული ეტიუდები. წ. I. თბილისი: 2005.

მაკალათია 1987: მაკალათია ს. ხევსურეთი. მეორე გამოცემა თბილისი: 1987. ოჩიაური 1967: ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი: 1967.

სახოკია 1985: სახოკია თ. მოგზაურობანი. თბილისი: 1985.

ქ.ხ.პ. 1976: ქართული ხალხური პოეზია. ტ. V. თბილისი: 1976.

გურამ ასათიანის ფოლკლორისტული წიაღსვლები

გურამ ასათიანის კრიტიკული ნააზრევი, მისი ესეები, წერილები, ლიტერატურული პორტრეტები თუ მონოგრაფიები ქართულ მწერლობასთან წილდებულ მკითხველს ღრმააზროვნებით, განსასჯელ საკითხთა. გულისგულში წვდომით, ერთგვარი არტისტიზმით, ენობრივი ელეგანტურობითა და უდახვეწილესი სტილური მანერით ხიბლავს და ამახსოვრდება.

ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გარკვევას ეძღვნება მისი ვრცელი ლიტმცოდნეობითი ნაშრომი „სათავეებთან". ეს გახლავთ, ასე ვთქვათ, თავისებური კომპენდიუმი, თავმოყრა და შეჯამება იმ მოსაზრებებისა, სხვადასხვა დროს რომ გამოუთქვამს თხუთმეტსაუკუნოვანი ეროვნული ლიტერატურის არსებით ასპექტებთან მიმართებაში.

ხანგრძლივი დაკვირვების გზით მიღებული შედეგებიდან გამომდინარე გურამ ასათიანი აცხადებს, რომ „თვით ჩვენი ბუნება, ტემპერამენტი, ემოციური წყობა და მხატვრული თვითდამკვიდრების წესი... არ შეიძლება ყოფილიყო წმინდა დასავლური..." (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია", გვ. 12). ამ მხრივ უაღრესად საგულისხმო და მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ გრიგოლ ორბელიანი ერთნაირი გატაცებით წერს როგორც ვნებიან მუხამბაზებს, ასევე ფსალმუნით შთაგონებულ ელეგიებს... თვით ბარათაშვილიც კი, ქართული ევროპეიზმის ყველაზე რაფინირებული წარმომადგენელი, თავის სათაყვანებელ მომღერლად სათარას ასახელებს და გულწრფელად აღტაცებულია გონჯა ბექუმის ბაიათებით" (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია", გვ. 13).

„სათავეების" ავტორს მასშტაბური პრობლემის მხოლოდ ერთი ნახნაგი აინტერესებს: როგორ გაცხადდა მხატვრულ შემოქმედებაში ქართული სულის, ქართული ხასიათის თავისებურებანი... და ამ პრობლემასთან შეხებას მკვლევარი ქართული პოეტური გენიის პირველსაწყისებთან მიჰყავს, პირველსაწყისებთან, რომელთა ხასიათი ხელშესახები სიცხადით არის გამჟღავნებული ვაჟა-ფშაველას მხატვრულ კონცეფციაში და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – ხალხურ პოეზიაში, სახელდობრ

კი მის უძველეს შრეში – ფშაველთა პოეტურ შემოქმედებაში... მკაფიოდ ფორმულირებული ვაჟას ლაკონიური დებულება ამგვარად ჟღერს: „ფშაურს პოეზიაში შეერთებულია უკიდურესი იდეალიზმი უკიდურეს რეალიზმთან“ (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია“, გვ. 17). იქვეა მითითებული, რომ ცნება-ტერმინები „იდეალიზმი“ და „რეალიზმი“ ვაჟასთვის უპირატესად ესთეტიკური კატეგორიებია.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო სარწმუნოდ გამოკვეთოს ქართული ხასიათის „გადახრები და უალრესობანი“, გურამ ასათიანი ეროვნული სულის საპირისპირო პოლუსებზე მდგომ ფოლკლორულ გმირებს – ხოგაის მინდიასა და მურმანს იხსენებს; გმირებს, რომელთაც შესაძლოა საერთო სათავეც კი ჰქონდეთ.

„მინდიასა და მურმანს ქართულ ფოლკლორში ერთი სიუჟეტური კონტექსტი არ აერთიანებს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ისინი ხალხური წარმოდგენების, ხალხური მსოფლგაგებისა და ეთიკური მრწამსის კონტექსტში უპირისპირდებიან ერთმანეთს“ (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია“, გვ. 22).

ამ გმირთაგან „პირველის შეგნება და მოქმედება... ალტრუიზმის ნიშნითაა ალბეჭდილი, მეორესი – ეგოცენტრიზმის დაღით“ (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია“, გვ. 22).

მინდია, როგორც მკვლევარი ბრძანებს, „სულის ადამიანია“ (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია“, გვ. 24), ხოლო მურმანი იმ ჯურის არსება, ვისთვისაც ბედნიერებას მხოლოდ ერთი – პირადი ასპექტი აქვს...

საქართველოს ისტორიაში მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს ცოტნე დადიანი და ზურაბ არაგვის ერისთავი. პირველი ერთგულების ცალსახა გამოვლინება და განსახიერებაა, მეორე – უკიდურესი მოღალატეობისა; ცოტნე რაინდული ზნეობის ადეპტი და მიმდევარია, ზურაბი – უზნეობისა, რომელიც მართალია გმირად დაიბადა, მაგრამ მისმა პიროვნულმა პოტენციამ, სამწუხაროდ, „სიკეთეში ვერ ჰპოვა რეალიზება“ (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ.2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია“, გვ. 30).

განსხვავებით ცოტნე დადიანისაგან, ზურაბ ერისთავი, ვისი სახე და სახელი ფოლკლორმა უკვდავყო, გაორებული, გახლეჩილი, ამბივალენტური ისტორიული პირია. ხალხი, ერთი მხრივ, ვერ თმობს, ვერ ელევა, გასაწირად ვერ იმეტებს ზურაბს,

ხოლო, მეორე მხრივ, მტარვალად იხსენიებს, გმობს, წყევლის და არც შეჩვენებისთვის ენანება: „სევდამც მაგხვდების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია!"

უმძიმესი ცოდვები აწევს კისერზე არაგვის სასტიკ, უგულო ერისთავს. მან ხომ თავისი ღვიძლი ძმისთვის თვალები დაათხრევინა ჯალათებს; სამოცი რჩეული ხევსური ღალატით ამოხოცა თრუსოში; შვიდგზის დალაშქრა და ააწიოკა ფშავ-ხევსურეთი... მიუხედავად ყოველივე ამისა, ანონიმი ხალხური მელექსე აღტაცებას ვერ მალავს მისი გარეგნობით: „საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო".

ხალხი, შეიძლება ვიფიქროთ, იმის გამოც გლოვობს ზურაბს, რომ მის მშვენიერ სხეულში ასეთივე მშვენიერი სული არ იდგა!

გურამ ასათიანის სიტყვით, ესაა „დარღვეული ჰარმონია, ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა, ტრაგიკული ხარვეზი" (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია", გვ. 32), რაც, რასაკვირველია, სამყაროს ორი ძირითადი ფერის ურთიერთქმედების პრინციპს ექვემდებარებაა და კარგად გადმოსცემს ქართველი კაცის ორგემაგე ბუნების თვალსაჩინო თავისებურებებს.

ამ კანონზომიერების დამაჯერებელი ახსნა, შეიძლება ითქვას, ვერ მოხერხდებოდა ზეპირსიტყვიერების ტიპოლოგიურ მონაცემთა ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე.

და მკვლევარი აქაც, ისევე, როგორც მართალმესიტყვე მემატიანენი, ურყევად დგას ქართველთათვის ნიშანდობლივი ნაკლისა და ღირსების შეუსხვაფერებლად ჩვენების არცთუ სასურველ და სახარბიელო პოზიციაზე.

არც ისაა შემთხვევითი, რომ ლიტერატურული აზროვნების მეტრად აღიარებული კრიტიკოსი ხშირად იმოწმებს ვაჟა-ფშაველას, როგორც ქართული სულის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა მესაიდუმლეს...

„სათაეებში" საჩინო ადგილი ეთმობა ისეთ ფილოსოფიურ და სოციოლინგვისტურ კატეგორიებს, როგორებიცაა: სიმართლე ანუ ჭეშმარიტება, თანალმობა და დიდსულოვნება, უკმარობა და მცირედით კმაყოფილება, თანაგრძნობა და პატივმოყვარეობა, ჭირთათმენა და ლტოლვა ამაღლებულისაკენ, ტოლერანტობა ანუ შემწყნარებლობა და ა. შ.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა შირაზის ხანის უნდილაძის, იგივე იმამყული-ხანის ფენომენს. მტრის კარზე აღზევებულ, გამაჰმადიანებულ ქართველ რენეგატს, ვის სასახლეშიც უს-

ასტიკესად აწამეს ქეთევან დედოფალი, თავის პოემაში „მდაბალ-ტკბილ, მოწყალე" კაცად მოიხსენიებს თეიმურაზ პირველი.

ესაა „დიდსულოვანი მიუკეძოებლობის იშვიათი ნიმუში".

„როგორც ჩანს, – წერს გურამ ასათიანი, – ჩვენმა ძველებმა კარგად იცოდნენ არა მხოლოდ ავკარგიანობის რეალური ფასი, ისინი ასევე კარგად ერკვეოდნენ ზნეობრივ ფასეულობათა შეფარდებით ღირებულებაშიც"... (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია", გვ. 50).

გარდა ტრაგიკული სახეებისა, არსებობენ პერსონაჟები, რომელთა ხსენება ღიმილს გვგვრის და ღალატიანი წუთისოფლის მოულოდნელი „სიურპრიზების" მოთმენასა და ატანას „გვაიძულებს". ასეთებია დავით კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები". მათ ქმედებათა ფონზე საინტერესოდ გამოიყურება ჩვენი ზღაპრის ნაცარქექია – „პაპისპაპა" პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერისა და დემნა შენგელაიას ბათა ქექიასი.

გურამ ასათიანი ზნეობრივ ღირებულებათა იერარქიაში იდეალური ქართველი კაცის მდაბიურ ვარიანტად ახასიათებს არსენა ოძელაშვილს – მესტვირული ბალადის მთავარ პერსონაჟს; მახვილგონივრულად განიხილავს კონტამინირებულ ქმნილებას, ითვალისწინებს ფოლკლორული ტექსტების სპეციფიკას და დაასკვნის, რომ „არსენას გმირობის მწვერვალი, მისი ხასიათისა და ზნეობის უმაღლესი გამოვლინება ფარსადანთან დამოკიდებულებაა"... (გ. ასათიანი, ოთხტომეული. ტ. 2. თბილისი, გამომცემლობა „ნეოსტუდია", გვ. 76).

* * *

ხალხური შემოქმედების უკიდეგანო სამყაროსთან, სახასიათო ფოლკლორული გმირების გამზრდელ გარემოსთან და ამ გმირების ენაპირით წარმოთქმულ კურთხეულ მხატვრულ სიტყვასთან გურამ ასათიანის დამოკიდებულების სრული სურათის ჩვენება რეგლამენტირებულ ნაშრომში შეუძლებელია. უბრალოდ, ყურადღება გავამახვილეთ რამდენიმე უმთავრეს ორიენტირზე (ქართველთა ტოლერანტული ბუნებისა და, მეტიც, ღირსეული მტრის დანდობისა და პატივისცემის მოტივის ცხადყოფას ემსახურება ჩვენი ნაშრომი „ვაჟკაცობისას ამბობენ"). ხოლო ამ ორიენტირების კვალდაკვალ ფიქრსა და შემდგომ სვლას ისევ და ისევ „სიყვარულივით შემპარავი და სიკვდილივით დაუნდობელი" (ს. ცაიშვილი) შემოქმედებითი სურვილი უდევს საფუძვლად.

რაც ერთხელ შემყვარებია...

(სწორფერი, საწუთრო, სიბერე...)

სახელს ვერა ჰკლავს სიკვდილი,
ვერც სიმრავლე სპობს წლებისა...
იოსებ ბაიაშვილი

ივანე წიკლაურის (ფსევდონიმები: კიბალაური, ხახონი, გაღმროშკიონი, არხილოელი...) ცხოვრების გზა მთაში დაიწყო და ბარში დასრულდა; როშკაში დაბადებულს და დავაჟკაცებულს, საბოლოოდ, 63 წლის ასაკში, არხილოსკალოს მიწა ეწამლა... ხოლო მთის ხსოვნა და მონატრება ბოლო ამოსუნთქვამდე არ განელებია... უკუღმართმა დრომ შეცვალა და დაცარა მისი ცხოვრება: სიმხნევის, სიხალისის, სილაღის წმინდა წიაღს მოაშორა და შირაქის უწყლო, ლუგუმ, უსახურ ველ-მინდვრებს შეატოვა...

მთიელთა ბარად ჩასახლების მზაკვრულმა კამპანიამ, რომელიც 50-იან წლებში დაიწყო, არაერთ ხევსურს გაუმწარა და გაუბალღამა სიცოცხლე. ბევრმა ვერ გაუძლო „სალ კლდეებთან" დამშვიდობების მტკივნეულ განცდას და თვითმკვლელობით დაასრულა საკუთარი საწუთრო: იძულებით სხვაგან წასვლას და დამკვიდრებას ისევ წინაპრების ძვალთშესალაგში განსვენება ამჯობინა...

მამუკათ ივანემ (ასეც ეძახოდნენ) მალე აუღო ალღო ბარული ყოფის განსხვავებულ ყაიდას, მაგრამ, ამასთან, გამუდმებულად გულნაკლული და უკმაყოფილო იყო ბედის მკაცრი განაჩენის გამო... რამდენიმე თანასოფლელისა თუ თანამიწაწყლელის მსგავსად მასაც შეეძლო კვლავ უკან, მთაში დაბრუნება, მაგრამ აქაც, როგორც ჩანს, ღვთის ხელი და ნება ერია: ბუნებით პოეტს, ხალასი ნიჭის შემოქმედს ხევსურეთიდან შორს უნდა ეცხოვრა, თვეობით და წლობით ვერ უნდა ენახა „სინდაურაის მაღალი", წელთგზა, „წრიაპით ნაკაწრი" თეთრი კლდე, სალათიე, შიბწვერი, ფიჭვნარიანი ღილღო, ხამხის მინდორი, ბლოს ჭალა თუ „ნაფენი იალაღები", გულის

გამლეწავ ლექსებად რომ ექცია და აემეტყველებინა პირადადამიანური ურვა და ვარამი; გაეხსენებინა ახალგაზრდობის გიჟმაჟი, მჩქეფარე, ხმაურიანი დროება და ხან ცაზე გადამავალი წეროების მწკრივისთვის, ხან კიდევ ლეკის მთით „ამამხდარი", მასკვლავთ მეუფროსე ცისკრისთვის დაებარებინა თავისი სიყმაწვილისა და სიყრმის სანატრელ სანახებთან წრფელი, წადიერი, მწყურვალი მოკითხვა...

* * *

ივანე ნიკლაური ძველი, ტრადიციული, სინდის-ნამუსის დულაბით შეკრული და გამაგრებული დროის კაცი იყო. მის სულსა და სისხლში ყოველივე მშობლიურის, საკუთარის, ქართულის სიყვარული ენთო და ღვიოდა. ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და განივთებული წინაპართაგან ნაანდერძებ წეს-ჩვეულებათა დაცვის, შენახვისა და გადარჩენის შეგნება, თუმცაღა, ამისდა მიუხედავად, ვერც ის გადაურჩა კომუნისტური იდეოლოგიის მომწამვლელ ზეგავლენას და, გამომდინარე აქედან, სათაკილო ქმედებათა ჩადენას, რასაც, მერე და მერე, განსაკუთრებით კი სიჭარმაგის მისადგომებთან, დანანებით იხსენებდა და მწვავედ განიცდიდა...

საჯვარხატო რიტუალების ამკრძალავი ღონისძიებების გატარება მთაში ფართო „ფრონტით" მიმდინარეობდა; კომკავშირის აქტივი, დიდაქტიკური ტირადების მოშველიებით „ცრურწმენათა" წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობას ნერგავდა მიმნდობ, მალემრწმენ მთიელებში და ყველანაირი ხერხით — დაპირებითა თუ გადმობირებით — ცდილობდა, უარი ეთქმევინებინა მათთვის მამა-პაპათა ოდინდელ ადათ-წესებზე; წვერ-ულვაშ „დაწამებული" ყმაწვილკაცობა იოლად ებმებოდა ბარიდან მივლინებულ „მისიონერთა" მიერ ნასროლ ბადეში და შორიდან ელაციცებოდა ფერადოვნად მჩინარ საოცნებო მომავალს...

ცოდვაც არის და შეცოდებაც, შეცდომაც და უნებლიე დანაშაულიც, რასაც კაცი, თუკი ის პირადი ნაკლის დანახვისა და, რაც მთავარია, აღიარების ღირსებით დაუჯილდოვებია გამჩენს, უეჭველად მოინანიებს. საკუთარი არასრულფასოვნების, ზადისა თუ ხარვეზის საჯაროდ, საქვეყნოდ თქმა ყველას

როდი შეუძლია. ვაჟკაცობა საამისოდ ერთეულებს ჰყოფნით... ივანე წიკლაური ის პიროვნება გახლდათ, ვინც მთელი თავისი შეგნებული, გაცნობიერებული ცხოვრება თვალწინ გადაგვიშალა, გაგვანდო, გაგვიმხილა ყველა „მსხვილმან-წვრილმანი", გამოამზეურა და ეს ყოველივე თავის პოეტურ შედევრში – „რამ დამაბერა" – ჩადო და ჩააქსოვა...

ხოლო მანამდე, ხსენებული შედევრის შექმნამდე, ამას ამბობდა:

დამალულ არაი მაქვის,
მეც ჩავიდინე ძნელები,
მაშინდელს ახლა ვიცოხნი,
ძნელ გახდა მასანელები...

„რამ დამაბერა", რომელსაც სხვა სათაურითაც – „სიზმარშიც მკითხის ამბავი" – მოიხსენიებენ და ალბათ ესეც ამ ლექსის უჩვეულობისა თუ არაორდინარულობის „ბრალია", ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ „ქართული კლასიკური პოეზიის თვალმარგალიტად" აღიარა, რასაც არ შეიძლება არ დეთანხმო...

„რამ დამაბერა" უმალ სათავისოდ ნათქვამ ლექსს, „მე"-სთან წრფელ გასაუბრებას, გულღია მონოლოგს წარმოადგენს, ვიდრე სხვათა გასაგონად თუ ყურადღების მისაქცევად ჩაფიქრებულ პოეტურ ოპუსს... გონსაწიერის ეკრანზე მოჯარულ მოგონებათა კრიალოსანი ლექსის იმ ნაირსახეობად ჩამოიქნა და ჩამოიძერწა, რომლის მსგავსი არათუ წიგნიერ, ხალხურ პოეზიაშიც არ იპოვება...

მკითხველისა თუ მსმენელისთვის ბევრი ვერაფერი იქნებოდა მრავლისმომსწრე ადამიანის უმნიშვნელოვანესი ბიოგრაფიული დეტალების მექანიკური ჩამოთვლა, გინდაც უნაკლოდ, უდანაკარგოდ მოთხრობა. ხოლო როცა ეს ყოველივე მახვილი მხატვრული ხედვის პრიზმაშია გარდატეხილი და შთაგონების ალშია გატარებული, თანაც ჩვენამდე აღმავალი, მატებადი ემოციური მუხტით მოტანილი, სულ სხვა ხიბლს, დატვირთვასა და იდუმალებას იძენს...

სნორფრობის ღონისდამლევი თრთოლვა და ურუანტელი, ობლობის სიმწარე და სივიწროვე, აოხებული (დიახ „აოხე-

ბული“ და არა „აოხრებული“) მტერ-დუშმნის სიმრავლე, ხმალ-ხანჯლით ფიცხელი შუღლი, ცხენ-მხედარში ანუ დოღში მონაწილეობა, ერთგულის განშორება და გაორგულება, ლამაზი ქალის ღალატი და ღიმილის დაძვირება, თავზე „ასრიგი“ ჭორის, მითქმა-მოთქმისა და საძრახის გადავლა, ახალ წელს (ხევს. „წელწადში“) მეკვლეობა, მთიბელში პირამოფხაული ცელის მარჯვედ ხმარება, ფრიალოებში ჯიხვთა ჯოგის მიყოლა, თანშეზრდილი ტოლ-სწორების უდროოდ დაკარგვა და მოსაკლისება ივანე წიკლაურის დარად გამოუცდია მთის მკაცრ, მყარ, თვითმყოფად ტრადიციებზე აღზრდილ არაერთ ხევსურს. ამ თვალსაზრისით პოეტის განსაცდელით აღსავსე ცხოვრების გზაც თითქოსდა დიდად არ განსხვავდება მის თანამედროვეთა ცხოვრების გზისაგან... მაგრამ, გარდა ზემოთჩამოთვლილი ამბებისა და მოვლენებისა, ივ. წიკლაურის ბიოგრაფიაში გაკრთებიან და გაიელვებენ ისეთი ფაქტები თუ შემთხვევები, რაც საუკუნეთა შორეთში ჩასახული და მთიელთა საკრალურ ყოფაში ღრმად ჩაფესვილი ადათობრივი ნორმების ხისტ, უხეშ, უპატიებელ დარღვევას გულისხმობს... ხატის ლოცვაზე უარის თქმა, დიდგორ დღეობის ჩაშლა და მეზღვნე-მეხვეწურისთვის ჟამკარის არევა, გზად გუდანის ჯვრისთვის დახვედრა და მედროშის დაჭრის გულში გავლება, „ბეღელზეით“ მეთემეთა მხმობი და ერთად შემყრელი ზარის ჩამოხსნა, ჯვარისკრის „ატკრეცა“ და საჯარეს ხის მოჭრა იმგვარი შემთხვევებია, წაღმართი გზიდან იმგვარი გადაცდომები, ნებსითი თუ უნებლიე დანაშაულის ხმიერ ექოდ რომ გაჰყვება ყოველივე ამის ჩამდენი პიროვნების ცხოვრებას... გზა ხსნისა კი უსათუოდ მოინახება, თუკი საამისო შინაგანი მზაობა იარსებებს: პირადი შეცდომისა თუ დანაშაულის ხმამაღლა გამხელა და სინრფოებით ნიშანდებული აღსარება ნაწილობრივ ხომ მაინც შლის, აქარვებს და ამსუბუქებს ადამიანის სულის ფსკერზე დროთა განმავლობაში წვეთ-წვეთობით დაგროვილ და დალექილ ტკივილს, დარდსა და სინანულს...

„რამ დამაბერა“ მეტყველზე-მეტყველი მხატვრული ასახვა და უკუფენაა ყოველივე იმისა, რაც მის ავტორს უნახავს, განუცდია და უტარებია თავისი ფათერაკიანი, ქარიშხლიანი, შარ-ხათაბალიანი ცხოვრების მანძილზე.

აუცხადებელი სიზმრებისა და სურვილების ძალუმი ნოსტალგია, დღემუდამ რომ წეწავს, ამღვრევს და აწრიალებს პოეტის არსებას, ერთობ პოხიერი ნიადაგია იმ გაუნელებელი სევდისა და ტკივილისათვის, დასაწყისიდან დასასრულამდე რომ გასდევს ვრცელი მოცულობის პოეტურ ქმნილებას...

„რამ დაგაბერა?“ – ეკითხება სიზმრად მოვლენილი თვალჭრელი სწორფერი პოეტს და შეიძლება ითქვას, ლექსი მთლიანად ამ ორსიტყვიან შეკითხვაზე (განცვიფრებისა თუ შეცხადების ინტონაციაც რომ დაჰკრავს!) გაპასუხების ფორმით არის აგებული.

ეს არის ხელახალი (ამჯერად უკვე ოცნებისა თუ წარმოსახვისმიერი) მოგზაურობა ოდესღაც გამოვლილ, ულმობელი დრო-ჟამის უღელტეხილთა ნაოჭ-ნაჭდევებში ჩარჩენილ უსწორმასწორო ბილიკებზე... საცალფეხო სავალი ზოგან ძალზე ვიწრო, ზედმეტად სულწუხი და ჭარბად ბინდდაფენილია, ზოგან კიდევ – მფეთქავი სინანულის ლიბრი შუქით მკრთალად განათებული, რომანტიკის ველური ფერებით გალიცლიცებული, მოუშუშებელი სალმობის წარუშლელი ნაკვალევით აღბეჭდილი...

შეუმზადებელი, მთის თვითმიერ ყოფასა თუ ძველთუძველეს ადათ-წესებში ჩაუხედავი და გაურკვეველი მკითხველისთვის შესაძლოა ზოგი რამ „ზედმეტი“ და, ამდენად, გაუგებარიც აღმოჩნდეს ივ. წიკლაურის ლექსში, მაგრამ, მიუხედავად მასში გამოყენებული კილოკავური მეტყველების კოლორიტით შეფერილი ტერმინებისა თუ აქა-იქ ნახსენები საკულტო რეალიებისა, ნაწარმოები იოტისოდენადაც არ ტოვებს ბუნდოვანების, სირთულის, მანერულობისა და კომპოზიციური გაბზარულობის შთაბეჭდილებას.

ივ. წიკლაური შესანიშნავად იცნობს ხალხურ პოეზიას, წვდება მის სათავეებს, საღ სუნთქვას და მარჯვედ იყენებს წინამორბედ მელექსეთა მიერ დროთა განმავლობაში შემუშავებულ გამოთქმებს, ფრაზეოლოგიას, მხატვრულ სახეებს... მისთვის ასევე სისხლხორცეულია ქართული კლასიკური პოეზია, მისი ნაირგვარი ტროპული სისტემით, განსახოვნების საშუალებებით და ერის უწინარესი სანუხარის ადეკვატური გამოხატვის დიდი ტრადიციებით...

არა ბრმა ბაძვა და უდღეური ეპიგონობა, არამედ გულსა და გონებაში სამუდამოდ ამოტვიფრული რიგიანი ნათქვამის შემოქმედებითად ათვისება, გათავისება, გააზრება, „მოდიფიკაცია" და ამის ნიადაგზე ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნა – აი, რა გამოარჩევს და გამოაცალკევებს ივ. წიკლაურის პოეტურ სამყაროს ასერიგად მომრავლებულ მოხალისე ავტორ-მთქმელთა შემოქმედებისაგან. აქ შეიძლება სანიმუშოდ გავიხსენოთ ერთურთის გამტანი მუხლადი მონადირისა და ერთთავად არჩივის მძებნელი არწივის უღალატო მეგობრობის ფოლკლორული მოტივი („რეკათ ჯამრული", „ველგუჯა ხუშაიშვილი" და ა.შ.). „მთის წვერთ მავალი მხარკვერიანის ანუ იგივე ფრთოსანთა მეფისა და უწურთნი კაი ყმის სულდიდი სიახლოვის მეტყველ მაგალითზე ივ. წიკლაური რამდენიმეგზის ჩერდება, მათ შორის ლექსში „რამ დამაბერა":

... ხარლაღის გაგორებამა, ჩაჯახჯუხებამ რქისამა,
არწივის ჩამოქროლამა, ნაღებამ წილკერძისამა...

თვალ-გულის სალბუნ, სარგო, საამურ ფერებთან და ხმებთან ერთად ლექსში ჩართულია ისეთი ეპიზოდები, სადაც ავადმოსაგონარი წარსულის მკვეთრი კონტურებია მოხაზული და წარმოჩენილი. ამა თუ იმ ეპიზოდის ხატვა უკიდურესად ძუნწი, მომჭირნე მხატვრული ხერხებით სათქმელის სიმწვავითაც არის განპირობებული. მღელვარე ფიქრთა ამშლელი მოგონებების სიმრავლიდან ავტორი უტყუარი ალღოთი არჩევს ყველაზე მთავარს, არსებითს და სულ რამდენიმე ტევადი მონასმით სრულყოფს აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული ჰეროიკული სინამდვილის მკაცრ, სახიერ, სუსხიან სურათს:

... ქისტეთ ოძიკში მისვლამა, ზედ მთვარის დგომამ
მცხრლისამა,
ბზესავით ტყვიის მაშლამა, კივილმა ქისტებისამა,
მიმდგარმა დასწრობაზედა ბაგბუგმა ნაგნებისამა,
წინითი გამაფშვნეტამა პირქერა, წვრილმაღლისამა...

აღსანიშნავია ისიც, რომ განწყობილებათა მოულოდნელი მონაცვლეობა თუ უცაბედი გრადაციები, მჭახე და მოლივლივე ფერთა ურთიერთშერთვა, მოვლენების რეალისტურ აღწერასთან შეთანასწორებული ლირიკული წიაღსვლები სულაც არ იწვევს მხატვრული ეფექტის კლებას და დაღმასვლას, ოდნავადაც არ ანელებს და ამდოვრებს მოქნილი ღვედივით მოქნეულ სტრიქონთა რიტმულ ექსპრესიას...

ლექსს „რამ დამაბერა" არაფერი აქვს საერთო კამერულ ლირიკასთან. მასში ჩაქსოვილი პიროვნული ტკივილი სხვებისთვისაც ნაცნობი და „შინაურია". ავტორის ნიჭის წყალობით ეს ტკივილი განზოგადებულ ხასიათს იძენს და ნატიფ ტაეპთა დინამიურ დინებაში ბედუკეთური და მწკლარტე ეპოქის კონკრეტული მონაკვეთის უმთავრეს ნიშნად თუ სულისკვეთებად ცხადდება და სახიერდება:

... ჩაქრობამ, ჩანაცრებამა ყველა ჩემ მეგობრისამა,
ჩემ დროში გადაქსაქსვამა ნარჩევის ქალ-ვაჟისამა,
ჩემ მარტუაის დარჩომამ, ჩამათეთრებამ თმისამა,
კაი დროების წასვლამა, ვერ მოსვლამ უკეთისამა...

დროის უკანმოუქცეველ დინებას აედევნა, გაჰყვა და თანდათან გაფერმკრთალდა მელექსეობის ხელთუქმნელი ტრადიცია ხევსურეთში; შემცირდნენ ზარისხმიანი ფანდურის ხელგამომავალი ოსტატები; მიწამ ჩაიხვია და ჩამოადნო სვილისფერი მოყმენი. მთის საკრალურ გარემოში გაჩენილი ბზარი რამდენიმე წელიწადში ნაპრალად გადაიქცა. წაშლის საფრთხე დაემუქრა ხმლის, სანთლისა და სალაშქრო დროშის ძალით ბოლო ათწლეულებამდე მოტანილ ადათ-წესებს... ეს ყველაფერი ივანე წიკლაურის თვალწინ, მის ირგვლივ ხდებოდა და, ბუნებრივია, ძალზე მტკივნეულად განიცდიდა მეგობრების „ჩაქრობა-ჩანაცრებას", ნარჩევ ახალუხალთა დაფანტვას, „აბჯრის ამსხმელთა" შეცოტავებას, „კაი დროების წასვლას" და ზენა თუ ქვენა ქარებისაგან გატიალებული ცხოვრების ტრიალ მინდორში ნამეხარ მუხასავით მარტოდ დარჩენას...

„რამ დამაბერა" დროის სიშორიდან გულითადი შეხმიანებაა სწორედ იმ ძვირფას, საკუთარი არსების განუკვეთელ ნაწილად

ქცეულ, დედის კალთასავით თბილ, მოალერსე, მახლობელ სამყაროსთან, რომელიც ხანგამოშვებით და ისიც სიზმარში თუღა გამოეცხადებოდა როშკის მჩქეფარე წყლის ნაპირებიდან, სინდაურაის მაღალის, აბუდელაურის ტბისა თუ ქარჩის კალოს გარემოცვიდან შირაქის ველზე ჩასახლებულ კაცს...

* * *

ივ. ნიკლაურის ერთი უსათაურო ლექსი ასე იწყება:

ღთისგან მაქვ შამანათვალი
ლექსების საუბარიო...
ნათქვამი მამწონს ისეთი,
უღრუბლოდ ჭექდეს დარიო...
ისე წეწავდეს კაცის გონს
თვალუჩინარი ძალიო, –
ხან ნისლს რო ააწიოკებს
მთაზე ლემადის ქარიო!..

ეს არ გახლავთ პოეზიის წმინდა საესავთან შემთხვევით შეჩერებული ადამიანის ლიტონი, უსაგნო სიტყვები; არც თვითგანდიდების სურვილითაა ნაკარნახევი ლექსის ეს ამონარიდი... ივ. ნიკლაურს ჰქონდა სრული უფლება, ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობისა თუ ნართაულობის გარეშე განეცხადებინა, რომ ღვთისგან ჰქონდა „შამანათვალი ლექსების საუბარი..." ის მხატვრული სიტყვის ყველა ყუვისა თუ საბრუნის ძირეულად განმცდელი შემოქმედი იყო და არც აქვს არსებითი მნიშვნელობა, პოეტს დავუძახებთ თუ მელექსეს. ისე, კაცმა რომ თქვას, ვინ მოთვლის, რამდენი მელექსეა ხმაურიან პოეტთა რიგებში და, პირუკუ, რამდენი მადლმოსილი პოეტი „ელიტის" მიერ დაწუნებულ, ათვალწუნებულ, სოფლის შარა-შუკების ვიწრო არეალში გამომწყვდეულ მელექსეთა შორის!..

* * *

დიაკონთ გიორგის სახსოვარ ლექსში ივანე ნიკლაური „წინასწარმეტყველებდა":

ქოოდ ეგრ დავიკარგები, არცვინ მიტირებს ხმითაო,
არც არვის გულს ავატკივებ, არცვინ ცრემლს ჩამაღვრისაო...
„წინასწარმეტყველებდა" და ცდებოდა!

არ დაკარგულა, თავისი წასვლით გულიც ბევრს აატკია და, რაც მთავარია, ისეთი კვალი დატოვა, დროისმიერი ქარ-ნიავი თუ თოვა-წვიმა რომ ვერ წაშლის, ვერ გააფერმკრთალებს, ვერას დააკლებს...

1981 წლის ოქტომბერში მამუკათ ივანეს დაკრძალვას მეც ვესწრებოდი.

დედროვანმა ხმითაც დაიტირა და არც „სულეთის გზების გამნათებელი" ცრემლი დაამადლა.

უბის წიგნაკის გაცრეცილ ფურცლებს შემორჩა ოცი წლის წინანდელი ნატირლების ორიოდ ფრაგმენტი:

... შავყარათ, აგრე, მეხვეწური, ძმაო,
ქალ-ზალ მაიტანს შასანირსა, ძმაო,
წამაიყვანენ სამეშვლოსა, ძმაო...
რამთვენ კა დაიტიის როშკის გორმა, ძმაო,
შირაქის მიწამ დაგიჭირა, ძმაო,
იქნება როშკის გორ გერჩია, ძმაო...
.....
ჩაეგა შენი ხმა-სახელი, ივანეო,
წავიდა შენი პურ-მარილი, ივანეო,
ძნელია შენი მანელება, ივანეო,
გათქმულო ჩემო მამუკათ ივანეო...

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“

„გ. ლეონიძის პოეზიის ხალხურობას თავისებური, განსაკუთრებული იერი აქვს. ხალხური ხასიათი მისი ლექსისა გამოვლინებულია არა განგებ გაუბრალოებულ ფორმაში, არამედ უაღრესად ეროვნულ შინაგან კოლორიტსა და ჟღერადობაში“.

გურამ ასათიანი

გიორგი ლეონიძის ომახიანი, ვაჟკაცური ტონალობის პოეზია და გაუნელებელი ლირიზმით აღსავსე პროზაული შემოქმედება კლასიკური მაგალითია ხალხური სიტყვიერების სუფთა სათავეებთან ძილსა თუ ღვიძილში მამულზე მლოცველი და მოფიქრალი მწერლის საგნობრივი სიახლოვისა.

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვებიო“, ბრძანებს და, მართლაც, თუკი ვისმეს აქვს უფლება და საფუძველი ამგვარი თვითშეფასებისა, აქვს გიორგი ლეონიძესაც.

ამ ნათქვამში ნასახიც არაა სიყალბისა თუ გაზვიადებისა.

ძნელია, თუ არა შეუძლებელი, გიორგი ლეონიძის პიროვნული პორტრეტისა და მხატვრული ნააზრევის წარმოდგენა პატარძეულისგან თუ, საერთოდ, ნებისმიერი ქართული სოფლის ძარღვისგან და ღრმა წიაღისგან იზოლირებულად. პოეზია რომ აღარც ვახსენოთ, „ნატვრის ხეც“ (მოთხრობების კრებული) სავსებით საკმარისია წარსულის ცოცხალი ნაკვალევის დასანახად, ნედლი, მადლიანი ხმების მოსასმენად, „ასაკრეფად“ და დასაფიქსირებლად, ვარსკვლავიანი ცის გალობასავით რომ ჩაგვესმის ყოველი სიტყვიდან, სინტაგმიდან თუ წინადადებიდან.

გიორგი ლეონიძე მორწმუნე კაცის მოწიწებით შედის უმდიდრესი ხალხური სასიტყვეთის მყუდრო ტაძარში და დიდი რუდუნებით გამოაქვს სამზეოზე დროებით მიჩუმებული და მიყურისძირებული ბგერები, ენობრივი ერთეულები, ფრთიანი ფრაზები, იდიომური გამოთქმები, ფოლკლორული მოტივები და, ხშირ შემთხვევაში, სიუჟეტებიც.

ვაჟა-ფშაველას ნათლული და მისი მრწამსის თანაზიარი დროულად მიხვდა დღემოკლე ლიტერატურული მიმდინარეო-

ბების უპერსპექტივობას და, სამაგიეროდ, სიდიადეს ხალხური სტიქიით გაჭექილი იმ უფსკერო და უნაპირო სამყაროისა, საიდანაც განღმრთობის გზაზე შემდგარი შუბლმზიანი გმირები გვიმზერენ და გველაპარაკებიან.

გურამ ასათიანი წერს: „გიორგი ლეონიძის ახლობლებს კარგად ახსოვთ, როგორ უყვარდა ამ მართლაც დიდი გუგლის ადამიანს ყველაფერი, რაც ქართველი გლეხკაცების, უბრალო მიწის მუშების, მწყემსების თუ გუთნისდედების ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული“ (გ. ასათიანი, ოთხტომეული, ტ. 3, გვ. 213).

ისევე, როგორც სადაგი საქციელი, სამისდღეშიო დიალექტური მეტყველების აპრობირებული ფორმებიც მოსაწონი ჰქონდათ მიყრუებულ ხევხუევებსა თუ მთის ციცაბო კალთებზე მოსახლე ადამიანებს და, კაცმა რომ თქვას, რა ჯობდა მათთან ფიზიკურ თუ წარმოსახვით ურთიერთობას; ჰეროიკული პათოსით გამსჭვალული მათი დიალოგების მოსმენას და, მერე და მერე, თვალისჩინივით ძვირფასი თავისი მოთხრობების ქვაკუთხედებად თუ საყრდენ დედაბოძებად ქცევას...

* * *

ფოლკლორი და გიორგი ლეონიძის მხატვრული შემოქმედება.

ეს იმდენად ფართო თემაა, თაობებს რომ ეყოფა საკვლევად და საკამათოდ.

შემოქმედების ამ ორ სპეციფიკურ ფრთას შორის არც მკვეთრი სადემარკაციო ხაზის გავლება შეიძლება, ვინაიდან ორივე ძალიან ძველია, ჩვენია და თავისთავადი...

გარდა სიცხადის ზედაპირზე ამოზიდული იმ მოტივებისა, სახისმეტყველებითი პლასტებისა და ტექსტური მასალისა, რომელთა შესახებ ღირებული თვალსაზრისები აქვთ გამოთქმული ქსენია სიხარულიძეს, გურამ ასათიანს, დავით გოგოჭურს, ემზარ კვიტაიშვილს და სხვებს, „ნატვრის ხეში“ იძებნება ისეთი ფაქტობრივი მონაცემებიც, რომელთათვისაც ფოლკლორიზაციის პროცესის ჭრილში დღემდე ყურადღება არავის მიუქცევია.

და ჩვენი ინტერესიც სწორედ ამ შეუმჩნეველი ანალოგებისკენ არის მიმართული...

ციციკორე, გვარად ბაქრაძე, „სიჭაბუკეში ცხენის გამხედნელი და განთქმული მონადირე", ცნობისმოყვარე ბალღებს უამბობს: „...ირმის ხრო თოფის ხმას რომ არ გაეფანტა, მშვილდ-ისრით ვნადირობდით. ჩემს ვაჟკაცობაში, უნდა მოგახსენოთ, ბევრს ირემს უზიდნია კისრით ჩემი ისარი!"

ბოლო წინადადების უეჭველი პირველწყაროა მოცულობით მცირე, მაგრამ დიდებული შინაარსის ხალხური ლექსი „სად იყავ, ხარო ირემო". ეს ფოლკლორული ნიმუში დაკოდილი ირმისა და უცნობი, უჩინარი ადამიანის დარბაისლურ დიალოგზეა აგებული; დიალოგზე, უფრო რომელიღაც საბედისწერო საომარ ბატალიასთან რომ ასოცირდება, ვიდრე ნადირობის უბრალო სცენასა თუ ეპიზოდთან.

– სად იყავ, ხარო ირემო,
სად გაიბასრე სისხლითა?!
– ალგეთით მოვალ, ბატონო,
მთა გადმოვლახე ნისლითა,
დამკოდეს ხათუთისძეთა,
ისარი მომაქვს კისრითა.

ვისაც ეს ზეპირსიტყვიერი ტექსტი არ სმენია, ანდა იცოდა და აღარ ახსოვს, რასაკვირველია, გოგლასეულად ჩათვლის კისრით ისრის ზიდვის ემოციურად მდიდარ ტროპულ სახეს, რაც, როგორც ვხედავთ, სულაც არ ყოფილა ინდივიდუალური ავტორის საკუთრება და სათავე ჩვენი წინაპრების ხატოვან აზროვნებაში ეძებნება...

„მახსოვს, – მოგვითხრობს ავტორი, – პირველ მსოფლიო ომში წასულები საღვინით ხელში როგორ დალოცა ციციკორემ. გამაგრდით ბიჭებოო, სიკვდილისა ნუ გეშინიათო, ვინც მოკვდება, დავმარხოთო, სხვა კიდევ გამოჩნდებაო! ხმა და სახელი შორს გაგიგარდებათ, მტერიც დაშინდებაო..."

ესაა პერიფრაზი და პროზად გარდათქმული საგულისხმო ვარიაცია პირწმინდად ხევსურული ხალხური ლექსისა, რომლის ავტორი გახლავთ პირველი მსოფლიო ომის მონაწი-

ლე უნიჭიერესი არხოტელი მელექსე მინდია (თიკუნი: მერცხალა) წიკლაური.

გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა,
ვისაც მაგვიკვლენ, დავმარხათ,
სხვა კიდევ გაიზრდებისა,
ხმა შორად გაგვივარდების,
მტერი ქვე დაშინდებისა...

ლექსის შექმნის მიზეზსა და გარემოებაზე ჯერ კიდევ ვახტანგ კოტეტიშვილმა მიუთითა თავისი „ხალხური პოეზიის" ექსკურსებში: „...არხოტიონნი ცნობილნი არიან გულადობით, სიმტკიცით და, საერთოდ, ვაჟკაცობით. დღესაც პირაქეთელი ხევსურები დიდ პატივს სცემენ არხოტიონ ხევსურებს, როგორც არაჩვეულებრივ მეომრებს. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ არხოტივნებს დიდძალი მტერი დასხმია თავს. დიდი ბრძოლა გაჩაღებულა. მტერსაც დიდი ზარალი მოსვლია, მაგრამ არხოტივნებიც დიდად შეცოტავებულან, სულ 20-25 მეომარიღა დარჩენილა. მტერი კი ჯერ კიდევ რიცხვმრავალი ყოფილა. არხოტივნები ძლიერ დაქანცულან ამ უთანასწორო ბრძოლაში, ისე რომ დანებებასაც აპირებდნენ, მაგრამ იმათ ბელადს ამ ლექსით მიუმართავს მეომრებისთვის. არხოტივნებზე ლექსს დიდი გავლენა მოუხდენია. მოუკრებია უკანასკნელი ღონე და მტერი უკუ უქცევიათ" (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 370-371).

სხვათა შორის, მერცხალას ვაჟიშვილი იყო ობოლა წიკლაური, ავტორი მითოსური და ზღაპრულ-ფანტასტიკური დეტალებით ჭარბად დატვირთული უცნაური ლექსისა „დევების ქორწილი". ჩვენი სიტყვიერების შედევრთა დიდი საგანძურში „დევების ქორწილს" გამორჩეული ადგილი უჭირავს. ობოლა წიკლაური ცხრამეტი წლისა (!) აღესრულა და დატოვა ქმნილება, რომელიც მყარი წინაპირობაა წიგნიერ საზოგადოებაში კონკრეტული გვარ-სახელის აქტიური ხსოვნისა და არდავიწყებისთვის.

როცა ადამიანთა უკიდურესი სიმკაცრე და დაუნდობლობა

ზღვრულ ნიშნულს აღწევს, ბუნებაც, როგორც წესი, ადეკვატურად იქცევა: მოუსავლიანობით, წყურვილის დათმენით, სიბერწით და უბარაქობით სჯის სანაწყევრო საქმის ჩამდენ ხალხსა და ქვეყანას.

გავიხსენოთ ლომისის წმ. გიორგის სახელობის სალოცავის დაარსების ამსახველი ანდრეზის ერთი ეპიზოდი: „თათარს რომ გაუტეხია საქართველო, ჯვარ-ხატები ნაუღია და შვიდი ათასი ტყვე წაუსხამს ხორასანში. იქ მთიელთა ერთი ჯვარიც ყოფილა, ლომისის ჯვარი. ხორასანში შვიდ წელიწადს მოსავალი აღარ მოდიოდა, აღარც ბავშვი ჩნდებოდა, აღარც საქონელი, არც წვიმა მოდიოდა“ (მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის, თბ., 2006, გვ. 54).

ახლა გიორგი ლეონიძეს დავუგდოთ ყური, როგორ წარმოსახავს „ხეობის თვალად“, „პირმეტყველ სამოთხედ“ და „სოფლის ორღობეებში ცისარტყელასავით“ მოარული მარიტას აღსასრულის შემდგომ საქართველოში (და არა ლოკალურ გეოგრაფიულ გარემოში!) შექმნილ ტრაგიკულ ვითარებას: „მთელი წელიწადი უწვიმარი იყო... ყანები ჩაიწვა. ვენახები გადახმა, ყანწი ვერავინ გაასველა. დაშრა ჭური და საწნახელი. ამ უბედურებას მარიტას უსამართლო სიკვდილს აბრალებდნენ, რომ სოფელმა უბრალოდ გასწირა მარიტა“ (გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბ., 1962, გვ. 262).

ვფიქრობ, თვალსაჩინოა მსგავსება ლომისის ანდრეზსა და გ. ლეონიძის მოთხრობის ციტირებულ პასაჟს შორის...

გიორგი ლეონიძის ნასიტყვს და ნაკალმევს მძლავრ ტოტად მიერთვის არქაული ხალხური რწმენა-წარმოდგენების მრავალფეროვანი ნაკადი. მწერალი მშობლიურ კუთხე-კუნჭულებში აგნებს იმ რიგის ფოლკლორულ ცოდნასა თუ ეთნოგრაფიულ გამოცდილებას, აზროვნებრივ სიღრმეს, განფენილობასა და მოზაიკურობას რომ სძენს და მატებს მის არაჩვეულებრივ პროზაულ ქმნილებებს.

მარიტა „რომ წამოიზარდა, საოცარი ხალიჩის მქსოველი დადგა!.. მეც იმ დროებში დავიწყე ლექსების წერა. ორივემ ვიგრძენით, რომ ხელოვანნი ვიყავით და ალბათ ამიტომ სულის თვისტომები გავხდით...“ (გვ. 245).

ნაწარმოების ეს ფრაგმენტიც, პირდაპირ თუ ირიბად,

მთიელთა ავტონომიური ყოფის ერთ სახიერ გამოვლინებასთან პოულობს დამაჯერებელ პარალელს.

საქმე ისაა, რომ სწორფრობის ინსტიტუტის განუყოფელი წახნაგია ხელსაქმე და ლექსი, როგორც ვერბალური შიკრიკი თუ შუამავალი უიმედოდ გამიჯნურებულ გულთა შორის.

„საოცარი ხალიჩის" ქსოვა თავისთავად გულისხმობს მის დიდოსტატურ ქარგულობას, ბუნებრივი ფერებისა და სიმეტრიული დეტალების ჰარმონიულ ურთიერთშეხამებას, „ნაჭრელას კერვას" და გულდასმით კეთებას. და ეს ყოველივე სწორფერ ქალთა თვითგამოხატვის მარჯვე საშუალებად შეიძლება დასახელდეს და დახასიათდეს.

ვაჟებისთვის თავის მოწონების წამლეკავი სურვილი იცნობა და იკითხება უმაღლესი რანგის ტრადიციული ხელსაქმის წარმტაც ნიმუშებში.

ცხოვრებაში არასრულად რეალიზებული სასიყვარულო ენერგიის სუბლიმაციის შედეგად შექმნილი ლექსი და ნაჭრელა, როგორც ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორი სხვადასხვა სფერო, ჯანსაღი შეჯიბრობითობის პირობებში ვითარდებოდნენ და დროთა განმავლობაში სწორუპოვარი ხელოვნების მწვერვალებს იპყრობდნენ.

მარიტას უბადლო ხალიჩაც და ამ ხალიჩაზე ამოქარგვის ღირსი პოეტის თავანკარა ლექსიც ის სრულფასოვანი ფენომენებია, რომელთა მეშვეობით ლირიკულ გმირთა სულიერი განცდების გადმოცემა ხერხდება.

და ამ შემთხვევაშიც, დიდებული მოთხრობის მოცემულ მონაკვეთშიც, გიორგი ლეონიძე ფოლკლორული სამყაროს ხელშესახებ მონაცემებზეა ორიენტირებული. მწერალი ზეპირი თუ წერილობითი სახით არსებულ ტექსტებს სუბიექტური წარმოსახვის დეტალებით ამდიდრებს, ასხვაფერებს და ღვთივმომადლებული ნიჭის წყალობით აგრძელებს თავის სულიერ წინამორბედთა (ვაჟა, ილია, აკაკი...) გზას, რომელიც, თავის მხრივ, ტაძრისკენ მიდის.

„არ დაბრუნდება ის წლები...“

გაგა ჭინჭარაული (მისი მეტსახელია „ტყიჩი“) ხევსურეთის იმ უებრო მელექსეთა საფერი სულიერი მემკვიდრეა, რომელთაც თავდაპირველად „სავალდებულო“ სახადივით მოედებოდა და, შემდგომ, მთელი ცხოვრების განმავლობაში, უსაშველო სენივით ხრავდა კვესივით ნაპერწკლიანი თვითნაბადი ხალხური სიტყვის მწველი ლიღარი; ვისთვისაც ყოველგვარ ნაყროვანებასა და სარჩო-საბადებელზე მეტად შეურცხვნელი კაცობა და შეუმღვრეველი სინდის-ნამუსი ფასობდა; რომელნიც დღემუდამ სხვა ქვეყნის სამოთხეზე არგასაცვლელი სალი კლდეების სარანგებად იდგნენ და თავს ერთადერთი მადლიანი „ბატონის“ – ცის ვრცელი კავკავებიდან ცოდვიან მიწაზე მოკვდავთა მფარველად მოვლენილი ღვთისშვილის მეზღვნე-მეხვეწურებად და მორჩილ მსახურებად თვლიდნენ...

გაგა მომსწრეა იმ მოსანატრებელი, შორს მიკარგული წლებისა, როცა ისტორიული ფხოვის ერსა თუ ბერში წარმართობის აშკარა ნიშნებით გაჯერებული რელიგიური რწმენის გაუნელებელი ღადარი ღვიოდა და ერთურთისაგან მკაცრად იმიჯნებოდა საკრალური და ნალახი, წმინდა და მირეული სფეროები; მრავალგზის მხილველი, განმცდელი და უშუალო მონაწილეა საუფლო ჟამს (ვაჟა: „ჟამი მოვიდა საუფლო...“) ჩატარებული იმ საკულტო რიტუალებისა, ურღვევი ბალავარის მაგიერობას რომ უწევდა ნამნისლიანი მთის თავმოყვარე ბინადართა ყოველდღიურ ყოფას...

– დინჯად და უმღელვაროდ მიჰყვება დროის ჩქარსა და შეუქცევად დინებას. იცის სასენო თუ სერიოზული სიტყვის დრო და ადგილი. სახელის „შოვნაზე“ არასდროს უზრუნია. ლექსების წინამდებარე კრებულიც ავტორისაგან მალულად მომზადდა, რაც მის ღირსებაზე, უპრეტენზიო ბუნებასა და მკითხველსა თუ მსმენელთან დამოკიდებულებაში დიდ ადამიანურ პასუხისმგებლობაზე მიანიშნებს.

...დარიანი არაგვის ღონიერ ტალღასავით ხმიანი და სუფთაა გაგა ჭინჭარაულის ერთგვარად ხაოიანი ლექსის ტაეპი. ეს გახლავთ მრავალმხრივ საგულისხმო პატრიარქული ცხოვრების შუაგულიდან დღევანდელობის მწირ სულიერ უდაბნოსა და გამყინვარებაში მოხვედრილი პიროვნების ნრფელი საუბარი, მონოლოგი, აღსარება და, გნებავთ, ღაღა-

დისი, სადაც ყალბი, ფუყე და ნასხვისარი განწყობილებისთვის ქრთილისოდენი ადგილიც აღარ რჩება.

ტრადიციის საღსა და ღიმღამიან ძირზე აღმოცენებული მართალი პოეტური სიტყვის აღმავალი ძალა იგრძნობა „ტყიჩის" ლექსებში...

თანდათან კარგავდნენ ოდინდელ გემოს და სიგრილეს გარდასულ ლანდებთან მოლაპარაკე კაცის „აღფრთოვანების წყარონი" და, ბუნებრივია, წელთა ცვლამ ხმაში სევდის მატებაც მოიტანა...

ამქვეყნიური ამაოებით დაღლილი ლირიკული გმირის სახეს ჟამთადენის მუხანათური კვალი დასტყობია. „გადაჯაგული" მამულის უთვლელ იარებს ქარზე მოქანავე დედის თავშლის სითბოც ვეღარას შველის...

გაგა ჭინჭარაული დაიბადა მაშინ, როცა მთაში ჯერ კიდევ ძალუმად ძგერდნენ ერთიანი საქართველოს ბედ-უბედობით შეძრული გულები; როცა ჩაუქ წინაპართა ნათქვამსა და ნამოქმედარს ზნეობრივი ორიენტირის მნიშვნელობა ჰქონდა და უფროს-უმცროსობის დაუწერელი წესი თავის ზეობასა და შეუვალობას ზეიმობდა; როცა ყოველ ოჯახში ცხვებოდა საახალწლო ბედის კვერები და იწურებოდა მოკეთე-„მაკიდულობისთვის" განკუთვნილი წინწნანაქარი; როცა მიწურების ბანი ბანს იყო გაბმული და ველზე სამუშაოდ, სალაშქროდ თუ სანადიროდ გასულთაგან საკუთარი სახლის კარს არავინ კეტავდა...

იმ დროს „ჯარზე" ჯდომასაც (ხალხური: „ბედიანაიმც დაჯდების ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა...") სხვარიგი ხიბლი ახლდა და სწორფრობის უცნაური ჩვეულების საბედისწერო ლაბირინთებში გზის სწორად გაგნებაც „დღიანობისა" და კაი ყმობის ცნებათა რიგში გაიაზრებოდა...

მშვიდი, შნოიანი და უშურველი ურთიერთობა ლიზღმა შეცვალა; სამოყვრო გზები და საცალფეხოები უნდობლობის მეწყერმა წაიღო, წალეკა; გახუნდა მშობლიურ ხედთა და სანახთა ხასხასა ფერები; თავისუფლების სივრცეებში მობიბინე სულს ბზარი გაუჩნდა; წარმტაცად გაშლილ არყოფნის ველზე კითხვით ნიშანთა მწკრივმა იმრავლა.

და რა გასაკვირია, ამგვარი მოვლენების შემხედვარე კაცის ფხიზელ მზერას სევდის ბურუსი მისძალებოდა და გაუკუღმართებული, დაღმა დაქანებული ყოფით დადარდიანებულს დანანებით დასცდენოდა: „...არ მოვედ ჩემი ნებითა..."

ნებისმიერი შემოქმედის ღწვა და ცხოვრება ხომ არსებული სინამდვილის ხარვეზოვან მხარეებთან მუდმივი შუღლი და ჭიდილია; სასურველი რეალობის ხელშესახებ კონტურებთან მიახლოების მძაფრი საწადელის განსხეულებაა. და როცა შეუძლებელი ხდება წარმოსახვისმიერის აღდგენა-აცხადება, პოეტის სიტყვა ტკივილიანი ტონალობის აპოთეოზს აღწევს: „შორს სამ – სინათლე სიმართლის, ახლოს – ბურუსი ჭორისა, დავდივარ ჩვეულებრივად ცოცხალ ცოდვილთა შორისა..."

ყოფითობის დაკნინებასა და დაჩიავებას, ხალხის დაძაბუნებასა და დაბეჩავებას, ზნეობრიობის ბჭეების რღვევას ბუნებრივად მოჰყვა საუკუნოვანი საკულტო ცხოვრების შესუსტება და პროფანაცია: ბეღლისკარ ნაბამი ზარი ურწმუნოთა ტყვიამ გაკაწრა; ჯვარ-ხატთა სადიდებლების ლექსნარევი ტექსტების ნამღერებით ნარმოთქმას გულსგამოწონი ჟრუანტელი მოაკლდა; დაბლა დაიწიეს და ხერხემალში გადატყდნენ ბარისახოს ბებერ მინაზე ერთ დროს თავმომწონედ წამომართული შურის და ხმალას ციხეები; კარატისა და ხახმატის ყმათა ერთკვირიანი რიტუალური მსვლელობა თუშეთის სოფლებში ისტორიას ჩაბარდა; ცისა და მიწის კავშირის გაწყვეტის მაუწყებელი სიმპტომები დაეტყო კულტის მსახურთა სუბორდინაციას...

...მთის მიტოვება და დაბლობში დამკვიდრება ნებაყოფლობითი აქტი არ ყოფილა. მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია იყო ერთი უმთავრესი ფაქტორი იმისა, რომ ხევსურეთის შეუდარებლად ჯანსაღ სულსა და სხეულს წელთა დენაში ღონის მომღები ფითრი და ფათალო გასჩენოდა, დროჟამისმიერი ჟანგი წაჰკიდებოდა. შვილთაგან „გამეტებული" მშობლის საწუხარი ისევ ამ უკანასკნელის მისამართით ნათქვამი საყვედურის სახით პოულობს თავის სადინარს და პიროვნული ვარამის პოეტური განზოგადება ბუნებასთან მისი გენეტიკური ერთიანობის უკეთილშობილეს სურვილად ცნაურდება: ავტორი მთებს „ჰკიდებს" ცოდვა-ბრალს იმის გამო, რომ ბარში წასასვლელად გამზადებული უბეში არ ჩაისვეს, კლდეებს ქარაფად არ „მისართეს", რომელზედაც დასასვენებლად დამჯდარი არწივი „თბეებს დაიგრუშევდა" და მდინარედ არ „მისცეს" თავის უწყლო ხევებს, მდინარედ, რომლითაც ნატყვიარი ჯიხვი წყურვილს მოიკლავდა და მწუხარე გულს გაიმხნევებდა...

ძნელია, როცა ნავთის პერანგი გაცვია, კაი წარსულზე ფიქრი განვალებს, ჯავრი გკლავს და საკუთარ ალზე იწვი, ხოლო

შენს ირგვლივ, ფერხთით და ხელის გაწვდენაზე, კვალარეული მილეთის გნიასი ისმის, გნიასი ლიანგად ქცეული მილეთისა, რომელსაც ცოტა რამ შერჩენია ეროვნული, წინაპრისეული...

სიყრმის მოგონებათა უსიერ ტევრში ისევ ანთია არაგვის ხეობის კენტი ყვავილივით ლამაზი და ერთადერთი სახე სნორფერისა, ვინც მერე, ულმობელი ცხოვრების ეკლიან აღმართ-დაღმართებში, ერთგულად უნდა ზიდოს ბუნებით მეოცნებე და რომანტიკოსი კაცის მეუღლეობის ტვირთი.

პოეტის თვალსაწიერში, გულსა და ხსოვნაში ყველაზე ხალვათ და საჩინო ალაგას დგანან ის ადამიანები, ცოცხალნი თუ ამიერ სოფლით გარდამხდარნი, რომელთა სიახლოვის გარეშე მის ისედაც საინტერესო ბიოგრაფიას, პირსწორად გავლილ ცხოვრების გზას, ერთი უარსებითესი შტრიხი თუ წახნაგი მოაკლდებოდა.

ესენი გახლავთ: აგერ, უკვე მერამდენე წელია, საწოლს მიჯაჭვული, არაერთ სიმწარენაგემი და მაინც უტეხი, ბედის ურჩი მიხო არაბული; საპატიმროს კედლებში სულდალეული უნიჭიერესი მელექსე გიორგი ჭოლიკაური; „ტყიჩის“ ძმადნაფიცი, ნიადაგ კარგ ყმად სათქმელი და სიამაყით სახსენებელი გურამ რჩეულიშვილი...

იქვე, ქველ ქართველთა და ერთობ ნაადრევად წასულ შემოქმედთა შორის, ჩნდებიან ლანდები „სწორთაზე მაღლა მდგომი“ ლადო ბალიაურისა და ომიდან შინმოუსვლელი მირზა გელოვანისა, ვინც სიჭაბუკის წლებში ტყვია დაიხალა, რათა ენახა, როგორ დაედინებოდა მკერდიდან სისხლი...

დღევანდელობის გადასახედიდან ზოგი რამ რიბირაბოდ და ფერნაკლულად მოჩანს წარსულში; დავიწყების ცივსა და ცრიატ მდინარეს წაუღია ახალგაზრდობის სხივცისკროვანი პერიოდის ბევრი მშვენიერი წამი და წუთი... ჟამთაცვლის კანონზომიერებათა ბოლომდე განჭვრეტის შეუძლებლობაში დარწმუნებულ პოეტს ხანდახან უჟმური საგონი აესევა და აიყოლიებს, სევდის უფსკერო მორევი ჩაითრევს. მოერევა და განგებისმიერი გარდუვალობის გასიგრძეგანება „გატეხილად“ ათქმევინებს: „...ბრუნავს არყოფნის შავი მორევი, სწვრილდები, ბედის გზაო, ტიალო, შორს მეძახიან ჩემი სწორები სალაღობოდ და სახეტიალოდ...“

„გულ-ღვიძლში გადამტვრეული“ მახვილივით მერყევი პოეტი დაბადების დღიდან დაეძებს და იმედოვნებს, რომ აუ-

ცილებლად იპოვის შუბლზე სისხლისფერ ხალიან თავის ტყუპისცალს, რომელსაც სახელად „სიკვდილი" ჰქვია..."

ჯვარიმც სწერია!

ეს მოხდება გვიან, ხოლო წრებრუნვის დასრულებამდე, სიცოცხლის ციკლის განლევამდე და დამთავრებამდე გასავლელია ის გრძელი მანძილი, სიჭარმაგის დიდმა გამოცდილებამ სიბრძნის სილამაზით რომ უნდა მოასევადოს და ახალი პოეტური ხილვების, ფერებისა და მედიტაციების შუქით შემოსოს...

ხალხურსა თუ მწიგნობრულ, „წერილობით" პოეზიაში არსებობს დარდის მრავალგვარი გააზრება, განსულიერება და ინტერპერტაცია (სანიმუშოდ: „დარდიან გულზე სიმღერა ტირილის მაგიერია"; „განა ლაღი ვარ, რო ვმღერი, გულისა დარდსა ვიქარვი"; „არ ჩაქრე, მწარე სახმილო, მაცოცხლებელო დარდო..."), მაგრამ ის, რასაც გაგა ჭინჭარაული იტყვის, რაღაცით საგრძნობლად სხვაობს ყველა სხვა „ნათქმებისაგან" და გვამახსოვრდება, როგორც ლირიკოსის მეტყველი ავტოპორტრეტის ერთი უმკვეთრესი მახასიათებელი: „დარდო, ნუ გამითავდები, გულო, ნუ გამაიცლები..."

საგანგებო დაკვირვებისა და განსჯის ღირსია კრებულში გაერთიანებული ლექსების სახისმეტყველება, ვერსიფიკაცია, რითმა და, რაც მთავარია, ფესვეული კავშირი „ვეფხვისა და მოყმის" სამშობლოში შექმნილ უნიკალურ ხალხურ პოეზიასთან, მაგრამ ჯობს, მკითხველმა თვითონ, უმეგზუროდ და უშაუამავლოდ აღმოაჩინოს და „დაიგემოვნოს" პუნქტუაციის გამოყენებისას და სიტყვათა გარითმვისას დაშვებული ის ნებსითი თუ უნებლიე ხარვეზები, ნაცვლად სახამუშო ხმოვანებისა, თავისებურ სილბოს, სისადავეს და ბუნებრიობას რომ ანიჭებს ლექსის საერთო ქსოვილს...

ცა-მზეს არავინ შერჩენია, ცხადია, ამ თვალსაზრისით ვერც „ტყიჩი" იქნება გამონაკლისი, თუმცაღა ეპიტაფიის მსგავსი ერთსტროფიანი ლექსი, რომლითაც ოპუსს ვამთავრებ, ვფიქრობ, მისი ავტორის უკვდავების გარანტადაც უნდა გამოდგეს: „ბოლო ქარ წამამიბერავს, ვით აფრას ჩამახეულსა, გაჰყვება სულის სიმღერა კბილებით ნათრევ სხეულსა".

2005 წ.

„იმათ არა ჰგავს წიქაი"

„დარწმუნებული ვარ, ლექსო ჭინჭარაული ენატრება ყველას, ვისაც ერთი საათი მაინც გაუტარებია მის შორიახლოს!"

ტარიელ ჯანტურია

ალექსი ჭინჭარაულმა, ვიდრე სიბერე მოერეოდა („ლომს მორევია სიბერეო", ხომ გაგიგონიათ!) და ბიჯის გადადგმა გაუჭირდებოდა,თენგიზ მირზაშვილს გადასცა სქელტანიანი საქაღალდე, რომელსაც წინა მხარეს წითელი ფანქრით აწერია ერთადერთი სიტყვა: „საჩუბჩიკენი".

ჩუბჩიკა, მოგეხსენებათ, თიკუნია თენგიზ მირზაშვილისა – დიდი მხატვრისა და ხალხური სიტყვის, ზმისა და შაირის, ზეპირპოეტური შემოქმედების, კაფიისა და გალექსების უბადლო მესაიდუმლისა, მცნობისა, მცოდნისა, ქომაგისა და გულშემატკივრისა...

ალექსი იმედოვნებდა, რომ თენგიზი მოაბამდა თავს მისი ექსპრომტების შერჩევას, დალაგებას და წიგნად შეკვრას. ამიტომაც საქაღალდეს წააწერა ის,რაც უნდა წაეწერა: იშვიათია ბუნებითი ნიჭიერების ისეთი გამგები და „დამგემოვნებელი", როგორიც ჩუბჩიკა გახლდათ. ყალბი და ნასხვისარი სტრიქონი მყიფე მინის სიფრიფანა ჭურჭელივით იმსხვრეოდა მისი მკაცრი და უკომპრომისო შეფასების კრიტერიუმებში.

და როცა თენგიზის ამქვეყნიურ ყოფასაც „დაჰქროლა ქარმან სასტიკმან" და დაწყებულ საქმეთა დასრულების ღონე და იმედი თოვლის გუნდასავით ადნებოდა თვალსა და ხელს შუა, ალ. ჭინჭარაულის ნაანდერძევი ჩვენ ჩაგვაბარა და მიგვანიშნა, თვალისჩინივით გავფრთხილებოდით და გვეპატრონა გაცრეცილ საქაღალდეში მოთავსებული ძვირფასი „მასალისთვის".

და ვიდრე ალ. ჭინჭარაულის ნაბერებული ჭინჭარივით მწარედ მსუსხავი კაფია-გალექსებანი ცალკე წიგნად გამოიცემოდეს, მოკლე წანამძღვრებისა და მცირე განხილვა-კომენტარების თანხლებით გთავაზობთ „საჩუბჩიკენიდან" ამორჩეულ რამდენიმე ტიპიურ, ნიშანდობლივ ნიმუშს.

ამირან არაბული
ეთერ თათარაიძე

2008 წლის მაისში „მკვდრეთით" კვლავ აღდგენილ ხალხური პოეზიის საღამოს წინა დღეს ღონისძიების მესვეურებსა და ორგანიზატორებს ალ. ჭინჭარაულის ლექსიანი ბარათი მოგვიტანა მისმა ქალიშვილმა ნათელა ჭინჭარაულმა.

„ეთერო, ვახუშტი და ამირან, მოგილოცავთ ხალხური პოეზიის საღამოების განახლებას! ძალიან გამიხარდა, ღმერთმა ხელ მაგიმართასთ!

ვახუშტიმ დამირეკა: „შენთან მოსვლა მინდა, მაგრამ რა აზრი აქვს? – მე უხმო ვარ, შენ – უსმენო..."

ამის პასუხად ნათქვამი:

კარგი კაცია ვახუშტი,
ჩემგან ძმად დასაფიცარი,
ეგება ზოგმა არ იცის,
რომ ვახო არტისტიც არი
და ვოკალისტიც, – ბელკანტო! –
კასკასებს, როგორც ციცარი.

ბატონ ვახუშტის შინ ვეწვიეთ და სწორუპოვარი მეტოქისა და მოპაექრის ნასიტყვი გადავეცით. ფურცელი გაშალა, ჩაიკითხა, სენმორეულმა და ტკივილებით დატანჯულმა მისებურად ჩაილიმა, კალამი მოძებნა, მოიმარჯვა და დაღლილი ხელით იმავე ფურცელს მიანერა:

მეც კარგად ვიცი, ალექსი,
კარგი მოლექსე ვინც არი,
მადლობა, რომ არ მიხსენე
აქეთ და იქეთ ფიცარი.

კალიგრაფია, უწინდელთან შედარებით, შეცვლოდა, მაგრამ არც იმდენად, ნაწერი ვერ ამოგეკითხა ...

ცხოვრებისაგან უღვთოდ გულნატკენთ და გამწარებულთ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს ესოდენ გაიშვიათებული პიროვნული ღირსება და ზნეობრივი სიმაღლე; დაიუნჯეს და ქარში მოპარპალე სანთელივით ატარეს „გარდარეული" სიყვარული მხატვრული სიტყვისა, რომელსაც ჭირთა ნამლობის ღვთიური ძალაც შესწევს და გაბზარული გულების გამრთელებაც დაჰბედებია. და ვინაიდან უნუგეშო ფიზიკური მდგო-

მარეობის გამო ერთურთის მონახულება აღარ შეეძლოთ, მიმოწერით და სატელეფონო საუბრებითღა ეურჩებოდნენ შავ ღამესავით ჯიქურ მოწოლილი ფონუჩინარი სადარდებლის ლეგიონებს ...

მკითხველი და მსმენელი ალ. ჭინჭრაულს ძირითადად იცნობს, როგორც სახუმარო-სალაღობო მაქსიმების დიდოსტატს, ღვედივით მოქნილი და შოლტივით მოქნეული სიტყვის ავტორსა და სამაგალითო გურმანს, მეცნიერსა და მელექსეს, ვისთვისაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად და რა პირობებში იმყოფებოდა-მწყალობელი შთაგონება მუდამ თან ახლდა და, შეიძლება ითქვას, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა, წამწამის მსწრობელ წამსა და წუთში ისეთ ლექსს ამოთქვამდა, „ყურთით მაყურებელს" გაკვირვებისა და მოწონების ჭავლი გადაუვლიდა სახეზე ...

მიზანში ამოეღო რუსთაველის პრემიის ზოგიერთი ცუდმედიდი ლაურეატი და, კაცმა რომ თქვას, არცთუ უსაფუძვლოდ. ჩვენთან ხომ ლიტერატურული კონკურსების შედეგებსა და პრემიების გაცემის საკითხს დღემდე კლანურ-კიკნაკაცური პრინციპები განსაზღვრავს (საბედნიეროდ, გამონაკლისებიც არსებობს). ასე იყო მაშინაც, თუმცა გაყალბების იმდროინდელ და დღევანდელ მასშტაბებს შორის სხვაობა მაინც უზარმაზარია ... თუკი ვინმემ იცოდა ყადრი „ვეფხისტყაოსნისა"და უფრთხილდებოდა „ვინმე მესხი მელექსის" სახელს, ერთერთი მათგანი ალ. ჭინჭარაული გახლდათ. ხედავდა, რაც ხდებოდა მაღალჩინოსან შემოქმედთა კაბინეტებში და შეფასებაც არ აყოვნებდა:

სიტყვის უღლისგან გადახეხილ კისრებს იფხანთ და
ღმერთმა შეგარგოთ გაგარაც, ქვიშხეთიც ...
დიდი შოთა რომ ერთხელ მაინც წაიკითხავდა,
ვითომ დაწერეთ რამე ისეთი?

ყველა „ნაღდი" ქართველის მსგავსად, მასაც უყვარდა სამეგობროს გულითადი ტაბლა და მამაპაპური მოლხენა; წასულების გახსენება, შესანდობრები და მათი ჩანადინარის თხრობა; საგმირო ამბებით ტკბობა, თრობა და ხანდახან ღამეების თეთრად თენებაც ეს, რასაკვირველია, უფრო სიჭაბუკისა და ახალგაზრდობის წლებში, როცა, თუკი „ხოში ჰქონდა არმაზის", ცოლ-შვილის რეაქცია დიდად არ ანაღვლებდა ... წელთა

მატებამ ნაბიჯი დაუდინჯა (თუმცა სიდარბაისლე არასოდეს ჰკლებია), სიცოცხლე სულიერებით გაუმშვენა და სიტყვასაც მეტი განი, ძარღვი და სიმტკიცე შესძინა ... სინანულით და ნოსტალგიური განცდით შორდებოდა სილაღის დაუვიწყარ დღეებს; შორდებოდა და ამბობდა:

ცოდვებსა გვკითხავს უფალი,
არ არჩევს მაღალ-მდაბლებსა, –
კარგა ხანია, გამყარა
ხინკლიან ხონჩა-ტაბლებსა.
ბოზბაშ-ჩიხირთმას დაერხა,
დედა ეტირა კატლეტსა!
ნახევარ ლიტრა წყალში ვხსნი
ჯუზეპეს სუპის ტაბლეტსა ...

ქია საქციელის უჯიშო თანამეინახეთა შემხედვარე თვითდახასიათებისა თუ ავტოპორტრეტის სამახსოვრო შტრიხებს კვეთდა. და ამ თვითდახასიათებაში, როგორც წესი, უწყინარი ირონიის ცხარე საკაზმიც მოჭარბებულად ერია:

იმათ არა ჰგავს წიქაი,
ვინც ორი ჭიქით ფუჭდება,
არც თავი გაუბრუჟდება,
ვიდრე არ ჩაბუჟბუჟდება!

ნაბახუსევი (ხევს."გატანჯული"), მწყურვალი და თავ-ბედის მანყევარი დახლიდარზე იყრიდა ჯავრს:

წუხანდელ ნაბახუსევი
თევზივით ლაყუჩთ ვირთხამა,
ჩეხურ ლუდ არ მამიტანა
მედუქნემ-დახლის ვირთხამა!

ჩვენს ოჯახში ერთ-ერთი სტუმრობისას ლალისყურული ღვინით მოხალვათებულმა გულისჯიბიდან მცირე ფორმატის თეთრი ფურცელი ამოიღო და ჯიშიანი ასონიშნები ჩამოამწკრივა:

რას ფიქრობ, რძალო, ეთერო,
ქალო, კაცი ვარ ბებერი,
შინ წამიყვანე, თორემა
გავხდები წასაღებელი.

პასუხისმგებლობის მძაფრი გრძნობა სამსახურეობრივი მოვალეობის მიმართ ზომიერების დაცვის აუცილებლობასა თუ ალკოჰოლურ „ნეტარებაზე" სულაც უარის თქმას კარნახობდა. და ეს ვითარება დოკუმენტური სიცხადით აისახებოდა სარითმო სიტყვათა დაწყვილების უნაკლო და უხარვეზო კომბინაციაში:

თუმცა დღეს პურმარილი „იაფ ას",
მაგრამ მე ვერ დავლევ, „**я пас!**"

„სუფრა ბუხართან" – ასე დაუსათაურებია ერთი კაფია, ბილინგვური მახვილსიტყვაობის მოულოდნელი აბრუნდით რომ იპყრობს ყურადღებას და გვამახსოვრდება, როგორც ზეპირპოეტური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუში:

სომხურ კონიაკს ურტყამენ
ჩვენნი მებუხარფეჩენი.
Братцы, циррозом печени
Вы уже обеспечены ...

ეს იმპროვიზაციებში, ნახევრადსერიოზული ხასიათის ლექსით ნარატივებში, როცა სათქმელის „აქტუალურობა" და სპეციფიკური შინაარსი შეუვალ პურისტად ყოფნას მაინცდამაინც არ გავალდებულებს, თორემ ... თითებზე თუ ჩამოითვლებიან ის ჰუმანიტარები, ვინც შეიძლებოდა ალ. ჭინჭარაულს გათანაბრებოდა გრამატიკული ნორმების ცოდნაში, მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომასა თუ მისი სიწმინდის დაცვაში. ამიტომაც მოუხმობდა ერსა და ბერს, დამდგარიყვნენ იქ, სადაც მათი მეობის იდენტობის საკითხი წყდებოდა:

ენის სიწმინდის დამცველთა
ფერხულში ყველა ჩაებით, –

ნუ ვამღვრევთ წმინდა ნაკადულს
„რამეთუ" – „ვითარცაებით!"...

წესით და რიგით, თუკი პირისწყლის ნასამალი მაინც შერჩენიათ, რამდენი ჩვენი თანამედროვე (ჩინიანიც და უჩინოც) უნდა ცნობდეს თავისთავს ლექსო პაპის მიერ გულისწუხილით ნათქვამ ამ სტრიქონებში:

„კაცი არ ყველა კაცია",
ზოგია მთხლე და ბითური,
გროშად არა ღირს იმისი,
„აზრები" „Может быть"-ური,
მაინც თავმაღლობს, ვითარცა
ყეყეჩი ყანჩის ფიტული.

არათუ გარეშე პირებს, „დაუძინებელ მტრებსა" და მეტოქეებს, გამოუსწორებელ თაღლითებსა და ფარისეველებს, მედროვე კოლეგებსა და კარიერის კეთებაზე გამეცადინებულ ნაცნობებს, საკუთარი ოჯახის წევრებსაც ხშირად ხვევდა და აბამდა უწვალებლად ნათქვამი მარილიანი ექსპრომტის ბადესა თუ აბლაბუდაში.და მათ შორის საწინაო ადგილი, რაღა თქმა უნდა, ცოლს ეკავა:

შენ, ჩემო ცოლო, ნუ იცი
წნევის აწევა-დაწევა,
თუ გეღვიძების, ადექ და
თუ გეძინების, დაწევა!...

საკუთარ თავთან ცალფა დიალოგში რაღაცით XV საუკუნის დიდ ფრანგ პოეტს ფრანსუა ვიიონსაც ჩამოჰგავდა, პირად ნაკლს რომ არ მალავდა, არ ალამაზებდა და ნატურალისტური სიცხადით წარმოსახავდა კაბინეტურ რეჟიმში ხანგრძლივი ყოფნისაგან უკიდურესად დამძიმებულ თავის ფიზიონომიას. და ამ შემთხვევაშიც ისევ და ისევ მისი დამთმენი და დიდსულოვანი მეუღლე ფიგურირებს, როგორც ვიწრო და „არარელევანტური" ოჯახური ინტრიგის წყარო და სათავე... „დიაცის შეგონებად" სახელდებულ კაფიაში თანამედროვე სწავლულთა ფიზიკური არასრულფასოვნების პერმანენტული პრობლემის კანთიელი კონტურებია გამოკვეთილი:

აღარ გახსოვს, ლეკოთ ნიქავ,
დედაკაცმა რო გირჩია:
ისე დამრგვალებული ხარ,
ფიჭვის ძირში რო გირჩია.
გაიარ-გამაიარე,
ნუ ჰგორაობ ლოგინშია,
თორემ ისე ამოგნაყავ,
როგორც ნიორს როდინშია,
რადგან ვატყობ, მე მივდივარ
შენი ნასვლის ლოდინშია...

ამას რომ წერს, ისიც მშვენივრად მოეხსნება, რომ კაცი თავის ბედსა და წერას ვერსად წაუვა; რომ არსთა გამრიგის ნება-სურვილი წარმართავს ყოველივეს და, მით უფრო, მოკვდავთა-უზენაესთან მიმართებაში-საცოდავ მღილთა და მღოღავთა-საამსოფლო დღეების რიცხვსა და სათვალავს. ამიტომაც ღიმილისმომგვრელად გამოიყურება მისი ინკოგნიტო თანატოლი, ცხოვრების ჯანსაღი წესის პედანტური დაცვით რომ ცდილობს გარდაუვალისაგან გაქცევასა და დარჩენილი სიცოცხლის ხელოვნურად გახანგრძლივებას:

ბერდება, — უკვე ათწლეულებს ორ ხელზე ითვლის,
ღვინოს აღარ სვამს (აღარც ძველსა და აღარც ახალს!),
ვარჯიშობს, უნდა, რომ ძუნძულით გაექცეს სიკვდილს,
სად გაექცევა, იმასაც ნახავს!

და სრულიად სერიოზულ, არაიუმორისტულ ლექსში „წუთისოფელი", ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიური დილემის პოეტური განსჯის წარმატებულ ცდად რომ წარმოგვიდგება, გარკვევით ისმის მრავლისმომსწრე ლირიკული სუბიექტის წრფელი აღსარებაც და იმ მოურჩენელი, მოუშუშებელი სალმობის ხმიერი ექოც, თანშეზრდილი მოყვარე-ახლობლების სამუდამო დაკარგვა რომ აღძრავს პირმეტყველ არსებაში. ესაა, ასე ვთქვათ, ხევსური ეთნოტიპაჟის უტეხი ბუნების სახასიათო წახნაგთა მწყობრი წყება, რომელმაც, შესაძლოა რეზო ინანიშვილის დოკუმენტური პროზის ნიმუში „ჩაჩაურის წასვლაც" გაგვახსენოს; ნიმუში, ალ. ჭინჭარაულს რომ ეძღვნება და მისივე ნაამბობის მიხედვით შექმნა მწერალმა...

ლექსო პაპის ფილოსოფიური მედიტაცია ასეთი გახლავთ:

ზოგჯერ ოცნებას გავყვები,
მინდა დარდები გავყარო,
ოცნება კვდება, შენ მრჩები,
ჩემო პარტახო სამყარო:
ოხერო წუთისოფელო,
სიცოცხლის ერთო ზამთარო,
სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე
გადარეულო ჟამკარო,
ბევრი მოყვარე მომპარე,
აპირებ, სხვებიც დამპარო?
მოდი, ჩემზედაც გავმართოთ
ყოფნა-არყოფნის სამსჯავრო:
იცოდე, ვისაც გამყარე,
იმქვეყნად უნდა შამყარო!
მუხლი და მაჯა წამართვი,
ლამობ, თვალებიც დამთხარო,
დაბეჩავებულს ნუ მომკლავ,
სანამ გონთა ვარ, მამკალო,
ცელ-ნამგალს ძებნა არ გინდა,
სიცოცხლის მთიბელ-მამკალო,
„დაკვრა სჯობს დაღირებასა“,
რაღას აყოვნებ? დამკარო!

ჭრელი საწუთროს გზა-ბილიკებზე სიკეთის მადლით სულგანათლულნიც მრავლად მიმოდიან და ისეთნიც, სულ სათავისოს რომ ფიქრობენ, დაეძებენ და ლამის ცხველური ინსტიქტებით ცხოვრობენ. სინდისი (ვაჟა „სინიდისს“ რომ უწოდებს) ხომ ის შემაკავებელი ჯებირია, ადამიანს უკადრებლის ჩადენის ნებას რომ არ აძლევს და თავის ნამდვილ სახეს, ავად თუ კარგად, უნარჩუნებს. და როცა „მთელ ცისმარე დღეს“ მავანის სინდისს „საღათას ძილით“ სძინავს, ქვეყანაზე სიავე მრავლდება, მატულობს და იკვეთება აბრისი კაცისა, ბნელეთთან რომ დაუჭერია საქმე, „ბილწთ ზავით შაჰკვრია“ და გარდაცვლილი მშობლის სულის საოხად ფარსაგი ვერაფერი გაუკეთებია:

შე მართლა იგეთ-აგეთო,
კაცო, ბნელეთის აგენტო,
არ აჯობებდა, მამისთვის
ერთი სანთელი აგენთო?

რჩეულთა შორის რჩეულს არჩევდა, თითქოს სწორებას მათი ცხოვრების წესზე აკეთებდა და ძალზე მოკლედ, ორიოდ მკაფიო მონასმით გვიმხელდა თავის სიმპათიას:

ამჟამად საქართველოში
ორი ლეგენდა კაცია, –
თბილისში კაკო შანიძე,
დუშეთს-მამულათ ბიძია.

კუთვნილს მიაგებდა უღირსებო, მუდამ ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე, სასიქადულო მამულიშვილთა დამცირების მოცად უავკარგო „მტრებს“:

ჩემთან ლომობა მოგინდათ,
დაბადებულნო ციცადა!
ზვიადაურის არ იყოს,
„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“

ღრმად ჰქონდა ათვისებული და გათავისებული ძველი ქართული მწერლობის ლექსიკა და სტილი. საუკუნეთა მიღმა შექმნილ, რიგითი მკითხველისთვის აღსაქმელად რთულ ტექსტებში ისე ლაღად გრძნობდა თავს, როგორც თევზი მთის სუფთა მდინარეში. და ჩაძირისძირებული, ქვისმთლელის შრომას შესადარი კვლევა-ძიების შუალედებში, „ტაიმ-აუტის“ სულფონ წუთებში, ამდაგვარ ექსკურსებსაც მიმართავდა:

მსთვად განვიღვიძე კვირას და
შიომღვიმის კერძ ვირები, –
სადა მამამან სიაოშ
მგელს აწყემსვინა ვირები.

საერთოეროვნული სატკივარის ადეკვატურად გამოხატვასა და ვირტუოზულ განზოგადებას აღწევდა სიტყვათა მარჯვე, მოხდენილი გადათამაშებით:

ხომ ვიცით, ახლა ფეხბურთის
რა დონეზეა „დონეცკი“,
„დინამოს“ ოცნებად ექცა
თვითონ „დონეცკის“ დონეც კი.

თავის დროზე ორი თაობის წარმომადგენელთა ხანდახანური შეკრებებისთვის ზედგამოჭრილი ფართისა და ადგილის საპატიო ფუნქციასაც ითავსებდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფართო აივანი. პარასკევს, დამღლელი კვირის ბოლოს, როცა გაზეთის ახალი ნომერი გამოდიოდა, ვის არ შეხვდებოდით რედაქციის ლამაზი შენობის შედარებით ყუჩ, მყუდრო აივანზე: სტაჟიან და დამწყებ ავტორებს,რედაქციის თანამშრომლებს — უჩა შერაზადიშვილს, ვანო ამირხანაშვილს, მურმან ჩაჩუას, დათო კახაბერს, თემურ აბულაშვილს ...მათ მეგობრებს, მეზობლებს, დოსტებს, მკითხველებსა და მომკითხავებს... და, როგორც ჩანს, ალ. ჭინჭარაულსაც ძალიან მოსწონდა და ეშინაურებოდა ლიტერატურულ საქართველოელთა ეს გულმისავალი, ქალაქურ ყაიდაზე სტილიზებული საფეხვნო:

ამეკვიატა მე აი ვნება, —
კვირაში ერთხელ მეაივნება.

ალ. ჭინჭარაულის პოეტურ რეპერტუარში ცალკე ციკლად შეიძლება გამოიყოს სახელდახელო-სიტუაციური ექსპრომტები, მთლიანობაში „ქვედა ზნის“ მდედრთა „კოლორიტული“ ტიპების გალერეას რომ წარმოგვიდგენენ და თავიანთი მხატვრული ღირსებით უხერხულობის დისკომფორტულ დეტალებსაც ფარავენ და ანეიტრალებენ.

აი, ორი ღირსსახსოვარი ოთხტაეპედი:

შენ ფიქრობ: ვარო მწყაზარი,
მზე ვარო, მჯობსო მზე რითა?
მაგრამ მე ერთობ შემზარე
მაგა ურცხვითა მზერითა!

. . .

„ქალბატონო"-ს ვეუბნები,
მიპასუხებს:
– ჰამე? ჰაჯან?!
მთელ ქვეყანას ამოაგდებს,
იმნაირი ჩათლაშკა ჩან.

არც მიმნდობი მანდილოსნის თანხლებით თვალწარმტაცი ბუნების უნაპირო წიაღში მოულოდნელი განმარტოების ძველთაძველი მოტივი ყოფილა უცხო ალ. ჭინჭარაულის ლირიკული წარმოსახვისთვის:

მთა ნაიბის ბოხოხს ჰგავს,
შენ ხარ ჩემი ბატონი.
ხევზე ნისლი მოღოღავს,
როგორც ალიგატორი ...
... მეხათრება როგორღაც,
აქ რომ დავრჩეთ მარტონი ...

სიახლის ნიშნით აღბეჭდილ ორიგინალურ რითმათა ნიმუშები:

რასაც ვამბობ, მართალია,
არ გეგონოთ არაკი:
ნანა, ნინო, მართა, ლია,
რატომ ცხარობთ, თვარა კი!..

* * *

ნათლობის მართლმადიდებლური რიტუალი საბურთალოზე, ალექსი ჭინჭარაულის ოჯახში, ჩატარდა. საღვთო წესს მამა დიონისე (გვიმრაძე) ასრულებდა. მეუფე ზენონმა (იარაჯული) ნათლობაში თანამონაწილეობა შემოგვთავაზა. ჩვენც, რა თქმა უნდა, სიხარულით მივიღეთ ეს მოულოდნელი წინადადება... ალექსის უმცროსი და, დეიდა მარიამიც, მოუნათლავი აღმოჩნდა. მანაც ძმასთან ერთად იცხო ნმინდა მირონი...

სამარხვო სუფრას ლალისფერი ღვინო აშინაარსიანებდა. მსუბუქად ვიხმიეთ. ყოველმხრივ კარგ, ამაღლებულ განწყობილებას დები გოგოჭურების , მალხაზისა და დეიდა მარიამის ხავსიანი ხევსურული სიმღერები ავსებდა და ასევადებდა...

საღამოხანს დავემშვიდობეთ „მოწაღმართებულ“ მასპინძლებს.

ვაკის პარკთან ვიყავით მისულნი, ჩემი მობილური რომ აწკრიალდა.

ნათელა ჭინჭარაულმა შინისაკენ მიმავლებს მამის ნახელდახელავი კაფია დაგვაწია:

დღეს მე მეწვივნენ სტუმარნი
ფრიად საპატივცემონი:
თვითონ მეუფე ზენონი
და იმის ცოტა ქვემონი.

ჯანის კლებამ და წელთა მატებამაც ვერ მოაშლევინა თავისი სადაგი, საყვარელი ხელობა-„სიბრძნის დარგის“ მსახურება. სიცოცხლის სიოს ბოლო ამოქროლვამდე შერჩა ზმური აზროვნებისა და ლექსად მეტყველების დაუძლეველი წადილი. ის გახლდათ ერთადერთი ხევსური, ვინც მანამდე დაუმარცხებელ კვებულას (ფილოსოფოს ხვთისო ალუდაურს) სძლია და მოსწრებული სიტყვის დროშა ძირს დააბრევინა.

თანამედროვენი ღიმილით იხსენებენ ორ ფალავანს შორის გამართულ მოკლე დიალოგს:

– რაით ჩამახვე მთაშიით? – ეკითხება ალექსი.

– ფეხით, აბა, თავით ხო არ ჩამავიდოდ! – პასუხობს კვებულა.

– შენ რო თავ გქონიყვ,ფეხით არ ჩამახვიდოდ ! – ამთავრებს „საქმიან“ საუბარს სწავლული შატილიონი...

და ეს სწორედაც რომ ის სულწუხი ჩიხია, თუკი პირისწყლის დეფიციტს არ უჩივი, გაჩუმებას გაიძულებს...

კვებულაც მაგარი იყო და ლექსო პაპა ხომ იყო და იყო. მისი მწარე, დაუნდობელი სიტყვით ნალახტარნი და ნამათრახალნი დღესაც დაიარებიან ჩვენი მთის სოფლებსა თუ დედაქალაქში, სასწავლო-სამეცნიერო კერებსა და დაწესებულებებში.

* * *

შატილი – ალ. ჭინჭარაულის სამშობლო.

ძნელად მისასვლელი (ეს ადრე, წინა საუკუნის 60-იან წლებამდე) სიმაგრე-სოფელი პირიქითა ხევსურეთში.

ლეგენდა და სინამდვილე – „სინქრონში", მხარდამხარ, ერთმანეთთან უმჭიდროეს კავშირსა და მიმართებაში...

ჭკვიანი, კაცთკითხული უფროსები, რომელთა თხრობის ყურისგდებას ვერაფერი შეედრებოდა მჩქეფარე სიყრმისა და სიჭაბუკის უღრუბლო დღეებში; უფროსები, სიბრძნით გაცამცმულ ანდრეზულ სიტყვას რომ მიიარგნებდნენ სამტრო და სამოკეთეო გზაწვრილებზე; მიიარგნებდნენ და აგვარებდნენ კიდეც როგორც სამოყვრო, ასევე საშარო, საშუღლარ სიტუაციებს...

შატილი, სადაც, მოკიდებული მოწაფეობის წლებიდან ვიდრე ხანდაზმულობამდე და ორბისფერ სიბერემდე, იშვიათად-ღა თუ ახერხებდა გადასვლას ცხადსა თუ სიზმარში მასზე მლოცველი და მეოცნებე ლეკოთ წიქა.

და ხალხურ კილოზე აჟღერებული ორსტროფიანი ლექსი, რომლის ყოველი სიტყვა და ტაეპი საკუთარ სუნთქვასავით მშობლიური გარემოს დიდ სიყვარულსა და მონატრებას იმარხავს (და ინახავს):

შატილით წამოსული ვარ,
დავტოვე დიდი მთებიო,
სადაც თოვლიან მწვერვალებს
ფარავს არწივთა ფრთებიო.
მამა-პაპათა სამკვიდროს
ზოგზოგჯერ ვესტუმრებიო,
არღუნს ჩავყვები ყიჟინით,
სიმღერად ავინთებიო!

„ეს თავის ნებისა არა ყოფილა. მაინც რაღაცა არ მასვენებს. ვეღარა ვხედავ, ვწერ ანდითა. რო დაცხება, ფარდულაში გავდივარ ნიავზე. ავდგები, დავჯდები, მტკივა თავი, ერთხელა ვთქვი: რას ჩავჩმუი ამასა!..ორი-სამი დღე მავითმინე, სიზმარში გამომეცხადა ხმა: რატომ არა წერ, დაწერეო...“

ასე ახასიათებს გაბრიელ გარაშვილი შემოქმედებითი შთაგონების ტკბილ-მწარე წამთა იდუმალ ბუნებას. მისთვის ლექსია ის ტკბილი სატანჯველი და შინასავით თბილი თავშესაფარი, ამხნობამდე რომ ამყოფა და გააძლებინა. 88-ისა სრულდება და სათქმელი ჯერაც არ შემოლევია, არ „გადაღანძიებულა.“ თავისი მარაგიანი ფშაურით ესაუბრება, ხან უტკბება და ხანაც ეპირტუქსება ღალატიან საწუთროს... და ტოვებს ნაკვალევს, რომლის მიმყოლთა და მიმდევართა რიცხვი საბედისწეროდ კლებულობს ნიადაგ ნათაველი პოეზიით თავმომწონე მთიელებში.

გულის თვალით მხედველნი ხვდებიან, ხოლო პრაგმატულად მოაზროვნე თანამედროვეთათვის სულერთია, რა უსაშველო სატკივარი წაჰკიდებია „ დახანჩოტებულ“, საუკუნის სამანს მიახლოებულ მელექსეს. „ვეღარ ვძლებ, თუ არ დავწერე, ლიღარმ ისრ წამამიარა.“ მამაუფალია ერთადერთი, ძირისძირობამდე რომ ესმის მისი ამგვარი ყოფა-ცხოვრების ანი და ჰოე. მის ნებაზე ჰკიდია, მოარჩენს თუ ბოლომდე ასე აწვალებს და ამარტვილებს სიტყვის ჭირვეული სახადით დადაღულსა და შეპყრობილს: „ღმერთის მეტმ ვერავინ იცის, რაისაგან ვარ სნეული.“და ხანაც ღვთისმიერი წესრიგის ხილულ ხატად ადამიანთა თვალწინ განფენილი ბუნებაა ის დაუღალავი „ინსპირატორი“, მოსვენებას რომ არ აძლევს და მბრძანებლობს კიდეც,რათა არ მოირღვეს, არ მოიშალოს ის საკვირველი კავშირი, რომელიც მოკვდავსა და ზებუნებრივ ძალებს შორის სამყაროს გაჩენის დღიდან დამყარებულა: „თუ არ მიბრძანა ბუნებამ, მე ვერას ვამბობ თავადა, აღარც გული მაქვ, არც გონი, არც სიტყვა კილოკავადა“...

იცის, რომ ამ სატიალე წუთისოფელში მარტო და მიტოვებული არასდროს იქნება. რაკი მესიტყვეობა, ორი სკნელის

შუამავლობა დაჰკისრებია, შესწევს თუ არა ძალ-ღონე, უნდა იდგეს, „იქარსალაოს“ და თავისი გახსნილობით სხვასაც მისცეს მაგალითი ცხოვრების ხელშესახებ საგნობრიობასთან მუდამდღიური სიახლოვისა და ერთიანობისა: „ჩემში შამოდი, თეთრ ნისლო, გულის კართ ვსწირავ ღიათა“...

„ფარხას“ (ეს გაბრიელ გარაშვილის ყველაზე უფრო სადაგი, აღმატებული თიკუნია. ისე, მისი მეტსახელების რაოდენობა სამოცს აჭარბებს!) პირდაპირი სულიერი წინამორბედი ვაჟა-ფშაველა წვიმად მოსვლას ნატრობდა, რათა ამ სახით მეტი შვება და სარგებელი მიეცა მწყურვალი მიწისთვის... საწუთროსაგან გაგლილ და „ჩალა-ბულად“ ქცეულ ჩვენ თანამედროვე მელექსეს სხვა ხასიათის ნატვრა და, ამასთან, სასაყვედურო გასჩენია უფლის მიმართ; ნატვრა, ახდენა რომ არ უწერია: „რადარ დამბადე, უფალო, უსმენოდა და მუნჯადა, ან ეხლა რაად არ მაქცევ ცეცხლზე დასართველ ყუნჭადა, რად არ წამიყვან შენთანა, აქ რას ვხირივარ უნჯადა....“

ლექსების ერთი ნაწილის მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელ მინაწერებში საუცხოო სიცხადით ჩანს ფიზიკური გადარჩენის სულისკვეთებაზე დამყარებული ოჯახური გარემოს ის უკანდამხევი, არახელსაყრელი ხასიათი, რაც მკითხველისათვის, შორს რომ არ წავიდეთ, კარგადაა ცნობილი ისევ და ისევ ვაჟას ბიოგრაფიიდან...

ცოლი, ჩოფანათ ქალი ნინო, გამაღიზიანებლად მიმართავს (მანაც რა ქნას: ოჯახის არსებობისთვის პურიც საჭიროა და შეშაც!) თავისი მწარე საფიქრალის ბურუსში გახვეულ, ლოგინად ჩავარდნილ, თვენახევრის ნაავადარ „უსაქმურ“ ქმარს: „– იჰი, კი სწერა?! კაი გული და ხასიათი გაქვის!“ და იქვე გაბრიელის ლაკონიური კომენტარი: „– დიდად გმადლობთ, ქალბატონო, ჩემი მდგომარეობის შეფასებისად!“

წინააღმდეგობა, „ზეაწეულთა“ და მუდმივად მიწას ჩაშტერებულთა შორის რომ არსებობს, ნაღვლით ნალეს სტრიქონებად გარდაითქმება და ჩნდება განცდა, რომ შემოქმედთათვის ამქვეყნიურ ყოფაში ძალზე ვიწროა სულის მსასოებელი საბრუნი: „გულიმც მიქცია ხე-ქვადა ან შაუგრძნობელ რკინადა, რო აღარ გამკარებიყო ჯალაფთ ჭყივილი ჭირადა“... და ისიც ხომ „კანონზომიერია“, ღვთის თანადგომის მოიმედე სიტყვის

ხოდაბუნების ბინადარნი წარმოუდგენელ სიღარიბეში რომ მარცვლავენ თავიანთი წილი წუთისოფლის წამებს, დღეებს, წლებს... „გეწამლე, სილატაკეო, ჯვარდაწერილო ჩემზედა, ვამე, რა ყინჩად მპატრონობ, აუგ როგორ ვთქვა შენზედა, ჩემი ყოფა და ცხოვრება მინდობილი მაქვს ღმერთზედა."

თვითონ ყველაზე უკეთ მოეხსენება, რა მატერიალური კეთილდღეობის მომტანია ლექსების წერა: არც ვინმესგან იმის ახსნა და შეხსენება ჭირდება, რომ „არავინ არის ჩამქრობი გულს მოდებული ალისა". და უქონლობისგან შეფიქრიანებულმა ვისკენ მიმართოს დაუნდობელი სიტყვის მახვილი, თუ არა ქარის წისქვილებთან ამაოდ მებრძოლი საკუთარი თავისკენ: „დედა გეტირა, ფარხაო, კერენ ჩაფხრენილ, ძველანი, გიშველენ ცხოვრებაშია რვეული-დ კალამ-მელანნი..."

რვეული და მელან-კალამი, აუცილებელი ატრიბუტები მესიტყვეთა მღელვარე ყოველდღიურობისა, ინტენსიურად ფიგურირებენ გაბრიელ გარაშვილის ლექსებში. უიმათოდ, მათი თანადგომის გარეშე, სიტყვის ოსტატი შორს ვერ წავა, უფრო მეტიც, ომში შესულ უიარაღო მეომარს დაემსგავსება. ტყეში შეშაზე თუ ნახირში მყოფს ყოველთვის თან აქვს საწერი „მოწყობილობა" და საკუთარი სიცოცხლის ფინალიც ამგვარად წარმოუდგენია: „რვეულზე დავპირქვავდები, კალმიან მივიცვალები..." განსაკუთრებული სიყვარული ეკუთვნის რვეულს, რომლის ფურცლები „უსწავლელი" ავტორის გულისცემის ხმიერ ექოსა და განცდათა მჭვირვალ ანაბეჭდებს ინახავენ. და მასთან ურთიერთობაც ისეთივეა, როგორიც ცოცხალ, სულიერ არსებასთან: „...ხან ჩემი უბის ძმობილო, ხან კი უჩემოდ ეულო, ჩემო გულო და სისხლძარღვო, ჩემო სისხლო და სხეულო, დაღალულ ხელით ნაწერო, ზედ ცხელ ოფლ ჩამონთხეულო..." სხვა ლექსიდან: „მოგესალმები, რვეულო, გამიხსენ გულის კარები." ხანაც გულისწყვეტით ეყრება და ემშვიდობება: „მშვიდობით, ჩემო რვეულო, ცოდვილაობით ნაწერო..." უჩვეულო შინაარსობრივი განზომილება ჩნდება, როცა საქმე სუფთა, ცარიელ, ფურცლებშეულახავ რვეულს ეხება: „აბა, სალამი რვეულო, ჯერ დასაწერო, ახალო, კიოთ კი ამბობ გულშია: შენ რას მიამბობ, რა ხარო?! უსწავლელი ხარ, უვიცი, მიწის თახვივით ბრმა ხარო, დასდიხარ სამზეურჩია,

თითქოს ბნელაჩი დახვალო, მე ნასწავლებსა ვჭირდები, შენ ბრმა-ყრუვების ძმა ხარო, აბა, ვინ რაად ჩაგაგდებს, ბეჩავო ფშავლის ბახალო."... რვეულების ნაირსახეობა და გარეგნული ნიშნებიც კრიტიკული განსჯისა თუ იუმორისტული დამოკიდებულების საგნად უქცევია: „ცალხაზიან რვეულ უთხარ, – მამიტანეს უჯრიანი, გარეთ ქალებდახატული, ყდებ უხდება ლურჯიანი..."

ლექსებით სავსე რვეულების ერთი წყება გზადაგზა შემოჰფანტვია. მიაქვთ და აღარ უბრუნებენ. რამდენიმე ინკოგნიტო, მოხალისე ფოლკლორისტმა ურცხვად იგულმავიწყა წიგნად გამოცემის პირობით მისგან წაღებული სქელტანიანი რვეულები; იგულმავიწყა და ავტორის უბოდიშო რისხვა და უმკაცრესი დახასიათება დაიმსახურა: „მიითვისა სუყველამა, ვისაც მიევეც რვეულები, ნეტარ რას-რა მიხვდებიან ჭკვა-ტვინ შამარღვეულები. თქვენა გკითხავთ, აიმითა გახდებიან გრძნეულები? უგრძნობ კრენჩოს მზიდავები, კრამიტჩამომტვრეულები..."

* * *

ამა ქვეყნად თავისი მოსვლის დღეს(მარტის 15) დაუწერია: „აღარას უნდა აქ ყოფნა ნაბულრანავებ ხარასა, მალეამც გაუყენებენ სასაფლაოთაკ შარასა, ეეხლ კერაჩი მბუღნავსა, ი ნინავ შიგინგარასა." ხოლო მანამდე, რვა წლით ადრე, ნახირში ყოფნისას ნათქვამი ლექსის ბოლოში ჩაუნიშნავს: „2002. 15 მარტი. დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ცოდვილო თავო! მაჩვთახევი. ძროხებში. გარა." თოვლჭყაპიანი გაზაფხულის იმავე დღით დათარიღებული ლექსის ნაწყვეტი: „შენთან ჭუკჭუკი, ძვირფასო, ჩემდ უტკბილესზე ტკბილია, შენსამც უბეში მაღირსა სამარადისო ძილია."

წლების სიმრავლეს ჩაუშრეტია და ჩაუნელებია სიჭაბუკისა და ახალგაზრდობის ოქროცურვილ დღეთა მღვივანი ნაღვერდალი. შორს დარჩენილა ის დრო, როცა ფუტკარაულზე წასული მთის წვერებს გადალახავდა და თვალწინ ნადობის ლამაზი პირ-კბილი „აელანდებოდა"...

პაპასა და შვილიშვილს შორის უნდობარი დრო-ხანი ჩამდგარა. წარსულის სახიერი სცენები და სურათები უნუგეშოდ მიკარგულან ყოვლისმომცველი გლობალიზაციის გამოუც-

ნობ ეპოქაში დაბადებული თაობებისათვის...სიტყვაში გაცხადების შესაფერისი ჟამი დასდგომია ნოსტალგიურ განწყობათა დაუდეგარ დინებას: „ვერ მიცნობ, პაპაის კაცო, ფარხასა წარამარასა, ერთ დროს რო ყინჩად უვლიდა ლამაზ წანალთა ფარასა". ხანაც მესამე პირში წარმოგვიდგენს დროებითი გატაცებებისა და მიწიერი ცოდვების სიმძიმისაგან სამუდამოდ დახსნილ საკუთარ თავს: „დაემშვიდობა ფარხაი თვალშურთხათ, გულის მღონეთა."

სიბერის ქარმა ჩამოხოშა ტანმაგარი მუხის ფოთლები; ჩაცხრა ვნებათაღელვანი; დადუმდა უწინ ნაავდრალი ნაკადულივით მჩქეფარე სისხლი. „მთას ვეღარ წავა ფარხაი, ვეღარ შასუნთქავს ნიავსა, ვეღარ მაჰკრეფავს სერზედა დეკის ყოილსა, კვლიავსა..."

ოდინდელი სიკეთეებისაგან ბევრი აღარაფერი დარჩენილა. თვალში ცეცხლი რომ ჩაგიქრება, შენი მზეც მძიმე-მძიმედ იწყებს ჩაბრძანებას... და რჩება მოლოდინი მართალთა და სულგანათლებულთა საუკუნო გზაზე შედგომისა: „მე რაღა გაბრიელი ვარ, იმის ანგრილი მქვიანო, მოგივალთ, სასაფალონო, კვირიათგორზე, ქვიანნო..."

* * *

გაბრიელ გარაშვილი დაიბადა საკობიანოში – პანკისის ხეობის ფშაურ სოფელში. ხოშარადან აყრილი მისი წინაპრები თავდაპირველად ივრის ხეობის სოფელ ბაფხისხევში დასახლებულან. გასულა დრო და ახმეტის რაიონში გადასულან.

გაბრიელის გვარის გაჩენა ფშაველების ლეგენდარული გმირის გარა თურმანაულის სახელთანაა დაკავშირებული. მტრის რისხვად დაბადებული კაცის საკუთარი სახელი „გარა" მელექსეობის ნიჭით ცხებული გვარის სათავის დამდებად ქცეულა.

გაბრიელ გარაშვილის დედეულთა ხაზი იმჟამად ხალაწანში თავშეფარებულ, შარ-ხათაბალის ნიადაგზე მიღმახევიდან „გამოქცეულ" ხევსურ მურღუევებზე გადის („დედეულთ ჯიშსისხლ წამამკრავს, გან მუდამა ვარ ჭკვიანი", – იტყვის გაბრიელი ერთ ლექსში). პაპა სვიმანი („ხევსური სვიმანა") ძალზე მოხდენილი, მარიფათიანი, სამართლიანად მოჩხუბარი კაცი ყოფილა...

გაბრიელმა ათი ჯან-ღონიანი წელი შირაქში (ნატბეური, ტარიმანა...) სარწყავი არხების გაჭრასა და გაყვანას შეალია. 1952 წელს დაოჯახდა – ცოლად შეირთო ტოლეშელი ნინო ჩოფანაშვილი. შეეძინათ ოთხი შვილი... ეს რამდენიმე წელია, მეუღლე დაკარგა. ახლა, ღრმა სიბერეში, მარტოკას უწევს ცხოვრების უკუღმართობასთან გამკლავება. ხანდახან ასეც ეთქმევინება: „ფარხამ თქვა, ფარდულაჩია ყინჩად გადავკრავ ღვინოსა და ვეტყვი შესანდობარსა თავის დედაკაცს ნინოსა..."

განათლება: ხუთკლასნახევარი.

ჯერ საკობიანოში სწავლობდა, მერე – დუისში, ქისტი თანატოლების გარემოცვაში („ზამთარ-ზაფხულ მშიერ-ტიტველები დავდიოდით. მოვუსმენდი მასწავლებელსა და მამახსოვრდებოდა. მათემატიკა ვერ ვისწავლე. გავერეოდი უგონთა, აღარ მახსონდა არაფერი. ჩაქცევაზე ვიყავ. გამანებებდნენ თავსა...").

ომიანობის წლები იდგა. ქვეყანა გუთანზე გამსვლელი ხალხის ნაკლებობას განიცდიდა და გაბრიელიც იძულებული გახდა, მიეტოვებინა სკოლა და საკოლმეურნეო „შრომის ფერხულში" ჩაბმულიყო...

ასე მგონია(თუ ვცდები, დიდ ცოდვად არც ეს ჩამეთვლება): გაბრიელ გარაშვილს სათანადო პირობები და ხელშეწყობა რომ ჰქონოდა და სწავლა-განათლება (ჯერ საშუალო და მერე – უმაღლესი) გაესრულებინა, ასეთ ნაღდ, მართალ, პირველი სიყვარულივით გულში გამველესსა და გენიალური უბრალოებით დაღდასმულ ლექსებს ვერ „ამოთქვამდა". შესაძლოა, ტექნიკა უფრო დახვეწილი ჰქონოდა, გარეგნული პენიც მიემატებინა, მაგრამ სტრიქონს ის მოუხელთებელი შარმი და შარავანდი, ურჟოლვა და ლირიზმი მოაკლდებოდა, რაც ფარხას პოეზიის სასიცოცხლო ძარღვსა და იმპულსს შეადგენს.

ეს ველური, „მოურჯულებელი" და მონოლითური მხატვრული სამყარო იმითაც არის ერთადერთი და თავისთავადი, რომ ძალიან ბევრ ლექსს ბოლოში ერთვის მოკლე მინაწერი. ამ მინაწერების დანიშნულებაა(შეიძლება ავტორი ამას ვერც კი აცნობიერებს) შემოქმედებითი ქმნადობისა თუ სიტუაციური ქმედების კონკრეტული ქრონოტოპის დაფიქსირება. მელექსის იმწამიერ ადგილსამყოფელსა და განწყობილებას დღისმიერი სიცხადით აირეკლავს ამგავრი დანართები თუ დამა-

ტებები: „12 ოქტ. 2010. ფარდულაში. ეეხლ შინ შავალ. მცივის. აი, ცრემლიცა მცვივის";„16 ივნისი. 2011 წ. პარასკევ საღამო. სარობით მოსული. აგე, ეხლა შაშვი მიგალობს თხილზე შამჯდარი";„29 ივნ. 2015 წ. რვეულ გამითავდა და ...ეჰ... კიოთ მამიტანენ. არ ვიცი კი, დავსწერ-ღა?"; „17. მარტი. 2004. საღირათ ახო. თბილი დღეა. ვარ ფიჩხზე მიწოლილი. ძროხელა";

არც მწარე პოლიტიკური წკიპურტების მომარჯვებასთანაა მწყრალად ჩვენი ყორანათ გაბრიელი: „22 თიბ. 2013 წ. ვუძღვნი ჩემ ძმა ნაციონალ შალვა გამიაშვილს. ჭირთ გიწყენ, ძმაო შალვავ. უმრავლესობისტი ფარხიანი."

თავის ვალად თვლის იმქვეყნად წასული ტოლ-სწორებისა და წინამავალი მელექსეებისთვის შენდობის შეთვლას: „ღმერთმა გაგანათლოს ჩემო საყვარელო ღვერათ ჩონქარავ. ჩემსავით უდარდელო ღარიბო მელექსევ. კურთხევა შენს სულს. ამინ."

და დგება ისეთი წამიც, როცა მოძალებულ ტკივილს ვეღარ უძლებს, ბოლომდე იხსნება, თითქოს აღსარებას ამბობდეს, და იხსენებს სწორფერს, რომლის ცოცხალ სახებას ამ დრომდე მოუღწევია მის გულსა და ხსოვნაში: „ამ ნათქომთ ვუძღვნი ან გარდაცვლილ გახუათ სალომეს, იმ ფარატინა ქალს, რომელიც ჩემი პირველი სიყვარული იყო. რად უნდა დავმალო? ფარდულაჩი, ისევ ჟინჟლავს."

გაბრიელ გარაშვილის ნაკითხობაზე, მსოფლიო მწერლობის საკითხებში გარკვევის სურვილსა და შემოქმედებითი ინტერესების მრავალმხრივობაზე მეტყველებს ერთ-ერთი ლექსის დასასრულს გაკეთებული არაორდინარული, ტიპიური ფშაველი მელექსის პოეტური პრაქტიკისთვის, ცოტა არ იყოს, არაბუნებრივი და მოულოდნელი მინაწერი: „მისტერიები: ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი. ესეები. მწერალი ფრენსის ბეკონი. ირლანდიელი მწერალი ლორენს სტერნი (1713-1763). დიდ გერმანელ განმანათლებელს ლესინგს უთქვამს: სიამოვნებით დავთმობდი ათი წლის სიცოცხლეს, ერთი წლით რომ მაინც გაგრძელებულიყო სტერნის სიცოცხლეო. მარად განათლებული იყოს ლესინგის სული ამის თქმისათვის! ტომას კარლაილი: შოტლანდიელი მწერალი..."

რაც შეეხება ენას: ამ მხრივაც ბედნიერი გამონაკლისია გაბრიელ გარაშვილის პოეზია. მოხალისე მელექსეთა ნა-

ცოდვილარის ფონზე ცისკრის ვარსკვლავივით ბრწყინავს მისი უმდიდრესი ნასიტყვ-ნაწერი. დიდი ნაწილი იმ ლექსიკური მარაგისა, რაც ესოდენ სისხლხორცეულია გაბრიელისთვის, დღეს არათუ წიგნიერ, ლიტერატურულ სფეროში, თვით ფშაველთა მეტყველებაშიც მივიწყებულია. ვნახოთ რამდენიმე ნიმუში დიალექტური ფორმებისა, რომელთა გამოხმობა და „გააქტიურება" სასიკეთოდ დააჩნდებოდა თანამედროვე ქართული მწერლობის საგრძნობლად ეკლექტურ, გაღარიბებულ, პუბლიცისტიკისთვის ნიშანდობლივ ენობრივ ქსოვილს: „ქანციბური", „ბუნხალი", „ბობღანა", „ხოხნიკაობა", „გადაღნიობა", „დალანძიძება", „გაბოტიტნება", „ასაგრილება", „გადალოშქრვა", „ქარსალაობა", „ჯონხიტობა", „გატროყვება", „შაჯიჯიტება" „დახანჩოტება",„ხანსადარა"...

ეს გახლავთ უმდიდრესი პოეტური ტრადიციების ქვეცნობიერი მიმდევრობისა და გარდასულ მელექსეთამსოფლმხედველობრივი მრწამსის განუხრელი ერთგულების უთვალსაჩინოესი გამოხატულება; ეს პოეზია თავისთავში ინახავს იმ ეთნოკულტურული გარემოს ნახმევსა და ანარეკლს, რომელიც დღეს ვაჟამდელ და მისი დროის კოლორიტულ ფშაურ სინამდვილედ მოიაზრება.

გაბრიელ გარაშვილი, როგორც ბევრისგან გამორჩეული თავისთავადი შემოქმედი, ცხოვრების დაუდგრომელმა დინებამ, ფიგურალურად რო ვთქვათ, მის საკუთარ კუნძულზე გარიყა და ხელში საწერ-კალამი დააჭერინა, რათა ფხიზელ დარაჯად დადგომოდა ყოველდღიურობას და თვით უკიდურესად პრაგმატული, არაპოპულარული ცხოვრებისეული ამბები და ხდომილებანიც კი თავისი განუმეორებელი მხატვრული სამყაროსთვის დაექვემდებარებინა.

* * *

გაბრიელ გარაშვილი, გარდა იმისა, რომ მელექსეობის „ფხვიერ მიწაში" უდგას ფესვები და სიჭარმაგეშიც ინარჩუნებს საღონისისა თუ დაძვირებული სიხარულის ლექსად გარდასახვის უნარს, ისეთი ამოდსასმენი, მიმზიდველი მთხრობელია, უსამართლობა იქნებოდა მისი სიტყვებისთვის რამე მოგვეკლო ანდა ნაგვემატებინა, ე.ი. უცერემონიოდ ჩავრეუ-

ლიყავით, თვითნებური სტილური შესწორებანი შეგვეტანა და ამით ტექსტის ავთენტურობა, დედნობა და პირვანდელობა ეჭვქვეშ დაგვეყენებინა.

მაშ ასე, ყური დავუგდოთ ყორანათ გაბრიელს.

„მარტში დავბადებულვარ, ამიტომ ჩემთვი „მარტიაც“ მაუქვიენებიათ. დამინყია ჭირვეულობა. აღარ თუ ვიძინებდი აკვანში. აღარც ძუძუს ვწოვდი. ჩემ ბებია მათურელს – ლევან ხავაზურაშვილის, ქაქუცელის დას – ფითილა დაუხვევია. ჩემი მამის ძმის (ჯარისკაცი იყო, ქუთაისშია დამარხული) გაბრიელის სახელზე გადმახსნილა. დამქვივნეს გაბრიელი... დამძინებია. დამისვენებავ. იმ დღიდან ძუძუც მამიწოვავ. გაღმა ჭალაში ვარ გაჩენილი, ძველ საკობიანოში. ალაზანი რო მაანყდა, მემრე აქ გადმოსახლდნენ. შვიდი წლისა ვიყავ, ჩემმა მშობლებმა აქ რო სახლი გააკეთეს.

მამაჩემი იყო გეჯურა. სამ კლას ჰქონდა დამთავრებული არტანში. ლექსობა არ ეხერხებოდა. ფშაურს მღეროდა კარგა. ფანდურნი ჰქონდენ.

უფანდუროდ მაშინ ოჯახს ვერ ნახავდი... დედას თეკლე ექვივნა, ჩიტაშვილი, ძირად – მურღუევი. დედის ბიძაშვილ იყო ბოტა თომას ძე ჩიტაშვილი. იმის ნათქვამია: „ბოტა ვარ, თომაის შვილი, კაფიას ვიტყვი ჭირითა, ლექსებით გატენილი ვარ, როგორც ღრუბელი წვიმითა, მოვაგონდები ქალებსა საღამოთი და დილითა.“

და-ძმებში უფროსი ვიყავ. ჩემი მამყოლი, 44 წლის არჩილი, მაკლული ვიპოვე ჩვენი სოფლის არხში. ერთი შვილი დარჩა... სულთა ყოფაზე მოვაყოლე: მენანებოდა ძმის სახლი. აქ კიდევ ჯალაფნი მყავდა მისახედი. ვთქვი: მოდი, იქ დავიწყო დაძინებაო... ერთხელაცა: გაბრიელოოო! – არჩილის ხმა იყო. არ ავჩქამდი – არ გაეპასუხო, მაძახურაი, ეშმაკიაო, – მაფრთხილებდის დედა...ოთხ წელს ვიყავ იქა. ყოველ ღამე მესმოდა ძმის ძახილი. რო წამოვე, ხმაც ველარ გავიგონე...

ჩემს ახალგაზრდობაში განთქმული მელექსე იყო ნიკო გორელაშვილი, კუწახტელი. ხვთისო გოგოლაურიც ნიჭიერი მელექსე იყო, ჩემი სწორი. ომიდან კანტუზიით დაბრუნდა... ნიკოს ახლობლობა ჰქონდა ლეონიძესთან და კეცხოველთან... ნიკოს მიეცა 12 რვეული. ვისთანაც მიიტანა, იმას ეთქვა, ემის

დამწერი აქ მამიყვანეო... არ ვუგდე ყური, არ გავყევ... ფილიპე ღვინიაშვილს „ჭიპიტანას" ვეძახდით. აქაური იყო, ლამაზი კაცი. ფილიპეს ცოლი და ჩემი ბებია მათურელი დები იყვნენ...

ივრის ხეობის ლაშარის ჯვარში დავდიოდი. ერთხელაც ამესია ალი (აქაური ქალი). აღარ მასვენებდა. მათურელმა გამაფრთხილა: რო დასწვები, ადგილის დედა დაილოცოდიო. მაინც ვერ დავიშორე. მემრე დაკეთდენ სამნი, ულამაზესნი, სამად მოდიოდნენ ი ქალები. ღამე სუ მეღვიძა, ვყრიდი, ვერ ვიშორებდი... ლაშარობა რო მოვიდა, მამამ მითხრა, წავიდეთ, საკლავი გავრეკოთო, რა მოგივიდა, გაბეჩავებული ხარო? შენაო ექთანთან უნდა წახვიდე, დღეობას რო გადმავიყრითო... წავედით ლაშარშია. ხევისბერმა თავის წესი დააყენა. სუფრა მოიტანა მამამა. მეც იქა ვარ. ხევისბერს არაყი დავუსხი და მივაწვადე. ეგრე დაუწყა ყურება ჭიქაში და მითხრა; შენ ალი გყავ შამაჩვეული, რატომ არ ამბობო. მამამ უთხრა, რა ეშველებაო? გულში ვთქვი რაღაცაო, – ხევისბერმა, – ამაღამ გაიგებთო... დამშორდენ იმ დღიდანა. ღმერთმა აცხონოს იმის სული. მგელიათ სოფლელი იყო ის ხევისბერი...

ჩემ პაპას, მამის მამას, სტეფანე ერქვა. „ყორანას" ეძახოდნენ. უყვარდა წალექსება. იმის ნათქვამია: „თავადაც ყორანაი ვარო, ცხენიც ყორანა მეზრდებაო, მოსაქმე დიაცაი მყავო, რა ჩოხა დამიძველდებაო, დილით შაბმული ფარტენაო საღამომდინა გრძელდებაო"... ძალიან მუშა კაცი ყოფილა. კუჭის ტკივილმა მოკლა. შვილსა და შვილიშვილს ხელი ჩამოართვა. მიწვა და მიიძინა...

შარცხვეს ის ფშაველიო, ვინც სამს დალევს და არ შამღერნებსო, – იცოდიან თქმა...

მიხა ხელაშვილთან ნაამხანაგარი იყო პაპაჩემი, დედის მამა, ლევანი. დაჰპატიჟა მიხა ძმობილმა. ერთ კიდევ – თავისივე სოფლელი.. სმა რო დაამთავრეს, მასპინძელმა მაღლა აახდინა, დააძინა იქა. ამ დროს მთავრობის ხალხი სახლის გარემურგვალთ არი, შეიარაღებული. ამოიღო მასპინძელმა ნაგანი. დააწყებინა კანკალი. მეორემ ესროლა. გარეთ რო გაიგეს, დააყარეს და დააყარეს თოფები, ვითომ ჩვენ მოვკალითო... მიხას მკვლელს მოწამლულ ანტრია აჭამეს და მოკვდა. მარცვალაი, ლუკა მარცვალაშვილი, ქედში გაიქცა. სად გაუშვებდა გოგია

ჭიჭოშვილი!... ჩვიდმეტი წლისა ივრის ზეგანზე რო ვიყავ ფერმის მწყემსადა, იქ ლადო ცალუღელაშვილთან მოდიოდის გოგიაი. დამიკვლევავ. ეს კაცის მკვლელიაო, – მითქომ... ნაბადს დაიდებდა, კედელზე მიწვებოდა. რო ლაპარაკობდა, სახე სუ უღიმოდა... კვერნოვანელმა ფშაველმა თათარომ ჩაუსხა საწამლავი არაყიან ბოთლში. წააღებინა. დალია გოგიამ დილითა და წაიქცა. გადარჩა. არ მაკვდა....„კვერნოვანაში თათაროო, მამაო, ვაჟკაცებისაო, შენ რო ჩამისხი არაყი, დავლიე გათენებისაო. წავქცეულიყავ ბეჩავი, მზის მოსვლა აღარ მეღირსაო, მენაც აიმ დროს მოგივალ, ცისკარ რო ცასა ხვდებისაო, ჯერ შენ სისხლ უნდა დაელიო და მემრე სხვადასხვებისაო".ეს გოგია ჭიჭოშვილის ნათქვამია. ლიშოელი ფშაველი იყო, კომუნისტების მტერი. ლადო ეტყოდა ცალუღელაშვილი: გოგი, ამდენს ნუ სჩადიო, ამდენ ცოდვა არ შაიძლებაო! შპიონებს ჰხოცავდა. ალალ კაც იმას არ მაუკლავ. არ გაუძარცვავ. გზაში არ დახვედრია არავისა... მე ძალიან კარგა ვიცი, ცოდვა რაცა მაქვ ნაქნარიო. ეხლაც ზურგზე მკიდავ ის ქალიო.

როგორ იყო ეხლა ეს ამბავი: ჩაბანოში ნამყოფ გოგიას თაგვის წამალი გაურიეს საჭმელში. მაშინაც გადარჩა, რძემ გადაარჩინა... თომაი ჰყვანდა ბიძაშვილი. ეტყობა, ეს თომა არ იყო იმ სუფრაზე... ჭიაურაში უნდა ავიდნენ. იქ ხევსურები ცხოვრობდნენ... მუხლი მეჭრებაო. გული მერევაო. თომას ვუთხარი: ისეთ ადგილას ჩამაგდე მიწაში, ამ ძაღლებმა რო არ მათრიონო... ჭიაურაში მხრით ამიყვანაო. რო ავედითო, მოსაღამოვდაო,ძროხას წველიდა იქაური დედაკაციო. გამოვგლიჯე ხელშიით მოსავსებული ვედრაო. მოვიყუდეო. – დაიცადეო, ხანშლიანია, ბენვიანია, გავნურავო! არ ვუგდე ყურიო. სუ დავცალეო. დავცალე თუ არა, წამამაბრუნა პირქვეო. ამამაღებინა მწვანე წყალიო, შხამიანიო...ჰოდა, ჩაბანოს ტყეში იყო ის ქალიო. ეკითხე, შენც იყავ იმ ამბავშიო (მამწამვლელი კაცის და ყოფილა ისა)... იმან წყევა დამიწყაო. ვერ გავიგე, როგორ შამამკვდაო... მემრე იმ მამწამვლელმა თოფი მესროლა, ჟაკანიო. ჭიპერტაში (ჭიპში) დამრჩაო. ის ტყვია ხანჯლის წვერით გამაიღეო...

– აბა, ბიძა ლადოო, – უთხრა გოგიამ ცალუღელაშვილსა, – ამ გაზაფხულზე ერთ კაცს მავკლავო, იმას არ შევარჩენო, მემრე ჯანდაბას ჩემი თავიო!

ქედელი კაცი შამხვდა, ლუკა მარცვალაშვილთან ნამწყემსარი (მე მაშინ მანქანებს ვტვირთავდი ტარიმანაში). ვკითხე, მარცვალაშვილს იცნობდიო? როგორ არ ვიცნობდი, ერთ ბინაში ვიყავით მწყემსებადო. მემრე მააყოლა: ჭალაში გამაჩნდა იარაღიანი კაცი, იმან დამიძახაო: თქვენთან რო კაცია, იმას უთხარ, პარტიზანები გეძახიან, ჩამოდი ჭალაშიო. ვუთხარ ლუკასაო. თოფი მხარზე ჩამაიკიდა და წავიდაო. ცოტახანი და გატყვრა თოფიო.ჩავიარე და ლუკა მარცვალაშვილი მკვდარი ეგდოო...

გაზაფხულის დროა. მთები გახსნილია...ბარისაკენ მოვდიოდით ივრის ხეობაში. ბარგ მოგვქონდა მე და ფერმის გამგესა. კვერნოვანაის ძირში დაყრილი ფოთოლი სისხლში იყო ათქვეფილი. იქ მოეკლა გოგია ჭიჭოშვილს თათარო (ვინც არაყი მოუწამლა)...

* * *

ღარიბ-ღატაკნი, ტარაღანანი, უქონელ-უპოვარნი და მაინც მდიდარნი: ნიჭით, ღირსებით, თავგადასავლებით, ცხოვრების ცოდნითა და გამოცდილებით. და სიტყვით, მხატვრული სიტყვის ფხიანი სატევრებით, რომელთაც სიბერე არ ეტყობათ და არც ფითრი ეკიდებათ.

ფარხაც იმათ „ჯოგიდამაა, ვინც სიღარიბით ცნობილა"(ვაჟა); სიღარიბით და ფასდაუდებელი სულიერი ხემსით, სარჩოთი, ავლადიდებით, რასაც ვერაფერი შეედრება ყვავ-ყორნების საძიძგნად ქცეულ ამ ჩვენს ბეჩავ, გაქსუებულ ქვეყნიერებაზე.

უბადრუკი ქოხის ბინადარს აქვს უფლება და საფუძველი, კნინკაცურად კი არ იჩივლოს და იწუწუნოს, არამედ თავისნაირთა თუ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა"გასაგონად (პარადოქსია და – ერთგვარი სიამაყითაც კი!) განაცხადოს: „ყორანათ გაბრიელი ვარ, ე მთელის სოფლის დარია, სახლისად ვერ ჩამისომის აკოშკაი და კარია. ფარღიატია ყველგნითა, გარბის-გამორბის ქარია, ქარმ დამისრივნა კრამიტნი, წვიმას ჩამააქვ ჩქამია."

13-15 იანვარი. 2017 წელი.

„არ მიყვარს თეთრი ყოილი...“

გასული წლის გვიან შემოდგომაზე, სწორედ იმ დროს, როცა ფუძნარისა და მისი მიმდებარე ხევ-ხუვების ტანაყრილი ტყეები ზღაპრულ ფერებად ენთო, ღვიოდა და იღვენთებოდა, ამ სტრიქონების ავტორი, ეთერ თათარაიძე და ჩვენი ავსტრიელი მეგობარი დორის ფოგლი თიანეთში ვეწვიეთ ცელქო გორგიაშვილის ოჯახს, რომელმაც წლისთავი გადაუხადა ივლიტა შავერდაშვილს – რიცხვმრავალი მკითხველისათვის ჯერაც უცნობ შესანიშნავ პოეტს და პირადი ცხოვრებით გაუხარელ, მონისლული ამსოფლიური გზისა და ბედის უალალეს პიროვნებას.

ჩასვლისთანავე მოვიარეთ და მოვინახულეთ მიტოვებული, მოწყენილი, ზამთრის მოლოდინში გასაპარტახებლად მიწურული თუ განწირული სახლი და დამრეცი ეზო-კარი სოფელ ვერხველში, სადაც სიცოცხლის მიმწუხრამდე მკვიდრობდა და მთის მკაცრ კლიმატურ პირობებში მარტოხელა უძღვებოდა მუდამდღიურ საკაცო თუ სადიაცო საქმეს: ხნავდა ყანას და საკარტოფილეს, თესავდა, თიბავდა აბრეშუმივით ბალახს, ამზადებდა შეშას, სარჩო-საბადებელს აგროვებდა, აბინავებდა და... ცის გახსნის დარად სანატრელი ღვთაებრივი წამების ჩამოდგომისას ნიავის სუნთქვასავით თავისთავადი ლექსის წელგამართულ სტრიქონებად კინძავდა და აგვირისტებდა უშუალოდ ნანახს, დროთა განმავლობაში განცდილს, გაგონილს.

ივლიტა შავერდაშვილის თვითეულ სიტყვას წარუვალი სიმართლისა და თანშობილი ნაივურობის, უმაღლესი ბუნებრიობისა და უეჭველი ნიჭიერების მკვეთრი ბეჭედი აზის. და ეს ვითარება უმალ საგრძნობია, ვიდრე საცნობი ანუ იმგვარი რამ, რაც ნაკლებად ემორჩილება და ექვემდებარება ლოგიკურ განსჯას.

დანდობილად, ეჭვისა და ჭოჭმანისაგან თავისუფალი უნდა გაჰყვე მის ფორიაქ ფიქრთა დინებას, თუ გინდა, რომ სრულყოფილად აღიქვა და გაითავისო ცვილივით მორჩილი სიტყვების მწკრივსა და წყობაში გამომწყვდეული ადამიანური ტკივილების აჩქარებული ფეთქვა და ცხადლივ დაინახო სახიერ

სიმბოლოდ გააზრებული ის ყვავილიც, რომელსაც, ივლიტასაგან განსხვავებით, მიუწვდომელი მშვენიერების უჩვეულო გამოვლინებად ხატავდა ერთ თავის შესანიშნავ ლექსში ძველ მთიელთა ნამდვილი სულიერი მემკვიდრე ივანე წიკლაური: „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო, სანთელო ქარაფებისა..." ხოლო მიზეზი იმისა, რომ ი. შავერდაშვილი არ იწონებდა, წუნობდა, უფრო ზუსტად, არ ყვარობდა „თეთრ ყოილს", მდგომარეობს სასამარე სუდარის ფერთან მის ვიზუალურ მსგავსებაში!.. მართლაც რომ მოულოდნელი მიგნებაა თავისი არსით და დანიშნულებით რადიკალურად განსხვავებულ საგანთა შორის დანახული ეს სიახლოვე, ელდისმომგვრელიც და მწვავედ „დამაფიქრველიც" ერთსა და იმავე დროს...

ლექსის იმ ნაირსახეობას, გენეტიკურად ხალხური პოეზიის საღი წიაღიდან რომ მომდინარეობს, ხანდახან სერიოზული საფრთხე „უსაფრდება" ხოლმე, საფრთხე პოპულარული მოტივების, სახეობრივი „ინვენტარისა" თუ ნაცნობი ინტონაციების ზედაპირული ათვისებისა და გადამღერებისა, რაც, თავის მხრივ, ინდივიდუალური ხელწერის, სტილისა და მანერის ნიველირების მიზეზი ხდება და ბრმა თუ შეგნებული წამბაძველობის ნიადაგზე ნაშობ უსიამოვნო განცდას აღძრავს მკითხველში.

ივლიტა შავერდაშვილის ლექსი იმდენად თავისთავადი, „უწვალებელი" და დამოუკიდებელია, იმდენად საკუთარ სულიერ ქურაში გატარებული და გადადნობილი, რომ მსგავსი საშიშროება მას არაფრისდიდებით არ ემუქრება...

* * *

ივლიტა შავერდაშვილი დაიბადა 1924 წლის 15 ივლისს თიანეთის სოფელ ბუჭყინტაში. მისი მშობლები – ანდრო შავერდაშვილი და თამარ მინდოდაური – ხნოვანი ქართული კლასიკური მწერლობის დიდი მეტრფენი, ხალხური სიტყვიერების კარგი მცოდნენი და საქართველოს ისტორიული წარსულის თაყვანისმცემელნი იყვნენ. ბუნებრივია, შვილებსაც სამშობლოს წრფელი და უანგარო სიყვარულით ზრდიდნენ.

შვიდი წლის ივლიტას, რომელსაც დედ-მამამ, როგორც

ნაბოლარას, „პატარა ქალა“, ხოლო ამხანაგებმა „ქალა ფშავლისშვილი“ შეარქვეს, სასწავლებლად არტნის ოთხწლედში მიაბარეს, ხოლო შემდეგ, როცა დაწყებითი სკოლა გაიხსნა, მშობლიური სოფლის სკოლაში გადაიყვანეს და მესამე-მეოთხე კლასები იქ დაასრულა.

ამის მერე ტუშურების საშუალო სკოლაში განაგრძო სწავლა, სადაც მეათე კლასამდე დაჰყო და იმის გამო, რომ სხვა კადრი არ გამოიძებნა, აღმასკომში დაიბარეს და შარახევის საბჭოს მდივნად და ბიბლიოთეკის გამგედ განამწესეს...

ქალა ფშავლისშვილი სიბერის წლებშიც სიმწრით იხსენებდა, მამის სიკვდილის მომდევნო ხანებში, 1936 წელს, როცა იგი მეოთხე კლასში იყო, როგორ იძულებით დაატოვებინეს სოფლის თავკაცებმა სკოლა და სამუღლიან გუთანზე მეხრედ გააპიროვნეს.

დაობლებულმა გოგონამ შესაშური შრომისმოყვარეობა გამოიჩინა და სამიოდ წელიწადში ფერმის მონინავე მწყემსად და მწველავად ითვლებოდა.

ერთხელ, სტახანოველთა შეკრებაზე, შესვენების დროს, დაწერა ლექსი „სამშობლოს“, რომელმაც სულ მალე კულტურის სამინისტროს დიპლომი დაიმსახურა. ამ ლექსის გამო ივლიტასათვის უცნობ ერთ პიროვნებას კოლმეურნეობის თავმჯდომარისთვის უთქვამს, ეს გოგონა თუ ახლავე სკოლას არ დავუბრუნეთ, მომავალი თაობისგან ორივენი სასტიკად გავილანძღებითო...

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მომდევნო წლებში ივლიტამ თელავის საბუღალტრო სასწავლებელი დაამთავრა და თავისი სოფლის კოლმეურნეობაში დაიწყო სამსახური...

სამუშაო, რასაც ივლიტა წლების განმავლობაში ასრულებდა, არაფრით ესატყვისებოდა მის სულიერ სამყაროს, ამაღლებულ პოეტურ განწყობილებას... უმძიმდა, მაგრამ რა უნდა ექნა, ომის მრისხანე წლები იყო და სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებსაც თავი მამულ-წყლის დამცველ ფარაჯიან ჯარისკაცებად წარმოედგინათ; ცხოვრების ყველა სფერო და განედი სამხედრო რეჟიმზე იყო გადაყვანილი. მაღალი ინსტანციებიდან მიღებული ბრძანებისა თუ განკარგულების

შეუსრულებლობა არ ეგებოდა და შინდარჩენილი ქალები, სურდათ და შეეძლოთ თუ არა, წარმატებით ართმევდნენ თავს ორმაგი ტვირთის სიმძიმეს...

ხშირად სხვაგან, სხვის ჭერქვეშ ყოფნამ ღრმა დალი დაასვა მის ჯანმრთელობას. გულსისხლძარღვთა დაავადებით და მხედველობის დაქვეითებით დაღონებული ერთხანობას კვლავ ბუჭყინტაში დაბრუნდა და დედის მზრუნველობის წყალობით მალევე მომჯობინდა...

ზიგზაგებით ატარა ივლიტა შავერდაშვილი თვალაბმულმა ბედმა თუ განგების ხელშეუქცევარმა განაჩენმა... ბოლოს დისშვილების მიერ ბოძებულ კერაზე დასახლდა ვერხველში და მკვრივად ნაგები ქვითკირის კედლებში ჩამოლია თავისი დაღლილი ახალგაზრდობისა და სევდიანი სიბერის სიამენაკლული წლები...

საქმრო იოსებ ბაიდაური – მუხლადი და გულოვანი ვაჟკაცი – ატყდა თუ არა ომი, მაშინვე ფრონტზე გააცილა და მერე, მთელი თავისი სიცოცხლე, თვალში ცრემლის ნამით, მის გამოსაჩენ გზას გაჰყურებდა. სიკვდილის წუთებამდე არ დაჰკარგვია იმედი მისი დაბრუნებისა... შეეძლო თბილი, მყუდრო და ღონიერი ოჯახის შექმნა, მაგრამ ნანდაურისთვის მიცემულ ერთგულების სიტყვას როგორ გააცუდებდა, ასეთი რამ მისი ადამიანობის დავთარში არ ეწერა!..

სიმარტოვით შემსჭვალულმა ბიძაშვილის ვაჟი გიორგი შავერდაშვილი იშვილა, მაგრამ არც აქ გაუმართლა: როცა ასაკმა უწია, გიორგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, სადაც ის ტრაგიკულად დაიღუპა... ივლიტას მეორე შვილობილი იყო ბაბულია მარაული, რომელსაც იგივე ბედი ხვდა წილად, რაც გიორგი შავერდაშვილს, სამწუხაროდ, ისიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა...

ნაადრევად დამზრალი, დახშული და ხალისწაგვრილი გულის ტკივილიანი ამოძახილი ვისთვის უნდა გაენდო და გაეზიარებინა ივლიტას, თუ არა ლექსისთვის. ძე მას არ ჰყავდა და ასული. ლექსი იმემკვიდრა, იძმო და იმეგზურა. ასეთი გახლდათ მისი „საეტლო“ – ჩაწერილი და გადაწყვეტილი წერა-მწერელთა დიდ წიგნში.

* * *

ბუნების შვილად თვლიდა თავს; ბუნების ღვთიური მშვენებით ტკბებოდა, თვრებოდა, ივსებოდა და თბებოდა; ხედავდა იმას, რაც ბევრისთვის იმთავითვე ქვესკნელს დანთქმული და კურუმი ნისლით დაფარული იყო; ესმოდა ის იდუმალი ხმები, რომელთა გაგონებისა და გაგების ნიჭსა თუ შეძლებას ერთეულებისათვის იმეტებს დამბადებელი.

საერთო რვეულის ფურცელზე მიუნერია: „ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი წლისას მერგო წილად, ვყოფილიყავ ყოველ დღე ბუნებაში, მესაუბრა ფრინველებთან და მესუტა ყვავილთა ციური ცვარი...“

უადგილო მგონია ამ სიტყვების განსჯა-გაშიფრვა თუ კომენტირება. ნათქვამი ძალზე სადად და დამაჯერებლად. ივლიტას პოეტური სამყაროს გასაღებიც აქ უნდა ვეძიოთ...

ნაწვიმარი სიმწვანის სილბო და სინედლე დაჰკრავს ი. შავერდაშვილის ყოველ ლექსს; სილბო, სინედლე და, რაც მთავარია, აბსოლიტური შინაგანი სიმართლე, სინათლე და ერთგვარად ხაოიანი ხიბლი...

განგებ ვიკავებ თავს კრებულში გაერთიანებული ლექსების კრიტიკული განხილვისაგან. ისევე, როგორც პრინციპულად არ ვემხრობი ბუნების ნახელავსა თუ „ნათავხედზე“ ალმაცერი სიტყვის თქმას, ჩემგან ამ წიგნის სტილურ თუ ვერსიფიკაციულ „ხარვეზებზე“ ყურადღების შეჩერება, შეყოვნება და კადნიერი საუბარიც უხეირო ახირებად გამოჩნდებოდა...

ბევრად უპრიანი და უმჯობესია, მკითხველმა თავად იგრძნოს და იყნოსოს ველური ყვავილების ის უცხო სურნელი, ასე უშურველად რომ ტრიალებს ივლიტა შავერდაშვილის ულამაზეს პოეტურ კარ-მიდამოზე.

2002 წ.

ლიტერატურა

სამუდამდღეო საკითხავი

„ვეფხისტყაოსანი“ – ძველთუძველესი ქართული სულიერი კულტურის წმინდა მწვერვალი და სწორუპოვარი ძეგლი – აგერ, უკვე მეცხრე ასწლეულია, რაც თავის ღირსეულ არსებობას ითვლის და ქართველი ერის მართალი მეგზური, მოუწყინარი თანამგზავრი და თანმდევი შუქია დარსა და უამინდობაში, საამურ წუთებსა და უდროობაში, ასერიგად მონატრებულ, მოსაკლისებულ სიმშვიდესა და პერმანენტულ მღელვარებებში.

ქართული რენესანსის ბედის ნებიერი, შეუდარებელი მშვენება და ხელთუქმნელი სამკაული ჩირაღდნად მიუძღოდა და ვიწრო გზა-სავალს უნათებდა ჟამითი-ჟამად სანუთროსეული სნებოვანების სიმწრითა და სიმძიმილით მისულფერებულ ქართველ კაცს; ჩააგონებდა ადამიანთა შორის ჰუმანური დამოკიდებულების სიძვირფასესა და აუცილებლობას; ამცნობდა „ჭირსა შიგან გამაგრების“ უჩვეულო მაგალითებს; არწმუნებდა, რომ ხთონურ ძალებთან, გრძნეულებთან და დემონურ არსებებთან დაუცადებელი ბრძოლა სიკეთის, სინათლის, სათნოების გამარჯვებით დასრულდებოდა.

შოთა რუსთაველის უბადლო პოემა, ქრისტიანული საგალობელი მეგობრობისა, მიჯნურობისა და კაცთმოყვარეობისა, დასაწყისიდან ვიდრე ბოლო ტაეპამდე, განმსჭვალული და გაჯერებულია სამყაროს შემოქმედი უზენაესი ძალის უპირველესობის, ყოვლისშემძლეობისა და უნივერსალიზმის გაუბზარავი რწმენით. ფათერაკებით აღსავსე აღმართ-დაღმართებში პოემის გმირებს მიწყივ თან სდევთ შეგნება იმისა, რომ „უგანგებოდ“ არაფერი ხდება ცოდვილ მიწაზე; რომ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

იმისდა მიუხედავად, რომ გარშემოუწერელ მხატვრულ ტილოზე ჭარბად ჩანს და თვალნათლივ იკითხება არაქართული ლანდშაფტი, პეიზაჟი და გარემო, არაქაური ადათ-წესები და ისტორიული რეალიები, ქართულისაგან განმსგავსებული ცხოვრებისეული მოვლენები და საკრალური რიტუალები, პოემის თვითეული სიტყვა, ყოველი ფრაზა და ეპიზოდი აღ-

ბეჭდილი და ნიშანდებულია ფიზიკურ ტკივილამდე მშობლიური ქართული ცისა და მიწის უზღვავი მადლით, ქართული ხასიათისა და ბუნების სახიერი გამოვლინებებით, ქართული ვნების, განცდისა და სულისკვეთების, ქართული ქცევის, ჟესტიკულაციისა და მოქმედების უტყუარი ნიშნებით.

არაბეთისა თუ ინდოეთის, მულღაზანზარისა თუ ზღვათა სამეფოს სანახებში ცხადლივ ვჭვრეტთ და შევიგრძნობთ ჩვენი ქვეყნის ამერ-იმერის, ქართული ზღვისა და ხმელის განუმეორებელ ხიბლსა და ერთადერთობას...

„ვეფხისტყაოსანი" ის წიგნია, რომელიც ნინველობიდან ვიდრე სევდიანი სამარის ქუფრ კარამდე მზრდელად, მზრუნველ მეგობრად და დავლათიან მფარველად ეგულვოდათ და ესახებოდათ სამეფო რეგალიებით აღჭურვილ სახელმწიფოს ულუმპიან თავკაცებსა თუ სოფლის „მდაბიოთ", ქვეყნიური პატივით მორჭმულ დიდგვაროვნებსა თუ პოხიერი მიწის ღრმა ორნატში ჩამდგარ პიროფლიან გუთნისდედებს, ზეპური საზოგადოების წევრებსა თუ ნიადაგ ღონისდამლევ ჯაფა-ჯანში მყოფ მწყემსებს, მეზღვაურებს, მეხრე-მევენახეებს, წმინდა მხედრებს, მეომრებსა თუ მონადირეებს...

პოემის სხივოსანი სტრიქონების კითხვით სულიერ ძალთა მოკრებისა და ენერგიით აღვსების უფლება „უბრალო" გლეხსაც ისევე ჰქონდა, როგორც დიბა-ატლასით გაწყობილი და უცხოდ მოფარდაგული სრა-სასახელეების სეფე ბინადართ.

„ვეფხისტყაოსნის" გმირთა ცხოვრების მაგალითი, მათი დედბუნებოვნება, ახოვანება, შინაგანი სიმაღლე და ურთიერთდამოკიდებულება ცალსახოვნად გვეუბნება, რომ დიახაც ღირს გარჯა და, გნებავთ, ტანჯვა სწორედ აქ, მზისქვეშეთში, ცოდვა-ბრალიან დედამიწაზე.

არაორაზროვანი მოწოდება ქმედითი და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციების არჩევის, დაკავებისა და არდათმობისაკენ „ვეფხისტყაოსანს" დიდად განასხვავებს წინარე ხანის, შუასაუკუნეებისა თუ მერმინდელი ეპოქების იმ მხატვრულ ქმნილებათაგან, სადაც სამყაროს მისტიკური ჭვრეტის, სამუდამო მიძინების, ნირვანული ყოფის, საუკუნო სიმშვიდისა და შეუმღერეველი სულიერი ნეტარების აპოლოგიაა მოცემული.

„უთვალავი ფერით" არსებული ემპირიული სინამდვილის სილამაზით ტკბობისა და აღფრთოვანების საზეო ნიჭი მიუმადლებია დამბადებელს პოემის პერსონაჟებისათვის და ამ

ნიჭით არიან ისინი რჩეულნი, ძალმოსილნი, არაორდინარულნი და აღმატებულნი.

მათთვის, ვისაც მოყვრისათვის სიკვდილი „თამაშად და უჩანს მღერად", ვერანაირი დაბრკოლება და ბარიერი ხელისშემშლელი ვერ იქნება უმაღლესი მიზნისკენ დაუჩოქებელ სვლასა და ლტოლვაში. სხვისი შველის, რგებისა და საორბედო მდგომარეობიდან გამოხსნის სანაცვლოდ „ვეფხისტყაოსნის" შუბლმზიანი გმირები არაფერს ითხოვენ. ნაცვალგების პრინციპის ანგარებითი შინაარსი მათთვის უცხო და მიუღებელია. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ერთმანეთისთვის თავდაუზოგავი ღვწისა და მსახურების წილ, მაშინ, როცა აბორგებული ამბები ზღაპრის ფინალური ნაწილის ლოგიკით მთავრდება, პოემაში თავს იჩენს „შეზღვა" და „მუქაფა", როგორც მადლიერების გამოხატვის თავისებური ფორმა და საშუალება.

ჭეშმარიტი სიკეთე ხომ იმითია უმაღლესი ღირებულების ღვთიური და, ამასთან ერთად, ადამიანური ფენომენი, რომ ის სამაგიეროს არ გამოელის. „ვეფხისტყაოსნის" გმირთა ზნეობრივი მრწამსი მდგომარეობს იმაში, რომ „იწროებასა შინა" ჩავარდნილი პერსონა საკუთარი არსების ნაწილად მიიღონ, „უცხოობით არ დაჰრიდონ", წყლულთა წამალი მიუმარჯვონ, „ბედითი ბნედით" შეპყრობილს, ხელჩაქნეულსა და იმედმიწურვილს პირი კვლავ სამზეოსკენ, სააქაოსკენ აქნევინონ.

შოთას პოემა გონიერ გამგონს დღემუდამ წრთვნის, მოძღვრავს და ასწავლის, რომ „მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს"; რომ ცხოვრება არაა სარბიელი ოდენ სიხარულისა, შვებისა და სიამოვნებისა. იქ, სადაც ღვივის ნაღვერდალი და ბრიალებს ცეცხლი, უსათუოდ იგულისხმება ძვალ-რბილის შემმუსრავი ყინვა-ყიამეთიც („თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა"). ხოლო მოკვდავის უწინარესი დანიშნულება ისიცაა, შეგნებით შეხვდეს ნებისმიერ ჭირსახდელს, გაუძლოს შავი ბედის მკაცრ განაჩენს, დაძლიოს ზარავანდივით მწარე საწუთროს ყოველგვარი სიმუხთლე, სივერაგე და ქარტეხილებისა თუ ღამის უღრანების გადალახვით ეწიოს საწადელს, მოიხელთოს და დაისაკუთროს „აბჯარი საკვირველი", ეკლიანი გზის გავლით ჰპოვოს „უფრჭვნელი" ვარდი, ჭმუნვისა და დაღრეჯილობის უკუყრით მოიგვაროს ჯერ გული და შემდგომ – საქმე.

განსპეტაკებული სიყვარულის ნამნაპკურები ყვავილები

ხარობენ და ბიბინებენ „ვეფხისტყაოსნის" ფურცლებზე. ადამიანური ამტანობის სამანებს სცილდება ის გულისგამგლეჩი ტრფიალი („ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტისმეტსა"), პოემის გმირთა მრავალწლიანი მსხემობის, ხელქმნილობისა და მარტვილობის სათავედ რომ ქცეულა. უფარილო სიყვარულის აღმავალ ალმურში იწვიან და იწრთობიან „ვეფხისტყაოსნის" ქველი რაინდები და მზე-მთვარის სადარი პირმშვენიერი ასულები; იწვიან, იწრთობიან და ხან სალმობა-სინანულის, ხან კიდევ ამზევებული სულიერი სიხარულის შუქს ათოვენ იდეალური მიჯნურობის ტკბილ-მწარე სახმილის მძებნელ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს...

ტანჯვის უუშორესი წავარნების გადალახვით აღწევენ წყლულდაჩნეული მიჯნურნი თავიანთ სანუკვარ, სანიაზო მიზანს... მწვავე გამოცდის გაუვლელად ანდამატური მიზიდულობის ძალას დაკარგავდა მათი ურთიერთნდომა და საოცრად სუფთა, ამაღლებული სიყვარული... „სურვილთა დიადობანით" ერთიანად მოცული, შეძრული და გათანგული გმირის სახეს ტრაგიკული იერი ედება მაშინ, როცა პერსპექტივა იხშობა და მის თვალსანიერს ბურუსი ფარავს. ხოლო სატრფოს სამყოფელის მიგნება თუ მისი ხილვა ხელახალი შობის ბადალია სევდის ისრებით უმოწყალოდ დაჭრილი რაინდისათვის...

რენესანსული ფსიქოლოგიზმით აღბეჭდილი პოემის სიუჟეტურ პერიპეტიებში ადვილი ამოსაცნობია ჯადოსნური ზღაპრის თავისებურებანი, რაც ყველაზე მკვეთრად და რელიეფურად, შემდეგ სტრუქტურულ მოდელში ვლინდება: დაკარგვა-ძებნა-პოვნა.

რუსთველისეული სიბრძნის თანახმად, ბედნიერების სისრულისა თუ სრულფასოვნების განცდა მიიღწევა იმ შემთხვევაში, როცა ეს ბედნიერება ურთულეს წინაღობათა უკან მოტოვების, სულიერ ძალთა მაქსიმალური დაძაბრვის, მოთმინების, „მი და მო მკრთომელი" გულის დაურვების, მიზანმიმართული მოქმედებისა და თავისთავზე აღმატების მეოხებითაა მოპოვებული.

სოფლის უკუღმართობის გამო გაყრილ, დაშორიშორებულ, სხვადასხვა მხარეს „წარხდომილ" და გადაკარგულ მიჯნურთა კვლავ ერთად შეყრა პოემაში გააზრებულია, როგორც სუსხიანი ზამთრის დაძლევა და დასაწყისი თვისობრივად ახალი ცხოვრების მაუწყებელი გაზაფხულისა...

მოდი, ვნახოთ ვენახი*

(სასკოლო „ვეფხისტყაოსნის“ გამო)

იყო დრო, როცა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი მკითხველი არანაირ შუამავალს არ საჭიროებდა. მაგრამ უკვე პოემის პირველმა მკვლევარმა და გამომცემელმა, ვახტანგ VI, იგრძნო კომენტირების აუცილებლობა. გაჩნდა ნიშნები იმისა, რომ ნანარმოები ველარ იკითხებოდა XII საუკუნის მკითხველის თვალით.

საერთოდ, თანდათან მატულობდა გაუცხოება ძველსა და ახალ კულტურებს შორის. ალაგ-ალაგ თუ გამოანათებდა შუქი – ილიასთან, ვაჟასთან, აკაკისთან. გალაკტიონი წერს: „აქვს აკაკის ისეთი ლექსები, რომელსაც უნდა ვუცქიროთ მეთორმეტე საუკუნის ქართველი მკითხველის თვალით“.

XX საუკუნეში კი თითქოს ყრუ კედელი აღიმართა მკითხველსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის. თანდათან ღრმავდებოდა უფსკრული რუსთველის დროის კულტურასა და თანამედროვე მსოფლმხედველობასა თუ მხატვრულ აზროვნებას შორის.

ისე მოხდა, რომ რუსთველის პოემა მთლიანად მკვლევარ-მეცნიერთა ავტორიტეტულ ხელში აღმოჩნდა და უშუალოდ ერი, რომლის წიაღში შემორჩა ცოცხალი ენის მძაფრი შეგრძნება, და რომელმაც, ფაქტიურად, ჩვენს დრომდე მოიტანა მრავალჭირნახული პოემა, ამ პროცესების პასიური შემხედვარეღა შეიქმნა.

დაარსდა რუსთველისა თუ რუსთველოლოგიის კაბინეტები, შეიქმნა უამრავი სარედაქციო თუ ტექსტის დამდგენი კომისია, უთვალავჯერ გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ – სიმფონია-ლექსიკონით, განმარტებითი ლექსიკონით და ა.შ.

ამ ვეებერთელა ქმედებამ, გარკვეულ სიკეთესთან ერთად, მოიყოლა პოემის მხოლოდ მეცნიერულ-ანალიტიკური თვალით დანახვა, მხატვრული შემოქმედებითი ალღოს არაფრად ჩაგდება, ცალკეული სიტყვებისა თუ მთელი სტროფების მხატვრული ქსოვილიდან ამოგლეჯა და მდარე, გამოშიგნული განმარტებანი.

---

*თანაავტორი თენგიზ მირზაშვილი.

ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება გამოცემაზე, რომელსაც საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი აკისრია. ეს არის სასკოლო „ვეფხისტყაოსანი“ (შესავალი, განმარტებები და კომენტარები ნოდარ ნათაძისა, რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული).

თავისი დანიშნულების სპეციფიკურობის გამო მასში გულდასმით უნდა შეირჩეს განსამარტავი სიტყვები თუ შესიტყვებანი და, რაც მთავარია, განმარტება ნათლად უნდა მიეწოდოს მკითხველს – კომენტარმა უნდა ასახოს XII საუკუნის მხატვრული სული, მსოფლგაგება, მსოფლხედვა.

კვლავ და კვლავ, თავისი დანიშნულების გამო, აუცილებლად მიგვაჩნია სასკოლო „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ხარვეზებზე საჯაროდ საუბარი, საზოგადოებისათვის ჩვენი მოსაზრებების გაზიარება, რათა თავიდან ავიცილოთ ზიანი, რომელიც ნება-უნებლიეთ ადგება „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და სწავლების საქმეს.

ჩვენ შემოვიფარგლეთ პოემის ერთ-ერთი თავის – „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ – პირველი ხუთი (86-დან 90-ეს ჩათვლით) სტროფის განხილვით. მიგვაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი ეპიზოდთაგანია და მისი სწორად გაგება ერთგვარ გასაღებს იძლევა პოემის ქსოვილისა თუ ხატოვანი ენის აღქმისათვის.

გადავხედოთ ზოგიერთ განმარტებას.

86 ა. მოყმე – მეომარი, რაინდი.

მოყმე ასაკობრივ დატვირთვას შეიცავს და ნიშნავს ახალგაზრდა კაცს. მოყმე შეიძლება იყოს მეომარიც, რაინდიც, ასევე – მონადირეც, ხატის მედროშე, სოფლის თუ თემის დამცველი და ა.შ. თუ საბას დავეკითხებით: მოყმე ჭაბუკია; ამასვე ადასტურებს ქართული ლექსი თუ ზღაპარი: როგორც ცით ელვა, მოვარდა მოყმე რამ სვილის ფერია (ვაჟა); მოყმემან პირშიშველამან შიბნ გაიარნა კლდისანი (ხალხ.). „ვეფხისტყაოსანში“ ხაზგასმითაა გამოკვეთილი მოყმის მნიშვნელობა: „ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი“.

მოყმის სინონიმია ყმა: დიდხანს იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან. მაშინღა შეკრთა იგი ყმა და ა.შ. (ყმას სხვა მნიშვნელობაც აქვს – სოციალური).

მეომარი და რაინდი შეიძლება იყოს როგორც ახალგაზრდა, ისე ჭარმაგი (ლუხუმი, ბაბურაული, თორნიკე ერისთავი), ე.ი. – ყველა ასაკის ადამიანი.

86 ა. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა. „ვეფხისტყაოსნის" აკადემიურ, ასევე უმეტეს და წინა სასკოლო გამოცემებში მძიმეს სვამდნენ ნახეს შემდეგ (ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა), რაც ყურადღების ცენტრში აქცევდა არა პოემის მთავარ გმირს, არამედ სანახაობას (ნახეს, რომ უცხო ვინმე იჯდა მტირალი წყლის პირას). ვინმეს შემდეგ მძიმის დასმით კი მკითხველისათვის ნათელი ხდება ავტორის ჩანაფიქრი.

2002 წლის სასკოლო „ვეფხისტყაოსანში" მძიმის დასმა სათანადო ადგილას ამ გამოცემის ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ახლა ტექსტში, მომდევნო ტაეპში ჩნდება გაგება იმისა, თუ ვის „ჰყვა" (ახლდა) ცხენი.

86 ბ. სადავითა ჰყვა – სადავით ჰყავდა, სადავით ეჭირა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც რუსთველოლოგიაში მყარად გაიდგა ფესვი აზრმა, რომ „ჰყვა" ნიშნავს „ჰყავდა"-ს, და იმას, რომ უცხო მოყმეს ცხენი სადავით ეჭირა. ეს ორივე გაგება ამრუდებს და აკნინებს სათქმელის მხატვრულ და აზრობრივ დატვირთვას. ამის გამო, შეცდომა ჩნდება ბნკარედშიც: **держал поводья вороного коня** (ს. იორდანიშვილი). შესაბამისად, სხვადასხვა ენაზე თარგმანშიც გაჩნდა დედანში არარსებული სახე. გამონაკლისია ნუცუბიძისეული თარგმანი: **С львиным схож героя образ. Не разнуздан вороной**. ქართული ენის ზომიერად მცოდნე მკითხველისათვის, თუ იგი არ არის დამძიმებული მეცნიერული მენტალიტეტით, ნათელი უნდა იყოს, რომ წყლის პირას მტირალ უცხო მოყმეს „ჰყვა", ანუ თან ახლდა სადავეამოდებული (სადავიანი) ცხენი.

დავაკვირდეთ:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.

ვინაიდან ამ გამართული სტრიქონების შინაარსის გაგება დაუძლეველი აღმოჩნდა რუსთველოლოგთა თაობებისათვის, ვიმოწმებთ ჩვენი თვალსაზრისის დამადასტურებელ ადგილებს პოემიდან.

რიგ შემთხვევაში „ჰყვას" წინ უძღვის თანდებული „თანა" (ისევე, როგორც თანამედროვე ქართულში „ახლდას" ხანდახან ემატება „თან").

თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
თანა ჰყვა მონა სამოცი, ვით ხელმწიფეთა წესია.

„ჰყვას"-დ „თანა"-ს გარეშეც იგივე მნიშვნელობა აქვს.

კაცი ორმოცი ათასი, ჰყვა ცხენებითა ვარგითა.
ქალი ჰყვა ერთსა მონასა, ვცანმცა თუ მოღმე ვინ არე.
კვლა ფრიდონისნი ააავსნა, სპა ჰყვა თუ სპასალარები,
აავსო კაცი ყველაი, მაშინ მათ თანა ნარები.

ვნახოთ, როგორ იყენებს რუსთველი ზმნა „ჰყავდა"-ს, რომელიც მეცნიერებმა გააიგივეს „ჰყვას"-თან.

თქვე: ჩემებრი ამილბარი, ნაძლევი ვარ, ვისცა ჰყავსა.
ვუჩვენე: ხედავთ ინდოთა ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი?
ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა.

ასე რომ რუსთველთან „ჰყვა" არ ნიშნავს „ჰყავდა"-ს. „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა" არ უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ხსენებულ სასკოლო „ვეფხისტყაოსანშია" ახსნილი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ განსამარტავი შესიტყვება „სადავითა ჰყვა", სახელმძღვანელოში ალოგიკურად არის შერჩეული. ცეზურა ამ სტრიქონს ჰყოფს ორ დასრულებულ ფრაზად: „შავი ცხენი სადავითა" და „ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა". ამ შემთხვევაში თვითნებურად ილახება ცეზურული ბარიერი და ერთმანეთს უკავშირდება ორი ფრაზიდან ამოღებული სიტყვები, რის გამოც ირღვევა ლექსის ლოგიკური მთლიანობა, მუსიკალობა, რიტმიკა და ა.შ.

იმის გამო, რომ უცხო მოყმე ველადაა გაჭრილი და წყლის პირას დროებით ჩამოჯდა, ცხენიც, შესაბამისად, კაზმმოუხდელია. კაზმმოუხდელი და სადავეამოდებული ცხენია XVII საუკუნის დამსურათებლის მამუკა თავაქარაშვილის ნახატზე.

XIX საუკუნის მხატვარს მიხაი ზიჩისაც მისი თანამედროვე ქართველებისაგან ასევე აქვს ტაეპი განმარტებული და, შესაბამისად, მისეული ილუსტრაციაც შინაარსის სწორად ამსახველია.

მივაქციოთ ყურადღება, რომ თუ ცხენს ამ შემთხვევაში სადავე აქვს ამოდებული, სხვა შემთხვევაში სადავე უკუყრილი აქვს: „ნახა შავი შამბთა პირსა დგას სადავეუკუყრილი" („ნახა"-ს შემდეგ მძიმე ჩვენ მიერ არის უარყოფილი).

დავუბრუნდეთ 87-ე სტროფს, სადაც უცხო მოყმეს ხელთ უპყრია მათრახი და, მხოლოდ რუსთველოლოგების წარმოდგენით, მათრახთან ერთად – სადავეც.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ცხენი არენაზე მთავარი გმირის გამოჩენიდანვე თან სდევს მას. იგი იმდენად გამორჩეულია, რომ თვითნებურად პატრონს არ მოშორდება. უცხო მოყმის ცხენის შინაარსით სავსე „ბიოგრაფიის" გამოძახილი ქართულ პოეზიაში დღემდე ისმის. ილიასთან:

მის შორიახლოს ლამაზი ცხენი
კაზმმოუხდელი ძოვდა ბალახსა.

ვაჟასთან:

ტიალი იმის ლურჯაი
გიგლას თავითა ბნდებოდა,
ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
თვალებში ცრემლი სცხებოდა.

86 ბ. ლომსა და ვითა გმირსა – ლომისა და გმირის მსგავსს. მართალია, არ არის გამორიცხული, რომ ვითა თანაბრად ეკუთვნოდეს ლომსაც და გმირსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ვფიქრობთ, რომ ლომი არის ეპითეტი, ხოლო ვითა გმირსა არის შედარება. გავიხსენოთ, რომ ლომი, როგორც ეპითეტი, პოემის დასასრულამდე გაჰყვება ტარიელს; გმირი კი, საბას

განმარტებით: კაცი არს დიდი და საზარელი ტანისა და საქმითაც მეტი და გარდარეული ძალითა და ბუმბერაზი – უმცირეს მათსა, უდიდეს და უმხნეს ჩვენსა. თანამედროვე მკითხველს, რომელსაც გმირზე სხვაგვარი წარმოდგენა აქვს, საფუძვლიანი კომენტარი გაუადვილებდა რუსთველისეული შედარების სწორად გაგებას.

86 გ. აბჯარი – აქ: საჭურველი (ჯაჭვ-მუზარადი, ხმალი...).

აბჯარი მართლაც საბრძოლო საჭურველია. ამასვე გვეუბნება რუსთველი 1377-ე სტროფში:

ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭვ-მუზარადი, ალმასი,
ხმალი ბასრისა მჭრელიო.

აბჯარი, საბას განმარტებით: „ესე ზოგადი სახელი არს ყოველსა საჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვთა".

დავაკვირდეთ: „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა". ამ ტაეპის შინაარსიდან აშკარაა, რომ აბჯარი სწორედ აქ ცხენის აღკაზმულობის ნაწილია. ამავე ცხენის საცვამი ჯაჭვია ნახსენები 217-ე სტროფშიც:

დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;
შეჰხსნა, შეიღო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან.

230-ე სტროფში ვკითხულობთ:

...შავსა აუდვა ლაგამი, სწმენდდა რიდისა წვერითა,
შეკაზმა, მოაქვს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერითა.

ამდენად, სახელმძღვანელოში აბჯარი კონტექსტის გაუთვალისწინებლადაა განმარტებული.

რაფიელ ერისთავი

„რაფიელ ერისთავის მსგავსმა ადამიანებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენ – დღევანდელ ქართველებს იმედის თვალით შეგვეხედა მომავლისთვის".
გურამ ასათიანი

XIX ს-ის ქართული მწერლობის მესაძირკვლეთა შორის მკვიდრი ადგილი უჭირავს რაფიელ ერისთავს. მისი მხატვრული ნააზრევი, პუბლიცისტური ნაწერები და ხანგრძლივი, თითქმის სამოცწლიანი საზოგადოებრივი მოღვაწეობა თვალსაჩინო მაგალითია მშობელი ქვეყნისა და ხალხის მიზანმიმართული, განუხრელი მსახურებისა... წონადია და დაუვიწყარი სულიერების სფეროში განეული ღვაწლი რ. ერისთავისა; სრულიად განსაკუთრებულია მისი წვლილი და დამსახურება ქართველი ერის ძირძველ წეს-ჩვეულებათა თუ ყოფით-ეთნოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლის სფეროში.

რაფიელ ერისთავის ცხოვრების გზა არ ყოფილა უზიგზაგო და სწორხაზოვანი, ფართო და იოლად სავალი. სამსახურებრივი მოვალეობების გამო საქართველოს არაერთ კუთხეში მოუნია წლობით ყოფნა და, შეიძლება ითქვას, მშრომელებთან ყოველდღიურმა სიახლოვემ, მათი ჭირისა თუ საწუხარის გაზიარებამ ღრმა კვალი დააჩნია მის თავისთავად პოეტურ შემოქმედებას. ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელმა ზედმიწევნით გაიცნო ქართველი გლეხობის, მიწის-მუშაკებისა და მევენახეების მძიმე, დუხჭირი ცხოვრება და შთამბეჭდავი მხატვრული შტრიხებით ასახა თავის პოეზიაში.

რაფიელ ერისთავი დაიბადა 1824 წლის 9 აპრილს, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში. მამა – ქისტაურელი მემამულე დავით ერისთავი დიდგვაროვანი წრის წარმომადგენელი იყო; დიდგვაროვანი გახლდათ მისი დედაც – ნინო ავთანდილის ასული ამილახვარი, სოფელ ჭალიდან (ქართლი). სოციალურ „აღმატებულობასა" და წოდებრივ უპირატესობას ხელი არ შეუშლია რაფ. ერისთავისთვის, ყოფილიყო თანადროულობის საარსებო ინტერესებისთვის მებრძოლი და ბედისგან ჩაგრულთა მხურვალე გულშემატკივარი, ქომაგი და უპირ-

ველესი ჭირისუფალი... როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს, „ამილახვრებისა და ერისთავების შთამომავალი, თითქოს წინაპართა ცოდვებს ინანიებსო, ერთი მძლავრი მობრუნებით გლეხებში გადავიდა და მათი ცხოვრებისა და ოცნების გამომხატველად იქცა“ (კოტეტიშვილი 1955 : 505).

შვიდი წლის რომ შესრულდა, დედამ წერა-კითხვა შეასწავლა. შემდეგ თელავის სამაზრო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც ორი წელიწადი დაჰყო. მისი მოწაფეობის წლებიდან სულის სარგოობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის პერიოდი, რომელიც შუამთის მონასტერში გაატარა. მოწესე ბერების გარემოცვაში ყოფნამ მრავალმხრივ პოზიტიური კვალი დატოვა ცნობისმოყვარე მოზარდის არსებაში. აქ რაფ. ერისთავის მასწავლებელი იყო ფილადელფოს კიკნაძე, რომლის სახელთან, გარდა ნაყოფიერი სასულიერო მოღვაწეობისა, დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულების წესდებისა და საიდუმლო ანბანის შექმნა. შუამთის მონასტერში რაფიელ ერისთავი საფუძვლიანად გაეცნო გრამატიკას, დიალექტიკას, რიტორიკას, საეკლესიო გალობასა და, რაც მთავარია, საღვთისმეტყველო საგნებს. ამის მერე დამწყები შემოქმედი სწავლას განაგრძობს კეთილშობილთა სასწავლებლად სახელდებულ თბილისის გიმნაზიაში. 1845 წელს ასრულებს გიმნაზიის კურსს და იწყება მისი სამსახურებრივი კარიერის გრძელი და მომქანცველი გზა. თავდაპირველად თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში მსახურობდა თარჯიმნად; 1848 წლიდან – შტატგარეშე მუშაკად კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს კანცელარიაში, ხოლო სამი წლის შემდგომ კავკასიის მეფის „სტოლნაჩალნიკის“ უფროს თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. მეტნაკლები ვადით სხვადასხვა თანამდებობაზე იმყოფებოდა ახალციხეში, ზუგდიდში, ქუთაისში. მისი გამოცდილება და კომპეტენცია ასევე წვდებოდა სვანეთს, რაჭას, სამურზაყანოს.

ჟურნალ „ცისკრის“ 1852 წლის მე-7 ნომერში რაფ. ერისთავის ორი ლექსი – „დარიგება“ და „ყვავილს“ – გამოქვეყნდა. ეს იყო მისი პოეტური ბიოგრაფიის დასაწყისი. იმისდა მიუხედავად, რომ რაფიელ ერისთავს არასდროს ჰქონია შემოქმედთათვის ესოდენ სასურველი ცხოვრებისეული სიმშვიდე და

მოცალეობა, მან მაინც შეძლო და შექმნა იმ რანგის პოეზია, დღემდე რომ იუნჯებს და ინარჩუნებს საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ურღვევ მხატვრულ ღირებულებას.

* * *

კიტა აბაშიძის დახასიათებით, რაფიელ ერისთავი იყო წყნარი და არა მედგარი მეომარი; ამასთან, „მოკვდავთაგან გარჩეული" მაღალი სულის ადამიანი (აბაშიძე 1962: 412).

იმას, რომ რაფიელის პიროვნულ ღირსებას დიდწილად განსაზღვრავდა სათნოება და უეშმაკობა, მიმნდობლობა და ღვთისნიერება, მისი მონაფეობის ჟამს შუამთის მონასტერში არსებულ სწავლა-აღზრდის წესსა და რეჟიმს უნდა ვუმადლოდეთ... კაცთმოყვარეობა და მოლხენისკენ მიდრეკილი ბუნება სხვათათვის თუ სიამისა და კაი გუნება-განწყობილების მომტანი იყო, საზიანოდ და სამავნეოდ უბრუნდებოდა თვით მას, სულის სითბოსა და სიკეთის უანგაროდ და უანგარიშოდ გამცემს. თედო სახოკიას მიერ მოთხრობილი ამბავი (სახოკია 1984: 14-20) თვალნათლივ წარმოგვიდგენს, რაოდენ წამგებიანი და უკუშედეგის მომცემია სავაჭრო ქსელში იმ კატეგორიის კაცის ჩართვა, ვისთვისაც ფულსა და მატერიალურ ფასეულობაზე ბევრად წინ შეულახავი სულიერება და წმინდა ადამიანური ურთიერთობები დგას.

რაფ. ერისთავს საგულდაგულოდ მოვლილი საუკეთესო ვენახები და საუცხოო ღვინო ჰქონდა ქისტაურში. „კომპანიონ" სიკო გრძელიშვილის რჩევითა და „თანადგომით" თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, სარდაფი დაიქირავა და შესაფერისი აბრაც გააკრა. ერთ მშვენიერ დღეს სარდაფს ღვინის კასრებითა და რუმბებით დატვირთული ურმები მიაყენა. დაიწყო მისთვის ახალი, უცადი, უჩვეულო საქმიანობა. რაფიელი თვითონ იყო მიმტანიც და, ხშირად, ტოლუმბაშიც. „კლიენტი" დიდად ნასიამოვნები და კმაყოფილი გამოდიოდა სარდაფიდან. დათმობა და მიმტევებლობა ცხოვრების წესად ჰქცეოდა და, გამომდინარე აქედან, მომდურავი არავინ ჰყოლია. ხელგაშლილ „კომპანიონებს" ძვირად დაუჯდათ სიკოს ბიძის, „ბაყბაყდევის ნატეხის", მეჯვრისხეველი მღვდლის დავით გამრეკელის გადაბმული, რამდენიმედღიანი სტუმრობა: მოგების მაგი-

ვრად ვალები დაედოთ, დაუგროვდათ, დაუმძიმდათ და უარესი მომავლის შიშით სარდაფი დაკეტეს. დამთავრდა სავაჭრო სფეროში რ. ერისთავის ხანმოკლე საქმიანობის წარუმატებელი ეტაპი; დაიწყო უპოვრობის პერიოდი, შიმშილი და კვლავ სამსახურის ძებნა.

* * *

რაფიელ ერისთავის გამოჩენა სამწერლო სარბიელზე, ღვთის ნებით თუ ისტორიული კანონზომიერების კარნახით, დაემთხვა საქართველოს კულტურული ცხოვრების იმ ხანას, იმ მონაკვეთს, როცა რომანტიკოსები ასპარეზს ტოვებდნენ, ავანსცენიდან ჩამოდიოდნენ და თანდათანობით მზადდებოდა ნიადაგი „თერგდალეულთა" მოსვლისთვის. რაფ. ერისთავი იყო ერთგვარი შუამავალი და, შეიძლება ასეც ითქვას, დამაკავშირებელი ხიდი ქართველ რომანტიკოსებსა და სამოციანელებს შორის. მას ხვდა ხვედრი, ყოფილიყო ილიას, აკაკის, ვაჟას და ყაზბეგის წინამორბედი და, ამასთან, მათი იდეური მომხრე და თანამოაზრე. თუმცაღა ბრწყინვალე თანავარსკვლავედის ამოსვლამ ეროვნული მწერლობის ცის კაბადონზე ნაწილობრივ დაჩრდილა და გადაფარა რაფიელის ღვანლი და მონაგარი მხატვრული სიტყვის მსახურების საპატიო სამრეკლოში. კიტა აბაშიძის ნათქვამი რომ გავიმეოროთ, „რაფიელ ერისთავის ლიტერატურული სახელი და დიდება უფრო საფუძვლიანი და ხანგრძლივი იქნებოდა, რომ იმ დროში არ შეხვედროდა მოღვანეობა, როცა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე... მეთაურობის მაგიერ მას უბრალო მუშაკობა არგუნა ბედმა" (აბაშიძე 1962: 411).

თუკი თავდაპირველად რომანტიკოსების საგრძნობ გავლენას განიცდიდა, რაც, ძირითადად, მისი გმირების პასიურობასა და უმოქმედობაში ვლინდებოდა, მერე და მერე ნაბიჯ-ნაბიჯ გადაინაცვლა ცხოვრებისეული მოვლენების რეალისტურად შემფასებლის პოზიციებზე და თავის შესანიშნავ შემოქმედებაში კუთვნილი ადგილი დაუთმო დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა განცდების ადეკვატურად გადმოცემას.

ეს იყო ლეთარგიული თვლემისა და ძილის უმძიმესი ხანა ჩვენი ერის ისტორიაში; ხანა, როცა ავისმაუწყებლად მიმქრა-

ლიყო და მინელებულიყო საქვეყნო ფიქრი, მის ფეხზე დაყენებასა და წელში გამართვაზე ზრუნვა, უკეთესი ხვალინდელი დღისთვის ღწვა და გულშემატკივრობა; როცა პირადი ჭირ-ლხინი ყველას ახსოვდა, ხოლო საზოგადო სატკივარი – ძალზე ცოტას... ეს იყო ქართული ეკლესიის გაუქმებული ავტოკეფალიისა და დაცემული სახელმწიფოებრიობის მრუმე, საბედისწერო წლები.

რაფიელ ერისთავი მხატვრული სიტყვის უკიდეგანო სამყაროშიც ეძებდა წამალს, რომელიც დავრდომილ, დაბეჩავებულ, რუსეთის ცარისტული რეჟიმის გამანადგურებელი გავლენისგან ზნეობრივი დეგრადაციის გზაზე დამდგარ მის თანამემამულეებს თვალს აუხელდა და წყვდიადით მოცული დილეგიდან გარეთ, პირმზითში გამოიყვანდა. რაკი სათქმელის ღიად, მიუკიბ-მოუკიბავად გადმოცემა მკაცრი ცენზურის პირობებში ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, რ. ერისთავმა ასეთი ხერხი იხმარა: სულხან-საბა ორბელიანის კრებულიდან – „სიბრძნე სიცრუისა“ – გამოკრიბა რამდენიმე ცნობილი იგავ-არაკი და გალექსა; ასევე გადმოაქართულა და ლექსად გამართა კრილოვის პოპულარული იგავ-არაკები. სულხან-საბას დამრიგებლობითი ხასიათის პროზაულ ქმნილებათა „თვითნებური“ გადამუშავების მიზეზად რაფ. ერისთავი შემდეგ გარემოებაზე მიუთითებდა: „მე გამოვკრიბე თხუთმეტი რჩეული იგავ-არაკი საბა ორბელიანისაგან შედგენილის „სიბრძნე-სიცრუისაგან“ და გავლექსე იმ განზრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა, განშორდენ ბოროტსა მიმოდრეკილებასა და შეისწავლონ ძველებური ქართული მდაბიო ენა, რომლითაც საბა ორბელიანი გვიხატავს არაკებში მოქმედთა პირთა...“ (ერისთავი 1958: 558).

* * *

რაფიელ ერისთავის პოეტური ნატურა და მსოფლმხედველობა დგინდებოდა და ყალიბდებოდა მაშინ, როცა რომანტიზმი თავისი წარმატების ზენიტს წვდებოდა. იმდროინდელი ქართული პოეზიის საერთო ხასიათსა და სულისკვეთებას ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის მხატვრული სიტყვა განსაზღვრავდა. მათ სახელებთან იყო ასოცირებული ეროვნული პოეტური შემოქმედების მაგისტრალური ხაზი.

ძნელია თვითმიერობის მიღწევა და შენარჩუნება, როცა შენს წინამავალთა შორის დიდად ავტორიტეტული, აღიარებული, მკითხველთა ფართო წრისთვის აპრობირებული ავტორები დგანან; ძნელია, რადგან ემპირიული სამყარო თავის ძირეულ ნაწილში უცვალებელია და მისი ასახვა წინა თაობათა მწერლური გამოცდილების გათვალისწინებასაც უსათუოდ გულისხმობს...

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დანახული და ხაზგასმულია ის შემხვედრი წერტილები, სადაც რაფიელ ერისთავი თავის თანამედროვე რომანტიკოსებთან მსოფლმხედველობრივ სიახლოვეს ამჟღავნებს. და ეს, ალბათ, ყველაზე არგუმენტირებულად სატრფიალო პოეზიასთან მიმართებაში ითქმის.

ცხოვრების წარმავალი სიკეთეებით ჭარბი ტკბობის, აულაგმავი ვნებიანობის, ღვინით თრობისა თუ ქალის სხეულის მშვენიერების პოეტური აპოლოგიის მოტივები, ისევე როგორც რომანტიკოსებისთვის, არც რაფ. ერისთავის პირველი პერიოდის ლირიკისთვის ყოფილა უცხო. თვალნათლივი და უდავოა რაფიელის მთელი რიგი ლექსების ანაკრეონტული ხასიათი. პოეტისთვის პირველადია ქალის ფიზიკური სილამაზე, გარეგნული ხიბლი და მხოლოდღა მერე – მისი სულიერი ფიზიონომია, ღრმადინდივიდუალური შინაგანი სამყარო. და ვინაიდან ვიზუალურ ეფექტზე დამყარებული დროებითი გატაცება, არცთუ იშვიათად, გაწბილებით და სრული იმედგაცრუებით ბოლოვდება ხოლმე, რაფიელ ერისთავი, გამომდინარე პირადი გამოცდილებიდან, სხვებს ურჩევს და მოუწოდებს, არ აჰყვნენ წამლეკავ წუთიერ ვნებებს და თავი შორს დაიჭირონ ბროლის თითებისა თუ მღელვარე მკერდის მქონე არშიყი ქალებისაგან.

ლექსში „დარიგება" პოეტი ამბობს, რომ „ტანად სარომ" და „ყელ-ბროლ-ფიქალმა" შავთვალებამ ჯერ დაიახლოვა, შეიჩვია, მიითვისა, ხოლო შემდეგ უგანა და სხვის გზას შეუდგა.

აქედან დასკვნა:

გვიჯობს, მოყვასნო, მოვერიდნეთ არშიყსა ქალსა.

(ერისთავი 1958: 42)

ანალოგიური შინაარსით იქცევს ყურადღებას სამი წლის წინანდელი ლექსი „ჩემს მეგობართ".

რაფიელ ერისთავის ლირიკაში წლების მატების და მინაზე მყარად დამკვიდრების კვალდაკვალ კლებულობს ე.წ. ჰედონისტური ნაკადი, მწველი მიწიერება და აღმოსავლური გახელება. ჩნდება იმგვარი განცდა, თითქოს მხედველობას ლიბრი შორდება, თვალწინ ჩამოწოლილი ნისლი და ბურუსი იფანტება, სივრცე იწმინდება, იდარებს და მნიშვნელოვანნილად იცვლებიან და სხვაფერდებიან ადრინდელი პრიორიტეტები.

დრო გადის და პოეტის ხმაში გაჩენილ ბზარს ნაღველი ავსებს, სევდა ასევადებს, სიტყვის სალბუნით მორჩენა და გამთელება აღარ უხერხდება. ორმოცი წლის პოეტი ასე მიმართავს თავის საცოლეს, ჩვიდმეტი წლის ფეოდოსია ერისთავს:

... რად შემიყვარებ? განა არ ვიცი,
შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი,
ფიქრმა და დარდმა სულ დამადუნა,
ადრე დამაჭკნო, დამაძაბუნა,
კისერში მაგრა ჩამიკაკუნა...
(ერისთავი 1958: 14)

თუკი სიჭაბუკეში „ნეტარების ცრემლს" ღვრიდა, „სიყვარულით სავსე" და „სხივებრ მალ" შავ თვალებს შეხაროდა, ეტრფოდა, ეწონებოდა და მათი ელვის უკმარისობასაც კი უჩიოდა, გამოხდა ხანი და სხეულებრივი სილამაზით ტკბობა სულიერი მშვენიერების ამაღლებულმა განცდამ გადაფარა:

მისთვის მიყვარხარ, რადგანა ხარ უმანკო სული.
(ერისთავი 1958: 9)

დროითი დისტანციიდან ჩავლილი ხდომილებების ხედვამ, სიმწიფისა თუ სოლიდური ზრდასრულობის უღელტეხილიდან გარდასული წლების ავ-კარგის შეცნობამ, შეფასებამ, მომხდარი მოვლენების გონებით განსჯამ და ცხოვრების კანონზომიერებათა იდუმალ სიღრმეებში შეღწევამ ბევრი რამის გადაფასება და პესიმისტურ ხმოვანებასთან გადაქსოვილი

ყოფიერების რეალისტური აღქმა განაპირობა რაფიელ ერისთავის, როგორც შემოქმედის, პიროვნებაში.

ლექსი „ჩემს საყვარელს" ზემოთქმულის მკაფიო, ცხადსახილველი დასტურია:

მე ნეკტარს გთხოვდი – ნაღველს მასმევდი,
მე იას გთხოვდი – ნაცარს მაყრიდი,
მე გულსა გთხოვდი – სიცილს მაყრიდი,
მე ბეჭედს გთხოვდი – ბორკილს მიყრიდი...
(ერისთავი 1958: 22)

ჰედონისტურ განცდათა უშუალო გამოძახილია ლექსები, რომლებშიც ღვინის, ქეიფისა და უდარდელი დროსტარების ქებაა აღვლენილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გენეტიკური კოდი კარნახობდა პოეტს, ვაზის ნაჟურის პოზიტიური მხარე წამოეწია წინა პლანზე და უტრირებულად აღენიშნა მისი ფუნდამენტური მნიშვნელობა ქართველი კაცის ყოველდღიურ ყოფაში.

რ. ერისთავის თვალთახედვით, ღვინოა ის კეთილშობილი სითხე, ჯიღად რომ ადგას სალხინო სუფრას, „ცამდის რომ აგვამაღლებს", გვაბედნიერებს, გვაამაყებს, თვალს გვიხელს, მხდალს აგულიანებს და მკლავის ჯანს უმატებს.

„მევენახის სიმღერაში" ავტორი ისე ესიტყვება „შვილივით ნაზარდ" ვაზს, როგორც სულიერს, ნებისმიერ დროსა და ადგილას გამოსადეგ მეგობარს:

ჭირიმე შენი ფესვისა,
მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი,
იმედით – გასაჭირშია!
(ერისთავი 1958: 26)

ხოლო ღვინისგან განუცალკევებელია ისეთი საოჯახო, საყოფაცხოვრებო ატრიბუტი, როგორიცაა ყანწი. შედარებით სხვა სასმისებთან, ფიალა იქნება თუ აზარფეშა, ყანწის უპირატესი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ „მანამ არ დასცლი, ვერ დასდგამ ძირსა".

და, ამდენად, ის უფრო უხდება და შეშვენის გულღია ლხინს, ვიდრე რომანტიკოსების პოეზიაში უკვდავქმნილი აზარფეშა ანდა ფიალა, რომელთა გამოცლას მათივე ფორმა და კონფიგურაცია მაინცდამაინც არ გაიძულებს, არ გავალდებულებს.

ზომიერი თრობის, თავდავიწყების ზღვაში გადაშვებისა და ამქვეყნიური კირთების, ტანჯვისა და სიმძიმილის გადავიწყებისკენ მოწოდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ანაკრეონტის (VI-V სს.) სახელს უკავშირდება, ორგანულად ჰქონდა განცდილი და გათავისებული რაფიელ ერისთავს. თუმცაღა არც ვერბალურ დონეზე მიმბაძველობის გარკვეული „დოზის" გამორიცხვა იქნებოდა სწორი და სამართლიანი, როცა მის საამსოფლო გატაცებებისა თუ მიდრეკილებების შესახებ ვსაუბრობთ იმის გათვალისწინებით, რომ „რაფიელ ერისთავის მსგავსი პიროვნებებისთვის, – წერს გურამ ასათიანი, – ეროვნული ინტერესები განუყოფლად იყო დაკავშირებული სოციალური პროგრესისა და ჰუმანურობის მაღალ პრინციპებთან" (ასათიანი 2002: 58).

* * *

უმთავრესი რამ, რაც რაფ. ერისთავის პოეზიას, საერთოდ, მის მუდამდღიურ ფიქრსა და დაუდგრომელ, დაუცადებელ საზოგადოებრივ საქმიანობას მსჭვალავს, ეს არის იმდროინდელ საქართველოში ესოდენ რეზონანსული სოციალური პრობლემატიკა.

არსებული რეჟიმი, დაფუძნებული ძალმომრეობასა და იურიდიულ უსამართლობაზე, ისედაც დაძაბუნებულ, დამცირებულ და შეურაცხყოფილ ყმა გლეხობას საარსებო სივრცეს უზღუდავდა, ავიწროებდა და აიძულებდა, თავისი ნაშრომ-ნაამაგარი სხვათათვის, მადააშლილი მებატონეებისთვის და ათასი ჯურის მჩაგვრელებისთვის დაეთმო და მიერთმია.

რ. ერისთავი, მსგავსად მის შემდგომ ასპარეზზე გამოსული ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, ოცნებობდა არა მხოლოდ იმაზე, რომ ქართველი კაცი ქონებრივად შეძლებული და უზრუნველყოფილი ენახა, არამედ გონებაგახსნილი, განვითარებული, ზნეობრივად დახვეწილი და ამაღლებული ადამიანების სიმრავლეც ენატრებოდა. ხოლო ამის მიღწევა

ნოდებრივი უთანასწორობის მოსპობის გარეშე შეუძლებელი ჩანდა. შესაძლოა, სათანადო შემართება და გამბედაობა აკლდა, მაგრამ რაფიელ ერისთავი მთელი თავისი შეგნებით, მრწამსით და მოქალაქეობრივი პოზიციით წინააღმდეგი იყო ბატონყმობისა. ცნობილია, რომ მას საიდუმლო კავშირი ჰქონდა დამყარებული სამეგრელოს გლეხთა აჯანყების მოთავეებთან, თუმცა მისი აქტიურობა მორალური მამხილებლის მისიით იფარგლებოდა...

დედები გულქვა ბატონებისგან წართმეული შვილების დაბრუნებას ითხოვენ, მაგრამ უშედეგოდ. ფუჭი და ამაოა მათი მდუღარე გულისთქმა. ღარიბ-ღატაკი და გამწარებული ადამიანების ცხოვრება ერთ გაბმულ, გაუთავებელ, პერმანენტულ კოშმარს დამსგავსებია. უკომპრომისო პროტესტს ვერ ბედავენ და დაგროვილი ბოღმა და ბალღამი გულში უდუღთ. უსამართლობასთან ყოველწამიერი შეხება შინაგანად შლის, ანგრევს და ანადგურებს ბატონყმობის ეპოქის პირმშოთ.

მთელი ბედუკეთური სოციალური ფენის სათქმელი და მდგომარეობაა უკუფენილი შემდეგ სტრიქონებში:

ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,
ე შრომა მაინც ფუჭია,
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,
ვერ გამოვიძღე კუჭია.
(ერისთავი 1958: 110)

ბატონისაგან ჩაწიხლული გლეხი ქალაქში მიდის, რათა ახლებურ, ცოტათი მაინც უკეთეს ცხოვრებას მოეკიდოს, მაგრამ არც იქ უმართლებს: ქალაქშიც უყურადღებობის, აბუჩად აგდებისა და დამცირების ობიექტი ხდება, რაც კიდევ უფრო უსასოოსა და აუტანელს ხდის მის ყურუმ ყოფას.

გლეხების უნუგეშო მდგომარეობა რელიეფურადაა ასახული რაფ. ერისთავის არაერთ ლექსში. მათგან უნდა დავასახელოთ შემდეგი სახიერი ნიმუშები: „სესიას ფიქრები", „ბერუას ჩივილი", „თანდილას დარდი", „რას შემომცქერი, ძმობილო", „დედაბრის მოთქმა".

თუ სესია იმის გამო ჩაფიქრებულა, რომ მიწაა მისი დედ-მა-

მა, ძმობილი და თვითონაც ნიადაგ მიწაა, თანდილას სხვა საწუხარი უღრღნის გულს:

მომიკვდა ხარი გიშერა,
მოკვდა, გამინყრა ღმერთია.
(ერისთავი 1958: 97)

კიდევ უფრო უარესია იმათი ყოფა, ვინც გარეთ გამოუგდია გაჭირვებას, უპოვრობას, ულუკმაპურობას, თავმოყვარეობაზე ხელი აუღიათ და გამკითხავის მოლოდინში ათენ-აღამებენ. ასეთთა ხვედრი ნაადრევი სიბერე, დაჩაჩანაკება და ყოველივე ამის გამო თავშეუკავებელი მოთქმაა.

„მთხოვარა გლახაკი" ამგვარად ძერწავს საკუთარ პორტრეტს:

დროებათა ქარიშხალთა დამბერეს,
გამითეთრეს თმები და დამაბერეს...
სიღარიბემ წელში ხუთად გამღუნა,
ჭირმა, სევდამ დამცა, დამაძაბუნა.
(ერისთავი 1958: 10)

საზოგადოებისაგან გაუცხოება, მხოლოდ პირადზე მოფიქრალ ადამიანთა სიმრავლე, გულგრილობის სიმპტომი, სხვისი სიცოცხლის ჩალასთან გათანაბრება და არადჩაგდება გლეხის ყურადღებას სხვა სიბრტყეზე, სხვა მიმართულებით გადაანაცვლებს. რაკი თანამსგავსთა შორის დარდის გამგები და გამზიარებელი არ ეგულება, მთელ თავის იმედს ბუნების მოწყალებაზე, მადლიან მიწაზე, ჭირნახულის სიუხვეზე ამყარებს. მისი ხოტბის საგანია მარჩენალი ყანა, თვალსაც რომ ახარებს და შედარებით უშფოთველი მერმისის მყარ წინაპირობადაც მოიაზრება: ჯარს, ჯამაათსა და ჯალაბობას შიმშილი აღარ შეაწუხებთ, ხოლო მკვდარს საფლავი ეკურთხება...

ყანავ, შენ ჩემო ყანაო,
ნამი გიამა თანაო!

გიხდება ოქროს ქოჩორი,
რამ შეგქმნა მაგისთანაო!
(ერისთავი 1958: 82)

და აღარც გლეხად ყოფნას ემდურის, რაკილა ჟამთა ცვლას არ დაქვემდებარებია და რასაც აქამდე შეხაროდა, ახლაც მისივე შემხედვარე და მოიმედეა:

რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ,
მიდგას მე კარგი ყანები,
გლეხად დამბადა უფალმა,
იმასამც ვეთაყვანები!..
(ერისთავი 1958: 134)

რაფ. ერისთავის პოეზიაში გარესინამდვილესთან გლეხის მიმართება რომანტიკულ გაგებას გამორიცხავს. უტილიტარულია მისი დამოკიდებულება მთებთან და ველ-მინდვრებთან. ბუნების თვალწამტაცი სურათებით ტკბობის მომენტი რ. ერისთავის პოეზიაში უქვემოეს ნიშნულამდეა დაყვანილი. გლეხი, რომელსაც ცისთვის ცქერისთვის არ სცალია, მწარე საგონს ეძლევა მაშინ, როცა დარავდრის ღვთაება გაგანია გვალვას ინებებს და სულიერი არსების დარად უმძიმს ყანას:

პაპანებაა, ბუღი დგას,
უჭირს საბრალო ყანასა,
გაჭირდა, გვალვას ვერავინ
ვერ უძლებს ამისთანასა...
(ერისთავი 1958: 108)

რუდუნებით ნახნავ-ნათესის ბოლოკეთილი მალამოდ ედება გლეხის დარდიან გულს. უყურებს და ხარობს მიწის ბარაქით. წლის მოსავალი ხომ ის უსაყვედურო ნობათია, უფალი რომ იმეტებს ალალმართალ მეშრომეთათვის. დამდგარა დარიანი დღე და სიხარულის სხივი მიჰფენიათ ნაამაგარ გლეხებს. ახლა შეუძლიათ ერთურთს ახარონ და მიულოცონ ზღვისებრ მღელვარე ყანის კეთილფეროვნება...

ბიჭო, პური შემოსულა,
ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად,
უფლის თვალი შიგ ტრიალებს, –
მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!..
(ერისთავი 1958: 74)

მსგავსი სურათი, განწყობილება და მხატვრული სახეები გვხვდება ლექსში „თინიას მამითადი". ღვთისნიერთა დახმარებით გახარებული „საწყალობელი" თინია ციბრუტივით ტრიალებს. ერთი დღის ნაოშ მიწაში მუჭა-მუჭა ჩამოთხოვილი თესლი ჩაყარა და მალე ნახნავში „ღვთის თვალი" გაჩნდა. დამძიმებულმა „თავთავმა თავი დახარა". დილაადრიან შეკრებილი სოფლის რჩეული ბიჭები შეძახილებით მოედვნენ ქვრივის ყანას... ყოველივე ამის შემსწრე და შემხედვარე უჩინარი პერსონა აღფრთოვანებას ვერ მალავს:

არ შევხვედრივარ მამითადს
მე არსად ამისთანასა!..
(ერისთავი 1958: 92)

შეუძლებელია არ დაეთანხმო სილოვან ხუნდაძის სიტყვებს: „რაფიელ ერისთავს ზედმიწევნით შეუსწავლია ხალხის ფსიხოლოგია, მისი ზნეჩვეულება, მისი ენა და ამიტომაც განსაკუთრებით მოხდენილათ ხატავს ხალხურ ტიპებს, ლამაზი პოეტური ფორმით გადმოგვცემს ხალხურ ლეგენდებს" (ხუნდაძე 1918: 6).

რაფიელ ერისთავის პოეტური პალიტრა გლეხთა დამქანცველი საქმიანობის ვრცელ არეალს წვდება და მოიცავს. ესაა წლის სამეურნეო ციკლის ფართო პანორამა, თავისი უწყვეტი, აღმავალი დინამიკით რომ იპყრობს მკითხველის გულისყურს. მოკიდებული ადრიანი გაზაფხულიდან ვიდრე გვიან შემოდგომამდე გლეხის მუხლს მოხრა და დასვენება არ უწერია. ნაბადში გახვეული ღამის მეხრე, ურმებით აღზევანს მიმავალი ხალისიანი ბიჭები თუ წითლად დამწიფებული ყურძნის უხვი მოსავლით გამხნევებული მევენახე ქართული სოფლის უა-

ღრესად თბილი, კოლორიტული, სანდომიანი სახეებია... და ეს ყოველივე წელიწადის არეთა დიალექტიკური ერთიანობისა და ბუნებრივი ციკლის კონტექსტშია მოქცეული: გაზაფხულია ის ნეტარი პერიოდი, როცა თოვლი ლანქერებად ატირდება, ადიდდება წყლები, „მოკლე ხნის" სტუმრად მოვა ყვავილი, ბალღები გამხიარულდებიან, პაპას ძვლები გაუთბება და სახნის-საკვეთი მიწის გულის გასაპობად მოემზადება... ამას მოსდევს გვალვიანი ზაფხული, ანეულის ამინდები და სიმინდის თოხნა... ზაფხულს ჭირნახულისა და სარჩო-საბადებლის მოწევის ჟამი შეცვლის; ჟამი ყანების სიმწიფისა, ყურძნის მარცვალში მზის თვალის ჩასვლისა და ჩაბადაგებისა... და ბოლოს ზამთარი – შობა და ახალი წელი; ლეგა ღრუბლები და თეთრი „ფერფლის" ცვენა ციდან, გუნდაობა და ჩიტებისთვის დადგმული კაკანათი, ციგაობა და თოვლში კოტრიალი.

რაფიელ ერისთავი სოფლური გარემოს უბადლო მხატვარია. მისი გლეხების ღირსება და სამკაული მათივე პიტალო პატიოსნება, უზაკველი ზნეობა და შეუბღალავი სინდის-ნამუსია. მოჭარბებული სიკეთე და კაცთმოყვარეობა ნებას არ აძლევთ, აუგი თქვან და აუმხედრდნენ მჩაგვრელებს, მძარცველებს, ავისმქმნელებს. თვლიან, რომ ღვთის თანხმობისა და დასტურის გარეშე ამ ქვეყნად არაფერი ხდება და, ამდენად, მკრეხელობად მიაჩნიათ მისი განაჩენის წინააღმდეგ წასვლა. ტეტია, სესია თუ ბერუა ღმერთს არიან მინდობილნი და მთელ თავიანთ სასოსა და ნუგეშს მას უკავშირებენ. ქრისტიანული მორალია მათი ქცევისა და სხვებთან ურთიერთობის უძრავი ქვაკუთხედი. პოეტის გმირთა უზღვავი ჰუმანიზმი მისივე მსოფლმხედველობის კანთიელი ანარეკლია... საღვთო წიგნების კეთილისმყოფელმა გავლენამ, შეიძლება ითქვას, მკაფიოდ იჩინა თავი რაფ. ერისთავის მხატვრულ ნააზრევში.

რ. ერისთავის პოეტური ინტერესისა თუ ორიენტაციის ერთ უმთავრეს წახნაგს მიაქცია ყურადღება გერონტი ქიქოძემ: „რაფიელ ერისთავს განსაკუთრებით მარტივი ბუნების ადამიანის, ბავშვის, სოფლიდან გამოუსვლელი გლეხის, კლდეებთან შეზრდილი მთიელის სულიერი განცდების ასახვა ეხერხება და მთელს მის ლირიკას ერთგვარი პრიმიტიულობის ბეჭედი აზის" (ქიქოძე 1947: 187).

ყმაწვილის ბუნების ცოდნა და მის, ასე ვთქვათ, წადილთა წვდომა რაფიელ ერისთავის პოეზიის კიდევ ერთი ნიშანდობლივი მხარეა. პოეტი წერს არა უზრუნველი ცხოვრების „სასათბურე" პირობებით განებივრებულ მოზარდებზე, არამედ საზოგადოების რიგით, სოციალურად დაუწინაურებელ, უბრალო ადამიანთა შვილებზე, რომელთათვისაც საღი გონება, სწავლის წყურვილი და შრომის სიყვარული უბოძებია გამჩენს. ისეთ ლექსებში, როგორებიცაა – „მიპატიჟება სასწავლებელში", „ზამთარი" და „ჯერ შრომა, მერე ხტომა" – კარგად ჩანს ჩვენი სოფლის სისადავე, პასტორალური სიმყუდროვე და ის ფესვეული, ფუძისეული სიმტკიცე, თაობათა მემკვიდრეობითობის უწყვეტ პროცესში რომ გამოიხატება. ესაა გენეტიკური სიმთელე, სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე, რაც ქვეყნის უჭირველი და გარანტირებული მომავლის აუცილებელი წინაპირობაა.

რაფიელ ერისთავის შემოქმედების განხილვისას ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს: „სოფელი სულ სხვაა. იქ ნატურა უფრო შეურყვნელია და განცდებიც უფრო მარტივი, მაგრამ ძლიერი" (კოტეტიშვილი 1965: 524).

* * *

ქართულ მწერლობაში ყოველთვის მწვავედ იდგა ადამიანის საამქვეყნო მისიის მრავალწახნაგოვანი საკითხი. კაცობის, მამულიშვილობის კრიტერიუმთა შორის უმთავრესად ითვლებოდა (და დღესაც ითვლება) ქვეყნის ერთგულება, მისთვის საჭირო, სარგო საქმის კეთება... სამშობლოა ის უზენაესი სამლოცველო, რომლისთვისაც ღირს თვითგაღება, შეგნებული თავდადება... და ამ მხრივ არც რაფ. ერისთავის პოეზია გახლავთ გამონაკლისი. 1886 წელს დაწერილ ლექსში „კაცი ის არის" ავტორის პოზიცია სავსებით გარკვეულია და გამოკვეთილი. იგი ეთაყვანება და ქებას სძღვნის კაცს, ვინც „მოძმეს გულს გაუხსნის", ქვრივ-ობოლს თვალზე მომდგარ ცრემლს შეუშრობს, ვინც დღენიადაგ ერის სასიკეთოდ იბრძვის; ვისაც მტრის ოქრო ვერ გადაიბირებს და ვინც თავისი წმინდა სისხლის დანთხევით „მოწამეს დაემგვანება".

და კიდევ:

კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს,
თავი – სამსხვერპლო წილადა,
ქვეყნისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი – ლხინადა,
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შემოავლებს ფთილადა!
(ერისთავი 1958: 139)

თექვსმეტი წლის შემდგომ ვაჟა-ფშაველა ქმნის უმძაფრესი სატირითა და დაუფარავი ირონიით გაჯერებულ ლექსს „ვინ არის კაცი?" და პოეტი ამ ლექსში ადამიანის ნეგატიური ნიშან-თვისებების ხაზგასმითა და პედალირებით მიუთითებს იმაზე, როგორი არ უნდა იყოს ამ ცოდვილ მიწაზე კაცად მოვლენილი სულიერი.
ვაჟას ლექსის მიხედვით:

კაცი ის არის, ცხოვრება
ვინც გაატარა ჭამაში
და კაცის დანიშნულება
მხოლოდა ჰპოვა ამაში.
(ვაჟა-ფშაველა 1964: 305)

და შემდეგ: კაცი ისაა, ვინც ქუჩაში სალამს არ გაძლევს და, თუკი სადილად დაპატიჟე, არ გაგიჯიუტდება; ვინც საქმით სხვისია, ხოლო სიტყვებით – ჩვენი; ვისთვისაც ტრფიალის საგანი ღვინო და სალხინო სამიკიტნოა; ვინც გაზეთს არ კითხულობს, წიგნისთვის შაურს ზოგავს და ამ დროს მეარღნისთვის მანეთიც არ ენანება... კაცი ის არის, ვინც

გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა...
(ვაჟა-ფშაველა 1964: 305)

ვაჟა-ფშაველას ამ დიდებულ, დაუნდობელ, დიდი ტკივილის დამტევ პოეტურ ქმნილებაში აშკარა და თვალხმიერია რაფიელ ერისთავის ზემომითითებული ლექსის პირდაპირი ნახმევი... და საერთოდაც, საგანგებო დაკვირვებასა და კვლევას იმსახურებს ღირსეული წინამორბედის შემოქმედებითი გავლენა შემდგომში უკვე მასზე აღმატებულ ფშაველ გენიოსზე.

წერილში „ჯრო დომო სუა" ვაჟამ თვითონ „აღიარა" ეს უდავო, ურჩი და ჯიუტი ფაქტი: „...თ. რაფიელის ლექსმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებური მთის კილოთი, სხვნაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვაგვარად შესძრა იგი. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა, რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ" გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა..." (ვაჟა-ფშაველა 1964: 180).

* * *

თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში თარჯიმნის თანამდებობაზე ორწლიანი (1846-1848) სამსახურის პერიოდში რაფიელ ერისთავი დაუახლოვდა და საფუძვლიანად გაეცნო ისტორიულ წყაროებში „ფხოვის" საერთო სახელწოდებით მოხსენიებულ მთის კუთხეთა ისტორიას, ჰეროიკულ წარსულს, მოსახლეობას.

რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ კორესპონდენციაში პოეტი წერდა: „მთიან ხევსურეთსა და თუშეთს შეიძლება თამამად ვუწოდოთ კახეთისა და საქართველოს სამხედრო გზის რკინის ჭიშკარი" (ერისთავი 1986: 95).

მონოგრაფიაში „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ" (1855 წ.) რ. ერისთავი მისთვის უსაზღვროდ საინტერესო კუთხეების ტრადიციული ყოფის მრავალ ასპექტს შეეხო. მისი თვალსაზრისით, „ალბათ არც არსებობს თუშ-ფშავ-ხევსურებზე ნაირფერი მხარე. აქ ყოველ თემს საკუთარი ხასიათი, ზნე-ჩვეულება, სამყარო აქვს". და შემდეგ: „ამ ხალხზე ბევრი რამ შევიტყვე, განსაკუთრებით მოხუცებისაგან. მათ, მართალია, წერა-კითხვა არ იციან, მაგრამ გარდასულ ამბებს მეხსიერებით საგულდაგულოდ ინახავენ და როგორც წმიდათა წმიდას გადასცემენ შთამომავლობას" (ერისთავი 1986: 76).

რაფიელ ერისთავის პიროვნებაში პატრიოტული გრძნობის

აღმოცენებასა და ზრდას, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, თავმოყვარე მთიელთა შორის წლობით ყოფნამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი. როგორც დაგვალულ, ფაშარ მიწას ცის მაცოცხლებელი ნამი, ისე უნდა დაწვეთებოდა აწმყოს უსახურობით დასერილ პოეტის გულს ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი თუშების, ფშავლებისა და ხევსურების მამულიშვილური შემართების ყოველი კონკრეტული გამოვლინება. მისი პოეტური წარმოსახვისთვის ასევე მანიერ წიაღს წარმოადგენდა გმირობის საარაკო მაგალითებით ერთობ მდიდარი ახლო თუ შორეული წარსული. მეომარ ტომთა ოდინდელი ყოფისა და მათი თანადროული სულისკვეთების სინთეზი შთამბეჭდავად წარმოაჩენდა პატრიოტულ განასერში სალი კლდეების ბინადართა სახესა და საჩინო, საღირალ როლს.

„სამშობლო ხევსურისა" – „ფიცმიცემული სიყვარული თავისი მიწისა" (ვახტ. კოტეტიშვილი) – ქართული პატრიოტული ლირიკის თითზე ჩამოსათვლელი უთვალსაჩინოესი ნიმუშების გვერდით დგას. ეს ლექსი რაფიელ ერისთავის მხატვრული შემოქმედების შნოიანი თავკიდურია. მის სახელთან ყველაზე უწინ „სამშობლო ხევსურისა" იხსენიება და ასოცირდება, ორბის საბუდრის სიახლოვეს ნაშობი ლირიკული გმირი კრებითი სახეა სამშობლოს უპირობო სიყვარულის სადარაჯოზე მდგომი იმ ქართველი ვაჟკაცებისა, რომელთაც „უკვდავების ხესა" და „სხვა ქვეყნის სამოთხეს" ორსავე თვალზე ტკბილი სამშობლო და „დედის ძუძუ" ურჩევნიათ...

„სამშობლო ხევსურისა" რაფ. ერისთავის პატრიოტული პლატფორმის უმტკიცესი ხერხემალია; თავის მხრივ, თუკი შევყოვნდებით და ცალკეული სეგმენტების დონეზე დავალთ, ამ ლექსის დედოძარღვად შემდეგი ტაეპი უნდა ჩაითვალოს:

> როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა...
> (ერისთავი 1958: 73)

ლექსის პათეტიკური პათოსი ოდნავადაც ვერ ანელებს მის სიწრფოებას, დიდი შინაგანი ღიაობისა და სიმართლის განცდას. გაუხუნარი ხიბლი ამ არარიგითი ნაწარმოებისა მონოლოგის ფორმაში გადმოცემული სათქმელის ბუნებრიობასა და

მხურვალე აღსარების ფარდ ტონალობაში მდგომარეობს. და კიდევ იმ გადამდებ სისადავეში, ხელოვნების უმაღლესი რანგის ნიმუშთა იმანენტურ ნიშნად რომ აღიქმება და განიხილება.

„სამშობლო ხევსურისა" თავისუფალია ყოველგვარი გარე გავლენებისგან. იყო ცდები (თუ რეციდივები!), უცხოურ მწერლობაში მოეძებნათ მეტნაკლებად მსგავსი პოეტური ქმნილება. და ამ ცდებს წარმატება არ ეწერა, ვინაიდან რ. ერისთავის შედევრის მრავალჟამიერობას ღრმადეროვნული ხმოვანება განსაზღვრავს და მასში ფიორიც არ ურევია არაქართული... საგულისხმოა ამასთან დაკავშირებით გამოთქმული ვახტანგ კოტეტიშვილის თვალსაზრისი: „ა. ხახანაშვილი ამ ლექსს შოტლანდიელ პოეტის ბიერნსონის ლექსს ადარებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს შედარება მეტისმეტად ნაძალადევია. რაფიელ ერისთავს რად სჭირდებოდა შოტლანდიის მკვდარი მაგალითები, როდესაც თვით ხევსურეთის მუხლზე არის დაბადებული – აღზრდილი და დაბერებული, სადაც ჯვაროსანთა სიმტკიცით ფიცულობდნენ და ადგილის დედას ეწირებოდნენ" (კოტეტიშვილი 1955: 513).

* * *

ეროვნულ მოტივებზეა აგებული რაფიელ ერისთავის ორი პოემა: „ასპინძის ომი" და „თამარიანი".

პირველი პოემის სიუჟეტური ქარგა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის – 1770 წლის ასპინძის ომის – პერიპეტიებზეა გაშლილი: რუსეთმა თავისი შორსმიმავალი კოლონიალური ზრახვების აღსრულების მიზნით საქართველოში გენერალი ტოტლებენი გამოაგზავნა. ამ უკანასკნელმა პირი უშალა ერეკლე მეფეს და ახალციხეში (რომელიც თურქებს ჰქონდათ დაკავებული) გალაშქრების ნაცვლად უკან გაბრუნდა. ერეკლეს საბრძოლო გეგმა არ შეუცვლია, თავისი ძალებით შეუტია თურქების რიცხვმრავალ ჯარს და სასტიკი მარცხი აგემა...

მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით შედარებით მაღლა დგას პოემა „თამარიანი", რომლის გამო ამგვარი ცნობაა გამოქვეყნებული 1886 წლის „ივერიაში": „ჩვენს პატივცემულს პოეტს თ.რ.ერისთავს გაულექსავს ისტორიული რომანი „თამარ ბატონიშვილი" გრ. რჩეულიშვილისა" (ერისთავი 1986: 571).

პოეტური ეპოსის ამ ნიმუშში ვეცნობით რუსუდანისა და ლაშა გიორგის ეპოქას, XIII ს-ის ისტორიულ ამბებს, სასიყვარულო ბადეში მოხვედრილ პერსონაჟთა განცდებს, მათ ურთიერთობაში ჩახლართულ ინტრიგებსა და შუა საუკუნეებისთვის ნიშანდობლივ სამიჯნურო თავგადასავლებს.

პოემა არ გამოირჩევა ვარდნებისგან დაზღვეული მხატვრული ექსპრესიით, მაგრამ არც ტროპულ სახეთა საგრძნობ ნაკლებობაზე საუბრის საბაბს იძლევა. პოეტის ხატოვანი აზროვნების არსებითი თავისებურებანია წარმოჩენილი ამგვარ სტრიქონებში:

ვერ გადამიდგეს გზაზედა ჩემი ხმლის ანაწერია!
(ერისთავი 1958: 172)

გულს სიბრალული ისტუმრე, დაატკბე განაჩენია!
(ერისთავი 1958: 189)

აგერ, მიწია სიკვდილმაც, ჩემზე მოლესა ცელია!
(ერისთავი 1958: 174)

სატრფიალო ეპიზოდებით უხვად გაჯერებულ ფართო მოცულობის პოემაში მკითხველი „ვეფხისტყაოსნის" გავლენის აშკარა კვალსაც ადვილად დალანდავს. გავლენა განსაკუთრებით საგრძნობია ლექსიკურ ქსოვილსა და რიტმულ-ინტონაციურ წყობაში. „ვეფხისტყაოსნის" ცალკეული სტროფების სახით მყარი საყრდენები და „ულპოლველი" ძირები მოეძებნება „თამარიანის" ისეთ ტაეპებს, როგორებიცაა:

თამარი იჯდა მტირალი, ღაწვებზე სისხლი სდიოდა,
თმაგაწეწილი ვაებდა, ბედს ემდუროდა, ჩიოდა.
(ერისთავი 1958: 265)

შენ მართალი სთქვი, ავჩქარდი, უცბათ გულს ავყევ წყეულსა,
სიყვარულს, შენგან დანერგილს, ვერ ვრიდე ანაზდეულსა.
(ერისთავი 1958: 192)

დრონი მირბიან, მიფრინვენ, როგორც სიზმარი ღამისა...
(ერისთავი 1958: 194)

* * *

მთიელთა ცხოვრების შუაგულში ტრიალმა მათი ზეპირი სამართლებრივი ნორმების საფუძვლიანი ცოდნა შესძინა რაფიელ ერისთავს.

ნანახი თუ გაგონილი მხოლოდ ეთნოგრაფიულ ნარკვევთა ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა. დოკუმენტური სიცხადის შენარჩუნებას არც მხატვრული თხრობის მანერა უშლიდა ხელს. და ვინაიდან მშრალ ნარატივში უპერსპექტივო ჩანდა უმკაცრეს ადათობრივ პოსტულატებზე აღზრილი ხალხის ქცევის წესთა ექსპრესიულად გადმოცემა, რაფ. ერისთავმა პროზაშიც მოსინჯა კალამი.

მისი მცირერიცხოვანი მოთხრობებიდან გამოირჩევა „ბეჩავი", რომელიც რუსულად დაინერა და 1855 წელს გამოქვეყნდა ალმანახ „ზურნაში". მოთხრობა ფშაველების პატრიარქალური ყოფის იმ პერიოდის ტრაგიკულ ამბავს გვაცნობს, როცა ადგილობრივ თემთა შორის მტრობა და სისხლისძიების ადათი კვლავ თავის ფართო უფლებებში არსებობდა.

ნაწარმოების დასაწყისში მკითხველის თვალი ივრის ხეობის ხალხმრავალი სოფლებისა (ლიშო, არტანი, ბაჩალი...) და ჭიჩოსთავის ქედებისა თუ მწვერვალების ველური სილამაზით იხიბლება. ხოლო მალე „თოვლიანი გოლიათების" საუფლოდან ხოშარის, მუქუს, გოგოლაურთისა და უძილაურთის შავი კოშკების დიდებული სურათები გამოიკვეთება... ახლოვდება ის სანახები, სადაც ბედუკეთური სიყვარულისა და დაუნდობელი სისხლისღვრის შემზარავი სცენები უნდა გათამაშდეს...

კაზაკ ბოჩკოვის თანხლებით უკანაფშავის ხეობაში გადასული მწერალი ხოშარაში შეისვენებს და შეხვდება გულთამხეს – ფშაველ დედაბერს, რომლისგანაც სულისშემძვრელ ამბავს – „პირქუშ და სამწუხარო დრამას" – მოისმენს. დედაბრის ნაამბობში კინოკადრების სიცხადით გაირბენს ქალ-ვაჟის – მერცხალასა და ლაშქარას – წრფელი ურთიერთნდომის მღელვარე ისტორია.

სასიმამროს, უკვე ხანდაზმულ გამიხარდის, მოსწონს ალალი, გამრჯე, გარეგნულად თვალადი, კარგი მსროლელი და მარჯვე ცხენოსანი სასიძო და თანახმაა, მიათხოვოს ქალიშვი-

ლი... გადის დღეები, თვეები, წლები. და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „ორი ფშაველი ერთმანეთს წაეჩხუბა". ხანჯლები იშიშვლეს და შუღლში ერთი მათგანი მოკვდა. მოკლული გაბიდოურთ თემს ეკუთვნოდა, ხოლო მკვლელი – ქისტაურებისას. იმ დღიდან გართულდა მერცხალასა და ლაშქარას ურთიერთობაც: ქალი გაბიდოური იყო, ვაჟი – ქისტაური. გამიხარდიმ შეკრიბა თანამოგვარეები და გამოუცხადა: „მე მსხვერპლად მომაქვს ჩემი სასიძო ლაშქარა! ის ქისტაურთა თემიდან არი" (ერისთავი 1958: 358). ლაშქარამ ცხვარი გალალა და დედასთან ერთად თავის სოფელ შუაფხოს მიაშურა. გამოხდა ხანი. ერთმანეთი არ ეთმობოდათ და მერცხალას ქოხიდან მალულად გაპარვა გადაწყვიტეს. მათ სურვილს ასრულება არ ეწერა: გამიხარდის თოფის ტყვიას ლაშქარასთვის აფარებული მისი ქალიშვილი ემსხვერპლა, ხოლო ცოცხლად გადარჩენილ სასიძოს გაბიდოურებმა გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი... ჭკუიდან შეშლილი გამიხარდი „ვებერთელა მწყემსის კომბლით შეიარაღდა, სამუდამოდ მიატოვა თავისი კერა და მშვიდად დაიწყო ასვლა მეზობელ მთაზე" (ერისთავი 1958: 369). ყოველი მისი გამოჩენა ავის მომასწავებელ ნიშნად ექცა სოფელს; უსაპირო ტყაპუჭის ნაფლეთებით ტანის სიტიტველდაფარული უქუდო მოხუცი, დაუახლოვდებოდა თუ არა ხოშარას, ერთი ნიოკი და ვაიუშველებელი ატყდებოდა ხოლმე...

„– წადი, შე ბეჩავო! გამეცალე... ძაღლები დაგკბენენ... ვაი, უბედურება მოგველის!" (ერისთავი 1958: 362) – უყვირის მწერლის თანდასწრებით სოფელში შემოსულ ფეხშიშველ გამიხარდის საშინლად აღელვებული გულთამზე. ფეხადგმულ უბედურებად მიჩნეული ბერიკაცი ნამით შეჩერდება, ჩაფიქრდება, უაზროდ გაიცინებს და მახლობელ მთას აღმა აუყვება.

„ბეჩავში", მიუხედავად იმისა, რომ რუსულად დაიწერა (ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ გადმოაქართულა იროდიონ ქავჟარაძემ), ძალუმად იგრძნობა მთის სუნთქვა და განუმეორებელი კოლორიტი. ვერვინ იტყვის, ნამდვილად მოხდა თუ არა ფშავში ეს ძალზე ტკივილიანი ამბავი; რა არის მასში ხალხური, ავთენტური და რა – მწერლის წარმოსახვით მიმატებული; ვერვინ იტყვის, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ავტორმა მხატვრული ზემოქმედების ძალა და ესთეტიკური ღირებულება შესძინა „უბირი"

მთხრობელის უბრალო ნაუბარს; ჩაგვახედა უბატონო მთიელთა სულის სიღრმეში; გვაზიარა მათ განცდებს; გაგვითვალსაჩინოვა სისხლიანი შურისგების შეუსაბამობა ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის მოწოდებასთან, ზოგადად მის საამსოფლო მისიასთან. და თავისი წინამორბედი მწერლებისა თუ მომყოლთა დარად გვიჩვენა მაღალზნეობრივი სიყვარულის მწარე ხვედრი იმ სოციალურ სინამდვილეში, რომელიც ჰუმანურობის სიკეთით აღბეჭდილ არანაირ კომპრომისსა და გამონაკლისს არ ცნობს თავის პრინციპულ სამართლებრივ სისტემაში.

* * *

რაფიელ ერისთავის დრამატული თხზულებანი, როგორც აღნიშნავენ, „შინაარსით მაინცდამაინც არაა მდიდარი, მაგრამ ისინი ყურადღებას იქცევენ იმდროინდელი ცოცხალი სახეებით, რეალისტური პერსონაჟებით“ (ვახანია 2012: 751).

რ. ერისთავის ორიგინალურ, ნათარგმნ და გადმოკეთებულ კომედიებსა და ვოდევილებში ჟღერს ის ხმა, რომელიც XIX ს-ის II ნახევრის საქართველოს საზოგადოების განწყობისა და შეხედულების შესატყვისია. ამით იყო განპირობებული არცთუ უმნიშვნელო სცენიური წარმატება და მათ მიმართ მაყურებლის მზარდი ინტერესი. ორიგინალურ დრამატულ ქმნილებებში „ადვოკატები“, „ბრილიანტი“, „დედაკაცმა თუ გაიწია“ და სხვ., გამოკვეთილია ის სახასიათო შტრიხები, რაც სხვადასხვა წარმომავლობის, ნიჭისა და პროფესიის ადამიანთა მრავალფეროვნებას წარმოაჩენდა. თხზულებათა თვალსაწიერი წვდება როგორც თავადაზნაურობის, დაწინაურებული სოციალური წრის წარმომადგენლების, ასევე უაზნოთა – გლეხებისა და მოსამსახურეების, ჩარჩ-ვაჭრებისა და ხელოსნების სამდღევრო ყოფა-ცხოვრების წვრილმანსა თუ მსხვილმან მხარეებს.

რაფიელ ერისთავი რეალისტია. მისი ამოცანაა არსებული სინამდვილის შეუსხვაფერებლად ასახვა. არ ერიდება და ამხელს დიდგვაროვანთ, რომელთა ფიქრი და საქმიანობა ანგარებასა და სხვათა მოტყუების მცდელობაზეა დამყარებული... რ. ერისთავისთვის დრამატულ თხზულებათა პერსონაჟები თავიანთი სულმდაბლობით არცთუ იშვიათად კომიკურ,

სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან და ადეკვატურ შეფასებას იმსახურებენ მკითხველისა თუ მაყურებლის მხრიდან.

რაფ. ერისთავის დრამატურგია დიდი მხატვრულ-შემეცნებითი რეზონანსით არ გამოირჩევა, მაგრამ არც იმ პოზიტიური წვლილის დავიწყება და უგულვებელყოფა იქნებოდა მართებული, რაც მისმა პიესებმა იმდროინდელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში შეიტანეს.

* * *

„დანაშაულია გქონდეს შემთხვევა და არ გაეცნო ამ ხალხს, რამე იცოდე მის შესახებ და არაფერი დაწერო", – აღნიშნავს რაფიელ ერისთავი გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებული თავისი ნაშრომისთვის „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ" დართულ შენიშვნაში (ერისთავი 1986: 58).

იმ დროს, როცა „შორეთიდან მაცქერალი უცხო კორესპონდენტები რუს მკითხველს არასწორ წარმოდგენას უქმნიდნენ კავკასიის და, კერძოდ, ქართველი ხალხის ცხოვრებაზე" (ვ. ითონიშვილი), რ. ერისთავმა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევებში ეჭვშეუვალი სიმართლით და ობიექტური სიზუსტით ასახა ეროვნული ყოფისა და ქართველთა სულიერი კულტურის სამაგალითო სიღრმე და სიმდიდრე.

ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობის დაწყება და გაშლა საქართველოში, რაც მანამდე შემთხვევითსა და სპორადულ ხასიათს ატარებდა, სწორედ რ. ერისთავის სახელთანაა დაკავშირებული. რომ არა მისი გაუნელებელი ინტერესი და დაუდგრომელი ძიება ამ მიმართულებით, ბევრი რამ დავიწყების ქაოსში იქნებოდა დანთქმული და გაუჩინარებული.

წერილში „ქართული სახალხო პოეზია", რომელიც თავდაპირველად ჟურნალ „კრებულში" დაიბეჭდა, მოხმობილი და განხილულია „გლეხური სიმღერები, ძველი მესტვირული ლექსები და მდაბიური ანდაზები". წერილის შესავალში ავტორი ამბობს: „იქნება ჩვენმა მაგალითმა სხვანიც გამოიწვიოს ამ გვარისავე შრომისათვის და სამუდამოდ არ დაუკარგოს ჩვენს ლიტერატურას ძველებური ხალხური ლექსების ნიმუშები. ღმერთმა ინებოს" (ერისთავი 1986: 7).

ილია ჭავჭავაძის და რაფიელ ერისთავის მიერ შეკრებილი

„გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“ 1873 წელს წიგნად გამოიცა.

დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა ენიჭება ალავერდობის რაფ. ერისთავისეულ აღწერას. ხალხმრავალ დღეობაზე მყოფი მწერალი ცნობისმოყვარედ ადევნებს თვალყურს საღვთისმსახურო რიტუალის მსვლელობას და წარმატებით ახერხებს ყველა არსებითი ნიუანსის სახიერად წარმოჩენას. ნაციონალური სულიერი კულტურის მსახური და ჭირისუფალი ჩვეული სისწორითა და სინათლით გვაცნობს ლაზარობას; ახასიათებს დარ-ავდრის გამრიგეს – მითოლოგიურ ღვთაება ელიას; ცხადსახილველად აცოცხლებს ბერიკაობის სცენებს...

რაფ. ერისთავს ზედმინევნით აქვს გაცნობიერებული მისდროინდელ საქართველოში გავრცელებული ცრუმორწმუნეობითი ელემენტების განმსაზღვრელი მნიშვნელობა ეროვნული მსოფლმხედველობის შესწავლის საშურ საქმეში. „მიამიტი ხალხის ზღაპრები და ცრურწმენები ყველაზე უკეთ ხსნიან მისი განათლებისა და სულიერი ძალების დონეს“, – შენიშნავს მწერალი და მეტი თვალსაჩინოების მიზნით იქვე მოაქვს რამდენიმე ნიშანდობლივი ნიმუში ქართველების ცრუმორწმუნეობისა (ერისთავი 1986: 47).

1854 წელს გაზეთ „კავკაზში“, ხოლო 1855 წელს „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერების“ მე-3 ტომში გამოქვეყნდა რაფიელ ერისთავის სოლიდური ნაშრომი სახელწოდებით „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შესახებ“. მანამდე აღმოსავლეთ საქართველოს ხსენებული კუთხეების ირგვლივ ბეჭდური სახით საკმაოდ მწირი, უკმარი და, ამასთან, ობიექტური რეალობის ნაწილობრივ მრუდედ ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვებოდა. რაფ. ერისთავის ვრცელმა ნაშრომმა გამოჩენისთანავე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. სანდო ემპირიული მონაცემების საფუძველზე ავტორი აღადგენს მთის მკვიდრთა მატერიალური და სულიერი ყოფის ერთიან სურათს. ნაშრომში შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა თუშეთს, ვინაიდან, რ. ერისთავის განმარტებით, თუშების ცხოვრებას მკითხველი უკვე იცნობს ივანე ცისკარიშვილის შესანიშნავი ჩანაწერებით.

რაფიელ ერისთავი ფიქრობს, რომ თუშთა, ფშაველთა და ხევსურთა ტომები საქართველოს დაბლობიდან უნდა ასახლებულიყვნენ მთაში. იძულებითი მიგრაციის მიზეზად დასახელებულია სპარსელებისა და თურქების მოძალება ჩვენი ქვეყნის ბარის მოსახლეობაზე... მწერლის ზოგიერთ დაკვირვებას, ვარაუდსა თუ თვალსაზრისს, დამყარებულს ინფორმატორთა ლაკონიურ ცნობებსა და გადმოცემებზე, დღემდე არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. ასე, მაგალითად: ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე დონის შესაბამისია ეთნონიმ „ხევსურის" მისეული ინტერპრეტაცია: „ხევსური ანუ ხევური აღნიშნავს ხეობაში მცხოვრებს" (ერისთავი 1986: 60).

პრობლემის გასიგრძეგანებითაა გაშუქებული ტომთა შორის ცალკეული თემების ფორმირების საკითხი; თვალმიდევნებულია ოლქის კლიმატური პირობები, ბუნებრივი წარმონაქმნები, მთები, მინერალური წყლები, მდინარეები; აღრიცხულია სოფლები – თვითეული მეკომურთა რაოდენობის მითითებით; განხილულია სარწმუნოებრივი სისტემა, კულტის მსახურთა იერარქია, სუბორდინაცია, უფლება-მოვალეობანი; ხაზგასმულია ქორწილის, ყრმის დაბადებისა და მიცვალებულთა დაკრძალვის დროს აღსასრულებელი წეს-ჩვეულებანი; მოცემულია ფშავლებისა და ხევსურების „ფიზიონომიური ნარკვევი და დახასიათება"; აღწერილია მათი სამოსი, საომარი საჭურველი, საცხოვრისი, საკვები, მეურნეობა, მესაქონლეობა, ნადირობა და დროსტარება... ავტორი ასევე ეხება სტუმართმოყვარეობის, ძმადნაფიცობისა და სისხლისძიების წეს-ჩვეულებებს; დემოკრატიული ხასიათის ადგილობრივ რჯულსა და ხალხურ სამართალს.

მთის წამის-წამ ცვალებად კლიმატსა და „ბუნების უცნაურობებზე" საუბრისას მწერალი ერთ ასეთ ფაქტსაც იხსენებს უახლოესი წარსულიდან: „1847 წელს მთის მდინარეები იმდენად გამძვინვარდნენ, რომ ხეობებიდან მათ მიერ ჩამოტანილმა ქვიშამ და ქვაყრილმა რამდენიმე დღით დააგუბეს ფშავის არაგვი და სოფლებთან – შუაფხოსთან და გოგოლაურთასთან გააჩინეს ორი ტბა, რომლებიც დარჩნენ შემდგომ გაზაფხულამდე, ვიდრე ადიდებულმა არაგვმა არ წალეკა ქვიშის ნაყარი და არ გაანთავისუფლა ხეობა ტბისაგან" (ერისთავი 1986: 63).

რაფიელ ერისთავი სწორ ნარმოდგენას უქმნის თავისი დროის მკითხველს თუშ-ფშავ-ხევსურთა საშინაო თუ საგარეო ყოფა-ცხოვრებაზე. საჭიროებისამებრ მიუთითებს იმ საერთოსა თუ განმასხვავებელ ნიშან-თვისებებზეც, ამ კუთხეების ბინადართა შორის რომ არსებობს ზნე-ხასიათისა თუ წეს-ჩვეულებების მხრივ. „ხევსურებში, თუშებში და ფშავლებში შესამჩნევია ერთი საუცხოო თვისება, – წერს პოეტი, – არცერთი მათგანი, რაც არ უნდა ღარიბი იყოს, მოწყალების სათხოვნელად ხელს არ გამოგიწვდით. სიტყვა „მათხოვრობა" არ არის მათს ლექსიკონში" (ერისთავი 1986: 100).

რაფ. ერისთავი დაუფარავი აღფრთოვანებით შეგვახსენებს თუშების, ფშავლებისა და ხევსურების საბრძოლო მამაცობის შეუდარებელ მაგალითებს: რიცხვმცირე თუშთაგან თავიანთი მიწა-წყლიდან ომარ-ხანის განდევნას; დიკლოელ-შენაქოელთა საარაკო გმირობას ათიათას დიდოელთან უთანაბრო შერკინებაში; სამოციოდე შატილიონის მიერ სამი დღის განმავლობაში შატილის ქავ-ქვითკირების დაცვას და ახვერდი-მაჰმადის ხუთიათასიანი ჯარის დამარცხებას; ფშავლების არაერთგზის ლაშქრობას ქისტეთის აულებში...

რაფიელ ერისთავის ეთნოგრაფიული ინტერესები არ შემოიფარგლება ოდენ ამიერ საქართველოს არეალით. „წერილები იმერეთიდან", „გლეხთა წოდებების შესახებ სამეგრელოში" და „პრივილეგირებული ფენის შესახებ სამეგრელოში" გულმხურვალე მწერლისა და მამულიშვილის ხანგრძლივი, დაკვირვებული, მრავალმხრივი შრომის ნაყოფია.

ავტორი პირველ წერილში XIX ს-ის შუა წლების ქუთაისის გუბერნიის დიდად საინტერესო აღწერა-დახასიათებას იძლევა. ეს არ გახლავთ მსწრაფლწარმავალი შთაბეჭდილების კვალდაკვალ შექმნილი პანორამული ტილო ქართული ქალაქისა და მისი გარეშემოსი. გოჭოურა, ნაციხვარი, მწვანეყვავილა, ხვამლის მთა, ნაქერალა, გელათის ტაძარი, იმერეთის მეფეთა სასახლე რიონის პირას – ეს ყველაფერი ცალ-ცალკე და მთლიანობაში ქუთაისის განუმეორებელ გარემოს ხატავს. აქვეა ხონში მოგზაურობის გაუხუნარი ეპიზოდები; აღწერილია გუბისწყლის სადგური, მის სიახლოვეს განლაგებული დუქნები და ამ დუქნების „პოეტური ქაოსი"; სოფლები: მანთხო-

ჯი („ადრე აქაური მცხოვრებნი განთქმულნი იყვნენ როგორც კარგი ქვისმთლელები" (ერისთავი 1986: 104); – შენიშნავს ავტორი), მარანი – ველური ყურძნის ლერწმისგან გამართული ბონდის ხიდით... მოხსენიებულია გორდი – სამეგრელოს მთავართა საზაფხულო ადგილსამყოფელი... იმერეთის ხაევრდოვნებით მოხიბლული პოეტი წერს: „კარგია გაზაფხული, საერთოდ, ყველგან, ხოლო იმერეთში – განსაკუთრებით" (ერისთავი 1986: 106).

ისტორიული მეცნიერებისა და სოციოლოგიის აქტუალურ საკითხთა ასპექტით იქცევენ გულისყურს სამეგრელოსადმი მიძღვნილი ზემომოხსენიებული წერილები.

საგანგებო აქცენტირების ღირსია მოცულობითი ნაშრომი „შენიშვნები სვანეთზე".

როგორც თემურ ჯაგოდნიშვილი მიუთითებს, „სვანურ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალას, ასევე სვანური ენის სტრუქტურული აგებულების შესახებ ცნობებს რაფიელ ერისთავს აწვდიდა ცნობილი ეთნოგრაფი ბესარიონ ნიჟარაძე (1878-1919), რომელიც პერიოდულ პრესაში ათავსებდა საინტერესო წერილებს „თავისუფალი სვანის" ფსევდონიმით" (ერისთავი 1986: 243).

ნაშრომში ჩანს, რაოდენ შედეგიანი იყო რ. ერისთავისა და ბ. ნიჟარაძის ურთიერთთანამშრომლობა. რაფიელის მიერ რუსულ ენაზე ნათარგმნი სვანური მასალები სისტემატიურად ქვეყნებოდა იმჟამინდელი პრესის ფურცლებზე. გარდა ბესარიონ ნიჟარაძისა, ფაქტობრივი მასალის მოძიებაში რ. ერისთავისთვის უანგარო დახმარება გაუწევია მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს.

„შენიშვნები სვანეთზე" თოთხმეტი ქვეთავისაგან შედგება.

ამ ქვეთავების დასახელებაც კი საკმარისია იმისათვის, რათა ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ ნაშრომში მიმოხილული საკითხების მასშტაბურობასა და შინაარსობრივ მრავალფეროვნებაზე: ადათობრივი სამართალი, ქონებრივი მდგომარეობა, საშინაო ცხოვრება, ქონებრივი უფლება, ქელეხი, ზეთით განმენდა, სისხლისძიება, ტყვეობა, საბავშვო თამაშობები, ლეგენდები, ჩვეულებები და ცრურწმენები, დემონოლო-

გია, მონადირეები და ნადირობა, დღესასწაულები, ტანსაცმელი და იარაღი.

როგორც გაირკვა, ეს წერილები წარმოადგენს ბ. ნიჟარაძის ეთნოგრაფიული ნაწერების რუსულ ენაზე თავისუფალ თარგმანს. რაფ. ერისთავი პირადი შეხედულებისამებრ არჩევდა და ალაგებდა კომპეტენტური ინფორმატორის მიერ მიწოდებულ ტექსტებს, ანესრიგებდა მათ შინაარსობრივ მხარეს და კომპოზიციურ სტრუქტურას. ასე რომ, ამ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი თანაავტორობაზე. მიზანმიმართული ურთიერთთანამშრომლობით შეიქმნა სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის მართალი სიტყვიერი „ორეული", რაც ზოგადქართულ კვლევა-ძიებით საქმიანობაში შეტანილ თვალსაჩინო წვლილად შეიძლება დახასიათდეს.

* * *

რაფიელ ერისთავი ღრმადეროვნული პოეტი იყო, რაც დიდწილად განაპირობა ფოლკლორულ შემოქმედებასთან, ხალხური სიტყვიერების სათავეებთან, ქართველი გლეხკაცობის სულიერ სამყაროსთან მისმა ბუნებითმა, ძალდაუტანებელმა სიახლოვემ. რაფ. ერისთავის პოეზიის ხალხურობის წარუშლელ ნიშნებად ზღვრული სისადავე და სანიმუშო სიწრფელეა აღიარებული. საერო სურვილებისა და სულისკვეთების გამომხატველი ლექსი სტრიქონსა და სტრიქონს შუა იმარხავს იმ ანდამატურ ძალას, ურომლისოდაც მისი დღეგრძელობა ვერ იქნებოდა გარანტირებული. პოეტური აზროვნების ქვეშეცნეული პროცესი რაფიელ ერისთავს იმ შემოქმედთა შორის მიუჩენს მყარ, საჩინო ადგილს, ვინც ქართული პოეზიის საერთო ღირსებისა და უმთავრესი ვექტორის განმსაზღვრელია. „სამშობლო ხევსურისა", „თანდილას დარდი", „ტეტიას მოთქმა", „თინიას მამითადი", „კაცი ის არის", „ზაფხული", „აღზევანს წასვლა", „გუთანი", „ნაამბობი მოხუცისა" თუ „ხინჩლას გალაშქრება ქისტებზე" – იმ რიგის პოეტური ქმნილებებია, განსაცვიფრებელი უშუალობითა და მხატვრული ხილულობით რომ აირეკლავენ გამრჯე, ალალი, პატიოსანი მშრომელი ქართველების წადილს, მისწრაფებას, „საცხოვრებისო წუხილს" (ვაჟა). ხალხური სიუჟეტების, თემებისა და

მოტივების ვარირებისა და რაფინირების გზით რ. ერისთავი პოეტური ხელოვნების სასურველ სიმაღლეებს აღწევს. იგი არ ახდენს მზამზარეული ნედლი „მასალის" მექანიკურ გადმოღებას და „გადამღერებას" თავის პოეზიაში. შემოქმედებითია მისი მიდგომა უმდიდრესი სიტყვიერი საუნჯისადმი. და, ამ თვალსაზრისით, რაფ. ერისთავი, ყოველგვარი გადაჭარბების გამორიცხვით, ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ ნინაპრად, წინამორბედად, შთამაგონებლად, „საერო კილოსთან" თამამად მისვლისა და გაშინაურების დაუვიწყარი მაგალითის მიმცემად გვევლინება.

* * *

1895 წლის 22 ოქტომბერს ღირსეულად აღინიშნა რაფიელ ერისთავის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობა. ეს იყო იმ დროისათვის უჩვეულო, უპრეცედენტო სახალხო დღესასწაული. საქართველოს ამერ-იმერის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა რჩეული მწერლისა და მამულიშვილის დიდი და დავარგებული ამაგის საკადრის აღნიშვნაში. მოწიწებით მოიხარეს ქედი მისი ნიჭისა და დამსახურების წინაშე... მოგონებების ავტორთა ცნობით, მღელვარებით მოცული პოეტი ამაოდ ცდილობდა სიხარულის ცრემლის დამალვას.

აუშორებელი სიბერის მსუბუქი სევდით გაჯერებული კიდევ ერთი ბედნიერება განიცადა 1900 წლის შობა ღამეს, როცა მასთან მისულმა თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მომღერალთა გუნდმა „სამშობლო ხევსურისა" შეასრულა...

რაფიელ ერისთავი 1901 წლის 4 მარტს 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. კახელებმა მისი კუბო თელავიდან ხელით ზიდეს ქისტაურამდე. სამგლოვიარო პროცესიას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ღვიით და სუროთი გადამწვანებულ გზაზე ძაძით შემოსილი ხევსური ცხენოსნები მიუძღოდნენ დამწუხრებულ ფეხოსნებს. ალავერდში, შუამთასა და იყალთოში დარეკილი ზარების ხმას ზეცად მიჰქონდა ამიერ სოფლის სამანებს მიღმა გაღნეული მწერლის სადიდებელი.

დამოწმებანი:

აბაშიძე 1962: აბაშიძე კ. ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: 1962.

ასათიანი 2002: ასათიანი გ. ოთხტომეული. ტ. 3. თბილისი: 2002.

ერისთავი 1958: ერისთავი რ. რჩეული თხზულებანი. თბილისი: 1958.

ერისთავი 1986: ერისთავი რ. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნერილები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვილმა. თბილისი: 1986.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. I. თბილისი: 1964.

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. IX. თბილისი: 1964.

ვახანია 2012: ვახანია ნ. ჩვენი XIX საუკუნე. თბილისი: 2012.

კოტეტიშვილი 1965: კოტეტიშვილი ვ. რჩეული ნაწერები. თბილისი: 1965.

„კრებული" 1873: „კრებული", № 7. თბილისი: 1873.

სახოკია 1984: სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი: 1984.

ქიქოძე 1947: ქიქოძე გ. ქართული ლიტერატურის ისტორია. XIX ს. თბილისი: 1947.

ჩანაწერები ... 1855: Записки Коирго, кн. III,1855.

ხუნდაძე 1918: ხუნდაძე ს. ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები. IV. ქუთაისი: 1918.

„რა ფერისაა ქვეყანა“...

„ძნელია ვაჟას ცხოვრების აღწერა; შაბლონით ხომ ვერ მიხვალთ მასთან. ვაჟა მაღლაა და მის ცხოვრებას უფსკრული ავლია ნრედ“.
ვახტანგ კოტეტიშვილი

ვაჟა-ფშაველას ცხოვრება ერთი გაბმული, ლუგუმ ყოფაზე მოთქმით ნაქსოვი, დროის დიდ-მცირე მონაკვეთებში დანაწილებული, შორსმყოფთა ყურისთვის ამოდ სასმენი სევდიანი სიმღერა იყო.

მის მშობელ მთაში უთქვამთ: „დარდიან გულზე სიმღერა ტირილის მაგიერია“.

„ტირილით გაუმთელდება გულს მოტეხილი პირია“, – ამბობდა თვითონ და, „ტირილში“, ალბათ, თავწმინდა ხალხური პოეზიის იმ ნაცად და, ამასთან, რამდენადმე უცნაურ ნაირსახეობასაც გულისხმობდა, „ხმითნატირალთა“ სახელწოდებით რომ იცნობს მუხლადი მხატვრული სიტყვის ზეგარდმო მადლს ნაზიარები ქართველი მკითხველი...

მთას იქით სავსე, სრული, თითბრისფერი მთვარე ამოდიოდა, ხოლო „აქით“, სადაც პოეტი შეჰყუჟოდა ღამის სველ კალთას, ნისლი წვებოდა და „უხილავად ჰქმნიდა ქვეყანას ხილულიანს“.

„წინანდებულად მკვდარ“, ვაების გრიგალებში გამონატანჯ გულს გაუნელებელი ცეცხლი ედებოდა, თმა-წვერში ჭაღარა ხშირდებოდა, მატულობდა, „ტიალი წუთისოფელი“ თავის გზას მიუყვებოდა, ბევრდებოდა „საცხოვრებისო ნუხილი“ და მაინც „მღეროდა“...

მიენდობოდა და... ჩატყდებოდა ხიდი (ბეწვისა – წყდებოდა); „ერთხელც იქნება, მოვკვდები, მივებარები მიწასაო“, – ინუგეშებდა შხამიანი, შეუბრალებელი ცხოვრებისგან უმოწყალოდ ნაგვემ თავს და სევდის „ბჯღალით“ შეპყრობილი ხსნის იმედს „ყელმოღერებული იის“ თანხლებით კარსმომდგარი გაზაფხულის ნახვაზე ამყარებდა...

გაზაფხულდებოდა და ბექ-ბუქში თოლი დადნებოდა, ჩამოშრებოდნენ და შავად დაჩნდებოდნენ მთები; სამოთხესა-

ვით „ველიან-ჭალიანებს" ჩადუნა და თიკნისყურა მოედებოდა; გაიხსნებოდნენ საპირიქითო გზები და წვიმით ჩარეცხილ, ჩამუქებულ საფლავის ქვაზე სავარცხლიანი ოფოფა „მოჯდებოდა"...

სოფლისგან ხელნაკრავსა და დავიწყებულს აღარც სატრფოს ერთგულების უწინდელი იმედი ჰქონდა. ძველებურად აღარ მზეობდნენ მისი „ფოფინა" თვალები. თუ ადრე „მოვკვდე შენ დაუტირებლად, თუ შეგადარო მზესთანაო", – ეფიცებოდა, ახლა „არ დაინდობა დიაცი, მიწყივ ორპირი, ფლიდიაო", – წერდა... გაღმა-გამოღმა მყოფებს, ლუკას და მოლოდინაანთ სალომეს, შუა ავად აღრენილი, „სატიალე" მდინარე ჩაუდიდოდათ და მოუთმინარი ფიქრით დასეტყვილი პოეტი ნუგეშსა და შვებას შორით ცქერაშიღა ჰპოვებდა.

ამასაც აიტანდა.

ცხოვრებამ ასწავლა განსაცდელში გაძლება.

დათმობდა სოფლის ყოველგვარ სიამეს (ანკი რა ებადა დასაკარგი და დასათმობი!), ოღონდაც „ციდამ" ნასმენი უხილავის ხმა არ შეწყვეტილიყო, მოყაშყაშე არწივი არ შემოწყრომოდა და მის მარჯვენა მხარზე ჯდომა არ მოეშალა...

თავის დარდიან, ვარმიან, სიმწრით და ნუხილით გაჭექილ, სენ-სამსალით გალიცლიცებულ „სიმღერებში" – „სულიერი მოძრაობის მეტყველებით ფორმაში" (გრ. კიკნაძე) – ერთურთთან ათავსებდა მიწიერი ცხოვრების უხანობის განცდას და უმჯობესი მომავლისთვის ბრძოლის ჟინიან სურვილს; პირადი ბედნიერების დათმობისთვის ყოველწამიერ მზაობას და ქვეყნის საკეთილდღეო ფიქრს; ბილწთან ზავით შეუკვრელობის მაღალ შეგნებას და ნატვრას ამ ცოდვილ მიწაზე ღრუბელთ გულ-მკერდის მონაჟურ წვიმად მოსვლისას...

გაჩქარებული ნისლებიც, პოეტის დარად, „მღერით" მიდიოდნენ ვიწრო, სულწუხ ხევზე, ხოლო ცაზე მოყვავილე ქათქათა ღრუბელნი „მზის სხივებს ჰსვამდნენ დილითა"... „მღეროდნენ" მთანი მაღალნი (გულში ამირანიც მღეროდა!); „მღეროდნენ" ცელის ფხის ანაწერი ქუჩი და ბუერიანში დასაშრობად განწირული გემრიელი წყარო...

ტან-ფეხთ არაფერი ემოსა, „დედიშობილა" დაიარებოდა და მაინც მთლად მას ეკუთვნოდა ქვეყანა, „მთაში – მთა, ბარად – ბარია..." მიწის მჩხვერავ ნაიალაღარ ხარს ჰგავდა და „ნუ მოხ-

ვალ, მიწას ეფარეო", – აფრთხილებდა ტურფა, ჯანსუსტ ია. შავი ღრუბელი დასწოლოდა და წუხდა, ბორგავდა, ხმაგაბმით ბუბუნებდა. „დამსეტყვეო", – ემუდარებოდა საავდროდ წარბშეკრულ ცას და თავისი „კაცობის გვირგვინის" – ჭილყვავთაგან შეჭირვებული სამშობლოს – გასაგონად „მღეროდა": „კარგი მაქვს წუთისოფელი, კაი დროს დავიბადია".

„ემღერებოდა" და „მღეროდა".

გულს დაჩნეული სამი პირშეუკრავი იარა (წარსული, აწმყო და მომავალი) „სიმღერაში" ხელს ვერ უშლიდა.

მალი-მალ გაურბოდა, ებინდებოდა და მტყუვნობდა ბედი; კბენდა მოდიდებული ვარამი... მაინც „მღეროდა".

შორი გზიდან „ცეცხლა" ცხენით შინისკენ მიმავალი გამოციებულ მიწურში ობლად დარჩენილ ბალღებზე ფიქრობდა; ჩქარობდა, გული მათი სიბრალულით ესერებოდა, ეხლიჩებოდა და ისევ „მღეროდა".

ხანდახან დაიჩივლებდა, „ჩონგურს სიმები დამიწყდა, მღერა მწადიან აღარაო", მაგრამ გულით და გონებით ბაჯაღლო ოქროს ზოდების მზიდავს არ ჰქონდა უფლება, პირადი საეროვნოზე წინ დაეყენებინა და ჟამიერი განწყობილება ყოველდღიური ცხოვრების წარმმართველ წესად ექცია.

„მტირალის სტვირის პატრონი" მალულად მავნე, უჩინარ, უსახელო მეტოქეს უტევდა, ეპაექრებოდა; ნაყროვან, ბედის ნებიერ, „შეუწონარი სირეგვნით" გათავხედებულ „მამულიშვილებთან" დავობდა და საკუთარი ნიჭის, პიროვნული ღირსებისა და ავკარგის გამრჩევი მერმისის მოიმედე სიამაყით ნაფერი ნიშნისგებით აცხადებდა: „მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვსდგევართ ღმერთთანა..."

მღეროდა ვაჟა; მღეროდა ნაღვლიანად და რწმენა იმისა, რომ „კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება, თან დააქვს ძველისძველადა", მარტვილურ მხნეობას მატებდა... უცოდველი ჩვილის ცრემლივით წრფელი და საკირესავით მწვავე, ნატანჯი და „ნაღვლით ნაქარგი", სიმწარენაჭარბი და მწუხარე იყო ვაჟა-ფშაველას ხანმოკლე ცხოვრება.

ასეთია მისი „სიმღერებიც".

* * *

ვაჟა-ფშაველას დაბადებაში, ისევე, როგორც მის აღმატებულ ნიჭიერებასა და უაღრესად შედეგიან შემოქმედებით შრომაში, ღვთის ხელი, ღვთის ნება ერია. ნიშანდობლივია თუნდაც ის, რომ ახალშობილს თმა თვალებს უფარავდა... უჩვეულო ინსიგნიებით დაბადებულთ „ნაწილიანებს" ეძახოდნენ მთაში. მათ რიგითი ადამიანებისგან ზედატანის რომელიმე ნაწილზე (მხარბეჭი, თავის არე, გულ-მკერდი...) „ამოტვიფრული" მზის, მთვარის, თხილის გულისა თუ ვარსკვლავის გამოსახულება გამოარჩევდათ; ასევე, ჭარბთმიანობა... გამჩენი თავის რჩეულს ქველი საქმეებისთვის ამზადებდა და თუკი ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა ცით დაკისრებული მოვალეობის ზიდვას ანდა თავისი განსხვავებულობის, ცხებულობის საიდუმლოდ შენახვას, გულსაკლავად მალე, ერთობ ნაადრევად იღუპებოდა...

ეთერ თათარაიძის ნიგნში „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი" გულქვა რაზიკაშვილი იტყვის: „ნაწილიანი ყოფილა პაპაჩემი პავლე. ჩემი ბალღიც ნაწილიანი იყო, ორის წლისა მამიკვდა... პერანგიანი დაიბადა... ეგრეც ეტყობოდა, კოხტა მასკვლავი ეჯდა საწვერის ზემოთა... ის პერანგი გადავაგდე და იმიტომაც მალე დამეღუპა... არ უნდა გადამეგდო... ნაწილიანი საუკეთესოა. ეგა ყოფილა ადამიანის ბედნივრობა ცხოვრებაში... პაპაჩემზე ამბობდნენ, კარგა მიუდიოდა ცხოვრებაო, არც ერთი შვილის სიკვდილს არ შეესწვრაო. იმის სახლში სუ ქორწილი და ლხინი იყოო, იმათ ჯაჭვზეით სახინკლე ქვაბი არ ჩამაიხდებოდაო... მამა იტყოდა: ნაწილი დაბადებით დაჰყვება კაცსაო, სინამდვილე არიო... მამაი იქნებოდა ღვთის ნაწილიანი, იქნებოდა, იმას სხვანაირი ეტლი ედო, სხვანაირი..."

არ უნდა იყოს სწორი ვაჟას ბიოგრაფიიდან მისტიკის ელემენტების გამორიცხვა, პირწმინდად ამოშლა და უგულებელყოფა. ფაქტობრივი, თვალხილული დადასტურებაც რომ არ ყოფილიყო, თვით ხალხი, თანამედროვენი თუ შთამომავლობა შექმნიდა მისი სახელის ირგვლივ ზღაპრულ-ფანტასტიკური დეტალებით ჭარბად თუ ზომიერად გაჯერებულ დაუჯერებელ ამბებს, ცნობისწადილის აღმძვრელ სიუჟეტებს.

თუმცა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ვაჟას მცნობთა, მომსწრეთა თუ სულაც თანამეინახეთა მოგონებებში არაფე-

რია ისეთი, მყარი ნიადაგი რომ არ მოეძევებოდეს, რეალობით არ იყოს პირობადებული და შემაგრებული, სინამდვილე და თუნდაც რუტინული ცხოვრებისეული მოვლენები რომ არ ედოს საფანლად...

დაბადებითვე სხვაგვარი, არაორდინარული მომავალი უმისნეს და თუ როგორ ახდა და აცხადდა მთიელ „წინასწარმეტყველთა" ნათქვამი, მოწმეა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი წიგნიერი, კულტურული კაცობრიობა...

ვაჟა-ფშაველა დაიბადა 1861 წლის 14 ივლისს (ავტობიოგრაფიაში თვითონ 1862 წლის 15 მაისს ასახელებს!), ჩარგალში, ფშავის ერთ ყუჩ, გაღმა-გამოღმა მთების კალთებზე გაშენებულ უმშვენიერეს სოფელში.

ჩარგალი იმ დროს ფშავის მეთორმეტე თემს შეადგენდა (ასეა მითითებული ერეკლე მეფის 1819 წლის განაჩენის სიგელში) და, ფშავისხევის სხვა სოფლებთან შედარებით, გვიან განაშენიანდა.

ზეპირი თუ წერილობითი ცნობები რაზიკაშვილების პირველწინაპრად სოფელ სნოში (სტეფანწმინდის რაიონი) ოდითგან მოსახლე ღუდუშაურების ძველთუძველეს გვარს იხსენიებენ. ჩარგალში მისვლამდე და დამკვიდრებამდე ვაჟას (სავარაუდო) წინაპრებს ცაბაურთის თემი, აფხუშო და ლიშო გამოუელიათ და საბოლოოდ აქ, როგორც ერთ ხალხურ ლექშია ნათქვამი, „აბრეშუმის საბლით მოზომილ ცოტინა" ჩარგალში დასახლებულან.

გვარ-მოდგმის ლიბუს დამდები წინაპრების ხსოვნას ყოველთვის განსაკუთრებული კდემით, კრძალვით და პატივისცემით ინახავდნენ ფშავ-ხევსურეთში. დროთა დინებაში გაცრეცილ, დანაკლულებულ გადმოცემებში ცოცხლობდნენ „პიროფლიანთა" გვერდით ხსენების ღირსი ამაგდარ წინაპართა შთამბეჭდავი სილუეტები.

ვაჟა-ფშაველას „გამარტივებული" გენეალოგია ამგვარად გამოიყურება: რაზიკა-ქუმსი-იმედა-ბერო-გივი-პავლე-ლუკა.

პოეტს დიდად ეამაყებოდა საკუთარი მამულ-წყლის მცველ თავის წინაპართა სახელები და სიყრმითვე გულდაგულ ისმენდა და იმახსოვრებდა მათი მხნეობისა და ვაჟკაცობის ამსახველ ზეპირ ისტორიებს.

გენეალოგიურ ხაზში რიგით მესამეს – იმედა რაზიკაშვილს – მიეწერება სიტყვები, რითიც მას (ალბათ, რაღაცის გამო განაწყენებულსა და უკმაყოფილოს) მეფე ერეკლესთვის მიუმართავს: „ორი შენ მიბრძანე, ბატონო, მესამე კი ჩემი გაიგონეო!“

როგორც ჩანს, არასდროს ყოფილა მიზანშეუწონელი, თვით მეფეთათვისაც კი შეეხსენებინათ სოფლის „უბირ“ შვილებს ის, რაც ზოგჯერ მათი ფართო, არწივული თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა ხოლმე და რის გაუთვალისწინებლობაც საზიანო შეიძლება გამომდგარიყო ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის...

თეთრ ცხენზე ამხედრებული იმედა, დევგმირული აღნაგობის და ზავთიანი შესახედაობის „ფშაველთ უფროსი“, მრავალგზის იყო ნასახელარი ლეკთა მდევრობაში და მისი დანახვა ფერფურს აკარგვინებდა და თავზარს სცემდა მთის ბილიკებით ფშავში სადავლოდ და სამეკობროდ გადმოსულ, ბუნებით მულიდ გადამთიელებს.

ხალხური მელექსეები ვალში ვერ დარჩებოდნენ „მემეტე“ მეომრის მიმართ და აკი ლამპარივით მიუდევნებიათ კიდეც მისი ღირსების საფერი სიტყვები: „ღიამც დაგხვდება, იმედო, დიდი სამოთხის კარია...“

კაცთკითხული წინაპრების სიმცირეს ვაჟა ნამდვილად ვერ დაიჩივლებდა. თვითეულ მათგანზე შეყოვნება შორს წაგვიყვანდა!

მაგრამ უსწორობა (და უმადლობა – უმადურობაც!) იქნება, ვწეროთ ვაჟაზე და თუნდაც წამით მუხლი არ მოვიხაროთ მისი ღვთივსათნო, ადამიანური სითბოთი და სიკეთით აღსავსე მშობლების წინაშე!

პავლე რაზიკაშვილმა, სულიერების მსახურად დაბადებულმა ფშაველმა კაცმა, სრული ქონებრივი სიბეჩავისა და ირგვლივ გამეფებული გონებრივი განუვითარებლობის პირობებში, სიპ ქვაზე ისწავლა წერა.

(მოგვიანებით პაპის გზის მიმდევრად და გამმეორებლად მოგვევლინება გულქან რაზიკაშვილი, ნახირში ყოფნისას ხელისგულისოდენა ქვაზე რომ კაწრავდა ობლის გულისთქმას და „დაბზიკავებულ“ საქონელს გადევნებული ხშირად კარგავდა თითქოსდა იოლად მისაგნებ ალაგას დადებულ წარწერიან სიპს)...

ფარ-ხმლისა და მშვილდ-ისრის დროინდელ ფხოვში აუგად და უსარგებლო, საეშმაკო საქმედ ითვლებოდა წიგნის ხელში აღება და წერა-კითხვის სწავლა. საგმირო-ჰეროიკული თავგადასავლების სულისკვეთებით აღზრდილი მშობლების უმეტესობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო შვილებისთვის განათლების მიცემისა... პავლესაც უშლიდა მამა, გივი რაზიკაშვილი: თემსა და სოფელს ნუ ღალატობ, „გარუსებას„ თავი დაანებე, გვარი არ მოაყივნოო... და როცა ვერა გააგონა რა, მოკვლა მოუნდომა, მაგრამ პავლეს არსებაში უკვე გახსნილიყო სულიერების სფეროსკენ სამზერი სარკმელი და როცა მის მონოდებას უმოწყალოდ თრგუნავდა მისსავე ოჯახში შექმნილი უნუგეშო გარემო, იძულებული გახდა, აეკრა გუდა-ნაბადი, დაეკრა ფეხი და თავისუფლების საძებრად კახეთის ერთ-ერთი მონასტრისთვის შეეფარებინა თავი.

მოწესეთა შორის განისწავლა, გამოიწრთო, გათვითცნობიერდა საღვთო სჯულის საკითხებში და საფუძვლიანად მომზადებული დაბრუნდა მშობლიურ მთაში... თავდაპირველად მედავითნეობა დაევალა ჩარგალში, შემდგომ შუაფხოსა და მაღაროსკარის მთავარდიაკვნად დანიშნეს, ბოლოს კი ისევ ჩარგალში იტვირთა და ატარა მღვდლის საპატიო მისია...

ვაჟა, ხასიათის მხრივ, ყველაზე მეტ და უეჭველ მსგავსებას მაინც ბიძა ბოიგართან ამჟღავნებდა; ბიძასთან, ვისაც სამჯერ ჰქონდა აზარი ათავებული (ე. ი. სამასი წმინდა, ჩლიქიანი ნადირი ჰყავდა მოკლული და, ნიშნად ამისა, თოფი სამჯერ მინაში დამარხული)...

მიმტევებლობის სანაქებო უნარი დედისგან დაჰყვა.

ბარბარე (გულქან) ფხიკლეშვილი, ძირად გაბიდოური, სოფელ სხლოვნიდან (თიანეთის მაზრა) იყო... სულით, სახით და ტან-ფეხით თანაბრად ლამაზი ქალი, თანამედროვეთა დახასიათებით, უზომოდ გულკეთილი, ობოლ-უპოვართა შემბრალე, თავისიანთა მოსიყვარულე და მშიერთა გამკითხავ-დამპურებელიც ყოფილა. შინაური თუ შორეული სტუმრის ნდომა და სიყვარული რჯულზე უმტკიცეს ჩვევად ჰქონია ქცეული. შორს შენიშნავდა ახუნის მთაზე თავქვე მომავალ მგზავრს, გაეგებებოდა, დახვდებოდა და შინ შეიპატიჟებდა: – დაღლილი იქნები, პური გეშიებაო... პავლე მღვდელი ყასიდად ჩაი-

ჯავრებდა: წყალსა და ქარს წააღებინა სახლიო!.. ბარბარეს ზეპირად სცოდნია თავისი კუთხის სიტყვიერება. ფშავში პირველ, ტოლუპოვარ მელექსედ იცნობდნენ მის ღვიძლ ბიძას – პარასკევას. უქმად მყოფ ბარბარეს ვერავინ ნახავდა: ნახირს რომ მომწყემსავდა, მერე წისქვილში საფქვავს წაიღებდა; ჭიჭახევაზე წყალზე წასული მალევე გამოჩნდებოდა და ეზოკარს მიალაგებდა... ზამთრობით საჩეჩელს ჩაუბეჯითდებოდა, მოიმარჯვებდა ჩხირ-წინდას და ქსოვდა გაზაფხულისდრად აყვავილებულ ფეხსამოსს...

ოთხი-ხუთი წლის ლუკა საშუბისა თუ სასოვეთთავის კამკამა ჰაერთან ერთად ირგებდა და ითვისებდა გულისხმიერი მშობლების ზნის უზენაესობას; აკვირდებოდა მათ ფუსფუსს, საქმიანობას; აყურადებდა საუბარს.

პავლეს უყვარდა ძველი, უხსოვარი ჟამის საკარგყმო ამბების მოყოლა.

„საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყავდი და სწორედ ეს ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ ჩემს შემოქმედებას“, – იგონებს ვაჟა.

სახიერი კინოკადრის კონკრეტულობით აღბეჭდვოდა მის მეხსიერებას მშობელი დედის ნაამბობი იაკობისებური ცხად-მოჩვენება, სხლოვანის იდუმალი ღამის სუნთქვა და ზებუნებრივი სურათი რომ მოაქვს ჩვენამდე...

...და დედმამიშვილები – მართა, გიორგი, ნიკო (ბაჩანა), თედო და სანდრო (ალექსანდრე) – მეტ-ნაკლებად რომ გრძნობდნენ ვაჟას სიდიადეს, შეუცნობლობის ნისლში გამომკრთალ დიდ მომავალს და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ დასაშვებ ზღვარს არ გადასულიყვნენ მასთან კამათსა თუ ხუმრობა-თავშექცევის ნანატრ წუთებში.

მათი მიმონერა თუ უშუალო ურთიერთობა ერთობ მიმზიდველი და საინტერესო „მასალაა“ ერთი ტანადი წიგნისა, რომელიც, იმედი ვიქონიოთ, ოდესმე აუცილებლად დაიწერება!..

* * *

წიგნის სიყვარული, უეჭველია, ადრეულ სიყმაწვილეშივე აჰყვა ლუკას, რაც, შეუძლებელია, ვერ შეემჩნია პავლე მღვდელს და სერიოზულად არ ეფიქრა შვილისთვის ხელის შეწყობაზე.

პავლე რაზიკაშვილი ხედავდა, რომ მთიელთა ბუნებითი, თანდაყოლილი შემოქმედებითი ნიჭი, ხშირ შემთხვევაში, უგეზოდ იფლანგებოდა, უკვალოდ იკარგებოდა და თუკი ამ ნიჭს განათლებაც არ ეშველებოდა, წრთობა და ვარჯიში მოაკლდებოდა, კედელზე უქმად დაკიდებული ფრანგულივით დაჩლუნგდებოდა და დაჩოლფოტდებოდა...

ოჯახის რჩენა-შენახვის ფილფო გააჩნდა, სარჩო-საბადებელი, ავად თუ კარგად, მოეძევებოდა, ღვთის შეწევნით ტანთჩაუცმელი არავინ ჰყავდა და გადაწყვიტა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიებარებინა ლუკა.

რვა წლის იყო მომავალი „მთის არწივი", როცა მამამ ცხენზე შემოისვა, მთები გადატაარა, ალაზნის ჭალა-ველები აჩვენა და თელავში ჩაიყვანა...

ექვს წელიწადს მოუწია ლუკა რაზიკაშვილს თელავში სწავლა.

სასულიერო სასწავლებლის ცივი, ყოვლად უსახური, უინტერესო, არაჰუმანური გარემო, სწავლის მონოტონური რიტმი და სხვა ამდაგვარნი ახლოსაც არ ეკარებოდა სრულიად გამორჩეული ხედვისა და მიდრეკილებების მქონე ყმაწვილის შინაგან მოწოდებას, სულსა და ინტერესთა სფეროს. თვითონვე აღნიშნავდა (რა თქმა უნდა, დანანებით), რომ სასწავლებელში ყოფნამ ბევრი ვერაფერი არგო მის გულსა და გონებას...

რატომღაც „რაზიკოვად" იწერებოდა და არა „რაზიკაშვილად".

მოსწონდა საკუთარი გვარის უცხო, არაქართული ჟღერადობა.

თავის პირველ კორესპონდენციებსაც „რაზიკოვის" ხელმოწერით აქვეყნებდა...

ხასიათდებოდა სიჯიუტით და შეუპოვრობით. ჰქონდა უჩვეულო ფიზიკური ძალ-ღონე; თავისუფალი დროის დიდ ნაწილს კრივსა და ჭიდაობას ანდომებდა; ყველას ჯაბნიდა. მისი მომრევი არავინ იყო.

ლუკასთვის ადგილიც კი ვერ გამოინახა იმ საკლასო ოთახში, სადაც მეცადინეობები ტარდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა – მთელი ორი წლის განმავლობაში ჩამქრალ ბუხარში იჯდა და მტკიცედ მოზღუდული ადევნებდა თვალყურს სწავლა-განათლების ერთფეროვან, მოსაბეზრებელ პროცესს.

ბედმა ამ ღიმილისმომგვრელი ყოფითი ნიშნითაც განასხვავა და გამოარჩია თანატოლებისაგან!..

ათი წლის ლუკა, მოგონებათა ავტორების გადმოცემით, უკვე შეყვარებული იყო. გულისნადებს ვერავის უმხელდა. შორით წვა-დაგვაში გადიოდა ნისლის ნაფლეთივით და ყვავილის ნაფერთალივით ეფემერული, მღელვარე და ფორიაქი დღეები. ვერ ბედავდა რჩეულთან მიახლოებას და მტანჯველი გრძნობის გამხელას. თავმოყვარეობა ბოჭავდა... ახლოვდებოდა ჟამი თელავთან დამშვიდობებისა და, ალბათ, ერთადერთი, რის გამოც ეძნელებოდა იქიდან წასვლა, ცალმხრივი და ისიც გაუმხელელი სიყვარულის სახმილთან პირისპირ დარჩენა იყო...

1877 წელს თბილისის სამოქალაქო სასწავლებელში შევიდა. ამ დროისათვის „ვეფხისტყაოსნის" არაერთი თავი თუ ეპიზოდი ზეპირად იცოდა.

ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში, ელისაბედის ქუჩაზე, სოლ. ლაშაურთან, ანდრიაშვილთან და დ. ქადაგიძესთან ერთად.

თავის დაუდეგრობას, ცელქ საქციელსა და მოუსვენრობას ვერც იქ ელეოდა, რის გამოც აღმზრდელ-მასწავლებელთა შენიშვნებსა და გულისწყრომას იმსახურებდა. უყვარდა ამპარტავანი, სოციალური სტატუსით ჩვეულებრივი ოჯახის შვილებზე მაღლა მდგომი და ამით გათამამებული ტოლ-სწორების გამოწვევა და აბუჩად აგდება. ვერ ურიგდებოდა უსამართლობას... ჭროღა თუთის სიყვარულის გამო მუშტაიდის ბაღის დარაჯებმა „ჭროღა ფშაველი" შეარქვეს. რაღაცით შვენოდა კიდეც ეს კეთილხმოვანი თიკუნი. ყოველ შემთხვევაში, არ სწყინდა...

ლუკასთვის არც თბილისში ყოფნა-სწავლის წლებს მიუციათ მნიშვნელოვანი რამ. აქაც გრძელდებოდა უშინაარსო გაკვეთილებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. მუშტიკრივსა და ამხანაგებთან „განყენებულ" თემებზე საუბარში გაცილებით მეტი დრო იხარჯებოდა, ვიდრე მეცადინეობაში. ელტვოდა იმას, რაც მის სულს სწყუროდა, ავსებდა და აკმაყოფილებდა... საპირისპირო მიმართულებით მიდიოდნენ ლუკა რაზიკაშვილი და განათლების იმდროინდელი სისტემა. ამიტომაც იყო, რომ ძლივს ეღირსა სასწავლებლის ატესტატს.

ყველაზე კარგი და დაუვიწყარი რამ, რაც ამ პერიოდიდან

შემორჩა მის მეხსიერებას, სასწავლებლის ამხანაგთან, ვინმე ანდრიევთან ერთად ანტონ ფურცელაძესთან სტუმრობა გახლდათ. მხცოვანმა მწერალმა თბილად მიიღო ცნობისმოყვარე ჭაბუკები. ლუკამ მორიდებით მიართვა და დაუტოვა რვეული, რომელშიც მისი თხუთმეტიოდე ლექსი იყო მოთავსებული. რვეულის ყდას ეწერა: „ლექსები, შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა“... მომდევნო შეხვედრა კიდევ უფრო მღელვარე და ემოციური გამოდგა დამწყები პოეტისათვის: გამოცდილმა მესიტყვემ მოუწონა ნაკალმევი და წარმატებები უსურვა...

შემდეგ – გორის საოსტატო სემინარია.

სემინარიის დირექტორი სემიონოვი – ლუკას პოეტური ნიჭის ერთ-ერთი პირველი დამნახავი და დამფასებელი; კეთილშობილი და უაღრესად ყურადღებიანი პიროვნება, შვილივით რომ ეთავისებოდა ახალგაზრდა ფშაველი. მისთვის არსებითი იყო მოსწავლის არა ეროვნება, მოდგმა და სადაურობა, არამედ ღირსება, გულმოდგინება და მეხსიერება... დღესაც კი რაღაცნაირი ნიშანდობლივობით ისმის და ხმიანობს ლუკას მისამართით მისი ნათქვამი: „**Высшая поэтическая натура!..**“

გორში ლუკა გაორმაგებული ინტერესით ჩაუჯდა და ჩაუღრმავდა საზღვარგარეთელ ავტორთა წიგნებს. სემინარიის მთელი ბიბლიოთეკა გადაკითხული ჰქონდა. გულისყურით დაამუშავა და შეისწავლა სოკრატეს, პლატონის, ეპიკურეს, კანტის, ბეკონის, სპენსერის, ჰომეროსის, დანტეს, ვირგილიუსის, შექსპირის, ბაირონის და სხვათა ნაშრომები და საპროგრამო ნაწარმოებები.

მონაწილეობდა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის მომზადებაში; იყო გორის ხალხოსანთა აქტიური წევრი; დაწერა რეფერატები დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეზე; საჩინო წვლილი შეიტანა გლეხი მგოსნის – იოსებ დავითაშვილის მხარდამჭერი საღამოს გამართვაში...

მოახლოვდებოდა არდადეგები და გულში მთების ჩქრო ჩაუდგებოდა.

ჩარგალში მიელოდა გრილი ჭიჭახევა და „კალმახიანი წყალი“, „სვიით გაბმული“ მურყნიანი და სარაყდრის გორი, დედის მოხვეული ხინკალი და მამის გამართული ცელი, სნორებ-

თან თამაში და ქედნებზე ნადირობა, მდინარეში ბანაობა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მიბაძვით ძმა-ბიძაშვილებთან და სხვა თანასოფლელებთან ერთად „ქაჯეთის ციხის“ ანუ სულა-კურდღელათ სიმაგრის იერიშით „აღება“...

.....

მთავრდებოდა სიჭაბუკის განუმეორებელი, ხალისიანი ხანა და იწყებოდა ახალი, საზრუნავით აღსავსე ეტაპი ლუკა რაზიკაშვილის ცხოვრებაში...

სამსახურში მოწყობა ადვილი არ იყო.

წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (თავ-რე ილია ჭავჭავაძე) მხარდაჭერით ლუკა რაზიკაშვილი მასწავლებლად განამწესეს ტოლათსოფელში, ერწო-თიანეთის მხარეში მაშინ ერთადერთ ამტნისხევის სკოლაში.

თან ჰყავდა თედოც – უმცროსი ძმა.

ლუკას სამსახურებრივ გზას იმთავითვე საჩივრები, ინტრიგები და დავიდარაბა დაებედა... ესარჩლებოდა და ქომაგობდა ღალის ამღები თავადებისგან შეღონებულ ხალხს; კაიხანს გასტანა დავამ და სამართლის ძიებამ მღვდელ აღნიაშვილთან სკოლის მომიჯნავე ღობის გამო...

„მოურჯულებელი“, უმსგავსობისა და უკეთურების მგმობი მასწავლებელი მალე სკოლიდან დაითხოვეს.

არსებული სინამდვილე დაუნდობლად ზღუდავდა, მტრობდა და სულიერი თუ გონებრივი „რესურსის“ სრულფასოვანი რეალიზების საშუალებას არ აძლევდა (პოეტური შემოქმედების მადლთან ზიარების პირველივე წლებიდან აედევნა ტკივილი, შემდგომში ამგვარ პწკარებად რომ გარდაისახა და გამარადიულდა: „ფრთებს მიკვეცს აღმაფრენასა ამბავი ყოველდღიური...“).

ვრცელი ასპარეზის მიგნებაზე ფიქრში მკაცრი და უშეღავათო რეალობის ცივ, ცრიატ კედლებს აწყდებოდა...

უფროსი ძმა გიორგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა.

თვითონაც იქ გამგზავრება ჰქონდა გუმანში.

და აი, ლეგენდარული მოჭიდავის კულა გლდანელის უანგარო თანადგომით რუსეთში წასვლა მოახერხა...

არც პეტერბურგში დახვედრია მაინცდამაინც ნაოცნებარი, ცოდნის შეძენა-გაღრმავებისთვის ხელსაყრელი გარემო.

ვინაიდან გიმნაზია არ ჰქონდა დამთავრებული, პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად მიიღეს. გაიარა იურისპრუდენციის კურსი, რაც შემდგომ წლებში დიდად ეხმარებოდა მთის ადათ-წესებისთვის მიესადაგებინა მართლმსაჯულება და კანონები ხალხის სასარგებლოდ გამოეყენებინა...

მუდმივი უსახსრობა და ლუკმა-პურის მოპოვებაზე წუხილი მთელი იქ ყოფნის განმავლობაში არ მოშორებია; უთანაბრო ჩხუბშიც ჩაბმულა და ძმასთან ერთად რიცხვით ათჯერ მეტ მოწინააღმდეგესთან მარჯვედ მორკინალს განცვიფრებაში მოუყვანია ამ ამბის თვითმხილველნი...

1884 წლის შემოდგომაზე ლუკა (დიმიტრი ცისკარიშვილის მიერ უკვე ვაჟა-ფშაველად მონათლული) უკიდურესი გაჭირვების გამო სამშობლოში გამოემგზავრა.

ბედად, სოფელ ოთარშენში გამოჩნდა შინამასწავლებლის ადგილი და ვაჟასაც ბევრი აღარ უყოყმანია: ადგა და ოთარ ამილახვრის ვაჟიშვილის აღზრდა-განათლებას მოჰკიდა ხელი...

აქ გაიცნო და მალე თავისად იგულვა ამილახვრის უკანონო შვილი კეკე (ეკატერინე) ნებიერიძე... ჩარგალში შეუთვალა და პავლემ ათამდე ცხენოსანი ფშაველი დაახვედრა მცხეთაში. თედო და ბაჩანაც, ბუნებრივია, მაყარში იყვნენ. არაგვის ხეობა ლაღი საქორწილო ძახილ-ხმაურით და ცხენების ჯირითით ავსეს... არც ავყია მოქეიფეთა ქილიკი და შარი მოჰკლებიათ, რის გამო ვაჟას ხანჯალს ერთ-ერთი მათგანის ყური შეეწირა ხიწვა თურმანაულის დუქანში...

„დიდი ქვეყნიდან" იგი წინასწარი განზრახვით ბრუნდება ფშავში. იგი უბრუნდება თავის სოფელს, ხატებსა და სალოცავებს, როგორც აღთქმულ ქვეყანას, რადგან „ფშავი" მისთვის სამშობლოს თბილი და პოხიერი დედა-მიწა, ამქვეყნიური ნავთსაყუდელი ანუ „ყოფიერების სახლია", ის „შინა", რომელიც მას ეშინავება" (თამაზ ჩხენკელი)...

დაიწყო ვაჟას ცხოვრების „მდგრადი", საზრუნვმომატებული მონაკვეთი. კეკესთან ერთი ვაჟი (ლევანი) და სამი ასული (მარიამი, თამარი, გულქანი) შეეძინა...

ტანად მომცრო, ჯანსუსტ კეკეს ქმარ-შვილის სიყვარული და ერთგულება აძლებინებდა მთის მკაცრ, ურთულეს პირობებში...

და ვიდრე საბოლოოდ „შაეხიზნებოდეს" ჩაბნელებულ ხევებს და „ფერცხალა" გორებს, „თალხკაბა" იას და უფსკრულის პირას მბზინავ პირიმზეს, „ენკენისთვიურ" ნისლებს და „ცის პირთ მავალ" არწივებს, ვაჟას ოჯახობით მოუწევს გამგზავრება დიდთონეთში. ორ წელიწადს გასტანს მისი მასწავლებლობა და დაპირისპირება თვითმპყრობელობის ჩინოვნიკებთან, ხუცებთან, ბოქაულთან, მამასახლისთან... არც აქ დაუძვირებენ საჩივრებს, ბრალდებებსა და უსაფუძვლო ცილისწამებებს... დიდ დროს შეალევს შვილთა და მშობელთა ურთიერთობის „დალაგებას". მოძღვრებასაც დაწერს ამ საკითხზე... მაგრამ დიდთონეთში მოღვაწეობის ფინალიც კარგად ნაცნობი და უცვლელია. მიუხედავად ორასამდე ადგილობრივი მცხოვრების გამოქომაგებისა, პედაგოგიურ საქმიანობას ჩამოაცილებენ, რაც სიცოცხლის მიწურულამდე ტკივილიან მოგონებად გაჰყვება.

1902 წლის დეკემბერში, მაშინ, როცა ვაჟა ყვარელში თავის და-სიძეს, მართას და მეტეს, სტუმრობდა, ჩარგალში მოულოდნელად გარდაიცვალა კეკე. მეხუთე შვილზე ორსულად მყოფმა მძიმე ტვირთი ასწია, რაც მისთვის ფატალური შედეგით დასრულდა... დისწულთან ერთად ყვარლის ტყეებში შვლებზე სანადიროდ ყოფნისას შეიტყო ვაჟამ მეუღლის დაკარგვა. მეორე დღეს დის თანხლებით დაადგა თოვლყინულიან საჩარგლო გზას... უდედო შინაში აბოჟირებული ბალღები დახვდნენ... კედლიდან ფანდური ჩამოიღო (სოფელ-მეზობლობამ დარდი არ შემატყოსო!), სიმებს ჩამოჰკრა და ლექსად ამოთქვა კიდევ ერთი ტკივილიანი „სიმღერა" – შედევრი: „იას უთხარით ტურფასა..."

გავიდა ორი წელი და ხორხიდან თამარ დიდებაშვილი შეირთო ცოლად.

1904 წლის 2 თიბათვით დათარიღებულ სანდროს საპასუხო წერილში ვაჟა ამგვარად ხსნის და ასაბუთებს თავისი არცთუ იოლი ნაბიჯის სისწორესა და ერთადერთობას: „შენი წერილი ნიკოსთან გამოგზავნილი წავიკითხე და ყოველივე ვცან, მას შინა სიბრძნე რაიცა იყო. თქვენ, ჩემო ძმებო, მრათალია, გწყინსთ ჩემი „გაჯეილება", მაგრამ ტყუილად: არ იცით საქმის ვითარება და იმიტომ მამტყუვნებთ, ადვილი გგონიათ სახლის გაოხრება და ბალღების დაწიოკება; არ გამოგიცდიათ და იმიტომ, ღმერთმა

ნურც გამოგაცდევინოსთ. არ არის ადვილი ასატანი და მოსათმენი, სხვათა იქით, რომ ძაღლიც გამეზობლებული დადიოდეს ყმუილით და სახლში კატებიც აღარა დგებოდენ. აი, ამ გარემოებამ დამატანა ძალა და შემართვევინა დედაკაცი..."

1905 წლის ოქტომბერში თამარისგან კიდევ ერთი ვაჟი (ვახტანგი) ეყოლა.

ვაჟას ცხოვრების უსიხარულო (გამონაკლისად ჩაითვლება გენიით გასხივოსნებული შემოქმედებითი შთაგონების უიდუმალესი წუთები) თარიღთა შორის ალბათ ყველაზე ქუფრი და თალხიანი იყო 1890 წელი, როცა, ერთურთის მიყოლებით, სექტემბერსა და ოქტომბერში, მშობლები მიწას მიაბარა. ყრუდ დაიხურა სამოთხის კარი და მამაპაპეული სახლის – „განდეგილის სენაკის" (ს. ჩიქოვანი) – მოვლისა და გაძღოლის მთელი სიმძიმე ვაჟას დააწვა მხრებზე...

„ბიბლიური იაკობის შვილებივით დაიქსაქსნენ პავლე რაზიკაშვილის ოჯახის წევრები" (დიმიტრი ბენაშვილი).

ვაჟა ჩარგალში დარჩა, დასაყდრდა და გარეგნულად არც არაფრით განირჩეოდა დღე და ღამ ჯაფა-ჯაჯანში მყოფი ტიპიური ფშაველებისაგან.

სამი „ჯიშიანი" ხმალი ჰქონდა: ფრანგული, გორდა და ქაჯისთმიანი; ჰყავდა ხარ-მოზვრები: ყვარელა, ღილა, ღვინია და ნიჟარა; ცხენები: ცეცხლა და ნიკორი; დიდად სანაქებო მეურნე არ ყოფილა, მაგრამ ერთი კაცის კვალობაზე არ ავად ართმევდა თავს გუთნისდედობასა თუ სათიბ-სამკალს; ეხერხებოდა ნიჩბების, უღლების, ტაბიკების, წალდისა და ცულის ტარების, მარხილის გამოთლა და გამართვა; ეზოში რგავდა და ახარებდა ვაშლს, მსხალს, ბალს, კაკალს (მისი ნახელარი ხეხილის ნაწილი დღემდე მსხმოიარობს ჩარგალში); ჰყავდა მეზობლები (ოსა და ხეხერა ზურაბაშვილები, ღვთისო და მიხა მთიბელაშვილები, ბესო პირქუშაშვილი...), ზეპირად რომ იცოდნენ მისი ლექსები და პოემები...

1892 წელს „ბედნიერით" (ციმბირის წყლული) დაავადებული მწარიას ხარის ხორცის „წყალობით" ცალი თვალი დაკარგა. თვენახევარს იწვა ლოგინში, მერე თბილისში ჩავიდა, ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ უშედეგოდ. ამ სამწუხარო შემთხვევამ მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი დააკლო მის უღურსა და ეტლიანობას (ეთერ თათარაიძესთან საუბარში გულქან

რაზიკაშვილი აღნიშნავს: „თვალი ჭქონდა გადმობრუნებული. ეტლი ჭქონდა, ილეთი, სხვა მასკვლავზე იყო დაბადებული, ლაზათი ჭქონდა, შნო. ის ცოტათი წითლად გადმობრუნებული უპე არას უშლიდა, სიბნელეში სხივები ედგა მამასა...").

პირველობას კვლავ არავის უთმობდა მიზანში სროლასა თუ ნადირობაში...

ვაჟა-ფშაველა არასდროს შემოფარგლულა მხოლოდ პირადი ყოფით და შემოქმედებითი ინტერესებით. გონივრულ ნაბიჯებზე დამყარებული საზოგადოებრივი საქმიანობა გახლდათ მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო. ვაჟას უშუალო ინიციატივით მოხდა ფშაველების მასიური ჩასახლება შირაქში; დიდი დრო და ენერგია შეალია სამკურნალო (მუავე) წყლის კეთილმოწყობის საქმეს. და ამ ორივე ამბის გამო საკმაოდ მწავავე შეხლა-შემოხლის, დავისა და უსიამოვნების გადატანა მოუწია... არ ეპუებოდა გულღორღიანთა, თავის ჯამში მაცქერალ ავზნიან მიწრიელთა გამუდმებულ სისინს, თავხედურ გამოხდომებს და ყოველ ღონეს მიმართავდა ჭაპანწყვეტით და უსამართლობით გასავათებულ თანამიწაწყლელების მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

1898 წელს მაღაროსკარის საზოგადოებამ მამასახლისად აირჩია, ხოლო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში ლაშარისჯვრის საბჭეო სკამზე დასვეს და ფშავისხევის თავხევისბრად დაასახელეს.

რუსეთის კოლონიური რეჟიმისაგან განთავისუფლებაზე ფიქრი ქვეყნის მომავალს ნათელ ფერებში წარმოადგენინებდა და დაჟინებით ცდილობდა ფშაველებისა და ხევსურების დარწმუნებას ბრძოლის გზით ბედის ძიებისა და შეცვლის აუცილებლობაში.

რევოლუციური აღმავლობით აღინიშნა 1905-1907 წლები.

საგანგებოდ შემუშავებული გეგმით, ფშავიდან და ხევსურეთიდან თამარ დედოფლის და ხახმატის ჯვრის დროშებით ათას-ათასი შეიარაღებული მეომარი დაიძვრებოდა, ორწყალში გაერთიანდებოდნენ, ვაჟას წინამძღოლობით არაგვის ხეობას დაღმა დაუყვებოდნენ, ბარელ მებრძოლებს შეიერთებდნენ, თბილისს აიღებდნენ, დარიალს ჩაკეტავდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებდნენ...

ვაჟას მიერ შედგენილი აჯანყების გეგმის თანახმად, ურჩხულის კლანჭებიდან ქვეყნის გამოხსნისთვის ბრძოლა მთაში უნდა დაწყებულიყო და საქართველოს ამერ-იმერი მოეცვა...

საომრად აღტყინებულ მთიელთა ოცნებას განხორციელება არ ეწერა!

ასეთ ვითარებაში თავის მოვალეობას ასრულებდა ჟანდარმერია.

თიანეთის მაზრის უფროსმა ვაჟას დაჭერა პრისტავ ოზიაშვილს დაავალა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი თქვა.

ძებნილი ვაჟა ორი კვირის განმავლობაში ტყეს აფარებდა თავს და საიმედო მცველებად ფშაველთა რჩეული, სანდო შვილები ეგულებოდა...

თანამედროვეთაგან შეუცნობლობისა და შესაფერისად დაუფასებლობის სავალალო სენი სევდიან აკომპანიმენტად გასდევს ვაჟა-ფშაველას ისედაც უმზეო, ულხინო ცხოვრებას.

ილიას დიდსულოვანმა, საყოველთაოდ ცნობილმა დაფასებამ და აღიარებამ დაუდო სათავე ვაჟას ნააზრევის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის თანდათანობით გაღვივებას, თუმცაღა თვალხილული, რადიკალური ცვლილებები არც ამ აღიარებას მოჰყოლია და „ბრეშით გამომზირალ" მთებს შეხიზნული პოეტი ჯიქურ აგრძელებდა გზას, რომელიც ყოვლისშემძლე განგებამ არგუნა.

უსახსრობით უკიდურესად შეჭირვებულს სამდურავის მწარე, უნართაულო სიტყვაც დასცდენია და მცირეოდენი ყურადღების მთხოვნელს ფულადი დახმარების თაობაზე განცხადებებითაც მიუმართავს რედაქტორებისა თუ გამომცემლებისათვის...

არ ერიდებოდა ქართველობის საერთო ნაკლის მხილებას, სასიქადულო შვილებისადმი მისი გულცივი, ინდიფერენტული დამოკიდებულების დამღუპველი ხასიათის ხაზგასმას და პირადული პრობლემების მოგვარებაზე ფიქრში თანამემამულეთა ზნეობრივ ამაღლებაზე ზრუნვაც თავისთავად იგულისხმებოდა.

უსაშველო სულიერი ტკივილი, დუმილის უნარსა და უფლებას რომ ართმევდა და სამისდღეშიო წვრილმანებზე „აწუწუნებდა" შემოქმედებითი შთაგონების მწვერვალზე მდგომ,

ღმერთთან მოლაპარაკე ვაჟას, სანიმუშო სიცხადითაა გამჟღავნებული მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

პეტრე უმიკაშვილს, მისი წერილის პასუხად, მთიდან შემდეგს ატყობინებდა: „მადლობა ღმერთს, თუ ერთს ადამიანს მაინც ვახსონვარ. დიდად გმადლობ, ძვირფასო პეტრე, რომ გადარდებსთ ჩემი ყოფა-მდგომარეობა. ნეტავი ისე სხვას ადარდებდეს. ვისთვის რა საჭირო და მოსაგონებელი ვარ, ხაშზე და არტალაზე ვერავის დავპატიჟებ.

მკითხავთ, როგორა ვარ, რას ვფიქრობ, რას ვსწერ. უნდა გატეხილი გითხრა, ვერა ვარ კარგად ვერც ერთის მხრით, უფრო კი ზნეობის მხრით..."

მანამდე, 1909 წელს, ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორს მარიამ დემურიას მიმართავდა: „...მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლიან. უნდა ამიერიდან ქალაქში ვიცხოვრო. ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში, თანაც ვბერდები... მეყოფა ამდენი ძაღლუმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს..."

აკაკის გარდაცვალებით გულმოკლული და თავადაც სერიოზულად სენმორეული მიხეილ ლობჟანიძეს პასუხობდა: „...აკაკის დაკრძალვა დიდებული იყოვო – მწერ. დარწმუნებული ვარ, ფიცი არაა საჭირო. ჩვენის მოღვაწეების დამარხვაში ქართველები დიდს ნიჭსა და უნარს ვიჩენთ, ხოლო სიცოცხლის დროს იმათ დაფასების უნარისა რა მოგახსენოთ; ჩემთვის, მაგალითად, დასაკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩინა, დანიშნა და შემოფარგლა, ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ არ იცის..."

არ იცოდნენ. დიდად არც არავის ანაღვლებდა.

ცხოვრობდა ფშაურად, სხვებისგან „საგონებრიო საქმით" განსხვავდებოდა; წერდა ყველგან და ყოველთვის, როგორც კი მხარკვერიან არწივად წარმოსახული („როცა არწივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა მხარზედა..:") შთაგონება ეწვეოდა; წერდა გზაზე და ხელისგულებით ნალესი სახლის სიმყუდროვეში, ბუსნოზე და კალოსთავის ნიავიან გორაზე, სახნავსა და სათიბ-სამკალში, ჩარგლის „ჭიდრო" ჭალებსა და სულაკურ-დღელათ მამულებში...

ცეცხლის მბჟუტავი შუქი და ბუხრის ალი რომ არ ჩაქრობოდა, კვერცხებზე გაცვლილი ნავთი მოჰქონდა თიანეთიდან; ნავთი რომ გაუთავდებოდა, ტყიდან გულქანის მიერ გუდით მოტანილ, კელაპტარივით დახვეულ ჩრაქვს, არყის ხმელ ქერქს, ანთებდა... ჭირდა ქაღალდის შოვნა და, როგორც იგონებენ, ხშირად ხის ქერქსაც იყენებდა...

უყვარდა შექეიფიანება და „მოფშავლება", მაგრამ ფეხარეული არავის უნახავს.

თბილისში „ქოსების დუქანი" უქარვებდა ჯიხვის რქაში ჩასაკლავ გულის ვარამს, ხოლო სოფელში იშვიათად ეძლეოდა მიზეზი ზომიერი სმისა და „დროსტარებისა".

ხანდახან ხელჩქარად ნაჩორკნ ფანდურს მორთავდა, მოსინჯავდა და წაიმღერებდა... ლხინსა და დღეობებში მარილიანი ხალხური ლექსების, ბაჩანას „მუხისა" და საკუთარი „არწივის" კითხვა სჩვეოდა...

სიყრმიდან უტეხსა და ჯანმაგარს, გადალახა თუ არა ცხოვრების უღელტეხილი, შეუმჩნევლად შეუჩნდა და შეეპარა „ზერე-ქვერე" ავადმყოფობა. შიო მღვიმელის ნათქვამი რომ გავიხსენოთ, ვაჟა „თავის ჯავარზე აღარ იყო"... ღარიბული ყოფა მშიერი მგელივით დაჰყმუოდა და საარსებო სივრცეს უმცირებდა, ართმევდა, ეცილებოდა. უპოვრობით აჟიელებულ ცოლშვილზე ფიქრი და გამოუვალობის დამთრგუნველი შეგრძნება გულსა და გუნებას უწამლავდა. საშინაო თუ საგარეო საქმეების მოუგვარებლობა ლექსად აკვნესებდა და ალაპარკებდა: „ცხოვრება ჭირიანია ჭირით არ ერთით, ორითა..."

1915 წლის თებერვალში გაციებამ, ჭვალმა და მაღალმა სიცხემ ლოგინად ჩააგდო ჩარგალში. სანდროს ნაჩუქარი რკინის „კრაოტის" დაგლეჯილი, მავთულით ამოხლართული თუნუქის „სეტკა" გვერდებს ჟეჟავდა და აუტანლად ატკიებდა. ტანჯავდა მწვავე პლევრიტი...

აპრილის დამდეგს თბილისს მიაშურა და მლეთის ქუჩაზე სანდროს სახლის ჭერს შეაფარა თავი...

დროის დაუდგრომელ დინებას მიჰქონდა (თუ მიჰყვებოდა) ახალგაზრდული სილაღის, სიხარულისა და აღმაფრენის საბაბი და საფუძველი; პირად სენსა და სატკივარს სხვაც ერთვოდა

და ესართებოდა – მთელი ქართველი ერისთვის სამწუხარო და სამგლოვიარო: 1915 წლის იანვარში აკაკი წერეთელი გარდაიცვალა, ხოლო აპრილში – ნიკო ლომოური, გორის საოსტატო სემინარიაში ვაჟას მასწავლებელი და ტკბილმოუბარი მწერალი... გულს ისიც უსერავდა, რომ ვერცერთის გასვენებას ვერ დაესწრო, რასაც საზოგადოების აქტიური, მითქმა-მოთქმის მოყვარული ნაწილის არაადეკვატური გამოხმაურება მოჰყვა: აკაკიმ რომ ენა დაუწუნა, ვაჟა განაწყენებულია და ჩარგლიდან ამიტომ არ ჩამოვიდაო!..

23 მაისს მოღვაწეობიდან 35 წლისთავის აღსანიშნავი სალიტერატურო საღამო მიუძღვნეს სახაზინო თეატრში (ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი)... მანამდე, წინა წლებში, აკაკის იუბილეზე და ილიას ხსოვნის საღამოზე მიიწვიეს თბილისსა და ქუთაისში...

ვაჟას შემოქმედებას ვრცელი და ღრმააზროვანი მოხსენება მიუძღვნა გრ. რობაქიძემ.

წარმატებული, დამსწრეთა ოვაციებით გაჯერებული ღონისძიება ორთაჭალის ბაღში გამართული ბანკეტით გაგრძელდა... გაზაფხულის ნიავზე ჩოხის ამარა იჯდა და უარესად გაცივდა... დილით ძმას შესჩიოდა უგუნებობას და ჯანის მოკლებას.. მატულობდა ქალაქური ხვატი და ვაჟას დღითიდღე ეკარგებოდა ფერი; ელეოდა და ეწრიტებოდა ღონე.

ივნისის შუა რიცხვებში, რაკი უკეთესობის პირი არ უჩანდა, თურქეთის ფრონტზე დაჭრილი ჯარისკაცებით სავსე წმ. ნინოს სახელობის ლაზარეთში (ახლანდელი უნივერსიტეტი) გადაიყვანეს. იმავე დღეს დაინიშნა კონსილიუმი... ფერდიდან ორჯერ ამოუღეს წყალი. მკურნალობდნენ რჩეული ქართველი ექიმები... გაზეთებში ვაჟას ავადმყოფობის ბიულეტენები ქვეყნდებოდა...

მომჯობინებას იმედოვნებდნენ და ორი კვირით აგარაკზე – სურამში ან წაღვერში – დასვენებას ურჩევდნენ. ბინის დასაქირავებლად „სახალხო ფურცლის“ თანამშრომელი გაგზავნეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: უკან დაბრუნებულს ვაჟა გარდაცვლილი დახვდა...

თვითონ ჩარგალს რჩეობდა.

მჟავე წყალთან ჩარდახი გამიკეთე, ამოვალ, ვიმკურნალებ და მოვრჩებიო, – მისწერა დავით ჯანაშვილს და ორი თუმანიც გაუგზავნა...

მამადავითის კლდის ნაჟური ინატრა – გულს დამიამებსო. სანდრომ და შიო მღვიმელმა „შტოფით" მიართვეს გრილი, გემრიელი წყალი. სიამოვნებით დაეწაფა...

თავს ადგნენ და დაჰფოფინებდნენ მოწყალების დები: ნინო ციციშვილი, ანიკო კობიაშვილი... ერთ დღეს იატაკზე დაგებულ ლოგინში ჩააწვინეს და გარს ბალახი და ყვავილები მიმოუფანტეს... ველურ მცენარეთა სურნელმა ფშავი წამოაგონა და ნამიერი შვება მოჰგვარა... გამხნევდა, გახალისდა, წაიოხუნჯა კიდეც...

1915 წლის თიბათვის თერთმეტში უკანასკნელი წერილი დაწერა და ბაჩანას ხელით გაუგზავნა ჯალაფთ. წერილში სავარგულებსა და წისქვილზე წუხდა. თამარს სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა: სათიბებს ჩქარ-ჩქარა დაავლე თვალი, თორემ ხომ იცი ახლანდელი ხალხის ამბავიო... თანაც აიმედებდა: ცხრა-ათ დღეზე მანდ გავჩნდებიო...

იოსებ იმედაშვილმა ცნობილი ფოტოგრაფი ევტიხი ჟვანია მიიყვანა და სურათები გადააღებინა.

ბურანში გახვეული და ნიათგამოცლილი ჯარისკაცის წერილს და ფრონტის რღვევას ახსენებდა...

სულთმობრძავს „ყველა კუთხიდან მტრიანი" საქართველო ედგა თვალწინ...

27 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სამუდამოდ დახუჭა თვალი.

„ვაჟა დამარხეს თბილისში ფშაური წესისა და დატირების გარეშე. ფშავში კი წესი დაუყენეს და დაიტირეს დამარხვის გარეშე" (გიგი ხორნაული).

ვერც აღსასრულის მერე აისრულა საგულისგულო სურვილი: ჩარგლის შორიახლო მდებარე სარაყდრის გორი მოსწონდა საუკუნო განსასვენებლად და ახლობლებს უბარებდა, როცა მოვკვდები, იქ დამასამარეთო.

სარაყდრის სულფონი გორის ნაცვლად დიდუბის მიწამ მიიბარა მისი დამდნარი, დალეული, დამსუბუქებული ცხედარი...

ნინო ქართველიშვილის და ბეროთ ნათელას ჩარგლურასპირულმა ნატირლებმა გაუკვლიეს და გაუნათეს სულეთის სუფთა, ურიოშო, უსასრულო გზა...

* * *

„ბალღი რასაცა ვხედავდი, იმასვე ვხედავ დღესაცა“, – „მღეროდა“ ვაჟა თავისი გარდაცვალების წელს და გამოვლილი გზის გასიგრძეგანება მის დაღლილ, დანაპრალებულ გულს კვლავაც სიმტკიცისკენ, გაძლებისკენ და უტეხობისკენ უხმობდა: „ცდა გავუქარწყლოთ სანუთროს, ნუ დავბერდებით შავადა!..“

თავის თავს უკვირდებოდა და მადლს ათასობით ითვლიდა, მხრები ესხმოდა, ასაფრენად იწევდა, კალთაში ვარდი ეშლებოდა და თავზე მანანა დასდიოდა..

გარემომცველი სამყაროს უცვალებლობის შემყურე „რა ფერისაა ქვეყანა, ნეტავ მაჩვენა თვალითაო“, – კითხულობდა და ნატრობდა ერთსა და იმავე დროს... და პასუხგაუცემელი კითხვების სიმრავლით შეფიქრიანებული „ტანჯულის გულის ნაცრემლ“ სიტყვაში ატევდა და წარმოსახავდა ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული „ჰარმონიის“ უძრავ, სტატიკურ სურათს: „...ათასჯერა წვიმს, სეტყვაა, მთებზე ნისლები ჰკიდია, ბევრი რამ ხდება ქვეყნადა, შიგ ცოდო-ბრალი დიდია, ბუნება წარბსაც არ იხრის, მაინც მშვიდი და მშვიდია...“

მთის, არწივისა და არაგვის რეალური და სიმბოლური განზომილებანი ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნააზრევში

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ხილვებსა თუ პოეტურ სახეთა სისტემაში, სხვასთან ერთად, კონცეპტუალური დატვირთვა ენიჭება სამ ფენომენს, სამ საგნობრივ განზომილებას. ესენია: მთა, არწივი და არაგვი.

სამივე მათგანს საკუთვნო ადგილი უკავია მაღლა მხედი მწერლის თავისთავად პოეზიასა და პროზაში. მათ გარეშე ვაჟას უაღრესად ღრმა და სახიერი მხატვრული სამყარო ძალზე ძნელი წარმოსადგენია. თითქოს თვითეული – მთაც, არწივიც და არაგვიც – იმისთვისაა მოწოდებული, რომ ავტორს ტვირთი შეუმსუბუქონ და თავად გააჟღერონ ის ტკივილიანი სათქმელი, რაც ქვეყნისა თუ ინდივიდის შინაგანი სუვერენიტეტის სანიაზო ცნებასთან არის ასოცირებული...

მოდგმა და გენეტიკური კოდიც თავისას ამბობს: ვაჟა-ფშაველა ხომ იქ დაიბადა და ეზიარა გარემომცველი ბუნების მიუწვდომელ იდუმალებას, სადაც მჭმუნვარე სახის „შაუპოვარი" მთა, „ცის პირთ მავალნი" არწივნი და „გიჟმაჟი" არაგვი ერთ განუყოფელ, გამაოგნებლად დიად სინამდვილეს ქმნიან; სინამდვილეს, რომლის შემხედვარე და მოყურიადე ადამიანის არსებაში ძალაუნებურად იშმუშნება და იღვიძებს წადილი და წყურვილი სულიერი სილაღისა, სიმთელისა და შეუზღუდავი თავისუფლებისკენ ძალუმი სწრაფვისა.

არწივი და არაგვი, გარკვეული აზრით, მთის პირმშოები, „მონატეშარნი", მისი „უძღები" შვილები და აღზრდილები არიან, რაც, რასაკვირველია, ამძაფრებს და აფართოებს მათ პასუხისმგებლობას გულმოწყალე მშობლის მიმართ. ისინი ღირსეულად ასრულებენ იმ საპატიო მისიას, რაც მშობელმა განუწესა: ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან ეშმაურ ძალებზე სიკეთის საბოლოო გამარჯვებისთვის, პირმეტყველთა სულიერი განწმენდისა და ამაღლებისთვის...

მთა განსაკუთრებული სუბიექტი (მხოლოდღა მერე – ობიექტი) და სიდიდეა ვაჟას პოეზიაში. რეალურ სიბრტყეში ის უნაპირო ემპირიული სამყაროს ორგანიული ნაწილია, მხილველს თავისი „ცადაწვდილობით" რომ ხიბლავს და იმო-

ნებს, ხოლო სიმბოლური საზრისით მასთან მადლმოსილება, სოციუმის ბედზე ფიქრი, ცისა და მიწის მეკავშირეობა, შუამავლობა და ადამის მოდგმის საყოველთაო გასულფონებაა დაკავშირებული.

მთები ვაჟას ხილვებში ხანდახან მეომრებსაც ემსგავსებიან, ერთგული ძმებივით „ერთურთზე მიქადლებულნი" განგან რომ „დაეყრებიან" ხოლმე და შავით შემოსილნი სახვალიო ფიქრს ნისლის – თავიანთი „კაცობის გვირგვინის" – სახით ავლენენ და ამჟღავნებენ*.

მთებისთვის ადამიანური ნიშან-თვისებების მიწერა მათი სიდინჯის, გონივრულობისა და სერიოზულობის განცდას აცხოველებს, განცდას, რომელშიც დარდი და ვარამი ჭარბობს სიცოცხლის სიხარულსა და სიხალისეს. ისინი ზოგჯერ „სუდარაჩაცმულნი" დგანან და მწარე ფიქრს მასპინძლობენ; ხან კიდევ პირბადეს აიხსნიან და ძილით გაუმაძღარნი „გულგრილად იცქირებიან"...

უენპირო ბუნების ცოცხლად, მოძრავად, განსულიერებულად ხედვა და „სინჯვა" ვაჟა-ფშაველას სახისმეტყველებითი აზროვნების თანდაყოლილი თვისება და იმანენტური ნიშანია. ამიტომაც აღიქმება ბუნებრივად მთების მიმართ შერჩეული და მოხმობილი ტროპული სახეები: „პირქუში", „უშტარი", „ტიალი", „ობოლი", „უბინადრო".

მთების და მდინარის ადამიანური ასპექტის მკვეთრი კონტურების წარმოჩენის თვალსაზრისით ასევე უბადლოა ხალხური პოეზია, სადაც ყოველივე მოჩქარე მოვლენათა სვლისა და ცვალებადობის დაუოკებელ დინამიკას ექვემდებარება: „მთათა დაწურეს ცრემლები, ასტეხეს ნიაღვარიო, მიდის, მიანგრევს კლდე-ღრეთა, ბრაზობს არხოტის წყალიო..."

ხოლო ძირითადი ვიზუალური მხარე და მახასიათებელი, რაც მთას რელიეფის სხვა „წევრთაგან" გამოჰყოფს და გამოარჩევს, მისი სიმაღლეა. „მთის მწვერვალის" საკანთიელო სიმაღლე, რომლის შეხება არწივსაც კი უძნელდება ხოლმე,

---

* ნაამაგარ მეომრებად მთების წარმოსახვა ასევე ჩვეული მოვლენაა ვაჟას პროზაში: „...ზევით უტყეო, შიშველი მთები თავებს იბურავდნენ ჯანლით, თითქოს ნაომარნი არიან, ხმლით დაჭრილნი და წყლულებს იხვევენო..."

პოეტის გულში სიამაყის აღმავალ განცდას აღვივებს. სიმაღლე, გეოგრაფიული გაგებით, ის თვალხილული ვერტიკალური პოლუსია, რომელიც ღვთიური მადლისა და ძალმოსილების გარკვეულ ხარისხს ესატყვისება: რაც უფრო მაღალია მთა, მით მეტად ახლოა ღვთის საუფლოსთან.

ვაჟა „ზვავთა ნაღარი" მთების უცვალებელი სიმაღლის მომღერალი და აპოლოგეტია: „თქვენი ჭირიმე, ჰოი, მთებო, ქედაწვდილებო ზეცადა"; „მიყვარხართ მიტომ, რომ ხართ მაღლები..."

მთა, მთიელთა ეთნოკულტურაში, ამქვეყნიური დიდების ხილული ხატია.

ქართველთა მსოფლგანცდა ქარიზმატულ მთას ღმერთებისა და ღვთისშვილების საბინადროდ და სარბიელად სახავს.

ქართული თეოგონიით, მორიგე ღმერთმა გერგეტის მთაზე „გადმოუშვნა" ღვთისნასახნი, საიდანაც მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში მათი „წარგზავნა".

მთებზე, სულიერების სიჭარბით აღბეჭდილ უდაბურ ადგილებზე, იკიდებენ „კოჭს" და არსდებიან სათემო თუ სატომო სალოცავები, ჯვარ-ხატები, ქრისტიანული ტაძრები...

მთა საკრალური სიწმინდითაა განათლული და გამშვენებული, ვინაიდან მას უკავშირდება უფლის გამოცხადება და ფერისცვალება...

ვაჟა-ფშაველა უტყუარი პოეტური ინტუიციით წვდებოდა და კითხულობდა მთების ნიაღში დამარხულ ბევრ საიდუმლოს; აცნობიერებდა მთების სიმბოლურ მნიშვნელობას, გონებით აუხსნელ ტრანსცენდენტულ შინაარსს და ზეგარდმო ნიჭის წყალობით ქმნიდა მათი არსისა და ვიზუალის ვარიაციულ სახესხვაობებს.

გრ. კიკნაძის თქმით, ვაჟა „მთაში მხოლოდ მთას არ ხედავს", მისთვის „მთა ამოსავალია, რათა დიდი და საყოველთაო მნიშვნელობის საკითხები დასვას".

ერთია რეალური მთა, თავისი კონფიგურაციით, ქუჩით, ყვავილით, წყაროთი თუ ნიავით, რომელსაც ვაჟა სიყმაწვილიდან ვიდრე სიცოცხლის მიწურულამდე შეხაროდა, ედუდუნებოდა და აღმერთებდა („რამ გაგაჩინათ, ნეტარა, ჩემფერის კაცის ბედადა..."), ხოლო მეორე ის, უფრო გადატანით-ალეგორიულ გაგებას რომ ითავსებს და მთელ თავის უპირატეს ღირებულებრივ მნიშვნელობას რჩეული პერსონაჟების ცხო-

ვრებისეული გზების ტრაგიკულ ხვეულებთან მიმართებაში ასაცნაურებს.

მთა სივრცის ვერტიკალური ღერძის ის მყარი საფეხურია, საიდანაც შესაძლებელია ღმერთთან მოკვდავის ლაპარაკი...

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ, თვალთ წინ მეფინა ქვეყანა, გულზედ მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა...“

უზენაესთან უშუალო შინაგანი კონტაქტი ერთეულთა, დასაზღვრულ ადამიანურ შესაძლებლობათა ფარგლებიდან გასულ განდობილთა და ინიციაციაგავლილთა ხვედრია. ეს, ერთდროულად, უმაღლეს ბედნიერებასთან ზიარებასაც გულისხმობს და უდიდეს პიროვნულ პასუხისმგებლობასაც ღვთისა და ერის წინაშე. გულზე მზე-მთვარიანი გმირი არაა რიგითი პერსონა. ის „ნაწილიანია“, წილდებული სამყაროს შემოქმედთან და, ამდენად, საგანგებო საბრძოლო მზაობა და სიფრთხილე მართებს „ჭირიანი ცხორვების“ უსწორმასწორო გზებზე სიარულისას.

მთა, რომლის მწვერვალიდან ლექსის ლირიკული გმირი ბნელ ხევში ეშვება, კაცებრივი აღმასვლისა და წარმატების აპოთეოზია.

ლექსში არ ჩანს, „განუმარტავია“, რა ცოდვისა თუ შეცდომის გამო დაეცა და დაეწარცხა მიწას პროტაგონისტი. და სათქმელი, რაც მცირე მოცულობის ნაწარმოებმა ვერ დაიტია, მრავალშრიანი ფილოსოფიური განსჯის საგნად იქცა პოემა „გველისმჭამელში“: რწმენის ღალატი და გამჩენისგან განსაზღვრულ მოწოდებასთან შეორგულებაა მიზეზი იმისა, რასაც მისანი და სულიერ-უსულოთა გულთამხილავი მინდია თვითმკვლელობამდე მიჰყავს...

ვაჟა-ფშაველა ბინადარია იმ კურთხეული მთისა, რომლის მეშვეობით ხშირად მიეახლება ქვეყნიერების მფარველ უსხეულო ძალას.

ანონიმ მეტოქეებთან უკომპრომისო პაექრობაში პოეტი განაცხადებს: „მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგევართ ღმერთთანა“. სხვა ლექსში კი ამას ინატრებს: „არ დამიშალონ მიმოსვლა ღმერთთან ამ გრძნობის ხიდითა“... საგულისხმოა თვისტომთა სიტყვები, რწმენაგაბზარულ, ავის მოლოდინით შემსჭვალულ მინდიას რომ ეუბნებიან „გველისმჭამელში“: „ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი, რომ ჰლაპარაკობ

ღმერთთანა...“ და ამ კუთხით ქაჯთა ნატყვევარი უცნაური გმირი, შეიძლება ითქვას, თვით ავტორის ალტერ ეგოა, ვინც მოვლო, მოიხილა ადამიანური დიდების მწვერვალები და იმის გამო, რომ ვერ შეძლო მისთვის დადგენილი ცხოვრების წესის ბოლომდე დაცვა, ახლა „თავ-თავქვე“ ეშვება...

გველსმჭამელის, როგორც თანატომელებისგან განსხვავებული და განაპირებული გმირის სახლი „ფრიალო კლდის თავს დგა“, ბანით „ცას ებჯინება“ და ირგვლივ „სრულის ტანით“ აყრილი დიდრონი მთები შემოჯარულან.

მთებთან მიმართებაში იცდება და საჩინოვდება მინდიას ბუნება, ფსიქიკური წყობა და საცხოვრებისო ორიენტაცია: თორმეტწლიან ტყვეობაში „თავისი ჩამოთოვნილი მთები“ აგონდებოდა, ხოლო უმწვავესად კრიტიკულ პერიოდში, შინაგანი გახლეჩვისა და გაორების უმძიმეს პირობებში, როცა საშველი არ ჩანდა და არც სადმე ნუგეშის ნატამალი ჭაჭანებდა, ამგვარად წარმოისახა მისი უსასოო, გამოუვალი მდგომარეობა: „მთათ რო შეხედა მაღალთა, დაიქვითინა მწარედა...“

მთის გულმკერდზე გმირის მოძრაობის მიმართულებაც მიგვანიშნებს მის რაობასა და როგორობას: მინდია დაეცა და ფეხს „მოწამლული“ ხევისკენ აღირებს, რათა ხევსურები იქ დაუხვდნენ ქისტების ლაშქარს, ხოლო ალუდა ქეთელაური, ვინც, ფიზიკური მარცხისდა მიუხედავად, სულიერად გაიმარჯვა ჰუმანიზმის უმაღლეს იდეალებთან მწყრალად მყოფ კონსერვატიულ თემზე, ჯალაბთან ერთად აღმა მიუყვება თოვლიან მთას.

„სტუმარ-მასპინძელის“ ფინალშიც ხომ „კლდის თავს“ იკრიბებიან მიღმა სოფლად გარდამხდარ გმირთა აჩრდილები და ცეცხლის მკრთალ შუქზე ვაჟკაცობისას და „ერთურთის დანდობისას“ ამბობენ...

ზუსტი და საგულისხმოა თამაზ ჩხენკელის დაკვირვება: „ალუდა ზეაღმავალი გმირია, მინდია ქვედაღმავალი. ალუდა ტიტანური ძალისხმევით არღვევს საზოგადოების დახშულ მორალსა და რელიგიის გაქვავებულ დოგმებს. უნივერსალურ ღმერთთან ზიარებული იგი ზეკაცურ თავისუფლებას იხვეჭს. ხოლო ზეკაცურ ცოდნასა და ბუნების საიდუმლოსთან წილნაყარი მინდია ჰკარგავს ღვთაებრივ ზეცნობას, რაკი საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელს ხდის მის შენარჩუნებას და თავისსავე თავში ტრაგიკულად დამარცხებული თავს იკლავს“.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ წიაღსვლებსა და მედიტაციებში მთების სახე კიდევ ერთი საყურადღებო რაკურსით იკვეთება: ეს გახლავთ ურთიერთობა ბართან. და აქ, მთის და ბარის უვრცეს სარბიელზე, ხალხი არ ჩანს, ძეხორციელი არ იძვრის. პოეტი ერთმანეთთან ასაუბრებს ცოცხალი სამყაროს ორ უმშვენიერეს (გავიხსენოთ: „მთასა აქვს თავის შვენება, ხოლო ბარსა აქვს ბარული...") ნაწილს და ამ საუბარში თავისთავად ივარაუდება მათ მკვიდრთა აქტიური მონაწილეობა...

მთა, რახან მაღალია, უპირატესად თვლის თავს, ქედმაღლობს, გულდიდობს და „ცერად დაჰყურებს" ბარს, რაც ნეიტრალური პირის, ანუ, ამ შემთხვევაში ავტორის, უკმაყოფილებას იწვევს. ის შეახსენებს მთას, რომ საფუძვლად ბარი აქვს, ბარს ეყრდნობა და წინდაუხედავი დაპირისპირება საერთო საქმეს სასიკეთოდ ვერ წაადგება...

ლირიკაში დასმული ეს ეროვნული პრობლემა ჟღერადობის კულმინაციას პოემა „ბახტრიონში", ზეზვას დანაბარებში აღწევს: „უბაროდ, განა არ იცით, მთანიც რომ ვერა გვარობენ..."

მთა და ბარი ერთი სხეულის ორი სრულუფლებიანი ნაწილია, ჰორიზონტალურ ჭრილში – მარჯვენა და მარცხენა, ანდა პირუკუ, რომელთა ჰარმონიული თანაარსებობა და შეთანხმებული მოქმედება წინაპირობა და გარანტია ქვეყნის შეუვალობისა, მონოლითური ერთიანობისა, ფიზიკური სიმტკიცისა და ძლიერებისა... ამიტომაც უთვლის ბარი მთებს: „ერთობის გზაზე ვიაროთ, კერძოობის გზა ფინთია..." და როცა ერს დანაწევრებისა და დაძაბუნების საფრთხე ჩამოუქროლებს, მწერლის მოუმცდარი ალღო და გუმანი უმალ აგნებს არასახარბიელო სიტუაციის უმთავრეს მიზეზს: „...და სწორად არ მიუტანეს ბარს მთისა დანაბარები..."

იმ მყარ, მდგრად, მარადიულ ფენომენთაგან, დროთა ცვლას რომ არ ექვემდებარებიან და რჩებიან იმადვე, რაც უხსოვარი დროის წინათ იყვნენ, ვაჟას მსოფლხედვაში საწინაო, საუფროსო ადგილი მთებს აქვთ მიკუთვნებული.

ბუნება წარბშეუხრელად დგას და, მიუხედავად ქვეყნად არსებული დიდი ცოდვა-ბრალისა, „მაინც მშვიდი და მშვიდია". ნისლებიც „ძველებრივ დიან" თავიანთი „უცვალებელი წესით"... და ყოველივე ეს სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან „ვნებათა იგივეობა წესია დედამიწისა..."

სამწუხაროა კაცთა სიცოცხლის სიმოკლე („დრონი ნავლენ და ჩვენც წავალთ, მოთქმა მოჰყვება მოთქმასა..."), თუმცა გენიოსს აქაც შეუძლია ულმობელი რეალობისთვის თვალის გასწორება, გარდუვალობის მიღება, აღიარება და სიტყვაში იმ სილამაზის განივთება, „ჟამის ბარდაბარ" ერთსა და ათას წელს თანაბარი წარმატებით რომ გაუძლებს და გადაურჩება: „მე ნავალ, აქვე დარჩება ქედი მაღლისა მთისაო, სხვა ყველა ცვალებადია, უცვალებია ისაო, ცოცხალთ თვალთ სალაღობელი როგორ ამყად ზისაო..."

* * *

ლუგუმი და უფერული იქნებოდა მთების ყოფა, სასურველი არსებანი რომ არ ამშვენებდნენ მის უბე-კალთას.

ყველაზე ხშირი, სანატრელი და დავლათიანი სტუმარი, რომელსაც ძილქუშიდან გამოჰყავს მთები, არწივია.

ფრთოსანთა მეფის გამოჩენა სხვარიგი ღელვით აჩქროლებს სისხლს მთების ძარღვებში.

„მთანი მაღალნის" მიხედვით, არწივია ის მამაცი, ლამაზი და შეუპოვარი შიკრიკი, ღმერთს რომ ატყობინებს მთათა ამბებს. და როცა არწივი დასთამაშებს თავზე, მთების გულში სანთლები ინთება...

არწივი, ხალხის რწმენით, „ღვთის ქათამია" და, ამდენად, დაუშვებელია მისი მოკვლა.

მითებსა და არქაულ თქმულებებში ის ღვთაებათა და სახელმოხვეჭილ გმირთა ზოომროფული სახეა. არწივი, ამასთან, მზის მყოლი ფრინველია, განმასახიერებელი გამბედაობისა და სიმამაცისა...

სამაგალითოა მისი „სწორფრობა" და მეგობრობა მონადირესთან. სარჩოს არ ეძებს იქ, სადაც წილი არ უძევს („...მაგრამ სხვის მოკლულს არა სჭამს..."). სამაგიეროდ, თანამგრძნობელია ხელმოცარული მონადირისა და, მისებრ უწურთნი, ვერ გუობს უსამართლობას.

ვაჟას მოთხრობაში „შეყვარებული" არწივისადმი მონადირის სწორედ ამგვარი დამოკიდებულება, დიდბუნებოვნად დამთმობლური პოზიციაა გამოკვეთილი: „...არწივო, არწივო, დიდებულო ფრინველო, რა მშვენიერი რამა ხარ! ნუთუ არ გახსოვს, რამდენჯერ ნადირობის დროს ახლო შემხვედრიხარ კლდეზე, მუხაზე მჯდომარე და შენთვის თოფი არ მისროლია. რამდენჯერ ნანა-

დირევი მჭერია კლანჭებში, მაგრამ არ შეგცილებივარ, – ეგეც მონადირეაო, მითქვამს, როგორც თავისი თავი მიყვარს, ისე შენ; თუ თავის თავს გავიმეტებდი მოსაკლავად, ეგრევ თუ შენ..."

სვანი მონადირეც ხომ მსგავს ტონალობაში ელაპარაკება და დასტირის უთურ-მთაზე უნებლიედ მოკლულ, ტანდაზოლილ, აბორგებული მდინარის ღონის მქონე ტოტემურ ცხოველს – ულამაზეს ვეფხვს...

ვაჟა-ფშაველას სამყარო, ფიგურალურად რომ ვთქვათ, მხარკვერიანი არწივის ფრთებითაა მოზომილი და შემოსაზღვრული.

არწივის მზერის ბადალია პოეტის ხედვაც: მისი თვალსაწიერიც ხომ მშობლიური მთების მთელ სასრულ თუ უსასრულო სივრცეს მოიცავს, დაწყებული ფრიალო კლდეებით, მდინარეებით, ვარსკვლავიანი ცით და დამთავრებული უღრან ტყეში მოსული თალხკაბა იით, შვლის ნუკრით და გრილი წყაროთი...

ცალსახაა პოეტის გულშემატკივრული დამოკიდებულება ნებისმიერ ცოცხალ არსებასთან, მღილთან და მღოლავთან, გვრიტთან, კაკაბთან, ოფოფთან თუ წიფლისჩიტასთან, მაგრამ სრულიად სხვაა მისი მიმართება არწივთან, ვინაიდან მასში ეგულება ის ძალა და შემართება, დაბეჩავებულ კაცთათვის მისაბაძ მაგალითად რომ გამოდგება.

არწივის თვალებში „ძალა სულისა" წერია.

ეს ხიბლავს შემოქმედს.

ამიტომაც ამბობს: „ათი ათასს სჯობს ტრედს, კაკაბს მარტო არწივის თვალები..."

რამდენიმე ლექსში აქცენტი არწივის ასაკზეა დასმული („მთას იჯდა ბერი არწივი", „უხდება ბებერს არწივსა...", „ერთი ბებერი არწივი ზეით ჭიუხში წყრებოდა..."), რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს: მას, როგორც ფრინველთა თაოსანს, ბევრი რამ ევალება და მოეკითხება. ის, ძველი ხევისბერის დარად, სხვათა შემწეცაა, მსაჯულიც და მებრძოლიც. და ყოველივე ამაში გამოცდილება სჭირია... ერთ-ერთ წერილში ვაჟა აღნიშნავს, რომ „სიბერის ერთადერთი სიკეთე გამოცდილებაა" და არწივს, რომელიც მთაზე ზის ანდა „კლდის თავზედ დასძინებია", სწორედ ეს გამოცდილება სძენს განსაკუთრებულ სიმძიმესა და სიდარბაისლეს, ანუ იმ სავალდებულო თვისებებს, რაც სამწყსოს პატრონსა და წინამძღოლს უნდა გააჩნდეს.

საგმირო ხალხურ პოეზიაშიც, უპირველეს ყოვლისა, კაი

ყმების მფარველობითი ფუნქციაა პედალირებული, მითუფრო მაშინ, როცა მათ ეპითეტად „არწივი" ფიგურირებს. არწივი ანუ მამაცი მოყმეა ის ნუგეში და ციხე-სიმაგრე, საკუთარი ფრთებით რომ უმყუდროვებს უამინდობაში მოხვედრილთ: „თქვენთან მეწადა, არწივნო, სმა-ჭამა, ლხინი გრძელია, რა უდარობა დაგვიდგას, დამაფარნიდით თბენია..."

ვაჟას პოეტურ ხილვებში არწივი მახარობლის ფუნქციასაც ითავსებს და კაცობრიობას ღვთივსათნო აქტის აღსრულებას ატყობინებს: „სიმართლის გამარჯვებასა მთაზე არწივი ყიოდეს, მეც მას ბანს ვეუბნებოდე, გული აღარა მტკიოდეს..."

სიმბოლურ-ალეგორიულია ლექსი „არწივი".

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს ნაწარმოები ავტობიოგრაფიულია და პეტერბურგში რეალურად მომხდარ ინციდენტს ეხმიანება, ხოლო მეორეთა აზრით, დაჭრილი არწივი დამონებული სამშობლოს მხატვრული სახეა.

პირადული შემთხვევის დონემდე დაყვანა ლექსს უქვეითებს და უკარგავს ზოგადობის მუხტსა და რეზონანსს, რაც მასში ნამდვილად ძევს და მოიაზრება. ყვავ-ყორნებში, ლოგიკის ძალით და კარნახით, საქართველოს ფარულ თუ აშკარა მტრებს უნდა გულისხმობდეს ავტორი და არა იმ შარისთავებს, რომლებთანაც ძმასთან – გიორგისთან – ერთად, მუშტიკრივის გამართვა მოუწია რუსეთში სასწავლებლად მყოფს.

მოიარებითი მინიშნება საქართველოს ავბედით ყოფაზე ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებითი პრაქტიკის თანმდევი თავისებურებაა. დატყვევებული სატრფოს ხატსა თუ კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის სახეს „გულისპირს სისხლიანი" არწივიც ემატება, როგორც ერთობ ორიგინალური და ექსპრესიული მხატვრული შესატყვისი იმპერიის „ბრჭყალებში" მბორგავი ქვეყნისა... შორს რომ არ წავიდეთ, „ბახტრიონის" დასასრულიც ხომ რაღაცით მსგავსი სახისმეტყველებითი შინაარსითაა დატვირთული: ვაჟას ერთმა უსწავლელმა ფშაველმა ჰკითხა, დაჭრილ ლუხუმში, რომელსაც ლაშარის გორზე „შადგომა" უნდა ელირსოს, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობო, რაზედაც მან უპასუხა, იქნება ვგულისხმობდეო!..

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ლირიკული ლექსი, ძალზე ხშირად, ამბისა თუ მოვლენის მოხდენისთანავე, მალევე, ემოციის განელებამდე, „ცხელ კვალზე" იწერება.

ვაჟა-ფშაველა პეტერბურგიდან 1884 წელს დაბრუნდა, ხოლო „არწივი“ 1887 წლითაა დათარიღებული...

ვაჟასთვის სამწლიანი ინტერვალი სულაც არ იქნებოდა საჭირო, უცხოობაში ნაწვნევი სიმწარე (თუმც თავად გაიმარჯვა!) ლექსის სტრიქონებად რომ აემეტყველებინა...

სამშობლოს ბედ-უბედობა და მომავალი ყოველთვის იყო ვაჟას მფეთქავი, მდუღარე, ინტენსიური ფიქრის საგანი. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაბედული ნაბიჯებიც გადაუდგამს, ფშავ-ხევსურეთის წინამძღოლობაც განუზრახავს და არაეროვნული ხელისუფლებისთვისაც დაუმახსოვრებია თავი, როგორც მიზნისკენ მიმავალ გზაზე უშიშარსა და შეუდრეკელ მამულიშვილს, სახელოვანი და საამაყო წინაპრების ღირსეულ მემკვიდრეს.

დაჭრილი არწივის რაობისა თუ ვინაობის რკეევის პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია 1915 წელს დაწერილი ლექსი „პასუხად“, რომელიც განდეგილსა (დ. ერისთავს) და შიო მღვიმელს ეძღვნება.

ვაჟა მეგობრებსა და თანამოაზრეებს მიმართავს, რომ მათ მიერ უწყებულმა ამბავმა – „გაუმთელდაო წყლულები არწივს დაკოდილს მხარშია“ – ისე გაახარა, „ფეხის ფრჩხილებში გაჟონა ურჟოლამ, დაკრულმა თავშია“.

საუბარი ეხება ღალატით გზაში დაჭრილ არწივს, დროთა განმავლობაში წყლულები რომ გამთელებია, მკლავში მომაგრებულა, „უჭირველივით“ დაუწყია ყაშყაში და „დაუფანტია ფრინველნი“.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ დაფანტულ ფრინველებში ავზნიან ყვავ-ყორნებს გულისხმობს პოეტი. არწივს უწყინარ ფრთოსნებთან, კაცმა რომ თქვას, გასარჩევი და გასაყოფი რა უნდა ჰქონოდა!..

რაც არ უნდა კონკრეტული ავტობიოგრაფიული დეტალები ჩანდეს, მსჯელობის ხაზი იქითკენ იხრება, რომ სისხლიანი გულისპირით ყვავ-ყორნებთან მეომარი არწივი საქართველოა.

ავტორს, თანამედროვეთა მოგონებების თანახმად, გამორჩეულად უყვარდა „არწივი“ და, ბაჩანას „მუხასთან“ ერთად, ყველაზე ხშირად ამ ლექსს კითხულობდა დღეობებში, საჯარო წვეულებებზე, ლიტერატურულ საღამოებზე...

მრავალნაირია არწივის „მანიფესტაციის“ გრაფიკული

ფორმა და გარემოება ვაჟას მხატვრულ ნააზრევში: ის ხან ცაში ცურავს და ედემის ვარდივით ჰყვავის, ხანაც ღონიერი ფრთების ფარფაშით უფსკრულებს ათვალიერებს, ხან კიდევ გაჩქარებული მოდის და „მოჰყეფს გზაზე“, რათა მისი საბუდარის დასაკუთრების გამო ერთურთს წაკიდებულ ყვავსა და ყორანს „შეუწონარი“ სიბრიყვე ანანოს...

პოეტს არწივი წარმოუდგენია იმ მგებრად და მეგზურად, სულეთში შესულ კაი ყმას წინ რომ უნდა წაუძღვეს და მართალთა საუკუნო სამყოფელი მიასწავლოს.

არწივი, რომელსაც ვაჟამ წინაპრებთან პირურცხვნელად წარმდგარ მოყმეთა დამხვდურობის პატივიც არგუნა წილად, მათივე ჰეროიკული მხატვრული ნატურის მძერწავი ატრიბუტია ხალხურ პოეზიაში: „სამუკა შიშიათაი არწივი მემომარიო...“ „ჩოხს დაიბადა არწივი, ამბობენ ცოტა ხნისასა“... „თათართ თათარა ომობდა, არწივი მხარკვერიანი...“ „კივილით გადაიარეს არწივთა დათვისჯვარიო...“

ღირსეულია სიცოცხლე არწივისა.

ლამაზია მისი სიკვდილიც...

„არწივის სიკვდილიც ვაჟკაცურია, – ვკითხულობთ მოთხრობაში „არწივი“. – სულის დალევის დროს იგი მაინც არა ჰკარგავს სიამაყეს, მამაცად აბრიალებს თვალებს“.

ღრმააზროვანია ეს მოთხრობა: თავის არწივულ მრწამსთან თუ სიცოცხლის საზრისთან პირშერცხვენილ და თავმოყვარეობადაკარგულ არწივს სწორედ იმ წამს იმსხვერპლებს ტყვია, როცა „მაღლის მთის მწვერვალიდან“ ბარად ჩასული, დამშეული და დაუძლურებული ლეშის ჭამას დააპირებს...

მძორს დახარბებული ფრინველთა მეფე, ვაჟასავე ნათქვამი რომ მოვიშველიოთ, „საელდო სანახავია“, ვინაიდან ასეთი რამ მისი მორალისა და ზნეობის ნორმებში არ „ჯდება“. უნიათო და დაბეჩავებული მებრძოლის ნახვის სურვილი მწერალს აღარ აქვს. მისთვის მეობაუქონელი არსება „სიცოცხლით სიკვდილიანი“ კაცის ბადალია. ამიტომაა განაჩენი წყევლასავით მკაცრი და დამმუნათებელი: „...ნუმც მინახია არწივი, შნო აღარ ჰქონდეს ომისა!..“

აღინიშნა, რომ არწივი ხალხის ზეპირ შემოქმედებაში ღვთაებათა ზოომორფული სახეა.

ვაჟა-ფშაველა არა მარტო სარგებლობდა ფშავ-ხევსურეთის ძველთუძველესი მითებითა და გადმოცემებით, მიუყვე-

ბოდა ნაცნობ, ნაცად გზას, თვითონაც ქმნიდა ახალ პოეტურ პარადიგმებსა და არქეტიპულ მხატვრულ სინამდვილეს.

თავისი ყმისა და მსახურის მფარველ ღვთისშვილად არწივის წარმოსახვის მხრივ იწვევს ინტერესს მოთხრობა „ბერიძე გაუტეხელი".

ბუნების სტიქიასთან ჭიდილით დაღლილ-დაქანცულ ხევისბერს უხილავად „შესჯდომია" მხრებში „მფარველი არწივი" და კაპას ამინდთან ბრძოლას უადვილებს.

ხოლო მანამდე: „...ხალხი ბერიძეზე იმასაც ამბობდა, როცა გაემართებოდა სალაშქროდა, წაუძღვებოდა წინ ლაშქარს ხელში დროშით ქისტეთის დასარბევად ან სახლიდან ხატში წავიდოდა სამსახურის ასასრულებლად, მუდამ ხევისბერს ცაში თავზე დაჰბრუნავს უზარმაზარი არწივიო და არც დაანებებს თავს, ვიდრე დანიშნულ ალაგას არ მიაღწევსო..."

თუკი ხალხურ ნარატივებში მთიანეთის რომელიმე კუთხის, კონკრეტული თემ-სოფლის, საყმოსა თუ ცალკეული ინდივიდის დამხმარე ლოკალურ ღვთაებას უმთავრესად მტრედი განასახიერებს და მასვე უკავშირდება სამლოცველოთა დასახვისა და დაარსების ანდრეზები, ვაჟამ, თანამედროვე ტერმინოლოგიას რომ დავესესხოთ, მოდერნისტული მიდგომა გამოიჩინა ტრადიციული ფოლკლორული რეპერტუარის მიმართ და ნაცვლად მტრედად ტრანსფორმირებული ლოკალური ღვთაებისა, არწივი წარმოგვიდგინა განსაცდელში ჩავარდნილი მეომრისა და კულტის მსახურის შემწედ...

სოფლურ ჯაფასა და ჭაპანწყვეტაში, ჯალაბის რჩენასა და შენახვაზე ფიქრში, მუდმივ მატერიალურ სივიწროვესა და უქონლობაში გადიოდა ვაჟა-ფშაველას ცხოვრება.

ხალხში ტრიალებდა და თავმარტოობის განცდა ტანჯავდა.

არ ჩანდა გარეგან „უჩნევარი" ტკივილის გამგები.

ყველაზე მეტად მაშინ უმძიმდა, როცა შთაგონებაც მიინავლებოდა; შთაგონება, არწივის მეტყველ ხატად რომ წარმოედგინა და მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, ფეხბედნიერ სტუმრობას. მისთვის არწივი განასახიერებდა სულის ღელვას, მღვიძარებას, იმ არასადაგ მდგომარეობას, როცა შემოქმედი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, ამაღლებული და აღმატებულია მოკვდავობაზე; როცა ღვთაებრივ ხელთა და ღაბუშთ მიემსგავსება და „ქვეყნის საკეთილდღეო" ფიქრით აღვსილი ღმერთთან ლაპარაკს იწყებს...

„აღარ მესტუმრა არწივი, აღარ დამყეფა თავზედა, აღარც რო კარგი მალაღებს, აღარცა ვჯავრობ ავზედა...“

ასეთ დროს სამყარო ბინდით იბურება, თვალსაწიერს ღამის სიშავე ერევა და ფარავს, იშლება და იხაფრება გზა და ბილიკი, მძლავრობს დარდი და უიმედობა, ცხოვრება აზრს კარგავს და პოეტის ყოფაში ძნელი პერიოდი დგება.

მადლდალეული კაცი და, ისიც შემოქმედი, მოკლებულია სრულფასოვნებას. არწივის გადაკარგვის ბრალია დალაჩრება და გაარაფრება. აუცილებელია მისი გამოჩენა, რათა პოეტი საკირესავით აენთოს და „დაიწვას თავის ალზედა...“

და, აქედან, კითხვანარევი მუდარა, მოზომილი და მსასოვარი, უსასრულო სივრციდან მოსული ფრთოსანი რომ არ გააანაწყენოს და რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს მის სანატრელ, სანეტარო მეტაფიზიკურ ტყვეობაში: „მოდი, არწივო, სადა ხარ?..“

შთაგონების ტყვე-ტუსაღად ქცეული (როგორც ეს ქადაგისა და ღვთისშვილის მისტიური ურთიერთობისას ხდება ხოლმე) პოეტი სხეულებრივი სიმძიმისაგან იძარცვება, თავისუფლდება, ტოვებს დედამიწას და „ცაზე გადასახლებული“ ურთიერთმონაცვლე სევდისა და სიხარულის წამლეკავ სტიქიას ეძლევა, ემორჩილება: „როცა არწივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა მხარზედა, – მეფისა მადგა გვირგვინი, ვზივარ სამეფო ტახტზედა!..“

კულტმსახურების საკრალური სქემით პროეცირებულ სტრიქონებში მოკვდავისა და ცისიერის „ზეპირ“ გაცხადებული სიახლოვის იდუმალი სურათი იხატება. პოეტური ზეშთაგონების ხანმოკლე მომენტი იმეორებს მოქმედებას, რასაც ჯვარხატის მკადრეთა, ქადაგთა და „ქანდარათა“ შემთხვევაში ვხედავთ: თავის მოწმიდარ მსახურს (გამონაკლისის სახით – საერო პირს) ღვთისშვილი მტრედის აღით ეცხადება და, როგორც წესი, სამკადრეოდაფენილ ხელზე ანდა მარჯვენა მხარზე აჯდება, რათა ხორციელთა გასაჭირი მოისმინოს, გაიგოს და მათი – „უტთა და უმეცართა“ – სათქმელი ღვთის კარზე მიიტანოს...

მარჯვენა მხარზე მჯდომი არწივი იგივე ანგელოზია („ჩემს ანგელოზებს ვენაცვლე, იმათ ფრთებს, იმათ სახესა“, – წერს ვაჟა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში); სულიწმიდაა, შემოქმედის საღვთო მისიის დასტურის ნიშნად რომ მოფრენილა. მისი სტუმრობა უფლისმიერი წყალობა და მადლია;

მეტაფორული განსახებაა პოეტის სულიერი სისავსისა და აღმაფრენისა...

არწივის წასვლა და გაუჩინარება „ჩვრად" აქცევს, ნალახ ყოველდღიურობაში აბრუნებს, ცხოვრების ჩვეულ რიტმში რთავს, მსმენელთა გულის მესაიდუმლისა და მესიტყვის პრეროგატივას ართმევს, სახელს ჩამოჰყრის (გავიხსენოთ ვაჟას პოეზიიდან: „მთათა მთობასა ვერვინ ჩამოგვყრის..." გულქან რაზიკაშვილის ნაამბობიდან: „მამამა ღმერთს ჩამაჰყარა სახელი...") შემოქმედს, რაც მისთვის საბნელოს ჯდომით დასჯის ტოლფარდია: „დამმალეთ, ნუ გამომაჩენთ, არ შესცდეთ, დამსვათ ჯარზედა..."

ასე რომ არწივი ვაჟას მხატვრული ქვეყნიერების ბინადარ სულიერთა რიგსა თუ სათვალავში ის კოლორიტული ფიგურაა, ელვარე ფერსა და ხიბლიან ხმოვანებას რომ ანიჭებს ამ მართლაცდა საკვირველ, საოცრად საინტერესო, ჯერაც ბოლომდე ნაუკითხავ ქვეყნიერებას...

* * *

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ხილვათა უწყვეტ კასკადში მთის სტატიკური სიჩუმისა და უძრაობის ნაწილობრივ კომპენსაციას ახდენს არაგვი, ჯიხვ-არწივების ბინაში ნაშობი მდინარე, ერთიანად რომ იპყრობს მკითხველის მზერას, ყურთასმენას და პოეტურ სახედ თუ სიმბოლოდ ტრანსფორმირებული ბოლომდე ინარჩუნებს სამომავლო სიახლის მაუწყებელი ბუნების თვითკმარი მოვლენის განსაკუთრებულ სტატუსს...

ხან „ადიდებული, აღელვებული", ხანაც დაწმენდილი არაგვი ბევრი ხილული თუ უხილავი ძაფითაა „მიბმული" და დაკავშირებული პოეტის პირად ცხოვრებასთან და შემოქმედებით წვასთან, მოღვაწეობასთან.

გამომდინარე უდავო სულიერი და მენტალური სიახლოვიდან, პოეტის სურვილია, უბეში ჩასდიოდეს არაგვის წყალი, რათა მუდმივად იფხიზლოს და მისი ტალღების ჩქეფა-ზრიალით ძალამომატებულმა უკეთესობაზე იფიქროს... და გადაწყვეტილებაც, რომლის მიღებას, ალბათ, დიდი ხანი არ უნდა დასჭირვებოდა, ამგვარია: „მე თავი ჩამიბარებავ ჩემის არაგვის წყლისადა..."

წვიმის მომყოლი „პირგაშაული ღვარებით" და მდინარის

„გაბეზრებული“ ყვირილით კაცთა ბედის თანაზიარი ბუნება საზოგადოებრივი სულისკვეთების გამხმოვანებლად გველინება. და ის, რაც იდეოლოგიური წნეხისა თუ სხვა რამ მიზეზის გამო მოკლებულია გამოხატვის სიცხადესა და გამჭვირვალებას, თავის „აპლიკაციას“ სიმბოლურ-ალეგორიულ პლანში ჰპოვებს... როცა პოეტი ახსენებს არაგვის მიერ ლახტის აღებას, ამით კილოკავად მიანიშნებს ავსულებთან მებრძოლ ღვთისშვილთა საზეო მისიასა და მოწოდებაზე – ალაგმონ და შემუსრონ ადამიანთა მავნებლებად გაჩენილი ავსერი არსებანი.

„ნაოხარ, გააბეჩხრებულ ბაღად“ გადაქცეულ გულს სიამეს ჰგვრის და ნათლით მოსავს არაგვის ზვირთთა „ლაღნი ჩქერანი“.

ამ დროს პოეტის თვალი და გული ისევ იქ იწევს, სადაც არაგვი გაჩნდა და იზარდა, ვისი ძუძუც პირში სდებია და ვის ტკივილსაც ის გამოუჩნდა შიგნიდან გარეთ გამომტანად, გამაცხადებლად. იმ მოლოდინსა და კითხვათა მწკრივს, „მთანი მაღალნის“ სიუჟეტურ ბირთვსა და დერიტას რომ შეადგენს, არაგვმა უნდა გასცეს პასუხი; არაგვმა უნდა შეასხას ხორცი პოეტური პროზის ამ ჩინებულ ნიმუშში გამჟღავნებულ იმედოვნებას...

მთა დედაა, არაგვი – მისი პირმშო.

უმთოდ არაგვი ვერ იარაგვებდა.

მისგან ეძლევა მასულდგმულებელი ძალა.

ამდენად, მათ შორის ურღვევი დიალექტიკური კავშირია როგორც რეალურ სიბრტყეზე, ასევე ირეალურ განზომილებაში.

ვაჟა, ერთი მხრივ, მთასა და ბარს მოუწოდებს ერთობისკენ, სიახლოვისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, არაგვს მიმართავს (მუდარის ინტონაციაც იგრძნობა ამ მიმართვაში), რომ მტკვარი მიიმხროს, მოიშველიოს და დამწუხრებული გულის მოსაფხანი რამ აუწყოს: „არაგვო, მოიშველიე ზლაზვნით მდინარი მტკვარია, თქვენ მაინც რამე მითხარით გულისა მოსაფხანია...“

ნ. ბარათაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „მრავალ დროების მოწამენი“ არიან როგორც მტკვარი, ისე არაგვი და უმური ჟამის მომსწრე ვაჟა მათგან ითხოვს იმის შეტყობას, სად გაქრა ქართველთა სალაშქრო დროშა, ქარი რომ აღარ სძრავს; ვინ დაადო სამოთხეს საფარველი და ვინ გამოჯარა კერაზე წყალდასხმული სახლის კარი?..

ამავე ლექსში („ქებათა-ქება“, 1893), თითქოს აღსარება-

ზე დამდგარაო, კერძო წყენით და საზოგადოებრივი ჭირით დაჭრილი პოეტი იტყვის: „ჩემს ბედს თავს ადგა ავდარი, ჯერ არ უნახავს დარია..."

არაგვი არა მარტო მის ნაპირებზე გაზრდილ მთიელთა სასო და სიამაყეა, ზოგჯერ თავს უმძიმესი ცოდვის დადებაც რომ უწევს და, ამისდა მიუხედავად, „მაინც კი ლამაზი არის", არამედ, უწინარეს ყოვლისა, ფასდაუდებელი განძია მათთვის, ვის კალთებზეც თვალი გაახილა და მუხლი მოიმაგრა. ესენია მთა-კლდენი, რომელნიც, თუკი ვერ ნახვენ არაგვს, „ხო დახდებიან ავადა..." ამის გამოა, რომ „ღულის ძირ სალი კლდეები არაგვს მუჭაში სწურავენ" და თანაც „გზას უღობავენ", „ქვეით" რომ არ წავიდეს...

არაგვის და, ზოგადად, მდინარის ამბივალენტური ხასიათი ვაჟას მხატვრულ შემოქმედებაში მაინცდამაინც არ ჩანს. მის გამანაყოფიერებელ, სიცოცხლის დამბად ენერგიას (ვთქვათ, ასეთ კონტექსტში: „არაგვის ნაპირებზე მურყნები გაბზინებულან...") ჩქმალავს და აუჩინარებს ყოვლის წამლეკავი, მედინი და დაუდგრომელი ცხოვრების მეტაფორულ ხატად მატერიალიზებული ძალა, ძველის ამოძირკვით წინარეზე უმჯობესი ყოფის დამკვიდრებას რომ ცდილობს და მიელტვის.

ვრცელ ლექსში „კლდე და მდინარე" ამ ორი – მყარი და მოძრავი – ელემენტის თავგამეტებული ჭიდილია ასახული. კლდე სავალს უღობავს, გზას არ აძლევს და უპერსპექტივობას პირდება მთის ურჩ, შემტევ მდინარეს. ეს უკანასკნელიც, რაც უფრო მედგარია წინააღმდეგობა, მით მეტ შეუპოვრობას იჩენს და მისი ცდა, ბოლოს და ბოლოს, სასურველ შედეგს იძლევა: ჭაპანივით გაჭიმული ჭალაზე მიიზლაზნება და არემარეს თავისი გამოჩენით ჰფენს ნუგეშს...

„კლდე და მდინარის" პრობლემა ახლოა „მთანი მაღალნის" სატკივართან. ეს ქმნილებანი ორიენტირებულია მომავალზე ანუ იმ დროჟამზე, როცა ერი თუ რომელიმე ეთნიკური ერთეული თავისი სულიერი და ფიზიკური ძალღონის მაქსიმალური გაღებით ეწევა სანუკვარ თავისუფლებას...

და, ბოლოს: ღრმადსიმბოლურია არაგვი, რომელიც ლექსში „გაზაფხული" (1898) სხვა ხევებს ანუ ხეობების პატარ-პატარა შენაკადებს კართანაში უცდის, რათა გაერთიანებული ძალით გაარღვიონ წინაღობა, გადალახონ დაბრკოლება და დაბეჩავებულ ხალხს, ზამთრის სუსხით გაბეზრებულ

მოსახლეობას ნამდვილი გაზაფხულის მორბედებად და მახარობლებად მოევლინონ...

კართანა (მითოლოგიურ გადმოცემებში ერთ-ერთი დევი „კართანელად“ იხსენიება) ის ნიშნეული ტოპონიმია ფშავის არაგვის ხეობაში, სადაც, ზეპირსიტყვიერი სიუჟეტის მიხედვით, დევებმა არაგვის დაგუბება გადაწყვიტეს, რათა მერე მოულოდნელად გაერღვიათ მაღალი კედელი და ღვთის თაყვანისმცემელი ხეობის მაცხოვრებლები ერთიანად წაელეკათ.

ვაჟას არაგვი საკუთარი ნებით ჩერდება, იცდის და იზრდება კარიბჭესავით ვიწრო კართანაში, კოპალას სალოცავის ქვემოთ, უმცროს მოძმეთა მიერთებით მომძლავრებულმა ხმა რომ აღიმაღლოს, „აყვირდეს“ და სამაგიერო აგემოს კაცთა მოდგმის მტანჯველ უკეთურ ძალებს...

სამყაროს გარდაქმნისა და განახლების დაუცადებელ მოლოდინს კიდევ უფრო ამძაფრებს და აძლიერებს ღვთაებათა რანგში ამაღლებული უპირველესი ეროვნული გმირის „დაზეზება“ („ამდგარა ამირანიცა, კლდეში დაბმული ჯაჭვითა...“)“.

შნოიანი ტანდემი – არაგვი და ამირანი – ის ყოვლისმომრევი ძალაა, „ხოგაის მინდის“ ცალთვალა გუგულის ანუ მძლევარის დარად გაზაფხული რომ მოჰყავს დამზრალ, ნაზამთრალ ქვეყანაში...

არაგვი მხოლოდ მდინარე, წყლის ტალღების ნაკრები და ნაკადი როდია. მისი დანახვა, ყურის დაგდება და უსიტყვო ხმაურის მოსმენა სათავეა საღი აზრების მოზღვავებისა, ხალისიანი განწყობისა, სულიერი სიმხნევისა და სიხარულისა, ესოდენ რომ ესაკლისება დღენიადაგ ღირსეულ ცხოვრებაზე მეოცნებე პოეტს: „დაწუხებულმა, არაგვო, რო გნახე, გავიხარეო... სრულიად გამოვიცვალე, წელშიაც ავიხარეო...“

ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედების დომინანტ მოტივთა და ნიშანდობლივ მხარეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ქალთა და მამაკაცთა სუბორდინაციისა და უფლება-მოვალეობრივი ურთიერთდამოკიდებულების ოდითგან მწვავე, აქტუალურ და, შეიძლება ითქვას, დიდად დელიკატურ საკითხს.

მთიელთა ეთნოგრაფიული ყოფის აღქმისა და წარმოსახვის თვალსაზრისით ვაჟას ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიძლება შეფასდეს და დახასიათდეს, როგორც დოკუმენტური სიზუსტის უნიკალური წერილობითი წყარო, მრავალმხრივ რომ იპყრობს ძველთუძველესი მოსახლეობის სულიერ სამყაროში შეღწევის მოწადინე მკითხველთა ყურადღებას...

ვაჟა ზედმიწევნით იცნობს თანადროული ფშავ-ხევსურეთის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას, არქაული ფენებით მდიდარი ამ ორი კუთხის წესჩვეულებათა სისტემას, თვითმყოფად კულტურას; იცნობს და მიუწვდომელი სახისმეტყველებითი მგზნებარებით აცოცხლებს ჰეროიკული წარსულის წარუვალ სურათებს...

მწერლის შემოქმედებითი ინტერესების შუაგულში მუდამ იდგა სისხლის წვიმებში მრავალგზის ნაცადი მთიელების სათაყვანებელი გმირი-კაი ყმა, „პიროფლიანის" განზოგადებული სახელწოდებითაც რომ იხსენიება ავთენტურ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში.

კაი ყმის შესახებ დროთა განმავლობაში შემუშავებულ ხალხურ შეხედულებათა ერთგვარ შემკრებად, გვირგვინად და კომპენდიუმად გვესახება ვაჟას შედევრი „კაი ყმა", რომელშიც ავტორი აღმავალი ემოციით და მატებადი მხატვრული მუხტით სრულყოფს მამულისათვის მაშვრალი სამაგალითო ვაჟკაცის დაუვიწყარ ხატებას.

კაი ყმა, ვაჟას სხვა ლექსის – „ქეიფი"– მიხედვით, ისაა, ვისაც „არსაით", უღირსებო ადამიანების გვერდით ძაღლურ სიცოცხლეს „ცდაში" სიკვდილი უჯობს და, ვისაც ვერასგზით ვერ მოანონებთ, რაც „ჭკვაში" არ უჯდება.

კაი ყმის ჯიში და „დღიანობა" იცდება და დგინდება როგორც ველზე, სახლის და სოფლის სამანებს იქით, ისე თემთან და, მითუფრო, ქალ-დიაცებთან ურთიერთობაში.

„ძველის დროის ფშაველს უყვარდა ქალი, – წერს ვაჟა, – როგორც მშვენიერების, სიმშვიდის და სიწმინდის წარმომადგენელი. ქალს უყვარდა ვაჟი გულადობისთვის, ვაჟკაცობისთვის და დიდი ზემოქმედებაც ჰქონდათ ქალებს კაცებზე" (IX, 18).

ვაჟას ლირიკის არაერთ შესანიშნავ ნიმუშში ქალი ვაჟკაცის ღონის დამლევი მშვენიერების ციაგითაა გარემოსილი და გასხივოსნებული. ვაჟა-ფშაველა მეტრფე და მეხოტბეა ხიბლიანი პირისახის თვალ-ტანადი ასულებისა, რომელთაც ვაჟების გულთა „უხანჯროდ" დაჭრა და „ჭკვიდან გადაგდება" შეუძლიათ... მხურვალე სახმილისა და ტკბილი ტანჯვის ალში გახვეულ კაი ყმათათვის ქალი, ამასთან, ის „საბრხე", მახე და საცდურია, მათ გმირულ შემართებას ჩაქრობით რომ ემუქრება.

მთის ტრადიციულ საზოგადოებებში ერთურთისგან მკვეთრად იყო გამიჯნული ქალთა და მამაკაცთა საქმიანობა და სამოქმედო არეალი.

„ვაჟკაცს არ ჰშვენის ცრემლის ღვრა, ქვითინი დიაცურადა..."

მოთქმა და გლოვის მგოსნობა ქალისთვის დაუწესებია განგებას, ხოლო მტრის კვალზე „მგლურად მიყოლა" – სვილისფერი მოყმისთვის, მომხვდურის მუდმივ მოლოდინში მყოფი ფეხთაც რომ არ იხდის, მზად აქვს საგზალი, ჯავრით ხმლის ან ხანჯლის ვადას ბღუჯავს და დღედაღამ მზირსა თუ მეკობარში ნასვლაზე უჭირავს თვალი...

ვაჟა-ფშაველა თავის სევდიან „სიმღერებში" უაღრესად რაინდულ, ამაღლებულ, ხაზგასმულად თავშეკავებულსა და დისტანციურ დამოკიდებულებას აველენს სუსტი სქესის წარმომადგენელთა მიმართ...მაგრამ არც ის ავიწყდება, რომ ზოგ შემთხვევაში მათი გარეგანი სილამაზის მიღმა კაი ყმათა სახელის საზიანო რეალური საფრთხე იმალება. ამიტომაც ამბობს: „ღმერთმა დასწყევლოს დიაცი, მემრე – ლამაზი ქალიო." ხოლო სხვაგან: „ღმერთმა დასწყევლოს დიაცი, გელუკლუკება პირადა, თუნდ არ უღირდე, იცოდე, უბრალო პანტის ჩირადა..." და უკიდურესად მკაცრი, დაუნდობლად ბასრი, პირდაპირი და მაქსიმალურად კრიტიკული სტრიქონები კიდევ ერთი ლექსიდან, როგორც თავმოყრა და „დაჯამება" ნეგატიურ ასპექტში დანახული ქალის ირგვლივ შექმნილი წარმოდგენებისა: „არ დაინდობა დიაცი, მიწყიე ორპირი, ფლიდია, როგორც სავალად ბეწვისა ზღვას გადებული ხიდია!"

თუმცა ეს ყოველივე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, წა-

მიერი განწყობილებების მონაჟური, ნახმევი და უკუფენაა, ლირიკული გმირის სიტუაციური სულიერი მდგომარეობის ანარეკლია, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს ავტორის მსოფლმხედველობით პოზიციას...

მთაში საჯაყ საქმედ ითვლებოდა ხელჩართული მექალთანეობა.

„... ჩალად არა ღირს ვაჟკაცი დიაცთ მიმყოლი, მკვეხარი, რო გაჭირდების, ჩადგების, როგორც უღელში მჭლე ხარი", – მოძღვრავს მსმენელს ხალხური ლექსი.

ვაჟაც ხომ საგანგებოდ ეხება და იმოწმებს ქცევის ხალხური ნორმის ამ სიღრმისეულ მომენტს: „...ქალის სიყვარული გმირს გმირობას არ უშლის, უმატებს კიდეც მხნეობასა და სიმამაცეს, ხალხი დიაცის მიყოლას უშლის გმირს, როგორც მის ღირსების დამამცირებელს საქმეს..."(IX , 86).

ერთი მხრივ, ქალის გაიდეალება, გაღმერთება, ცად აყვანა და აღმატებით ხარისხში წარმოჩენა, ხოლო, მეორე მხრივ, ცალსახად უარყოფით კონტექსტსა თუ კონოტაციაში მისი მოხსენიება ვაჟა-ფშაველას პოეტური პერცეფციის ნიშანდობლივი წახნაგი და არსობრივი მახასიათებელია.

მთიელ ქალთა უფლებრივი შეზღუდულობა და ქვე-მდებარეობა ქმნიდა საიმისო წინაპირობას, მათ მიმართ დაუსაზღვრავად მომთხოვნი და უკომპრომისო ყოფილიყო ავკარგის უცდომლად შემფასებელი მაღალმხატვრული სიტყვიერი ხელოვნება და ხალხური ჩვეულებითი სამართალი.

დიაცის პრაგმატული, მიწიერებასთან ასოცირებული „მდაბიური" ბუნებისა და საავდრო ღრუბლის სადარი მოყმის მეომრული სულისკვეთების უთანადობა-შეუთავსებლობაც ადვილად ამოსაცნობია ვაჟას საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში.

ერთი მაგალითი: ლექსში „გიგი" გმირის სიკვდილის გაგონებაზე ციხე-გორს სალაშქროდ შეყრილ ფშავლებს გულზე ეკალი „დაესხმისთ". ქისტებმა გიგის თოფი დაახალეს და ფრანგულის გაელვება აღარ აცალეს...შავგვრემანი ბიჭის სამარე ახადს გათხარეს... გიგის თვალცრემლიანი ლურჯა ბაგაზე აბია. ხმალი ქარქაშიდან დღეში სამჯერ „იღვრება" და უპატრონობას ტირის... და ამ დროს მოკლულის ცოლი, ლუხუმათ ბერის ქალი, მოშინაურე, მტრის არმიმდევარ ქმარს ეძებს (შდრ: „ცოლიც ძალიან მიტირებს, ქვეყანას გააკვირვებსა, მეორე დღესა ისიცა სხვისა ჭირს გაალხინებსა"... – მ.ხელაშვილი)...

ქალი, ერთდროულად, წაღმა მავალი თავმოყვარე ვაჟკაცის სწორფერი, შთამაგონებელი, მხნეობისა და სიჩაუქის შემმატებელიც არის და ის უნდო არსებაც, ვინც, ნებით თუ უნებლიეთ, მის დამფოლებლად, დაღმასვლის, ცოდვით დაცემისა და დამარცხების გამომწვევ მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს.

და, ალბათ, ყველაზე დროული და უპრიანი იქნება, ამ შემთხვევაში პოემა „გველისმჭამელიდან" მინდიას „ყბედი და ზეზერე მგრძნობარე" ცოლი მზია გავიხსენოთ; მზია, ვინც სულიერ-უსულოთა გულთამხილავ ქმარს ცხოვრების მაგალითებად ბრიყვებს უსახავდა, ხის მოჭრას და ნადირის ხოცვას ავალებდა, აძალებდა და იძულების გზით გრძნეულთა ქვეყანაში შეძენილ რწმენასთან შეორგულებისკენ, ზეგარდმო სიბრძნისგან თანდათანობითი დაცლისკენ და, საბოლოოდ, თვითმკვლელობისკენ უბიძგებდა.

ქაჯთა თორმეტწლიანი ტყეობიდან დაბრუნებული, „ღმერთთან მოლაპარაკე" გმირი ცხოვრების უტილიტარულ მოთხოვნებთან შეხლამ და დაპირისპირებამ, ცოლის გაუთავებელმა უკმაყოფილებამ და საყვედურის სიტყვებმა პიროვნული ძალმოსილების მწვერვალიდან „მოწამლულს ხევაში" ჩამოაქვეითა, რასაც მისი სრული განიარაღება, განეიტრალება და გულსუწადინო, ბედისწერის ძალით დაჩქარებული აღსასრული მოჰყვა.

ქალი, პატრიარქალური მთის კონსერვატიულ მკვიდრთა წარმოდგენით, დაბადებითვე მაქციობის ეშმაურ საწყისთან არის წილდებული, ამიტომაც „დედათ ჯარზეით ამდგარ" ვაჟს, მშობლიური მამულ-ნყლის სარანგს, განსაკუთრებით მტრიანობის ჟამს, მისგან თავის მოზღუდვა, განდგომა და განაპირება მოეთხოვება..

მიუხედავად იმისა, რომ „...მამაკაცს გვერდს უდგა დედაკაცი თითქმის ყველა საქმეში და ვაჟკაცურად, კაცთან ერთად, ეწევა ცხოვრების უღელს მკაში, ლეწვაში, ხვნაში, შეშის მოტანაში" (ვაჟა), მთის ეთნოკულტურაში ერთმანეთისაგან მკაფიოდაა გამიჯნული და დასამანებული მათი სამყოფ-სამოქმედო ადგილები. საგულისხმოა ამ რეალიის ვაჟასეული კონსტატაცია: ფშაველის სახლში „კერა" ორპირად არის გაყოფილი: ერთი საკაცო, მეორე სადედაკაცო. დედაკაცები სხედან ერთს მხარესა, კაცები მეორეზე: საკაცოში დედაკაცს არ შეუძლიან დაჯდომა..."

შინა, სოციუმის საცხოვრებელი სივრცის სილრმისეული, შუაგულური მხარე, ქალის საუფლო და „საბატონოა", ვაჟას თქმით, „ოჯახში უფლობს დედაკაცი", ხოლო სახლის გარე „პერიმეტრს", სასაზღვრო ზოლს,რომელიც მტრული ძალების სამიზნედ არის გააზრებული, მამაკაცი დარაჯობს, იცავს და განაგებს...

ამ ვითარების ამსახველია აფორისტული ხალხური ლექსი: „ყმა გასულ-გამოსული ჯობ, ქვეყნიერებანახული, ქალი კერაზე ნაჯდომი, საქმარედ თავშენახული..."

ჯვარ-სალოცავების მსახურს, მოწესე, მოწმიდარ პირს-ხევისბერს, ხუცესსა თუ დეკანოზს, ვისაც საერო თუ რელიგიურ დღესასწაულებზე ღვთისშვილთა მიწიერ საბრძანისში შესვლა შეეძლო და ვისგანაც მეზღვნე-მეხვეწური ციურ წყალობას, მადლის მოფენასა და სამომავლო იმედის ხმამაღლა გაცხადებას გამოელოდა, რიტუალური დღის დადგომამდე მკაცრად ეკრძალებოდა არათუ ქალ-დედროვანთან ფიზიკური სიახლოვე, მათ სავალ გზა-ბილიკებზე, ე.წ. „ნალახ", მირეულ ადგილებში ფეხის დადგმაც კი.

მათი მოწოდება და ცხოვრების კანონიკური წესი ყოფით გარემოში გარკვეულ შეზღუდვებს, რეგლამენტაციის დადგენასა და დაცვას გულისხმობდა; ღვთის რჩეულობა წარმავალ სიამეებზე უარის თქმას ითხოვდა; რაც სხვას, საზოგადოების რიგით წევრს, ეპატიებოდა, მათთვის მიუტევებლად მიიჩნეოდა...

წერილში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით" ვაჟა-ფშაველა შეგვახსენებს, რომ გმირი, „როგორც ვაჟკაცი, წმინდანი, თავის სიწმინდისა და ვაჟკაცობის დასაგვირგვინებლად ქალებსაც უნდა ერიდოს" (IX, 86).

ამ მხრივ, კიდევ უფრო მეტი სიმკაცრე და მაქსიმალიზმი არსებობდა ხევსურეთში.

ნათელა ბალიაურის სიტყვით, ახალგაზრდა ვაჟს თავაზიანობა, შუბლშეკრულობა, სიმამაცე, კარგი მხედრობა, მოჩხუბრობა და მოფარიკავეობა შეჰფერის. „ვაჟის მოვალეობაა თავდაჭერილობა. ქალებს არ უნდა ეთელებოდეს (არ უნდა იხედებოდეს ქალებისკენ და მათ ოჯახებში არ დადიოდეს)"...

და ვინაიდან მთის კუთხეებში ღირსების „გამსუბუქებად" ითვლებოდა მეომრული სულის გამნელებელი სწორფრული ურთიერთობებით ზედმეტი გატაცება, როგორც დამცავი, შემაფერხებელი მექანიზმი, ბუნებრივად გაჩნდა მოვლენა, გამოხატული მეტყველ ეპითეტში „ქალუნდაური", რაც, იმავ-

დროულად, რჩეული გმირის სპეციფიკური სტატუსისა თუ ტიტულის შინაარსობრივ გაგებასაც იძენს და ითავსებს.

ასეთი გმირია მამუკა ქალუნდაური, გოგოჭურების გვარის წარმომადგენელი გუროდან.

მარტია მისურაულთან, ბერდია მამუკაურთან, ხირჩლა ბაბურაულთან და ხოშურაულთან ერთად ზურაბ არაგვის ერითავის რისხვად და მუქარად მოვლენილი მამუკა, გადმოცემის თანახმად, ნაწილიანი ყოფილა: როცა სალაშქროდ გაემართებოდა, წინ მანათობელი ვარსკვლავი გაუძღვებოდა. ხმალიც ნაწილიანი ჰქონია: პატრონს გამარჯვების დღის დადგომას ქარქაშიდან სანახევროდ ამოწევით ატყობინებდა.

მზიურნიშნიანი ქალუნდაური „მაწმიდარ ღვთის კაცად" იხსენიება და რაკი ქალებს მაცდურ არსებებად თვლიდა, თავისი კაიყმური სიმაღლე და ღვთისმოსაობა რომ გადაერჩინა, სახლში და ხალხის თავშეყრის ადგილებში მათკენ ზურგით ჯდებოდა.

ნანდაურობისა და ცოლ-ქმრული კავშირის უარყოფით შეძლო მამუკა ქალუნდაურმა ასკეტური მორალით ნიშანდებული სამაგალითო გმირის შთამბეჭდავი სახის შეუბღალავად შენახვა და შენარჩუნება...

ქალუნდაურობით, როგორც უმთავრესი ადამიანური თვისებით და მახასიათებლით, გუროელ მამუკას ვაჟა-ფშაველას შავგვრემანი, ხანაც ფერით ანგელოზის სადარი გმირი ივანე კოტორაშვილი ჩამოჰგავს და ენათესავება.

უეჭველია მათი გენეტიკური ურთიერთმსგავსება.

„გარექცევ თხისტყავიანმა", ერთთავად ხევში ჩაწოლილი ნისლიეთ მოღუშულმა და გაუცინარმა, ჭკვიანმა და ღონიერმა ივანემ, როგორც პოეტი გვეუბნება, „მეტად ლამაზად იცოდა წესი და რიგი ომისა..."

თავისი გმირობა არასდროს დაუკვეხია, მგელივით მუდამ ქვეითი ეტეოებოდა მტერს, „ვაჟკაცის რჯულით" ცოცხლობდა, ტანთ-ჩაცმას „არას დასდევდა" და გველის თვალივით სათუთად ინახავდა ერეკლე მეფის ნაჩუქარ სამ ხალათს...

რაც მთავარია, მოკლული მოწინააღმდეგისთვის მარჯვენის მოჭრა დიდ ცოდვად და უსამართლობად მიაჩნდა...

მორიგი თარეშიდან თუ თავდაცვითი ბრძოლიდან სოფელში დაბრუნებულ ივანეს შორით შეჰფოფინებენ „პირმოლამაზებული" ქალები, მაგრამ გმირს მათი დაკრული სტვირი „თავის ჭკუაზე" ვერ ათამაშებს. ივანე ამ შემთხვევაშიც „უცოდვ მწირად"

რჩება: „არ დაგიდევდა ქალთ ტრფობას, ჩალად არ ჩაგიხედავდა; დიაცთ მიმყოლსა ვაჟებსა ძლიერ ცუდს თვალზე ხედავდა...“

ბოლოს, როგორც იქნა, სოფლის დაჟინებული მოთხოვნით, ძალდატანებით და შეგონებით ცოლიც შეირთო და „ერთის ვაჟაის მშობელი“ გახდა, რასაც, რომ არა მეწყვილის მონდომება და აქტიურობა, ვერ ელირსებოდა. ივანეს ცოლი „ჰფიცავდა“, რომ ძალათი დაწვა ქმართან, ხოლო მანამდე ბევრჯერ ლანძღა და არცხვინა, რათა უძეოდ არ გადაგებულიყო და ღვთის მგმობი არ გამხდარიყო მთის მიმინოდ სახელდებული სწორუპოვარი გმირი...

ივანე კოტორაშვილიც, ბევრი თავისი ტოლ-სწორის დარად, ცოლის უბე-კალთას რომ გამოჰკერებოდა და სალეკო ბილიკებზე ხეტიალისთვის ნანდაურებთან ნებიერი „ლოგინობა“ ემჯობინებინა, ვინ იცის, როდემდე გასტანდა ურჯულოთა თავაშვებული თარეში ქართულ მიწაზე...

სწორედ ამიტომ ქვეყანა, დრო და დრო თუ ხანგამოშვებით, ისეთ გმირებსაც დაისაჭიროვებდა და, ღვთის ნებით, შობდა კიდეც, პირადულ ვნება-სურვილებს გვერდზე რომ გადადებდნენ, ოჯახურ ინტიმსა და სიმყუდროვეს მოიკლებდნენ, უშვილძირობის ხვედრს ირგენდნენ და შეურიგდებოდნენ, ოღონდაც თავიანთი მეომრული მონაცემების მაქსიმალური მობილიზებით მამულისთვის ერგოთ და ეშველათ.

და ამ ყაიდის მოყმეთა შორის, მთიელ გმირთა მდიდარ გალერეაში, უაღრესად კოლორიტულ ფიგურებად მოჩანან ივანე კოტორაშვილი და მამუკა ქალუნდაური!

ვაჟა-ფშაველას პოემის „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ სათაურის ქვეშ ფრჩხილებში ნერია „კარახელის ნაამბობი“, რაც მისი სიუჟეტის ხალხურობაზე, ფოლკლორულ წარმომავლობაზე მიანიშნებს და დამაჯერებლად ცხადყოფს ქალისა და კაის ურთიერთობის როგორც სოციალურ, ასევე მსოფლმხედველობრივ ასპექტში მწერლის ფესვეულ ბმასა და სიახლოვეს ზეპირსიტყვიერების სუფთა სათავეებთან.

ვაჟა-ფშაველას „ლურჯა“

ვაჟა-ფშაველას იმ პოეტურ ნაწარმოებთა თავისებურ შეჯამებად, სადაც ცხენია გამოყვანილი, მიგვაჩნია 1890 წლით დათარიღებული ლექსი „ლურჯას“. ამ ლექსში ავტორი მიმართავს თავის ცხენს:

ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია,
როგორც კაცს, ადამიანსა,
ბარით რომ მთაში წამოვალ,
შენ დროს ახანებ გვიანსა.
მუხლში ქარს ჩამაიყენებ,
დაემსგავსები ნიავსა,
არ აბედინებ კლდე-ღრეებს,
მკერდს იქნევ ყალამქრიანსა,
შენც გული გიგებს, ტიალო,
მივალთ სამშობლოს მთიანსა,
კლდეზედაც კარგა მიჰფრინავ,
უგზოს გზასა ჰქმნი გზიანსა.
გულით მაშორებ ვარამსა,
ვარამსა ათასფრიანსა,
არწივის ფრთეებს შეასხამ
ჩემს ფიქრსა, მრავალ-ფრთიანსა,
მაყვარებ უდაბურს ადგილს,
მჭიდროსა, ნადირ-მგლიანსა,
გვიან ზაფხულის მნახველსა,
მწირსა და მოკლე-სთვლიანსა,
ადგილს უმთვაროს, უმზეოს,
ჩვენ რომ ვეძახით მზიანსა.

როგორც ვხედავთ, ლექსი ხატოვნად და შთამბეჭდავად ავლენს ადამიანის ემოციურ, სიყვარულითა და პატივისცემით გასხივოსნებულ მიმართებას საიმედო და ერთგული არსებისადმი.

მტერ-დუშმნის დასახვედრად შეაბჯრული მხედარი გამარჯვების იმედს საგანგებოდ მოვლილ, „ლურჯი თივა-ქერით“

ნაკვებ ბედაურზე ამყარებს. დარახტული ლურჯა, ნიკორი, შავრა თუ საღარი იმედიანად მიაქროლებს მეომარს ბრძოლის ველისკენ.

„ბახტრიონის" მეოთხე თავში ლაშარის გორზე ფშავ-ხევსურეთის მხედრიონთა ერთად შეყრის პლასტიკური, მონუმენტური სურათია წარმოდგენილი: „მგლური" ნაბიჯით მოდიან და მოიჩქარიან ცხენოსნები როშკიდან, ამღიდან, გუდანიდან, ჭორმეშავიდან, ჭიედან, ხახმატიდან, აფხუშოდან, მათურიდან და ცაბაურთიდან... აფხუშოელებსო, – წერს პოეტი:

ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო თქერანი,
პატრონის გულის მცოდნეა
თვალმოელვარე ჯერანი...

„პატრონის გულის მცოდნეაო", – ამბობს ვაჟა. კი არ ამტკიცებს და ასაბუთებს, რომ მართლაც ასეთი ზნისა და ბუნების იყო ბერი ლუხუმის „თვალმოელვარე ჯერანი", არამედ უბრალოდ, თითქოს სასხვათაშორისოდ აღნიშნავს ამ გარემოებას. და რაოდენ დამაჯერებლობას მატებს ნათქვამს ეს ბუნებრივი და ძალდაუტანებელი ტონალობა.

ღირსეული მხედრისთვის კარგი ცხენი ფასდაუდებელია. რაც უნდა საზღაური და სასყიდელი აძლიონ, სხვის ხელში საგულვებლად არ ემეტება. ცხენის სიკვდილის გამო თვალზე მომდგარი ცრემლი ვაჟკაცს არ ეთაკილება; მისი დატირება ისევე შეუძლია, როგორც ვინმე მოკეთე-ახლობლისა...

ნაღვლით პირშებურული იმედი რაზიკაული კარ-დაკეტილში ზის და ერთთავად „ყალიონი სჩრავ პირშია". არავინ იცის, რამ დაადარდიანა სანაქებო ვაჟკაცი... კაი ყმის საკადრისად იქცევა იმედი:

საქვეყნოდა დარდსა არ გაჰფენს,
ამონადუღარს გვამითა.

გარსმყოფთათვის გამოუცნობია მისი დაღვრემილი, უსიხარულო ყოფის მიზეზი. ცოლ-შვილი და დედა, ღვთის წყალობით, საღსალამათები ჰყავს. მტრის თვალის დასავსებად მწვანე ლოდებით ნაგები მისი ქავ-ციხეც ძველებურად

„ყელმაღლობს“... თურმე, როგორც ლექსის ბოლოს ირკვევა, „ცხენს გლოვობს რაზიკაული, იმიტომ არის ავადა...“

ლურჯას დაკარგვის გამო მწარე ფიქრი და უსაშველო სატკივარი გასჩენია იმედის: მომავალში რითი ნავიდეს სალაშქროდ, როგორღა გაჰყვეს ლეკებს კვალდაკვალ, ვინ უნდა გამოიხსნას მტირალი ტყვეები ურჯულოთაგან, „დაჩაგრულების საშველად ხელს ვინ დაიდებს ხმალზედა?!.“ ბოლომდე ერთგულად და უღალატოდ ნამსახური, ვალმოხდილი ცხენი ღირსია მადლიერი პატრონისგან სამაგიეროს მიგებისა: იმედი რაზიკაული სულდალეულ ლურჯას სამარეს უთხრის, მარხავს და მიწის შავ ლოგინს ცხელი ცრემლით ულბობს.

იმედი რაზიკაულის ამგვარი მოქმედების, ასე ვთქვათ, სათავე, თვით ვაჟას ბიოგრაფიაში ძევს. „მამას ყოველთვის კარგი ცხენი ჰყოლია, — აღნიშნავს ვახტანგ რაზიკაშვილი, — ცუდ, ჯაგლაგ ცხენს შინ არ გააჩერებდა. მე „ნიკორი“ მახსოვს. შავი, იორღა ცხენი. მხოლოდ ჩემს ხსოვნაში უკვე ბებერი იყო, იმდენად ბებერი, რომ ზამთარში გომურის წინ წყლიდან მოსული დაეცა და ველარც ადგა. მამამ ბევრი უტრიალა, მაგრამ ველარაფერი უშველა. მამას ცრემლი მოერია იმ ცხენის სიკვდილზე. შეხვია ფარდაგში და ისე დამარხა“.

ცხენი ინსტინქტით გრძნობს პატრონის სიკვდილს და მოსვენებას კარგავს.

თანამოძმეებმა ბრძოლის ველიდან ფშავში საკაცით მოასვენეს ბათურის გაციებული ცხედარი. ატყდა გულისშემძვრელი ზარი და მოთქმა. მწუხარების ნიშნად ბევრმა რძალმა და ლამაზმანმა „მოიჭრა ხშირ ყორნის ბოლოსავით შავი თმა...“ საკაცეს გვერდზე მოჰყვებოდა აბჯარჩაცმული ცხენი ბათურისა. ტახტაზე ეკიდა გმირის საჭურველი. შემდეგ: „ხმალი თუ გულზე ესვენა ვაჟკაცს, ცხენი თავით იყო დაყუდებული. პირუტყვიც თითქოს ჰგრძნობდა პატრონის უბედურებას და სწუხდა, ერთ ალაგას ვერ ისვენებდა“.

გარდაცვლილ გმირზე მისი ცხენის გლოვის მოტივი, — რაც ხალხურ პოეზიაში იღებს სათავეს, ვაჟა-ფშაველას არაერთ ლექსშია გახმიანებული.

ლეკებთან უთანაბრო ბრძოლაში იღუპება „ფშავის არწივი“, „სვილისფერი მოყმე“ გიგლია. ხევის პირას, ლოდებზე, „გულსუწადინოდ“ კვდება იგი. ტყვედ წაყვანილი ფშაველები მისი ბრალით იმდუღრებიან. გოდერძათ თინა „მთის ბალახს აბერ-

ტყს ცრემლსაო..." ბუნებისგან გმირის დატირების გრანდიოზულ სცენას (მთების დასხდომა „სატირალზედ", ბებერი არნივის „ზეით ჭიუხში" წყრომა, საყორნის თავის „ზედ შუა გულზედ ტყვრომა", წყაროს დაშრობა) კიდევ უფრო დიდი ტრაგიკული ტონალობით ავსებს გიგლიას ლურჯას საქციელი:

...ბეჩავი იმის ლურჯაი
გიგლიას თავით ბნდებოდა,
ტოტ დასცის, დაიჭიხვინის,
თვალებში ცრემლი ჰხლებოდა.

და დასასრულ, პოემის ფინალში, ცალკეა გამოყოფილი შემდეგი სტროფი:

ხალხში ამბობენ მთაშია,
დარბის, დახვივის ცხენიო:
ვაჰმე, სადა მყავ გიგლია,
კარგი პატრონი ჩემიო!

მოსისხლემ მოკლა „მეხად ცით ნაქუხარი", ურვალოდ ომში ჩასვლას ჩვეული, ფშავლების რჩეული გმირი გიგი. ახადს გათხარეს „შავგვრემანაი ბიჭის" სამარე. მშობლებთან და გველისპირულ ფრანგულთან ერთად გიგის სიკვდილს მძაფრად განიცდის მისი ლურჯა:

გიგის ლურჯაი ბაგას ჰბავ,
თვალით ცრემლები მისდისა,
ტოტს უცემს მხარკვერიანი,
ზურგი დაღარა მინისა

და ეს ხდება მაშინ, როცა გიგის ცოლი – ლუხუმათ ბერის ქალი –

ქმარს ეძებს მოშინაურეს,
არ მიმდევარსა მტერისა.

ნიშანდობლივი დეტალია. ცხენი პირუმტკიც ცოლზე მეტ მწუხარებას ამჟღავნებს გულხელდაკრეფილი პატრონის მიმართ!..

სულეთში მყოფ წინაპრებთან პირმართლად მიმავალი „მისრიათ ქალის შვილი" ბერიძე მშობლებს ანდერძად უბარებს, თუ ვის უნდა გადასცენ მისი ხმალი, ხანჯალი, ფარი და ჯაჭვი. როცა ჯერი ცხენზე მიდგება, სულამომდინარი ვაჟკაცი იტყვის:

ვინაც პირველად მიუხდეს
ბახტრიონს თარაქამასა,
ვინაც კი ამოაშხამებს
თათარს ცოდვების ჭამასა,
ჩემ ცხენი იმასა ჰყვანდეს,
ხელ იმან უსვას გავასა,
ალალი არი იმაზე,
ნურც თქვენ დაუწყებთ დავასა...

მხოლოდ ვაჟკაცისთვის იმეტებს ბერიძე თავის ძვირფას ცხენს, რომელიც „ტოტს უცემს, ელის პატრონსა, დაუგვიანდა მგზავრია".

ლურჯა ცხენი ვაჟა-ფშაველასთვის მდორედ მდინარი ცხოვრების ერთფეროვნებისგან, „სოფლის უკუღმა ტრიალისგან" თავდახსნის, განშორების, ბრძოლის საშუალებაა:

...დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
გადავერიო ზღვაშია,
თქვენთან ძაღლურად სიცოცხლეს
სიკვდილი მიჯობს ცდაშია.
ვერ მააწონებთ კარგს ყმასა,
რაც არ უჯდება ჭკვაშია!

ვაჟა-ფშაველას გმირთა ბედაურები, უმეტეს შემთხვევაში, „ლურჯად" იწოდებიან („მააქეჟქეჟებს ლურჯასა, ნალნი რიყეზე წივიან"; „მე ლურჯას მოვათამაშებ, პირიდან ისვრის ქაფებსა"; „ვერ მოვახტები ლურჯასა, ხმალს ვერ შევირტყამ წელზედა"; „ფარხმალი დარბაზს ნაუღო, ლურჯა დააბა გომშია"; „არავის შიში არა აქვს, მინამ ლურჯაი ჰყავისა"; „მარდად მოახტა ლურჯასა, არა სჭირდება შველაო" და სხვა).

სემანტიკურად „ლურჯა" ზეცას, ზეცის სილაჟვარდეს უკავშირდება და მითოსურ ჭრილში ღვთაებრივ ძალასთან წილნაყარობის ასპექტზე მიგვანიშნებს. ისტორიული ფხოვის

პერსონიფიცირებულ ღვთისშვილთა საფერხედ, როგორც წესი, უმთავრესად „ლურჯა" იხსენიება ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში: „ლაშარელაის ლურჯასა ფაფარი ჰსხავის გიშრისა..." „პირდაპირ ჩამოუდგება ლაღი ლაშარის ჯვარია, ხელში უჭირავ ლურჯაი, ფეხთ უკრავ ოქროს ნალია..." „დაბერდა გუდანის ჯვარი, ყმან შაიცვალნა ვითანი! იქავ შაჯდება ლურჯასა, სხაპნ იქნან მათრახისანი..."

„ქართული მწერლობის, ზეპირსიტყვიერების, მონუმენტური ფერწერისა და ხელნაწერთა მხატვრობის გათვალისწინებით შეიძლება ქართული ცხენის ერთი ძირითადი ფერის ვარაუდიც. ეს შეიძლება ყოფილიყო ლურჯა (მეტ-ნაკლებად მუქ-„ლურჯ"-ფორაჯებდაყრილი ღია ფერის ანდა ერთი ფერის მოლურჯო „ნისლა") ცხენი", – წერს ნოდარ ებრალიძე.

ვაჟა-ფშაველა, იცნობს და ითვალისწინებს რა ცხენისადმი ქართველი კაცის სიყვარულის ძველთაძველ, გენსა და სისხლში ღრმად გამჯდარ ტრადიციას, სწორედ ამ ტრადიციის გათვალისწინებით ძერწავს თავის მხატვრულ შემოქმედებაში ერთგული და კეთილშობილი ცხოველის სახეს. თუმცა მთავარი და განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში უფრო უშუალო გამოცდილება ანუ მწერლის ბიოგრაფიული ქვეტექსტია: საყოველდღეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ვაჟას ისევე, როგორც მთის მკაცრ პირობებში მცხოვრებ ყველა ფშაველს, ესაჭიროებოდა და ჰყავდა კიდეც საფერხე, რომელსაც გულის დარდსა და ვარამს ანდობდა მშობლიური არაგვის ხეობაზე მიმავალი პოეტი... მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას ლურჯა ცხენი არ ჰყოლია (ამას მოწმობენ თანამედროვეთა მოგონებები და ბიოგრაფთა ცნობები), იგი მაინც ამ სიმბოლური სახელით მიმართავდა „უგზო გზის" გამხანებელ თავის უტყვ მეგობარსა და თანამგრძნობელს...

მსგავსად „ტაიჭისა" და „ბედაურისა", ეპითეტი „ლურჯაც" საუკეთესო, სწრაფი და ფეხმართალი ცხენის სინონიმად აღიქმება და, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამგვარი გაგება და მნიშვნელობა ახლავს მას ვაჟა-ფშაველას პოეზიაშიც.

ცხოველთა საქციელში ადამიანური შტრიხებისა თუ ნიშან-თვისებების სიჭარბე, რაც ესოდენ თვალნათლივია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მაგალითზე, ლიტერატურული, და ისიც წინდაწინ მოფიქრებული ხერხი კი არა, არამედ ხატოვანი მეტყველების შინაგანი ლოგიკით ნაკარნახევი კანონზო-

მიერებაა. და აქ უთუოდ დიდი და მნიშვნელოვანია ფოლკლორული ტრადიციის ძალა და კეთილისმქმნელი გავლენა.

ვაჟას ლირიკასა და ეპოსში ბედაურის გამოჩენა ენერგიული დინამიზმით მსჭვალავს სიტუაციას, ამბის კონკრეტულ ვითარებას. აკაკი გაწერელიას სიტყვით, „სიუჟეტის თვალსაზრისით, ცხენი ვაჟას პოემებში ზოგჯერ მოქმედების აუცილებელი წევრიცაა“.

ხალხური პოეტური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ეპითეტებით შემკული ცხენი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მხატვრულ-ესთეტიკურად უნაკლო ექსპრესიული სურათების სრულქმნაში მონაწილეობს.

ჩერქეზთა ტირანი მთავრის ასლან-ბეგის ხელკაცი დემური მეზობლის ბიჭს ქიჩირის მოკვლისა და მისი სახლიდან წამოსვლის ამბავს უყვება:

...აჩხავლდა სახლში ბებერი,
მე კი გადმოვხტი კარითა.
ცხენს დავაფრინდი, წამოვედ,
ვცემე მათრახის ტარითა.
მოჰქროდა ჩემი მიმინო,
ფეხებს იბანდა ქარითა...

მშვენიერი მხატვრული სახე – „ფეხებს იბანდა ქარითა“ მთელ ლექსს ანათებს.

ფოლკლორული მემკვიდრეობიდან აღებული მხატვრული შედარებისა და მეტაფორის ერთგვარი მოდიფიკაციის გზით პოეტი ქმნის რჩეული ცხენის დასრულებულ ხატს: „ირემს ჰგავს მინდის წითლაი, შუბლითა მთვარიანითა...“ პირველ სტრიქონში წითლას ხილული, თვალით აღსაქმელი ფიზიკური მონაცემებია ხაზგასმული, ხოლო მომდევნოში აშკარად იცნობა ასტრალური სიმბოლიკით აღჭურვილი მითიური ცხენების ორეული...

ცხენი მოჰყვება ჩვენი ერის ისტორიას – თავისი შემართებით, თავისი გამტანობით, ერთგულებითა და სიყვარულით; ის ადამიანის ჭირისა და ლხინის მუდმივი მოზიარე იყო და არის. ამიტომ ქართველი პოეტის ლექსში ბუნებრივია ასეთი სტრიქონები:

ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია,
როგორც კაცს, ადამიანსა...

ალექსანდრე ყაზბეგის პოეზია

„...ყაზბეგის წიგნები უფრო მეტია, ვიდრე ყაზბეგის პიროვნება: შექმნილი აღემატება შემქმნელს“.
სოსო სიგუა

ალექსანდრე ყაზბეგმა, უთვალსაჩინოესი მოთხრობების, რომანებისა და ნაკლებპოპულარული პიესების („დავითის სახლობა“, „არსენა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“) ავტორმა, თავისსავე არსებაში აშკარად დაჩრდილა და დაჩაგრა პოეტი – ამ ცნების ტრადიციული გაგებით, თორემ, კაცმა რომ თქვას, მთელი მისი შემოქმედება პოეტური აზროვნების თვალხილული დეტალებითაა გაჯერებული და გამშვენებული.

მოჩხუბარიძის მწერლური ნატურის ალბათ ეს თავისებურება ჰქონდა მხედველობაში ვახტანგ კოტეტიშვილს, როცა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ნაშრომის დასასრულში დასმულ კითხვას ლაკონიური, ჟანრულ დიფერენცირებასთან მიმართების კუთხით ერთობ ზუსტი და ამომწურავი პასუხი გასცა: „...ყაზბეგი ბელეტრისტია, პოეტია თუ რა არის მწერლობაში მიღებული ტერმინებით? მე მგონია, რომ არც ერთის დარქმევა არ შეიძლება. იგი საზღვრებგადალახული მწერალია“.

და მაინც, თუკი დროებით გვერდზე გადავდებთ ზოგადთეორიულ მიდგომებს, მოსაზრებებს, დეფინიციებს და რიგითი მკითხველის თვალით შევხედავთ ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დღემდე გამოქვეყნებულ მონოგრაფიებს, სტატიებსა თუ კვლევაძიებით ოპუსებს, დავინახავთ და დავრწმუნდებით, რომ ძალზე მცირე, ერთობ ზედაპირული ყურადღება მიჰქცევია მის პოეზიას...

ალ. ყაზბეგი ზედმიწევნით იცნობს თავისი ეპოქის პოეტურ ტრადიციას; საგანსა და სატკივარს, რაზეც ნამდვილმა შემოქმედმა უდა იფიქროს, იაზროვნოს, წეროს; იცნობს ქართულ კლასიკურ პოეზიას, ზეპირსიტყვიერებას, წინამორბედთა გამოცდილებას, წვლილსა და დამსახურებას, რაც მათ მიუძღვით ქართული მხატვრული სიტყვის გადარჩენის, ქართული მწერლობის გაღრმავებისა და ამაღლების საპატიო საქმეში...

ის უმთავრესი დვრიტა თუ ფერმენტი, რაც ალ. ყაზბეგის ლექსს ეროვნულობის მკაფიო ელფერს ანიჭებს, მატებს

მელოდიურობას და გამზრდელი მთისთვის ნიშანდობლივი საღი სუნთქვით გამოარჩევს, გახლავთ უხნიერესი ქართული, კონკრეტულად, საკმაოდ მდიდარი მოხეური ხალხური პოეზია. თვითონ იყო მშობლიური კუთხის სულიერი საგანძურის მაძიებელი, შემკრები, გულშემატკივარი და, რა გასაკვირია, გარკვეული გამოძახილი ეპოვა საკუთრივ მის პოეზიაში ხალხში გაგონილ და მოპოვებულ, სტილური სისადავის წარუშლელი დამღით აღბეჭდილ პოეტურ ტექსტებს...

თუნდაც რამდენიმე დიალექტური ფორმა, კილოკავური ლექსემა თუ გაელვება ზეპირსიტყვიერი მოტივისა, ბუნებრივად რომ მორგებია ლექსის საერთო მხატვრულ ქსოვილსა და მიზანდასახულობას, იძლევა საფუძველს, ვილაპარაკოთ ავტორის ძირისძირეულ სიახლოვეზე ნაციონალური პოეტური კულტურის თვალმიუწვდომელ ძირებთან და სათავეებთან.

საგანგებო პარალელების მოხმობისა და დამოწმების გარეშეც ინიშნებს ალღოიანი მკითხველი ხალხური აზროვნების კვალსა და დანაშრევს ალ. ყაზბეგის ამგვარ სტრიქონებში:

რაც უნდა ძალზედ დამალონ,
თავს მაინც იჩენს ჭირიო...
—"—
ხანჯალი ბასრი ხელში მაქვს,
ბრწყინავს, ვით გველის თვალია.
—"—
ღრუბლიანს დღეში დაჰკარგავს
სითბოს მზე, შუქსა – მთვარეო,
თქვენს შორის შეუმჩნეველად
მეც ამად ჩავიარეო...

ალ. ყაზბეგის პოეზიას გაკვრით შეეხო გურამ ასათიანი და მიუთითა, საიდან მომდინარეობს შურისგების იდეა მის შემოქმედებაში: „ბოროტების დათრგუნვა, ყაზბეგის რწმენით, მხოლოდ თავგანწირული ბრძოლისა და მსხვერპლის ფასად შეიძლება. აქედან იღებს სათავეს შურისგების იდეა ყაზბეგის შემოქმედებაში, რომელიც პირდაპირ ემსახურება ქართული ხალხური პოეზიის ზოგიერთ მოტივს".

ალ. ყაზბეგის პოეზია ქართველი კაცის ღირებულებრივი სისტემის იმ წახნაგებზეა ორიენტირებული, რომელთა მოშლა

ერის ზნეობრივი დაცემისა და დეგრადაციის მაუწყებელია. სულიერების სფეროს საუკუნეობრივი ნიშანსვეტების შენარჩუნებაში იმალება წინაპირობა იმისა, რომ ჩვეული, დროში გამოცდილი და აპრობირებული გზით იაროს ერმა და ბერმა, რომ ქვეყნის სიმტკიცესა და მონოლითურობას შერყევისა და გაცამტვერების საფრთხე არ დაემუქროს... და ამ ასპექტით ალ. ყაზბეგის პოეტური ნააზრევი სრულ შესაბამისობაშია მისსავე უმნიშვნელოვანეს პროზაულ ქმნილებებში გახმიანებულ სატკივართან, მონობას უჩვევ მთიელთა საწუხართან, გნებავთ იმ, ილიას რომ მივმართოთ, „წყევლა-კრულვიან საკითხავთან", ესოდენ ხმიერი ასახვა რომ უპოვია „ელგუჯაში"... ლექსებში „კალამს", „ჩემო იღბალო" და სხვ. პოეტის თვალთახედვა კვლავ დროშაზე, ხევისბერის უპირველეს ფუნქციასა და მოვალეობაზე, სამების საბჭეო ტაძარზე, ბეთლემზე – „ქრისტეს აბანოზე", ხალხის ერთობაზე, თემობასა და მისი შეუბღალაობის აუცილებლობაზეა შეჩერებული... სამშობლოსთვის თავგანწირვის ჟინით შეპყრობილი შემოქმედი მოძმეებს მოუწოდებს იმ ძალებთან დაპირისპირებისა და შებმისაკენ, ვინც მათ ერთობას (სხვაგან: „ერობას") არღვევს და არც შინ მყოფთ აძლევს მოსვენებას... ასევე ურჩევს იმათ არდავიწყებას,

...ვისაც ჰო, –
ჰოდა აქვს, არა – არადა,
ვინც კი არ იცვლის თავის ფერს,
მთად იყოს, თუნდა ბარადა,
ვინცა თავის თემს, ერობას
ზედ დაემქრევა ცვარადა...

პრიორიტეტული თემებიდან და მოტივებიდან შუაგულური ადგილი ალ. ყაზბეგის ლექსებში მთებს უჭირავთ; მთებს, თავიანთი სიმაღლით და შუბლს მოფენილი ნათელით რომ იმსახურებენ ადამიანის სიყვარულს, კრძალვას, პატივისცემას და, პოეტური პირობითობით, სიწმინდესთან, მდგრადობასთან, ერთხელ არჩეული პოზიციისა თუ ათასწლეულთა სარბიელზე ჩამოყალიბებულ ჩვეულებათა ერთგულ მიმდევრებთან ასოცირდებიან... როცა „გულს ზეცა აღარ უდარებს", პოეტი მთას ემუდარება, რომ შეწუხებულს მოხედოს, ვინაიდან ის არის შეჭირვებულთა მშველელი და „სიცოცხლის გამხარებელი".

პოეტი მთით არის მდიდარი და სხვა რამ საუნჯეს არც ეძებს... მთა იმის გამოც არის კარგი და ლამაზი, რომ „წყარონი სდიან"; წყარონი, ურომელთოდაც კაცობრიობას ამ ხრიოკ ქვეყანაზე გაძლება გაუჭირდებოდა... და წამიერად ვაჟას „მთანი მაღალნიც" გაგვახსენდება, როცა მთისადმი ალ. ყაზბეგის ემოციურ, გულშემატკივრულ მიმართვას გავეცნობით:

მთაო, მაღალო! რად შფოთავ,
რად მოიქუშე პირია...

ხოლო ხანდახან ეჭვნარევი შიშიც ართმევს და აკარგვინებს სულის სიმშვიდეს. და ეს ხდება მაშინ, როცა საკუთარ თავსა და მთას შორის დისტანციის, დაშორიშორების, ურთიერთგანდგომის ნიშნებს შეამჩნევს. და ამ უსიამოვნო განცდით შემსჭვალული უმალვე შესძახებს და შეახსენებს, რომ მთელი თავისი არსებით მას ეკუთვნის:

იქნება გადაგავიწყდი?
მთაო! შენი ვარ, ქვიანო!..

ალ. ყაზბეგისთვის მთა არის სახატესავით სუფთა და ურიოშო ის სიმბოლური თუ ხილული სიმაღლე, რომელთანაც ცოდვითდაცემული ადამიანის დამოკიდებულება ქრისტიანულ სიმდაბლესა და უბრალოებას გულისხმობს:

არა, მთაე, ღირსი არა ვარ,
ჯერ რომ მე გადაგეხვიო.
ნება მომეცი, დავემხო
შენს წინ და მუხლზე გემთხვიო...

არსებობენ სხვა ცნებები და სიდიდეებიც, შემოქმედი თავისი იმედნეულობის მყარ საყრდენებად რომ სახავს. და მათ შორის მკვიდრი ალაგი აქვთ მიკუთვნებული ხმალსა და კალამს. პირველის დანიშნულება და ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ „გამპობია მტერთა გულისა", ხოლო მეორე იმდენად ფასობს და მნიშვნელოვნობს, რამდენადაც „დაჭრილი გულის მალამოს" წარმოადგენს და განმსაზღვრელია ავტორის ბედისწერისა, ისევე, როგორც რეეული, რომელიც, მისი პატრონის სიკ-

ვდილის შემდგომ, დიდხანს რჩება ამ ქვეყანაზე და რეალურ თუ პოტენციურ მკითხველს თავის ფურცლებზე დაუნჯებული სიტყვიერი სასწაულებით ახარებს და ამხნევებს...

შემოქმედებითი შთაგონების უცვლელ ატრიბუტებთან ერთად ფრთოსანთა მეფესაც უდევს წილი პოეტისთვის სულიერი აღმაფრენის მისტიურ აქტში:

...მიყვარხარ, ლეგა არწივო,
ამაყო, ძლიერ ფრთიანო...

ხალხური ლექსის ხავერდოვანი ხმოვანება მსჭვალავს ალ. ყაზბეგის სატრფიალო ლირიკას. რვამარცვლიანი საზომის გამოყენება კიდევ უფრო აძლიერებს ამ განცდას... გრძნობათა ის დუღილი, გაუნელებელი ალმური, ნერვიული მიმოქცევა და გმირთა მეტყველების ტრაგიკული ტონალობა, ალ. ყაზბეგის პროზას რომ გასდევს და გამოარჩევს სხვათაგან, რამდენადმე მიმქრალი და მინელებულია მის პოეზიაში. აქ აღარ ისმის სასიკვდილოდ განწირულთა სასოწარკვეთილი ძახილი თუ ღაღადისი; არც პირადი ინტიმისა და ადამიანურ მოვალეობათა დაპირისპირების ძველთუძველესი დილემა დგას ლირიკულ პერსონაჟთა წინაშე. ინდივიდუალურ სახელდებასა და კონკრეტულობას მოკლებული სასურველი არსების ხატვისას ავტორის ხელწერა რაღაცით ვაჟა-ფშაველას ტროპული სახეების ალუზიასაც იწვევს და „ვეფხისტყაოსნისასაც".

ნიმუშები:

გზად მიმავლსა ჟუჟუნამ
დამქროლა, შემაჩერაო,
ელვასა ცისას ვამსგავსე
იმისი შემოცქერაო...

(გავიხსენოთ ვაჟა:

...ქალი წამოდგა ფეხზედა,
თითქოს იელვა ცამაო..)

კიდევ ავკვნესდი უწყალოდ,
ცრემლად ნაღველი ვღვარეო!

შვილად თვით ზეცის მნათობნი,
ვარსკვლავნი დავიბარეო!

(აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ფრიდონთან შესახვედრად მიმავალი ავთანდილის ცალფა დიალოგი მზესთან, ზუალთან, მუშთართან, მარიხთან, ასპიროზთან, ოტარიდთან და მთვარესთან. და იქვე: „აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან...“).

გულში ღრმად „ჩასევადებული“ სატრფოს სახე და სახელი, როცა გრძნობა ცალმხრივია და საპასუხო ცეცხლი არ ჩანს (ცნობილია სიყვარულში ყაზბეგის ხელმოცარულობა), სამდურავის სათქმელად განაწყობს პოეტს. ხედავს, რომ ხარლაღისთვის გული გაუღია ცვრიან ბალახს; ავდრიან ამინდს ყვავილი გაუღიმილებია და ამ დროს პოეტისთვის ხან დამბუგველია თვალუუუნა ქალი – „ყინჩი ყვავილი მთისა“, ხან კიდევ რისხვით და სიცივით დამსუსხველი... და საყვედურის საბაბიც ბუნებრივად იბადება:

ქალავ, მითხარი, მართალი:
გინდა სულ ეგრე იავო?
რა იქნებოდა, რომ ერთხელ
დამწვარ გულს მოუნიავო?..

ალ. ყაზბეგის მგრძნობიარე გულს ლელთ ღუნიას სატკივარით ავსებს მრუდე გზაზე დამდგარი თანადროული ცხოვრების ცქერა. არ უნდა იყოს შემთხვევითი ლექსის „ფანდური“ ფრაზეოლოგიური თანხვედრა ილიას „მგზავრის წერილების“ ფინალურ ეპიზოდთან:

ძველ დროში კაცი კაცობდა,
დიაცი კეკლუც-ქალობდა.

და ამავე ქმნილების მუდამჟამს სამახსოვრო სტრიქონები:

თავისუფლება მთიელებს
მიაჩნდათ თვალის ჩინადა...

არც არასდროს სოციალური უთანაბრობის მიმართ ჰქონია დამთმობლური, შემრიგებლური დამოკიდებულება. ზნეობრივი უკომპრომისობის ფორმულად აღიქმება ალ. ყაზბეგის მკვახე შეძახილი:

ქუდმოხდილია, ძლიერის
ვინც ფეხის მტვერი ხდებაო...

ალ. ყაზბეგის ლექსებში თერგის „დაუჩუმარი ჩივილის" (ილია) ხმაც ისმის და ფაქიზი ლირიზმის ჩუმი, თავანკარა ნაკადებიც უწყვეტად მოედინებიან; საქვეყნო ფიქრიც მიმოიმქრევა ინტელექტუალური ფარსისა და ცბიერებისგან აბსოლუტურად დაზღვეულ მის პოეზიაში და სუბიექტური სალმობაც გასაგებად საჯაროვდება.

თუნდაც ამგვარი:

ვით გასძლოს შეუსვენებლად
გულმა ამდენი ძგერაო?!
მე კი დღე და ღამ სულს მწვდება
მწვავი სიმების ჟღერაო,
მოღვარებული წადილი
გულს სწიწკნის, ვითა ძერაო...

და ისევ თავში ნათქვამს გავიმეორებ: ფსიქოლოგიურ ჭრილში ბობოქარი ვნებების წარმოსახვით მხატვრული აზროვნებისა და მწერლური ოსტატობის მწვერვალებზე აზიდულმა, „ძალების უმძაფრესი კონცენტრაციით" (გრ. რობაქიძე) ხუთ წელიწადში დაწერილმა ალ. ყაზბეგის რამდენიმე რომანმა და მოთხრობამ იმდენად დაიქვემდებარა და უჩინარჰყო მისივე პოეტური შემოქმედება, რომ ამ უკანასკნელს ცნობილ ლიტერატურისმცოდნეთა უმრავლესობა აღარცკი ახსენებს, თითქოს საერთოდ არ არსებობდეს.

არადა, არსებობს, „ხევისბერი გოჩას", „ელგუჯას", „მოძღვარის", „განკიცხულის", „მამის მკვლელის", „ელისოს", „ციცკას" გვერდით ნამდვილად არსებობს ალ. ყაზბეგის პოეზიის ჯერაც ბოლომდე მოუხილავი სამყარო, რომელიც იმსახურებს, უდავოდ იმსახურებს მეტ გულისხმიერებას, პროფესიონალურ მიდგომას, შესწავლასა და შეფასებას.

მეფე, დროშა, თემი
(„ელგუჯას" მიხედვით)

ახალი აღთქმის მოძღვრების თანახმად, „არა არს ხელმწიფებაი, გარნა ღმრთისაგან, და რომელნი-იგი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან" (რომაელთა მიმართ. 13.1)

მთის ხალხის მმართველი სვიმონ ჩოფიკაშვილი მოციქულის პირით უთვლის ალექსანდრე ბატონიშვილს: „მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს... მეფე ღვთისაგან არის დანიშნული, იმის გულის პასუხს კაცი ვერ მისწვდების, – მეფეს უნდა ყველა ემორჩილებოდეს".

მეფის და მისი უსაზღვრო უფლებამოსილების ბიბლიურ იდეალს – ცაში ღმერთია უზენაესი, ხოლო მიწაზე მისი ხელდებული, მისგან ცხებული და კურთხეული მეფე – მყარი თეორიული პოსტულატის ძალა და შესაფერისი სიტყვიერი ფორმულირება მიესადაგა ბაგრატიონთა სამედო დინასტიასთან მიმართებაში: „მეფე ნებითა ღვთისათა".

„მეფის გაღმერთება ანდა სამების მეოთხე ჰიპოსტასად დასახვა მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიასთან არის დაკავშირებული" (მ. კარბელაშვილი), რაც, თავის მხრივ, წარმოშობდა და განამტკიცებდა რწმენას ჩვენი ქვეყნის მმართველ ხელისუფალთა ნაწილიანობისა თუ ხარიზმულობის შესახებ.

ბაგრატიონთა დღე-გრძელი სამეფო სახლის ზეციურ წარმომავლობაზე მეტყველი მხატვრული პასაჟებია დადასტურებული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" (მათ შორის ამგვარი: „ხელმწიფენი უფალ-ყვნა ღმერთმან ქუეყანასა განგებასა"); შავთელისა და ჩახრუხაძის სახოტბო ტექსტებში...

და სრულიად ბუნებრივია, თუკი დიდებით მორჭმული და სვესრული ბაგრატიონების ღვთისნებითობისა და ლეგიტიმურობის საკითხმა კუთვნილი გაშლა და ასახვა ჰპოვა ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია" (ტფ. 1929)...

ცნობილია, დიდების რა არაამქვეყნიური შარავანდედით არიან შემოსილნი ქართველთა წარმოდგენაში თამარ მეფე და მეფე ერეკლე. გადმოცემების მოწმობით, ლოცვის დროს ორ-

თავეს შესწევდა ლევიტაციის უნარი: მიწის ზედაპირიდან ორი ადლის სიმაღლეზე ადიოდნენ და ჰაერში ჩერდებოდნენ. თამარი სამოსს, ერეკლე კი ხმალს სარკმლიდან შემოსულ მზის სხივზე ჰკიდებდნენ; თამარი ღმერთთან, ხოლო ერეკლე ქრისტესთან „წილნაყრებად" იწოდებიან ვაჟას ეპოსსა და ხალხურ პოეზიაში...

და ყოველივე ეს პირდაპირი ნახმევია დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ ბაგრატიონთა ირგვლივ დროთა განმავლობაში ხალხში შექმნილი არასადაგი რწმენა-წარმოდგენებისა...

ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯაში", სხვასთან ერთად, უმწვავესად დგას და ქვეყნის საარსებო საწყისთა სიმთელისა და სიჯანსაღის წინაპირობად მოიაზრება მეფობა-უმეფობის სერიოზული პრობლემა.

გიორგი XII-ის სიკვდილმა საგონებელში ჩააგდო და გარკვეული დილემის წინაშე დააყენა სამშობლოს ბედზე მოფიქრალი მამულიშვილები...

რუსეთის მფარველობის მიღებით დაიკარგა ეროვნული სუვერენიტეტი; დასრულდა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი მეფობა; დაიწყო ახალი ეპოქა დიდი იმპერიის ყმადქცეული ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

მთიულ ხევისბერის აბდია ჯალაბაურის ნაღვლით ნალეს ფრაზაში – „მეფე მაინც ჩვენი უნდა გვყოლოდა" – ერის ღირსეული ნაწილის სეფე-სათქმელი და გაუნელებელი საწუხარია გაცხადებული.

ელგუჯასაც სწორედ ეს სატკივარი უკლავს გულს, უიმედობის დაუფარავი ინტონაცია შეჰპარვია მის ხმას: „რაი-ღა ვიქნებით, თუკი ჩვენი მეფე აღარ გვეყოლება?" – სვამს სინანულით გაჯერებულ რიტორიკულ კითხვას და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ პოულობს...

გადის დრო. კაცთკითხული აბდიას შეგნებაში, მის პატრიოტულ განცდასა და პოლიტიკურ ხედვაში დღითი-დღე მკვეთრდება და ღრმავდება ღვთის წილხვდომილი ქვეყნის უმეფობით გამოწვეული ლოგიკური ტკივილი; ღრმავდება და სვიმონ ჩოფილაშვილისადმი მის უკომპრომისო მიმართვაში ცხადლივ ჩანს გაწბილებული, რუსეთის მზაკვრული რეჟიმისგან მწარედ მოტყუებული მთიელი ხალხისა და მისი ერთი მართალი წარმო-

მადგენლის განუხრელი პიროვნული პოზიცია: „...ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ან გავწყდეთ და ან ისევ ჩვენი მეფე გვეყოლოს...“

დუმს „საქართველოს მოთავე ქალაქი“, რის გამოც ამერ-იმერში წამოწყებულ საპროტესტო ამბოხს, გამომდინარე ქართველთა პირუმტკიცობიდან, წინ წაწევა და წარმატება არ უწერია.

იულონ და ფარნავაზ ბატონიშვილები ერთურთს გლეჯენ და ჯიჯგნიან. ზედმეტია ერთობაზე, ერის შინაგან მონოლითურობაზე, ზნეობრივ საქციელზე საუბარი.

სამთელქვეყნო საფიქრალს სახლისკაცთა შორის ატეხილი უთანხმოება ემატება. სხვადასხვაა გაგი და სვიმონ ჩოფიკაშვილების პოლიტიკური ორიენტაცია. ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში ჩამდგარი გაგი, საპირისპიროდ საკუთარი მრწამსისა, ალექსანდრე ბატონიშვილს შესჩენია და არწმუნებს, რომ დარიალით – „კავკასიის კარით“ – რუსების შემოსვლის მიზეზი სვიმონია და ის რომ არ ერეოდეს საქმეში, ჩვენი მინა-წყლიდან დამპყრობლების განდევნაც არ გაჭირდებოდა...

სვიმონ ჩოფიკაშვილის გაორებულ ბუნებაზე ყურადღების გამახვილებით როსტომ ჩხეიძე აქცენტს სვამს იმ შეუქცევად პროცესზე, რასაც თემობის თანდათანობითი მოშლა და ადათების რღვევა ჰქვია.

„მის მწუხარე განცდებში თვალთმაქცობის ნატამალიც არ ურევია, – აღნიშნავს „ყაზბეგიანას“ ავტორი, – მაგრამ პიროვნული გაორება კი მძიმედ დაჭდევია მის მონუმენტურ ხასიათს, არღვევს მის სიმტკიცესაც და თვალნათლივს ხდის მკითხველისათვის, რომ სვიმონ ჩოფიკაშვილს თავისი მოქმედებით ანუ რუსხელმწიფის სამსახურში დგომით წილი უდევს თემისა და ადათის მოშლაში“.

ვინაიდან „თემის სურვილი უფლის სურვილია“, მის სულში გაჩენილი სენის სიმპტომები სარგოს და სასიკეთოს არაფერს პირდება ქვეყნის ხვალინდელ დღეს.

არეულობის დროში, ანუ იმგვარ რეალობაში, როცა „კაცს ვეღარ გაუგია: ვინ მტერია და ვინ მოკეთე“, თემობასაც „დაეკარგა თავისი ძალა, ხალხის ნების ასრულება შეუძლებელი შექმნილიყო და მის ბედ-იღბალზედ ზრუნვა თვითეულს პირს ჩაეგდო ხელში“.

უცხო ძალას დაქვემდებარებული ქვეყნის მენაპირე კუთხეში შექმნილი სავალალო სიტუაციის შემხედვარენი იწედის უკანასკნელ ნამლევებს ეჭიდებიან, ებღაუჭებიან.

თემის ძალაუფლება, ეთნოსინამდვილის ჩარჩოში, მეფის კრებითი სახის ძალაუფლებად, მის მონაცვლე ორეულად განიცდებოდა.

თემობის ინსტიტუტის იურიდიული დატვირთვისა და დანიშნულების ვაჟასეულ ხედვას – „თემს რაც სწადიან, მას იქამს თავის თემობის წესითა" – ერთიორად ამკვეთრებს და აკონკრეტებს ამ ლოკალური სოციალური მოვლენის ალექსანდრე ყაზბეგისეული შეფასება. ელგუჯა ეუბნება ხარანაულს: „თემის სიტყვა ღვთის ბრძანებაა, კაცი ვერ გადავა იმას".

მაგრამ ვითარება შეცვლილა და ბრძენ წინაპართა გონივრული გარჯით მიღწეულ სამართლებრივ სიმაღლეებს დაცემისა და დამიწების აშკარა საფრთხე დამუქრებია.

მომაკვდავი სვიმონის უღონო საუბარში სარკისებრი სიცხადით არის არეკლილი ოდესღაც შეუვალი ხევის ტრადიციული საზოგადოების უნუგეშო ყოფა და კიდევ უფრო ბუნდოვანი, უსიამოვნო პერსპექტივა: „ – თემი? – ნაღვლიანად ჩაიღიმა ავადმყოფმა, ბარემ, თუ თემობა შეგვრჩა! მაგრამ: „რანიც ვიყავით – აღარ ვართ, რაცა ვართ – აღარ ვიქნებითო!.."

დროშაა (იგივე ბორაყი) ის უმთავრესი საგნობრივი სიმბოლო, გნებავთ, ინსიგნია, რასთანაც თემის და, ზოგადად, ერის ერთობის განცდაა დაკავშირებული. დღეობების დროს დროშის „აბმა" ანუ სხვადასხვა ატრიბუტებით (სამკადრეოები, ზარ-ზანზალაკები...) მისი ტარის აღკაზმვა და საკლავის სისხლით დანათვლა საკრალური რიტუალის რანგში აყვანილ ქმედებას წარმოადგენდა. დროშა მონაწილეობდა ლაშქრობაში, მგზავრობაში, ასევე, მიწრიელი ძალებისგან მიცვალებულთა სულების გამოხსნისა და რელიგიური დღესასწაულების მსვლელობის პროცესში.

„ელგუჯაში" არის ერთი ეპიზოდი, მთიელთა წეს-ჩვეულებებში სივრცული ორიენტაციის მკვიდრი მოდელების არსებობაზე რომ მიანიშნებს: დეკანოზები მრევლის დამწყალობნებამდე თავიანთ წმინდა დროშებს აბდია ჯალაბაურის კალოზე უბრალო ჭაჭის ქვით მშრალად ნაგებ ნიშთან დააბრძანებენ.

კალო, სახლის ბანთან და ჭერხოსთან ერთად, იმ სუფთა, ურიოშო ადგილად მიიჩნეოდა, სადაც დასაშვები იყო ეროვნული სიწმინდის დროებით მოთავსება, შენახვა და მოწმიდარ პირთა ღამისთევა. ნალახ, მირეულ ტერიტორიაზე გავლა ხატის ხელკაცებს უპატიებელ ცოდვად ეთვლებოდათ. კულტის მსახურთათვის უსუფთაოდ და ტაბუდადებულად ითვლებოდა ასევე ბოსელი, სამრეველო, ქალ-დიაცების სავალი გზა-ბილიკები...

ნიშთან დასვენებულ დროშებთან, – წერს ალექსანდრე ყაზბეგი, – დარჩნენ დეკანოზები, ხოლო „დანარჩენი ხალხი კი გაიშალა მინდორზედ".

ხევისბერის კარმიდამოზე შეკრებული ერისა და ბერისთვის „დიდიდან პატარამდინ" გაწყვეტა უფრო ადვილი ნარმოსადგენი და გადასატანია, ვიდრე დროშების – „ეროვნობის დამაკავშირებელი ნიშნების" – დაკარგვა ანდა ვინმესთვის დანებება.

დროშის გარეშე დარჩენილი ქვეყანა ისეთივე მადლდაშრეტილი, დაძაბუნებული და უდავლათოა, როგორც უმეფოდ მცხოვრები სადროშო.

გინდ მეფე მომკვდარა და გინდაც დროშა გაუჩინარებულა.

ორივე მძიმე, ტრაგიკული, ავის მომასწავებელი მოვლენაა ერის ყოფაში.

მითუფრო მაშინ, როცა შინა უთანხმოებასა თუ გარეარეულობას ეთიკური ნორმებისა და ზნეობრივი საყრდენების შესუსტებაც თან ერთვის...

ამიტომაც ხმიანობს „ელგუჯაში" ესოდენ მძაფრად, რაღაც ფატალურის მატარებელი „განწირულის სულისკვეთებით" სამი ცნება, ქვეყნის მედგარი ერთიანობისა და უტეხობის გარანტად საგულვებელი სამი სიტყვა, სიწმინდესთან ასოცირებული სამი სახელი: მეფე, დროშა, თემი.

„ვისაც არ ესმის სიტყვა ხალხური“

გალაკტიონ ტაბიძე მკაფიოდ გამოხატული სიმბოლისტური აზროვნებისა და ექსპერიმენტული ძიებების ეპოქალური ეტაპების გავლით უახლოვდებოდა იმ ფართო სარკმელს, საიდანაც ორდინარული, თვისებრივად და შინაარსობრივად წინანდელისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ამქვეყნიური სანახაობა იშლებოდა და შემოდიოდა თვალსაწიერში; მთავრდებოდა „ლანდებთან ლაციცის“ თავისთავად საინტერესო, სირთულეებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა და იწყებოდა რეალობასთან დაბრუნებისა და დაზავების, ნაბიჯის დამძიმებისა და მიწაზე დაშვების უმნიშვნელოვანესი ხანა (ვექტორების შეცვლის ეს საფეხურებრივი პროცესია ნაჩვენები ლევან ბრეგაძის საგულისხმო წერილში „რეალობის მონატრება“, იხ. გალაკტიონოლოგია VI, თბ., 2012); ხოლო ეს სიღრმისეული ძვრები, გამომდინარე შემოქმედებითი მოღვაწეობის უაღრესად სუბიექტური ხასიათიდან, ჩუმად, უჩინრად, გარეშე მზერისაგან თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობდა... პოზიციების მონაცვლებას არ ჰქონია ნახტომისებრი, „რევოლუციური“ გამოვლინება. „არტისტული ყვავილების“ საერთო სულისკვეთებას თანდათანობით, უხმაუროდ და უმტკივნეულოდ ეძლეოდა ხმა და ფერი, ახალი ეტაპისა თუ საფეხურის დაწყებას რომ მოასწავებდა მე-20 საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ღირებულებათა ნაწილობრივი გადაფასებისა თუ ხედვის რაკურსის შესამჩნევად შეცვლის გზით ეყრებოდა საძირკველი სხვა მხატვრულ სინამდვილეს, ემპირიული რეალობის პოეტური აღქმისა და ასახვის ახლებურ ხერხსა და მანერას, რაც, თავის მხრივ, ენიგმური ტროპული მეტყველების მეტი გახსნილობისა და „გამარტივების“ აუცილებლობას აყენებდა დღის წესრიგში... იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პოეტი იდუმალებით მოცულ შორეულ მატერიკებზე ხანგრძლივი მსხემობიდან ჩამოვიდა სამშობლოში, წარსულიდან სიყმაწვილისა და საჭაბუკის გაცრეცილი სურათები გამოიხმო, მშობლიური გარემოს მდუმარე დილა-საღამოები გააღვიძა, აახმიანა, „გააქტიურა“ და აბსტრაქციებისა თუ განყენებუ-

ლი ხილვების ადგილას ცხადი და ხელშესახები საგნობრივი რეალიები გამოკვეთა და აამეტყველა. ზეპირსიტყვიერ სათავეებთან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი დამოკიდებულების საკითხს საგანგებოდ ეხებოდნენ და სწავლობდნენ ქართველი ფოლკლორისტები (ფ. ზანდუკელი, გ. ახვლედიანი, არჩ. სპარსიაშვილი...), თუმცა, შეიძლება ითქვას, ძიება ზედაპირული მსგავსება-ანალოგიებისა თუ პარალელების კონსტატაციის იქით არ წასულა. ყოველ შემთხვევაში, მიუკვლეველი და გამოუძიებელი რჩებოდა ის იმპულსები, რომელთა წყალობით პოეტი ხალხის ხასიათისა და განწყობილების წვდომასა და ადეკვატურად გადმოცემას ახერხებდა. ვრცლად და ამომწურავად არც იმ ფაქტის ჩვენება და დასაბუთება მომხდარა, რომ ხშირ შემთხვევაში ზეპირი პირველწყაროს „სესხებითა" თუ გამოყენებით სრულიად სხვა, მასზე ბევრად აღმატებული მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება იქმნებოდა...

საკითხის სრულად გაშლისა და გაშუქების პრეტენზია ვერც წინამდებარე წერილს ექნება, ვინაიდან საგანგებო, მიზანმიმართულ, ჩაძირისძირებულ კვლევა-ძიებას საჭიროებს გალაკტიონის არა მხოლოდ ხალხური საზომისა და ტონალობის რომელიმე ლექსი, არამედ მის პოეზიაში დადასტურებული არაერთი ლექსიკური ერთეული თუ მითოსური კონოტაციების მომცველ მხატვრულ სახეთა მთელი წყება.

შესაქმისეული ღვაწლის გამწევ იმ ფოლკლორულ გმირთა, ღვთაებათა თუ ნახევარღვთაებათა შორის, ვინც წარუშლელად აღიბეჭდა მათი ქმედებებით მადლიერი კულტუროსანი ერების გულსა და მეხსიერებაში, უწინარესი ადგილი ამირანს უჭირავს.

ამირანის ეპოსის ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეულ ეპიზოდებში, ფშაურ, კახურ თუ საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილ ვერსიებსა და ვარიანტებში, თვალნათლივ ჩანს და იკითხება მიზანი, რასაც საბოლოოდ კლდეზე მიჯაჭვული გმირის დაუოკებელი სწრაფვა და თავგამოდება ეწირება: ადამიანთა საარსებო სივრცის გათავისუფლება მიწრიელი ძალებისაგან და შექმნა სოციუმისა, რომელიც არ იქნება დათრგუნული და სასოწარკვეთილი ბოროტების განმასახიერებელ არსებათა ძალმომრეობით; იმ ეტალონური მნიშვნელობის იარაღის, ნივთებისა თუ ნიადაგ სახმარი საყოფაცხოვრებო საგნების მოპო-

ვება და ჩამოტანა დედამიწაზე, რომელთა გარეშე მოკვდავთა არსებობა და პრაგმატული საქმიანობა წარმოუდგენელია...

ამირანი მეამბოხე გმირია. მისი ვნება და ბრძოლის ჟინი დასაზღვრულ სივრცეში ვერ თავსდება. იგი მოწოდებულია გაარღვიოს წარმავალი არსების შესაძლებლობათა ხელის შემშლელი ჯებირები და კაცობრიობა თავისუფლების სიოს სუნთქვას აზიაროს. გმირის მიჯაჭვულობა პერსპექტივაში მის ახსნას, აშვებას, ყვავ-ყორანთა გარემოცვიდან გათავისუფლებასა და გაღმა ნაპირზე გაღწევას გულისხმობს; ნაპირზე, სადაც ადამიანთა შორის დაუძინებელი მტრობა და ვერაგობა აღარ იარსებებს. და, ალეგორიულად, ამირანი სხეულებრივი განსახიერებაა ერისა, რომელიც ძლევამოსილი იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის მსხვერპლად ქცეულა და რახანია მისი სისხლიანი კლანჭებიდან თავის დაღწევას ცდილობს...

გალაკტიონს ხიბლავს პრეისტორიული ხანის დაუდეგარი გმირის დაუცადებელი ბრძოლა სიავის მტვირთველ ავსულებთან – დევებთან, გველეშაპებთან და მხატვრული სიტყვის ქსოვილში შეფარვით და მოიარებით მიანიშნებს მის მძიმე, თითქოსდა უნუგეშო მდგომარეობას:

ძვირფასო, ძვირფასო, ბედი კლავს ჩემს სხეულს,
თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები.
ამირანს მიჯაჭვულს და მგოსანს წაქცეულს
ვიღაც ფრთებს მიკვეცავს... ეჰა, ვიტანჯები!

და ეს განცდა ისტორიული კატაკლიზმებისა და ქარტეხილების კვალობაზე კიდევ უფრო მძაფრდება და მეტ ტრაგიკულ ტონალობას იძენს. საქართველოს იმჟამინდელი მდგომარეობა, ნანატრი თავისუფლების ოქროსვარაყიანი კონტურები და სამწლიანი შვების შემდგომ კვლავ წყვდიადი. დაბრუნება ისევ იქ, სადაც „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვანი" ქვეყანა ათწლეულობით ბორგავდა და იტანჯებოდა.

ღრმად სიმბოლურია თვით სათაური ლექსისა – „მშობლიური ეფემერა". ირაკლი კენჭოშვილი წერს: „ელეგიური ტონალობის ლექსში „მშობლიური ეფემერა" ამირანის მითი ჩართულია ახალი პარადიგმების სისტემაში, თავს იჩენს სემანტიკური გა-

დაძახილი, ინტერტექსტუალური კავშირი სხვადასხვა ნაწარმოებთან" (ირ. კენჭოშვილი, გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, თბ., 1999, გვ. 134).... ცხადისა და სიზმრის ზღვარი; რეალურისა და წარმოსახვისმიერის სინთეზი თუ სიმბიოზი; ცრემლისა და სისხლის ფასად მოპოვებული დამოუკიდებლობის დაკარგვა არამარტო ხალხის განწყობილებაზე ახდენს არსობრივ ზეგავლენას, გარემოსაც უცვლის იერს. და რაც მანამდე უაღრესად შინაური და მშობლიური იყო, უნუგეშო დროების კონტექსტში ძირეულად შეცვლილა და გადასხვაფერებულა... გაუცხოებული ხეები და ზამთრისაგან დატანილი ბილიკი, კლდეებზე შეხავსებული კლდეები და „მძაფრი კვნესა", რომელიც ლირიკულ სუბიექტს „დღეებს უწამლავს"; არაორაზროვანი ნიშნებია მძიმე, მოუნელებელი განსაცდელისა, ნიადაგ თავისუფლებისაკენ მლტოლველ ქვეყანას რომ დასტყდომია თავს.

ლექსი დათარიღებულია 1923 წლით და ნასაზრდოებია ასობით და ათასობით ანთებულ გულში დაგუბებული იმ სიმწარით, ხანმოკლე თავისუფლებას რომ მოჰყოლია კვალდაკვალ. პოეტის თვალთახედვის შუაგულში მოგუგუნე თერგი, მღვრიე ღრუბლებით შემოსილი მყინვარის შუბლი და დარიალი დგანან. კონკრეტული გეოგრაფიული ორიენტირების ხსენება მკითხველის გულისყურს მიმართავს იქითკენ, საიდანაც მუდმივადაა მოსალოდნელი საშიშროება. კვნესა, შეხავსებული კლდეებიდან რომ მოისმის, ეკუთვნის მითოსური ეპოსის უპირველეს კულტურულ გმირს, მოთმინებით რომ ელოდება ჯაჭვის განლევას, გაწყვეტას და ნანატრის ასრულებას; სანუკვარი ფიქრისა და ოცნების ახდენას.

გალაკტიონ ტაბიძისთვის ქართველ შემოქმედთა შთაგონების წყაროდ ქცეული პროტაგონისტი არ გახლავთ ხანმოკლე, ერთგზისი ფიქრის საგანი. მისი სახება, შეიძლება ითქვას, ყველგან და ყოველთვის თან დაჰყვება. გორიდან, ტირძნისისა და ტირიფონის მიდამოებიდან კავკასიონის თეთრ მთებს ხედავს და შეგვახსენებს, რომ, ლეგენდების თანახმად, რა ხანია იქ „მიჯაჭვული ამირანი" იმყოფება. დაახლოებით იმავეს იმეორებს ლექსის „მთვარის ნაამბობი" ბოლო სტროფში.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში დახატულ ამირანის სახეს სპეციალური წერილი მიუძღვნა ფოლკლორისტმა გივი ახველე-

დიანმა („ფოლკლორი და ლიტერატურა“, თბ., 1980). მკვლევარმა აღნიშნა, რომ პოემა „ამირანის“ პროზაული პირველწყაროა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მოთხრობა „ბესო“. ამ მოთხრობის შინაარსის მსგავსი ლეგენდა 1859 წელს ჟურნალ „კავკაზში“ გამოუქვეყნებია ვ. დუნკელ-ველინგს. მას ეს სიუჟეტი რაჭაში, სოფ. უწერაში, მოუსმენია... გალაკტიონს იმდენად მოსწონებია ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას „ბესო“, რომ გადაუწერია და თავისი ზემოხსენებული ეპიკური ქმნილების კომპოზიციურ ხერხემლად უქცევია.

გალაკტიონ ტაბიძის მკვლევართა (რ. თვარაძე, ნ. ტაბიძე, თ. დოიაშვილი. ლ. ბრეგაძე, რ. ჩხეიძე) ნაშრომებში ხაზგასმითაა მითითებული, რომ „არტისტული ყვავილების“ (1919) გამოქვეყნების შემდგომ ახალი ხანა იწყება პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. დეკადენტურ-სიმბოლისტური მსოფლმხედველობისა და მწიგნობრული სტილის ნაცვლად პრიორიტეტი ხალხის მუდამდღიურ ცხოვრებასთან დაახლოებასა და სასაუბრო მეტყველებისაკენ შეძლებისდაგვარად შემობრუნებას ენიჭება. ლექსებში ჩნდება ვიზუალური სიცხადით ნიშანდებული სოფლის სადაგი სურათები, საგნები, შენობები და მეტეოროლოგიური მოვლენები, რომელთაც მანამდე ნაკლები ყურადღება ეთმობოდა... შარაგზაზე მიმავალი საქონელი, წისქვილი, მოსატეხი სიმინდი, გზადაკარგული წეროების მწკრივი, „მთების შეღამებით მონაიავები“ ისლის ღეროები, სასაფლაო, დადუმებული სამრეკლო. გაძარცვული ცაცხვები, შემოდგომის წვიმა... ეს იმგვარი რეალიებია, ტიპური ქართული სოფლის სევდიან სახეს რომ ჩამოგვიყენებენ თვალწინ...

მხოლოდ წიგნებიდან გამოხვედა რომ არაა საკმარისი ადამიანური სრულფასოვნების მისაღწევად, ჯერ კიდევ ილია გვმოძღვრავდა და გვაფრთხილებდა „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟის პირით. თვალთახედვის ისრის სიმოკლის მიზეზად რეალობიდან მოწყვეტა და წიგნებში წარმოსახულ ილუზორულ სამყაროში გადაბარგება სახელდებოდა. წერაკითხვა და განათლება კარგია, მაგრამ, უნინარეს ყოვლისა, ამსოფლიური წეს-კანონებისა და ცხოვრების წიგნის სწორად წაკითხვა უნდა შეგეძლოს.

პოეტი მატარებლით მგზავრობს და ტვენს კითხულობს. და უცებ იმპერატიული ტონით მოუწოდებს თავისთავს: „გადააგდე ის, გაიხედე წინ"... რა აიძულებს პოეტს, თავის საყვარელ საქმეს მოსწყდეს და წინ გაიხედოს? რა და, ის თვალხილული სინამდვილე, რომელიც, როგორც ჩანს, მარკ ტვენის ნაწარმოებში ასახულ ამბებზე უფრო მიმზიდველი, ძვირფასი და მნიშვნელოვანია. ორთქლმავლის ბოლი შარფივით ეფინება ბუჩქს, იქვე მოჩანს მეხისაგან გაპობილი ასწლოვანი ხე; „ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს". და, ბოლო აკორდი, ლექსის „მატარებელში" დამამთავრებელი სტრიქონები: „შეგვიძლია ჩვენ, გზაზე გავყვეთ გლეხს – მის ზრუნვას და ფიქრს უბოლოოდ შორს". ესაა რადიკალური შემობრუნება ეფემერულ ჩვენებათა წარმოსახვისმიერი საუფლოდან ცხად, ცოცხალ ცხოვრებისეულ განზომილებაში. და საფუძველი „გრძელვადიანი პროგნოზისა", რომ დაძაბული ძიების შედეგად მიგნებული გზიდან გალაკტიონი აღარ გადაუხვევს და დაბეჯითებით ჩაუღრმავდება საკვირველებებით აღსავსე იმ „ზღაპრულ ქვეყანას" (ვახტანგ კოტეტიშვილი), რომელსაც ფოლკლორი ჰქვია.

მატარებელი, შეიძლება ითქვას, გადაადგილების ის ეფექტური და, ამასთან, ხელსაყრელი საშუალებაა, სოფლის წიაღში მიმდინარე მოვლენათა უსასრულო რიგის ახლოდან მოხილვის შესაძლებლობას რომ გვთავაზობს. იხსნება ხედვის ახალი კუთხე და უბადლო ხალხური სისადავით აღბეჭდილი სანახაობანი კინოკადრებივით ჩაიელიან ჩვენ თვალწინ: პატარა ძაღლით ხბოსთან შეყოვნებული ბიჭი, რომელიც წერილებს ელოდება; ყვავილებჩამცხრალი ბაღი, „აქეთ – სადგური, იქით – მშვიდ სოფლელების კრება". სადღაციდან ზრდილი გოგოს სიმღერა მოისმის. და ისევ ღვთაებრივი უბრალოებით დაყურსული ფინალი ეფექტური ლექსისა: „აჰა, ღამდება. ბიჯი / და – აქვე არის სახლი. / მიდის წერილით ბიჭი, / ხბო და პატარა ძაღლი".

ლექსიკური და ფრაზეოლოგიური თანხვედრების გარდა არსებობს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი სივრცე (პლანი, გადაკვეთის წერტილი), სადაც ხალხური სიტყვიერება და უმაღლესი რანგის ინდივიდუალური ავტორის ნაფიქრ-ნასიტყვი ერთმანეთს ხვდებიან... და ამ უკანასკნელის ხალხურობის ხარისხს (რაც, ჩვენი აზრით, შემოქმედი ადამიანის

უდიდესი ღირსებაა!) სიტყვიერი ხელოვნების პირველსათავეებთან მისი სულიერი სიახლოვე განსაზღვრავს...

გალაკტიონ ტაბიძეს გენეტიკურად მოსდგამდა სიყვარული ხალხური სიტყვიერებისა. პოეტის დედა მაკრინე ადეიშვილი, ნოდარ ტაბიძის თქმით, „გატაცებული იყო ხალხური პოეზიით. შემონახულია მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები, რომელთაგანაც აღსანიშნავია „არსენას ლექსის" იმერული ვარიანტი... კარგად უკრავდა ჩონგურზე, სასიამოვნო ხმა, უტყუარი და მახვილი სმენა ჰქონია".

სიტყვიერი ფოლკლორი სამაგალითო სისადავესთან და ხიბლიან სიძველესთან ასოცირდება. ესაა სიდიდეთა ბუნებრივი ბმა, კანონზომიერი მოვლენა. არქაული აზროვნების დანაშრევები და სათქმელის გადმოცემის მარტივი მანერა ზეპირსიტყვიერი ნარატივების არსებითი მახასიათებლებია.

ნიჭიერი ხალხური მელექსე, ტრადიციის ძალით და კარნახით, შორს დგას თვითმიზნური ხასიათის ნოვატორული ექსპერიმენტებისაგან; განგებ არაფერს ართულებს და აბუნდოვანებს... და ეს ამბავი, როგორც ფაქტობრივი მოცემულობა, აღაფრთოვანებს გალაკტიონს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას არ იტყოდა: „მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი!"

შთამბეჭდავია ბრჭყვიალა სამკაულებისაგან თავისუფალი სისადავე. გასაგები ენით გადმოცემული ცხოვრებისეული სიმართლე მკითხველს ემოციური ზემოქმედების მაგნიტურ ველში „ამწყვდევს" და ამყოფებს კაი ხანს. „უბრალოება მიღწევაა" – ამ სიტყვებით მთავრდება „გალაკტიონოლოგიის" მესამე წიგნში გამოქვეყნებული პოეტის ერთი საარქივო ჩანაწერი.

გალაკტიონი არა მხოლოდ სარგებლობდა ხელიხელ საგოგმანები ხალხური მარგალიტების ულევი სალაროთი, კრებდა კიდეც და, არცთუ იშვიათად, თეორიულ მოსაზრებებსაც უზიარებდა თავის მკითხველებს; გრძნობდა პირად პასუხისმგებლობას საუკუნეთა განმავლობაში „მოვარგებული" დიდი სულიერი მოსავლის წინაშე და კოლეგებს ხალხურ სიმღერებზე გულდასმით დაკვირვებისაკენ მოუწოდებდა; მიაჩნდა, რომ ფოლკლორული შემოქმედება კარგად შესწავლას იმსახურებს... გამომდინარე აქედან, არც ახალი მხატვრული ფორმების აღმოჩენის შესაძლებლობას გამორიცხავდა.

ხალხური პოეზიისადმი გალაკტიონ ტაბიძის გულშემატკივრული დამოკიდებულება საუცხოო სიცხადით ჩანს დოკუმენტური ფაქტების ვახტანგ ჯავახაძისეულ ინტერპრეტაციებში:

„ერთი ღამე ტობანიერში (მოგზაურობა ცხენით)" – დაუსათაურებია 1939 წელს და ათი ხალხური ლექსი ჩაუწერია.

„ხევსურული ხალხური პოეზიიდან" – ამ სათაურით აკაკი შანიძის გამოცემიდან მცირე რჩეული შეუდგენია: ამოუწერია მოწონებული სტრიქონები, სტროფები, ფრაგმენტები, მთელი ლექსები და ბალადები.

პეტრე უმიკაშვილის შედგენილი „ხალხური სიტყვიერება" ხუთასმეთხუთმეტე გვერდამდე წაუკითხავს და შეუსვენებია...

ერთხელ მორიგი რჩეულის სქემა შეუდგენია: მეექვსე განყოფილების სათაური ასე იკითხება: „ფოლკლორისებური" (ვ. ჯავახაძე, უცნობი, თბ., 1996, გვ. 369).

კუთხური კოლორიტის ანდა იუმორისტული კონტექსტის შექმნისა და გამყარების განზრახვით ადგილობრივთა მეტყველების კილოკავურ ფორმებს მიმართავდა. და ასეთ შემთხვევაში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ზღვრული ზომიერების დაცვა და შენარჩუნება... საერთოდ, სალიტერატურო ენობრივი ნორმების ხშირი დარღვევა პოეზიაში პროვინციული „კლიმატის" შექმნის რეალურ საშიშროებას ბადებს. და ყველაფერს, ისევ და ისევ, შემოქმედის თავისთავადობა, მისი ნიჭიერება და ოსტატობის რეგისტრი განსაზღვრავს.

ტფილისს მოშორებული პოეტი ნაცნობ ბილიკს მიუყვება, რათა ხელახლა იხილოს და დატკბეს ოდესღაც ნანახი და მეხსიერებაში სათუთად შენახული ბუბას და შოდაღარულას ხელთუქმნელი სილამაზით... ცხენი მწვერვალზე შედგება (იგულისხმება, რომ წინ მომაჯადოებელი პანორამაა), ხოლო მხედარი, სულიერად სავსე და ამაღლებული, ასე ესალმება საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს: „ქვე გამარჯობა შენი, ქვე დაილოცოს რაჭა".

ეგზალტირებული, „არაჩვენებური" სიზმრებისა და ზმანებების ტყვე-ტუსაღი, მთიელთა საკრალური ენით რომ ვთქვათ, ღვთაებრივი ხელი და ღაბუში, გზად შემხვედრ გურულ ქალს უხსნის, რომ ეს „გზა ვარდით ნაფერია"... მია-

მიტი ქალი თანაგრძნობით ყურს უგდებს და თავის სტიქიაში მყოფ უცნობ მგზავრს ამრიგად ამშვიდებს: „მაი აფერია!"

გეხვდება ხალხური გამოთქმებისა და კუთხურ-კილოკავურ მეტყველებაზე „გადართვის" ორსიტყვიანი ნიმუშებიც: „მას ბატონობა ანდენ"; „ის ქადაგებდა: რათა სომთ..."

შეფასებით არ შეუფასებია, მაგრამ ერთ პირად წერილსა და პოეზიაში საფლავის ლოდსა და ეპიტაფიასაც ხშირად ახსენებს. მისთვის მასიური ქვის უბრალო ნათალი წასულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მიწის ორიოდ მტკაველზე დადებული (დადგმული) ძეგლია, რომელიც მხილველს „უმზეურთა" ამბებს ამცნობს. სამარის ქვა გარდაცვლილთა სახეებსა და სახელებს ინახავს. ბასრ მასალაში გამოკვეთილი ბარელიეფი და ეპიტაფია ნაწილია ნაივური ხალხური ხელოვნებისა. მასში, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერ ქმნილებებში, რელიეფურად ირეკლება ქვითხუროთა ხელის სიმარჯვე, მხატვრული გემოვნება და დამოკიდებულება წუთისოფელთან.

სოფელ ქვიტირის ეკლესიის ეზოში მოხვედრილი პოეტი საფლავის ქვაზე დიდხანს წოლის შემდეგ წარწერებს ათვალიერებს და „ეცნობა" მკვდრებს, რომლებიც სიამოვნებით ეგებებიან და ეუბნებიან: მობრძანდით, მობრძანდით!..

ეს პასაჟი 1915 წლის 8 იანვარს ქუთაისიდან ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილი ბარათიდანაა, რომელიც ავტო-რის უთავბოლო ფიქრებისა და დაულაგებელი აზრების კომპენდიუმადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ფაქტია: პოეტში ცნობისმოყვარეობას აღძრავს ღვთის სახლის ეზოში განლაგებული ყოველი სამარის ლოდი, როგორც მოკლე, მაგრამ დიდად საჭირო და საყურადღებო ინფორმაციის შემცველი ავთენტური „პირველწყარო".

„აღარც სიყვარული ძეგლთან აღარ მოდის, / იგი განისვენებს ქვეშე ამა ლოდის".

გალაკტიონის თითქმის არაფრით გამორჩეული ლექსის ეს სტრიქონები უშუალო გადაძახილია ასობით და ათასობით ძველი ქართული საფლავის ქვის ტრაფარეტად ქცეული პროზაული წარწერების დასაწყისთან: „ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს..."

ეპიტაფია, მყარ და ყინვამედეგ მასალაში შესრულებული ეპიგრაფიკული ტექსტი, წინაპირობაა იმისა, რომ მავანთა

და მავანთა ხსოვნა აცოცხლოს, ადღეგრძელოს და მათი დამსახურებისა თუ ბობოქარი ბიოგრაფიების სახიერი ფრაგმენტები შემოუნახოს შთამომავლობას. რთული ასოციაციებითა და ემოციური შინაარსით დატვირთულ ლექსში „ისევ ეფემერა" ავტორი მის ცხოვრებაში „ქარტეხილივით" შეჭრილი ქალის გამო ასეთ უცნაურ, მოულოდნელ, შესასრულებლადაც ძნელ დავალებას აძლევს უჩინარ, არარსებულ სუბიექტს: „... მიეცით წარსულს ელვა ან ხმალი, / რომ ამოკვეთოს ეპიტაფია: / „მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი".

საფლავის ქვაზე დატანილი ეპიტაფია, სამგლოვიარო ხალხური ლექსის ეს განკერძოებული სახეობა, როგორც იოლად აღსაქმელი მკვეთრი ვიზუალი, მხატვრული შედარების კომპონენტადაც უქცევია, კერძოდ, ლექსში „ხომალდი კაპზე" ვკითხულობთ: „თუმც ნაოჭები მოედო მის შუბლს, / ვით საფლავის ქვას ეპიტაფია" (ამ ლექსის სხვა ვარიანტში არის: „თუმც ნაოჭები აჩნია მთა-ბარს, / ვით საფლავის ქვას ეპიტაფია").

ლექსში „ძველი წისქვილი", მოხდენილად რომ ათანხმებს და ათანადებს ერთურთთან ნამდვილსა და გამოგონილს, რეალისტურ პლანსა და ირეალურ განზომილებას, ხალხური რწმენა-წარმოდგენების ის მძლავრი ნაკადი მიმოიქცევა, რომელიც დემონური პერსონაჟების უმთავრეს მახასიათებლებს აერთიანებს. ფოლკლორული სიუჟეტების, თემებისა და მოტივების თავისებურებათა სიღრმისეული წვდომა გალაკტიონის არაერთ პოეტურ ნანარმოებში ჩანს, თუმცა ამ თვალსაზრისით უდავოდ გამორჩეულია ზემოხსენებული ლექსი. ამ ქმნილების მხატვრული ფაქტურის კონტრასტულობის შეგრძნებას უკიდურესად მშვიდი, წყნარი, იდილიური გარემოს მოულოდნელი ფერისცვალება ამძაფრებს. გუთნეული, რომელიც „უცნაურ ბინდში მიყვება ჭალას", უქარო ამინდში გაყუჩებული „ოქროსფერი მინდვრების ჩალა", მთვარე, ქოხში გაელვებული კვარი, „შეგვიანებულ გზით" მიმავალი ხევსური მწყემსი, ლურჯი ზღაპრის მსგავსი ხავსით დაფარული დაწეწილი „წისქვილი", „სილამაზით სავსე ალების" გამოჩენით იცვლება, ალებისა, კოჭებამდე თმები რომ შვენით კივილით, მღელვარებით, ცეკვით და სიცილით შადრევანზე აწრიალებულთ. და როცა „ამაოდ შიშით შეშლილ გვიან სულს"

მაქციობის უნარით აღჭურვილი მავნებლების მხრიდან საფრთხე დაემუქრება, რაშზე ამხედრებული წმინდა გიორგი გამოჩნდება. შემაშფოთებელი ხმაური და მღელვარება ნელდება, წყდება, გაფითრებულ ცაზე მზე ამოდის და „წელში მოხრილი ზვირთივით დგას ძველი წისქვილი“...

ლექსი არაორდინარული შინაარსისაა. ავტორისეული ჩანაფიქრის უცდომლად ამოკითხვა შეუძლებელია, თუმცა, მიუხედავად რთული მოცემულობისა, მაინც ხერხდება კვლევის არეალის გაფართოებისთვის საჭირო ძირეული ორიენტირების მონიშვნა.

„ძველი წისქვილი“ იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ მაქცია ალებზე ხალხური წარმოდგენების ვიზუალური და ხმიერი ასპექტების მხატვრულ გაშლა-განზოგადებას გვთავაზობს. ალის (ალების) პოეტისეული ხატი დიდად არ სხვაობს მისი ფოლკლორული ორეულისგან (ორეულებისგან). ამ ცქაფი და დაუდგრომელი არსების უმთავრესი ნიშან-თვისებაა კოჭებამდე დაშვებული ოქროსფერი თმები და ორგიასტული, ზღვარგადასული ხმაური და მხიარულება... „და სინათლეში სილამაზით სავსე ალები /კოჭამდე თმებით შადრევნებზე აირევიან. / არის კივილი, მღელვარება, ცეკვა, სიცილი / ასი ათასი და მრავალი ათასი ალის...“

წვრილფეხა დემონური პერსონაჟები მთელ თავიანთ გრძნეულებას და ძალმოსილებას ღამით ათვალსაჩინოებენ; ღამის უღრანია მათი გამოღვიძებისა და გააქტიურების ხელსაყრელი ჟამი; ღამის უკუნს ეფარებიან და თავს დაცულად, უშიშრად, უხიფათოდ გრძნობენ. ქაჯების, ალების და ჭინკების (1925 წელს გამოქვეყნებული ერთი ლექსი სწორედ ასე დაუსათაურებია: „ქაჯები, ალები, ჭინკები“) უპირველესი მტერია შუქი, სინათლის სხივი. საკმარისია მზემ უსწროთ, რომ საძრაობა ერთმევათ, ფეხები უშეშდებათ და მოჯადოებულებივით ერთ ადგილზე რჩებიან, ქვავდებიან. „რა მზემამსწვრალ ეშმასავით ხყუდიხარ“ – ეტყვიან ხევსურეთში ადამიანს, რომელიც გაშტერებული დგას და არ იჩუჩება. ამ ლექსის „ტბიდან ამომავალი ალი მომაღლო“, „ცოცხები, ბზები, თავსაფრები“ და „უჟმურთ ჭაობიც“ ავსულთა სამოქმედო სივრცის ატრიბუტებია. ტბის სიღრმეში აკუმულირებული ბო-

როტი ენერგია ალის სახით ამოდის მაღლა. ჭაობი სნეულების წყაროდ მოიაზრება, ხოლო ცოცხები და ბზები ის საგნობრივი საშუალებებია, რომელთა მეშვეობით ჭიაკოკონობის ღამეს დაბლობიდან ტაბაკონის მთაზე ადიან თავსაფრიანი მდედრი დემონური არსებანი...

გალაკტიონი (ალბათ ბავშვობაში სოფლად მოსმენილი „განსაკრთომელი" ამბების გავლენითა და გამოძახილით) ადამიანთა სამავნეოდ მზადმყოფ მიწრიელთა იმანენტური თვისებებისა და ფიზიკური მონაცემების ისეთ შტრიხებს კვეთს, რომელნიც ზუსტად შეესაბამებიან მათ ხალხურ „პარამეტრებს".

„ჭინკები მცირე ეშმაკის ტანის, / დასაბამიდან მტერნი წმინდანის" – ამ ორ ტაეპში თითქმის ყველაფერია ნათქვამი: დახატულია გარეგნობა, ხაზგასმული ის ძირეული თვისებაც, რაც ავსულების ცხოვრებისეულ „კრედოს" განსაზღვრავს... ნანარმოებში თითქოს ალების, ქაჯებისა და ჭინკების ამქვეყნად არსებობის ბოლო ღამეა ასახული, ღამე, რომელიც გათენებით, დილის სხივების თოვით და უსასრულობაში ჭინკების გროვის გაფანტვით მთავრდება.

შემოქმედის უკეთური ბედის გამო ატირებულ ჭინკას გვაცნობს ლექსი „დაბმული ჭინკა". იმას, რაც თვითონაც მშვენივრად უწყის პოეტმა („სიკვდილი გელის"), კიდევ ერთხელ შეახსენებს „სამწერლო მაგიდის ფეხზე მიბმული ჭინკა" და თანაც მწარედ წყევლის. ამქვეყნიური ყოველივე ამაოა. და, რაკი ასეა, ლექსი, „ბროლის რიტმი" და მუსიკაც კარგავენ თავიანთ დასაბამიერ ხიბლსა და იდუმალებას. ჭინკა მართალია, ვინაიდან პოეტს ბედი არ უწერია, მისი „ლურჯი ედემი ქარმა დაბურდა", მაისი გაქრა, ხოლო ბაღი დროთა განმავლობაში უდაბნოდ იქცა. დრო უჩინრად რბის, ლირიკულ გმირს ენა წართმევია, საუკუნეთა პირისპირ გულმკვდარი დგას და ქვითინებენ „ჭინკა ბინაში და გარეთ ქარი".

ესაა ხალხური წყაროსადმი შემოქმედის თამამი და ნოვატორული მიდგომა, ანუ ის შემთხვევა, როცა ცელქი და მაცდური სული გარემოებათა გამო გვემული პოეტის თანამდგომად გვევლინება....

გენიოსები გრძნობენ, რაა წარმავალი და რა მარადიული. მათი თვალსაზრისის სისწორე ჟამთა სარბიელზე გამოიცდება. დროის

ცხავი ათავთავადებს იფქლსა და ბრელოს. უდღეური პოეტური ექსპერიმენტები დავიწყების მდინარეს ერთვის. მკითხველის მეხსიერებას შემორჩება ის, რაც მისი სულიერი წყობის, მხატვრული გემოვნებისა და უშინაგანესი განცდების შესატყვისია.

გალაკტიონი ხალხურ ლექსში ხედავდა იმ დიდ პოტენციალს, რასაც გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ჩვენი პოეტური კულტურის განახლებისა და გადარჩენის საქმეში.

„უნდა შევუდგეთ ლექსის, როგორც ასეთის, კულტურის დაფუძნებას, – ვკითხულობთ პოეტის წერილში „ქართული ლექსის შესახებ", – აქ ძალიან ბევრს, მეტისმეტად ბევრს მოგვცემს ხალხური პოეზია, რომელიც განირჩევა სიმსუბუქით, უბრალოებით, მუსიკალობით. ხალხური პოეზია შეგნებულად გაურბის ყოველგვარ მძიმე გამოთქმებს, იგი ბუნებრივია. იგი კრისტალურად წმინდაა".

ზეპირსიტყვიერების შესწავლა და საფუძვლიანი ცოდნაა წინაპირობა ახალ-ახალი გამომსახველობითი ხერხების მიგნებისა და დამკვიდრებისა. ხალხური სიტყვა იმარხავს ჯერაც უცნობ, გამოუყენებელ, დროებით თვალს მიფარებულ შესაძლებლობებს და იმისთვის, რომ მსმენელთა ვიწრო წრისთვის ნაცნობი კულტურული საგანძური საყოველთაო საკუთრებად იქცეს, საჭიროა მისი შეკრება, კვლევა და გათავისება: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ ყველაფერი და როდესაც ჩვენ კარგად შევისწავლით ხალხურ შემოქმედებასაც, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ახალი ფორმების აღმოჩენისა".

პოეტი ხელოვნებაში ეთაყვანება ყველაფერს, რაც მართალი და უტყუარია, წრფელი და ბუნებრივია. მისთვის მიუღებელია არაფრისმთქმელი სქემატიზმი და ბუტაფორიულობა. თეორიული პოსტულატის სახითაც გვაწვდის და გვიზიარებს თავის შეხედულებას: „კარგია ლექსი მაშინ, როს / ნათელია და ხალხური". ჰქონდა უფლება ხალხის სახელით ლაპარაკისა და კიდეც აღნიშნავდა: „არაჩვეულებრივად უყვარს ჩვენს ხალხს კარგი, ლამაზი ენა, სტილი". ქომაგობდა ფოლკლორს და ეპაექრებოდა მის ფალსიფიკატორებს... ემდუროდა კოლეგას, რომელიც „ფოლკლორს ართმევს ღდინს". ხოლო მწვერვალი მისი პრინციპულობისა, კრიტიკული პათოსისა და ახლომხედველ უმეცართა დაუნდობლობისა ორიოდ „სახალი-

სო" ტაეპშია წარმოჩენილი: „ვისაც არ ესმის სიტყვა ხალხური, / რა ეკადრება? – კარგი პანღური!..."

გალაკტიონ ტაბიძე დაუფარავი სიამაყით აღუვლენს ჰიმნს ქართულ ანბანს. ამასთან, გაორმაგებული კმაყოფილებით აღნიშნავს იმას, სიტყვის შეგრძნებისა და პოეზიად მისი ქცევის რა საიდუმლოს ფლობდა „ნასროლი ისარივით" სწორად „ნაკვეთი შაირის" უსახელო, ანონიმი ავტორი: „...შენით მღერდა მომღერალი ვეფხვის, /უდარებლად მცოდნე ლექსის ხერხის..."

პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ" მარჯვედაა მონიშნული ის ვრცელი გზა, რომელიც ქართულმა პოეზიამ დასაბამიდან ვიდრე დღემდე გამოიარა და რითიც ის განსხვავდებოდა და გამოირჩეოდა სადაგი, საყოველდღეო მეტყველებისაგან. პოეტის მზერა უდამწერლობო ისტორიული პერიოდისკენაა მიმართული: „... უძველეს ხნიდან პოეზია სდევდა ზეპირი / (ადრე – სანამდის შეუყვარდა ხალხს პერგამენტი), / მძლავრივით ქარი, ნაზი – როგორც მთების ზეფირი, / ომის დრო იყო, თუ უღრუბლო იყო ამინდი".

გალაკტიონი იმდენადაა მოხიბლული „უბირი" ხალხური მელექსეებისა თუ კარდაკარ მოსიარულე მესტვირეების გულსმწვდომი შემოქმედებით, რომ აკაკი წერეთელს – თავის სულიერ წინამორბედსა და უძვირფასეს მასწავლებელს – ასეთ რამეს ათქმევნებს: „...მოვაწერდი ხელს ამ ლექსებს მე, უბრალო მოშაირე...". პოემის „აკაკი წერეთელი" მომდევნო სტრიქონებში ხალხური ლექსისადმი შოთა რუსთაველის დამოკიდებულების საკუთარ ვერსიასაც გვთავაზობს: „... არამედ თვით რუსთაველი, / ვის გენია ჰქვია ძველი, / მას არ იუკადრისებდა, / რომ ქვეშ მოეწერა ხელი..."

არც აქ და არც სადმე სხვაგან გალაკტიონს სხვა არაფერი ალაპარაკებს, თუ არა ანგარიშმიუცემელი სიყვარული უშორეულეს წარსულში ნაშობი ხალხური პოეზიისა. და ამ სიყვარულს (ეს არსებითია!) ბალავრად უდევს მისი მხატვრული ღირსებისა და რიტმულ-ინტონაციური თავისებურებების სისხლხორცეული განცდა.

როცა ხალხური ლექსის ანდა ანდაზის თემატიკა და შინაარსი ზედმიწევნით ემთხვევა და ესადაგება გალაკტიონის სათქმელს, ნაცვლად პარაფრაზისა თუ პირველწყაროს სახეობრი-

ვი სისტემის გადასხვაფერებისა, პოეტს უცვლელად მოაქვს მოწონებული ფრაზები, სტრიქონები და ისე „ათავსებს“ თავის ნაწარმოებში, როგორც ახალი სუნთქვისა და სიცოცხლის მიმნიჭებელ შინაგან ორგანოს. საამისო მაგალითები არც ისე მცირეა „სილაჟვარდისა“ და „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის პოეტურ მემკვიდრეობაში. გავიხსენოთ რამდენიმე: „მზეო, დაუდე საზღვარი / მწუხარე ფიქრთა ქროლასა, / „მზეო, ამოდი, ამოდი, / ნუ ეფარები გორასა“; „რად ვეგო სხვას ფიანდაზად? / არის ქართული ანდაზა: / თურაშაულის პატრონი / ტყეში ეძებდა პანტასა“; „ჩვენში: „გაგვიძელ, ბერო მინდიაე, / მუხლი მაიბი მგლისაო“ – მღერდნენ. / თქვენში კი – ერთობ სხვა ამინდია“; „არა თუ თოვლის ბრწყინვის / – არ მეშინია მტრისაც, / ვაჟკაცსა გული რკინის, / აბჯარი – თუნდაც ხისა“; „მაგრამ დარჩა იმ გარემოიდან / რამე ნიშანი? / წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ, / დარჩნენ ქვიშანი!“

პროფესიული სინდისი კარნახობს პოეტს, ხალხური ნათქვამის სესხების შემთხვევაში, როცა ყველაფერი ისედაც ნათელია, უსათუოდ მიუთითოს: „ხალხური მოტივებიდან“. ეს ორსიტყვიანი ინფორმაცია აქვს წამძღვარებული ლექსებს: „კლდეში ხმალი გადუნახავთ“, „შენი თვალები – მაღლები“ და სხვ.

ხალხური პოეზიით პატიოსნად სარგებლობის კლასიკური ნიმუშია გალაკტიონის შესანიშნავი ლექსი „ქალავ“. თუკი ზოგჯერ მართლაც რთულია ცალკეული მხატვრული სახეებისა თუ რომელიმე კონკრეტული ლექსის შექმნისთვის ბიძგის მიმცემი წყაროს მიკვლევა, ამ შემთხვევაში სურათი სრულიად უბურუსო და გამჭვირვალეა: უცნობი ინფორმატორისაგან მოსმენილი ხევსურული ხალხური ლექსი „მე და კმარა“ გალაკტიონს უბის წიგნაკში ჩაუწერია. გასულა ხანი და მის ნიადაგზე შეუქმნია ქართული ლირიკის შედევრი... როგორც ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს, „ხალხურ ლექსში ეროტიკული მომენტი მძლავრობს. გალაკტიონმა კი ქალისა და ვაჟის ურთიერთობა რომანტიკულად წარმოსახა. აქ ყაზბეგის გმირთა ტრფიალი ჩანს. წინ იწევს კდემა, ამაღლებული სული და სიფაქიზე“.

ალოგიკური პარადიგმატიკის მოშველიებით პირადი (და არა მხოლოდ!) ტკივილის გამოხატვის მისია აკისრია ბევრი რამით უცნაურ ლექსს „მესტიის ხიდი“, რომლის ლიტმცოდ-

ნეობითი ანალიზი ნესტან სულავას ეკუთვნის. ლექსის პირველწყაროა „ბილებას" სახელწოდებით ცნობილი სვანური სიმღერა. ეს ქმნილება მკითხველის ცნობისწადილს რეალობის წინაუკმოდ ჩვენებით აღიზიანებს და აცხოველებს. ის, რისი ღიად თქმაც გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, ენიგმური სახეების მეშვეობით გამოითქვა. მეტაფორულად თუ ვიტყვით, პოეტმა არა თუ მესტიის, ბეწვის ხიდზეც უხიფათოდ შეძლო გადასვლა და მნიშვნელოვნად გააფართოვა ხალხური პოეზიის ნარმოსახვისმიერი სივრცე...

საინტერესოა ბედისა და ბედისწერის კონცეპტთა გალაკტიონისეული გააზრება. პრობლემა, რასაც არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი ეძღვნება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, ლოგიკურადაა გაგებული და განზოგადებული პოეტის მხატვრულ პერცეფციებში.

საყოველთაოდ გავრცელებული თვალთახედვით, ბედი ბრმაა, ამასთან, მბრუნავია, მუდმივ ცვალებდია და მის ნაქმნს გონივრული განსჯა და ახსნა-განმარტება არ უხერხდება; არანაირი საზრისი და რაციონალური საფუძველი მის განაჩენს, მის „ერთპიროვნულ" გადაწყვეტილებას არ მოეძევება.

კერძო კაცის მთელი ცხოვრება, გარკვეული გაგებით, ბედიანობისა და უბედობის უწყვეტი ჯაჭვია. ბედს, რომელიც თითოეული ინდივიდისთვის ერთადერთი და საკუთრეულია, თავის მხრივ, იქვემდებარებს და განაგებს რაღაც ზეცნობადი და მოუხელთებელი ირაციონალური ძალა, „ბედისწერის" სახელით რომ არის ცნობილი.

ადამიანი უძლურია, პირადი ნება-სურვილით წარმართოს საკუთარი ყოფა-ცხოვრება, ასეთი რამ მხოლოდ ღმერთებს ძალუძთ, მაგრამ, როგორც ირკვევა, არც მათი შესაძლებლობებია უსაზღვრო და ამოუწურავი. არსებობს უხილავი სამანი, რომლის იქით თვით უზენაეს ღვთაებათა ბაგეც დუმს. რწმენა მათ ქმედებათა უნივერსალური ხასიათისა მთავრდება იქ, სადაც საკითხი ისევ და ისევ ბედსა და ბედისწერას ეხება. ბედის წინაშე, ისევე როგორც ადამიანები, თითქოს ღმერთებიც თანასწორნი არიან. მეორე მხრივ, ბედი იგივეა, რაც აუცილებლობა. ბედის განაჩენის გაუქმება შეუძლებელია. „ბედისა და აუცილებლობის კონცეპტთა დაახლოების პარალელურად მიმდინარეობდა

პროცესი ბედის და ბრმა შემთხვევის კონცეპთა დაახლოებისა, რაც ასევე მათი გაიგივებით დასრულდა" (ვ. გორანი).

ლურჯა ცხენების ქროლვის შედარება ზღვის ხეტიალთან და „ბედის ტრიალთან" გალაკტიონის პოეტური ხელწერის თვალსაჩინო ხვეულია: არა სტოიკური მდგრადობისა და ერთფეროვნების მშვიდ ხატთა წყება, არამედ უწყვეტი დუღილი და მოძრაობაა ის შინაგანი თვისება, პოეტის ლექსთა ძალზე დიდ ნაწილს რომ მსჭვალავს.

თანდაყოლილობისა და მოუცილებლობის გაგება ახლავს ბედს ლექსის სტრიქონებში, სადაც სინდისის ქენჯნა ემპირიული ყოფის მყიფე ჯებირების განგრევას ლამობს: „ბედივით გამოყვა ჩემს ბინას შარშანდელს / უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი". ხოლო პათეტიკურ ლექსში „სადღეგრძელო იყოს მისი" ავტორი ბედის დაუმორჩილებლობისკენ, ბედთან შებმისკენ, უკეთესი ბედის გამოჭედვისათვის („გამოვჭედო, მინდა ბედი", – ამბობს სხვაგან. აქვს ასეთი ფრაზაც: „ჩემში აღმოჩნდა ბედის მკვეთელი") მზადყოფნისკენ მოუწოდებს სავარაუდო მსმენელთა ფართო აუდიტორიას: „მოდიოდა ერთზე ასი, / გზა გვშვენოდა დიდების, / ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი / ბედთან არ დარიდების".

ბედის რაობის გარკვევას, ფატალური გარდუვალობის ახსნას და განმარტებას ცდილობდა; უტრიალებდა, უვლიდა ირგვლივ, თითქოს მისი მოხელთება, მორევა და დამორჩილება განეზრახა. ბედისაგან მიტოვებას უჩიოდა და იქვე, იმავე ტეხილში, მისი სიახლოვე აკრთობდა, ზარავდა და „საზიზღრად" მოიხსენიებდა. ცოცხლად, ხორცშესხმულად, პერსონიფიცირებულად წარმოედგინა და წონასწორობას აკარგვინებდა, შიშს და სიძულვილს აღუძრავდა მისი თანხლება, „ხილული" ხატი. აღიარებდა ბედის წინაშე უძლურებას და ათასმეერთედ სვამდა რიტორიკულ კითხვას: „ბედი? რა არის ბედი?" სვამდა კითხვას და არა თავისთავში, არამედ ახლობლებსა და გარეშეებში ხედავდა პირადი ბედ-უბედობის სათავეს: „ბედს მიქმნიან ადამიანები, ახლობლები და შორეულები."

1914 წელს ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილი ბარათიდან: „მე თანდათან ვრწმუნდები, რომ სრულიადაც არ ცდებოდნენ ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსები, არც ჰერაკლიტე ცდე-

ბოდა, როცა ამბობდა: „ადამიანის ბედნიერება თვითონ მასზეა დამოკიდებული". და ცოტა ქვემოთ: „თუ არსებობს შეგნება, თვითვე შეჰქმენი პირობები, თვითვე გამოსჭედე ბედი".

ბედზე არსებული ნარმოდგენების უშუალო ანარეკლად იკითხება და განიცდება გალაკტიონის არაერთი ლექსისა და პროზაული ჩანაწერის კონკრეტული მონაკვეთი; მყარი ხალხური თვალსაზრისის მხატვრულ გაფორმებად აღიქმება თუნდაც მიხა ბოჭოროშვილთან პოეტის წერილობით გასაუბრებაში ჩართული ლექსის სტრიქონები: „ზულეიმა, ჩემო კარგო, / ახლო მოდი, ყური მიგდე, / მინდა ბრძოლა გავათავო, / მინდა ჩემს ბედს შევურიგდე!"

გალაკტიონ ტაბიძე უსაზღვროდ ავრცობს ცნება „ბედისწერის" კონოტაციურ ველს, მისი ზეგავლენისა და მოქმედების არეალს, „კომპეტენციას" და ანიჭებს (მიანერს, მიაკუთვნებს) ისეთ ნიშან-თვისებებს, რაც ხალხურ მსოფლგანცდაში, ზეპირსიტყვიერ ტექსტებში არ (ანდა მხოლოდ ნაწილობრივ) დასტურდება. საილუსტრაციოდ იმისა, რომ პოეტი არ იფარგლება ნარატიული და პოეტური ფოლკლორის მონაცემებით, სტერეოტიპული ფორმულებითა და რწმენა-წარმოდგენათა არქაული პლასტებით, რამდენიმე ტიპობრივი, საკითხისადმი ინდივიდუალური მიდგომიდან ამოზრდილი, მაგალითის მოტანაც იკმარებს: „ასე იყო შენი დილაც ბედისწერამდი"; „ცვივა სარკმლები ბედისწერით დაშინებული, / დაშინებული ბედისწერის გამოქროლებით"; „როგორც სიცოცხლე და ბედისწერა, / თქვენ გაზაფხულზე მეპატიჟებით"; „მოკლეს ვერჰარნი! / მაგრამ დიდებით მას მოიგონებს ბედის სხვა ნერა"; „თან მიმდევს როგორც ყოველ კეისარს / ბედისწერათა მწარე ფანტომი"; „ო, ეს ლექსი – ბედისწერა"; „და სასაფლაოს მხარიდან ძერა / თავს დასტრიალებს, ვით ბედისწერა"; „ოლოლ, ბედისწერა არ მწყალობს. ბედისწერა... ბედისწერა".

ღრმა შინაარსის მომცველი რომელიმე სპეციფიკური ცნებისა თუ ტერმინის ხშირი ხსენება მკითხველს სრულიად გასაგებ სიგნალს აძლევს და აკვალიანებს, არარიგითი შემოქმედის ინტენსიური ფიქრის საგანი თუ მოვლენა ამოიცნოს და მის პოეტურ ინტერესთა სფეროს კიდევ ერთი წახნაგის შესახებ საკუთარი შეხედულება შეიმუშაოს.

უდავოა: პოეტის მიერ თუნდაც ისეთი ლექსემის აქცენტირება, როგორიცაა პოპულარული ფოლკლორული ჟანრის აღმნიშვნელი „ზღაპარი", შემთხვევითი სულაც არაა და სწორედაც რომ მასში ჩადებული შინაარსისადმი ავტორის მზარდ ცნობისმოყვარეობას ათვალსაჩინოებს. და ამ დროს ჩვენს წარმოსახვაში, ნებით თუ უნებლიეთ, სიყმაწვილის წლების ის მონატრებული პანორამა იშლება, რომლის გამოხმობა და ნებისამებრ მოახლოება შეუძლებელია, წარმოუდგენელია და რომელსაც ყველაზე მეტად სიტყვა „ზღაპარი" შვენის და ესადაგება. ამ სიტყვის ხერხემალზე აგებულ ყოველ აზრობრივ განზომილებაში ხომ ხალხურ სიტყვიერებასთან გალაკტიონის თბილი, გულითადი დამოკიდებულება და უმჭიდროესი შემოქმედებითი ურთიერთობის დაუსრულებლობის სურვილი იგრძნობა.

სავარაუდოა, რომ პოეტის რაღაც პირად-ინტიმურ საიდუმლოს ინახავს „ზღაპრების თეთრი კვამლი", რომელსაც ერთ ლექსში („სამრეკლო უდაბნოში"), „ქალთა სუნთქვაში დაფარული ყვავილთა სუნი" უკავშირდება, ხოლო მეორეში („დომინო") – „წამწამების კანკალი" და „ქალთა ხმაში ფარული ყვავილების სურო".

ზღაპარი – დასაბამიერ უცოდველობასთან წილნაყარი უწყინარი ტყუილი და ადამიანთა ცხოვრების უღრმეს შრეებს „მიბმული" ზეპირსიტყვიერი ფენომენი... გალაკტიონის თითქმის ყველა ლექსში, სადაც კი ის ხსენდება, ქალის ეფემერულ ხატთან, მისი მიმკრთალებული სილამაზის გამონათებასთან არის ასოცირებული. „სამრეკლოს ზარივით" წმიდა წარსული ქალისა, ვისაც სახელად მერი ჰქვია, „ძველ ზღაპარს" მოანატრებს პოეტს და ჯოჯოხეთური ცოდვების გროვით და „ქალაქის ქაფით" დამძიმებულს ასკეტური ყოფისკენ ლტოლვის ჟინსა და სურვილს გაუორმაგებს: „სადმე ყრუ ადგილს დავესახლები / სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი, / სადაც იქნება ცოფი ნაკლები / და უფრო ნაკლებ ადამიანი". სინტაგმა „ძველი ზღაპარიც" შემოქმედებითი თვითგამეორების უფლებით ფიგურირებს გალაკტიონის პოეზიაში: „პოსეიდონის ძველი ზღაპარი / ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს". და იქაც, სადაც მიუწვდომლობის ტკივილს ამძაფრებს პირქუში რეალობა და ყოველივე წარმოსახვის ლაჟვარდოვან ტბაში ლივლივებს,

კვლავ ჩნდება „ზღაპარი", როგორც შორეული ნაპირების შემაერთებლი ვირტუალური ხიდი: „ცეკვავს სამეფოდ ნაქარგი ქოში / და ხელსახოცთა ქრიან ზღაპრები / და მეძახიან მშვიდ სამეფოში / მთები, სიზმრები და წინაპრები". აქვე გავიხსენოთ: „და არ დაჰქრიან , როგორც ზღაპრები, / ცოცხები, ბზები და თავსაფრები / ღამეს მთვარიანს".

სამი სრულყოფილი ავტოგრაფის სახით ცნობილი ლექსის – „ორად გაიპო წითელი კლდე" ფერადოვან გამაში ვახტანგ ჯავახაძემ მიუთითა ზეპირსიტყვიერ პირველწყაროებზე, რომელთაც ქართული ხალხური მაგიური პოეზიის ანუ შელოცვების რეპერტუარში შუაგულური ადგილი უჭირავთ. პოეტმა და გალაკტიონის მკვლევარმა სამი ფერის სიმბოლიკის ხალხურ წარმომავლობასაც გაუსვა ხაზი და იმ მხატვრულ ეფექტსაც, რასაც ვიზუალური მომენტის აქცენტირება ქმნის ხალხური აზროვნებისაგან დავალებულ ამ ლექსში. შელოცვების ტროპული მეტყველების ფაქტურასთან უშუალო შემხებლობის მხრივ გალაკტიონის ზემოხსენებული ლექსი მართლაც რომ გამორჩეულია. ეს პოეტური ნიმუში კიდევ ერთი მკაფიო „სამხილია" იმისა, რომ გენიის ნიშნით დაბადებული შემოქმედის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი მშობელი ხალხის „მიამიტური" ნააზრევისაგან განყენებულად, გნებავთ, იზოლირებულად, უბრალოდ წარმოუდგენელია...

რეალობის მონატრება „ოცნებათა თეთრი იალქნებისაგან" თავდახსნილ პოეტს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დააბრუნებს იქ, სადაც ფიზიკურ ტკივილამდე ტკბილი სიძველისა და ძნელად მისაღწევი სისადავის განუმეორებელი სურნელი ტრიალებს.

ღილღოს ნგრეული აულებიs მოზარე

„...მხილველთა მტერთა მისთა განი-
ცინნეს გარდასახლვასა ზედა მისსა...“

გოდება იერემიასი

„მიმიღე, როგორც მკვიდრი ღილღველი, და ვყაროთ რამლი ჩვენი ხვალისა, კვლავ თუ მოგვაშთობს მაინც ნაღველი, ვიმღეროთ საგა ზელიმხანისა“, – მიმართავდა გაბრიელ ჯაბუშანური „უნჯ სპათაგან“ დაცლილ, ოდინდელ მკვიდრთაგან იძულებით მიტოვებულ, უკაცურობით დაღონებულ კენტ აულს და თავს მოვალედ რაცხდა, უსაშველო დარდი და ვარამი განექარვებინა უკეთური ძალების მიერ შეუბრალებლად აკლებულ-ატიალებული ქისტეთის მინა-წყლისთვის.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რა ჯოჯოხეთური რისხვა იწვნია ჩეჩენმა და ინგუშმა ხალხმა 1944 წლის 23 თებერვალს. ეს იყო არნახული სისასტიკით და მუხანათური დაუნდობლობით დაღდასმული გენოციდის დღე სულით მტკიცე და ბუნებით ამაყ, თავმოყვარე მთიელთა ცხოვრებაში.

ათასობით ქალი და კაცი, ხანდაზმული, ბავშვი და ჭაბუკი ერთ დღე-ღამეში ძალით აჰყარეს მამა-პაპათა მიწიდან და შორეულ ყაზახეთში გადაასახლეს...

საბჭოთა იმპერია ფეხქვეშ თელავდა თავისუფლებანატრული „ურჩი“ ერების ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას. რბევა-ანიოკებით ემუქრებოდა და ტერორით თრგუნავდა თავის შემადგენლობაში შემავალ მცირერიცხოვან ხალხებს, ყველას, ვინც ყურმოჭრილი მონის მორჩილებით არ ასრულებდა მის ახირებულ ნება-სურვილებს...

და, როგორც ითქვა, ვერც ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობა გადაურჩა თავისი არსით და მასშტაბით შემაძრწუნებელ რეპრესიას...

იმ დროისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ წელმაგარი, ხოლო დღეს გაქრობის ყუაზე მიმდგარი ხევსურეთის სოფელი არხოტი, სადაც გაბრიელ ჯაბუშანური დაიბადა, ქისტეთის (ღილღოს) ტერიტორიას ესაზღვრება და მდინარე ასას (ანუ არხოტის წყლის) სათავეებში მდებარეობს...

1944 წლის გაზაფხულზე, ასე, აპრილის შუა რიცხვებიდან, როცა თოვლი აშრა, ყინული დადნა და სამთაბარო გზები გაიხსნა, საარსებო სახსრის მომატების მოიმედე არხოტელებმა დედაბუდიანად მიაშურეს სულ ცოტა ხნის წინათ გაპარტახებულ ქისტეთს. ცხენებს აჰკიდეს თავიანთი მწირი ქონება, საოჯახო ავლადიდება და მაჰმადიანთა აულებში აიჩინეს ახალი ბინა-სამყოფელი. ნოყიერი მინა, ზომიერი კლიმატი და გაცილებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები ოჯახების რჩენა-შენახვას უიოლებდა საჯიხვეების (არხოტის თემის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება „ახიელი" ქისტურად საჯიხვეს ნიშნავს!) სიმაღლიდან შედარებით დაბლობ ადგილებში ჩასულ ხევსურებს.

1941 წლიდან გარკვეულ მიზეზთა გამო თბილისიდან კვლავ არხოტს დაბრუნებული გ. ჯაბუშანური მშობლებთან და თანასოფლელებთან ერთად ქისტეთში ჩასახლდა და მთელი ჩვიდმეტი წელიწადი „ღილღოს მღვრიე ცის" ქვეშ გაატარა.

ეს იყო წლები უჩვეულო პოეტური განცდებისა, სათქმელის ახალი მხატვრული ფორმების დაუცხრომელი ძიებისა და თვითდადგინების მტკივნეული პროცესისა, შემოქმედებითი ზრდისა, წრთობისა და აღმავლობისა... მიუხედავად შედეგიანი შრომისთვის ჰაერივით საჭირო ელემენტარული პირობების უქონლობისა, პოეტი მაინც ახერხებდა გონებრივი გარჯის შეთავსებას მთიელი კაცის ცხოვრებისთვის ჩვეულ ფიზიკური ენერგიის უშეღავათო ხარჯვასთან. სხვების დარად უძღვებოდა „სამეურნეო-გლეხურ საქმეებს", ხნავდა, თესავდა, მკიდა, თიბავდა, იღებდა და აბინავებდა წლიურ სარჩო-საბადებელს, მაგრამ „ცეცხლის დღეებშიც" ნახულობდა საკუთარ თავთან განმარტოების ნანატრ წუთებს. მუშაობდა თავადაუზოგავად, ბევრს წერდა და კითხულობდა. პოეზია იყო მისი დაუდეგარი სულის საოხი და თავშესაფარი. სწორედ ღილღოში შექმნა მრავალი შესანიშნავი ლექსი, რამდენიმე პოემა და ბალადა. აქვე აწარმოებდა დღიურებსა და ლიტერატურულ ჩანაწერებს. პოეტის ხელნაწერ რვეულებში თითქმის ყოველი ლექსის ბოლოს ზის მინაწერი მსგავსი ხასიათისა: „დღე აულ ოლგეთში (ღილღო)". „დილა ხამხის მინდორში", „აული რკინისკრიანთა. ნახირში ყოფნისას. პირველი იების ხილვა". „ბინდბანდი მზისპირში. ხარებს ვეძებ" და ა.შ.

ღილღოსადმი მიძღვნილი ლექსებითა და ბალადებით გ. ჯაბუშანური ჩვენს წინაშე წარმოსდგება, როგორც სიმწარენაგემი ქისტი ხალხის დანავსული ბედის მოზარე და მისი გაუყუჩებელი ტკივილების მოზიარე პოეტი, ვინც „დღე ყოელ" გოდებს და ვალალებს ნგრეული, მიწა-მყარს გარეული, ღვიძლ ძეთაგან და ნამდვილ პატრონთაგან დაცლილი და განძარცვული ბედკრული აულების გამო.

გაბრიელის მგრძნობიარე გულს ლახვრად ხვდებოდა გაცქიოტებული აულების სავალალო ყოფის ყველა დეტალი და ჩიოდა, რომ „გაცრეცილ სახლებს დალეწილი სტკივათ ფერცხლები".

მაინც რამ შეძრა და შეაძრწუნა ყველაზე უფრო არხოტიდან ღილღოში ჩასული პოეტი? რა იხილა, მოისმინა, ინიშნა და განიცადა იქ ისეთი, რისი ამოშლა და ამოშანთვაც ადამიანის გულ-გვამიდან შეუძლებელი ხდება ხოლმე?

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, უაღრესად საგულისხმოა ბალადა „ორი ძაღლი", რომლის წერა 1944 წლის 28 მაისს, ე.ი. ღილღოს მიწაზე დასახლების პირველსავე დღეებში დაუწყია ავტორს.

ბალადის შინაარსი, ზოგად ხაზებში, ასეთია: მზისპირში ანუ იგივე აულ ოძიკში პოეტს დახვდა ორი ძაღლი – ერთი თეთრი და მეორე შავი, რომლებიც თითქოს ადგილის ურვადს სთხოვდნენ მას: ცოფმორეული ხმით უღრენდნენ და „ობოლ აულს" ურვით უვლიდნენ გარს. ღამით უგზო-უკვლოდ გადაკარგულ პატრონს უხმობდნენ „ძაღლური ძახილით", ხოლო დღისით ნაწყენნი იწვნენ, „მდურვით უმზერდნენ ცას უმიზეზოს" და ხანაც „ერთმანეთს გლეჯდნენ უწყალოდ".

ძაღლებს განსაკუთრებით თოფისა ეშინოდათ, რადგან მათი პატრონი თოფით განდევნეს აქედან...

ბოლო დროს შავი ნაგაზი მოლბა, მოტყდა და მიენდო უცხო სტუმარს, ხოლო თეთრმა „არც ხორცს და არც პურს პირი არ ახლო".

კენტი მყეფარის მოთქმის მოწმე ბალადის ლირიკულმა გმირმა ძილი და მოსვენება დაკარგა, თითქოს ამ მიდამოთა გავერანების ერთი მიზეზი ის ყოფილიყოს, სინამდვილეში კი „ღილღო დაღუპა მისივე სისხლის თავაღებულმა ველურმა შფოთმა".

გამოხდა ხანი. საგონებელში მყოფმა ძემ კაცისა თეთრი ნაგაზიც დაიზავა და შავზე მეტად დაიახლოვა, თუმცა ერთმანეთში მათი მორიგება მაინც ვერ შეძლო...

და ასე, ინათებდა თუ არა, შორეული აულების მოვლას და ნადავლის შეგროვებას იწყებდნენ სამნი. ხოლო აულებში გულის ამკლებ სანახაობას აწყდებოდა თვალი. სახლის პატრონის მიერ ნათალი, დაუმთავრებელი სკამი, რომელზედაც ის ვეღარასოდეს დასვამდა სტუმარს, დალენილი კოვზი და ჯამი, ძირს დაყრილი ქეჩა და სასთუმალი, კედელს მიხლილი სიმინდის ძარი. მოუწველელი თხა. „ჯერ კიდევ ქისტის ბავშვდაუწვენი" ახალთახალი აკვანი, გადაშლილ ყურანზე ცვილის სანთელივით დარჭობილი ნატეხი ხანჯლის, ჩამსხვრეული მინები, სველი და ცივი კერა. სახლის ზღურბლზე მწოლიარე მკერდნათოფარი ძაღლი. მოზარეთა დარი ციხე-კოშკები და... აკლდამებიდან ჩონჩხთა ბღავილი... ერთი სიტყვით, „აქ ყველა სახლი ისე გამოსჩანს, როგორც არწივის დაცლილი ბუდე"...

ღამღამობით, როცა „ვარსკვლავები – ქისტის ქალები" სამასლაათოდ ჩამოსხდებიან, სხვის ბინას შეხიზნული „საწუთროს მწირი" თავზე ოცნების ჯიღას იდგამს და მეცხრე ცის მიღმა გაურბის ამქვეყნიურ წვრილმან-საზრუნავს.

გაერთგულებული მყეფრებიდან ერთი ზღურბლზე წევს და უიღბლო მსხემის სიმშვიდეს დარაჯობს, ხოლო მეორე სახლს უვლის გარშემო და „ყეფით აფეთებს ჩრდილთა სერობას"...

პოეტის წარმოსახვაში ეს ორი ძაღლი მისივე ბედ-იღბლის ორგემაგეობასთან არის ასოცირებული: შავი კაეშნის ნიშანია, ხოლო თეთრი – იმედისა. ეს უკანასკნელი დღე და ღამ ილტვის დაღლილი, უსასოო მდევნელისაგან და ხანდახან უძილობით გათანგულ ადამისძეს ავი ზრახვა გაუვლის გულში: ზურგიდან წამოეპაროს და ბოლო მოუღოს კაეშანს – შავ მყეფარს, მაგრამ წამიერ აფეთქებას ისევ დინჯი განსჯა ენაცვლება და გაფოთებული გულიც წყნარდება; წყნარდება იმის შემცნობი, რომ წუთისოფელი სხვა არაფერია, თუ არა აწეწილ-აწრიალებული და აქოთებული აული. დარს დელგმა მოსდევს, ბედს – უბედობა და, დაე, იცოცხლოს ორივე ძაღლმა – თეთრმაც და შავმაც, ვითარცა სიკეთისა და ბოროტების, დღისა და ღამის, იმედისა და დარდის მატერიალურმა განსახიერებამ!..

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ პოეტმა სატანური სულის მიერ დათრგუნული და გაცამტვერებული, უღვთოდ გაქელილი და განწირული ერთი კუთხის კონკრეტული აულე-

ბი მთელი ქვეყნიერების სიმბოლურ მიკროხატად წარმოგვიდგინა და ამ გზით თავის ტკივილიან სათქმელს მეტი აზრობრივი სიღრმე, ემოციური მუხტი და ფილოსოფიური ხმოვანება მიანიჭა.

„ორი ძაღლიდან" საცნაური და სიმპტომურია ერთი მომენტიც: სხვის მინა-წყალზე დამკვიდრებული, უკაცრიელ სოფელში მისული და დასახლებული, იქაურობისთვის უცხო და უცნობი ადამიანი მიწყივ სინდისის ქენჯნას განიცდის („...ვინც მიტოვებულ ქისტის აულში დღეს დავთარეშობ, როგორც ყორანი"...) და თუმცა იოტისტოლა ბრალიც არაფერში მიუძღვის, მაინც დამნაშავედ გრძნობს თავს, თითქოს მასაც ედოს წილი ცხრა მთას იქით ღილველთა განდევნასა და გადაკარგვაში...

იმისდა მიუხედავად, რომ მისთვის აქ მახლობელი და მშობლიური არაფერია, ისეთი, რაზეც ადამიანს გული შეიძლება შესტკიოდეს, მაინც ესხვარიგება და ეხამუშება ღილღველთა ეთნოგრაფიული ყოფისთვის ნიშანდობლივი ადათ-წესების ასე უცაბედი გაქრობა და განქარება, გარდასულ დღეთა ცეცხლოვანი რიტმების ჩაწყვეტა და ჩაჩუმება. თემსა და მოლას ასპარეზი მიუტოვებიათ და მათ მაგივრად ჭოტი და ლანდები ასრულებენ სამიმწუხრო ლოცვის საიდუმლო რიტუალს: „ჰხამს მოლას ლოცვა მიძინებულ თემს დარაჯობდეს, მაგრამ განქარდნენ მოლაც, თემიც – მრუმე ძილივით. ძველი მეჩეთის მინარეთზე შემჯდარა ჭოტი და ლანდებს ლოცვად მოუწოდებს მუეძინივით..."

იქ, სადაც უწინ ალაჰის მძაფრი ქება ისმოდა, სადაც „აბრეკობდნენ აბრეკები, ჯიგიტობდნენ ჯიგიტები", ახლა ჩაქცეული მიწურები, დანგრეული აკლდამები, ტანზე ხავსაცურებული ქავები და ქვითკირები ზარავენ მზერას... ხოლო ღამის უღრანებში, როცა მიდამოს კუპრისფერი უკუნი ფარავს, შეშფოთებულ მკვდართა დიალოგი იმართება. ჩონჩხები „უძრაობის დღისეულ ნიღაბს" იხსნიან და აკლდამებიდან ბაასით გარეთ გამოსულნი შემზარავად ხითხითებენ...

და ეს ყველაფერი, მიუხედავად წარმოსახვისმიერი დეტალების საგრძნობი სიჭარბისა, რეალური ვითარების მეტყველი უკუფენაა – ესოდენ მკაცრი, ცხადი და დამაჯერებელი.

თვითონაც ამ აულებივით თავმარტო და მიუსაფარი ნანგრევთა შორის დაიარება და საწუთროს დაუნდობლობით დაელდებული გულის გამაგრებას ისევ სევდიანი სიმღერებით ცდილობს... და ყოველივე ამწუთიერად არსებულის მიღმა დროის დინებას გაყოლილი ღილღველთა ცხოვრების გუშინდელი დღეები ილანდება. დღეები, რომლებიც აღსავსე იყო ტკივილითა და სიხარულით, სიძულვილითა და სიყვარულით, დაუნდობლობითა და ერთგულებით, მოკლედ, კაცთა ყოფისთვის განუყრელი კონტრასტული ხმებითა და ფერებით...

პარტახ აულებში წელინადის ყველა დრო თავისებურად ფერნაკლული და უსიცოცხლო ეჩვენება პოეტს. ირგვლივ იმდენად მძიმე და სულისშემხუთველი სამარისებური სიჩუმეა დასადგურებული, რომ საგაზაფხულოდ მისრეთიდან დაბრუნებულ მერცხალსაც კი უჭირს აჟღურტულება... დამუნჯებული ციხე-ბურჯები, ზღურბლზე ამოსული ჭინჭარი და ჩამქრალი კერიისკენ ჯიქურ მიმავალი შამბი თვალხილული ნიშანია აქაურობის მართლაცდა საბედისწერო მდგომარეობისა.

აი, კიდევ ერთი მრაელისმთქმელი ნიბო თუ წახნაგი გულის გამგლელი უამური სახილველისა: „შენ რომ იყავ, ის აული ოხერი მოარბიეს, უღვთოდ მოაპარტახეს, ენატრებათ შენი ყელის მოღერა ციხეების ჩაბნელებულ ჩარდახებს...“

გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსებისა და ბალადების ღილღური ციკლი მთლიანობაში შეიძლება დახასიათდეს, როგორც ერთგვარი იერემიადა, ნათქვამი არა კიდე-კუნჭულამდე ნაცნობი მშობლიური ქვეყნის, კუთხისა თუ სოფლის დარბევისა და გაბედითების, არამედ ენით, ეროვნებით და სარწმუნოებით სრულიად სხვა ხალხის ძველთაძველი სამკვიდრებლის მოშლისა და გაპარტახების გამო. აქ, პოეტის ამ მხურვალე მოთქმა-ვაებაში, პირადადამიანური მწუხარების კერძო გამოვლინებაში მკაფიოდ ჩანს, საზოგადოდ, ქართველი კაცის, ქართველი ერის ჰუმანური ბუნება – გაიგოს და გაითავისოს სხვათა უბედობა, მხარში დაუდგეს და გაამხნევოს განსაცდელში მყოფნი.

შეიძლება ვცდები და მაინც მგონია, რომ ღილღველთა, და საერთოდ, ვაინახური ტომის ჩრდილო კავკასიის მთიელთა ტრაგიკული ისტორიის ხვეულებში წვდომის, ამ ისტორიის ცალკეუ-

ლი პერიპეტიების აღქმისა და მხატვრული ასახვის მხრივ გ. ჯაბუშანურის პოეზიას თვით ქისტი პოეტებისა თუ ხალხური მელექსეების შემოქმედებაც კი ძნელად თუ გაუტოლდება...

ღილღური ციკლის ლექსებში, სადაც ზედაპირზე ძევს და იოლად იცნობა იქაური ლანდშაფტი, პეიზაჟი და ყოველ სტროფსა თუ სტრიქონში ქისტეთის „თალხი მთა-ხევით და ბინდბუნდებით" მონაბერი სიოს სუნთქვა ისმის, მკვეთრად განირჩევა ორი სიბრტყე, ორი განზომილება: ერთი, რომელიც უშუალოდ ეხება პოეტის არსებას და თავისი დამზაფრველი სიმკაცრით ტრაგიკულ ტონალობას მატებს მის პოეტურ სიტყვას („...თეთრი სუდარა გადაჰკვრია მთა-კლდეს და ხევებს, ჩამკვდარა უკაცო სოფელი..."), ხოლო მეორე ფიქრსა და ოცნებაში წარმოსახულ სამყაროს საზღვრავს, სამყაროს, რომელიც გვხიბლავს და გვიზიდავს პირველქმნილი ინტიმით, სადა მშვენიერებით, მიამიტური რომანტიკით და რაღაცნაირად ვაჟკაცური სულისკვეთებით („აგერა, გალმა ის ნისლი, ქარმა რომ გამააქცია, აღმა რომ მოერეკება და შესვენებას არ აცლის, ნანატრის გაცხადებითა ქალადამც გადააქცია და მარტო მიტოვებული მე შემახვედრა ქარაფში...").

და აქ, პოეზიის ამ ფერადოვანი ქსოვილის შრეებში ძალდაუტანებლად ჩნდება და შემოდის ლირიკული ნაკადი, შემოდის სახება ქისტის ასულის ჰადიშათისა, რომელიც სხივმნათ არსებად მოჩანს ღილღოს ჩაქუფრული დღეების ფონზე.

იავარქმნილ სამოსახლოში პოეტი პოულობს ჰადიშათის სურათს. მისი არც ღიმილი უნახავს, არც ხმა სმენია და არც ატირება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხადად წარმოიდგენს ტანლატანა ქალწულის მშვენებას, ქალწულისა, ვისაც შესაძლოა სწორედ ის ჭერი ეფარა, სადაც ახლა მისი ეშხით განწირული მწირი ათენ-აღამებს... „როცა მტირალი სტოვებდი ღილღოს, ალბათ გდიოდა ცრემლის ცხრა მილი, მე ის მდუღარე დღეს ღაწვებს მილბობს და შენს მაგიერ ვაგრძელებ ტირილს", – ამბობს ავტორი და სურს, წრფელი თანალმობით გაჯერებული ლექსის სტრიქონი მალამოდ დაადოს სხვა ეროვნების ადამიანთა ღია, სისხლმდინარ იარებს...

„უტეხი შამბით" გადაფარული ღილღოს აულები დრო-ჟამის მსახვრალ ხელს შეუმუსრავს: კუშტი კოშკების მშენებელ-

თა ძვლები აკლდამებში იშლება... ასეთ გარემოში სანუგეშო თითქოს არაფერია, მაგრამ ამ უსიხარულო განწყობილებას უცებ აცისკროვნებს და ახალისებს მწყაზარი ასულის გამოჩენა: „მომავალო ქისტის ქალო, ლაღად მოემართები, ირხევიან მოფართქალე შენი მკერდის ვარდები... წელს მარტყია სატევარი, ხელთ მიპყრია ხირიმი, მოისწრაფე, ჩემო მთვარე, ჩემო თეთრო ირემო..."

პოეტს ვერ აუხსნია, რანაირად დაიმკვიდრა მის ოცნებაში აგრერიგად საჩინო ადგილი თვალით უნახავი ქისტის ასულის შორმა ხატებამ. „შენდამი ტრფობა, მიკვირს, სად იშვა, უცნობს უცნობის ლახვარი მეხო".

ქისტეთის სანახებში ნისლიანი ბილიკებით მოხეტიალე მარტოსული წარმოსახვაში ძერწავს (უფრო ზუსტად, აღადგენს) არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელ, აქ რეალურად არსებულ იდილიურ სურათს („აქ აძოვებდი ნახირს, ჰადიშათ...") და ეძებს ნაკვალევს, რომელიც აქედან დევნილ უცნობ სწორფერთან მიაახლოებს, მაგრამ „ღილღოს დაღრუბლული ზეცა" სასიკეთოს არაფერს პირდება, მოწყენილ აულებს უწმინდეს ცრემლს აწვიმს და სასურველი მომავლის უპერსპექტივობის განცდას ერთიორად ამკვეთრებს და აცხოველებს: „დღეს ის ქალი სად დაგოგავს, ნეტავ, სად იგონებს მშობელ მთებს და უსასოოდ ტირის... იქნებ ჩაქრა თვალთა მისთა ღვარი, გამოაკლდა დობილებს და შეერია ქაოსს..."

ბედისგან მიტოვებული, დემონივით მარტო პოეტი მუდამ თანმხლები ლაღი ოცნებით მრუმე წარსულის წიაღში იწყებს მოგზაურობას და დღის სინათლეზე ამოაქვს საწუთროგანირულ „აულის მდგმურთა" ტრაგიკული სიყვარულის ნაღელიანი ამბები, მათი სულების დუღილი და ღაღადისი...

და თავადაც მწვავე სახმილის ცეცხლით ნადაგი „ვაების ცრემლებში გაწურვილ" მწუხარე ბალადას უმღერის მზექალს, უკარება ნანდაურს, ვინც თითქოს მისი გამუდმებული ურვისა და წამების მიზეზად მოავლინა განგებამ ამ ქვეყანაზე...

„ბალადა ქვაკაცზე" ღილღოშია შექმნილი. ბალადის თითოეული სტროფი და ტაეპი აღმავალი მხატვრული ექსპრესიით არის აღბეჭდილი. ავტორის პირადი განცდები მარჯვედ და მოხდენილადაა დაკავშირებული ნაწარმოების პერსონაჟ-

თა სამიჯნურო თავგადასავალთან... შთამბეჭდავია გმირთა მხატვრული სახეები. სამუდამოდ გვამახსოვრდებიან ახმედი, სულთანი, სალმარძი, ფეტიმატ და ზეზიკი – „მურთაზის მზისფერი ქალი". ბალადის კითხვისას არ გვტოვებს განცდა, რომ ავტორი საფუძვლიანად იცნობს ღილღველთა ადათობრივ ნორმებს, წეს-ჩვეულებებს, წადილსა და მისწრაფებებს, საერთოდ, მათ სულიერ სამყაროს. იცნობს და ზუსტ ფსიქოლოგიურ მოტივირებას უძებნის გახელებული რაყიფებისა და მათი სატრფოს ყოველ სიტყვას, მიმოხვრას, გამოხედვასა თუ გადაწყვეტილებას...

ვრცელი მოცულობის ბალადაში სათანადო მხატვრული ეფექტის შექმნას განაპირობებს სიუჟეტის განვითარების შინაგანი კანონზომიერებით ნაკარნახევი პერიოდული გამეორება რომელიმე ტროპული სახისა თუ მთლიანი სტროფისა. ასე, მაგალითად, მცირე ვარიაციული სხვაობით რამდენიმეგზის მეორდება შემდეგი სახიერი სურათი: „მბჟუტავი კოცონი ნითელი ენითა კვეთავდა უკუნეთს შავსა. სადღაცა ძაღლები ძიძგნიდნენ ღრენითა სულთანის საფერხის თავსა..."

მღვრიე სულის მღაფავი ღამეა ბალადის გმირთა ვნებების უსაზღვრო სარბიელი. მათი სვე და ცხოვრების გზაც ღამესავით უნათლო და მწუხარეა. მიდიან სამზეოდან და თან მიაქვთ აღუსრულებელი სურვილები, მტკივანი გულები და ნატვრა სანიაზო სიზმრების კეთილად ახდენისა...

„იქ, სადაც ოდესღაც ზეზიკი იმღერდა" და ჯიგიტები ჯირითობდნენ, მძვინვარე ომის ამდგვლეულ წლებში სხვა ჯიშისა და რჯულის ხალხი დასახლდა... ახლა მათ აღვივეს კერა ღილღოში. მაგრამ, როგორც წესი, მიწა მუდამ უხმობს და უყივის თავის შვილებს. „და ასე მგონია: – ბუდეი დაცლილი არწივებს აწვევსო ჯერაც..." და მართლაც, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ყაზახეთის ველებზე ნაცხოვრები და ნაგვემ-ნატანჯი ღილღველები მშობლიურ მიწაზე დაბრუნდნენ...

გადასახლებიდან უკან დაბრუნებულ ქისტებსა და მათ სამშობლოში დროებით მცხოვრებ ხევსურებს შორის არანაირ უკმაყოფილებას, შუღლსა და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. პირიქით: გაქენცილი სამოსის ამარა კვლავ თავის მიწა-წყალს დაპატრონებულმა არაერთმა ღილღველმა დაიწყო მოშლილი

მეურნეობის აღდგენა-განახლება ხევსურებისაგან საჩუქრად დატოვებული სამეურნეო იარაღითა და თითო-ოროლა სული წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონლით... ეს იყო ისედაც ხელმოკლე მთიელთა დიდსულოვნების უხმაურო, მაგრამ, თავისი მნიშვნელობით, დაუვიწყარი მაგალითი. ხნიერ ქისტებს დღემდე ახსოვთ ქართველების მხრიდან იმხანად გამოჩენილი სითბო და თანადგომა...

„როგორც ქისტებმა, კარგა ხნის წინათ დატოვეს ღილღო არხოტელებმა“.

გაბრიელ ჯაბუშანურიც სამუდამოდ გამოემშვიდობა ღილღოს მთებს.

„30 ივლისს უკანასკნელად დავთვერი ხამხში (ღილღო), ხანჯლით ვეტიე მეზობელს და 31 ივლისს, ალბათ სამუდამოდ, მივატოვე ღილღო... რაღა დამრჩა ღილღოსი? – ბევრი კარგი მოგონება, იქ დაწერილი ბევრი ლექსი, პოემა, ბალადა... ბევრი სევდა, ტანჯვა, წამება... ღილღოს დამრჩა: დედის, მამის, ლეოს და მზექალის საფლავები... ეჰ, მიდის და მიდის ეს წყეული ჟამი“. – წერს პოეტი 1961 წლის 17 აგვისტოთი დათარიღებულ დღიურში.

გასრულდა ღილღოს აულებში კენტობისა და მარტვილობის ჩვიდმეტი წელიწადი.

მანამდეც ბევრჯერ განუზრახავს და გადაუწყვეტია „დასაქცევი“ მთების ტყვეობიდან გათავისუფლება (ჯერ კიდევ 1946 წელს ამბობდა: „მშვიდობით! – ჩემი გათავდა ყავლი, გტოვებთ კოშკებო, დაღლილნო ჟამით...“) და თბილისს დაბრუნება, რათა მთელი თავისი არსებით მისცემოდა ლიტერატურულ ცხოვრებას, მაგრამ გარშემო მყოფთათვის ბოლომდე შეუცნობ მის „მწვე“ წადილს ახდენა არ ეწერა და გარემოებათა გამო ბედს დანებებული კვლავ ღილღოში განცდილ ტკივილსა და სიხარულს „ალენდა მელექსის ფარ-ხმალს“.

და როცა დადგა დღე ღილღოდან სამუდამოდ აყრა-აბარგებისა, გ. ჯაბუშანურს გულის-გულში უკვე ძალზე უმძიმდა იქაურობის განირვა, უმძიმდა თუნდაც იმის გამო, რომ ღილღოს მიწაზე ტოვებდა მშობლების, მრწემი ძმის, ბიძისა და სიშმაგემდე სასურველი ნანდაურის საფლავებს... „ყოფნის დიდი ზამთრის“ პირისპირ მდგარი დღენიადაგ თავის ხვედრს

ემდუროდა და მოკვდავთათვის აქამდე უპასუხოდ დარჩენილ მწარე კითხვას სვამდა: „ნეტავი, სულს რომ მიდგამდა, რასა ფიქრობდა განგება?“

...ოდესღაც მოსისხლე და მოშუღლარ („ქისტებსა, არხოტივნებსა დღეშუ სისხლის წყალ უდისა“, – ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში), ერთურთის გზა-კვალზე გამუდმებით მზერადადარაჯებულ ქისტებსა და ხევსურებს შორის ნამდვილადამიანური ნდობა, გაგება და თანაგრძნობა დამყარდა იმ ავადსახსენებელი რეპრესიის შემდგომ ხანებში. ჩვეულებრივ ამბად იქცა საძმო და სამეგობრო განზრახვით ღილღველთა და არხოტელთა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა...

ღილღველთა აულებიდან აყრილი ხევსურების უმეტესობამ ბარს მიაშურა საცხოვრებლად. ნაწილი კვლავ „სხვა ქვეყნის სამოთხეზე“ არგასაცვლელი სალი კლდეების კალთებს შეეხიზნა... გაბრიელ ჯაბუშანური ჯერ დარიალის ხეობაში, სოფ. ლარსში დასახლდა („მე კი დარიალს შემოვდექ უთვისტომო და მარტვილი...“), ხოლო მერე თბილისს ეახლა და თვალუწვდენელი ქალაქის შფოთით და ზირწუთი მოუსვენრობაშეყრილი ჟამ-ჟამ ისევ მთებს გადაღმა დატოვებულ არხოტსა და ღილღოზე ოცნებობდა („შენ მგოსნის გული გაუყავ არხოტს და მკერდში ლექსის დამეც დანები“, – იტყვის პოეტი მოგვიანებით ღილღოსადმი მიძღვნილ ერთ ლექსში).

...და თუკი ვინმეს გული ეწურვოდა და ელვენთებოდა იმ ცოდვა-ბრალით აღსავსე წლებში განუკითხავი ძალმომრეობის მორიგ მსხვერპლთა გამო, თუკი ვინმე მართლა გრძნობდა და თავისობდა მშობლიურ ბუდეს ძალით აგლეჯილი და ყაზახეთის უსახურ ველებზე წასხმული ქისტების ზარავანდივით მწარე ხვედრს, ერთი პირველთაგანი მათ შორის უსათუოდ გაბრიელ ჯაბუშანური გახლდათ, ხატ-ღმერთის წინაშე პირსწორი კაცი და ჭეშმარიტი პოეტი, ვინც, ყოვლისშემძლე განგებისა თუ წერამწერლის ნებით, საკუთარი სიცოცხლის თითქმის მესამედი ღილღოს პარტახ აულებში გახარჯა.

„გულს გული იცნობს..."

(ოთარ ჩხეიძე და გიორგი შატბერაშვილი)

იმ ავბედით, დრამატულ წლებში ადამიანური ღირსების გადარჩენა და შენარჩუნება ზნეობრივ გმირობას უტოლდებოდა. გარემოებათა წყალობით აღზევებულ მწერალთა და პრაგმატულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეთა შორის კენტი მწვერვალებივით ჩანდნენ სიმართლის აღსადგენად, საკუთარი მრწამსისა და სულიერების დასაცავად, ეროვნული დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად მებრძოლი მამულიშვილები. ხელისუფლების ნავში მსხდომნი უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, ხოლო ისინი, ვინც მდინარის დინების საპირისპიროდ დგამდა ნაბიჯებს, ნამისნამ რისხვის, ნაცვალგებისა და რეპრესიების მოლოდინში იყვნენ.

გაუბზარავი პატიოსნებით გალეული სიცოცხლის დღენი, თავაუღებელი შემოქმედებითი შრომა და სამშობლოს საარსებო ინტერესების სადარაჯოზე დგომა წარმოადგენდა იმ მყარ, ნირუცვლელ პოსტულატს, რამაც ერთურთს გააცნო და შეყრის პირველივე დღიდან დაამეგობრა ორი განუმეორებელი ნატურა, ორი გამორჩეული ქართველი მწერალი: ოთარ ჩხეიძე და გიორგი შატბერაშვილი.

ღვთის ნებით თუ ბედისწერის ძალით შებმულიყვნენ მხატვრული სიტყვის უღელში; ღრმა, ღონიერი ორნატი გაჰქონდათ ქართული მწერლობის ვრცელ, კიდით კიდემდე გაშლილ ყანაში... მთავლიტში მათი ყოველი საეჭვო ფრაზა საგანგებოდ მოწმდებოდა, გამადიდებელი ლუპის ქვეშ ისინჯებოდა, ხშირად იცვლებოდა კიდეც და მხოლოდღა ბოლშევიკური ცენზურის საცერში გავლის შემდგომ მიდიოდა მკითხველთან...

მაშინდელობის საერთო სულისკვეთების უტყუარი რეალიებია გაცოცხლებული და ამეტყველებული ოთარ ჩხეიძის უმჯობესთა შორის უმჯობეს წერილში „გიორგი შატბერაშვილი".

სალიტერატურო გაზეთის წინა ოთახი – ადგილი მათი შეხვედრის. და იმდენად უბრალო, უშუალო, თითქოსდა გარდუვალი და ურთიერთნდობის სხივით გამთბარია ეს შეხვედრა, გინდა თუ არა, „ვეფხისტყაოსნის" რაინდები გაგახსენდება,

„უცხოობით" რომ „არ დაჰრიდებენ" და კაი ხნის ნაცნობებივით გადაეხვევიან ერთმანეთს.

შეიკეტნენო, – ანიშნებს შატბერაშვილი რედაქტორის კაბინეტისკენ და უსიტყვოდ, უთქმელი თანხმობით დატოვებენ იქაურობას. დაუყვებიან მაჩაბლის ქუჩას და გულის მოსაფონებლად მიაშურებენ რესტორანს, სადაც ფიროსმანის სურათებსა და „სევდასავით გრძელ აღმოსავლურ ბაიათებს" სხვა რეალობაში, სხვა განზომილებაში გადააქვს მათი ფიქრი და სამომავლო ოცნება (საუბრობენ ალექსანდრე ბატონიშვილზე – ტრაგიკული ბედის ნამდვილ სახელმწიფო კაცზე).

„შევჩვეოდი და გავშინაურებოდი ჯერ უნახავადა..."

ოთარ ჩხეიძე უშუალო გაცნობამდე კარგა ხნით ადრე იცნობდა გიორგი შატბერაშვილს, კაცს, რომლის სახელი ლეგენდასავით ისმოდა. მისი „ჯერ ლექსები გამოჩნდა, მერე მოთხრობები, ხოლო ბოლოს „თვითონ გამოჩნდა".

და ის უმთავრესი ფაქტორი, ფერმენტი თუ საფანელი, რამაც მათ შუა უტყუარი სულიერი ნათესაობისა და ნამდვილი ძმობის გამძლე შიბი გააბა, გახლდათ „საჯილდაო სიტყვის მძიმე ლოდთან ჭიდილი", ქართული ლექსიკის სადედეებთან პერმანენტული ყოფნა და ტრიალი, მესაიდუმლეობა „შემკული და დიდებული" ქართული ენისა, „ძველი, ღონიერი, სახიერი ქართული გამოთქმების" თავდავიწყების ზღვრამდე მისული ფანატიკური სიყვარული.

გიორგი შატბერაშვილის მიერ თვალადიდან ვიდრე ქვემოჭალამდე მარცვალ-მარცვალ აკრეფილ შუმ სიტყვებს მის ორიგინალურ ნაშრომში „თვალადური ქართულის ჭაშნიკი" – ქართული ლექსიკოგრაფიის ამ მართლაცდა დიდ მშვენებაში – მოეყარა თავი... მოსდევდა თანდაყოლილი მხატვრული ალღო, დაკვირვებული თვალი და ამ ორი უმნიშვნელოვანესი მადლის მეოხებით უწვალებლად ახერხებდა სათქმელისთვის შესაფერისი ჟანრისა და ფორმის მოძებნას.

ოთარ ჩხეიძე თვალნათლივ წარმოგვიდგენს ღირსი თანამოკალმის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ცალკეულ შტრიხებს, საკვანძო პერიპეტიებს და თავისი კურთხეული კალმით ხატავს თანამედროვის პორტრეტს, სანიმუშო სიცხადით რომ გვაგრძნობინებს ზეგარდმო ნიჭის ძალასა და ეპოქისეულ უკუღმარ-

თობას, საბრხედ რომ გამოსჩენია ამ ნიჭის სრულად გაშლას, რეალიზებას, თვისტომთა სულების სარგოდ გამობრწყინებას...

წერილს თავისებურ რეფრენად გასდევს მზის ხსენება და სადიდებელი, წარმართული ღვთაებისადმი აღვლენილი ერთგვარი ჰიმნი თუ საგალობელი, შუადღის მწველი მნათობისკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინი, ასევე მომაჯადოებელ ვარაყად რომ მოვლებია გიორგი შატბერაშვილის მხატვრულ ნააზრევს. და ამ დეტალს, ამ ხაზსა და მიმართულებას როსტომ ჩხეიძეც საგანგებოდ შეეხება თავის წიგნში „მზის შვილები", ქართველ მწერალთა შემოქმედებაში მზის კულტის ადგილისა და ესთეტიკური ფუნქციის განსაზღვრას რომ ისახავს მიზნად. მისი სიტყვით: „...მზის ვარვარისა და ალმურის მოტივი, მზის წარმოსახვა ღვთაებად და მის საკურთხეველთან დგომა, გარდა პირადი განცდებისა და ჰელიოცენტრულ სამყაროსთან უშუალო ზიარებისა, იმ შთაბეჭდილებებითაც უნდა იყოს ნასაზრდოები, „ლონდასა" და „გველის პერანგს" რომ მოეხდინა 20-იანი წლების ყმაწვილკაცებზე. იმ შთაბეჭდილებებსა და განწყობილებებში ტრიალებდა გიორგი შატბერაშვილიც და მისი პიროვნული ბუნებისა თუ შემოქმედებითი ნატურისთვის მახლობელი აღმოჩნდებოდა ეს მოტივიც და ეს განცდაც, კატაულას სერის სამლოცველოდან შობილი და გულსა და გონებაში გამოტარებული გრიგოლ რობაქიძის შემწეობითაც!.."

ოთარ ჩხეიძე, სიუჟეტის თავმოყრისა და დაურვების იდუმალი პროცესის დიდოსტატი, დასტურად იმისა, როგორ ჰქონდა გამახვილებული გიორგი შატბერაშვილს კომპოზიციის გრძნობა, ასახელებს მამალხინეს ხასიათის თანდათანობით ზრდას. პროზის სპეციფიკაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა გმირთა სულიერი ფიზიონომიის გამოკვეთა და ჩვენება... „კავთურის ხეობის შეყოლებაზე" ყველგან მყოფი უკეთილშობილესი კაცისადმი მიძღვნილი რიგით მესამე მოთხრობა „მამალხინეს სიკვდილი", ოთარ ჩხეიძის კვალიფიკაციით, „ნატეხია დიდი ეპოსისა, მადლიანი ნატეხი", აშკარად რომ მეტყველებს მწერლის სულში არსებულ უკმარობასა და ჩაუჩოქებელ სვლაზე სრულყოფისაკენ...

ქართული სიტყვის დიდ ტაძარში მწირველ მწერალს სიკეთის ჯანსაღი თესლი შეჰქონდა ომისდროინდელ დარბეულ ოჯახებ-

ში. მისი ლექსი და მოთხრობა ნუგეშად ეფინებოდა მკითხველთა გულებს. და ამ ნუგეშს განუშორებლივ თან სდევდა სევდა საწუთროული; სევდა, „რომელიც საშოა ჭეშმარიტი ლირიკისა“.

რეალობას ემყარება ოთარ ჩხეიძის კიდევ ერთი მიგნება თუ მინიშნება: „...კახეთსა თუ სამეგრელოში, თიანეთსა თუ გურიაში რო მოგზაურობდა, ქართველი კაცის დიდ სიკეთეს აკვირდებოდა, სიკეთის დიდ ნამოქმედარს იძიებდა...“

სიკეთის შუქითაა ცხებული არა მხოლოდ პროზა და პოეზია გიორგი შატბერაშვილისა, არამედ მისი ლიტერატურული ძიების, კრიტიკისა და ბელეტრისტიკის ისეთი ბრწყინვალე ნიმუშებიც, როგორებიცაა: „კავთა“, „საფალავნო ქვა“, „ხარება“, „გიორგი მეფის სამძიმარი“, „ბალადა ქართველი მოყმისა და ყივჩაღისა“, „ვახსენოთ, ვუთხრათ ქება“, „ჩემი პირველი მსაჯული“, „გურამ რჩეულიშვილი“, „ლექსი და სახლი“...

ოთარ ჩხეიძე ზედმიწევნით იცნობდა „თვალადური ჭაშნიკის“ ავტორის მხატვრულ ქმნილებებს; ხარობდა მისი ძარღვიანი, უსუფთავესი ქართულით; გამოარჩევდა „ზაფხულის ღამის ქრონიკას“, როგორც საუკეთესო ლექსს მთელ ქართულ პოეზიაში; გულს აკლდა და მწვავედაც განიცდიდა, რომ მოუმთავრებელი დარჩა ვრცელ მხატვრულ ტილოდ ჩაფიქრებული აბოს რომანი.

შემოდგომის ჟინჟღლიან ამინდში სიამოვნებას ჰგვრიდა თავის მასპინძელთან ერთად შატბერაანთ აივანზე ყოფნა თუ თვალადის ტალახიან ორღობეებში დაუმარცხებელი სიკეთის ხორცშესხმული ხატის – მამალხინეს უშედეგო, უპერსპექტივო ძებნა...

და ის, რაც წერილის შუა ნაწილში მძიმე ავადმყოფობის მიზეზით თავის ფიქრთან და ნაღველთან განმარტოებულ შემოქმედზეა ნათქვამი, თანაბრად ეხება ორთავეს – ავტორს (ოთარ ჩხეიძეს) და მისი შესანიშნავი ლიტერატურული ოპუსის ადრესატს (გიორგი შატბერაშვილს): „...სიკვდილისათვის ყველა დასანანია, მაგრამ სხვა არის ეს სინანული, ეს დანაკარგი სულ სხვა რამ არის, ანაზღაურება აღარავის შეუძლიან. ის სრულს შემოქმედებითს სიმწიფეში იყო, – როგორც მხატვარი, თავისებური და მომხიბლავი. დიდი ხანია გამოკვეთილიყო, როგორც მესაიდუმლე ქართული სიტყვისა“.

ქმნადობის უმძაფრესი ჟინით და ჩაუმცხრალი, ენერგიული დაუდეგრობით აღბეჭდილი ზიგზაგოვანი გზა, რომელსაც გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება ჰქვია, ორ ძირითად გეოგრაფიულ სიდიდეს, ორ ტოპოსს, ორ უმძლავრეს სტიქიას – მთასა და ზღვასშუა მიმოიქცევა.

ეს არის თავისი მასშტაბებით გამორჩეული, კერძო ადამიანის ამქვეყნიური ყოფის არსებით წერტილებთან და წახნაგებთან ასოცირებული ის ქრონოტოპი, განცვიფრებაში რომ მოჰყავს მკითხველი თავისი მრავალმხრივობით, უჩვეულო გარეგანი გამოვლინებებით, არაორდინარულ მწერლად ჩამოყალიბებული პიროვნების უსაზღვრო ინტელექტუალური შესაძლებლობებით...

საზოგადოების სააქაო ცხოვრების საზრისი უცილობლად გულისხმობს გამუდმებულ ქმედებას, მოძრაობას, ნირვანული უდარდელობისადმი დაუმორჩილებლობას, ქაოსიდან წესრიგის ძერწვასა და არსებულის უკეთესობისკენ შეცვლის განზრახვით ყოველნამიერი ბრძოლისთვის მზაობას... გაჩერება და მდგრადი, მკვდრულ დუმილს მიმსგავსებული უმოძრაობა სახიერი ნიშანია სირცხვილიანი დამარცხებისა, ფარ-ხმლის დაყრისა და უაზრო, უღირსებო ცხოვრებასთან ნებაყოფლობითი დაზავებისა.

გურამ რჩეულიშვილი მთელი თავისი პიროვნული ხიბლით და უაღრესად თავისთავადი, მკვეთრად ინდივიდუალური მწერლური ნატურით ერის იმ მცირერიცხოვან შვილთა თანამოაზრე და თანამოსაქმეა, ვისთვისაც „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში". ვინც იცის, რისთვის მოვიდა ამ ცოდვაბრალიან სამზეოზე და ვისი პირადი მოწოდებაც, გნებავთ, დანიშნულება, განუწყვეტელ მუშაკობაში, მეშრომეობაში, დღეების მდორე დინებასთან დაპირისპირებასა და დაუყოვნებელ მოძრაობაში მდგომარეობს...

გავიხსენოთ მწერლის ერთი ასეთი ჩანაწერი: „დაე, იყოს მეტი ღალატი, შფოთი, უსიამოვნება, ოღონდ არ იყოს უმოძრაობა"..

და თითქოსდა ყოველივე რუტინულისა თუ შენელებულის მიმართ უკომპრომისობის, მეტიც, აღმავალი ადამიანური პროტესტის თავისებური ფორმაა ის განსაკუთრებული სიყ-

ვარული, რაც ცხენის მიმართ გურამ რჩეულიშვილის დამოკიდებულებაში გამოიხატება.

ნათქვამის დასტურად „ალავერდობის", თვირთვილასა და სალამურას დასახელებაც იკმარებდა, მაგრამ მინდა აქვე ერთ ყოფით, მწერლის ბიოგრაფიულ დეტალზეც შევაჩერო მკითხველის ყურადღება: იმ დღეს, როცა არხოტის მთებში გერმანელი მწერლის ალფრედ კურელას მეუღლე ელპიდე კურელა დაიღუპა ტრაგიკულად, გურამი თავის მეგობრებთან ერთად ახიელაში, ოჩიაურების ბანზე იჯდა და „ლუდით სიმთვრალეს არაყით იშუშებდა". ამ დროს სოფლის ორლობეში აღელვებული მხედარი გამოჩნდა და დამხვდურთ მომხდარი უბედურების შესახებ შეატყობინა (ეს მხედარი უცხოელი სტუმრების მეგზური, იმხანად, „გეპეის" სტუდენტი გიგლა არაბული გახლდათ). გურამი, ისე, რომ თანამყოფთა რეაქციას არც კი დალოდებია, პირდაპირ ბანიდან მოევლო მხედარჩამოქვეითებული ცხენის ზურგს და ჭიმღის კლდის მიმართულებით გაუჩინარდა... ამ ამბის შემსწრე და თვითმხილველი შოთა ოჩიაური (ბახათ შოთა) მოგვიანებით არხოტელებისადმი მიმართულ გურამის ამგვარ თხოვნას იგონებდა: უნდოდა საიდანმე თაეხმელი, ძნელად დასაურვებელი ცხენი მოეყვანათ მისთვის, რათა გიჟური ჭენებით ეჯერებინა გული...

ფრაგმენტი მწერლის დღიურიდან: „მთებში დავდივარ, ალპინისტი არა ვარ, უნივერსიტეტში ვსწავლობ, როგორც დედა იტყვის, „სტუდენტის სახე" არა მაქვს, ღვინოსა ვსვამ, ლოთი არა ვარ, ცხენზე ჯირითი მიყვარს – მხედარი არა ვარ, ვჩხუბობ – დიდი გამრტყმელი არა ვარ, გულუხვი ვარ – ფული არა მაქვს – ცარიელა გული ვის რად უნდა..."

მთაზე, მთის მწვერვალზე ასვლა და იქიდან „ღმერთთან ლაპარაკი" (ვაჟა) ერთეულთა ხვედრია; მთა, თავისი კონფიგურაციით, ცისა და მიწის მედიუმია; ის ბადალია ბიბლიური იაკობის სიზმარეული კიბისა, რომელიც ორ სამყაროს, ორ სკნელს ერთურთთან ასაუბრებს; მთა, ამასთან, სულიერი განწმენდის, შინაგანი ამაღლების, სუბლიმაციის ადგილია; იქ მოხვედრილი ადამიანი სრულფასოვნად შეიგრძნობს თვალწინ გადაშლილი ქვეყნიერების სილამაზეს, უსასრულობის ხიბლს, დაუსაზღვრავი სივრცის ღვთიურ სიღრმესა და ძალმოსილებას... ერთია ფიზიკური მთა, საგნობრივი, ხელშესახებად

ცხადი და მზერით აღსაქმელი, ხოლო მეორეა ის, რომელიც შემოქმედის არსებაში, მის განცდასა და გამოცდილებაში აღმართულა და საიდანაც დაბლა ჩამოსვლა-ჩამონაცვლება, არცთუ იშვიათად, დაცემისა და ზეგარდმო ძალმოსილებისგან დაცლის პარადიგმად გაიაზრება.

მთის ხატი, მთური ლანდშაფტი, მაღლობთა პეიზაჟი და პანორამა გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ ნააზრევში იმდენადაა ღირებული და ღირსი ყურადღებისა, რამდენადაც ის მწერლის გმირთა შეგრძნებებში ფასობს და მნიშვნელოვნობს.

„კურელა უყურებდა ცოლს და ფიქრობდა: რა კარგია მთაში!..."

„– წარმომიდგენია, რა სიამოვნებაა ჭენება მთაში", – თქვა ქალმა..."

მთა, ერთსა და იმავე დროს, დამნდობიცაა და გამმეტებელიც მისთვის, ვინც ალღოს აუღებს, შეიცნობს და გაითავისებს, კარს გახსნის და თავის იდუმალ მღვიმეებში საგულდაგულოდ გადანახულ საგანძურს გამოაჩენს...

მთამ გურამ რჩეულიშვილის მხრიდან იმთავითვე ინიშნა არაპრაგმატული, ასე ვთქვათ, არამომხმარებლური დამოკიდებულება და არც თვითონ დაუყოვნებია საპასუხო სიყვარული. მთაში ასული ადგილობრივებს ჯობნიდა განსაცდელთან შებმაში, ფიზიკურ ამტანობაში, დათმენასა თუ უბელო ცხენის ჭენებაში. და ეს არ ყოფილა უცნობთათვის თავის მოწონების იაფფასიანი ჟესტი და მანერა. იგი ძირისძირეულად ეცნობოდა ამაყ, თავმოყვარე მთიელთა საცხოვრებისო ჭირ-ვარამს და მათი განცდების თანამონაწილედ თელიდა თავს... აკვირდებოდა, სწავლობდა და ზუსტი, სრულიად ადეკვატური სიტყვით გადმოსცემდა ნანახსა და მოსმენილს.

მთა რომ დაძლიო და „დაიმორჩილო", ამისათვის საგანგებო შემზადება, წინარე წრთვნა და წრთობაა საჭირო. როგორც სხეულებრივი, ასევე სულიერი.

სივრცული განზომილებითა და საგნობრივი ორიენტირებით „მარკირებულ" გეოგრაფიულ გარემოში, სადაც შესატყვისი ფუნქციური დატვირთვა და დანიშნულება აქვს თვითეულ მათგანს, უთვალსაჩინოეს ადგილზე დგას მთა, როგორც გმირის გამოცდის, მისი მარცხისა თუ „მარჯის" განმაპირობებელი ობიექტი. თხრობითი ინტონაციით გაჯერებულ

ერთ უაღრესად მარტივ, თუმცაღა ფილოსოფიური სიდინჯით ნიშანდებულ უსათაურო ლექსში გურამ რჩეულიშვილი ამბობს: „მთა მაღალია ხეობაზე, ხეობა – დაბალი მთაზე, მე ვზივარ ხეობაში და ვფიქრობ მთაზე".

ხეობაში – ვერტიკალის უქვემოეს წერტილში მყოფი გმირის პერსპექტივა მთაზე ასვლაა, ხოლო მწვერვალზე მდგომისთვის – თავქვე დაშვება, დაჩიავება და დაბეჩავება, გულსუწადინო განიარაღება და შეუქცევადი დეჰეროიზაცია.

ლქსში ჩანს საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე ვერდარწმუნებული ლირიკული გმირის ორჭოფობა და იჭვნეული შეყოვნება. მან ზედმიწევნით იცის ამბავი მთის მკაცრი ხასიათისა; იცის და ამიტომაც ვერ ბედავს აღმა სვლის დაუყოვნებლივ დაწყებას...

ნყურვილი მწვერვალებზე ფეხის დადგმისა, ერთფეროვანი დაბლობიდან მაცოცხლებულ სიმაღლეებში ანაცვლებისა, მოსაბეზრებელი ერთფეროვნების უკან მოტოვებისა და მედინ დღეთა ამ გზით გაშინაარსიანებისა გურამ რჩეულიშვილის გმირთა ერთი ნაწილის დაუდეგარი ცხოვრების უთვალსაჩინოესი შტრიხია.

„დევების ცეკვაზე" დართულ კომენტარებში მარინე რჩეულიშვილი წერს: „გურამის მოთხრობათა სიუჟეტებში რომელიღაც მომენტიდან თითქოს იწყება გმირების სწრაფვა სიმაღლისაკენ: ჯერ გოგანი ადის ყველაზე მაღალი სახლის სახურავზე, გიო „ნათელაში" გადის გზას ქალაქიდან თიანეთის მაღალი მთებისკენ. დაუმთავრებელ რომანში გმირი გარბის ქალაქიდან და ხევსურეთში ყველაზე მაღალი მთის წვერზე მოექცევა, „დევების ცეკვაში" ძმები ხორჯოლანები მიისწრაფვიან დაბლიდან მაღლა, მთის წვერისაკენ. „ალავერდობაში" გმირი ადის ჯერ ბურჯის თავზე, მერე გუმბათის თავზე..."

ძნელი წარმოსადგენია დღე და ღამ საწერ მაგიდასთან განმარტოებული გურამ რჩეულიშვილი („არასდროს არ მინახავს მაგიდასთან მჯდომი, სულ დადიოდა, ხან მთაში, ხან ზღვაზე", – აღნიშნავს ერლომ ახვლედიანი); არადა, ისიც არანაკლებ ძნელი ასახსნელია, რა სულიერი წვისა და შემოქმედებითი ენერგიის უშეღავათო ხარჯვის ფასად შეძლო დღეს უკვე სოლიდურ ხუთწიგნეულში განთავსებული ნაწერების შექმნა და მკითხველისთვის დატოვება.

„ხან მთაში, ხან ზღვაზეო...“

1958 წლის მაისის დღიურებიდან:

„ვდგავარ მაღალ ნაპირზე, წინ ზღვა. მაცვია შავი კოსტუმი, თავს ფორმაში ვგრძნობ. ენერგია, ძალა.

ზღვა ღელავს.

– ო, ზღვაო, რამდენი საწერი მაქვს.

–ზღვა.

– და ზღვა ძალა“.

ვერ იტყვი, რომელი ერჩია და უფრო მეტად ეძვირფასებოდა – მთა თუ ზღვა, ის კი ცხადია, რომ მათ გარეშე ყოფნა წამითაც ვერ წარმოედგინა (ისევე, როგორც უზღვოდ ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მუნჯი ახმედისთვის, ტრაგიკული კაცისთვის, ვისთვისაც ზღვა „არც ლამაზი იყო და არც უშნო“). მთა და ზღვა – გარკვეული გაგებით, ემპირიული სამყაროს ეს ორი უკიდურესი ნაპირი – ქსოვდა მისი ბედისწერის ბადეს. პოტენციურად ერთიც მოულოდნელ ხიფათთან იყო წილნაყარი და მეორეც. მაინც ვერ ეშვებოდა და ზაფხულობით ხან ერთისკენ იჩქაროდა, ხანაც – მეორისკენ.

„საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა, აღმოხდა გურამს. აღელვებული, აღგზნებული იდგა იგი მთის წვერზე, ქვევიდან ამოდიოდნენ რძისფერი ნისლები, ნისლები ამოდიოდნენ მარცხნიდან, მარჯვნიდან, წინიდან, უკნიდან, ფარავდნენ ყველაფერს, მხოლოდ მის გარშემო ჭაუხს დაკიდებული ფერდები იდგნენ შიშველი, შავი, ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლებით“.

მთის უბე-წიაღში ხეტიალით დაღლილი, შთაბეჭდილებებით აღვსილი, გათანგული და ემოციებით დაყურსული ზღვისკენ ეშურებოდა (შესაძლოა რამდენიმე თვის მერე და არა მაინცდამაინც მაშინვე!), რათა გულზე მოდებული ცეცხლის სიმხურვალე გაენელებინა. წყლის ბნელ სტიქიასთან სიახლოვე და უშუალო შეხება აწეწილ, აფორიაქებულ ფიქრებს აწყნარებდა და რამდენიმედღიანი მარგინალიის შედეგად ახალ–ახალი ნაწარმოებები იწერებოდა.

მხედრობა (მთა) ახელებდა, ხოლო ცურვას (ზღვას) სიმშვიდე მოჰქონდა: „ცურვის დროს თითქმის არასოდეს არა ფიქრობენ, – ვკითხულობთ მოთხრობაში „ნელი ტანგო“, – განსაკუთრებით – როცა მკლაურით მიდიან. ალბათ ამიტომ მიყვარს ცურვა და ყველაზე მეტად მკლაური“.

ზღვის ტალღების მონოტონური ხმაური კოსმიურ მელოდიად ჩაესმოდა ყოველ უცხო ჩქამზე გაფაციცებულ მის სმენას, მზერას მისი ფერი იტაცებდა, ხოლო ყოველივე ეს ფურცელზე ჩანაფიქრის გადატანას უწყობდა ხელს: „...მესმის ტალღების ხმაური, ვუყურებ ზღვას და ვწერ დაბოლოებას".

„ზღვა. მშვენიერი ზღვა ჩანს ასევე მშვენიერი ჩემი პატარა ფანჯრიდან; ტალღები, ზღვის შვილები, კეკლუცად ეთამაშებიან დედას".

მწერლის არსებას თან იზიდავს, თანაც გაურკვევლობის ბურუსში ჰხვევს ზღვის ამოუცნობი იდუმალება. უახლოვდება და, იმავდროულად, გაურბის კიდეც მას. ხან შორიდან, გარკვეული დისტანციიდან ცქერას ამჯობინებს, ხანაც ქვას ჰკიდებს ხელს და ეჩვენება, რომ ზღვას გადააცილებს... ერთი სიტყვით, მწერალი ინტენსიურად ურთიერთობს ზღვასთან.

დაუნდობელი სტიქიონის შესახებ დედის საუბრის მოსმენისას მარადიულობის განცდა ეუფლება მკითხველს:

„– რა საინტერესოა ზღვა, არა? – დაიწყო დედამ.

...მე დედას შევხედე, უყურებდა ზღვას.

შუადღის მერე ზღვა აღელდა".

„უცნაურად უყვარდა ზღვა, – წერს გურამ ასათიანი. – მოთხრობა „ირინა", რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, გაჟღენთილია ზღვის სუნთქვით. ზღვა აქ ადამიანივით ცოცხლობს, იცინის, სულში შემოდის. ზღვა არის ფონი სიყვარულის – ტკბილი და მწარე, ეჭვიანი, დაუშოშმინებელი ორთა სიყვარულის ამბისა... იგრძნობა ფარული ძრწოლა ზღვის მიმართ, მასში რაღაც მტრული, ვერაგი ძალის შეგრძნება".

გურამ რჩეულიშვილი თვითონაა პერსონაჟი თავისი არაერთი მოთხრობისა თუ ჩანაწერისა. ცხოვრობს თავისი გმირების ცხოვრებით (დღიურიდან: „მე გამოვდივარ გარეთ, რომ ჩემი მოთხრობების გმირთა ცხოვრებით ვიცხოვრო"). თვითონაც განიცდის იმას, რაც მათ სტკივათ, ტანჯავთ და აწუხებთ. ცეცხლიც, რომელიც უქრობლად ბრიალებს მის ნაწარმოებებში, საზიანოა მათთვის.

ყურადსაღებია მწერლის ხუთტომეულის შემდგენლის, დეტალური შენიშვნების, წიაღსვლებისა და კომენტარების ავტორის მარინე რჩეულიშვილის დაკვირვება: „...შეგრძნება ამ ცეცხლის, თითქოს მუდმივად წყალისაკენ, განელებისაკენ

რომ მიისწრაფვის, თანა სდევს თითქმის ყველა მის გმირს. „კა და კოს" გულზე ცეცხლმოკიდებული მეომარი, რომელიც, წყურვილით შეპყრობილი, წყლის პირას მისული, უწყლოდ კვდება, ამ მაძიებელ გმირთა განზოგადებულ სახედ შეიძლება მივიჩნიოთ"...

ნაშრომში „მეტაფორა და სინამდვილე" მკვლევარი ფილიპ უილრაიტი ცეცხლის შესახებ შენიშნავს: „სიმაღლეს, როგორც უკვე აღინიშნა, მეტწილად, დადებითი სიმბოლური კონოტაციები შეესაბამება. აქედან, ცეცხლიც ასევე სიკეთეს განასახიერებს, როცა უკავშირდება მაღლა სვლის იდეას".

ორიენტაციულ მეტაფორებზე ამახვილებენ ყურადღებას ჯორჯ ლაკოფი და მარკ ჯონსონი. მათი კვლევის საგანია სივრცული ორიენტაციის ოპოზიციური წყვილები: მაღლა-დაბლა; შიგნით-გარეთ; წინა მხარე – უკანა მხარე... „მსგავსი მეტაფორიული ორიენტაციები, – ვკითხულობთ „მეტაფორის თეორიაში (M., 1990), – სულაც არაა ნებისმიერი რამ – ისინი ემყარებიან ჩვენ ფიზიკურ და კულტურულ გამოცდილებას..." და იქვე: „ბედნიერება – მაღლა; ნაღველი – დაბლა; ცნობიერება – მაღლა; არაცნობიერი მდგომარეობა – დაბლა; ჯანმრთელობა და სიცოცხლე – მაღლა; ავადობა და სიკვდილი – დაბლა..."

გურამ რჩეულიშვილის მთელი ცხოვრება – შემოქმედებისათვის მნიშვნელოვან ორ უკიდურეს სიმბოლოს – მზეს და წყალს – ემატება მესამეც – მთა, როგორც სულიერი სისავსის, შთაგონების, არქაულ ხმებთან და სახეებთან მისვლის, მიახლების წინაპირობა, ჩაუნაცვლებელი ტოპოსი, ურომლისოდაც ავტორისეული ხედვის რაკურსი და დიაპაზონი ასეთი ფართო ვერ იქნებოდა.

მთა და ზღვა, პირველი ცეცხლის წამკიდებელი, ხოლო მეორე – მისი გამნელებელი, ის ადგილებია, საგნობრივი სინამდვილის ის „კუთხე-კუნჭულებია", სადაც მთელი თავისი შემზარავი სილამაზით შეიძლება იწვეს სიკვდილი: „ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შორის იწვა უმოძრაოდ („სიკვდილი მთებში"); „ახმედი უმოძრაოდ იჯდა, ვერ აიძულა თავი, მიახლოებოდა იმ ადგილს, სადაც იწვა სიკვდილი – პატარა, მაგრამ საშიში და უცნობი" („მუნჯი ახმედი და სიცოცხლე").

სწორედ მთისა და ზღვის ფონზე, მათთან კავშირის კონტექსტში იძენს სიკვდილი კონტურულ სიმკეთრეს, მკაფიო კონკრეტულობას; მწვანით შემოსილი ყვავილიანი ბუნებისა და გაუგებარ ენაზე მოშრიალე მარილიანი წყლის წიაღში ცხადდება და საჩინოვდება სასრული ადამიანური არსებობის აბსურდულობა და მყიფე, ეფემერული ბუნება.

„თითქოს ხელი მოვკიდე სიკვდილს", – წერია დრამატულ რომანშმი „იულონი". იქვეა ამგვარი დიალოგი:

„ – ხომ გახსოვს ზღვა?

– როგორ არ მახსოვს ზღვა".

გურამ რჩეულიშვილის გმირებისათვის ისევე თანმდევია ზღვა, როგორც სიკვდილი. და, საერთოდაც, სიკვდილზე და თვითმკვლელობაზე ფიქრი, მათი განსჯა, ვარიაციები ყოფნა-არყოფნის თემაზე ძალზე ხმიერ, ერთ უწყვეტ ექოდ გასდევს მწერლის პროზას, დღიურებს, ჩანაწერებს.

„შენ არ იცი, რა არის სიკვდილის მოლოდინი – ათასჯერ უარესი, ვიდრე თვითონ სიკვდილი" („პიესა ორიგინალური ბოლოსიტყვაობით და ანდერძით").

„სანამ ამბავი – სიკვდილი არ შემიძლია, უნდა ვწერო მასზე, როცა გამოილევა, თავს მოვიკლავ, ალბათ ეს იქნება ერთადერთი ამბავი, თანაც ყველაზე ღირსშესანიშნავი ჩემს ცხოვრებაში, რაზეც ვერ დავწერ" (ჩანაწერებიდან).

„შეიძლება იმ ზომამდეც კი მივიდეს კაცი ამ სიკვდილისგან გამოწვეული შიშისგან, რომ თავიც კი მოიკლას – ჰო, სიკვდილს გაექცე თავის მოკვლით" (ჩანაწერებიდან).

მწერლისთვის არც წინასწარჭვრეტის, მომავლის ნისლიანი ლაბირინთების ამოცნობის, ბედისწერის უალტერნატივო განაჩენისა და გადაწყვეტილების უშეცდომოდ ამოკითხვის ზებუნებრივი უნარი ყოფილა უცხო:

„...ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა, რომ მალე დავიღუპები".

ამგვარსავე წინათგრძნობაზე დასმული სარწმუნო აქცენტებითა თუ ღია, უქვეტექსტო მინიშნებებითაა გამსჭვალული მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულება „მე ახლა ოცდახუთი წლისა ვარ".

და კვლავ სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე.

„საერთოდ რა აზრი აქვს ცხოვრებას – სიცილი, ხარხარი – მე არ მეშინია. იცინი – მოკვდები, ტირიხარ – მოკვდები. მაშ, და-

ვიხოცოთ თავები. არა, რატომ? ვინ იცის? ალბათ, იმიტომ, რომ ბუნებამ თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად მოიგონა სიკვდილი, ხოლო სიკვდილი რომ მეტ-ნაკლებად სასურველი იყოს – სიბერე, დარდი და ავადმყოფობა" (ჩანაწერებიდან).

ინტენსიური სულიერი ცხოვრებისთვის „სიცოცხლის ნიშნით" (ო. პაჭკორია) დაბადებულ გურამ რჩეულიშვილს ბევრი რამ აახლოვებს და ანათესავებს ხალხური სიტყვიერების ღვთისნასახ, „ნაწილიან" გმირებთან. ღმერთკაცის უნივერსალური კონცეფციის ქართულ ვარიაციებში თვალნათლივ ჩანს, რომ სხვარიგ ეტლზე ნაშობ მზიურნიშნიან ადამიანთა ცხოვრების გზა ძალზე დრამატული და, როგორც წესი, ხანმოკლეა. ისინი საგანგებო მისიით მოდიან დედამიწაზე, აღასრულებენ თავიანთ საღვთო და საეროვანო ვალს და ახალგაზრდულ ასაკში ტოვებენ სააქაოს.

„უბრალო ხალხიც გრძნობდა, რომ არ იყო ის ჩვეულებრივი ადამიანი... ხიბლი ჰქონდა რაღაცნაირი, ყველა ენდობოდა".

სრული სიმართლეა გურამის სიჭაბუკის მეგობრის ლევან მალაზონიას ამ სიტყვებში.

ღვთის რჩეული პერსონებისთვის სულიერი სიმდაბლით, მუცლის მონობით, გონებრივი სივიწროვითა და სოციალური უსამართლობით დაღდასმულ ისტორიულ ეპოქებში ბუნებრივ აღსასრულამდე ცხოვრება, როგორც ჩანს, მართლაც ძნელია...

მთასა და ზღვას შუა (თითქოს თბილისი, ოქროყანა, ალვანი, თიანეთი თუ თელავი არც არსებობდეს მის ბიოგრაფიაში!) თითქმის თანაბრად გადანაწილებულ გურამ რჩეულიშვილის ხანმოკლე ცხოვრების ეკალბარდიან გზას განუშორებლივ თან დაჰყვება ბედისწერული დაუდეგრობის, თვითგამოხატვის ფორმების ინტენსიური ძიების, ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების საკითხის რკვევისა და ჩვეულებრივ სიტუაციებშიც კი ქცევის უცნაურობათა ღრმა ნაკვალევი.

„ორი სურვილი მაქვს: ან მოვკვდე 45 წლამდე ან მოხუცი ღრმად – დასტოინად, წვერებითა და ჩიბუხით".

აუსრულდა პირველი სურვილი: სხვისი სიცოცხლის გადარჩენას ოცდაექვსი წლისამ ამსხვერპლა საკუთარი სიცოცხლე...

მწერლის ადგილი ღირსებათა და დამსახურებათა იერარქიაში განისაზღვრება არა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობით,

არამედ იმ წვლილით, რაც მან საკაცობრიო სულიერი კულტურის სფეროში შეიტანა.

ამ ასპექტით მრავლისმთქმელია ჩანაწერი, რომელიც ვაჟა-ფშაველას პოეტური სენტენციის – „ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისა" – პროზაულ პერიფრაზადაც შეიძლება ჩაითვალოს: „და განა რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ, წამი იცხოვრებ თუ მილიონი წელი, უსასრულობისათვის ორივე ერთნაირად სასაცილოა".

ფატალური გარდაუვალობის ფაზაში გადასული წერის პროცესი, რისი მარწუხებიდან გამოხსნასაც ამაოდ ცდილობდა გურამ რჩეულიშვილი, სარწმუნო საბუთია იმისა, რომ შემოქმედის ნებელობითი თავისუფლება არაა სრული, შეუზღუდავი და ბევრი რამ განგებისა თუ სულიწმიდის ნება-სურვილით ხდება.

„ნეტა, რამდენი უნდა ვწერო ან როდემდე, რა იქნება მერე?"

„ღმერთო, რა დაგიშავე, რომ წერა დამაწყებინე!"

„...მიუხედავად ყველა სიტყვის დაწერისაგან მიღებული ტანჯვისა, მაინც არ შემიძლია არ დავწერო. ახლაღა და უცებ მივხვდი, რომ ჩემი ცოდვა სწორედ აქ არის და მე ის წერით უნდა გამოვისყიდო. წერით უნდა ავიღო მე იმის უფლება, რომ აღარ ვწერო".

„ჯოჯოხეთის ცეცხლზე ვიწვი წერასა და არწერას შორის".

ისევე, როგორც შთაგონებისა და წერის მტანჯველ წამებთან თუ წუთებთან დამოკიდებულებაში ვერ უფლობდა თავისთავზე, არც მთასთან და ზღვასთან – სხვადასხვანაირი „ზნისა" და ბუნების ამ ორ ფენომენთან – ურთიერთობის დამყარება და დასრულება ყოფილა მთლად მისი განსასჯელი და გადასაწყვეტი.

„საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა..."

მონოლოგს მიმსგავსებული ეს ფრაზაც მოწმობს, რაოდენ უმწეოა სამყაროს მამოძრავებელი ძალების პირისპირ განმარტოებული ადამიანი და რა ყოვლისმომცველია ის უპიროვნო, პერსონიფიცირებას დაუქვემდებარებელი უხილავი ტალღა, თავისი ნებისამებრ რომ არწევს და ათამაშებს მისი ცხოვრების ნავს.

„მეც წავალ, ოღონდ..."

(ვარიაციები ოთარ ჭილაძის ბოლო ლექსის თემებზე)

> „რა მძიმე ჯვარია კაიკაცობა, და რა ბედნიერებაა! – როცა გრძნობ, რომ არ გატყდი, არ გაიღუნე, არ განილიე, ხელში არ შემოგადნა ის, რაც ერთხელ ინამე შენი არსებობის აზრად და მიზნად!"
>
> **გურამ ასათიანი**

შემოქმედის ამქვეყნიური არსებობის საზღვრული სივრცე ძალზე მცირე და უკმარია საიმისოდ, რომ სრულყოფილად შეძლოს სანუკვარი, სანიაზო ჩანაფიქრების მხატვრულ ფაქტად, ესთეტიკურ ფენომენად, ხელოვნების ნიმუშად ქცევა.

მწერლის სააზროვნო გრძედ-განედებსა თუ მერიდიანებზე საგრძნობლად სევდიანი ხმებისა და ინტონაციების მოჭარბებას საგნობრივი სამყაროს უკიდურესი სივიწროვისა და სიცოცხლის დღეთა დამღლელი სიცოტავის მტკივნეული განცდა იწვევს, რაც, თავის მხრივ, სოფლის სამდურავის კლასიკური მოტივის წყალუხვ ნაკადებად იტოტება, სახიერდება და მსოფლგანცდის ეროვნულ თავისებურებათა ერთიანი, მეტნაკლებად დასრულებული სურათის ცხადყოფას განაპირობებს...

მკითხველის ცნობიერებაშიც თანდათანობით იკვეთება და მკვიდრდება აბრისი რჩეული შემოქმედისა, ვისაც შეიძლება უწვალებლად „მივაკუთვნოთ" და მივუსადაგოთ თუნდაც თელაველი თერძების ამქარში გავრცელებული ხალხური სიმღერის ცნობილი სტრიქონები:

მაცვია დარდის პერანგი
ზედ სევდის ღილი მიბია...

გამუდმებული ფიქრის, მარტვილობისა და ჩვევადქცეული მარგინალობისთვის განწირული მწერლის ცხოვრებისეული გზის „მაზანდა" მისი მხატვრული ნააზრევის სიღრმით განიზომება; ყოფიერების ხუნდების სიმძიმით სოფლის მღვრიე მორევსა და ორომტრიალში დაძირვის რეალური საფრთხე დღენიადაგ თან დაჰყვება, საკუთარი სხეულის ნაგრილი-

ვით განუშორებლად მხარში უდგას, ეტორღიალება და კიდევ უფრო გააქტიურების ხელსაყრელ ჟამს ელოდება...

და როცა შემოქმედი ფუჭ, ფუტურო, წარმავალ ღირებულებათაგან გააზრებული განდგომითა და შეგნებული გაკიდეგანებით ახერხებს ღვთით მინიჭებული პიროვნული ღირსების გადარჩენას, სულის სისუფთავის შენახვას, მტკიცე და გაუბზარავი ზნეობრივი პოზიციის შენარჩუნებას, მის მიმართ აუდიტორიის ნდობაც ერთიათად იზრდება და მატულობს...

ოთარ ჭილაძის მხატვრული სამყაროს უვრცესი, მზერამიუწვდომელი პანორამის თუნდაც ძირეული შტრიხებისა და კონტურების ზოგადი მონახაზის მოხელთებაც კი ჩემს ამჟამინდელ განზრახვას ბევრად აღემატება; ვეცდები მწერლის სხვა ქმნილებათა გათვალისწინებით მივუთითო მისი ბოლო უსათაურო ლექსის („მწერლის გაზეთი", №14, 2009) შექმნის რამდენიმე წინაპირობასა თუ ლოგიკურ კანონზომიერებაზე.

გავეცნოთ ლექსს:

* * *

რაც არ ყოფილა, ის არ იქნება,
მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავაც.
გზა გაიხსნება,
ან შეიკვრება,
მომსვლელი მოვა,
წამსვლელი წავა.
მეც ნავალ, ოღონდ
ცოტაც მადროვეთ,
ბარემ შევავსო ბოლო ფურცელიც
და ამოვწურო ეს სიმარტოვე,
ეს ფორიაქი ამოუხსნელი!
გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს, –
რითაც დროს ვკლავდი და თავს ვირთობდი.
მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს –
კარგად იყავით. გმადლობთ, მშვიდობით.

პირველი და, ალბათ, უმთავრესიც, რაც ამ პოეტური ტექსტის გაცნობისას ენიშნება მკითხველს, არის მომხდარისა თუ მოსახდენის მიმართ ავტორის ხაზგასმულად დარბაისლური,

დინჯი, ერთგვარად შემრიგებლური, ლოიალური, თითქოსდა სრულიად უმღელვარო, უემოციო დამოკიდებულება.

ბოლო ნაწარმოები, როგორც აღსარება თუ აღსასრულისწინა ამოსუნთქვა, სახიერი სიცხადით ამხელს ლირიკული გმირის (თუკი ამ შემთხვევაში სწორი და მისაღებია ამგვარი სინტაგმა) სულიერ მდგომარეობას, წელთა სიმრავლეში დადუღებული და დამწდარ-დაძელგებული გრძნობების სიმყარეს, სუბსტანციურობას, მონოლითურობას და ცალსახა, სრულიად მკაფიო პოზიციას, რომელიც მას ეკავა (და უკავია) ირგვლივ მიმდინარე მოვლენების მიმართ...

ლექსში ჰარმონიულად თანაარსებობენ სიკვდილ-სიცოცხლის ციკლური წრებრუნვის უცვლელი, შეუქცევადი პროცესი და სამყაროსეულ საიდუმლოებათა ფილოსოფიური ხედვა; კერძო კაცის ყოფა-ცხოვრების გულისმომწყვლელი უხანობის საფუძვლიანი ცოდნა და სინანული ყოველივეს წარმავლობის გამო; შეგნება დროის დინებას წაყოლილი ფასეულობების უკან დაბრუნების უნუგეშო შეუძლებლობისა და „კოსმიური სევდა“ (კ. კაპანელი), გამოწვეული სააქაო არსებობის სტიქიურობის შეგრძნებით...

რაც არ ყოფილა, ის არ იქნება,
მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავაც...

აი, პოსტულატი, ამოსავალი ფაზა თუ ათვლის წერტილი, საიდანაც იწყებს ღელვასა და მოძრაობას პოეტის რეფლექსიათა ღონიერი ტალღა; ცხოვრების მხატვრული ფორმულა, რომელსაც შესხვაფერება არ უწერია, როგორც მყარ, მდგრად, წარუვალ მოცემულობას...

მიწის კალთაზე უწინაპირობოდ კენჭიც კი არ იცვლის ადგილს; მიზეზ-შედეგობრიობის დიალექტიკური ერთიანობა იცნობა და იკითხება ყოველ ნაბიჯზე, ამსოფლიური სევდისა და სიამის ნებისმიერ გამოვლინებაში, დღისა და ღამის თვითეულ ნაკვთსა და ნაწილში. კაუზალური კავშირების უნივერსალური ხასიათი მსჭვალავს ყველაფერს, რაც კი რამ მრავალი ჭირ-ვარამის დამტეც ცისქვეშეთში ხდება.

დემიურგის – სამყაროს შემქმნელის – უზენაესი მიზანი ქაოსის წესრიგად, კოსმიურ ჰარმონიად ქცევაში მდგომარეობდა და დღეს „უთვალავი ფერით“ ჩვენს გონსანიერში არ-

სებული ემპირიული სინამდვილე ამის უტყუარი, თვალხილული დასტურია.

წონასწორობას, რაც სამყაროს შობის დღიდან არსებობს (რასაკვირველია, ცალკეულ ანომალიათა გამოკლებით), შესაძლოა ზოგჯერ დარღვევის საშიშროებაც დაემუქროს, მაგრამ ამით დასაბამიერი ვითარება არსებითად არ იცვლება.

შემოქმედის ცნობიერებაში მკვიდრად განფესვილი ფილოსოფიური ცოდნა და შეხედულება ბოლომდე ამოუხსნელ მოვლენათა შესახებ პოეტური კონცეპტის სახეს იძენს და მკითხველის გულისყურს, უწინარეს ყოვლისა, გამოთქმის სადა, „მარტივი", იოლად აღსაქმელი ფორმით იპყრობს.

გილგამეშის მოტივებზე შექმნილ „თიხის სამ ფირფიტაში" ორგზის გვხვდება შემდეგი ტაეპები:

რაც უნდა მოხდეს დიდი ხნის მერე,
ბევრჯერ მომხდარა დიდი ხნის წინათ.

პოეტის ბოლო ლექსშიც ხომ სწორედ ამ თვალსაზრისის ვარიაციული სახესხვაობაა აქცენტირებული და გამკვეთრებული:

რაც არ ყოფილა, ის არ იქნება,
მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავაც.

ახალგაზრდობის წლებში დაწერილი სტრიქონების ვარირება დიდი ხნის შემდგომ იმაზე მეტყველებს, რომ პოეტს ეს ურთულესი, „წყევლა-კრულვიანი" საფიქრალი არ მოსცილებია, არ გადავიწყებია და რასაც მაშინ გრძნობდა, ისმენდა, ხედავდა თუ განიცდიდა, სიცოცხლის მიმწუხრსაც იმავეს უტრიალებდა და უღრმავდებოდა.

ე. წ. თვითგამეორება (რისი უმშვენიერესი ნიმუშების განსაკუთრებული სიუხვით ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნააზრევი გამოირჩევა!) ის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი შემოქმედებითი აქტია, მწერლის საწუხარ-საფიქრალის „პრიორიტეტულ" მიმართულებებზე რომ მიგვაქცევინებს ყურადღებას და, გარკვეული აზრით, გვეხმარება კიდეც მისი რეალისტური თუ ენიგმური სახე-სიმბოლოების შეძლებისამებრ მართებულ, რაციონალურ ახსნა-განმარტებაში.

იყო დაბადება და იყო სიკვდილი, რომელშიც, როგორც იდუმალ კოდში, იმთავითვე იდო ცხოვრების მასაზრისებელი მნიშვნელობა...

ახალ რეალობას აპოკალიფსი დაუდებს სათავეს, ხოლო მანამდე, ისევე როგორც მდინარენი ვერ დაიწყებენ აღმა დენას და დღე დაუღამებლად არ დარჩება, ფატალური გარდუვალობის კანონთა კარნახით მოხდება ისევ ის, რაც ათწლეულებისა თუ ასწლეულების მიღმა ხდებოდა. ამიტომაა ამაო და უსარგებლო გოდება იმის გამო, რისი შეცვლაც მოკვდავთა ჭკუა-გონებას არ ძალუძს. ყოველივე ამას წმ. იოანე ოქროპირი ამგვარად აყალიბებს: „უზომო ვაება არს თვისება განუსჯელი ხელი და ნებიერი სულისა. იმწუხარე, იტირე, მაგრამ ნუ უჩივი ბედსა შენსა, ნუ სულმოკლეობ. ნურცა ნაღვლიანობ. შესწირე მადლი უფალსა, პატიოსან ჰყავე განსვენებული და შემოსე იგი შესამოსელითა გლოვისაჲთა. შფოთვითა შენითა შეურაცხყოფ მიცვალებულსა, განარისხებ უფალსა და ავნებ თავსაცა შენსა“...

რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ოთარ ჭილაძე წერს: „ადამიანი მხოლოდ სიკვდილი არ იყო, არამედ ორივე ერთად, სიკვდილიცა და სიცოცხლეც, სიკვდილ-სიცოცხლე, ერთი მეორეს ქმნიდა, ორივე ერთად კი – ადამიანს. ეს ღვთაებრივი წყვილი ისევე აუცილებელი იყო ადამიანის შესაქმნელად, როგორც ბავშვის გასაჩენად მშობლები. დედა და მამა, როგორც დედა, ისევე მამაც...“

მწერლის ასეთი მსჯელობა წინასწარნიშანი და საწინდარია იმისა, რომ მომავალშიც, თუნდ ცხოვრების „ფინიშთან“, გარდუვალთან შერიგების შინაგანი მზაობით იგივე თქვას, რასაც შემოქმედებითი დაოსტატების შედარებით ნინარე, ადრეულ ეტაპზე ამბობდა...

„მარტის მამალში“ ავტორი იტყვის: „ადამიანი სიბნელიდან მოდის და სიბნელეში ქრება“.

თვალს ეფარება და იკარგება ფიზიკურად, სხეულებრივად, სამაგიეროდ, რჩება მისი ნათქვამი, ნაწერი და ნაამაგარი, დიდი ძალისხმევის ფასად აღებული სიმაღლე: მხატვრული სიტყვა, რომელიც საუკუნეებს ეტოქება, ერკინება, უძლებს და თაობიდან თაობაზე გადააქვს ეროვნული ფსიქიკის ზიგ-

ზაგები, ადამიანურ ვნებათა მწველი, გაუნელებელი ღადარი, ხმიერი ექო და დუღილი.

ამონარიდი ისევ „მარტის მამალიდან": „უკვდავება არ არსებობს, ხოლო სიცოცხლე, ხანგრძლივიცა და ხანმოკლეც, სიკვდილთან შეჩვევაა და მეტი არაფერი. თავიდანვე ამიტომ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე – სიკვდილისთვის რომ მოემზადოს".

საუბარია ბიოლოგიურ მოკვდავობაზე, როგორც გურამიშვილი იტყოდა, – საწუთროს ფეხით ნალახ მიწასა და ტალახზე, ანუ ხორცზე, რომლის საპირისპირო მხარე, გნებავთ, „ოპოზიციური" მეწყვილე, „საუკუნო სოფლის" მქონე „უსხეულმყოფელი" სულია.

ზემომოტანილი ამონარიდი გულისხმობს მასას, ლიანგს, ადამიანთა კრებით ერთფეროვნებას, ვისთვისაც დაბადებითვეა დახშული უკვდავების უქარო ქვეყანაში გასაღწევი გზა... „მასათა არსებობას ღირებულება არ გააჩნია. მასა შემართულია პიროვნულობის, როგორც თვითკუთვნილი ყოფიერების ანუ თავისუფლების ხელყოფისათვის, მომართულია პიროვნების წინააღმდეგ" (ჯანრი კაშია)...

მუდმივ მღვიძარე და მოფხიზლარი შემოქმედი ვერ გუობს რინდობასა და მთვლემარებას, მკაცრი და უკომპრომისო რეალობისთვის თვალის მოხუჭვას. მის მიერ გამოხვეწილ ყოველ ხატსა თუ აზრიან ფრაზას დრო პატრონობს, ინახავს და, ხშირ შემთხვევაში, დროვე აცლის არსებობის ძირსა და საყრდენს... სხვადასხვაა სიკვდილი სულიერი და სიკვდილი სხეულებრივი. საუკუნო ხსენება მათი ხვედრია, ვინც თავდაუზოგავად, პიროვნულ ძალთა მაქსიმალური გაღებით იცხოვრა, იღვაწა და საკუთარი დამღა დატოვა წამისწამ ცვალებად, ცრუ და ორგემაგე საწუთროში...

„სიცოცხლე სიკვდილის დასაწყისია, – შეგვახსენებს ნოვალისი. – სიცოცხლე სიკვდილის გამო არსებობს. სიკვდილი არის დასასრულიც და დასაწყისიც, განშორებაც და უახლოესი თვითშეერთებაც ერთდროულად. სიკვდილით სრულიქმნება რედუქცია".

ის უალტერნატივო აქსიომა, რომ „ჩვენ არ ვიყავით წუთისოფლად, ვართ და აღარ ვიქნებით" (კ. კაპანელი), ვრცელდება მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე. გაცილებით გამძლე და დღეგრძელია ერი, რომლის გადაშენების შემთხვევებს იცნობს მსოფლიო ისტორია, მაგრამ ეს მაინც იშვიათი გამონაკლისებია.

„ერის სიბერეს და სიკვდილს ისინი დაიჯერებენ მარტო, – პაექრობს ვაჟა-ფშაველა, – ვინც ცხოვრების პირობების გარეშე სხვა რაღაც უხილავ ძალას ჰხატვენ, რომელიც არც ცაში და არც დედამინაზე არ არსებობს და ჟამთა ბრუნვის სივრცეშია ვითომ გაბნეული, ან კიდევ სადმე წიგნში სწერია".

ანალოგიურ აზრს ავითარებს სხვა წერილში, სხვა გარემოების გამო: „ცალკე კაცის სიცოცხლე მოკლეა, რაც უნდა ეცადოს და გაახანგრძლივოს, ას წელს ხომ ვერ გადააბიჯებს, მაგრამ ერის სიცოცხლე კი დაუსრულებელი სიცოცხლეა, თუკი კარგს ვითარებაშია, თუკი მოვლა აქვს, თუკი ერის მეთაურნი ცდილობენ აიცდინონ მომაკვდინებელი სენი და ჭირი".

ვაჟას საღ, გონებისმიერ ხედვაზე დაფუძნებულ თვალსაზრისს ეხმიანება და მხარს უმაგრებს ილიას ბრძნული და სათანადოდ არგუმენტირებული წიაღსელა იგივე საკითხთან დაკავშირებით: „...ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია. როგორც ყველასი ერთად და ერთს დროს დაბერება არ შეიძლება, ისეც ერისა. ივანე ბერდება და მიდის, პეტრე იბადება და მოდის, და ერი კი ისევ ერია, ერთ – სულ, ერთ – გულ..."

კლასიკოსთა ცხოვრებისეული ცოდნა და გამოცდილებაც რომ არა, ოთარ ჭილაძეს ზედმიწევნით კარგად მოეხსენებოდა წონად ანბანურ ჭეშმარიტებათა ყავლგაუსვლელი მნიშვნელობა და მთელი თავისი მრავალფეროვანი, კოლოსალური აზრისა და შინაარსის დამტევი შემოქმედებით ორიენტირებული იყო სამშობლოს ცნებაზე, მის წარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე, ბედ-უბედობასა და საარსებო, სასიცოცხლო ინტერესებზე.

სულიერი წინაპრების კონკრეტულ მოსაზრებებთან კონცეპტუალური სიახლოვის კუთხით იქცევს ყურადღებას ოთარ ჭილაძის თვალსაზრისი ხალხისა და ადამიანის უმთავრეს მახასიათებლებზე; თვალსაზრისი, რომელსაც მწერალი „მარტის მამალში" გვთავაზობს და კიდევ ერთხელ შეახსენებს მკითხველს იმ უზარმაზარ ზნეობრივ პასუხისმგებლობას, ღვთისა და კაცის წინაშე რომ აკისრია: „ხალხი უკვდავია, სწორედ მარადიულობაშია მისი ძალა და ერთადერთი, რაც ევალება, სიცოცხლის შენარჩუნებაა. სამაგიეროდ, ადამიანია მოკვდავი. ამიტომ, ხალხისაგან განსხვავებით, სიცოცხლის შენარჩუნე-

ბაზე მეტად იმაზე უნდა იზრუნოს, ადამიანად შობილი ადამიანადვე რომ წავიდეს ამ ქვეყნიდან..."

მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავაც...

ამ სტრიქონში, სხვასთან ერთად, ერი და სამშობლოც უნდა იგულისხმებოდეს, თუმცა ძნელია დაბეჯითებით თქმა, კონკრეტულად რა (ანდა ვინ) ჰქონდა (თუ ჰყავდა) პოეტს მხედველობაში.

ო. ჭილაძისთვის, როგორც გონებრივი შრომით მაშვრალი მამულიშვილისთვის და ანალიტიკურად მოაზროვნე მართალი შემოქმედისთვის, უსამშოლობა კოსმიურ კატასტროფას უტოლდებოდა. ამიტომაც ავსებს, მსჭვალავს და მხურვალე აღსარების სიწრფოებას ანიჭებს მის ბოლო რომანს „გოდორი" უწყვეტი, გამუდამდღიურებული, პერმანენტული ფიქრი სამშობლოზე, ქვეყნის გამოვლილ ნარ-ეკლიან გზასა თუ სახვალიო-სამერმისო სავალზე. რომანის დასაწყისსა და დასასრულში შემთხვევით როდი ჩნდება რომიდან პაპი პიოს მიერ წარმოგზავნილი ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელიც ჯიუტად, საგანძურის კვალზე დამდგარი პილიგრიმის დაჟინებით ეძებს დაკარგულ საქართველოს და რიოში, გამჩვენეობითი სინანულით ამბობს: „...მაგრამ მე მაინც ვერ ვიჯერებ, რომ საქართველო აღარ არსებობს..."

მშიერი აზნაურის ღობესავით (სხვაგან: საქსოვის ჩავარდნილი თვალივით) მორღვეული სახელმწიფოს საზღვრები თვალხილული ნიშანია იმისა, რომ ყველაფერი ვერაა წესრიგში; რომ „პირვანდელი სახით საქართველო ვეღარ აღსდგება. ქართველებს რომ გულში უდევთ, ის საქართველო აღარ არსებობს"...

ძნელია „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილობა".

კიდევ უფრო მძიმე, ძნელი და მწარეა ფიქრი იმაზე, რომ „ბაგრატიონების ტახტი აქამდე ლპება სანკტ-პეტერბურგის რომელიღაც წყალჩამდგარ სარდაფში"...

თავმოთნე გულშემატკივრობასთან გაჯერებული ირონიის იერი დაჰკრავს უცხო მიწიდან მოსული „მფარველის" სიტყვებს, რომელთა ადრესატად ოდესღაც „რაინდული კეთილშობილებითა და მეომრული შემართებით სახელგანთქმული" ქვეყნის შვილები მოიაზრებიან: „...კვირაში ერთი დღე თქვენს ენაზე გალობდნენ ცაში ანგელოზებიო, თქვენ კი ერთმანეთ-

საც ველარ აგებინებთ მინაზეო... აჩრდილებიც აღარა ხართ იმათიო, ძველებისო.." და იქვე, ცოტა ქვემოთ: „მეც მაგიტომ ვიწუხებ თავსო, მთლად უპატრონოდ რომ არ დარჩეს აქაურობაო, მტერმა არ თქვას, მართლა აღარ ყოფილან, მართლა დამთავრებულა მაგათი ამბავიო. უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ და მეც კაცის მაგივრობას ვწევო..."

ეს იყო ოთარ ჭილაძის არჯალი, მოურჩენელი სატკივარი და სეფე სათქმელი. მის ყოველ პროზაულ ქმნილებაში სამშობლოს სული და სახე ტრიალებს, ხან მხნე, დანმენდილი და გადაკარებული, ხანაც აჩრდილივით დალეული და დაბეჩავებული, გარეშეთა მზაკვრული ზრახვების გარემოცვაში მოქცეული და დაბნეული, მიუსაფარი...

„გოდორში" სხვა ქვეყნის სამოთხეზე არგასაცვლელი სამშობლოს უკვდავებისა და მარადიულობის საგალობლად აღევლინება ძალმომრეობას დანდობილ უგუნურთა (როგორც შინაურთა, ისე შორეულთა) გასაგონად „გამოუსწორებელი" პროტაგონისტის ჯიუტი შემართებით ნათქვამი ღირსსახსოვარი სიტყვები: „რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ჩვენს დროში, სამშობლოს სურნელს ვერ გაყიდი. სამშობლო იყიდება, მისი სურნელი კი არა. სურნელი მაინც აქ რჩება, გამოცარიელებულ სივრცეში, ნასამშობლარზე"...

გზა გაიხსნება, ან შეიკვრება...

აი, კიდევ ერთი ტევადი და მრავლისმეტყველი მეტაფორა, რომელიც ისევე ფესვეული, ორგანიული და განუშორებელია მწერლის სააზროვნო სივრცისთვის, როგორც სულდგმულთათვის ჟანგბადი და საკვები.

გზა, მანანა კვაჭანტირაძის დაკვირვებით, „მარტის მამლის" მხატვრული სივრცის უმთავრესი სახე-იდეაა".

გზა („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა") ის ძირეული, ფუნდამენტური ფენომენია, ნორმალური ცხოვრების აუცილებელი ნაწილი და წინაპირობა, ურომლისოდაც ყოველივე მკვდრულ მდუმარებასა და უძრაობაში დაიძირებოდა. გზა, ამასთან, სივრცული განზომილების ის კომპონენტია, ერთურთთან რომ აკავშირებს სამზეოს და ბუნდოვნად განათებულ მიღმა სამყაროს... გზა ახვედრებს სისხლის თუ სულისმიერ ახლობლებს; გზაა „ველთგასული" შვილის მომლოდინე დედის თვალთა

ამომღამებელიც და მისი გამხარებელიც; გზას ვუმადლით სასურველ ადამიანთან შეყრას და მასვე ვუგმობთ სწორფერთან თუ საფერ მეტოქესთან სამუდამო განშორებას. „გზა – ჩვენი ვნებების, წუხილის, სიხარულის ქედწახრილი, უტყვი მსახური" (მაკა ჯოხაძე). გზის გახსნა და შეკვრა რაღაც არსებითზე მიანიშნებს, ისეთზე, ყოველდღიურ ყოფაში რომ არ ხდება და არც შეიძლება ხდებოდეს – რუტინულ, უფასურ, ტრივიალურ მოვლენად რომ არ იქცეს...

მაგრამ, პოეტის თქმით, არის ისეთი გზაც, რომელიც „არსაიდან არსაით მიდის" (ნიშანდობლივია, ასევე, ფრაზა „გოდორიდან": „არარსებული გზების ძიებაა ადამიანობა") და, ალბათ, სწორედ ესაა ბედისწერული გამოუვალობისა და უსაშველობის, მომაკვდინებელი გაკენტების, თვითიზოლაციისა და უმიზნო, უსურვილო, ქაოტური მდგომარეობის ყველაზე ნეგატიური პარადიგმა.

გზის დასასრულთან, უპერსპექტივობის ზღუდესთან მისული შემოქმედის აფორიაქებულ გულსა და გონებას ეკლად ესობა აკვიატებული ფიქრი იმაზე, შეძლო თუ ვერა ვალის ბოლომდე მოხდა; ვალისა, რომელიც ტკბილ-მწარე სასჯელად დააკისრა დამბადებელმა ერისა და ბერის წინაშე.

1999 წლით დათარიღებულ ჩანაწერში ოთარ ჭილაძე უმკაცრესად, დაუნდობელი სისასტიკით, თვითკრიტიკის უკიდურესობით ეკიდება პირად ნაღვაწს, ნაწერს, როცა ამბობს: „დამთავრდა ჩემი მწერლობა – რაც დავწერე, ნაგავია, რისი დაწერაც მსურდა, ვერ დავწერე! ბასტა! ამოიწურა ძალღონე, დაწყდა წყარო, დაილია სანთელი, გათავდა პური... მიიწურა სიცოცხლე, როგორც ეს ნოემბერი..."

ძნელად მოიძებნება ქართული მწერლობის უმდიდრეს ისტორიაში საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევისა და ნაშრომ-ნამუშაკევის მიმართ გამოტანილი მსგავსი განაჩენი, მსჯავრი თუ ვერდიქტი. ოთარ ჭილაძის პოეზია, პროზა, ესეისტიკა თუ პუბლიცისტიკა სწორედაც რომ სრულიად სხვას, საპირისპიროს მეტყველებს. მისი თითოეული ფრაზა ხომ გულის გავლითაა სუფთა ფურცელზე გადატანილი. გაკვირვებაც გიპყრობს, რამ ათქმევინა ამგვარი რამ! ერთი ცხადია: რომ არა თვითგვემის ბადალი მომთხოვნელობა თავის თავისადმი და კიდეგანამდე გაცნობიერება მწერლობის უმაღლესი მისიისა და დანიშნულებისა, ასეთი უკომპრომისო, შეუბრალებელი, შეი-

ძლება ითქვას, უსამართლო თვითშეფასება თუნდაც სათავისო ჩანაწერებში იოლად არ გაჩნდებოდა.

ჯერ კიდევ როდის, ახალგაზრდობის ასაკში, წერდა ერთ ლექსში:

მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია
სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს...

ყოვლის ამხსნელი ერთადერთი სიტყვის მიგნება იყო, არის და იქნება ყოველი შემოქმედის, „სიტყვის ზნიანი" (ბ. ხარანაული) ყოველი კაცის აუსრულებელი სურვილი; სიტყვისა, „რომელსაც უფალი ჰქვია, რომელიც დღემდე ვერავინ ვერ თქვა". გამომსახველობით საშუალებათა არსენალსა თუ საბადოებში იმ ერთი გზიანი, მადლიანი, იღბლიანი სიტყვის ძიების დაუსრულებელი პროცესია მწერლობა. და როცა წამიერი ეჭვით განიწონება პოეტის გული და ილიასეული შეგონებაც – „კაცად მაშინ ხარ საქები" – შეახსენებს თავს, ალბათ მაშინ იბადება ტანჯვით და ტკივილით შექმნილი და გამშვენიერებული საკუთარი მხატვრული სამყაროს გაარაფრების მომენტალური განწყობილება...

ოთარ ჭილაძე „უსახო და უსახელო სიმრავლის სინონიმად" თვლიდა შესიტყვებას „ფართო მკითხველი". მისთვის „მწერალიც" საკრალური სიწმინდისა და ერთადერთობის განსახიერებად, უზენაეს ადამიანურ ინტერესთა მსახურების ნაბაყოფლობით „მსხვერპლად" გაიაზრებოდა. „მწერალს ყოველთვის სხვაზე მეტი მოეთხოვება და სხვაზე ნაკლები ეპატიება, – ვკითხულობთ წიგნში „ბედნიერი ტანჯული". – მისი ყოველდღიური გზა ადამიანის სულზე გადის და დაუფიქრებელი ნაბიჯით შეუძლია გამოუსწორებელი სიავკაცე ჩაიდინოს – სული ატკინოს ადამიანს!..."

მეც წავალ, ოღონდ
ცოტაც მადროვეთ,
ბარემ შევავსო ბოლო ფურცელიც...

თავდება გზა, ილიბრება ბილიკი, წყდება წავარნა და შეძლებისდაგვარად მოვალეობამოხდილი შემოქმედის სულს ისევ აღელვებს, აწვალებს, აწრიალებს და აფორიაქებს ნაქმ-

ნით და ნათქვამით საწყაულებრ აღუვსებლობის მტანჯველი განცდა; იცის, რომ წინ საუკუნო წყვდიადია, ღრმა და უკიდეგანო; ადრე თუ გვიან ბეწვის ხიდზე გადავლაც მოუწევს და, თუკი კიდევ შერჩენია უსალბუნო სინამდვილისთვის თვალში თვალის გასწორების ღონე და სურვილი, უნდა აღიაროს და ჩვეულებრიობად მიიღოს მოსახდენი...

მიშელ მონტენის დაკვირვებიდან: „უბირი კაცი გამოსავალს იმაში ეძებს, რომ ცდილობს საერთოდ არ იფიქროს სიკვდილზე".

შინაარსობრივი თანხვედრა ბლეზ პასკალის „აზრებთან": „ადამიანებს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ სიკვდილი, უმეცრება, უბედურება, მაგრამ ისინი ცდილობენ, არ იფიქრონ ყოველივე ამის შესახებ და ამ გზით მაინც ეზიარონ ბედნიერებას".

წიგნში „ნაყარ-ნუყარი აზრები" სიკვდილზე უშფოთველი ფიქრის უმთავრეს წინაპირობად ადამიანის ჯანმრთელობას თვლის პიერ რევერდი და იქვე ამასაც დასძენს: „თუკი, როგორც ამას უმრავლესობა ამტკიცებს, სიკვდილი მხოლოდ მარადიული ძილია, მაშინ სიცოცხლე მხოლოდ წამიერი უძილობა ყოფილა"...

გულუბრყვილობაა, მკვიდრი უხანო სოფლისა სიცოცხლის დღეთა ხელოვნურად გახანგრძლივებაზე ფიქრით იღლებოდეს და ღონდებოდეს. უზენაესის ნება მაინც ახდება და ამაო აღმოჩნდება კაცის ბჭობა. მთავარია, დარჩენილი მანძილის ღირსეულად დალახვაზე იზრუნოს მოკვდავმა; დაწყებული საქმის დასრულებას შესწიროს და შეალიოს თითზე დასათვლელი ნლები თუ დღეები; იფიქროს იმ ბოლო ფურცლის შევსებაზე, რომელიც მისი საამსოფლო მისიის რიგიანად აღსრულების ყველაზე ხელშესახები, მყარი და საგნობრივი საბუთი იქნება...

არვის ძალუძს სამარის კარის გახსნა და მოუსავლეთიდან ხელმეორედ მოსვლა (საპირისპიროში გვარწმუნებს ახალი აღთქმა: „სამარხები გაიხსნა და ბევრი განსვენებული წმიდას სხეული აღდგა" (მათ. 27,52); „მკვდარი წამოჯდა და იწყო ლაპარაკი; იესომ ჩააბარა იგი თავის დედას" (ლუკ. 7,15)...

ოთარ ჭილაძე, თავისი სულიერი წყობით, მოქალაქეობრივი მრწამსით და მომავლის შემოქმედებით, არაა „მასობრივი მკითხველის" მესიტყვე და „მესაიდუმლე". მისი აზროვნების მასშტაბი ელიტარულ, ინტელექტუალურ, სათანადოდ

აღზრდილ და მომზადებულ მკითხველზეა „გათვლილი". გადამკითხველისთვის ბევრი რამ და, ალბათ, არსებითიც, მიუწვდომელი და გაუგებარი აღმოჩნდება მის პოლითემატურ, მრავალგანზომილებიან რომანებში...

იცოდა ეს და თავის ესეებსა თუ დიალოგებში ხშირად ახდენდა მწერლისა და მკითხველის ურთიერთობის საკითხზე ყურადღების კონცენტრირებას...

მკითხველთა ნდობის მოპოვება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბოლომდე შენარჩუნება, მწერლისგან დიდ შინაგან ღიაობასა და სიწრფელეს მოითხოვს. ო. ჭილაძემ ეს შეძლო და შეძლო, უპირველეს ყოვლისა, ფორმალური ძიებებისგან და ლამაზი სიტყვებითა თუ ყალბი სამკაულებით თვითმიზნური აპელირებისგან მაქსიმალური გვერდის ავლით...

როცა საუბარია ბოლო ფურცლის შევსებაზე, აქ მხოლოდ შემოქმედებითი შრომა, ტექსტის მთხზველობა არ უნდა იგულისხმებოდეს. ბოლო ფურცელი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მომავალ თაობებზე პრაქტიკული ზრუნვის უკანასკნელ ეტაპსაც მოიცავს; ეტაპს, როცა კიდევ ერთხელ ხდება წლების წიაღში გაბნეული პირადი ცხოვრების ღირსეული თუ ხარვეზოვანი მხარეების აღნუსხვა და დახარისხება; დაჯამება და შეფასება ნაბიჯებისა, მოყვასის სარგოდ და სასიკეთოდ რომ გადაგიდგამს.

აფხაზეთის ომის შემდგომ შემდგარ ერთ დიალოგში მწერალი აღნიშნავს: „ყველაზე მძაფრად ახლა ვგრძნობ იმ ადამიანების სიდიადეს, რომლებმაც თავიანთი ნილი სიცოცხლე იმყოფინეს მიზნის მისაღწევად".

ძნელია, ამაზე უკეთ, ლაკონიურად და ამომწურავად გამოხატო მადლიერება მათ მიმართ, ბოლომდე გახარჯვას რომ ახერხებენ მშფოთვარე თუ მშვიდობიან ცხოვრებაში და წვდებიან მიზანს, რომელიც, მრავალგზის ნათქვამი რომ გავიმეოროთ, „სიცოცხლეზე მეტია"...

ოთარ ჭილაძე თავისი მწერლური მოწოდებით უპირისპირდებოდა და შეუპოვრად ებრძოდა „გაუთავებელი შუღლისა და ქიშპის ბუდეს, სადაც სიცოცხლე სასჯელად გვექცევა და სიკვდილი სანატრელი გაგვიხდება" (შდრ.: „სიცოცხლე – სასჯელის უმაღლესი ზომა" – ო. ჩხეიძე, „ამაღლება"; „სიცოცხლე უფრო დიდი სასჯელი ყოფილა, ვიდრე სიკვდილი" – ჯ. ქარჩხაძე, „ზებულონი"; „დასჯით დამსაჯა უფალმა, სიკვდილს კი არ მიმცა" – ფს. 117.18)...

ღვთით ნაბოძები ერთჯერადი სიცოცხლე აუტანელ ტვირთად და მძიმე სასჯელად იქცევა მაშინ, როცა თავისუფლებაშეზღუდული უმწეობის გალიაში გამოიკეტები და უშედეგოდ ცდილობ უამური ტყვეობიდან თავის გამოხსნას, წინააღმდეგობის გარღვევას, გადალახვას და პიროვნული სუვერენიტეტის აღდგენას...

ყველაფერი, რაც მატერიალურ ფასეულობებთან ასოცირდება, დროებითია და წარმავალი. მიდის დრო და თან მიაქვს წასაღები. როგორც თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში წერს პოეტი:

ეს შემოდგომის დღეებიც წავლენ,
ხსოვნას შერჩება ათასში ერთი...

ხოლო სულში მთელი სიმძიმით ჩაწვებიან

დღეები უკვე გადატანილი.

თვით დროის ნამდვილობასა და ლეგიტიმურობაშიც კი ყოფილა შესაძლებელი ეჭვის შეტანა. ერთ სწავლულს თუ დავუჯერებთ, „დრო, როგორც ასეთი, არ არსებობს. ჩვენ მოვიგონეთ იგი ცხოვრების გასაადვილებლად; ჩვენი ცხოვრება – ეს ერთდროულად წამი და უსასრულობაა“ (ივ. ნეუვიმაკინი).

ასეა თუ ისე, დროთა ცვლა და შეუჩერებელი დინება თავის ანაბეჭდებს ტოვებს ლექსის ლირიკული პერსონაჟის სულის უიდუმალეს ხვეულებსა და ლაბირინთებში. რაკი ყოველივე დროსა და სივრცეში ხდება ანუ ქრონოტოპის ჩარჩოშია ჩასმული, ცხოვრებაც, ბუნებრივია, დასაზღვრულობის მიმართ აღმოცენებული იმ საპროტესო მუხტითაა აღვსილი და გაჯერებული, მეტ-ნაკლები ინტენსიურობით რომ არსებობს და მიმოიქცევა ნებისმიერი მოკვდავის არსებაში...

„ავად თუ კარგად, ყველაფერი მთავრდება. ალბათ სიკვდილიც. შეიძლება სიკვდილის ღამეც გათენდეს ოდესმე“.

მწერლის ამ სიტყვებს, ამოღებულს რომანიდან „მარტის მამალი“, საინტერესო ანალოგები ეძებნება ხალხურ პოეზიაში.

ნარჩევი ახლობლების უდროოდ დაკარგვით გულმოსული ჭირისუფალი ხმით ნატირალში ასე მიმართავს სულიერთა მმუსვრელ უსხეულო არსებას:

სიკვდილო, თვალითამც აგაჩინაო,
კლდეში ჯიხვადამც შაგაყენაო,
მემრ მენადირენ შაგიყარნაო,
შენ თავიმც ანადირებივაო.

ანდა:

ნეტავ სიკვდილისამც მისცა შვილი,
იმას სხვა სიკვდილ შამაჰყარა.
იქნებ წეს გამაიცვლებოდა,
იქნება გაისვენებდ გული.

ესეც ხომ სასურველი სინამდვილის განუხორციელებელი, უტოპიური, მეტაფიზიკური ვარიანტია, მგლოვიარე გულების „მოფქვას“ და მოოხებას რომ ემსახურება და საერთო არაფერი აქვს ცდით და პრაქტიკით დამოწმებულ ფაქტობრივ სინამდვილესთან...

ბოლო ფურცლის შევსებას, როგორც ავტორი იმედოვნებს, სიმარტოვის და ამოუხსნელი ფორიაქის ამოწურვა მოჰყვება.

და ამოვწურო ეს სიმარტოვე,
ეს ფორიაქი ამოუხსნელი...

სიმარტოვე ოთარ ჭილაძის პიროვნული სახის ერთი უარსებითესი მახასიათებელია; მისი ფიქრიანი ყოფის დამღა და ადეკვატური ფორმაა; კონფორმიზმისგან, სოფლის მომაბეზრებელი ხმაურისგან თუ უგზო სვლისგან განაპირების, თავისა თვისისა მტკიცედ მოზღუდვის ხელშემწყობი არენა და სარბიელია...

ეშმაკმა იცის, რას ფიქრობს კაცი,
როცა მარტოა საკუთარ თავთან...

– წერდა პოეტი 1964 წელს.

განცდა სიმარტოვისა ასაკის მატებასთან ერთად მკვეთრდება და ძლიერდება (ო. ჭილაძე „სიყვარულის პოემაში“ გასაგებად მონიშნავს საკუთარ ადგილსა და ავტოპორტრეტს სააქაო ყოფაში: „შენ კი იდექი უსახო ბრბოში, როგორც სარდაფში მკრთალი სანთელი“. სხვაგან: „...და უკვე დროა, მიხვდე, იწამო, სიმარტოვისთვის ხარ გაჩენილი“).

სიმარტოვე ვისთვის ტკივილთა მომტანია და ვისთვის – შვებისა; სულიერი ენერგიის მობილიზებისა თუ კონცენტრაციის საუკეთესო გზა და საშუალება...

ლექსიდან „მოხეტიალე კუნძული“: „სული იზრდება სიმარტოვეში, მე მესმის, როგორ იზრდება იგი და ვხედავ, როგორ იკეთებს ყვავილს და როგორ მიაქვს მზისკენ ყვავილი, გაქვავებული კოცონის მსგავსი“.

მშვიდი სიბერის მოპოვების ქმედით ფაქტორად ასახელებდა სიმარტოვეს ნობელის პრემიის ლაურეატი, კოლუმბიელი მწერალი გაბრიელ გარსია მარკესი. „მარტოობის ას წელიწადში“ ვკითხულობთ: „...ჩუმი და გულჩახვეული პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ხედავდა, ახალი, მისთვის უცხო ცხოვრებით ივსებოდა სახლი და თანდათან ხვდებოდა მშვიდი სიბერის საიდუმლოებასაც – თუ სიბერეში სიმშვიდე გსურს მოიპოვო, ერთგულად უნდა დაუმეგობრდე მარტოობას“.

სიმარტოვის ამოწურვა სიცოცხლის დასასრულით არის შესაძლებელი. სხვა გზა, სხვა ხერხი და გამოსავალი არ არსებობს. აღსასრული უსვამს წერტილს ყველა ამქვეყნიურ ვნებასა და ფორიაქს. ხოლო მანამდე ჯოჯოხეთის კარიბჭეები და ტანჯვის აღმართებია უკან მოსატოვები; ტანჯვისა, სულიერად რომ აწრთობს, წმენდს და ასპეტაკებს ღირსებასრულ ადამიანს.

არტურ შოპენჰაუერის აზრით, „ტანჯვა დადებითია, პოზიტიურია, ბედნიერება კი პირწმინდად ნეგატიური მოვლენა გახლავთ“.

ტანჯვის „უპირატესობას“ აღიარებს ვოლტერიც: „ბედნიერება ზმანებაა, რეალურია მხოლოდ ტანჯვა“...

(ეპოქაში, როცა ცუდ, მავნებლურ ტონად ითვლებოდა კაცებრივ დარდსა და ტანჯვაზე არათუ წერა, ფიქრი და პირადი საუბარიც კი, ცენზურა სამაგალითო სიბეჯითით ცდილობდა და ახერხებდა კიდეც ქართული პოეზიის „განწმენდასა“ და გათავისუფლებას საბჭოური იდეოლოგიისთვის შეუფერებელი ამ გაწყობისა თუ სულისკვეთებისაგან.

მამაჩემისთვის ნასახსოვრებ პოეტურ კრებულში „მოკრძალება“ ერთ-ერთ ლექსს აბოლოებს ავტორის – გაბრიელ ჯაბუშანურის უდახვეწილესი კალიგრაფიით შესრულებული მინაწერი:

რადგან, როს გდის სისხლი გულზე,
გვერდს აგივლის ეშმაც რიდით,

რადგან ტანჯვა სიხარულზე
არის ასგზის ჭეშმარიტი.

და იქვე: „P.S. ეს მთავლიტის „სიფხიზლეა!"

სიყმანვილის წლებში არ მესმოდა, რა ბრალი მიუძღოდა ვიღაც მთავლიტს პოეტის წინაშე. მოგვიანებით მივხვდი, რაში იყო საქმე და გავიგე ისიც, რის გამო ჰყავდა ჩაყენებული მწერალთა კავშირის მაშინდელ ხელმძღვანელობას „არაკეთილსაიმედო" შემოქმედთა რიგებში გაბრიელ ჯაბუშანური).

.....

სიმარტოვესთან განდობა და დამეგობრება, დაახლოება და დაძმობილება ოთარ ჭილაძისთვის საწუთროს იოლ სიამეებზე უარის თქმასაც ნიშნავდა; მოკლებას იმ კომფორტისა, ცრუ, შემპარავ საცთურთა თუ ნივთიერ და ობივატელურ კეთილდღეობათა, რის გამო ბევრი მისი თანამედროვე ზნეობრივად დაცემულა – ბილწთაც შეჰკვრია ზავით და ეშმაკთანაც გაუფორმებია კაბალური თუ კაპიტულანტური ხელშეკრულება.

მარტოობასთან დაწყვილებული ფორიაქიც უაღრესად ფაქიზი და მგრძნობიარე სულის გარეგანი გამოვლინება იყო, რასაც, თავის მხრივ, ერთიორად ამძაფრებდა და ამრავალკეცებდა ყოფითობის ყრუ, შეუსმინარ კედლებთან უშედეგო ლაპარაკი და ქვეყანაში მიმდინარე ქუფრი მოვლენების სახიფათო ხასიათი.

მოჩვენებითი სიმშვიდისა და უმშფოთვარო შემოქმედებითი ცხოვრების სცენაზე პირადული თუ საზოგადოებრივი მდგომარეობით განპირობებულ ძალუმ განცდათა აშარი ქარიშხლები ბობოქრობდნენ; ქარიშხლები, რომელთა წამლეკავი ძალის შეჩერება და დაშოშმინება ისევ და ისევ აღთქმული ქვეყნის თავზეხელაღებული მაძიებლის შეუპოვრობით, საწერ მაგიდასთან კატორღული შრომით და სულიერი თუ ფიზიკური ენერგიის უშურველი, უშეღავათო ხარჯვით იყო შესაძლებელი.

მოწყენილობისთვის, როგორც ყველა ჭეშმარიტ მწერალს, ალბათ, არც ო. ჭილაძეს ჰქონია დრო და მოცალეობა. მის შემძვრელ ტრანსცენდენტულ ძალას უფრო ურვა და წუხილი ეთქმოდა; წუხილი, რაც, ნიკოლაი ბერდიაევის განმარტებით, „უმაღლესი სამყაროსადმი არის მიმართული და თან ახლავს ამა სოფლის არარაობის, სიცარიელის, ამაოების განცდა". თვითშემეცნების ურთულეს საკითხებზე მომუშავე იმავე

მკვლევარის აზრით, „მოწყენილობის სიცარიელეზე უფრო უიმედო და საშინელი არაფერია. ურვაში იმედია, მოწყენილობაში – უიმედობა"...

პოეტის პირადი ცხოვრება, ისეთივე დარდიანი და დაუდგრომელი, როგორიცაა ცხოვრება, ზოგადად, კაცობრიობის გონიერი, ინტელექტუალური ნაწილისა, ერთი გაბმული, გაუთავებელი, დაუსრულებელი ტანჯვაა. „ადამიანი მოწაფეა და ტანჯვა მისი მასწავლებელი; სისხლით იწერება ისტორია და ცრემლებით ირეცხება საუკუნეები; რაც არის, ყველაფერი ტანჯვაა და ვინც იტანჯება, ის მარადიულს ხედავს წარმავალში" (კ. კაპანელი).

წარმავალში მარადიულს ეძებდა და ხედავდა; თანამედროვეებზე გაცილებით მეტად წუხდა, ევნებოდა და იტანჯებოდა; ბედს უჩიოდა, ემდუროდა და ვიწრო კლდე-ღრედან ფართო ასპარეზზე გაღწევას ნატრობდა, ელტვოდა... ამიტომაც უწოდა ოთარ ჭილაძემ „უკიდეგანო ქარიშხლის მხედარს" – ნიკოლოზ ბარათაშვილს – „ბედნიერი ტანჯული"...

სიმარტოვე – ერთსა და იმავე დროს ნებაყოფლობითი ასკეზიც და საკრალური თავშესაფარიც – გარკვეული ასპექტით, ტანჯვასთან წყვილდება და ასოცირდება; ტანჯვასთან აბამს უხილავ სიმს... და როცა ხდება ერთ დროს დიდებით მბრწყინავ და თვალისმიმტაცად მოელვარე ღირებულებათა დამდაბლება, დავიწყება და უცხოეთიდან შემოსულ სიახლეთა სახელით გზიდან ჩამოშორება, შემოქმედის ცხოვრებაში უიმედობის, უსასოობის, პესიმისტური განწყობილების უნდობარი ჟამი ჩამორეკავს...

გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს,
რითაც დროს ვკლავდი და თავს ვირთობდი...

დროის კვლასა და გართობაში, არაა გამორიცხული, უაღრესად პირადული, კამერული, ინტიმური მომენტებიც იგულისხმებოდეს, მაგრამ არც იმის თქმა იქნებოდა მართებული, რომ ავტორი საკუთარი ცხოვრების მხოლოდ პიკანტურ, ბოჰემურ, სათავგადასავლო მხარეებს „მისტირის" და ამგვარ ვარაუდს ნაწილობრივ მაინც ამყარებს ლექსის მომდევნო, ბოლოსწინა სტრიქონი:

მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს.

როგორი ცხოვრება არ შეიძლება სურდეს პოეტს?

ისეთი, რომელიც (ვიმედოვნებ: მკითხველი ამ უწყინარ სინტაქსურ ცოდვას არცოდნაში არ ჩამითვლის!) დაცლილი იქნება შემოქმედებითი შთაგონებისგან, მოუწყინარი და შეუსვენებელი შრომისგან, სიტყვით ტკბობისგან, თრობისგან და ყოველივე ამით გამოწვეული გაუნელებელი ტანჯვისგან... არ უნდა სურდეს ისეთი ცხოვრება, სულის ხემსივით რომ დაუძვირდება და შემოაკლდება თანამოსაგრედ გულვებული მკითხველის ნდობა და სიყვარული... ალბათ არც იმგვარ დრო-ჟამში ისურვებდა ყოფნას, როცა კაცობრიობის „სულის ეროზია"პიკსა თუ კრიტიკულ ნიშნულს მიაღწევს და მწერლის სიტყვის მომლოდინეთა, გამგონთა და გამგებთა რიცხვი საგანგაშოდ დაცოტავდება...

„გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს" – პირდაპირი ნახმევი და ბუნებრივი გაგრძელებაა განწყობილებისა, ამ ორი ათეული წლის წინათაც რომ აწუხებდა და აწამებდა ლექსის ლირიკულ გმირს:

აღარაფერი არ დარჩა ირგელივ,
თვალმა და სულმა იცნოს თავისად...

(გალაკტიონსაც ხომ ეს სევდა და სატკივარი არ ასვენებდა, ბედისწერასავით მწარე და მოუშორებელი, ლამის სასოწარკვეთილების სიმწვავით რომ ალაპარაკებდა:

...მიდიოდე და ამბობდე:
ეს არ არის საქართველო!..)

რიტმულ-ინტონაციური თვითგამეორების საყურადღებო ნიმუში: სტრიქონი „რითაც დროს ვკლავდი და თავს ვირთობდი"ძალაუნებურად გვაგონებს სტროფს ო. ჭილაძის ადრინდელი ლექსიდან „შემოდგომის პირველი დღე":

...გაგვახსენდება მთელი სიცხადით,
რასაც ვეძებდით ანდა ვკიცხავდით,
წამოგვეწევა ჩამქრალ კოცონთან,
რაც არ მოგვწონდა ანდა მოგვწონდა...

განწყობილებათა გრადაციას, უმდგრადობასა და ცვალებადობას თან სდევს პესიმისტური ნოტებისა და ნაკადების გაჩენა პოეტის მედიტაციებში; პესიმისტურისა, რომელიც, თავისი არსით, არჩილ ჯოჯაძისეული დიფერენცირებით რომ ვისარგებლო, ფილოსოფიურია და არა სოციალური... და პრესიმიზმის მატებად, აღმავალ ხასიათს უსათუოდ ისიც იწვევს და უწყობს ხელს, რომ შემოქმედს არ შეუძლია (პერსონალური კონსტიტუცია არ აძლევს უფლებას!), თუნდაც მცირედით შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი, უგანოს და განუდგეს მრწამსს, რასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ერთგულებდა და ემსახურებოდა...

ის, რაც პოეტის ცხოვრების შნოიან შინაარსს, აზრსა და გულისგულს შეადგენდა, დროთა სვლაში გაფერმკრთალდა და ხსოვნის დამტვერილ თაროებზე ჩამოლაგდა. იცვალნენ დღენი, თვენი და წარსულმა წაიღო, წაიწილკერძა სანუკვარი საკეთებლის საჩინო ნაწილი, ურომლისოდაც გაუსაძლისი გახდა ამ ტიალ, ჟამიერ სოფლად ყოფნა. საკუთარი ნაღვაწის ეჭვის თვალით ზომვაც ის „ქრონიკული" სენია, ჭეშმარიტ ხელოვანთა განუყრელ თანამგზავრად რომ მოიაზრება ოდითგან... რაც უფრო დიდია მწერალი, მით ხშირად უწევს სკეპსისისთვის დამხვდურობისა და მასპინძლობის გაწევა. მისთვის თვითკმაყოფილების განცდა ერთობ შორია და მიუღწეველი. მაძიებელი გონება უსასრულო სივრცეებს მოინიშნავს და მიღწეული ქრთილისოდენად უჩანს (თუ ეჩვენება?). ხოლო სული, „როგორც სანთელი, საკუთარ სხეულს წვავს და ანთია"... და რწმენა იმისა, რომ „მწერლები სიკვდილის მერეც აგრძელებენ ბრძოლას", ბუნებით მეჭველ და „ჭირვეულ" პიროვნებას უიმედობისთვის ბოლომდე დანებების, პასიურობისა და ფარ-ხმლის აყრის ნებას არ აძლევს...

პირად ბარათში, რომლის ადრესატია რიმი რომანელი, რაინერ მარია რილკე წერს: „სიცოცხლე ნაწილობრივ უკვე შეიცავს სიკვდილს და მიკვირს, ადამიანებს რად უჭირავთ თავი ისე, თითქოს ეს არ იცოდნენ. დიახ, შეიცავს სიკვდილს, რომლის დაუნდობელ აქ ყოფნას ყოველ უმცირეს ცვლილებაშიც შევიგრძნობთ და ვცდილობთ დავძლიოთ იგი, რადგან საჭიროა ვისწავლოთ ნელი სიკვდილი. საჭიროა სიკვდილი ვისწავლოთ. მთელი ცხოვრება ეს არის და ეს, სხვა არაფერი. თავიდანვე უნდა მოამზადო შედევრი უზენაესი და ამაყი სიკვდილისა, სი-

კვდილისა, რომელშიც შემთხვევითობას წილი არა აქვს, კარგად შემზადებული, უზადო, ნეტარი სიკვდილი, ისეთი, როგორსაც წმინდანები ქმნიდნენ, სიკვდილი, რომელიც დიდხანს მწიფს და თვითონ აქრობს თავის საზარელ სახელს".

ოთარ ჭილაძე, მსოფლიოს სხვა დიდ მწერალთა დარად, მთელი თავისი სამაგალითო, არაორდინარული ცხოვრებით ემზადებოდა ლამაზი, ღირსეული, „დამსახურებული" აღსასრულისთვის.

მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა შთამბეჭდავია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით.

როცა პოეზიის სამანები ევიწროვა, სათქმელმა გამოხატვის შორსმწვდომი მასშტაბები დაისაჭიროვა და ბრწყინვალე რომანების სახით გააცოცხლა ავტორის მახვილი თვალით მოხილული ეროვნული სინამდვილის ფერადოვანი, კონტურებმკვეთრი პანორამა...

ღონივრად ვალმოხდილ, ცასთან და მიწასთან პირსწორ კაცს მაინცდამაინც აღარ უნდა უმძიმდეს მიწიერ სიცოცხლესთან გულსუწადინო დამშვიდობება და სამუდამო განშორება. „კაცისთვის, ვინც ნახა ეს ცხოვრება, არაფერია სიკვდილი" (ალბერ კამიუ).

ვინც შეიცნო და დააფასა, ყაირათიანად მოიხმარა და გააშინაარსიანა დამბადებლის მიერ ნაბოძებ დღეთა სათვალავი, შედარებით მშვიდად შეხვდება და შეურიგდება ბედის ბოლო გადაწყვეტილებას. ლუციუს ანეუს სენეკას, დიდი მორალისტისა და ფილოსოფოსის, თეზა რომ გავიხსენოთ, „სიცოცხლე მხოლოდ მაშინაა მოკლე, როცა არ იციან მისი გამოყენება".

რეალისტური ხედვა და აღქმა გამორიცხავს (უნდა გამორიცხავდეს) წარმავალი ცხოვრების უცვლელი წეს-კანონებისადმი ურჩსა და პრეტენზიულ დამოკიდებულებას...

ოთარ ჭილაძეს აღმოაჩნდა სულის სიმხნევე და სიმამაცე, შინაგანი შემართება და გამბედაობა, უარეყო მისთვის პრინციპულად მიუღებელი უცხო ცხოვრება და მშვიდი სიდარბაისლით მიემართა რიცხვმრავალი მკითხველისთვის, ნაცნობ-უცნობისთვის, სრულიად საქართველოსთვის:

კარგად იყავით. გმადლობთ. მშვიდობით.

(სხვა, 1967 წელს დანერილი ლექსიდან: „ბედნიერი ვარ. მადლობთ. ნახვამდის...").

უკვდავების წინაპირობა რომ სიკვდილია (სტანისლავ ეჟი ლეცი), ეს მარტივი ჭეშმარიტება არახალია, ძველია.

ოთარ ჭილაძის სახელის უკვდავება და მისი შემოქმედების ახალი, მარადიული სიცოცხლე, თუკი, რასაკვირველია, ისევ იარსებებს თავის რჩეულ შვილთა ამაგის დამფასებელი, მომსმენი და დამნახავი საქართველო, ახლა იწყება.

P.S. „მწერლის გაზეთში" (№14, 2009) ამოკითხულმა ცნობამ, რომ „რაც არ ყოფილა..." ოთარ ჭილაძის ბოლო ლექსია, გაცნობისთანავე განმაწყო საიმისოდ, შემოქმედის შედეგიანი მოღვაწეობის მართლაც დამამთავრებელ აკორდად აღმექვა და გამეაზრებინა იგი...

თამაზ ჭილაძის შესანიშნავ ბოლოსიტყვაობაში „კიდევ ერთი ბედნიერი ტანჯული", რომელიც ახლახან გამოქვეყნებულ ო. ჭილაძის „ლექსებსა და პოემებს" (გამომცემლობა „პეგასი") ერთვის, ვკითხულობთ:

„ბოლო დროს თავის საყვარელ აივანზე გადიოდა ზოგჯერ. დიდხანს უცქერდა დარიაჩანგის ბაღივით მშვენიერ და დარიაჩანგის ბაღივით განწირულ ვერეს ხეობას. რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე საავადმყოფოში წაიყვანდნენ (როგორ არ უნდოდა წასვლა!), ჩემს ოთახში შემოვიდა და მითხრა, აბა, ჩართე შენი დიქტოფონიო და ლექსი მიკარნახა... უკანასკნელი:

მე კარგად ვიცი რას ველოდები,
მაგრამ არ ვიცი, რა მელოდება
და ამიტომაც ჩემი ცოდვები
მიუტევებელ რჩება ცოდვებად...

„რაც არ ყოფილა..." შეტანილია ზემოხსენებულ კრებულში და დათარიღებულია 2007 წლით, ხოლო ავტორის კარნახით დიქტოფონზე ჩაწერილი „მე კარგად ვიცი" 2009 წელს განეკუთვნება.

2008 წელი „ცარიელია".

ასე რომ „რაც არ ყოფილა" ოთარ ჭილაძის არა ბოლო, არამედ ბოლოსწინა (შეიძლება ბოლოსწინისწინაც!) ლექსი აღმოჩნდა, თუმც მისი სათქმელი და შინაარსი ზედმიწევნით ერწყმის და ესატყვისება პოეტის ცხოვრების ფინალურ განწყობილებას...

„მწერლის გაზეთში" ნებით თუ უნებლიეთ დაშვებულ უწყინარ კაზუსს ვუმადლი იმას, რომ კიდევ ერთხელ დამაბრუნა ოთარ ჭილაძის სათანადოდ შეუფასებელ შემოქმედებით მემკვიდრეობასთან და მომანიჭა სიამოვნება, რომლის მსგავსს სტუდენტობის წლებში, გამომდინარე ასაკიდან, ადამიანი ნაკლებად განიცდის.

„ზეცას მიდიან საქართველოს დიდი მხედრები“

ანდრონიკაშვილების გვარის შვიდი თაობის მხატვრული ისტორია, მოთხრობილი მიხო მოსულიშვილის მრავალგანზომილებიან, უაღრესად საგულსხმო რომანში „უჟამო ჟამის რაინდი“, ავბედითი ამბებისა და მოვლენების ისეთ წახნაგებს ნამოსწევს და წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის არცთუ ისე შორეული წარსულიდან, ძალდაუტანებლად რომ იჭრებიან, იბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში და კიდევ ერთხელ მიმართავენ მის მზერას წაღმა-უკუღმა მბრუნავი სანუთროს მისტიკური იდუმალებით მოცული სიღრმეებისაკენ...

ცხოვრების გამუდმებულ დუღილსა და ორომტრიალში ლამის თხემამდე დაძირულ ერს არ აქვს იმის არანაირი უფლება, მიივიწყოს და უყურადღებობის უკაცრიელ კუნძულებზე გარიყოს მოაქჟამამდე გამოვლილი გზის თვით უმცირესი მონაკვეთიც კი, გინდაც ერთი გოჯისა თუ ნაბიჯის ოდენა, თუკი სურს, თავისი ნამდვილი სახით ჩანდეს ცოდვითდაცემულ კაცთა მოდგმის საერთო ფონზე და ფერხულში.

ბევრჯერ შეყრილა ივერიის ცაზე პირაშკმული საავდრო ღრუბელი; სისხლის ცხელ წვიმებს გადაუვლიათ მის მაღლობებსა თუ ვაკე-ველებზე და, ღვთის ნებით, უკიდურესი განსაცდელის ჟამს, გამოჩენილა გმირი, სამშობლოს ერთადერთობის შეგნებით გათანგული და გულანთებული მეომარი, ვისაც გეზგამრუდებულ და გზადაკარგულ თვისტომთა თავკაცობა და მეოხმყოფობა უდევია თავს...

გმირის დაბადების მტანჯველად მტკივნეული განცდა, წინამძღოლის ზეგარდმო მადლით ცხებული პერსონის გარდაუვალი მოვლინების რწმენა და იმედი უცხო და უცნობი არასდროს ყოფილა ჩვენი ხნოვანი სიტყვაკაზმული მწერლობისათვის...

რაინდი უჟამო ჟამისა, ვინც უნდა იტვირთოს გოლგოთაზე ასტანი ჯვარის „საამური“ სიმძიმე, ჩანს და არცა ჩანს, ისევე, როგორც არსებობს და არც არსებობს ის სამოსახლო, ანდრონიკაშვილებისა და სხვა საჩინო საგვარეულოთა სოფელი, — თავისი განუმეორებელი ისტორიით და სიძველის გაუნელებელი სურნელით, — რომლისთვისაც ძალზე ზუსტი, ზედგა-

მოჭრილი და ერთობ მეტყველი სახელი „არჩანდა“ დაურქმევია რომანის ავტორს.

ფაქტობრივად, აქ, არჩანდაში, იწყება ხიფათიან-ხლართიანი, ნარეკლიანი, ღადე-ღუდე გზა და, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, აქვე მთავრდება; იკვრება წრე და ამ წრეშია მოქცეული დღოჟამული განზომილების თვალსაზრისით საკმაოდ ვრცელ სარბიელზე განფენილი დიდი თუ მცირე რეზონანსის მოვლენათა მონაცვლეობა და არასწორხაზოვანი დინება...

„იჟამებს ჟამი, იხანებს ხანი, იდროებს დრო და...“

კონკრეტულ საგნობრიობაზე მინიშნებას მოკლებული ეს ფრაზა რეფრენივით გასდევს მთელ რომანს და მოიარებით შეგვახსენებს, რომ ამქვეყნად მდგრადი, დაუღლელი და უცვეთი არაფერია; რომ ყველაფერს აუხსნელი ბედისწერის უხილავი ხელი მართავს; რომ მეტისმეტად მყიფე, მოჩვენებითი და ეფემერულია ადამიანური ბედნიერება; რომ მიწყივ წინმსწრაფი დროის ხან დაწმენდილი და ხანაც მღვრიე მდინარე შეუჩერებლივ მიდის და მიარღვევს თავის კლდოვან ნაპირებს, ნაპრალებს და დაუნდობლად მუსრავს ყოველივეს, რაც მისი კანონზომიერების ჩარჩოებში ვერ ჯდება, ვერ თავსდება...

რომანში ახალი დროის თითქმის ყველა პერსონაჟს თავისი პროტოტიპი ჰყავს, რომელთაც ავტორი შესანიშნავად იცნობს (ანდა იცნობდა) და, ამდენად, სულაც არ სჭირდება ისეთი რამის შეთხზვა და გამოგონება, გაზღაპრება და გაზვიადება, რაც მათ ინდივიდუალურ სახე-ხასიათებს არ ესატყვისება; რაც სინამდვილეს გაამრუდებს და ყალბ ნოტებს შეიტანს სიუჟეტის დინამიურ განვითარებაში (დაკვირვებულ მკითხველს ალბათ არ გაუძნელდება თავზეხელაღებული ბიჭების ქცევასა და მოქმედებაში გია ჭანტურიას, ზურაბ ჭავჭავაძის და ეროვნული მოძრაობის სხვა თვალსაჩინო ლიდერთა პიროვნული ნიშან-თვისებების ამოცნობა).

ფარული ორგანიზაცია „გიორგი“ და ამ ორგანიზაციის წევრები – ვაჩე ანდრონიკაშვილი, გელა ჯორჯიკია, დაჩი ოჩიაური, ესიკო ისარლიშვილი, კახა და ჯონდო იამანიძეები – მიზნად ისახავენ „მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის გზით“ რუსეთის მართვა-გამგეობისაგან სამშობლოს განთავისუფლებას. მათი კონსპირაციული საქმიანობა – ჟურნალ „ამი-

რანის" გამოცემა, პროკლამაციების გასავრცელებლად მზადება და საიდუმლო შეკრებები – მსხვერპლზე დაგეშილი და უნდობლობაზე დაფუძნებული უშიშროების ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია. მართლმორწმუნე რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის ერთგულ ჩინოვნიკებს პირადი კეთილდღეობა და სამსახურებრივი კარიერა ბევრად მეტი უღირთ, ვიდრე ღირსებაშელახული ქვეყნის ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამიტომაც დარაჯობენ და კვალდაკვალ მიჰყვებიან სულფონ მომავალზე მეოცნებე, უკანდახევას უჩვევი ახალგაზრდების ყოველ ნაბიჯს; მალულად უთვალთვალებენ, სდევნიან, მათ „აყვანას" გეგმავენ და წინდაწინ ტკბებიან თავიანთი ჟანდარმული მოღვაწეობის მომავალი შედეგებით...

ხუთწლიანი პატიმრობიდან თბილისში დაბრუნებული ვაჩე (თიკუნად – „ლორდი") ანდრონიკაშვილი გამოცდილი კაცის თვალით უმზერს, ზომავს და აფასებს ქვეყნის ბედსა თუ უბედობას, პოლიტიკურ ატმოსფეროს, თავისი მეგობრებისა და თანამოაზრეების საქციელს, საქმიანობას... მას შესწევს საიმისო ძალა და ნებისყოფა, მაცდურ წინადადებაზე უარი თქვას, ცივი გონებით განჭვრიტოს მოსახდენი, გულისთქმას არ აჰყვეს, წამიერ თავდავიწყებას მორალური სისუფთავე ამჯობინოს და საკუთარი ნიჭი, სულიერი ენერგია და ციხის აუტანელ პირობებში შეძენილი გამოცდილება ძმადშეფიცული თანატოლების სანუკვარი სურვილის ასრულებას მოახმაროს.

ვაჩე ანდრონიკაშვილი ჯიშიანი მოდგმის ღირსეული წარმომადგენელია.

მის წინაპარ-წინამორბედთა შფოთიანი ბიოგრაფიები აღსავსეა ჰეროიკული სულისკვეთებით და უნებლიე მარცხით, საარაკო გამარჯვებებით და სამარცხვინო ფურცლებით...

მალხაზი, იოანე, არჩილი, სოლომონი, სუსლიკა, პაატა, ვაჩე, პაპუა... ყოველი მათგანის თავგადასავალი ხან ირიბი და ხანაც პირდაპირი ანარეკლია იმ ჭირვეული ჟამისა, როცა მათ მოუწიათ ცხოვრება და თავიანთი შესაძლებლობების გამომჟღავნება, სულიერი ძალ-ღონის მიმართვა ქვეყნის სარგოდ თუ საზიანოდ.

მწერალ-მემატიანეს რჩეული ანდრონიკაშვილებისათვის „შიშიონები" შეურქმევია, რაც ომში მათ სიჩაუქეზე, უდრეკო-

ბაზე და მტერზე დამზაფვრელი ზეგავლენის მოხდენის უნარზე მიანიშნებს. „შიშიონებიც" გაკრეფილან, სათითაოდ გარდამხდარან, ვალმოხდილნი გასულან ამა სოფლის სამანს იქით და მიჰბარებიან „ველსა მწვანილოვანსა"; თვალს მიჰფარებიან და შთამომავლებისათვის განძად და ანდერძად დაუტოვებიათ ქველნი საქმენი, „ბრძოლასა შინა" სიმხნე, შემართება და კიდევ... თავიანთი ძვალთშესალაგი ვეჯინის ღვთაების ეკლესიის ეზოში და სამგალავნიანი ციხე, „მთელს წინამხარს რომ გადასცქერის არწივის ბუდესავით"...

...მიტოვებული ეკლესიის ლავგარდანზე გასული და სნაიპერისაგან დაუნანებლად დაცხრილული ვაჩეს სიკვდილისწინა ხილვა-ჩვენებაში ერთსულ იქმნება შთამომავლობა დიდი და სწორუპოვარი მალხაზ ანდრონიკაშვილისა, ისტორიის კუთვნილებად ქცეული ლეგენდარული პიროვნებისა, ღართის კარის, ყარაღაჯის და მათხოჯის ბრძოლების უებრო გმირისა, სანიშნო ორიენტირად რომ მოჩანს ათწლეულთა და ასწლეულთა ბურუსოვან შორეთში...

რომანს გამოკვეთილ ლაიტმოტივად გასდევს ორგემაგე რუსეთის უარყოფითი როლის ხვედრითი წილის საკითხი რიცხოვნებით მცირე ერების საშინაო ცხოვრებაში.

ერთია პუშკინის, ტოლსტოის თუ დოსტოევსკის რუსეთი, თავისი წონადი წვლილი რომ შეუტანია კაცობრიობის სულიერ ფასეულობათა საგანძურში, ხოლო მეორე — თვითგამორკვევის გზების მაძიებელი ხალხების წინააღმდეგ ფარულად თუ აშკარად მებრძოლი უნამუსო იმპერია, „ხარბ მონაგრეობაში აულაგმავი" (ალ. რემიზოვი), ზნეობრიობასთან მწყრალად მყოფი და საწყაულაღუვსებელი, არანაირ ხერხს რომ არ ერიდება, ოღონდაც თავისი მტაცებლური ჟინი დაიცხროს და დაიკმაყოფილოს...

„მახსენდება, რუსნი როგორ იხოცებოდნენ იმ ბრძოლებში, — ამბობს თავადი არჩილ ანდრონიკაშვილი. — კარგი, ბატონო, გასაგებია, მე ოსმალოს ვებრძვი, მამულს მართმევს და არ უნდა მივცე, ამდენი სკვითი სალდათი რაღაზე კვდება, რა დააშავა, დაეტოვებინათ თავის სტეპებში, ხორბალსა და კარტოფილს მოიყვანდა, ძროხას აბალახებდა, ღორს გაზრდიდა, ითევზავებდა, თეთრ არყის ხეებზე შემომსხდარ ჭილყვავებს

მოუსმენდა, არაყს შეხვრეპდა, „ჩასტუშკებს" ვერ იმღერებდა თუ „გალოპს" ვეღარ იცეკვებდა უკავკასიოდ?..."

„ეშმაკეულით შეპყრობილ" რუსეთის უმაღლეს ხელისუფალთა „დამსახურება" იყო ლევან ბატონიშვილის მკვლელობა. მათივე დაკვეთით და დავალებით მოქმედებდა საქართველოში ძლიერი, კარგად ორგანიზებული აგენტურა, ჩანასახშივე რომ ცდილობდა ყოველივე ეროვნულის, ნიშატით ქართულის აღმოფხვრას, წაშლას და ამოშანთვას...

გენერალი მიხეილ შულმანი, „კაგებეჩნიკი" დევი ტოტოჩავა, ჩეკას საგანგებო რწმუნებული სიღნაღის ზონაში ლევან ჭიჭინაძე, იურა (იუდა) კასრაძე თუ „კომანდორად" წოდებული ალექსანდრე-ლებედ ყანჩაველი თავიანთი ძალმომრე მბრძანებლის ყურმოჭრილ მონებად ქცეულან, მის მითითებებს ასრულებენ და კარიერის კიბის კიდევ ერთი ხარისხით მაღალ საფეხურს ელტვიან, ეპოტინებიან.

რთული, უკუღმა ნაქსოვი და, თავისი არსით, ტრაგიკულია გენერალ შულმანის, იგივე „სამეფო კობრას" (ეს მეტსახელი ქვებუდანმა ტოტოჩავამ შეარქვა მას) ბიოგრაფია. ვაჩეს მამის ანაკრიზა მოჰფენს ნათელს მის ქვეადამიანურ ბუნებას. 1956 წლის 9 მარტს შულმანი ვაჩეს მამას, პაატას შეიწირავს, ცოდვებით დამძიმებული მღვდელს აღსარებას ეტყვის და მისი რჩევით დაობლებული ოჯახის მეურვეობას თავადვე იკისრებს.

ნატო ავალიშვილმა არ იცის, რომ მისი ქმრის მკვლელი შულმანია და თავისი ნებით გაჰყვება ცოლად, ხოლო როცა საიდუმლოს ფარდა აეხდება და გაიგებს, ვის სარეცელს იზიარებდა, თავისთავს „გველის ბუდედ" მოიხსენიებს და სამართებლით ვენებგადაჭრილი „მოთრიმლულ ბურუსში, დავიწყების ნისლში გაუჩინარდება".

შულმანის წადილი და მცდელობა, თავისსავე აღზრდილსა და გზაგაკაფულ გერს (შვილად რომ თვლის და შვილივით უყვარს) მოახლოებული ხიფათი აარიდოს („თქვენი მტერი უკვე აღარა ვარ... თქვენს დაღუპვას არაფრისდიდებით აღარ დავუშვებ..."), უშედეგოდ მთავრდება. მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მამაზეციერსაც აღარ ძალუძს და გიორგობა ღამეს მიტოვებული ეკლესიის ეზოში შეკრებილ „კომპანიონებს" სამაგალითო სისასტიკით ამოხოცავენ. გა-

დარჩება მხოლოდ დაჩი ოჩიაური, რომელსაც ყველაზე მეტად სამი რამ იტაცებდა „ამ თახსირ ცხოვრებაში“: ბრაზილიური ფეხბურთი, „ბითლზი“ და ცხენები. ტყვიების ზუზუნში მიწყდება და მიიკარგება გენეტიკური კოდის კარნახად აღსაქმელი მისი პათეტიკური წამოძახილი; „გამაგრდით, არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა!..“

სამწუხაროდ, შეთქმულთა შორისაც აღმოჩნდება გამცემი და მოღალატე, მანამდეც საეჭვოდ მოსაქმე, „მყისიერი აბსურდის ანუ უაზრობის დიადი შეგრძნებით“ გონებადალიბრული ესიკო ისარლიშვილი (ევსეი ისარლოვი). ის იმთავითვე განზე გამდგარი და განაპირებული იყო მეგობრებისაგან; მასაც უყვარდა საგვარეულო გერბებისა და გობელენების ხელმარჯვე მქსოველი სულამით აბაშიძე, მაგრამ ამ სიყვარულშიც, ისევე, როგორც მის ყოველ სიტყვასა და ქმედებაში, შიში, ციხის შიში თამაშობდა გადამწყვეტ როლს. შიში აჩოქებდა სულამითის ფეხებთან, შიშმა დააბეზღებინა ბიჭები და, საერთოდაც, ისეთი ადამიანი, ვისაც ცნობილ ნარკომანებთან – ვანიჩკასთან და ნიკუშასთან ჰქონდა საქმე დაჭერილი, ეროვნული მოძრაობის უღლის გამწევად, ცხადია, ვერ ივარგებდა, ვერ გამოდგებოდა...

ნერვების დაწყვეტამდე დაძაბული სიტუაციების ჭრილში, შუბლზე დრაკონის წითელვარსკვლავიანთა მხრიდან გაყოველდღიურებული დევნისა და დარიელობის პირობებში, ადამიანის არსის წიაღ დავანებული წმინდა გრძნობების წარუვალობად იკითხება წრფელი სიყვარული ვაჩე ანდრონიკაშვილისა და სულამით აბაშიძისა.

ხატწერის სინატიფის მხატვრულ ქსოვილში წარმოსახავს მწერალი ვაჩეს განცდებს სულამითის მიმართ: „მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო შუაღამეო! – ჩურჩულებდნენ მისი ბაგეები, ნატიფი ხელები, თლილი თითები, თმის ჩანჩქერები და ის დაუჯერებლად ლურჯი თვალები“.

გადასახლებიდან ვაჩეს დაბრუნების შემდგომ კვლავ გრძელდება მათი ჩაშლილი ურთიერთობა. ახალი ძალით იფეთქებს სიყვარული. წარსულის უამურ სურათებს დრო წაშლის. დროებით დაშორიშორებული საფერი წყვილი პაპუას უზრდის არა მხოლოდ ანდრონიკაშვილთა საგვარეულოს, იმ პაპუას, აფხაზეთის ომში რომ მოუწევს მონაწილეობის მიღება და

დახეიბრებული გმირი მამის ანდერძის აღსასრულებლად ჩადის არჩანდაში: „უჟამო ჟამის რაინდი" უნდა იპოვოს!..

ვაჩეს და სულამითის საქორწილო მოგზაურობის ამსახველ ეპიზოდებში ყურადღებას იქცევს მათ მიერ უცხო ქვეყნის ისტორიის სისხლხორცეული განცდა. ისე ხელშესახებად არის წარმოჩენილი ტალინის ხუროთმოძღვრული ძეგლები თუ სხვა ღირსშესანიშნაობანი, პროფესიონალ გიდსაც რომ შეშურდება... უცხო ცის ქვეშ მყოფი წყვილის თვალსაწიერში ისევ და ისევ მათი ბედნავსი სამშობლო დგას. და ეს ესტონეთიც იმიტომ უყვართ, იტაცებთ და ეთავისებათ, განვლილი გზით და აწმყოთი საქართველოს რომ წააგავს – ერთსაც და მეორესაც რუსი აზის კისერზე და ორივე ლამობს მისი გავლენის მოჯადოებული რკალის გარღვევას, მისგან გასვლას და განთავისუფლებას...

განსხვავებული ფსიქიკისა და შინაგანი მიდრეკილების მქონე ბიჭების წრეში მოულოდნელად მოხვედრილი, ბათუმიდან ოქროსუბნელების მიერ ჩამოყვანილი, მშვენიერი მარიცა ქაჩიბაძე, ვისთვისაც ქუჩა-ქუჩა წანწალი და თავისი მომხიბვლელი სხეულით ვაჭრობა უსწავლებია უშეღავათო ცხოვრებას, უეცარ ფერისცვალებას განიცდის და შეძლებისდაგვარად ეხმარება, მხარში უდგას და თანაუგრძნობს მასზე მზრუნველ, სიკეთისა და მიმტევებლობის იშვიათი უნარით დაჯილდოებულ მეგობრებს. მეძავობაზე ერთხელ და საბოლოოდ უარნათქვამი მარიცა გელა ჯორჯიკიას გაჰყვება ცოლად და მასთან ერთად იაზრებს და იზიარებს ურთულესი დროის უკუღმართობებს...

ქართველ დიდგვაროვანთა ერთი ნაწილის მანკიერი ბუნება, არაერთგზის რომ ქცეულა ეროვნულ უბედურებათა გამომწვევ მიზეზად, ცხადლივ არის გახსნილი და გამოვლენილი ერთურთის მოქიშპე და ნიადაგ მოჩხუბარი ძმების – ცრუ სოლომონის და ყალბი მალხაზის უმიზნო ყოფა – დროს ტარების მაგალითზე. მათი დარდიანი დედა ბარბარე ამილახვარი ფიქრობს, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ „ძველთა დროთა საგმირო საქმენი ახლა კომედიად უქცევიათ მის ონავარ ბიჭებს". ცხოვრება ხომ ისედაც „უცნაური და უთქმელია", ტრაგედიისა და კომედიის პერმანენტული მონაცვლეობაა, მაგრამ ის, რასაც ადამიანურობის გასაგისდაკარგული ძმე-

ბი სჩადიან, კაცებრივი სიმდაბლის ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ბრძოლის იმიტაცია, რაც სუფრაზე ოსმალური, ყიზილბაშური, ლეკური, სკვითური თუ ეროვნული კერძების, ტკბილეულისა თუ ნაირნაირი სასმელების შემოტანასა და სმა-ჭამაში გამართულ შეჯიბრში სახიერდება, სატირლობამდე სასაცილო მდგომარეობაში აყენებს ძმებს. ფარეშები, მემნდეურები, ტოლუმბაშები, მროკველები და მომღერლები ხელს უწყობენ „საომარი" სულისკვეთების ამაღლებას და ძმათა შორის უაზრო დაპირისპირების გაღვივება-გაღრმავებას. ნაყროვანებაში გამარჯვებული მძლეველად ითვლება, ხოლო დამარცხებული – ძლეულად... ორთაჭალის ბაღები, ქეიფი და ქალები... შეჯიბრი ღვინის, პურის, თაფლის, მწევრების... სამანდაუდებელი ტრაბახი და თავმომწონეობა... აი, სადამდე შეიძლება დაეცეს და დამდაბლდეს დამბადებლისაგან სულ სხვა მოვალეობათა მოსახდელად მოწოდებული ჰომო საპიენს-ის ზნეობა და, რაღა გასაკვირია, ასეთ „მამულიშვილთა" ხელში სასიკვდილოდ გადაგებული სნეულივით გმინავდეს და კვნესოდეს ქართული მიწა...

ურგები შვილების შემყურე დედა დონ კიხოტებად ზრდის შვილიშვილებს, ისეთებად, თვით სიკვდილსაც რომ არ შეუშინდებიან, არაფრად ჩააგდებენ და ამ გზით ცდილობს ანდრონიკაშვილთა მოდგმაში გაჩენილი საბედისწერო ბზარის გამთელებას. დონ კიხოტობის მოტივი ნაწარმოების სხვა ეპიზოდებშიც გახმიანდება. ვთქვათ, ამგვარად: „მალხაზიც, მეფე სოლომონ მეორეც, პატარა კახიც, ლევან ბატონიშვილიც, თავად ბებია მარიამ-მაიაც დონ კიხოტის თარგზე არიან მოჭრილნი – სამართლიანობის დასამკვიდრებლად იბრძოდნენ, როგორც შეეძლოთ, თავისუფლებას შეეწირნენ..."

შემთხვევითი არც ისაა, რომ რომანში რამდენჯერმე გაიელვებენ შთამბეჭდავი სახეები ისეთი ეროვნული გმირებისა და მოღვაწეებისა, როგორებიც გახლავთ: სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი...

რომანის სიუჟეტურ ქარგაში ორგანულად არის ჩასმული და ჩაწერილი არქიმანდრიტ იოსტოსის „ცოდვილი ხელით" შექმნილი „იდუმალებათა სკივრი". მასში სხვადასხვა ენაზე „შიშიო-

ნების" ანუ სახელქებული ანდრონიკაშვილების საგვარეულო ქრონიკებია გადმოცემული. ამ ნიგნის თანახმად, „შიშიონთა" თვალზურმუხტიანი მოდგმა „სამარადისო არსებობისათვისაა ხელდებული უფლის მიერ" იქვე წერია: „სკვითთა ბატონობის ხანას, იგივე ჟამიანობას, შიშიონთა შვიდი თაობის კაცნი განასრულებენ, რომელთაგან პირველი მალხაზი იქნება. იქიდან ყოველი კენტი ჭეშმარიტების გზას დაადგება, ყოველი ლუწი გადაუხვევს და ოდეს წინაპარნი გაახსენდება და გამოეცხადებიან, მოდგმის წყევლა წამოეწევა და უღმერთოდ მოკვდება და აღესრულება, გარდაცვალებისა გარეშე. მეშვიდე მხედარი იმ დრაკონს შეებრძოლება, სკვითნი რომ შეუპყრია, მიიცვლება და გამარჯვებული წამოდგება ზეციურ ქალაქში..."

„იდუმალებათა სკივრი" თეონა მდივანმა თარგმნა კაცთათვის გასაგებ ენაზე. მასთან შეხება ცხოველ ცნობისწადილს აღძრავს და აღვიძებს სარდაფში განმარტოებულ გენერალ შულმანის არსებაში. „ამ ნიგნის აზრით... თქვენ ქრისტეს საყვარელი რაინდი ხართ, ჯვარისმტვირთველი", – მიმართავს „სამეფო კობრა" მოულოდნელად მასთან მისულ ვაჩეს. ხოლო თავად კაცთკითხული იოსტოსი შემდეგს ბრძანებს: „იდუმალებათა სკივრში" დავწერე, რომ მეშვიდე თაობის მერმე არნივთაებრ განჭაბუკდება შიშიონთა მოდგმა და, ჰა, ნავიდეთ და ვახილვინოთ ვაჩეს ძეი თვისი „პაპუაო!"

ვაჩე „შიშიონთა" მოდგმა-მოდენილობის მეშვიდე თაობაა. მას ხვდა წილად დრაკონთან შებმა. ვაჟკაცურად დაეცა უთანაბრო ჭიდილში და სული უფალს მიაბარა. წესით და რიგით, მის მომდევნო თაობებში უნდა გამოჩნდეს უჟამო ჟამის (მზიანი ღამის) ნამდვილი, ჭეშმარიტი და არა ცრუ, ყალბი, თვითმარქვია რაინდი...

ავტორისეული თხრობა, მეტწილად, აპრობირებულ ისტორიულ ცნობებსა და წყაროებს ეყრდნობა, ემყარება, მატიანეთა ჩვენებებს მიჰყვება. ამის გამოა, რომ რომანის კითხვისას წუთითაც არ გვტოვებს დოკუმენტური დამაჯერებლობის მშვენიერი განცდა. არათუ ისტორიული პირები, თითქოს სამარის ლოდებიც ამეტყველებულან და ჩვენამდე მოაქვთ ცეცხლის მცხუნვარე ალით განათებული ნაომარი წარსულის ძალუმი სუნთქვა. ლოკალური თუ საქვეყნო მასშტაბის ღირსსახსოვა-

რი ამბები მხატვრული სიტყვის ნიუანსების შეგრძნებასა და შესაძლებლობებში კარგად გაწაფული და დახელოვნებული მწერლის მიერ არის ასახული. რად ღირს თუნდაც ნაწარმოების ის მონაკვეთი, სადაც მამა ზირაქისათვის, გიჟასთვის და დათიასთვის ხმლით თავების მოკვეთის შემზარავი ამბავია მოთხრობილი. გულქვა და ქვებუდანი რწმუნებული ლევან ჭიჭინაძე სეირის ყურებით ტკბება: ბიძა-ძმისშვილების თავებს ფერდობზე დააგორებინებს თავის ხელქვეითებს – ვისი თავი გაასწრებსო... ცინიზმი და სისასტიკე ამაზე შორს ვეღარ წავა! საქმე ისაა, რომ მსგავსი რისხვა მართლა დატრიალებულა კახეთის სინამდვილეში, სახელდობრ, თვით რომანის ავტორის წინაპრების თავზე და მოგვიანებით – მთაში, თუშეთში: ჯერაც ცოცხალია რამდენიმე კაცი, ვისაც ახსოვს 1943 წლის 18 მარტი, ის ტრაგიკული დღე, როცა ტყის ნადირივით ჩახოცეს სამანელები, ადამ ბობღიაშვილს და ფანცალა იმედიძეს თავები მოჰკვეთეს და მთის დამრეცი ფერდობით ხეობაში დააგორებინეს – ვნახოთ, რომელი ვაცი აჯობებსო (წვერმოშვებულები ვაცებს შეადარეს)!..

„უჟამო ჟამის რაინდი" ძველი თუ ახალი დროის დადებით და უარყოფით პერსონაჟთა სიმრავლითაა ნიშანდებული. მართალია, ყოველი გმირის სახე-ხასიათი თანაბარი მხატვრული ოსტატობით ვერ არის გამოკვეთილი, მაგრამ მთლიანობაში თითოეულ მათგანს სავსებით გარკვეული ფუნქცია აქვს დაკისრებული.

მატყუარა, ენაზე ჭალმოუკიდებელი ქევხა აკარაკი და მისი ცოლი – არჩანდელი დიაცი, „ლეჩაქმოხდილი და შეგინებული", კახეთის აჯანყების დამწყები, იოსტოსის მსახური გიორგი მახარობლიძე, მოქიშპე ძმების თანშეზრდილი, გიჟას მამა გორჯასპ მოსულიშვილი, არჩანდელი ბერი ქიტესა მოსულიშვილი, თადია ჩოლოყაშვილი, გონიერი აღმზრდელი და დამრიგებელი მაია-მარიამი, მღვდელი გრიგოლ ყამბარაშვილი, „რითმირახუნა" პოეტი დიმიტრი ბერიევი, ულამაზესი ფრანგი ქალი ანეტ დ'ანვილი, გიჟას ნანდაური ეფემია, შტაბს-კაპიტანი ლევან შალიკაშვილი, პორტ-არტურში ნაომარი, ჩინური ორთაბრძოლის „კუნგ-ფუს" დიდოსტატი, საკვირველი ბერიკაცი, მეწისქვილე ჭრუტა მიხა-აი, არასრული სია მწერლის მიერ

ხორცშესხმული და ამეტყველებული იმ გმირებისა, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი მათგანის გამოკლება ნაწარმოების სიუჟეტურ კომპოზიციას სრულყოფილებისათვის აუცილებელ უმნიშვნელოვანეს შტრიხებს დაუკარგავდა...

მალხაზ ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე მისი მგლოვიარე მეუღლის მარიამ ბატონიშვილის სიტყვების – „საით, საით გაგიწევია, მალხაზ?!" – პასუხად მწერალი არქიმანდრიტ იოსტოსს ათქმევინებს: „ზეცას მიდიან საქართველოს დიდი მხედრები!"

ეს არ გახლავთ ფუყე პათეტიკა, გაუცნობიერებლად დაცდენილი „ჟამთა მომხილავი" კაცის ბაგეს. ამ მოხდენილი ფრაზით ქრისტიანული რწმენისა და მსოფლმხედველობის არსებითი ასპექტია აქცენტირებული: სამშობლოსათვის სისხლდანთხეულ მეომართა სხივოსანი სულების მარადიულ სამკვიდრებლად ცათა სასუფეველი მოიაზრება. მათ ხომ ტლანქ მიწიერ ვნებებთან და ბიწიერებასთან აღარაფერი აკავშირებთ. ქრისტეს წმიდა მხედართა გარდაცვალების შემდგომი სამყოფელი ზედროული განზომილებისაა, რომელსაც ამქვეყნიური შური, ლექი და ღვარძლი აღარ ეკარება...

ერის სასიკეთოდ ნაღვაწ რჩეულ პიროვნებათა საქმე და სახელი დავიწყების კურუმ ხაროში არ იძირება. მათი ტანჯული ცხოვრება და ყოფის ყაიდა ზნეობრივი გაკვეთილია შთამომავლობისათვის... თვით ავტორის მიერ იოსტოსის „იდუმალებათა სკივრის" გარდათქმად სახელდებული რომანის ერთი უმთავრესი სათქმელიც ხომ სწორედ ესაა.

1999 წ.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში მეგულება და აღმატებულად მეიმედება რამდენიმე ისეთი ქუდბედიანი მხატვრული მონასმი, ჩუმი ჩაღიღინებით ნათქვამი ფრაზა თუ არაგვის ზავთიანი სახელის სადარი ჰეროიკული ლექსი, მალიმალ რომ უნდა იკითხო და იმეორო, საკმეველის სურნელივით იყნოსო და ითავისო, რათა თვითდამკვიდრების მანიით შეპყრობილ „შემოქმედთა“ უთავგზო კაკაფონიით გაკაწრულ ყურთასმენას ბულბულის გალობისგან კვირიონების ჟივჟივის გარჩევისა და გამიჯვნის ჩვევა და უნარი შეუნარჩუნო.

სულის პურივით უნდა ატარო და გონიერ, გემოვნებიან გამგონთ სეფისკვერივით ჩამოურიგო ის საამო ჟრჟოლა და ჟრუანტელი, მართალ სიტყვიერ ხელოვნებასთან ზიარებას რომ მოაქვს საამისოდ მზადმყოფი ადამიანებისთვის და არაფრის დიდებით არ უნდა მოინდომო სულიწმინდის მადლით განათლული სტრიქონების კიდევ უფრო მცირე სეგმენტებად დაშლა-დანაწევრება.

არსებობს უნივერსალური სიდიდეები, რომელთა მიმართ უხერხულია ქირურგიული მეთოდებით მიდგომა...

ადგილო, კურუმ-კურუმო,
ველიან-ჭალიანაო,
სამოთხესავით ლამაზო,
მიყვარხარ ძალიანაო,
რადა ხარ სულ აგრე დინჯი,
შე შურთხის თვალიანაო...

ვცდილობ ხელი არ წამიცდეს და „კოჭლი და ლუგუმი“ რამ არ მეთქმევინოს ამ მართლაც გენიალურ, განგების შეწევნით ამოთქმულ უჩვეულო ხმოვანების სტრიქონებზე.

სარითმო სიტყვების ამგვარსავე მიმოხვრას ვაჟას კიდევ ერთ (ერთადერთ!) ლექსში ეხვდებით და აქაც არასადაგი, განსაცვიფრებლად უცხო პოეტური ხატია გამოკვეთილი...

იცოცხლე, გულო, შენ ჩემო,
ტანჯულო, ქალმნიანაო...

თავმდაბლობისა და უბრალოების როგორი სიღრმე და სიმაღლეა! უბრალოებისა, „ტან-ფეხშიშველი" პოეტის მთელ ამქვეყნიურ ყოფა-ცხოვრებას ბაჯაღლო ოქროს ვარაყივით რომ შემოვლებია...

სასულიერო მწერლის თვალი იმ ვირტუალურ, არამატერიალურ სამოსსაც ცხადლივ ჭვრეტს, სამოთხის მომავალი მკვიდრის მსუბუქ, განწმენდილ სულს რომ „აცვია". ხორციელ „საკვრველთაგან" განთავისუფლებულმა დიდმოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა, გიორგი მცირის ხატოვანი თქმით, „წარიხადა ხამლი სულისაი"... და აქვე, მოულოდნელი მხატვრული ალუზია ანა კალანდაძის ლექსიდან „ვაჟას":

ჭაფნაგის გორზე გადმოდგნენ
ღვიები ქალამნიანი...

გავა დრო და ტარიელ ხარხელაური დაწერს:

შენ, ჩემო დიდო ტკივილო,
დილაო, ავდრიანაო,
ძლივს აჩენილო ღიმილო,
ღიმილო დარდიანაო.

დაწერს კი არა, დაჭრილი ხარ-ირემივით ამოიბღავლებს, უსიერ ტყეებს რომ გადააწვდინოს ყოფითობის სიმძიმით დასერილი გულის უსაშველო დარდი და ტკივილი.

და ამ შესანიშნავ ლექსს სევდის მორევში მოლივლივე ტკბილხმოვან სიმღერად „გარდათქვამს" თეონა ქუმსიაშვილი, ივლისის ერთ ნავსიან, უნასიბო დღეს „ავი არდოტის წყლის" ცოდვიან ტალღებს რომ გაატანს თავის უკანასკნელ ამოსუნთქვას და ბევრთ უბევრესი ახლობლისა თუ თაყვანისმცემლის ცხელი ცრემლით გაინათებს სულწუხი საიქიოს ვიწრო, ბენვის ხიდივით ძლივს მჩინარ სახიფათო ბილიკს.

ვაჟა-ფშაველას ალერსიანი ლექსის ორიგინალური ბგერწე-

რის ბორგნეული ექო ჩამდგარა და ჩადედებულა ტარიელ ხარხელაურის ლექსსა და ამ ლექსზე შექმნილ თეონა ქუმსიაშვილის „ლაღ" სიმღერაში.

და, ალბათ, არც ის გახლავთ შემთხვევითობის შედეგი, ბრმა და უწინამძღვრო რამ, ტარიელის ლექსის დამწყები ტაეპის ოთხსიტყვედი უცვლელად რომ იმეორებს ვანის ქვაბის კედელზე აღმოჩენილ ერთ-ერთი უძველესი ქართული ხალხური ლექსის დასაწყისის სამ სიტყვას:

შენ, ჩემო დიდო იმედო...

იქ – დიდი ტკივილი, აქ – დიდი იმედი...

ამგვარად იდება ხიდი საუკუნეებს შორის და მიმოიქცევა უმძაფრესი განცდა, რომელიც არ ცვდება, არ ქრება და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არცა ძველდება ამ ბებერ, დაღლილ, დანიღრებულ დედამიწაზე.

ტარიელ ხარხელაურის ლექსის გვირისტი მისი დიდი წინამორბედის მხატვრული წარმოსახვის ფერადოვან ფარდაგშია (რუსთველისეული ნაქსოვის სილბოთი და ნაჭედის სიმტკიცით რომ ხასიათდება) ჩაქსოვილი. და ეს, ალბათ, სწორედ ის შემთხვევაა, უკვდავების ბინადრის სულს მთაგორიანი ლანდშაფტის პრიმატით ნიშანდებულ მისეულ სამყაროში ღვთის ნებით მოვლენილი ინდივიდუალური ნიჭის ელვარება რომ უხარია.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში თუკი ვინმე შეიძლება ჩაითვალოს ვაჟა-ფშაველას გზის გამგრძელებლად, ეს ყველაზე უწინ, ტარიელ ხარხელაურია. ვაჟასეულ პოეტიკასთან, ხმებთან და ხილვებთან ყველაზე მეტი შემოქმედებითი სიახლოვე ტარიელის ღონიერ სიტყვაში, მის სისხლსავსე პოეზიაში ჩანს...

ლეგა ნისლების მესაიდუმლე

ტარიელ ხარხელაური – ფრთალეგა ნისლების მეგობარი და მესაიდუმლე...

დღეს ნაკლებად ვიცლით ლექსისთვის, პოეზიის წმინდა, თავანკარა საუფლოსთვის – ვუგანეთ და გავუგულგრილდით ამ უპირველეს სახატეს...

ჩვენი სულის სავანე, ძაღლუმადური ყოფის სათავე და საყუდარი მაინც ისაა – მზის ირიბი სხივივით თბილი და მანათობელი, იდუმალი და მოუხელთებელი.

ლექსის სტრიქონს, ძარღვიანსა და მზით სავსეს, მალამოს მაგიერ ვაფენდით სიჭაბუკის ჭრილობებს; ლექსით ვათირებდით მწყურვალე სულს, ვაევარჯიშებდით მაძიებელ გონებას; ვწამლობდით მოულოდნელად მოვარდნილი სიყვარულის ელდით ძალუმად შეძრულსა და შედედგროებულ გულს.

დღეს ამგვარი განწყობილება მთლად იმნაირი აღარაა: „წასაღები წაუღია უკვე ძერას" (მ. ლებანიძე), მაგრამ გული მაინც არ ცხრება, ვერ წყნარდება, ძველებურ ბორგვას არ იშლის.

„გული, გული ასაფრენად იწევს..."

თუკი რამ გვაკლია და გვჭირდება ახლა, ისტორიული კატაკლიზმებით ნიშანდებულ საუკუნეთა გზაგასაყარზე, გვაკლია და გვჭირდება სწორედ ცის ნამივით სუფთა და მადლიანი, პენშერჩენილი და შეურყვნელი ქართული სიტყვა, მშობლიური ბგერწერა და ინტონაცია...

და თუკი დღეს ვინმეზე ითქმის, რომ თხემით ტერფამდე ეროვნული პოეტია, მთელი თავისი არსებით, ხედვით, განცდით და მსოფლმხედველობით ქართველი შემოქმედია, ითქმის ეს ტარიელ ხარხელაურზე.

მისი უჩვეულოდ ენერგიული, ლომა ხარის ღონით აღბეჭდილი პოეტური პნკარი, ცაზე გაკლაკნილ ელვასავით გამკრთალი მხატვრული სახე და მხოლოდ მისეული, ღრმად ინდივიდუალური ხმოვანება ისე შეუმჩნეველად აგიყოლიებს, შეგიტყუებს და მოგაჯადოებს, წამით მიწისგან მოწყვეტის და მეტაფიზიკურ განზომილებაში გაღწევის უცნაური განცდაც კი შეიძლება დაგეუფლოს.

თითქოს ყველაფერი ისედაც ნაცნობი და ცხოვრებისეული, მაგრამ ისეა ნათქვამი, იმგვარადაა გადმოცემული, რომ... ყოველი ფრაზიდან, სიტყვათა ყოველი წყვილიდან ჭეშმარიტი პოეზიის უსუფთავესი მწვერვალების საღი სუნთქვა გესმის; ნამდვილი პოეტური ხელოვნების განუმეორებელი ხმა გეცნობა და გეყურება.

ეს მისი სამყარო და სამფლობელოა, მისი შარა და უბანია, მისი კალო, საბძელი და სათიბია – ერთსა და იმავე დროს სევდიანიც და სიხარულიანიც, ცრემლით ჩარეცხილიც და იმედის შუქით დაფერილიც...

საბადურის ბებერი იფნების ჩუმი ბუბუნი ისე უხდება და ალამაზებს მის პოეზიას, როგორც ნაწვიმარ ნარზე შემოსკუპებული მობუზული ნიბლიას უსუსური არსება...

ხილვათა უსიერი ტევრები და ათასგვარ ასოციაციათა აღმძვრელი არაორდინარული ვიზიონები მზერას მისი წინამორბედებისკენ მიგაქცევინებენ, მაგრამ მალევე რწმუნდები იმაში, რომ ეს ყოველივე მხოლოდ მისია, მისი ნიჭისა და წარმოსახვის თარგზე მოჭრილს მისი ნაფიქრ-ნააზრევის ტვიფარი აზის...

ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში საცნაურია სიახლოვის მზარდი სურვილი წარსულის უნაპირო წიაღთან, წინაპრებთან, სახელოვან წასულებთან, იქ, მიღმიერში დაბინადრებულებთან, მათთანაც, ვინც ქმინდა ღირსეული საქართველოს სახეს და ვისთვისაც პირადულს, კერძოკაცურ ინტერესს მუდამ ჭარბობდა და ფარავდა საერთო სატკივარი.

ისტორიის ნაკვთად და ნაწილად ნაქცევი იმ დიდი სამყაროსკენ მიმავალი გზის სათავეში სწორ ზნეობრივ ორიენტირად მოჩანს ლანდი პაპისა, თვალყურს რომ ადევნებს ფრთალეგა ნისლებთან და მთიდან წამოსაფრენ სიოსთან, ხმელ ფოთოლთან და საკუთარ ნაგრილთან, უპატრონობით დამწუხრებულ საფლავებთან და ივრის ხეობის სევდიან ნასახლარებთან მოლაპარაკე შვილიშვილს.

მხარზე მზის ნატეხით და ხელში ხმლის ნალევით თავის საცდელად გარეთ გამოსულ გმირს, რომელიც, იმავდროულად, თვით ავტორის ბუნება-განწყობილებასაც იტევს და ითავსებს, ათასგზის დარბეული და გაპარტახებული მამული გაუხდია გა-

მუდამდღიურებული ზრუნვის საგნად და მუდამ მზადაა, პირველი შეხვდეს მომხვდურის რისხვას, თუკი ამით შვებას მოუტანს ავბედითობით დაღლილ და დაღრუბლულ მშობელ ერს...

ხანდახან (და ესეც სავსებით ლოგიკურია) ვაჟასებური კილო გახმიანდება ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში და იმ ადგილების სახელწოდებაც გაკრთება, რომელთა გაგონება სხვაგვარი მღელვარებით ავსებს დიდი ფშაველი მისანის მაგიურ სიტყვასთან ნაზიარები მკითხველის გულს: „შვილო, მგზავრი ხარ დაღლილი...", „ვიქნები ჩემი ბაჩალის ერთი ბილიკი მტვრიანი..."

ფიქრი იმაზე, რომ „სამყარო არც ისე მშვიდია" და საშიშია ქარების დუმილი, მღვიძარების მძლავრ იმპულსად გარდაიქმნება და პასიური თუ ბედთან შემრიგებლური ყოფისთვის ნიადაგს თითქმის აღარ ტოვებს.

ამიტომაც არის პოეტის ლურჯი კარავი „მარადიული ცრემლით სოველი", ხოლო ხილვები – „თანაბრად მძაფრი" და მამულის უამინდობით ნაავადარი სულის მდგომარეობის შესატყვისი...

ტარიელ ხარხელაურის პოეზია თავის კომპეტენტურ განმსჯელსა და შემფასებელს ელოდება. დარწმუნებული ვარ, ეს დრო აუცილებლად დადგება.

ჩემდათავად კი ვიტყოდი, რომ ეს მომცრო ნერილი ერთობ მკრთალი და ზედაპირული ანარეკლია იმისა, რასაც „ძნელად გასაწურთნი ყმის" მართალი პოეტური სიტყვა ტოვებს სილამაზის მაძიებელი რიგითი მკითხველის გულსა და გონებაში.

„ნამში სამყარო ჩანს..."

დიდი სამყარო დაიტია (მოიცვა, იტვირთა) გოდერძი ჩოხელის გოლიათურმა გულმა... ჰიპერბოლაა? იყოს! ამ შემთხვევაში მშრალი და ღალამოხდილი სიტყვებით ვერ ვილაპარაკებ; თვითნაბადი ფენომენისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას მზა სქემებსა თუ ყავლგასულ ყალიბებში ვერ მოვაქცევ...

კონტრასტული ფერებითაა ნაქსოვი ჩვენი საარსებო სივრცე; უკიდეგანოდ ჭრელი და უაღრესად მრავალფეროვანი; დაქსელილი ხილული თუ უჩინარი გზა-ბილიკებით... ყოველდღიურობა, სადაც ნაცნობი და შენიანი ცოტაა, უცნობი – ბევრი... მოლუშული, დაღვრემილი, დაღამებული სახეები; სხივწართმეული თვალები. უწყვეტი ფუსფუსი და ჭაპანწყვეტა; ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისათვის, კიდევ ერთი ლუგუმი დღის „გადასაგორებლად", ცხოვრებად სახელდებული არსებობისათვის... განიადაგებული გარჯა, გმინვა და სატანჯველი...

მიფიქრია და მითქვამს ახლობლებისთვის, ჩემნაირად მოფიქრალი უფროსებისა თუ უმცროსებისთვის: გოდერძი ჩოხელს იმდენად ღია, კეთილი და მგრძნობიარე გული ჰქონდა, ლუკმა-პურის მძებნელ თანამემამულეთა დღევანდელი მდგომარეობა, მათი დამცირებული, დაბეჩვებული ყოფა რომ ენახა (არც მისი სიცოცხლის წლებში ულხინდა ჩვენს ხალხს, მაგრამ შინაგანი შეჭირვებისა თუ სულიერი კრიზისის მაშინდელი და ახლანდელი მასშტაბები აშკარად სხვადასხვაა), წარმოუდგენელ რაიმეს მოიმოქმედებდა. ის ხომ ვერანაირ ჩარჩოებში, კლიშეებსა და სტანდარტებში ვერ ჯდებოდა, უძრავი პიროვნული პოზიცია და თავისუფლების თანდაყოლილი განცდა კონფორმისტობის ნებას არ აძლევდა. მისი ცხოვრების განანესში, უპირველეს ყოვლისა, გაცემა და უქონელთა შემწეობა ეწერა... შეეძლო, წიგნისა თუ ფილმის ჰონორარი დედაქალაქის გამზირების გასწვრივ ჩარიგებულ სავაჭრო ჯიხურებში მყოფი ქალბატონებისთვის ჩამოერიგებინა და ამ „ალოგიკური" საქციელით კმაყოფილს, გახალისებულსა და გაბედნიერებულს ლაღად შეეღო საკუთარი ბინის კარი...

* * *

სად იწყება გოდერძი ჩოხელი, როგორც არაორდინარული პიროვნება, მწერალი და კინორეჟისორი? რასაკვირველია, თავის სიყმაწვილეში. კიდევ? ჩოხსა და ბურსაჭირის უმშვენიერეს ხეობაში, რომელიც მისტიკური იდუმალებითაც არის მოცული, გაჭექილი და, იმავდროულად, საგნობრივი სინამდვილის ტრივიალური სულისკვეთებითაც.

მშობლიური მხარის სახელდებითი ადგილების ისეთი სავსე და სისხლხორცეული განცდა, როგორსაც გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაში ვხედავთ, არც ისე ხშირია დღევანდელ ქართულ მწერლობაში. აქ, დაწყებული პაწია კენჭითა თუ სამყურას უსუსური ფოთლით და დამთავრებული არაგვის გაღმა-გამოღმა სამუსაიფოდ ჩამომსხდარი თავმომწონე მთებით, ყველაფერს ნეტარი სიცოცხლის მკაფიო ნიშან-წყალი ატყვია. მათში ზე-ბუნებრივი სილამაზის ჩაუქრობელი სხივი კრთის. და ამ სხივში თავისთავად ღვივის ღვთისმიერი სითბო და სიმხურვალე. უენობა და უტყვად ყოფნა იმას როდი ნიშნავს, რომ უსულო არსებებს არაფერი ადარდებთ; საგლოვი და საწუხარი არაფერი აქვთ. ძლიერი გრძნობა ხომ ნებაყოფლობითი დუმილის „სუვერენულ" უფლებასაც იუნჯებს. გამოუთქმელობა და გარეგანი კომუნიკაბელობის უნარის უქონლობაა ის ეფექტური ფაქტორი, ცნობისწადილის დაუოკებელ ტალღას რომ აღვიძებს კაცის გულსა და გონებაში. უხსოვარი დროჟამის წინათ ნარმოქმნილ უსულო საგნებშია აღბეჭდილი დიდ სამყაროულ ხდომილებათა სახიერი კვალი. მოკვდავის ჭკუა-გონება ბოლომდე ვერასდროს ჩაწვდება ბუნების უცნაურობათა ცხრაბეჭდიან საიდუმლოს. კითხვის ნიშნები ყოველთვის იყო და იქნება. მათზე მაქსიმალურად სწორი და ამომწურავი პასუხების გაცემა შეუძლებელია. და შემოქმედის გაწაფული თვალიც იმას ჭვრეტს, რაც ციურ ნაპერწკალთან წილუქონელი ადამიანებისთვის სამუდამოდ დაფარული, მოუხილველი და მიუწვდომელი რჩება.

მწერალი ბევრად მეტია და აღმატებული, ვიდრე მისი შემოქმედების ჩვენეული აღქმისა და შეფასების ხარისხი. უჩინარ, უწვრილმანეს დეტალებამდეც რომ ჩასდიო მწერლის წარმოსახვის ლაბირინთებს, მაინც ბევრი რამ დარჩება მიუკვლეველ-

ლი, შეუმჩნეველი, ადეკვატურად შესაგრძნობი და შესაფასებელი... მწერალი, სულ ცოტა, ერთი მათრახის ტარით მაღლა დგას თავის მკითხველებსა თუ კრიტიკოსებზე (ასევე: მკვლევარებზე, ლიტერატურათმცოდნეებზე). ის ხომ ზემიწიერი ძალების თანამონაწილეობით აშენებს თავის დამოუკიდებელ, თავისუფალ, სრულუფლებიან სახელმწიფოს. აშენებს და თვითონვეა მცველი და დარაჯი ამ სახელმწიფოს საზღვრებისა...

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე (როგორც პროზასა და პოეზიაზე, ასევე კინოფილმებზე) ბევრი კარგი, კვალიფიციური წერილია გამოქვეყნებული. შექმნილია მონოგრაფიული ნაშრომები. მონიშნულია მისი ადგილი, წვლილი და დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში... და, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სრულფასოვნად გავიგოთ და გავიაზროთ, რაში მდგომარეობს მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის განსხვავებულობა, ხიბლი და განუმეორებლობა, რა მოვლენასთან, რა ფენომენთა, რა მხატვრულ სინამდვილესთან გვაქვს საქმე...

* * *

გოდერძი გახლდათ განსახიერება მიწაზე მოარული ქრისტიანული თავმდაბლობისა და უბრალოებისა. გადამდები იყო მისი ეს თვისებები. კი არ ცდილობდა და „თამაშობდა", ბუნებით იყო ასეთი. ორ სამყაროში, ორ სივრცით განზომილებაში ცხოვრობდა: ემპირიულში, „ჭირიან" გარემოში (როგორც ვაჟა ბრძანებს, „ცხოვრება ჭირიანია, ჭირით არ ერთით, ორითა...") და წარმოსახვითში, ზე-რეალურში, სადაც მასთან ერთად, მის მეზობლად, მისგან ხელის გაწვდენაზე ბინადრობდნენ დუმაცხოსა და სადედაბროს მთის წმინდა ბერები, უწინდელ გმირთა აჩრდილები, ერთურთის „მოდე-მოძმე" ღვთისშვილები, ყვავილების ფერადი თაიგულით თათდამშვენებული დათვები, ხელმარჯვედ მოხატული საფლავის ქვების ქვეშ განსვენებულთა ბობოქარი სულები, ბრიყვი და ყურუმსაღი დევები, წინასწარმეცანი ყვავები, ირმადქცეული ადამიანები და მხარზე ნაძვისხე გახარებული უცნაური გმირები... არ ჭირდებოდა თხზვა და გამოგონება. მის ვიზუალურ წარმოსახვაში ცოცხალი სცენების პასაჟებისა და ეპიზოდების მთელი წყება თვლემდა;

თვლემდა და ელოდა ამეტყველებისათვის შესატყვის წამებს, წუთებს... დაუსაზღვრავი, კიდეებმორღვეული ფანტაზიის პატრონი იყო. არ ელეოდა საწერი, სათხრობი. ხედავდა და თითქოს ხელითაც ეხებოდა გარსმომდგარ პერსონაჟებს. სულს უდგამდა, აცოცხლებდა, ალაპარაკებდა... და ყოველივე ეს მაღალი სინჯის ძვირფასი მეტალის ელვარების განცდას იწვევდა და იწვევს მსმენელში, მკითხველში, მაყურებელში...

მისი სული ისეთივე სუფთა და კამკამა იყო, როგორც „მთა ჩამოთოილი"; როგორც ხდის წყალი ანდა გამთენიის გაცრილი ჰაერი ბურსაჭირის ხეობაში და ქიდექის მთაზე. მისი ზნეობრივი მრწამსი ვერაფერმა შეცვალა, ვერც ვერაფერმა გაბზარა. პოლიტიკური პროცესების მღვრიე, შხამიანმა მდინარემ მასში ჭუჭყის ნერტილისტოლა ლაქაც ვერ გააჩინა. „თავი თვისი" მტკიცედ ჰყავდა მოზღდული მოსაქმე მედროვეთაგან და ბილწთ არასდროს შეჰკვრია ზავით...

ქრისტიანული თავმდაბლობა ვახსენე. ყოველდღიურ ყოფასა და ადამიანებთან – „ჩქარი მდინარის ტალღებთან" – ურთიერთობაში გამოვლენილი ეს ნიშანდობლივი მხარე იყო განმსაზღვრელი მისი პიროვნული მეობისა, ინდივიდუალობისა. მაგრამ, იგუმანებდა თუ არა სიყალბისა თუ უკეთურების აღზევებას, შეუპოვარი და უკომპრომისო ხდებოდა. უღირსებო კაცთან გაკარებასა და ურთიერთობის გაგრძელებას ვეღარავინ აიძულებდა. „მოყვარეს პირში უძრახავდა" და, თუკი ვერაფერს შეასმენდა, მასში სწორ გზაზე დადგომის პერსპექტივას ვერ დაინახავდა, სამუდამოდ შეეშვებოდა და ჩამოეხსნებოდა (სულ ცოტა ორ ასეთ მისგან გარიყულ პერსონას მეც ვიცნობ).

* * *

გოდერძი ჩოხელის მხატვრულ შემოქმედებას ღრმა ღარად გასდევს ინტენსიური ფიქრი ყოფნა-არყოფნის, არსებობის საზრისის, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ „საკითხავზე". ის ხომ პირად ბედსა და მომავალს წინდაწინ ხვდებოდა, გებულობდა და „კითხულობდა" ბრმა ბედისწერის დიდ წიგნში. „ინტიმური" სიახლოვის უხილავ სიმებს აბამდა და აჟღერებდა სააქაოსა და იმქვეყნიურ სამყაროს შორის. ცნობისწადი-

ლი აწვალებდა, არ ასვენებდა და უბრალო ბალღის გულუბრყვილობით სვამდა კითხვას, საიქიოშიც ნახავდა თუ ვერა ხან მღვრიე და ხანაც დაწმენდილ გუდამაყრის არაგვს, სამშობლოს ბებერ მთებს, დებსა და რძლებს, ხანმოყრილ პაპებს, გაჭირვების ტალკვესებად საგულვებელ ძმებს, ხევისბერებს, იასა და ენძელას... აინტერესებდა ისიც, „იქაც" გრძელდებოდა თუ არა სიცოცხლით გაუმაძღარი კაცის თავგადასავალი. და პირისაგან მიწისა გამქრალ დედას და ბებოს ანუგეშებდა, არ დამიღონდეთ, „სალხინო სუფრა" გაშალეთ, მალე გნახავთ, „მეც ჩქარ წამოვალ აედანო..." რა იყო ეს, ბედთან თამამი შეთამაშება თუ ღმერთთან წილნაყარი შემოქმედის უტყუარი თვალით მოხილული სამწუხარო მომავლის ფატალური გარდუვალობა?!. ესმოდა, იცოდა და დაბეჯითებით იმეორებდა, რომ „საზარელია არყოფნა, სხეულთან გაყრა სულისა, ცივ სამარეში წაღება გრძნობებით სავსე გულისა". იმეორებდა და თითქოს განგებ, საკუთარი სურვილითა და უადგილო ახირებით იმოკლებდა საწუთროული დღეების ისედაც მარტივ სათვალავს. დაჟინებით ელტვოდა და უახლოდებოდა იმას, რასაც გონება ეურჩებოდა და ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მოვლენათა ნებისამებრ შეცვლა და შემობრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც მთის ფრიალოებს მომწყდარი ზვავის შეჩერება. და აქ, განსჯისა თუ დისკურსის ამ ასპექტში, მწერალი უმჭიდროეს სიახლოვეს ავლენს აზროვნების ხალხურ მოდელთან, სიკვდილ-სიცოცხლის ფოლკლორული კონცეპტის შინაგან შრეებთან, ნაივური მსოფლგანცდის უწყვეტ მიმოქცევასთან... გოდერძი ჩოხელი შინაგანად წვდებოდა მთიელთა ყოფის თავისებურებების განმსაზღვრელ ფსიქო-ემოციურ წანამძღვრებს და თავის ზომიერად ხალხურ სიტყვაში ამ ყოფის შესაფერის ორეულს ქმნიდა. წარმოსახვისმიერი სინამდვილე, მისი უჩვეულოდ ჩვეულებრივი ხედვის წყალობით, დამაჯერებლობას იძენდა და წარუვალ ესთეტიკურ ღირებულებად დგინდებოდა და სახიერდებოდა...

სამარის კართან მშვიდი თვალებით დგანან იები. მიდის პოეტი და „მოწიწებით და რიდით" კოცნის ყველას.

მას, ვინც ამ ლირიკულ პასაჟს თვითმიზნურ პოზად ანდა დადგმულ სცენად აღიქვამს, ალბათ არასდროს განუც-

დია ცოცხალი ბუნების უმწეო ნაშიერებთან სისხლისმიერი სიახლოვე; არ უგრძვნია მიმზიდველობა უენპირო არსებათა, რომელთაც, სამწუხაროდ, მოსაკვდინებლად იმეტებს უგრძნობელობის გზაზე შემდგარი გულქვა ადამიანი.

დიდრონი ხეების ჩრდილს შეფარებული იებისა თუ ველური თაფლის სურნელი უნდა ასდიოდეს სიტყვას, მკითხველმა რომ იცნოს, იგრძნოს და გაითავისოს. ერთურთს მექანიკურად მიკერებული სიტყვებით არ შენდება ის მხატვრული სამყარო, რომელსაც გოდერძი ჩოხელის შემოქმედება მოიცავს. მის პერსონაჟთა კილოკავურ მეტყველებაში ცოცხლობს ჩვენი ქვეყნის კონკრეტული კუთხის წარსული და სული. და იხსნება სარკმელი დიდ თუ პატარა საოცრებათა დამტევი უკიდეგანო სინამდვილისა.

პირწმინდად ქართული, მშობლიური, შეურყვნელი ხმები მოისმის გოდერძი ჩოხელის ლექსებიდან, მინიატურებიდან, მოთხრობებიდან, რომანებიდან. ბალახის ფოთოლზე დაკიდებულ ნამში „მშვიდზე მშვიდი" სამყარო ჩანს. იქ, სადაც „ჯოჯოხეთის ნაბანივით" შავი არაგვი მოჰქუხს და მოედინება, დასაბამიერ ზნეობრივ სისუფთავესთან წილდებული ადამიანები სახლობენ. სიავ-სიკეთის მათეული შეგრძნება ბევრად მძაფრი და დრამატულია, ვიდრე ბარის, დაბლობის, უმწვერვალებო ლანდშაფტის დაუსაზღვრავ სარბიელზე.

მწერალი და კინორეჟისორი მთების, ეხის, მტირალი კლდისა თუ ლოდის (რომელიც „ჩამომჯდარა მურყნიან ჭალაში და ფიქრობს") განსულიერებულად წარმოჩენის გზით ქმნის იმ განუმეორებელ გარემოს, რომელიც არსობრივად თუ გენეტიკურად ვაჟა-ფშაველას უჩვეულო მხატვრულ ხილვებთანაა დაკავშირებული. პირდაპირი გავლენის კვალი შეიძლება არც ჩანდეს, მაგრამ... დაბეჯითებით ვამბობ: გოდერძის შეეძლო (და ჰქონდა კიდეც ამის უფლება) იმავე სიტყვებით მიემართა ვაჟასთვის, რა სიტყვებითაც ვაჟა მიმართავდა დავით გურამიშვილს: „შენ, ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო..."

* * *

გოდერძი ჩოხელი გუდამაყრის ხეობიდან ხედავს იმ დიდ, საბედისწერო საშიშროებას, რაც ამსოფლიურ მადლსა და სი-

კეთეს წალეკვით ემუქრება. წვეთში ძლევამოსილი ზღვებისა და ოკეანეების მრავალსაუკუნოვანი კანონზომიერება შეიცნობა. და მწერალიც, უწინარეს ყოვლისა, ამ კანონზომიერების ცვლისა თუ გრადაციის დაუძინებელი მოყურადეა. ის ინტუიციით წვდება განსაცდელის მოახლოებას და მთვლემარე კაცობრიობის გასაგონად მაღალი სამრეკლოდან არისხებს ცხრაენიან ზარებს...

მწერალს – „მშობლიური ენის ტაბლაზე დანთებულ კენტ სანთელს" – შესწევს საიმისო ძალა, თავისკენ მიახედოს საამსოფლო ტკივილების მტვირთველი გონიერი მკითხველი და აგრძნობინოს ძალა სიტყვისა, რათა ჩვენს ისედაც გეზდაკარგულ, დეზორიენტირებულ ყოფას ავისმაუწყებელ ყვავ-ყორანთა ფრთების უამურმა ნაგრილმა არ გადაუაროს.

„დარჩა ნასოფლარი. დგანან მკერდმორღვეულ კედლებს შორის დედაბოძები. გადაცრეცილნი, გადაფითრებულნი. დგანან და შიშველ ზეცას შეჰღაღადებენ..."

აი, აქ, ამ ფოკუსში გროვდება და დედდება მწერლისა და კინორეჟისორის კიდევ ერთი უსაშველო საწუხარი; აქ დაეძებს შემოქმედის შორსმჭვრეტელი თვალი სიცოცხლის კვალსა და ნიშანწყალს; დაეძებს და დიდად სანუგეშოს, საიმედოსა და სულის მოსაფონებელს ვერაფერს პოულობს... გაბზარული კედლის გამაგრება და გამთელება, თუ თავიდან არ ამოიყვანე, ძნელია. წამხდარ საქმეს ვერც საყვედურიანი სიტყვა შველის და ვერც დიდაქტიკური შეგონება. გადამდები მხოლოდ ერთეულების პირადი მაგალითია, მაგალითი, რომელსაც ღვთისმიერი წესრიგის თარგზე მოჭრილი ზნეობრივი გაკვეთილის ძალა აქვს...

„– მგონია, რომ გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებადა აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან, ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ...“

ამ დიდი, თვალმისავალი მთებით შემორკალული ტევადი წიგნის ბოლომდე შეუცნობი ფურცელია ბურსაჭირი, სადაც გოდერძი ჩოხელს ბევრი პატარა, იდუმალი, საინტერესო მოთხრობა ეგულებოდა და, სამწუხაროდ, სნებოვანმა საწუთრომ, ცრუ და ღალატიანმა სოფელმა ყველა მოთხრობის მოძიების, მიგნებისა და დაგემოვნებით ნაკითხვის ბედნიერება აღარ აღირსა.

არა მხოლოდ გუდამაყრის ხეობა, მწერლისთვის ყოველი ადამიანი მოთხრობაა და თითოეულ „მათგანს სათაურს უძებნის“; ასევე, წიგნს ჰგავს სოფელიც, „წამკითხველი ჩვენ ვართ სუყველა, წიგნში ვკითხულობთ დიდი სოფლის ამაოებას..“

ჩაჭრილაის, ქიდექის, ნარიანის, ელიას და ოზანოს მთებთან, საკიდობნიას, ბუცნახევის და საყორნის ტყეებთან, ზეგარდის, კვირიაის და ვანისკარის გორებთან, ნატბევის და ბაკურხევის ჭალებთან, ხოსროკლდესთან და ქვენამთის გადასასვლელთან ერთად ბურსაჭირია ის ლოკალური გეოგრაფიული გარემო, ადგილობრიეთა საარსებო სივრცის საიმედო საყრდენად მოსააზრებელი მადლიანი ადგილი, რომლის ბედ-უბედობა, გაიშვიათებული სილაღე და მოხშირებული ტკივილი, დღე-ღამე და დარ-ავდარი არაორდინარული ხედვის ღეთიური ნიჭით დაჯილდოვებული თუ დასჯილი შემოქმედის გულზე გადადიოდა, ნაშაშრს ტოვებდა და დროთა განმავლობაში გაჩენილ სევდის მწვავე იარას თანდათანობით უღრმავებდა, უარჯლებდა და უფართოვებდა..

ჩაივლიდა დრო „თავის გზაზე კაბის ბოლოს ფრიალით“ და მთის კიდევ ერთ სოფელს ნაშლიდა მიწის კალთაზე.

ასე წაიშალა ფასანაურის თემში შემავალი წიკლაურთა სოფელი ბურსაჭირი..

„ბუნების ცოდვით გულგასენილი შავი არაგვი“ ხანდახან „ლურჯი ძარღვივით“ დაეტყობოდა „ღორღიან ხეობას...“

ერთნაირად დაბერდებოდნენ „შემოდგომა და სამძივარი...“

„ცასა და მიწას ერთი ფერი დაედებოდა". და ეს ფერი „გარდაცვალების ფერი იყო, მტკნარი და მიტკალივით თეთრი".

და ძალიან ჰგავდა ხილულ სააქაოს ნარმოსახვისმიერი საიქიო...

გუდამაყრის ვიწრო ხეობის ხვეული ბილიკებით უახლოვდებოდნენ და მიეახლებოდნენ ღვთაებათა წმიდა საბრძანისებს გოდერძი ჩოხელის გმირები; ამ ბილიკებით მიმოდიოდნენ და ხვდებოდნენ ერთმანეთს ბუთულა და შუღლიანთ მახარა, ხეჩო და ცივათ მიხა, ჯღუნა და მაშვნიაის თედუა, ბერი და ქაქეენთ კოლა, მზექალი და ომარათ ბათილა, დევგარეული და ხიზანიანთ ფიდუა, სამძივარი და ფილიპიანთ ვანუა, მწარია და კოტორიანთ ქალი, ბიბღია და მექობაურიანთ ბუთულა, აკა და ზითანდარი, შეთე და ჯუღურა, ლეგა და თადეოზი, ჩაჩა და ადამი, შალვა თამნიაური და მარტია ბუბუნაური..

ამავე ხეობაში ითლებოდა მათი აკვნის და კუბოს ფიცრები.

და ძალიან მოკლე იყო მანძილი ამ, ორ დროებით და სამუდამო საწოლს შორის..

თემიდან უღირსებოთა მოკვეთის ნიშნად გუდამაყრის გამოსაჩენ გორებზე დროდადრო სამრისხველო სამანები ჩნდებოდა.

და ეს სამანები იყო გამყოფი ხთონურისა და ღვთაებრივისა..

სწამდათ, რომ „უცნაურ და უთქმელ" უზენაესთან ერთად სულეთის ანუ საიქიოს ღმერთიც არსებობდა.

და აქაური ხალხი „სიცოცხლესა და სიკვდილს ერთნაირად სცემდა პატივს..."

* * *

მოთხრობაში „მოძღვარი" ალ. ყაზბეგი წერს: „ზაფხული იყო. ბურსაჭირის ღელეში ურიცხვი ცხვარი იდგა. მწყემსებს ჯალაბობა საწველად მოეყვანათ და ყველსა და ერბოს ამზადებდნენ.."

ეს ხომ ჩემი სიყმაწვილის მსუყედ ფეროვანი და თვალის ბოლო დამწუხვამდე დაუვიწყარი სურათია!

რა დრო-ხანი გასულა, გაცრილა, წამები და წუთები ჩამარცვლულა და მეხსიერებაში ამოჭდეულ დღეებს ხელთუქმნელი შუქი არ დაჰკარგვია, სითბო და ინტიმი არ მოჰკლებია..

ბურსაჭირის გავლით დედულეთში წასვლამდე უფროსები-

სგან მესმოდა ამ ხიბლიანი ხეობის სახელი; მესმოდა და, რატომ, არ ვიცი, ისეთ ალაგად წარმომედგინა, სადაც ჯადოსნური ზღაპრის თვალსაცერა გმირები ადლიანი ნაბიჯებით ღარავენ ქვანარევ მინას, გემოწმინდა წყაროებთან ხმატკბილი ფერიები ბინადრობენ, შალან-დიყის ტევრში შავშუაღამეთ კაცთა სამტროდ და სამავნეოდ სამალავებიდან გამოსული ბრიყვი დევები დაბაჯბაჯებენ და თვალის სალბუნად ამოჟოჟინებული სიმწვანე არასდროს იცრიცება...

მერე, მოგვიანებით, დედის ნათქვამი ხალხური ლექსი დამამახსოვრდა:

ბურსაჭირისა შავ წყალო,
რექასა გეძახიანო,
დუშმანთ გულივით მირღვაო,
ჭორიან-საძრახიანო.
მთიულის ქალებს მოსწონხარ,
მაინც არ გეშვებიანო,
მე კი მინდიხარ აღარა, –
გუნებამ გადიტრიალო...

ბურსაჭირამდე ქვენამთა (ეს თუ „ქვენაა", „ზენა" სადღაა?!) გვქონდა გასავლელი; ქვენამთამდე – „კიბე" და ქანჩახიან, ჩამოჩონჩხილ კლდეზე გაჭრილი ვიწრო გზასიპი, რომლის ელდისმომგვრელ მონაკვეთებს უტყუარი ცხოველური ალღოთი, სხვარიგი სიფრთხილით და ოფლმომსკდარი მკერდის ჯიშიანი ფეთქვით მიიკვლევდა მოვერცხლილი აღვირ-უნაგირით და ჭრელი ხურჯინით მორთულ-მოკაზმული ცხენი.

ორი საუკუნის წინათ, უფრო ზუსტად, 1803 წელს შედგენილი პროექტი გუდამაყრის ხეობაზე სამხედრო გზის გაყვანას ითვალისწინებდა, გზისას, რომელსაც ბურსაჭირის ზეკარით სნოს ხეობასა და, შემდგომ, დარიალში უნდა გაევლო.

1847 წელს მთავარმმართებელ ვორონცოვს ხსენებული პროექტი დაუწუნებია, უარუყვია და სამხედრო გზის მშენებლობას თეთრი არაგვის ხეობაში შესდგომიან..

ქვენამთა.

არაერთგვაროვანი რელიეფის ამ უზარმაზარ მთას ახლაც ატყვია მხარგაშლა სიგანის მიხ-მოხვეული ნაგზაურები.

ისტორია ცოცხლობს; რაღაც იკარგება, იცრიცება, მაგრამ მაინც სუნთქავს, არსებობს...

ქვენამთა გადაიარეს,
ფერს იდევნებენ მგლისასა...

მთიელ ვაჟკაცთა, გამოხედვაში მგლის ბეწვგარეულთა, გულრკინათა და ლომისფერთა შესახებაა ნათქვამი.

საით მიდიან სისხლაბორგებული სვილისფერი მოყმენი? ვისი დედა უნდა ატირონ მდუღარე ცრემლით? ვის ცოლსა და ასულს უნდა ჩააცვან ყორნისფერი ტალავარი?..

ესეც ხომ თავისებური მატიანეა, ზეპირი სიტყვით დღემდე მოტანილი, სანდო და უეჭველი, მაგრამ სადღაა მათი ნაფეხურები, ნაკვალევი, ხმა და სახის იერი?

გადაუვლიათ ქვენა-ზენა მთები და გაუჩინარებულან; ნისლის გრილ ფარდებს მიჰფარებიან, სულეთის სამანს გადასულან და სამოთხის ედემ-ბაღებში დამკვიდრებულან, სათითაოდ ჩაუკრეფიათ „უკენობის" მზის მენამული სხივები, ულეწიათ კუთვნილი კალო, მაჯა და მხარ-მკლავი ვადაჯვრიანი ხმლების ქნევაში დაუღლიათ, დაუღამებიათ გრძელი დღე და.. ჰე, ჰეე!.. წასულან.. წასულან..

მახსოვს ქვენამთის მისადგომები, ცხენ-მხედრის მომცელავი ღონიერი აღმართები, ღოლოიანი ნანიდრები, გამყავრებული ნაბინავრები, უსუფთავესი ბინულები, ნაპირებაფერადებული ნაკადულები, კესანეს ლურჯ ლაშქარში მიკარგული ბილიკები, წვრილად დალენილი მოელვარე ქვიშით წაპერანგებული ფერდობები..

მახსოვს ის ადგილები,სადაც ვჩერდებოდით, ვქვეითდებოდით, ვისვენებდით, ცხენებს წაბალახების საშუალებას ვაძლევდით და გზა-მგზავრობის ანგელოზს ვადიდებდით ხოლმე..

მოხევეებს ცხვრის ფარები ედგათ ქვენამთას.

ჭარბობდნენ სნოვლები და კარკუჩლები.

ხალვათ საძოვრებს შვება მოჰქონდა ტრიალ ცისქვეშეთს მიკერებული ნაჯაფარი მწყემსებისთვისაც და წვრილფეხა პირუტყვისთვისაც.

იქ იზაფხულებდნენ.

წველიდნენ ცხვარს.

ნლის ნაწველ-ნადღევებით არჩენდნენ ოჯახებს, ხელმოკლე ახლობლებს..

ჩემს საფერხეს, რომელიც ჯერ კიდევ უცად მხედარს მანდო თანასოფლელმა, „თამაშა“ ერქვა. ჩალისფერი გადაჰკრავდა. იორღა იყო. ტან-მომცრო და კოხტად დაკვალთული..სახელს ამართლებდა, მართლაც თამაშ-თამაშით მისდევდა ბუსნოს, ბილიკს, ბუერიანს..

პირველად მივდიოდი დედულეთში და გული უნაპირო სიამაყის სიამით ძგერდა..

„ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულს გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას აშორებს...“

ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“ ხომ, გარკვეული აზრით, ბურსაჭირის და მისი მიმდებარე ყურე-მარეს ველური სილამაზის ერთგვარი მხატვრული ტილოა, სადაც დიდი ადამიანური ტკივილისა და ტრაგედიის თანდათანობით სამზადისს ვესწრებით და, სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, არ შეგვწევს საიმისო ძალა, რომ მაყვალას, გელა გოდერძიშვილს და ონისე არაბულს პირკუპრი ჯანღი და ღრუბელი ავაშოროთ, ბედი სანაღმართოდ „ვუქციოთ“, „წერა მოვხადოთ“, ცხოვრების ჩარხი თუ ბორბალი საკაოდ შევუტრიალოთ..

ჩვენ ხომ ჩვეულებრივი მკითხველები ვართ.

მათი ტანჯული ცხოვრების გაცნობით ვნაღვლობთ, ვწუხვართ, ვსევდიანობთ.

მეტი არაფერი ძალგვიძს..

სადღაც აგერ, აქ, ცადამაღლებული ფრიალოების და ძუძუუშრეტი მთების გარემოცვაში იდგა ქვეყნის ამაოებით თავმობეზრებული გუდამაყრის ხეობის მოძღვარი ონოფრე...

ჯამაათს განრიდებული და გაკიდეგანებული ბურსაჭირის კლდეებში განდეგილობდა...

ქვისგან აშენებულ საკურთხეველზე ჯვარი და სახარება ესვენა და სულის უბინოების გადარჩენას ენუკვოდა უფალს.

„უბრალოს გამოქვაბულს კლდეში“ დაყუდებული მოძღვარი და მაყვალა ზოგი რამით საოცარ მსგავსებას ავლენენ ილია ჭავჭავაძის განდეგილთან და ციური მშვენებით სავსე მწყემს ქალთან.

და ეს ორივე გენიალური ნაწარმოები რაღაცით ვაჟას

„გველის-მჭამელთან“ აბამს გენეტიკურ-ტიპოლოგიური სიახლოვის უხილავ შიბს.

ამაღლება და ცოდვითდაცემა, ადამიანის სულიერი სიწმინდის მტვერმიუკარებელი მწვერვალიდან დაბლა დაშვება და მინაზე მწარედ დანარცხება..

მაგრამ ახლა მე ორი თანამგზავრის თანხლებით ბაკურხევში მივიჩქარი,ზედმეტად ცნობისმოყვარე ბალღის დაუოკებელი ინტერესით ვათვალიერებ მიდამოს და რაც კლასიკოსთა კალმის იღბლიან მონასმებში ხდება, ჯერ ამბადაც არ მსმენია..

„მუდამ დაბურული, დაღვრემილი და შეკუმშული ბურსაჭირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს...“

წვიმა იწყება..

გაღმა-გამოღმა, სერდასერ და ქედიდან ქედზე სასიკვდილოდ დაჭრილი ჯიხვის ცრემლივით (გვიან, დიდობაში, ესეც მინახვს!) ანკარა წვიმის სვეტები ჩამომდგარან, ჩამოშვებულან..

კუთ-კუთად დანაწევრებული ნისლის ფუმფულა საბანი დაჰფარებია წვრილხევებს, ღელეებს, იალაღებს, ნაირ-ნაირი ყვავილის უთვლელ ფერში ამღერებულ გზისპირებს და ბურსაჭირის გადასავალს, რომლის სიმაღლე 2377 მეტრს აღწევს..

ბურსაჭირის ღელეში გრილი ნიავი გვეგებება.

ამინდი ხომ უცებ, „თვალწამაერთის ხანზე“ იცვლება მთაში.

უფროსების გამოცდილებას დანდობილი უშიშრად ვზივარ უნაგირზე და სადავემიშვებული „თამაშაც“ გახშირებული სუნთქვით მიუყვება ქვიან ბილიკს.

ნაშალი მთის ზედატანს ისეთი ხიფათიანი გზაწვრილი გასდევს, თუ არ იფრთხილე,შეიძლება მშხეპრი წვიმებით ჩარეცხილ ხევში აღმოჩნდე და თუკი ცოცხალი გადარჩი, გამჩენს მადლობას შეუთვლი და „სამეშვლოს“ შეუთქვამ..

ჩამოქვეითებული თავქვე ეშვები. მორჩილად მოგყვება დამსუბუქებული „თამაშა“. ქვემოთ ბურსაჭირის ხეობას გაუხსნია გადახასხასებული გულ-მკერდი.. სულ ცოტა ხნის წინ უიმედოდ გამიჯნურებულ მოყმესავით დაღვრემილ ცასაც აუკარებია და ჩაღმა ჩამავალი მზის მიბჟუტული სხივები თავგამეტებულად ჩაღვრილან ქიდექის ნაჭრელა-ნაოჭებში..

„რუსეთისკენ მიმავალი გზა, – ვკითხულობთ ალ.ყაზბეგის მოთხრობაში „ბერდია“, – ამ ორმოციოდე წლის წინად, მიდ-

იოდა გუდამაყრის ხეობაზედ, გადადიოდა ზამთარში ძნელს გასავლელს ბურსაჭირის მთაზედ და ჩადიოდა სნოს ხეობაში..."

წარმოდგენაც კი ძნელია, რა ძალ-ღონის პატრონი და ამტანი უნდა ყოფილიყო მგზავრი, ზამთარში ამ გზის გავლა რომ შეძლებოდა. ალბათ ნამდაუწუმ, ყოველ ნაბიჯსა და მოსაბრუნში ჩაჩუმქვრა და გათოშვა ემუქრებოდა, ზვავი ეხედვებოდა, შავი ყორანი დაჰყეფდა და სიკვდილი ჰყავდა ჩასაფრებული დაუნდობელი ამინდისა და გავეშებული ბუნების უმწეო არჩივს...

ნეტა რა ქარმა დაუქროლა
ვაჟებს მაგ ბუბუნაურებსა,
გადმოუყრია ბოსლის თავსა
ქარსა მაგ ბურსაჭილისასა.

ხმით ნატირლის ამ სტრიქონებში სრულყოფილად ჩანს კლიმატური სახე და ხასიათი ბურსაჭირის ხეობისა..

არანაკლებ ზავთიანი ფათერაკი დარიელობდა ადამიანის სიცოცხლეს გაზაფხულისა და ზაფხულის წყალდიდობებში.

ხეობის ყინულიან სათავეებში ფეხადგმული მდინარე რექა ჩანთქმას უქადოდა მის მღვრიე ტალღებთან მორკინალ ნებისმიერ სულიერს.

წყალო, რექასა ნუ გაირევ,
ბურსაჭილულსა, ცოდვიანსა...

ბევრი ბერისა თუ ახლის სუნთქვა ჰქონდა ჩახვეული და ამიტომ იყო რექა „ცოდვიანი".

მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე „ბურსაჭირი" სოფელს ერქვა, დღეს ის ნასოფლარია. უარესიც: ნაოხარი და ნაპარტახალი.

1929 წლის სტატისტიკით, ბურსაჭირში ნიკლაურების გვარის 16 მეკომურს უცხოვრია.

ახლა, ზაფხულობით, თითო-ოროლა მეცხვარე და მეძროხეღა თუ ააჩქამებს იქაურობას...

ნამდვილი პასტორალი, განედლებულ ბუნების ჯანმრთელ ძარღვთან ადამიანის გაუბზარავი ერთიანობის მძაფრი შეგრძნება, სიმშვიდის, სილამაზისა და იდილიის ის წარუვალი

განცდა მას მერე, მგონი, აღარც განმეორებულა და, რაოდენ საწუხიც უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, პირადად ჩემთვის აღარც განმეორდება.

უტბუნი ავდრისგან ამირღვებულ რექას ნაპირზე სამი თუ ოთხი ქოხი დგას. ვუახლოვდებით მდინარეს და ჩვენს დანახვაზე ლამის ცა ჩამოლეწონ მყეფრებმა. სამხრობის ხანია. ქიდექის შუაწელს მიმცვრეული ცხვრის ცია თეთრი ფარა შეუმჩნევლად მოიწევს ქვემოთ... ხელმარცხნივ ჯაჭვისფერი ჭიუხის ცალი მხარე ლივლივებს. წვიმაგადავლილ მთებს ხავერდოვნება მომატებიათ... ქოხებს შორის ჭრელკაბიანი ქალები ჩანან: ერთ-ერთი ქოხის უკან, მოღობილში, ბავშვები თამაშობენ... თვალმარღი რექა შფოთავს, ბობოქრობს და ხმაურით მოაგორებს გალიპულ ქვებს. ცხენებს არ უჭირთ გაფოთებული, ვიწრო სადინარში ჩამწყვდეული, ფონუჩინარი მდინარის გარღვევა... გავდივართ გაღმა და დაღრენილი ძაღლებით გარემოცული ავიაღმართებთ ციცაბო ბექობს... შორიახლოდან გვშიშავენ და მათრახების სიმწრის „ხათრით" მთლად ახლოს მოსვლას ვერ ბედავენ მეცხვარეთა ბინა-საბადებლის მოუსყიდავი დარაჯები.. ფერდობზე დაღვრილი შრატის და უმი რძის ნაჯერი სუნით გაჟიებულა მთელი მიდამო... რომელიღაც ქოხში გარმონი აჩქამდება. მსუბუქ ტალღებად სწვდება ყურს ხმატკბილი საკრავის ნაღვლიანი მელოდია. დამკვრელი არ ჩანს. თქმა არ უნდა, ჩვენს გასაგონად უკრავს. მალე სიმღერაც აჰყვება მთის აღმავალ მელოდიას და წლების მერე, როცა ის დღე მახსენდება ხოლმე, მაშინ ნანახი ეპიზოდი მწყემსთა ცხოვრებიდან ღვთით ხელმომართული რეჟისორის მიერ დადგმული ერთი გრანდიოზული სპექტაკლის ფერუცელელ ფრაგმენტად წარმოისახება ჯიუტი მახსოვრობის მგრძნობიარე ეკრანზე..

როგორც ჩანს, ძალზე ჭირდა ბურსაჭირში (სოფლის სახელის სემანტიკა და ეტიმოლოგიაც ამაზე მიანიშნებს!) ცხოვრება. სოფელ-ქვეყანას კაი მანძილით დაშორებული, გამოჟამყრუებული ხეობის ზამთარი ხომ ჯან-ღონის დამლევი იქნებოდა იქაური მოსახლეობისთვის.

თუმცაღა ხალხურ ლექსზე უკეთ მე რა უნდა ვთქვა:

ბურსაჭირი –
სულთა ჭირი,

სული კბილით საჭერია,
ხელში ბალღი,
ზურგთ-აკვანი,
კარი კბილით საღებია...

მივდივართ და აღმართს ბოლო არ უჩანს.

ზოგან ისეა ჩაფხეკილი და ჩაფხავებული საცალფეხო ბილიკი, ვქვეითდებით და წინ მივუძღვებით გულამოვარდნილ ცხენებს.

უცხო პანორამა იშლება თვალსაკიდში..

წასახემსებლად წყაროსთან ვისვენებთ.

აქედან მუხლის ერთი მოღლაღა რჩება ცის ტატნობამდე.

ხოლო ქიდექის ქარიანი უღელტეხილიდან ბაკურხევი-ჩემი დედულეთი („დედულათ სოფელი") უნდა გამოჩნდეს, საკერპოს შუაგულში აღმართული ორი უზარმაზარი ალვის ხით და აყვირებულ ბალახში გაფანტული სახლებით; დედულეთი, რომელიც ცხადად ჯერ არა, ხოლო სიზმარში უკვე მრავალჯერ მაქვს ნანახი...

* * *

გამოხდა ხანი.

დავამთავრე სკოლა და გავხდი სტუდენტი.

სტუდქალაქში გავიცანი გოდერძი ჩოხელი..

ნაცნობობის წინახანებში, სხვა თუ არაფერი, ბურსაჭირი ხომ მაინც გვაახლოვებდა და გვაკავშირებდა ერთმანეთთან.

ჰოდა, ერთხელაც, 1980 წლის ოქტომბერში, გულმა ორივეს მთებისკენ გაგვიწია.

ჩოხში ასულებს ლელა დეიდა, გოდერძის დედა, სახლში არ დაგვხვდა. ვიცოდით, რომ გვიან შემოდგომამდე, აცივებამდე და გაბმული წვიმების ხორხოშელა თოვლად ქცევამდე, ბურსაჭირში აჟამკრებდა თავის ცხვარ-ძროხას და ჩვენც აღარ დაგვიხანებია, მაშინვე აღმა ავუყევით ღორღიანი ხეობის დაღვარულ ბილიკებს..

რამდენიმე მიწური, ბანიანი სახლის დანახვამ გამახალისა, სიცოცხლის სუნთქვა მაგრძნობინა და, რაღა თქმა უნდა, დედულეთში ცხენით მგზავრობის განუმეორებელი დღეებიც ცხადლივ გამახსენა..

ორად-ორი მოდღევნებული ქალი შერჩენოდა აცრიატებული ბურსაჭირის სეედიან სანახებს: მთიელთათვის უჩვეულო სითბოთი საესე ლელა დეიდა და პირტუქსი კოტორიანთ ქალი – შემდგომ გოდერძის რამდენიმე მოთხრობისა და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ადგილის დედა“ კოლორიტული გმირი.

რექა ველარც კი ვიცანი, ისეთი დამწდარ-დაწმენდილი და დაწყნარებული მოლიელივებდა თავის ძველსა და ნაპირებნაცვეთ უცვლელ სადინარში..

ხოლო გუდამაყრიდან უკან დაბრუნებულებმა ეს პატარა ჩანახატი თუ ეტიუდი (რაც გნებავთ, ის დაარქვით) დავწერეთ ერთად:

ბურსაჭირის ფერდობი

შემოდგომობით, როცა ცხვარ-მეცხვარე საზამთროდ აიწეწება ხოლმე, ბურსაჭირის ფერდობი წყნარდება, ქალებისა და წვრილი ბალღების ანაბარასღა რჩება. მერე ნება-ნება ისინიც ტოვებენ იქაურობას და სოფლებში ჩამოდიან...

ზამთრის მოლოდინში გახმება ბალახი, გაიცრიცებიან ყვავილები, გაფერმკრთალდება ზეცა, სახლები ჩუმად სხედან გადაყვითლებულ ხეობაში.

სადღაც ცხვრის ფარას ჩამორჩენილი, კუდამოძუებული ძაღლი თუ გაირბენს. ისიც არ იღებს ხმას. პატარა ლეკვები ჰყავს სიპქვეშ შეფარებული, იმათ გულისათვის ველარ გაჰყვა მწყემსებს..

სულ ბოლოს კოტორიანთ ქალი ტოვებს ბურსაჭირს. წამოსვლამდე მოადუღებს უწყლო ხავიწს, ჩადებს ქოთანში, ბოთლში წინწანაქარ არაყს ჩამოასხამს და ხავიწთან ერთად კალოზე დადგმულ კიდობანში შეინახავს. ზამთარში შემთხვევით მის სახლში ღამის გასათევად მისული მონადირეებისათვის. საჯიხვის წვერზე პირველი თოვლი რომ გამოჩნდება და თეთრი სახით დააცქერდება ბურსაჭირის ფერდობს, კოტორიანთ ქალი ადგილის დედას თავს შაახვეწებს,საქონელს წინ გამოიყრის და ისიც ქვემოთ წამოვა. კაბის კალთაში პატარა ლეკვები უსხედს, უკან ძაღლი მოჰყვება. თითქმის ყოველ შემოდგომაზე ასეა, ხან სამი ძაღლიც კი მოსდევს ხოლმე კოტორიანთ ქალის კალთაში აკრუსუნებულ ლეკვებს..

კოტორიანთ ქალის წამოსვლა ზამთრის დადგომას ნიშნავს ბურსაჭირში, ხოლო უკან მიბრუნება-გაზაფხულის მოძალებას. რაღაცით გუგულსა ჰგავს კოტორიანთ ქალი.. – გაზაფხული მოდის, კოტორიანთ ქალმა ბურსაჭირისკენ აიარაო, – ასე გრძნობენ გუდამაყრელები გაზაფხულის მოსვლას...

ზის კალობანზე კოტორიანთ ქალი და მოლოდინით გაჰყურებს ქვენამთის გადმოსასვლელს, საიდანაც მწყემსები უნდა მოვიდნენ. ასე იწყება ბურსაჭირის ცხოვრება..

* * *

„თევზის წერილების" მესამე გამოცემის (2001წ.) ანოტაციაში ავტორი წერს: „სულ პირველად ბებიის სიკვდილი განვიცადე. იმის მერე აღარ მივუტოვებივარ სიკვდილის მიერ მოგვრილ საშინელ განცდას. ხან ძროხა გადმოგვივარდებოდა მაღალი მთიდან, ხან ცხვარს შეგვიჭამდა მგელი, ხან მეზობელს მოუკვდებოდა გაღმა სოფელში ნათესავი, დროდადრო ყვავი შემოჯდებოდა სოფლის ბოლოს ანდა სოფლის ზემოთ რომელიმე ხეზე და მოჰყვებოდა ავისმაუწყებელ ყრანტალს. – რაღაც ავი ამბავი გაიგონება, ვიღაც მოკვდება! – მოჰყვებოდნენ ვიშვიშს მოხუცები და ეს შეშფოთებული ვიშვიში დღემდე მომდევს, დღემდე მაფრთხობს, დღემდე მაელდებს. რაღაც ამოუცნობი სევდიანი კაეშნით არის ჩემი გული სავსე და ეწერ მოთხრობებს სიკვდილ-სიცოცხლეზე, იქნებ როგორმე სხვას მაინც გავუქარვო ამით სიკვდილის კაეშანი".

სიკვდილი გოდერძი ჩოხელის მოთხრობების, რომანის „ადამიანთა სევდა" და მხატვრული ფილმების სახიერი, სრულუფლებიანი პერსონაჟია. ის დღემუდამ ადამიანთა შორის იმყოფება, ტრიალებს, მათ კვალშია ჩამდგარი, ჩადარაჯებული, თვალით ხან სახილველია, ხან – არა, და, როგორც ვაჟა იტყოდა, მისით შვენობს სიცოცხლე..

„– რა არის სიცოცხლე?

– სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.

– სიკვდილი?

– სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა".

ძნელია ყოფნა-არყოფნის შექსპირული დილემისა თუ კაცობრიობისთვის დღემდე დაუძლეველი პრობლემის ამაზე უფრო ხატოვნად, შთამბეჭდავად და ლაკონიურად ფორმულირება.

ამგვარ დასკვნამდე თუ თვალსაზრისამდე რომ მიხვიდე, ჯერ ასეთი რამ უნდა განიცადო და ამოთქვა:

„მზე ჩადის.

დედაკაცები ისევ საფიხვნოში სხედან და ძვლებს ითბობენ.

– ნინუაე!

– სოფიაე!

– მართაე!

– კანუშაე!

თქვენი უდროოდ ჩამობერებული ძვლებიდან ადენილი სუსტი ალი მიკიდია სულში. თქვენი ოხვრა მინთია სანთლად. თქვენ მუხლებში ჩამდგარი სიბერე მაელდებს...“

ანდა ეს მოისმინო, გაითავისო და დაინამდვილო:

„ავაჰმე!

ეს სიტყვა რაღაცით ჰგავს გუდამაყრელ დედაკაცებს, თუკი შეიძლება სიტყვა ადამიანს ჰგავდეს და მსაგვსება ზოგად სახეს ატარებდეს“.

გოდერძი ჩოხელის ქრისტიანული თვალთახედვა და ადამიანთა ზოგადი წარმოდგენა საწუთროს ორგემაგე ბუნების თაობაზე, ხშირ შემთხვევაში, თანამსგავსია, მათ შორის სრული შესაბამისობაა და მკითხველიც, გონიერი და გამგები, დანდობილად მიჰყვება მწერლის ფილოსოფიურ აზრთა დინებას.

„– დასასრული არ არსებობს.

– როგორ თუ არ არსებობს?!

– ისე, რაიმეს დასასრულში ყოველთვის დასაწყისი დგას...“

* * *

ალბათ არცერთი სხვა ცნება თუ წოდება ისე არსისეულად არ მიემართება და ესადაგება მწერალ გოდერძი ჩოხელს, როგორც – „სახალხო“. მისი აზროვნება, მსოფლხედვა და, გნებავთ, წერის მანერა, გენეტიკურად იყო მიბმული და დაკავშირებული „უბრალო“ ხალხის ქმნადობის ნიჭთან, გარესინამდვილის პოეტური აღქმის სპეციფიკასთან, მის სადა, ყველასთვის მისაწვდომ საუკუნოვან სიბრძნესთან. ლექსიკით დაწყებული და დამთავრებული ფრიად პოპულარული თუ ნაკლებადცნობილი სიუჟეტებით, გ. ჩოხელის პროზაში არც ისე ძნელია ხალხურ-კილოკავური პარალელებისა და მითოსური ანარეკლების მიკვლევა. „ნედლი“ ზეპირსიტყვიერი ტექსტისა

თუ შესიტყვების ჩართვა ინდივიდუალურ ნარატივში აპრობირებულ სულიერ ღირებულებათა ხელახალი გამოხმობის, გაცოცხლებისა და გააქტიურების, მკითხველთა ფართო წრის გონსაწიერში მოხვედრის წინაპირობაა..

უმრავალფეროვნეს ხალხურ სიტყვიერებასთან,უსახელო წინამორბედთა უდიდეს შემოქმედებით გამოცდილებასთან გოდერძი ჩოხელის ცნობიერი თუ ქვეცნობიერი დამოკიდებულების ნიუანსური თავისებურებანი სამომავლო დაკვირვების, შესწავლისა და განსჯის საგანია, ხოლო ამჯერად მათ ნათესაურ სიახლოვეზე მიმთითებელი ორიოდე თვალსაჩინო ფაქტის კონსტატაციას დავჯერდეთ.

„...დღეს თუ ხვალ ისეთი თოვლი მოვა, ჩიტი გადაბრუნდება და ცას ფეხებს მიადგამს", – გვაუწყებს მწერალი.

„ერთხანავ, სესხშიავ, ისეთა დიდ თოვლ მასულასავ, რო ჩიტივ გულაღმ დაცემულაო და მწკალნივ ცისად მიუხირებიანავ", – გვამცნობს კომპაქტურობით გამორჩეული ხევსურული ანდრეზი..

„სახლის გვერდზე ნაწვიმარ მიწას ჯარისკაცების ნაფეხურები ეტყობოდა მცირე იმედად. ტყიდან ფიჩხი მოიტანა და იმ ნაფეხურებს ღობე შემოავლო სალომემ. იმ დღიდან იმის საზრუნავი ის ღობე გახდა".

გ. ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობის ამ უჩინარ ფრაგმენტსაც თავისი წინარე დოკუმენტური ხალხური ამბავი უდევს საფუძვლად, სახელდობრ, სამუკათ ხვარამზეს და ვაჟიკა ნაკვეთაურის უიღბლო სიყვარულის საარაკო ისტორიის ერთი საოცრად ემოციური ეპიზოდი. ნიგნის „ხვარამზე" (1976 წ.) წინათქმაში ირ. გოგოლაური წერს: „...ერთ დღეს, ახალ ნაწვიმარზე, ხვარამზეს სახლის ახლოს ვაჟიკამ ცხენით გაიარა. ხვარამზემ მონატრებული თვალები გააყოლა მას, მაგრამ თავმოყვარე მთიელმა თავი არ შემოიბრუნა ხვარამზესკენ. როცა საოცნებო მგზავრი თვალს მიეფარა, ვაჟიკას ცხენის ნაფეხურებს ღობე შემოავლო ხვარამზემ, რომ არ წაშლილიყო..."

* * *

უყვარდა და ეძვირფასებოდა სიცოცხლე; უყვარდა მძაფრი, ანგარიშმიუცემელი სიყვარულით და ამ სიყვარულს უჩინარი ლანდივით თუ მზის არილივით მუდამ თან სდევდა ბედისწერუ-

ლობის განცდა,განცდა, რომელიც, იმავდროულად, ადამიანური ყოფიერების ტრაგიკულ შინაარსთან იყო წილნაყარი..

„...სიცოცხლე ძალიან ლამაზია, მე კი ნაადრევად ვკლავ გუდამაყრელებს, ეწყინებათ, მა რა იქნება".

უჭირდა უფრო და უფრო გაძლიერებული სულიერი კრიზისის, რღვევის, უიმედობის განცდის დაძლევა. ამას ზედ ერთვოდა სრულიად არაჯანსაღი, ხანგრძლივი სენის მომასწავებელი ბაცილებით გაჭექილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო და აბსურდის ზეობას გარიდებულმა, შორ მონასტერში განმარტოებულმა, საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა სცადა. საბედნიეროდ, გადარჩა. მაინც არ ტოვებდა მიწიერ სიმძიმეთაგან თავდახსნის აკვიატებული განზრახვა... გაწყვეტამდე წვრილდებოდა, დნებოდა და ილეოდა „უთვალავი ფერის" სამყაროსთან დამაკავშირებელი ძაფი. ნებით თუ უნებლიეთ, თავადვე უწყობდა ხელს აღსასრულის დღის მოახლოებას; უწყობდა ყოველივე ყოფითისა და მატერიალურისადმი ინტერესის კლებით და განელებით, პასიური ცხოვრებისეული პოზიციით, უსხეულოთა რიგებისკენ თითქოსდა აჩემებული, დაჟინებული ლტოლვით.. და როცა დარწმუნდა მოსახდენის გარდუვალობაში, კვლავ იმედის უღონოდ მბჟუტავ სხივს ჩაებღაუჭა, ჩაეჭიდა, ისევ სიცოცხლე მოიმშია, მოიწყურა და მოიწადინა, ბედის განაჩენს შეეურჩა და გაუძალიანდა („კაცი რო ავად არის და უნდა მოკვდეს, ისევ ის ჰგონია, არ მოვკვდებიო..."), მაგრამ, სავალალოდ, გზა ხსნისა და ფიზიკური გადარჩენისა, სამზეოს სითბოსთან დაბრუნებისა და დაზავებისა, ქვეყნიერების ამოუხსნელ საიდუმლოთა გაუვალ ტევრში გახლართულიყო..

* * *

მწერლის გარდაცვალების შემდგომ მისი ნაფიქრი, ნაღვაწი და ნასიტყვ-ნააზრევი, ისევე, როგორც ბიოგრაფიის ღირსსახსოვარი დეტალები, წახნაგები და ცალკეული პერიპეტიები, ცოტა არ იყოს, განსხვავებული რაკურსით, მომეტებული ინტერესით და განსაკუთრებული ცნობისწადილით იკითხება ხოლმე.

ნამდვილი თუ გამოგონილი პერსონაჟების ქრონოტოპული განსაზღვრულობის ჩარჩოები მკვეთრ მოხაზულობას კარგავს, მკრთალდება და ისეთი მდგრადი, უძრავი, სტატიკური

მოცემულობაც კი, როგორიც ტოპონიმი გახლავთ,კვრივის, ნაკრძალის, საკრალური არეალის გარკვეულ ნიშანსა თუ შეფერილობას იძენს..

ბურსაჭირი გოდერძი ჩოხელის უცნაურ მხატვრულ ხილვებში ამეტყველებული გუდამაყრის ხეობის – შემოქმედის თვალით წასაკითხი ამ მართლაცდა მიმზიდველი წიგნის – ის თავისთავადი, ქართული სინამდვილისთვის უაღრესად ორგანიული, მერმისის სისაღის გარანტად შემონახული კიდევ ერთი ნიშანდობლივი მონაკვეთია, რომელსაც, რაც უნდა გაავებულმა ქარებმა იქროლონ და იბობოქრონ, წაშლა და დავიწყება, ქაოსში დანთქმა და დაძირვა არ უწერია, მითუფრო მაშინ, როცა უჩვეულო, „ექსტრემალურ“ გარემოში ახალი სუნთქვის გაჩენის ფაქტობრივ დადასტურებასაც შეგვიძლია შევესწროთ მწერლის ერთ მოთხრობაში: „ზამთარია. ცივა. ბურსაჭირიდან ცივი ქარი უბერავს და თოვლს სახეში აყრის. კოტორიანთ ქალი ორსულად არის და უჭირს სიარული გაუკვალავ თოვლში. ნახევარი გზა რომ გაიარა, ცუდად გახდა. თოვლში მიესვენა. იგრძნო, რომ ბალღს აჩენდა და რომ არ გაცივებულიყო, ტანსაცმელი გაიხადა და ზედ დაწვა. ტირილით დაიბადა ბიჭი...“

კოტორიანთ ქალი (ღმერთმა აცხონოს მისი სული!) ბედის ანაბარა დარჩენილი, მოწყენილი და დაღონებული ბურსაჭირის მასოფლებელი, ჭირისუფალი, შნო და შინაარსია. ამიტომაც მწერალს არათუ შავი მიწისთვის, დავრდომისთვისაც არ ემეტება თავისი რამდენიმე პროზაული ტექსტის რეალური (და არა წარმოსახვითი) გმირი და უბერებლობის, მარადმყოფობის, უკვდავების თავისებურ სიმბოლოდ სახავს მას: „–კაცებო, კოტორიანთ ქალი აღარ ბერდება. – როგორ თუ აღარ ბერდება?! – ისე, გაუჩერდა სხეულში ხანი და აღარ ბერდება...“

ხოლო ბურსაჭირს, სადაც კაპასი, გააფთრებული ზამთრის თოშსა და ყიამეთში იბადება ბალღი, დღემდე „გაცრეცილ ცასავით უსასრულო“მოლოდინი აძლებინებს და, ადრე თუ გვიან, იმედი უნდა ვიქონიოთ, უსათუოდ აახმიანებს ჯიშიანი მოდგმის გუდამაყრელთა გამოჩენა.

ნეტარების მწვერვალებიდან ტანჯვის უძირო უფსკრულებამდე

რამეთუ მტკიცე არს,
ვითარცა სიკვდილი, სიყვარული.
„ქებათა ქება“

ჩემი ახსნა საიდუმლოსი ფუჭი გამოდგა.
გრიგოლ რობაქიძე

„სიყვარულში სადარ-მხვედრთა“ (გრიგოლ რობაქიძე) ანუ სწორფერთა და წანალთა რაობისა თუ ვინაობის დასაბამიერი გაგება ჩვენგან იმდენადაა დაშორებული, მივიწყებული და გაბუნდოვანებული, რომ დღემდე უპერსპერქტივოდ გამოიყურება ამ ორი მონათესავე ეთნო-კულტურული მოვლენის ლოგიკური ახსნა და დასაბუთებული დახასიათება.

„საამური ჯოჯოხეთის“ ბჭეებგამოვლილ ქალ-ვაჟთა თავშეკავებული ურთიერთობის ინტიმური ამბები გასული საუკუნის შუახნებამდე შემორჩა ფშავ-ხევსურეთის ყოფით სინამდვილეს. „ეროსის აღვივებით“ (გრიგოლ რობაქიძე) თანდათანობით შერყვნილსა და ანაღვერდლებულ უკანასკნელ ღამეებში დაესვა წერტილი „დღიანობის“ სანატრელი სტატუსის მაძიებელი ახალგაზრდების უჩვეულო დობილ-ძმობილურ თავგადასავლებს.

წასაღები, როგორც პოეტი იტყვის, ძერამ წაიღო. და გულიც დაცხრა. თუმცა დარჩა რეალურ ხდომილებათა ვერბალური ხსოვნა, რომელიც თანდათანობით მკრთალდება და იკარგება. ხოლო კითხვა კვლავაც ჯიუტად დგას დღის წესრიგში და ისევ ძალუმად ძრავს მაძიებელი ადამიანის გულსა და გონებას: სად და როდის მიეცა დასაბამი „ბევრი სულიერი ტანჯვისა და სიამოვნების მომნიჭებელ“ (ვაჟა-ფშაველა) ამ უცნაურ, უპრეცედენტო წეს-ჩვეულებას?..

* * *

კომპოზიციურ ღერძად და საყრდენად, რამაც შეკრა და შეადუღაბა როსტომ ჩხეიძის „მოკვეთილი (ხვედრი ნიკო რაზიკაშვილისა)“, სწორედ სწორფრობისა და წანლობის ის რიბირაბო, ნისლოვანი საკითხებია მოაზრებული, ასერიგად რომ აფიქრებენ და აფორიაქებენ არამარტო საუკუნისწინან-

დელ, არამედ გუშინდელ და დღევანდელ შემოქმედთაც. ანუ იმათ, ვისთვისაც „საკრალურ გაელებული ზღვარის" (გრიგოლ რობაქიძე) გადალახვა-გადაულახველობის მოტივი გაცილებით მეტია და მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი წლოვანების ქალ-ვაჟთა გაცხადებულად წოლა-დგომა და საკუთარ ნებისყოფასთან მედგარ ჭიდილში თეთრად გატეხილი უძილო ღამეები.

ძმები რაზიკაშვილებისადმი მიძღვნილი ტრილოგიის მესამე წიგნში, რომელიც შარ-ხათაბალით ჭარბად გაჯერებული ბაჩანას ცხოვრების პერიპეტიებზე მოგვითხრობს, უხვადაა მოხმობილი მის მემკვიდრეთა ავთენტური მოგონებები, რაც, გარკვეული აზრით, მწერლისეული ნარატივის სანდოობის საწინდარია. წიგნის მთავარი თემატური გეზი და მაგისტრალი ფშაური წაწლობაა, მაგრამ ავტორი, როგორც მას სჩვევია, წვდება და მოიცავს ყველაფერს, რაც, პირდაპირ თუ ირიბად, ბაჩანას სვეგამწარებულ ყოფასთან და მხატვრულ ნააზრევთანაა გადაჯაჭვული...

იმისათვის, რომ სისხლსავსედ ასახო და წარმოაჩინო ინდივიდუალური შემოქმედის წილკერძი და დამსახურება ლიტერატურის ისტორიაში, ზედმიწევნით უნდა იცნობდე კონკრეტული ეპოქის პრობლემებს, საწუხარსა და სულისკვეთებას, სამწერლობო ვითარებას, ღირებულებათა სისტემას, მკითხველის გემოვნებასა და მოთხოვნილებას... ერთი სიტყვით, მთელ იმდროინდელ კულტურულ-ინტელექტუალური ყოფის კონტექსტს.

როსტომ ჩხეიძე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჩინებული ბიოგრაფიული რომანების ავტორი, არც ამჯერად უვლის გვერდს ცალკეული ფაქტების დეტალიზებას, „დაშლა"-დანაწევრებასა და განზოგადებასა და სიღრმისეულ ანალიზს. და ამას აკეთებს შეგნებულად, ერთადერთი განზრახვით: ბურუსით მოცული და დაბინდული არ დარჩეს ნიკო რაზიკაშვილის მდიდარი ბიოგრაფიისა თუ თავისთავადი პოეტური სამყაროს არაერთი ნაკვთი და ნარვალი, შტრიხი და ნახნაგი...

* * *

ცამდე მართალია გიორგი შატბერაშვილი, როცა თავის შესანიშნავ წერილში „ვახსენოთ, ვუთხრათ ქება" ვაჟა-ფშაველას ძმების შესახებ ბრძანებს: „...ისინი ხომ ვაჟას აჩრდილმა დაფარა... დაფარა და გამოაჩინა კიდეც..."

უდიდესი მწერლისა და მოაზროვნის მხრებქვეშ ყოფნის პატივი და ბედნიერება არგუნა უფალმა თედოს და ბაჩანას,

პაელე მღვდლის შვილებს, რომელთათვისაც, ისევე, როგორც ვაჟასთვის, ცხოვრება „ეული" სიტყვის განცდის გარეშე უკიდურესად ლუგუმი და უინტერესო, ღარიბი და ღვთიურ იდუმალებას მოკლებული იქნებოდა. მათი ნაფიქრი, ნაწერი და ნაღვაწი (რასაკვირველია, ოდენობისა და ხარისხობრივი სხვაობის გათვალისწინებით) ქართველთა სულიერი საგანძურის ის გამორჩეული ნაწილია, რომელიც ხავსს არ იკიდებს და, რაც დრო გადის, მით მეტ სიღრმეს, ელვარებასა და ღირებულებას იძენს.

ბევრმა არ იცის, რომ იმ დროს, XIX საუკუნის 90-იან წლებში, ბაჩანა ვაჟაზე დიდ ფშაველ პოეტად იყო მიღებული და აღიარებული. ამ ინფორმაციას იოსებ იმედაშვილი გვაწვდის, ხოლო იაკობ მანსვეტაშვილის თანახმად: „ბაჩანა დიდად ნიჭიერი პოეტი იყო და ზოგიერთი მისი ლექსი სიმძლავრით და პოეტური აღმაფრენით ვაჟას ლექსებს არ ჩამოუვარდებოდა..."

ილია მართალი ვაჟას მზეს ეძახდა, ხოლო ბაჩანას – მთვარეს. თითქოს თანამოკალმეთა სახით გამოცხადებულ ჩვენ წარმართულ ღვთაებათა ნადიმს ესწრებოდა და მათი ღირსება-სიდიდის არსობრივი მახასიათებლებიც შესაფერისი მოეფიქრებინა...

უპირველესი, რაც ძმები რაზიკაშვილების ძველი თუ ახლახან გამოვლენილი ბიოგრაფიული მასალების გაცნობისას გენიშნება და გამახოვრდება, ესაა მათ შორის არსებული უკიდეგანო სიყვარული და კეთილგანწყობა. მწვავე პაექრობაც ჰქონიათ (ყველაზე ხშირად – ვაჟას და ბაჩანას), გაუჯავრებიათ კიდეც ერთურთი, მაგრამ უთანხმოება მალევე დამთავრებულა, კინკლაობას ბოლო მოღებია და ფანდურის ხმას აყოლილი ტკბილი ფშაური „შამღერნება" უებარ მალამოდ დასდებია მათ ალალ, გახნილ, უქვეტექსტო ურთიერთობას.

„ძმებს ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და უერთმანეთოდ მზე არ ამოგვდიოდა". ამას გვამცნობს სანდრო რაზიკაშვილი, ვისი სახლის კარიც ვერაზე, მაშინდელ მლეთის ქუჩაზე, მუდამ ღია იყო მთიდან დედაქალაქში ჩამოსული ძმა-ძმისწულებისთვის (ლევანი და ბაჩანას სამი ვაჟი თვეობითაც კი ცხოვრობდნენ მის ჭერქვეშ).

ერთურთი დიდად ეიმედებოდათ და, როგორც ფშავში იტყვიან, ეთანიებოდათ. ამიტომაც ვხედავთ მხარდამხარ ვაჟასა და ბაჩანას ხორხში, დათვისში, ჩარგალში, აფხუშოში, მაღაროსკარში, კოპალას სალოცავში, გორში, მუშტაიდის ბაღში,

მამისეულ სახლში (ლექსში „აქა ამბავი დისნულ-დედიძმათი" ვაჟა იტყვის: „...იმ დროსა მე და ბაჩანა ერთად ვიყვენით ძმანიო, ვახშამსა ვჭამდით ერთადა, იყო საღამოს ჟამიო. ხონჩაზე ქერის პურ გვედვა, ხელში კაპრიან ჯამიო...").

ძმების განსაკუთრებული ურთიერთსიახლოვის შნო და ლაზათი არც გარეშე თვალისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი. მელანიას (იგივე ნიკოლოზ ნათიძის) გადმოცემით: „საუცხოო სურათს წარმოადგენდა ყოველთვის, როცა ყველა ძმა რაზიკაშვილები ერთად შეიკრიბებოდნენ. პირდაპირ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათ ერთად შეკრებას".

თანამედროვენი ვაჟას მძიმე დავლურსა და ფეხების ორიგინალურ მოსმასაც იხსენებენ და ბაჩანას მარდ თამაშობასაც. იხსენებენ ასევე მათ ერთად ყოფნას ქორწილსა და დღეობებში, დოღსა და საფეხვნოში... „ქაჯეთის ციხედ" ხმობილი სულა-კურდღელათ ძველი სიმაგრისა და ჭვარტლიანი მიწურების გარემოცვაში შუა საუკუნეების უაბჯრო რაინდებს ჰგავდნენ მართლაც რომ სხვარიგ ვარსკვლავზე დაბადებული ძმები რაზიკაშვილები...

ბაჩანას თბილი, მზრუნველი, მომფერებლური ბუნება სანიმუშო სიცხადით ჩანს პირად მიმოწერაში. აი, რამდენიმე სახასიათო ფრაგმენტი მისი ბარათებიდან. სანდროს: „...მადლობელი ვარ, რომ გახსოვარ. ნეტა შენ იყო კარგად, თორემ აქით არა გვიშავს რა: ვყრივართ მშვიდობიანად...", „...მენატრება ამიერიდან სიკვდილი, თუ ნატვრა ამიხდება და ძმების გვერდით დავიმარხები..." „თავს გაუფრთხილდი, ძალიან გაუფრთხილდი, შენაც რომ რამე აგიტყდეს – ამ წუთისოფელში აღარა მიძევს რა".

ძმების დღეგრძელობაზე მლოცველ მწერალს ნაწვნევი ჰქონდა წუთისოფლის სიმწარე: ჯერ იყო და ვეჯინში უღირსებო თავადიშვილისგან ხანჯლით მიყენებულმა უმძიმესმა ჭრილობამ გაუნახევრა ფიზიკური ძალ-ღონე, ხოლო მცირეწლოვანი შვილების მოულოდნელმა სიკვდილმა საბოლოოდ გატეხა მისი ჯანმრთელობა.

* * *

მიზეზი იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა, ბაჩანასგან განსხვავებით, არცერთ თავის მხატვრულ ქმნილებაში ნაწლობის თემას არ შეხებია, საინტერესოდაა გაგებული და განმარტებული

„მოკვეთილში“ (მკითხველს ვუტოვებ უფლებას, დამოუკიდებლად, ჩემი ჩარევისა და შუამავლობის გარეშე გაეცნოს წაწლობა-სწორფრობის არასადაგი ფენომენის მთელ რიგ თავისებურებათა როსტომ ჩხეიძისეულ ხედვასა და ინტერპრეტაციას).

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ ნარკვევებს, აქ ვაჟა თვითმხილველისა და თანამონაწილის უშუალობითა და სიმართლით მოგვითხრობს და აყალიბებს პირად აზრსა და შეხედულებას მშობლიური კუთხის კიდით-კიდეში უხსოვარი დროჟამის წინათ დამკვიდრებული წაწლობის შესახებ; მიუთითებს ამ მოვლენაში სინმინდის კლების შეუქცევად ტენდენციაზე და რუსთველური მიჯნურობის საყვარლობით შეცვლის აშკარა ნიშნებზე...

ერთი რამ ცხადია: როგორც ზღაპარია მითის დესაკრალიზაციის გზით მიღებული ზეპირსიტყვიერი ჟანრი, ასევეა წაწლობა სწორფრობის პროფანაციის შედეგი. „სწორფრობა ღვთის გაჩენილია“, ხოლო წაწლობაში ცოტა რამ შეიმჩნევა ღვთიური და ამაღლებული...

ბაჩანამ მარიამ გურასპაული – თავისი თემის ქალი – შეირთო ცოლად და თემმა ამ საქციელისთვის ის მოიკვეთა. თემის „გადამდეგობამ“ უმკაცრესი სასჯელი მოუვლინა ბაჩანასა და მარიამს: მათ, როგორც უკვე ითქვა, მცირეწლოვანი შვილები დაკარგეს და სიცოცხლის დარჩენილი წლები ცრემლისღვრასა და გამოუდარებელ მწუხარებაში ჩამოლიეს.

ჯანმორღვეულმა ბაჩანამ პოემა „წაწლობის“ დაწერას რამდენიმე წელიწადი მოანდომა. დიდი მხატვრული დონით და ღირსებით ეს ნაწარმოები მაინცდამაინც არ გამოირჩევა, თუმცა ფშაური წეს-ჩვეულების უწვრილმანესი ნიუანსების აქცენტირების კუთხით არც მთლად უინტერესო ეთქმის... და ეს ყოველივე პროფესიული სიღრმითაა გაჩხრეკილი, გარკვეული და გამოკვლეული როსტომ ჩხეიძის „მოკვეთილში“.

* * *

საქალვაჟო ურთიერთობებზე (რითიც ესოდენ მდიდარია ნათელა ბალიაურის წიგნი „სწორფრობა ხევსურეთში“) საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ „მოწონება“ და „სიყვარული“. ეს ორი ცნება უთანაბრო სიხშირითა და ინტენსივობით იხმარება მთიელთა საყოველდღეო მეტყველებაში. სიყვარული მჩატე, მსუბუქ საქციელთან ასოცირდება და, ამ-

დენად, ტაბუდადებული ტერმინია უწინდელ ხევსურეთში. სიყვარულის საქვეყნოდ გამჟღავნება აუგად ეთვლება როგორც ვაჟს, ისე ქალს.

სულ სხვაა, როცა ჯუფთა და საფერთ ერთურთი მოსწონთ. აქ, ურთიერთობის ამ ჭრილში, პიროვნულ ღირსებათა ყველა ტოტი თუ ნაკადი ერთდება და მთლიანდება, წინა პლანზე ნამოიწევს არა ვნება და ხორციელი ლტოლვა, არამედ ნანდაურთა ქალური და კაიყმური ნიშან-თვისებები.

„თვალშურთხა" ასული უბიწოდ შენახული სინდის-ნამუსით, მარჯვე ხელსაქმითა და მეოჯახეობით ფასობს, ხოლო „სვილისფერი" მოყმის ღირსებათა „სალაროში" შეუბღალავი თავმოყვარეობა, უფროს-უმცროსობის დაუწერელი წესის ცოდნა, სოფელში თავმდაბლობა, ხოლო სოფლის გარეთ გამბედაობა, გულოვნობა და იარაღის მოხდენილად ხმარება მოიაზრება...

ქალების მხრიდან კაი ყმების მოწონების კლასიკური მაგალითებია, რასაც, ერთი მხრივ, აღაზასა და ზვიადაურის, ხოლო, მეორე მხრივ, ქერეეთ ზლისა (რძლის) და მთრეხელის შემთხვევაში ვამოწმებთ. აღაზას მოეწონება (აქ სიყვარულზე ლაპარაკი სრული უმეცრება და „შეუწონარი" სიბრიყვეა!) ქისტების – თავისი ქმრეულების – დაუძინებელი მტერი, ხოლო ქერეეთ ზალს ღვიძლი ძმის – შიოლა ღუდუშაურის – მკვლელი ხევსური. ზვიადაურმა და მთრეხელმა მთიელი ქალების ეს ძვირადღირებული მოწონება თავიანთი სიქველითა და მოწინააღმდეგესთან დაპირისპირებაში გამოჩენილი მეომრული მონაცემებით მოიხვეჭეს...

სწორფერთა და წანალთა ქცევის კოდექსი მკაცრად კრძალავდა ქალ-ვაჟთა პიროვნული ღირსების დამაკნინებელ ქმედებებს. და ეს სიმკაცრე აპოგეას, ალბათ, ამ მოვლენათა გაჩენის საწყის ეტაპზე აღწევდა. ახალგაზრდების რეგლამენტირებულ თანაყოფნაში ინრთობოდა მათი ნებისყოფა, საკირის სიმხურვალეში გაძლების უნარი. ღვთით დადებული და დაწესებული ზღუდე თუ სამანი (შიშველი ხმალი) იყო ის დაბრკოლება, რომელიც თავშეკავებისკენ მოუწოდებდა ლუსკუმი ღამის უღრანებში განმარტოებულ დობილ-ძმობილს. ხორციელი საცთურისაგან თავის დასაღწევ ბეწვის ხიდად ითვლებოდა ასევე სადიაცოს გულისპირის ანუ ფარაგის ღილის შეხსნაზე უარის თქმა და ფიზიკური სიახლოვის მხრივ დასაშვები ნორმის ფარგლებში დარჩენა...

როსტომ ჩხეიძე იხსენებს რევაზ გაბაშვილისა და დოდო ამილახვრის სწორფრული ურთიერთობის ღრმადემოციურ, ამაღელვებელ ისტორიას, რამაც თავის დროზე სამუდამო კვალი დატოვა პირადად ჩემში და დამამახსოვრდა, როგორც წარმავალ სიამეებზე ბევრად აღმატებული ორმხრივი ტანჯვისა თუ ნებაყოფლობითი თვითგვემის ამოხმიანი საგალობელი.

* * *

თხრობის გამძლე ძაფზე ფერად-ფერადი მძივივითაა ასხმული ნიკო რაზიკაშვილის დაუდეგარი, დაუყუჩებელი ცხოვრების ღირსსახსოვარი ეპიზოდები. მკითხველის თვალსაწიერში შემოდის შვლებზე და ქედნებზე ნადირობა, არაგვსა და მაღაროულაზე კალმახისა და ორაგულის დასაჭერად სიარული, მგლებთან პირისპირ შეხვედრა და მოშუღლარი ხევსურების გაშველება ბარისახოში, ვეჯინში გადატანილი საბედისწერო განსაცდელი და კომისრის რანგში საშუამავლო მისიით ქისტეთში გადასვლა... და მშობლიური ადგილები, სათიბ-საძოვრები, ხევები და უღელტეხილები, როგორც ერთგვარი ჩარჩო, ყდები თუ ვარაყი მისი ამსოფლიური ყოფა-ცხოვრებისა.

საკრალურ სინამდვილეს მიმსგავსებული წეს-ჩვეულების მხატვრულ-დოკუმენტური ინტერპრეტაცია და მწერლობის შუაგულური საკითხების მიმოხილვა თავისთავად გულისხმობს ამ სფეროებში წინამორბედ მწერალთა თუ მკვლევართა ნაღვაწის ძირისძირეულ გაცნობასა და გათვალისწინებას. როსტომ ჩხეიძე მცირეოდენ დამსახურებასაც კი არვის უკარგავს და საჭიროებისამებრ უთითებს მათი ნაწარმოებებისა თუ ნაშრომების შესატყვის ადგილებს. ასე და ამგვარად ხვდება „მოკვეთილის“ ერთიან სტრუქტურაში სახელები ილია ჭავჭავაძისა და არტურ ლაისტისა, ალექსანდრე ხახანაშვილისა და კიტა აბაშიძისა, კონსტანტინე გამსახურდიასი და გალაკტიონ ტაბიძისა, ჭოლა ლომთათიძისა და შალვა ამირეჯიბისა, ვაჟა-ფშაველასი და სერგი მაკალათიასი, მიხეილ ჯავახიშვილისა და გრიგოლ რობაქიძისა, ზურაბ კიკნაძისა და ნათელა ბალიაურისა, ანა მესხისა, ლელა გაბურისა და შოთა არაბულისა...

* * *

სწორფრობასა და გენეტიკურად მისგან მომდინარე წაწლობაზე ფიქრი ძალაუნებურად გაგახსენებს პროზაულ

გადმოცემებსა და ნაქადაგრებს, რომლებშიაც ჯვარ-ხატთა ხელკაცებთან ხახმატის მდედრი ღვთაების სამძიმარ ხელი-ყელღილიანის ხორციელი ურთიერთობის ნიშანდობლივი ნიუანსებია ნარმოჩენილი.

ღვთისშვილისა და მოწესე ღვთისმსახურთა სასიყვარულო კავშირის მხრივ ცხოველ ინტერესს აღძრავს სამძიმარისა და მისი რჩეულის – აბულეთაურთ ხოლიგას – მარტივი თავგადასავალი. ვარიანტებში ხოლიგას ფუნქციამონაცვლეები არიან: აბულეთაურთ იმედა, აბულეთაურთ საღირა, მეგრელაური გახუა, გოგოთურა და ფერაულიძე ფშაველა... ხოლო სამძიმარი ხატის მსახურთ არა საკუთარი, არამედ ჯუათ ელენას, ჩუათ კმარას ანდა ამირათ ქალის აღით ეცხადება.

სამძიმარი თავის „სადარ-მხვედრთ" საცოლედ ეწონება, ციხის ჩარდახში მოთავსებულ ლოგინში უწვება და თავმანდილს „იგრუშავს". გარდა ამისა, რიტუალურ ქადა-პურებს აცხობს, ქაჯავეთში იარება და იქიდან ნახირი მოუდის...

თინათინ ოჩიაურის მიერ შეკრებილსა და შესწავლილ, ქადაგობის ძველთუძველეს ინსტიტუტთან დაკავშირებულ სარწმუნოებრივ ტექსტებში გამჭვირვალედ ჩანს ნაყოფიერების ლოკალური ქალღვთაების სექსუალური ბუნება.

სწორფრობა-წანლობასთან მიმართების მხრივ საგულისხმო გახლავთ ისიც, რომ გიორგი ნაღვარმშვენიერის დობილი სამძიმარ ხელი-ყელღილიანი გამწყრალ ღვთისშვილსა და მკადრე-მეენეს შორის შუამავლის კეთილშობილურ მისიას ასრულებს. მას ღვთისგან აქვს „მალოცვილი" ელჩობა. ხოლო ელჩი, სასწორფრო ამბებში, ის პერსონაა, რომლის მახვილ ენასა და მოხერხებულობაზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. მას შეუძლია ნადობ-ნაძმობთა საქმის როგორც მოგვარება და წაღმა წაყვანა, ასევე ჩაშლა და წარუმატებლად დასრულება. ამასთან, სამძიმარი თავის რჩეულებს დაქორწინების ნებას არ აძლევს, უკომპრომისო მოთხოვნებს უყენებს და საწადელის ასასრულებლად სხვასახედ მოვლინების ანუ მეტამორფოზა-მისტიფიკაციის ნაცად ხერხს მიმართავს...

რისი თქმა გვსურს: არ უნდა იყოს უნიადაგო სწორფრობა-წანლობის საწყისი საფეხურების კვალის ძიება ქადაგობის ინსტიტუტთან უშუალოდ „მიბმულ" გადმოცემებში, რომელთაც ჩვენამდე რელიგიური განცდით გამსჭვალული ურითმო ლექსებისა და მითოლოგიური ნარატივების სახით მოაღწიეს.

* * *

ძიების გაფართოების შანსსა და შესაძლებლობას აჩენს ანა მესხის ფრიად საგულისხმო და, გარკვეულწილად, დამაჯერებელი ჰიპოთეზა, რომ სკანდინავიური ეპოსის რამდენიმე პასაჟი აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ამ უძველესი ქართული ტრადიციის გათვალისწინებით.

* * *

თექვსმეტიოდე წლის იყო ბაჩანა, როცა „სიმღერად" სახელდებული ეს ლექსი დაწერა:

ვეალერსები, შევხარი
დილას ამოსვლას მზისასა;
ნეტა, ვერ შევესწრობია
დამარცხებასა მტრისასა?
გაჰღვიძებოდეს ქართველსა,
ვადას ჰფერავდეს ხმლისასა,
ნათელი გადაჰდიოდეს
ლაჟვარდს ივერის ცისასა.

მას მერეც ბევრი მართალი, საყურადღებო და გულში გამვლელი სტრიქონი ამოთქვა.

ჭეშმარიტი მწერლობის მიმართ რამდენადმე არაადეკვატურ ჩვენს ქვეყანაში, იმედი უნდა ვიქონიოთ, ოდესმე გამოიდარებს და გამოჩნდება ბაჩანას ლიტერატურული მემკვიდრეობის (მის პროზას სპეციალისტთა ვიწრო წრის გარდა არავინ იცნობს!) როგორც გამომცემელი, ასევე მისი პოეზიის მონოგრაფიულად შესწავლის მოსურნე კვალიფიციური მკვლევარი.

ხოლო ამჯერად როსტომ ჩხეიძის „მოკვეთილი" – ბაჩანას დრამატული ხვედრის ამსახველი შესანიშნავი წიგნი – ვიკმაროთ; წიგნი, რომელიც ისევე ლაღად და სულუქცევრად იკითხება, როგორც ავტორის სხვა ბიოგრაფიული ნატეხები, შტრიხები და რომანები.

„ხელთუბანი (ხვედრი თედო რაზიკაშვილისა)" როსტომ ჩხეიძის წინა წიგნებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ თითქმის მთლიანად ეპისტოლურ მასალაზე – პირად მიმოწერაზე არის დაყრდნობილი და „დაშენებული".

ფაქტებისა და თარიღების უსიერ ტევრში ორიენტირებას და გზის გაგნებას, ასევე, თედო რაზიკაშვილის შფოთიანი, ერთთავად დაუმყუდროებელი ცხოვრების „საკვანძო" ეპიზოდებისთვის კომპოზიციური მთლიანობის მინიჭებას სწორედაც რომ როსტომ ჩხეიძის არაორდინარული ნიჭი, ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა, უღალატო ალღო, მწერლური განცდა და გამოცდილება ჭირდებოდა.

და აი, სასურველი შედეგიც: წიგნიერ მკითხველთა მეხსიერების უსაზღვრო სივრცეში გვიანი შემოდგომის მსუბუქი ფოთლებივით არეულად მოფარფატე ფრაგმენტები ძმები რაზიკაშვილების არათანაგვარი ბიოგრაფიების ერთ ძაფს, ერთ ძარღვს ებმიან, ემთლიანებიან და ჩვენს მხედველობით სანიერში XIX-XX საუკუნეთა გზაგასაყარის მკაფიო კონტურებს გამოკვეთენ...

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1890 წელს ფშავიდან შუაგული ქართლის ერთ უმშვენიერეს სოფელში მასწავლებლად მივლინებულ და სამუდამოდ იქ დასახლებულ თედო რაზიკაშვილს ბედმა ბევრი სიმწარე და განსაცდელი არგუნა; ერთგულად ამსახურა მოზარდთა სწავლა-განათლებისა თუ უბადლო ზეპირსიტყვიერების მოძიება-შეკრების საქვეყნო საქმეს და, ბოლოს, ნაპატიმრალსა და ოჯახდანიოკებულს საბჭოთა ჟანდარმერიამ ენითუთქმელი დაუნდობლობით გამოუტანა უსასტიკესი, აბსურდული, ყოვლად არაადამიანური სასიკვდილო განაჩენი.

და ის, რაც „ბორიაყში" – ოთარ ჩხეიძის ამ ჩინებულ, გამორჩეულ რომანში – ეპიზოდურად გაკრთა და გახმიანდა, „ახლოით განჩხრეკის", საგულდაგულო დაკვირვების, კეთილისმყოფელი ბიძგისა თუ ინსპირაციის სათავედ მოგვევლინა როსტომის მორიგ თხზულებაში, როგორც რომანი-დილოგიის ერთი ნაწილი.

ზარბაზნებით სახლკარდანგრეული და სამოსახლოგადაბუგული თედო ხელთუბნიდან აიყრება და, ცოლშვილიანად, ჩარგალსა და აფხუშოში – ვაჟასთან და ბაჩანასთან – ჰპოვებს დროებით თავშესაფარს.

ძმებს ბევრი არაფერი აბადიათ, „ტან-ფეხ შიშველნი" დადიან და ერთმანეთს ლუკმას უყოფენ და უნაწილებენ. მშობელი მამის ნათქვამი – „წეროებივით აირევითო" – ნაწილობრივ ახდა და გამართლდა, თუმცა პავლე მღვდლის მემკვიდრეთა ღია, ალალ, უშურველ ურთიერთობას ყორნის შავი ფრთის ჩრდილი არასდროს დასცემია: მხარდამხარ იდგნენ ღალატიანი საწუთროს სვრელში და პირქუში ყოველდღიურობით დაღლილ ნიჭს (ფიროსმანი რომ ჩიოდა, ნიჭი დამეღალაო!) „სიმღერებად" სახელდებულ სევდიან ლექსებში აძლევდნენ თვითგამოხატვის შეუზღუდავ შესაძლებლობას (გამონაკლისნი იყვნენ გიორგი და სანდრო, თუმც მათაც თავთავიანთი სატკივარ-სადარდებელი ჰქონდათ).

და ამაშიაც კიდევ ერთხელ რწმუნდები: რომ არა ბუნებითი სიკეთითა და დიდსულოვნებით მადლმოსილი ნაცნობები, ახლობლები, მეგობრები თუ თანამოკალმენი, მატერიალური სივიწროვის მარწუხებში მოქცეულ შემოქმედთა კატორღული შრომა თუ სადაგი ყოფა-ცხოვრება მართლაც რომ ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს დაემსგავსებოდა... და სასიქადულო ძმათა ბიოგრაფიების ფურცლებზეც ძირსდაუხრელი იმედოვნების ნიშნად დაცემულა პიროვნული ღირსების სხივი ისეთი მწერლებისა, მოღვაწეებისა და მამულიშვილებისა, როგორებიც გახლავთ: ილია ჭავჭავაძე და რაფიელ ერისთავი, ლადო აღნიაშვილი და გრიგოლ აფშინაშვილი, მარიამ დემურია და ნინო ნაკაშიძე, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და შიო მღვიმელი (თედო მას ერთ თავის მოგონებაში „წმინდა კაცად" მოიხსენიებს), ასიკო ერისთავი და ივანე როსტომაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და ივანე ბუქურაული, ნიკო ლომოური და იოსებ გრიშაშვილი, აპოლონ წულაძე და ნიკო ჯანაშია...

იმ განზრახვით (ეს ჩვენი ვარაუდია), რომ რელიეფურად წარმოაჩინოს კონტრასტი ერის რჩეულ შვილთა უპრეტენზიო მიწიერ მყოფობასა და მათი შემოქმედებითი შთაგონების წმინდა მწვერვალებს შორის, როსტომ ჩხეიძე კვალში მიჰყ-

ვება რაზიკაშვილების პირად წერილებს და თვით უმცირეს დეტალებსა თუ პირწმინდად პრაგმატულ საშინაო საკითხებსაც კი არ ტოვებს უყურადღებოდ.

„პოეტებად ჩემი ძმებიც კმარანო" – ამ მოტივითა თუ მიზეზით პასიურობდა საერთოდაც თავმდაბალი თედო პოეზიის ფართო ასპარეზზე და სულიერი კმაყოფილებისთვის თავისი საბავშვო მოთხრობები (სხვა რომ არც არაფერი შეექმნა, თვით აკაკი წერეთლის მიერ ასერიგად ნაქები „ფითრი"-თაც დარჩებოდა ლიტერატურის ისტორიაში!) და ხალხში ბრილიანტის თვლებად მიმობნეული ლექსების, ლეგენდებისა და ზღაპრების ჩაწერაც ყოფნიდა (თედო რაზიკაშვილის მიერ ფშავ-ხევსურეთში, ქართლში, კახეთსა და დუშეთში მოპოვებული ზეპირსიტყვიერი ტექსტების რიცხვი ოთხიათასს აღწევს!)...

და როცა სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით პერიფერიიდან დედაქალაქში გადასვლას ურჩევდნენ გულშემატკივრები, ის მაინც ფეხს არ იცვლიდა რვა წლის შემდეგ ხელახლა გაცოცხლებული თავისი ნაამაგარი კარმიდამოდან და ფუტკრისა და ბაღ-ვენახის მოვლა-მოშენებას ახარჯავდა ახალგაზრდულ ძალ-ღონეს...

ხელთუბანში მცხოვრებ თედოს დედმამიშვილების მუდმივი მოლოდინი ჰქონდა. დიდად გაიხარებდა ხოლმე, როცა რომელიმე მათგანი ეწვეოდა. მოხდიდა „ვაჟას საზედაშე" ქვევრს და „გულის ვარამს ჯიხვის რქაში ჩაკლავდნენ" ერთად ყოფნის სიამით გამხნევებული რაზიკაშვილები...

ჭირდა მგზავრობა, ნებისად მიმოსვლა. იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ირჯებოდნენ, წელში წყდებოდნენ და წლიდან-წლამდე რის ვაივაგლახით გაჰქონდათ თავი. თუკი რამეს მოიჭარბებდნენ, ფულადი სახსარი იქნებოდა თუ სურსათ-სანოვაგე, ყველაფერი ერთურთისთვის ემეტებოდათ.

თედო მძიმედ განიცდიდა ნიკოს (იგივე ბაჩანა) ბედს, მაგრამ მდგომარეობას ვერაფრით უმსუბუქებდა. მცირეწლოვანი შვილების მოულოდნელმა დაკარგვამ სიცოცხლის ხალისი და ნიშატი წაართვა ბაჩანას. იჯდა და საკუთარ თავს ესაუბრებოდა ხოლმე, ხოლო მოპასუხე და ჭირთა მოზიარე, გარდა „არაგვისა, მთებისა და ბეჩავის ცოლისა", ახლომახლო არავინ ეგულებოდა.

უფროსი ძმების განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების ცენტრში ყოველთვის სანდრო იდგა. ბჭობდნენ და ფიქრობდნენ მის მომავალ პროფესიაზე. ნაბიჯსა და ნამოქმედარს ხან უწონებდნენ, ხანაც უწუნებდნენ. სწავლისაკენ გეზავდნენ და აგულიანებდნენ. რჩევა-დარიგებას არ აკლებდნენ... და ამ მხრივ, როგორც მიმოწერიდან ჩანს, თედო პირველობდა...

როსტომ ჩხეიძე „ხელთუბანში" რამდენიმეგზის ახსენებს მანანა სამაშვილს, ბაჩანას ღირსეულ შვილთაშვილს, ვინც თედო რაზიკაშვილის საარქივო მასალების თავმოყრითა და გამოქვეყნებით წონადი წვლილი შეიტანა, საერთოდ, სახელოვანი წინაპრების ბიოგრაფიებისა და მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის უკეთ შეცნობის საშურ საქმეში.

სიტყვა-სიტყვით დამოწმებული თუ პარაფრაზირებული პირველწყაროების ზუსტი მისამართების მითითება და იმ პირთა ღვაწლის ხაზგასმა, ვინც თვალსაჩინო შემოქმედთა და მამულიშვილთა „ბიოგრაფიული ნატეხებისა" თუ სულაც რომანების ავტორებს „სიძნელეს გზისას უადვილებენ", როსტომ ჩხეიძის, როგორც მწერლისა და მკვლევარის, სამაგალითო თვისებაა...

და კიდევ:

როცა უმდიდრეს ფაქტოლოგიურ მასალას ზედმიწევნით ფლობ და სიტყვასაც ძალდაუტანებლად იმორჩილებ, სათქმელის გადმოცემის ლიტერატურული ხერხისა და მეთოდის საკითხი თითქოს უკანა პლანზე გადადის. წიგნის ხასიათი და სულისკვეთება, შინაარსი და ლაიტმოტივი თავისთავად აგნებს და ირგებს ადეკვატურ ფორმას, ყალიბს, „კალაპოტს". და სპონტანურად, ავტორის ნებასურვილის-და დაუკითხავად ჩნდება და იკვეთება იმანენტური ნიშნები ინდივიდუალური სტილისა, რაც ბევრად მეტია, ვიდრე სიტყვა, ვინაიდან „სტილი – სიტყვის სისტემაა" (ვახტანგ კოტეტიშვილი).

გამოხმაურება

„გველის-მჭამელის“ გარშემო

გამორჩეული ბედი ხვდა წილად ვაჟა-ფშაველას პოემა გველის-მჭამელს“. მოკიდებული მისი შექმნიდან ვიდრე დღემდე ინტერესი ამ მართლაცდა „უცნაური“, მრავალმხრივ მარგი და საგულისხმო გენიალური ნაწარმოებისადმი არ განელებულა. ნათქვამის თვალხმიერი დასტურია ის ურიცხვი წერილი თუ სამეცნიერო გამოკვლევა, „გველის-მჭამელში“ დასმული ზედროული პრობლემატიკის გარკვევას რომ ისახავს მიზნად. და მაინც, მიუხედავად არაერთი წარმატებული ცდისა, გახსნილიყო პოემის მითო-პოეტური სტრუქტურის შიდა შრეები, ჯერაც არ ამოწურულა პერსპექტივა მისი ცალკეული ეპიზოდების ახლებური წაკითხვისა, ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში კონცენტრირებული ზოგადსაკაცობრიო ტკივილების დღემდე შეუმჩნეველი ანდა ნაკლებად ყურადღებამიქცეული ასპექტების მიგნებისა და გამოწვლილვითი ანალიზისა.

ყოველი ეპოქა მისთვის საჭირო რაციონალურ მარცვალს პოულობს ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშში. გამონაკლისი ამ მხრივ არც „გველის-მჭამელი“ გახლავთ.

რამდენადაც ვიწრო, ჩაკეტილი და გარშემოწერილია გეოგრაფიული ლოკალი, სადაც პოემის სიუჟეტური ხაზი ვითარდება, იმდენადვე ფართოა იმ საკითხთა წრე და მასშტაბი, მოჩვენებითად მარტივ პოეტურ ფორმაში რომ მოაქცია „ღმერთთან მოლაპარაკე“ შემოქმედმა. მრავალ თავსატეხ კითხვას გასცა ზუსტი და ამომწურავი პასუხი და, ამასთან, არანაკლები საფიქრალი დაუტოვა მკითხველს, მოაზროვნე საზოგადოებრიობას, შთამომავლობას.

საქმე ისაა, რომ „გველის-მჭამელის“ – „ქართველი ერისა და ქართული კულტურის მითურქმნილი ისტორიის“ – ოდენ ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, რაგინდ სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დამყარებული, ღრმა და პროფესიული არ უნდა იყოს ის, სასურველ შედეგს მაინც ვერ იძლევა. ეს მხოლოდ გლობალური პრობლემის ერთი განსაზღვრული

წიბოს, ერთი კონკრეტული ნახნაგის წარმოჩენას ითვალისწინებს და თვალსაწიერს მიღმა ტოვებს პოემის რთული სიუჟეტური სტრუქტურის ისეთ დეტალებსა თუ ელემენტებს, რომელთა კვლევა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მომიჯნავე დარგების პრეროგატივა გახლავთ.

სწორედ ამ და არაერთი სხვა თვალსაზრისით იპყრობს გულისყურს ჯანრი კაშიას სოლიდური გამოკვლევა „გველის-მჭამელი", რომელიც, ავტორის სიტყვით, ხუთ წიგნად ჩაფიქრებული ვრცელი ნაშრომის პირველ ნაწილს წარმოადგენს.

დასანანია ის, რომ 1990 წელს ქართულ ენაზე პარიზში გამოცემული ეს წიგნი არათუ მასობრივი მკითხველისთვის, სპეციალისტებისთვისაც ძნელად ხელმისაწვდომია. არადა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ვაჟას მხატვრულ შემოქმედებაზე ორიენტირებულ მკვლევართათვის ამ ნაშრომს უდავოდ დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. და აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება არა მარტო უნიკალური ეროვნული კულტურის ფართო კონტექსტი, რის შუქზეც აკვირდება და აცნობიერებს ავტორი „გველის-მჭამელს", არამედ საკაცობრიო ღირებულების მქონე ის ფუნდამენტური საკითხებიც, რომელთა გათვალისწინების გარეშე რამდენადმე „მწირი", ნაკლული და უფერხორცო იქნებოდა ხსენებული გამოკვლევა.

„კარიბჭედ" წოდებულ წიგნის შესავალ ნაწილში მკვლევარი ეხება ხალხურ საწყისებთან ნათელმხილველი მწერლის შეუბორკავი შემოქმედებითი დამოკიდებულების საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს. აქვე ავტორს ჩვენი ყურადღება პირდაპირ პოემის შექმნის იმპულსებზე გადააქვს და შეძლებისდაგვარად აჩვენებს, რამდენად მიესადაგა რეალობის ხელოვანისეული ხატი მის იმჟამინდელ სულიერ მდგომარეობას, უაღრესად დაძაბულ ფსიქოლოგიურ განწყობილებას...

ნაშრომის პირველ თავში – „მინდია-პიროვნება" – უკვე გამოკვეთილია ის უმთავრესი გეზი, რომელსაც უნდა გაჰყვეს მთელი შემდგომი სჯა და ძიება. ნაწარმოების პირველი სამი თავის ერთ მთლიან შესავალ ნაწილად გამოყოფასაც თავისი გამართლება აქვს: „აქ მოცემულია ყველა ის ძირითადი ოპოზიცია, რომელიც გაშლილი სახითაა წარმოდგენილი პოემაში ერთგვარი „თემისა და ვარიაციების" მუსიკალურ სისტემად..."

პოემის სიუჟეტურ მდინარებაში თანდათანობით გაშლილი მოდიალოგე ფუნდამენტური ოპოზიციების (სიცოცხლე – სიკვდილი; არსებობა – მყოფიერობა; მომჭირნეობა – მომხვეჭელობა; პიროვნულობა – პირადულობა; ეროვნულობა – თავკერძოულობა; რჯულიანობა – ურჯულოება; ზნეობრიობა – უზნეობა; სიბრძნე – სიბრიყვე; სიკეთე – ბოროტება) ხაზგასმით და მათი განუწილველი შინაგანი კავშირების ცხადყოფით, აქვე, ნაშრომის პირველსავე თავში, წინდაწინაა მონიშნული ის პოზიცია, რომელზეც მინდია დგას. ზეგარდმო სიბრძნეს ნაზიარები „გამეცნიერებული გლეხის“ მთელი ცხოვრება ამ ოპოზიციურ წყვილთა შორის ნაგულისხმევ ქარიშხლიან ველზე გაივლის და მინიერი საწყისი იმარჯვებს მასში თუ ზეციური, ამისდა მიხედვით ხდება უნებური გადახრა და მიახლოება ხან ერთ და ხანაც მეორე სასაზღვრო ზოლთან.

ოპოზიციურ წყვილთა ურთიერთმიმართების რთული სისტემა, საბოლოო ჯამში, ერთ უმთავრეს ოპოზიციად ყალიბდება: სიკვდილი – სიცოცხლე. ამიერიდან პოემის რჩეული პერსონაჟის გაორსახოვნებული ყოფაც ამ ოპოზიციათა უკომპრომისო ჭიდილის ფონზე ცხადდება და ცნაურდება მთელი სიაშკარავით.

საკუთარ თავთან განმარტოებულ, სოფლის სამკვიდროსგან ანუ თემისგან გაუცხოებულსა და ვერშეცნობილ გმირს ყველაზე მტანჯველი და ამაზრზენი რამ ემუქრება: ეს არის მკვდარი კაცობა, „სიცოცხლე სიკვდილიანი“ ანუ, ვაჟას კიდევ ერთი გამონათქვამი რომ გავიმეოროთ, „ცოცხლად დამარხვა თავისა“. და აქ უნდა გამოიცადოს, რამდენად გამძლე და დღეგრძელია მინდიას არსებაში გაღვივებული „სხვა კაცი“, საკუთარი ნება-სურვილით დათმობს ღვთითბოძებულ მადლს (რაც, ამასთანავე, უმძიმესი ტვირთია მისთვის) თუ მისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზები აიძულებენ, მოიქცეს ისე, როგორც იქცევიან ყოველდღიურ წვრილმანზე გადაგებული მისი მეზობლები.

და როგორც პოემაში ასახული ამბის მდინარება გვიჩვენებს, მინდია თანდათან, „დღეს-ხვალეობით, ცოტა-ცოტა, ნელაობით“ ღალატობს თავის რწმენას, ტოვებს იდუმალ, სხვათათვის შეუღწეველ საუფლოს, ღვთიურ საბრძანისს და

ცხოვრების ჩვეულ დინებას უბრუნდება, რაც, მერე და მერე, მწარე სინანულის წყაროდ ექცევა და ერთთავად დაკარგულ მადლზე, გამქრალ ნიჭსა თუ სიბრძნეზე, დაყრუებულ სმენასა და დალიბრულ ხედვაზე მოთქვამს...

მინდიას „საცხოვრებისო ორიენტაცია" რადიკალურად განსხვავდება სწორხაზოვნად მოაზროვნე თემის ცხოვრების წესისაგან. ეს ორი მხარე და ძალა, შეიძლება ითქვას, მდინარის სხვადასხვა ნაპირზე დგას და მათ შორის გაგებისა თუ მორიგების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს.

ღრმავდება ბზარი, რომლის გამთელება ძეხორციელის ნებას უკვე აღარ ძალუძს.

ნორმალურ, საღად მოაზროვნე საზოგადოებაში სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, წესით და რიგით, არ უნდა არსებობდეს; და სადაც ასეთი რამ ხდება, მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთი უსათუოდ არასრულფასოვანია. მოკლებულია სრულყოფილებას, სიმართლესა და სიჯანსაღეს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა ისეთ კრებულთან, რომელსაც ვაჟა „ბრიყვ საზოგადოებას" უწოდებს.

„ვაჟასათვის საზოგადოება, – წერს ჯანრი კაშია, – პიროვნებათა კრებულია; პიროვნება კი, როგორც განვმარტეთ, ეროვნული პირია. საზოგადოება ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებულ კაცთა (იმ აზრით, რა აზრითაც გვაქვს მოცემული ქართულში დედა-კაცობა და მამა-კაცობა ანუ ვაჟ-კაცობა) კულტურით შედუღაბებული ერთებაა. ჭეშმარიტი საზოგადოება ესაა; ხოლო ამგვარს ერთებაში შეუძლებელია არსებობდეს წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ამგვარი წინააღმდეგობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთს „საზოგადოებაში", რომელსაც აღარც კულტურის დუღაბი ამაგრებს და აღარც ეროვნული ნიადაგი".

პოემის მეექვსე თავის მახვილგონივრული, მე ვიტყოდი, არაორდინარული ანალიზი ბოლომდე აჩენს და ააშკარავებს მინდიას მკვდარ კაცობას. ცოლ-ქმრის ცხარე კამათში, მათ შორის გამართულ უკიდურესად დაძაბულ, ჯავრიან დიალოგში მთელი სიგრძე-სიგანით ცხადდება მინდიას დაღუპვის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი: „ოჯახური საწყისის განმასახიერებელ „წყეულ" ქალს უძევს ლომის წილი მისი ბედის

ბორბლის უკუღმა დატრიალებაში, ცოდვით დაცემასა და გაუბედურებაში.

მზიაც ისეთივე „ჭკვა-თხელი, ყბედი, ზეზერედ მგრძნობიარე" და მარტივად მოაზროვნეა, როგორც ჩალხია და, საერთოდ, „გარკვეულობის სინათლეს მოკლებული" უსახელო მასა. არც მას ესმის მინდიას ბორგნეული სულის განწირული კივილი, გასხვარიგებული ქმრის ურვა და ვაება. ასეთ ვითარებაში მყოფი გმირისთვის ასგზის უკეთესია, სამუდამოდ დახუჭოს თვალი და დაემშვიდობოს გაბალღამებულ ქვეყნიურ ყოფას. მისი ტრაგედია მდგომარეობს იმის ცოდნაში, რაც დაკარგა და რასაც ველარასოდეს დაიბრუნებს. იგი რეალურად კი არაა მკვდარი, არამედ არსობრივად. ასეთი ყოფა კი უსაზარლესია. ეს იცის მინდიამ და არ იციან სხვებმა: „მინდია მკვდარ კაცად იქცა საკუთარი შეფასებით, მაგრამ სხვებისთვის იგი ჩვეულებრივი ადამიანია (დაბრუნებული ჩვეულებრივობაში), ჩვეულებრივი სოფლის მკვიდრი, როგორც ყველა, როგორც სხვა, და ამიტომაც მისი ტკივილი, მისი ტრაგედია მათთვის სრულიად გაუგებარია".

გმირის განძარცვა სიყვარულის მადლისგან გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი დარჩა. მის გულ-გვამში დატრიალებულ ალმურს სხვანი („სხვან რად არ თელიან ბრალადა...") ვერ გრძნობენ („მკვდარია უგრძნობი კაცი..."). გინდაც იგრძნონ, მკურნალად ვერ ივარგებენ... ეს ყოველივე მშვენივრად უწყის მინდიამ და, რაც მთავარია, უწყის ისიც, რომ აწი ქვეყანას, საყვარელ სამშობლოს, ველარას არგებს, მის მეციხოვნედ ველარ გამოდგება.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო რელიეფურად წარმოჩნდეს პოემის ტრაგიკული პერსონაჟის პორტრეტი, გამოიკვეთოს მისი ბუნება და სულიერი ფიზიონომია, მკვლევარი უღრმავდება ისეთი საფუძველმდებლური ცნებების ვაჟასეულ გაგებას, როგორიც გახლავთ: პიროვნება, საზოგადოება, ერი, პატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, ნაციონალიზმი, ეროვნული თვითგამორკვევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ჩამოთვლილ ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს და, შესაბამისად ამისა, მათი ურთიერთგანპირობებულობის ველიც საკმაოდ ფართო და ქმედითია. „ისევე,

როგორც ერია ბერწი და მკვდარი პიროვნების გარეშე, კაცობრიობაც ბერწი და მკვდარია თავისუფალ ერთა გარეშე", – აღნიშნავს მკვლევარი.

ჯანრი კაშიას სიტყვით, 1884 წელს პეტერბურგიდან სოფელ ჩარგალში პოეტის დაბრუნება და იმავე წლის 13 დეკემბერს შექმნილი ლექსი „ამირანი" ფშაველი ვაჟას „მეორედ დაბადებას" მოასწავებდა.

„სიღრმეთა ხილვის" გზა პეტერბურგზე ნამდვილად არ გადიოდა" და ჭაბუკი „მოგვის" ინსტინქტური ლტოლვა ცივილიზაციის ცივი სუნთქვისთვის ხელშეუხებელი გარემოსაკენ კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

ცივილიზებულ სამყაროს რომ არ გამიჯვნოდა და „პროვინციაში" არ ჩაძირულიყო, ძნელი სათქმელია, რა გზით წარიმართებოდა ვაჟა-ფშაველას შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება. ის კი ცხადზე უცხადესია, რომ სწორედ ქართული კულტურის არქეტიპულ საწყისად მოაზრებულ მშობლიურ გარემოში დამკვიდრებამ მისცა მის პოეტურ შთაგონებას სრული თვითგამოვლენის შეუზღუდავი შესაძლებლობა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი გზის განმსაზღვრელი ცხოვრებისეული სინამდვილის შესახებ საუბარმა თვისებრივად განსხვავებული ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენის – კულტურისა და ცივილიზაციის – ურთიერთმიმართების გარკვევის აუცილებლობამდე მიიყვანა მკვლევარი. უმწვავესი სადღეისო პრობლემის ფართო დიაპაზონით გაშუქებამ ჩვენც მოგვცა საშუალება, ცხადლივ დაგვენახა კულტურის „ცივილიზაციად" გარდასახვის უარყოფითი შედეგები. ადამიანის ეპოქალური დაღლილობა, დაძაბულობა და კრიზისი პირდაპირი შედეგია ცივილიზაციისა.

ჯანრი კაშიას განმარტებით, ვაჟას „მოგვობა" და გენიალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მან „პასუხი გასცა ყველა კითხვას, რომელიც წამოიჭრა ევროპული ცივილიზაციის ნიაღში და, რომელიც ევროპული „ცივილიზებული" გონებრივი რესურსებით პასუხგაუცემელი დარჩა".

ევროპის ფილოსოფიურ დოქტრინებსა თუ კონცეფციებში ეროვნული ყოფიერების ანუ კულტურის გარეთ დარჩენილი ადამიანი ვაჟამ თავის საწყის სტადიაში დააბრუნა, ყოფიერე-

ბის იმგვარ ფორმაში ჩააყენა, რომელიც მისი ნამდვილი სახის, ზნისა და ხასიათის გახსნას გაგვიიოლებდა.

მაგრამ, როგორც ნაშრომშია ნათქვამი, „ვაჟა ქართული ენის განსაკუთრებულობითა და რუსეთის იმპერიის სიბნელით იყო კარჩარაზული და გზისმაძიებელმა ევროპამ არაფერი იცოდა მის შესახებ..."

პოემის მეათე თავში ანონიმურ-განკერძოებული „სოფლის სამკვიდრო" განსაზღვრულ ინდივიდუალურ სახეებად იშლება. ჩრდილში მდგომი ადამიანები არენაზე გამოდიან. სამაგიეროდ, ასპარეზს ტოვებს ჩალხია – უსახურ მასად გარდაქმნილი ხალხის ლიდერი.

მზიას და სანდუას საუბარი, აღბეჭდილი მინდიას უცნაური ქცევის მიზეზებზე ჩაფიქრებით, უგრძნობელობის საზარელი ატმოსფეროს უკეთესობით შეცვლის ნიშანია. ხევსურთა ლაშქრის მტერზე საომრად წასვლის წინ გარკვეულწილად ორივე უთანაგრძობს უსაშველო დარდით თმა-წვერ გაჭაღარავებულ, გულდახურულ გმირს. „თვალ-შურთხი" მზია დაეჭვებულია მრავალ ბრძოლაში ნასახელარი ქმრის მომავალ წარმატებაში და ამის მიზეზად მინდიას უამურ სიზმრებს ასახელებს. ხოლო თავად მისი აპოკალიფსური სიზმარი, რომელსაც სანდუას გაანდობს, წინასწარი დასტური და განმარტებაა იმისა, რაც სულ მალე სინამდვილეში უნდა მოხდეს...

ჯანრი კაშია საგანგებოდ ჩერდება სიზმარზე, როგორც უაღრესად სერიოზულ ფსიქოლოგიურ მოვლენაზე; როგორც არაცნობიერის დიალოგზე პიროვნებასთან და მზიას სიზმრის შემცველი მეათე თავის დეტალური განხილვიდან გამომდინარე ამბობს: „ფსიქოლოგიურ პლანში მზიას სიზმარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასაზღვრო მდგომარეობის მოლანდება ანუ მზიას ის გაუცნობიერებელი ცნობა თავისი დანაშაულისა, რომელსაც იგი ფხიზელ მდგომარეობაში უმალავს თავისთავს, –ერთგვარი ფარის, ნიღბის ახდა საკუთარი მზერის წინაშე".

„სულით ობოლი" გმირის დანაშაულს, უფრო მეტიც, მომაკვდინებელ ცოდვას, რაც მან ჩაიდინა არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვების და, საზოგადოდ, მთელი სამყაროს მიმართ, აუცილებლად უნდა მოჰყვეს შესაბამისი გადაწყვე-

ტილება თვით მისივე მხრიდან. მინდიას უკანასკნელი „შანსი" ეძლევა, სოფლის თვალში ისევ „მზესთან შასადარები" დარჩეს, დაუბრუნდეს თავის არსებით მდგომარეობას – მარტოობას, მამულისათვის საბედისწერო წუთებში გამოისყიდოს უნებლიედ ჩადენილი დანაშაული, მოინანიოს ცოდვები და პირმართალი წარდგეს ერის, სამყაროს და, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე. ბრძოლის ველზე, მტერთან კვეთებაში უნდა გაირკვეს: კიდევ შესწევს ძალა ძველებური ბრძოლისა თუ მართლა მკვდარი კაცია, „წყალწაღებული" (მზიას სიზმრის თანახმად) და ქვეყნისთვის ურგები... მან ხომ კარგა ხანია იცის, რა წყლული სჭირს, რა სენი ხრავს და ანადგურებს, რა სატკივარი ურღვევს სულის სიმშვიდეს... ლამობს კიდეც პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, „აღარ ვვარგივარ მრჩევლადაო", – მიმართავს მასზე თვალმიპყრობილ მხედრებს, „მე მარტომ უნდა ვიომოო", ამასაც იტყვის, მაგრამ ბოლოს, „ამდენ ფიცსა და წყევაში ჩაქსოვილი", მაინც თანხმდება წინამძღოლობაზე და იძლევა რჩევას, რომელიც დამღუპველი აღმოჩნდება საერთო საქმისთვის...

ჯ. კაშიას დაკვირვებით, „აქ ბოლომდე გაიხსნა მკვდარი კაცობის ბუნება, მისი საყოველთაო მომაკვდინებლობა. სიკვდილის პირისპირ შეყრის გამაოგნებელი წამის იდუმალებით შეპყრობილი ლაშქრის შევარდენის გაფრენისებრი მსუბუქი გაბიჯებაც და შუბის მბრჭყვინავ წვერთა მიერ მზის სხივის გაყოლიებაც სიკვდილისაკენ გაბიჯების იდუმალი სევდით სუნთქავს".

შუაგული ომიდან ხელებშებოჭილი მინდია უტყვი და უსულო ნივთივით გამოიტანეს „შამურვილი" სახის ხევსურებმა, ვაკეზე დააგდეს და დატუქსეს, თავს ძალად რატომ იკლავ, მტრის ჯარის შიგნით რომ მიიწევ, ხომ ხედავ, რასაც სჩადიანო...

ეპიზოდის მკვლევრისეული კომენტარი: „...ეს მინდიაა, მინდია, რომელსაც თვით ლაშქარმაც კი არ მისცა ნება მტრისთვის ბრძოლაში შეკვდომისა. უფლება ამგვარი შეკვდომისა მკვდარ კაცს აღარა აქვს – ესაა უთქმელი პასუხი კითხვაზე. ძმებთან სიკვდილი მისთვის შეუძლებელია..."

„განსასვლელად" სახელდებულ ნაშრომის დასკვნით ნაწილში დამაფიქრებლად ჟღერს პირუთვნელი შეფასება მინდიას ტრაგედიის მასშტაბურობისა და არაორაზროვანი მინიშნება

იმაზე, რომ როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე სრულფასოვანი პიროვნებებისაგან შემდგარი ერის ბედი და მომავალი თვით მისსავე ხელთაა და თუ თავის უზენაეს საცხოვრებისო პრინციპებს უგანებს, ისეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორ მდგომარეობაშიც დავლათ-დაკარგულობით სასოწარკვეთილი გველის-მჭამელი ვიხილეთ...

ავტორი გვაუწყებს, რომ ხუთწიგნეულის მეორე ნაწილი „ინტეგრალური მითოლოგია“ უკვე დაწერილია და მალე გამოქვეყნდება. „სხვა ნაწილების მასალებიც გამზადებულია, მაგრამ მათი დასრულებისთვის ქართულ წიაღში ჩაძირვაა აუცილებელი. ეს კი პოლიტიკურ პირობებზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე ჩემს მისწრაფებაზე“, – ნათქვამი 1990 წლის 26 იანვრით დათარიღებულ წიგნის ბოლოსიტყვაში.

განგების ნებით თუ მოვლენათა განვითარების ისტორიული კანონზომიერების წყალობით ჩვენს თვალწინ შეიცვალა პოლიტიკური პანორამა და, რასაკვირველია, შეიქმნა საიმისო პირობებიც, რომ ამ რამდენიმე წლის წინ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა პარიზის ერთ ძველ, მყუდრო უბანში დამკვიდრებულმა ჩვენმა ღირსეულმა თანამემამულემ უშუალო კონტაქტი დაამყაროს (უფრო ზუსტად: განაახლოს) მონატრებულ ქართულ წიაღთან და ბოლომდე მიიყვანოს თავისი ჩინებული ჩანაფიქრი.

1992 წ.

უკმარობის დარდი და წუხილი

გემოვნებიანი მკითხველი უტყუარი ალღოთი არჩევს ერთმანეთისაგან ყალბს და მართალს, ყავლგასულს და სიახლის ნიშნით აღბეჭდილს, ფსევდო-გენიალურსა და ადამიანის სულის მზრდელ ჭეშმარიტად ფასეულ მხატვრულ ლიტერატურას.

ეს ლოგიკური, კანონზომიერი მოვლენაა და ღმერთმა დაგვიფაროს საპირისპირო ვითარებისაგან!

ყოველი ასე თუ ისე წიგნიერი ადამიანი მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებს მწერლის ჩანაფიქრის წვდომას, მხატვრული წარმოსახვის ხვეულებსა და ლაბირინთებში გზის გაღებას და, ამისდაკვლად, მცირე ხნით მაინც თვლის და გულვობს თავს ახალგაცნობილ პერონაჟთა ბედ-უბედობის მოზიარედ, მათი ცხოვრების არა შორიდან პასიურ მჭვრეტელად, არამედ წრფელ მოკავშირედ და გულშემატკივრად...

სიტყვაკაზმული მწერლობის ეს სპეციფიკური თავისებურება, გამომდინარე მისი არსიდან და დანიშნულებიდან, ცხადია, არ ვრცელდება სამეცნიერო თუ კრიტიკული ხასიათის ნაშრომზე და გიხარია კაცს, როცა რიგიანი ნოველის, მოთხრობისა თუ რომანის დარად, თაროზე შემოდებული ნაცნობი თუ უცნობი (ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს) ავტორის წიგნის ანდა ამ წიგნში წარმოდგენილი რომელიმე წერილის, გინდაც ცალკეული ფრაზისა თუ აბზაცის ხელახლა წაკითხვის სურვილი მოგივლის და გაწბილებული, უკმარობის გრძნობით „გულარძნილი" არც ამჯერად დარჩები.

დღეს, როცა ამდენი კარგი და ცუდი წიგნი გამოდის, რიგით მკითხველს უჭირს ყველაფრისთვის თვალ-ყურის მიდევნება, ზღვა მასალიდან გულ-გონებისთვის „მარგი" ლიტერატურის გამორჩევა.

პირადად მე ასეთ სასარგებლო წიგნთა შორის დავასახელებდი გურამ ბარნოვის კრიტიკული, პოლემიკური, თეორიული და ანალიტიკური წერილების კრებულს, რომელიც გასულ წელს გამოსცა „მერანმა".

ავტორი ეხება და განიხილავს ფოლკლორისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ისეთ საკითხებს, რომლებიც სწორედაც რომ საამდროოა, სადღეისოა, როგორც იტყვიან, აქტუალურია და შესაბამისი დარგის მუშაკთა საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ.

გურამ ბარნოვი ბოლომდე ობიექტური მკვლევარისა და კრიტიკოსის პოზიციებიდან ცდილობს და, რაც მთავარია, მარჯვედ ახერხებს დღემდე სადავო, საკამათო, საცილობელი არაერთი მწვავე საკითხის მართებულ კვალიფიკაციას. მისი მსჯელობა მტკიცე, შეუვალი და დამაჯერებელია, დამყარებული ფაქტობრივი მასალის სიღრმისეულ ანალიზსა და დასმული პრობლემის ზედმიწევნით ცოდნაზე...

გულსატკენია, როცა ჭეშმარიტების მსახურად მოწოდებული მეცნიერების ესა თუ ის დარგი კონიუნქტურას უხდის ხარკს და, ნებსით თუ უნებლიედ, ამრუდებს სინამდვილეს, სინდისიერი ნააზრევის ნაცვლად გვაწვდის სუროგატს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გულუბრყვილოდ გვწამდა და გვჯეროდა, რომ ხვალ თუ არა ზეგ მაინც უცილოდ გადავაბიჯებდით ზღაპრულ ფერებში დახატული ნანინანატრი კომუნიზმის ზღურბლს და დიადი სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის მოგუგუნე რიტმს აყოლილნი სამოთხისდარად ვსახავდით სანუკვარ მომავალს... ინერებოდა დღეს უკვე აბსურდად მიჩნეული უტოპიური ფორმაციის „მესაძირკვლეთა“ სახოტბო და საქები ჰიმნები, იქმნებოდა უფერხორცო, მჭლე და ლუგუმი ხალხური ლექსები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ნამდვილ, თავანკარა ხალხურ პოეზიასთან. იცვლებოდა და ირღვეოდა სულიერ ღირებულებათა შეფასების კრიტერიუმები, ჭირდა ავ-კარგის, ბზისა და ქერ-იფქლის გარჩევა და ასეთ პირობებში, რასაკვირველია, სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა მშრალი და არაფრისმომცემი დოგმების ტყვეობიდან გათავისუფლება, თავსმოხვეული ფუყე იდეების მონობიდან გაქცევა.

რისთვის დამჭირდა ეს, ასე ვთქვათ, არალირიკული წიაღსვლა, სათქმელის ძირითადი ხაზიდან გადახვევა?

გურამ ბარნოვი თავის წიგნში, თუკი ნაწილობრივ მაინც იქნება სწორი და მისაღები ჩემი სუბიექტური დაკვირვება, ათწლეულების მანძილზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა სფეროში მყარად ფესვმოკიდებული და ფართოდ განტოტვილი დოგმატური აზროვნების, წინდაწინ შემუშავებული ხელოვნური სქემებისა და ტრაფარეტების წინააღმდეგ სალაშქროდ მოუხმობს გონიერ გამგონს, „მოძმესა თვისსა“ და შეახსენებს, პირდაპირი და შეუპოვარი იყოს სიმართლისათვის თუნდაც უთანაბრო ბრძოლაში.

ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც „წერილების" ავტორის განსჯა-ძიების ორბიტშია მოქცეული, გახლავთ ფოლკლორული შემოქმედების სპეციფიკა, მისი რაობა.

ის ფაქტი, რომ ხშირად ერთმანეთში ვურევთ ფოლკლორული შემოქმედების თვითნაბად მარგალიტებს და ხალხური ლექსის იმიტაციით შექმნილ ეკლექტიკას და ამით „ხელოვნურად ვაფართოვებთ ზეპირსიტყვიერების ფარგლებს", ავტორის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. არაპროფესიონალიზმი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ მელექსის მიერ ნათქვამი ლექსი ხალხურად გამოვაცხადოთ და ერის უპირველეს სულიერ საუნჯეში დავუდოთ ბინა... გ. ბარნოვი მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ სოციალისტური მშენებლობის თემაზე (ე.ი. დროის დაკვეთით) შეთხზული ულიმღამო პოეზიის იდეურობაზე საუბრისას „ნაკლები ყურადღება ექცევა მთავარს – ნაწარმოების მხატვრულ მხარეს" (ამავე თვალსაზრისით ფრიად საგულისხმოა წიგნში შესული პოლემიკური წერილები: „ისევ ზოგიერთი რუსთველოლოგიური საკითხის გამო" და „ურემი გადაბრუნდა, გზა მაინც არ ჩანს". ამ წერილებში არაერთი მტკივნეული საკითხია წამოჭრილი „ვეფხისტყაოსნის" პოეტური სამყაროს კვლევის გზებთან და მეთოდებთან დაკავშირებით).

ზეპირსიტყვიერება – „ჩვენი ეროვნული ვინაობის უტყუარი და, ამავე დროს, დიდებული ხატი" – დღემდე სათანადოდ ვერაა შეფასებული და დაფასებული. ამ მხრივ არსებულ ობიექტურ ვითარებას სრული შესაბამისობით ასახავს გ. ბარნოვის შემდეგი სიტყვები: „ჩვენმა ზეპირსიტყვიერებამ საუკუნეების მანძილზე ღირსეულად ატარა ქართველი კაცის სულიერად აღზრდისა და ჩამოყალიბების უკეთილშობილესი ტვირთი. ახლა კი თითქოს ვცდილობთ, ზემოდან ვუყუროთ მას, რაღაცა „ვაპატიოთ", რაღაცაზე თვალი დავხუჭოთ, რატომღაც აღარ წავუყენოთ მაღალი მხატვრული და ესთეტიკური მოთხოვნები – ე. ი. ფაქტიურად აღარც ჩავთვალოთ მხატვრულ მოვლენად".

ასწლეულგამოვლილი კლასიკური ფოლკლორული მემკვიდრეობა, სამწუხაროდ, იცნობს მისდამი ქედმაღლური დამოკიდებულების ცალკეულ რეციდივებს და ეს საჯაყი ტენდენცია, სხვადასხვა ფორმით, დღესაც ვლინდება. ამგვარი მდგომარეობის ერთი მთავარი მიზეზი კი გახლავთ ის, რომ არცთუ იშვიათად, თვით ავტორ-მთქმელთა მეცადინეობითა თუ ჩვენივე ხელშეწყობით, პრესისა თუ რადიო-ტელევიზიის

მეშვეობით, საჯაროდ გამოგვაქვს ხალხური პოეზიის ხმასა და ინტონაციაზე გაწყობილი უნიჭობა. ამაში საძრახი არაფერი იქნებოდა, ტრადიციული ფოლკლორული შემოქმედების ღირსებას რომ არ ადგებოდეს ჩრდილი. შეუმზადებელ მკითხველსა თუ მსმენელს უძნელდება ავ-კარგის გარჩევა და, ბუნებრივია, ეჭვი უჩნდება, საერთოდ, ხალხური სიტყვიერების მხატვრული დონისა და ღირებულების მიმართ.

თანამედროვე ფოლკლორისტიკაში მთელი სიმწვავით დგას ფოლკლორისა და თვითმოქმედების ურთიერთმიმართების პრობლემა. ამ ბოლო ხანს აღნიშნული პრობლემის გამო გამოქვეყნდა მრავალმხრივ საგულისხმო წერილები (ჯ. ბარდაველიძე, ვ. კოტეტიშვილი...) და მომავალშიც, ეჭვი არაა, უთუოდ გაგრძელდება მეცნიერული კამათი და აზრთა გაზიარება ასერიგად მტკივნეული საკითხის ირგვლივ... „წერილების" ავტორის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული და გამოკვეთილია. იგი წინააღმდეგია არაპროფესიონალი პოეტის მიერ ლიტერატურულ ყაიდაზე დაწერილი ლექსის ფოლკლორულად გამოცხადებისა. ის ფაქტი, რომ „ჩვენი კრებულები აივსო ხალხური ლექსების სუროგატებით", არ შეიძლება, არ აფიქრებდეს და აღელვებდეს საკითხის არსში ჩახედულ კაცს.

მართალია, შემოქმედებითი პროცესის თავისებურებათა მიხედვით დღეს ძალზე გაჭირდა ფოლკლორსა და ლიტერატურას შორის მკვეთრი ზღვარის გავლება, ვინაიდან უწინდელი ვითარება საგრძნობლად შეიცვალა – „ხალხური ლექსი წერილობით იქმნება და თავისი კონკრეტული ავტორიც ჰყავს", მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, მოყვარული პოეტის ნაკალმევი, ხშირად უნიათო და არაფრისმთქმელი, ვერ ანდა არ გამოვიცნოთ და მხოლოდ იმ საბაბით, რომ ის არაპროფესიონალის შექმნილია, ფოლკლორს მივაკუთვნოთ... გ. ბარნოვის თვალსაზრისით, „მხოლოდ ფოლკლორულ ტრადიციებზე აღმოცენებული და შემდეგ ხალხში გავრცელებული არაპროფესიონალის ლექსი შეიძლება იქცეს ზეპირსიტყვიერებად"... ხალხური პოეზიის კრებულების შევსება საეჭვო და საორჭოფო ღირებულების პროდუქციით კარგს არას უქადის ფოლკლორული შემოქმედების ხვალინდელ დღეს. „თანამედროვე ხალხურ ლექსს ჯერ კიდევ საკმაოდ შემორჩენია თავისი სურნელი – კეთილი ნიშანი ზეპირსიტყვიერების დღეგრძელობისა" და არ ჩანს საჭიროება, ნაღდი და რიოში მარგალიტები ერთმანეთში ავრიოთ...

ზეპირსიტყვიერი ძეგლებისათვის ნიშანდობლივია სახეცვლილება, რაც გამოიხატება ხალხში ზეპირად „მოარული“ ტექსტის დაკლება-მომატებაში ანდა ცალკეული სიტყვისა თუ გამოთქმის დამახინჯება-გადასხვაფერებაში. ამიტომაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა სწორ პრინციპებზე დაფუძნებულ ტექსტოლოგიურ მუშაობას. საარქივო მასალის დამუშავება და გამოსაცემად მომზადება თავისთავად გულისხმობს აშკარად მცდარი ფორმებისა და ბუნდოვანი ადგილების გასწორებასა და გამართვას. ეს კი, თავის მხრივ, წინდახედულობასა და სიფრთხილეს მოითხოვს. უადგილო ჩარევით, თუნდაც სულ მცირე ნიუანსის შეცვლით, შესაძლოა ფოლკლორულ ნაწარმოებს დავუკარგოთ ის ბუნებრიობა, რაც მისი სიდიადის ქვაკუთხედს შეადგენს.

ხსენებული პრობლემის ირგვლივაა საუბარი წერილში „... ამ სასაითგან ცქერაო“. დაკვირვების ობიექტად შერჩეულია ხალხური პოეზიის რამდენიმე ნიმუში, მათ შორის „არსენას ლექსი“. ამ პოეტურ ქმნილებაში ცხოველმყოფელი ძალით არის გამჟღავნებული მთავარი გმირის ცხოვრების მძიმე გზა, ფსიქოლოგია, რთული სულიერი განცდები. წერილის ავტორი აქცენტს აკეთებს ლექსის რამდენიმე ისეთ მომენტზე, რომელთაც მანამდე ასეთი სიღრმით არავინ მოჰკიდებია. „თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსა“. ერთი შეხედვით ეს სრულიად მოულოდნელი სიტყვები, გ. ბარნოვის მართებული თქმით, „მხოლოდ მეექვსე გრძნობით – წინათგრძნობით არის ნაკარნახევი, ის არსენას მთელი ცხოვრების ლოგიკური ფინალია, ამიტომაც ჟღერს იგი ასე ძლიერად და თავისებურად ადუღაბებს მთელ პოემას“.

„არსენას ლექსის“ მთელ რიგ ეპიზოდებზე ყურადღების გამახვილებით და ტევადი ფსიქოლოგიური დეტალების ხაზგასმით ავტორი ათვალსაჩინოებს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ყოველი სიტყვა თუ ფრაზა („რომელიც შესაძლოა მხოლოდ რომელიმე მეორეხარისხოვან ვარიანტში გვხვდებოდეს“) ტექსტის რეკონსტრუქციის პროცესში.

სადღეისოდ ცნობილი პოემის ყველაზე ვრცელი ვარიანტი, რომელიც 17 ჩანაწერის შეჯერება-შეერთების გზით არის მიღებული, გამოირჩევა სისრულით, მონოლითურობით, მწყობრი და მკაცრად ორგანიზებული შინაგანი სტრუქტურით. და ეს ყველაფერი XIX ს-ის ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და

ზეპირსიტყვიერების დიდი მოამაგის პეტრე უმიკაშვილის დამსახურებაა. ფრაგმენტული ვარიანტების ოსტატური შერწყმით მან შეძლო თავიდანვე ვრცელ ეპიურ ტილოდ გააზრებული თვალსაჩინო ფოლკლორული ძეგლის რეკონსტრუქცია, ისე, რომ მასში თვითნებურად არაფერი შეუცვლია. წიგნის ავტორი გვაცნობს „არსენას ლექსის" საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბების ისტორიას და სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ანალოგიურ შემთხვევებში „ძირითადი ტექსტის შესავსებად, მისი სრულყოფისათვის ვარიანტის მოშველიება მკრეხელობად არ უნდა ჩაითვალოს". და თუმცა მსგავსი ძიების კვალს თანამედროვე ფოლკლორული გამოცემების სამეცნიერო აპარატურაში ჯერჯერობით ვერ ვხვდებით, „ასეთი ხასიათის მუშაობის ჩატარების აუცილებლობა ფოლკლორისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს".

იმის ნათელსაყოფად, რომ ფოლკლორული მასალის პუბლიკაციისას ტექსტში ჩაურევლობა ყოველთვის არაა გამართლებული და კორექტურულმა შეცდომამ დროთა განმავლობაში მოქალაქეობრივი უფლებაც შეიძლება მოიპოვოს, დამოწმებულია ერთი ადგილი ხალხური ლექსიდან „მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში", რომელიც წერილის სათაურად გატანილ სტრიქონს შეიცავს. „სასაითგან ცქერა" რომ უაზრობაა, ამას ალბათ ლექსის ყველა გამომცემელი ხვდებოდა, მაგრამ მექანიკური უზუსტობა მაინც გადადიოდა გამოცემიდან გამოცემაში. უნდა იყოს არა „სასაითგან" არამედ „სარაითგან", ე. ი. სასახლიდან. და, ვინ იცის, რამდენი ასეთი შეცდომაა დაშვებული სოლიდური სახის ფოლკლორულ კრებულებში... შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ წიგნის ავტორს იმაში, რომ „ფოლკლორის ტექსტოლოგია" ჩვენში ჯერ არ დამკვიდრებულა, არადა ბევრი უმნიშვნელო თუ საჩოთირო შეცდომისა და უზუსტობის სათავე სწორედ აქაა საძიებელი. ტექსტის რესტავრაცია თვითმიზანი არ უნდა იყოს, მაგრამ არც ტექსტის ხელშეუხებლობა უნდა იქცეს პრინციპად. ერთი სიტყვით, გ. ბარნოვის მიერ აღძრული საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია და მისი გათვალისწინება აუცილებელია ზეპირპოეტური შემოქმედების ნიმუშთა გამოსაცემად მზადების პროცესში...

გურამ ბარნოვის წერილები: „ფოლკლორისტიკის ზოგიერთი საკითხი" და „...ამ სასაითგან ცქერაო" გამოქვეყნდა 1976 წელს („ლიტერატურული საქართველო", 5 და „ცისკარი", 11). ამ წე-

რილებში ზემოხსენებული საკითხები პირველად იყო დასმული ჩვენს სინამდვილეში, გ. ბარნოვის თვალსაზრისის მხარდამჭერები პრესის ფურცლებზე, სამწუხაროდ, მაშინ არ გამოჩენილან...

უძველესი ქართული ფოლკლორული ძეგლი – თქმულება კლდეზე მიჯაჭვულ გმირზე – იმთავითვე იწვევდა მკვლევართა ცხოველ, სულ უფრო და უფრო მზარდ ინტერესს. შემთხვევითი არაა, რომ ფოლკლორულ გმირთა პანთეონში ამირანს უსაჩინოესი ადგილი აქვს დამკვიდრებული. დევებთან მებრძოლი გმირის შთამბეჭდავი სახე დღემდე შემოინახა ხალხის მეხსიერებამ. ამირანი უბერებელი და უკვდავი ფოლკლორული პერსონაჟია, რომლის ქმედება და საბოლოო ხვედრი ნიადაგ აფიქრებდა და ახლაც აფიქრებს ქართველ კაცს. საკითხავია, მაინც რა მანამდე არსმენილი საკაცობრიო ღვაწლისა და დამსახურების წყალობით ხვდა წილად ესოდენ გამორჩეული პატივი და სიყვარული მარადიული ტყვეობისთვის განწირულ ბუმბერაზს, რის გამო დასახა იგი თავის უპირველეს გმირად მთხრობელ-მსმენელთა მრავალმა და მრავალმა თაობამ? კითხვა, რომელსაც ერთნიშნა პასუხი არ მოეძებნება, მეტ-ნაკლები სიმძაფრით მდგარა ამირანის ეპოსით დაინტერესებული ალბათ ყველა მკვლევარის წინაშე, მაგრამ მთავარია, ვინ როგორ ხსნიდა დაუვიწყარი მითოლოგიური პერსონაჟის განუსაზღვრელი პოპულარობის მიზეზს. რასაკვირველია, გმირის განდიდებასა და უქრობი შარავანდედით შემოსვას დიდად შეუწყო ხელი ადამიანთა სიკეთისა და ბედნიერებისათვის მისმა თავგამეტებულმა ბრძოლამ: დარ-ავდრის გამრიგე ელიას ქალის ყამარის სახეში მეტაფორიზებული ცეცხლის მოტაცება იქნება თუ ხალხის „მლეველ" ხთონურ არსებებთან დაუძინებელი მტრობა და ჭიდილი. მაგრამ, როგორც „წერილების" ავტორი შენიშნავს, „დევებთან მებრძოლთა არანაკლებ კოლორიტული (და იმავე დროს არანაკლებ უძველესი) სახეებია, თუნდაც კოპალა და იახსარი". ხალხური ეპოსი მზეთუნაბავის მომტაცებელ გმირებსაც საკმაოდ იცნობს და, ამისდა მიუხედავად, ამირანისდარი სიყვარული ხალხის მხრიდან არცერთ მათგანს არ მოუმკია... ნაკლული სახით შემორჩენილი ვარიანტების გულდასმით შესწავლამ, წინამორბედ მკვლევართა მცდარი თუ სწორი მოსაზრებების სიღრმისეულმა ანალიზმა და არგუმენტირებულმა შეფასებამ გურამ ბარნოვი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე: „უდავოა, ამი-

რანში გვიზიდავდა და გვიზიდავს სწორედ ადამიანური ხასიათი, უფრო ზუსტად, ამ ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება – ამირანი ადამიანის დაუოკებელ ჟინს, დაუოკებელ ვნებათაღელვას, უსაზღვროებისაკენ მლტოლველ სულს უნდა განასახიერებდეს, რომელმაც აიძულა იგი საკუთარი ძალის გამოსაცდელად თვით შემოქმედის პირისპირ დამდგარიყო".

ამ უსათუოდ მახვილგონივრული მიგნების არსისა და რაობის სისრულისათვის კომენტარების გარეშე მოვიტან კიდევ რამდენიმე ციტატს წერილიდან „სულს სწყურია საზღვარი".

„ამირანი ადამიანის სულიერ სფეროში (ღმერთის ჭეშმარიტ და განუყოფელ საბრძანებელში) შეჭრილი მეამბოხეა, რომელმაც ყოველგვარი საზღვრის გადალახვა მოინდომა და თავისი ნდომა დღესაც ვერ დაუოკებია. სწორედ ეს ვერ უპატიებია შემოქმედს და, ალბათ, ვერც ვერასოდეს აპატიებს, თუმცა მთლიანად და ბოლომდე გასაწირადაც არ ემეტება..."

„მიუღწეველის დარდი და სევდა აცოცხლებს ადამიანს და, ამავე დროს, ამართლებს კიდეც მის არსებობას. ეს სევდა, რომელიც მუდმივი თანამგზავრია როგორც ფოლკლორისა, ასევე – ლიტერატურისა, პესიმიზმი კი არ არის, არამედ სიცოცხლის დამამკვიდრებელი გრძნობაა..."

„დაუძლეველის დაძლევის ამირანული ჟინი, უსაზღვროების მიჯნის გადალახვის დაუკმაყოფილებელი წყურვილი წარმოშობდა ადამიანში უკმარობის დარდსა და წუხილს, რომელიც თავის მხრივ აიძულებდა მას, რაც შეიძლება უფრო სისხლსავსე ცხოვრებით ეცხოვრა ქვეყნად".

ამირანში სიმბოლიზირებული დაუოკებელი ვნებების დამაჯერებელი ანალოგებია მოხმობილი მხატვრული ლიტერატურიდან. საკვლევი საკითხის მასშტაბურობის წარმოსაჩენად და საკუთარი დებულებების განსამტკიცებლად ავტორი ამავე ჭრილში აანალიზებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას (მისი აზრით, „ამირანის მარადიული ცდა თავის დახსნისათვის და მერანის თავგანწირული ქროლვა ერთმანეთის ტოლფარდი ქმედებაა"), არტურ რემბოს „მთვრალ ხომალდს", პოლ ვალერის „ზღვის სასაფლაოს", უილიამ შექსპირის „ჰამლეტს", ხალხური პოეზიის ზოგიერთ მონაცემს, გალაკტიონის რამდენიმე სტრიქონს...

აქვე დავძენთ, რომ პოლემიკურ წერილში „მიჯაჭვული

ამირანი" გ. ბარნოვმა შეძლებისდაგვარად ცხადყო ამირანის ეპოსის საგმირო ეპოსად მიჩნევის უნიადაგობა და ამით, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, გარკვეული წვლილი შეიტანა უპირველესი ეროვნული მითოლოგიური პერსონაჟისა და ძმათა მისთა შესახებ შექმნილი თქმულებების ჯეროვნად გააზრებისა და შეფასების საქმეში.

იმ ფოლკლორულ პერსონაჟთა შორის, თავიანთი გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის წყალობით მკვიდრად რომ აღიბეჭდნენ ხალხის მეხსიერებაში, და რომელთა დავიწყება, უბრალოდ, შეუძლებელია, საჩინო ადგილი უჭირავს ნაცარქექიას. ამ მეტად კოლორიტული სახის დაბადება, გ. ბარნოვის ვარაუდით, „იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა ფოლკლორში გმირის „დემოკრატიზაციის", „გაუბრალოების", „გაჩვეულებრივების" პროცესი მიმდინარეობდა, როცა არაჩვეულებრივი გმირების გვერდით სრულიად „ჩვეულებრივი" გმირები იკავებდნენ ადგილს... და მაინც, ნაცარქექია გამორჩეულია თავისი უნაპირო ფანტაზიებით, ჭკუით, მოხერხებით, დიდბუნებოვნებითა და... სიზარმაცით. ტანად კნინი და უქნარა საოცარი სიმარჯვით „აცურებს" დევებს, იმარჯვებს, ეპატრონება მათ სახლ-კარს, სარჩო-საბადებელს... ყოველივე ამასთან, იგი კეთილი და გულმოწყალეა, არათუ ადამიანის, დევის ცოდვაც კი არ აძევს... ნაცარქექიას სახეში პერსონიფიცირებულია ზოგადად ადამიანი, „ერთადერთი ინტელექტუალური არსება მთელ დედამიწაზე", რომელიც თავისი გონიერებით ყველა დანარჩენ სულიერს ჯობნის და ჯაბნის. ისევე, როგორც კაიყმის მეომრული ღირსების გამოსავლენად არის აუცილებელი „საფერი" მონინააღმდეგე, ნაცარქექიას შესაძლებლობათა სრულყოფილად გამომჟღავნება დევებთან დაპირისპირებაში ხდება შესაძლებელი, „დევების გარეშე იგი არარაობაა". დაბრიყვებული დევების ადგილზე შეიძლება ვიგულისხმოთ იგივე საზოგადოება, „რომელსაც თავისი თავი, თავისი ძალა ბოლომდე ვერ შეუცვნია. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება გამოჩნდეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი გვიანდელი ნაცარქექია ნამდვილ გმირად".

ეს მომენტია გამოყენებული პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში"...

მაგრამ ყვარყვარე, ნაცარქექიასაგან განსხვავებით, მტერს კი აღარ ებრძვის, არამედ თავისიანებთან ურთიერთობაში

ირცხვენს თავს და უარყოფით გმირად ყალიბდება...

„წერილების" ავტორი თვალხილული სიცხადით გვიჩვენებს ნაცარქექიას სახის „ევოლუციას", აღადგენს ყვარყვარედ გარდასახული დადებითი გმირის წარსულს, უკვე სხვა მიზნითა და განზრახვით ადამიანთა საზოგადოების შუაგულში, პოლიტიკურ სარბიელზე მისი მოხვედრისა და, რიგ შემთხვევებში, აღზევების ლოგიკურ შესაძლებლობას...

პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერმა" სცენური ცხოვრების ვრცელი და საინტერესო გზა განვლო. პიესის უკანასკნელი დადგმა შ. რუსთაველის სახელობის თეატრში განხორციელდა. ახალი სპექტაკლის ყვარყვარე თავის წინაპართა დამოკიდებულების თვალსაზრისით არსებითად განსხვავებულ ამპლუაში წარსდგა მაყურებლის წინაშე; ნაცარქექია-თუთაბერის ტრადიციული მხატვრული სახე მნიშვნელოვნად გადასხვაფერდა, „სიფხიზლისაკენ მოწოდების კაკაბაძისეული პათოსი სხვა მიმართულებით იქნა წარმართული, კერძოდ, ავანტურიზმთან საბრძოლველად", რაც, გ. ბარნოვის აზრით, გაუმართლებელია, რადგან „ყვარყვარიზმისა" და „ავანტურიზმის" გათანაბრება-გაერთიანებით „ყვარყვარე-ძველის სრული იგნორირება მოხდა"...

ტრადიციული ფოლკლორული ტიპისა (ყვარყვარეს უშუალო პროტოტიპი ხომ ნაცარქექიაა, ზეპირსიტყვიერების პოპულარული პერსონაჟი!) თუ მოტივის გამძლეობა და სიცოცხლისუნარიანობა იმითაც მოწმდება, რამდენად „ქმედითი" და ყურადსაღებია იგი დღევანდელობასთან, ჩვენი ეპოქის სატკივარ-სანუხართან მიმართებაში. ამ მხრივ ყვარყვარე მართლაც რომ შეუდარებლად დღეგრძელი და „ქუდბედიანი" აღმოჩნდა... იგი სულ უფრო და უფრო მეტი ოსტატობით ნიღბავს და მალავს თავის უნიჭობას, სამაგიეროდ, ლიქნისა და ქვეძრომიალის შესაშური უნარით დაუჯილდოებია გამჩენს!

წერილი „ნაცარქექიადან ყვარყვარემდე" მთავრდება ჩვენი დღევანდელი ყოფის მწარე სიმართლის მამხილებელი შემდეგი სიტყვებით: „ჰქვია დღეს ყვარყვარეს მეცნიერის, მწერლის, ინჟინრის, მოღვაწის... და ა.შ. სახელი ისე, რომ ერთი ნათელი აზრი არ მოსვლია თავში, ერთი მადლიანი სტრიქონი არ დაუწერია, ერთი სახლი არ აუშენებია (რა თქმა უნდა, სხვისთვის), ერთი კეთილი საქმე არ გაუკეთებია... გიკვირს – როგორ, რა მანქანებით მოახერხა სიცოცხლეში ასეთი სახელის

დაგდება და იქნებ არც კი გაგვახსენდეს, რომ ყველაფერში ჩვენა ვართ დამნაშავენი – ჩვენ შევუწყვეთ ხელი, რომ ჩვენს გარეშე, ისევე როგორც დევების გარეშე ნაცარქექია, იგი ყოველთვის არარაობა იქნებოდა".

იმის ერთ ბრწყინვალე მაგალითად, რომ ფოლკლორს თავისი დრო არ მოუჭამია, ჯერაც „ცოცხლობს" და ჟამიდან ჟამად მოსული შემოქმედის მადლიანი ხელი კვლავ „აღმოაჩენს" ხოლმე ზოგთათვის საფარველდებულ ამ საოცრებათა სამყაროს, „წერილების" ავტორი თვლის მერაბ ბერძენიშვილის სკულპტურულ ჯგუფს „კიდევაც დაიზრდებიან", აღმართულს მარნეულთან, მარაბდის „ბებერი მინის" სიახლოვეს... შემოქმედის თანდაყოლილმა ანდე-გუმანმა მოქანდაკეს უკარნახა „მგლის ლეკვების" უკან მათი მრავალჭირნანახი დედა დაეყენებინა და ამაში, გ. ბარნოვის დაკვირვებით, დიდი როლი ითამაშა ზეპირსიტყვიერმა ტრადიციამ („ხან იფიქრებდა, უდედოდ გაზრდა ვინა სთქვა შვილისა..."). დედის მეტყველი ფიგურის გარეშე ღრმად ეროვნული სკულპტურული კომპოზიცია მოკლებული იქნებოდა მხილველზე ემოციური ზემოქმედების იმ ზეგარდმო ძალას, ხელოვნების უკვდავი ნიმუშების უმთავრეს ნიშან-თვისებას რომ წარმოადგენს. „ხან მეჩვენება, – ვკითხულობთ ლირიკული ტონალობით ზომიერად გაჯერებულ წერილში „კიდევაც დაიზრდებიან", – რომ ომში დაჭრილ მამასთან გზავნის, რომელსაც მახვილი გადასტეხია ან „ხმალი ქნევაში გასცვეთია" და ახალი უნდა მიაშველონ (ნეტავ მიუსწრონ!)". თავისი ფორმით ჩანახატს მიმსგავსებული ეს პატარა წერილი, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი და ჩვენთვის თითქოსდა უკვე კარგად ნაცნობი და ჩვეულებრივი საგნისა თუ სურათის ახლებური წაკითხვის, სხვა რაკურსით დანახვის ავტორისეულ ნიჭზე მეტყველებს.

ბოლო დროის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელმაც ქართულ ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში იჩინა თავი, გახლავთ წარმართობისა და ქრისტიანობის ურთიერთმიმართება...

სარწმუნოების პირველი ფორმის ადეპტებს, რა თქმა უნდა, პირობითად, „წარმართებს" უწოდებს გ. ბარნოვი, ხოლო მეორე ფორმის პრიმატის მაღიარებლებს – „ქრისტიანებად" ნათლავს. არის კიდევ სხვა, ასე ვთქვათ, „შუალედური"

თვალსაზრისი, რომელიც თვლის, რომ საქართველოს მთის კუთხეებში ადგილი ჰქონდა წარმართობისა და ქრისტიანობის შერწყმას. ერთთა აზრით, ეს შერწყმა წარმართობის სასარგებლოდ მოხდა, ხოლო სხვანი თვლიან, რომ უპირატესობა ქრისტიანულ სანყისს ჰქონდა... საყრდენი და ამოსავალი როგორც ერთი ისე მეორე თვალსაზრისის მომხრეთათვის, ძირითადად, ზეპირსიტყვიერებაა...

გ. ბარნოვი დროულად შენიშნავს, რომ ფშავ-ხევსურული ფოლკლორის წარმართულ ნაკადზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, მხედველობაში აქვთ ღვთისშვილთა (ბერი ბაადური, კოპალა, იახსარი) შესახებ არსებული ლეგენდების ლექსითი თუ პროზაული ვარიანტები, მაგრამ საქმე ისაა, რომ „ეს ლეგენდები არამარტო უხვად შეიცავენ ზღაპრულ ელემენტებს, არამედ საერთოდ ახლოს დგანან ზღაპრულ სამყაროსთან". ასეთი ხასიათის ფაქტობრივი მასალის მიხედვით კი გაუმართლებელია მსჯელობა ამა თუ იმ ქრისტიანი ერის ფოლკლორის მსოფლმხედველობრივი არსის შესახებ, მით უფრო, რომ ერთი კონკრეტული ზეპირსიტყვიერი ქმნილების მსოფლმხედველობრივი რაობიდან გამომდინარე შეუძლებელია გადაიჭრას მთავარი პრობლემა – ე. ი. გაირკვეს მთის კუთხეებისა თუ, ვთქვათ, სამეგრელოს ფოლკლორის მსოფლმხედველობრივი ბუნება...

ფართოა გურამ ბარნოვის „წერილების" არე და თვალსაწიერი.

ამ წერილებში სავსებით სამართლიანად არის აღნიშნული, რომ რუსთველოლოგიის, როგორც დარგის, ფუძემდებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც პირველმა მიაქცია ყურადღება „ვეფხისტყაოსანს", როგორც მხატვრულ მოვლენას.

წიგნის რეცენზირება, გარკვეული აზრით, მისი ერთგვარი „გაუბრალოება", აღძრული და განხილული საკითხების ფერნაკლული სურათის წარმოდგენაა. გაუნელებელი გულისხმიერებით საკითხავი ამგვარი ხასიათის წიგნებით მაინცდამაინც განებივრებული არ ვართ და ფოლკლორულ-ლიტერატურული პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევდი, უშუალოდ გაცნობოდა სარეცენზიო კრებულს.

1990 წ.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობების პირველი კრებული. საშუალება გვეძლევა თვალი მივადევნოთ ახალგაზრდა პროზაიკოსის შემოქმედებას, მოვიაროთ მისი სამყარო, შევამჩნიოთ ნაკლი და ღირსება, აღვნიშნოთ ის არსებითი, რაც განსაზღვრავს მოთხრობების მხატვრულ დონეს, საერთო სახეს...

ბევრისმთქმელია კრებულის პირველივე მოთხრობა „თედო". ბევრისმთქმელია პირველ რიგში ავტორის მწერლურ შესაძლებლობებზე, მახვილ ხედვაზე, დიალოგების „აგების" უნარზე, სტილზე, ხელწერის თავისთავადობაზე... მოთხრობაში არის ერთი ასეთი დეტალი: ნიკას ბიჭის სასიმამროს — თედოს სიმწრის ცრემლი მოსდგომია თვალებზე და გაყუჩებული წევს პირქვე მინაზე. და ამ დროს „მის ცხვირწინ, მტვერში, სწრაფად მოხუსხუსებდა პატარა, ჟანგისფერი ჭიანჭველა, პირით მზესუმზირას ჩენჩო დაებღუჯა და სადღაც მიჰქონდა, უაზროდ დასცქეროდა თედო იმის წვალებას, რაღაც უცნაურ სისუსტესა და სიბეჩავეს ისე დაერია ხელი, წამოდგომას არც კი ცდილობდა"... შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დაგვეტოვებინა ეს ნაწყვეტი, ანგარიშგასაწევ აზრობრივ დატვირთვას რომ არ ატარებდეს. კონტრასტული ხერხის მოშველიებით გამძაფრებულია სიტუაცია. სურათი საგულისხმო ქვეტექსტს შეიცავს. საკუთარი სიჯიუტის გამო თედო ჭიანჭველაზე უმწეოა. ის ქალ-ვაჟის უერთიერთნდომას ეუარება, მაგრამ მარცხდება. იმარჯვებს პირველი სიყვარული...

ნუგზარ შატაიძის ყურადღება პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტის ჩამოქნისკენაა მიმართული. გმირთა ზნეობრივი მხარის წარმოჩენა, სულიერი განწყობილების ჩვენება ხშირად დიალოგს ეკისრება. ჩანაფიქრი სრულდება სოფლური მეტყველებისთვის ორგანიულ სიტყვიერ ქსოვილში. დიალოგები ცოცხალი და ცხოვრებისეულია. მათში ინაკვთება კოკრეტული გარემოს სარწმუნო სურათი... ვრცელი, ეპიური ჟანრის სათქმელს წიგნის ერთი ფურცელი იტევს. „სათონეში" — ერთი საუკეთესოა წიგნში შეტანილი მოთხრობებიდან. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი სევდიანი დასასრული.სიტყვათა დინჯ მდინარებას დაძაბული, თანაგრძნობის გამაღვი-

ძებელი თხრობა მოსდევს. მოქეიფეთა არხეინი, ხუმრობითა და სითბოთი სავსე „სერობა" ერთბაშად იცვლება, იმუხტება, ტკივილით ივსება. მოთხრობის პირველის ნაწილი (განწილვა პირობითია) თითქოს ერთგვარი ფონია ნერვიული ფინალის საჩვენებლად. მკითხველი უზრუნველ, მშვიდ სამყაროს შორდება და მკაცრი სინამდვილის წინაშე აღმოჩნდება. ავტორი განგებ არ ასახელებს იმ ადგილს, სადაც ამბავი ხდება. მისი ამოცნობა მკითხველზეა მინდობილი... გოგია. დომბური, სწორე ქვაბთან შეკრებილან. იქვე, შორიახლოს, დედაბერი სიმინდის ტაროს ფშვნის. სპილენძის მილიდან კოკურაში მოწანწკარებს არაყი... სვამენ და ტკბილად საუბრობენ კაცები... „ნეტა მართალია, რასაც თავმჯდომარე იძახის? – თრითინას მოულოდნელი შეკითხვა ზარივით ჩამორეკავს იდილიურ უშფოთველობაში..." – ეს ჩვენი მდინარე უნდა დააგუბონო... ემ არემარეზე მალე დიდი წყალსაცავი იქნებაო"... სოფელი უნდა აიყაროს და „ქალაქთან რო დიდი მინდორია", იქ დასახლდეს... და აი, ფინალიც: „დედაბერს პირი ღია დარჩენია, თვალებიდან ღაპაღუპით სცვივა ცრემლი და როცა სლუკუნიც აუვარდება, მაშინღა მიჰხედავენ.

– რა იყო, დიდედო?!

– რა ნახე, დედაკაცო?

– ჩემი მიხას საფლავიც წყალში მოექცევა, შვილო?!

– დახე?!

– გაახსენდა, რას იზამ... ფრუტუნებს სწორე.

– გაგიმარჯოს!

გარეთ ისევ წვიმს. სათონის კედლის ღრიჭოდან გამომავალი ყომრალი ბოლი მძიმედ ეფინება აჭონჭოხებულ ეზოს, გზასა და ნაფუძარს. ქვემოთ კი მუქარით იყეფება აზავთებული, ყალყზე შემდგარი და გაალმასებული მდინარე"...

ადამინური ღირსებისა და პატიოსნების საგალობელი ისმის მოთხრობაში „თურქული". ოჯახს მარჩენალი ძროხა უკვდება. მისი გადარჩენის იმედი ჯერ კიდევ არ დაშრეტილა მთლიანად. ვეტექიმთან ბიჭს აგზავნიან, ეგების რამე უშველოსო. ვეტექიმი მთაშია წასული...სასო იწურება. დაყოვნებას აზრი აღარ აქვს. ყოველგვარი ღონე ფუჭი და ამაოა. მისულფერებულ ნიშას ხანჯლით გამოჭრიან ყელს... მეორე დღეს, სისხამ დილით,

შავიშვილიანთ ანდრო მიდის გოგიასთან და ძროხის ნახევარს სთხოვს შეღავათიან ფასში. „ – არ ვყიდი, ჩემო ძმაო", – უპასუხებს გოგია. ანდროს ხუმრობა ჰგონია და იღიმება. „– რას იცინი, აკი გითხარ, არ ვყიდი-მეთქი" – ცივად უმეორებს ყელგამოღადრული ძროხის პატრონი. მან იცის, რომ სენშეყრილი ხორცის ბაზარზე გატანას ცუდი ამბავი შეიძლება მოჰყვეს და მამისა და ცოლის დაჟინებულ შეგონებასაც არაფრად აგდებს. საჩეხიდან წერაქვი და ბარი გამოაქვს და ბოსტანში საფლავის გათხრას იწყებს. „იასაულებივით", თავზე დამდგარი კოლა და ანდრო მაინც არ ეშვებიან. გაბრაზებული გოგია ორმოდან ამოხტება და კოლას ნიჩაბს მოუქნევს. „გიჟია, ოხერიო," – ბურდღუნებს ნაბარბაცებული კოლა და ზურგს უკან ლაწალუნის გაგონებაზე თავქუდმოგლეჯილი გარბის ჭიშკარში. შეშინებული ანდროც თავდაღმართშია გამანძილებული... თოხის ტარს ჩამოყრდნობილი ბესა (გოგიას მამა) „ბებრულად" იცინის. ახითხითებული მოხუცის დანახვაზე გოგიასაც ეცინება. „არც ერთს არ ჰქონდა სასაცილოდ საქმე – წელან ორივეს გულში ბოღმა ტრიალებდა, მაგრამ რაღაც საოცარი ძალა იმ ბოღმას ისე ფანტავდა, როგორც ქარი ტყეში ჩაწენილ ნისლს"...სიტუაცია მკაფიო და და ხედვით – ხატოვანია. ხასიათები – გახსნილი და გამოკვეთილი. მოსაწონია მწერლის კეთილშობილური ჩანაფიქრი, თუმცა ნაწარმოებს ერთგვარი დამაჯერებლობა აკლია. ეს ქვეშეცნეულად იგრძნობა... ერთი პატარა შენიშვნაც აქვე: ხომ არ აჯობებდა ავტორს ძროხისთვის ნიშას (ხარის სახელის) მაგიერ სხვა რამე დაერქმია? ეს თითქოს უმნიშვნელო, ძალად გამოჩხრეკილი, ნაკირკიტალი წვრილმანია, მაგრამ, მოგეხსენებათ, უმცირესი დეტალის უზუსტობაც გავლენას ახდენს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე.

გვამახსოვრდება ხიზამბარელის კოლორიტული სახე. მოთხრობის სახელწოდებაც „ხიზამბარელია". აქ აღწერილი ამბავი არ გახლავთ მწერლის წარმოსახვის ნაყოფი. ყოველ შემთხვევაში, მსგავს რაღაცას ნებისმიერ სოფელში შეიძლება შევხვდეთ. დროის მოკლე მონაკვეთშია ნაჩვენები „დოლაბივით" გამცვდარი და გალეული ბერიკაცის პიროვნება, ასახულია მისი სულიერი სიმაღლე, დაურჩრდილველი ზნეობრივი

სისპეტაკე... ხიზამბარელის ჭკვიანური სიტყვის მომსმენი აღარავინაა. არადა, სოფელს სწორედ მისი ყაიდის მზრდელი და მოძღვარი სჭირდება. „უფროსი ამათ აღარ იციან და უმცროსი", – ხელებს ასავსავებდა მოხუცი, უსწორო გზაზე დამდგარი მუცელღმერთა ოსკას მისამართით... საუგო განურჩევლობაში სიკეთის ნავსაყუდლებად მოჩანან სოფლის მასოფლებელი ადამიანები. მათში პატიოსნების ცეცხლი ანთია, რომლის ალმაც უნდა გაათბოს უგრძნობელი ადამიანები. ასეთია თვითონ ხიზამბარელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვიდრი შვილიც კი განზე გასდგომია მის რჩევას... პრობლემური, სოციალური და ზნეობრივ-ეთიკური საკითხია დასმული. მისი შეგნებისკენ, განსჯისკენ მიგვითითებს ავტორი. დამღლელი და მოსაბეზრებელი მოწოდება, დიდაქტიკურ-მენტორული ტონი და ფრაზა შეცვლილია ბუნებრივი და გამართული თხრობით. ყველაფერი ნათქვამია სხარტად, ლამაზად, შეუფერადებლად... მწერლური ნიჭი გმირთა სახელების შერჩევაშიც ხდება საჩინო. „არსაითი" ადამიანის სახელი არაა, ერთი ქართველი მწერალი „მორცხვადაც" განმარტავს მას, მაგრამ, აღნიშნულ მოთხრობაში კარგად შეეფერება მაცანცარა ბიჭს, ღობე-ღობე რომ ეპარებაშურდულით ღვთის გაჩენილ" ჩიტებს. ამ სიტყვის ხსენება ცხდად გვიხასიათებს ბიჭისადმი ხიზამბარელის დამოკიდებულებას...

ზარის სიმბოლური წკრიალი ისმის მოთხრობაში „ადგილის დედა". ყველა საგანი და ნიუანსი – ბერმუხა და ჯიხვის რქები, ბუჩქნარებს შერჩენილი ცხვრის მატყლი თუ დაზნექილი ტყემალი ერთი ღერძის, ერთი ხერხემლის, ერთი დედოძარღვის ირგვლივ გროვდება და იკვანძება, ერთ დიდ სატკივარზე მინიშნებას ემსახურება: ეს მიტოვებული სოფელია, ნლების მანძილზე უპასუხისმგებლობით დაცარილებელული მთა: გზაყოფილი ნაგზაურები...თავმინებებული ბაღები და ახოები... ამაზრზენი სიჩუმე და უღიმღამო, გლოვისფერი დღეები... და მოლოდინი, მოლოდინი, ხვალინდელი დღის ჩაუმქრალი და იმედნეული მოლოდინი... მოქმედება (ვიტყოდი: შენელებული მოქმედება მიმდინარეობს გუდამაყარში, დიხჩოს ჩამოსწვრივ (გუდამაყარი და, კერძოდ, მისი ერთ-ერთი სოფლის, დიხჩოს არემიდამო, ამ შემთხვევაში, მთის მიკროხატად. შეგვიძლია

ვიგულვოთ). მოთხრობაში ნაჩვენები სიტუაცია არ თავსდება კონკრეტული, ზღვარდადებული გარემოს ფარგლებში. ის ზოგადი ხასიათის მატარებელია: თანაბრად ეხება და შეუზღუდავად გულისხმობს რაჭის, თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის სინამდვილეს. შემთხვევითი არაა მოთხრობის სათაური „ადგილის დედა“, არც ტანდაკორძილი მუხის ლაიტმოტივური ფუნქციის აქცენტირებაა მოულოდნელი, მუხისა, რომლის კულტი და თაყვანისცემა დიდხანს არსებობდა ძველ საქართველოში...

ნუგზარ შატაიძე პეიზაჟის მარჯვე მხატვარია. ნათქვამის დასტურად ერთი პატარა ნაწყვეტიც იკმარებს: „დიდი მინდორი თრთვილს გადაუთეთრებია. ცივა. აღმოსავლეთით გაწოლილ გრძელ ღრუბელს სისხლისფრად აბრდღვიალებული მზე მოჰქცევია თავზე და გაყინულ მიწას ათასფრად აელვარებს, უცნაურად ბრწყინავენ ჩალის ღეროებზე შეხორხლილი თრთვილის წვეტიანი ნემსები. საურმე გზაზე, ნაკადულთან, ტრაქტორს უბულრავია. დატტვილა ნაკადული, დაქუცმაცებულა და კიდეებზე სიფრიფანა ყინულმოდებული წკანწკარით მიიპარება ჩალიანში. გაყინულა გუშინდელი ტალახიც“ („მელა“).

„პეიზაჟი უძველესი საქმეა არა მარტო მხატვრობაში, მწერლობაშიც“(კ. გამსახურდია). იოტისოდენი ზადი და ხარვეზი შეიძლება თავლშისაცემ დისონანსად დააჩნდეს ერთიან ტილოს. ამიტომაც მოითხოვს პეიზაჟის მხატვრული ძერწვა მწერლურ სიფხიზლეს, ხანგრძლივ უშუალო დაკვირვებას, გამოცდილებას, სხვა და უფრო რთული საქმეა, როცა ადამიანური განცდები ბუნების მოვლენებთანაა შეხამებული და შესადაგებული. აქ გაორმაგებული ძალა და ხედვაა საჭირო... მთებზე ჯანღი წევს. ჟინჟლავს. გაჩუმებულან ფრთოსნები... „ხანდახან დაჟიებული ყვავი თუ გადაიფრენს, ისიც, ეტყობა, შიმშილს გამოუგდია გარეთ – ჩხავილით წყევლის წვიმას და თავისი გაჩენის დღეს“ („ზამთრისპირი“). ასეთ ამინდში ჭირვეული და ნაღვლიანია ფანჯრის რაფაზე აბღოტებული ბალღებისა და ოთახებში გულჯავრიანად მობორიალე მათი მამების განწყობილებაც... შემოდგომა მიწურულა. საკეთებელი აღარაფერია. უქმად შინ ყოფნა აუტანელი გამხდარა. „ლაბადაწამოხურული კაცები მძიმედ დააბოტებენ ეზოში, საქმეს ეძებენ, მაგრამ ხელიდან არაფერი გამოუდით, უხალისოდ იცქირებიან აქეთ-იქით. მერე ჭიშკარში

გადიან და ადევნებულ ძაღლებს ჩახლეჩილი ხმით უჯავრდებიან. ბინდისას თვალებაჟუჟუნებულნი და სახეაჭარხლებულნი ბრუნდებიან უკან. დამნაშავის ღიმილით მიუსხდებიან აგუზგუზებულ ღუმელს და იმათი სველი ტანსაცმლიდან ავარდნილი ორთქლის ბუღი ნაცნობი სურნელით ავსებს იქაურობას"... მყუდრო სახლებში სითბო ივანებს.

„ღამდება. სქელი კედლების მიღმა რჩება წვიმა და სევდა ზამთრისპირისა"...

მოთხრობაში უცნობი და უჩვეულო არაფერია. მოცემულია ქართული სოფლის კოლორიტი და ყოველივე იმდენად მშობლიური, ახლობელი და ინტიმურია, რომ დროსა და სივრცეში მკაცრად ლოკალიზებული სამყარო ცხოვლად იბეჭდება მეხსიერებაში.

„ცხოვრების ყველა ნაკადისა და ნაკადის ყველა პატარა ჭავლის" ჯეროვანი ცოდნა მწერალს ეხმარება, თითქმის ნატურალისტური (კარგი გაგებით!) ზედმიწევნით დახატოს „უთვალავი ფერით" არსებული სამყაროს პლასტიკური სურათი.

ნუგზარ შატაიძის მოთხრობებში გხიბლავთ სოფლური გარემოს სისავსე, პასტორალური უბრალოება, ხელშესახები სინედლე, სინოყიერე და სადა, მოურთავ-მოუკაზმავი სილამაზე. შემოდგომის სილამაზით გაბრუებული ორლობეები, ქარვისფერი ყურძნით სავსე გოდრები და ამ საყვარელ ატმოსფეროში ხმელ, ყამირ გლეხკაცთა სახეები ისეთი ოსტატობით, პროფესიული სიმარჯვითაა ხორცშესხმული და გაცოცხლებული, რომ მკითხველს მწერლის მადლიანი სამყაროს თანაზიარს ხდის.

ნუგზარ შატაიძე ახდენს ნაცნობი ამბისა და მოვლენის მხატვრულ განზოგადებას. იგი არ ცდილობს ზედაპირული ეფექტებით თავმონონებას. საფუძველს მოკლებული ექსტრავაგანტიზმი უცხოა მისთვის. თხრობა არსად დაჰყავს ცხოვრებისეული წვრილმანის ზუსტ (და მოსაწყენ) ფიქსაციამდე... საკუთარ პერსონაჟთა ტკივილი აწუხებს, სიხარული – ალაღებს. მათი თვალებით შეჰყურებს მიწას, მათი უტყუარი ალღოთი უდგება ცხოვრების ჩრდილსა და მზვარეს...

ნუგზარ შატაიძე მტკიცედ დგას მშობლიურ ნიადაგზე. მისი მწერლური პოზიციაც ამის გამოა მყარი და უცვლელი.

აქვე გვინდა შევნიშნოთ: მრავალგზისი ხმარებისაგან ქარ-

თული სიტყვა ცვდება, იღლება და ემოციური ზემოქმედების ძალისაგან იცლება. ერთხელ ნათქვამის გამეორება ყურს ხვდება და ერთფეროვნების უამურ განცდას ბადებს. ეს განსაკუთრებულად საჩოთიროა მცირე მოცულობის ნაწარმოებში. მით უფრო მაშინ, როცა ნუგზარ შატაიძის შესაძლებლობების მქონე ავტორის ნაწერს ეხება საქმე... მხედველობაში გვაქვს ისეთი სიტყვა-გამოთქმების რამდენჯერმე გამოყენება, როგორიცაა – დევერხანა (რქები, ღრუბლები, კამეჩები, გოდორი...); ჩამყუდროებული (ტყე, სახლი, სოფელი, სასაფლაო...); ტყეში ჩაწეწილი ნისლი, ნათალი ჭიქა და სხვ...

ბოლო ხანებში გამოქვეყნებული მოთხრობების მიხედვით თუ მოვიწადინებთ ნუგზარ შატაიძის მომავლის განჭვრეტას, უნდა ვთქვათ, რომ მისი ხვალინდელი დღე ნამდვილად პერსპექტიულია. „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე მკითხველი გაეცნო მწერლის ახალ ნაწარმოებებს („მგელი", „თხუნელა", „კაცი", „ცოდვილი")... ეს მოთხრობები ავტორის წინგადადგმულ ნაბიჯებად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებული ინტერესით იკითხება „ცოდვილი". მდიდარი ლექსიკა, ფერჭარბი მხატვრული პალიტრა და, რაც მთავარია, ჩანაფიქრის ღრმად გააზრება და წარმატებით გადაწყვეტა. აღნიშნული ნაწარმოების ეს ძირითადი ნიშნები, რომელთა გარეშეც სიტყვიერი ხელოვნების ნიმუში წაკითხვისთანავე დავიწყების ბინდში მქრქალდება და იკარგება.

დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ნუგზარ შატაიძის მოთხრობების პირველი კრებული ის პირველი სანდო მოციქულია, რომელსაც მკითხველთან უკეთესი, უფრო ხვავრიელი, მზიანი და მიმზიდველი მერმისის იმედი მიაქვს.

ქართული ხალხური საგმირო ბალადა

ხალხური ბალადის ჟანრული სახის წარმოსაჩენად საკმაოდ დიდძალი ფაქტობრივი მასალა მოიძებნება ქართულ ფოლკლორში. ყველა ის არსებითი ნიშანი, როგორც სტრუქტურული, ასევე თემატურ-შინაარსობრივი, რაც ლექსის ხსენებული ნაირსახეობის კლასიკურ ნიმუშებს ახასიათებს, თანმდევია ბალადის ტიპის ქმნილებათა ქართული რეპერტუარისთვისაც... ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართული ხალხური ბალადა ბრმად იმეორებდეს რაღაც საერთაშორისო სტანდარტებს. ხალხური პოეზიის ეს უნიკალური სფერო მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა ქართულ პოეტურ ფოლკლორში. შეიძლება ითქვას: მოცულობრივად მცირე ბევრ ბალადაში წარუვალი ღირებულების სულიერი სიმაღლეების საღი სუნთქვა ისმის.

ტრისტან მახაურის გამოკვლევა, მიუხედავად იმისა, რომ ბალადა დღემდეც არაერთგზის ქცეულა ქართველ ფოლკლორისტთა თუ ლიტერატურათმცოდნეთა საგანგებო დაკვირვებისა და ანალიზის საგნად, თვისობრივად ახალი, წინწადგმული ნაბიჯია აღნიშნულ გზაზე. წინამორბედ მეცნიერთა ნაღვაწის გათვალისწინება, ზოგიერთი აშკარად მცდარი აზრისა თუ დებულების კრიტიკული განსჯის უნარი და საკვლევი უბნის საფუძვლიანი ცოდნა ეხმარება დისერტანტს, აღნუსხოს და გაითვალსაჩინოოს ის უმთავრესი მახასიათებლები, რაც ქართული ხალხური საგმირო ბალადის თავისთავად სახეს ქმნის.

ნაშრომის შესავალში გამოკვეთილია ბალადის ჟანრული თავისებურებანი; ლაპარაკია საფერხულო ბალადების სინკრეტიზმზე; ხაზგასმულია ბალადების დაჯგუფების თემატური პრინციპის უკმარობა; ბალადის წარმოშობისა და კლასიფიკაციის პრობლემაზე მსჯელობისას უგულებელყოფილია იდეოლოგიური ჩარჩოები; უკუგდებულია კონიუნქტურა და, შესაბამისად ამისა, წინწამოწეულია სტრუქტურული თვალსაზრისით ბალადების შესწავლის მიზანშეწონილობის საკითხი.

აქვე ვიტყვით, რომ შესავალში უადგილოდ მოჩანს და წიგნს არსებითად არაფერს მატებს სქემატური საუბარი სკანდინა-

ვიის ქვეყნების ბალადებსა და მათი გამოცემა-შესწავლის ამჟამინდელ მდგომარეობაზე.

ფოლკლორისტიკის თანამედროვე მიღწევებისა და კვლევა-ძიების ახლებური მეთოდების მოთხოვნებიდან გამომდინარე დღეს უკვე ანაქრონიზმად გამოიყურება სიტყვიერების შესწავლა მხოლოდ თემატიკისა და მხატვრული იდეების დონეზე; მით უფრო მაშინ, როცა ისტორიამ მიიბარა აქცენტის დასმისა და ძალისხმევის მიმართვის მოთხოვნა კლასთა შორის ურთიერთობებსა თუ თავისი არსით მახინჯ იდეოლოგიურ დოგმებზე.

ტრისტან მახაური სწორად იქცევა, როცა გაკვრით კი არა, სერიოზულად ეხება სტრუქტურალიზმის პრინციპებს, ითვალისწინებს ლოტმანისა და ლევი-სტროსის თეორიებს და აპრობირებული თვალსაზრისების ცალკეულ პუნქტებთან მარჯვედ ასადაგებს ემპირიული მასალის კონკრეტულ მონაცემებს.

ნაშრომის პირველ თავში, რომელიც საგმირო ბალადების სტრუქტურული თავისებურებების ნათლადჩენას ისახავს მიზნად, განხილულია ხევსურული საგმირო ბალადა „ბაღათერა ჯაბუშანური", რომელიც თითქმის ყველა თავისი პარამეტრით პასუხობს მსგავსი ნიმუშებისთვის სავალდებულო ნორმებს. კომპოზიციისა და სიუჟეტის ერთობლიობა, რაც პროპის თეზის თანახმად, ზღაპრის სტრუქტურული მთლიანობის წინაპირობას წარმოადგენს, ნაწილობრივ ბალადებზეც ვრცელდება და ზემონახსენები ქმნილების მაგალითზე ცნაურდება, რომ ექსპოზიცია, კვანძი, წინააღმდეგობის გამძაფრება, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა, გმირის შინ დაბრუნება და სიკვდილი კლასიკური სიცხადით გამოკვეთს ქართული საგმირო ბალადების „მეორე ტიპიურ მოდელს".

ნაშრომის ეს მონაკვეთი, მთლიანობაში, სასურველ სიმაღლეზე დგას. საგულისხმო მომენტია, როცა ავტორი ტყვეთა მხსნელ ქართველ გმირებს წმინდა მხედრებთან, სახელდობრ, წმინდა გიორგისთან ადარებს. აქვე ეხება გმირის აღზევების, „გაბუდაყების" და ცოდვით დაცემის მოტივებს; ბალადის პოემად განვრცობის თვალსაჩინო ნიმუშად ასახელებს ბესარიონ გაბურის მიერ გალექსილ „შიოლა და მთრეხელს", მიუთითებს ბალადისა და ელეგიის ურთიერთკავშირზე, მათ

მსგავსება-განსხვავებაზე, ე.წ. „მინიატურული" ბალადების ლაკონიზმზე, კონტამინაციის მოვლენაზე და ბალადის იმ სტილურ ხერხზე, რომელიც წარსულში მომხდარი მოქმედების მომავალში გადატანას გულისხმობს.

ამ ფონზე, ნაშრომის პირველი თავის პოზიტიური მხარეების სიჭარბის ჭრილში, ერთგვარ ვარდნად აღიქმება მეორე თავი, რომლის სახელწოდებაა „ცრუბალადები".

რჩება არცთუ უსაფუძვლო შთაბეჭდილება, რომ ავტორი ხელოვნურად ქმნის პრობლემას; არარსებულ სიცარიელეს სუბიექტური თვალთახედვით შერჩეული მასალით ავსებს და მსჯელობს იმაზე, რაც, სინამდვილეში, არც საკამათოა და არც სერიოზული მიდგომის ობიექტი.

ჩნდება კითხვა: რა გვაიძულებს, ვილაპარაკოთ ზოგიერთი მოკლესიუჟეტიანი ლექსის მსაგვსებაზე საგმირო ბალადებთან, ვეძიოთ მათში ანტიგმირი, ტრაგიკული კონფლიქტები და რახან ასეთ რამეს ვერ აღმოვაჩენთ, დასკვნის სახით განვაცხადოთ, რომ ისინი „ცრუბალადებია". ანდა, ჩვენთვის უცნობია, ვინ მოიხსენია ბალადების რიგში ჩვეულებრივი ხალხური ლექსი „ჩავალის, ჩაეუბნების", რომლის შესახებ ნაშრომში ამგვარი მსჯელობაა განვითარებული: „ ... მთელი ლექსი არის გმირის ლირიკული აღსარება და არა ეპიკური ამბის ნასხლეტი, რაც უკვე ფაქტიურად ბალადა იქნებოდა".

მასშტაბურობით, თვალმისადევნები საკითხების მრავალფეროვნებით და კვლევა-ძიების სათანადო სიღრმით გამოირჩევა ნიგნის მესამე თავი „საგმირო ბალადების რეალური და ისტორიული საფუძვლები".

აქ აღნიშნულია და, ვფიქრობთ, სავსებით სწორად, რომ საგმირო და საისტორიო ბალადებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს; რომ „ბევრი საგმირო ბალადა, ამავე დროს, საისტორიო ხასიათისაც არის და პირუკუ, საისტორიო ბალადები საგმირო შინაარსის მატარებელია".

ნაშრომში შენიშნულია ზოგ შემთხვევაში ხალხური სიტყვიერების უპირატესობა მატიანეებზე, ვინაიდან „ესა თუ ის ხალხური ნანარმოები შექმნილია თვითმხილველის მიერ" და კონკრეტული მოვლენისა თუ ისტორიული რეალიის უცთომელი სურათის აღსადგენად არცთუ იშვიათად, უფრო სანდო

და საიმედოა, ვიდრე მატიანეებსა თუ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები.

ბალადა, როგორც წესი, ცხოვრებისეულ სინამდვილეში იღებს სათავეს; რეალობაა მისი „მასაზრდოებელი" და, ამის კვალობაზე, ნაკლებია მასში პოეტური ფანტაზია, ფანტასტიკური ელემენტები, ავტორისეული წარმოსახვანი, განყენებული აბსტრაქციები და მოულოდნელი ასოციაციები... ამ იმანენტური ნიშნებით ემსგავსება ერთმანეთს ქართული ხალხური ბალადები და სკანდინავიური საგები. ტ. მახაური აქვე ახსენებს ბილინებს, ნამდვილად მომხდარ ამბებზე აგებულ ხალხურ ნაწარმოებებს და ახდენს ამ სამი სხვადასხვა ჟანრის მოკლე, ამასთან, საქმიან ურთიერთშედარებას...

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, არსებითად ნაშრომის თეორიულ წანამძღვრებს ეხებოდა. ამის შემდეგ ავტორი დეტალურად, კვალიფიციურად, ასეც შეიძლება ითქვას, თავისებური დაგემოვნებით აანალიზებს თორმეტ საგმირო ბალადას და მიჯნავს მათში რეალისტურ და მითოსურ პლანებს. ამ განხილვებში ზოგი რამ ხარვეზოვანი და სადავოა, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ტრისტან მახაური ზედმიწევნით იცნობს საკვლევ სფეროს, თავს ისე გრძნობს, როგორც მშობლიურ გარემოში და, რა გასაკვირია, ყოველივე ეს თავის ნათელ კვალს ტოვებდეს ნაშრომზე.

განსახილველი ბალადების მეტ-ნაკლები მხატვრულ-შემეცნებითი ღირებულება კარნახობს მკვლევარს, კუთვნილი დრო და ყურადღება დაუთმოს თითოეულ მათგანს.

რახან ტ. მახაური „ვეფხისა და მოყმის" ბალადით იწყებს, არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოითქვას.

საქმე ისაა, რომ „მოყმე და ვეფხვი", სწორუპოვარი ნიმუში ხალხური პოეზიისა, არ არის საგმირო ლექსი. მისი დომინანტი მოტივი ნადირობაა. ბალადაში გადმოცემული ამბავი საჯიხვეში მიმდინარეობს. რაც „შუა გზას" ხდება, გაუმართლებელია საგმირო ლექსის „მასალად" მივიჩნიოთ. აკაკი შანიძეს შემთხვევით არ შეუტანია ეს ბალადა ნადირობის ციკლში. რამდენადაც ვიცით, მას ამის გამო შენიშვნა არავისგან მიუღია, არც ფოლკლორული ტრადიციის მატარებელ მთქმელ-მთხრობელთაგან და არც სპეციალისტებისაგან...

ქართულ ფოლკლორისტიკაში, ინერციის ძალით, დღემდე განაგრძობს არსებობას ათეული წლების წინათ ფესვმოკიდებული მანკიერი პრაქტიკა, რაც პროვინციალიზმის საჯაყი სენით აღბეჭდილ ე.წ. „კუთხურ პატრიოტიზმში" პოულობს თავის გამოხატულებას.

იმის ნაცვლად, რომ შეძლებისამებრ სრულად ვსწავლობდეთ ამა თუ იმ ნატირლისა თუ საგმირო ლექსის მხატვრულ ქსოვილს, მათში ჩაწნეხილი ადამიანური განცდების ფილოსოფიურ განზომილებას და ა.შ. ხშირად იმის გარკვევით ვართ დაკავებულნი, ფშაურია თუ ხევსურული ესა თუ ის შედევრი...

სასიამოვნო მოვალეობად ვთვლით იმის აღნიშვნას, რომ განსახილველი ნაშრომი აბსოლუტურად თავისუფალია ანალოგიური ტენდენციურობისაგან და კეთილსინდისიერ, ობიექტურ მოპყრობას ავლენს ამ უაღრესად დელიკატური პრობლემისადმი.

ბალადების ანალიზში ბევრი რამეა ყურადღების ღირსი. თვითეულ ნიმუშთან დაკავშირებით აღძრული და გაშუქებული საკითხების უბრალო ჩამოთვლაც კი ვერ ხერხდება გარკვეულწილად რეგლამენტირებულ წერილში. ამიტომაც გამოვყოფთ უმთავრესს, იმას, რაც წინამდებარე ნაშრომის შექმნამდე ხელუხლებლად ანდა ნაკლებმოკვლეულად რჩებოდა.

როგორც ფოლკლორისტებისათვის, ასევე მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისათვის უსათუოდ ფასეული და სიახლისმომცველი იქნება ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ბალადა „ივანეურისა".

ტ. მახაური სიახლოვეს ხედავს ცნება „დაბადებას" (საკალდებულო მსხვერპლი) და ქრისტიანულ ტერმინ „თანანადებს" შორის; ყოვნდება ხევსურულ „ძენგლსა" და „სამანზე". ამ უკანასკნელს ხსოვნის მატერიალურ გამოხატულებად თვლის, ხოლო პირველ ორ ტერმინში სულიერ ასპექტებსაც მოიაზრებს.

ბალადა „შიოლა და მთრეხელის" განხილვაში მოხმობილია პარალელი ვაჟას „გოგოთურ და აფშინას" შესაბამისი ეპიზოდის სახით (იარაღის წართმევის მცდელობა და გმირისაგან თავის დაცვა); შემჩნეულია მსგავსება ქერეეთ ზალსა და აღაზას შორის.

წარმატებით არის ნაკვლევი და დადგენილი ბალადაში „ფა-

ცხვერი და ალუდი" ასახული ამბის ქრონოლოგიური ჩარჩოები; მიგნებულია ჩამატებანი და დაფიქსირებულია პირველწყაროდან დაცილება, რაც, ძირითადად, „ყუვის" ანუ რითმის სამჯერ შეცვლაში გამოიხატება.

მკვლევარი მსჯელობს ბალადა „შატილს გადიდდა ხოხობის" მთავარ პერსონაჟზე, ფშაველ მოყმეზე, თადიაურზე და ამბობს, რომ „თხისტყავიანი" გმირის არც მეტსახელია და არც ეპითეტი, არამედ ეს არის „ძველი მითოლოგემის ანასხლეტი".

გაბედული თვალსაზრისია და, რაც მთავარია, სათანადოდ შემაგრებული ანტიკური მითოლოგიიდან თუ ბერძნული სამყაროდან დამოწმებული მეტყველი მაგალითებით.

გამოცალკევებით უნდა აღინიშნოს საგმირო-მითოლოგიური ხასიათის ბალადის – „თორღვა" – ირგვლივ ჩატარებული კვლევა-ძიება.

თორღვა ძაგანის, როგორც ორპიროვანი გმირის, მხატვრულ სახეში ჰარმონიულად თანაარსებობს მითოსური და რეალისტური პლასტები; ბალადაში ერთმანეთს ენაცვლება და ავსებს სინამდვილის საფუძველზე გამოძერწილი და ფანტასტიკური ელფერის პასაჟები. მათი ინტერპრეტაციის ყოველი ცდა ცხოველი ინტერესის აღმძვრელია.

ტ. მახაური გულმოდგინედ სწავლობს ბალადის ყოველ ნაკვთს, დეტალს, მოტივს; ხსნის და საჭირო განმარტებას აძლევს მხატვრულ სახეებს, სიმბოლოებს; ავლენს ეტიმოლოგიური ძიების უნარს, კარგად ერკვევა საქართველოს ისტორიის კარდინალურ საკითხებში.

ტრისტან მახაურის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ქართული ხალხური საგმირო ბალადების დალაგება ოთხი ძირითადი მოდელის მიხედვით. თითეულ მოდელში მოქცეული ბალადები სტრუქტურულ სიახლოვეს ამჟღავნებენ ერთმანეთთან და მოქმედების დაწყება-დამთავრებისა თუ სიუჟეტურ პერიპეტიათა ცვლის თანამსგავსი მოდულაციებით ხასიათდებიან...

ნაშრომის გაცნობამ, გარდა იმისა, რასაც ზემოთ შევეხეთ, დაბადა კიდევ ორიოდ შენიშვნა.

ნაშრომში ბალადებად არის სახელდებული ზოგიერთი აშკარად ტიპიური საგმირო ლექსი. ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, თითქოს საგმირო ბალადებია, ვთქვათ, „დილას

გოგოთურმ ეხვეწა" და „ამბობენ დაღესტანშია". არც ერთი და არც მეორე ნიმუში ბალადისთვის ნიშანდობლივი არქიტექტონიკითა და სიუჟეტის განვითარებით არ ხასიათდება. იგივე შეიძლება ითქვას საგმირო ბალადებს შორის ჩამოთვლილ მითოლოგიურ ლექსებზე: „იახსარი", „კოპალა", „შურისციხე", „პირქუში" და ა.შ. ბალადებად არის მოხსენიებული ზურაბ ერისთავის ციკლის ლექსები, რაც ასევე შეცდომაა.

ვერც იმაში დავეთანხმებით მკვლევარს, თითქოს „შიოლა და მთრეხელი" „დღემდე შეუსწავლელი ბალადა იყოს". ამავე ბალადის განხილვაში დაშვებულია ერთი უზუსტობა: ავტორი ორ დამოუკიდებელ ტოპონიმს – „მთრეხს" და „სამთრეხლოს" – ერთურთთან აიგივებს. მთრეხიდან სამთრეხლომდე, სულ მცირე, 5-6 კილომეტრი მაინც იქნება და მათ შორის იგივეობრიობის ნიშნის დასმა სერიოზული ლაფსუსია...

ტრისტან მახაური არ შესჭიდებია ისეთ პრობლემას, რაც მისთვის მიუწვდომელი იქნებოდა და გაუჭირდებოდა თავის გართმევა. მან შესასწავლად შეარჩია კარგად ნაცნობი, განცდილი, გათავისებული თემა და შედეგიც სახეზეა: დახვენილი ენით დაწერილი, სტილისტურად გამართული, ხალხური პოეზიის ღრმა ცოდნითა და სიყვარულით აღბეჭდილი გამოკვლევა ქართული ხალხური საგმირო ბალადის შესახებ.

2004 წ.

ამბავი პირშიშველა მოყმისა, ვეფხვისა და ყივჩაღისა

როსტომ ჩხეიძის ლიტერატურულ-ფოლკლორულ ძიებათა ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მისი მონოგრაფია „მოყმე, ვეფხვი, ყივჩაღი".

ქართული ფოლკლორისა თუ ლიტერატურის ფუნდამენტური საკითხების კვლევას და რკვევას მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, როცა ავტორი ინერციის ძალით ჩვენამდე მოღწეულ აშკარად მცდარ შეხედულებებს უარყოფს, თავის მოსაზრებებს არგუმენტებით ამაგრებს და გვთავაზობს ახლებურ თვალთახედვას, რაც, შესაძლოა, სადავო და მიუღებელიც იყოს, მაგრამ ცნობილი სიუჟეტების, ამბებისა თუ მოვლენების განსხვავებული რაკურსით განსჯის ხელთუქმნელ ხიბლსაც იუნჯებდეს და ინარჩუნებდეს.

წინა თუ ჩვენი თაობის მკითხველი საზოგადოებრიობა იმდენადაა შეჩვეული და შეგუებული დაშტამპული აზროვნებით შექმნილ ცალკეულ ინტერპრეტაციებს, ფსევდომეცნიერულ ფორმულირებებს, პერსონაჟთა დახასიათების ტრაფარეტულ სქემებსა და მოდელებს, ხალხურ თუ ლიტერატურულ ნაწარმოებთა იდეური მხარის ტენდენციურ გააზრებებს და ფაქტობრივ მონაცემებზე „ზეწოლას", რომ, ეჭვიც არ მეპარება, მსგავსი მონოგრაფიის გაცნობა უსათუოდ გამოიწვევს მის გაღიზიანებას, გაფოთებას და უკმაყოფილებას კვლევის „ტრადიციული" მაგისტრალიდან თამამი გადახვევის გამო.

თუკი გვინდა, რომ ერთი ადგილი არ ვტკეპნოთ, წინ წავიდეთ და ეროვნული კულტურის ჯერაც უცნობი სიღრმეები გავხსნათ და გამოვამზეუროთ, მეტი გამბედაობა უნდა გამოვიჩინოთ. იმავდროულად, არ უნდა დავკარგოთ გრძნობა ობიექტურობისა, რომელიც, გვსურს თუ არა, ყოველგვარ პიროვნულ უთანხმოებასა თუ დაპირისპირებაზე მაღლა დგას და თავისი სუფთა სამრეკლოდან მეცნიერულ სინდისთან პირმართლად ყოფნას გვასწავლის, გვირჩევს და გვავალებს.

ქართული ზეპირსიტყვიერების ორი უმშვენიერესი ნიმუში – „მოყმე და ვეფხვი" და „შემომეყარა ყივჩაღი" – ის ჯუფთი სასინჯი ქვაა, ფიქრისა და განსჯის ის ორი მიმზიდველი, მოუწყინარი, უთვალსაჩინოესი ობიექტია, რომელთაც უნდა გამოეცადათ და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოსცადეს კიდეც მათზე ორიენ-

ტირებული და ყურადღებაშეჩერებული სწავლულნი მათს ცოდნაში, გამოცდილებაში და უპირველეს სულიერ ღირებულებათა საფუძვლიანი შესწავლისა და შეფასების შემძლეობაში.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტი და კანონზომიერებაა: კამათს იწვევს ის, რაც თავისი უჩვეულობით გამოირჩევა; რაც „ავტორიტეტებთან" დამოკიდებულებაში მონური მორჩილების ბორკილებს ლეწავს და უკუყრის; რაც, ხშირ შემთხვევაში, რადიკალური სიახლის მომტანი და მომასწავებელია; რაც, პერსპექტივის თვალსაზრისით და მომავლის გათვალისწინებით, ნამდვილად სარგო, სანდო და ფასეულია და, რასაც, სამწუხაროდ, ფსევდოღირებულებათა გარემოში ნაზარდი, ნაწრთობი და დაპროგრამებული მოხალისე „მეცნიერების" ტიპიური წარმომადგენელი, აშკარად თუ შეფარვით, დღენიადაგ ეურჩება, ებრძვის და ეწინააღმდეგება.

როსტომ ჩხეიძის, როგორც მოუღლელი მწერლის, მოღვაწისა და მკვლევარის, დიდ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ როცა საქმე ქართული ფოლკლორისტიკისა თუ ლიტერატურათმცოდნეობის საარსებო მნიშვნელობის კარდინალურ პრობლემებს ეხება და ნებით თუ უნებლიეთ ჩამომდგარ ბუნდოვანებაში შუქის შეტანაა საჭირო, იგი საკუთარ თვალსაზრისს, თუნდაც საეჭვოსა და „საჭოჭმანებს", ყოველთვის ღიად, მოიარებითი მინიშნებებისა და ქვეტექსტების გარეშე გამოხატავს.

ცილობას „მოყმისა და ვეფხვის" სტრუქტურის, მხატვრული სამყაროსა თუ ენობრივი ქსოვილის რიგი ნიუანსების გამო საკმაოდ ხანგრძლივი და, შეიძლება ითქვას, საინტერესო ისტორია აქვს.

თავი რომ დავანებოთ ბალადაში კუთხურ-კილოკავური ნიშნებისა თუ რეალიების ჩხრეკას, რაც, საბოლოოდ, ვიწროეთნოგრაფიულ ლოკალში მის გამომწყვდებას და, ამდენად, გაუაზრებელ დამცრობას უწყობს ხელს, დღემდე არ შეწყვეტილა პაექრობა იმის თაობაზე, არის თუ არა ამ ქმნილების ორგანული ნაწილი მისი გაგრძელება „იარებოდა დედაი".

ბალადის ძველი (ტრადიციული გაგებით!) ანუ პირველი ნაწილი იმზომ მთლიანი, მონოლითური, უხინჯო და კრისტალივით ჩამოქნილია, რომ „ხამი" და ყურმიუჩვევი მკითხველი მისთვის გვიანდელი დანამატის თანხლებას მართლაც ნონსენსად თუ თავისებურ დისონანსად აღიქვამს.

მოყმის დედის მოთქმისა და სიზმრის შემცველი პოეტუ-

რი ტექსტი დამოუკიდებელი ნაწარმოებია, რომლის ინდივიდუალურ ავტორად ზეპირი ტრადიცია რამდენიმე პიროვნებას, მათ შორის გიორგი ჯაბუშანურს და მიხა ხელაშვილს, ასახელებს. გარდა ამისა, აზრთა სხვაობა სუფევს იმის შესახებაც, სადაური იყო ვეფხვთან მორკინალი მოყმე, ჭიდალელი თუ ისტორიული ფხოვის რომელიმე სხვა სოფლელი... სანამ ეს საჯაყი ტენდენცია არ მოიშლება, ამრეკლავი კუთხური ინტერესებისა თუ შინნაზარდი პატრიოტიზმისა, გაჭირდება გონივრულობამდე მისვლა და სისწორის დადგენა...

მიუხედავად იმისა, რომ ბალადის დაუნაწევრებლობის მომხრეთა ბანაკში ისეთი ერუდიტი და ავტორიტეტი მოიაზრება, როგორიც ვახტანგ კოტეტიშვილი გახლავთ (დღეს მის ამგვარ პოზიციას ალექსი ჭინჭარაული ემხრობა და იცავს), როსტომ ჩხეიძე შეძლებისდაგვარად აჩვენებს და ასაბუთებს მოყმისა და ვეფხვის ორთაბრძოლის ამსახველი ლექსის თავისთავადობას, მის კომპოზიციურ მთლიანობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი „არ საჭიროებს გაგრძელება-გავრცობას".

ბალადის მეორე, ე.წ. ახალი ნაწილი, ზურაბ კიკნაძის თქმით, „შექმნილია იმ პირის მიერ, ვინც განდგა არსებული ტრადიციისგან და შესაძლოა ახალ ტრადიციას უყრის საფუძველს..."

„იარებოდა დედაი", ბალადის ერთ-ერთი ვრცელი და უაღრესად საგულისხმო ვარიანტის მთქმელ-მომწოდებლის, ჩხუბიონი დიდმინდიას (მინდია არაბულის) მრავალისმეტყველი განმარტებით, „ახალია, უბრალო", რაც მის არატრადიციულობას, შემოქმედებითი პროცესის ბუნებრიობიდან განდგომას, ფოლკლორული კანონზომიერების დარღვევას, ჩვეულებრიობიდან გადახრა-გადახვევას გულისხმობს.

ინფორმატორის მიერ უპრეტენზიო ინტონაციით ნახსენები „ახალი" და „უბრალო" იმ ტიპის კონცეპტუალური ცნებებია, რომელთაც გაცილებით მეტი აზრობრივი დატვირთვა ახლავთ მოცემულ კონტექსტში, ვიდრე ამას სიტყვის სემანტიკური სივრცე მოიცავს...

მართალია მონოგრაფიის ავტორი, როცა გმობს და უარყოფს ხალხური ლექსის „ჩამოქნა-ჩამოგვირისტების" არცთუ იშვიათ პრაქტიკას. ცის ნამივით ძალდაუტანებლად ნაშობი შედევრის „შევსება", შემოკლება თუ თვითნებური შესხვაფერება, გინდაც სულ რამდენიმე ლექსიკური ერთეულისა თუ ფრაზეოლოგიის დონეზე, მისი „ამომთქმელის" კომპეტენციაში უადგილო

ჩარევაა, რასაც, რაოდენ კეთილშობილური განზრახვითაც უნდა ხდებოდეს ეს, რგების ნაცვლად ვნება მოაქვს: კლებულობს ანდა სულაც იკარგება პირველქმნილი სინათლე, სინედლე და სისადავე; გარედან „მიკერებული" ყოველი დეტალი თუ ეპიზოდი ერთგვარ რუდიმენტად აჩნდება ნაწარმოების აღნაგობას, არქიტექტონიკას, აქვეითებს და გარკვეულ დაღს ასვამს მის მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას...

„მოყმისა და ვეფხვის" მითოსურ სამყაროზე საუბრისას როსტომ ჩხეიძე ახსენებს გიორგი (იურა) ჯაფარიძის შესანიშნავ გამოკვლევას, სადაც საკრალური სინამდვილის შიგნიდან მხედველი პიროვნების მიერ სანიმუშო სიცხადით არის გაანალიზებული ბალადის სიუჟეტში დადასტურებული რწმენა-წარმოდგენათა არქაული პლასტები, ტოტემიზმის კვალი, ადამიანთა აზროვნების შორეული საფეხურების ხელშესახები დანაშრევები. უძველეს შეხედულებათა ნამსხვრევებს, რ. ჩხეიძის სიტყვით, ბალადის ახალ ნაწილშიც უჩენია თავი. სახელდობრ, იგულისხმება საკულტო ცხოველის მოკვლა და ტრაგიკული შედეგი, რაც ამგვარ ქმედებას სდევს ხოლმე. ბალადის მოყმეს ბერხენი ჯიხვის მონადირებისთვის სჯის განგება. სამაგიეროს მიმგები ანუ შურისმაძიებელია ვეფხვი, რომელიც, ასევე, წმინდა ცხოველად ითვლებოდა და რომლის განგმირვისთვის მონადირეს უფლის წინაშე უნდა მოეხადა ბოდიში (ზეპირგადმოცემების თანახმად, ხევსურები მათ მიერ მოკლულ ვეფხვს ვაჟკაცის პერანგით შემოსავდნენ და ისე დამარხავდნენ, ხოლო სვანეთში რამდენი ზოლიც ჰქონდა ვეფხვის ტყავს, იმდენნაირად დაიტირებდნენ).

ადამიანისა და ცხოველის ჰარმონიული თანაცხოვრების მოსაკლისება, მონატრება და რეალური განცდა დასდებია საფუძვლად ვასილ ბარნოვის მოთხრობას „ქალი კახელი" და ბასილ მელიქიშვილის „ტარიგს". რ. ჩხეიძე ათვალსაჩინოებს ამ ორი მწერლის შემოქმედებით მიმართებას ძირძველ რიტუალთან და მიუთითებს, რომ მათ ხსენებულ ნაწარმოებებში სპონტანურად არის აღდგენილი მითოსური ხედვის პირვანდელი ძარღვი...

მონოგრაფიის, პირობითად რომ ვთქვათ, მეორე ნაწილში მოცემულია სერიოზული ცდა „შემომეყარა ყივჩაღი"-ს განსხვავებული ფინალური ეპიზოდების არაერთგვაროვან ინტერპრეტაცია-შეფასებათა კრიტიკული გადასინჯვისა, ამათგან,

დაუმსახურებლად შერისხული, დაწუნებული და ათვალწუნებული ვარიანტის – „ქალი წავიდა სხვისასა" – ფსიქოლოგიურ ასპექტში განხილვისა და, საბოლოოდ, მისი მართებულობის დასაბუთებისა.

ცოტა არ იყოს, უცნაურია ის, რომ ქართული სიტყვის ჭეშმარიტი ჭაშნაგირი გიორგი შატბერაშვილი არახალხურად თვლიდა ბალადის იმ დასასრულს, რომლის მიხედვით სასიკვდილოდ განწირული ქართველი მოყმის ცოლი „სხვისას" წავიდა; კიდევ უფრო მკაცრი იყო ამგვარი ფინალის მიმართ ნიკო კეცხოველი, როცა „უხამსს" უწოდებდა მას. ფოლკლორისტთა ერთი ნაწილიც (აპოლონ ცანავა, ლალი ბერძენიშვილი...) ამ შეფასებას იზიარებდა და ქართველი ქალისთვის უსაკადრეო საქციელად მიიჩნევდა საბედისწერო ორთაჭიდილის გამომწვევი ნაჭაპნიანი პერსონაჟის მოულოდნელ ნაბიჯს...

დაუნდობელი კრიტიკის სამიზნედ ქცეული დასასრული თავის დროზე დაიცვა გურამ ბარნოვმა. არსებითად, მისსავე თვალსაზრისს ავითარებს როსტომ ჩხეიძე. ზედმეტი ფილოსოფიური თუ მორალურ-ეთიკური წიაღსვლებისგან და ფსიქოლოგია-ემოციის ლაბირინთებში „ხეტიალისგან" განტვირთული და თავისუფალი მისი მსჯელობა მკაფიოდ დაგვანახებს ქალის „სხვისას" წასვლის შესაძლებლობას, ბუნებრიობას, ლოგიკურობას და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზეც, რაოდენი სიფრთხილე, ზომიერება, აწონ-დაწონილი მიდგომა და სისათუთის გამოჩენა გვმართებს, როცა ცხოვრებისეული სიბრძნის უეჭველი ნიშნით აღბეჭდილ ხალხის ნააზრევს ვეხებით და განვიხილავთ...

შეუძლებელია არ დაეთანხმო ავტორის შემდეგ სიტყვებს: „ქართული ბალადის ფინალსა და კერძო პერსონაჟის საქციელს ასერიგად არ უნდა განვაზოგადებდეთ და ეროვნული იდეალის რანგში არ უნდა აგვყავდეს".

„შემომეყარა ყივჩაღი" იმ მხრივაც არის სახლის მყარი საძირკველივით ძვირფასი ბალადა, რომ უშუალოდ მისი შთაგონებით და კეთილისმყოფელი გავლენით შეიქმნა გიორგი ლეონიძის შედევრი „ყივჩაღის პაემანი" და გრიგოლ რობაქიძის ცეცხლოვანი ექსპრესიით აღსავსე „ყივჩაღეთს ვიყავ", რომელიც, რ. ჩხეიძის გულსა და გონებაში პოზიტიური პასუხის პერსპექტივის მატარებელ ასეთ კითხვასაც აღძრავს: ხომ არ წარმოადგენს ეს ლექსი თავისებურ პოეტურ შურისძიებას

და ერთგვარ მისტერიას, რომელიც მოძალადე გადამთიელისთვის სამაგიეროს მიგებას და შელახული ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენას გულისხმობს?..

გ. ლეონიძე და გრ. რობაქიძე, ეს ორი მადლცხებული შემოქმედი, მათი მშობელი ერის უწმინდეს წიაღში შექმნილმა ბალადამ აღანთო, აღაფრთოვანა და, როგორც რ. ჩხეიძე ამბობს, ორივემ თავთავისი გზა გამოძებნა ფინალური ეპიზოდის ახალ რეალობაში გადასატანად... მიუხედავად იმისა, რომ ძირი და ღერძი საერთოა, სამივე პოეტური ნაწარმოები თვითკმარი ღირებულებისაა, თავისთავადი და განმსგავსებული კონცეფციების დამტევია.

ყივჩაღის ფოლკლორულ სახესთან დაკავშირებით ასოციაციურად აქვე გაკრთება ლანდი კარმენისა და სოლომონ მეფისა, რომლის უგონო და ზღვარდაუდებელი სიყვარულის ნახმევი – „ისევ ვენახში გელოდები, ჩემო სულამით" – საუკუნეთა უსასრულო სივრცეებში გატყორცნილა და მიმოფანტულა...

„მოყმე, ვეფხვი, ყივჩაღი" ხანგრძლივი ფიქრის შედეგად შექმნილი როსტომ ჩხეიძის მორიგი მონოგრაფიაა. თავის მოსაზრებათა სიმართლეში დარწმუნებულ ავტორს არც ამჯერად ღალატობს ჩვეული პირდაპირობა, ბელეტრისტული სილაღე, გამბედაობა და სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორულ-ლიტერატურულ ფაქტებს, მოვლენებსა თუ მოტივებს შორის დღემდე შეუმჩნეველი გენეტიკური კავშირების დანახვის, დადგენისა და მკითხველამდე მიტანის საშური უნარი...

ხალხური სიტყვიერება, მსგავსად ლექსში „რა ვქნისა ციხე ავაგე" ასახული ენიგმური სიტუაციისა, ბოლომდე ვერახსნილი საიდუმლოებებით გაჭედილი ის უცნაური ქვეყანაა, გნებავთ, სამყაროა, რომელიც კარს ყველას არ უღებს და თავის სიღრმეებში ახედებს მხოლოდ მას, ვინც წრფელი ზრახვით, გულით და დაუმცხრალი ცნობისწადილით მიუახლოვდება და მიეახლება მას...

ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე.

ცეროდენების გულთამხილავი

ბონდო მაცაბერიძის ზღაპრების გაცნობა მკითხველს ერთ მარტივ ჭეშმარიტებაში დაარწმუნებს: ღვთის ხატად შექმნილი ადამიანის სურვილს, საგნობრივმა სამყარომ თავისი პირვანდელი ხიბლი, სითბო და სილამაზე შეინარჩუნოს, საზღვარი არ აქვს და, გარკვეული აზრით, არც ალტერნატივა...

ხისტი სინამდვილის მარწუხებში მოქცეული კაცის ცნობიერი წადილი, უსუფთავესი სულის პატარებს სიკეთის ღვთაებრივი ძალა აგრძნობინოს და განაცდევინოს, იმზომ მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მის მიმართ განსაკუთრებული სიმპათიით, მადლიერებით, წრფელი პატივისცემით არ განიმსჭვალო.

მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ნეგატიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ჭრილში უწყინარ გულუბრყვილობად, ბავშვურ მიამიტობადაც კი შეიძლება აღიქმებოდეს „მეზღაპრეობა", მაგრამ წამით მაინც თუ გავიხსენებთ დოსტოევსკის ცნობილ ფრაზას „მშვენიერება იხსნის სამყაროს", ჩვენი მზერაც სხვა სიბრტყეზე გადაინაცვლებს და იმ ავტორის უხმაურო, უპრეტენზიო, შემოქმედებას გაგვახსენებს, ჭოჭრომელის, ფიფის და ფუნთოს, გვიმარისის, თათინას, ბებლოს, ქეთუთას და სხვათა უჩვეულო თავგადასავლების თხზვაში ღამენატეხი რომ ხვდება ალიონს...

მე თუ მკითხავთ, ზღაპრის წერა გაცილებით რთული, სარისკო და ნაკლებპერსპექტიული შემოქმედებითი აქტია, ვიდრე მინიატურის, ნოველის ანდა მოთხრობისა.

გარდა იმისა, რომ გამომგონებლობა, წარმოსახვის უნაპირობა და ფანტაზიის სიფართოვე გმართებს, ზღაპრისქმნადობის ძველთუძველეს, მრავალსაუკუნოვან ტრადიციასაც უნდა იცნობდე, უსწორებდე თვალს და უწევდე ანგარიშს.

ძნელია, არაერთი შესანიშნავი, მთის წყაროსავით გემოწმინდა ხალხური ზღაპრით სმენააცრილ ბავშვებს შენი სათქმელი და განწყობილება უწილადო, ემოცია გაუღვიძო, საფიქრალი გადასდო, თავი დაამახსოვრო...

მაშინ, როცა შუმი და ფსკერუჩინარი ქართული „ზღაპართსაცავი" ათეულობით უნაკლო, ყოველმხრივ სრულქმნილ, მო-

ნოლითურად შეკრულ, შინაარსობრივად აღმატებულსა და დაუვიწყარ ნიმუშს ითვლის, ქართველების ერთი ნაწილის ინტერესი, რატომღაც, უცხოურ ზღაპრებზეა ორიენტირებული.

კარგია მსოფლიოს ხალხთა საზღაპრო ეპოსის რჩეული ტექსტების თარგმნა, გადმოქართულება და ტირაჟირება, მაგრამ მშობლიური ენის სტიქიაგამოვლილ სათავგადასაველო სიუჟეტს რომ ვერაფერი შეედრება, ესეც ხომ უდავოა და ცხადზე უცხადესი...

არაა გამორიცხული, ზღაპრის ნაცადი სიუჟეტური ქარგისა თუ განსახოვნების აპრობირებული მხატვრული ხერხების მცნობთათვის, ცოტა არ იყოს, უცხო და უჩვეულოც აღმოჩნდეს ბონდო მაცაბერიძის წერის მანერა, სტილი და ხელწერა, მაგრამ თუ მოვიხსნით და გვერდზე გადავდებთ მკაცრი მენტორის მანერას და რიგითი, ჩვეულებრივი მკითხველის თვალით წავიკითხავთ მის ნაფიქრ-ნააზრევს, დამერწმუნეთ, ბევრს რასმე საგულისხმოს და საინტერესოს მივაკვლევთ და აღმოვაჩენთ მასში.

„მთის მწვერვალებიდან შემოდგომის ქარებს დამაყრებული ზამთარი" გაფოთებით რომ გამოიწევს ბარისაკენ, ჩემყუდრებულ ქართულ სოფლებში თეთრად ჩამოთოვლილი პაპა-ბებიების „გააქტიურების" ჟამი დადგება და წინა წელთან შედარებით საგრძნობლად, დანაკლულებული ზღაპრის თეთრ ლაქებს მათ მიერ ოსტატურად მოგვირისტებული ეპიზოდები ამოავსებს...

პერსონაჟთა სიმრავლით და ნაირსახოვნებით გამორჩეულ ბ. მაცაბერიძის ლიტერატურულ ზღაპრებში აშკარად იგრძნობა ანონიმ წინამორბედთა უმდიდრეს გამოცდილებასთან ის უმჭიდროესი სიახლოვე, რის გარეშე წამოწყებული საქმის წარმატება, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

თხემით ტერფამდე მართალი და ბუნებრივი, ბუტაფორიულობისაგან აბსოლიტურად თავისუფალი უნდა იყო, გულდადებული მოსმენისათვის რომ განაწყო შენი მსმენელი და მაყურებელი.

ნოველისა თუ იგავ-არაკის მასშტაბების ტექსტში გაშენებული ხე-მცენარეები (სოკო, მუხა, ბალახი, ბუერის ფოთოლი, სიმინდი, ია, ენძელა...) თუ სულირი არსებანი (პეპელა, მოლაღური, ბაჭია, ჭიამაია, კოდალა, დათვი, გოჭი, მელაკუდა, გველეშაპი...) ავტორის ნების მორჩილ დამყოლებად წარმოსდგე-

ბიან და ისე შინაურულად, ლაღად და თავისუფლად გრძნობენ თავს ფერადებით პირთამდე გალიცლიცებულ უჩვეულო გარემოში, როგორც ერთი ლამაზი ხეობის მდინარისპირა შემომტკაველულში მშვიდად მსხდომი უსაქმო მაცხოვრებლები...

ავტორთან გაიგივებული და გათანაბრებული, წვიმიანი აპრილით „დაავლებული" გულკეთილი გმირი სოფელ-სოფელ დადის ცარიელი გუდით; ხვდება ხანმოთეულ მოხუცებს, ეცნობა, ესაუბრება, უახლოვდება და მათგან გაგონილი ფანტასტიკური ამბები სამზეოზე, სააშკარაოზე გამოაქვს.

ესეც მოხდენილი ხერხია, მისტიფიკაციის მხატვრული ხერხი, როცა შემოქმედი განგებ იუჩინარებს თავს, „იგნორირებას" ახდენს პირადობისა და გამძლე ძაფზე მარჯვედ ასხმული კრიალოსანივით თვალ-გულის მიმზიდველი მოთხრობის მთხზველობას სხვა, ღრმა სიბერის სამანებს მიჯრილ, ცხოვრების მუქ-ნათელ ლაბირინთებში გამოვლილ ადამიანებს მიანერს...

ცრემლებით მიწაში ჩაღვრილი სამი დობილი სოკო, დღემუდამ სტუმარი რომ ენატრებათ, რაჭის ერთი მყუდრო სოფლის მკვიდრნი არიან; სულიერთა დარად წუხან და ხარობენ, ფიქრობენ და განიცდიან, იცქირებიან და მეტყველებენ. მათი არსებობა, სისავსე და სიჯანსაღე დამოკიდებულია მუხაზე, რომელიც, გამომდინარე კაცისძეთა პრაგმატული ინტერესებიდან, ზამთარში იჭრება, იმორება, სითბოდ იქცევა, ხოლო მის ძირზე, მის გადანაჭერზე, მზე საგაზაფხულოდ რომ წამოიმაღლებს, ათეულობით ახალი ყლორტი ჩნდება...

სიკვდილ-სიცოცხლის დიალექტიკა თავის უცვალებელ წესსა და კანონს ემორჩილება, ერთი კვდება და სხვა იბადება, უკვალოდ არაფერი ქრება, არაფერი იკარგება... ასეა ემპირიულ ყოფაში, ასევეა ზღაპრულ ეპოსში...

ზღაპარი ხომ ცხოვრების ანარეკლია, ამასთან, დესაკრალიზებული მითია, რომელიც ადამიანის პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენათა წიაღში იღებს სათავეს და დღევანდლამდე არსებობს, როგორც სამყაროს მოდიფიცირებული სურათი...

ამქვეყნად ყოფნით ხალისობენ ფუტკრები ფიფი და ფუნთო, ჭიანჭველა ჭოჭრომელი, პეპელა პეპლათარი და გვირილა გვიმარისი, ბაჭია თათინა და დედაკურდღელი (ბუხარს რომ მიაფიცხებს ხოლმე თავის ცრემლსა და დარდს), გულხატულა ჭიამაია, კოდალა კოკნარეკია და დათვი ბებლო, გოჭები ცი-

ფციბა და წიპციფა, დედაღორი ქეთუთა, სხიევები – ცისია და ნამისია...

თვითეული მათგანი ავტორის შემოქმედებითი ნარმოსახვის ნაყოფია. ორეულები, რასაკვირველია, მოეძევებათ, მაგრამ, რაც მთავარია, იუნჯებენ და ინარჩუნებენ იმ „სახასიათო“ შტრიხებს, ნიშნებსა და ნაჭდევებს, რაც მათ ხანიერობას და შესაბამისი ასაკის მკითხველ-მსმენელთა შორის ინტენსიური მიმოქცევის პერსპექტივას განაპირობებს.

თხრობა ხანდახან კლასიკური სიცხადის ხალხური ზღაპრის სტრუქტურულ კანონებს „ეურჩება“, არღვევს, არ ემორჩილება და ქმნის სახიერ სინამდვილეს, რომლის ინტერიერში არაორაზროვნდად ისმის თვით ავტორის შორს დარჩენილი სიყმანვილის უდარდელი დღეების განუმეორებელი სიმფონია („კაკალო“).

„შავტუხა“ ბიჭის საზაფხულო სოფლური თავგადასავალები და ბაბუა-ბებიის გარემოცვაში მოსმენილი კილოკავური მეტყველება („– თქვი, აწი, ღომანია, ბებია, რაი გააფუჭა ჩემმა ბაღანამ, კიდო თუთუნი მოპარა ლაფიერა ბრუციანს თუ ისევლე ბუნდღა დააპუტა დუსიელას ბატებს?..“) ის ნოყიერი ნიადაგი და საციცოცხლო ელექსირია, ბევრ ჩვენგანს რომ მიუღია, გამოუცდია და სწორ ორიენტირად გამოუყენებია ნაღმა-უკუღმა მბრუნავი ტიალი საწუთროს ვრცელ გზა-სავალზე...

ხალხურ ხმიერებასთან მიახლოება, უფრო ზუსტად და კონკრეტულად, ხალხურობა, არც მონდომებით და არც შრომა-მეცადინეობით არ მოიხელთება. ასეთად დაბადებული უნდა იყო. გენეტიკურად უნდა მოგდგამდეს ხალხური სიტყვისა თუ ინტონაციის შენეულობის, მშობლიურობის განცდა. უმისოდ უქმი და ამაო იქნება ყოველგვარი ცდა და წადილი დამაჯერებლობის, სისადავის, სპონტანური უშუალობის მიღწევისა...

ბონდო მაცაბერიძე ხალხური შელოცვების წაბაძვით ქმნის ტექსტს, რომელიც სავსებით ორგანულად, მყარად და ხალვათად ჯდება კონტექსტში და გვამახსოვრდება, როგორც ყალბი ჟღერადობისგან აბსოლიტურად თავისუფალი, იოლად აღსაქმელი და დასასწავლი პოეტური ნიმუში:

ესაო, მესაო, მშვიდი ძილი მზესაო,
ეშმაკუნა ჭი-ჭინკებო, გადიკარგეთ ბნელსაო,

ძილი უნდა ჩემს ბაღანას,
ნუ აშინებთ ბევრსაო...
ქვეყანა დიდია.
გზები – დაუსრულებელი და მრავალნაირი...

მათ მაღლიდან, „ცის აივნიდან", ცხრათვალა, ცეცხლოვანი მზე დაჰყურებს, ათბობს და ანათებს.

მზის სხივები, ბ. მაცაბერიძის ერთ-ერთ ზღაპრის მიხედვით, საღამოს დედის ირგვლივ მოიყრიან თავს, ჩამოსხდებიან და ყვებიან, ვინ სად იმოგზაურა და დღის განმავლობაში რა ნახა.

მეტამორფოზის სასწაულებრივი უნარით აღჭურვილი საგნების ჰუმანური, ქველმოქმედებითი ბუნება საზღაპრო ეპოსის ერთი უმნიშვნელოვანესი წახნაგთაგანია...

მთავარი გმირის დამხმარე ძალებს შორის ასპარეზზე ჩნდებიან დროებით მივიწყებული, მოფარებულში მიყრილი საოჯახო ნივთები თუ საგნები, რომელთა უმთავრეს ფუნქციას, სიუჟეტურ დატვირთვასა და სიტუაციურ დანიშნულებას ხიფათიანი თავგადასავლებისთვის გამეტებული პერსონაჟის შველა და შემწეობა შეადგენს.

ასეთი უკეთილშობილესი მისიით სულჩადგმული და ამეტყველებული საგანი გახლავთ სპილენძის თუნგი, ერთ მშვენიერ დღეს მტვრიანი სარდაფიდან გარეთ რომ გამოაღწევს, გამოყოჩაღდება და სოფელ-ქვეყნის მკვიდრთ, პაპანაქებით გულშეღონებულ სულიერთ, მხსნელად მოევლინება, „ცოტაოდენ წყალს თვალსაც დავალევინებ და მწყურვალსაცაო", – იტყვის და შეუდგება მერეხმონატრებულ, ხახაგამშრალ არსთა, ღვთის ნაქმნთა და ნაშიერთა, უშურველ დარწყულებას...

2006 წელს „ბაკმის" მიერ გამოცემულ სამწიგნეულში გაერთიანებულ ზღაპრებს ლაიტმოტივად გასდევს ბნელსა და ბოროტზე, ხთონურსა და მიწრიელზე სიკეთის, სინათლის, დიდსულოვნების გამარჯვების რწმენა.

ეს ძირეული ხაზი, ფუნდამენტური გეზი და საწყისი განსაზღვრავს ბონდო მაცაბერიძის იმ ნაწარმოებებსაც, მცირე ფორმატის ლამაზად გაფორმებულ კრებულებში რომ ვერ ჰპოვეს ადგილი.

ერთი ამგვარ ნაწარმოებთაგანია „ზღაპარი ბექნა ბიჭზე", გამოქვეყნებული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ორ ნომერში (21,28.04.2007 წ.)

წელიწადის დროთა ცვლას ცქნაფა ბექნა ბიჭის ტყე-ღრეში ხეტიალი დართვია. თავის ერთგულ ცხენთან ერთად დევის საძებრად აღმა-დაღმა მავალს ბევრი რამ გადახდენია თავს... სოფლად ყველას საკუთარი საქმე და საწუხარი გასჩენია. მენახირე, მთიბავი, მეთევზე თუ მეწისქვილე თავ-თავიანთ საზრუნავს მისცემიან და ჩაჰბეჯითებიან, ხოლო ბექნა კაცთა მოდგმის სამტროდ გაჩენილ ავყია მტაცებლის მიგნებისა და მონადირების ჟინს შეუპყრია... ბოლოს ყველაფერი იმით თავდება, რომ დევი თოფმომარჯვებულ ბექნას სახლში ეწვევა და გაზაფხულამდე თავისი შვილის – დევიკუნას – დატოვებას და სწორ გზაზე დაყენებას სთხოვს. სანაცვლოდ ჰპირდება, აპრილის დამლევს მთაში რომ ამომიყვან, „ისეთ არჩევებზე განადირო, რო..."

დევთან ადამიანის დაძმობილების ფოლკლორულ ვარიაციებს მიემატა კიდევ ერთი, რომელშიაც ნაცვალგების აუცილებლობაზე უარის თქმის, შერიგების და ურთიერთდანდობის ზოგადსაკაცობრიო მოტივი დომინირებს... ხოლო მკითხველში თავისთავად ღვივდება მოლოდინი ამ მოტივების შემდგომი გაშლა-განვრცობისა და გაღრმავებისა...

. . . . . .

ბონდო მაცაბერიძის ძილის წინ საკითხავი თუ მოსასმენი ზღაპრების ენა ზომიერად მხატვრული, მიმზიდველი, ძველქართული ლექსიკური ერთეულებითა და დიალექტური ფორმებით გაღონიერებული და, ამასთან, ოდნავ სტილიზებულია, სიტყვათქმნადობით და ნოვაციების ძიებით ნიშანდებული, რაც, ცოტა არ იყოს, ყურადღების დანაწევრებას იწვევს და ტექსტის სიუჟეტურ ხვეულებში წვდომას აფერხებს...

რაც მთავარია, ხელთ გვაქვს თანამედროვე ლიტერატურული ზღაპრის რამდენიმე საგულისხმო ნიმუში. მათი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა თუ მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება ეჭვს არ იწვევს...

კაცი, ვინც ჩვენს აჭრილ, კრიტერიუმებაღრეულ, უაღრესად პრაგმატულ დრო-ხანაში ყმაწვილების სულის სარჩო-საბადებლის გადარჩენასა და მატებაზე ფიქრობს და თავისი წონადი საგამომცემლო საქმიანობის ლომის წილსაც ამ უსათუოეს სფეროში დებს, გულითადი მადლობის ღირსია!

გაუგებარი გენის, ბუნდოვანი გვარ-ჩამომავლობის, გადაგვარებული გემოვნებისა და საეჭვო ადამიანური ღირსებების მქონე პირთა ამორფული კრებული თუ კონგლომერატი, ჭილყვავის გუნდივით რომ დასევია ყოველივე ქართულს, წმინდასა და ამაღლებულს, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ამის აღიარება, ამ წიგნში თავმოყრილსა და შედედებულ ტკივილს ვერაფერს გაუგებს, გულის შეხებით ვერ გასინჯავს და ვერ „დააგემოვნებს“.

მისთვის არსებითია მომენტალური მოგება, დღეისდღით სუნთქვა და არსებობა, ღირსეულ თანამემამულეთათვის ლაფის სროლა, საარსებო სივრცის მიზანმიმართული დახუთვა, თანდათანობითი დავიწროვება და, საბოლოოდ, მთლიანად წართმევა.

ეს წიგნი დაწერილია გონიერ გამგონთათვის, მათთვის, ვისაც, ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ სჯერა ქართული მოდგმის სიმტკიცისა, სიძლიერისა, გადაუშენებლობისა; ვისაც „ხელისგულებით ნალეს ქოხში“ (რევაზ ინანიშვილი) გათეული ერთი ქარნიავიანი ღამე უჯობს სრა-სასახლეების თვალისმომჭრელ ბრწყინვალებას, გარეგნულ მომხიბვლელობას, სნობურ გარემოში ტრიალს და მომხვეჭელობის ბაცილებთან ჩუმ-ჩუმ გარიგებებს; ვინც მიწიერ ცხოვრებას პირადი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების ფართო ასპარეზად კი არ სახავს, არამედ იმ ლოკალურ, დასაზღვრულ სამყაროდ, სადაც, წესით და რიგით, უსათუოდ უნდა იყოს გარჩევა ლიზღისა და სათნოებისა, ძმრისა და ღვინისა, მამაცისა და მხდალისა... ასეთები კი დღევანდელ საქართველოში, მიუხედავად ჩვენი მოჭარბებული ნიჰილიზმისა თუ პესიმისტური ხედვისა, საკმაოდ არიან და იმედსაც იძლევიან იმისა, რომ ეს ამღვრეული, აჭრილი და ამდგვლეული დრო-ხანა აუცილებლად დაიწმინდება და დალაგდება, თუკი თვალმოუხუჭავად დადგებიან განგებისაგან მიზომილ და მიკუთვნებულ თავთავიანთ ადგილებზე და იმუშაკებენ იმას, რაც უებარ მალამოდ წაადგება უმადურ შვილთა ბედოვლათობითა თუ რენეგატთა შეგნებული ქვებუ-

დანობით დაჭრილ-დასახიჩრებული ქვეყნის მტეხიარე სულსა და სხეულს...

დღეს მსგავსი წიგნების საჭიროება ისე იგრძნობა, როგორც პაპანაქება ზაფხულის ალმურწაკიდებულ ველ-მინდვრებზე მაცოცხლებელი და მადლის მომფენი წვიმის აუცილებლობა.

საუბარია ნათია ხორნაულის წერილების კრებულზე, რომლისთვისაც ფრიად მეტყველი და პოეტური სახელწოდება – „ქროლვანი უნაპირონი“ შეურჩევია ავტორს...

გაუკუღმართებულმა დრო-ჟამმა ღრმა და წარუხოცველი დაღი დაასვა და მწვავე ნოსტალგიის მოძალებით აღბეჭდა არისტოკრატიული სულის ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, მათი ყოველდღიურობა, ამქვეყნიური არსებობა...

როგორც მიუვალ მთებსა და კლდოვან ადგილებში შეკაფულ საიდუმლო სახიზარებს საკრალური დანიშნულების თას-განძი, ისე შემორჩა მათ ოჯახებს, ხსოვნას, საგვარეულო სკივრ-ზარდახშებსა თუ ფოტოალბომებს წარსულის უცხო, განუმეორებელი სურნელი, ის სადა, ხელთუქმნელი სიმდიდრე, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, კულტურულ ფასეულობას გულისხმობს, ვიდრე თავისი არსით წარმავალ მატერიალურ ღირებულებას.

თითზე ჩამოსათვლელი ამ ოჯახების ჭერქვეშ თვლემს და მდუმარებს ნამდვილი საქართველო, ამ ბოლო ათწლეულების შმაგ ქარტეხილებს სასწაულებრივად გადარჩენილი და თავდაღწეული ჩვენი სამშობლო, ის ზღაპრული ზინათი, რასაც, ჩვენგან განსხვავებით, სანთლით ეძებენ უცხოეთის ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ, დიდი მცდელობისდა მიუხედავად, მის ნამსხვრევებსაც ვეღარ აგნებენ, ვეღარ პოულობენ...

კითხვისას ისეთი აზრიც ბუნებრივად ჩნდება, რომ ნათია ხორნაულის „ქროლვანი უნაპირონი“ თავისებური შეხმიანება თუ გადაძახილია ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნისა „ჩემი წუთისოფელი“.

მათ შორის უდავოდ არის იდუმალი კავშირი. არც შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. ეპოქა და საზოგადოება, რომლებიც ამ ორ, ურთიერთგანსხვავებული ჟანრის, აღნაგო-

ბის, პროფესიული დონისა და, გნებავთ, მოცულობის წიგნშია „განთავსებული“, ბევრი რამითაა მსგავსი და ახლობლური... კოტეტიშვილების ფესვმაგარი საგვარეულო ხის ორი, ძველი და ახალი, „ტოტი“ გვიყვება იმას, რაც მათთვის სისხლხორცეულია, მათი არსებობისგან განუყოფელი და განუკვეთელია; რაც მათი სულიერი ცხოვრებისა თუ თვითმიერობის საყრდენსა და საფუძველს შეადგენს...

იშვიათია შთაგონების ისეთი გაუნელებელი ღადარი, „ჩემი წუთისოფლის“ ფურცლებზე რომ ღვივის. ამ წიგნის ყოველი ფრაზა მჭრელი ფრანგულის ფხასავით ელავს, ცოცხალი ნერვივით ფეთქავს და შიშველი ჭრილობისთვის ნიშნეულ ტკივილებს იტევს... ფილიგრანული სიზუსტით აღდგენილ, ფსიქოლოგიურად მოტივირებულ, სინამდვილეში კი ავტორის გამორჩეულ ნიჭიერებაზე მეტყველ დიალოგებსა თუ ეპიზოდებში საუცხოო სიცხადით იხატება ის ბედითი წლები, გამწარებული სიყმაწვილე, წარმოუდგენელი გაჭირვება, ბედისწერასავით გარდუვალი რეპრესიის სუსხი და აჩრდილი, შავი ღრუბელივით რომ დასდგომოდა თავზე კოტეტიშვილების გვარ-მოდენილობას...

და არც ის ყოფილა მოულოდნელი, ესოდენ დამაჯერებლად, მკაცრი რეალიზმის პრინციპთა ერთგულებით, მიუდგომლად და შეუფერადებლად რომ აღადგინა ლადო კოტეტიშვილის პირდაპირმა შთამომავალმა გარდასულ ჟამთა ძალუმი სუნთქვა და სახიერი სურათები.

ლადო კოტეტიშვილს, არაორდინარულ პიროვნებას, ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელს, დარჩა სოლიდური ლიტერატურული მემკვიდრეობა, მოთხრობები და ჩანახატები, რაც მის საოჯახო არქივში ინახება და დღემდე დათმენით ელოდება გამომზეურებას, დღის სინათლეზე გამოტანას.

ნათია ხორნაულის მიერ ჭაშნიკად მოტანილი ამონარიდები ლადო კოტეტიშვილის მხატვრული ნააზრევიდან თვალნათლივ მიუთითებს ავტორის ხალას ნიჭსა და უეჭველ ლიტერატურულ გემოვნებაზე. და კიდევ იმაზე, ორგანულად რომ განიცდიდა თბილისის იმჟამინდელ სახეს, ძველი უბნების ბედს, სიმახინ-

ჯის თუნდაც სულ მცირე გამოვლინებას, საერთოდ, იბერიის ყოფნა-არყოფნის უმწვავესსა და უპირველეს საკითხს.

ჭეშმარიტი ფერმწერის ხედვით არის სულჩადგმული და აჩქამებული ლადო კოტეტიშვილის პროზაულ ოპუსებში ძველი ტაძრის უნაპირო სიჩუმე და სუნი ნოტიო აკლდამისა, შუა ბაზრის ვიწრო ფოლორცი და ვაზის ტოტებივით დაგრეხილი ქუჩები, ყარაჩოღელის ვერცხლის ქამარივით მძიმე მტკვარი და ასი წლის მოხუცებულებივით ჩამომსხდარი აივნიანი სახლები, ნარიყალა და სიონი, „ორი ურყევი ბოძი, რომელთა შორის ქანაობს შნო და ადათი ძველი ტფილისის...“

პაპის შესახებ მოგვითხრობს შვილიშვილი, ვინც მშვენივრად იცის ფასი ღირსეული წინაპრებისა; წერს მომჭირნედ, შთამბეჭდავად და გამჭვირვალედ, არაფერს აზვიადებს, არაფერს ალამაზებს... და რა დასანანია, რომ 45 წლის ასაკში აღესრულა ლადო კოტეტიშვილი, კაცი, ვისაც წინ ედო და ელოდა დიდი სათეს-სამკალი, დიდი საქვეყნო საქმე და საზრუნავი...

წიგნის საერთო სივრცე და მასშტაბი, თემატური თვალსაზრისით, ერთგვარად მოლობილია, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მასში აღძრულსა და წინ წამოწეულ საფიქრალს წონა, ეროვნული რეზონანსი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აკლდეს.

ძნელია მღელვარე ემოციის, ღრმა სინანულისა და, ამასთან, კანონიერი სიამაყის გარეშე მიადევნო თვალი წიგნის იმ მონაკვეთს, სადაც სიტყვა და საუბარი ვახტანგ კოტეტიშვილს ეხება...

ქართული ფოლკლორისტიკის მესაძირკვლე, ხელოვანი, ლიტერატურათმცოდნე და ხელოვნების ისტორიკოსი არცთუ ისე ვრცელი მოცულობის ნარკვევში ძირეული სახასიათო შტრიხებით და განუმეორებელი პიროვნული თავისთავადობით არის წარმოდგენილი.

ნათია ხორნაულმა უცდომლად შეარჩია და მოხაზა მკვეთრი კონტურები იმ ცრემლიან-სიხარულიანი გარემოსი, რომელიც დეტალურად გამოკვეთა და დიდოსტატურად ასახა

დოკუმენტურ მასალებსა და პირად მოგონებებზე დამყარებულ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ვახუშტი კოტეტიშვილმა... და აქ, ამ არამდგრადი და დღითი-დღე ცვალებადი გარემოს შუაგულში მოჩანს სილუეტი ვახტანგ კოტეტიშვილისა, კეთილაღნაგი ვაჟკაცისა და იშვიათი ინტელექტუალისა, ვინც თავისი ცეცხლოვანი ტემპერამენტითა და ღრმააზროვნებით პირველი შეხვედრისთანავე ხიბლავდა და იმხრობდა სულიერ ფასეულობებზე ორიენტირებულ, ადამიანთა ყოფიერების ფუნდამენტურ კითხვებზე პასუხის ძიების სურვილით შეპყრობილ მსმენელებს...

კითხულობ, ყოვნდები, ფიქრობ და გენატრება მათი ცხოვრების წესი, ოჯახური ყოფის პირწმინდად ქართული ყაიდა, თავგანწირვამდე მისული ერთგულება და ფანატიკური სიყვარული საკუთარი საქმისა თუ პროფესიისა და კიდევ ის თბილი, მართალი და გულითადი ურთიერთობები, რაც მაშინდელ თბილისში სუფევდა...

კოტე მაყაშვილი – კიდევ ერთი საიმედო საყრდენი, მარილი და მშვენება ცოტათი უფრო მალინდელი ქართველი ინტელიგენციისა; პოეტი და ამაგდარი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე ათი წლის განმავლობაში, მუდმივად სიკეთის მთესველი, „ქართული ლიტერატურის სინდისი" და დაუღალავი მსახური ეროვნული ინტერესებისა...

როცა უშუალო მემკვიდრეთა თუ მეგობარ-ახლობელთა მეხსიერებაში მათ შესახებ შემონახულ ცხოვრებისეულ ამბებსა და შემთხვევებს ეცნობი, თავს იჩენს თვალშისაცემი კონტრასტი დღევანდელობასთან, უფრო სწორად, კონტრასტი ზოგიერთი დღევანდელი პრივილეგირებული საზოგადო მოღვაწისა თუ შემოქმედის სულისკვეთებასთან: მათთვის პრინციპულად მიუღებელი გახლდათ მკვეთრი პრაგმატიზმი, არაეთიკური გზით და საშუალებით ნივთიერი ქონების მოხვეჭის ჟინი და შინაგანი მოთხოვნილება... „მე სიღარიბეს ისე შევეჩვიე, – სწერდა კოტე მაყაშვილი თავის სიდედრს ეკატერინე გაბაშვილს, – ეხლა რომ გავმდიდრდე, ვგონებ, ვინაღ-

ვლი კიდეც"... ამ ფრაგმენტში ნათლად იკითხება უპრეტენზიო ბუნება ცხრა და-ძმიდან ყველაზე უმცროსისა, ვისთვისაც ზედმეტი ამსოფლიური სიამე და პატივი ნამდვილად ვერ იქნებოდა ბიძგი თუ სტიმული მამულის საკეთილდღეო საქმეთა კეთებისა... სამაგიეროდ, სამანდაუდებელი იყო მათში განცდა სიყვარულისა, სულის ნაწილად ნაგულვები მეორე ადამიანის მიმართ ბედნიერების ციური სხივით სავსე დამოკიდებულებისა. კოტე მაყაშვილის პირად წერილში მისი მომავალი მეუღლის თამარ გაბაშვილის შესახებ ვკითხულობთ: „მე სიკვდილის შვილთა რიცხვში უბედნიერესი ვარ, რადგან ვუყვარვარ იმას, ვინც მე თავდავიწყებით მიყვარს..."

აღმასვლას და სულის ზეობას რჩეულ პიროვნებათა ცხოვრებაში, წუთისოფლის უნდობარი ლოგიკის კარნახით, ხშირად სდევს ხოლმე მოულოდნელი გრადაციები, რასაც მომთმენნი და დიდბუნებოვანნი სრული გაგებით, მედგრად და მზაობით ხვდებიან, ხოლო შედარებით მყიფე და მერყევი სულიერი წყობის მოკვდავთ უჭირთ გამკლავება თავსდატეხილ განსაცდელთან...

მაყაშვილების, კოტეტიშვილების, დადიანებისა თუ „სამიზნედ" შერჩეული სხვა გვარების ცალკეული წარმომადგენლების თავსმოწეული უბედურების გადატანას და შეუბღალავი სულის, სახისა და რწმენის შენარჩუნებას ყველა მართლაც ვერ შეძლებდა.

არც კოტე მაყაშვილს დაჰკლებია საწუთროსეული სენი და სიმწარე. საამისოდ, 1921 წლის თებერვალში კოჯორთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაკარგული მისი 19 წლის ქალიშვილის მარო მაყაშვილის გახსენებაც იკმარებდა. და მიუხედავად ამ უმძიმესი პირადი ტრაგედიისა, კოტე მაყაშვილს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია სამშობლოს უმჯობესი მომავლისთვის ღვწის წადილი...

სულიერი სიმხნევის განმასახიერებელ უახლოესი წარსულის ქველ ქართველ მანდილოსანთაგან, ვინც თავისი სუსტი მხრებით უდრტვინველად ზიდა შთამომავალთათვის გადასაცემი უძვირფასესი ტვირთი და არ სჩვეოდა ჩივილი თავისი

უბედობისა თუ „იწროისა" გზისა გამო, ერთობ საჩინო მისია დააკისრა დამბადებელმა ბაბო დადიან-მასხარაშვილს.

სწორედ ამ მშვენიერი ქალბატონის წყალობით გადაურჩა განადგურებასა და წყედიადში გაუჩინარებას 1300-მდე უნიკალური ფოტოსურათი, რომლებზედაც არაერთი შესანიშნავი მამულიშვილისა თუ რიგითი მოქალაქის ცხოვრების წარუვალი ნამი და ბიოგრაფიული ნაკვთია აღბეჭდილი.

წინაპრები, მეგობრები, ნათესავები...

თავადაზნაურობა — „ერის შნო და ლაზათი" — რომელიც რუსეთის იმპერიის ველიკოდერჟავული პოლიტიკის მხრიდან გამუდმებულ დევნას, შევიწროვებასა და ზეწოლას განიცდიდა... მასიური გადასახლებები ყაზახეთში და სხვაგან... არაადამიანური შრომა ბამბის პლანტაციებში, საცხოვრებელი მიწურების გაუსაძლისი პირობები...

ქ-ნი ბაბო, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის შთამომავალი, ნებაყოფლობით გაჰყვა მეუღლეს გადასახლებაში, თან წაიღო ბარგში დამალული ფოტოსურათების უმდიდრესი კოლექცია და ჯოჯოხეთგამოვლილმა წლების მერე უკან ჩამოიტანა საგულდაგულოდ ნაფერები და ნალოლიავები ეს საგანძური...

მასთან შეხვედრის დაუვიწყარ წუთებს, თავშეკავებული მღელვარებით რომ გადმოგვცემს ნათია ხორნაული, ალბათ ზნეობრივი ორიენტირებით ესოდენ მდიდარი წარსულის თანამედროვეობის სამსახურში მოაზრების ფარული იმპულსიც მსჭვალავდა, იმპულსი, ურომლისოდაც უწვიმისწვეთო უდაბნოს დაემსგავსებოდა ჩვენი ისედაც ნაცრისფერი და უსახური დღევანდელობა...

ქართული ვოკალური ხელოვნების ბერმუხასთან, ბ-ნ ნოდარ ანდღულაძესთან გამრავალგზისებულმა სტუმრობამ და რეტროსპექტივის ჭრილში მისი საუბრების სმენამ მანამდე დახშული ანდა ზედაპირულად ნაცნობი სამყაროს კარი გააღო ჩემთვის. ბევრ რამეს და, მათ შორის, მომავალი პროფესიის არჩევის რთულ საკითხს ხელერთიანად იდეოლოგიზირებული ცხოვრების პირობებში სხვა თვალით შევხედე და ცხად-

ლივ გავაცნობიერე საბჭოური წეს-წყობილების მავნებლობა ადამიანის სულის ფორმირებისა თუ მის ნებელობით თავისუფლებასთან მიმართების საქმეში... დავინახე ისიც, რომ მთის ფენომენის საღი გააზრება და მართებული ახსნა ერთიანი ქართული ცნობიერების კონტექსტში არც ისე მარტივი და იოლი ყოფილა, როგორც ეს დილეტანტის თვალსანიერიდან შეიძლება ჩანდეს...

და ეს ყოველივე კიდევ ერთხელ განმიახლდა, გამახსენდა და მემცნაურა, როცა ნათია ხორნაულის წიგნში მაესტროსთან მისი ინტერვიუ წავიკითხე.

ნოდარ ანდღულაძე წიგნის ავტორის მამის, ცნობილი მწერლისა და მეცნიერის, გიგი ხორნაულის მეგობარია და მათი მრავალწლიანი სულიერი სიახლოვის ნათელი კვალი და ინტიმი მკაფიოდ გამოსჭვივის არაერთი ყურადსაღები თვალსაზრისის მომცველ ამ წრფელსა და მწყობრ ინტერვიუში...

ნათია ხორნაულის ოჯახურ ისტორიებს (ეს წიგნის ქვესათაურია, რაც ზუსტად მიანიშნებს მის სპეციფიკას) წამძღვარებული აქვს რედაქტორების – თამარ ერისთავისა და ვახუშტი კოტეტიშვილის – წინათქმები, სადაც მადლიერებაა გამოხატული იმის გამო, რომ ახალგაზრდა ფილოლოგმა თავისი ცხოვრების ნაწილად აქცია ერის სასიქადულო შვილთა, პიტალო პატიოსნებისა და შეუბღალავი ზნეობის მქონე პიროვნებათა ბიოგრაფიულ პერიპეტიებში „ხეტიალი", მივიწყებული ამბების შეკრება, სიმართლის რკვევა და, საბოლოო ჯამში, „ქართული კეთილშობილური სულის ერთი დიდი და მთლიანი მოზაიკის" აღდგენა.

ჩვენც ამგვარი განწყობილებით ვხურავთ წიგნს და ვიმედოვნებთ, რომ გარემოებათა გამო დროებით უცხოეთში მყოფი და ნიადაგ აქაურობის მონატრული ავტორი მალე ჩამობრუნდება და ჩვეული სიბეჯითით გააგრძელებს ლამაზად დაწყებულ, მრავალმხრივ საჭირო და სასარგებლო საქმეს.

2003 წ.

რეპორტაჟი

ქვებზე ნაწერი პწკარები ანუ გზად არაგვისა და არღუნის ხეობებში

დათვისჯვრის უღელტეხილზე, ზედ გზის პირას, სიპით მშრალად ნაგები პატარა კოშკი დგას. კოშკის თავზე დაყუდებულ ქვას ჯვარი ახატია. მინიატურული სამლოცველოს შინამო სანთლის ალს გაუმურავს... ისრის კილოსავით მრგვლად ჩაჭრილ საქარნიავე ადგილს ახლა, სექტემბრის დამლევს, ღვთიური სიმშვიდე აფენია. მგზავრისთვის შვების მომტანია გინდაც ცოტა ხნით აქ შეჩერება და სთვლისპირის შეჭრელებული მთებისთვის თვალის მოვლება: თუკი ერთხელ ნახე და დაიმახსოვრე, აღარასდროს დაგავიწყდება ბუდე ხევსურეთის სანახევროდ მჩინარი, რბილად მობურუსებული სანახები, როშკით და უკარება ჭიუხების რკინისფერი მასივით რომ ბოლოვდება და ვერც შატილისკენ დაშვებული ჯერაც ხავერდოვანი ხეობის ენით გამოუთქმელ სილამაზეს ამოშლი გონსაწიერიდან...

* * *

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლებს და „რუსთავი 2"-ის გადამღებ ჯგუფს შატილში მივყვები.

სულ ცოტა ხნის წინათ გიორგი უშიკიშვილის მიერ დაარსებული „ფოლკრადიოსთვის" მუსიკალურ-ზეპირსიტყვიერი ჩანაწერების ჩამოტანა გვაქვს განზრახული. ვინაიდან დარიც შესაშური დაგვებედა, იმედიანი გუნება-განწყობით მივეშურებით დღევანდლამდე იდუმალების გაუცრეცელი დამღით „დანაღმულ" საოცნებო მხარეში...

შეუყვები თუ არა ლურჯად მოლივლივე ნაკლული არაგვის ტყიან ხეობას, უმალ იმგვარი განცდა გიპყრობს, თითქოს ხისტი და დამთრგუნველი სინამდვილის სამანებს მიღმა გახვედი, გააღწიე და მხრებიდან ჩამოიხსენი სადაგ მუდამდღიურობასთან მრავალმხრივი დამოკიდებულების მძიმე, მწვალებელი, ხოლო ხანდახან მართლაც მტანჯველი და აუტანელი ტვირთი...

ძილ-ღვიძილის გასაყართან გარინდებული მთების შემხედვარეს ვაჟა-ფშაველას პოემა „სისხლის ძიების“ დასაწყისი შეგახსენებს თავს: „ცაზე ჰყვავიან ღრუბელნი, მზის სხივებს ჰსვამენ დილითა, მთებს აუხსნიათ პირბადე შვილებით, შვილი-შვილითა; გულგრილად იცქირებიან გაუმაძღარნი ძილითა, ქათიბს უღეჭავს ნიავი ბროლ-მინანქარის კბილითა...“

მაღაროსკარში გვეგულება ნიჭიერი მელექსე და წყნარი, ყოვლად უწყინარი პიროვნება, ფოლკლორული საღამოების მრავალგზის მონაწილე გიორგი სესიაშვილი, მეტსახელად „ყარყატი“, მაგრამ წინ გრძელი სავალი მიგველის, „გადაველა გვგულავ მთისაო“ და, დრო რომ არ დავკარგოთ, მასთან შეხვედრას აქეთობისთვის ვდებთ. სესიაშვილის გარდა, რა თქმა უნდა, სხვებიც უნდა მოვიკითხოთ და ვინახულოთ, მოვძებნოთ ისინი, ვისაც სასენო თუ სატრფიალო ლექსის ლიღარი ძილისშორისშიც არ ტოვებს.

კუჭეჭაში მიმავალი შუახნის ქალი გვეუბნება, რომ ფშაველების ნანილი ჯერაც არ ჩამოსულა სამთო ქოხ-საბინავრებიდან. ზაფხულს თავ-თავიანთი ცხვარ-ძროხით იალაღებზე ატარებენ და ვიდრე გვარიანად არ გაჭირხლავს, სოფლებში არ ბრუნდებიან. ამიტომაც სჯობს მათთან გასაუბრება ნოემბრის შუა რიცხვებიდან: მოცალეობა მეტია, ანწლისა და პანტის არაყები – გამოხდილი, საუსხე – დაკლული და ჩამარილებული... ასე რომ, თუნდაც მივიდეთ, შესაძლოა მაღაროსკარელ მელექსეთა ფალავანი შინ არც დაგვიხვდეს.

* * *

უკანასკნელი წლების სოციალ-პოლიტიკურ ძვრებსა და კატაკლიზმებს არც არაგველთათვის ჩაუვლია უკვალოდ, უდანაკარგოდ და უმტკივნეულოდ. საგანგებო დაკვირვება და კვლევა სულაც არაა აუცილებელი იმისათვის, რათა მიხვდე, რაოდენ მკვეთრად და უცაბედად იცვალა ნირი და ხასიათი აქაურების ყოფა-ცხოვრებამ. ქვეყნისთვის ნიშანდობლივმა საერთო მატერიალურმა სივიწროვემ ფხოველთა კარებზეც მიაკაკუნა და მძევლად მათი მოთმინება, გაძლება და უმჯობესი მერმისის გაბმული, დაუსრულებელი მოლოდინი მოითხოვა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერს აქვს საზღვარი და, თუ

არ დამდგარა, ალბათ მალე დადგება ის დღე, როცა არხოტის, შუაფხოს, როშკის, ხოშარის, არდოტისა თუ გომეწრის ბოლო ბინადარიც აიკრავს გუდა-ნაბადს, დაემშვიდობება მლოცველის სიმცირით ისედაც ატკრეცილ ჯვარ-ჯვარისკარს, მამა-პაპის საფლავებს, „მწვეტად" დამდგარ კლდეებს და „სამშობლო დედის ძუძუს" „სხვა ქვეყნის სამოთხეზე" გაცვლის...

* * *

გუდანის დაბლა გამავალი გზიდან საგულდაგულოდ ეძებ ადგილს მოპირდაპირე მთის შამბნარიან ფერდზე, სადაც ამ სამი ათეული წლის წინათ სოფელ ძეძეურთას, უფრო სწორად, სოფლის ერთადერთ ბანიან სახლს, დალანდავდა კაცის თვალი, მაგრამ ნიშან-წყალიც აღარაა დარჩენილი ოდესღაც იქ ადამიანის არსებობისა... დღემდე შემომრჩა ზამთრისა და ზაფხულის ფოლკლორული ექსპედიციების დროს ძეძეურთაში გადაღებული რამდენიმე შავ-თეთრი ფოტოსურათი საუკუნეს მიტანებული სამუკა ჭინჭარაულისა, როგორც ვიზუალური მოწმობა ქვეყნიერებისგან მოშორებულ სოფელ-ნასოფლარში უკანასკნელი მამრის კენტად ყოფნისა...

დამზაფრველია, როცა კაცი, მსგავსად ბალახისა, ბერდება, კვდება და სამუდამოდ იკარგება; როცა მის ნასახლარში რჩება ქარების სისინში გათქვეფილი შიშნარევი სიჩუმე, სიცარიელე და მისი ამოვსება, ახმიანება აღარვის ძალუძს.

* * *

გავცდით ხახმატს, ბაბუა ალუდაურის და სხვაც ბევრი კაი ვაჟის გამზრდელ სოფელს...

ველკეთილის ფერდობზე ცხვრის ფარა ბალახობს.

მეცხვარე, როგორც მოსალოდნელი იყო, არა ადგილობრივი, არამედ ბარელი აღმოჩნდა.

არ ჩანან არც საბედისწეროდ შეცოტავებული მთიელები და აღარც მათი თუნდ მცირერიცხოვანი სამწყსო!

იჯარით აღებულ, ანდა, უმეტეს შემთხვევაში, უსაზღაურო იალაღებს ხევსურულ სადიაცოზე დაკერებული ხორხოშელა მძივივით ამშვენებს წალიკ-წალიკ მიბნეული თეთრი ქარავანი. მაგრამ რა! ამ დაულაგებელ დროსა თუ „გარდამა-

ვალ პერიოდში" არც აქაურ მამულ-წყალს დაპატრონებულთა საიჯარო გადასახადებს მოაქვს რაიმე სიკეთე და სარგებელი უშუალოდ მათთვის, ვისი წინაპარნიც საუკუნეთა სისხლიან საბრუნებში საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ და ინარჩუნებდნენ სავარგულებს – ღალიან საძოვარ-გასადევარსა თუ ნოყიერ სახნავ-სათიბებს...

... და გიყვებიან მარცხ-ფათერაკიანი შემთხვევების ამსახველ ამბებს გზისპირებზე აღმართული მემორიალური დაფები და მარტივად მოწყობილი, მიცვალებულთა სახელზე ნაკურთხი ე.წ. სულის წყაროები; გამცნობენ და გიყვებიან იმათ თავგადასავლებს, ვისაც არცთუ ისე შორეულ წარსულში ამავე გზებით უვლიათ და, მსგავსად მრავალთა, არც არაფერი მათ წაუღიათ ტიალი წუთისოფლიდან.

ერთი ასეთი წყარო ველკეთილის შუაწელში აუგიათ და მოუპირკეთებიათ ჭირისუფლებს. წყაროს ფასადზე ჩასმულ ბრტყელ, მონითალო ქვაში ამოკვეთილია სამზეოდან ნაადრევად წასულთა გვარ-სახელები:

მამუკა ჩოდრიშვილი
გიორგი ალუდაური
ბენიკუა ალუდაური
ბენიკა გოგოჭური
ხამურზა ჭინჭარაული
მზექალა ლიქოკელი
მანანა ჭინჭარაული

გუროს გამოღმა მდებარე შლადი მთის სიპნარიან ფერდობზე გაჭრილ ურთულეს სამანქანო გზასაც ამკობს და ააზრიანებს სულის წყარო, რომელიც პიტალო კლდის ბუნებრივი ნახვრეტიდან გადმოჩქეფს და აქ მოხვედრილ უცხოსა თუ შინაურს წყურვილს უკლავს... ეს წყაროც სახელობითია (ეკუთვნის 19 წლის ასაკში გარდაცვლილ გურამ გაბრიელის ძე ჭინჭარაულს) და ძნელად „მოსათვინიერებ" მასალაში ამოტვიფრული ლაკონიური წარწერა კიდევ ერთ სამწუხარო ამბავს გვაუწყებს: „ტურფა ბუნება მიყვარდა, წყარო კლდით მომჩქეფარეო, ტკბილი სიცოცხლე წამერთვა, ჩემ და-ძმებს გავეყარეო, გაიხსენიე გურამის სიკვდილის წუთი მწარეო".

ვინც მთას, ავად თუ კარგად, იცნობს, მისთვის ჩეთსა თუ

ფოლადივით ბასრ ქვებზე წარწერილი ლექსები მოულოდნელი არ აღმოჩნდება: აქ ხომ „პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე, პოეზია თავისი „ულოგიკო" ვნებებითა და გამოხატვის შეუდარებელი დრამატული სიმშვენიერით" (გურამ რჩეულიშვილი)...

ისე, კაცმა რომ თქვას, და თანაც მოინდომოს, ორიგინალური კრებულის შედგენაც კია შესაძლებელი იმ თითო თუ ორსამ სტროფიანი ლექსებისა, შატილისა და მიღმახევის გზა-ბილიკების გასწვრივ რომ წააწყდება და ამოიკითხავს ადამიანი ქარ-ნვიმებისაგან ნაწილობრივ წაშლილ, გადარეცხილ, ცრეც ქვის დაფა-ფურცლებზე.

* * *

მეწველი ცხვრის ნაწიდარი – ეს უკვე ზეკარის გადაღმა, წუბროვანის მხარეს, კლდოვანი მთაგრეხილების რკალში, ლაღად გაშლილ, დაცერებულ დაბლობზე, გვერდზე კამკამა ნაკადული რომ ჩამოუდის და ქოხის მორთულობას, შორიდანაც კი, აშკარად ატყვია მოიჯარე თუში მეცხვარეების იოლად გამოსარჩევი ორიგინალური „ხელწერა".

ფერდობს ფერადი სამკაულივით ასხმული ცხენ-კვიცების რემა და აქვე, ორიოდ ნაბიჯში, ავად აღრენილი ყელფერღენა ქოფაკები...

აგერ, ლებაისკარის ბოსელათ ციხეც, მკვრივი და კოხტად დაკვალთული, ხეობის უხნიერესი სარანგი, წითელ-ყვითლად აფორეჯებული უბზარო კედლებით და ფიქალქვით ოსტატურად შეისრული წყლისფერი სახურავით.

გზის იმავე მონაკვეთში, ხელმარცხნივ, ციცაბო მთის ყუჩ უბეში, საქორწილო კარაჩხასავით ბრდღვიალებს ცირცლის ეული ხე, თავისი მწკლარტე, მენამული მტევნებით...

„კისტან მავიდა ლაშქარი ლეკისა ახვაისაო, აბულეთაურთ ციხესა კარ არ შაგვიხსნან ხისაო..."

ლექსი ხევსურეთისთვის იმ უკეთესი ჟამის ანარეკლია, როცა ა, იმ მოტიტვლებულ ზეგანზე მთის ვეშაგებივით ჩარიგებული ტანსწორი ციხე-სიმაგრეები მცველთა სიმცირეს არ უჩიოდნენ და „სალაშქრო ჭალას" შეგროვილ მოყმეთა ქერით ნაკვები ხვადების ორთქლი რკინას ადნობდა.

„ლექსში აღწერილი ბრძოლის დროს, – განმარტავს ჩამწერი ალ. ოჩიაური, – მოუკლავთ ლეკის ბელადიც, რომელიც ძალზე ლამაზი ყოფილა. თავიანთი მკვდრების წასაღებად მოსულ ლეკებს ბელადის დედაც მოჰყოლია. როდესაც ხმლით მოკლული შვილი უნახავს, უთქვამს: „ახია ჩემი შვილისათვის სიკვდილი, რაკი სხვა კაცი მოერიაო. ამას რძით მოზელილი წმინდის პურის მეტი არაფერი უჭამია და თუ სხვამ აჯობა, სატირლად არც ღირსო".

დიახ, მტრიანობის პირობებში „ზნენი სამამაცონი" იყო განმსაზღვრელი და მთავარი ორიენტირი ქალთა ქცევისა არამარტო საქართველოს მთიანეთში, არამედ მის მიჯნებს მიღმაც...

* * *

ნაწვეთანი...

იქ, სადაც თვალმღვრიე არღუნი და ლიპ ლოდებზე დამსხვრეული გუროს გადარეული წყალი ერთურთს ერთვიან, მისაეს ხელმარჯვნივ ბებერი ხავსით დაფარული შავ-ლეგა კლდეა ნამოეხებული, საიდანაც ცერის სიმსხო უწმინდესი წვეთების გრილი ფარდა ეშვება დაბლა და ირიბად დაცემულ მზის სხივთა ისრებში ხოხბის ბოლოსფრად ირკალებიან პატარ-პატარა ცისარტყელები.

სანახავად ხომ უცხო და საამოა, ზაფხულში, როცა თონესავით გავარვარებულ მთათა ქვაბულებშიც კი ჭირს სულის მოქცევა, ყინულოვანი წყლის ქვეშ შედგომას ვერაფერი შეედრება!

მაგონდება მიხა არაბულის ნათქვამი (ვიდრე საღ-სალამათი იყო და ლოგინს მიეჯაჭვებოდა): შატილში მიე-მაეს არ მქონია შემთხვევა, ნაწვეთანთან არ შევჩერებულიყავი და კლდიდან დაშვებული ნაკადი არ გამეჩქვიფაო...

სიმბოლური განსაწმენდელის გავლით შატილში მისული მგზავრისთვის ერთიორად მიმზიდველი და მომნუსხველი უნდა ყოფილიყო ყველაფერი და, პირველ რიგში, რასაკვირველია, უანგისფერი ქავ-ციხეების შეუდარებელი სიმფონია...

შემოდგომაა. ცოტა არ იყოს, ცივა. მზის ღადარი მინავლულა და ისე ვაგრძელებთ გზას, რომ ნაწვეთნის მომსულფონებელ მადლთან ზიარების ბედნიერება აღარ გვეძლევა.

* * *

ნოდარ ჯალაბაურის საგვარეულო კოშკში უღრუბლო ღამის მშვიდად გათენებამ წინა დღის დაღლა სრულიად გადაგვავიწყა...

თუ გინდა, რომ სინამდვილის უნებლიე შეცვლისა და შელამაზების აბეზარი სურვილის დაუძლეველმა სენმა არ დაგრიოს ხელი და ყალბი ხმოვანებისგანაც მაქსიმალურად დაიზღვიო თავი, ფიქრადაც არ უნდა გაივლო გონებაში შატილის ასახვა, დახატვა თუ დახასიათება. სჯობს დადუმდე, დამუნჯდე, ხმა-კრინტი არ დასძრა და მშვიდად, ნაშალი ყორეებისთვის ხელისგულის შეხების უკიდურესი უშუალობით აღიქვა და გაიცნობიერო კაცისა და ბუნების ეს საზიარო სასწაული...

შატილის გამოჩენამდე ქაჩუს ციხე-სიმაგრის მდებარეობით და სამშენებლო სითამამით მოგიწევს აღტაცება. ესაა შატილიონ ჭინჭარაულთა თავდაპირველი თავშესაფარი, რომელსაც ანატორელთა მრავალდღიანი ალყისთვის გაუძლია და უწყლოდ დარჩენილ მოსახლეობას პირის გასალბობად წვეთ-წვეთობით უგროვებია არღუნში გასაჟღენთად ჩაშვებული თხორების (ნართის გორგალი – ა.ა.) ნაწური...

– თქვენ საითაღ მახვედით! – ღიმილით გვიახლოვდება ლეკოთ მიხა, ალექსი ჭინჭარაულის უმცროსი ძმა. – მუხლი აღარ მომდევს, დაღმართზე ჩასვლა მიჭირს, ჩემ ქვითკირამდე ვეღარ ჩამიღწევია, გარეთ უჯოხოდ ვეღარ გამოვდივარო, – შემოგვჩივის და გამოცდილი მეგზურის სიდინჯით გვესაუბრება სოფელ-სიმაგრის საანდრეზო წარსულზე...

ვთხოვეთ და ფანდური მოატანინა, ძმის და პირადი ტრაგედიების გამო თვეობით დაჩუმებული, ახლად მტვერგადაწმენდილი ხალხური საკრავი („გარმავიტანენ ფანდურნი, გამახვენილნი ხისანი, ლექსებ ვიამბათ, ფანდურო, წარსულის დროებისანი...").

– ამოდენა გზა გამოგივლიათ და ჩაწერაზე უარი როგორ გითხრათო!..

არც გვიკვირს: შატილიონებს ხომ ბევრჯერ შეუშინებიათ და დაუმარცხებიათ მუდამ პარვით და მალულად მავალი „არმოცინარი" სიკვდილი თავიანთი მხნე, ომახიანი სიმღერებით... მაგრამ ვაი, რომ დღეს თითო-ოროლა სიმღერის მთქმელთა-

თვის მობანეთა მონახვაც გაძნელებულა მანგიათ, თიაყათ, გოგოთურათ თუ ბადურიკათ მამიშვილობებში!..

ქვითკირებს შორის ჩამავალი, „ინგურად“ სახელდებული ზღავიანი გზაშარის შუაგული თანდათან ივსება შატილიონებით და მიღმახეველებით. მოდიან კობა და მიხეილ ჭინჭარაულები (მიხეილი, ცნობილი დასტაქრის, ტრეპანაციების დიდოსტატის ბაძია ჭინჭარაულის მემკვიდრე, აქაურთა საიმედო ექიმია, ბევრი სნეული, დაჭრილი თუ ტრავმირებული მოურჩენია და, გამომდინარე პროფესიიდან, თიკუნიც შესაფერისი მიუკუთვნებიათ – „დოხტური“); გვემატებიან ზვიადაურები, დაიაურები, შეთეკაურები... ზოგს ფანდური და „ბალალაიკა“ ეხერხება, ზოგს კიდევ – ლექსი და კაფია... ჩვენთვის, ამჯერად, „ფოლკრადიოს“ მსახურებისა და გულშემატკივრებისთვის, მათი თვითეული ბგერა, სიტყვა და სიმღერა დიდად მნიშვნელოვანია. არჩილ („ჩიბო“) ბურჭულაძე ჩვეული პროფესიონალიზმით აგვარებს ჩაწერის ტექნიკურ მხარეს; ტელეჟურნალისტი ნატა ამაღლობელი და ოპერატორი ნიკა ლებანიძე (ეს ის ნიკაა, ქორწილი მყინვარის მისადგომებთან, წელამდე თოვლში რომ გადაიხადა) საუკეთესო რაკურსს ეძებენ, არჩევენ, აგნებენ და სიუჟეტისთვის საჭირო კადრებს იღებენ; კითხვების დასმა და საუბრის ნაძღოლა ეთერ თათარაიძეს უტვირთია; პროდიუსერის ფუნქციას წარმატებით ართმევს თავს ეკა საყვარელიძე; ფოტოფიქსაციის შემთავსებლის როლში მშვენივრად გამოიყურება ანანო არაბული; წინგარდაზე დაყუნცულ, ჩვენკენ უნდოდ პირნაქნარ მყეფრებს ეფერება და იშინაურებს (ესეც ხომ საქმეა, თანაც სარისკო!) თემო ყანჩაველი... და ყოველივე ამით – შატილში სტუმრობით და სამუშაო სიტუაციით – კმაყოფილი ჩანს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი...

ოთხსართულიანი ქვითკირის თაღოვანი კარის თავკიდურად პიქტოგრამებიანი ქვა ზის – სახიერი ნიშანი და თვალხილული მოწმობა უძველესი დაშიფრული დამწერლობის არსებობისა ხევსურეთის საკრალურ სინამდვილეში (ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის არქაული კულტურების მკვლევარნი ფაქტობრივი მასალის მოხმობით მიუთითებენ ხევსურეთის სოფლებში –ხახმატი, ბისო, კისტანი, შატილი – დადასტუ-

რებული სკრიპტული ნიშნების მსგავსებაზე ფრიგიული და ეტრუსკული დამწერლობის სათანადო ნიშნებთან)...

უცებ მახსენდება და გული მწყდება, რომ ძია მიხასთვის ტარიელ ხარხელაურის ლექსის ნამოღება დამვიწყებია, ლექსისა, რომელიც მას ეძღვნება და ცრემლად დაღვრილი ცის ტკივილიანი სიცხადით მოაქვს ჩვენამდე ავტორის გამწარებული გულის წვა და დუღილი. ლექსი ვრცელია და იწყება ასე: „მიწია, ჭინჭარაულო, ყვითლად დაწვერვამ მზისამა, ჩემს ცაზე ამობრწყინებამ არყოფნის ყვავილისამა, ქარქაშში ჩაბრუნებამა სისხლმოწყურებულ ხმლისამა, ჯავრის ხვრამ ლაგამივითა ჩემის, შენის და სხვისამა, ყორნისფრად ჩადედებამა ძარღვებში ცრემლებისამა, სულ უგზო-უკვლოდ წანწალმა, სულ დევნამ ქარებისამა..."

– შენც დაბერებულხარ, ტარიელო! – უთქვამს „მზიურში" ხევსურების შეკრებაზე მიხა ჭინჭარაულს იქ მყოფი ტარიელისთვის და ეს სამი სიტყვა ქცეულა იმპულსად შესანიშნავი ლექსის შექმნისა...

* * *

სჩვევია ისტორიას პარადოქსები, ალოგიკური სვლები და შეუსაბამობანი.

მუზეუმად გადაკეთებულ ქვითკირის კედელზე მიმაგრებულია ქართულ და რუსულ წარწერებიანი სწორკუთხა ქვა. საქმე ეხება 1843 წლის ივნისში შამილის სანაქებო ნაიბის ახვერდი მაჰმადის ხუთიათასიან ლაშქარზე სამოცამდე შატილიონის საარაკო გამარჯვებას. მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს მადლობის გამომხატველი ეს ჯილდო თუ სახსოვარი გაუგზავნია გაუტეხელი ხევსურებისთვის. ქვაზე ვკითხულობთ: „უმაღლესისა ბრძანებისამებრ, ჯილდოდ შატილელთად, დამარცხებისათვის ახვერდი მაჰმადისა და მისთა შეყრილთა ჯართასა ჩყმგ წელსა შინა..."

არაპროგნოზირებადი იმპერიისგან მოულოდნელი არაფერია: მას შეუძლია წარსულს ხაზი გადაუსვას, ჭურვები ჩამოყაროს უბრალო, უდანაშაულო, ერთ დროს ერთგული მოკავშირის ტერიტორიაზე და საზღვარიც თავხედური თვითნებობით გადმოსწიოს ჯარეგოს მხრიდან ფიჭვნის მიდამოებში...

* * *

ამასობაში დღეც დაიღალა, დაღამდა და ყველამ, სტუმარმა თუ მასპინძელმა, შატილის „პოლიგონზე" (სადაც შვეულმფრენი ჯდება ხოლმე), სკოლის შენობასთან გადავინაცვლეთ.

შეგროვილია მშრალი შეშა და კოცონის დასანთები ადგილის ირგვლივ ძელსკამები აწყვია...

ლეკოთ მიხას ფანდურის ხმა და ტაოსდამყრელი, ნატირალთა ტონალობაში აჟღერებული ხევსურული სიმღერა ისე უხდება და ეხამება ვარსკვლავიანი ღამის იდუმალებას, როგორც ხანგრძლივი ნოსტალგიით დაწყლულებულ გულს – სამშობლოს ხილვა... ხოლო „წინწყარო", შესრულებული გიორგი უშიკიშვილის მიერ, იმდენად ლირიკული და ტკბილხმოვანია, არა მარტო ჩვენ, ღია ცის ქვეშ შეკრებილი უჩვეულო დარბაზი, ღობისძირში განაბული ლეგა ნაგაზიც უსულოსავით გასუსულა და გაშეშებულა...

კოცონის ალი წყვდიადის კალთას ეწვდება და წვავს.

ზვიადა ჭინჭარაულიც აქაა, შატილიონი მელექსე, ტოლს რომ არ უდებს მეტოქეებს და საპასუხო გალექსებაში მოწინააღმდეგის ისეთ სახასიათო შტრიხებს წარმოაჩენს ხოლმე, უცხო მსმენელსაც წამში გადაედება ღიმილიანი განწყობილება... ა.წ. 19 აპრილით დათარიღებულ მესაზღვრე ზური ზვიადაურთან პოეტური პაექრობის ფრაგმენტშიც კარგად ჩანს „ჯოჯენის" (ზვიადას მეტსახელი – ა.ა.) ნიჭი და მახვილგონიერება: „უყურეთ მიღმახეველსა, ჩემ გალექსებას ბედავსა, ის კი არ იცის მაგანა, საქმე ვისთან აქვ ბეჩავსა, მარტო წინ სავალს უყურებს, უკან არ გაიხედავსა, ტყუილად ხედავს აღმისკე ფანგის გორსა და კლდეთთავსა... მე არვის არას დავუთმობ, გულ არვინ გამიხეთქასა, ეგრე დავხფანტავ სათქმელსა, როგორც ღრუბელი სეტყვასა..."

* * *

ბაკმმოვლებული მთვარის შეუმღვრეველ შუქში გამტკნარებულა შატილი.

საღირათ ხვთისოს დაჩუმებული სახლის დაზეპილ ბანზე მშიერი ნადირივით დაძრწის და დასუნსულებს მდინარე შატილურას სათავეებიდან ჩამოსული ნიავი. ეს ზემოუბნის მო-

ნაპირე სახლია და ყველაზე მეტ სუსხთან თუ ქარაშოტებთან ჭიდილიც მას უწევს ზამთრობით...

კიბემიდგმულ ყორესთან ვჩერდები, ვაყურადებ და მეჩვენება, რომ სადღაც აქვე, სულ ახლოს, დაიარებიან და სუნთქავენ გურამ რჩეულიშვილისა და ნაირა გელაშვილის ბრწყინვალე ნაწარმოებთა (ასეა, არ ვამეტებ!) – „ბათარეკა ჭინჭარაული", „ამბრნი, უმბრნი და არაბნი" – ტრაგიკული, ბედისგან უღვთოდ გარიყული და გამეტებული, უმონყალოდ განწირული პერსონაჟები: „ხასიათჩაბურძგნული" ბათარეკას თავმოყვარე, უნაკლო სხეულის მქონე, ცამეტი წლის არისტოკრატი ასული მზია და მერცია, თითქმის უცნობი ბიოგრაფიის მომხიბვლელი ქალაქელი ქალი...

ჯიშიანი ჯალაბაურების ჩარდახიანი ქვითკირის კარი ღიაა.

სოფლის დაბლა უხმოდ მიდის და მილივლივებს მრავალი დარ-ავდრიანი დროების მომსწრე არღუნი...

* * *

ნახარელა ღვთისმშობლის ჯვართ გორზე შატილის საგოდებელია – ჩაშავებული სიპით გაწყობილი მდუმარე კოშკების სევდიანი „სოფელი".

ნაცნობი სახელები. ქვის ჩარჩოებში ჩასმული ფოტოსურათებიდან მოჩერებული სახეები: ხორიელი, მზექალი, ბესო, სანათა, ხამურზა და სხვანი მრავალნი...

ნავიდნენ მოხუცები.

მიჰყვნენ ახალგაზრდები...

მავთულბადით მოღობილი ქვადქცეული მარადისობა ძველ შატილსა და მის ახალ დასახლებას შორის მდებარეობს და, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, „ჟამის ბარდაბარ" დროით განზომილებებს ერთმანეთთან აკავშირებს...

თუ მოახერხებ და ანატორის აკლდამებსაც (მათი აშენება, გადმოცემების თანახმად, თამარ დედოფალს მიეწერება) დაავლებ თვალს, აკლდამებს, რომელთა ქვის სარეცლებსა და ქაზდარზე ისევ ყრია შავი ჭირით ნახოცთა ძვალ-მალი და ტალავრის ნაფლეთები, დარწმუნდები, რომ აქამდე ამბად გაგონილი სინამდვილე ყოფილა და ფანტაზიისმიერის ხვედრითი წილი ამ უცნაური სამყაროს თავგადასავალში ერთობ მცირეა.

უამიანობის მძვინვარე წლების უტყვი მოწმეა ნასოფლარი ანატორი, სადაც დღეს ჩვენი მესაზღვრეები დგანან და მათგან სულ რაღაც ნახევარი კილომეტრის დაშორებით რუსეთის დროშა ფრიალებს...

ყურს უგდებ მყიფე, მოჩვენებით სიმშვიდეს და მთელი არსებით გრძნობ, როგორ გმინავს და ბუბუნებს შენს ფეხქვეშ უხორცოსავით უშიშარი კაი ყმების მკლავის ძალით დღემდე შენარჩუნებული მშობლიური მიწა...

მიწისზედა აკლდამები ინახავენ ანატორის ჯვარისგან (მთავარანგელოზის სახელობის „რჯულიან-ურჯულოთ" სალოცავი) დამიზეზებულ ანატორელთა დედაბუდიანად ამონყვეტის უპრეცედენტო ისტორიას, რომელიც დიდი ხანია ელოდება თავის საფერ მესიტყვეს...

მიღმახევისკენ საავდრო ღრუბელი ირევა, ამინდს ცვალებადობის პირი უჩანს და შემოდგომის დამოკლებული დღე (მალე ჩამოთეთრდებიან თხორუს თავი და ნაბაკურაის ჩრდილი, ბახალახკე და არიშკის წვერი...) მეტის მოსწრების საშუალებას აღარ იძლევა – შატილსა და ანატორზე არანაკლებ საკვირველი მუცოს ნახვის რეალური შესაძლებლობა ხელიდან გვისხლტება.

* * *

მზეწვერების ხანს ხახმატში ვართ.

ვერცხლის თასით მორთმეულ თაფლს ვაგემოვნებთ და ბაბალე ალუდაურის რეპერტუარს ვიწერთ. მთაში დღეს ძნელადღა თუ შეხვდებით ხალხური ლექსებისა თუ ლეგენდა-გადმოცემების ისეთ მცოდნეს, მჭევრსა და უნაკლოდ მეტყველს, როგორიც ბაბალეა (დედაც უებრო მთხრობელი ჰყავდა. 1981 წლის ივლისში იურა ჯაფარიძესთან ერთად შევხვდი ბუბიკას და აქამდე არ გამნელებია მისი ნაამბობი ბენიკუაზე, ალაქოს ხევში ქისტს მოპარული ხარები რომ დააყრევინა და უმეშვლო ორთაბრძოლაში ღირსეული გამარჯვება დაისაკუთრა)...

იხსენებს და გარმონზე ასრულებს მელოდიას, რომელიც ყმაწვილქალობაში თანასოფლელი დიაცებისგან უსწავლია. მსახიობური ნიჭიც დაჰყოლია: ეპიზოდურ როლს თამაშობს გოდერძი ჩოხელის ფილმში „ადამიანთა სევდა"... დანანებით

იგონებს გოდერძის – ძმადნაფიც მწერალსა და რეჟისორს; მოკითხვას გვაბარებს ჩაღი გოგის როლის შემსრულებელ გურამ ფირცხალავასთან...

ბაბალეს სახლის ჩასწვრივ მხარმორღვეული წისქვილი დგას – ხმაჩაწყვეტილი და სამუდამოდ გაუქმებული.

ხახმატის ძველ უბანში ანიელ ალუდაურის ნასახლარს ვეძებ. ამაოდ: ჩაქცეული მიწურების სამან-მიჯნები ჟამთადენას წაუშლია. ძველებურ ხმაზე მხოლოდ ვეძა – მინერალური წყალი – ბუტბუტებს, ისევ წინანდელივით მშხეფარე და გემრიელი.

დაღმართით ბისოსკენ ვეშვებით.

მერე – კორშა, ბარისახო, მაღაროსკარი...

ამ სოფლებშიც მთქმელები მიგველიან.

„მთებს შუა სიკვდილი იწვა...“

„მე მოვდივარ თბილისიდან, მოვედი
ხევსურეთში. რა მინდა?
**გურამ რჩეულიშვილის უსათაურო,
დაუმთავრებელი მოთხრობიდან.**

გამთენიისას, ქარნიავნიანი ღამის სულთახდის ჟამს, არხოტის ხეობა მესიზმრა: გაჭირხლული მთებით, ცრიატი ცირცლოვანით, შიშველ ქედებზე გადამდინარი ლემადით, კამკამა ბინულებით, რძისდარი ნაკადულებით და დაჯანღული საჯიხვეებით...

ახლაგაღვიძებულს, ძილისშორისის ზღაპრული სამყაროდან ცივსა და მიუსაფარ სიცარიელეში დაბრუნებულს, მოურეველმა სურვილმა მომაკითხა: წარმოსახვაში კვლავ იქ, პირველშობილი სისუფთავით განათლულ იმ საცალფეხო ბილიკებზე დავბრუნებულიყავი, ბარე ორგზის რომ გამივლია და გამომივლია – ერთხელ ქვეითად, მეუღლესთან და თანასოფლელებთან ერთად და ერთხელაც ცხენით: იქეთობას ან გარდაცვლილი ჩემი მოხევე ნათლიმამის „მგელ“ გოგიას თანხლებით, ხოლო აქეთობას მარტოს, ამღიონებთან ნაღრეობალს, ღამეგანატეხს და ჩხუტისპირული წვიმით გვარიანად გალუმპულს...

ბევრი სვილისფერი მოყმის, ცით მონილული ვარსკვლავის ჯუფთი თავმოყვარე ასულის ნაკვალევსა თუ მუხლმაგარი, ჩაუქი მხედრის ცხენის ნატერფალს ინახავს ნიადაგ ნისლიანი საარხვატო მთა /„გაჩნია, არხოტის მთაო, ლურჯაის ნატოტარები...“/. ოღონდ ეგაა, ახლა, ამ ჟამკარარეულ დროში, მთელი ზაფხულის განმავლობაში, თითო-ოროლა მგზავრიღა თუ დაადგამს ფეხს ნიაღერებისგან ჩარეცხილ, სანახევროდ ნაშლილ-ნაღებულ, არხოტის უზომოდ დამღლელ და მაინც რაღაცნაირად მიმზიდველ, იდუმალების მქრქალი ბურუსით მოცულ გზაწვრილებს...

აქ, ამ „შტერად მდგარი“ მთების გარემოცვაში ოთხი ათეული წლის წინ მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა ჩვეული ფსიქოლოგიური სიღრმით, დოკუმენტური დამაჯერებლობით, პლასტიკური ხატებით და მხატვრული სიმართლით რომ ასახა გურამ რჩეულიშვილმა, რაღაც განუმეორებელი, განსაკუთრებული სიმძაფრით იჭრება და იბეჭდება მკითხველის

სულში. „სიკვდილი მთებში" იმ რიგის პროზაული ქმნილებაა, თვალის ზერელე გადავლების და გულსგარეთ გადაკითხვის „კანონებს" რომ არ ემორჩილება. ყოველი სიტყვა, ფრაზა თუ დიალოგი /გ. რჩეულიშვილი ხომ დიალოგის დიდოსტატიცაა/ ყოფნა-არყოფნის იმგვარ „წყევლა-კრულვიან" საკითხებს ნამოშლის და წამოატივტივებს, ერთნიშნა და, მით უფრო, ამომწურავი პასუხი რომ არ მოეძებნება.

ჩვენგან უსაშველოდ ადრე წასული უნიჭიერესი მწერლის ეს მართლაცდა მრავალმხრივ ღირებული და საგულისხმო ნაწარმოები ჯეროვნადაა განხილული და გაანალიზებული მის მეგობარ-ახლობელთა და კრიტიკოს-ლიტერატორთა წიგნებსა თუ წერილებში. ამიტომაც მოთხრობის სიუჟეტურ პერიპეტიებზე აღარ შევჩერდები...

კარგა ხანს მაწვალებდა და ვერ კი გადამეწყვიტა, რითი და რანაირად დამეწყო. ისევ სიზმარმა მაპოვნინა გზა, მიბიძგა და ნამაქეზა, ორიოდე სიტყვა მეთქვა. უფრო ზუსტად, მოთხრობის რამდენიმე მთავარი თუ ეპიზოდური პერსონაჟის თვალით შემეხედა გურამ რჩეულიშვილის არაორდინარული პიროვნებისთვის და მის კალმის მონასმში მოქცეული ტკივილიანი ამბის ცალკეული დეტალებისთვის.

„სიკვდილი მთებში" გარკვეული აზრით, დოკუმენტური პროზის უთვალსაჩინოესი ნიმუშია. ფანტაზიისათვის თუ მხატვრული გამონაგონისათვის თხზულებაში ადგილი აღარ რჩება. სათქმელი გადმოცემულია სინამდვილის ადეკვატურად, გაუზვიადებლად, დატრიალებული ტრაგედიის ყოველი ნაკვთის ლამის ნატურალისტური სიზუსტის დაცვით. მწერალი ხელშესახები სიცხადით ყვება იმას, რაც უშუალოდ ნახა, შეიგრძნო, განიცადა, გაიაზრა და გაითავისა. „სიკვდილი მთებში" შესაძლოა არც დაწერილიყო /და ამ ხარვეზს ქართულ ლიტერატურაში ვეღარაფერი შეავსებდა!/, ავტორი რომ იმ დღეს, განგების ნებით თუ კაცთათვის შეუცნობელ ცხოვრებისეულ კანონზომიერებათა კარნახით, არხოტში არ ყოფილიყო და არ აღმოჩენილიყო იმ დრამატული ამბის შუაგულში, რელიგიური ექსტაზის ფარდი ადამიანური განცდით რომ მიიტანა თავის მრავალათასიან მკითხველამდე. არადა, ხომ შეიძლებოდა, მიწური სახლის გრილი ბანის კიდეში ვაჟა გიგაშვილთან ერთად მჯდომს, ლუდით სიმთვრალეს ჟიპიტაურით რომ „ირჩენდა", კიდეგანასკენ ანდა თათხელისკენ ექნა პირი, დროებით გარი-

დებოდა თანამეინახეებს, სოფელს და დაულეველი საფიქრალის ტევრში განაპირებულს თვალთახედვიდან გაჰპარვოდა ახიელის ვიწრო ორღობეში უცნობი ცხენოსნის მოულოდნელი გამოჩენა.

„მერე ორღობეში ვიღაც მხედარი გავარჩიე. უჯრედა პერანგი ეცვა. ცხენი ღობეს მოეფარა და მხედრისა მხოლოდ სახელა ჩანდა..."

გურამი მალე გაიგებს აღელვებული მხედრის ვინაობას და კუთვნილ ადგილსაც მიუჩენს თავის დინჯ და, ამასთან, ნერვიული მუხტით ზომიერად გაჯერებულ მონათხრობში.

„ – მეც გადამიღე მაგათთან! – გაიცინა ქალმა და ბიჭებს ხელი გადახვია: – არა, გიგლა! – უთხრა გამყოლს. გიგლამ გაიცინა და აპარატს შეხედა..."

„ალბათ ჩქარა მოვლენ სოფლიდან, გიგლა უკვე ოცი წუთია წავიდა..."

„გიგლა გიჟდება ქვევით, ჩემ ბრალად ვთვლიო, აბობს, – თქვა ხევსურმა..."

„გიგლას უთხარით, რომ მისი ბრალი არაფერია, რომ მე, პირიქით, მისი მადლობელი ვარ, მოხდა შემთხვევა, სამწუხაროდ, ვერაფერს იზამ..."

გიგლა არაბული /აკიათ გიგლა/, საქართველოზე და ქართველ ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებულ გერმანელ სტუმრებს რომ მეგზურობდა თბილისიდან არხოტამდე და გურამ რჩეულიშვილის შესანიშნავი მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟად წარმოსდგა ჩვენს წინაშე, ორმოცი წლის შემდეგ გაიხსენებს: „1957 წლის ივლისი იღეოდა. მაშინ მე ცხრამეტი წლის ვიყავი. საამშენებლო ფაკულტეტის პირველ კურსს ვამთავრებდი. გეოდეზიაში გვქონდა პრაქტიკები. დღევანდელ „დელისთან", მშენებლობის სამინისტროს შენობის მიდამოებში... მოვიდა მუხრან მაჭავარიანი. დამიძახეს. წამიყვანეს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, ირაკლი აბაშიძესთან. მან მითხრა, რომ მეორე დღისთვის გერმანელ სტუმრებს ელოდებოდნენ, რომელთაც ხევსურეთის ნახვა განეზრახათ და არხოტამდე მე უნდა გავყოლოდი, ხოლო არხოტში წინა დღეებში იქ გადასული გურამ რჩეულიშვილი შემცვლიდა...

თბილისიდან „ზიმით" გავემგზავრეთ.

ავედით ჯუთაში.

მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო. გვიმასპინძლა დაბალ გაგუამ. ის მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა.

ალფრედ კურელამ სურათები გადაუღო დედაჩემს, მაღალ ბეწინას, პაპაშენს.

დედაჩემმა საუბრის დროს ხელისგულზე ნიკაპის დაყრდნობა იცოდა. ის მომენტი დაიჭირა...

ჯუთიდან გასვლა შეგვაგვიანდა.

ელპიდეს სიკვდილის წინა ღამე ცირცლოვან გავათიეთ კარვებში. ერთ კარავში მე და შტეფანს გვეძინა, მეორეში – ალფრედს და ელპიდეს.

როგორც შვილს, ისე მეპყრობოდა ელპიდე...

ორი ცხენი გვყავდა: ერთი შავი, ხოლო მეორე – წითელი, „ალის" ვეძახდით, მაღალი იყო, შუბლთეთრი...

მე ვურჩიე, რომ დაღმართზე ფეხით ჩავსულიყავით, რადგან ცხენებზე ჯდომა დამრეც, ოღროჩოღრო ბილიკზე სახიფათო იყო.

არაო! – ელპიდემ, – რაა საშიში, ინგლისში მხედრობის გარდა რა მიკეთებიაო!..

ჭიმღის კლდეების დაბლა ვეშვებოდით...

ალის ფეხქვეშ ბექობი ჩაექცა. ჩაიკეცა... ზედ ელპიდე იჯდა. ეცვა სქელძირიანი მძიმე „ბატინკები", წითელი შარვალი და ჩალისფერი „კომბინიზონი"... ცხენმა უკან მოიხედა. წითელი ფერის დანახვამ დააფეთა. ნამოვარდა... ელპიდემ მარჯვენა ფეხის უზანგიდან განთავისუფლება მოახერხა, მარცხენა უზანგშივე დარჩა... გადაენთო ღორღიან ფერდობზე. ქალს ქვებზე მიათრევდა და მიახეთქებდა. ჯერ ტან-ფეხს ჭიმავდა და ფართხალებდა, მერე ერთიანად მოეშვა და მოიმჭვარა ქალის სხეული... ყველაფერი წამებში ხდებოდა. უკან გავედევნე. გაოგნებული მამა-შვილი ერთ ადგილზე გახევდა... ცხენს წინა ფეხები ქვა-ღორღში ჩაეჭედა და გაჩერდა. მივედი ახლოს. უზანგს დაკიდებული ელპიდე ბეჭებით ლოდს იყო მისვენებული. მარჯვენა ფეხი მაღლა აწეული დარჩენოდა. სახე – სისხლით მოსვრილი, თვალები – ღია... თავზე წავავლე ხელი. თითები ჭრილობაში წავიდა. გამაჟრიალა... მოვარდნენ ალფრედი და შტეფანი. ალფრედს ფოტოაპარატი მოემარჯვე-

ბინა. ლოდზე მისვენებულს გადაუღო სურათი. უზანგში ჩარჩენილი ფეხი გავუნთავისუფლეთ და იქვე დავასვენეთ...

ახიელაში გზირიშვილის ექსპედიცია გვეგულებოდა.

ალის მოვევლე და თაქვეზე მივუშვი... ოჩიაურების კარზე მივაგდე ცხენი. პირველი გურამ რჩეულიშვილი შემომეგება. აქოშინებულმა ვუთხარი, რაც მოხდა. გურამი ცივ-ცივ აიწია უნაგირზე, სადავე მოზიდა და კვირიწმინდისკენ გააჭენა ჭალაზე. მე, ბაიჭაურთ ხვთისო, გერგეტელთ ვალიკო და სხვები ფეხით გავუდექით გზას...

დიდი ლოდის ძირას გავთხარეთ სამარე და მიწას მივაბარეთ ელპიდეს გაციებული სხეული...

ის ღამე თეთრად გავათენეთ ოჩიაურების ბანზე.

ერთ დოქ არაყზე მთელ ღამეს სიკვდილ-სიცოცხლეზე საუბრობდნენ ალფრედი და გურამი... გაოცებული ვიყავი გურამის ცოდნით, განსნავლულობით".

მოთხრობის სიუჟეტურ ხვეულებში, გიგლას გარდა, მოგვიანებით კიდევ ორი პიროვნება ჩნდება, ორივე არხოტიონი: ხვთისო და ვალიკო. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი ორივე მათგანს კარგად იცნობს ამღა-ახიელაში ათდღიანი სტუმრობის წყალობით და საჭიროდ არ თვლის მკითხველის ყურადღება მათი დახასიათებით დატვირთოს. იმდენად გულისგამგლეჯი და გამაოგნებელია მომხდარი შემთხვევა, რომ მართლაც უადგილო იქნებოდა მაშველი ძალის „სტატუსით" ტრაგედიის ადგილზე მისულ ადგილობრივ პირთა შესახებ თუნდაც ერთი საქებარი თუ მადლიერების გამომხატველი სიტყვის თქმა.

— „ვალიკო, — დაიძახა ხვთისომ. — ეგ ცხენი და სოფლიდან წერაქვებ მაიღ, ბარიც. აქ უნდა დავასაფლაოთ..."

„ვალიკო ცხენზე გადაჯდა, ხვთისომ წეკო მიაწოდა გურამს..."

„ხვთისომ წერაქვით შემოუარა და ძირი ვერ უპოვა ქვას..."

„ვალიკომ დინამიტი მოიტანა".

ალფრედ კურელას ერთ-ერთ ფოტოსურათზე, რომელიც უდროოდ წასულ თანატოლ შემოქმედზე დავით ჯავახიშვილის,

თემო ჯაფარიძის და ვაჟა გიგაშვილის მოგონებებთან ერთად გამოქვეყნდა გაზეთ „მამულში" /13, 1991 წ. ივლისი/, აღბეჭდილია ჭარბი განცდით და ემოციით დამუხტული წარუვალი წამი – ახალგათხრილი სამარის /წერაქვიც იქვე აგდია/ გარშემო წრიულ მოძრაობაში ჩანან: ჯვრიან პერანგში გამოწყობილი ახალგაზრდა ხევისბერი ხვთისო ცისკარაული /ბაიჭაურთ ხვთისო, თავის დროზე უებრო მხედარი, ამჟამად დედოფლის-წყაროს მკვიდრი/. მის მიმყოლს სახე არ უჩანს, მაგრამ თუ გავიხსენებთ მოთხრობაში დასახელებულ პიროვნებებს, შეიძლება ის ვალიკო ოჩიაური /გერგეტელთ ვალიკო/ იყოს, რომელიც ახლა რუსთავის ახლოს ახალშენ ნაგებში ცხოვრობს. მას მოსდევს ზამბარასავით დაჭიმული, სახენაღვლიანი გურამ რჩეულიშვილი, ხოლო ჭირისუფალთა ბოლოში ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, გარინდებული ვაჟა გიგაშვილი დგას... იქვე ჩანან გზირიშვილის ექსპედიციის წევრები...

„არხოტის წყლის თავიდან ქარი უბერავდა. ნისლები გადაიყარა. ციოდა, ციოდა, მაგრამ მზე წვავდა. გურამი საკაცეს დაწვდა. ქარმა ისევ მოუბერა და საწვიმარი ახადა ოდნავ. მერე საწვიმარი ისევ დააკვდა მკვდარს. გურამმა უკან დაიხია. ყველაფერი ეს მიცვალებულის განძრევას გავდა. ერთი წუთით ეჩვენა, რომ ის გაცოცხლდა. ახლა უფრო კარგად შეიგრძნო სიკვდილი..."

1983 წლის ზაფხული.

თიბათვის სულწუხ დღეთა მწკრივში ოაზისივით შეჭრილი „გრძელი უქმებით" ვსარგებლობთ და ჯუთიდან არხოტში მივემგზავრებით.

კვირიწმინდის ზემოთ ნახირში მყოფ ხვთისო ცისკარაულს ვხვდებით, ვჩერდებით და ვსაუბრობთ. ფოტოაპარატს ვიღებ ბუდიდან და ჯოხზე ჩამოყრდნობილს სურათს ვუღებ... მეორე დღეს, დილით, ქორძო ნაროზაულის სახლის ბანზე ვზივართ. ხვთისო გვიყვება: „მახსოვს, როგორ არ მახსოვს! ათენგენობა დგებოდა და ამღა-ახიელაში გაბმული ქვიფები იყო. მიდიოდა და მოდიოდა სტუმარი. გურამ რჩეულიშვილი თავის მეგობართან ერთად რამდენიმე დღით ადრე მთა-მთა გადმოვიდა ხევსურეთიდან. უხაროდა არხოტში ყოფნა. ყველაფერს აკვირდებოდა. სულ სავაჟკაცო საქმეზე ეჭირა თვალი. ერთხელ მითხრა: ისეთ ცხენს ვერცაით მამიყვანაევ, გიჟი და გაუხედნავ რო იყოსავ... საკვირველად უყვარდა ცხენები. ჯერ ახალ-

გაზრდა იყო და საქციელზე ეტყობოდა, როგორი ვაჟკაცი უნდა დამდგარიყო..."

მოთხრობაში შენელებული კინოკადრებივით მონაცვლეობენ შინაგანი სიამაყის დამბადი, გუნება-განწყობილების დამწმენდი და გამაკეთილშობილებელი, ადამიანად ყოფნის ფილოსოფიურ დილემაზე ღრმად ჩამაფიქრებელი ამაღლებული პასაჟები და ეპიზოდები. გხიბლავს ცნობილი გერმანელი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჭირთათმენა, მდგრადობა, დიდბუნებოვნება და სიდარბაისლე. სულ რაღაც ნახევარი საათის წინ ცოლს უღიმოდა, ელაპარაკებოდა. მომავალი წლის მარშრუტს ერთად გეგმავდნენ... „ – წარმომიდგენია, რა სიამოვნებაა ჭენება მთაში". – ამბობდა ქალი, თანაც სიბერეს უჩიოდა. ქმარი ამშვიდებდა, ამხნევებდა და ყველაფერი კი უცებ, თვალისდახამხამებაში მოხდა...

„შავი ცხენი ბექობზე იდგა, მის უკან ლოდიანებს შუა მწვანე იყო ჩაღრმავებული. ბალახზე ქალი ეგდო, გადახეთქილი შუბლით, თავთით ქერათმიანი ბავშვი უჯდა. წარბთან მიმხმარი სისხლიდან ბუზებს უგერიებდა".

თხელი ნისლები ჭიუხების თავისკენ მიიჩქაროდნენ. ჟანგიანი კლდე შავად მოჩანდა. ცაზე მზე იყო, თან გრილოდა...

გურამი, წუთის წინ ხევგაღმა დაბმულ მასპინძლის ულაყს რომ უყურებდა და „ვერმიღწეულის ენებით შეპყრობილს" თანდათანობით ჭენების ჟინი ერეოდა, ოფლად გაღვრილ უბელო ფაშატს მოვლებია და თავდაუზოგავად მიაგელვებს ჩაყუჩებულ ხეობაში. ისწრაფვის უცხოტომელთა საშველად: ეგებ ცოცხალს მიუსწროს, ეგებ გადაარჩინოს, მითუმეტეს, რომ გარკვეული პასუხისმგებლობაც აკისრია. არხოტიდან ხომ მას უნდა გაეწია მეგზურობა კურელებისთვის, მოეტარებინა მთელი ხევსურეთი...

„არხოტში ყოფნის ბოლო დღე, – იგონებს ვაჟა გიგაშვილი, – უცნაური იყო. გაჩნდა შეგრძნება, რომ რაღაც უნდა დამთავრდეს. ყველაფერი ისე კარგი იყო, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. გერმანელებიც ძალიან აგვიანებდნენ".

და დამთავრდა.

ერთმანეთზე წაბმულ, განუწყვეტელი დღესასწაულის ბადალ ათ დღეს ღონისწამლებმა დარდმა და ტკივილმა დაუსვა წერტილი...

„ხამხაში ვცხოვრობდით, – გვიამბობს ვალიკო ოჩიაური. – საათენგენოდ იქიდან ავედი არხოტში. მაშინ გავიცანი გურამ რჩეულიშვილი: ხევსურული პერანგი ეცვა, უხდებოდა. სტუმრობდა ოჯახებში, იქცეოდა ვაჟკაცურად. არც ჟიპიტაურზე ამბობდა უარს, ინტერესით უსმენდა მოხუცებს. არხოტის ცხოვრების გაცნობა და კარგად გაგება ეწადა... ერთი ცხენი მყავდა, ფიცხი და ძნელად დასაურვებელი. შემსვიო, მთხოვა. თავიდან ვიუარე, შემეშინდა, არ ჩამოაგდოს-მეთქი. რა, შენზე ნაკლები მხედარი გგონივარო? რაღა მეთქმოდა. მსუბუქად გადაჯდა და ისარივით გაფრინდა ხეობაში... იმ დღეს ბანზე ვისხედით, ვსვამდით. აკიათ გიგლა მოვარდა გაქაფული ცხენით და გერმანელების გასაჭირი შეგვატყობინა. წავედით... ალფრედს ვუთხარით, თუ თვითონ გადაწყვეტდა, ბარისახომდე ცხედარს ჩვენ გადავასვენებდით. არაო, – სტუმარმა, – ერთმანეთისთვის გვქონდა ნათქვამი, თუ რომელიმე ჩვენგანი მთაში დაიღუპებოდა, იქვე დაგვესაფლავებინა... რამდენიმე წლის მერე კვლავ ეწვია ალფრედი არხოტს და თასი მოიტანა. თასის ფსკერზე თავპირ დასისხლიანებული მისი მეუღლის ფერადი სურათი იყო აღბეჭდილი. ის თასი ახლაც არხოტში უნდა ინახებოდეს..."

ჭაბუკი მწერლის დაჟინებული, უკიდურესად გამძაფრებული, წინათგრძნობისეული, შეიძლება ითქვას, ბედისწერადქცეული ინტერესი ყოფნა-არყოფნის მარად ძველი და მარად ახალი პრობლემისადმი სრულიად განსხვავებული, ახლებური რაკურსით, ძალით და მასშტაბით გამჟღავნდა მოთხრობაში „სიკვდილი მთებში". მანამდეც და მას შემდეგაც ხშირად უფიქრია და უცდია სიკვდილ-სიცოცხლის მისტიკური საიდუმლოს ახსნა და შეცნობა / ამ თვალსაზრისით უაღრესად მრავლისმეტყველია მისი ნაწარმოებები: „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ", „ასვლა", „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე", „მოლოდინი".../, მაგრამ არხოტის ხეობაში მომხდარმა ტრაგედიამ სხვაგვარად შეძრა და მოიცვა მთელი მისი არსება.

„ნეტა, როგორ არის ქალი. მოკვდა? ასე უცებ? რა სისულელეა..."

„მთებს შუა სიკვდილი იწვა. ჯერ კიდევ სისხლიანი, ახალი. გურამი თავზე ადგა ცხედარს და კურელას ხელს ართმევდა.

ის უყურებდა მისთვის უცხო სიკვდილს, რომელიც მთებს შუა იწვა უმოძრაოდ. უკვირდა სიკვდილიც და მათი სიცოცხლეც, რომლებიც სიკვდილთან ერთად გაიცნო..."

„...ამას ვთელი მე ერთ-ერთ ბედნიერ სიკვდილად, თუ შეიძლება ასე დაერქვას სიკვდილს", – ამბობს გერმანელი მწერალი. მას ჯერ ბოლომდე არ გაუცნობიერებია მომხდარი უბედურება.

„კურელამ მშვენივრად იცის, რომ სიკვდილი არის სიკვდილი", – ფიქრობს გურამი.

„კურელა ამ ტრაგედიას უყურებდა მომავლის თვალით, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც დაამშვიდებდა მას, ითვალისწინებდა დარდს პერსპექტივაში".

ორივე მწერლის გულსა და გონებაში ერთი და იგივე ფიქრი ბობოქრობს; უსასტიკესი ფაქტის პირისპირ დგომა დასრულებული მოვლენის ფილოსოფიურ განსჯას აძლევს გასაქანს.

„ – აი, ჩვენი მარშრუტი შუაფხომდე, გზაც ესე მაქვს აღნიშნული. აი, ამ შავი ფანქრით ოჩიაურის შენიშვნებია, ხედავ?

– ჰო, თქვა გურამმა, – ჯერ რომ შატილით წასულიყავით, ეგ ამბავი არ მოხდებოდა.

– მაგ „რომ"-ზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგ. „რომ"-ების უზარმაზარი ჯაჭვი შეიძლება გაკეთდეს. ასე რომ ჩავყვეთ, მივალთ იქამდე, „რომ" საერთოდ არ დაბადებულიყო, არც მოკვდებოდა..."

„კურელა წინააღმდეგია მდიდრული გასვენებისა. „ვის რას რგებს" – განაგრძობს იგი. – მკვდარს რას უშველი მაგითი? ვერაფერს, სიკვდილი ხომ სიცოცხლესთან ერთად იბადება..."

მოსახდენი მოხდა.

უჩვეულო პროცესიის დამწუხრებული მონაწილენი სოფლისკენ დაეშვნენ.

ახიელაში სამძიმარი უთხრეს კურელას.

კარს იყო მომდგარი ათენგენობა – საუფლო ჟამი, დიდი რელიგიური დღეობა.

ოჩიაურების ბანზე ისხდნენ სამოცდაერთის კურელა და ოცდასამის რჩეულიშვილი.

სვამდნენ ჟიპიტაურს და მთელ ღამეს წუთისოფლის საზრისზე საუბრობდნენ...

ელპიდეს საფლავზე ალპიური ყვავილების გვირგვინი ჭკნებოდა.

1984 წ.

ფრაგმენტები ერთიანი სურათისათვის

ოთხმოცდათორმეტი წლის ფედოსია ბიძიშვილი-აზანიშვილისა, კდემით და კეთილგონიერებით გამორჩეულ ძველ ქართველ ქალთა ტიპიური განსახიერება, სოლიდურ ასაკშიც საღად მეტყველი, მოფიქრალი და დარბაისელი, გვიყვება, თანატოლ სარა სულთანიშვილთან ერთად, ორი უღელი ხარის ძალით, როგორ მიაშველა საბრძოლო ტყვია-წამალი მამისონის გადაღმა მდებარე ალაგირში გამაგრებულ ჩვენს მეომრებს მეორე სამამულო (!) ომის უმძიმეს წლებში... „მეთაურმა ხელები დაგვიკოცნა და გვითხრა, ორივეს გმირობაზე წარგადგენთო. მერე გავიგეთ, რომ მტერთან ბრძოლაში დაიღუპა..."

არ შეუშინდნენ უღელტეხილის სიმაღლეს, გზის სირთულეს, უკაცისძეო ადგილებში ღამისთევას და პირნათლად აღასრულეს ღვთისა და ერის წინაშე საკუთარი ნებით ნაკისრი, ქალთათვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო და შეუფერებელი მოვალეობა...

იმასაც ცხადლივ იხსენებს (ოღონდ გვარ-სახელებს არ ამხელს), სოფლის ჯანღონიანი ვაჟკაცებიდან რამდენიმემ თვითონვე რომ დაიხეიბრა თავი, ოღონდაც საომრად არ წასულიყვნენ... ან ნაჯახს ჩაირტყამდნენ ფეხში, ან მარჯვენას გადაისერავდნენ და დაჯანდაგებულები სინდისის ქენჯნის გარეშე დეზერტირობდნენ... არავის გმობს და ამუნათებს, არც განსჯის და ასამართლებს, უბრალოდ, სიტყვას მოაქვს და ამბობს იმას, რაც თანამდევია ყოველი შფოთიანი დროისა, აშლილობის და შიშიანობის წლებისა...

* * *

აგვისტოს მდუღარე დღეა, მტკნარი, უღრუბლისფთილო...

გლოლა („გლოლ" სვანური სიტყვაა და ფერდობს ნიშნავსო, – გვიხსნის შემშრალი ნათიბის სახვეტად თავის კარ-მიდამოში გამოსული მიხეილ ბერიშვილი) ზემო რაჭის უმშვენიერესი სოფელია („არს გლოლა დაბა მსგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი", – წერს ვახუშტი ბატონიშვილი) და საამო სიოც იძვრის, სუნთქვა შეიძლება. ტყიანი მასივის მაღლა აზიდულ ცვარაეთის მოტიტვლებულ მთას ცის ცვარი ენატრება, მაგრამ სადაა წვიმა, თვეზე მეტია, მშრალობას ბოლო არ უჩანს, გადამხმარია ამტვერებული გზებიც და მზისპირის ბალახიანი ფერდობებიც...

ჩუმი დრტვინვის მღელვარე ტალღების ნახმევი სწვდება ყურთასმენას. ავის მოლოდინში გალურსულან დაწმენდილი რიონის ნაპირებზე ჩამომსხდარი ნაძვნარიანი მთები. გახუნებულ ყვავილებს ტანში ცხრო შესდგომიათ და დანაკლულებული ნაკადულებიც კანკალით ჩამორბიან ფართოფოთლოვანი სიმწვანით დაწინწკლულ ქვა-ღორღიან დაღმართებზე...

* * *

„არ გავცვლი სალსა კლდეებსაო...“ ეეჰ, ბევრი რამე მავიწყდება!.. ჰო: „არ გავცვლი ჩემსა გლოლასა თბილისის მშვენებაზედაო...“ რო დაიჭრა, მაშინ დანერა ჩემმა ქმარმა ეს ლექსი. საზღვარზე რო მოვიდა, ეხლა მაინც დავიძინებო და იქ გაქურდეს. ნაწერები ჰქონდა ბევრი, აქ ველარ მოიტანა... ეს იყო ორმოცდაერთი წლის ჩვიდმეტ აგვისტოს...“

ქალბატონი ფედოსია ისევ თავისი სიყმაწვილისა თუ ახალგაზრდობის შუქში მოლივლივე ბილიკებსაა მიკემსილი. თუკი რამ გასახსენებლად საღირალი გადახდენია თავს, იქ ეგულება, იქ, ათწლეულების სიშორეში, სიღარიბისა და შიმშილის გაერთფერებულ დღე-ღამეთა წიაღში...

სამთო სავალიც კარგად ახსოვს. დღემდე არ დავიწყებია, რა და რა სიმაღლეები უნდა გაევლოთ და მოეტოვებინათ უკან ბარისკენ გეზაღებულებს: „სახაროს ეძახიან, ლექსიც არის – „სახარო, გლოლის დოვლათიო“... რო წავიდოდით, ხუთლეკს ვეძახდით, იქ მოვუხვევდით, მერე გამოჩნდებოდა ჩოჩაველი, გიორგიეველი... ავიდოდით სახაროს...“

* * *

გლოლის გამოღმა უბნის ორღობეში, რიყის ფერადი ქვის მაღალი ყორე რომ მიუყვება შეაბჯრული დარაჯივით, შაოსანი ქალი შემოგვხვდა. გავესაუბრეთ. სონა სულთანიშვილი („კუკლასაც“ მეძახიანო, – გაგვეცნო) ოთხმოცდაორი წლისაა, მისი და ეთერი – სამოცდათექვსმეტის. ზამთარ-ზაფხულ ორივენი აქ არიან. მარტოებს უწევთ დროის შეუჩერებელ დინებაში დგომა... სათნო სახის დამხვდური ლექსებით სავსე საერთო რვეულს ფურცლავს. კითხულობს. „ჩემთვის ვწერ, ეჯე-ბეჯედო“, – ურთავს კომენტარს... შინ გვეპატიჟებიან. შევდივართ. გრილა. ხვანჭკარას გვთავაზობენ. საუცხოო ჯიშის სუფთა წვენია. ერთი ძმა მეღვინე ჰყოლიათ, ამბროლაურ-

ში ცხოვრობს და მისი წყალობით გულუხვად ხვდებიან შემთხვევით მგზავრსა თუ სასურველ სტუმარს...

„ეთერი, ჩემი და, ძალიან კარგი მეფეხურია. კაი ფეხი აქვს. სოფლიდან რო ვინმე მიდის მანქანით, თავსაფარს გადაიხდის და გზაზე დააგდებს. ყველას კარგად აქვს დაცდილი მისი გაცილება", – ღიმილით გვეუბნება სონა დეიდა..

ზამთრობით, თოვლი რომ გადასუდრავს არე-მიდამოს და აბურბურებული ფანტელების უთეთრესი ფარდა ჩაკეტავს თვალსაწიერს, მიმსვლელი და ხმის გამცემი ესაკლისებათ. სხედან შეშის ღუმელს მიფიცხებულები და დედაქალაქში გაკრეფილი ძმა-ძმიშვილების დღეგრძელობას შესთხოვენ უფალს...

იგონებენ უხვთოვლიან ზამთარში იურა ჯაფარიძის ფოლკლორული ექსპედიციის კალმასობას გაღმა-გამოღმა გლოლაში. ეს იყო სამ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ და ყველაფერი მაინც გუშინდელივით ახსოვთ... დღეს იმ ექსპედიციის წევრთაგან აღარც ბეჟან ხარაიშვილია ცოცხალთა შორის. ამა სოფლიდან იურას სრულიად მოულოდნელმა გასვლამ ხომ არა მხოლოდ რაჭა, ლუხუნის ხეობა და აბარი გაალეგა, ბევრს გაუგალა გული ხევსა და ხევსურეთში, ფშავსა და სვანეთში, თუშეთსა და გუდამაყარში, საერთოდ, მთელ საქართველოში.

ნათალი ჭიქის გლუვ კედელს სინანულის ცრემლივით ჰკიდია ხვანჭკარას კრიალა, ლალისფერი წვეთი...

* * *

ონში დაბრუნებულებს თბილისიდან სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ: გარდაიცვალა ვახუშტი კოტეტიშვილი... ჯანგატეხილმა და მაინც დაუმარცხებელმა ტანჯვით დალია სული... რუსეთის ფარდაახდილი აგრესიის დასანყისია და თითქოს საარსებო სივრცეც რაღაცნაირად გაცრეცილა, დავიწროებულა... უკანასკნელი შეხვედრები, 12 მაისის ფოლკლორული საღამოსთვის მზადების დეტალები და ბევრი რამ მანამდელიც ერთად მოგროვდა, მოზღვავდა, ერთმანეთს წაეწყო და წაეფარა... იმ დღესაც თბილისურად ცხელოდა, მე და ეთერი სამსახურის მერე მოსანახულებლად რომ მივედით: კომპიუტერის ეკრანს მისჩერებოდა, მარჯვენა ხელის მტევანი კლავიატურაზე ედო, წელში გამართვა ადრინდელზე მეტად უჭირდა, მარცხენა ფეხის წვივიც გასიებული და ნითელი ქარისგან გავარვარებული ჰქონდა, ტკივილის კვალი

და ნაჭდევი დამჩნეოდა სახეზე, მაგრამ დაჩიელებას ვინ იტყვის, კრინტიც არ დაუძრავს გაუსაძლის სალმობასა და დღითი-დღე მზარდ ავადობაზე... მზეოს გასძახა. „ქართულ სონეტებად" სახელდებული შედევრები წაგვიკითხა... მომიბრუნდა და მეუბნება: – ნახე, ბიჭო! შავ-ხევ-სულეთი, ფშავ-ხევსურეთი... გახარებულია განუმეორებელი სარითმო სიტყვების მიგნებით. ხელს მართმევს, თავისკენ მეწევა და გულში მიკრავს... იმავე თუ მომდევნო დღეს მართლაც იწერება ბრწყინვალე სონეტის ასეთი სტრიქონები: „ჩემი სამზეო, საიქიო, შავ-ხევ-სულეთი, აკლდამა ჩემთა ოცნებათა ფშავ-ხევსურეთი..." ხოლო ეს 12 აგვისტოს მოხდება, ქაშუეთიდან რომ გამოვასვენებთ და პარლამენტის მოედანზე შეკრებილი ათიათასობით მომიტინგე ქალ-კაციდან ცხრა-ათზე მეტი რომ ვერ გაიგებს, ვინ დაკარგა საქართველომ, ვისი პროცესია ეშვება შავად მბზინავი ქვაფენილით მტკვრის სანაპიროსკენ...

დროის ნიშნეულ მონაკვეთებთან უცნაური თანხვდენაც, ალბათ, მისი ბედი იყო, ღვთით დაწერილი და განწესებული: ომი რომ იწყებოდა, მაშინ აღესრულა და დიდგორობას მიჰბარდა დიდუბის წმინდა მიწას!

* * *

ონში ჯერჯერობით სიწყნარეა, რაჭულ სიდარბაისლეს ვერაფერი ამღვრევს, ჩვეული, ურღვევი რიტმით, მდორედ და ტაატით გრძელდება ცხოვრება.

კულტურის რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი ხათუნა ღულუნიშვილი გვეხმიანება და გვიხსნის, სად და ვის უნდა მივაკითხოთ მეორე დღეს, ასეთივე შედეგიანი და შინაარსიანი რომ გამოდგეს შემკრებლობითი სამუშაო.

* * *

ჭალას მივდივართ, ონიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ მყუდრო სოფელში, ჩვენს ყოფილ მეზობლებთან ნუცუბიძის ფერდობიდან.

ლამარა დეიდა, ირმა და ხათუნა შინ არიან...

მეზობლებიც მათ ეზოში მოგროვილან...

საუკუნოვანი კაკლის ღონიერ ტოტებში შემოგორებული მთვარე დაჰნათის ტაბლას და ერთი-ორად თვალმისავალს ხდის ისედაც ლამაზ, მთების უბე-კალთაში გამოხვეულ სოფელს...

„სულ არ მინდა ეს სოფელი და არც მისი ადგილობა, შუადღემდის მზე არ მოდის, გვიანდება სადილობა...“

ეს ლექსი ჭალაზეა ნათქვამი, ერთ დროს ძლიერ, ხალხმრავალ, ხოლო ახლა ლამის გამესამედებულ, ადგილობრივთაგან უღვთოდ გამეტებულ, მიტოვებულ სამოსახლოზე.

ჩვენი თანამოსაუბრის გიორგი ჩიკვილაძის სიტყვით, იყო დრო, როცა „ჩრდილად“ წოდებულ გაღმა ჭალაში ორი კვირის განმავლობაში ხნავდა ოცდაორი უღელი ხარი.

შეუბანი და ჭალა „ალილოსაც“ ჩინებულად ასრულებდა და შემდეგ საფერხულო სიმღერასაც: „შეუბანსა და ჭალასა კაცი ვერ სჯობდა ბარადა, ნინია ლობჟანიძესა ცერი წააძვრეს მშრალადა, ჭალას რომ დახვდა დიგორელი, საქმე შეიქნა შავადა...“

* * *

თენდება რვა აგვისტოს უდავლათო დილა.

ონის შესასვლელში, ხიდთან, სამხედროების სიმრავლეა.

აქ ნაკლებად იგრძნობა, რა ჯოჯოხეთური ალი და სენცეცხლი უახლოვდება ცხინვალს და მის შემოგარენს.

მძიმე ტექნიკა მიიწევს კვაისის მიმართულებით...

გზას ვაგრძელებთ რიონის სათავეებისკენ.

ნაკიეთთან ვჩერდებით.

მდინარეზე დილის თხელი, სიფრიფანა ნისლი მიცურავს.

„ბუნება წარბსაც არ იხრის, მაინც მშვიდი და მშვიდია...“

კაცთა ცხოვრების ხისტსა და მოუხეშავ ლაბირინთებს უებრო მალამოდ აფენია მილიონწლოვანი ბუნების ღვთისმიერი მადლი, უმაღლესი წესრიგი და ხელთუქმნელი ხიბლი...

ამ ბუნების და მის ბინადართა ენა ეყურებოდათ მთელ რაჭაში განთქმულ მონადირეებს: ღებელ მალაქია ლობჟანიძეს, ჭიორელებს – სეხნო და შალვა რეხვიაშვილებს, გლოლელებს – თომა ბაღაშვილს, ნიკო გოგოჩიშვილს... ეყურებოდათ და ზედმიწევნით იცავდნენ მონადირეთათვის დაწესებულ შეზღუდვებს, აკრძალვებს, მთის საზოგადოებებში საყოველთაოდ მიღებულსა და აღიარებულ ნორმებს...

ხალხის და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობა უხინჯო მომავლის მყარ გარანტად მოიაზრებოდა.

ახლა?..

რაჭაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მაღალმთიან რეგიონებში, დღესაც არსებობს მკაცრად დაცული ტყის კორომები, კვრივივით შეუვალი ხატის ტყეები, სეთა თაყვა-

ნისცემის აშკარა გადმონაშთები, მაგრამ დესაკრალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა, სინმინდეთა შერყვნისა და პროფანაციის ზოგადმა ტენდენციებმა ამ თავისებურ ოაზისებსაც მუხანათურად შეუტია და თავისი დაღი დაასვა...

რიონის ხეობის ზემო ნაწილი, წინუნარით და ტყვიისფერი კლდეებით, დარიალისა და თორღვას აბანოს ხეობებს წააგავს, თუმც მათთან შედარებით უფრო რბილი და ხავერდოვანია...

გზის აქეთ-იქით მიფენილი სათიბებიდან ჭრიჭინების გაბმული გნიასი ისმის.

ღადე-ღუდე აღმართის ბოლოში სიერცე თანდათანობით იხსნება და ჭიორას ხალვათი, ლაღად მხარგაშლილი მინდვრების საუცხოო ხალიჩა დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოების ასოციაციას იწვევს.

მთის ძირში მიყუჟულ ჭიორას – რეხვიაშვილების, ჩაგელიშვილების და გობეჯიშვილების სოფელს შორიახლოდან ჯერაც დარაჯობს თავდაცვითი დანიშნულების რამდენიმე ციხე-კოშკი.

ჭიორელთა („ჭიერ“ სვანურად „გაჭირვებულის“ ფარდი სიტყვაა) წინაპრებს ფასის მთის გადაღმა უცხოვრიათ. მომხდურებისგან და დიდთოვლობისგან შეწუხებულები საქართველოს მიწა-წყალზე გადმოსულან და აქ, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას, დასახლებულან.

შარაგზის პირას, კედლის გრილოში ჩამომსხდარ ქალებთან ვსაუბრობთ. სამიეე დაღონებულია: ერთი მათგანის შვილიშვილი გუშინ რეზერვისტებში გამოუძახიათ და მობილურ ტელეფონზე მასთან დაკავშირებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ.

უხერხულია ასეთ დროს ძველი ამბების, ლეგენდებისა და მითების გახსენება სთხოვო პირადი დარდისა და წუხილის მორევში ჩაფლულ ძაძიან ბერქალებს...

ღებში, სამაგიეროდ, მთქმელ-მთხრობელთა თითქმის სრული შემადგენლობა შეიკრიბა. სამოცდაათს ქვემოთ არცერთი არაა. ასაკისდა მიუხედავად, მხნედ გამოიყურებიან. რაჭველთა ჯანიანი სიბერე, დინჯ გენებთან ერთად, აქაური ჰაერის, ჯანსაღი კლიმატისა და ნაირგვარი მინერალური წყლების სიკეთესაც უნდა მიეწეროს.

სანახშოზე, ოდესღაც ხუთსართულიანი დუროიანი სახლის ნაშალთან ჩაჯარებულ შაოსნებში სამი მამაკაცი ურევია: ელგუჯა გავაშელი (პანტოილეეთი), ვალიკო და მიშა ლობჯანიძეები (დავითელეეთი და გივეეთი).

მამიშვილობით თუ არ მოიხსენიე, რაჭაში ძნელია გარკვევა, რომელი მიშას თუ ვალიკოს შესახებაა ლაპარაკი...

ერთმანეთის ნაამბობს ყურადღებით ისმენენ.

რაღაცას ამატებენ, აზუსტებენ...

ვთხოვთ და იხსენებენ თავიანთი ყმაწვილქალობის, გათხოვების, დაოჯახების, ძნელბედობის, „საჭინკაო", ნაძრახი ადგილებისა თუ საზაფხულო ქოხ-ბოსლებში თვეობით ყოფნის სიზმრადქცეულ ამბებს ნიურა და ლიდა გავაშელები, სოტერა, ლენა, ზინა და სიფო ლობჯანიძეები...

არეშიძეებსაც ახსენებენ, „შავ-ბნელ წარსულში" ღებელთა მებატონეებს, პირველი ღამის უფლებით რომ სარგებლობდნენ და ბევრ თავმოყვარე ახალშეუღლებულ ქალ-ვაჟს გაუმწარეს ცხოვრება; იგონებენ ვაჟკაცობას ზვიადა ლობჯანიძისას და გულითად გავაშელისას, დავრდომილი კაცისას, ვინც, მეზობლების ხელისკიდებით სათვალთვალო კლდის თავზე მიყვანილმა, მშვილდ-ისრით ჩაკლა მდინარეში თავნება ძმათაგან ცოცხლად გადარჩენილი ბოლო ძმა...

მაშინდელია ეს ლექსიც: „არი არეშიძესაო, ხმალი ქარქაშში დევსაო, ბატონყმობა გადავარდა, თავისუფლება ღებსაო..."

* * *

ღების შუაგულში აქაურთა ძალისხმევით და ღვთის შეწევნით უმოკლეს ვადებში აშენებული მაცხოვრის ეკლესიის გუმბათზე მაღრიბისკენ მიდრეკილი დაღლილი მზის მინელებული სხივები ელავენ.

ვაჟა ლობჯანიძის ოჯახში გამართული გულითადი პურობის შემდეგ სტუმარ-მასპინძელნი მშვიდობიანი შემოდგომისა და უახლოეს წლებში კვლავაც არაერთხელ შეხვედრის იმედით ვშორდებით ერთმანეთს...

.....

საქართველო რუს აგრესორებთან მზაკვრულ, უთანაბრო ომშია ჩართული თუ ჩათრეული; წინა დღეს წედისი დაიბომბა; არის მსხვერპლი; ონის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭურვის აფეთქებას ფეხად გამოვასწარით და ჩვენს ჩანაფიქრს, სოფელ წესში შვებულებით მყოფ ეთერ მაისაშვილთან ერთად ლუხუნის ხეობაში იურა ჯაფარიძის სამარე მოვინახულოთ, როგორც ჩანს, ამჯერად ასრულება არ უწერია.

ასას ხეობაში

სულთამხდელ სიცხეს რამდენიმე დღით გარიდებულნი არხოტში მივდივართ.

წინა ღამის წამლეკავ წვიმას მსხვილი სეტყვა მოჰყოლია და ყუროს დაშიბული წვერებისთვის უთეთრესი თქორი შეუტოვებია...

ყაზბეგიდან მზეწაკიდებული მყინვარის ყურება ერთ რამედ ღირს. დილასისხამზე წმინდა სამების შთამბეჭდავი სილუეტიც ცისმიერი მადლის ნივთიერ ხატად აღიქმება ბეთლემის ოქროსხურვებული კალთების ფონზე...

ჩხერის ხიდი უკან დარჩა.

„ქუფრ ქარაფებს" შეხიზნული ტანკენარი ფიჭვები დარიალის ხეობიდან ზოზინით აკრეფილ სიფრიფანა ნისლებს წენავენ...

გზა ხსნილი და უხიფათოა; განწყობა – შეუმღვრეველი.

წყალმარჩხი თერგის „დაუჩუმარი ჩივილი" თუ შეგახსენებს, რომ ამქვეყნად მდგრადი და მარადიული არაფერია: დარს დელგმა და ქარიშხალი ცვლის, მეზობლად მობინადრე სხვადასხვა რჯულის ხალხთა კეთილ ურთიერთობას უნდობლობის მღვრიე ღრუბელი ბინდავს ხანდახან...

სიმწვანე ჭარბობს და, მაინც, ნაადრევად აფერადებულა ჯარიახის ულამაზესი ხეობა. ეს ტყემალია, სანთლისფრად რომ მწიფს და იღვენთება ამტვერებული გზის გაყოლებაზე. საქათიბე მძივივით ასხმია კოწახურის წვრილი, უმწიფარი ნაყოფი მორუხო ფერის ულონო ღეროებს...

გაცრეცილი ცისკენ წვერწაწვდილი ჩარდახიანი ციხეები თავიანთი უძრავი სიჩუმით ჩაწერილან აგვისტოს მიწურულის საუცხოო პეიზაჟში...

ღრმა ხევზე გადებულ საორბედო ხიდზე გახვალ, აღმართებსა და მკვეთრ მოსახვევებს აათავებ, თავშავათი ჩამუქებულ ნაშალ ფერდობზე გაჭრილ უსწორმასწორო გზას გაეკიდები და წამში ახალი სასწაულის მხილველი ხდება: ადგილზე გაშეშებს ცხრაციხის გასაშტერებელი სიმშვენიერე! კი, გეცნობა და გახსენდება კიდეც ქისტეთის ეს შეუვალი სიმაგრე –

სოფელი შესანიშნავი ქართული ფილმებიდან – თენგიზ აბულაძის „ვედრებიდან" თუ გოდერძი ჩოხელის „ცოდვის შვილებიდან" – მაგრამ ცხადად, უშუამავლოდ ნახვას სხვა ხიბლი და ძალა რომ აქვს, ესეც ხომ უდავოა...

ოლგეთი – მდინარის გასწვრივ დასახლებული ტიპიური ქისტური სოფელი: თვალისმომჭრელად ჭყეტელა, ფერებშეუხამებელი კედლები, კარ-ფანჯრები და სახურავები; საგულდაგულოდ დაკრიალებული წინკარები და ეზოები; ღობის ჩრდილებში საბაასოდ ჩამომსხდარი ხნიერი ქისტები. განუშორებელი კარაკულის ქუდებით და წვივებზე მჭიდროდ ამოწკეპილი წითელი „აზიაცკებით"; ცნობისმოყვარე, თვალცქვიტი ყმაწვილები, აბრაწული ლოყებით და მზეზე ჩალისფრად მბზინავი ხეშეში თმებით; ჭრელთავშლიანი ქისტის ქალები, უცხო ადამიანის მზერის არეში მოხვედრას რომ გაურბიან და თავდახრილნი პირისმალვით აგივლიან გვერდს...

ნასოფლარები. ნასახლარები... ბედითად ჩამოშლილი ქვაები და ქვითკირები...

ორი გიჟმაჟი მდინარის შესართავთან აღმართული ჯვრიანი ციხის გვერდით ერთადერთი სახლი დგას, საკმაო მანძილით მოწყვეტილი ხეობის ზემო და ქვემო სოფლებს. სახლის ეზო ქათმებისა და ინდაურების გნიასს აუკლია. იქვე მოჩანს ღობის მარგილზე გამობმული თეთრი თხა... გაღმა, ბექობის თავზე, მხარგაშლილი სათიბია. ნელი ნაბიჯით მიუძღვება მარხილში შებმულ ცხენს გრძელწვერა მოლა. მიაქვს სახლისკენ ჯერაც ნედლი, მინიერი თივა...

აქ, შავანის ხეობის დასაწყისში, მზისპირის ღორღიან ფერდობზე, ხევსურები დასახლებულან ომის წლებში, მაშინ, როცა ქისტეთის თავზე ცა რისხვით მოტრიალებულა და დაუდეგარი სულისა და „მშფოთვარე სისხლის" ხალხი შუა აზიის ფაშარ ველებზე ჩაუსახლებიათ.

უფრო ზემოთ, სოფელ ღულში, რომელსაც ქართველები ულათას ეძახიან, ერთხანობას ჩემს ბიძა-ბიძაშვილებსაც უცხოვრიათ, ხოლო როცა აქაური მიწის შვილები დაბრუნებულან იძულებითი გადასახლებიდან, მადლიერ დამხვდურებს უსიტყვოდ დაუცლიათ მათი სახლ-კარი და უპოვარ-უქონელთათვის, თითოხელი სამოსის ამარა მშობლიურ მხარეში

მოსულთათვის არაერთ ხევსურს თანაგრძნობის ნიშნად სამეურნეო იარაღი და თითო-ოროლა სული საქონელიც დაუტოვებია...

უჭირს მანქანას ულათის გრძლადწაღებული აღმართების დაძლევა და გატკეპნილ გზას გახურებული ძრავის დაგუდული გუგუნით კეცავს...

ფხიანი ფრანგულის ბასრი პირივით პრიალა ქარაფებიდან სალბუნი სიო უბერავს. სანიაოზე კოხტად ყელმოღერებული, დაპეწილი ცხენები გარინდებულან. მარიობისთვის ყვავილებით მოჩითულ ზეკარზე სანეტარო სიგრილე დგას. ცხრაკეცად ჩაწყობილი მთების თავზე ქათქათა მზის სხივებით გამლღვალი ნისლები ჩაწოლილან.

ტყემლიან ფერდობზე, ნასოფლარ ხართის მაღლა, ციხე-სიმაგრეთა ნაშალებს შორის, ცხვრის ფარა ჩაფენილა.

წყნარად გვიახლოვდება თოთხმეტიოდე წლის შავგვრემანი ყმაწვილი. ნაცად მეცხვარესავით მოუმარჯვებია კავიანი ჯოხი. ნაცნობივით გვიღიმის და გვესალმება...

თუში აღმოჩნდა, ქვემო ალვანიდან. მამით ობოლი, დედიძმა შეუცვლია და ეს ორი კვირაა, მარტოკა აბალახებს ღილღოს მიწაზე მასზე მინდობილ წვრილფეხა პირუტყვს.

ალვანური ღვინით ავუვსეთ მოზვრის მომცრო რქა, დაგვლოცა. დალევა იუარა.

თავქვე ვეშვებით.

მზე გორის ფხას ეფარება და ვჩქარობთ.

მაგრამ ვინ გიშვებს!

ბარიდან არხოტს მიმავალ ხევსურებს გზის ბიდანზე მგზავრული პურ-მარილი გაუშლიათ.

გაჩერდითო! – გვანიშნებენ.

ასეთ დროს მიპატიჟებაზე უარის თქმა მკრეხელობაა.

ნაცნობ-უცნობებმა ერთურთი მოვიკითხეთ.

ბადა თეთრაული სასმისებს ავსებს.

თამადობა უშიშა გიგაურისთვის უთხოვიათ...

ბარემ ჯურხათსოფელში ჩავიდეთ და იქ შევჩერდეთო, – გვეუბნება ძია გიგია.

ჩავედით.

ბადას ბურთი ეჩრება ყელში და ცხენ-მხედრის დამმალავ

შამბსა და შალანში, ნასოფლარს რომ მოსდებია ნაპირ-ყურემდე, ხელებაწეული მიიკვლევს ბავშვობის დაუვიწყარ ბილიკს.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ჯურხათსოფელშიც უცხოვრიათ ხევსურებს. შემდეგ ადგილობრივ ხალხსაც მიუტოვებია აქაურობა და გაქსუებულ, ჟანგსა და ჟალტამში დაძირულ მიდამოს პირველქმნილი სიმყუდროვე მორევია...

ჯურხათსოფელში ქისტები წამოგვეწივნენ. რიდით შემოგვიერთდნენ. ტარგამეს მივდივართო, გვითხრეს... ასაკოვანთა თანდასწრებით ახალგაზრდებმა სასმელს პირი არ დააკარეს. უფროსების ხათრი და კრძალვა დღემდე მოჰყოლიათ თავიანთი მკაცრი ადათ-წესების ერთგულებით ცნობილ მაჰმადიანთა შთამომავლებს... დამშვიდობებისას სამახსოვრო სურათი გადავიღეთ და კეთილი მგზავრობა ვუსურვეთ ერთმანეთს...

აული ოძიკი.

სახლი, რომელსაც გაბრიელ ჯაბუშანურის მრავალი უძილო, თეთრად გატეხილი ღამე ახსოვს, ისევ ფეხზე დგას.

ნოყიერ მინას ნაწვიმარ მდინარესავით აულაღებია სიმინდის ყანა. სახლის ახლანდელ ბინადარს ეზოში გოგრაც მოუყვანია... გვინდა ვინმემ გამოიხედოს, შევეხმიანოთ, მაგრამ ირგვლივ ძეკაცი არ ჭაჭანებს. უჩვეულოდ ყუჩი ადგილია. სახლის გასწვრივ, ხრიოკ გორაკზე მარჯვედ წვერწამახული, წელსწორი ქისტური ციხე წამომართულა. გაღმიდან აულ არნივგოგოს სანახევროდ გორსმოფარებული სიპერდი ესიტყვება თავის მოძმეს.

ვჩერდებით სახლის შორიახლო...

აქ ჩამოლია მსხემმა და მიწყივ მიუსაფარმა პოეტმა თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ლამის ორი ათეული წელი; ბევრი განუკურნელი ტკივილი და ძალზე ცოტა ხანმოკლე სიხარული არგუნა უნცრუათ გაბრიელს ღილღოს „მღვრიე ცის" ქვეშ ყოფნამ. აქ იწერებოდა მისი წრფელი ლექსები და მწუხარე ბალადები. „როგორც დემონი – მე დავყურებ ღილღოს აულებსო", – ამბობდა და ბინდით მოცულ მთებში ქისტების ლოცვის მოსმენის მოსურნე „სიტყვის ლოთი" სისხლხორცეულად განიცდიდა „დაქცეული მიწურების", „მუნჯი ბურჯების", „ხავსით გადახურული ქოხებისა" თუ „კენტობით და ტიალობით მინანგრევი აკლდამების" ბედ-

შავ ყოფას... დრო-ჟამის ულმობელ ქარიშხლებს გაჰყოლოდა აბრეკებისა და ჯიგიტების თავაშვებული ჯირითი, შუშპარი და პურობა, კუმგანებით წყაროზე მიმავალი ქისტის ასულების მორცხვი ღიმილი... „ტაძარივით უწმინდესი ღილღოს ზაფხული“ თუ ქარბუქითა და ზვავებით გაყრუებული ზამთარი ოდენ სევდა-სინანულის სიმსლა აჟღერებდნენ მის არსებაში... აქ უყვარდა არნახული გახელებით, წარმოუდგენელი თავდავიწყებით... ოძიკის მეზობლად მდებარე აულ ლეიმეს სახლობდა მისი ნანდაური, მზექალი – „მზისაცა დარი“ და დღენიადაგ მასზე „მოსიმღერეს“ მხოლოდღა „ვაების ცრემლში გაწურვილი“ სტრიქონი ჰგვრიდა შვებას...

ბადა თეთრაული და უშიშა გიგაური გაბრიელთან ღამედგომით სტუმრობის, ქეიფისა და ხევსურული დროსტარების სევდიან ამბებს იგონებენ...

ნინო ჟვანიას, გულნაზ ხუციშვილს, ფიქრია ალიბეგაშვილს და ეთერ თათარაიძეს სახელდახელო სუფრა გაუწყვიათ შემაღლებულ გზისპირზე, – გაბრიელის სულს ეწყინება, შესანდობარი რომ არ თქვათო...

გია ალიბეგაშვილს გაბრიელის ნამოსახლარიდან გოგრა წამოუღია სამახსოვროდ...

ჟორა ნაროზაულის შვილების ნათლია, მართალი და სულნათელი კაცი, აფხაზეთში გმირულად დაღუპული უშიშარი მფრინავი ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძე მანქანით პირველად მგზავრობს ასას ხეობაში და საძმოდ გულგახსნილს სიკეთის ციაგი დასდის სახეზე; ტკბილ-მწარე სიცოცხლის სადღეგრძელოს სვამს, შიგადაშიგ ხუმრობს და ოცნებობს იმ დღეზე, იარებმორჩენილ, მხნე და წელგამართულ საქართველოს რომ დაგვალოცინებს ხევსურეთის ყველაზე მაღალი თოვლიანი მწვერვალიდან, მაგრამ... ვინ იცის, სად და როდის წამოეწევა წერამწერელი, სად და როდის გაუთენდება სამუდამო აღსასრულის ნაღვლიანი, უნასიბო დღე...

გავიარეთ ტერღა, ტანიე და ამჟორიტე – მესაქონლე ამღა-ახიელელთა საზამთრო საბინავრები.

ბინდდება...

გზა მდინარის ნაპირს მიუყვება. ზვავის ჩამოლეწილი ხეტყის ნაგაბარი მიმოფანტულა რიყეზე.

ზარიანი ყეფით იკლებს ასა ლოპრიან კლდეებს.

ვჩერდებით და ჩამორჩენილ თანამგზავრებს ვუცდით.

ესეც ქავისკარი – მტრიანობის ჟამს არხოტივნების საყარაულო, მზირის სათვალთვალო ადგილი. ვიწრო ხეობას საიმედოდ კეტავს ბუნებრივი სიმაგრე და ქვის გალავანი. პიტალოებზე ჩიტი თუ გადაფრინდება, ხოლო დაბლა მწერის გადარბენაც არ გამოეპარება კაცის ფხიზელ თვალს...

სხვათაშორის, ამ ათიოდე წლის წინ არხოტის წყალში კალმახი, რომ იტყვიან, ბზესავით ეყარა; ანკესის გადაგდება და წითელწინწკლებიანი თევზის აფართხალება ერთი იყო. ეს მანამ, სანამ არხოტში სამანქანე გზა მივიდოდა... მახსოვს, 1980 წლის ზაფხულში ლეო ჯაბუშანურმა და ბადა თეთრაულმა სულ რაღაც ნახევარ საათში ორმოცდაათამდე კაი მოზრდილი კალმახი დაიჭირეს, ხურჯინის თვალში ჩააწყვეს და როგორც სტუმარს, ჯუთაში გამატანეს... არხოტის ჭალაზე მოვარდისფროდ მწიფდა ცერის სიმსხო ჟოლო. ხელის ერთი მოსმა და პეშვი სავსე გქონდა თაფლივით ტკბილი, სურნელოვანი ნაყოფით...

ტრანსკავკასიის რკინიგზის წინასწარმა სამუშაოებმა შეიწირა ხეობის ხელთუქმნელი სიმშვიდე; განადგურდა მცენარეული საფარი; მდინარეში გაწყდა კალმახი, საჯიხვეებში რქაჟანგიანმა ნადირმა იკლო...

ხელახლა სულისჩამდგმელი, სასწაულმოქმედი ძალა აქვს ადამიანისათვის იმ ადგილებს, სადაც მისი ერთჯერადი, ხანდაუზმელი არსებობის ბილიკი იღებს სათავეს. ამიტომაც ნატრობდა ცარიელ აკლდამასავით მდუმარე საკანში გამომწყვდეული ლადო ბალიაური „ფარაგს მშობლიური ცა-რვალისა", იქ, იმ „თავისუფალ კუთხეში" დაბრუნებას, „სადაც ასა უმღერის მწვანე მთა-გორებს, სადაც ფრინველთ მეფენი ბუდობენ და ამაყი მზერით ანაპერწკლებენ კაშკაშა ცის მკერდს, სადაც ფრინველთ სიმღერას ბანს აძლევენ თეთრ კლდეებზე დაშლილი თეთრ წყაროთ ნაკადულები და ტკბილი ჰარმონიით ამშვიდებენ კუშტად მომზირალ „კიდეგანას" და „არწივის მაღალს..."

სხვარიგი იყო მაშინდელი, გაბრიელ ჯაბუშანურისა და ლადო ბალიაურის სიჭაბუკისდროინდელი არხოტი და სხვარიგია დღეს: მართალია, საავტომობილო გზაც მიდის, ახლახანს აშენებული მცირე ელსადგურის წყალობით სინათლეც მიეწო-

დება, ხანდახან შვეულმფრენიც გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ ის ხელდაუკარებელი მადლია გამქრალი თუ არა, განახევრებული მაინც, საბეკურის კარზე საკლავ-საწირით მისულ მლოცველს ღაბუშად რომ აქცევს და ღვთისნასახად ყოფნის ენით უთქმელ ბედნიერებას განაცდევინებს...

ქავისკარიდან მუხლის ქარის ერთი ამოღებაღა რჩება არხოტამდე...

ტრაგიკულად დაღუპული თანატოლის სულის წყაროსთან ახიელიდან ჩამოსულ ახალგაზრდებთან ვყოვნდებით მცირე ხანს.

ჟორა ნაროზაული არ იშლის, გინდათ თუ არა, ამაღამ ყველა ჩემთან წამოდითო.

– ჩემი ნათლიმამის სახლის კარი თქვენნაირი სტუმრებისთვის ყოველთვის ღიაა! – თავს იწონებს ჯიმი მაისურაძე.

თავპატიჟი აღარ გამოგვიდია.

მორჩილად დავყევით გულღია მასპინძლის ნებას.

იმ ღამეს გია ალიბეგაშვილმა და ომარ ნაროზაულმა ხანჯლით ხელები გაიჭრეს, სასმისში ვერცხლი ჩაფხიკეს და იძმობილეს.

უჩა და ვანო მუდამ სტუმრიანი ოჯახის ზედმეტ შეწუხებას მოერიდნენ, პატიება ითხოვეს და გვარიანად შემთვრალ, საუბრის საღერღელაშლილ ხვთისო ჯაბუშანურს გაჰყვნენ მოსასვენებლად...

ორბეულთის თავზე ამომხდარი სრული მთვარე ანათებდა კიდეგანის ყინულიან მწვერვალს, ჭიმღის კლდეებს, ახიელის ციხეს, საფლავთგორს, აგვისტოს ღამის მტკნარ იდუმალებაში დაყურსულ არხოტის ხეობას.

სასურველი სტუმრების დაჟამკრებაში დაღლა არ დასტყობია ელენას – ქორძო ნაროზაულის ხელმარჯვე, ერთთავად გაუსაძლის ჯაფაში თავუჩინარ მეუღლეს. არც მის სანდომიან, მოგიჯრე და მოთავისე რძლებს დაუმჩნევიათ ძილგატეხილობა, შეწუხება და მოწყენილობა...

კიდევ ერთი არაჩვეულებრივად სულფონი და კაეშნიანი, დასავიწყებლად ვერგასამეტებელი ღამე ილენებოდა „წუთისოფლის კალოზე".

1993 წ.

„ასე მისდევს ნაბიჯი ნაბიჯს და სულ უფრო ღრმად და ლამაზად სუნთქავს ფილტვები, სიჯანსაღით ივსება, მხნე და დრეკადი ხდება ტანი, ოფლად გამოდის კაბინეტური სული. დროდადრო ხანმოკლე შესვენება წყაროსთან და აუჩქარებელი საუბარი. სხეული სასიამოვნოდ ინაბება, თითქოს ბალახსა და ნაკადულს უთანხმიერებს სუნთქვას და თავისუფალი ბუნების შვილად შეიგრძნობ თავს. ხანდახან თვალი ზევით, მაღლა გაგექცევა... რა შორსაა ჯერ კიდევ! და უცებ, სულ მოულოდნელად, უკვე მწვერვალზე ხარ.“

მიგელ დე უნამუნო

სთველხმელის სუსხიანმა ქარებმა მწკეპრ წვიმებს დაუთმეს ასპარეზი თქვენი რქებით ნაფხაჭნ, გალიგვებულ ქარაფებში; დილ-დილაობით თეთრად ბრჭყვიალებენ ჩონჩხადქცეული, ჩამოთქორილი ჩხერები; სიმწვანედალეულ საძოვრებზე მალი-მალ წვება ლემადე...

ხოლო მაშინ, მარიამობის წინა დღეებში, სიმაღლეებისთვის ჩვეული მოცახცახე სიცხის ჭავლი ვარვარებდა და გადადიოდა რკინისფრად აელვარებულ ტინიან პიტალოებზე, ქვიშიან გორ-გურებზე, ტაფობებსა და ფერდობებზე.

შორიდან თქვენთვის თვალის შევლების გამოუთქმელ წადილს ვერ ვძლიე და, ვინ იცის, მერამდენედ, ბიძაშვილთან ერთად ცისპირის ძვრამდე დავადექი ხდის ხეობისკენ გაძაგრულ ბილიკებს.

სოფელს ეძინა.

ძილფხიზლობდნენ მხოლოდ ძაღლები.

მათი ყეფა და წკავწკავი მოგვაცილებდა უმთვარო ღამის ღორღიანი გზით.

მერე ანდეზე მივიკვლევდით სათიბებზე მიმავალ საცალფეხო გზაწვრილს...

რა გითხრათ ანდა რანაირად აგიხსნათ, რას ნიშნავს მიწყივი წრიალ-წუხილით დაღლილი ადამიანისათვის წითლად დამწვარ აღმოსავლეთთან თუ თავგამეტებულად მოკაშკაშე ცისკრის ვარსკვლავთან გასაუბრება... თანაც რომ ცივა, სალათიე-საძელის მხრიდან მონაბერი დაუდეგარი სიო შუბლს გიგრილებს, გაფხიზლებს, ძალას გმატებს და თანდათან მოკლდება უსწორმასწორო, აღმართიანი სავალი...

ვიცი, რომ ამ დროს ლანდებივით ჩუმად და შეუმჩნეველად

მიიწევთ ღამის სადგომ-საძოვრებიდან ზემოთ და ზემოთ, მიუვალი სიმაგრეებისაკენ; მიგეჩქარებათ იქ, სადაც საფრთხე ნაკლებია და მთელ დღეს საგრილობელზე დაყრილები ატარებთ. ...

გულისას ვამბობ და თქვენც თუ დარწმუნდით, მით უკეთესი, ლეშის წამოსაღებად არ გადმომივლია მუხლის ღონის დამლევი თოვლიანი უღელტეხილი...

თავისუფლება დაგიწერათ გამჩენმა და ყველაზე მაღალ, მკაცრსა და უკარება კლდეებში დაგიდოთ ბინა; სახსრის დამშლელი ქარაშოტების, დელგმისა და უამინდობის ატანის საოცარი უნარი მოგცათ და ჩვენ, ხარბ კაცისძეთ, სინდისის ქენჯნაც არ გვაწუხებს, თქვენს დიდებულ საუფლოში რომ შემოვაბიჯებთ ხოლმე მიწიერი ვნებებით დამძიმებულნი...

ბევრი ცოდვილი მონადირის ხანმოკლე სიცოცხლის ტრაგიკული აღსასრული მახსენდება ახლა და მინდა, მათ მონაგართა, მათ კვალზე მავალთა გასაგონად ვთქვა: ვიკმაროთ მცირედი, დავიოკოთ მგლური მადა და ხანდახან მაინც მოვავლოთ თვალი საჯიხვეების თენება-შებინდების შეუდარებელ მშვენებას; დავუგდოთ ყური დაუმდნარი ყინულის ღრმა ღარებში მოჩხრიალე კამკამა წყლების ჩივილს, დავაკვირდეთ ნადირის ნაჩლიქარში ჩამდგარი გუბის კრიალა ზედაპირზე მოლივლივე ულურჯესი ცის ციცქნა ნატეხს; მიმოვიხედოთ და შევიგრძნოთ ქარაგოზიანი ქვების ფენა-ფენად ჩაწყობილი ნაშალი, კლდეებისა და ნაქარ-ნაზვავართა ნაპირებში ამოჟოჟინებული ყვავილების ხელთუქმნელი ხიბლი...

ხომ ატყობთ, თქვენი ქომაგობის მოსურნემ საით გავუტიე!

გამოგიტყდებით და პირდაპირ გეტყვით: ჩემთვისაც მოუვლია მონადირულ ჟინსა თუ აზარტს და აბა, ვის უნდა შევასმინო ამწამიერი ნუხილი; თვითონაც მიმიძღვის ცოდვა თქვენს წინაშე და ვეჭვობ, ვინმეს გამოადგეს ეს ჩემი რჩევა თუ თქვენი გამოსარჩლება.

და მაინც, რასაც გულში გავიელებთ, ხმამაღლაც ხომ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს!

ჯვართხორხის ციცაბოებზე ცხენის ნალის ნაფხოჭნი შევნიშნეთ. ორი-სამი დღის წინანდელი კვალი ჩანდა, თორემ უფრო ადრინდელს წვიმა წაშლიდა. ჩვენამდე ენადირათ თქვენს ხორცზე დაგეშილ ცხენოსნებს. ხელცარიელები დაბრუნდნენ თუ არა, თქვენ გეცოდინებათ, მე კი აი, რა გავიფი-

ქრე: ვინც ამ ღადე-ღუდეებზე ბარგის სატარებლად იმეტებს ცხენს, არც ამ უბადლოდ ერთგული და გონიერი ცხოველის ყოლის ღირსია და არც თქვენთან სტუმრობისა!..

შავანის გადასავალში ახლად მზედაკრული კლდეებიდან შურთხებმა დარეკეს სადილაო ზარი. სასროლ მანძილზე მივუახლოვდით, მაგრამ თოფის ჩახმახი არცერთს არ შეგვიყენებია. სიკვდილის ანაწერნიც რომ ყოფილიყვნენ, დიდი ბრალი იქნებოდა ამ შეუმღვრეველ დილას მათი გულშიჩამწვდომი ხმის ჩაჩუმება...

მცირე ხნით შევისვენეთ.

ყინულის ნადნობით გავილბეთ პირი...

სამწუხაროა, რომ ჭიუხების მასივი თქვენიდან არ ჩანს. არადა, ამ დროს, დილაადრიან, მისი მზერა ერთ რამედ ღირს! ხშირად ნისლის ნაფლეთები ედება მალამოდ მის ნამეხარ, ნაიარევ მწვერვალებს.

ჭიუხების დაბლა მორჩილად მიჰქადლებიან ერთიმეორეს ბებერი მთები...

ხუთი საათი მოვანდომეთ ზეკარზე ამოღწევას.

როგორც ჩანს, დიდად არც ტურისტები განატრებთ თავს ზაფხულის სადაგ დღეებში. უცხოური კონსერვის ცარიელი ქილები ეყარა ხდის ხეობის გადასახედში, ხოლო დაბლა, რამდენიმე ყუჩ, უქარო ალაგას, ნაკარვალსა და საცეცხლურს ნავაწყდით... თუმცაღა ტურისტებზე აუგი არ ითქმის, ზურგჩანთააკიდებულებს თქვენი საიმედო თავშესაფრისკენ ამოხედვის საშუალება ალბათ არცა აქვთ. მძიმე ტვირთისაგან წინწახრილნი წერაქვით ხელში მიიკვლევენ გზას და, ვგონებ, ბევრ მათგანს წარმოდგენაც არა აქვს, მანდ რომ ბინადრობთ. თქვენ კი უცხო სულიერის გამოჩენა და გაფაჩუნებაც გაკრთობთ და საეჭვო ჩქამზე უმალ სამალავს მიაშურებთ ხოლმე.

არა მგონია, დედამიწის ზურგზე მავალ კიდევ რომელიმე ცხოველს ახასიათებდეს თქვენნაირი სიფხიზლე – მახვილი სმენა, გამჭრიახი თვალი და გამძაფრებული ყნოსვა.

მონადირეები იტყვიან „ნიავი იკრესო", რაც მათ ენაზე გულისხმობს იმას, რომ ადამიანის სიახლოვე ინიშნეთ და ეს ხდება თქვენი უჩვეულოდ განვითარებული ყნოსვითი შეგრძნების წყალობით... ალბათ არ იცით, რას ჩივის ერთი ხელმოცარული მოყმე: „გიშველათ დილის ნიავმა, ეხლა ცალია ებრუნავო..."

ჰო, მზით დამწვარ ქვიშიან სერებს შორის მოქცეულ საგუბრებში, სველ ლამზე თქვენი ახალთახალი, იმდილანდელი ნაჩლიქრები ვნახეთ. ასე დაბლა, ხეობის სიღრმეში, წყლის დასალეევად ჩამოდიხართ შებინდებულზე. და თქვენ გარდა, ყველა გაღმა-გამოღმა კლდეებში იქნებოდა შეხიზნული. და მართლაც, ჩვენგან ხელმარჯვნივ შუადღის შუქჩაუმწვდარი შავი ქარაფის თავზე დაგლანდეთ დურბინდებით. კაი გვარიანი მანძილი გვაშორიშორებდა და ახლაც მიკვირს, როგორ იგრძენით, რომ გითვალთვალებდით. სმენად იქეცით, მოუსვენრად ანრიალდით, ერთურთის მიყოლებით შეჰყევით კლდის შიბს და უნაგირა ფრიალოს უკან გაუჩინარდით... გულსაც დამაკლდა და თან რაღაცნაირად მიხაროდა, რომ ასე მარჯვედ დაგვისხლტით ხელიდან.

მზე რომ საღამოდ გადაიხარა, ისევ გკიდეთ თვალი, ძოვა-ძოვით და თამაშ-თამაშით მოჰყვებოდით თავქვობს, გაქვაკლდევებული ზვავის ფონზე თქვენი თაერქაც კარგად ირჩეოდა, მაგრამ იმოდენა გზა იდო ჩვენს შორის, უკან ამობრუნებას აზრი აღარ ჰქონდა: ღამე გვისწრებდა და დღის სინათლით ეხამდე ველარ ჩავაღწევდით...

წყრომას ვერ ვმალავდით: ადრეც არაერთხელ ვყოფილვარ აქ და აგრილდებოდა თუ არა, პირქუში სიმაგრეებიდან, თითქოს მინა გაიხლიჩა და ნარლვევიდან ამოვიდნენო, ფარა-ფარა ჩამოეფინებოდით ლოპრიან კლდეებს... მღიერა ბალახის წიწკნით მოიწევდით ქვიშიანი ფერდობებისაკენ. ლოდს მოფარებულებს ბევრჯერ წამოგვდგომიხართ თავს... და დღემდე მომყოლია სევდიან სურათებად თოფის ხმაზე დაფეთებული, დაწალიკებული არვე, ფურჯიხვებს ჩამორჩენილი, დაბნეული და აქამდე განუცდელი შიშისაგან გულგაგლილი თიკნები, სასიკვდილოდ დაჭრილი ბერხენის მეტყველ თვალებში ჩამდგარი უსაშველო მდურვა და ტკივილი...

მწუხრი ახლოვდებოდა, ჩვენს წინ აღმართული ქარაფის შუაწელზე ნისლი წვებოდა, არემარე გლუვდებოდა და თქვენ კი კვლავ არ ჩანდით. საგულდაგულოდ მოვჩხრიკეთ დურბინდებით ყველა ხევი და წარაფი, ბზარი და ნაპრალი. სულიერის ჭაჭანება არ იყო.

წინა კვირიდან დარები დაიჭირა, დაცხა და ასეთ ამინდში მწვერვალებს რომ ეტანებით, ეს კარგად ვიცოდით, მაგრამ შებინდებულზე ხომ მაინც უნდა ჩამოქვეითებულიყავით, ჩამოსულიყავით ლიხზე და თანაც მოძალებული წყურვილი მო-

გეკლათ!.. შეიძლება ჩვენზე ადრე ნამყოფი მონადირეების დათოფვამ შინოს ან შავანის მხარეს გაგაფრთხოთ...

„ჯიხვის რქით ციცი ლუდის სმაო", – მღერიან მოქეიფენი და იმას კი აღარავინ ფიქრობს, ბუნების როგორი ამაყი ნაშიერი დაატარებდა ყანწებადქცეულ ჟანგიან რქებს...

გულთმისანმა ვაჟამ რომ ბრძანა, „ჯიხვნი მაებნენ მყინვართა, მადლი რქათ ადგა ღვთისაო", რას გულისხმობდა, თუ იცით? ვაჟა ციურ ძალებთან წილდებულ წმინდა ცხოველებად გთვლიდათ და ამიტომაც ხედავდა თქვენს რქებზე ღვთის მადლს...

დღეს ჩვენი დალიბრული, არჩივსა და სარჩო-საბადებელზე დაგეშილი თვალი ვეღარც ამ მადლს ამჩნევს და ვერც იმ თითქოსდა უჩინარ გზას, საკუთარი თავის სრულქმნამდე რომ მიჰყავს ადამიანი...

მანდ, ხდის ხეობაში, მდინარიდან ორიოდ ნაბიჯზე, ერთი უგემრიელესი წყაროა; ისეთი ცივია, კბილს კბილზე დაგაცემინებს. რამდენიმე ტოტი გამოდის ქვიშიდან, ერთმანეთს ერთვის და იქვე გამდინარ გუბედ დგას. წვიმებშიც ანკარაა, რომ იტყვიან, ფსკერზე კენჭებს დაითვლის კაცი... სიცხით და ბარგის სიმძიმით სიქაგაცლილები იმ გუბეში საბანაოდაც შევსულვართ... ყოველთვის ვაკვირდები და თქვენი ნაჭლიკარი იმ წყაროსთან არ შემინიშნავს. შესაძლოა ხვდებით (და კიდეც ხედავთ), რომ ხეობის მგზავრი, გინდ ზევით და გინდაც ქვევით მიმავალი, აქ ჩერდება, ისვენებს, წყურვილს იკლავს და ამიტომ ერიდებით. კაცის კვალზე, თუკი თქვენდა უნებურად არ მოხდა, არ გაიელით...

გამგლისფერდა ხეობა.

ნაბიჯს ვუმატეთ. მდინარე გავტოპეთ და ეხისკენ გავწიეთ. ბიძაშვილი მიყვებოდა: ამ ადგილას (თან ხელით მიმანიშნა) შარშანწინ სამი ხარჯიხვი მოვკალით. ერთი ზურგჩანთებში ჩავატიეთ და ორი, თავ-რქიანად ხევის წყალში ჩავდეთ, რომ არ გაფუჭებულიყო. რამდენიმე დღეში ისევ გადმოვედით და რას ვხედავთ: ხევი ქვა-ღორღით იყო გატენილი, ნანადირევი ნიაღვარს წაეღო...

გუნება წამიხდა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

იქნებ რომელიმე თქვენგანიც ერია იმ არვეში და ტყვიით მოცელილ თანამოძმეებს ახლაც დასტირის!

ვინ იცის...

სიპ კლდეებს შორის მდებარე მშრალქვიშიან რუვთან დიდ-პატარა ჩლიქების მკაფიო ანაბეჭდები შევნიშნეთ... ძირგამოხრული კლდის კალთას შერჩენილ თქვენი ფაფუკი თივთიკის ნაფერთალს ნიავი წეწავდა... ეტყობა, გამორჩეულად გიყვართ ეს მიდამო და ჩვენი ღამის სათევიც უეჭველად გექნებათ ნანახი...

სხვისას ვერ გეტყვით და როცა ამ ეხს ვუახლოვდები ხოლმე, ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს შორეული მოგზაურობიდან შინ მშვიდობით დავბრუნდი... თქვენ კი ალბათ ეხის შესასვლელთან მიყრილი საწყლე ბოთლების, ალუმინის ჯამების, მომცრო ქვაბებისა და სახმარად უვარგისი დაფლეთილი ტანსაცმლის დანახვაზე ადამიანის სუნი გცემთ და ელდა ნაკრავნი გაურბიხართ მანდაურობას...

მონადირეებს ერთი კარგი, დაუწერელი წესი აქვთ: თუ არაფერი შემატეს, არც არაფერს დააკლებენ საზიარო სადგომს.

ვიღაც საზრიანს ეხის კედლებზე ბეტონის ლურსმნები მიუჭედებია, თოკი გაუბამს და ზედ საძილე ტომრები გადაუფენია. დაბლა დაგებული ნაბდის ნაძეძი ლეიბის მაგივრობას სწევს. შედარებით მშრალ, უნესტო კუთხეში მარილი, ასანთი, ცოტაოდენი შეშა და პარაფინის სანთელი აწყვია. ერთი სიტყვით, ყველანაირი პირობებია იმისათვის, რომ მონადირემ მოისვენოს, მაგრამ თუ ერთი და ერთი სიცივემ აგიტანა, მშვიდობით ძილო და მოსვენებავ! შუა ზაფხულში გვეჭირდიდება საჯიხვეებში ღამის გადაყრა, ყინულებიდან დაძრული სუსხის ატანა და თქვენთვის კი ყიამეთი ზამთარიც არაფერია! თანამონადირესთან ერთად ზიხარ ფარღიატი ეხის კარებთან, გაცვია „ტელოგრეიკა", იქვე გილაგია სანადირო თოფი და ზურგჩანთა, ყინულიანი საჯიხვეებიდან მსუსხავი ნიავი უბერავს, მხარგაშლილი ხეობა ყუროს მწვერვალზე შემომჯდარი სავსე მთვარით განათებულა, გაკამკამებულა, წინ, ბრტყელ სიპზე, წინწნანაქარის განახევრებული ბოთლი ციმციმებს, ცის ცრიატ კალთაზე აქერეჭებული ღრუბლები იცვლიან ადგილს; მიდიან, მიცურავენ, საით, ვინ იცის და ამ დროს, ვახშმობაგადასულზე, სოფელ-ქვეყანას მოწყვეტილი, მოშორებული, უთავბოლო მიეთ-მოეთისაგან გაქცეული და გაკიდეგანებული შაბურას ლექსით ეხმიანები თვალმოუხუჭავი ვარსკვლავების ასპარეზად ქცეულ მარადისობას:

დევების ქვაბში გვენთო კოცონი
და ნაქალაქარ გულებს ვითბობდით
და მას, რაც გვწამდა ანდა მოგვწონდა,
ვადღეგრძელებდით ყანწით თითოთი.
წვიმდა. ამინდი უცბად გაცუდდა,
ცეცხლს თაყვანს ვცემდით სამი წარმართი
და გვიხაროდა, რომ ხარბ საწუთროს
ერთი კარგი დღე კიდევ წავართვით.
სასთუმლად ქვანი გვესხნენ მომცრონი,
განიერ ქვებზე ბეჭებმინდობილთ
და მას, რაც გვწამდა ანდა მოგვწონდა,
ვადღეგრძელებდით ყანწით თითოთი...

* * *

უქარნიავო დილა გათენდა.

სისხამზე ავდექით, ზედმეტი ბარგი ეხში დავტოვეთ, მოპირდაპირე სანადიროები მოვათვალიერეთ და მტრედისფერ კლდეებს შევეკიდეთ.

ეხის გადაღმა ღამენათევებს სულ რაღაც წუთებით გაგესწროთ სიმაღლეებისაკენ...

უბალახო ფერდობზე დატოვებული ნაკვალევი მოწმობდა ამას...

ხევწვრილით აღმა მიმავალ სამ ხარლალს შეგასწარით თვალი.

მივხვდი, რომ ამაო იქნებოდა თქვენი დევნა. დაუდეგრობაშეყრილი ბიძაშვილი დავამშვიდე, თოფი ქვიშაზე მივაგდე და სანამ თვალს არ მიეფარეთ, დურბინდი ბუდეში არ მომითავსებია.

იმ დღესვე დავბრუნდით უკან.

უღელტეხილით ყვარის კუდებში გადავედით.

ყაფარ ხრიოკებს შერჩენილ გამყინვარებულ ნაზვავრებზე ფეხს ძლივს ვიკიდებდით. თოფის კონდახით ვჭრიდით საფეხურებს და ჯოხდაბჯენილები მივიწევდით წინ...

– ფრთხილად ავიდეთ, მანდ ისეთი ტაფობია, აუცილებლად იქნებიანო, – მეუბნება ბიძაშვილი და ხავსიან ლოდებზე მარჯვედ მიაბიჯებს... თერთმეტნი იწექით ქვიშის გრილ ლოგინში და ყავისფერ ლაქებად მოჩანდით შორიდან. ორ ფურჯიხვს თითო

თიკანი გიმშვენებდათ გვერდს. სანიაოზე შემდგარი შუნი თქვენი სიმშვიდის დარაჯად ვცანით...

მოსაპარები არსაიდან იყო, ასეთ მანძილზე თქვენს თვალს უცხო სხეულის გატოკებაც არ გამოეპარებოდა. ხანმოკლე თათბირის მერე გავბედე და ფეხაკრეფით გავიარე მომდევნო თხემამდე ჩაწოლილი ქანობი... ქვაბულამდე რომ მოგვეხერხებინა ჩუმად ჩამოღწევა, თქვენთან მოახლოება აღარ გაგვიჭირდებოდა...

ქვიშის დაცურების უცაბედმა ხმამ და ჩემს ჩასწვრივ ავარდნილმა მტვრის კორიანტელმა ადგილზე გამაშეშა. დურბინდი მოვიმარჯვე. იქ, სადაც ფერდობი თავდებოდა და ზვავის ორი ნამლევი ღაფავდა სულს, მოულოდნელ ჩვენებასავით გამწკრივდა ცხრა ჯიხვმოზვერი. მათმა დაფეთებამ თქვენც დაგაზეზათ; თქვენს ქვემოთაც ყოფილიყო ნოტო. ყველანი ერთად შეგროვდით და, ჩვენდა გასაოცრად, ქვემოთკენ ქენით პირი. იმსიშორეზე იყავით, გულდინჯად ნასროლიც აცდებოდა მიზანს. გწყალობდათ ბედი და უვნებლად გადარჩით...

* * *

თქვენი გამზრდელი კლდე-ქარაფები ჭირხლს მოიკიდებდნენ.

თავმობეზრებული მონადირეღა თუ გადმოვა ახლა ხდის ხეობაში.

ინიშნებდით უსაფრთხო დღეთა დინებას და დაბლა დაიწევდით, მდინარისპირა ჭალებს მოედებოდით...

კერშილობის დრო დამდგარა.

დედალ-მამალი ნადირი ერთად იქნებით შეყრილი.

სნორფერის მაძებრები ქიშპსა და შუშპარს გამართავდით...

ხშირად გიგონებთ და მენატრებით.

გული გამოუცნობი სინანულით მეწურება.

წინ მძიმე ზამთარი გველოდება.

გამჩენს ვთხოვ, მომავალ ზაფხულში კვლავ საღსალამათები შეგვახვედროს ერთმანეთს!..

18. X. 1993 წ.

ხსოვნა

„დარდისას გეტყვი...“

წანამქრულია გზა. თოვს და სავალი არ ჩანს. თეთრი წყვდიადი დასწოლია ერწოს უღელტეხილს. ამდგვლეული გზის ორივე ნაპირს ფენა-ფენად მოსული თოვლის მაღალი კედელი კეტავს. გინდაც მოცურდეს, ორხიდიან სამხედრო მანქანას არაფერი დაუშავდება: ან აქეთ მიექადლება თოვლის მკვრივ კედელს, ან – იქით...

ამჯერად რაჭა უნდა „მოვიკალმასოთ“.

უკან მოვიტოვეთ ცხინვალი, თამარაშენი, კეხვი, ქურთა...

ცხინვალში ცოტა ხანს გავჩერდით და წავიხემსეთ. შესვენებამ თენთმორეული განწყობილება გააფერადა. ასეა: მდგომარეობის აბეზარ ერთსახოვნებას სასიკეთოდ ცვლის ხოლმე უბრალო ტაბლასთან მუხლის მოხრა და ხანმოკლე ჩამოსვენება.

ბარაქიანად ბარდნის. მსხვილი ფანტელებით აბარბაცებულ სივრცეს შემხვედრი მანქანების დაგუდული ღმუილი ბზარავს...

გულის ნაპრალებიდან დაძრული, ყურთასმენისთვის დღემდე დაუვიწყარი დაბალი ხმით იწყებს იურა: „ ჟამი მივია, მოვია მუცოს თორღვაის კარადა...“იწყებს და უმალ ხვდები, რომ ისევ იქ არის, ჩაჯირითებული დრო-ჟამის გაცრეცილ, გამტკნარებულ ლანდებთან. დაეძებს და პოულობს კიდეც სულიერებისგან გაღარიბებული ყოფის მყარ, შეურყვნელ, შეურყეველ საყრდენებს. გულიდან აგლეჯილ ღრმა ოხვრასავით ამოთქვამს თვითეულ სიტყვას, ფრაზას და გრძნობ, რაღაც განუმეორებლად ღირებულს, ამაღლებულს და სამუდამოდ დაკარგულს რომ მიშტერებია გონების გამჭრიახი თვალით... აქაც ხომ მთაა, უფრო ზუსტად, მთებია, გრეხილი მთათა, უსპეტაკესი თოვლით გადათეთრებული, ნაპირ-ყურე წაშლილი და მოსწორებული, მაინც იქ არის, „თავის“ ხევსურეთში, შატილისა და მუცოს ძვალბებერი ციხე-კოშკების ტყეობაში, ანატორის ტანში გამცრელ საძვალეთა სიახლოვეს... არხოტის ხიბლიანი ხეობის იდუმალ ხმებთან და ხავერდოვან ფერებთან საუბრობს; იხსენებს ამღაში თეთრად გატეხილ ხევსურული

ქორწილის ღამეს: როგორი შემპარავი სილამაზით თენდებოდა და დღე-ღამის გასაყარზე, „მასკვლავთ გადადენის“ ჟამს, ცის გალობასავით რომ ისმოდა მთასიქით მიმავალი ცხენოსანი მაყრიონის წყნარი, ხოგაის მინდის „საბეკურად“ სახელდებული ნასახლარის მყუდრო სანახების საკადრი სიმღერა...

* * *

ნაშუადღევს ვეწვიეთ გიგა ჯაფარიძის ოჯახს. შემდეგ შალვა მოვინახულეთ, გიგას უმცროსი ძმა.

გულითადი მასპინძლობის მადლი და ახოვანი სულის რაჭველებთან დროებით გაყრის სევდა ვისაგზლეთ ონში...

იურამ დაიჩემა, ამაღამვე უნდა ავიდეთ აბარშიო. გვანცა კოპლატაძემ მხარი აუბა. მე და ავთანდილ არაბულს რაღა გვეთქმოდა, უსიტყვოდ ავყევით უფროსების ნებას...

ბინდდებოდა, მინდაციხესთან რომ მივედით. წელამდე თოვლის გარღვევა გაუჭირდა „ვილისს“ და ქვეითად განვაგრძეთ გზა. მთვარის ლიბრი შუქით გალიცლიცებულ ლუხუნის ხეობაში შევდგით ფეხი. ზურგჩანთების სიმძიმე, ლიხეთს რომ გავცდით, მაშინ ვიგრძენით... გვიან ღამით გავაღვიძეთ იურას მშობლები – ქალბატონი თამარი და ბატონი ალიოშა. გაიხარეს, ოჯახის წევრებად მიგვიღეს, მოგვხედეს, მოგვიარეს და ორი კვირის განმავლობაში უშურველად გვიმასპინძლეს...

აქ, ამ სავანის სადარ იდილიურ ხეობაში, თოვლ-ყინულიანი ჭუთხაროსა და ატეხილი ტყით შემოსილი შოდაკედელას გარემოცვაში, აბარის თბილ უბეში („რაჭაში რო აბარია, ანგელოზებს აბარია, თავზე ადგას ღვთისმშობელი, უფლის კალთა აფარია“, – უთქვამს თავის დროზე სოფლის სილამაზით მოხიბლულ, იურასთან სტუმრად მყოფ ვახუშტი კოტეტიშვილს) იწყება გიორგი (იურა) ჯაფარიძის ცხოვრების გზა, გზა, რომლის ბოლომდე გავლა და გათელვა მას არ დახანდა. უღვთოდ უკმარი იყო მისი სიცოცხლე! მართლა ასეა? იქნებ ვცდები და უმეცრებას ვამბობ, ვინ იცის, უჟამო ჟამისთვის რამდენი წელია ბევრი და რამდენი ცოტა? აკი თქვა სულნათელმა ვაჟამ: „ერთი წელი და ათასი ბარდაბარია ჟამისაო“... ასე ვსჯით, ვფიქრობთ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ერთ მარტივ, უცილობელ ჭეშმარიტებში: ადამიანის ღვაწლი და ღირსება ამ ტიალ წუთოსოფელში მისი სიცოცხლის ხნოვანებით კი არა, იმ სიტყვით და საქმით ფასდება, ძალზე ბევრი თა-

ვისზე მრწემისა და თანატოლის მახსოვრობაში რომ აღიბეჭდა სამარადჟამოდ...

არ მინდა ამ მცირე (დიახ, მცირე, ვინაიდან გასახსენებელი ბევრი რამეა!) გახსენებას მკითხველთან საკეკლუცოდ გამიზნული რაღაც განსაკუთრებული „სიდარბაისლის" კვალი აჩნდეს. ძნელია იურა ჯაფარიძის ბადალ პიროვნებებზე თუნდაც ერთი შესაფერისი სიტყვის თქმა; სხვას რომ თავი დავანებოთ, ძნელია იმიტომაც, რომ თვალშეუდგამ სიმაღლეებში მოლივლივე მათი მართალი სულების ხსოვნის წინაშე სანოელივით სუფთა და გულწრფელი უნდა იყო. ეს კი ყოველთვის როდი ხერხდება. ესეც რომ არ იყოს, სიტყვა სიტყვაა და არ იცი, წინდაწინ ვერ იტყვი, საით გაგტაცებს აზრის სადავეს...

„უხარისხო", მაგრამ უდახვეწილესი გემოვნების სწავლული უჩვეულო კრძალვას ამჟღავნებდა ქართული სიტყვის, ქართული მეტყველების მიმართ. ფუყე მანერებით აღჭურვილ უდღეურ გამჩვენეთაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ არსად თავის გამოჩენას არ ცდილობდა; არ წაჰპოტინებია იმას, რისი გაკეთებაც არ შეეძლო, ყველგან და ყოველთვის ჩრდილში დარჩენას ამჯობინებდა და მაინც... მაინც ცხრა თავით მაღლა იდგა ნაყროვან, ჟამთასვლის სიმრუდით თუ ნივთიერი სარგებლის უპირატესობით გაბრიყვებულ და გათამამებულ არაერთ თავის თანამედროვეზე. ღვთიურ მადლთან წილნაყარი ბიწმიუკარებელი გზით ვიდოდა და იცოდა, შესანიშნავად იცოდა, რომ ეს გზა მის მემკვიდრეებს აუცილებლად მისცემდა ყურუმსაღი ცხოვრების ნარიან ბილიკებზე თავაწეული სიარულის დიდ შანსსა და შესაძლებლობას. ამ გზას ერქვა მოუსყიდავი სიმართლის, პრინციპული უანგარობის, მოყვასის ერთგულების, მეგობრის გატანის გზა... და საწყენი და სამწუხარო ისაა, ჩემი თაობის შემდგომ თაობას რომ აღარ მოეფინება იურასთან ურთიერთობით გამონვეული შინაგანი შვება, სიხარული და სიამაყე...

ჟანგწაკიდებული ხმით ნათქვამ შესანდობრებში გარდაცვლილი ნაცნობის, ახლობლისა და მეგობრის ისეთ სახასიათო შტრიხებს წარმოაჩენდა, გინდაც არ გცნობოდა, თვალწინ დაგიდგებოდა მისი თვალით დანახული, დახასიათებული და სულეთიდან გამოხმობილი პიროვნება.

სოფლის სიამით ტკბობას და წარმავალი წარმატებებით თავის შექცევას მუდამ ფერუცვლელი სინამდვილის პირისპირ დგომას არჩევდა. და იქ, იმ უმზეურთა სოფელში ეგულებოდა

ბევრი ისეთი ვინმე, ვის გამოც ღირდა ამქვეყნად ბოგინი და მათ აჩრდილებთან მიახლება-მიახლოების ჩუმ-ჩუმი მოლოდინი...

ანდამატური ძალით იზიდავდა საგმირო პოეზიის აღმავალი სულისკვეთება. ნაფიცი მორწმუნის ჩაბეჯითებით ჩაღრმავებოდა საკულტო ტექსტებს. ჩავლილი დროის საბძოლო რომანტიკა აღაფრთოვანებდა და მთქმელ-მთხრობელთა პირადი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდების მისეულ აღქმაშიც ეს მომენტი წამოიწევდა ხოლმე წინა პლანზე.

იურა ჯაფარიძე გახლდათ ფოლკლორული მასალის პროფესიონალი შემკრები. უმცირეს დეტალსაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ. ინფორმატორთან დაახლოების თანდაყოლილი უნარი ჰქონდა. ეს ხდებოდა როგორღაც თავისთავად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად. ზოგი პირადად იცნობდა, ზოგიც სხვათა დახასიათებით და ყველგან გულღიად ხვდებოდნენ. ესათნოებოდათ მთაში მისი ყოველი გამოჩენა (ერთხელ ზამთარში თავმარტო იურას ველკეთილი გადაუვლია, ლებაისკარს თუ კისტანს მიახლოებული ერთ ყმანვილს უცვნია და ძახილით – „დედავ, დედავ, ფოლკლორა მოდისო!“ – შინ შევარდნილა). იცოდნენ, რომ გამასპინძლების ღირს, დარბაისელ კაცთან ჰქონდათ საქმე. ძველი ამბების გახსენებას ვინ დაიზარებდა, ვინ დაამადლიდა!.. ყოველ ექსპედიციაში, ზამთარსა თუ ზაფხულში, თან დაატარებდა გვარიანად მოძველებულ, ბუდედანაძოძებულ, მაგრამ ჯერ კიდევ მუშა მაგნიტოფონს. სარჩოსთვის გადადებულ სახსარს მოიკლებდა და კასეტებით მომარაგებული გაუდგებოდა გზას... მერე, ექსპედიციიდან ქალაქში დაბრუნებული, ჩანაწერებს ჩაუჯდებოდა და წარმოსახვაში კვლავ იქაურ გარემოში ტრიალებდა... აუდიტორიაში შესული სტუდენტებს აცნობდა მანამდე არსმენილ ანდა გამოუქვეყნებელი ფოლკლორული ძეგლების ახალ ვარიანტებს, აცნობდა და შემკრებლობითი საქმიანობის მღვივან ინტერესს უგდებდა გულში. მშრალი შეგონება, დიდაქტიკური ტონი და სქემატური აზროვნება აბსოლუტურად უცხო და მიუღებელი იყო მისთვის. კითხვა-პასუხებში ჩნდებოდა და იკვეთებოდა უჩუმარი სწრაფვა ლეგენდა-გადმოცემების უკიდეგანო სამყაროსადმი...

ეცნობი მის ფოლკლორულ ჩანაწერებს და გაოცებს პასუხისმგებლობის ის დიდი გრძნობა, სიტყვასთან დამოკიდებულებაში რომ იჩენს თავს. განუმარტავს და აუხსნელ-დაუზუს-

ტებელს არაფერს ტოვებდა. რთულ, დიალექტური ფორმებით თუ ადგილობრივი ეთნოგრაფიული რეალიებით ჭარბად დატვირთულ ტექსტს მთქმელისეულ კომენტარებს ურთავდა. ათასჯერ ჩაწერილს ათასმეერთედ აფიქსირებდა. წინამორბედ შემკრებთაგან ყურადღებამიუქცეველ წვრილმანებს ინიშნავდა, იმახსოვრებდა...

„ბისოს, ნადირა ქეთელაურის სახლში, სტუმრად იყო ჩუა გოგოჭური, გუროელი კაცი, პირიქითელი. ჩუა მამუკა ქალუნდაურის ნასახლარში ცხოვრობს. მამუკაზე ბევრი რამ იცის. მოგვიყვა კიდეც და ხმლის ქარქაშიდან ამოსვლის ამბავიც თქვა. ნადირამ უსმინა და მოულოდნელად თავგადასავალი ჩამაწერინა თავისი. იმისი თქმა უნდოდა, რომ ასეთი ამბის არ სჯერა. ჩუა გაოცებული დარჩა, ნაწყენი. ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ ხმალი მართლა კი არ ამოდიოდა ქარქაშით, მამუკას ეჩვენებოდა და ეს იყო სწორედ მისი ნაწილიანობის ნიშანი".

მთხრობელთა შორის გამართულ ამგვარი ხასიათის საუბარსა თუ მწვავე კამათში იოლად არ ჩაერეოდა. ასეთ დროს გარკვეული დისტანციის დაცვას, „მეთვალყურის" პოზიციაში ყოფნას ანიჭებდა უპირატესობას. გაგონილს უდანაკარგოდ აკრეფდა („ლექსნ ავკრიფენ!" – იტყვიან ხევსურეთში და ამ ნათქვამში ლექსის ზეპირად დასწავლას, დამახსოვრებას გულისხმობენ) და, თუკი აუცილებლობა მოითხოვდა, საკუთარ კომენტარსაც დაურთავდა. მთავარია, ყველაფერი გასაგები და გამჭვირვალე ყოფილიყო ტექსტში...

დროთა განმავლობაში არათუ საომარი საჭურველი, საოჯახო ნივთი თუ საგანი, შესაძლოა მათი სახელწოდებაც კი გაქრეს მიმოქცევიდან, მომავალი თაობების მეხსიერებიდან. დღეს ბევრმა აღარ იცის (და მათ ნაკლებად მიუძღვით ამაში ბრალი, „დამნაშავეა" დრო!) ვთქვათ, წყლის წისქვილის ანდა სახვნიელის ნაწილების სახელწოდებები. ნატურალური მეურნეობის ხმარებიდან გასული წვრილმან-მსხვილმანი თანდათანობით ტოვებს თანამედროვე ადამიანის ცოდნის სფეროს და ამიტომაც არის საშური საქმე გარდასული ყოფის უტყუარი სურათის მეტნაკლები სისრულით აღდგენა....ხევსურეთში ხმარებული ხმლების შვიდი სახეობა დაუმოწმებია და იქვე დაურთავს თვითეულის მთქმელისეული დახასიათება, ჩაუნიშნავს გარეგანი ნიშანი თუ წარმომავლობა... „ბაწარაული", „ფრანგული", „ჭარული", „დავითფერული", „ხარის ფერცხალი", „გორდა", „ ქა-

ჯისთმიანი“... დამეთანხმებით, ამ სახელდებათა ჟღერადობაც კი, არათუ მათი სემანტიკური შინაარსი, რაღაცნაირ პოეტურ ნაპერწკალს იუნჯებს, იტევს და ატარებს.

სიტყვა-გამოთქმები, „ჯვართ-ენა“, ტერმინები, ტოპონომები, ფრაზეოლოგია... აღარას ვამბობ ვრცელ ზეპირსიტყვიერ ჩანაწერებზე: სოფლების დაარსების თუ გვარების წარმოშობის ისტორიაზე, ხალხურ დღეობათა კალენდარსა თუ ღვთისშვილთა თავგადასავლებზე, ქაჯაეთსა თუ დევ-კერპებზე, საბნელოს ჯდომის ძველთუძველს წესსა თუ უქმე დღეებზე, ხოგაის მინდის და გაბურთ ეშმას აურაცხელ ვარიანტებზე, ხმით ნატირლებსა თუ ნაწილიანობის მოტივზე შექმნილ უნიკალურ პროზაულ ტექსტებზე, მთის საყმოთა საკრალურ ყოფაში თამარ დედოფლისა და გუდანის ჯვარის მოძმე ერეკლე მეფის ნაკვალევის ამსახველ გადმოცემებზე, თორღვა ძაგანის, მარტია მისურაულის, ხირჩლა ბაბურაულის და სხვათა საგმირო ამბებზე.

დღეს ეს ჩანაწერები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორულ არქივში ინახება და ფხოვის „წინაჟამინდელი“ ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის უაღრესად სანდო და მრავალმხრივ სასარგებლო მასალას წარმოადგენს...

ზამთარია. „თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს...“ იურა ხახმატში, ანიელ ალუდაურის ოჯახში ათევს ღამეს. დიდ ოთახში, ლამფის შუქზე, მასპინძლისგან ლექსებს იწერს. ანიელი ეუბნება, ეგ ლექსები აკაკი შანიძის „ხევსურულ პოეზიაში“ არ არისო. – კითხულობდი თქო? – ეკითხება სტუმარი. – მე თაოდ მქონდ! – პასუხობს მასპინძელი და ერთ ამბავს იხსენებს: „ხვთისო ალუდაური რომაა ბარისახოს, ფილოსოფოსი, ეგ აქ ცხოვრობდა ადრე. სწავლობდა ბარისახოში. მაგის ცოლი ხატის გზაზე ხარ-მარხილს ვერ ატარებდა და სამ დღეს მე ვეხმარებოდი თივის თრევაში. მაშინ მომცა შანიძის პოეზია. ძალიან მაინტერესებდა. ჩვენს სოფელში ერთადერთს იმას ჰქონდა ეგ წიგნი. ხშირად ვიკრიბებოდით და ხმამაღლა ვკითხულობდით. ფეხონშიც ვზიდავდით, ხალხი რო თავს მაიყრიდა. სულ შემოფუჩეჩებული ჰქონდა გვერდები. ძაფით ვაბამდით ფურცლებს...“

პოეზიის მცოდნე, მთხზველ და დამფასებელ ხალხში შინაურ კაცად გრძნობდა თავს. ერთი რიგიანი სიტყვის გაგონება და თავანკარა ლექსის მოსმენა დიდხანს ჰყოფნიდა სუ-

ლის ხემსად..."ბევრია, კაცო, ბევრი, ველარ მავიგონე, რახელ გულსაწვავები არხოტულ ლექსებ, რახელ!" – ეტყვის ჭალაისოფელში 80 წლის სამძიმარ ლიქოკელი და იურაც საგულდაგულოდ ჩაიწერს მრავლისმომსწრე ბერდიაცის წრფელი ემოციით შეფერილ ნათქვამს.

თორმეტფურცლიან რვეულებში ნატიფი ხელით გადათეთრებული პოეტური თუ პროზაული ტექსტების ბოლოს, არცთუ იშვიათად, ასეთი ხასიათის ლაპიდარულ მინაწერებსაც ნახავთ: „ჩაწერილი ი. ჯაფარიძის მიერ, გუდანს, მაგნიტოფონზე, 1978 წლის 30 იანვარს, ბაჭყურასთან ღრეობისას..."

ხოლო ღრეობის მეორე დღეს, ნაბახუსევზე, ვეძაზე უკეთესი რა წამალი უნდა ენატრა კაცს! ვეძაც იქვე იყო, სოფლის ზემოთ, ხევში, ჭორმეშავისკენ მიმავალი ბილიკის პირას. ამოდიოდა მიწის სიღრმიდან და წითლად ღებავდა ქვიშას... მეც გამომეცადა გუდანის მჟავე წყლის მაცოცხლებელი ძალა, ის კი ნამდვილად არ ვიცოდი, რაიმე რიტუალურ ქმედებას და აკრძალვას თუ ექნებოდა ადგილი მასთან დაკავშირებით: „როცა წმინდად იქნებოდა ეს ვეძა, მაშინ ძალიან მაგარი იყო – ამწევი, ძრიელი, ძმარი. ჰოდა, მიღრევდეს ამ ვეძას, სულ მოწყალდებოდა, მოლაღდებოდა. როცა დანათლავდნენ, არ შეიძლებოდა იქ ქალი მისულიყო..."

ერთ-ერთ მთხრობელს, გუდანის ჯვართან ბაგრატიონთა მოდგმის განუყოფელი სიახლოვის დამადასტურებელ ამბებს რომ იხსენებდა, ერთობ ყურადსაღები ცნობა მიუწოდებია ჩამწერისათვის: „ჩვენ პაპას ჰქონდა სახლში ბაგრატიონთა სიგელები, ნაწერები, ღვთის წერილები, გრაგნილები. რიგში მდგომ ქალს არ ატარებდა ბანზე იმ ადგილას, სადაც ეგ ჰქონდა შანახული. ყოველს წელს განათლავდა: პირველ მოგებულ ხბოს ან ცხვარს დაჰკლავდა. ბია რომ მოკვდა, ეს წერილები ხატში წაიტანეს."

უკომენტაროდაც კარგად ჩანს, რა სასოებით ინახავდა, უვლიდა და უფრთხილდებოდა წმიდა წერილებს, ბაგრატიონთა გვარის ფასდაუდებელ სახსოვარს გუდანის ჯვარის უნჯი ყმა.

ვინ იცის, ისტორიული ღირებულების კიდევ რამდენი მსგავსი ცნობა თუ ამბავია გამოტანილი დავიწყების ულმობელი მდინარის ნაპირზე იურა ჯაფარიძის ხელით!..

ესეც ზამთარში ხდება, 1978 წლის თებერვლის დამდეგს: „გუდანიდან ჭიეს ავედით. თოვლი დიდია, ტყდება. პირდაპირ

მივადექით საარყე ქვაბს. ლუკა გამახელას ძე ჭინჭარაული „ადუღილებდა". იქვე გადაგვაკვრევინა. ლუკა თხელი, მაღალი კაცია, მოძრავი. შეგვრეკა შინ. კარგი სახლი აქვს. სოხანე სუფთაა. ფანდური ჩამოიღო, ჩაჰკრა და დაიწყო გაუთავებელი ლექსობა. გვასვა და სვა. მოიტანა დიდი ყანწი – „გარეღოჯი" ჰქვიაო. დათვრა. სურათის გადასაღებად ხევსურული ტალავარი ჩაიცვა. ხანჯლების მთელი ჯღრდე ჩამოიტანა. როგორც კი შეიბა ხანჯალი, ცხროება დაიწყო. გააშიშვლა, აატრიალა, თვალები დაუდიდდა...ცოლისძმასაც, მეათე კლასის მოსწავლეს, ხანჯალი ება. დაჰკრა და სისხლი გაადინა. არც მოსწავლემ დააკლო – დაჰკრა, გასისხლა. შეიქნა ჩახა-ჩუხი..ყველაფერი ხდებოდა უხმაუროდ, ნივილ-კივილის გარეშე..."

ასეთ სცენას სხვაგანაც შესწრებია, სხვა დროს. მანამდე წიგნებში ამოკითხულს ახლა საკუთარი თვალით ხედავდა. უხაროდა: მებრძოლი სული კვლავ ცოცხლობდა მთაში! ჯერ კიდევ ფეთქავდა დროთა შემკრავი ჯანსაღი ძარღვი. „ქვეცრივლის ასხმულ" წვრილთვალა ჯაჭვის პერანგსაც ცხადლივ წარმოიდგენდა, ხანჯლების ჯღრდე და ჩაჩქან-მუზარადი ხომ მის თვალწინ ბზინავდა. უმიზეზო შუღლის ოსტატური ინსცენირება კმაყოფილებას ჰგვრიდა. ღიმმორეული მზერდა მოშუღართ და სისხლის დანახვა, „ მოწინააღმდეგეთა" სხეულის ნაკეჭნ ადგილას რომ დაჩნდებოდა ჭიაფრად, კრთომას კი არა, სიმშვიდეს ბადებდა მასში...

და იქვე, ჭიეში მოპოვებული ფოლკლორული მასალის ბოლოს ამგვარი რა მიუწერია: „ჩინური ელემენტი უნდა გავუგზავნო ლუკა ჭინჭარაულს, ჭიეში".

დანაპირებს აუცილებლად შეასრულებდა. ვის „გეკოს" ვაზნებს დაპირდებოდა და გაუგზავნიდა, ვის წკვარამ ღამეში თვალისჩინივით საჭირო ფარანს, ვის კიდევ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებსა და სხვა სასკოლო ნივთებს..მისი გულნაკლული და გაწბილებული პირადად მე არავინ შემხვედრია, არც არავინ მეგულება..

იურა ჯაფარიძე ღირსეულად აგრძელებდა იმ ფოლკლორისტთა ნაცად გზას და ტრადიციას, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ ჰქონდათ დავლილი საქართველოს ამერ-იმერი... ფოლკლორული შემოქმედება ხომ სინკრეტული მოვლენაა, ერის ცნობიერების უშორეულეს შრეებში ფესვგადგმული ფენომენია და მისი მართებული ახსნა, გაგება და გაშინაგანება შემოქმედი

ხალხის საფიქრალ-საწუხარის საფუძვლიანად გაცნობის გარეშე, ცოტა არ იყოს, ძნელია. მსგავსად მზენაკლული ოთახის პირობებში გამოყვანილი ყვავილისა, რომელიც მოკლებულია პოხიერი მიწის წვენს, ცვარ-ნამის მადლს და სულისჩამდგმელი ნიავის ალერსს, ვერც ე.წ. კაბინეტის ფოლკლორისტი შეიგძნობს ძირისძირობამდე ხალხის მხატვრული ნააზრევის სიღრმეს და სიმაღლეს, თუკი ცოცხალ გარემოში, მთქმელ-მთხრობელთა შორის, ყოფით მოვლენებთან განუწილველ კავშირში არ ეზიარა მას.

გამოუსწორებელ სკეპტიკოსებს, ვინც ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს, რომ ამოთავდა, ამოილია ზეპირსიტყვიერი რეპერტუარი და მოსახელ-მოსაძიებელი აღარაფერია, უწყინარი ჩაღიმილებით დაამშვიდებდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოაპაექრე გონიერი კაცი აღმოჩნდებოდა, მყარად არგუმენტირებული მსჯელობით დააჯერებდა მისი აზრის უზუსტობასა თუ უმართებულობაში...

მძვინვარე ზამთრის სადაგი დღეა, 1979 წლის 29 იანვარი.

ფოლკლორული ექსპედიცია, შვიდი თუ რვა კაცის შემადგენლობით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში მიემგზავრება. ორთაჭალის ავტობუსების სადგურიდან თეიმურაზ მაღლაფერიძე (არაჩვეულებრივად თბილი, ცრემლით გაჟღენთილი და ტკივილით გაჯერებული წერილი რომ მიუძღვნა მოულოდნელად დაღუპული მეგობრის ხსოვნას და მალე თვითონაც მისი ბედი გაიზიარა) გვაცილებს. „ნაბახუსევი" ჩანს და „ჩამჭრელ" კითხვებს გვისვამს: – რაა, ამდენი კაცი ერთ ზღაპარს რომ დასდევთ, იმასაც რომ დაიჭერთ, მერე რაღას იზამთ? – გავუშვებთ და დავიჭერთ, გავუშვებთ და დავიჭერთ! – არ უგვიანებს იურა პასუხს...

ჭვარტლიანი მიწურების ბინადართა შორის ეგულებოდა საკრალურ საიდუმლოებათა ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ისეთი საბადო და სახიზარი, ერთი და ორი თაობის მონდომებული მცდელობა რომ ვერ ამოწურავდა, ვერ მოითავხელებდა. არ ცდებოდა: რამდენიმე წლის „ ჩაგდებით" რომელიმე სოფლისა და ხეობის განმეორებით „დალაშქვრას" თან სდევდა ახალ-ახალი ან მანამდე ნაკლებადცნობილი მასალის მიკვლევით გამოწვეული პროფესიული სიხარული და შინაგანი კმაყოფილება..."ვეფხვისა და მოყმის" აუარებელი ვარიანტი ჰქონდა ჩაწერილი. შესანიშნავი გამოკვლე-

ვაც დაგვიტოვა ამ უბადლო მითოსურ სამყაროზე და მაინც უკმარობის, ნათქვამ-ნაფიქრალით აღუვსებლობის, მეტის მოპოვებისა და შედევრის ყოველი სიტყვის, ყოველი ტაეპის გამონვლილვით განჩხრეკის, განსჯის, გაშიფრვის მძაფრი განცდა არ ასვენებდა...

აფასებდა მახვილგონიერებას და თავადაც მოსწრებული თქმისა თუ იუმორის თანშობილი უნარით გახლდათ დაჯილდოებული.

დაძაბულ სიტუაციას უხმაუროდ განმუხტავდა და გაანეიტრალებდა. საშაროდ ატეხილ მოქიშპეებს ისე გააშველებდა და დააშოშმინებდა, არცერთს თავი დამცირებულად და დამდაბლებულად არ ეგრძნო.. ერთხელ, ჯუთაში, ჭირის სუფრაზე, მეზობელი მეზობელს აუხირდა: შავშუაღამეს ჩემი სახლის გვერდზე რომ გაიარე, რატომ ხმაურობდი, ძილი გამიფრთხე და არ მომასვენეო. აგე, ლექტორი კაცია და რად არ ხმაურობს!... საქმე საგულისო უთანხმოებამდე მივიდა და რომ არა იურას ხათრი და პატივისცემა, თანასოფლელები ხათაბალაში გაეხვეოდნენ.

სოფლის ზედმეტად შეწუხების უფლებას თავს როგორ მისცემდა! ზაფხულში მზისგან გადახუნებული კარვები იყო ექსპედიციის მონაწილეთა საიმედო თავშესაფარი. დასახლების განაკიდეს დაცემულ კარვებში ათენ-აღამებდნენ ამგვარ ყოფაში ჯერაც უცადი მისი „შეგირდები". 1976 წლის ივლისის თვეშიც ქვეთა მიედანზე, ჩემი სოფლის ზემოთ, დაიდეს ბინა. ხიდისყურიდან ქვეთა მიედნამდე მუხლის მომკვეთი აღმართია და მახსოვს, როგორ მოძღვრავდა იურა აქოშინებულ გოგონებს (მედეა ჯაიანს, ნანა თავართქილაძეს, ნონა თამასხანოვს, ვენერა მამაცაშვილს, ნანა მინდორაშვილს და ნინო არჩვაძეს):
— ღრმად ჩაისუნქეთ, ოღონდ ამოსუნქვა არ დაგავიწყდეთ!...

დროის მოკვლის, უქმი უმოქმედობის მტანჯველი მდგომარეობიდან გამოსვლის მისეული მეთოდებიც ორიგინალობით გამოირჩოდა.

კარვის კარებთან ვისხედით, ვისვენებდით. მზე დაუნდობლად იკბინებოდა. ნიავიც არ იძეროდა არემარეზე. აღარ ვიცოდით, რა გვეკეთებინა, რითი შეგვექცია თავი... იურამ დიდ რუვზე მიუთითა ბეჟან ხარაიშვილს (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!) : — ხომ ხედავ ნაკადულს, კალმახით სავსეა, სოფელში ჩადი, ანკესი იშოვე და აბა,შენ იცი, უკან ხელცარიე-

ლი არ მოხვიდე...ბეჟანი ბავშვივით დამჯერი და მიამიტი ბუნების იყო, ჭკუაში დაუჯდა ხელმძღვანელის წინადადება და თავქვეზე დაეშვა. სათბილოვანას გორზე რომ გაჩნდა მხარზე ანკესის ჯოხგადებული, სიცილი აგვიტყდა. გზადმიმავალს ცხენოსანი ხევსური რომ არ შეჰყროდა და წყალი არ გადაეწურა, რის კალმახი, დიდრუ და კალმახი ვის გაუგიაო, ბეჟანი იმ დღეს დიდრუს ხევში დააღამებდა...

არხილოსკალოში ჩასულებს საშუალო სკოლის პარტახი შენობის ფიზკულტურის დარბაზში მოგვიწია პირველი ღამის გათენება. საწდით ღვინო მოგვართვეს და დამხვდურებთან ერთად გვიანობამდე გაიბა სერობა. დავიშალეთ და საძილე ტომრები იატაკზე გავშალეთ. კონსერვის ქილებით და სხვა წვრილმანით გაძეძგილი ზურგჩანთები სასთუმლად გამოვიყენეთ. — თავდადებულნი ვართ! — თქვა იურამ და თავი ხმელ, მოუხერხებელ სასთუმალზე დადო. რასაკვირველია, ჩვენც მივბაძეთ...არხილოსკალოდან წამოსვლის წინა დღეს ივანე წიკლაურმა მიგვიპატიჟა ხინკალზე. ძელგი ღვინო გვასვა და გული გახსნა. ფანდურზე იმღერა და გაიხსენა სიჭაბუკის წლები. მისი საუცხო ლექსის „რამ დამაბერა" პირველი მსმენელები და შემფასებლებიც ჩვენ (იურა ჯაფარიძე, თინა ჩხაიძე, ხათუნა ჩხეიძე, ნინო დეკანოიძე, ბაბუა ალუდაური, ნოდარ გრიგალაშვილი და მე) გახლდით; ჩვენვე ჩამოვიტანეთ თბილისში ამ ლექსის ხელნაწერი (ეს იყო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული გახმაურებული ხალხური პოეზიიის პირველ საღამომდე ორთვენახევრით ადრე...)

შეუმცდარი ალღო ჰქონდა: დროის ცხავში გატარებულ ხალხური პოეზიის პირმშო ნიმუშს მყისვე, ერთი მოსმენითა და გადაკითხვით გამოარჩევდა სუროგატისგან, ინდივიდუალური ავტორის უნიჭო ნამოღვაწარისგან. თავი რომ დავანებოთ პოეტური ფოლკლორის სახეობრივ სისტემას, ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპთა ვარირების პრინციპს რომ ეფუძნება და ამ ნიშნით მკვეთრად განსხვავდება წიგნიერი პოეზიისგან, თვით კილო და ინტონაცია, გნებავთ, ტაეპის უმცირესი ნაკვთი, ისეთ მკაფიო თავისებურებას სძენს „კოლექტიური" აზროვნების თვითმიერობით აღბეჭდილ პოეტურ ქმნილებას, გაწაფულ თვალსა და უტყუარ სმენას უმალ რომ ეცნობა და არაფრისდიდებით მოჩხრიალე ბამბაში არ აერევა...

უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის წარჩინებულ-

მა სტუდენტმა სადიპლომო ნაშრომის შავი პირი წარუდგინა იურას. თავის თეორიულ დებულებათა განსამტკიცებლად საილუსტრაციო მასალა არ ჰყოფნიდა და ალაგ-ალაგ თვითშემოქმედების რამდენიმე მომცრო ნიმუში ჩართო. საქმე ეხებოდა „ შემომეყარა ყივჩაღის" ვარიანტებს. იურამ გულდასმით ჩაიკითხა ნამუშევარი, ჩაიკითხა და მაშინვე მიხვდა სტუდენტის ოინბაზობას. ისე, რომ არცკი დაფიქრებულა, ბოლოში მიაწერა: „აქეთ მე ვკვდები სიცილით, იქით კიმოთე კვდებაო, იმერეთსა და კახეთში ე, რა ამბები ხდებაო!" უწყინარ ტყუილში დაჭერილი კიმოთე იძულებული იყო, ხელახლა გადაეხედა საკუთარი ნაშრომისათვის და გაეთვალისწინებინა ხელძღვანელის მიერ ლექსად გამოთქმული შემმუსრავი შენიშვნა.

80-იან წლებში, როცა ცხოვრება შედარებით უშფოთველი იყო, ხელფასი თუ სტიპენდია ყველაფრად გვყოფნიდა და მგზავრობის საზღაურის პრობლემა დღევანდელივით არ გვაწუხებდა, ბარში მიმოფანტული მთიელები, ასე, მაისის დამლევს, ხევსურეთს ვეწვეოდით ხოლმე და ღამესაც იქვე, არაგვის პირას, კოცონთან ვათევდით.

სტუმართა შორის, ვისაც წინა დღეებში ვატყობინებდით მთაში გამგზავრების თარიღს, ერთ-ერთი პირველთაგანი მუდამ იურა გახლდათ. მას ხომ არაგვის ყოველი ხელახალი ხილვა ერთ სიცოცხლედ უღირდა!

ჩარგლისკარ შეჩერება და ფშავის ლეგა მთებისთვის, სასოვეთთავისა თუ საყორნისთვის შორიდან თვალის შევლება უკან მოტოვებული ზავთიანი ზამთრის ჭირ-ვარამს გვავიწყებდა და, მშვენიერი მძლევარის დარად, მზისგულზე გამოშლილი იებისა და ენძელების მორცხვ მზერაში ჩახატულ გაზაფხულთან შესაყრელად გვიხმობდა, გვეწეოდა.

.....

ღამე გადნა, გახუნდა და დაწმენდილი ცის უვრცეს კალთაზე უმწვანილო მთათა კონტურები მოიხაზა. დაძინებას რაღა აზრი ჰქონდა. ზოგს ემარჯვა და დაკვლადქცეულ კოცონთან მიმხარგვერდებული მშვიდად ფშვინავდა.

— გზიან სიტყვას გეტყვით, ვაჟებო, — განზე გაგვიხმო იურამ, — ავიდეთ ხახმატში, ვეძა დავლიოთ და მალევე დავბრუნდეთ!

უძილობის გაფანტვის ამაზე უკეთესი საშუალების მოფიქრება შეუძლებელი იყო.

საკუთარი ავტომანაქანის საჭეს მიუჯდა.

სამნი დავემგზავრეთ...

ნელ-ნელა თენდებოდა.

მაღლა მივიწევდით და სიცივე მატულობდა.

ჭირხლიან გზისპირზე დაფეთებული ღამის უფორმო ჩრდილები გადარბოდნენ.

გუდანისა და ჭიე-ძეძეურთის ძილბურანიდან თავდაღწეულ მთებზე ლილო-ჭრილო ჭრიდა თვალს.

მთელი გზა, კორშადან ხახმატამდე, იურა ყუჩი ხმით ღიღინებდა. წამით გაწყვეტდა აკვიატებული „სიმღერეს“ სტრიქონს („ღულის ძირ ღულელ ვაჟებსა..."), გადმოგვეძრახებოდა და კვლავ ღიღინს აგრძელებდა... მას მერე ისეთი „ლაღი და უკადრი“, თავდაუოკებლად კმაყოფილი, მხნე და მოსულფონებული აღარ მინახავს.

ავედით ხახმატში და, ვეძა ვიღას ახსოვდა, ბეწინა ალუდაურის ოჯახს შევეხმიანეთ.

ველკეთილიდან მონაბერი გამჭოლი ქარი ძვალ-რბილში ატანდა.

– აგე, ხელის გაწვდენაზეა სიკვდილი! – როხროხებდა მიხა არაბული და დათვის ტორივით ღონიერ ხელის მტევანს ღნიოში კარებისკენ იშვერდა.

მონატრებულ გარემოში მოხვედრილი იურა მთაში კვალკეთილი გაზაფხულის მობრძანებას ლოცავდა („როს რა მაგვივას ზაფხული, მწვანე გაებას ჭალებსა“, – ნატვრით ნათქვამი ეს ორიოდე ტაეპიც მისი ფოლკლორული რვეულებიდანაა)...

გიორგი ნაღვარმშვენიერის და სამძიმარ-ხელი-ყელღილიანის მადლიანი კალთა გვფარავდა, მათით გვემართებოდა ხელი. თვალმარგალიტივით მოელვარე დაუვიწყარ დღეთა კრიალოსანს კიდევ ერთი შნოიანი, შინაარსიანი დღე ემატებოდა.

უმთენარო ზამთრის ამ ცივ, ქარიან ღამეში წარმოსახვით ისევ იქ ვარ, იქ, გუდანის ჯვარის მიდამოებში, ფარღალალა ფინური სახლის ჭერქვეშ...

თუნუქის ღუმელში რცხილა იწვის, ტკაცუნობს და წითლად ღვივის.

თბილა.

სოფლის რამდენიმე მოსახლე გვეწვია და ჟიპიტაურს ვუსინჯავთ ჭაშნიკს...

გვიან, წლების მერე წავაწყდი საარქივო მასალებში იურას

იმდღევანდელ ჩანაწერს – ჩემი და ერთი გუდანელი კაცის დიალოგს, დიალექტური ნორმების თვალსაზრისით უნაკლოდ შესრულებულს...

გარეთ თოვს. ხეობაში თვალშეუვალი ბურუსი ბურბურებს. ფანტელები ისე მშვიდად, რბილად და უდარდელად ეშვებიან დაბლა, თითქოს ეს ქვეყანა, ცოდვა-ბრალით დამძიმებული მიწა, ანგელოზების გარდა არავის ეხილოს...

ბისოდან გიგო ქეთელაურმა ჩამოგვაკითხა.

ვატყობთ, სოფელში საქმე მიზეზად მოიდო, თორემ სინამდვილეში ჩვენთან ჩამოსვლა და წლების წინ გაცნობილი იურას ნახვა ჰქონდა განზრახული (ცოტა ხანში უთხრა კიდეც, ისე როგორ უნდა დაბრუნებულიყავი ბარში, ერთმანეთს არ შევხვედროდითო).

თოვლით ამოქოლილ, გამოუამყრუებულ არაგვის ხეობაში, ტკბილმოუბარ კითხულ კაცთან შეხვედრა არასდროს დაგავიწყდება, მითუფრო, თუკი ყდაგახუნებულ ფოლკლორულ რვეულებსაც აქამდე შემოუნახავთ იმ დღეების სუნთქვა და ნახმევი...

ბაჭყურა ჭინჭარაულის თანხლებით მე და პაატა ვეშაპიძე გუდანიდან გორშელმაში მივდივართ. მთელი დღე წინ გვიდევს და შემგლისფერებულზე კვლავ უკან გადმოსვლა „გეგულავ".

წასვლის წინ იურას ვუთხარი, საღამომდის-მეთქი! შემომხედა და ჩუმად ჩაიუბნა: ხვალ საღამომდის!

ასეც მოხდა. არც ამჯერად უმტყუნა გუმანმა. გორშელმიონებთან სტუმრობა მართლაც „ძვირად" დაგვიჯდა და ჩვენს მეგზურთან ერთად მეორე საღამოს დავბრუნდით გუდანში.

ვისაც იურა ჯაფარიძის ვრცელი ფოლკლორული ნარკვევი წაუკითხავს, უსათუოდ დამემოწმება, რომ იგი გამოირჩეოდა უზადო მხატვრული გემოვნებით, სიტყვის განცდის თანდაყოლილი მადლით, თანმიმდევრული თხრობის ღვთივბოძებული ნიჭით და ულევი შემოქმედებითი შესაძლებლობებით. და თუკი ნაკლებად, ერთობ მომჭირნედ წერდა და აქვეყნებდა, ესეც მის ღირსებას და პასუხისმგებლობის გამძაფრებულ გრძნობაზე მეტყველებს.

კალმისთვის ხელის მოკიდების და სუფთა, ხნულგაუვლებ ფურცელთან განმარტოების მორალური უფლების მოპოვება, გარკვეული აზრით, თვითგანწმენდისა და ზნეობრივი სრულყოფის აქტთანაა დაკავშირებული და, მიუხედავად იმისა, რომ კრისტალივით სუფთა, შეუბღალავი სინდისისა და პა-

ტიოსნების განმასახიერებელი პიროვნება იყო, მისი ინტელექტუალური პოტენციალის კვალობაზე, მაინც ძალზე ცოტას წერდა... სამეცნიერო ხარისხებისა და რეგალიების უსიტყვო უარყოფაც, საყოველთაო წამბაძველობისა და კარიერის კეთების ეპოქაში, ნაკლად კი არა, მისი ბიოგრაფიის, პიროვნული ხასიათისა და ბუნების ნათელ, პოზიტიურ ნიშნად აღიქმება დროის გადასახედიდან..." ხუცობანის სიტყვათ ჩაწერიება არ შეიძლების!" – უთქვამს მისთვის გუდანის ჯვარის ხუცესს და თითქოს ამ ტევადი ფრაზის გაშინაგანების შედეგიც გახლდათ ის, რომ იურამ სხვაზე უკეთ იცოდა: საკვლევი საგნისა თუ საკითხის გულისგულში წვდომის გარეშე საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა დილეტანტიზმთან იქნებოდა წილდებული და ბევრს ვერაფერს შემატებდა ვერც ავტორს და ვერც მკითხველ საზოგადოებას.

მის ძირძველ (უყვარდა ეს გამოთქმა!) ოჯახში წიგნის ნამდვილი კულტი იყო (იშვიათად შეხვდებოდით ქართული თუ, საერთოდ, მსოფლიო კლასიკური მწერლობის ალიოშა ჯაფარიძეზე უკეთეს მცოდნეს) და, რა გასაკვირია, თუკი მასშიც ხატოვანი სიტყვის უზომო სიყვარულის გაუნელებელი ცეცხლი ღვიოდა. გარეგნულად არ ეტყობოდა, თორემ ისე, თავისი სულიერი წყობით და „ფიზიონომიით", მუდამ სევდიანი განწყობილებებისკენ გახლდათ მიდრეკილი. ლექსიც ასეთი ერჩია: ტანჯვის ტევრში გამოვლილი ადამიანის არსისეული სახის ამრეკლავი და უკუმფენი...

ჩოხში ვიყავით. გოდერძი ჩოხელის ორსართულიანი სახლის აივანზე იურა მოაჯირს მიყრდნობოდა, „პრიმას" ეწეოდა და ათნოხისკენ იყურებოდა... შემოდგომის მშვიდი, ფოთოლფენილი დღე იდგა. ბურსაჭირის ხეობიდან ცხვრის ფარები ჩამოდიოდა და მდინარის ნაპირას, რიყეზე ტბორდებოდა. ხანმოთეული ტყის ფერადები იტაცებდა მზერას...

– სიცოცხლე გასაწყინარდა! – მოულოდნელად წარმოთქვა იურამ ქაჯეთს გათხოვილი დავარის ცნობილი სიტყვები და თითქოს მის იმწამიერ ფიქრთან თუ სულიერ მდგომარეობასთან საერთო არაფერი ჰქონოდეს ამ ნათქვამს, ხაზგასმულად შენელებული, ხაოწაკიდებული ხმით დაასრულა „ვეფხისტყაოსნის" სახიერი სტროფი: „დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა..."

მისი გონება ცხადლივ ჭვრეტდა ადამიანთა ამქვეყნიური

ყოფის უშეღავათო სიმძიმეს, სიძნელეს; ჭვრეტდა ნაპრალს, კაცებრივ სურვილებსა და მათი შესრულების შესაძლებლობებს შორის რომ დაეფჩინა ხახა... გორისპირ მოციალე ცისკრის ვარსკვლავს იმედის თვალით უყურებდა... ის ვარსკვლავიც მიქრა, მიიბუტა... უქონლობით შეჭირვებული, უკეთურებათა ზეობის მონმე და მხილველი უცხო ხედვისთვის შეუმჩნევლად წუხდა, წყრებოდა, იტანჯებოდა...

გვიან და ისიც სულ სხვა „არხებით" გახდა ცნობილი (თვითონ ამას ალბათ არასდროს გაამხელდა!), რომ თავდაპირველად ხალხური სიბრძნის მე-4 ტომში, ხოლო შემდგომ ქართული ხალხური პოეზიის მე-7 ტომში, წუთისოფლის ციკლში, წარმოდგენილი ლექსი „დარდისას გეტყვი" იურა ჯაფარიძეს ეკუთვნოდა. შენიშვნებსა და ვარიანტებში მითითებულია, რომ ლექსი ჩაწერილია 1962 წელს, იურა ჯაფარიძის მიერ, ხევსურეთში. სინამდვილეში იურა ჩამწერი კი არა, ავტორია ამ ნანარმოებისა. და თუკი ფოლკლორულ ნიმუშად „გაასაღა" და კუთვნილი ადგილიც მიუჩინა ზეპირსიტყვიერ კრებულებში, ეს ერთი (თუ არა ერთადერთი) „დანაშაული" კი უსათუოდ მიეტევება! უმთავრესი და განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ის უფროა, რომ ამ ლექსში ძალზე ნიშანდობლივად ჩანს იურა ჯაფარაძის მსოფლხედვისა თუ სულიერი სამყაროს ძირეული ასპექტები... გულში ნადუღ ნაღველს ისევ ლექსის ენამ არგო და უწამლა...

სულეთის ნისლიანი შორეთიდან გამოხმობილი წინა ჟამის გმირთა ცხოვრების მაგალითზე ზრდიდა თავის შვილებს-ჯურხას და ლუკას. პატარაობითვე აჩვევდა და ასწავლიდა ავ-კარგის გარჩევას, უფროს-უმცროსობის დაუწერელ წესს, მოთმინებას, დიდსულოვნებას: დაღლაც უნდა გამოეცადათ და შიმშილიც, სიცივეც და ნავერღვენა ამინდის მუქარაც. ველზე ღამის თევის შნოც უნდა ჰქონოდათ და გულში შეუმჩნევლად შეპარული შიშის ძლევის უნარიც... მარტი იმის გახსენება რად ღირს, თავის დისშვილს, მაშინ სკოლის მოწაფეს, ზაზა დვალს, მუცოს ერთ-ერთ აკლდამასთან ღამე რომ გაათევინა, თვითონაც იქვე, აკლდამის კარებთან მინვა და მიიძინა და ასეთი ორიგინალური, მანამდე არგაგონილი სამახსოვრო „საჩუქრით" მიულოცა დაბადების დღე...

უჩვეულო და უცნაური სიურპრიზები იცოდა. ხანდახან ბუდე ხევსურეთის მკვიდრთაც კი ანცვიფრებდა თავისი უშუალობით, აღმატებული ბუნებრიობით, ფრიად კოლორი-

ტული „სახილებელი" ქცევით და ხასიათით: აბლაბუდაგაბმული ყანნის გამორეცხვაზე უარს იტყოდა და პირველი თვითონ გამოცლიდა ღირსეულ მოყმეთა და სახელოვან წინაპართა შესანდობარს...განუშორებელ სვანურ ქუდს მოიხდიდა, გამოაბრუნებდა და განსხვავებულ სასმისად გამოიყენებდა ჩუმი აღიღინების გუნება-განწყობილებას მიჯრილ, „მოფშავლებულ" თანამეინახეებთან...

1993 წლის მაისში ნაჯაფი დაბრუნდა რაჭიდან. დაბრუნდა და მეზობლის ანაბარა თვეობით მიტოვებული საგვარეულო სახლის სევდა ჩამოიყოლა თან. ფერნაცვალი, ოდნავ გატეხილი და გამხდარი ეჩვენა ნაცნობ-მეგობრებს.

გარდაცვალების წინა დღეს, აუდიტორიაში მყოფი, გულმა შეაწუხა. ფოლკლორისტიკის კათედრას მიაშურა. დიდხანს არც იქ გაჩერებულა: ეტყობა, რაღაც საავო უმისნა გუმანმა, ჩვეულებრივზე ადრე წამოდგა და დერეფანში გავიდა. სტუდენტებმა ტროლეიბუსის გაჩერებამდე მიაცილეს, სახლში გაყოლაც შესთავაზეს, მაგრამ იუარა. დაემშვიდობა და წავიდა. ის ღამე ვეღარ გაათენა, უმტყუნა გულმა, ვეღარ გაუძლო საწუთროს სიავეს...

კათედრის კარი გაიხურა და ასე, ათიოდე წუთის შემდეგ, სკამმა, რომელზეც იჯდა, მტვრევის ისეთი მჭახე ხმა გამოსცა, ოთახში მარტოდ დარჩენილი კათედრის ერთ-ერთი თანამშრომელი ელდამ აიტანა... ასეთი რამ, თუკი ხალხის გამოცდილებას ვენდობით, მაშინ ხდება, როცა რჩეული პიროვნების აღსასრულის ჟამი ჩამოდგება ხოლმე. არათუ ჩვენ, რიგითი მოკვდავნი, თურმე უსულო და უენპირო საგნებიც „გრძნობენ" ღირსებით მორჭმულ კაცთა ამქვეყნიდან გასვლის უსაშველო საშინელებას და მათთვის გასაგები ენით გამოხატავენ გარემომცველი სინამდვილის ყოველ ნაქმნსა თუ ნაშიერთან ადამიანის სიცოცხლის დღემდე აუხსნელ მისტიკურ კავშირს.

ნანამქრულია გზა.

მივდივართ...

ვიტყვით, დრომ ვერაფერი დააკლოო. ეს უფრო ჩვენი სურვილის გამოხატულებაა, ვიდრე სინამდვილის ანარეკლი. დროის დაუნდობელი ხელის უარყოფითი ნიშანი და შინაარსი ხომ იმაში მდგომარეობს, გაახუნოს, გააფერმკრთალოს და, ბოლოს, სულაც წაშალოს წარსულის ხაზები და კონტურები, ნიშანდობლივი შტრიხები და წახნაგები, ერთ დროს სავსე, სახიერი, სახილებელი სურათები და, რაც მთავარია, სახეები, რომელთა დავიწყება, ძალიანაც რომ მოვინდომოთ, შეუძლებელია.

წლები ცხრილავს ხოდაბუნებში მოწეულ უხვ მოსავალს, „პურსა ჩვენი არსობისა“; ცხრილავს, ახარისხებს და თავთავის ადგილს მიუჩენს ბზესა და წმინდის მარცვალს, უმინარევო იფქლსა და ცარიელ, ფშუტე თავთავს...

მამათა თაობის მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა პიროვნული ხიბლი მათ მიერ არჩეული გზისა თუ საქვეყნო საქმიანობის განუხრელ ერთგულებაშიც არის საძიებელი, ვინაიდან მათში იშვიათობდა მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი ზერელე, ზედაპირული, სასხვათაშორისო მიდგომა და გაორება, რაც რამდენიმე „ბატონის“ ერთდროულ და, ამასთან, არასრულფასოვან მსახურებას გულისხმობს.

დღესაც ბევრი იწერება, ივსება ფოლიანტები, ხვავდება წიგნები და მონოგრაფიები, ცალკეული ოპუსები, სტატიები და აქედან, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბევრი ვერ უძლებს დროჟამის გამოცდას, უკომპრომისო შემფასებლის მიუდგომელ, მიუკერძოებელ, ობიექტურ განაჩენს...

პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა ჰქონდათ, დანაპირებს უსათუოდ შეასრულებდნენ, სიმშვიდეს, მოსვენებას, პირად სიამოვნებას მოიკლებდნენ და ბოლომდე მიიყვანდნენ წამოწყებულ სამეცნიერო სამუშაოსა თუ სულიერი მემკვიდრეობისათვის უსაზღაურო დახმარების გრძელ, ხშირ შემთხვევაში დამღლელსა და დამქანცველ პროცესს.

სამაგალითო იყო მათი დამოკიდებულება უმცროსი კოლეგებისადმი, ახალგაზრდებისადმი, ვისი ინტერესის სფერო თავისთავად გულისხმობდა ჩაბეჯითებულ, შეიძლება ითქვას, თავგადაკლულ გარჯას. სხვაგვარად ის შედეგი არ მიიღწეო-

და, რაც, ზოგადად, შესატყვის კრიტერიუმებს უნდა პასუხობდეს და აკმაყოფილებდეს...

ლიტერატურის ინსტიტუტში მისვლისთანავე (ჯერ ასპირანტურის კურსი, ხოლო შემდეგ მეცნიერ-თანამშრომლის შტატი) დამებედა ის პოზიტიური გარემოცვა და გულღია ადამიანური ურთიერთობები, რაც მომავალი წარმატებისა თუ ნაბიჯის წინწადგმის წინაპირობა და სანინდარია. და, მიუხედავად იმისა, რომ ვიწროპროფესიული გაგებიდან გამომდინარე, საგანგებო სიახლოვე არ უნდა მქონოდა, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება, დღემდე მისი გარდაცვალებისა, ყოველთვის კეთილმოსურნეობისა და მამაშვილური სიყვარულის ურღვევი ნიშნით გამოირჩეოდა და გრძელდებოდა.

ბატონ რევაზ ბარამიძეზე მოგახსენებთ. ის არ გახლდათ მხოლოდ ოფიციალური მზრდელი და მასწავლებელი. ასეთნი ისედაც მრავლად იყვნენ (და არიან დღესაც!). არც არასდროს თავისი კვალიფიკაციის პირობით საზღვრებში „გამოკეტილა". აწუხებდა და წერდა კიდეც ქვეყნის სულიერი ცხოვრების სფეროში გაჩენილ სავალალო სიმპტომებზე. რაც არ მოსწონდა, პრესასა თუ სატელევიზიო გამოსვლებში აფიქსირებდა და გმობდა საჯაროდ. განსაკუთრებით მძაფრად განიცდიდა აზვირთებული ეროვნული მოძრაობის პერიპეტიებს და იმათ ყოფნას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ავანგარდში, ვისაც, როგორც იტყვიან, მოსავლელად და საპატრონოდ ერთი ბატიც არ ჩაჰბარდებოდა.

მახსოვს, როგორი მღელვარებით, მხურვალე მამულიშვილის გულისტკივილით ახასიათებდა და აფასებდა ხოლმე საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში ჩვენ „კეთილმოსურნეთა" მიერ წამოწყებულ ანტიქართულ საქმიანობას (მისი ვაჟი იმ დროისათვის ყველაზე ფეთქებადსაშიში კუთხის გუბერნატორი გახლდათ და ამ გარემოების გამოც იყო ბატონი რევაზი საქმის კურსში). იცოდა, რომ წაყრუება, უამური მოვლენების მიჩქმალვა და მიყურისძირება მწარე ნაყოფს გამოიღებდა და ჯობდა, თავშივე ადეკვატურად გვეფიქრა და გვეზრუნა ვითარების გამოსწორებაზე.

„მოჩქარე" გახლდათ, მაგრამ, საპირისპიროდ ანდაზური თქმისა, არსად არასდროს „მოჰგვიანებია". მკაცრად იყო „გაწერილი"

მისი სამუშაო დღის გრაფიკი... სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის სამუშაო ოთახის კარს შემოაღებდა, შემოიხედავდა და ტელეფონზე (მაშინ მობილური სიზმრადაც არ გექონდა ნანახი!) დარეკვის „ნებართვას" ითხოვდა... შეიტყობდა, რომ ოჯახში ყველაფერი რიგზე იყო და რამე სახუმაროს იტყოდა.

ეთქმოდა „სიტყვა საქმიანი"; უყვარდა „საქმე სიტყვიანი"... ეთაყვანებოდა ძველ ქართველ მწერლებს. ითვალისწინებდა მათ ნააზრევს. ზეპირად ციტირება, როგორც მახსოვს, მაინც დამაინც არ ხიბლავდა, მაგრამ მის საუბარში ყოველთვის ჩანდა სულმნათი წინაპრებისადმი სიყვარულიანი მიმართება, კრძალული დამოკიდებულება...

დღემდე გამორჩეულად მიყვარს და მეძვირფასება რევაზ ბარამიძის წიგნი „ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან" (თბ., 1966), რომელიც, თუ არ ვცდები, ლიტერატურის ინსტიტუტის გადაღმა მდებარე ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში შევიძინე. წიგნის ერთ-ერთი თავის სახელდება „ფოლკლორული ელემენტები ადრეულ ქართულ პროზაში" ცხადლივ მიანიშნებს საკითხთა იმ წყებაზე, რომელთა არგუმენტირებული განხილვა ბუნებრივად მოითხოვს ღრმა განსწავლულობას მხატვრული შემოქმედების ორსავე სფეროში – სიტყვაკაზმულ მწერლობასა და ზეპირსიტყვიერებაში. აქ პირადად ჩემთვის დიდად ფასეულია რამდენიმე დაკვირვება და პოსტულატი, რომელთა გაცხადება, რასაკვირველია, ერთობ შრომატევადი კვლევა-ძიების ჩატარებას საჭიროებდა... დამწყები თუ დამსახურებული მეცნიერი, ვინც მოისურვებს ფოლკლორულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა სიღრმეებში ჩახედვას, გვერდს ვერ აუვლის რევაზ ბარამიძის ზემოდასახელებულ ნაშრომს, ამოსავალი დებულება – „აგიოგრაფიული მწერლობა, მიუხედავად თავისი ჟანრობრივი სპეციფიკით განსაზღვრული ერთგვარი კანონიკურობისა და თითქოს უაღრესი წიგნურობისა, მაინც განიცდიდა ხალხური სიტყვიერების ძლიერ გავლენას" – ორმხრივ ურთიერთგავლენათა კანონზომიერებაში წვდომის ნათელი მაგალითია. დიდძალი ფაქტობრივი მასალის მოძიებისა და ანალიზის გზით ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რა მისია აქვს შესრულებული უბრალო, წერა-კითხვის არმცოდნე ხალხის ზეპირსიტყვიერ

რეპერტუარს ძველი ქართული მწერლობის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების საქმეში...

ბატონი რევაზი შეწუხებულიც მახსოვს და სიხარულის სხივით სახეგანათებულიც. მოსატკივრე იყო თანამშრომლების ძნელბედითი ყოფისა. სიცოცხლის სილამაზეს აგრძნობინებდა და უსამმაგებდა სასიამოვნო ამბის გაგება... ვერ ეგუებოდა ადამიანთა უღირს საქციელს. აფიქრებდა მავანთა დაცემა და გამოცარიელება...

არეულობის წლებია; ის დროა, როცა ნაცრისფერი ჭარბობს შინ და გარეთ, დედაქალაქში და რეგიონებში. ბატონმა რევაზმა აგარაკზე – ბურიანში მთხოვა წაყოლა. იმწამს დავთანხმდი. მანამდე არ ვიყავი ნამყოფი და მოვიხიბლე ბურიანის ადგილმდებარეობით („ბურიანი" – დახატული ცისარტყელის აკვარელითო", რომ წერს ელგუჯა მარღია, ამ სიტყვებში გადაჭარბებული და, მითუფრო, გაზვიადებული არაფერია). გზა იყო საკმაოდ რთული, ნიაღვრისგან ჩარეცხილი. რომ არა „ნივა", გაგვიჭირდებოდა ასვლა. გზაზე თუში კაცი, ეკონომისტი დომენტი მოურავიძე შემოგვხვდა. ხრამებსა და ორმოებს ქვამიწით ავსებდა... ავაღწიეთ მაღლობზე. თვალწარმტაცი ხედები იშლებოდა ტყიანი მასივის იქით. ღობეებს ახვეული ველური ვარდი ფერწერული ტილოს ფრაგმენტს წააგავდა...

ერთი წლის უნახავი კოტეჯური ტიპის სახლი სავალალო მდგომარეობაში დაგვიხვდა: შემტვრეული კარი, ჩალეწილი მინები, შელახული ჭერი და კედლები, იატაკი ხომ მთლად ნაომარს დამსგავსებოდა. არაფერი თავის ადგილზე აღარ იყო; არც მაგიდა და სკამები, არც საწოლები და წიგნის კარადები. ერთი სიტყვით, სულმოკლე მძარცველებს წასაღები არ ეკმარათ და ერთიანად აეკლოთ და აეოხრებინათ იქაურობა... რა უნდა მეთქვა, რომ ბატონი რევაზის მდგომარეობა ცოტათი მაინც გამექარვებინა. შემატყო, რაც მჭირდა და აქეთ მანუგეშა: საცოდავია, ვინც ეს ჩაიდინა. ასეთი კაცი სხვათა ქონებას კი არა, თუ დასჭირდა, საკუთარი ოჯახის წევრებსაც არ დაინდობს. აი, სადამდე შეიძლება წავიდეს პირუტყვებად ქცეულ ორფეხთა წახდენა და გათახსირება!..

წინაღამის ნაწვიმარ გზაზე მწვანე „ნივა" გამოჩნდა. დაგვინახა მძღოლმა და გააჩერა. – კობა ფიცხელაური, – გამაცნო

ბატონმა რევაზმა, – ზამთარშიაც ამოდის ხოლმე, მაგრამ მარტოკაცია და რა ქნას, ერთი კაცის ძალისხმევა ვერ ჰყოფნის აქაურობის დაცვასა და შენარჩუნებას...

შენობების უმეტესობა მიუსაფრად გამოიყურებოდა. შედარებით დაუზიანებლად იყო გადარჩენილი თევზაძეების, შარაძეებისა და ბარდაველიძეების სააგარაკო სახლ-კარი.

დანაღვლიანებულნი წამოვედით. ნანახმა გუნება წაგვიხდინა. ბატონი რევაზი მატერიალურ დანაკარგზე კი არ ჩიოდა, იმათი ბედი და მომავალი აფიქრებდა, ვინც ყოველივე ეს მოიმოქმედა...

ერთ ზაფხულს, მაშინ ბატონი რევაზ ბარამიძე 80-ს უახლოვდებოდა, – ბორჯომის ბაზარში შევხვდით. მეუღლესთან ერთად სოფელ ლიკანში ისვენებდა... გაიხარა. ყმანვილები ვის დაუტოვეთო, გვკითხა... ეთერისთვის კომპლიმენტი არც ამჯერად დაუშურებია... ბორდიურისმაგვარ შემაღლებაზე დავსხედით. კაიხანს ვისაუბრეთ. ასაკის კვალი დამჩნეოდა. ამისდა მიუხედავად, მსუბუქ იუმორსა და უღირსთა უწყინარ ქირდვას მაინც ვერ ელეოდა. დიდი სიყვარულით დავემშვიდობეთ და დავშორდით ერთმანეთს... მახსოვრობა თუ არ მღალატობს, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა.

2018 წ.

დავით გოგოჭური

ბატონ დავითთან გამომშვიდობების დღეც დადგა.

ეს დღე თანდათან ახლოვდებოდა; ვიცოდით, რომ ძალთა კლების მოურჩენელი სენი მორეოდა, მაინც ძნელი იყო მის უიმედო, უნუგეშო, უსალბუნო ბედზე ფიქრი... ძნელი იყო არა მხოლოდ წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, არამედ იმის გამოც, რომ ბატონი დავითი, თავისი საინტერესო ბიოგრაფიით, ცხოვრების ნირით და მუშაობის მანერითა თუ მეთოდებით, ლიტერატურის ინსტიტუტის მესაძირკვლეებთან ასოცირდებოდა, მათი მოწაფე და უმცროსი მეგობარი, მათი მიერ გადებული გზით მავალი და თანამოაზრე გახლდათ...

ამჟამიერ ყოფასთან, დღევანდელობის სულისკვეთებასთან, ცივილიზაციის მღვრიე ნაკადებისგან წალეკილ და სულიერი ფასეულობებისაგან გაღარიბებულ ეპოქასთან ნაკლები საერთო და სიახლოვე ჰქონდა. მდარე, უდღეური, ზედაპირული ნოვაციები მას არაფრად უღირდა. მთელი თავისი არსებით წარსულისკენ იყო მიდრეკილი, პირმიქცეული. ისტორიულ წყაროებსა და წყალუხვ მდინარესავით ღონიერი ზეპირსიტყვიერების უსიერ ტევრში პოულობდა პირადი სიმხნევის იმპულსებს, ქართველთა ქცევის ნორმებს, ზნეობრივი სიმაღლის წარუვალ მაგალითებს, მშობელი ერის ღვთით მომადლებული ნიჭიერების უტყუარ დასტურს... თითქოსდა ძველი დროის, სხვა საუკუნის, ახლანდელზე ბევრად უკეთესი ათწლეულების კაცი გახლდათ, კარგი მოუბარი, მეანდრეზე, მერჯულე და მოძღვარი... მისი ცოდნა იყო მყარი, საფუძვლიანი, ბუნებითი ნიჭიერებისა და შრომისმოყვარეობის დუღაბით შეკრული. ამიტომაც არასდროს გასჩენია სურვილი ქვეტექსტებით საუბრისა, მაღალფარდოვანი მეტყველებისა, ქართულისთვის უცხო და მიუღებელ სიტყვიერ საბურველში საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევის მოქცევისა... წერდა სადად, გასაგები ენით, ღრმად და გააზრებულად. ბატონი დავითის ყოველი წიგნი, წერილი თუ ცალკეული გამოკვლევა საკითხის სიღრმისეული ცოდნის და სრულყოფილების ნიშნითაა აღბეჭდილი...

60-იან წლებში ჩატარებული ერთობ ნაყოფიერი ფოლკლორული ექსპედიციების შეუცვლელი წევრი და მონაწილე, ხოლო შემდგომ ხალხური პოეზიის მრავალტომეულის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მეოხი გახლდათ. ზეპირად ნათქვამი და

გავრცელებული ლექსის ყოველ ნიუანსს შიგნიდან ხედავდა, უშეცდომო კვალიფიკაციას და შეფასებას აძლევდა; მცნობის უცნაური უნარის მეშვეობით არჩევდა ერთმანეთისაგან ნამდვილს და ნაყალბევს, ნაღდს და სუროგატს... ამაზე მეტყველებს მისი გამოკვლევები მითოლოგიის სფეროში, მოყმისა და ვეფხვის ბალადაზე, ფოლკლორული სანყისების წილსა და ადგილზე ილიას, ვაჟას, მიხეილ ჯავახიშვილისა თუ გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში... თითოეულ სიტყვას საგულდაგულოდ შეამოწმებდა, შეისწავლიდა, გასინჯავდა, ფესვამდე ჩაჰყვებოდა და მხოლოდღა ამის მერე მისცემდა თავს კატეგორიული ტონით გაჯერებული დასკვნების გაკეთების უფლებას...

თავადაც მათიენ მსგავსი და ბადალი, ერთთავად „წინა ჟამის" ქველსა და სახელოვან გმირებზე ფიქრობდა, მათ ლანდებს ესიტყვებოდა. მამულისა და პირადადამიანური ღირსების დამცველ მეომართა ყოფა-ცხოვრების მართალ სურათებს აღადგენდა, მათ ჩრდილმიუკარებელ სახეებს ძერწავდა... ხოგაის მინდისთან, თორღვა ძაგანთან, ხირჩლა ბაბურაულთან, მამუკა ქალუნდაურთან თუ მარტია მისურაულთან წარმოსახვისმიერ სიახლოვეში გაცილებით კარგად გრძნობდა თავს, ვიდრე თანადროულ საზოგადოებაში. იქ მეტი სინათლე, სიმართლე და სინდის-ნამუსი ეგულებოდა...

პირად ურთიერთობებშიც ისეთივე უშუალო და შინაარსით სავსე გახლდათ, როგორც თავის ნაწერებში, წიგნებში, სამეცნიერო ნაშრომებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში...

ბოლო ხანს აშკარად დაეტყო წელთა სიმძიმე, სიმკაცრე, მოკვდავთათვის თანმდევი დაღმასვლა და დაძაბუნება. მშობლიური ინსტიტუტისკენ მიმავალი მისი გზაც ერთგვარად მოინისლა და გადასხვაფერდა, ესეც ჩვენი უშეღავათო დროის ულმობელი განაჩენის გამო მოხდა. და მიუხედავად ფიზიკური სიმშორისა თუ სიახლოვისა, ბატონი დავით გოგოჭური მუდამ იყო არა მარტო ფოლკლორის განყოფილების, საერთოდ, ინტიტუტის ერთი უთვალსაჩინოესი ბურჯი და საყრდენი... და ერთი წამითაც არ გვტოვებს განცდა იმისა, რომ თავისი წონადი წიგნების წყალობით ასეთადვე დარჩება მომავალში.

2001 წ.

დღეს ბევრი რამის მოგონება შეიძლება ერთ განყოფილებაში ყოფნისა და თანამშრომლობის ორი ათეული წლის წიაღიდან და ყოველი მოგონება, დაკავშირებული ქ-ნ ფიქრია ზანდუკელთან, მოსევადებული იქნება ხელთუქმნელი პიროვნული ხიბლის იმ უშრეტი მადლით, გაუნელებელი სითბოთი და შინაგანი სინათლით, მხოლოდ ერთეულთათვის რომ იმეტებს დამბადებელი...

როცა მოღვაწის წაღმა გაელილ გზას გადავაყლებთ თვალს და ვცდილობთ, შეძლებისდაგვარი სისრულით აღვნუსხოთ მისი ამაგი და დამსახურება, როცა დარგის წინამავალ წარმომადგენელთა შორის გვინდა დავიგულოთ და განვსაზღვროთ მისია დგილი, მეცნიერულთან ერთად, პირწმინდად ადამიანურ ღირსება-ნაკლოვანებებზე ჩერდება ჩვენი მზერა და გონსაწიერში შემოდის წარუვალ ღირებულებათა ის სუფთა, შეუმღვრეველი ნაკადი, რომელსაც ვერც სწავლისა და წიგნიერების გზით შეიძენ და ვერც საკუთარი თავის განიადაგებული ზრდითა და წრთობით...

ფიქრია ზანდუკელი გახლდათ განსახიერება თანდაყოლილი ნიჭიერებით, მოუწყინარი შრომისმოყვარეობით, სანატრელი სიმშვიდით, მიმტევებლობის იშვიათი უნარითა და სულიერი მდგრადობით გამორჩეული ქართველი ქალისა, ვინც მუდამ გულით გრძნობდა და თავისობდა ახლობლების, ნაცნობებისა თუ თანამშრომლების სალმობა-სიხარულს.

მას არაფერი ჰქონდა საერთო იმ სნობ მანდილოსნებთან, ცივი ქვის მაღალი გალავნით მტკიცედ შემოღობილი კარმიდამოდან რომ ადევნებენ თვალს მშობელი ქვეყნის წაღმა-უკუღმა ტრიალს, მის თავს მბრუნავ ცოდვა-ბრალის მორევს და ჩალად უღირთ სხვათა ტანჯვა, ტირილი და საწუხარი...

გვახსოვს, როგორ აღელვებდა (და ამ დროს ემოციის დამალვაც უჭირდა!) ამ ათი-თხუთმეტი წლის წინანდელი ქარტეხილები, ბედითად წაწყობილი და წარმართული ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები და მაინც, მიუხედავად წინდაუხედავი სუბიექტივიზმის აშკარა სიჭარბისა ქართულ სინამდვილეში, როგორი შემრიგებლური პოზიციის დაცვით ახერხებდა დაპი-

რისპირებულ, ლამის დანა-სისხლად ნაკიდებულ ადამიანთა შორის ისედაც დაძაბული და გაუარესებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების თავიდან აცილებას.

რომ აღარაფერი ვთქვათ ოჯახურ გარემოზე, უტყუარ გენეტიკურ კოდსა და მოდგმა-მოდენილობის უცვალებელ კანონზომიერებაზე, ქ-ნ ფიქრიას ზეპირსიტყვიერების უზღვავ საცავში ჰქონდა მიკვლეული და, შემდგომ, გათავისებული ხალხური ზნეობისა და ეთიკის ისეთი სწორუპოვარი გაკვეთილები, ქცევის კონკრეტული ნიმუშები და მრავალისმეტყველი მაგალითები, ქცევის კონკრეტული ნიმუშები და მრავალისმეტყველი მაგალითები, რომელთაც, ეჭვი არაა, გარკვეული როლი ითამაშეს ყოველდღიური ყოფითობის პროზაული, მოსაბეზრებელი, გლისპი და გლუვი ზედაპირიდან ამაღლებულ პიროვნებად მის ჩამოყალიბებაში.

იგი მონოდებით გახლდათ ფოლკლორისტი, ამ ცნება-ტერმისნი ზედმიწევნით სწორი გაგებით, შემკრები, შემცნობი და დამგემოვნებელი ყოველივე ვარგისისა და ფასეულისა, სიახლის ჭდით აღბეჭდილი თავანკარა, შუმი და ხალასი ხალხური ლექსისა, სიტყვისა თუ „უბრალო" სინტაგმისა, ზღაპრისა, ანდაზისა თუ ანდრეზისა, სადაც სანიმუშო სიცხადით არის არეკლილი და გამჟღავნებული ჩვენ წინაპართა ცხოვრებისეული საზრისი, გარემოსამყაროსთან მათი მიმართების უმთავრესი მახასიათებლები, ბუნება და მსოფლმხედველობა...

და იმ კოლოსალური ზეპირსიტყვიერი რეპერტუარის მოძიების საპატიო საქმეში, რომლის რიცხვი დღითი-დღე კლებულობს, იწრიტება და, შეიძლება ითქვას, ქრება საქართველოში, ერთობ წონადი და მნიშვნელოვანია ქ-ნ ფიქრია ზანდუკელის წვლილი.

საფუძვლიანად იცნობდა უმრავალფეროვანეს ქართულ ზეპირშემოქმედებას, იცოდა თვითნაბადი სატრფიალო თუ ფილოსოფიური ლირიკის რეგიონალური თავისებურებანი, იოლად ერკვეოდა და იგნებდა გზას ფოლკლორულ ნიმუშთა მხატვრული ოსტატობის რთულ ლაბირინთებში და ეს ყოველივე ნათლად ჩანს მის ნაკვლევში, ცალკეულ სტატიებსა და მონოგრაფიებში.

ამასთან: დიდწილად გახლდათ ორიენტირებული ქართული

ფოლკლორის იმ განსაკუთრებულად ძვირფას, შემეცნებითი თვალსაზრისით უთვალსაჩინოეს „ავტონომიურ“ სფეროზე, რომელსაც საბავშვო ზეპირსიტყვიერებას ვეძახით და რომელიც, რაკი ბავშვის ფაქიზ სულთან გვაქვს საქმე, ძალზე ფრთხილ მიდგომასა და კვალიფიკაციას მოითხოვს მკვლევარისაგან.

საბავშვო ფოლკლორი წარმოადგენდა მისთვის განსწავლულობისა და ინტელექტის სასინჯ საჯილდაო ქვას, სულის საბრუნსა და სავანეს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ არენას, სადაც ხელშესახებად გამოვლინდა მისი კვლევაძიებითი ალღო და შესაძლებლობები.

ჩაბეჯითებით აკვირდებოდა და სწავლობდა საბავშვო რეპერტუარის თითოეულ ნიმუშს, საყმანვილო თამაშობათა ყოველ დეტალს, ნიუანსს და ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, მთლიანობაში იაზრებდა და წარმოაჩენდა საუკუნეთა შორეთში ფესვგადგმული უნიკალური ქართული ფოლკლორული შემოქმედების შეუდარებელ მშვენებას, უფსკერო სიღრმეს, მიუწვდომელ სიმაღლესა და განსაცვიფრებელ სახისმეტყველებას...

სხივი და ხალისი ახლდა ლიტერატურის ინტიტუტში მის მობრძანებას...

წლების განმავლობაში ფოლკლორის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად იზიარებდა და ინაწილებდა წლიური სამუშაო განაწესით გათვალისწინებული ტვირთის სიმძიმეს – იქნებოდა ეს საარქივო მასალის შერჩევა და კლასიფიკაცია თუ ზეპირსიტყვიერი ტექსტების სათანადო აპარატურით აღჭურვა, სასტამბოდ მომზადება და რედაქტირება...

ჩვეული რუდუნებით უძღვებოდა საყვარელ საქმეს; აპირებდა ჩუმ და უჩინარ მოამაგეთა ფოლკლორული ჩანაწერების წიგნებად გამოცემას, აზუსტებდა ნაკლებად ცნობილი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობას, აკეთებდა კომენტარებს...

და დარჩა ბევრი დაუსრულებელი, წერტილდაუსმელი, განუხორციელებელი, ჩანასახშივე მოსხეპილი განზრახვა და ჩანაფიქრი...

დიდ დროს უთმობდა ასპირანტებთან და მაძიებლებთან მუშაობას: უთითებდა ლიტერატურას, აძლევდა საქმიან რჩევა-დარიგებას, აჩვევდა ანალიტიკურ აზროვნებას და, სამწუხაროდ, არც რამდენიმე მათგანის წარმატებული შრომის

საბოლოო შედეგების გაცნობით გამოწვეული სიხარულის განცდა აცალა უხანო სოფელმა...

ოჯახის წევრთა გარდა, ვერავინ იტყვის, რამდენი ტკივილიანი დღე დააღამა და გარდასულ დღეთა გახსენებით დაღლილი ღრუბლიანი ღამე გაათენა უსაშველოდ სევდიანმა და უღონოქმნილმა...

ლამაზი გვარ-სახელის სათნო ქალბატონს, თუკი სადმე სამართალია, ამგვარი ხვედრი არ უნდა რგებოდა, მაგრამ ასეთ დროს ჩვენი სჯა და სინანული სხვა აღარაფერია, თუ არა ჯავრიანი გულის მოოხება და, გარკვეულწილად, უკან მიდევნებული ლამპარი...

ქ-ნი ფიქრიას ბოლო წერილი, რომელიც 2002 წელს „ქართული ფოლკლორის" XXVII ტომში გამოქვეყნდა, ხალხურ ფილოსოფიურ პოეზიაში ყოფნა-არყოფნის მარად ძველი და მარად ახალი პრობლემის განხილვას ეძღვნება.

საბავშვო ფოლკლორის საკითხთა ნრიდან კაცთა მოდგმის მარადიულ დილემაზე მზერის გადანაცვლება და ყურადღების გადატანა, როგორც ჩანს, უწინაპირობო და ლოგიკას მოკლებული სულაც არ ყოფილა: ხვდებოდა და რწმუნდებოდა, რომ თანდათან ვიწროვდებოდა მისი წილი წუთისოფლის სამან-საზღვარი და ძალაუნებურად გამოიღო ხალხური სიბრძნის ფასდაუდებელი სალაროს ის სარკმელი, საიდანაც კიდევ ერთხელ შეძლებდა საკაცობრიო რანგისა და მასშტაბის სულიერი საგანძურისთვის თვალის შევლებას, ურიოშო თვალ-მარგალიტის გამორჩევა-გამოცალკეევებას და ძველ ქართველთა გამოცდილებასთან ზიარებით უზაკველი საუკუნო ცხოვრებისთვის ქვეცნობიერ მზადებას...

2005 წ.

ერთი კვირაა თუშეთში ვართ.

„ათნიგენობებია“.

ძილ-ღვიძილშიც „გწყალობდესთ!“ ჩაგვესმის.

გაიხედავ და... აღმართებში მედღეობენი გამწკრივებულან.

სოფლის სალოცავები – ახალჯვარი, აშტო და წყაროგორი – მრევლსა და მლოცველს უხმობენ, მიელიან, ხვდებიან, ამხნევებენ და მადლის უხილავ კალთას აფარებენ.

გოდერძი ჩოხელი, რომ იტყვიან, თავის სტიქიაშია. მოსწონს მორწმუნე თუშების მამაპაპური წესრიგი და შორსმწვდომი ძახილით გამოხატავს გულში აბობოქრებულ განცდასა და ემოციას; მოხიბლულია ტიპურ თუშურ სახლებში შესასვლელი მთავარი თაღოვანი კარების სიდაბლით და საფუძვლიან ახსნას უძებნის უცნობ, უსახელო მშენებელთა ჩანაფიქრს: სტუმარი, ნიშნად იმისა, რომ აფასებს მასპინძლის ოჯახს, თავდახრით უნდა შევიდეს მის „შინაში“.

– დავიღალე, ხვალაც რომ დამიძახონ და ისევ არ მომასვენონ, ავდგები და ბარში დავბრუნდები! – ყასიდად იმუქრება და თავისსავე ნათქვამზე ალალად იცინის, აი, ისე, ღვთის რჩეულ შვილებს რომ სჩვევიათ...

ღამღამობით გიგო თათარაიძის (მისი ბრიგადის ცხვარმწყემსია გადაღებული სოსო ჩხაიძის ფილმში „თუში მეცხვარე“) ორსართულიანი სახლის გრძელ აივანზე გვძინავს. ხარატულიანი „ბალკონის“ მაღლითა კუთხეებში ბებერაქსელებია გაბმული... და როცა დარღვევა დავუპირე, გოდერძიმ არ დამანება: ასეთი ნამუშევარი იშვიათად მინახავს, რას გვიშლიან, იყვნენ, იშრომონო... შეწყალებული ობობებიც, გეგონება, გაიგონეს ჩვენი საუბარიო, გაორმაგებული მონდომებით განაგრძობენ აჩქარებულ მიმოსვლას თავიანთი დრეკადი, სიფრიფანა ბადის ვერცხლისფრად მბზინავ უწვრილეს ბილიკებზე.

მნავმოვლებული მთვარის უნაკლო ნათელში გახვეული მაკრატელას ფოლადისფერი მწვერვალები მიგვაცილებენ მშვიდი ძილ-სიზმრების ფერადოვან სამყაროში და გრძელდება ხაგირის შემთბარი წყალივით წყნარი და უწყინარი დროჟამის უხმო მარათონი...

ერთ დღესაც ვერხოვანში, გომეწრის ხეობაში, ლელა თათარაიძის დედულთ სოფელში გავემგზავრეთ. კოხტად დაკვალთული ნამთევი ცხენები დავითითოვეთ, შევსხედით და პირიქითის ხეობის ქვატყიანი ბილიკით ქალთვაკისაკენ ავიღეთ გეზი...

ვერხოვანში სოსო და მარო ანწუხელიძეებმა გვიმასპინძლეს... შორს შემოგვეგებნენ, გულითადად დაგვხვდნენ, ცხენებს კაზმულობა მოხადეს და სოფლის განაპირას საბალახოდ გაიყვანეს...

ანწუხელიძეთა სახლიდან რამდენიმე ნაბიჯში კლდოვან კბოდეს ჩაბღაუჭებული ვერხოვნის ციხე დგას, რომლის დაბლა, თვალგაუჩხვერ უჩინ-უკუნში, ჩასხეპილი უფსკრულის ჟრუანტელისმომგვრელი სუნთქვა ისმის.

თავზეხელაღებული თუში ბიჭების გახელებული ცხენების ნალთა ნაპერწკლები ციცინათელებივით ენთებიან და ქრებიან საცალფეხო, დაკიბულ ბილიკზე...

გოდერძი აღფრთოვანებულია გომეწრისხეობელი მხედრების სიმარჯვით, სიჩაუქით და დროდადრო დიდად „ბრძნული" ფილოსოფიური თეზით ეხმიანება დეეებივით წამოყუდებულ შავნაბდიან მთებს: „თუ კაცი ცოცხალია, არ მოკვდება!" („იცოცხლე, ვიდრე მოკვდები!" – ეს ოთარ ჭილაძის ფრაზაა).

ლელას გარმონის „გონთით გამამყვანი" მელოდია და სიმღერა ხელთუქმნელი სამკაულივით ჰკიდია გომეწრის მშვიდ, უმთვარო, ღრუბლიან ღამეს...

მეორე დღეს ნაღვინევნი, ცოტა არ იყოს, მუხლმოკვეთილნი და მაინც უნაღვლონი, ნაყაიჩოთი ვბრუნდებით პირიქითის ხეობაში.

დადიკურთაში ძველი დიდების ნაშთად შემორჩენილ ჟანგიან ყორეებს შორის მოთადარიგებული ცხვარ-მეცხვარის ობოლ ბინას ხელმარჯვნივ მოვიტოვებთ, მყეფრების გაავებას მოვერიდებით და თავუჩინარ აღმართს შევეკიდებით.

იალაღზე მობალახე ცხენების რემას ეუახლოვდებით.

ამდენი და ასეთი სხვადასხვა ფერის ცხენ-კვიცი მანამდე არსად მენახა!

გოდერძიმ დაიჩემა: მთელი ჯოგი ეთეროს უნდა მივულალო დანოში, კაცი არ ვიყო, ჩემი მომავალი ნათლულების დედა თუ ვერ გავახარეო!

ცხენებს თავბოლოზე უარა, ურბინა, დაღლამდე სდია და ბოლოს ერთ, ალბათ ყველაზე ბებერ ჯაგლაგს, სწვდა ფაფარში.

კაი მანძილი ატარა ნაყაიჩოს ულამაზეს ზეგანზე.

ლელამ თავიდან იფიქრა, ერთობაო, და როცა დარწმუნდა, გოდერძი არც ხუმრობდა და არც ერთობოდა, გაუწყრა, გაუჯავრდა და რის ვაივაგლახით მოხელთებული საფერხე იალაღზე გააშვებინა.

ქალთვაკემდე უბრად იარეს.

და როცა დეკიანში წასახემსებლად დავსხედით, მაშინღა აიძრახეს.

გათენდა ლაშარობა – აღდგომიდან მეასე დღის თავზე უძრავად ჩასმული სამთელთუშეთო სახალხო-რელიგიური დღესასწაული.

მე და გოდერძის ლუხუმაიძეთა სტუმართმოყვარე ქალებმა დიდსულოვნად დაგვითმეს თავიანთი გაწაფული, მთის წაშლილ, წვიმებით ჩარეცხილ ვიწრო ბილიკებზე მრავალნაცადი ცხენები; დაგვითმეს და თვითონ ქვეითად დაადგნენ ლამის ნახევარი დღის სავალს; ბოლომდე გვაგრძნობინეს, რას ნიშნავდა მათთვის სხვა კუთხეების – ამ შემთხვევაში გუდამაყრისა და ხევსურეთის – წარმომადგენელთა სტუმრობა თუშეთში.

ჩიღოს გავლით ლაშარში მზის დაწვერვის ხანს ავედით.

იქ დაგვხვდა მოწმიდარი დეკანოზი მელიტო ხოსიკურიძე.

ერთი კვირით ადრე ასულიყო და, სოფელ-ქვეყნის მტვერსა და ხმაურს მოშორებული, მეუდაბნოე ბერივით განმდგარი და განმარტოებული ლაშარობის წმინდა, საკრალური რიტუალის გასაძღოლად ემზადებოდა.

ხატის შავად შემურულ დარბაზში გვარიანად გრილოდა. სიპი ქვის ყორის ღრიჭოებში ნიავი უბერავდა. ყორეში დატანებულ ქვის თაროებზე ელაგა ალუმინისა და სპილენძის ჭურჭელი, მომცრო თუნგები და ვაშრაპები. იქვე იდო მომლოცველთა მიერ შეწირული, ერთი წლის ნაჩუმარი გარმონი...

მაგნიტოფონი ჩავრთე და ჩავიწერე დეკანოზის საუბარი.

ჩიღოს აღმართზე პირველი ცხენოსნები სამხრობის ხანს გამოჩნდნენ.

და დაუვიწყარი სახილველი: (როგორც მერე გავიგე) დიკლოელი გენადი ბეწუნაიძის დედა ცხენს მოუძღვება და მოსაბლავს. ჭრელი ხურჯინის ტევად თვლებში სამი-ოთხი წლის ბალღებს ამოუყვიათ თავები. უჩვეულო ყოფით კმაყოფილნი გაფაციცებით ათვალიერებენ უცხო გარემოს. ხურჯინში უძრავად ჩაჭედილებს უთუოდ ეტკიებათ დაბუჟებული ფეხები, მაგრამ რაღა თუშები იქნებიან, ხმა რომ ამოიღონ და არაკომფორტული მგზავრობა გააპროტესტონ!

მლოცველი მატულობს.

მოდიან და მოჰყავთ შესაწირი: ბატკანი, ჭედილა, კურატი.

სულადის არაყით სავსე მათარებით და ღვინის „კანისტრებით" ივსება სამსხვერპლოს შემოგარენი...

იწყება ლაშარის ჯვრის სადიდებელი, გვარებისა და ოჯახების მოხსენიება, ზვარაკის დაკვლა და მლოცველ-მწირველთა დამწყალობნება.

„სწყალობდეს!" – დაიძახებს ერთი და სხვებიც იმავეს იმეორებენ.

გოდერძი უკვე „მოთუშულია", იქაური ქუდი ახურავს და სანესჩვეულებო სიტყვა-მიგებაში არაფრით ჩამორჩება აქიმიძეებსა და ხაჩიძეებს, ქააძეებსა და იმედიძეებს, აშაძეებსა და ცაძიკიძეებს, იდოიძეებსა და ბასხაჯაურებს...

უფროსები ღამისთევის თადარიგს იჭერენ: ვინ საკლავს ატყავებს, ვინ კიდევ საცეცხლურს ამზადებს ყუჩ, შედარებით უქარნიავო ადგილებში.

ბინდდება.

ხატის მინდორი (თუკი შეიძლება გრძლადწაღებულ სულფონ ფერდობს მინდორი ეწოდოს) ორ – საქალო და სამამაცო – ზონად იყოფა. სამანზე ყარაულები დგანან და ღვთის ნებით გავლებული „სადემარკაციო" ხაზის დალახვისა და გადაკვეთის უფლებას არავის აძლევენ.

შუშხუნა ლუდით (თუშურად: „ალუდი") მოპირთავებული ხის კასრის კიდეზე თაფლის უამრავი სანთელი ციმციმებს.

„ჯვარულს" ცხრა კაცი ასრულებს.

„დღესამ დღეობა ვისია, წმიდისი-დ გიორგისია", – იწყებს სამი მონაწილე და შემდეგი სამი იმეორებს. მერე დანარჩენი სამი აგრძელებს და ამთავრებს.

მოუწყინარი შემართებით, ხმის გამკვეთრებითა და ხალისით მიიწევს მაღლა და მაღლა ლაშარის კარზე ალვად ამოსული მსხმოიარე ხის შესახებ ძველთუძველესი საკრალური სიმღერა...

ხოლო მანამდე მთის ფერდობზე ფერხული ჩააბეს მამაკაცებმა.

ორსართულიანი „ქორბელელა", თორმეტი კაცის მონაწილეობით, ნელი სვლითა და ტრიალით, საწესო სიმღერით მიიწევს ხატისკარისკენ.

წრის შიგნით მეცამეტე – სტეფანე აქიმიძე დგას, ფანდურზე უკრავს და გუნდთან ერთად ეშვება ქვემოთ.

ქორბელელამ დაუშლელად ჩააღწია დანიშნულების ადგილამდე, რაც კეთილ მომავლად ინიშნეს და, ხალხი, გახარებული მოფერხულეთა წაუბორძიკებელი მსვლელობით, მოწონების შეძახილებით შეხვდა ლაშარის ნების გაცხადებას...

ნაბდები წავიფარეთ და უსწორმასწორო, ალაგ-ალაგ ბენჩებიან, ბალახიან ფერდობზე წავიმხრისულეთ.

შუაღამისას ლაშარობის კიდევ ერთი სავალდებულო წესი შესრულდა: ღამისმთეველმა ბიჭებმა ღრმად ჩაძინებულებს ფეხთ გახადეს, რათა ამ უკანასკნელთ, ინათებდა თუ არა, წინწანაქრიანი ბოთლების საფასურით დაებრუნებინათ თავიანთი ფეხსამოსი.

მე, როგორც სიძე, მიცნეს და დამინდეს. ჩუმი, საეჭვო ჩქამი მესმოდა, მაგრამ რაკი არავინ მომკარებია, გვერდი ვიცვალე და ძილი შევიბრუნე. სამაგიეროდ, გოდერძი ვერ გადაურჩა მძარცველების „მრუდე" ხელს. თასმები ფრთხილად შეხსნეს და ტყავის მაღალყელიანი ბათინკები წაიღეს... დილით ჯერ სახსარი ვეძებეთ, ვიპოვეთ, „ვისესხეთ", ხოლო შემდეგ კითხვა-კითხვით მივაგენით გოდერძის ფეხსაცმელს და „გამოვისყიდეთ"...

ცისპირი ტყდებოდა, ცხენების ჭიხვინმა რომ გამომაფხიზლა.

სადღაც იქვე, კოცონის ნამლევთან, გარმონი ალაპარაკდა...

ჩავრთე მაგნიტოფონი და ფირზე ჩავწერე ეს ორი განუმეორებელი ხმა და მელოდია...

კარგად რომ მოდღევდა, ცხენები ავხსენით, შევკაზმეთ, დამრჩომთ დავემშვიდობეთ და ჩიღოსკენ ჩავსაბლეთ ჩვენი დასვენებული, დანაყრებული საფერხეები.

ჩიღოს რომ გავცდით, გოდერძი დაწინაურდა და მტვრიან ბილიკზე ცხენს სადავე მიუშვა.

მე და ოთარ ლუხუმაიძე – თუშეთის სატყეოს უფროსი – წყნარი, ტანმორჩილი თუში, ჩორთით მიეყვებით უკან.

გოდერძი, ისევე როგორც ჩვენ, რიბირაბოდაა, გამბედაობა და რისკი ისედაც არ აკლია, ამაღლებულ განწყობას დარკეთილიც ერთვის და ჩუმ-ჩუმად მეშინია, საზღვრებმორღვეული „სიბრიყვით“ და სითამამით თავს შარი არ აუტეხოს, არაფერი ივნოს.

ამ ფიქრში ვარ და... ტუტარიკის ხევთან (რომელიც, თუშების წარმოდგენით, საეშმაკე და ავსულთა სადგომ-სამალავია) ახლოს ცხენ-მხედარი ბილიკიდან გაუჩინარდა.

რამდენიმე წამში იქ გავჩნდით და ჩამოვქვეითდით...

ბილიკის დაბლა, ხელმარცხნივ, უწყლო, ნიწვიანი და ბუჩქნარიანი ნვრილხევი ჩადის. პირველი, რაც თვალს ეცნო და კიდეც ეცნაურა, ფიჭვის ტოტს შერჩენილი ცარიელი ხურჯინი იყო.

ხევს ჩაღმა ჩავყევი. მზით თრობა და მოთენთილობა მოულოდნელმა ელდამ გადაფარა. ხმის ამოღება ვერ მომიხერხებია, ყველაფერი ისე უცებ მოხდა. თითქოს ნისლი აიყარა და თვალსაწიერი გადაიწმინდა. ვხედავ: ვიწრო აღმართში ცივ ქვაზე შემდგარი ჩოხელის სიჯიუტით მოაბიჯებს გოდერძი, ხელთ აღვირის ტარი უჭირავს, მზის ქუდი უკუღმა ახურავს, ზეხმელისგან დაფხაჭნილ სახეზე სისხლი სდის, უკან მორჩილად მოჰყვება უნაგირ გვერდზე მოქცეული ცხენი...

ერთი სიტყვით, „საამური“, სასეირო სანახავია!

უქმია ჯავრი და ჩივილი გადაბრუნებული ურმის გამო.

ჩვენც ვდგავართ და მიმტევებლურად მომღიმარნი შევყურებთ ერთმანეთს:..

და იმ დღეს, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, ტუტარიკის ხევის მავნე მიწრიელთა და ხიბალ-კუდიანთა ნასიბს ლახტით შეჭურვილი ლაღი ლაშარის ჯვარის დავლათმა სძლია და აჯობა.

– აგე, ბალღო, შენ სამშობლო! – სულ რაღაც ორიოდე დღის შემდეგ მონატრების მაუწყებელი ხმით გასძახებს გოდერძი ფიცრისჭალის ველურ მიდამოებს და ორხიდიანი მანქანით ცერზე (თუშები „ციმბირსაც" რომ ეძახიან) ამოსულები, გვწადია თუ არა, პირს კახეთისკენ ვიბრუნებთ.

მეგობრის გახსენება

„გზა ხსნისა" რომ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში", მაშინ მივხვდი, ნოდარ გრიგალაშვილის სახით პერსპექტიული და ძალზე საინტერესო ლიტერატურათმცოდნე ემატებოდა კვალიფიციურ მკვლევართა შეთხელებულ რიგებს. ხსენებული წერილი პოემა „განდეგილის" მსოფმხედველობრივი საკითხების განხილვას ისახავდა მიზნად და ახლებურად, რამდენადმე განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენდა ილია ჭავჭავაძის მრავლისმომცველი მხატვრული ქმნილების მთელ რიგ თავისებურებებს...ეს გამართული, დახვეწილი, ღრმააზროვანი ოპუსი იმდენად მომეწონა, ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში, ესეც ვიფიქრე: ავტორმა, რომელიც თითქმის ყოველდღე ჩვენს წრეში, ჩვენს შორის ტრიალებს და მეგობრების თვალსაწიერიდან დროებით, მხოლოდ ცოტახნით იკარგება, როდის მოახერხა ამ სერიოზული, დასრულებული, კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული, ნუ მოგვერიდება ამის თქმა, საიმდროოდ, საეტაპო ნაშრომის შექმნა... მაშინ ვირწმუნე (და ახლაც ხშირად ვფიქრობ ამაზე): რაოდენ დიდი და თვალშისაცემი სხვაობაა ყოველი ჭეშმარიტი მწერლისა თუ მეცნიერის ნამდვილ რაობასა და მისი პიროვნული შესაძლებლობების ჩვენეულ წარმოდგენას შორის; არსებობს კარიბჭე, გნებავთ პირობითი, რომელშიც ის რიგითი, ჩვეულებრივი მოკვდავია, ხოლო ამ კარიბჭის მიღმა მისი მეორე მე იმალება, მე, რომელიც მარტოდმყოფობისას წვეული განწყობისა და შთაგონების მადლით და წყალობით თავის სრულფასოვან გამოკვლევებს ანდა მხატვრულ ნარატივებს ქმნის.

* * *

ზამთრის ფოლკლორული ექსპედიციების დროინდელი შავთეთრი ფოტო-სურათებიდან, ჩემს საკმაოდ მდიდარ კოლექციაში რომ ინახება, ორიც სულ მუდამ მახსოვს და მიდგას თვალწინ: ნოდარ გრიგალაშვილი არხილოსკალში, 1922 წლის ხევსურეთის ამბოხის აქტიურ მონაწილესთან ბერდიხა წიკლაურთან (იქვეა ხათუნა ჩხეიძე) და ნოდარ გრიგალაშვილი ხევსურეთის არაგვის ხეობაში გზადშემხვედრ გუდანის ჯვარის

ხევისბერთან გადუა ჭინჭარაულთან (იქვეა ლევან ბაბუხადია)...

იმ დროს, როცა ნოდარის ნიჭი და განათლება მზის სხივთა სითბოზე გახსნილი მყოვანი კვირტივით ახელდა თვალს, მთელ ფშავ-ხევსურეთში იცნობდნენ ორ ლეგენდარულ პიროვნებას: ბერდიხას (მან ნიუანსობრივად გაიხსენა, როგორ დაგზავნა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ხევსურეთის ყველა თემსა და სოფელში სანდო კაცები და ორ-სამ დღეში როგორ შეგროვდა სამთელხევსურეთო ლაშქარი ფხიტუს მთაზე; შემდეგ ქაქუცამ საღლუმის გორზე შეკრიბა მოწინავე მებრძოლები, გააცნო ბრძოლის გეგმა და გასცა განკარგულება...), როგორც მშობლიური მიწაწყლის თავისუფლებისათვის მედგარ მეომარს და გადუას, როგორც ჯვარხატთა მსახურების საკრალური სფეროს ერთერთ უკანასკნელ ავტორიტეტულ წარმომადგენელს...

ნოდარ გრიგალაშვილი, სხვაც რომ არაფერი, ფოლკლორისტების დარგში ამ ორი ისტორიული მნიშვნელობის ფოტოსურათითაც გააღწევდა დავიწყების მდინარის გაღმა ნაპირზე, თუმცა, გარდა ამისა, ქრისტომათიული კრებულების სამუდამო ბინადარია მის მიერ მთიელებით დასახლებულ დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებსა თუ თოვლიან ხევსურეთში ჩაწერილი რამდენიმე დიდად საგულისხმო ზეპირსიტყვიერი ტექსტი...

ასე რომ ნოდარს უძვირფასესი ხალხური საუნჯის გამდიდრების საქმეშიც აქვს ნათქვამი საკუთარი სიტყვა...

* * *

სტუდქალაქში ცხოვრების დაუვიწყარმა წლებმა ბევრი რამ სასიკეთო გვასწავლა, შეგვძინა და შეგვაძლებინა: მეგობრობის ყადრის გაგება, მწირი მატერიალური შესაძლებლობების გონივრულად გამოყენების ჩვევა და უნარი, ჩვენზე უფრო მეტად უპოვართა და არასმქონეთა თანადგომა, არახელსაყრელ საყოფაცხოვრებო პირობებთან ადაპტირება, ერთმანეთის წარმატებისა თუ წარუმატებლობის გულით გაზიარება, ახლობლების დაკარგვით გამოწვეული მწუხარების ადეკვატურად აღქმა და მიღება...

ნოდარ გრიგალაშვილს, ისევე, როგორც „სტუდქალაქელთა" დიდ ნაწილს, ბევრი რამ აკლდა საიმისოდ, რომ მთელი

თავისი ინტელექტუალური „რესურსი" არჩეული პროფესიის დაუფლებისა და გაღრმავებისათვის ბრძოლისაკენ მიემართა...

ორსართულიან კაპიტალურ შენობაში განთავსებული სტუდქალაქის სასადილო იყო ჩვენი თავშეყრის კიდევ ერთი ადგილი და, რაც მთავარია, დამპურებელი. რა შეედრებოდა დილდილობით „ლიმნიან" ჩაისა და პატარა, ორასგრამიანი მინის ქილებით მორთმეულ ნატურალურ „სმეტანას". შეღავათიან ფასებში გეახლებოდით საუზმესა თუ სადილს და, მიუხედავად უკმარი კომფორტისა, მაინც კმაყოფილები ვიყავით...

* * *

ნოდარ გრიგალაშვილი გახლდათ 1978 წლის 14 აპრილს – საქართველოს სახელმწიფო ენის დღის – რეზონანსული ამბების ერთერთი გამოკვეთილი მოთავე და ინსპირატორი. მისთვის და მისი თანამზრახველებისათვის მშობლიური ენის ოფიციალური სტატუსის უმტკივნეულესი საკითხი ეროვნული ყოფნა-არყოფნის უმწვავეს დილემასთან იყო გადაჯაჭვული. იმ სანიშანსვეტო დღემ გამოაჩინა მავნებლური პოლიტიკის მოძულეთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა საქართველოში... თანდათან მწიფდებოდა საბოლოოდ გრანდიოზულ დემონსტრაციაში გადაზრდილი სტუდენტური ამბოხი. აღმავალმა საპროტესტო მოძრაობამ უმაღლეს ნიშნულს 14 აპრილს მიაღწია. კონსტიტუციის 75-ე მუხლი, რომელიც ქართული ენის სტატუსს გაუქმებით ემუქრებოდა, საყოველთაო მღელვარებისა და უკმაყოფილების მიზეზად იქცა. თანამოაზრეების ძირითად ბირთვთან ერთად, ვინც ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნი ტექსტის შედგენაში მონაწილეობდა, ნოდარ გრიგალაშვილი მეამბოხეთა წინა რიგებში იდგა და აბორგებულ ხალხს შექმნილ ვითარებასთან შეურიგებლობისაკენ მოუწოდებდა... ერისა და ბერის ნება არსრულდა და მოხდა ის, რამაც საბჭოთა ხელისუფლების მორიგი მზაკვრული ჩანაფიქრი ნაცრად აქცია...

14 აპრილის მომდევნო დღეებში ნოდარიც დაიბარეს იქ, „სადაც ჯერ არს", მაგრამ მას, როგორც ვიცი, ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან და დაკითხვის ბოლომდე თავისი პიროვნული მრწამსისა და მოქალაქეობრივი პოზიციის ერთგული დარჩა.

რას ნიშნავდა იმ წლებში ეროვნული ურჩობა თუ დაუმორჩილებლობა და რა საზღაურის გადახდა უწევდა თვითეულ პროტესტანტს, პირადად გამოვცადე 14 აპრილიდან სულ ცოტა ხანში, კონკრეტულად 1978 წლის აღდგომის ღამეს და, დარწმუნებული ვარ, ნოდარსაც იმავე მეთოდებით „ამუშავებდნენ", როგორითაც თქვენს მონა-მორჩილს. მაგრამ ამაზე სხვა დროს. ეს კი უნდა ითქვას: მშობლიური ენის კონსტიტუციური უფლებების დაცვის ავანსცენაზე დღეს ისეთი ოდიოზური პერსონებიც გამოქვეყევდებიან ხოლმე, იმ დღეებში უსაფრთხო ჩირგვებში რომ იმალებოდნენ, მხოლოდ საკუთარ კარიერაზე ზრუნავდნენ და შორიდან ადევნებდნენ თვალყურს დედაქალაქის შუაგულში დატრიალებულ საბედისწერო მოვლენებს.

* * *

მახსოვს, როგორი ემოციით ყვებოდა ნოდარი ბ-ნ გრიველ ფარულავას თაოსნობით გუდამაყარსა და შემდეგ ბაკურხევში – ჩემ დედულეთში – ფეხით მოგზაურობის ამბებს. იმ ექსპედიციაში სხვა ფილოლოგებთან ერთად ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ლელა ხაჩიძეც იმყოფებოდა

ნოდარი სიტყვა-სიტყვით აღადგენდა ხოლმე ბიძაჩემთან – ბიძია ფიცხელაურთან გაბმული დიალოგის ფრაგმენტებს და აქა-იქ დოზირებულ იუმორსაც მარჯვედ გამოურევდა .... დიდი სასმისების შემოტევით შეწუხებული ბატონი გრიველი მასპინძელს მიმართავს:-ბიძია ბიძია, გაგვიშვი, ნუღარ გვაყოვნებ, თორემ ლექცია-სემინარების გამცდენებს უნივერსიტეტში აღარ შეგვიშვებენ („შუშანიკის წამების" საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით „ცისკრისთვის" გადასაცემი ვრცელი წერილი ჰქონდა დასამთავრებელი ბ-ნ გრიველს და ამის გამო მართლაც ეჩქარებოდა თბილისში დაბრუნება)...

* * *

ერთხელ ამურ ცაბოშვილის ოჯახში მოგვიწია დარჩენა და ღამისთევა. მაკა და მისი თანაკურსელებიც (ნინო ჭუმბურიძე, ნესტან ჩხიკვაძე ...) იქ იყვნენ. მთელი სერობის განმავლობაში გაგვყვა ამაღლებული განწყობა. ტარიელ ხარხულაური თა-

ვის ახალ ლექსებს კითხულობდა, სუფრის ბოლოდან ნოდარი ეპაექრებოდა ...

გათენდა მზიანი დილა, უსუფთაესი ღვინის წყალობით ბახუსისმიერი დისკომფორტი არავის შექმნია, არც სადმე მიგვეჩქარებოდა. წამოშუადღევებულზე დავტოვეთ ძალისი. მასპინძლის ვაჟებმა – სოსომ და ბესომ – ანტიკური ხანის მოზაიკურ იატაკიანი აბანოების ნაშთებამდე გამოგვაცილეს ...დრო იდგა მშვიდი, სულფონი, სამოყვრო...

* * *

საზოგადოებრივი იერარქიის საფეხურზე ამაღლებული და საკანონმდებლო მოვალეობათა ბადეში „გახლართული" დროის დეფიციტს უჩიოდა. მაინც ახერხებდა საძმაკაცოს შეკრებებსა თუ ლიტერატურულ თავყრილობებზე დასწრებას და თავისი სეფესიტყვის თქმას. „გადიდკაცება" არასოდეს დასტყობია, არც ვინმესთვის თავისი სოციალური უპირატესობა უგრძნობინებია ...ისევ ის სტუდენტობის დროინდელი ნოდარი იყო.

* * *

ნუცუბიძის ფერდობზე ჩემი კარის მეზობლის თამრიკო ხუციშვილის დაბადების დღეზე ცოლშვილთან ერთად გამოჩდებოდა ხოლმე. დაგროვილ სათქმელსა და სასაუბროს იქ ვაძლევდით სადინარს ...გვსიამოვნებდა ბესო აბულაძის ალგეთური ღვინო და ელო დეიდას ხაჭაპური და ნამცხვარი. ვიხსენებდით უდროოდ წასულ მეგობრებს; ვეხებოდით და ვიხილავდით ჩვენი თაობის საჭირბოროტო საკითხებს

* * *

ვიცნობთ ადამიანებს, რომელიც თავიანთი ახირებული თუ ამბიციური ხასიათის მიზეზით სერიოზულ უხერხულობას უქმნიან თანამოსაქმეებსა თუ ე.წ. „სამიზნე ჯგუფებს" და ასეთი რამ გაორმაგებული სიცხადით იგრძნობა სუფრასთან, იმ სივრცეში, სადაც ჭკუა-გონების ნაცვლად ალკოჰოლი იწყებს ლაპარაკს.

არ მახსენდება, ნოდარ გრიგალაშვილს ზნეობრიობის სამანს იქით გადაებიჯებინოს. ის ყველგან და ყოველთვის ინარჩუნებ-

და შინაგან წონასწორობას. არც გაავებული, გაცეცხლებული და მდგომარეობიდან გამოსული მინახავს. თავისი არგუმენტირებული მსჯელობითა და ასე სანატრელი ადამიანური სიმძიმით აღწევდა მოწინააღმდეგე მხარის დარწმუნებასა თუ გადარწმუნებას, „განეიტრალებასა“ და დაზავება შემორიგებას.

* * *

გამომდინარე მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობიდან, თავს უფლებას ვაძლევდი საჭიროების შემთხვევაში პირში „მეძრახა,“ მეთქვა სიმართლე და, როგორც ვატყობდი, გაგებით ეკიდებოდა და ითვალისწინებდა ჩემს საქმიან სამდურავსა თუ საფუძლიან ნაწყენობას.

ზაფხულის ერთი მდუღარე დღე, ეთერ თათარაიძესთან ერთად, ახალდაბის, ყვიბისისა და მზეთამზის სამაროვნებზე გავატარე. მოვიძიეთ და გადმოვიწერეთ ძველქართულ საფლავის ქვებზე ამოტვიფრული ეპიტაფიები, გადავიღეთ ბარელიეფის ფერადი ფოტოსურათები და საღამოს შედეგიანი სამუშაოთი გულნაჯერებნი დავბრუნდით ლიკანში. დავნაყრდით და შევისვენეთ. მერე მე და კარლო აქიმიძე პლასტმასის ხუთლიტრიანი ჭურჭლით წავედით რომანოვების სასახლისაკენ, რომლის ეზოში გრილი და გემრიელი მინერალური წყალი მოჩქეფს. ჭიშკართან წესრიგის დამცველები იდგნენ და „საეჭვო“ პირებს შიგნით არ უშვებდნენ. ცალ ყურშიც არ შეუშვეს ჩვენი თხოვნა და თავაზიანი მიმართვა. გავბრაზდით და ხმას ავუწიეთ, აქეთ დაგვემუქრნენ და სიმყუდროვის დარღვევაში დაგვდეს ბრალი. გამოვბრუნდით მწყურვალები და უსამართლობის შეგრძნებით შეურაცხყოფილები... ცოტა ხანში ტელევიზორში საინფორმაციო გადაცემა დაიწყო. ვხედავ, ნოდარ გრიგალაშვილი რკინიგზის დეპარტამენტის დიდმოხელესთან, თუ არ ვცდები, გვარად ონოფრიშვილთან ერთად ბორჯომშია და რაღაც სამთავრობო ღონისძიებას ესწრება ... ნარმოსახვაში წამისუმალ გადაეწასკვა ერთურთს სატელევიზიო სიუჟეტი და ჩვენი ნუთებისწინა განბილება... როგორც ჩანს, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ სწორედ აქ, ამ ისტორიულ შენობაში პურობდნენ და ორ „დებოშიორს“ გალავნის შიგნით, აბა, ვინ შეგვახედებდა!..

მოგვიანებით დავრეკე და ვუსაყვედურე ნოდარს: დილიდან საღამომდე შენს დედულ-მამულში ვიტრიალეთ, გარდაცვლილებს „ვესაუბრეთ“, ფოტოფირზე აღვბეჭდეთ ათეულობით ძვირფასი კადრი, შევაგროვეთ საფლავის ქვების ლაპიდარული წარწერები და შენი კუთხის „წესრიგის დამცველებმა“ ასე და ასე გადაგვიხადეს-მეთქი სამაგიერო ....

– ხდება ხოლმე ასეთი გაუგებრობებიო, – დამამშვიდა მეგობარმა.

* * *

ბოლოს საგურამოში, წმინდა ილია მართლის სახლმუზეუმის ეზოში ვნახე. ღონისძიება კაიხნის დაწყებული იყო, ვარდნარებს შორის მოქცეულ მოკლე თავდაღმართზე რომ გამოჩდა. ბევრი იქ მყოფის ყურადღება მიიქცია. როგორღაც გაკენტებული მეჩვენა. უსაშველო სენი მთელი მონდომებით მორეოდა, მაგრამ შიში და მშფოთვარება წამითაც არ დამჩნევია მის ხმასა და საუბარს. „თანამდევი სულის“ ორტომეულის ავტორს გათავისებული ჰქონდა „ამაოება ამაოებათას“ უალტერნატივო ფილოსოფია და შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა დიდი სულიერი წინაპრის, უპირველესი მოძღვრისა და მასწავლებლის უმშვენიერეს კარმიდამოში ...

ნოდარ გრიგალაშვილიც „დაუღამდა სოფელს“ და წავიდა; თვალს მოეფარა და ცათა სასუფეველში გაუჩინარდა ...

თითქოსდა დაბადებითვე უფლის მოციქულის – წმიდა ანდრია პირველწოდებულის – კანთიელ კვალზე იყო შემდგარი და ღვთით მიმადლებულ შინაგან მოწოდებას, საფუძვლიანად განესწავლა და მყარი ცოდნით აღეჭურვა თავისი ერთგული მოწაფეები, მზის სხივის ჩაქრობამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე, ცნობიერების დაკარგვამდე ასრულებდა ტარიელ ფუტკარაძე.

მისმა სამუდამოდ წასვლამ მიღმიეთში, ჩვენგან უსაშველოდ დაშორებამ და დისტანცირებამ დროსა და სივრცეში დიდად დაამწუხრა და მწვავე ტკივილით დადაღა ყველა, ვინც მას იცნობდა, ვისაც მასთან უსაუბრია, ვინც აფასებდა და ყოველივე მშობლიურისადმი მის ფანატიკურ, თავდადებულ სიყვარულს გრძნობდა და ხედავდა...

ტარიელ ფუტკარაძის პატრიოტობა არ გამოიხატებოდა სტერეოტიპული ფრაზების ხმამაღლა წარმოთქმასა თუ ვაიგულითად, ყალბ, მყიფე სადღეგრძელოებში. ის პრაგმატული, სრულიად კონკრეტული საქმეებით, სამუშაო დღის მკაცრი განაწესის დაცვით და შეჭირვებულთა პრაქტიკული თანადგომით (გავიხსენოთ ილია: „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ ღამე შენს თავს ჰკითხო, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე...") გახლდათ ნამდვილი ერისკაცი და მისაბაძი მამულიშვილი...

სხვათა ჭირი, ძნელბედობა და გამოუვალი მდგომარეობა ყოველთვის გულთან ახლო მიჰქონდა. ცდილობდა და, ხშირ შემთხვევაში, ახერხებდა კიდეც სოციალურ სირთულეებთან პირისპირ მდგომთა გამოსარჩლებასა და დახმარებას. და ამ დროს საგულდაგულოდ მალავდა და „აჩუმათებდა" პირად პრობლემებს (ჯანმრთელობის მდგომარეობა იქნებოდა ეს, ხანდახანობითი უსახსრობა თუ ინტელექტუალთა ყოფისთვის თანმდევი სულიერი სიმძიმილი)...

დიდი ამაგი ჰქონდა სტუდენტებზე, დოქტორანტებზე (მისი ხელმძღვანელობით ოცზე მეტმა ახალგაზრდამ მოამზადა და დაიცვა სადოქტორო დისერტაცია), ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებზე. გარეშეთაგან უმისობა ალბათ

ყველაზე უფრო სოფიო კეკუას, კესო გეჯუას და მიშა ლაბაძეს უმძიმთ. და ეს სავსებით ბუნებრივია: ისინი ხომ ერთად ეწეოდნენ საუნივერსიტეტო ცხოვრების სასიამოვნო, მაგრამ მაინც მძიმე ტვირთს. და სასურველი შედეგებიც შესანიშნავად ჩანდა და ჩანს მათ მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო სესიებში, საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში, შრომათა კრებულებსა თუ ლინგვისტური შინაარსის ნაირფეროვან პუბლიკაციებში...

ტარიელ ფუტკარაძე სტოიკური ბუნების უკონფლიქტო, „მშვიდობისმყოფელი" პიროვნება იყო. პირადი ნაწყენობა და უთანხმოება არასდროს უქცევია ადამიანურ ურთიერთობათა რღვევის ხელშემწყობ ფაქტორად... მისი კვლევაძიებითი საქმიანობის სტილი გახლდათ ჯანსაღი პოლემიკა...

გამორჩეულ თარიღებთან მიმართებასა და სანიშანსვეტო დღეებში შავ-თეთრი ფერებით გაწყობილი ქართული ჩოხის მორგება უყვარდა. უხდებოდა! ეროვნული სამოსი მის მოძრაობას, სიარულის მანერასა და მიმოხრას მოსაწონ სიდარბაისლეს სძენდა. და ამ დროს არ შეიძლებოდა, ზვიადი და მერაბი – ეროვნული მოძრაობის ეს ორი უპირობო ლიდერი – დანანებით არ ეხსენებინა, მათი საგანგებო მისიისთვის არ გაესვა ხაზი...

დაბადების 55-ე წლისთავი (ლამაზი თარიღი!) ნატახტარში აღნიშნა. რესტორნის მოგრძო დარბაზი მისი მეგობრებით, კოლეგებით და თანამოაზრეებით იყო სავსე. სალხინო სუფრას უნარიანად, ტრადიციული ეტიკეტის დაცვით უძღვებოდა სერგო ვარდოსანიძე. სუფევდა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის განწყობა. და, რაც მთავარია, იქ იყვნენ ტარიელის მხცოვანი დედა – თბილი, სანდომიანი ქალბატონი, მეუღლე, შვილები და უფროსი ძმები – „ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირთა სეხნიები (მტერსაც არ ვუსურვებ, რა ტკივილის ალიც ახლა მათ გულებში ტრიალებს!).

ნეტავი იმ დავლათიან, გაზაფხულის წვიმით ოდნავ განედლებულ სანეტარო დღეს (მახსოვს, ასათიანზე ავტომანქანით რომ გავუარე დიმიტრი ნადირაშვილს, კოჯრის მხრიდან მსუბუქად წამოწვიმა და მალევე გადაიღო).

შარშანაც კაიხნით ადრე მითხრა, ეთერთან ერთად ამა და ამ დღეს ჩემთან იქნებიო (გულისხმობდა 60 წლის საიუბილეო თარიღს), მაგრამ მზაკვარი ვირუსის გამოჩენამ ყველაფერი არია, თავდაყირა დააყენა, სამყარო ცრემლად და გოდებად აქცია და ჩვენი ტარიელისთვის ხომ მთლად ჯოჯოხეთი გამოდგა!..

მიკვირდა და მითქვამს: ამდენ რამეს როგორ ასწრებდა, როგორ აუდიოდა! დღეს რომ დედაქალაქში იყო და დისერტაციის დაცვის პროცესს წარმართავდა საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში, ხვალ 13:00 საათზე ქუთაისში ელოდებოდნენ კონფერენციის მონაწილეები. და ყველგან თვითონ გახლდათ დამგეგმავი, საკითხების „დამლაგებელი" და სამაგალითო ორგანიზატორი.

სულ ვეპირებოდით და ვერა და ვერ მოგვიხერხდა დიალექტური მასალებით და ზეპირსიტყვიერი ტექსტებით დაინტერესებული სტუდენტების ერთობლივი ექსპედიციის ჩატარება ამიერ საქართველოს რომელიმე მხარეში. დროში აცდენა იყო მთავარი მიზეზი ჩვენი განზრახვის განუხორციელებლობისა. თუმცა დიდად არც არაფერი ამით დაშავებულა. უნდა ნახოთ ხევსურეთის სოფლებმოვლილი მისი აღსაზრდელების აღფრთოვანებული სახეები, როცა ისინი როშკაში, კორშაში, ბარისახოსა თუ ლიქოკის ხეობაში ყოფნის ამბებსა და არცთუ უხიფათო თავგადასავლებზე ყვებიან! მომავალ ჰუმანიტარებს მთხრობლებთან შემკრებლობითი მუშაობის სპეციფიკას აცნობდა და რთულ კლიმატურ პირობებთან შეგუების საიდუმლოებებსაც უზიარებდა. და ახლა ისიც ცხადლივ წარმომიდგენია, ამ უმძიმესი ამბის შეტყობისთანავე კაი ყმებისთვის იოლად გასამეტებელი როგორი მდუღარე ცრემლით აევსებოდათ მზერა სანათა წიკლაურს, მარინე გიგაურსა და ტარიელის მცნობ სხვა ხევსურ ხმით მოტირლებსა თუ რიგით დიასახლისებს. და ჭირის ტაბლაზე გულითად შენდობას ეტყოდნენ შოთა არაბული, იმედა ლიქოკელი, მინდია წიკლაური. ეტყოდნენ და მათაც გაუჭირდებოდათ ცრემლის დამალვა (სხვათა შორის, ვაჟკაცებისგან უფროსი მეგობრის გულით გლოვის საუკეთესო ნიმუშებად დაამახსოვრდებათ ფეისბუქ-

მომხმარებლებს გიორგი სოსიაშვილისა და გაბრიელ თაგაურის გამოსათხოვარი წერილები!)...

ამ რამდენიმე წლის წინ, თებერვალში, ტარიელ ფუტკარაძეს, ბაღათერ არაბულს, ეთერ თათარაიძესა და თქვენ მონა-მორჩილს ერთად მოგვიწია ბარისახოში ბათირა არაბულის („რიჟას“) წლისთავზე ასვლა. რაც იმ დღეს იქ ვნახეთ და განვიცადეთ, ეს კიდევ საგანგებო მოგონებისა და თხრობის საგანია!..

ყოვლისმცოდნეობით თავს არასდროს იწონებდა. და იმ საქმეს, რაც მის უშუალო კომპეტენციაში არ შედიოდა, ადვილად ხელს არ მოკიდებდა... ხევსური ბავშვების მიერ ბათირა არაბულის დავალებით შეკრებილი ხალხური ლექსები ჩამოიტანა ხევსურეთიდან და მე გადმომცა: წაიკითხე და გამოსაქვეყნებლად მოამზადეო (ეს საკმაოდ მდიდარი ფოლკლორული მასალა შემდგენლებმა ბათირას წიგნში „მითებში შობილთა მემკვიდრე“ შევიტანეთ... თავისი ერთ-ერთი მონოგრაფიის იმ ნაწილის გაცნობა და რედაქტორობა მთხოვა, რომელიც დამწერლობამდელი ხალხური სიტყვიერების საკითხებს ეხებოდა. მე, რასაკვირველია, სიამოვნებით გავეცანი მის სოლიდურ ნაშრომს და რამდენიმე სურვილიც გავუზიარე. თითქმის ჩემი ყველა წინადადება უყოყმანოდ მიიღო და გაითვალისწინა.

ფუტკარაძე.

საფუტკრეთი...

ბევრი ქართული გვარის მაგია თუ მისტიკური შინაარსი იმაშიაც მდგომარეობს, უცთომლად მიგვანიშნონ მის (გვარის) მატარებელ ადამიანთა საამსოფლო მისია და უმთავრესი მოვალეობა... და იმის შეხსენება ხომ არავის ჭირდება, რასთან ასოცირდება ფუტკარი და მისი გაბმული, ერთთავად საქმიანი ფუსფუსი!... ხოლო საფუტკრეთი ის ძირძველი სამოსახლოა, რომლის „გააქტიურება“ და ჩრდილიდან გამოყვანა ასეთი ძალისხმევით მოინდომა გასულ (სამწუხაროდ, უკანასკნელ!) ზაფხულს. ლოკალური სივრცე, შეიძლება ითქვას, იმ კურთხეულ ადგილად წარმოედგინა, სადაც, ცის კარის გაღებიდან ვიდრე შეღამებამდე, მოუღლელი ზუზუნი ისმის...

ბევრ ფერად ფოტოსურათზეა აღბეჭდილი ტარიელ ფუტკარაძე. ხან ნაღვლიანია, ფარული სევდით მოცული, ხანაც შუბლ-

გახსნილი, ალალად გაღიმებული. შეწუხებულიც ბევრჯერ ყოფილა, რაღაცით გახარებულიც, მაგრამ არსად და არასდროს გვინახავს მისი უემოციო, გამოციებული, უსურვილო სახე!..

ჩქარობდა. თავს გრძელვადიანი დასვენების, ამოსუნთქვის, მუხლის მოხრის ნებას არ აძლევდა. ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები, დაწყებული და დაუსრულებელი. ჩანაფიქრის აღსრულების წადილი გეოგრაფიულ საზღვრებს არ ცნობდა (მოიარა ფერეიდანი და ტაო-კლარჯეთი. იცნობდა და ახლობლობდა ბევრ თურქეთელ ქართველთან). დაბრკოლებებს არ უშინდებოდა. ეგულებოდა (განსაკუთრებით აჭარის მთიანეთში) უღალატო მეგობრები, თანამოსატკივრეები. მათი თანადგომით აღმართა კუტიჯვარი, სადაც ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება დიდგორობა. უხმობდა შუახევი და ჩირუხის მთა. ენით აღუწერელი ხიბლი და მიზიდულობის ძალა ჰქონდა მაჭახლის ხეობას, გრილ წყაროებსა და ყოველ ნაბიჯზე მზე-თამარის სახელთან დაკავშირებული ადგილების მოხილვას. ამიტომაც იმოგზაურა ტყის ვიწრო, საცალფეხო ბილიკებითა თუ უსწორმასწორო გზებით თავისი საგვარეულოს მკვიდრ არე-მიდამოებში. უმთავრესი გეზიც მოინიშნა: თედო სახოკიას ნაკვალევის ბოლომდე გავლა! დაიწყო და გაგრძელება აღარ დასცალდა. არადა, რა საინტერესო იქნებოდა საზაფხულო საძოვრების, ჯამეებისა და სამთო საცხოვრისების, ახორების, მთებისა და ხეობების მონახულება. ანუ, იმ ყველაფრის გულით განცდა, რასაც თედო სახოკიას ბრწყინვალე წიგნში – „მოგზაურობანი“ – ვხვდებით და ვეცნობით...

პროფესიონალი ეთნოგრაფი ერთგან წერს: „ჰაერი აქ მეტად მრთელია. ავადმყოფობა, განსაკუთრებით გადამდები, იშვიათი მოვლენაა...“

ასე იყო საუკუნის წინანდელ ზემო აჭარაში. ახლაც ასეა და ნეტავ ტარიელსაც არ გამოედგა იქიდან ფეხი. ეგებ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ დამუქრებოდა, ეგებ გადარჩენილიყო!..

* * *

ძნელი, ძალზე ძნელი წარმოსადგენია საპატრიარქოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება ტარიელ ფუტკარაძის გარეშე!

დერეფნები, აუდიტორიები, სხდომათა და საკონფერენციო დარბაზები.

მათაც გაუჭირდებათ, ისინიც მოისაკლისებენ. შენობამაც იცის ადამიანების შერჩევა, შეჩვევა და მოშინაურება.

ქართველოლოგიისა და ფოლკლორის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს ერთი საზიარო კედელი ჰყოფს. ათი წლის განმავლობაში ამ კედლის აქეთ-იქით გვეგულებოდა ერთმანეთი. მეც მიჭირს და უფრო მეტად გამიჭირდება ტარიელის სამუშაო მაგიდისთვის და მისი ოთახის დაცარიელებული კუთხისთვის თვალის შევლება...

* * *

და ესღა დამრჩენია, ვკითხო ტარიელს: მანდაც, – მიღმა სოფელში, – სათოვრად გამზადებული ზეცა დაგყურებთ უსასრულო სიმაღლიდან მარადისობის ბინადართ, თუ კამკამა დარი დგას მიწიერ ცოდვათაგან გაწმენდილ თქვენს სამოთხისებრ კარმიდამოში?!..

შინაარსი

ფოლკლორი 3
ბაგრატიონთა საგვარეულოს „ღვთისნებითობის" თეორია და ხალხური სიტყვიერება 3
„გვაქვს უთვალავი ფერითა..." 29
ქართული ციხე-კოშკები 60
ნანილიანნი 81
ზნეობრივ ღირებულებათა სივრცული განზომილებანი ხალხურ პოეზიაში 92
კაცის მარჯვენით და ღვთის შეწევნით 118
„სიმღერე" და ხმით ნატირალი 127
„მძლევარი" და „მკვდართა მზე" – ორი ქვეყნის, ორი სამყაროს მეკავშირენი ხალხურ სიტყვიერებაში 130
კოპალასა და იახსარის საგმირო საგა 136
„მშვილდ თაოდ უნდა მთრეხელსა..." 143
ცოტა რამ „დევების ქორნილის" ავტორზე 154
„ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო..." 162
ნადირობის ქალღმერთი დალი 179
„სად მიდის მეკოპარიო..." 183
საფლავის ქვა და სამგლოვიარო ლექსი 191
დასასრული ლექსისა „ბინდისფერია სოფელი" და სხვა 226
„გწყალობდესთ ლაშარის ჯვარი..." 243
„გვიამბე, ელიზბარაო..." 253
ღირსეული მტრობის ვიწრო ბილიკებზე 257
„პირმა დაგლოცასთ ღვთისამა" 262
პანდემიური მოვლენების ზეპირსიტყვიერი ვარიაციები 270
გურამ ასათიანის ფოლკლორისტული ნიაღსვლები 288
რაც ერთხელ შემყვარებია... (სწორფერი, სანუთრო, სიბერე...) 292
„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები" 301
„არ დაბრუნდება ის წლები..." 307
„იმათ არა ჰგავს წიქაი" 312
ლექსი და ცხოვრება 325
„არ მიყვარს თეთრი ყოილი..." 337

ლიტერატურა 342
სამუდამდღეო საკითხავი 342
მოდი, ვნახოთ ვენახი (სასკოლო „ვეფხისტყაოსნის" გამო) 346
რაფიელ ერისთავი 352
„რა ფერისაა ქვეყანა" 383
მთის, არწივისა და არაგვის რეალური და სიმბოლური განზომილებანი ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ნააზრევში 405

ქალი და კაი ყმა ... 422
ვაჟა-ფშაველას „ლურჯა“ ... 429
ალექსანდრე ყაზბეგის პოეზია ... 436
მეფე, დროშა, თემი („ელგუჯას“ მიხედვით) ... 443
„ვისაც არ ესმის სიტყვა ხალხური“ ... 448
ღილღოს ნგრეული აულების მოზარე ... 468
„გულს გული იცნობს...“ ... 479
მთასა და ზღვას შუა ... 483
„მეც ნავალ, ოღონდ...“ ... 493
„ზეცას მიდიან საქართველოს დიდი მხედრები“ ... 515
„შენ, ჩემო წინამორბედო“ ... 526
ლეგა ნისლების მესაიდუმლე ... 529
„ნამში სამყარო ჩანს...“ ... 532
ბურსაჭირი ... 539
ნეტარების მწვერვალებიდან ტანჯვის უძირო უფსკრულებამდე ... 554
ძალა ძმობისა ... 563

გამოხმაურება ... 567
„გველის-მჭამელის“ გარშემო ... 567
უკმარობის დარდი და ნუხილი ... 576
სოფლის მართალი სურათები ... 588
ქართული ხალხური საგმირო ბალადა ... 595
ამბავი პირშიშველა მოყმისა, ვეფხვისა და ყივჩაღისა ... 602
ცეროდენების გულთამხილავი ... 608
„ქროლვანი უნაპირონი“ ... 614
რეპორტაჟი ქვებზე ნანერი პწკარები ანუ გზად არაგვისა
და არღუნის ხეობებში ... 622
„მთებს შუა სიკვდილი იწვა...“ ... 635
ფრაგმენტები ერთიანი სურათისათვის ... 644
ასას ხეობაში ... 651
„ჯიხვნ მასჩივიან ჭიუხთა...“ ... 658

ხსოვნა
„დარდისას გეტყვი...“ ... 666
საქვეყნო კაცი და სამაგალითო მკვლევარი ... 683
დავით გოგოჭური ... 688
ტკივილით ნათქვამი ... 690
გოდერძი, ლაშარის ჯვარი და ტუტარიკის ხევი ... 694
მეგობრის გახსენება ... 700
ტარიელ ფუტკარაძე – მოუნელებელი ტკივილი ... 707